

4Г
4(47.922)(092 შანიძე)·
ო574

კრებულში მოთავსებულია სამეცნიერო ნაშრომები და წერილები, რომლებიც ეძღვნება გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე ს მისი დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

7-1-1

სარედაქციო კოლეგია

Ⴂ. Ⴀხვლედიანი

Ⴀ. Ⴁარამიძე

Ⴈ. Ⴈმნაიშვილი } რედაქტორები
Ⴀ. Ⴓრუშაძე }

Ⴂ. Ⴘალამბერიძე (მდივანი)

Ⴘ. Ⴛიძიგური

Ⴆ. Ⴝუმბურიძე


1967

ივანე იმნაიშვილი,
შოთა ძიძიგური

აკაკი შანიძე

პროფესორი აკაკი შანიძე საყოველთაოდ აღიარებულია უდიდეს მეცნიერად, რომელმაც ახალ საფეხურზე აიყვანა ქართველური ენათმეცნიერება. თუ ქართველოლოგიის ამ დისციპლინის საფუძვლის ჩამყრელი და პირველი ეტაპის დამაგვირგვინებელია ალექსანდრე ცაგარელი, ხოლო მეორე, ეპოქალური მნიშვნელობის, პერიოდის, ქართველოლოგიური კვლევა-ძიების მებაირახტრედ ნიკო მარს მიიჩნევენ, მესამე ხანის მესვეურობა წილად ხვდა აკაკი შანიძეს, რომელიც თბილისის საენათმეცნიერო სკოლის ფუძემდებელია და მისი საუკეთესო ტრადიციების დამამკვიდრებელი.

ფართოა და მრავალმხრივი სამეცნიერო პრობლემატიკა, რომელიც იზიდავს აკაკი შანიძეს, როგორც დიდი ერუდიციისა და არაჩვეულებრივი ნიჭის მკვლევარს. ქართველური ენების სტრუქტურა და ისტორია, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ტექსტოლოგია, ეპიგრაფიკა, ალბანოლოგია, ლიტერატურის ისტორია და ფოლკლორისტიკა, რუსთველოლოგია, — აი უმთავრესი დარგები, სადაც ჩვენს დაუღალავ მეცნიერს ფუძემდებლური ნაშრომები შეუქმნია. აკაკი შანიძე ავტორია ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკისა, რომლის საფუძველზეც ჩვენი ნორჩი თაობა ეუფლება დედაენის აღნაგობას და ეზიარება მის მდიდარ ბუნებასა და აგებულებას.

აკაკი შანიძე ამასთანავე დიდი საზოგადო მოღვაწეა. მან, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, დიდი ამაგი დასდო ჩვენში საუნივერსიტეტო განათლებას და სანდო საფუძველი ჩაუყარა მომავალი თაობების აღზრდას მამულიშვილური სულისკვეთებით. ამავე დროს აკაკი შანიძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც ქმნის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრესტიჟს და თავისი დიდი მეცნიერული ავტორიტეტით ხელს უწყობს მის განვითარებას.

აკაკი შანიძის, როგორც გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, სახელი კარგად ცნობილია როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

*

აკაკი გაბრიელის ძე შანიძე დაიბადა 1887 წლის 26 თებერვალს სოფ. ჩოლაში.

წერა-კითხვა აკაკიმ შინ ისწავლა. სოფლის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1897 წელს, იგი შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც 1904 წელს დაამთავრა და გადავიდა კლასიკურ გიმნაზიაში, სადაც მესამე კლასში მიიღეს. მეხუთე კლასის დამთავრების შემდეგ, 1907 წელს, ზაფხულში მოემზადა, მეექვსე კლასი გამოტოვა და მეშვიდე კლასში დაიჭირა გამოცდები. გიმნაზია დაამთავრა 1909 წელს.

ჩვენი მეცნიერის ბიოგრაფიაში საინტერესოა ერთი ეპიზოდი, რომელიც დაკავშირებულია აკაკი წერეთლის იუბილესთან.

1909 წლის 6 იანვარს დიდი მგოსანი მიუწვევიათ გიმნაზიაში. საიუბილეო საღამოზე აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაუკითხავს ა. შანიძეს, რომელსაც პოეტის რომანტიკული მიმართულება აუხსნია, როგორც შედეგი ცარიზმის პოლიტიკისა XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართველ ინტელიგენციას მოლოდინი არ გაუმართლდა. მოხსენების ამ ადგილს მხურვალე ტაშისცემა მოჰყოლია. ამის გამო მოუწვევიათ პედაგოგიური საბჭო და განუზრახავთ მოსწავლე აკაკი შანიძის გარიცხვა გიმნაზიიდან. ინსპექტორ მ. სალარაძეს განუცხადებია: „ბრალი რამდენადმე ჩვენც გვედება, რადგანაც ჩვენი მოვალეობა იყო, რომ მოხსენება წინასწარ გაგვესინჯა, და შანიძეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდესო". აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად დაუსკვნიათ, ა. შანიძეს ყოფაქცევაში სამიანი დაეწეროსო, თანაც კავკასიის ოლქის მზრუნველს რუდოლფს ეცნობოს საქმის ვითარებაო. რუდოლფს გიმნაზიის დირექტორისათვის მიუწერია, ეგ ცოტააო და შემდეგ საყვედურიც დაუმატებიათ.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ა. შანიძე გაემგზავრა პეტერბურგს და ჩაირიცხა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. მას ლექციებს უკითხავდნენ: პროფ. ნ. მარი (ქართულ-სომხური ფილოლოგია), პროფ. ვ. ჟუკოვსკი (სპარსული ენა), პროფ. ვ. ბართოლდი (აღმოსავლეთის ისტორია), პროფ. ი. ბოდუენ-დე-კურტენე (ზოგადი ენათმეცნიერება), პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი (საქართველოს ისტორია), პრივატ-დოცენტი ნ. ადონცი (სომხეთის ისტორია, ახალი სომხური ენა), პრივატ-დოცენტი ი. კრაჩკოვსკი (არაბული ქრისტიანული მწერლობის ისტორია), პრივატ-დოცენტი ა. ხაშაბი (ახალი არაბული ენა), პრივატ-დოცენტი ა. შმიდტი (არაბული ენა), პრივატ-დოცენტი ლ. შჩერბა (ექსპერიმენტული ფონეტიკა) და სხვ. სტუდენტობის პირველი წლის ზაფხული ა. შანიძემ დაყო გერმანიაში (ქ. კენიგსბერგში) გერმანული ენის შესასწავლად.

1911 წ. ა. შანიძე პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის" თავმჯდომარეა (წრე დაარსდა 1907 წ. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით). 1913 წელს „სახალხო გაზეთში" დაიბეჭდა ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის წერილი („ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და წიგნების გამომცემლობებისადმი"), რომელშიც ავტორები მოწოდებით მიმართავენ ქართველ მოღვაწეებს, რათა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს აღმოუჩინონ დახმარება ქართული ბიბლიოგრაფიის შესადგენად სათანადო მასალების მიწოდებით. 1916 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა ქართული ბიბლიოგრაფიის I ტომი.

1912—1913 წწ. ა. შანიძე თანამშრომლობს რუსულ ენციკლოპედიაში და

ათავსებს წერილებს: „ვახტანგ VI“, „ვახუშტი“, „ბესარიონ გაბაშვილი“, „დავით გურამიშვილი“, „ქართული ანბანი“, „ქართული ლიტერატურა“, „ქართული ენა“ და სხვ.

1911 წელს ა. შანიძე უნივერსიტეტმა მიავლინა ფშავ-ხევსურეთში დიალექტოლოგიური მასალების შესაგროვებლად. აქ ახალგაზრდა აკაკი მეორედ შეხვდა ვაჟა-ფშაველას. დიდ მგოსანთან ერთად ა. შანიძემ იმოგზაურა მთის სოფლებში; ისინი გაეცნენ ხაშარის ჯვრის დოკუმენტებს, რომლებიც უმთავრესად მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებისა ყოფილა.

1913 წელს პროფ. ნ. მარმა იშუამდგომლა უნივერსიტეტის წინაშე, რათა ნიჭიერი და დიდი მომავლის მქონე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ა. შანიძე დაეტოვებინათ კათედრაზე პროფესორობისათვის მოსამზადებლად (ასპირანტად). ნ. მარის მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა.

ამავე წელს ა. შანიძე ნ. მარის ინიციატივით მივლინებულ იქნა ისევ აღმ. საქართველოს მთაში. 1914 წელს იგი ეჩმიაძინში იკვლევს ძველ სომხურ ხელნაწერებს. 1916 წელს ა. შანიძე საენათმეცნიერო მიზნით მიავლინეს სამეგრელოსა და რაჭაში.

1915 წელს ა. შანიძემ ჩააბარა ზეპირი სამაგისტრო გამოცდები ქართული ენათმეცნიერების დარგში. იმავე წელს იგი შეუდგა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერას.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ა. შანიძე გადმოდის საცხოვრებლად თბილისში და, როგორც თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი მხურვალე მონაწილე, მთელი გატაცებით ებმება ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტის მუშაობაში.

ა. შანიძე, როგორც უნივერსიტეტის დამაარსებელთაგანი, „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოებამ“ შეიყვანა ორ კომისიაში — აკადემიურ და ფინანსურ კომისიებში. 1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე მეცნიერთა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ე. თაყაიშვილი, დ. უზნაძე, გადაწყვიტა, თუ რა ტიპისა უნდა ყოფილიყო ქართული უნივერსიტეტი და გამოიმუშავა სათანადო თვალსაზრისი.

უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღიდანვე შეიქმნა პროფესორთა კოლეგია, რომელშიც შედის ა. შანიძე სხვა გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად.

1919 წლიდან 1922 წლამდე ა. შანიძე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგეა.

1918—1920 წწ. ა. შანიძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივანია, 1919—1921 წწ. — პროფესორთა საბჭოსი.

1919 წლიდან 1945 წლამდე ა. შანიძე განაგებს უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას, ხოლო 1945 წლიდან, როცა კათედრა ორად გაიყო, დღემდე ხელმძღვანელობს ძველი ქართული ენის კათედრას.

ა. შანიძემ იმთავითვე ლექციების კითხვა დაიწყო არაბულ და სომხურ ენებში, 1919 წლიდან — ქართულ ენაში. სხვადასხვა დროს იგი კითხულობდა შემდეგ საუნივერსიტეტო კურსებს: ახალი ქართული ენის მორფოლოგიას, სინტაქსს, ძველ ქართულ ენას, ქართულ დიალექტოლოგიას, ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკას, რუსთველის ენას, სვანურს. მან ჩვენში საფუძველი ჩაუყარა კავკასიურ ენათა სწავლებასაც (1925-26 წწ. კითხულობდა წოვა-თუშურის კურსს).

1920 წელს ა. შანიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. შრომის სათაურია:

„სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში". ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: ი. ჯავახიშვილი და გ. ახვლედიანი.

ეს იყო საერთოდ პირველი დისერტაცია, დაცული ჩვენს უნივერსიტეტში.

1920 წელს ა. შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სვანეთში.

ეს იყო პირველი სამეცნიერო მივლინება, მოწყობილი უნივერსიტეტის მიერ.

1924 წელს ა. შანიძე სამეცნიერო მიზნით მიემგზავრება სომხეთში (გ. ჩუბინაშვილთან, ზ. მელიქსეთბეგთან და ნ. სევეროვთან ერთად).

ეს იყო პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, მოწყობილი უნივერსიტეტის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

1922 წელს ა. შანიძე (კ. კეკელიძესთან ერთად) მივლინებულ იქნა მოსკოვსა და პეტერბურგში ქართული ხელნაწერებისა და სიძველეების რეევაკუაციისათვის.

1923 წელს დაარსდა „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება", რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ახვლედიანი, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგად — ა. შანიძე. 1928 წელს ა. შანიძე მიემგზავრება ინგლისში (ქ. ოქსფორდში) და კითხულობს სამეცნიერო მოხსენებას ორიენტალისტთა მე-17 საერთაშორისო კონგრესზე.

ა. შანიძე 1933—1936 წწ. უნივერსიტეტთან არსებული რუსთველის ინსტიტუტის ქართული ენის სექტორის გამგეა; 1941 წელს განაგებს ნ. მარის სახელობის ენიმკი-ს ქართველურ ენათა სექტორს. 1946—1948 წწ. ა. შანიძე პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგეა. 1935—1936 წწ. იგი ლექციებს კითხულობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1937 წ. ა. შანიძეს ირჩევენ ქ. პრაღის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტად, 1938 წელს — ერევნის ისტორიისა და ლიტერატურის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

1939 წელს ა. შანიძეს, როგორც სახელმოხვეჭილ საბჭოთა მეცნიერს, ირჩევენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1941 წლიდან ა. შანიძე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსია.

1946 წლიდან ა. შანიძე აკადემიაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარეა, ხოლო 1948-50 წლებში — აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

1938 წელს ა. შანიძე არჩეულ იქნა ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის მშრომელთა საბჭოს დეპუტატად, 1941—1944 წწ. კი—ამავე რაიონის აღმასკომის წევრად.

1950—1965 წწ. ა. შანიძე ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

1943 წელს ა. შანიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1961 წელს ა. შანიძემ ირ. აბაშიძესთან და გ. წერეთელთან ერთად იმოგზაურა იერუსალიმში და ჩამოიტანა შოთა რუსთველის პორტრეტი.

სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით, ა. შანიძე დაჯილდოებუ-

ლია ლენინის ორდენით (ორგზის), შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

* *

ა. შანიძის ღვაწლია ახალი ქართული ენის მეცნიერული გრამატიკის შექმნა. ფუნდამენტალური წიგნი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც შედეგია ჩვენი დაუცხრომელი მკვლევრის რამდენიმე ათეული წლის ძიებისა ქართული ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიის დარგებში, საბჭოთა ქართველოლოგიის უდიდესი მონაპოვარია.

გრამატიკის საფუძვლებში შეჯამებულია შედეგები, მიღებული ავტორის მიერ ცალკეული საკითხების მონოგრაფიული წესით დამუშავების გზით. ა. შანიძემ გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომები, სადაც გააშუქა ქართული ენის სტრუქტურული თავისებურებანი და მისი ისტორიის საკითხები და ამით მოამზადა მკვიდრი ნიადაგი მეცნიერული გრამატიკის აგებისათვის.

ჯერ კიდევ ადრე, პეტერბურგში ყოფნისას, ა. შანიძე დაინტერესდა ქართული მორფოლოგიის ისეთი საკვანძო საკითხით, როგორიცაა ზმნის პრეფიქსები. მეორე და მესამე პირის ნიშნების თაობაზე ის მსჯელობდა „ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის“ სხდომაზე 1912 წელს. მალე მან აღმოაჩინა მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის (O_3) ხმარების კანონი. აკადემიკოსი ნიკო მარი 1914 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ცნობილი ორგანოს „Христианский Восток“-ის ფურცლებზე საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ა. შანიძემ ახალი გაშუქება მისცა მესამე პირის ს|ჰ პრეფიქსს და დაადგინა მორფოლოგიური წესი: იგი მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტის აღმნიშვნელიაო. ახალგაზრდა მეცნიერის ვრცელი მონოგრაფია, სადაც პრობლემა ამოხსნილია ძველი ქართული ენისა და დიალექტების ვრცელ მასალაზე დაყრდნობით, დასრულდა 1915 წელს და მისი ბეჭდვა დაიწყო კიდევაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთ სერიაში („Материалы по яфетическому языкознанию“), რომელიც დაარსებული იყო ნ. მარის მიერ. სრული სახით მონოგრაფია გამოქვეყნდა თბილისში (ქართულ ენაზე) 1920 წელს სათაურით: „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ეს არის ა. შანიძის სადოქტორო დისერტაცია.

ნაშრომი მოასწავებს ახალ ეტაპს ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ეს თხზულება პირველი, მრავალი ძეგლის შესწავლაზე დამყარებული შრომაა ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული. პროფ. ა. შანიძის ამ ნაშრომში *კვლევა-ძიების ისტორიული გზაა არჩეული*, იგი ქართული სიტყვიერების ძეგლთა ენის შესწავლაზეა დამყარებული“.

S_2O_3-ის მიმართ ჩვენი მეცნიერის ყურადღება არც შემდეგ შენელებულა.

ჯერ კიდევ ზემოხსენებულ მონოგრაფიაში ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორ ზმნაზე: ს-არ, ს-უალ (მი-ს-უალ), რომლებიც განმარტოებით დგანან ქართულ ზმნებში იმ მხრივ, რომ პრეფიქსად გამოყენებული აქვთ ს და, ამასთანავე, ერთ მათგანში (ს ა რ) თავსართი ხმოვნის წინაა. გამოითქვა ვარაუდი: ალბათ არსებობდა დიალექტი, რომელშიც ს პრეფიქსად იყო გამოყენებული ყველა ზმნაში.

ეს იყო ჰიპოთეზა, რომელიც მომავალში უნდა დამტკიცებულიყო.

ა. შანიძემ ამ მიმართულებით განაგრძო კვლევა და ბოლნისისა და მცხეთის ჯვრის მონასტრების უძველეს წარწერებში ამოიცნო ხ-ს შემცველი ზმნური ფორმები. შემდეგ მან გაარკვია ერთი გეოგრაფიული სახელის (ხ ე რ თ ვ ი ს ი ს) ეტიმოლოგია და აქაც პრეფიქსული ხ-ს კვალი დაადასტურა. თანდათან ფართოვდებოდა ხ ა ნ პრეფიქსის გავრცელების არე.

1923 წელს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა ხანმეტი წერილობითი ძეგლები, რამაც დიდი გადატრიალება მოახდინა ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში. ტექსტებში თავიდან ბოლომდის გატარებულია ხ პრეფიქსი, ადრე ნაწინასწარმეტყველევი ა. შანიძის მიერ. ეს იყო ჩვენი მკვლევრის მეცნიერული ალღოს, მეცნიერული შორსმჭვრეტელობის ბრწყინვალე დადასტურება.

1923 წელს ა. შანიძემ ადიშის ოთხთავში აღმოაჩინა ჰ პრეფიქსის ხმარების 11 მაგალითი (ჰემტერა, ჰუყვეს, ჰევედრებოდეს...). ეს ჰ ბადალია ხ პრეფიქსისა. ამას მოჰყვა მის მიერვე ჰაემეტი პალიმფსესტებისა (1923 წ.) და ხანმეტი მრავალთავის (1927 წ.) აღმოჩენა.

გადასაწყვეტი იყო ხ და ჰ პრეფიქსების ურთიერთმიმართების პრობლემა. ა. შანიძე ასაბუთებდა დებულებას, რომ ხ-სა და ჰ-ს შორის განსხვავება იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, როგორც ვარაუდობდა ი. ჯავახიშვილი, რამდენადაც დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა დიალექტს. ეს ე. წ. დიალექტური თეორია დღეს საყოველთაოდ აღიარებული და მიღებულია.

„თბილისის უნივერსიტეტის მოამბის" პირველ ტომში (1919 წ.) ა. შანიძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „ჩასახელარი ზმნები ქართულში", რომელშიც ნაჩვენებია, რომ ქართული ენის განვითარების ძველ საფეხურზე სუფიქსიანი ვნებითის მაწარმოებლად გამოყენებული იყო (ენ—) ნ სუფიქს-ინფიქსი, რომელიც შემდგომში დ-მ შეცვალა.

გამოკვლევაში „ჭელიწადის ეტიმოლოგიისათვის" (ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი, I—II, 1923—1924 წწ.) ა. შანიძემ გაარკვია რედუქციის საკითხი. „ხმოვანთა რედუქციის მეცნიერული აღწერა, მისი გავრცელების დადგენა და ამ მხრივ ქართველურ ენათა და მათ კილოთა ურთიერთობის გაშუქება ეკუთვნის ა. შანიძეს" (ვ. თოფურია).

ა. შანიძის სახელთან არის დაკავშირებული ქართული ზმნის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიის ბუნების გარკვევა, როგორიცაა ქცევა (თბილ. უნივ. მოამბე, VI, 1926 წ.). „ამ მორფოლოგიური კატეგორიის დადგენა ზედმიწევნით ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული ზმნის აგებულების გასაშუქებლად... შრომამ მაღალი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე ევროპაშიც" (გ. ახვლედიანი).

1930 წელს გამოვიდა „ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია", რომელიც წარმოადგენს ახალი ქართული ენის პ ი რ ვ ე ლ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ გ რ ა მ ა ტ ი კ ა ს. ამ დიდად მნიშვნელოვანმა შრომამ მთელი ეტაპი შექმნა ჩვენი ენის მეცნიერული შესწავლის ისტორიაში; უმაღლეს სკოლას მიეცა ქართული მორფოლოგიის კურსი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული სალიტერატურო ენისათვის მყარი საფუძვლის შექმნისა და შემდგომი კვლევის საქმეში. ამ გრამატიკის საფუძველზე დაიწერა ფრანგულ ენაზე ჰანს ფოგტის ცნობილი

Ⴘრომა (Ⴍსლო, 1936 წ.) და რუსულ ენაზე Ⴁ. Ⴐუდენკოს Ⴕართული ენის გრამატიკა (Ⴊენინგრადი, საკავშირო Ⴋეცნიერებათა Ⴀკადემიის გამოცემა, 1940 წ.). Ⴄგევე წიგნი გახდა ქვაკუთხედი ევროპელი ქართველოლოგების ცალკეული გამოკვლევებისა.

1941 წელს Ⴀ. Ⴘანიძემ საბჭოთა Ⴉავშირის ცნობილ ენათმეცნიერებს გააცნო თავისი ახალი თეორია მწკრივების შესახებ. Ⴋოხსენებამ, რომელიც მან წაიკითხა სსრკ Ⴋეცნიერებათა Ⴀკადემიის ლიტერატურისა და ენის განყოფილების სესიაზე (Ⴘემდგომ დაიბეჭდა რუსულ ენაზე), დიდი ინტერესი გამოიწვია, რამდენადაც ქართული ზმნის საფუძველზე მიღებული შედეგი ზოგადი ხასიათის დებულებად ჩამოყალიბდა და იგი საგულისხმო აღმოჩნდა სხვა ენების კვლევა-ძიებისათვისაც. Ⴆმნის უღლებად ფორმათა მთელი მარაგიდან გამოიყოფა ჯგუფები, რომლებიც გარკვეული ნიშნის მიხედვით აერთიანებენ შიგ შემავალ ფორმებს. Ⴀმ ჯგუფებს საერთო სახელი არა აქვთ, მაგრამ თვითეულ მათგანს სახელს არქმევენ ერთი ან ორი მაერთიანებელი კატეგორიის მიხედვით, როგორიცაა დრო, კილო და სხვა, ან კიდევ მათ რაიმე ნიშნის მიხედვით ასახელებენ (პერფექტი, იმპერფექტი...). სათანადო ჯგუფებს, Ⴀ. Ⴘანიძის მოძღვრების თანახმად, დაერქვა მწკრივები.

1942—1943 წწ. გამოქვეყნდა Ⴀ. Ⴘანიძის „Ⴕართული გრამატიკის საფუძვლები“ ორ ნაკვეთად. Ⴀქ უკვე გატარებულია ის ახალი თვალსაზრისი, რომელიც შეიმუშავა ჩვენმა მეცნიერმა მანამდის უცნობი ზმნური კატეგორიების შესახებ.

Ⴀმის შემდეგ Ⴀ. Ⴘანიძე ზედიზედ ამზეურებს ცალკეულ გამოკვლევებს, არკვევს ბევრ საცილობელ საკითხს, აზუსტებს და აღრმავებს წინათ გამოთქმულ ზოგიერთ შეხედულებას. Ⴀმ შრომებში ქართული ენის მასალებზე დაყრდნობით უფრო მკვეთრად არის წარმოჩენილი საზოგადო გრამატიკული საკითხები. Ⴋაგალითად, სსრკ Ⴋეცნიერებათა Ⴀკადემიის Ⴋოამბეში დაიბეჭდა Ⴀ. Ⴘანიძის გამოკვლევა (Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка, 1946 წ.), რომელშიც ნაჩვენებია, რომ აქტისა და კონტაქტის კატეგორიები სხვა ენებშიც მოიპოვება.

1953 წელს გამოქვეყნდა Ⴀ. Ⴘანიძის კაპიტალური წიგნი „Ⴕართული გრამატიკის საფუძვლები (I. Ⴋორფოლოგია)“. Ⴄს 672-გვერდიანი ნაშრომი უნდა ჩაითვალოს საბჭოთა ქართველოლოგიის უდიდეს მიღწევად. Ⴄგი ვრცელი კურსია, რომელიც საფუძვლად დაედო ქართული ენის სწავლებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. Ⴘანიძისეულ გრამატიკულ მოძღვრებას ეყრდნობა აგრეთვე დედაენის სწავლება ჩვენს რესპუბლიკაში.

Ⴀ. Ⴘანიძის გრამატიკის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს განსაზღვრავს ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობის კვლევა-ძიება. Ⴋთელი რიგი გრამატიკული კატეგორიების გაგებისათვის ამ გარემოების გათვალისწინებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. Ⴂრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციისას ავტორს კრიტერიუმად მომარჯვებული აქვს ფორმათა შეფარდების (დაპირისპირების) ხერხი, დაყრდნობილი ურთიერთშორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. Ⴁგერითი შედგენილობის მიხედვით ერთი ფორმის მქონე სიტყვა დაპირისპირების ნიადაგზე მორფოლოგიურად შეიძლება რამდენიმე ფორმის მქონედ წარმოგვიდგეს.

Ⴀ. Ⴘანიძის გრამატიკის საფუძვლებში ჩვენ ვხვდებით ისეთ შეხედულებებს,

რომლებსაც კორექტივი შეაქვთ საერთოდ ენათმეცნიერებაში განმტკიცებულ თეორიებში. ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგად ენათმეცნიერებაში „ზოგიერთი მოვლენა მცდარად არის გაშუქებული ისე კარგად გამოკვლეული ენებისათვისაც კი, როგორიცაა ფრანგული, გერმანული ან ინგლისური, რომ არაფერი ვთქვათ სომხურისა, თურქულისა, არაბულისა და სხვათა შესახებ. ამ სტრიქონების ავტორს, — ამბობს ა. ყანიძე, — არ ჰქონდა არავითარი ხალისი, სხვებისთვის ეგდო ყური ისეთი ზოგადი ხასიათის საკითხში, როგორიცაა გრამატიკული დრო, და ეცადნა, ვიდრე სხვები გაერკვეოდნენ მის რაობაში ევროპაში თუ სხვაგან, რომ შემდეგ მათგან გადმოეღო საბუთიანობა და გამოეყენებინა ის ქართული მასალების გაშუქებისათვის. საზოგადოდ, ავტორს აინტერესებდა არა მარტო ენის ფილოსოფიის მონაპოვართა გამოყენება ქართულისათვის, არამედ ქართ. ენის მოვლენათა სწორი შეფასების გზით ზოგიერთ მცდარ დებულებათა გაბათილება ზოგად საკითხებში და მათ ნაცვლად ჭეშმარიტის წამოყენება, სათანადოდ დასაბუთება და გაშუქება".

ახალი კატეგორიების დადგენასთან ერთად ა. ყანიძემ შემოიღო ახალი გრამატიკული ტერმინები, რომლებიც დაკანონდა. ა. ყანიძისეული ცნებები და ტერმინებია, მაგალითად, „სათავისო", „საარვისო", „სასხვისო" (ქცევები), „მწკრივი", „კონტაქტი" და მრავალი სხვ.

* *

ძველი ქართული ენის შესწავლის მკვიდრ ნიადაგზე დაყენება სრულიად შეუძლებელი იქნებოდა, თუ მეცნიერულ-კრიტიკულად არ იქნებოდა გამოცემული ძველი ქართული ენის ძეგლები. ამიტომ ამ ძეგლების გამოცემა იყო და არის პირველხარისხოვანი და ძალიან საშური საქმე, გადაუდებელი ამოცანა, რომელიც დაყოვნებას ვერ ითმენს. ა. ყანიძეს ხშირად უთქვამს: ძველი ქართული ენის ძეგლების მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ჩვენს ფილოლოგიაში იგივეა, რაც სახალხო მეურნეობაში მძიმე მრეწველობააო; ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება და ამით უნდა დავიწყოთო. სხვა ადგილას ა. ყანიძე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მეცნიერულ-კრიტიკულად გამოცემული ძველი ტექსტები მკვიდრი საფუძველია ისტორიულ-ფილოლოგიური მეცნიერებისა: სხვადასხვა ბნელით მოცული საკითხი ერის ისტორიიდან, მისი ენისა და ლიტერატურის ისტორიიდან, ეკონომიკის ისტორიიდან და სხვა დარგიდან მხოლოდ მაშინ შეიძლება გაირკვეს, თუ სათანადო წერილობითი ძეგლები კრიტიკულად არის დამუშავებული და სანდოდ გამოცემული".

ამიტომ იყო, რომ ა. ყანიძე ამ საქმეს თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ჯერ კიდევ არ იყო შთაბეჭდილებები განელებული ი. ჯავახიშვილის მიერ პალიმფსესტებში აღმოჩენილი, ამოშიფრული და გამოცემული ხანმეტი ძეგლების გამო, რომ ა. ყანიძემ 1923 წელს აღმოაჩინა, ამოიკითხა და გამოსცა ე. წ. ჰაემეტი პალიმფსესტები („ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის": ტფილ. უნივ. მოამბე, III, 1923). ეს პალიმფსესტს მან მიაგნო საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების № 1329 ხელნაწერში, რომელიც 51 ფურცლისაგან შედგებოდა. ამ ხელნაწერის II ნაწილი, 54 ფურცლისაგან შემდგარი, მან ზემო სვანეთში, სოფ. იფარში ნახა. როგორც პალიმფსესტის ერთ-ერთ ფურცელზე გაკეთებული მინაწერიდან ჩანს,

თბილისური ნაწილიც პირველად სვანეთში (იფარში) ყოფილა დაცული და აქედან გაუტანიათ. ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ორივე პალიმფსესტი ერთი და იმავე წიგნის ნაწილებია. ხელნაწერს აკლია თავშიც და ბოლოშიც. მისი დიდი ნაწილი დაკარგულა.

ჰაემეტი პალიმფსესტის აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ენის ისტორიის შესწავლისათვის. თუ აქამდე ჰაემეტი კილოს მხოლოდ რამდენიმე ერთეულ მაგალითს ვიცნობდით (იმასაც იმავე ა. შანიძის გამოკვლევის მიხედვით—„ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“: უნივ. მოამბე, II, 1922—1923), ახლა ერთბაშად ჩვენი ენა გამდიდრდა ათეული და ასეული იშვიათი ნიმუშებით (ჰეტყოდა, ჰიდვა, ჰუთხრა, ჰაქუს, ჰუბჯობჲს). მაგრამ ჩვენი ხელნაწერისათვის დამახასიათებელია ჰ-ს, როგორც პრეფიქსის (S_2O_3), ხმარებაში ერთგვარი სიჭრელე: ზოგჯერ მოსალოდნელი ჰ აღარ გვხვდება ფორმაში (ესმა, აქუს, ეტყოდა, უძჳრჲს, მიუგო). ეს ჭრელი სურათი, ავტორის აზრით, გვიჩვენებს, რომ ძეგლი მაშინაა შექმნილი, როცა ჰაემეტობა ჩვენში გადავარდნის გზაზე იყო დამდგარი. ამის მიხედვით და აგრეთვე პალეოგრაფიული ნიშნების გამო მეცნიერი ასკვნის, რომ ძეგლი VIII საუკუნეს უნდა განეკუთვნოს. დავძენთ ბოლოს, რომ ტერმინი ჰ ა ე მ ე ტ ი თვით ა. შანიძის მიერაა შექმნილი ხ ა ნ მ ე ტ ი ს ანალოგიით (ეს უკანასკნელი პირველად გ. მთაწმიდელს აქვს ნახმარი, ხოლო მისი ნამდვილი მნიშვნელობა ა. შანიძეს აქვს დადგენილი).

ჰაემეტი ტექსტების აღმოჩენას მოჰყვა ხანმეტი მრავალთავის აღმოჩენა. ეს მოხდა 1927 წელს (ჩ. თბილ. უნივ. მოამბე, 9, 1927). ეს ახლად აღმოჩენილი ძეგლი, როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, ჩვენი წარსული ისტორიისათვის დიდმნიშვნელოვანია და არსებითად ცვლის ჩვენს წარმოდგენასა და შეხედულებას ქართული ლიტერატურის შინაარსისა და მოცულობის შესახებ უძველეს პერიოდში. ხელნაწერი წარმოადგენს პალიმფსესტს, რომლის პირვანდელ ნაწერს ენობრივად ხანმეტობა ახასიათებს (ხდეგ, შეხიწყუნარეთ, გამოხჩნდა, დახბანნა, ხასწავებდა, ხიყო). მაგრამ ისტორიულად ამ სწორი ფორმების გვერდით არცთუ იშვიათად გვხვდება უხანო მაგალითები (არა დავაცადო, შევამთხჳნნეთ, ვაჩუნებდეთ, ვაჩუენოთ). აქედან ჩანს, რომ ხანმეტობა, როგორც გარკვეული გრამატიკული სისტემა, ჩვენს მრავალთავში დარღვეულია, იგი ჩვენი ხელნაწერისათვის აღარ ყოფილა ცოცხალი მოვლენა, არამედ უფრო მწიგნობრული და ლიტერატურულ ტრადიციებზე დაფუძნებული. ზემოთ აღნიშნული ენობრივი მოვლენებისა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ძეგლს ა. შანიძე VIII საუკუნით ათარიღებს.

ძეგლის პუბლიკაციას თან ახლავს გამომცემლის გამოკვლევა, სადაც მოცემულია ხელნაწერის აღწერილობა, ენობრივი მიმოხილვა, კომენტარები, ისე როგორც ეს შეშვენის მეცნიერულ ფილოლოგიურ გამოცემას.

ტექსტის ამოკითხვის შემდეგ ა. შანიძემ დაადგინა, რომ ეს არის ნაწყვეტი მრავალთავიდან, რომელშიც შესულა იოვანე ოქროპირის, ესუქი იერუსალიმელის, იელიანე ტაბია ქალაქელისა და სხვათა თხზულებები. იმხანად ვერ მოხერხდა ოთხი ნაწყვეტის ავტორობის საკითხის დადგენა, მაგრამ, როცა ა. შანიძემ სინური მრავალთავი გამოსცა, გამოარკვია, რომ ამ უცნობ ნაწყვეტთაგან ორი არის სევერიანე გაბალონელის თქმული „შესხმისათჳს ყრმათაჲსა...“, ერთი კი — ანთიპატროს ბოსტრელისა „წმიდისა ღმრთის-მშობელისათჳს და ზაქარიაჲს

დადუმებისათჳს" (,,ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ": თბილ. უნივ. შრომები, ტ. 67, 1957; სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, გვ. 214).

კიდევ ერთი ხანმეტი ძეგლი, რომლის მეცნიერული გამოცემა ეკუთვნის ა. შანიძეს, გახლავთ ე. წ. ხანმეტი ლექციონარი. უძველესი პერიოდის ძეგლთა შორის ეს არის ერთადერთი წიგნი, რომლის ტექსტიც თითქმის ხელუხლებლად არის ჩვენამდე მოღწეული და ამის გამო მას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გაბმული ხანმეტი ტექსტი ხომ მხოლოდ პალიმფსესტებიდან ან წარწერებიდან არის ცნობილი! ხელნაწერთაგან ხანმეტი ლექციონარი გამონაკლისია.

ამ ძეგლს მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

1927 წლის 7 მაისს ა. შანიძეს ქალაქ გრაციდან მოუვიდა საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, ქართული ენის გამოჩენილი მკვლევრის ჰუგო შუხარტის მიერ განოგზავნილი ნაშრომი (Mitteilungen aus georgischen Handschriften), რომელიც შეიცავდა შენიშვნებს ქართული ხელნაწერებისა და მათი ენის შესახებ (ეს ნაშრომი ა. შანიძემ გამოაქვეყნა თბილ. უნივ. მოამბეში, ტ. VIII, 1928). შუხარტის შენიშვნებში ა. შანიძემ შენიშნა ხანმეტი ფორმები. ეტყობა, ავსტრიელი მეცნიერის განკარგულებაში იყო რაღაც ხანმეტი ხელნაწერი, ა. შანიძის დაკვირვებით, საკითხავების შემცველი წიგნი, ანუ ლექციონარი. შუხარტის ეს ნაშრომი და წერილი ადრესატს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული, როცა მას მოუვიდა ცნობა შუხარტის გარდაცვალების შესახებ (იგი გარდაიცვალა 1927 წლის 21 აპრილს. შუხარტის ნეკროლოგი ა. შანიძემ გამოაქვეყნა გაზ. ,,კომუნისტში" 1927 წ. 8 მაისს). ამ ხანებში საზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებდა პროფ. გ. ჩუბინაშვილი, რომელსაც ა. შანიძემ სთხოვა, შეევლო გრაცის უნივერსიტეტში, აეწერა შუხარტისეული ხელნაწერები, განსაკუთრებით ხანმეტი ლექციონარი, და გადაეღო ამ უკანასკნელის ფოტოპირები. ეს მასალა ა. შანიძემ მიიღო 1928 წლის 1 მარტს.

სადაურია ეს ქართული ხელნაწერი? როგორ მოხვდა ის შუხარტის ხელში?

ა. შანიძემ გამოარკვია, რომ ეს არის სინას მთაზე არსებული სწორედ ის ქართული ხელნაწერი, რომელიც ა. ცაგარელმა აღწერა 1883 წელს (მის კატალოგში ეს ხელნაწერი მე-9 ნომრად იყო შეტანილი) და რომელიც ნ. მარსა და ი. ჯავახიშვილს 1902 წელს იქ აღარ დახვდა. ეს წიგნი, სხვა 4 ხელნაწერთან ერთად, ვიღაც მხატვარს ვენის სასახლის ბიბლიოთეკისათვის შეეთავაზებინა (1896—1899 წლებს შორის), მაგრამ ბიბლიოთეკის დირექტორს ფონ ჰ. ცაისბერგს უარი ეთქვა ამ იშვიათ ხელნაწერთა შეძენაზე. აქედან ისინი მოხვედრილა ჰ. შუხარტის ხელში.

ჩვენი ხელნაწერი იერუსალიმში უნდა იყოს შექმნილი, აქედან აუტანიათ ის შემდეგ სინას მთაზე. ა. შანიძის ვარაუდით იგი VII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

ა. შანიძემ დაწვრილებით შეისწავლა ეს უნიკალური და ჩვენი ენის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ხელნაწერი და გამოკვლევა და ტექსტი (მხედრულად) გამოაქვეყნა თბილ. უნ. მოამბეში (ტ. IV, 1929).

მეცნიერმა იგივე ძეგლი მეორედ გამოსცა 1944 წელს მის მიერვე დაარსებული სერიის ,,ძველი ქართული ენის ძეგლების" პირველ ტომად. ოღონდ ამ მეორე გამოცემას ტექსტის მხედრულ ტრანსლიტერაციასთან ერთად თან ახლავს ყველა მოღწეული გვერდის ფოტოტიპია და სრული სიმფონია, ავტორის მიერ

Ⴑ. ყანიძის მშობლები Ⴂაბრიელ Ⴍქროპირის ძე ყანიძე და Ⴄფიზო Ⴊობის ასული ყარაშენიძე (1916)



სახლი, რომელშიც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ჺ. ყანიძემ

შემუშავებული ახალი პრინციპების მისედვით, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედო სიმფონიებისა და ლექსიკონების შედგენას.

Ძველი ქართული ენის ძეგლების უფრო დაჩქარებით და ორგანიზებულად გამოცემის მიზნით Ა. Შანიძემ დააარსა სამი სერია.

Პირველი იმათგანია Caucasus Polyglottus, რომელშიც დაიბეჭდა მისივე „Ძველი ქართულის ქრესტომათია“ (1935). Წიგნში წარმოდგენილია წარწერები, ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები, სხვა ახალი ტექსტები, ქარაგმები და ცნობები პირველწყაროების შესახებ.

Ტექსტები დაბეჭდილია ორივე ქართული ანბანით, ძველით (მრგლოვან-ნუსხურით) და ახლით (მხედრულით). Შრომა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსაც წარმოადგენდა, რომლითაც დიდხანს ხელმძღვანელობდნენ უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები პალეოგრაფიისა და ძველი ქართული ენის შესწავლისას.

Მეორე სერია („Ძველი ქართული ენის ძეგლები“) დაარსდა Აკადემიასთან 1944 წ., რომლის პირველ ტომად ზემოთ აღნიშნული „Ხანმეტი ლექციონარი“ გამოვიდა. Ამ სერიის დაარსების გამო Ა. Შანიძე წერდა: „სერია განკუთვნილია ქართული ენის წერილობითი ისტორიის ძველი პერიოდის მთავარი წყაროების გამოცემისა და გამოკვლევისათვის. Განზრახულია ამ სერიაში გამოიცეს ძველისა და ახალი აღთქმის წიგნები (კერძოდ, ქართ. ოთხთავების უძველესი რედაქციები და განთქმული Ოშკური ხელნაწერი 978 წლისა)... Ბუნებრივია აგრეთვე, რომ ამ სერიაში იყოს ნავარაუდევი ისეთი რამაც, რაც ძველი ქართული ენის ისტორიის საკითხების გამოკვლევას ხელს შეუწყობს, როგორიცაა, მაგ., უმნიშვნელოვანეს ძეგლთა სიმფონიები და სპეციალური ლექსიკონები, რომლებიც აუცილებელ წინა საფეხურს წარმოადგენენ ვრცელი ისტორიული ლექსიკონის შედგენისათვის“ (გვ. 06). Სულ ამ სერიაში დღემდე დაიბეჭდა 11 ტომი, რომელთაგან ბევრი 400- და 500-გვერდიანი წიგნია. Ამათგან 4 ტომი თავად Ა. Შანიძის გამოცემაა, დანარჩენი 7 კი გამოსულია მისივე რედაქციითა და ხელმძღვანელობით.

Ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემაში ეპოქალურ მოვლენას წარმოადგენდა Ა. Შანიძის მიერ ამ სერიის მეორე ტომად გამოქვეყნებული „Ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით“ (1945). Ამ წიგნის გამოცემამდე ჩვენ არ გვქონდა სახარების მეცნიერულად დადგენილი ტექსტი[1], ხოლო სახარების ენა ყველაზე უძველესი ენაა დღემდე შემონახულ წერილობით ძეგლთა შორის, მასში არსებითად IV—V საუკუნეების ქართული ენაა დაცული და ჩვენამდე მოღწეული. Ამიტომ ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, სერიის დამაარსებელს სახარების ტექსტის გამოცემაზე უნდა ეზრუნა. Ეს ამოცანა მან ბრწყინვალედ გადაჭრა 1945 წელს, როცა გამოვიდა სამი ოთხთავი ერთად: Ადიშისა (897 წლისა), Ჯრუჭისა (936 წლისა) და Პარხლისა (973

[1] Მართალია, Ვლ. Ბენეშევიჩმა Ნ. Მარის დახმარებით 1909 და 1911 წლებში Პეტერბურგში გამოსცა Ლბეთისა და Ოპიზის სახარებათა Მათესა და Მარკოზის თავები (სათანადოდ), მაგრამ, იგი მრგლოვანი ასოებით დაიბეჭდა მცირე ტირაჟით და არ იყო ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის; Ადიშის ოთხთავი პირველად ფოტოტიპიურად გამოსცა Ე. Თაყაიშვილმა 1916 წელს, მაგრამ არც ის იყო ხელმისაწვდომი. Ხოლო ამერიკელი მეცნიერის Რ. Ბლეიკის მიერ Პარიზში მხედრულად გამოცემული ქართული ოთხთავის ორი თავი (Მარკოზ 1929 წელს, Მათე 1939 წ.) საქართველოში თითო-ოროლა ცალი ჩამოვიდა და მის მასობრივ სარგებლობაზე ზედმეტია ლაპარაკი.

წლისა). სამივე ხელნაწერი შატბერდშია გადაწერილი, რომელთაგან ორი უკანასკნელი ერთი დედნიდან მომდინარეობს და ერთ რედაქციას წარმოადგენს, ხოლო პირველი მათგანი, ადიშის ოთხთავი, სრულიად განსხვავებული და მეტად თავისებური რედაქციის ტექსტს შეიცავს.

გამოცემას ახლავს ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა ქართულად და შედარებით მოკლე რეზუმეები რუსულსა და ინგლისურ ენებზე. ამ წიგნის გამოცემის შემდეგ სანდო დასაყრდენი შეექმნა ენათმეცნიერულ და ფილოლოგიურ კვლევას, გაადვილდა საფუძვლიანი მონოგრაფიების დაწერა ძველი ქართული ენის სხვადასხვა ძირითადს საკითხზე. შანიძისეულ პუბლიკაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადასაწყვეტად, მით უმეტეს, რომ ორი რედაქცია პირისპირ უდგას ერთმანეთს (გვერდიგვერდაა დაბეჭდილი) და ამით გაადვილებულია როგორც მათი ერთმანეთთან შედარება, ისე მათთან შედარება სხვა ოთხთავების ტექსტისა. მთავარი მაინც ისაა, რომ ეს რედაქციები წარმოადგენენ ქართული სალიტერატურო ენის უძველესი პერიოდის ძეგლებს. მართალია, ისინი გადაწერილია გვიან, მე-9 და მე-10 საუკუნეებში, მაგრამ, რედაქტორის დასკვნით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოშობით უეჭველად ადრინდელ ხანას განეკუთვნებიან; ისინი ძირითადად, როგორც უკვე მივუთითეთ ზემოთ, მეოთხე-მეხუთე საუკუნეთა ენას ასახავენ.

ახალი აღთქმის სხვა წიგნები სრული მეცნიერული აპარატითა და ოთხთავის გამოცემაში დადგენილი პრინციპებით შემდეგ გამოქვეყნდა ა. შანიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქციით.

ა. შანიძემ დიდი ამაგი დასდო აგრეთვე ქართული ბიბლიის გამოცემის საქმეს.

ქართული ბიბლიის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ქართული ენის, მწერლობისა და მეცნიერების გადაუდებელ საზრუნავ საქმედ უნდა იქნეს მიჩნეული. სხვა არა იყოს რა, ქართული სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის სურათი შეუძლებელია ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ მკვლევარს ხელთ არ ექნება კრიტიკულად შესწავლილი და დადგენილი ტექსტი, თუ არ არის სხვადასხვა რედაქციები თავმოყრილი და ერთმანეთთან შეჯერებული.

ამ მხრივ მეცნიერთა ყურადღებას თავიდანვე იპყრობდა ათონის მთაზე დაცული ქართული ბიბლია, რომელიც 978 წელსაა გადაწერილი ოშკში თორნიკ პატრიკის ხელმძღვანელობით (შემდეგში თორნიკე ერისთავად რომ არის ცნობილი. თორნიკმა მერმე ის ათონის მონასტერს შესწირა).

როგორც თვით ა. შანიძე გვაუწყებს, ამ ხელნაწერის მთელი ტექსტის გამოქვეყნებას აპირებდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც უკვე 1910 წელს მოეპოვებოდა მისი ფოტოპირები. შემდგარა კომისია ამ წიგნის საფუძველზე ქართულ-რუსული ლექსიკონის შესადგენად, რომლის ხელმძღვანელი იყო ნ. მარი, ხოლო წევრები — ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე და ა. შანიძე. სალექსიკონო მასალები უნდა ამოეწერათ ამ ბიბლიიდან, რომელიც უნდა ცალკე წიგნად დაბეჭდილიყო. ა. შანიძეს დაჰკისრებია გამოსლვათა წიგნზე მუშაობა, შესდგომია მუშაობას და სასტამბოდ დაუმზადებია მისი ხვედრი, რომელიც აკადემიის სტამბისათვის გადაუცია ასაწყობად. ომიანობის გამო შექმნილ პირობებში წიგნის წყობა გაჭიანურდა. 1917 წლის დასაწყისისათვის დაბეჭდილი იყო მხოლოდ 64 სვეტი... და აწყობილი იყო კიდევ 55 თავამდე. ამის შემდეგ წყობა და-

ჰეჭდვა შეწყდა, რადგანაც 1917 წლის დიდმა ამბებმა უსწრო და Ⴀ. Ⴘანიძე Ⴇბილისში გადმოვიდა სამუშაოდ ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში.

Ⴀ. Ⴘანიძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მუშაობის განახლება ათონური (ოშკური) Ⴁიბლიის ტექსტის გამოცემისათვის. 1947 და 1948 წლებში დაიბეჭდა ამ წიგნის 2 ნაკვეთი. I ნაკვეთის წინასიტყვაობაში Ⴀ. Ⴘანიძე ამბობს: „Ⴀმ ნაკვეთის გამოშვებით განახლებულია ოცდაათი წლის წინათ შეწყვეტილი მუშაობა ოშკური ხელნაწერის კრიტიკული გამოცემისათვის. Ⴐაგინდ სასიხარულოც უნდა იყოს ეს ამბავი, არ შემიძლია მაინც დიდი გულის ტკივილით არ აღვნიშნო: ვაი რომ სამუდამოდ შესვენებულია ამ საქმის წამომწყები დიდი Ⴌ ი კ ო (†1934 წ.) და ორი მისი თანამშრომელი: დიდი Ⴈ ვ ა ნ ე (†1940 წ.) და ნიჭიერი Ⴈ ო ს ე ბ ი, რომელიც ადრე გამოეთხოვა წუთისოფელს (†1919 წ.) Ⴀმ სტრიქონების დამწერს ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს მათი სანუკვარი საქმე".

Ⴀ. Ⴘანიძის ხელმძღვანელობითვე ოშკური Ⴁიბლიის წინასწარმეტყველთა წიგნებზე მუშაობენ მისი მოწაფეები.

Ⴋესამე საგამომცემლო სერია, რომელიც Ⴀ. Ⴘანიძემ 1955 წ. დააარსა Ⴇბილისის უნივერსიტეტში, არის „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები". Ⴋისი მიზნები და ამოცანები დაახლოებით იგივე იყო, რასაც „ძველი ქართული ენის ძეგლები" ემსახურებოდა, ოღონდ აქ შემსრულებლად ძველი ქართული ენის კათედრის წევრები გამოდიოდნენ. Ⴃღემდე გამოსულია 10 ტომი.

Ⴀმ სერიაში დაიბეჭდა ე. წ. „სინური მრავალთავი 864 წლისა", რომელსაც ქართული ენისა და ლიტერატურის ისტორიისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

სინური მრავალთავი იმ მხრივაა განსაკუთრებით საინტერესო, რომ იგი უძველესი ქართული თარიღიანი ხელნაწერია, რომელსაც 3 წლის წინათ (1964 წ.) უკვე შეუსრულდა 11 საუკუნე. Ⴄსაა ერთგვარი ქრესტომათია, რომელშიც შესულია 18 ავტორის 50 ნაწარმოები. სინური მრავალთავი 864 წელსაა გადაწერილი Ⴈერუსალიმის ახლოს საბაწმიდის მონასტერში და წინ უსწრებს (ჩარწერებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) ყველა თარიღიან ქართულ წერილობით ძეგლს: Ⴀდიშის ოთხთავს (897 წ.), Ⴍპიზის ოთხთავს (913 წ.), Ⴟრუჭის ოთხთავს (936 წ.) და სხვებს. Ⴘანიძისეულ გამოცემას, უპირველეს ყოვლისა, წმინდა საენათმეცნიერო მიზნები აქვს დასახული: „Ⴞელმისაწვდომი გახადოს ყველასათვის უძველესი თარიღიანი ხელნაწერის ტექსტი, რომელიც დიდმნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიის თვალსაზრისით. Ⴛეგლი ნათლად გვიჩვენებს იმ გზას, რომელიც ქართულ სალიტერატურო ენას გაუვლია სამი-ოთხი საუკუნის განმავლობაში, ხანმეტობის ხანიდან (V—VI ს.) მეცხრე საუკუნის სამოციან წლებამდე. Ⴐოგორც თარიღიანი ძეგლი, იგი საყრდენია ორთოგრაფიისა და ენის (ლექსიკა-გრამატიკის) საკითხების კვლევა-ძიებისას ისტორიულ ასპექტში; იგი საყრდენია აგრეთვე ქართული პალეოგრაფიისა და ქართული წიგნის მორთულობის საკითხების გამორკვევისათვის" („სინური მრავალთავი", გვ. 015—016).

„სინური მრავალთავი" განსაკუთრებით ძვირფასია იმითაც, რომ მასში აღმოჩნდა პროზაული ტექსტების სახით დაწერილი ძველი ქართული ლექსების ნიმუშები, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვან მასალებს გვაწვდის ქართული ლექსის სათავეების გამოსაკვლევად და შესასწავლად (იხ. „Ⴚისკარი", № 7, 1960).

„სინურ მრავალთავს“ ბევრი სხვა მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ყველა ამაზე აქ ახლა ვერ შევჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს ეს დიდი წერილობითი ძეგლი მთლიანად არის გამოცემული და ხელთა გვაქვს ა. შანიძის მეცადინეობის წყალობით. ტექსტს ერთვის ა. შანიძის ვრცელი გამოკვლევა, სადაც განხილულია ძეგლის აღწერილობათა საკითხები, გადაშლილია ხელნაწერის შექმნის ისტორია და მოცემულია დაკვირვებები ენის თავისებურებათა შესახებ, რაც მეტად მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიისათვის. „სინურ მრავალთავს“ ყველა დაინტერესებული ქართველი მკითხველი დიდი გულმოდგინებით კითხულობს და იყენებს.

ა. შანიძის ხელმძღვანელობით გამოვიდა აგრეთვე ზოგი სხვა მნიშვნელოვანი ძველი ქართული ტექსტი.

ძველი ქართული ენის ტექსტების გამოცემას ა. შანიძემ საფუძვლად ახალი პრინციპები დაუდო. რაში მდგომარეობს ეს ახალი პრინციპები? როგორია მისი ძირითადი ნიშნები?

1. ყოველი ცალკე აღებული ხელნაწერი, ა. შანიძის აზრით, არის *დამოუკიდებელი* წიგნი, რომელსაც ახასიათებს თავისი, საკუთარი დამახასიათებელი თვისებები ლექსიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში და, განსაკუთრებით, ფონეტიკასა და ორთოგრაფიაში. აქამდე მიღებული წესით ამ განმასხვავებელ ნიშანთა ვარიანტების სახით ჩვენება სქოლიოებში უკარგავს წიგნს ზემოთ აღნიშნულ დამოუკიდებელ სახეს, თავისთავადობას. ამიტომ სასურველია ყოველი ასეთი წიგნი ცალკე გამოიცეს. ამგვარი გამოცემის ნიმუშს წარმოადგენს „სინური მრავალთავის“ შანიძისეული პუბლიკაცია. თუმცა „სინური მრავალთავის“ ტიპის წიგნები სხვებიცაა ქართულად (უდაბნოს მრავალთავი, სვანური მრავალთავი, პარხლის მრავალთავი და სხვ.), რომლებშიც მოიპოვება „სინურ მრავალთავში“ შესული თხზულებები, ზოგჯერ ისინი ძალიან ახლოსაც დგანან ერთმანეთთან, მაგრამ გამომცემელმა მაინც ამჯობინა, „სინური მრავალთავი“ ცალკე გამოეცა და სხვების ვარიანტების ჩვენებაზე ხელი აეღო. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, სხვა მრავალთავებიც ასევე ცალ-ცალკე გამოიცეს, რის შემდეგაც მათი შედარებითი შესწავლა გაცილებით უფრო მიზანშეწონილი და ადვილი იქნება. სქოლიოში ჩატანილი ვარიანტები ზოგჯერ უქმი და დაკარგულიაო, ამბობს იგი. დიდი მეცნიერის ამ ძირითად პრინციპს უსათუოდ უნდა დავეთანხმოთ.

2. როგორღა მოვიქცეთ, როცა მაინც იძულებული ვართ ერთი და იგივე ძეგლი (ერთი და იმავე სახელწოდებისა და შინაარსის ძეგლი) სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით გამოვცეთ? როგორ ვუჩვენოთ ვარიანტები? ა. შანიძემდე (ნ. მარი, კ. კეკელიძე და სხვ.) უმეტესად ასე იქცეოდნენ: ერთ რომელიმე ხელნაწერს საფუძვლად იღებდნენ, სხვებისას კი ვარიანტებს უჩვენებდნენ. ამასთან, ანგარიში მაინცადამაინც არ ეწეოდა იმას, თუ ვარიანტთაგან რომელი წაკითხვა იყო სწორი და მართებული და რომელი — უსწორო და უმართებულო. ხშირად მომხდარა, რომ გამოცემის საფუძვლად აღებული ხელნაწერის უმართებულო წაკითხვა ტექსტში დაუტოვებიათ, ხოლო არაძირითადი ნუსხების მართებული ფორმები სქოლიოში ჩაუტანიათ. ა. შანიძე სხვანაირად იქცევა: ყველა სწორსა და მართებულ ფორმას ტოვებს ტექსტში, სულ ერთია, ის გამოცემის საფუძვლად აღებულ ხელნაწერში გვხვდება, თუ სხვებში. ასევე, არასწორი და მიუღებელი

ფორმები სქოლიოში ჩააქვს, თუნდაც ის ძირითადს ხელნაწერში იყოს. ეს პრინციპიც სავსებით სწორია. მკითხველი, უპირველეს ყოვლისა, კითხულობს გამოცემის ტექსტს და არა სქოლიოებს. ამიტომ სწორედ ამ ტექსტში უნდა იყოს სწორი და მართებული წაკითხვები; უმართებულო ფორმებმა მკითხველს წიგნის კითხვისას თვალი არ უნდა მოსჭრას.

3. მანამდე გამომცემლები (ნ. მარი და სხვები, უფრო ნ. მარი) გამოცემებში ნაირ-ნაირ და ჭრელ-ჭრელ ფორმებს ვერ ითმენდნენ, რომელიმე ერთის მიხედვით ასწორებდნენ სხვებს, ამ ერთამდე დაჰყავდათ სხვა ხელნაწერთა განსხვავებული წაკითხვები (თუ რამდენიმე ხელნაწერი იყო), ან (თუ ერთი ხელნაწერი იყო) ტექსტში ჭრელი ფორმებიდან ერთ-ერთს, მათი თვალსაზრისით, სწორს ტოვებდნენ, სხვებს სქოლიოში უკრავდნენ თავს.

ა. შანიძე სხვანაირად იქცევა. მისი აზრით, ტექსტში უნდა დარჩეს ყველა ნაირ-ნაირი წაკითხვა, თუ ეს წაკითხვები ისტორიულად სწორია, ტექსტში არ უნდა დავტოვოთ და სქოლიოში ჩავიტანოთ მხოლოდ *შემცდარი*, *შეუძლებელი* ფორმები. ყოველგვარი *შესაძლებელი* ფორმა ხელუხლებლად უნდა დავტოვოთ, რადგან ენის ისტორიისათვის სწორედ ასეთ ჭრელ-ჭრელ და ნაირ-ნაირ ფორმებს აქვს განუზომელი ფასი. ცოცხალი ენის განვითარებას სწორედ ეს სხვადასხვანაირი ფორმები გვიჩვენებს და არა ერთი თეორიული დოგმის მიხედვით ნასწორები ხელოვნური ვარიანტები, რომლებიც უმეტესად არა ხელნაწერისეულია და იმდროინდელი ცოცხალი ენის ნიმუშები, არამედ გამომცემლის თეორიული შეხედულების ნაყოფი და ხელოვნური. ამიტომაა, რომ ა. შანიძის გამოცემებში თქვენ ხელუხლებლად გიდგათ წინ როგორც *მეფჱ*, *ჰხედავს*, *აბრკოლებს*, *მიიღებს*, თჳსი, ტრისტჱსთჳს, ტაძარი, *განჰჴსნნა* და სხვა, ისე (სათანადოდ) *მეფე* (სახ. ბრ.), *ხედავს*, *აპკოლებს*, *მიჲღებს*, *თუისი*, *ტრისტეჲსთუის*, *ტაზარი*, *განჰჴსნა* (*გა̈ნჴსნა*) და სხვ.. ცოცხალი ენისათვის სწორედ ასეთი ჭრელი ფორმებია დამახასიათებელი, მათს ბრძოლასა და ჭიდილში ვითარდება, იხვეწება და ყალიბდება ენის ახალი და ახალი საფეხურები. ენის ისტორიისათვის სწორედ ამგვარ ფორმებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა და არა ერთნაირად გაკეთებულ მოგონილ ფორმებს. ამიტომ ამ პრინციპის უყოყმანოდ გაზიარებისათვის ორი აზრი არ არსებობს.

4. დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ტექსტის აზრის უფრო კარგად გასაგებად ა. შანიძემ შემოიღო და დანერგა ძველი ტექსტების ზოგიერთი მართლწერის წესი, როგორც, მაგალითად:

ა) *ესე*, *ეგე*, *იგი* ნაწილაკებიანი კითხვითი სიტყვების დეფისით წერა (რომელი-იგი, რომელმან-იგი, რომელნი-იგი, სადა-იგი და სხვ.);

ბ) *მე* კითხვითნაწილაკიანი სიტყვების დეფისით წერა (*ვინ*-მე არს ესე? მაგრამ: მო-*ვინმე*-ვიდა);

გ) (პირველი) მძიმის გამოტოვება ე. წ. სინტაქსური ასიმილაციის (ატრაქციის) ნიმუშებში (და მამაჲ შენი რომელი ჰხედავს დაფარულსა, მოგაგოს შენ ცხადად, და არა: მამაჲ შენი, რომელი...) და ბევრი სხვ., ყველა ასეთ წესზე აქ ვერ შევჩერდებით.

ა. შანიძემვე შენიშნა, რომ, როცა უმლაუტიან ა-ს (ა̈-ს) სვანურში უძღვის უკანაენისმიერი გ, კ, ქ (გა̈, კა̈, ქა̈), მათ შემდეგ ჲ ვითარდება (გჲა̈, კჲა̈, ქჲა̈).

მაგრამ წესად შემოიღო, რომ არ დაიწეროს (და არც დაიბეჭდოს) ეს ჲ, რადგანაც იგი აღნიშნული სამი თანხმოვნის შემდეგ დავიწროებული ანის წინ ყველგან და ყოველთვის თავისთავად და უსათუოდ იგულისხმება („უმლაუტი სვანურში“, გვ. 174). ეს წესი შემდეგ სისტემებრ არის გატარებული ა. შანიძისა და ვ. თოფურიას მიერ გამოცემულ სვანურ ტექსტებში.

როცა საუბარია ა. შანიძის ფილოლოგიურ გამოცემებზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჩვენი მეცნიერის დაინტერესება ახალი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერული გამოცემებითაც. ასე, მაგალითად, მან სანიმუშოდ გამოსცა ეგნ. ნინოშვილის „პარტახი“ (1935 წ.) ავტოგრაფის მიხედვით და დაურთო შენიშვნები, მიიღო მონაწილეობა (ა. აბაშელთან ერთად) ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემაში.

*

ა. შანიძე ქართული დიალექტოლოგიის ფუძემდებელთაგანია. როგორც ზემოთ აღინიშნა, მან ათიან წლებში შეაგროვა მთის კილოების ამსახველი ტექსტები და 1915 წელს სამეცნიერო წრის კ რ ე ბ უ ლ შ ი (ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით) მოათავსა ნაშრომი „ქართული კილოები მთაში“. 1923-24 წწ. ა. შანიძის რედაქციითა და ლექსიკონის დართვით დაიბეჭდა ბ. ღაბუურის ხევსურული მასალები. 1931 წელს დღის სინათლეზე გამოვიდა მისი „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული“, ეს ხევსურული პოეზიის ფასდაუდებელი ნიმუშები. ა. შანიძემვე შეისწავლა ყველა ქართული კილო პრეფიქსების თვალსაზრისით. მანვე შეადგინა დიალექტოლოგიური ლექსიკონები და სხვ. (დაწვრილებით იხ. ამავე კრებულში წერილი: „ა. შანიძე და ქართული დიალექტოლოგია“).

*

ა. შანიძე იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართველი ერის მდიდარი სიტყვიერი საუნჯის შეკრებასა და შესწავლას. აქ განვიხილავთ უმთავრეს მათგანს ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

ჯერ კიდევ 1915 წელს გამოაქვეყნა მან ვრცელი რეცენზია მოსე ჯანაშვილის ცნობილი ნაშრომის შესახებ („საინგილო“: ძველი საქართველო, 1913 წ.), სადაც განიხილა შრომის ღირსება-ნაკლოვანებანი და ბოლოს აღნუსხა და განმარტა 300-ზე მეტი სიტყვა, რომლებიც მ. ჯანაშვილს გამორჩენოდა. ეს მომცრო სიტყვის-კონა სანიმუშოა განმარტებათა სიზუსტითა და ლაკონიურობით. ეს იყო ჩვენი მეცნიერის პირველი სერიოზული ლექსიკოლოგიური ნაშრომი. ამ შრომას დიალექტოლოგიური განხრა ჰქონდა.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია აგრეთვე ხევსურული ლექსიკონი, რომელიც ა. შანიძემ დაურთო მისივე ხელმძღვანელობით დაწერილ და გამოცემულ დიალექტოლოგიურ ტექსტებს ბესარიონ ღაბუურისას („ჩელიწდეული“, 1923—1924). ეს ტექსტებიცა და მისი ლექსიკონიც სანიმუშო შრომებად ითვლება ხევსურული კილოს შესახებ.

ქართული ენის ლექსიკონთა შორის შეუდარებლად მაღალი ღირსებისა და ყოველმხრივ სანიმუშოა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, რომელიც, ა. შანიძის სიტყვით, „არა თუ მისი დროისათვის, მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულისა და მეთვრამეტის დასაწყისისათვის, არამედ ჩვენი დროისათვისაც,

მეოცე საუკუნისათვის, დიდი ღირსებისა და უაღრესი მნიშვნელობისა არის როგორც მეცნიერული თვალსაზრისით, ისე პრაქტიკული მიზნებისათვისაც". Საკვირველია, რომ ქართველი ერის ეს იშვიათი საუნჯე პირველად მხოლოდ 1884 წელს დაიბეჭდა, ე. ი. თითქმის 160 წლის შემდეგ ავტორის გარდაცვალებიდან (Იგი გამოაქვეყნა პოეტმა Რაფიელ Ერისთავმა). Მეორე გამოცემა განზრახული ჰქონდა პროფ. Ი. Ყიფშიძეს, მან საქმე კიდეც წამოიწყო, მაგრამ 1919 წელს უეცრად გარდაიცვალა და საქმე შეჩერდა. Შემდეგ ამ ლექსიკონის გამოქვეყნებას სათავეში ჩაუდგა Ა. Შანიძე და დაბეჭდა კიდეც 1928 წელს. Ლექსიკონს ერთვის Ა. Შანიძის გამოკვლევა, სადაც განხილულია ლექსიკონის რედაქციები, შედგენილობა, ილუსტრაციები, საძიებლები. Ა. Შანიძემ ამ გამოცემაში თავ-თავის ადგილზე შეიტანა სიტყვები, რომლებიც Ს. Ორბელიანს სხვა სიტყვებთან დაკავშირებით სხვაგან (სხვა ასოზე) აქვს ახსნილი. Ამის საშუალებით შესაძლებელი ხდება, გათვალისწინებულ იქნეს Ს. Ორბელიანის ლექსიკონის მთელი მარაგი. Საბას ლექსიკონის შანიძისეული გამოცემა სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ სანიმუშო გამოცემად.

Განსაკუთრებით აღსანიშნავია Ა. Შანიძის მიერ შედგენილი Ვაჟა-Ფშაველას ლექსებისა და პოემების ლექსიკონი, რომელიც ერთვის Ალ. Აბაშელისა და Ა. Შანიძის რედაქციით გამოსულ 4 ტომს — ლექსებსა (I და II ტ.) და პოემებს (III და IV ტ.). Ეს არის პირველი დიდი მეცნიერული ღირებულების შემცველი ნაშრომი, რომელიც ასახავს ჩვენი დიდი კლასიკოსის ლექსიკის შედგენილობას. Აქ, Ვაჟა-Ფშაველას ნაწერთა ლექსიკონში, მთელი სიღრმითა და სისავსით გამოჩნდა ის სიტყვობრივი მარაგი, რომელსაც იღებდა Ვაჟა ხალხური მეტყველებიდან და ამით ამდიდრებდა მწერლობის ენას. Აღსანიშნავია, რომ „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში" მე-19—20 საუკუნის კლასიკოსთაგან (და, საერთოდ, ყველა მწერლისაგან) დამოწმებული ციტატების მიხედვით პირველ ადგილას დგას Ვაჟა, მერმე მიჰყვებიან Ილია, Აკაკი და სხვები. Მარტო ეს გარემოებაც საკმარისია იმ დიდი როლის გასათვალისწინებლად, რომელიც ეკუთვნის ჩვენს დიდებულ პოეტს ქართული ენის ლექსიკის გამდიდრების საქმეში.

Ა. Შანიძის ამ ლექსიკონს მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენი დიდი მგოსნის სიტყვიერი ქსოვილის შესასწავლად, არამედ იმ მხრივაც, რომ ნაშრომი გვაცნობს, თუ რა ნაირ-ნაირი — ძირეულად ქართული — სიტყვები და გამოთქმებია შემონახული საქართველოს მთის მეტყველებაში, რა ლექსიკური საუნჯეა დაცული ხალხურ ენაში, საუნჯე, რომელიც სათავეს ქართული საერთოეროვნული ლექსიკონის ღრმა ფენებში პოულობს.

Როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (გვ. 16), Ა. Შანიძემ 1944 წელს გამოაქვეყნა ე. წ. Ხანმეტი ლექციონარი (ფოტოტიპიები და მხედრული ტრანსლიტერაცია), რომელსაც დაურთო სიმფონია. Ეს არის ჩვენში პირველი შემთხვევა, როცა ძველი ქართული ენის ძეგლებს ერთვის სიმფონია („Ვეფხისტყაოსნის" პირველი სიმფონია ათი წლით ადრე შეადგინა პოეტმა და რუსთველოლოგმა Კ. Ჭიჭინაძემ). Ა. Შანიძის ეს სიმფონია სრულიად ახალ პრინციპებზეა აგებული, იგი შემდეგ საფუძვლად დაედო ჩვენში გამოსულ სხვადასხვა სიმფონიებს. Ამ ახალი პრინციპების მომარჯვებით უფრო იოლი მოსაძებნი და ადვილი გასაგებია ტექსტში შეხვედრილი ყოველი სიტყვა და ფორმა. Ამიტომ ამ ნაშრომს ქართული ლექსიკოლოგიის განვითარებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სიმფონიის შედგენის ამავე პრინციპებზეა აგებული „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (1949), რომელიც ა. შანიძის რედაქციით გამოვიდა (შეადგინა ი. იმნაიშვილმა) და აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“, რომელიც გამოვიდა 1956 წელს ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და ვრცელი გამოკვლევით.

შანიძისეული სიმფონია „მიზნად ისახავს, გამოავლინოს მთელი მრავალფეროვნება პოემის ლექსიკისა. ამიტომ შიგ გათვალისწინებულია ყოველგვარი სიტყვა, რომელიც მოიპოვება აღნიშნულ გამოცემაში. მხედველობიდან არაა გამოშვებული არც ერთი სიტყვა, იქნება იგი სახელი, ზმნა თუ უდეტერი“. ამ სიმფონიამ მეტად დიდი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების კვლევის საქმეში.

აქვე დავძენთ, რომ ა. შანიძემ „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემას დაურთო მის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც ახსნილი და განმარტებულია პოემაში ნახმარი იშვიათი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გაუგებარია თანამედროვე მკითხველისათვის. ა. შანიძისეული ლექსიკონის დამახასიათებელი თვისებაა საქმის ღრმა ცოდნა, განმარტებათა სიზუსტე და ლაკონიურობა. იგი დიდ სამსახურს უწევს „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველებსა და სპეციალისტებს.

დიდი შრომა გასწია ჩვენმა დაუღალავმა მეცნიერმა XI საუკუნის გამოჩენილი ლიტერატორის გიორგი მთაწმიდლის ერთ-ერთი თხზულების (იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების) ლექსიკონის შედგენისათვის: ეს ვრცელი ნაშრომი ა. შანიძემ დაურთო ზემოხსენებულ თხზულებას, რომელიც გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა მისი გამოქვეყნება. იგი გამოსცა ა. შანიძემ („ძველი ქართული ენის ძეგლები, 3“, 1946).

როგორც ავტორი აღნიშნავს, „სალექსიკონო სიტყვების ამოკრეფისას მთავარი ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის“.

ა. შანიძის „გ. მთაწმიდლის ლექსიკონი“ განსაკუთრებით საყურადღებოა პრინციპული თვალსაზრისით: აქ გატარებულია ერთი მნიშვნელობის მქონე ზმნის ფორმათა დალაგება გარკვეული სისტემით: ზმნის გამოსავალ ფორმად, მეთაურ სიტყვად აღებულია ჩვენებური ს ა წ ყ ი ს ი (მასდარი), ყველა პირიანი ფორმა მასთანაა მოყვანილი მკაცრად განსაზღვრული წესით. ეს დებულება (მეთაურ სიტყვად საწყისის მიჩნევა) ავტორმა შემდეგ სპეციალურად შეისწავლა, დაასაბუთა ნაშრომში „ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. I. ზმნის ფორმათა მეთაური სულხან ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგ VI-ის თარგმანში“ (სულხან-საბა ორბელიანი, 1658—1958, საიუბილეო კრებული, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, 1959).

ა. შანიძემ პირველად „გ. მთაწმიდლის ლექსიკონში“ შეიმუშავა ზმნის პირიან ფორმათა ჩვენების ინდექსების სისტემა, რომელიც აადვილებს ქართული ზმნის რთულ ფორმებში გარკვევას და ლექსიკონის მოხმარებას. ინდექსების „შემწეობით ზმნა დახასიათებულია მოკლედ, თვალსაჩინოდ და ადვილ მისახვედრად. ამასთანავე ადვილად ხერხდება, თავი მოვუყაროთ ლექსიკონში ერთი ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ზმნის ფორმებს..., რაციონალურად დავალაგოთ ისინი და არ გავფანტოთ სხვადასხვა ადგილასო“, ამბობს ავტორი („ვეფხის ტყაოსნის სიმფონია“, 1956, გვ. 013).

ა. შანიძის აღნიშნული პრინციპების საფუძველზეა შედგენილი მისი ხელმძღვანელობით გამოცემული ლექსიკონები და სიმფონიები, როგორც, მაგალითად: ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები“ (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, I, 1955, ერთვის ლექსიკონი), „ბალავარიანის ქართული რედაქციები“ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 10, 1957), „იოვანე მოსხი, ლიმონარი“, 1960, „უძველესი რედაქციები ექუსთა დღეთაჲსა და კაცისა აგებულებისათჳს“, 1964; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (ძველი ქართული ენის ძეგლები, 6, 1949), „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“, ტ. I, 1949 (I გამოც.), 1953 (II გამოც.), ტ. II, 1963, „იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება“ (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961), „საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში“, II (ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 10, 1966) და სხვანი.

ა. შანიძის ხელმძღვანელობით ძველი ქართული ენის კათედრამ მოამზადა გამოსაქვეყნებლად „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“ 3 ტომად. ლექსიკონი დოკუმენტირებულია. მასალები ამოწერილია ყველა სანდოდ გამოცემული ძეგლიდან, აგრეთვე საქ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის საუკეთესო ნუსხებიდან, როგორიცაა, მაგალითად, პარხლის, სვანური, უდაბნოს მრავალთავები, მიქაელ მოდრეკილის საგალობლები, შატბერდის კრებული (იოვანე-ბერას მიერ გადაწერილი) და სხვანი.

ძეგლთაგან სიტყვების ამოწერის გასაადვილებლად ა. შანიძემ შეადგინა სპეციალური ინსტრუქცია, რომელიც განმარტავს, თუ რა ხასიათის მასალა უნდა იქნეს ამოწერილი, როგორი კონტექსტით, რა მოცულობით, როგორ უნდა შემოკლდეს საჭირო შემთხვევაში გრძელი პერიოდები და სხვ.[1].

ძველი ქართული ენის ლექსიკონს, როგორც აღნიშნული გვქონდა, ახლავს მდიდარი დოკუმენტაცია და სხვა საილუსტრაციო მასალა. განმარტებები ვრცლად მოცემულია ქართულ ენაზე, ხოლო ძირითადი სიტყვები მოკლედ ახსნილია რუსულადაც.

ლექსიკონი ძირითადად 1963 წელს დასრულდა. შემდეგ შეივსო ახლად ამოკრებილი მასალებით ტექსტებიდან, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა. ამჟამად მიმდინარეობს რედაქცია. იგი უახლოეს წლებში გამოიცემა.

ძველი ქართული ენის ლექსიკონის მომზადება და შექმნა მოასწავებს ახალ ეტაპს ჩვენი კულტურული ცხოვრების ისტორიაში. ამ დიდი შრომით ძირითადად აღნუსხული და შესწავლილია ჩვენი ენის წარსულის დიდი მონაკვეთის სიტყვიერი საუნჯე, ერის დიდება, მისი წინაპრების დაუღალავი შემოქმედებითი ძიების უტყუარი ნაყოფი. ამიერიდან უნდა გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით ახალ და ახალ სიტყვათა გამოსავლინებლად, არსებულ განმარტებათა დასაზუსტებლად, ლექსიკონის დასახვეწად და გასამდიდრებლად.

ა. შანიძის ხელმძღვანელობით დამზადდა და სტამბას უნდა გადაეცეს ფსალმუნის სიმფონია (შემდგენელი მზექალა შანიძე). მასალები ამოწერილია და მზად-

[1] აქვე დავძენთ, რომ მსგავსი შრომა „ინსტრუქცია რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად“ ა. შანიძეს ადრე ჰქონდა გამოქვეყნებული (1933 წ.), როცა მიმდინარეობდა მუშაობა „ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის“ გამოსაცემად.

დება სასტამბოდ ახალი აღთქმის სხვა წიგნების სიმფონიაც (მოციქულთა საქმე, პავლეს ეპისტოლეები, კათოლიკე ეპისტოლეები, იოვანეს გამოცხადება).

ყველა ამ საქმის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი არის ჩვენი დაუღალავი ხელმძღვანელი და მასწავლებელი ა. შანიძე.

ა. შანიძემ თავის ეტიმოლოგიურ შტუდიებში მრავალ სხვადასხვაგვარ ტერმინსა და სიტყვას მოჰფინა ნათელი. ბევრი ასეთ სიტყვათაგანი მას ახსნილი აქვს თავის განთქმულ „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, ბევრისთვის კი სპეციალური ექსკურსი და გამოკვლევა აქვს მიძღვნილი. მისი ახსნა-განმარტებისა და გამოწვლილვით შესწავლის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა ამ სიტყვათა წარმომავლობა. თქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს.

ა ვ ლ ა დ ი დ ე ბ ა მიღებულიაო დ ა ვ ლ ა-დ ი დ ე ბ ა-საგან, რომელიც წარმოადგენს სინონიმურ შეერთებას ორი სიტყვისას, რომელთაგანაც ერთი არაბულია, მეორე — ქართული. არაბული დ ა ვ ლ ა იგივეა, რაც დ ა ვ ლ ა თ ი ანუ დ ო ვ ლ ა თ ი.

ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ძველისძველი ქალაქია, სადაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების რეზიდენცია იყო. ა. შანიძემ სპეციალურ შრომაში გამოარკვია, რომ ა რ ტ ა ნ უ ჯ ი კოლხური სიტყვაა (კერძოდ — ჭანური) და წარმომდგარია ა რ ტ ა ა ნ ი შ უ ჯ ი-საგან, რაც არტაანის ყურეს ნიშნავს (უჯი — ყური).

ბ ა ნ ო ვ ა ნ ი კაცს ო ვ ა ნ სუფიქსიანი სახელი ეგონება, მაგრამ არა. ა. შანიძე დამაჯერებლად გვიხსნის: ბ ა̄ ნ უ̄ სპარსულად არის „ქალბატონი“, ხოლო ბ ა̄ ნ უ̄-ა̄ ნ მრავლობითია და იქნება „ქალბატონები“.

გ ა ი ძ ვ ე რ ა ზმნის ფორმისაგან წარმოშობილი სახელიაო: გაიძვერა—გაძვერ-ა—გასძვერ-ა—გაჰძვერ-ა. შინაარსს უდგება ფორმა: გაიძვერა, მართლაც, ისეთი კაცია, რომელსაც გაძრომა-გამოძრომა სჩვევია და ამ გზით გამოძალვა და წაგლეჯა.

ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ა. შანიძის აზრით, მომდინარეობს ქ რ ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ს ა გ ა ნ. ქ რ ც ხ ი ლ ა კი ძველ ქართულში რ ც ხ ი ლ ა-ს ეწოდებოდა. მაშასადამე, ც ხ ი ნ ვ ა ლ ი ის ადგილი ყოფილა, სადაც რცხილები იყო. შდრ. მუხრანი (—მუხნარი), კოპიტნარი, ჩიგვზნარი, თხინარი—თხილნარი (ადგილებია გურიაში) და სხვ.

წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი ნ. მარს ქართული წ ვ რ ი ლ ი ს ა და სომხური მ ა ნ რ-ისაგან წარმომდგარი სიტყვა ეგონა (მ ა ნ რ-ი სომხურად მცირე მოცულობის საგანზე ითქმის, როგორც რუს. мелкий): წვრილმანრი—წვრილმანი. ა. შანიძემ დაამტკიცა, რომ ეს სიტყვა წმინდა ქართულია და იმგვარადვეა ნაწარმოები, როგორც ს ხ ვ ი ლ-მ ა ნ ი, ც უ დ-მ ა დ ი, კ უ ჭ-მ ა ჭ ი და სხვ.

მაგრამ რამდენი ასეთი ეტიმოლოგია უნდა დავასახელოთ!

* * *

ა. შანიძის მეცნიერულ ნააზრევში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი სხვა ქართველური ენების — მეგრულ-ჭანურისა და სვანურის კვლევა-ძიებას.

ჯერ კიდევ 1916 წელს რუსეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ორგანოში

(„Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества", ტომი XXIII) დაიბეჭდა ჩვენი მეცნიერის გამოკვლევა „Два чано-мегрельских суффикса в грузинском и армянском языках", რომელშიც გარკვეულია სადაურობის ა რ სუფიქსი; ჭანურ-მეგრულის თემატური ნიშნის დანალექია აღმოჩენილი სომხურის გარკვეულ დიალექტებში.

Ⴂანსაკუთრებით ფასეულია Ⴀ. შანიძის გამოკვლევები სვანურის შესწავლის დარგში. Ⴋან რამდენიმეჯერ იმოგზაურა სვანეთში და დააგროვა ფასდაუდებელი მასალები ამ უაღრესად საგულისხმო ენობრივი ერთეულის შესასწავლად, მოგვცა კილოების კლასიფიკაცია, აღნუსხა მათი ძირითადი თავისებურებანი.

1925 წელს დღის სინათლეზე გამოვიდა Ⴀ. შანიძის შესანიშნავი ნაშრომი „Ⴓმლაუტი სვანურში", რომელიც ქართველურ ენათმეცნიერებაში მიჩნეულია ფუძემდებლურ გამოკვლევად. Ⴓმლაუტის ბუნების შესწავლამ და გარკვევამ ნათელი მოჰფინა ენის ისეთ მხარეს, რომლის გაშუქებასთან დაკავშირებულია ბინდით მოცული რთული მორფოლოგიური კატეგორიების გაგებაც. Ⴄსე, მაგალითად, ამ ნაშრომში თეორიულად აღდგენილია სვანურ ბრუნვათა უძველესი დაბოლოებანი და ფუძის ბოლოკიდური ხმოვნები, რომლებიც სავსებით დაადასტურა შემდგომმა კვლევა-ძიებამ ძველისძველ ხალხურ ლექსებში ჩარჩენილი გრამატიკული ფორმების სახით. Ⴄსე იცის მართალმა მეცნიერულმა ძიებამ!

Ⴀ. შანიძემ გამოიკვლია აგრეთვე სვანური ლექსიკის ზოგიერთი საკითხი.

Ⴀ. შანიძემ და მისმა მოწაფემ Ⴅ. Ⴇოფურიამ სათავე დაუდევს საქართველოში სვანური ტექსტების მეცნიერულ გამოცემებს. 1939 წელს საქართველოს ႱႱႰ Ⴋეცნიერებათა Ⴀკადემიაში შეიქმნა სერია „Ⴋასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის", რომლის პირველ ტომად დაიბეჭდა „სვანური პროზაული ტექსტები", შეკრებილი Ⴀ. შანიძისა და Ⴅ. Ⴇოფურიას მიერ. Ⴘემდეგ გამოვიდა დიდი ტომი „სვანური პოეზია. I", რომელიც შეიცავს Ⴀ. შანიძის, Ⴅ. Ⴇოფურიასა და Ⴋ. Ⴂუჯეჯიანის მიერ შეკრებილ მასალებს. Ⴄს ტექსტები დიდად მნიშვნელოვანია სვანურის სტრუქტურისა და ლექსიკური შედგენილობის გამოსაკვლევად.

* *

Ⴀ. შანიძის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობაში საპატიო ადგილი ეთმობა ზრუნვას ქართული სალიტერატურო ენის პრაქტიკული საკითხების მოგვარებისათვის. Ⴄნობრივ მშენებლობაში Ⴀ. შანიძის როლი განუზომელია.

Ⴟერ კიდევ Ⴀ. შანიძის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმოადგენს ღრმა თეორიულ გამოკვლევას, ერთვის — დამატების სახით — „Ⴎროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის", რომელიც მოწოდებულია მოაწესრიგოს სალიტერატურო ენაში პრეფიქსების ხმარება. Ⴋართალია, სალიტერატურო ნორმებს წინათ სხვა ავტორებიც ეხებოდნენ და თავის დროზე მათ ხელი შეუწყვეს ენის მტკივნეული საკითხების მოგვარებას, მაგრამ მაინც Ⴀ. შანიძე უნდა მივიჩნიოთ ამ დიდი ეროვნული საქმის ფუძის დამდებად. Ⴋან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ჩვენში სამწერლობო ენის ნორმების დადგენას, დაფუძნებულს საკითხების მეცნიერულ შესწავლასა და გამოკვლევაზე. Ⴙვენი მეცნიერი თავიდანვე მოითხოვდა, რომ სალიტერატურო ნორმად ისეთი ფორმა იქნეს მიღებული, რომელიც შეესაბამება ქართული ენის ბუნებასა და თვისებას, ქართული ენის სტრუქტურულ თავისებურებას.

ჯერ კიდევ 1920 წელს ა. შანიძე სათავეში ჩაუდგა ნორმების მოწესრიგებასა და მოგვარებას. ჩვენი მეცნიერული ძალების თაოსნობით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მოწვეულიყო კონფერენცია, რომელსაც დაეკისრებოდა სადავო ფორმებში გარკვევა და სათანადო პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება. კონფერენციისათვის დაიბეჭდა ა. შანიძის წიგნაკი „პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის“. მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, რომელშიც შედიოდნენ გ. ახვლედიანი, კ. კეკელიძე, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, დ. უზნაძე. ამ ავტორიტეტულმა კომისიამ განიხილა მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხები სალიტერატურო ენაში. 1921 წელს გამოქვეყნდა ა. შანიძის დიდად საყურადღებო წიგნი „სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ“ გ. ახვლედიანის, კ. კეკელიძის, ვ. ბერიძისა და ს. გორგაძის თანაავტორობით. აქ განხილულია საკითხები გრაფიკიდან, ფონეტიკიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან და ლექსიკიდან.

როგორც ვხედავთ, ოციან წლებში ა. შანიძე გახლდათ ნამდვილი სულისჩამდგმელი და მთავარი ორგანიზატორი იმ მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო სამწერლობო ენის პრაქტიკული საკითხების მოსაგვარებლად და გადასაჭრელად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ენის ნორმალიზაცია სახელმწიფოებრივი მზრუნველობის საგნად იქცა. ა. შანიძე, როგორც ქართული ენის უდიდესი მკვლევარი, დაინიშნა „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის“ თავმჯდომარედ. პირადად მისი პროექტების მიხედვით რესპუბლიკურმა კომისიამ შემდგომში დააკანონა მთელი რიგი ნორმები, გამომუშავებული კვლევის შედეგად.

1950 წელს ა. შანიძის ინიციატივით შეიქმნა გამოცემათა სერია „სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები“, რომელიც მოწოდებული იყო, გამოემზეურებინა მასალები თუ პროექტები მუდმივი სახელმწიფო კომისიისათვის. სერიის პირველ ნომრად დაიბეჭდა ა. შანიძისავე წიგნი „ნ და ს თავსართების ხმარება ზმნებში. პროექტი ნიმუშებითურთ“ (საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა). 1962 წელს გამოქვეყნდა მისივე გამოკვლევა „დაფარული საუნჯე“, რომელშიც წამოყენებულია იდეა მთავრულების შემოღების თაობაზე.

როგორც ცნობილია, ქართული ოცობითი თვლის სისტემა (ასის ფარგალში) არ ემთხვევა ათობითი წერის სისტემას არაბული ციფრებით. მაგ., ვამბობთ ორმოცდა თექვსმეტი (ე. ი. ორჯერ ოცი და თექვსმეტი) და ვწერთ 56 (ე. ი. ხუთათ და ექვსი). ზოგი მათემატიკოსი და ინჟინერი მოითხოვდა, რომ ტექნიკის საჭიროებისათვის შემოღებული ყოფილიყო ათობითი სათვალავი, ვთქვათ ასე: სამათ და ერთი (31), ოთხათ და ორი (42), ხუთათ და სამი (53) და სხვა. ა. შანიძემ მხურვალედ დაუჭირა მხარი მათემატიკოსების ამ მოთხოვნას და დაასაბუთა, რომ ეს ოდნავადაც არ ავნებს ქართულ ენას, არამედ უფრო მოქნილს გახდის მას („ცისკარი“, 1960, № 5).

ჩვენი დაუღალავი მეცნიერი არაერთხელ გამოსულა დიდ აუდიტორიებში მოხსენებებითა და ლექციებით მეტყველების კულტურის საკითხებზე, არა ერთი

და ორი წერილი გამოუქვეყნებია ჩვენს პრესაში ენის სიწმინდის დასაცავად, წინაპართაგან ნაანდერძევი ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ.

* *

ა. შანიძის საყვარელ საკვლევ საგანს ყოველთვის წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის დიდებული შედევრი „ვეფხისტყაოსანი“. მთელი რიგი წლების განმავლობაში მეცნიერი კითხულობდა სხვადასხვა სპეციალურ კურსს, როგორიცაა, მაგალითად: „ვეფხისტყაოსნის“ ენა“, „რუსთველოლოგია“ და სხვ. ამ სიყვარულისა და ჩაღრმავებული მუშაობის შედეგად ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო 4 ათეულზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული, რომლებიც დიდად სწევენ წინ პოემის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

1937 წელს ა. შანიძემ დიდი მეცნიერული ძიების შედეგად აღადგინა და გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა (1712 წლისა). პოემის ტექსტთან ერთად ზუსტი მეცნიერული აპარატით გამოცემულია ვახტანგის „თარგმანი“, აგრეთვე თვით ა. შანიძის ვრცელი და საფუძვლიანი გამოკვლევა ვახტანგის გამოცემის შესახებ. ამ შრომით ა. შანიძემ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია პოემის შემდგომი კვლევა-ძიების საქმეს: ამიერიდან ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელზედაც მანამდე ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ მის მკვლევრებს, ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, ახალი გამოცემის ტექსტი დადგენილ იქნა ზუსტად, გაიწმინდა ტექნიკური და სხვა უნებლიე შეცდომებისაგან, აღდგა პირვანდელი სახით, როგორც ვახტანგს ჰქონდა ჩაფიქრებული.

მაგრამ ამ გამოცემას ჰქონდა კიდევ ერთი სხვა უდიდესი მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი კარდინალური პრობლემის საბოლოოდ გადასაჭრელად: ა. შანიძემ ვახტანგის მიერ გამოცემული პოემის ტექსტისა და თვით ვახტანგის „თარგმანის“ ანალიზის საფუძველზე გასაოცარი სინათლით დაამტკიცა, რომ ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ტექსტი არის არა რომელიღაც ძველი ხელნაწერის უ ც ვ ლ ე ლ ი, ხ ე ლ უ ხ ლ ე ბ ე ლ ი განმეორება, როგორც პ. ინგოროყვა ფიქრობდა, არამედ ერთ-ერთი ვრცელი ხელნაწერის ხელოვნურად შემოკლებული კრიტიკული რედაქცია. ამ დიდმნიშვნელოვანმა დასკვნამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ცილობას იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს რედაქციულად ვახტანგის გამოცემა. ეს დასკვნა მეცნიერებაში უყოყმანოდ იქნა გაზიარებული. ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენა-გამოცემასთან დაკავშირებით მრავალი სხვა საკითხიც იყო აღძრული და გადაწყვეტილი, მაგრამ ჩვენ ახლა აქ მათზე ვერ შევჩერდებით.

ა. შანიძის ეს შრომა იყო დიდი მეცნიერული საჩუქარი, მიძღვნილი „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილისადმი. მას ამჟამადაც, შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილის დღეებშიც, დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობისას ა. შანიძე მთავარ ყურადღებას მაინც ტექსტის დადგენის პრობლემას აქცევს. ეს ბუნებრივიცაა: სანამ პოემის ტექსტი მეცნიერულად არაა დადგენილი და შიგ საეჭვო წაკითხვებს ჯერ კიდევ არა აქვთ ფესვი ამოკვეთილი, მანამდე პოემის ძირითადი საკითხების სწორ მეცნიერულ გადაჭრაზე არ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ პირველი და თავიდათავი საზრუნავი საგანია თვით ტექსტის მეცნიერული დადგენა. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი მეცნიერის მრავალი გამოკვლევა და ცალკე სტატია, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნე-

ლოვანია გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“, რომელიც შესავლად წამძღვარა 1956 წელს გამოსულ „ვეფხის ტყაოსნის სიმფონიას“ (გვ. 014—037) და შემდეგ ოდნავი შემოკლებით დაიბეჭდა „მნათობში“ (1956, № 7, გვ. 136—145). აქ ავტორს მოცემული აქვს 200-მდე სხვადასხვა სახის შესწორება მანამდე მიღებულ ტექსტში. ეს შესწორებები ზოგან ვრცლად, ზოგან მოკლედ და გაკვრით არის დასაბუთებული. უმეტესი ნაწილი დღეს საყოველთაოდ არის სხვა მეცნიერთა მიერ მიღებული და გაზიარებული.

ამავე (ტექსტის დადგენის) მიზანს ემსახურება აგრეთვე ამა თუ იმ საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოკვლევები, რომლებშიც უფრო გამოწვლილვით არის საკითხი განხილული და ამის საფუძველზე გასწორებულია ტექსტის დამახინჯებული ადგილები. ასეთი გამოკვლევაა, მაგალითად, „არა მგამა“ (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 17, № 2, 1956), რომლის ნიადაგზედაც შესაძლებელი გახდა ტექსტის მთელი რიგი წარყვნილი ადგილების გასწორება და პირვანდელი სახის აღდგენა (ნ. სტროფები: 1088,2; 1254,2 და სხვ.). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ გამოკვლევაზე მუშაობისას (1956 წ.) ავტორმა ივარაუდა თეორიულად აღდგენილი ფორმა განჰვალს, რომელსაც უნდა მოეცა მგამა და მსგავსი ფორმები. ეს თეორიული ვარაუდი სულ მალე გამართლდა: ი. იმნაიშვილის მიერ 1966 წ. გამოცემულ „ეპიფანე კვიპრელის ცხოვრების“ ტექსტში სწორედ ა. შანიძის მიერ ნავარაუდევი ფორმისა და შინაარსის ზმნა იკითხება: „უკუეთუ აღურაცხელ არიან, რომელ ერთ-თუალნი ვლენან ქუეყანასა ზედა, ესე რაჲ განჰვალს ევდემონს ამისთჳს“ (საკითხავი წიგნი, II, 1966, 113,3).

ასევე ფრიად საყურადღებო გამოკვლევებია „ესეგვარი“ („ლიტერატურული საქართველო“, № 41, 8. X. 1966), „ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები“ („მნათობი“, № 9, 1957), „გულ-მხიარული ვიხარებ“ სტროფის მეოთხე ტაეპის გამართვისათვის“ („მნათობი“, № 12, 1961), „პარდისა თუ ვადისა“ („ლიტერატურული გაზეთი“, № 48, 1962) და სხვანი. ამ გასწორებათა საფუძველზე დადგენილი წაკითხვანი სავსებით დასაბუთებული და გასაზიარებელია.

კარგად ცნობილია ისიც, რომ ა. შანიძის მონაწილეობით დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა (1951, 1957, 1960, 1963 და 1966 წლებში). ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1957 წლის გამოცემა (კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის თანარედაქტორობით) და 1966 წლისა, ვარიანტებიანი (ა. ბარამიძის თანარედაქტორობით).

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლისათვის დიდი ღირებულებისაა ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი ამ პოემისა (1957 წ.) და მისი ხელმძღვანელობით გამოცემული „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (1956 წ.). ამ წიგნის გამოცემის შემდეგ პოემის ტექსტისა და სხვა საკითხების კვლევა ერთობ გაადვილებულია და მყარ ნიადაგს იძლევა შემდგომი ინტენსიური კვლევა-ძიებისათვის. მაგრამ ამ შრომებზე ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი სხვა საკითხთან დაკავშირებით და აქ არას ვიტყვით.

ა. შანიძეს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ სხვა ბევრი შრომაც აქვს გამოქვეყნებული, რომელთაც აქ ადგილის სიმცირის გამო ვერ შევეხებით. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ რუსთველის საიუბილეო დღეებში გამოსული მისი დიდი წიგნი „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ (1966), რომელშიც შესულია ავტორის 33 გამოკვლევა, რომელთაგან 26 ადრე (სხვადასხვა დროს) იყო გამოქვეყნებუ-

ლი, ხოლო დანარჩენი 7 პირველად აქ ნახულობს მზის სინათლეს. Ⴗველა ამ გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს „Ⴅეფხისტყაოსნის" სხვადასხვა საკითხის კვლევის საქმეში.

Ⴀ. Ⴘანიძის ამ წიგნს ჩვენს დამწერლობაში შემოაქვს კიდევ ერთი სიახლე: მასში ცდის სახით გატარებულია მთავრული ასოების გამოყენება სათაურებში, აბზაცებში, წერტილის შემდეგ და საკუთარ (ადამიანთა და გეოგრაფიულ) სახელებში. Ⴋთავრულ ასოებად გამოყენებულია ჩვენი ძველი მრგლოვანი ანბანი, რომელსაც ძველად იყენებდნენ ამავე დანიშნულებით ნუსხურად და მხედრულად დაწერილ წიგნებში. Ⴀმ ცდის თეორიული დასაბუთება, როგორც ზემოთაც ითქვა, ავტორმა მოგვცა საინტერესო გამოკვლევაში („Ⴃაფარული საუნჯე": ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", № 9, 1962), ხოლო პრაქტიკულ განხორციელებას ეს წიგნი წარმოადგენს.

Ⴀ. Ⴘანიძის ამ წიგნში სხვაც ბევრია ახალი და მნიშვნელოვანი, მაგრამ აქ ყველა ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. Ⴋას სიყვარულით მიიღებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია „Ⴅეფხისტყაოსანი" და ზრუნვა ჩვენი ერის ამ საუნჯის უკეთ შესწავლისათვის. Ⴀ. Ⴘანიძის „Ⴅეფხისტყაოსნის საკითხები" ძვირფასი საჩუქარია რუსთველოლოგიისათვის.

*

Ⴀ. Ⴘანიძე ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარიცაა.

Ⴄპიგრაფიკული ძეგლების ამოკითხვა ფრიად ფასეულია როგორც ჩვენი ენის ისტორიის თვალსაზრისით, ისევე ჩვენი ქვეყნის წარსულის საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

Ⴀ. Ⴘანიძემ, ქართული პალეოგრაფიის შესანიშნავმა მცოდნემ, მრავალი წარწერა ამოიკითხა, ბევრი დაზიანებული ძეგლი აღადგინა და გამართა. Ⴂარდა Ⴁოლნისისა და Ⴋცხეთის Ⴟვრის წარწერებისა, სადაც ჩვენმა მეცნიერმა ამოიცნო არქაული გრამატიკული ფორმები, აღსანიშნავია Ⴜუისისა თუ Ⴋანგლისის, Ⴉოშის (Ⴑომხეთში) თუ სამენოვანი წარწერა Ⴂრემში, Ⴠუნამისის წარწერა თუ სხვა, რომელთა მეცნიერული გამოცემა Ⴀ. Ⴘანიძის სახელთან არის დაკავშირებული. Ⴋაგალითად, Ⴜუისის წარწერა, რომელიც განეკუთვნება VII საუკუნის დასაწყისს, მეცნიერმა სანიმუშოდ გამოსცა და ჰაემეტი ფორმა დაადასტურა, ფრიად საყურადღებო მოვლენა ქართული პრეფიქსების ისტორიის თვალსაზრისით.

* *

Ⴀ. Ⴘანიძის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ალბანოლოგიის კარდინალური საკითხების შესწავლა. Ⴙვენი მეცნიერი უნდა მივიჩნიოთ ამ სამეცნიერო დისციპლინის ფუძემდებლად.

Ⴠერები ანუ Ⴉავკასიის Ⴀლბანელები ცხოვრობდნენ საქართველოს აღმოსავლეთით, დღევანდელი Ⴀზერბაიჯანის ႱႱႰ-ში. V—IX საუკუნეებში მათ მოეპოვებოდათ საკუთარი დამწერლობა და მდიდარი ქრისტიანული კულტურა (Ⴕართველები მათ უწოდებდნენ ჰერებს, სომხები — ალვანელებს, ბერძნულ-ლათინურად ალბანელების სახელით არიან ცნობილი; ევროპელები, საერთოდ, Ⴉავკასიის ალბანელებს უწოდებდნენ).

Ⴋეცნიერები დიდი ხანია დაინტერესებული იყვნენ ამ ეთნიკური ერთეულის

ისტორიით. რა ბედი ეწია მათ? როგორი იყო მათი დამწერლობა, კულტურა? — აი კითხვები, რომლებიც აღელვებდათ მკვლევრებს. ალბანურ ანბანს ეძიებდნენ და იკვლევდნენ საქართველოში, სომხეთში, საზღვარგარეთ.

ა. შანიძე ჯერ კიდევ ადრე მოწადინებული იყო, მიეკვლია ამ გადაშენებული ხალხის დამწერლობისათვის; იგი თავის მოწაფეებს უღვივებდა ინტერესს და ხელნაწერებზე მუშაობისას მათ ყურადღებას წარმართავდა უცნობასოებიანი ტექსტების მიმართ, რომლებშიც შესაძლოა ალბანურის კვალი აღმოჩენილიყო. ა. შანიძის კონკრეტული მითითებების წყალობით ილია აბულაძემ ერევნის ხელნაწერთა კოლექციებში იპოვა უძველეს ანბანთა კრებული, სადაც ალბანურიცაა მოთავსებული. ხელნაწერი მე-15 საუკუნისაა. ერთგულმა მოწაფემ მოპოვებული მასალა შესასწავლად გადასცა თავის მასწავლებელს.

საჭირო იყო მასალის ღრმა მეცნიერული ანალიზი; უნდა დამტკიცებულიყო, რომ ეს არის არა ნატყუარი მოხაზულობანი, არამედ ნამდვილი ანბანი. ამავე დროს, უნდა გარკვეულიყო თითოეული ასოს ფონეტიკური მნიშვნელობა, ალბანური ენის ბგერითი სისტემა.

ამ პრობლემატური დამწერლობის დეტალური შესწავლის შედეგები ა. შანიძემ ამცნო მსოფლიო ფილოლოგიურ მეცნიერებას 1938 წელს. ნაშრომმა („Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки“) დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში.

ამის შემდეგ საძიებელი იყო თვით ალბანური დამწერლობის ნიმუშები, ტექსტები.

ამ გამოკვლევაში ა. შანიძე ამბობდა: «Не может быть, чтобы бесследно пропала письменность целого народа, игравшего крупную роль в культурной и политической жизни Кавказа в средние века. Раскопки должны дать нам убедительный эпиграфический материал, подтверждающий сведения армянских источников о существовании албанской письменности».

ა. შანიძის ვარაუდი გაამართლა არქეოლოგიურმა გათხრებმა: 1948 წელს მინგეჩაურში აღმოჩნდა ოთხკუთხი ქვა, ირგვლივ უცნობი ასოებით შემოწერილი. შემდეგ მას მიემატა წარწერები თიხის სასანთლეზე და თიხის ჭურჭლის ნატეხებზე. ა. შანიძემ გამოიკვლია ეს უცნობწარწერებიანი მასალები და აღიარა, რომ აქ გვაქვს სწორედ ალბანური წარწერები. 1960 წ. მეცნიერი აქვეყნებს სპეციალურ გამოკვლევას, რომელშიც მიღებულია დასკვნა, რომ ალბანური კავკასიური ტიპის ენაა და ახლოს დგას თანამედროვე უდიურთან.

აქვე შევნიშნოთ შემდეგი:

ა. ანასიანის სომხური ბიბლიოგრაფიული ნაშრომის I ტომში (1959 წ.) ა. შანიძის ყურადღება მიიპყრო ცნობამ, რომ მიუნხენის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, ყალამქარიანის აღწერილობის თანახმად, არის ხელნაწერი, რომელიც თავდება ფარულად ნაწერი ტექსტით, თითქოს ალბანურით! ა. შანიძემ არ დააყოვნა და სთხოვა მიუნხენელ ქართველოლოგს პროფ. ი. ასფალგს, გადმოეგზავნა მისთვის ზემოაღნიშნული კრიპტოგრამის ფოტოსურათი. როდესაც მან მასალა მიიღო, შეისწავლა ხელნაწერი და აღმოჩნდა არა ალბანური კრიპტოგრამა, არამედ სომხური კრიპტოგრამა. ამის თაობაზე ა. შანიძემ თავისი დაკვირვებების შედეგები გამოაქვეყნა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში (1960 წ.).

ც. ყანიძე — ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე
(1898)

ც. ყანიძე — ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრებისას
(1904)

(ფრჩხილებში შევნიშნავთ, რომ ა. შანიძე კრიპტოგრაფიის ცნობილი მკვლევარიცაა: 1921 და 1926 წწ. მან გამოაქვეყნა ქართული ფარული წერის ნიმუშები სათანადო გამოკვლევით).

ა. შანიძე იკვლევს ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართული ფოლკლორისტიკის საკითხებსაც. ამ დარგებში მას მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული.

ჩვენი მეცნიერი დაინტერესდა „როსტომიანის“ ციკლის პრობლემით, თავი მოუყარა ხალხში გავრცელებულ ვარიანტებს, მთიულეთში ჩაიწერა მეტად საგულისხმო ვარიანტი „ბეჟანიანისა“ და ტექსტუალური შედარების გზით ნათელი გახადა, რომ ხალხური „როსტომიანი“ ლიტერატურული წარმოშობისაა, შემუშავებულია „შაჰნამეს“ გავლენით („შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში“: ლიტ. მემკვიდრეობა, I, 1935). კორნ. კეკელიძის სიტყვით, „...ზოგიერთები მზად არიან სერიოზულად გვიმტკიცონ, რომ ლიტერატურული „როსტომიანი“ ხალხურზეა დამოკიდებული. პროფ. ა. შანიძემ... დაამტკიცა, რომ ხალხური „როსტომიანის“ ზოგიერთი სახელი და ტერმინი წარმოადგენს დამახინჯებას ლიტერატურულისას, რომ პირველი მეორეზეა დამოკიდებული“.

დიდია ა. შანიძის დამსახურება ქართული ფოლკლორის შესწავლის მეცნიერულ დონეზე დაყენების თვალსაზრისით. მართალია, გასული საუკუნის ცნობილმა მოღვაწეებმა განუზომელი ამაგი დასდეს ქართული ზეპირსიტყვიერების მასალათა შეგროვებისა და გამომზეურების საქმეს, მაგრამ მეცნიერული ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით მათი მუშაობა მაინც უნდა მივიჩნიოთ აკადემიური ტექსტოლოგიის შემამზადებელ საფეხურად.

ა. შანიძემ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე მეცნიერების მოთხოვნილებათა მიხედვით ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალათა პუბლიკაციის საქმეს.

პოეტური ფოლკლორის ნიმუშთა აკადემიური გამოცემა ითვალისწინებს ჩაწერის ზედმიწევნითს სიზუსტეს (ენობრივი ნიშნების მკაცრად დაცვის წესით), ვარიანტების შედარებითს ანალიზს და მათს ერთმანეთთან შეჯერებას, მასალის კლასიფიკაციას, ტექსტის სრულ პასპორტიზაციას.

ა. შანიძე ჩვენში პირველია, რომელმაც ამ პირობის დაცვით გამოამზეურა ფოლკლორული მასალები. ა. შანიძის გზისგამკვლევი პუბლიკაციები ინარჩუნებენ დღემდის მიუწვდომელი ნორმის მნიშვნელობას და სათავეს უდებენ ფოლკლორისტულ ტექსტოლოგიას.

„მე მაინც ვფიქრობ, რომ ამჟამად ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ სჯობს სანდო ტექსტები გავამრავლოთ, ვიდრე დეტალურ გამოკვლევებს გამოვეკიდოთ თვითეული ლექსის შესახებ, თუმცა დაწვრილებითი შესწავლის ფასიც კარგა ვიციო“, — ამ საპროგრამო განცხადებით გამოვიდა ა. შანიძე ოცდაათიან წლებში და მანვე მოგვცა პირველი უბრწყინვალესი ნიმუში ხალხური შემოქმედების მასალათა აკადემიური გამოცემისა. ეს გახლავთ კაპიტალური წიგნი „ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული“, 1931 წ. (სახელმწიფო გამომცემლობა). სანდოდ ფიქსირებული ტექსტები და თანდართული „შენიშვნები და ვარიანტები“ მოასწავებს ახალი ხანის დასაწყისს მეცნიერულ ფოლკლორისტიკაში.

წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ეს წიგნი დასაწყისია ქართული მხატვრული ფოლკლორის მთელი სერიისა. იგი ბევრისთვის უთუოდ საკვირველი

და განსაცვიფრებელი მოვლენა იქნება: ბევრს აქამომდე არც კი ჰქონდა კარგად გათვალისწინებული, თუ რა საგანძურს წარმოადგენს ხალხური შემოქმედება და რამდენი მარგალიტი მოიპოვება შიგ. ამ წიგნის გამოსვლით ფარდა აეხდება ამ საგანძურს და ყველას შეეძლება ეს მარგალიტები ხელი-ხელ აგოგმანოს". ისიც სავსებით მართებულადაა ნათქვამი, რომ „წიგნის გამოცემა თანაბრად სასიხარულოა როგორც ლიტერატორთათვის და სალიტერატურო საკითხების მკვლევართათვის, ისე ენათმეცნიერთა, ეთნოგრაფთა და მუსიკის თეორეტიკოსთათვის — ყველა იპოვის შიგ თავისთვის გამოსადეგსა და სასარგებლო საქმეს".

ფოლკლორისტული ტექსტოლოგიის თვალსაზრისით, ამასთანავე, ფრიად მნიშვნელოვანია ა. შანიძის მიერ ყეს. გაბუურის ხევსურული მასალების (1923—1924 წწ.), სვანური (1939 წ.) და მეგრული (1937 წ.) ტექსტების გამომზეურება.

ა. შანიძემ ფოლკლორისტიკაში წამოაყენა ახალი პრობლემა. ისაა ერთი მათქვამის შემოქმედებაზე მეორე მათქვამის გავლენა და ზემოქმედება. „ის საკითხი ქართული ხალხური პოეზიისათვის ახალია... თუ რომ ერთი მწერლის გავლენა მეორეზე შედარებით ადვილი გასათვალისწინებელია წერილობითი ძეგლების არსებობის გამო, ხალხურ პოეზიაში, სამაგიეროდ, ასეთი საკითხის გადასაწყვეტად დიდი სიძნელის დაძლევაა საჭირო ამ პოეზიის სპეციფიკურობის გამო". შანიძისეულ გამოცემაში საკმაოდ მოიპოვება მასალები ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებისათვის.

უაღრესად საყურადღებოა ა. შანიძის მიერ წამოყენებული დებულება ხალხური პოეტური ენის შესწავლის დარგში. სახელდობრ, მთიბლურ ლექსებში არ არის რითმა, რომელიც აუცილებელი ნიშანია ქართული ხალხური ლექსისა საზოგადოდ. არცთუ მარცვალთა რაოდენობით უდგება ამ ციკლის ლექსები სხვა ციკლის ლექსებს. თუ არ მივიღებთ მხედველობაში შიგადაშიგ მღერის დროს ჩართულ მარცვლებს, არც გვერიწში დასაყოლებელ ბოლო ხმოვნებს (უმთავრესად ონს), გამოდის, რომ საზოგადოდ მთიბლური ლექსის მუხლი (თუ მუხლის ნახევარი) ცხრამარცვლოვანია და არა ათიანი, როგორც შეიძლება ზოგმა მათგანმა გვაფიქრებინოს. ის კი დამაფიქრებელი გარემოებაა. ა. შანიძის აზრით, ასეთ სიმღერებში უნდა გვქონდეს შემონახული უძველესი ქართული ლექსის ერთ-ერთი ნიშანი.

ა. შანიძის მიერ წამოყენებული ეს თეზისი მრავალმხრივ საგულისხმოა ქართული მეტრიკის კვლევის თვალსაზრისით.

ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი მეცნიერის დაკვირვება ხმოვნებზე, რომლებიც გვხვდება სიტყვების ბოლოს, უფრო კი ცეზურის შემდეგ და ტაეპის დაბოლოებისას — მარცვალთა რაოდენობის შესავსებად. ის ხმოვნები (ა, ო) მეტრიკის მოთხოვნილებითაა გამართლებული და მათთვის დადგენილია ტერმინი: „პროსოდიული ხმოვნები". ა. შანიძე ფიქრობს, რომ ამგვარი ხმოვნების წარმოშობის მიზეზი უნდა ვეძიოთ სარწმუნოებრივისა და სხვა სახის გალობა-სიმღერათა სიტყვების გაგრძობილად წარმოთქმის ჩვეულებაში, როგორც ამაზე მიგვითითებს გადმონაშთის სახით დღემდე შემონახული გაგრძელება სიტყვებისა ქართულსა და სვანურ ხალხურ სიმღერებში.

როგორც ვხედავთ, ჩვენს მეცნიერს, გარდა ფოლკლორული მასალების აკადემიური გამოცემებისა, ძალზე საყურადღებო თეორიული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ხალხური პოეტური ენის სტრუქტურის შესასწავლად.

* *

ა. შანიძე არ წარმოადგენს თავისი სპეციალობის ჩარჩოებში ვიწროდ ჩაკეტილ მეცნიერს. ის ფართოდ და სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ჩვენი კულტურის წინსვლისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის აღზრდის გადაუდებელი საქმეებით. ა. შანიძე მთელი მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში დაუღალავად ზრუნავს ახალგაზრდობისათვის კარგი სახელმძღვანელოების შესაქმნელად.

ჯერ კიდევ 1930 წელს მან გამოსცა „ქართული გრამატიკა“ — სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის. როგორც ზემოთ ითქვა, ეს იყო პირველი მეცნიერული ქართული გრამატიკა, რომელმაც უაღრესად დიდი როლი შეასრულა, ერთი მხრივ, ქართული ენის შედარებით-ისტორიული მეთოდით შესწავლის საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ მშობლიური ენის მეცნიერულად დაუფლებაში. ის წიგნი დიდხანს წარმოადგენდა ერთადერთ სახელმძღვანელოს, სანამ იგი არ შეცვალა ა. შანიძისავე 1942 წელს გამოცემულმა „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა“ (I ნაკვეთი). II ნაკვეთი 1949 წელს გამოვიდა, ხოლო 1953 წელს დაიბეჭდა იმავე „საფუძვლების“ მთლიანი გამოცემა ახალი თავების დამატებით. „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ ნამდვილად წარმოადგენს ჩვენი ენის შესწავლის საფუძველს, ეს ფუნდამენტალური გრამატიკული ენციკლოპედიაა, რომელშიც მსურველი მისთვის საჭირო ყოველ კითხვაზე იპოვის სათანადო პასუხს. ეგევე წიგნი ავტორმა სახელმძღვანელოდ გადააკეთა და „ქართული ენის გრამატიკის“ სახელწოდებით გამოსცა 1955 წელს (მეორედ გამოვიდა 1962 წელს).

ა. შანიძე არც საშუალო სკოლას ივიწყებს. ის მამობრივი სიყვარულით ზრუნავს საშუალო სკოლის მოსწავლეთა საჭიროებისათვის. დიდი მეცნიერი სისტემატურად იღებს მონაწილეობას პროგრამების შედგენასა და მათს გაუმჯობესებაში, წერს მეთოდურ მითითებებს, აქვეყნებს ცალკე სტატიებს მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ. ხოლო მისი „ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც წარმოადგენს ქართული ენის სტაბილურ სახელმძღვანელოს V—VI—VII—VIII კლასების მოსწავლეთათვის, აგერ თითქმის მესამედი საუკუნეა სისტემატურად გამოდის. ამასთან ჩვენი ახალგაზრდობის დაუღალავი მოამაგე ყოველწლიურად აუმჯობესებს ახალ გამოცემებს.

ა. შანიძესვე ეკუთვნის საშუალო სკოლის VIII (IX) კლასის მეორე სახელმძღვანელო „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ (ალ. ბარამიძისა და ილია აბულაძის თანაავტორობით), რომელიც პირველად 1934 წელს გამოიცა და შემდეგ სისტემატურად გამოდიოდა. წიგნის წინანდელ გამოცემებს ახლდა ძველი ქართული ენის მოკლე მიმოხილვა, რომელიც ა. შანიძის კალამს ეკუთვნის. ის არის შეკუმშულად დაწერილი ძველი ქართული ენის გრამატიკა, რომელიც წარმოადგენს ძველი ქართული ენის მოკლე სახელმძღვანელოს.

ა. შანიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ქრესტომათიული ტექსტები უმაღლესი სკოლის სტუდენტთათვის ძველ ქართულ ენაში სავარჯიშოდ. ასეთებია: „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“, პალეოგრაფიული რვეული (1924 წ.) და „ძველი ქართულის ქრესტომათია“ (1935), რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ამ სახელმძღვანელოებსა და სხვა ნაშრომებში ავტორმა შექმნა ძალიან ბევ-

რი მოხერხებული ტერმინი, რომლებმაც ფართოდ გაიკაფა გზა და გავრცელდა მოსწავლე ახალგაზრდობასა და ხალხში. ა. შანიძის სახელმძღვანელოებით ყოველ წელს ასი ათასობით ახალგაზრდა ეწაფება მშობლიურ ენას. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ი. გოგებაშვილისა და ა. შანიძის ოდენი ამ დარგში არავის გაუკეთებია. ა. შანიძე ჩვეული ენერგიით ახლაც განაგრძობს ამ მიმართულებით აქტიურ საქმიანობას.

ა. შანიძე მიეკუთვნება ისეთ სახელოვან მეცნიერთა დასს, რომელთაც წილად ხვდომიათ სამეცნიერო სკოლის შექმნა და მისი მეთაურობა. „თბილისის საენათმეცნიერო სკოლა“ საყოველთაოდ აღიარებულია და მის მიერ მოპოვებული შედეგები ქართველოლოგიის ოქროს ფონდშია შესული. ერთმა უცხოელმა სწავლულმა მას „ქართული ენათმეცნიერების ბელადი“ („the grand old man de la linguistique géorgienne“) უწოდა. იშვიათია ისეთი მეცნიერი, რომელსაც იმდენი მოწაფე გამოეზარდოს, რამდენიც ა. შანიძეს. მისი სკოლიდან არიან გამოსული დღეს აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები, სახელგანთქმული მწერლები, რომლებსაც თავიანთი საყვარელი მასწავლებლის მეოხებით მეცნიერული წრთობა მიუღიათ და საქმისადმი მაღალპრინციპული დამოკიდებულება შეუთვისებიათ. ა. შანიძის ყოფილი მოწაფეები არიან არა მხოლოდ მეცნიერი მუშაკები, არამედ საშუალო სკოლის მრავალრიცხოვანი ფილოლოგი-მასწავლებლები, რომლებმაც მოისმინეს ა. შანიძის სხვადასხვა საუნივერსიტეტო კურსი, მიიღეს წრთობა მისსავე სემინარებში და, ამრიგად, დაეუფლნენ ქართული ენის აღნაგობას, რათა მიღებული ცოდნა მოახმარონ ახალი და ახალი თაობების აღზრდას.

ხუთი წლის წინათ, 1962 წელს, როდესაც აკაკი შანიძეს შეუსრულდა დაბადების 75 წლისთავი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ იუბილარს მიართვა ადრესი, რომელსაც ხელს აწერენ ჩვენი ქვეყნის ცნობილი ფილოლოგები. აქ ნათქვამია (მოგვყავს რუსული ტექსტის ქართული თარგმანი):

„მთელი თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების გზა, მრავალმხრივი და დაუღალავი სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეცნიერებისათვის უანგარო სამსახურის ნათელ მაგალითს წარმოადგენს. თქვენმა შეუნელებელმა კვლევითმა ინტერესმა კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთთან დაკავშირებული ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტურულ-ისტორიული პრობლემების ფართო კომპლექსისადმი დამსახურებულად მოგიპოვათ თქვენ ერთ-ერთი მსხვილი საბჭოთა ფილოლოგ-ორიენტალისტის სახელი. თქვენმა მრავალრიცხოვანმა ლინგვისტურმა ნაშრომებმა, მათ შორის ისეთმა ბრწყინვალე მონოგრაფიებმა, როგორიცაა „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, „ქართული გრამატიკის საფუძვლები. მორფოლოგია“, უზარმაზარი წვლილი შეიტანა ქართველური ენების როგორც აღწერილობითს, ისე შედარებით-ისტორიულ გრამატიკაში და აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი ენათმეცნიერების თეორიაში. ძალზე დიდია თქვენი დამსახურება ქართული ლიტერატურათმცოდნეობის, ქართული პალეოგრაფიის, სომხურ-ქართული ფილოლოგიის, კავკასიის არქეოლოგიის სფეროში. თქვენს სახელთანაა დაკავშირებული კავკასიის ალბანელთა ძვე-

ლი დამწერლობის შესწავლის პრობლემა. მჩქეფარე ენერგიითა და არაჩვეულებრივი თავდადებით მუშაობთ თქვენ ძველი ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ძეგლებზე, რომელთა საუნჯესაც გვაცნობენ თქვენი სანიმუშო ტექსტოლოგიური გამოცემები და გამოკვლევები.

დაუფასებელია თქვენი დამსახურება საბჭოურ მეცნიერთა კადრების მომზადებაში. ჩვენ გიცნობთ, როგორც თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, ქართული ფილოლოგიის თავისებური მიმართულების ხელმძღვანელს და ქართულ საშუალო და უმაღლესი სკოლების სახელმძღვანელოთა ნიჭიერ ავტორს. ცოტა გამოჩენილი ლინგვისტი და ლიტერატურათმცოდნე როდი გაზარდა თქვენ მიერ დაარსებულმა, დღემდე თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფმა ძველი ქართული ენის კათედრამ. სულ ცოტა, მეცნიერთა ორი თაობა მაინც არის დავალებული თქვენგან ცოდნითა და მეცნიერებისადმი ღრმა დაინტერესებით“.

ა. შანიძე ჩინებული ადამიანია, მომხიბლავი და მაღალი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული. მისთვის დამახასიათებელია უბრალოება და ბუნებრიობა, ადამიანებთან სათუთი დამოკიდებულება, თავმდაბლობა და გულისხმიერება. ამასთანავე, დიდად პატივცემული აკაკი მომთხოვნელია, უკომპრომისო, ღრმად პრინციპული. იგი არავის აპატიებს საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას, მცონარეობას და ორგულობას. ბატონი აკაკი მშვენიერი მოსაუბრეა, ჯანსაღი ჰუმორით დაჯილდოებული, მომლხენი და იმედიანობის ჩამნერგავი. ამიტომაა, რომ მასთან შეხვედრა ყოველთვის სასიამოვნოა და ხალისის მომგვრელი. სიცოცხლის სიყვარული ყოველ სფეროში ჩვენი წინსვლის საფუძველია და ბატონი აკაკიც ხომ ცხოვრებისეული ოპტიმიზმით ანთებულ ადამიანად გვყავს წარმოდგენილი.

დღეს აკაკი შანიძის დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. აკაკი შანიძე ბედნიერად უნდა თვლიდეს თავს, რადგან მან მთელი თავისი მჩქეფარე სიცოცხლე, გმირული შრომა და უმწიკვლო მოღვაწეობა მსხვერპლად მიიტანა ქართველი ერის კეთილდღეობისათვის ბრძოლის საკურთხეველთან. რა შეიძლება იყოს ამის საზღაური? — მხოლოდ და მხოლოდ ხალხის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მან სამართლიანად დაიმსახურა.

ჩვენი ღრმად პატივცემული იუბილარი ახლაც კვლავინდებური შემართებითა და მხნეობით განაგრძობს თავის სანუკვარ საქმეს და ჩვეული გატაცებით ჩაბმულია მეცნიერული მშენებლობის ფერხულში.

ვუსურვოთ ბატონ აკაკის ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერება!

მადლიერი სამშობლო მისგან მოელის ახალ-ახალ გამარჯვებებს!



გიორგი ახვლედიანი

მცირე მოგონება დიდ ქართველოლოგზე

ჯერ კიდევ ასპირანტები ვიყავით აკაკი შანიძე და მე, პირველად რომ ერთმანეთს შევხვდით პეტროგრადში. აკაკი მაშინ უკვე დაუფლებული იყო არაბულს, სომხურს, სპარსულს და თვალსაჩინო წვლილი ჰქონდა შეტანილი მას იმ მეცნიერებაში, რომლის განვითარების ისტორიაში იგი მოგვევლინა ახალი ეტაპის ნამდვილ ფუძემდებლად. მე მაშინ ვეუფლებოდი ექსპერიმენტულ ფონეტიკას და ზოგი რამ გაკეთებულიც მქონდა, მეტადრე — ამ უკანასკნელის მეთოდოლოგიური ხასიათისა. ჩვენ ორივენი ვიცნობდით შედარებითი ენათმეცნიერების მაშინდელ მესვეურთ (რუსეთში და უცხოეთში) და ორივეს ერთი შეხედულება გვქონდა მათ შესახებ. მომავალი დიდი ქართველოლოგი არ იზიარებდა თავისი მასწავლებლის — ნ. მარის — მეთოდოლოგიას, თუმცა, როგორც მახსოვს, ასე თუ ისე მოსწონდა მას ნ. მარის შტუდიები ქართველურ ენათაგან სომხურში შესული ელემენტების შესახებ, რომელთა შორის ურევია მეგრულ-ჭანურიდან შესული ჭანჯი („მწერი") და სხვ., რადგანაც ამ შტუდიებში მაინც ჩანდა შედარებითი მეთოდოლოგიის კვალი.

თბილისში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით უნივერსიტეტის გახსნისა და ამოქმედების პერიოდში ჩვენ აღმოვჩნდით ისევ ერთად, ერთ უღელში, ენათმეცნიერების სამსახურში, იმავე დიდი ივანეს ხელმძღვანელობით, რადგანაც, როგორც ცნობილია, იგი მუდამ ყურადღებით ადევნებდა თვალს ენათმეცნიერების განვითარებას.

იოსებ ყიფშიძის დაკარგვა მძიმე დანაკლისი იყო ახლადფეხადგმული უნივერსიტეტისათვის და კერძოდ ქართველოლოგიისათვის, მაგრამ მისი ადგილი დაიკავა აკაკი შანიძემ, რომლის ზედიზედ გამოსულმა ფუნდამენტალურმა შრომებმა ცხადყვეს, რომ ქართველოლოგიას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) მოევლინა დიდი ენათმეცნიერი.

„ქართული გრამატიკის საფუძვლები" (1953 წ.), რომელიც ღირსეულად დაჯილდოვდა, წარმოადგენს ქართველოლოგიის განვითარების ახალ, უფრო მაღალ

ეტაპს; და თუ დღეს კიდევ უფრო ახალი და ახალი მიღწევები გვაქვს ქართველოლოგიაში, ეს უპირველესად მიეწერება აკაკი შანიძის გოლიათისებურ მუშაობასა და შემოქმედებას. მხედველობაში მაქვს იმ ოცნების განხორციელება, რომელიც გვქონდა ჩვენი ასპირანტობის ხანაში: ჩვენმა ახალგაზრდა ენათმეცნიერებმა თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა გაამდიდრეს ქართველოლოგია თავიანთი შესანიშნავი შრომით „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“, სადაც გამოყენებულია ინდოევროპეისტიკაში ნაცადი შედარებითი მეთოდი, დაზუსტებული უახლესი ენათმეცნიერების მიღწევების საფუძველზე.

ბედნიერია ჩვენი ძვირფასი აკაკი შანიძე და, მასთან ერთად, მეც, რომ, მართალია, 80 წლისანი, მაგრამ მაინც მოვესწარით ჩვენი ოცნების განხორციელებას — მეცნიერებათა აყვავებას საქართველოში, კერძოდ — ქართველოლოგიისა. სასიხარულოა, რომ ეს დაემთხვა დიად საიუბილეო წელს — 1967 წ., დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.



კონსტანტინე გამსახურდია

აკადემიკოსი აკაკი შანიძე

I

თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე გულმოდგინედ თვალს ვადევნებ აკაკი შანიძის მუშაობას. დიდი მეცნიერები, ისე როგორც დიდი მწერლები, იშვიათად მოესწრებიან ხოლმე თავიანთ სიცოცხლეში დიდი სახელის გამობრწყინებას. ეს განსაკუთრებით ძნელია ჩვენს ეპოქაში, როცა დიდ პოლიტიკას მიტაცებული აქვს ხალხის მასსების გულისყური. დიდი სახელის მოხვეჭა განსაკუთრებით უჭირთ ჰუმანიტარულ დარგებში მომუშავე მეცნიერებს.

არც მწერლებს უადვილდებათ ეს საქმე, რადგან ელექტრობის, ატომის, დიდი ქიმიის ეპოქაში ბუნებისმეტყველურ და ტექნიურ მეცნიერებებს ხვდებათ ლომის ულუფა სახელის მოხვეჭისა.

რამდენად უფრო მუშაობის მყუდრო პირობები ჰქონდათ შლიიმანს, ვოლფს, გრიმებს, შლეგელს, შელლინგს, შლაიერმახერს, ვილამოვიც ფონ მოლენდორფს!

აკაკი შანიძე არ ეკუთვნის კატეგორიას იმ მეცნიერებისას, რომელნიც გააფთრებული იბრძვიან სახელისა და სიმდიდრის მოსახვეჭად. ისეთნი ხშირად განზე გადასდებენ ხოლმე მეცნიერებისა და პატრიოტიზმის წმინდა პრინციპებსა და თავიანთ ნაუცბათევ ჰიპოთეზებს ისე თხზავენ, როგორც ეს იამებათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

ჯერ კიდევ ქუთაისის კლასსიკურ გიმნაზიის უფროს კლასსებში ცნობილი იყო აკაკი შანიძე, როგორც უცხო ენების მცოდნე და მკვლევარი.

1912 წლის რამდენიმე თვე ვსტუმრობდი მასთან პეტერბურგის ერთ პაწია, სტუდენტურ კამერაში. აკაკი მუდამ გულისხმიერად ეკიდებოდა ჩემს მუშაობას, მას ხანგრძლივი მიმოწერა ჰქონდა ჩემთან, კენიგსბერგში და ლაიპციგში ყოფნისას.

1918 წელს მე ვცემდი ჟურნალ „პრომეთეს". იგი სარედაქციო კოლეგიის

წევრი იყო. მისი თათბირი მე მუდამ მინიშნებული მქონდა, როგორც ხნით უფროსი მეგობრის თანადგომა.

1918 წელს ქართველ ხალხს შეუსრულდა საწადელი. ჩვენი დიდი მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი საფუძველს უყრიან თბილისურ სახელმწიფო უნივერსიტეტს.

იმ დღიდან ამ დღემდის აკაკი შანიძე იღვწის როგორც მკვლევარი ქართული ენისა, კადრებს უზრდის ჩვენს ქვეყანას.

იგი უდიდესი სპეციალისტია როგორც ქართული ენისა, ისე მისი დიალექტების, ჩინებული მცოდნეა ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის ენებისა.

მე მრავალი ფილოლოგიური შრომები წამიკითხავს სხვადასხვა ენებზე, მაგრამ როცა მისი „ქართული გრამატიკის საფუძვლები" გადავიკითხე, ჩემს ახლობლებს ვუთხარი: ეს შრომა ისევე რთულია და ღრმა, როგორც იმანუელ კანტის „წმინდა გონების კრიტიკა".

არც მიწისქვეშ მდვრინავი სტიქიონები, არც ვარსკვლავეთის ეტლი მე ისე არ მაოცებს, როგორც ენის ფენომენი. რომელმა ზენარულმა გონებამ შექმნა ენა, უკეთ რომა ვთქვათ, მსოფლიოს ენები? ინით წვდება ადამიანის გონება ყოველივეს სამყურა ბალახიდან დაწყებულს ვიდრე ვარსკვლავების ლეგიონებამდის.

ახლა წარმოვიდგინოთ დიდი ფილოლოგის, გრამატიკოსის სკრუპულოზური შრომა. იგი სავსებით მკაცრ კანონზომიერებაში მოაქცევს ენობრივ მასალას და ეს ფორმები მეტყველებისა მას მოქცეული აქვს მათემატიკურად ზუსტ კანონების სალტეში.

აკაკი შანიძის ყოველი შრომა უცხოურ ენებზე რეზონანსს ჰმატებს ქართულ ენასა და მის პრესტიჟს მთელს მსოფლიოში.

განა მარტო დიდი შრომითა და დიდი ტალანტით მიაღწია აკაკი შანიძემ ეგზომ დიდ სახელს? განა მარტო ამით მოიხვეჭა მან დიდი სიყვარული ქართველი ხალხის გულში?

პიროვნება უდიდესი ბედნიერებააო ამ ქვეყნად, ამბობდა დიდი გოეთე. მისი უმწიკვლო პიროვნება, მისი დიდი და უანგარო პატრიოტიზმი გახლავთ პირველადი ფაქტორი ამ შემთხვევაში.

ჩვენ ვიცნობთ ზოგიერთ სახელოვან მეცნიერს, ფილოლოგს, რომელნიც ყოველ დროში ხარკს უხდიდნენ კოსმოპოლიტიზმსა და უპრინციპო ჰიპოტეზების ჯირითს.

ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ ისეთი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის მოხვეჭას ქართველი ხალხის გულში, როგორიც ჩვენს თვალწინ წილად ხვდა ჩვენს დიდ მეცნიერებს: ივანე ჯავახიშვილს, კორნელი კეკელიძესა და აკაკი შანიძეს.

რამდენი უსაშველო კოსმოპოლიტი მეცნიერი ჰყავდა ძველს ბიზანტიასა და სირიას, თუნდაც თანამედროვე ევროპას, მაგრამ მათი სახელი მხოლოდ ბიბლიოთეკარებს დარჩათ ხსოვნაში.

აკაკი შანიძის ადრინდელ შრომებში განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კრებული „ხევსურული". როგორი ღრმა ცოდნით, რა დიდის სიყვარულითაა შექმნილი ეს შრომა!

ამას წინათ გამოქვეყნდა აკაკი შანიძის დიდი გამოკვლევა „ვეფხის ტყაოსნის საკითხები“. როგორი სკრუპულოზობითაა შესრულებული ეს ტომი!

ისე როგორც ყოველი დიდი მეცნიერი, აკაკი შანიძეც ფრიად და ფრიად ფრთხილია თვით უმცირესი დეტალების კვლევისას.

II

ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს არ ესმის, რომ ჰიპოთეზას თუ დროზე არ დაუდევი მზღვარი, ეს ყოველივე სიზმრის ახსნად იქცევა.

ამაოდ ჰგონია ზოგიერთ რუსთველოლოგს, რომ ჩვენ, ვინც თავის თავს „რუსთველოლოგს“ არ ვუწოდებთ, ვერ გავერკვევით, სად იწყება ჰიპოთეზა და სად უსაშველო გალიმათია.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ვერ დაასახელებთ ვერც ერთ დიდ მწერალს, დიდ პოეტს, რომლის გარშემო ამდენი გაუგებრობა შექმნილიყოს, რამდენიც წარმოიშვა რუსთველის გარშემო.

მთელი საუკუნის მანძილზე ევროპაში დიდი პოლემიკა არსებობდა ჰომეროსის, დანტეს, შექსპირის პიროვნებათა და შემოქმედებათა გარშემო, მაგრამ რაც ქართველმა მუცლითმეზღაპრეებმა ჩაიდინეს ამ 50 წლის მანძილზე, ამის მინაგვარი არსად მომხდარა. ცხადია, ეს მუცლითმეზღაპრენი მალე თავათ დარწმუნდებიან, რომ მათ სულ ამაოდ დაუყენებიათ მელნის ტბა. დროა შეიგნონ ზოგ ზოგთა: არა არს მართებულ დიდი გენიოსის დაწვენა მათ მიერვე დადგმულ პროკრუსტისეულ საწოლზე.

ცხადია, ქართული ფილოლოგიის, საქართველოს ისტორიის საკითხებს მხოლოდ ისეთი პირები უნდა იკვლევდნენ, რომელნიც წინა აზიის რამდენსამე ენას ფლობენ; არც ეგა კმარა, მათთვის აუცილებელია უმთავრეს ევროპულ ენების ცოდნა, რადგანაც ქართული ენის კათედრები სერიოზულ მუშაობას ატარებენ ქართველოლოგიის სფეროში.

ფრიად მნიშვნელოვანია აკაკი შანიძის კვლევა, რუსთველის ენისადმი მიძღვნილი.

III

ღიმილის მომგვრელია ჩემთვის, როცა ვკითხულობ რუბრიკას: „რუსთაველი დიდი პოეტი და მოაზროვნე“. ჩანს, ზოგიერთებს არ ესმით, რომ პოეზია არის ხატით აზროვნება. განა რუსთველის პოემის პროლოგი, სადაც განმარტებულია შაირობისა და მიჯნურობის რაობის ამბავი, უბრწყინვალესი აზროვნების შედეგი არ არის?

რუსთველი სავსებით უნიკალური მოვლენაა, როგორც აფორისტი. განა ყოველი მისი აფორიზმი დიადი აზროვნებისა და ულრმესი სიბრძნის ულევი წყარო არ არის?

მუცლითმეზღაპრეთა მიერ გამოგონილი ამბავია რუსთველის ნეოპლატონისტობა, მონისტობა, ათეისტობა, მანიქეველობა.

არც ჰომეროსი, არც დანტე, არც რუსთველი, არც შექსპირი, არც გოეტე არა ყოფილან ფილოსოფოსების შეგირდები.

გოეტე ბრაზობდა, როცა მას სპინოზისტს უწოდებდნენ. ბოლოს მან განა-

ცხადა: მე სპინოზასაც ვიცნობ, კანტსა და ჰეგელს, მაგრამ არავის შეგირდი არა ვყოფილვარო.

რაიცა შეეხება რუსთველის ქრისტიანობას, ეს საკითხი ჯეროვანზე ჯეროვანად გამოარკვეია პროფესორმა ვ. ნოზაძემ და მასზე ადრე, მისგან დამოუკიდებლად, ჩემმა მეგობარმა, საქართველოს აწ განსვენებულმა კათალიკოსმა კალისტრატე ცინცაძემ.

მე მიმაჩნია სავსებით კურიოზულ ამბავად იგიცა, როცა ზოგიერთს უკვირს: რატომ არ ახსენებსო რუსთველი ქრისტეს.

ახლა მე ვეკითხები მათ, ვისაც რუსთველი მუსულმანად მიაჩნია: რატომ არსად არ ადიდებს მაჰმადს?

საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი.

არც ერთი დარგი მეცნიერებისა ისე ახლოს არაა მწერლობასთან, როგორც ფილოლოგია. ჩვენ და ფილოლოგები ერთი და იმავე დედის ძუძუთი ვიკვებებით. ეს გახლავთ ნაციონალური ენა, საფუძველთა საფუძველი ეროვნული კულტურისა.

ენა უცნაურზე უცნაური ფენომენია, ბასრი იარაღი ნაციონალური თვითშეგნებისა.

სხვათა შორის, ჩვენ ამიტომაც აგრე გვიყვარს აკადემიკოსი აკაკი შანიძე. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შესწირა ქართული ენის მოვლის დიდ საქმეს.

საზეიმო ვითარებაში ძნელია მისი დიდი ღვაწლის თუნდაც ზერელედ მიმოხილვა. ორმოცდაათი წელია რაც აკაკი შანიძესთან ვმეგობრობ. იგი უცნაურად თავმდაბალია, ჭირსა და ლხინში ერთგული მეგობარი. ვის დაავიწყდება მისი გამოსვლა ტფილისურ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როცა ჩვენს ძვირფასს ივანე ჯავახიშვილს თავს დაესხნენ უგუნური ფილისტერები.

ჩვენი იუბილარი ჯერაც მხნედ არის და იმედია კიდევ ბევრს შესძენს ქართული ენის შესწავლის საქმეს და კვლავ გაამდიდრებს ქართულ კულტურას.

დღეგრძელობა ვუსურვოთ ჩვენს საყვარელსა და სასიქადულო მეგობარს.

ტფილისი,
1966,
5, XII



Აკაკი Გაწერელია

Აკაკი Შანიძე

„Გეორგ ფონ Გაბელენცმა თქვა: „Ენით ადამიანი არა მარტო გამოთქვამს რასმე, მით იგი თავის თავსაც გამოთქვამს".
(Ჟ. Ვანდრიესი. Ენა. 1937. Გვ. 135)

Ტერაა. სალუქი პირისკანი აქვს. Აბრეშუმივით ლბილი თმა და ღიმილით მოკიაფე თვალები ამშვენებენ.

Ეს პირველი შთაბეჭდილებაა.

Მაგრამ მისთვის არც ფარული ირონიაა უცხო, რასაც მუდამ დროულად უდებს საზღვარს. საერთოდ კი ეს შესანიშნავი მეცნიერი ნამდვილი ჯენტლმენია, დიდი ტაქტის მქონე და უაღრესად სერიოზული.

Წლების სიმძიმე ოდნავადაც არ დასტყობია Აკაკი Შანიძის გონებას — თვითეული მისი ნაშრომი რაიმე ახლის აღმოჩენის დაღითაა აღბეჭდილი.

Ვეებერთელა მეცნიერულ მემკვიდრეობას უტოვებს იგი ქართველ ხალხს. Ამიტომ Აკაკი Შანიძე ამ ხალხის კულტურის დიდი რგოლია და არა მარტოოდენ მისი რომელიმე დარგის ბრწყინვალე წარმომადგენელი. Არიან სახელები, რომელთა მოღვაწეობა ბოლოსდაბოლოს სცილდება ცალკეული დისციპლინების ფარგლებს. Ამ ბედნიერ სახელთა რიცხვს ეკუთვნის Აკაკი Შანიძეც.

Სრულიად არაა მიამიტი და ჩინებულად ესმის, თუ რარიგ მადლიერია მისი ჩვენი ქვეყანა: Აკაკი Შანიძის მაღალი რანგის პრინციპულობით აღსავსე მეცნიერული მუშაობა ინტელექტუალური გამძლეობისა და გმირობის მისაბაძ მაგალითად დარჩება სამუდამოდ.

Ყოველთვის ფიქრობ: ამ კაცში მგონი შეუცდომლობის ქინით ატეხილი დემონი ზის და იგი მარადჟამ და ჯიუტად ჩასჩურჩულებს მას ყოველი წვრილმანისადმი ფანატიკურ ერთგულებას. Ამა თუ იმ გამოკვლევაში სრულიად უნებლიეთ გაპარული კორექტურული შეცდომაც კი, ალბათ, გულის სიღრმემდე შესძრავს ხოლმე. Და ამ ჭკვიან კაცს ერთი წამითაც არ უნდა დაიჯეროს, რომ ყველაფერი,

რაც ადამიანის ხელიდან გამოდის, შეიძლება რაიმე, თუნდაც სულ მცირეოდენ ნაკლს შეიცავდეს. ასეთად დაუბადებია იგი ბუნებას. და ჩვენ ბევრი მოვიგეთ აკაკი შანიძის დემონის დაუცხრომელი კარნახის წყალობით.

ენათმეცნიერება, პოეტიკასთან ერთად, შეიძლება ითქვას, ერთგვარად „არისტოკრატიული" დარგია ჰუმანიტარულ დარგთა შორის. იგი მოითხოვს არაჩვეულებრივ სიფაქიზეს, უეჭველ ნიჭიერებას, შინაგან სისპეტაკესა და სიმკაცრეს. გოეთესაც კი ეშინოდა მისი.

აკაკი შანიძე, რა თქმა უნდა, უწინარესად ქართული ლინგვისტიკის მამამთავარია, მაგრამ ამასთან მისი ინტერესების მასშტაბი ძალზე ფართოა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პირველხარისხოვანი პუბლიკაციები, გონებამახვილური რუსთველოლოგიური შტუდიები, შეუდარებელი ფოლკლორისტული გამოკვლევანი (მარტო მისი „ხევსურული პოეზიის" I ტომის გამოცემა რად ღირს, — ეს წიგნი ხომ კლასიკური ნიმუშია ამ სფეროში ჩატარებული მუშაობისა!), დიალექტოლოგიური და ეპიგრაფიკული ძიებანი და მრავალი სხვა, — აი აკაკი შანიძის „განძთა სალარო", რომელმაც დიდი ხანია უმაღლესი შეფასება დაიმსახურა ჩვენში და ჩვენი ქვეყნის გარეთ.

უფლებას არ ვაძლევ ჩემს თავს დაწვრილებით ვიმსჯელო მის შესახებ. და თუ კალმის ხელში აღება გავბედე, მხოლოდ ერთი სურვილის გამო: ჩემი ღრმა მოკრძალება და სიყვარული შევუერთო მისდამი საერთო მადლიერების გრძნობას. და კიდევ იმის გამო, რომ აკაკი შანიძე თვითონ ავრცელებს ირგვლივ საერთო სიყვარულს, თვითონაა გულუხვი ამ ფასდაუდებელი გრძნობის გამოხატვისას. მას სრული უფლება აქვს გაიმეოროს დიდი სულხან-საბას უკვდავი სიტყვები: „მე მოვალე ვარ საქართველოსათვისო". აკაკი შანიძისაგან დავალებულნი კი სამაგიეროს მივუზღავთ მას. ესაა და ეს.

აკაკი შანიძე ამაღლებულია ყოველგვარ სიმპათია-ანტიპათიაზე. ამ ტერმინებს დიდი ხანია დაკარგული აქვთ მნიშვნელობა მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის მისამართით. აკაკი შანიძე ქართველი ხალხის საამაყო შვილია, ამ ხალხის შუბლის დამამშვენებელი დიადემის ერთ-ერთი საუკეთესო მეჩუქურთმე. და ყველას, ვინც მეტნაკლებადაა ზიარებული ჩვენი ერის კულტურას, ერთი სურვილი აქვს: კიდევ დიდხანს მუშაობდეს აკაკი შანიძის მარჯვენა დიადემისათვის ახალ თვალთა პატიოსანთა შესამატებლად.

არავითარი აფექტაცია, არც ერთი მყვირალა ფრაზა, არავითარი ხაზგასმა საკუთარი პიროვნებისა, არავითარი პოზა, არავითარი სურვილი ან განზრახვაც კი რაიმე როლის თამაშისა, — ასეთია უმაღლესი ადამიანური და საშურველი თვისებები აკაკი შანიძისა.

დიადი რამ ხანგრძლივი, დამქანცველი და კატორღული მუშაობის ნიადაგზე იქმნება. უამისოდ ყველაფერი დროული და სწრაფწარმავალია. და ჩვენში იშვიათია შემოქმედი, რომელიც აკაკი შანიძესავით დაძაბულად მუშაობდეს თავის მყუდროებაში.

რასაკვირველია, ამ მყუდროებამ იცის შინაგანი მღელვარებანი, აღმოჩენათა და მიგნებათა სიხარული, მ ო ც დ ი ს პ ა თ ო ს ი, რომელიც სასწრაფოდ ასანაზღაურებელ მონეტას არ უთვალთვალებს (გაიხსენეთ აკად. ი. კრაჩკოვსკის შესანიშნავი წიგნი „არაბულ ხელნაწერებზე", სადაც ანალოგიური განცდების მთელი გამაა გადმოცემული). დრო ხომ ულმობელი მსაჯულია და მასთან უცდო-

ჭელი დამფასებელიც! ეის-ეის, მაგრამ აკაკი შანიძეს ეს ჩვენზე უკეთ მოეხსენება თავისსავე მაგალითზე.

ნამდვილი ძალა არ ყვირის, იგი შეუმჩნევლად მოიპარება ხოლმე. უდაბნოს ნამდვილი მბრძანებელია ოაზისის ლერწმებში დამალული იაგუარი ან ავაზა და არა შორიდან ზანზალაკების ხმაურით მომავალი აქლემი. ამიტომაა იაგუარის ნაჭტომი ეგზომ საბედისწერო ქარავნისათვისო, — წერდა ერთი მწერალი.

აკაკი შანიძის თვითეული ახალი ნაშრომი ამ უხმაურო, მაგრამ ზუსტად გამოზომილ ნახტომს მიაგავს. და ქარავანი იძულებულია სახტად დარჩენილი შედგეს ან უკან დაიხიოს: მასთან შებრძოლება სრულიად ამაოა.

კერძო ცხოვრებაში კი მას ხავერდის სირბილე ახასიათებს. „ა. შანიძე დიდი ადამიანური თვისებებით არის დაჯილდოვებული. უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი, მოყვარული, ამავე დროს — პირდაპირი, უკომპრომისო, მომთხოვნი, მაღალპრინციპული, — ასეთია ჩვენი ღრმად პატივცემული აკაკი, „ქართული ენათმეცნიერების ბელადი“..., როგორც მას ერთმა სახელგანთქმულმა ენათმეცნიერმა უწოდა. არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს მისი მხიარული ბუნება: იგი ხალისიანია, ჯანსაღი ჰუმორის გრძნობით დაჯილდოვებული, ჩინებული თანამოსაუბრე, კარგი მომლხენი და ოპტიმისტური გუნება-განწყობილების ადამიანი. ა. შანიძე მთლიანი პიროვნებაა და ამიტომაა იგი მომხიბლავი და ყველასათვის საყვარელი“ (შ. ძიძიგური, „აკაკი შანიძე“. თბ., 1963, გვ. 92). ამ სიტყვების ავტორს ისიც აქვს აღნიშნული, რომ აკაკი შანიძემ ყველაზე უკეთ გაართვა თავი ქართული ენის, კერძოდ მისი ძალზე თავისებური ზმნის ურთულეს „ხლართს“. და ამ სიტყვამ მომაგონა შემდეგი მითი.

ბერძენთა გმირმა, ეგეოსის შვილმა თეზევსმა, რომელიც აფროდიტეს შეგონებით შეუყვარდა კრიტოსის მეფის ასულ არიადნას, ამ უკანასკნელისაგან მიიღო ძაფის მორგვი, დაამაგრა მისი ერთი ბოლო მინოსის ურჩხულის, კაციჭამია მინოტავრის (ხარის) სამყოფელის ანუ ლაბირინთის შესავალთან, შეაღწია შიგ, მოკლა მინოტავრი და შემდეგ მშვიდობიანად დააღწია თავი ლაბირინთს.

ქართული ზმნის დახლართულ ლაბირინთში, სადაც ურჩხული არა, მაგრამ წყვდიადი იყო გამეფებული, აკაკი შანიძემ, ბერძენთა მითური გმირივით, თავისი იშვიათი ანალიტური ნიჭიერებითა და ძლიერი გონების „ძაფით“ თამამად შეაღწია და იქედან გამარჯვებული დაბრუნდა.

მეტიც: აკაკი შანიძემ ნათელი გახადა თითქმის ყოველი კუნჭული ამ ლაბირინთისა.

და ამჟამად, 80 წლის აკაკი შანიძე, ავტორი ისტორიული გმირობისა ქართულ ენათმეცნიერებაში, მისთვის ჩვეული სისადავით მოსილი დგას ჩვენს წინაშე.



კ ო რ ნ ე ლ ი   კ ე კ ე ლ ი ძ ე

აკაკი შანიძეს *

ძვირფასო აკაკი! თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დავალებით მხურვალედ მოგილოცავ დაბადებიდან 70 წლის შესრულებას, რომელთაგან 45 წელიწადი შენ შესწირე დაუღალავ, თავდადებულ მუშაობას ქართული ენათმეცნიერების დარგში.

ფილოლოგიის ფაკულტეტს ყველაზე მეტი უფლება აქვს მიესალმოს შენს დღევანდელ ზეიმს, რადგანაც ეს ფაკულტეტი პირმშო შვილია ჩვენი უნივერსიტეტისა, იმით დაიწყო ჩვენში შენება უმაღლესი ცოდნის ტაძრისა, მან ჩაუყარა საფუძველი ჩვენს სახელოვან უნივერსიტეტს, რომლის შემქმნელ მცირერიცხოვან ენთუზიასტთა ჯგუფში შენ აქტიურ როლს ასრულებდი. თუ ეს ფაკულტეტი შესამჩნევ სიმაღლეზე იდგა ყოველთვის ჩვენი უნივერსიტეტის თითქმის 40 წლის ისტორიაში, ამისი ერთ-ერთი მიზეზი იყავი და ხარ შენ.

დიდია და განუზომელი შენი ღვაწლი ქართული ფილოლოგიის, კერძოდ, ენათმეცნიერების დარგში. თუ ქართულ ენათმეცნიერებას დღეს დიდი მიღწევები მოეპოვება, ეს, პირველ რიგში, შენი წყალობით. ამას ადასტურებს სახელოვანი შენი შრომები, რადგანაც მათი „აღრიცხუვად კნინღა-და შეუძლებელ არს, ჩუენ რაოდენნიმე მოვიჴსენნეთ", როგორც ამბობდა გიორგი ათონელი ექვთიმე ქართველის შესახებ.

ჩვენთვის სამახსოვროა შენი ჯერ კიდევ ასპირანტობის დროის ნარკვევები და საჯარო მოხსენებები, რომელნიც დიდ იმედებს აღვივებდნენ ჩვენში თავისი ერუდიციით. მაგრამ ყველასათვის სახსოვარი იქნება შენი ნამდვილი სადებიუტო ნაშრომი ქართული ზმნების სუბიექტური და ობიექტური პრეფიქსების შესახებ, რომელიც 1920 წელს გამოსცა იმ ხანებში დაბადებულმა ჩვენმა უნივერსიტეტმა და რომლის დებულებანი არასდროს არ დაძველდებიან.

მეორე უდავო მიღწევა შენი მუშაობისა ქართული ზმნის შესწავლის ხაზით არის სენსაციური თავის დროისათვის ინტერპრეტაცია გიორგი ათონელის ტერ-

---

* სიტყვა, წარმოთქმული 1957 წლის 10 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში აკაკი შანიძის დაბადების 70 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე. რედაქციას მოაწოდა სოლ. ყუბანეიშვილმა.

შენისა „ხანმეტი" და ამასთან დაკავშირებით დადგენა „ჰაემეტობისა". ამ ტერმინების ჯეროვანმა განმარტებამ ეპოქა შექმნა ქართული ენათმეცნიერების დარგში. არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენ შესძელი მოძებნა ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისა, ისიც უმეტესად პალიმფსესტურ ძეგლებში, და ჯეროვნად გამოცემა მათი. ასეთი გამოცემებია: ხანმეტი ლექციონარი, ხანმეტი მრავალთავი და გამოკვლევა: „ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის". შენ ისეთი კვალი დასტოვე ამ ხაზით, რომ ა. შანიძეს სამართლიანად ხანმეტობისა და ჰაემეტობის ისტორიკოსს ეძახიან.

ამას მოჰყვა მთელი რიგი შენი მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა, მათ განზოგადება პოვეს „ქართულ გრამატიკაში", რომელიც უმთავრესად მორფოლოგიას სწავლობს. არსებობს ოთხამდე რედაქცია ამ გრამატიკისა, რომელთა დაგვირგვინებას წარმოადგენს 1953 წელს გამოსული „ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია". ამ კაპიტალურ ნაშრომში ქართული ენის მორფოლოგია ისეთი სისრულით და სიზუსტითაა წარმოდგენილი, რომ ვერავინ მას დუმილით გვერდს ვერ აუვლის, „დაღათუ ვიეთნიმე დუმნენ, ქვანი ღაღადებდნენვე" (ლუკ. XIX, 40). საყურადღებოა, რომ შენი გრამატიკის საფუძველზე იწვრთნება დღეს ახალგაზრდობა ჩვენი სკოლებისა, სადაც სხვა სახელმძღვანელო ქართული ენისა არ არსებობს.

შენ ყველაზე კარგად გესმოდა, რომ ენის შესწავლა, კერძოდ, ქართულისა, შინაარსიანი ქრესტომათიის, აკადემიურად გამოცემული ტექსტებისა და კარგი ლექსიკონების გარეშე ძნელია. და აი 1935 წელს შენი რუდუნებით გამოვიდა „ძველი ქართულის ქრესტომათია", რომელმაც გზა გაუკაფა შემდეგი დროის ანალოგიურ გამოცემებს. შენ იყავი და ხარ ნამდვილი ენთუზიასტი ლექსიკოლოგიური მუშაობისა, შენი თეორიული მოსაზრებანი ლექსიკონის შედგენის შესახებ ყოველთვის ყურადღებას იპყრობდა ჩვენ შორის, შენი პრაქტიკული საქმიანობა ლექსიკონების შედგენის ხაზით ხომ ყოველთვის და ყველასათვის შესამჩნევი იყო. შენ არ გამოგიცია არც ერთი ძველი ტექსტი, რომელიც შემკული არ იყოს საყურადღებო ლექსიკონით. რამდენი რამ უნდა დავასახელო ამ შემთხვევაში? მოვიგონოთ თუგინდ ათონელების „ცხოვრება" გიორგი მთაწმიდელისა, რომელსაც, გიორგის ენის გამოკვლევასთან ერთად, დართული აქვს შესანიშნავი ლექსიკონი. მოვიგონოთ შენი და ი. ყიფშიძის გამოცემა (1928 წ.) სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა, რომელიც ახლაც წარმატებით აკმაყოფილებს ჩვენში ლექსიკოლოგიურ მოთხოვნილებას. შენ უდგენდი ლექსიკონს არა მარტო ძველ მწერლებს, შენი მადლიანი ხელი შეეხო ამ მხრივ ახალ ქართულ ლიტერატურასაც. შენ შეამკვე წარჩინებული ლექსიკონებით გამოცემები ისეთი კლასიკოსებისა, როგორიც არიან ნ. ბარათაშვილი, ა. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი და სხვ.

რაღა გვეთქმის შენ მიერ ტექსტების მეცნიერული გამოცემების შესახებ? ყოველთვის ნაყოფიერი, ეს მუშაობა საგრძნობლად გაიფურჩქნა ჩვენს ახალნერგ მეცნიერებათა აკადემიაში, რომლის ნამდვილი წევრი, ერთ-ერთი ბურჯი და დამამშვენებელი შენ იყავი თავიდან და დარჩები ბოლომდე. აკადემიაში ჰპოვე შენ ხელსაყრელი პირობები ჩვენი ძველი ლიტერატურის ისეთი შესანიშნავი ძეგლების გამოსაცემად, როგორიცაა „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით" (1945 წ.), განსაკუთრებით კი 978 წლის



შ. ყანიძე — ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფე
(1905)

გივი მაჭავარიანი

ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით

წინამდებარე სტატია არ ისახავს მიზნად მოგვცეს ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის ამომწურავი ანალიზი, გაარკვიოს ამ კონცეფციის გენეზისი და მიუჩინოს მას ადგილი გრამატიკულ შეხედულებათა ევოლუციის ზოგად სქემაში. ჩვენი ამოცანა ნაკლებ პრეტენციოზულია: ჩვენ შევეცდებით გამოვყოთ ა. შანიძის გრამატიკული ნააზრევის მხოლოდ ზოგიერთი, თუმცა არსებითი მომენტი და გავარკვიოთ მათი მიმართება სტრუქტურული ლინგვისტიკის სათანადო ასპექტებთან.

სტრუქტურული ლინგვისტიკა ჩვენ გვესმის როგორც ორგანული განვითარება ე. წ. ტრადიციული ენათმეცნიერებისა, კერძოდ, ერთი მხრივ, კლასიკური ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ძველი ბერძნულ-რომაული და ინდური ტიპის ნორმატიულ-აღწერითი გრამატიკისა [1]. ამიტომ ცხადი უნდა იყოს, რომ არც ისე ადვილია მკვეთრი სადემარკაციო ხაზის გავლება „სტრუქტურულ" და „არასტრუქტურულ" ენათმეცნიერებას შორის.

მეტიც შეიძლება ითქვას: თანამედროვე ენათმეცნიერებაში საკმაოდ გავრცელებული ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ყოველგვარი გრამატიკა და, საერთოდ, ყოველგვარი ენათმეცნიერება, იმდენად, რამდენადაც ის მეცნიერებაა, „სტრუქტურულია" და სხვაგვარი არც შეიძლება იყოს. საქმე ეხება მხოლოდ იმას, თუ რამდენად შეგნებულად და თანმიმდევრულად არის რეალიზებული ენის სტრუქტურული კონცეფცია ენათმეცნიერების ისტორიის ამა თუ იმ ეპოქაში ან ლინგვისტური აზროვნების ამა თუ იმ მიმართულებაში. კერძოდ, სტრუქტურული ლინგვისტიკის ერთ-ერთი, შესაძლოა, ყველაზე ნიშანდობლივი თვისება სწორედ ის არის, რომ აქ მოცემულია ცდა იმ ფუნდამენტალური იდეების, სახელმძღვანე-

---

[1] აქ არ ვეხებით ე. წ. ზოგადი გრამატიკისა და ფილოსოფიურ (აგრეთვე ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და სხე.) მოძღვრებათა როლს სტრუქტურული ლინგვისტიკის ჩამოყალიბების პროცესში. შდრ. Г. И. Мачавариани [Рец.], „Основные направления структурализма:" Вопросы языкознания, 6, Москва, 1965, გვ. 134—135.

ლო პრინციპებისა და მეთოდების აშკარა ფორმულირებისა, დასაბუთებისა და თანმიმდევრული რეალიზაციისა, რომლებიც ტრადიციულ ენათმეცნიერებაში ხშირად ინტუიციურად იყო მიგნებული და არათანმიმდევრულად გამოყენებული, ან ჩანასახოვანი ფორმით იყო წარმოდგენილი, თუ მხოლოდ იმპლიციტურად ნაგულისხმევი [1].

Ⴋაინც, რამდენადაც საქმე ეხება გარკვეული გრამატიკული მოძღვრების შედარებას სტრუქტურული ლინგვისტიკის თეორიასა და მეთოდებთან, საჭიროა გამოვყოთ უფრო კონკრეტული დიფერენციალური ნიშან-თვისებანი, რომელთა ერთობლიობა საკმარისი და აუცილებელია, რათა ესა თუ ის ლინგვისტური ნააზრევი დახასიათდეს როგორც „სტრუქტურული“ (resp. „სტრუქტურალისტური“) ამ სიტყვის სპეციალური ტერმინოლოგიური გაგებით.

Ⴑტრუქტურული ლინგვისტიკის აღნიშნული დიფერენციალური ნიშანთვისებანი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ოთხი პრინციპის სახით [2]:

(1) Ⴃ ი ს კ რ ე ტ უ ლ ო ბ ი ს   პ რ ი ნ ც ი პ ი. Ⴋეტყველების ნაკადი, ანუ ტექსტი შედგება სასრული რაოდენობის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოყოფილი დისკრეტული ელემენტებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ზომითა და სირთულის განსხვავებული ხარისხით ხასიათდებიან.

(2) Ⴑ ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ო ბ ი ს   პ რ ი ნ ც ი პ ი. Ⴄნა წარმოადგენს დისკრეტული ელემენტების არა უბრალო გროვას, ან არითმეტიკულ ჯამს, არამედ გარკვეული წესით ორგანიზებულ სისტემათა ერთობლიობას, ანუ სტრუქტურას, სადაც თითოეული ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან მიმართებაში [3].

(3) Ⴔ უ ნ ქ ც ი ო ნ ა ლ უ რ ი   ე კ ვ ი ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ი ს   პ რ ი ნ ც ი პ ი. Ⴄნის თვალსაზრისით იდენტურია ის, რაც ფუნქციონალურად ეკვივალენტურია.

---

[1] Ⴘდრ. Zellig S. Harris. From morpheme to utterance (Language, 1946, vol. 22, № 1, გვ. 161); László Antal, Four approaches to the same grammatical category (Linguistics. An International Review. 5. The Hague, London, Paris, 1964, გვ. 52—55); Основные направления структурализма, Издательство „Наука“, Москва, 1964, გვ. 263 შმდ. Ⴘდრ. აგრეთვე Г. П. Щедровицкий, Методологические замечания к проблеме типологической классификации языков (Лингвистическая типология и восточные языки. Материалы совещания, Москва, 1965, გვ. 63, 68).

[2] Ⴄს პრინციპები, ცხადია, არ შეიძლება მივიჩნიოთ საკმარის საფუძვლად ენის ზოგადი თეორიის აგებისათვის. Ⴉერძოდ, აქ ჩვენ არ განვიხილავთ ენის როგორც ენათმეცნიერების ობიექტის ონტოლოგიური და ფუნქციონალური განსაზღვრის საკითხს, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხს ენისა და მეტყველების (სისტემისა და პროცესის) ურთიერთობის შესახებ, უაღრესად აქტუალურ საკითხს ენის „ტაქსონომიური“ და „ტრანსფორმაციული“ მოდელების ურთიერთმიმართების შესახებ და სხვ.

Ⴙვენი ვარაუდით, ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი პრინციპი საკმარისად სპეციფიკურია იმისთვის, რომ გამოყოს „სტრუქტურული ლინგვისტიკა“ (ვიწრო გაგებით) „არასტრუქტურულისაგან“, და საკმარისად ზოგადია იმისთვის, რომ გააერთიანოს თანამედროვე სტრუქტურული ლინგვისტიკის ყველა ძირითადი მიმდინარეობა.

[3] Ⴘდრ. E. Benveniste, „Structure“ en linguistique: Sens et usages du terme structure dans les sciences humaines et sociales (Janua Linguarum, XVI), 's-Gravenhage, 1962, გვ. 38—39.

ფორმალური იგივეობა (ე. ი. იგივეობა გამოხატულებისა) არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისათვის [1].

(4) სინქრონიულობის პრინციპი. ეს პრინციპი შეიძლებოდა ცალკე არც კი გამოგვეყო. ეს ავტომატურად გამომდინარეობს მეორე პრინციპიდან: ენობრივი ერთეული ფუნქციობს სხვა, მასთან ერთად სინქრონიულად არსებულ (თანაარსებულ) ერთეულებთან მიმართებაში მოცემული ენობრივი სისტემის ფარგლებში. მაშასადამე, ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, მათი გაერთიანება სტრუქტურულ კლასებში და მათ შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სინქრონიული ანალიზის საფუძველზე.

დიაქრონია განიხილება როგორც ცალკეულ სინქრონიულ ჭრილთა თანამიმდევრობა დროში, ანუ, უფრო ზუსტად, როგორც პროცესი გადასვლისა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორეში [2].

ზემოხსენებულ ოთხ პრინციპს ემყარება ენის სტრუქტურული ანალიზის მთელი პროცედურა, ანუ, როგორც ზოგჯერ იტყვიან, ევრისტიკული ტექნიკა, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ცდილობს გამოყოს ენობრივი ერთეულები და კატეგორიები და აღმოაჩინოს მათ შორის არსებული ფუნქციონალური დამოკიდებულებანი.

მართლაც, ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ყოველგვარი ლინგვისტური ანალიზი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, a priori გულისხმობს დისკრეტულობის პრინციპის აღიარებას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ „მუშაობენ" დანარჩენი პრინციპები, განვიხილოთ ორიოდე ელემენტარული მაგალითი:

„რბილი" [ლ̃] სეგმენტში [ბალ̃ი] და „მაგარი" [ლ๑] სეგმენტში [ბალ๑მა] არტიკულატორულად და აკუსტიკურად განსხვავებულ ოდენობებს წარმოადგენენ, მაგრამ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ერთი და იმავე /ლ/ ფონემის ვარიანტებად (ალოფონებად) განიხილებიან. ამგვარი ინტერპრეტაცია ემყარება სტრუქტურულობისა და ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპებს: „რბილი" [ლ̃] სეგმენტში [ბალ̃ი] ფუნქციონალურად უპირისპირდება „რბილ" [რ̃]-ს სეგმენტში [ბარ̃ი], ისევე როგორც „მაგარი" [ლ๑] სეგმენტში [ბალ๑მა]—„მაგარ" [რ๑]-ს სეგმენტში [ბარ๑მა].[3] მეორე მხრივ, [ლ̃] და

———

[1] შდრ. Paul L. Garvin, On linguistic method (ganua Linguarum, XXX), The Hague, 1964, გვ. 8—11 სტრუქტურალიზმის ძირითადი პოსტულატების შესახებ იხ. აგრეთვე Paul L. Garvin, იქვე, გვ. 144—147, 148.

[2] შეცდომა იქნებოდა, თუ დიაქრონიას განვსაზღვრავდით როგორც სინქრონიათა ჯამს (და არა თანმიმდევრობას დროში). ჯამი არ იცვლება შესაკრებთა გადაადგილებით $(3+5=5+3)$, მაშინ როდესაც დიაქრონია არ არის უკუშექცევადი პროცესი: ცალკეული სინქრონიული მდგომარეობანი ქმნიან ფიქსირებულ რიგს და არავითარ გადაადგილებას არ ექვემდებარებიან.

სინქრონიული ანალიზი დამოუკიდებელია დიაქრონიულისაგან.

დიაქრონიული ანალიზი, პირიქით, გულისხმობს სინქრონიულს (სულ ცოტა ორ სინქრონიულ ჭრილს მაინც!), როგორც აუცილებელ წინაპირობას. იხ., მაგ., H. M. Hoenigswald, Language change and linguistic reconstruction, Chicago, 1961, გვ. 3.

[3] ფონემას მიეწერება ე. წ. დისტინქციური, ანუ მადიფერენცირებელი (და არა სემანტიკური) ფუნქცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ფონემას აქვს უნარი განასხვაოს მნიშვნელობის მატარებელი ერთი ერთეული (მორფემა) იმავე იერარქიული დონის სხვა ერთეულისაგან. თავის ფუნქციას

[ლზ] (შესაბამისად [რ̃] და [რზ]) ბგერითი სეგმენტები ფუნქციონალურად ეკვივალენტურნი არიან, რადგანაც აქვთ უნარი სხვადასხვა ფონემურ გარემოცვაში შეენაცვლონ ერთმანეთს ერთი და იმავე მორფემის ფარგლებში და არა აქვთ უნარი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს იდენტურ ფონემურ გარემოცვაში, როგორც სხვადასხვა მორფემის შემადგენელი ელემენტები.

Ⴇავისთავად ცხადია, რომ ჩატარებული პროცედურა აკმაყოფილებს სინქრონიულობის პრინციპის მოთხოვნასაც: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფაქტებს ვუპირისპირებთ ისევ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფაქტებს და არა ძველი ქართულის ან რომელიმე თანამედროვე დიალექტის, თუ მონათესავე ენის მონაცემებს.

Ⴀმავე პრინციპების საფუძველზე შემუშავებული პროცედურების გამოყენება მორფოლოგიის დონეზე შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ მნიშვნელობის მატარებელ მინიმალურ ერთეულთა, მორფემათა იდენტიფიკაცია და დავადგინოთ სათანადო კატეგორიათა სისტემა:

/-ით/ სეგმენტი სიტყვაში /თოფ-ით/ და /-თი/ სეგმენტი სიტყვაში /წყარო-თი/ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ფონემური გამოხატულებით (ე. ი. ფორმალურად), მაგრამ ფუნქციონალურად ეკვივალენტურნი არიან[1] და ერთნაირად უპირისპირდებიან, მაგალითად, /-ის/ და /-სი/ სეგმენტებს შესაბამისად /თოფ-ის/ და /წყარო-სი/ სიტყვებში. სწორედ ამიტომ /-ით/ და /-თი/ განიხილება როგორც ერთი და იმავე მორფემის, მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ორი ვარიანტი (ალომორფი) საპირისპიროდ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის /-ის/ და /-სი/ ალომორფებისა. Ⴀსევე, სტრუქტურულ-ფუნქციონალური ოპოზიციისა და ეკვივალენტობის საფუძველზე მ-ი-შ ე ნ ე ბ ს ფორმის /-ი-/ ელემენტი ერთიანდება ფონემურად განსხვავებულ /-უ-/ ელემენტთან უ-შ ე ნ ე ბ ს ფორმაში უპირისპირდება ჰომოფონურ /-ი-/ ელემენტს ი-შ ე ნ ე ბ ს ფორმაში: პირველი ორი საობიექტო ქცევის მორფემის ალომორფებია, უკანასკნელი სასუბიექტო ქცევის მორფემას მიეკუთვნება.

Ⴕვემოთ ჩვენ მხოლოდ მორფოლოგიური ანალიზის პროცედურათა განხილ-

ფონემა ასრულებს მხოლოდ როგორც უფრო მაღალი დონის ერთეულის, მორფემის შემადგენელი ელემენტი (ინტეგრანტი), რითაც ხორციელდება ფონემის არაპირდაპირი კავშირი ენის სემანტიკურ პლანთან. Ყდრ. E. B e n v e n i s t e, Les niveaux de l'analyse linguistique: Preprints of Papers for the Ninth International Congress of Linguists, Cambridge, Mass., 1962, გვ. 491—498 (რუსული თარგმანი იხ. Новое в лингвистике, IV, Москва. 1965, გვ. 437—439, 441—444). Ყდრ. აგრეთვე Paul L. G a r v i n, On linguistic method, გვ. 10; Г. Г л и с о н, Введение в дескриптивную лингвистику (თარგმანი ინგლისურიდან), Москва, 1959, გვ. 40—43, 91—98, 108—109.

[1] Ⴋორფოლოგიის დონეზე „ფუნქციონალური“ უდრის „სემანტიკურს“ და არა მხოლოდ „დისტინქციურს“ [ლინგვისტური ანალიზის დონეების შესახებ სპეციალურად იხ. E. B e n v e n i s t e, Les niveaux de l'analyse linguistique (რუს. თარგმანი, Новое в лингвистике, IV), შდრ. აგრეთვე Charles F. H o c k e t t, Linguistic elements and their relations (Language, 1961, vol. 37, № 1, გვ. 45—48); Paul L. G a r v i n, ხსენ. ნაშრომი, გვ. 10]. სხვანაირად რომ ვთქვათ, მორფოლოგიის დონეზე, განსხვავებით ფონოლოგიისაგან, ადგილი აქვს ფორმისა (გამოხატულებისა) და მნიშვნელობის კოვარიანტულობას (თანამონაცვლეობას), რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს მორფოლოგიურ პარადიგმათა და კატეგორიათა სისტემის აგებისათვის (Ⴈხ. Paul L. G a r v i n, იქვე, გვ. 10, 144 შმდ.).

ვით შემოვიფარგლებით, რამდენადაც Ა. შანიძის გრამატიკულ მოძღვრებაში მთავარი ადგილი სწორედ მორფოლოგიას უკავია.

სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით მორფოლოგიური ანალიზის მიზანს შეადგენს მორფოლოგიის ძირითადი ერთეულების — მორფემების გამოყოფა, მორფემათა პარადიგმატული და სინტაგმატური კლასებისა და მათ შორის არსებულ მიმართებათა დადგენა და, ბოლოს, გრამატიკულ მნიშვნელობათა, უფრო ზოგადად, გრამატიკულ კატეგორიათა სისტემის აგება [1].

Მორფოლოგიური ანალიზი შეიძლება სხვადასხვაგვარად წარიმართოს. Ერთ-ერთი მეტად გავრცელებული გზა ასეთია:

Პირველ საფეხურზე ხდება მეტყველების ნაკადის (ტექსტის) [2] დანაწევრება (სეგმენტაცია) მნიშვნელობის მქონე უმცირეს მონაკვეთებად, რომლებსაც მორფებს ან მორფემულ სეგმენტებს უწოდებენ [3]. Ანალიზის შემდგომს საფეხურზე მორფებს აერთიანებენ მორფემებად, ისე რომ ფუნქციონალურად ეკვივალენტური მორფები ერთი და იმავე მორფემის ვარიანტებად (ალომორფებად) განიხილებიან, ხოლო ფუნქციონალურად არაეკვივალენტური მორფები სხვადასხვა მორფემებში ნაწილდებიან, ამასთან დიდი ყურადღება ეთმობა მორფემებისა და მათი ალომორფების დისტრიბუციულ მიმართებათა გარკვევას. Ანალიზი მთავრდება მორფემათა სტრუქტურული კლასების დადგენითა და გრამატიკულ კატეგორიათა სისტემის აგებით.

Ა. შანიძის მორფოლოგიური კვლევა-ძიების ცენტრალურ პრობლემას სწორედ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკულ (კერძოდ, მორფოლოგიურ) კატეგორიათა სისტემის აგება წარმოადგენს [4].

Მორფოლოგიური ანალიზის პროცედურა, რომელსაც იყენებს Ა. შანიძე, ზოგ მომენტში განსხვავდება ჩვენ მიერ სქემატურად აღწერილი პროცედურისაგან.

Აღვნიშნოთ ეს განსხვავებანი:

(1) Მორფოლოგიური ანალიზი არ ემყარება წინასწარ ჩატარებულ ფონოლოგიურ ანალიზს [5]. Ამიტომ მორფემული სეგმენტების ჩაწერა თავისი ბუნებით

[1] Უკანასკნელ ამოცანას სტრუქტურული ლინგვისტიკის ზოგი მიმართულება (Პირველ რიგში ეს ეხება ამერიკულ სკოლას, ანუ ე. წ. „დესკრიფციულ ლინგვისტიკას") შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, რასაც თავისი საფუძველი ჰქონდა. Ამ ბოლო ხანებში სემანტიკის და, კერძოდ, აგრეთვე გრამატიკული სემანტიკის პრობლემები სტრუქტურული ლინგვისტიკის ყურადღების ცენტრში ექცევა.

[2] Იგულისხმება, რომ ფონოლოგიური ანალიზი უკვე ჩატარებულია და ხელთა გვაქვს ფონემატურად ჩაწერილი ტექსტი. Ივარაუდება აგრეთვე, რომ დადგენილია ტექსტში ფონემათა განაწილების (დისტრიბუციის) წესები.

[3] Მაგალითად, ზემოთ განხილულ ფორმებში /ით/, /თი/, /ის/, /სი/, /თოფ/, /ი/, /უ/ და მსგავსი ელემენტები სწორედ ასეთ მორფებს (resp. მორფემულ სეგმენტებს) წარმოადგენენ.

[4] Ჩვენი განხილვის საგანს აქაც და ქვემოთაც შეადგენს Ა. შანიძის კაპიტალური მონოგრაფია „Ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია" (Თბილისი, 1953). Მისი სხვა შრომების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ავტორის კონცეფციისა და კვლევის მეთოდების ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის მეორე ათწლეულში და საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო უკვე ორმოციანი წლების დამლევისათვის.

Რაც შეეხება Ა. შანიძის ისტორიულ და ისტორიულ-შედარებითს გამოკვლევებს, ამათზე აქ ჩვენ არ გვექნება მსჯელობა.

[5] Მართალია, „Გრამატიკის საფუძვლებს" წინ უძღვის მოკლე ფონეტიკური მიმოხილვა, მაგრამ ამ მიმოხილვაში ავტორი არსებითად არ სცილდება კლასიკური ფონეტიკის ფარგლებს.

გრაფემულია და არა ფონემური და ქართული ტრადიციული ორთოგრაფიის (და არა ზეპირი მეტყველების) ნორმებს ასახავს. ეს გარემოება ზოგჯერ ჩქმალავს სხვაობას მორფემათა ვარიანტებს (ალომორფებს) შორის და არ გვაძლევს ე. წ. მორფოფონემატურ მონაცვლეობათა ამომწურავი აღწერის შესაძლებლობას [1].

მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, გრაფემულად ჩაწერილი ქართული ტექსტი საკმაოდ უახლოვდება, ზოგჯერ კი თითქმის ემთხვევა ფონემურად ჩაწერილ ტექსტს, რაც რამდენადმე ამცირებს მითითებული განსხვავების მნიშვნელობას. რუსულისა ან ინგლისურისათვის ამ განსხვავებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

(2) მორფების გამოყოფის პროცედურა არ არის წარმოდგენილი როგორც მორფოლოგიური ანალიზის პირველი ეტაპი. იგულისხმება, რომ სეგმენტაცია უკვე ჩატარებულია და მნიშვნელობით აღჭურვილი უმცირესი მონაკვეთების (მორფების) გამოცალკევება არ მოითხოვს სპეციალურ დასაბუთებას [2].

შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებითი მნიშვნელობა ამ განსხვავებასაც არა აქვს. მაგრამ, თუ შევეცდებით სეგმენტაციის პროცედურის თანმიმდევრულ რეალიზაციას წმინდა სინქრონიულ საფუძველზე, ჩვენ წინაშე წამოიჭრება ზოგი პრობლემა, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია ადეკვატური და შეძლებისდაგვარად ამომწურავი მორფოლოგიური მოდელის აგებისათვის.

(3) მორფოლოგიური ანალიზი არ გვაძლევს შედეგად მორფემის (ან მისი ანალოგის) [3], როგორც ენის გრამატიკული სტრუქტურის მინიმალური ერთეულის, იდენტიფიკაციას. ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება არ იცნობს მორფემის [4] (ინვარიანტის) და, მაშასადამე, აგრეთვე ალომორფის (ვარიანტის) ცნებას [5].

არც ეს განსხვავებაა მნიშვნელობას მოკლებული: მორფების მორფემებად გაერთიანების პროცესში აგრეთვე ხშირად ჩნდება სიძნელეები, დაისმის საკითხები, რომელთა გადაწყვეტის ცდას ზოგჯერ შედეგად მოსდევს ახალი ინფორმაციის მოპოვება ენის მორფოლოგიური სტრუქტურის შესახებ.

---

[1] მორფოფონემატურ მონაცვლეობათა შესახებ იხ., მაგ., Zellig S. Harris, Methods in structural linguistics, Chicago, 1951, გვ. 219, შმდ.; Charles F. Hockett, Linguistic elements and their relations (Lauguage, 1961, vol. 37, № 1). მორფოლოგიური ანალიზის პრინციპების შესახებ ზოგადად იხ. Eugene A. Nida, Morphology, The descriptive analysis of words, Ann Arbor, 1949.

[2] ამავე დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სეგმენტაციის პროცედურის ძირითადი პრინციპი ავტორს სავსებით ნათლად აქვს ფორმულირებული: ნაწილობრივ მსგავს ფორმათა შეპირისპირება როგორც გამოხატულების, ისე მნიშვნელობის თვალსაზრისით. იხ. გრამატიკის საფუძვლები, გვ. 33. შდრ. აგრეთვე, გვ. 013 (უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ).

[3] შდრ. „მონემა“ ა. მარტინესთან. იხ. А. Мартине, Основы общей лингвистики (თარგმანი ფრანგულიდან): Новое в лингвистике, III, Москва, 1963, გვ. 378—379.

[4] ტერმინი „მორფემა“, რომელსაც არაიშვიათად ვადასტურებთ ა. შანიძესთან, იხმარება როგორც ფორმანტის, აფიქსის სინონიმი. იხ., მაგ., გრამატიკის საფუძვლები, გვ. 33, 399 და სხვ.

[5] ცხადია, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ა. შანიძე ვერ ხედავდეს ერთი და იმავე გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველ, მაგრამ ფორმალურად განსხვავებულ ელემენტთა ფუნქციონალურ იგივეობას. პირიქით, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, „გრამატიკის საფუძვლების“ ავტორი სწორედ ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპით ხელმძღვანელობს, რაც განსაკუთრებით აშკარად იჩენს თავს ამა თუ იმ სადავო საკითხის გადაწყვეტისას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მორფემა, როგორც ენის მინიმალური ინვარიანტული ერთეული, რომელიც აღჭურვილია ნიშნის ფუნქციით, ვერ პოვებს ადგილს მის კონცეფციაში.

აღნიშნული განსხვავებანი მკაფიოდ გვიჩვენებენ ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის მჭიდრო კავშირს ტრადიციულ აღწერითს გრამატიკასთან და ერთგვარად უპირისპირებენ ამ კონცეფციას იმ ლინგვისტურ თეორიას (და სათანადო სამუშაო აპარატს), რომელიც დღეს „სტრუქტურულის" (resp. „სტრუქტურალისტურის") სახელით არის ცნობილი.

მაგრამ, მეორე მხრივ, და ამ გარემოებას განსაკუთრებით უნდა გავუსვათ ხაზი, ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ხასიათდება მთელი რიგი არსებითი ნიშნებით, რომლებიც ამჟღავნებენ ქართველი მკვლევრის შეხედულებათა (და პირველ რიგში მის მიერ გამოყენებული ევრისტიკული ტექნიკის) ფუნდამენტალურ და, შეიძლება ითქვას, ორგანულ ნათესაობას სტრუქტურული ლინგვისტიკის სახელმძღვანელო პრინციპებთან და მეთოდებთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. შანიძის გრამატიკული კვლევა-ძიების ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს პრობლემა მორფოლოგიურ კატეგორიათა აღმოჩენისა და მათი სისტემის აგებისა [1].

რა მეთოდებით ხელმძღვანელობს ავტორი მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში?

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ტექსტის პირველადი სეგმენტაციისა და მორფემის გამოყოფის პროცედურას ა. შანიძე დამოუკიდებელ ღირებულებას არ ანიჭებს. ივარაუდება, რომ მორფები უკვე გამოყოფილია [2], და მთელი ყურადღება გადატანილია გრამატიკული სემანტიკის ანალიზზე.

ანალიზის პროცედურა შემდეგნაირად არის აგებული:

მკვლევარი ცდილობს შეარჩიოს ისეთი ფორმები (resp. სიტყვები ან, როგორც ზოგჯერ უწოდებენ, „გრამატიკული სიტყვები"), რომლებიც ერთმანეთისაგან მინიმალურად განსხვავდებიან როგორც გამოხატულებით, ისე მნიშვნე-

---

[1] მორფოლოგიური და, საერთოდ, გრამატიკული კატეგორია ავტორს ესმის როგორც „ცნება, რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება" („გრამატიკის საფუძვლები", გვ. 94). თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტერმინოლოგიურ სხვაობას, ეს განსაზღვრა პრინციპში არ ეწინააღმდეგება გრამატიკული კატეგორიის „სტრუქტურალისტურ" განსაზღვრას. მაგალითად, პ. გარვინის მიხედვით გრამატიკული კატეგორია არის კორელაცია გრამატიკულ მნიშვნელობასა და პარადიგმატულ მორფემას შორის, რაც ვლინდება ფორმისა და მნიშვნელობის კოვარიანტულობის საფუძველზე. იხ. On linguistic method, გვ. 10, 98, 144—145.

როგორც ქვემოთ ვნახავთ, ფორმისა და მნიშვნელობის კოვარიანტულობის იდეა წითელ ზოლად გასდევს ა. შანიძის გრამატიკულ მოძღვრებას. ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ თავის მხრივ ეს იდეა მჭიდრო კავშირშია ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპთან და მისგან გამომდინარეობს.

[2] გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ელემენტებს ა. შანიძე უწოდებს „ფორმანტებს", „აფიქსებს", „მორფემებს" ან ზოგადად „მაწარმოებელ ელემენტებს". ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტი „ძირის" სახელწოდებით აღინიშნება (იხ., მაგ., „გრამატიკის საფუძვლები", გვ. 39). რამდენადაც ავტორის კონცეფციაში მორფემა (ინვარიანტი) არ არის გარჩეული ალომორფისაგან (ვარიანტისაგან, ანუ მორფემული ალტერნანტისაგან), იმდენად მისი „ფორმანტი" (resp. „აფიქსი"), ან „ძირი" გარკვეულ კონტექსტებში დაახლოებით შეესაბამება იმას, რასაც სტრუქტურულ ლინგვისტიკაში „მორფემას" ეძახიან, ხოლო სხვა შემთხვევებში (უფრო ხშირად!) სტრუქტურული ლინგვისტიკის „ალომორფის" (ან ზოგადად „მორფის") მიახლოებითი ეკვივალენტი გამოდის. მორფემებისა და ალომორფების შესახებ იხ. Zellig S. Harris, Methods in structural linguistics, Chicago, 1951, გვ. 156—212.

ლობით. მინიმალური განსხვავება გულისხმობს, რომ შესადარებელი ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან მხოლოდ ერთი რომელიმე თვალსაზრისით, ერთი ფორმალურ-სემანტიკური ნიშან-თვისებით, მაშინ როდესაც ყველა სხვა თვალსაზრისით ისინი იდენტურნი არიან. ამგვარ მინიმალურ ფორმალურ-სემანტიკურ განსხვავებათა არსებობა არის გრამატიკულ მნიშვნელობათა (resp. კატეგორიათა) გამოყოფის საფუძველი. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ პროცედურაში ფორმა, გამოხატულება, უფრო ზუსტად, გამოხატულების პლანის უმცირესი მონაკვეთი, რომელსაც ჰიპოთეტურად რაღაც მნიშვნელობა მიეწერება, ე. ი. მორფი, მიღებულია როგორც დამოუკიდებელი ცვლადი, ხოლო მნიშვნელობა (სემანტიკა) დამოკიდებული ცვლადის როლში გამოდის [1]. თუ ფორმის მინიმალურ შეცვლას თან სდევს შესაბამისი ცვლილება მნიშვნელობის პლანში, მაშინ მკვლევრის წინასწარი ვარაუდი, რომ მოცემული სეგმენტი (ე. ი. ფონემათა ან გრაფემათა მოცემული რიგი) მორფია და, მაშასადამე, მას გარკვეული მნიშვნელობა (აქაც და ქვემოთაც მხედველობაში გვაქვს მხოლოდ გრამატიკული მნიშვნელობა) მიეწერება, დადასტურებულია და ამით მოპოვებულია საფუძველი მორფოლოგიური კატეგორიის გამოყოფისათვის.

ფორმათა შენაცვლების ამგვარ ხერხს (მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციონალურ სხვაობათა გამოვლენის მიზნით) თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჩვეულებრივ სუბსტიტუციას უწოდებენ [2].

მორფოლოგიური ანალიზის დონეზე სუბსტიტუცია ძირითადად ორგვარი სახისაა:

(1) მორფს ენაცვლება მორფის არარსებობა (ე. წ. ნულოვანი მორფი). მაგალითად, ქართ. კაც-ე ბ-ი — კაც-ი, სადაც -ე ბ ელემენტის შეცვლას ნულით თან ახლავს მრავლობითი რიცხვის შინაარსის შეცვლა მხოლობითი რიცხვის შინაარსით.

(2) მორფს ენაცვლება სხვა მორფი. მაგალითად, ქართ. მ-ი-წერ-ს — გ-ი-წერ-ს, სადაც მ- ელემენტის შეცვლას გ- ელემენტით თან ახლავს პირველი ობიექტური პირის გაგების შეცვლა მეორე ობიექტური პირის გაგებით.

სუბსტიტუციის ეს ორივე სახე ფართოდ აქვს გამოყენებული ა. შანიძეს მორფოლოგიურ კატეგორიათა დადგენის პროცესში [3].

ახლა ვნახოთ, რა მიმართებაშია აღწერილი პროცედურა ზემოთ ჩამოყალიბებულ ოთხ პრინციპთან, რომლებიც ჩვენ სტრუქტურული მიდგომის განმასხვავებელ ნიშნებად მივიჩნიეთ.

---

[1] შდრ. Poul L. Garvin, On linguistic method, გვ. 10, 144—145.

[2] იხ. Zellig S. Harris, Methods in structural linguistics, გვ. 5, 20, 29 შმდ., 33 შმდ., 38, 40 შმდ., 72, 159, 162, 247, 300 და სხე.

[3] იმის გარკვევისას, თუ სახელდობრ რა კონკრეტული სემანტიკური ნიშან-თვისებით უპირისპირდება ერთი მინიმალური სეგმენტი მეორეს, ა. შანიძე ჩვეულებრივ ემყარება ქართული ენის პრაქტიკულ ცოდნას, საკუთარ ენობრივ ინტუიციას, ე. ი. ერთდროულად გამოდის მკვლევრისა და ინფორმანტის როლში. უფრო რთულ შემთხვევებში ავტორი განიხილავს შესაპირისპირებელ ფორმებს ფართო სინტაქსურ გარემოცვაში, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მიმართავს კონტექსტუალური ანალიზის მეთოდს, რისთვისაც მასალად იყენებს ქართული მხატვრული ლიტერატურის (უმთავრესად XIX—XX საუკუნეების) ძეგლებსა და ფოლკლორულ ტექსტებს. თავისთავად ცხადია, კონტექსტუალური ანალიზის დროსაც ივარაუდება საანალიზო ტექსტის შინაარსის პრაქტიკული ცოდნა.

(1) სრულიად აშკარაა, რომ Ა. Შანიძის პროცედურა გულისხმობს დისკრეტულობის პრინციპის აღიარებას: აფიქსები (ფორმანტები) და მათი შესაბამისა გრამატიკული მნიშვნელობანი დისკრეტულ ერთეულებს წარმოადგენენ.

(2) სტრუქტურულობის პრინციპი აგრეთვე წარმოადგენს ავტორის კონცეფციის ერთ-ერთ ქვაკუთხედს: ენა, კერძოდ, ენის მორფოლოგიური აგებულება განიხილება როგორც პარადიგმატულ ოპოზიციათა სისტემა, სადაც თითოეული ელემენტის ფუნქცია განისაზღვრება სხვა ელემენტებთან მიმართებაში: და-ვ წ ე რ ე სრული ასპექტია, იმიტომ რომ მას უპირისპირდება ვ წ ე რ ე, რომელიც უსრულ ასპექტს გამოხატავს; ი-წ ე რ ს სასუბიექტო ქცევაა, იმიტომ რომ მას უპირისპირდება წ ე რ ს (ნეიტრალური ქცევა) და უ-წ ე რ ს (საობიექტო ქცევა) და ა. შ. Იქ, სადაც ოპოზიცია არა გვაქვს, არც გრამატიკული კატეგორია გამოიყოფა: უ-ყ ვ ა რ ს არ არის საობიექტო ქცევა, იმიტომ რომ არ დასტურდება საპირისპირო *ყ ვ ა რ ს ფორმა, რომელსაც ნეიტრალური ქცევის მნიშვნელობა ექნებოდა [1].

(3) Ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ Ა. Შანიძე ხელმძღვანელობს ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპითაც, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება სტრუქტურულობის პრინციპს. Მაგალითისათვის განვიხილოთ ორი პარადიგმატული სერია:

I	II
და-მ-ი-ყენა	და-მ-ი-ყენა
და-გ-ი-ყენა	და-გ-ი-ყენა
და-ი-ყენა	და-უ-ყენა

Და-მ-ი-ყენა, როგორც I პარადიგმატული სერიის წევრი, სასუბიექტო ქცევის ფორმაა; შესაბამისად -ი- პრეფიქსი განიხილება, როგორც სასუბიექტო ქცევის ნიშანი.

Და-მ-ი-ყენა, როგორც II პარადიგმატული სერიის წევრი, საობიექტო ქცევის ფორმაა; შესაბამისად -ი- პრეფიქსი განიხილება როგორც საობიექტო ქცევის ნიშანი [2]. -ი- ელემენტი II პარადიგმატულ სერიაში ფუნქციონალურად განსხვავდება -ი- ელემენტისაგან I პარადიგმატულ სერიაში და, მეორე მხრივ, ფუნქციონალურად უტოლდება II პარადიგმატული სერიის -უ- ელემენტს. -ი- და -უ- მორფების ფუნქციონალური ტოლობა II პარადიგმატულ სერიაში აშკარაა, რამდენადაც აღნიშნული სერიის ფარგლებში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან განსხვავებულ მორფოლოგიურ გარემოცვაში: „ი იხმარება მაშინ, როცა ირიბ ობიექტად I ან II პირია... უ კი მაშინ, როცა ირიბ ობიექტად III პირია“ [3].

---

[1] „Გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 355, 392, 394.

[2] Იქვე, გვ. 342—343.

[3] Იქვე, გვ. 340. Როგორც ვხედავთ, ავტორი აქ ადგენს საობიექტო ქცევის -ი- და -უ- პრეფიქსების განაწილებას (დისტრიბუციას) და ადასტურებს მათ შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულების არსებობას. Საერთოდ კი Ა. Შანიძე შედარებით იშვიათად მიმართავს დისტრიბუციულ კრიტერიუმს და არ იყენებს მას როგორც ლინგვისტური ანალიზის აშკარად ფორმულირებულ მეთოდს. Აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მორფოლოგიური კომბინატორიკა, საკითხი მორფემათა განლაგებისა, რიგისა სიტყვის ფარგლებში (ე. წ. მორფოტაქტიკა) და სხვა ანალოგიური პრობლემები Ა. Შანიძეს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია.

ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპის ილუსტრაციად გამოგვადგება აგრეთვე მაგალითი, რომელიც ზემოთ იყო განხილული: *უ-ყვარს* ფორმალურად საობიექტო ქცევაა (შდრ. მ-ი-ყვარს, გ-ი-ყვარს, უ-ყვარს — მ-ი-ზის, გ-ი-ზის, უ-ზის), მაგრამ ფუნქციონალურად არ მიეკუთვნება საობიექტო ქცევას (საოპოზიციო ცალის უქონლობის გამო; შდრ. ზის—უ-ზის და სხვ.), არამედ უქცეოა, ნეიტრალურია ქცევის კატეგორიის თვალსაზრისით. შესაბამისად, *უ-ყვარს* ზმნის უ- პრეფიქსი (პირველ და მეორე ობიექტურ პირებთან ი-პრეფიქსი) ფუნქციონალურად არ უტოლდება, მაგალითად, *უ-ზის* ზმნის უ- (resp. ი-) პრეფიქსს, მიუხედავად მათი ფორმალური იდენტობისა [1].

სწორედ ასევე, ა. შანიძისათვის და-ი-წყებს არ არის სასუბიექტო ქცევა (არ არსებობს *და-წყებს ან *და-ა-წყებს), მაგრამ არც უქცეოა, რადგანაც მოგვეპოვება საობიექტო ქცევის და-უ-წყებს ფორმა, რომელთან დაპირისპირებაშიც და-ი-წყებს განიხილება, როგორც ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმა (შდრ. და-ა-წყობს — და-ი-წყობს — და-უ-წყობს) [2].

(4) ზემოთ აღნიშნული იყო, რომ სინქრონიულობის პრინციპი ავტომატურად გამომდინარეობს სტრუქტურულობის პრინციპიდან. ამიტომ, თუ ა. შანიძე მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოყოფისას სტრუქტურულობის (და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ფუნქციონალური ეკვივალენტობის) პრინციპით ხელმძღვანელობს, მოსალოდნელია, მისი პროცედურა სინქრონიულ საფუძველზე იყოს აგებული. მართლაც, ფორმათა შეპირისპირების, მინიმალურ ფორმალურ-ფუნქციონალურ ოპოზიციათა დადგენის მეთოდი, რომელიც ა. შანიძის ხელში მორფოლოგიურ კატეგორიათა გამოვლენის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, თავისი ხასიათით სინქრონიულია და სხვაგვარი არც შეიძლება იყოს.

სინქრონიული მიდგომა (resp. სინქრონიისა და დიაქრონიის გარჩევა) განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს ე. წ. ლოკალურ ბრუნვათა საკითხში. ისეთ ფორმებს, როგორიცაა *ქალაქ-ში*, *ქალაქ-ზე*, *ქალაქ-იდან*, *ქალაქ-ამდე*, ტრადიციულად თანდებულიან ბრუნვებად განიხილავენ. არგუმენტს ამგვარი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ წარმოადგენს ის კარგად ცნობილი ფაქტი, რომ აღნიშნული ფორმები წარმოშობით ნამდვილად თანდებულიანი ბრუნვებია (ქალაქ-ში < ქალაქ-ს-ა შინა, ქალაქ-იდან < ქალაქ-ით-გან და მისთ.): ის, რაც წარმოშობით თანდებულიანი ბრუნვაა, დღესაც ასეთად უნდა იქნეს მი-

---

[1] ამგვარ შემთხვევებში ა. შანიძე ლაპარაკობს „მოჩვენებითი კატეგორიის“ შესახებ. იხ. „გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 412, 414, 444. შდრ. ა. შანიძე, „ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია“, თბილისი, 1930, გვ. 127.

[2] „გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 357—358. აქ ავტორის წინაშე დგას გრამატიკულ ოპოზიციათა ნეიტრალიზაციის პრობლემა (შდრ. ანალოგიური პრობლემა ფონოლოგიაში). უფრო თანმიმდევრული იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ და-ი-წყებს ფუნქციონალურად არ უდრის არც სასუბიექტო და არც ნეიტრალურ ქცევას, არამედ ეს არის „არასაობიექტო“ ქცევა, რომლის „არქიმორფემის“ როლშიც გამოდის სასუბიექტო ქცევის მორფემა. არქიმორფემის შესახებ იხ. S. Saporta, Morph, morpheme, archimorpheme (Word, vol. 12, № 1, 1956, გვ. 10). ფონოლოგიურ ოპოზიციათა ნეიტრალიზაციისა და არქიფონემის შესახებ იხ. Н. С. Трубецкой, Основы фонологии (თარგმანი გერმანულიდან), Москва, 1960, გვ. 86 შმდ. (გერმანული დედანი გამოვიდა 1939 წელს: N. Trubetzkoy, Grundzüge der Phonologie: Travaux du Cercle linguistique de Prague, VII, 1939).

ჩვეულით[1]. სრულიად ახლებურ ინტერპრეტაციას აძლევს ამ ფორმებს Ⴀ. Ⴘანიძე სინქრონიულობის პრინციპიდან ამოსვლით. Ⴋისი აზრით, ქართული ენის ისტორიის თანამედროვე ეტაპზე (ე. ი. დღევანდელ სინქრონიულ ჭრილში) ისეთ ფორმებში, როგორიცაა ქალაქ-ში, ქალაქ-იდან და სხვ., არ გამოიყოფა ცალკე ბრუნვის ნიშნები და ცალკე თანდებულები, რის გამოც ეს ფორმები მარტივ ბრუნვებად უნდა განვიხილოთ, ხოლო -ში || -ზე, -იდან (resp. -დან), -ამდე (resp. -მდე) ელემენტები შესაბამისად განუყოფელ მორფოლოგიურ ერთეულებად, ბრუნვის ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ. Ⴀმ ბრუნვებს ავტორი „ლოკალურ ბრუნვათა" საერთო სახელწოდებით აღნიშნავს, ხოლო, კერძოდ, სამ ასეთ ბრუნვას გამოყოფს: სადაობითი (ქალაქ-ში, ქალაქ-ზე), გამოსვლითი (ქალაქ-იდან, წყარო-დან), მიწევნითი (ქალაქ-ამდე, წყარო-მდე)[2].

-თან ელემენტი კაც-თან ტიპის ფორმებში ავტორს თანდებულად მიაჩნია, მაგრამ ისევ და ისევ არა გენეტური თვალსაზრისიდან ამოსვლით (კაც-თან < კაც-ს-თან), არამედ იმის გამო, რომ თვით თანამედროვე ქართულის მონაცემები გვაძლევენ ამგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას: ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან მიცემითი ბრუნვის -ს სუფიქსი აშკარად ჩანს -თან ელემენტის წინ (მიწა-ს-თან და მისთ.)[3].

Ⴞაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ლოკალურ ბრუნვათაგან ზოგიერთის პოსტულირება შეიძლება სადავო იყოს სინქრონიული თვალსაზრისითაც: მაგალითად, -ში და -ზე მორფემები შეიძლებოდა თანდებულებად განგვეხილა და, მაშასადამე, არ გამოგვეყო სადაობითი, როგორც ბრუნების პარადიგმის დამოუკიდებელი წევრი[4]. Ⴋაგრამ, როგორც უნდა გადაწყდეს ესა თუ ის კონკრეტული საკითხი, მაინც ძალაში დარჩება ზოგადი დებულება, რომ მორფოლოგიურ ოდენობათა გამოყოფისა და კვალიფიკაციის დროს Ⴀ. Ⴘანიძე სტრუქტურულ-ფუნქციონალური კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს და სინქრონიულობის პრინციპს ემყარება.

Ⴐოგორც ვხედავთ, Ⴀ. Ⴘანიძის მეთოდოლოგიური აპარატი, კვლევის ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ის ცდილობს ამოხსნას ქართული ენის უაღრესად

———

[1] Ⴀმგვარი „ისტორიული" (უფრო ზუსტად, გენეტური და „ატომისტური") მიდგომა არსებითად უარყოფს ყოველგვარ ცვლილებას, განვითარებას და ამდენად არავითარი აქვს საერთო ნამდვილ ისტორიზმთან.

[2] „Ⴂრამატიკის საფუძვლები", გვ. 73—76. Ⴀქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით Ⴀ. Ⴘანიძის მეთოდის თვალსაზრისით არათანმიმდევრულია -ში და -ზე მორფებით დაბოლოებულ ფორმათა გაერთიანება ერთსა და იმავე ბრუნვაში: ქალაქ-ში და ქალაქ-ზე (სახლ-ში და სახლ-ზე, მიწა-ში და მიწა-ზე...) უპირისპირდებიან ერთმანეთს როგორც გამოხატულებით (ფორმით), ისე მნიშვნელობით და, მაშასადამე, სხვადასხვა მორფოლოგიურ კატეგორიებს განეკუთვნებიან. Ⴄს ფაქტი მხედველობიდან არ გამოჰპარვია „Ⴂრამატიკის საფუძვლების" ავტორს, თითქოს სათანადო დასკვნაც გაუკეთებია (იხ. გვ. 76, შენიშვნა 1.), მაგრამ ბრუნვათა პარადიგმაში მაინც მხოლოდ ერთი -ში/-ზე ბრუნვა (სადაობითი) შეუტანია.

[3] „Ⴂრამატიკის საფუძვლები", გვ. 70, 76 (შენიშვნა 3). სტრუქტურული ლინგვისტიკის ენით რომ ვიტყოდით, რომ კაც-თან ტიპის ფორმებში, ე. ი. თანხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებთან -თან მორფემის წინ მიცემითი ბრუნვის მორფემა ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი.

[4] Ⴘდრ. მა-ს-ში, მა-ს-ზე, სადაც -ში და -ზე მორფემების წინ ცხადად არის წარმოდგენილი მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს. Ⴐაც შეეხება ისეთ ფორმებს, როგორიცაა ქალაქ-ში, ქალაქ-ზე, მთა-ში, მაგიდა-ზე...., შეიძლება დავუშვათ, რომ მიცემითი ბრუნვის მორფემა აქ ნულოვანი ალომორფით რეალიზდება (შდრ. კაც-თან ტიპის ფორმების ანალოგიური ინტერპრეტაცია).

რთული მორფოლოგიური მექანიზმის საიდუმლოებანი, განსაცვიფრებელ მსგავსებას ამჟღავნებს ლინგვისტური კვლევა-ძიების იმ მიმართულებასთან, რომელიც „სტრუქტურალიზმის“ სახელით არის ცნობილი.

ბუნებრივად თავს იჩენს კითხვა:

რასთან გვაქვს საქმე: შეგნებულ, აშკარად გამოხატულ სტრუქტურულ მიდგომასთან, თუ, ასე ვთქვათ, „სტიქიურ სტრუქტურალიზმთან“, რომელიც მეტი ან ნაკლები დოზით ყოველი ნიჭიერი ლინგვისტის შრომებში შეიძლება აღმოვაჩინოთ?

ა. შანიძეს არ შეუქმნია ენის ზოგადი თეორია და არ ჩამოუყალიბებია ამოსავალი პოსტულატები, რომლებიც საფუძვლად უძევს კვლევის მის მეთოდებს [1].

არსაიდან არა ჩანს აგრეთვე, რომ „გრამატიკის საფუძვლების“ ავტორი ხელმძღვანელობდა რომელიმე ცნობილი ზოგადლინგვისტური კონცეფციით [2].

ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ევრისტიკული ხერხები, რომლებსაც ასე ეფექტურად იყენებს ა. შანიძე მორფოლოგიური ანალიზის პროცესში, თავდაპირველად ინტუიციურად იყო მიგნებული მის მიერ და არ იყო დედუცირებული ამა თუ იმ ზოგადი თეორიიდან. მაგრამ ერთხელ მიგნებული ხერხები კვლევა-ძიებისა ა. შანიძემ შეგნებული რეფლექსიის საგნად აქცია და თანდათანობით გამოიმუშავა მორფოლოგიური ანალიზის ექსპლიციტურად ჩამოყალიბებული პროცედურა [3].

მორფოლოგიური ანალიზის აპარატის ამგვარი ექსპლიციტურობა უფლებას გვაძლევს დავახასიათოთ ა. შანიძის თვალსაზრისი, როგორც შეგნებულად „სტრუქტურალისტური“. მართლაც, „გრამატიკის საფუძვლების“ ავტორი არა მარტო გადმოგვცემს თავისი კვლევა-ძიების შედეგებს, არამედ გვიჩვენებს იმასაც, თუ რა გზით, რა მეთოდების გამოყენებით მიიღო მან ეს შედეგები.

მოვუსმინოთ თვით ა. შანიძეს: „ახალი კატეგორიების დადგენა, რომელიც წილად ხვდა ამ წიგნის ავტორს, შედეგია იმისა, რომ გრამატიკული ფაქტების კვალიფიკაციის დროს მას კრიტერიუმად მომარჯვებული აქვს ფორმათა შეფარდების ხერხი, დაყრდნობილი სხვების მიმართ ერთგვარს, მაგრამ ურთიერთ შორის განსხვავებულ ფორმათა პირისპირ არსებობის საფუძველზე. ამ გზით შემუშავებული ფორმათა შეპირისპირების პრინციპი საკმაო სიცხადით მოჩანს 1930 წლის გამოცემაშიც (გგ 126, 127), ოღონდ წინამდებარე გამოცემაში ეს პრინციპი თავიდან ბოლომდე სისტემებრ არის გატარებული და ყოველმხრივ დაზუსტებული“ [4].

სხვა ადგილას ავტორი სვამს კითხვას: „რა არის იმის საფუძველი, რომ რომელიმე ფორმა, ვთქვათ „დავწერე“, ერთსა და იმავე დროს რამდენიმე კატეგორიას გვიჩვენებს...?“ და იქვე იძლევა პასუხს: „საფუძველი ის გახლავს, რომ ამ ფორმის გვერდით ენაში არსებობს რიგი იმავე ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები

---

[1] მას რომ ასეთი თეორია შეექმნა, ეჭვი არ არის, ამ თეორიას აშკარად გამოხატული სტრუქტურალური ხასიათი ექნებოდა (რაც, რასაკვირველია, თეორია თანხმობაში იქნებოდა კვლევა-ძიების პრაქტიკასთან).

[2] მაგალითად, მის შრომებს არ ეტყობა თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებლის ფ. დე-სოსიურის იდეებისა და სპეციფიკური ტერმინოლოგიის გავლენა.

[3] ამაზე სამართლიანად მიუთითებს თვით ავტორიც. იხ. „გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 013, 015.

[4] „გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 019.

ფორმებისა, რომელთაც ეს ერთი „დავწერე“ სხვადასხვანაირად შეეზომება და დაუპირისპირდება. შედეგი ის არის, რომ ერთთან დაპირისპირებისას ერთ ნიშანს[1] ვიღებთ, მეორესთან დაპირისპირებისას — მეორეს, მესამესთან — მესამეს და ასე ბოლომდის. ეს ნიშნები კატეგორიებია, რომლებიც გარკვეულ ცნებებს შეიცავენ. მაშასადამე, მორფოლოგიური თვალსაზრისით ერთი და იმავე ბგერითი შედგენილობის სიტყვა სხვადასხვა დაპირისპირებათა ნიადაგზე სხვადასხვა ფუნქციის მატარებლად წარმოგვიდგება. „დაპირისპირებისას აუცილებელია, რომ საოპოზიციო ცალი (ან ცალები) განსხვავებული იყოს როგორც გარეგნული სახით, ბგერობრივად, ისე გრამატიკული შინაარსითაც, ე. ი. როგორც ფორმით, ისე ფუნქციით“[2].

ოსტატურად შერჩეული საილუსტრაციო მაგალითები კიდევ უფრო ნათელს ხდიან „გრამატიკის საფუძვლების“ ავტორის „სტრუქტურალისტურ“ პოზიციას[3]. შდრ. აგრეთვე ტიპიურად „სტრუქტურალისტური“ დებულებანი და დეფინიციები: „დაპირისპირება... სულ ცოტა, ორ სხვადასხვა ფორმას გულისხმობს, ურთიერთ შორის განსხვავებულს ბგერათა შედგენილობითაც და გრამატიკული მნიშვნელობითაც“ („გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 392—393); „ფორმების დაპირისპირება ერთი ნიშნით ხდება, დანარჩენი ნიშნები კი ყველა საერთოა“ (იქვე, გვ. 392)[4]; „საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქმნის გრამატიკულ ფორმას და რა კატეგორიასთან გვაქვს საქმე, ან როგორია ეს კატეგორია, ნამდვილი თუ მოჩვენებითი, წყდება არა აბსტრაქტულად, სხვა ფორმებისაგან მოწყვეტით, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით: რა რას უპირისპირდება და რა ნიშნის მიხედვით უპირისპირდება“ (იქვე, გვ. 020)[5] და ბევრი სხვა.

შეგნებული რეფლექსიის საგანს წარმოადგენს ა. შანიძის შრომებში აგრეთვე.

---

[1] „ნიშანი“ აქ უნდა გავიგოთ, როგორც „ნიშან-თვისება“ (რუს. „признак“) და არა როგორც საკუთრივ „ნიშანი“ (რუს. „знак“).

[2] „გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 390 (შდრ. ზემოთ ფორმისა და მნიშვნელობის კოვარიანტულობის პრინციპი ჩ. დარვინთან). ეს დებულება (ოდნავ განსხვავებული რედაქციით) ავტორმა ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ 1930 წელს, ე. ი. სტრუქტურალიზმის გარიჟრაჟზე (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, „ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია“, ტფილისი, 1930, გვ. 134).

[3] იხ. „გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 390—393.

[4] მაგალითად, „დროის მიხედვით „დავწერე“ წარსულია, რადგანაც მას პირისპირ უდგას „დავწერ“, რომელსაც მომავლის გაგება აქვს“ („გრამატიკის საფუძვლები“, გვ. 391). რატომ შეუპირისპირა ა. შანიძემ დ ა ვ წ ე რ ე ფორმას დ ა ვ წ ე რ და არა, ვთქვათ, ვ წ ე რ? იმიტომ, რომ ავტორი ცდილობს დაძებნოს ისეთი საოპოზიციო ცალები, რომლებიც ერთმანეთს ერთი და მხოლოდ ერთი ფორმალურ-ფუნქციონალური ნიშან-თვისებით უპირისპირდებიან. დ ა ვ წ ე რ — დ ა ვ წ ე რ ე სწორედ ასეთ „მინიმალურ წყვილს“ წარმოადგენს, მაშინ როდესაც ვ წ ე რ ფორმა უპირისპირდება დ ა ვ წ ე რ ე ფორმას არა მარტო დროის, არამედ აგრეთვე ასპექტის კატეგორიის (resp. ზმნისწინის მქონებლობის) თვალსაზრისითაც. შდრ. ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქცევის საკითხისათვის ქართულში: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1965, გვ. 184.

[5] უკანასკნელი ნაწყვეტი განსაკუთრებით სიმპტომატურია: ავტორი აქ აშკარად ილაშქრებს „ატომისტური“ მიდგომის წინააღმდეგ და იცავს სტრუქტურულობის პრინციპს.

პრობლემა ფორმისა და ფუნქციის [1] ურთიერთმიმართებისა [2] და ესეც, შეიძლება ითქვას, სპეციფიკურად „სტრუქტურალისტური" პრობლემაა. არსებითად „სტრუქტურალისტურია" ამ პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტაც, რომელიც ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპს ემყარება (შდრ. ზემოთ) და მორფოლოგიის დონეზე ფორმისა და მნიშვნელობის კოვარიანტულობას გულისხმობს.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ა. შანიძის გრამატიკული მოძღვრება ძირითად მომენტებში შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ერთ-ერთი ადრინდელი նაირსახეობა სტრუქტურალიზმისა მორფოლოგიის სფეროში. კერძოდ, როგორც ნაჩვენები იყო, ა. შანიძის მიერ შემუშავებული პროცედურა მორფოლოგიური ანალიზისა ნათლად გამოხატულ „სტრუქტურალისტურ" ხასიათს ატარებს [3].

სტრუქტურალიზმის მიმდინარეობათაგან ა. შანიძის გრამატიკული შეხედულებანი ყველაზე მეტ საერთოს პრაღის სკოლის (ე. წ. „ფუნქციონალური ლინგვისტიკის") იდეებთან და მეთოდებთან ამჟღავნებენ: „ფუნქციის წამოწევა და მისთვის სათანადო ადგილის მიჩენა" [4] („გრამატიკის საფუძვლები", გვ. 020), პარადიგმატული ასპექტის უპირატესობა სინტაგმატურთან შედარებით, ერთგვარი მიდრეკილება ბინარიზმისაკენ [5] ის ნიშან-თვისებებია, რომლებიც გვაძლევენ

---

[1] ა. შანიძისათვის „ფორმა" ვიწრო მნიშვნელობით გულისხმობს სიტყვის ბგერითს მხარეს (ანუ გამოხატულებას), ხოლო „ფორმა" ფართო გაგებით — როგორც გამოხატულებას, ისე მნიშვნელობა-დანიშნულებასაც, ფუნქციასაც („გრამატიკის საფუძვლები", გვ. 1). „ფუნქცია" ა. შანიძეს ესმის როგორც მნიშვნელობა, შინაარსი (იქვე, გვ. 018, 390, 393 და სხვ.) ან მნიშვნელობა-დანიშნულება (გვ. 1), ან მხოლოდ დანიშნულება (გვ. 74). ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ისე როგორც ეს მიღებულია თანამედროვე სტრუქტურულ ლინგვისტიკაში, განვასხვაოთ ერთმანეთისაგან „შინაარსი", ანუ „მნიშვნელობა". (resp. „სემანტიკა") და „ფუნქცია" („დანიშნულება", „როლი"). შეიძლება ვთქვათ, რომ ფუნქცია აქვს ენის ყველა სტრუქტურულ ერთეულს, მაშინ როდესაც მნიშვნელობა (სემანტიკა) არ მიეწერება ენის ისეთ ფუნქციონალურად რელევანტურ ელემენტს, როგორიცაა, მაგალითად, ფონემა.

[2] იხ. „გრამატიკის საფუძვლები", §§ 154, 240, 340, 414 და სხვ.

[3] რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მსგავსება ა. შანიძის პროცედურასა და ენობრივი ანალიზის სტრუქტურულ მეთოდებს შორის პირველად ვ. ჟ ი რ მ უ ნ ს კ ი მ და მ. გ უ ხ მ ა ნ მ ა აღნიშნეს. ანალოგიური მოსაზრება გამოთქვა მ. ი ა ნ ქ ო შ ვ ი ლ მ ა ამ რამდენიმე წლის წინათ წაკითხულ მოხსენებაში. შდრ. აგრეთვე Т. А. Д е г т е р е в а, Развитие методов и общей проблематики в советском языкознании (წიგნში: Принципы научного анализа языка, Москва, 1959).

[4] მართალია, „ფუნქცია" ა. შანიძის გაგებით არ ფარავს „ფუნქციას" პრაღის სკოლის წარმომადგენელთა გაგებით (შდრ. შენიშვნა ზემოთ), მაგრამ რამდენადაც მორფოლოგიის დონეზე „ფუნქციონალური" ძირითადად უდრის „სემანტიკურს", ამ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება.

[5] შდრ. წართქმითი — უკუთქმითი ქცევა, სადაც წართქმითი აერთიანებს სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებს (კუთვნილებითი ურთიერთობა აღნიშნულია!), ხოლო უკუთქმითი ნეიტრალურ ქცევას უდრის (კუთვნილებითი ურთიერთობა აღნიშნული არ არის!) („ქართ. გრამატიკა, I", გვ. 104, „გრამატიკის საფუძვლები", გვ. 392), წართქმითი (მითითებული) — უკუთქმითი (მიუთითებელი) სიტუაცია („გრამატიკის საფუძვლები", გვ. 382) და სხვ. წართქმითი და უკუთქმითი (resp. აღნიშნული და აღუნიშნავი, მარკირებული და არამარკირებული) ფორმების გარჩევა პარალელს პოვებს ნ. ტრუბეცკოის ფონოლოგიურ კონცეფციაში (იხ. Основы фонологии, გვ. 90) და რ. იაკობსონის მორფოლოგიურ გამოკვლევებში (იხ. Основные направления структурализма, გვ. 102 შმდ.).

უფლებას Ⴀ. Ⴘანიძის გრამატიკული მოძღვრება პირველ რიგში სწორედ „ფუნქციონალური ლინგვისტიკის“ თავისებურ ვარიანტად მივიჩნიოთ.

Ⴐოგორც ცნობილია, სტრუქტურალიზმი ევროპასა და ამერიკაში ფონოლოგიით დაიწყო. Ⴀ. Ⴘანიძემ გვერდი აუარა საკუთრივ ფონოლოგიურ პრობლემატიკას და უშუალოდ ენის გრამატიკული აგებულების კვლევას მოჰკიდა ხელი. Ⴀმასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ Ⴌ. Ⴒრუბეცკოის აზრით, თვით ფონოლოგიის წარმოშობა იყო შედეგი ფონეტიკაში იმ პრინციპების დანერგვისა, რომლებიც შესაფერისია გრამატიკული სისტემის ანალიზისათვის [1].

Ⴗოველგვარი ნოვატორობა სიძნელეებს ხვდება. Ⴈს, ვინც ახალი გზების გაკვალვას ცდილობს, შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ იქნება. Ⴆემოთ ჩვენ გაკვრით აღვნიშნეთ, რომ ზოგჯერ Ⴀ. Ⴘანიძე ვერ ახერხებს საკუთარი პრინციპების სავსებით თანმიმდევრულ რეალიზაციას. Ⴀნალოგიური მაგალითები სხვაც შეიძლებოდა მოგვეყვანა. Ⴀრაფერი არ არის გასაკვირველი არც იმაში, რომ Ⴀ Ⴘანიძემ ბოლომდე ვერ დაძლია ძველი დროიდან ნაანდერძევი გრამატიკული ტრადიცია და მთლიანად ვერ განთავისუფლდა მეცხრამეტე საუკუნის „ატომისტური ისტორიზმის“ გავლენისაგან.

Ⴀმჯერად ჩვენი მიზანია გავხაზოთ არა ის, თუ რა ვერ გააკეთა დღემდე Ⴀ. Ⴘანიძემ, არამედ ის, რაც მან გააკეთა.

Ⴀ. Ⴘანიძის მიერ მოპოვებული პოზიტიური შედეგები არა მარტო მყარ საფუძველს ქმნის ქართული ენის შემდგომი სინქრონიული კვლევისათვის, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამ კვლევის მიმართულებასაც.

[1] Ⴈხ. Основные направления структурализма, გვ. 98—99.



Შ. ყანიძე — Პეტერბურგის უნივერსიტეტის ასპირანტი
(1914)

Ს. ყანიძე 1965 წელს

ქ ს ე ნ ი ა   ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე

აკაკი შანიძის ფოლკლორისტული ძიებანი

ბუნებრივია ენათმეცნიერის ინტერესი ხალხური სიტყვიერებისადმი და მაინც გვაოცებს აკაკი შანიძის ფოლკლორისტული მუშაობის მრავალი მხარე. როცა ვფურცლავთ ამ გამოჩენილი ფილოლოგის შეკრებილ ხალხურ პოეტურ ტექსტებს, წარმოვიდგენთ ქართული ზეპირსიტყვიერების ვრცელ სამყაროს, ამ ტექსტებისადმი დართული კომენტარებით კი გზას ვიკვლევთ მრავალი საიდუმლოებით მოცულ ამ რთულ სამყაროში. დაუფასებელია ის ამაგი, რაც აკაკი შანიძემ ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრების, პუბლიკაციისა და შესწავლის დიდ ეროვნულ საქმეს დასდო. იგი მუდამ სამაგალითო იქნება ეროვნული კულტურის მუშაკთათვის.

აკაკი შანიძემ სიყრმიდანვე შეიყვარა მშობლიური ხალხური შემოქმედება. ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლისას გაუტაცნია იგი მთის პოეზიას. ადრევე დაუწყია ხალხური მარგალიტების ძიება. ამ მხრივ მან პირველი დიდი მისია 1911 წ. იკისრა. ამას მოჰყვა ექსპედიციები და მივლინებანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობით მისი დაინტერესების გამო ხევსურული პოეზიის კრებულის წინასიტყვაობაში აღნიშნულია: ,,ჩემი ინტერესი მთისადმი იწყება 1908 წლიდან, როდესაც გიმნაზიელმა ზაფხული გავატარე ბიძა-ჩემთან ს. ყორჯში, სადაც ნარევი მოსახლეობაა მთიულებისა და ფშავლებისა, რამდენიმე ლექსი იმ დროიდან მომდინარეობს, შემდეგ უკვე სტუდენტმა ზაფხულში პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დავალებით ვიმოგზაურე ფშავსა და თავ-ხევსურეთში, სადაც დიალექტოლოგიური ხაზით უმთავრესად სალექსიკონო მასალებზე ვმუშაობდი, ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ 1913 წ. ზაფხულში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის დავალებით მოვიარე (15 ივნისიდან 10 ოქტომბრამდე) გუდამაყარი, მთიულეთი, ხევი, ხევსურეთი, თუშეთი და ფშავი და შევკრიბე მასალები აქაური კილოების შესახებ... მთის ხალხს, განსაკუთრებით ფშავლებს და ხევსურებს შემდეგშიც ვხვდებოდი ტფილისში, ურწოში, თუ სხვაგან და შემთხვევას არ ვუშ-

ვებდი ხელიდან, რომ ხალხური სიმღერები შემეკრიბა, თუ შემეკრებინებინა“ [1]. 1913 წ. მივლინების ანგარიში ა. შანიძემ გამოაქვეყნა კიდევაც [2]. 1916 წელს აკაკი შანიძეს სამეგრელოში შეუკრებია ხალხური შემოქმედების ნიმუშები [3]. 1921, 1923 წლებში იგი სვანეთში ეწევა ფოლკლორულ-შემკრებლობით მუშაობას. საქართველოს ამ წარმტაცი კუთხის მკვიდრთა რეპერტუარი მას შემდგომაც, მათთან შეხვედრის ცალკე შემთხვევებშიც, ჩაუწერია [4]. აკაკი შანიძემ მრავალჯერ შემოვლო საქართველოს მთა და ბარი, ჩაწერა და გამოამზეურა ძვირფასი, ხშირ შემთხვევაში უნიკალური ძეგლები ხალხური პოეზიისა, მიაგნო, გაიცნო და დაიახლოვა მრავალი ოსტატი ზეპირსიტყვიერებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხური საუნჯის შეკრების დიდი ეროვნული საქმისათვის მან დარაზმა ფილოლოგთა მთელი პლეადა — თავისი კოლეგები, მოწაფეები და მხატვრული სიტყვის ოსტატებიც.

ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობისა და შეკრებილი მასალების სისტემაში მოყვანის ვრცელ გეგმას მოკლედ, მაგრამ დიდი სიცხადით წარმოგვიდგენს მეცნიერი ხევსურული პოეზიის კრებულის წინასიტყვაობაში: „არ შემიძლია არ გამოვთქვა ორი სურვილი: ერთი ისა, რომ მოეწყოს როგორც მთაში, ისე ბარში ორგანიზაციული მუშაობა ხალხური ლექსების შეკრებისათვის და ეს სამუშაო მოესწროს მანამდე, ვიდრე დავიწყებული იქნებოდეს ხალხის მიერ საუკუნეებით შექმნილი და აქამომდე ზეპირად შემონახული ლექსები და სხვა დარგის ნიმუშები ხალხური შემოქმედებისა, რაიცა აგრე ძვირფასია მეცნიერებისათვის... მეორე: ფოლკლორის მნიშვნელობა არა მარტო წარსულის შესასწავლად, არამედ ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის გადასაჭრელად გვავალებს შევქმნათ არქივი ხალხური შემოქმედების ნაყოფთა დასაცავად და მოსავლელად, სათანადო კატალოგებითა და ნუსხებით, რომ მათი გამოყენება შეეძლოს ყველას, ვისაც კი ინტერესი აქვს ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ კავკასიისა, თუ სხვა ერთა ფოლკლორის შედარებითი კვლევა-ძიებისათვის“ [5].

თუ როგორ ეძებდა ა. შანიძე კარგ მთქმელს, ამის სანიმუშოდ ქესარიონ გაბუურთან მისი გაცნობა და ურთიერთობაც კმარა. ეს ნიჭიერი სახალხო პოეტი მას ადრევეც სცნობია. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის ფრონტზე დაჭრილი ქესარიონი აკაკი შანიძეს უნახავს პეტერბურგში ობუხოვის საავადმყოფოში. პეტერბურგიდან იგი დორპატში გადაუყვანიათ. ამის გამო ა. შანიძე წერს: „პეტერბურგში ყოფნის დროს ქესარიონს ინტერესი აღვუძარ ხევსურული ამბების წერისადმი და რაკი ამ საქმის უნარი და ნიჭი შევატყვე, დავაწერინე ხევსურულად (არხოტულ კილოკავზე, რომელიც მისი დედაენაა) რამოდენიმე ეთნოგრაფიული წერილი და აგრეთვე ლექსები. წერა მან განაგრძო აგრეთვე დორპატშიაც, საიდანაც ფოსტით მიგზავნიდა თავის ნამუშაკევს პეტერბურგში“ [6].

---

1 ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1931, გვ. 682.

2 Отчет о летней командировке 1913 г. в Душетской и Тионетской уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров, ИАН, 1913 г.

3 „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XI, გვ. 379.

4 სვანური პოეზია, I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, გ. გუჯეჯიანმა, 1939 წ.

5 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I. ხევსურული, 1931, გვ. 031.

6 წელიწდეული, I-II, 1923—1924 წ., გვ. 120.

აკაკი შანიძის დიდი პატრიოტიზმისა და ხალხური საუნჯისადმი მისი სიყვარულის მაჩვენებელია ის, რომ ბეს. გაბუურს საკუთარი სახსრებით სისტემატურად უგზავნიდა ჰონორარს[1] მაშინ (1914—1915 წლებში), როდესაც ეს მისთვის არც თუ ისე ადვილი იქნებოდა. აკაკი შანიძისთვის თავიანთი რეპერტუარი მიუწოდებიათ მსოფლიო ომში დაჭრილ სხვა მოლექსეთაც[2].

განსაკუთრებული გულისყური ა. შანიძემ მთის პოეზიას მიაპყრო. უტყუარი ფილოლოგიური ალღოთი დაჯილდოვებულმა მეცნიერმა ახალგაზრდობიდანვე კარგად იცოდა, რაც ბარში უკვე გამქრალი და დაკარგულია, ჯერ კიდევ შემორჩენილია მთაში, იცოდა, რომ საქართველოს მთიანეთში ძვირფასი მასალებია ქართული ენის, ზნე-ჩვეულების, პოეტური შემოქმედების გენეზისისა, განვითარების გზების და ბუნების გასათვალისწინებლად. ქართული კულტურის ბევრ სხვა მოღვაწესთან ერთად მას უთუოდ გულში ჩასწვდა მისი დიდი სეხნიის აკაკი წერეთლის მგზნებარე მოწოდება: „ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვადასხვა საჭიროება გვაქვს და აუარებელი საქმეც გვაწევს ტვირთად, ეს ვინ არ იცის... მაგრამ არც ერთი კი მათგანი ისეთი საჭირო და სასწრაფო არ არის, როგორც „ზეპირ გადმოცემების" შეკრება და შეგროვება... შედარებით ამ დიდ საქმესთან სხვები ყველა თითქმის ჩხირკედელაობათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამდენი ხანია განზე ვუდგებით ამ საჭირო საქმეს"[3]. აკაკი შანიძემ მშვენივრად იცოდა, რომ საქართველოს მთიანეთში უფრო ადრინდელი ფორმებით იყო დაცული ზეპირსიტყვიერება, რაც ძვირფას მასალას იძლეოდა მშობლიური ხალხის მრავალმხრივ შესწავლისათვის.

მთის პოეზიას ადრეც ჰყავდა მოამაგენი — ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, ალ. ყაზბეგი, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა, ნიკო ურბნელი (ხიზანაშვილი), დავით ხიზანაშვილი, გრიგოლ აფშინაშვილი, ივანე ბუქურაული, ივანე ნიჟარაძე, ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი), ზაქარია ფალიაშვილი და სხვანი. მათი შეკრებილი მასალები დაბეჭდილია ცალკე კრებულებსა თუ პერიოდულ გამოცემებში, ნაწილი კი არქივებშია დაცული. ერთი მხრივ, დიალექტოლოგიური ინტერესი და, მეორე მხრივ, მუშაობის სისტემური ხასიათი დასახელებულ პირთა შეკრებილ მასალებთან შედარებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. აკაკი შანიძის მუშაობა ამ მხრივ იმითაც გამოირჩევა, რომ უნაკლოდ ჩაწერილი ტექსტების „პასპორტიზაცია" ზუსტია. აღსანიშნავია ისიც, რომ მან საკუთარი ჩანაწერები შეამოწმა ადრე სხვათა მიერ მოპოვებულ ტექსტებთან და პირიქითაც — ადრე შეკრებილი მასალები შეუდარა ახალმოპოვებულს, რათა გამოევლინა ლაფსუსები, რასაც ხშირად აქვს ადგილი შემკრებლობით მუშაობაში. იგი ყოველმხრივ სინჯავს, ამოწმებს თითოეულ ტექსტს და ამზადებს დასაბეჭდად.

აკაკი შანიძის თვალსაზრისს ტექსტების პუბლიკაციაზე, დამოკიდებულებას ადრე ჩაწერილი მასალებისადმი ვეცნობით მისი ფუნდამენტური წიგნის „ქართული ხალხური პოეზიის" წინასიტყვაობის პირველივე სტრიქონებით. მკვლევარმა პატივისცემით მოიხსენია მთის პოეზიის მოამაგენი. მათ მიერ მოპოვებული

[1] იხ. ბეს. გაბუურის წერილები ა. შანიძისადმი: წელიწდეული, I-II, გვ. 253, 259.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, №№ 462, 472 და სხვ.

[3] ა კ ა კ ი, განცხადება, „კვალი", 1895 წ., № 6.

ტექსტებისა და ახალი მასალების მოპოვების საჭიროების გამო იქვე აღნიშნა: „ყველა ეს შეკრებილი ლექსები მხოლოდ შავი მასალაა, რომელსაც შემოწმება, შედარება და მეცნიერული დამუშავება ეჭირება, რომ შესაძლო გახდეს მათი სათანადოდ მოხმარება და გამოყენება.

ამ მიზნით განვიზრახე, რომ რევიზია მეყო და თავი მომეყარა პირველად მთელი მასალისათვის, რომელიც საქართველოს ერთ კუთხეს შეეხება, მთას, შემევსო ძველი ფონდი ჩემ და სხვათა მიერ ახალ ჩანაწერი ნიმუშებით, დამერთო სათანადო ახსნა-განმარტებანი და ლექსიკონი და ამგვარად შემოწმებულ-გაცხრილული, გამართული და დალაგებული მიმეწოდებინა მკითხველისათვის, როგორც სანდო მასალა და ამით საფუძველი დამედო ხალხური პოეზიის მეცნიერული გამოცემისათვის და გზა გამეკაფა ფართო და სერიოზული ფოლკლორისტული კვლევა-ძიებისათვის ჩვენში“ [1]. ამგვარმა დამოკიდებულებამ საქმისადმი სამაგალითოდ აქცია აკაკი შანიძის პრინციპი ხალხური ტექსტების პუბლიკაციისა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა აკაკი შანიძის რედაქციით გამოქვეყნებული ნესარიონ გაბუურის ხევსურული მასალები [2]. ნესარიონ გაბუური — ეს ნიჭიერი მოლექსე და მთქმელი — აკაკი შანიძემ აღმოაჩინა. მისი რეპერტუარის კლასიფიკაცია ტექსტების ხასიათის მიხედვით არის მოცემული. ცალკეა გამოყოფილი ზნე-ჩვეულებანი. იგი შეიცავს როგორც ფოლკლორულ ნიმუშებს, ისევე ცნობებს მათს ტრადიციასა და შესრულების ხასიათზე. მრავალ მასალას შორის მეტად საინტერესოა ჯვარიონთა და მედროშეთა საქები სიმღერების შესრულების ტრადიციის აღწერა და ამ ტრადიციასთან დაკავშირებული ლექს-სიმღერები, ცნობები სტუმარ-მასპინძლობასთან, სხვადასხვა დღეობებთან, საქორწილო თუ სხვა რიტუალებთან დაკავშირებულ სიმღერათა შესახებ. ცნობილია, რომ ქართულ სუფრაზე სრულდებოდა სიმღერები გარდაცვლილთა შესახებ. ანიკალურია ცნობა, რომ დღეობათა დროს სტუმრობისას უფროსის დალოცვის შემდეგ უმცროსის მიერ ფანდურზე პირველ რიგში შესასრულებელი სიმღერის ადრესატი გარდაცვლილის ჭირისუფალი იყო.

ამგვარი ფუნქცია ჰქონია ტექსტს:

> მეწყალი, ჭირის პატრონო,
> სირის გონობა ძნელია,
> სირი არ წავას უჭიროდ,
> რუ ჭირის დედა მთელია.
> მკვდარ შინით დაემარხების,
> სოფელი ღონიერია [3].

ამგვარი ტექსტების შეკრება-გამოქვეყნებით აკაკი შანიძემ გაამდიდრა როგორც ეთნოგრაფიული, ისე ფოლკლორისტული მეცნიერება.

ამ განყოფილებას მოსდევს საისტორიო და სხვა ხასიათის თქმულებანი სათაურით „ძველი და ახალი ამბები“. მესამეა პოეზიის განყოფილება „ლექსები“. სულ წარმოდგენილია 126 ტექსტი. ერთვის აგრეთვე 7 პირადი წერილი ნესარიონისა აკაკი შანიძისადმი. ამ წერილების გამოქვეყნების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაშია, რომ გვაცნობს მთქმელისა და ხალხური საუნჯის შემკრების სა-

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 03.

[2] წელიწდეული, გვ. 119—336.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 127.

ნიმუშო დამოკიდებულებას. კრებულს ერთვის ლექსიკონი. კრებულში წარმოდგენილ მასალებს და ამ მასალათა სისტემატიზაციას უაღრესად დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. ის, რომ აქ ერთი მთქმელის რეპერტუარია თავმოყრილი, იძლევა საშუალებას, დავინახოთ და გავარჩიოთ ხალხურ შემოქმედებაში ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოეზიის განყოფილებაში მასალათა თანმიმდევრობას. ლექსები დაყოფილია სამ ჯგუფად: A. საკუთრივ ბესარიონისა; B. ლექსები სხვადასხვა პირებისა, რომელთა ავტორებიც ცნობილია მთქმელისთვის; C. გაგონილი ლექსები, ისეთები, რომელთა ავტორების სახელები ჟამთა სვლაში ზეპირსიტყვიერებაში დაკარგვია მთქმელებს. მასალათა ამგვარ დალაგებას მნიშვნელობა აქვს ფოლკლორისტიკის ისეთი ზოგადთეორიული საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა: ხალხური შემოქმედების დეფინიცია, ავტორობის საკითხი, ტექსტის ვარიაცია, ნოვატორობა და ტრადიცია და მრავალი სხვა. ამ კრებულში გამოქვეყნებული მასალების ნაწილი ექსპედიცია-მივლინებებში შეკრებილ და ადრე სხვა პირთა მიერ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ თუ არქივებში დაცულ მასალებთან ერთად აკაკი შანიძემ შეიტანა ხევსურული პოეზიის მის მიერ შედგენილ კრებულში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ კრებულით ახალი ეტაპი შეიქმნა ქართული ზეპირსიტყვიერების პუბლიკაციის საქმეში. მეცნიერული სიზუსტით ჩაწერილი ხალხური პოეზიის ნიმუშებით, მასალათა კლასიფიკაციით, ბრწყინვალე კომენტარებითა და ექსკურსებით, ძირითად ტექსტებზე დართული ვარიანტებით, მრავალფეროვანი ინდექსებით ეს წიგნი მუდამ იქნება ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციის სანიმუშო მაგალითი. წიგნის პირველ ნაწილში ძირითად ტექსტებად ხევსურული პოეზიის ნიმუშებია წარმოდგენილი. იგი მოიცავს სამ ძირითად ჯგუფს. ესენია: I. საგმირონი, II. სატრფიალონი, III. სხვადასხვა. პირველ ჯგუფში გაერთიანებულია საგმირო-საისტორიო და საკუთრივ საგმირო ლექსები. წიგნის ამ ჯგუფის ლექსებით გახსნის გამო წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ხევსურული პოეზიის ძირითადი თემა მამაცობაა ანუ გმირობა და ამ საგმირო ხასიათის სიმღერა-ლექსებით იწყება წიგნი"[1]. საკმაო რაოდენობით არის საგმირო ლექსები აგრეთვე მესამე ჯგუფში — „სხვადასხვა". ამ მხრივ აღსანიშნავია ნადირობისა და სიკვდილის თემებზე და აგრეთვე თქმულებებზე შექმნილი ლექსები. გვხვდება საგმირო ლექსები „ჩარევის" სახელწოდებით გამოყოფილ ჯგუფშიც. ეს გარემოება, რომ საგმირო ლექსები სხვადასხვა ჯგუფებსა და განყოფილებაშიც არის, არ მიგვაჩნია ნაკლად წიგნისა, რომელიც ერთი საერთო თემატური პრინციპითაა აგებული. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ფოლკლორული ჟანრები, გარდა იმისა, რომ მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია, ხშირად ერწყმიან კიდევაც ერთურთს. თემატური მრავალფეროვნებით მესამე ჯგუფი გამოირჩევა. ამ შემთხვევაში სირთულის დაძლევასა და მასალათა გამოყენებას მკითხველს უადვილებს ტექსტების თემატური თანმიმდევრობა. ამგვარი კლასიფიკაციით ეს განყოფილება, თავის მხრივ, 8 თემატურ ჯგუფს აერთიანებს; ესენია: ა) სალდათობა და ომი, ბ) სტუმარ-მასპინძლობა, გ) ნადირობა, დ) სიკვდილი, ე) თქმულებანი, ვ) გალექსებანი, ზ) ჩარევი, თ) მთიბლური.

წიგნის მეორე ნაწილი შენიშვნების, ვარიანტებისა და ინდექსებისაგან შედგე-

[1] ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 06.

ბა. ვარიანტებში წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილი ტექსტები — უმდიდრესი მასალა, რაც შესაძლებლობას იძლევა გავითვალისწინოთ ცალკეულ ლექსთა ბედი ზეპირ ბრუნვაში. ტექსტების კომენტარებში, რაზედაც ქვემოთ ვიმსჯელებთ, დაყენებული და გადაჭრილია ფოლკლორის მრავალი აქტუალური საკითხი. მთის ზეპირსიტყვიერების ჩაწერა-პუბლიკაციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ა. შანიძის მიერ 1913 წელს მთიულეთში ჩაწერილი საკმაოდ ვრცელი ვარიანტი ხალხური ბეჟანიანისა [1]. აქვე მკვლევარს მითითებული აქვს ეპიკური ციკლის ამ თქმულების ნ. ურბნელის, თავისუფალი სვანის (ბეს. ნიჟარაძის), თ. ძაზიკაშვილის, მესხის—ტ. გვარამაძის, დ. ტიზანაშვილისა და ს. გაჩეჩილაძის ადრე გამოქვეყნებული ვარიანტები [2].

აკაკი შანიძემ ვარლამ თოფურიასთან ერთად სერიოზული და მძიმე შრომა გასწია სვანური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებასა და გამოცემაზე. წიგნის ერთ ტომში პოეტური ტექსტებია წარმოდგენილი. წიგნის შედგენასა და მასში შეტანილი მასალების ქართულად თარგმნაში მონაწილეობდა სვანეთის მკვიდრი მერი გუჯეჯიანი [3]. 150 ლექსის შემცველი ამ წიგნის დიდი ღირსება ის არის, რომ ორიგინალიცა და თარგმანიც ერთად არის წარმოდგენილი. ამგვარად, მკვლევრებსა და ხალხური შემოქმედებით დაინტერესებულ ყველა პირს შესაძლებლობა მიეცა, გასცნობოდა უმწერლობო ენაზე მოლაპარაკე საქართველოს მკვიდრთა მდიდარ, თავისებურსა და მრავალფეროვან პოეზიას. ძირითადად ზუსტი კლასიფიკაცია ტექსტებისა ამ შემთხვევაშიც უადვილებს მკვლევარსა და მკითხველს მათს გამოყენებას. ტექსტების თანმიმდევრობა ასეთია: საისტორიო, საყოფაცხოვრებო, სარწმუნოებრივი, ქართულიდან გადაკეთებული, თანამედროვე, ნარევი სიმღერები. ცალკეა გამოყოფილი ქართული სიმღერები. ეს განყოფილება, თავის მხრივ, შეიცავს თემატურ-ჟანრობრივ ჯგუფებს: საისტორიო, საყოფაცხოვრებო, საგმირო, სარწმუნოებრივი სიმღერები. მასალათა კლასიფიკაციის ამგვარმა პრინციპმა თვალსაჩინო გახადა სვანური პოეზიის ჟანრობრივ-თემატური მრავალფეროვნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ქართულიდან გადაკეთებულ და, მეორე მხრივ, გადაუკეთებლად ქართულ ენაზევე შესრულებულ სიმღერათა ჯგუფების გამოყოფას. პირველ შემთხვევაში ვეცნობით, რომელი ქართული ტექსტი შევიდა უმწერლობო ენის ზეპირ ბრუნვაში, მეორე შემთხვევაში კი — რა ლექსები გავრცელდა სვანეთში ქართულ ენაზევე.

წიგნის მოკლე, მაგრამ შინაარსიანი წინასიტყვაობა და მეცნიერული აპარატურა კიდევ უფრო ამაღლებს სვანური პოეზიის, ამ ღრმად მეცნიერული წიგნის ღირებულებას. ა. შანიძემ ვ. თოფურიასთან ერთად შეკრიბა და გამოაქვეყნა სვანური პროზაული ტექსტებიც [4]. წიგნი შეიცავს სვანური ხალხური პროზის 198 ნიმუშს. დასანანია, რომ ამ შემთხვევაში სვანურ ტექსტებს არ ერთვის ქარ-

---

[1] ა. შანიძე, შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში: ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935 წ., გვ. 178—185.

[2] იქვე, გვ. 177—178.

[3] სვანური პოეზია, I, სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, მ. გუჯეჯიანმა, თბილისი, 1939 წ.

[4] სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ, თბილისი, 1939 წ.

თული თარგმანი. სამაგიეროდ, წიგნის შენიშვნებით სვანური ენის უცოდინარი მკითხველი გაიგებს, თუ რა მასალაა შეტანილი კრებულში.

ქართული თარგმანის დართვითა და ვარიანტებზე მითითებით გამოაქვეყნა აკაკი შანიძემ 1916 წელს საქართველოში სოფ. ეკში მის მიერ მოპოვებული ვრცელი ტექსტი ქალვაქიანისა [1].

ხალხური ტექსტების ჩაწერა-პუბლიკაციის საკითხისათვის, აგრეთვე ქართული დიალექტებისა და ფოლკლორული ძეგლების შესწავლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს აკაკი შანიძის დაკვირვებებს ცალკე მთქმელთა ენაზე. ასე, მაგალითად, ბესარიონ გაბუურის რეპერტუარის გამო მკვლევარი აღნიშნავს: „დიალექტოლოგიურის თვალსაზრისით თუ შევხედავთ და შევაფასებთ ბეს. გ ა ბ უ უ რ ი ს ჴევსურულ მასალებს, რა თქმა უნდა, შიგ ბევრი ნაკლი აღმოჩნდება: ბესარიონი არ არის ამ საქმისთვის სპეციალურად მომზადებული პირი, მისთვის, მაგალითად, ერთი და იგივეა ვინი და უბრჯგუ (უმარცვლო უნი), ლიტერატურული ენის გავლენით მას ხანდახან უნებურად ხანიც კი გაეპარება ხოლმე ჴარის ნაცვლად, მერყეობას იჩენს ფორმების ქმარების დროს და სხვადასხვა“ [2]. პატივცემული მეცნიერის მოსაზრებას შეიძლება სხვა თვალსაზრისიც დაუპირისპირდეს, ის, რომ მთქმელი უშუალო უნდა იყოს და არა „სპეციალურად მომზადებული“. აკაკი შანიძის შემკრებლობითი მუშაობის დიდი ღირსება სწორედ ის არის, რომ მისი მთქმელები უშუალონი, გულღიანი არიან, რომ სპეციალურად არ ამზადებენ ფრაზებს. დიალექტი გაქვავებული არ არის, იგი წიგნის, რადიოს და სხვათა საშუალებით უახლოვდება სალიტერატურო ენას. აკაკი შანიძის მდიდარი დაკვირვებანი მთქმელთა ცალკეულ გამონათქვამებზე იძლევა საშუალებას თვალი ვადევნოთ დიალექტის თანდათანობით ცვლას.

დაუფასებელია აკაკი შანიძის ამაგი იმ მხრივაც, რომ, თუ ტექსტი მისი ჩანაწერი არ არის და პირველად ქვეყნდება, აღნიშნავს, რა გზით მიიღო მან იგი. ცალკე ნაწარმოებთა პასპორტიზაციის დროს კი არ კმაყოფილდება ტექსტის ჩაწერის თარიღით და სადაც კი შესაძლებლობა არის, აღნიშნავს მისი დაბეჭდვის ისტორიას.

ტექსტების უნაკლოდ ჩაწერა და პუბლიკაცია, მათი ბრწყინვალედ კომენტირება უზრუნველყო იმან, რომ აკაკი შანიძემ ზედმიწევნით იცის ხალხური შემოქმედების რაობა, იცის ვერსიათა შექმნისა და ტექსტის ვარიაციის მიზეზები და განმსაზღვრელი პირობები. ხევსურული პოეზიის კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ეს ის პოეზიაა, რომელიც ჩვეულებრივ ზეპირი გადმოცემით ვრცელდება ერთი კაციდან მეორეზე და ძველი თაობიდან ახალზე. მისი შემნახველი და დამცველი მრავალ პირთა მეხსიერებაა და ეს არის მიზეზი, რომ მისი ფორმა და შინაარსი ცვალებადია და ადვილად ეგუება ამა თუ იმ კუთხის გემოვნებას, თუ სოციალური ფენის მიდრეკილებას“ [3].

ა. შანიძე ნარკვევებში თუ მის მიერ გამოცემული ხალხური ტექსტების წინასიტყვაობასა და კომენტარებში მკითხველს ყოველთვის მიანიშნებს და აგრძნობინებს ხალხური შემოქმედების საგნის სიფართოვესა და მისი შესწავლის ამოცა-

———

[1] ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ეკური ქალვაქიანი: ლიტერატურული ძიებანი, XI, 1958 წ., გვ. 382—383.

[2] წელიწდეული, გვ. 335.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 05.

ნის სირთულეს. ჯაკი ჭანიძემ აღძრა და საინტერესოდ გადაჭრა კიდევაც ხალხური სიტყვიერების ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: ხალხური ნაწარმოების დეფინიცია, ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისები ხალხურ შემოქმედებაში, ტექსტების ვარიაცია, ტრადიცია და ნოვატორობა, ნაწარმოებთა რეალური საფუძველი, ხალხის ყოფა და ზეპირსიტყვიერება, პოეტურ ჟანრთა გენეტიკური კავშირი, ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთობა, სახალხო მთქმელთა ურთიერთგავლენა და მრავალი სხვა.

მკვლევარმა ნათლად გვაჩვენა ტერმინოლოგიის კავშირი ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედების რაობასთან. განსაკუთრებით საინტერესოა ამ თვალსაზრისით დაკვირვებანი ხევსურულ პოეზიაზე. ხალხური პოეტის აღმნიშვნელი ძველი ხევსურული ტერმინებია: მ ა თ ქ ვ ა მ ი (ვარიანტები — მოთქვამი, მათქომი, მოთქომი), მ თ ქ მ ე ლ ი, მ ა უ ბ ა რ ი[1]. მკვლევარი იქვე მიუთითებს მაგალითებზე, როგორიცაა:

ამაგ სიმღერის მათქვამი კორმოან დავჩი მთაზედა[2];
თაოდაც ჰუსეთ დამრჩალა ამაგ ლექსაის მთქმელია[3];
კაცი ვარ გათეთრებული სიმღერის მ ა უ ბ ა რ ი ა[4].

მოყვანილია აგრეთვე ამგვარივე ცნების მატარებელი ახალი წარმოშობის ტერმინები: მ ა ლ ე ქ ს ე ბ ე ლ ი, მ ა ლ ე ქ ს ა რ ი, მ ე ლ ე ქ ს ე, მ ე შ ა ი რ ე[5]. ამ შემთხვევაშიც მითითებულია მრავალ მაგალითზე, მათ შორის:

ამაგის მალექსებელი ეგრ ტირის, როგორც ქალია[6];
ახვარი მყავ ჭუა-გორასა ემაგის მალექსარსაო[7];
მელექსეს ვერას გაიგებთ, წყლის სათავეში ზისაო[8];
მეშაირე წამადგების, გმინზე გააყოლა გმინი[9].

ჯაკი ჭანიძის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არც ის დარჩა, რომ ტერმინოლოგია ორგანული კომპონენტია ხალხური ლექსისა. ეგი არა მხოლოდ მიგვანიშნებს კოლექტიური შემოქმედების ინდივიდუალურ საწყისებზე, თავისებურ იერსაც აძლევს მას. მკვლევარმა ყურადღება მიაქცია ჟანრთა აღმნიშვნელ ტერმინებსაც და ხაზი გაუსვა ხევსურ მოლექსეთაგან დიფერენცირებულ გამოყენებას ტერმინებისას — ს ი მ ღ ე რ ე და ლ ე ქ ს ი. ჯაკი ჭანიძის სწორი დაკვირვებით, „ლექსი ხევსურთ ძველებური გაგებით „სიმღერის" საპირისპირო ჟანრია: ს ი მ ღ ე რ ე საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე, ლ ე ქ ს ი კი ყოველგვარ სხვა შინაარსის შაირს ეწოდება, კერძოდ ისეთებსაც, რომლებიც შექცევისა და ერთიმეორის სალაღობოდ გამოითქმის ხოლმე"[10].

---

[1] ჯ. ჭ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 05.
[2] იქვე, № 80, სტრ. 20.
[3] იქვე, № 455, სტრ. 57.
[4] იქვე, № 110, სტრ. 18.
[5] იქვე, გვ. 05.
[6] იქვე, № 135, სტრ. 40.
[7] იქვე, № 325, სტრ. 12.
[8] იქვე, № 209, სტრ. 35.
[9] იქვე, № 222, სტრ 12.
[10] იქვე, გვ. 019.

ტერმინოლოგიას მკვლევარი შესანიშნავად უკავშირებს პოეზიის ისტორიულ ბედს. ტერმინ ს ი მ ღ ე რ ე ს მიმართ სწორად არის შემჩნეული პოეზიის უძველესი სინკრეტული ბუნება. ხევსურული პოეზიის კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ლექსს მთაში კიდევ აქვს შერჩენილი ძველი ხასიათი, შესრულებულ იქნეს მუსიკალურად, ე. ი. სიტყვები გალობით იქნეს წარმოთქმული, ან დამღერებულ იქნეს ფანდურზე, ხშირად მესამე ელემენტთან შეერთებით, პლასტიკასთან, ტაშის-კვრითა („ტოშ-ფანდური") და ცეკვა-თამაშობით, რაზედაც მიგვითითებს თვით სახელწოდება ხევსურული ლექსების ერთი დარგისა: „ს ი მ ღ ე რ ე". მეტად საგულისხმოა ამავე ტერმინთან დაკავშირებული მსჯელობა ტექსტისა და მელოდიის მთლიანობაში შესწავლის თაობაზე. ტერმინოლოგიასთან ერთად პოეზიის ჟანრის განსაზღვრაში მკვლევარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნაწარმოებთა შესრულების წესებს. იქვე, სქოლიოში აღნიშნულია: „ს ი მ ღ ე რ ე ხევსურეთში უფრო იმას გულისხმობს, რომ ჯარში უფროსები დასხდება, ხელში ლუდიანი ჯამები უჭირავთ, უმცროსები კი თავ-მოხდილებია და ცალ მუხლზე დაჩოქილი. ერთ მათგანს ფანდური აქვს და ამღერებს საგმირო შინაარსის სიტყვებს, შემდეგ ფანდურს მეორეს გადასცემს და ახლა ის დაამღერებს. შემდეგ იგი მესამეს გადასცემს, იგი კიდევ სხვას" [1]. სწორედ ხალხური სიტყვიერების სპეციფიკის, მისი ჟანრებისა და თემატიკის ღრმა ცოდნა არის საფუძველი მასალათა ზუსტი კლასიფიკაციისა ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ფოლკლორულ კრებულებში. აკაკი შანიძის ნაშრომებში მოცემულია ზეპირსიტყვიერების ცალკე ჟანრთა მეცნიერული დახასიათება. მოკლე, მაგრამ შესანიშნავი მიმოხილვა საგმირო, სატრფიალო, სალდათობისა და ომის და სტუმარ-მასპინძლობის ლექსების, გალექსებათა, შრომის სიმღერათა და სხვათა [2] გახდა საბაბი და ზოგჯერ გზისმკვლევიც მრავალი საინტერესო გამოკვლევისა ქართული ზეპირსიტყვიერების სფეროში.

ძვირფასია და საპროგრამო ხასიათი აქვს აკაკი შანიძის დაკვირვებებს მთიბლურ სიმღერაზე. ცხრამარცვლიანობისა და ურითმო ფორმის გამო აკაკი შანიძემ მთიბლური ლექსები მიიჩნია ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად ქართული ლექსისა და ცხადყო მისი მნიშვნელობა ქართული მეტრიკის ისტორიისათვის. მანვე საჭიროდ ცნო მთიბლური ლექსების სასიმღერო ჰანგების შესწავლა ტექსტების ხასიათის გასარკვევად. აკაკი შანიძემ აღნიშნა გენეტიკური კავშირი მთიბლური და სამგლოვიარო პოეზიისა [3]. აკაკი შანიძის დაკვირვებანი ამ მიმართულებით არის საბაბი და ხშირად გამოსავალიც სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებში მოცემული მსჯელობისა [4].

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ხალხური პოეზია, გვ. 022.

[2] იქვე, გვ. 06—022.

[3] იქვე, გვ. 021—022.

[4] მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ფოლკლორი, 1938, გვ. 113—114; მ ი ს ი ვ ე: ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956, გვ. 242—244; გ. ჩ ი ტ ა ი ა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 1920; მ ი ს ი ვ ე: ქვის კუბო ქვემო ალმედან: ენიმკი-ს მოამბე, VIII, 1940 და სხვ.; Г. З. Чхиквадзе, Музыкальная культура Грузии с древнейших времен до начала XIX века, Тб., 1947; ს. ბ ე რ ა ძ ე, ბერძნული დაქტილური ჰეგზამეტრის ქართული საწყისები, 1949; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ნაკვეთი II და სხვ.; გ. ო ქ რ ო შ ი ძ ე, ქართული ხალხური შრომის პოეზია, 1963, გვ. 98—107; ილ. ტ ი რ-

ხალხურ შემოქმედებაში ინდივიდუალური და კოლექტიური საწყისების გასარკვევად მნიშვნელოვანია მეცნიერის ძიებანი ცალკე ნაწარმოებთა შემთხზველების დასადგენად[1]. ამ საკითხის შესწავლას აადვილებს ხევსურული პოეზიის კრებულის ინდექსებში მოცემული მათქვამთა სია რეპერტუარის აღნუსხვით[2]. ამავე საკითხს უკავშირდება დაკვირვებანი ტრადიციასა და ნოვატორობაზე. შევჩერდებით რამდენიმე საგულისხმო მაგალითზე. საინტერესოა ამ მხრივ პუბლიკაცია კლასიკური ბალადისა „თოუმე და ვეფხვი“. ტექსის ქვესათაური „ძველი სიმღერე, ახლად გადაკეთებული და გავრცობილი“[3] წაკითხვისთანავე მიგვანიშნებს მკვლევრის ძიებას. ბალადის კომენტარებში კი აღნიშნულია: „ჩამაწერინა ახიელმა ო ჩ ნ ც რ უ ა (ზუკა) ჭ ა ბ უ შ ა ნ უ რ მ ა 15. 3. 1925 ტფილისში“.

ამ ლექსის პირველი ნაწილი ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ ახალი. ახალი დაბეჭდილია წვრილი შრიფტით. მეორე ნაწილი სულ მთლად ახალია. გადაკეთება-გავრცობა ძველი სიმღერისა გ ი ო რ გ ი ო ჩ თ უ რ გ ა ს ძე ჭ ა ბ უ შ ა ნ უ რ ს ეკუთვნისო.

პირველ ნაწილში წვრილი შრიფტით (პეტიტით) გამოყოფილია ის მუხლები, რომლებიც, ო ჩ ნ ც რ უ ა ს სიტყვით, ახლად დამატებულია.

ძველ ნაწილში ამბავი აქ მესამე პირის ფორმითაა გადმოცემული, მაშინ როდესაც ზოგიერთ ვარიანტში იგი პირველი პირითაა მოთხრობილი[4]. ტრადიციისა და ნოვატორობის საკითხის გასარკვევად მეტად მნიშვნელოვანია ა. შანიძის დაკვირვება მის მიერ ჩაწერილ ლექსზე „ბალათერას ფარი“. ტექსის შენიშვნაში ვკითხულობთ: „აქ რომ საუბარია ფარის შეკიდებაზე, რათა პატრონის ნაცვლად, მისი სიკვდილის შემდეგ, ქარმა შეძრას-შემოძრას, გავრცელებული მოტივია მთის ხალხურ პოეზიაში: იგი გატარებულია თორღვას ლექსშიც (44ბ, 16—17) და, ამას გარდა, გვხვდება ა. ყ ა ზ ბ ე გ ი ს მიერ დაბეჭდილ ერთ პატარა ნაწყვეტში“. იქვე მოყვანილია ალ. ყაზბეგის ჩანაწერიც[5]. ა. შანიძემ მშვენივრად იცის ზეპირსიტყვიერი ცოცხალი შემოქმედებითი პროცესი. სანიმუშოდ დავასახელებთ შენიშვნებსა და ვარიანტებს ლექსისა „მექობაური“. ვარიანტებთან ერთად მკვლევარს მოყვანილი აქვს ლექსთან დაკავშირებული თქმულებანი. ბეს. გაბუურის ვარიანტთან დაკავშირებით აღნიშნულია: „ეს გახლავს ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ახლად გაკეთებული ლექსი ძველი თქმულების ნიადაგზე, მაგრამ შიგ ბესარიონს ზოგი რამ ძველი ლექსიდან შემოუტანია“. იქვე არის მითითება იმაზე, თუ რა შემოიტანა ახალ ლექსში მოლექსემ ძველად[6]. ცოცხალი შემოქმედებითი პროცესის რთული პრობლემა მეცნიერული სიღრმითაა წამოჭრილი ხევსურული პოეზიის წინასიტყვაობაში. აკაკი შანიძემ პირველმა დასვა საკითხი იმის შესახებ, რათა საგანგებოდ იქნას შესწავლილი მათქვამთა შემოქმედების ურთიერთ-

ს ა ლ ა ძ ე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება, 1958, გვ. 49—74; მ ი ს ი ვ ე: ქართული სამონადირეო ეპოსი, 1961, გვ. 181—183 და სხვ.; თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ხევსურული მთიბლური სიმღერა — კრებ.: საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, II, 1951; მ ი ს ი ვ ე: ისევ მთიბლური ლექსების შესახებ: „მაცნე“, № 6, 1965, გვ. 98—107.

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე. ხალხური პოეზია, №№ 12, 88, 545 და სხვ.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 689.

[3] ი ქ ვ ე, № 519, გვ. 208.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 559.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 383.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 397.

გავლენა, და აღნიშნა ამ ამოცანის სირთულეც: „Ⴇუ რომ ერთი მწერლის გავლენა მეორეზე შედარებით ადვილი გასათვალისწინებელია წერილობითი ძეგლების არსებობის გამო, ხალხურ პოეზიაში, სამაგიეროდ, ასეთი საკითხის გადასაწყვეტად დიდი სიძნელის დაძლევაა საჭირო ამ პოეზიის სპეციფიკური ხასიათის გამო“[1]. Ⴋკვლევარმა იქვე აღნიშნა ერთი მთქმელის შემოქმედებაზე მეორის გავლენის ფაქტი.

Ⴀკაკი Ⴘანიძის ფოლკლორისტულ ძიებებში ყურადღებას იქცევს ნაწარმოებთა რეალური საფუძვლის დადგენა[2], საისტორიო ნაწარმოებებში ასახულ ფაქტთა ზუსტი დათარიღება[3], კონტამინაციის მოვლენათა ხაზგასმა[4] და მითოლოგიური მოტივების აღნიშვნა. Ⴓკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა Ⴇორღვას ციკლის ლექს-თქმულებათა კომენტარები[5].

Ⴀკაკი Ⴘანიძის ნაშრომებში სახელმძღვანელო პრინციპებია მოცემული ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობაზე. Ⴀდრე, ხევსურული პოეზიის კრებულის წინასიტყვაობაში, ხოლო შემდეგ ნარკვევში „Ⴘაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში“ მშვენივრად არის ფორმულირებული ამ ურთიერთობის ხასიათი[6]. Ⴃასახელებული ნარკვევის შესავალში ნათქვამია: „Ⴞალხური ზეპირ-სიტყვაობა დაუშრეტელ მასალას აძლევს კაზმულ სიტყვიერებას, მაგრამ ამასთანავე ერთად თვითონაც სარგებლობს ლიტერატურული ძეგლებით, რომელთაც თავისებურად აკეთებს და ასხვავებს. Ⴄს გადაკეთება-გადასხვაფერება ზოგჯერ ისე შორს მიდის, რომ ძნელი მისაგნები ხდება მისი თავდაპირველი წყარო ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც ფართო გასავალი უპოვია ხალხში“[7]. Ⴑაინტერესოა Ⴀკაკი Ⴘანიძის დაკვირვებანი ამ ურთიერთობაზე. Ⴅაჟას მიმართ იგი შენიშნავს, რომ მას ხალხური პოეზიის სკოლა აქვს გავლილი, რომ „Ⴅ ა ჟ ა ძლიერია, სადაც ხალხურ თქმულებათ და ხალხურ ამბებს (რა თქმა უნდა თავისებურად გადაკეთებულსა და გადამუშავებულს) ხ ა ლ ხ უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი ს ფ ო რ მ ი თ ვ ე გვაძლევს და სუსტია, სადაც ამ ნიადაგს ჰშორდება“. Ⴀქვე ჩამოთვლილია ხალხური ფორმით შექმნილი ნაწარმოებნი: „Ⴀლუდა Ⴕეთელაური“, „Ⴁახტრიონი“, „Ⴑტუმარ-მასპინძელი“, „Ⴞის ბეჭი“, „Ⴑისხლის ძიება“, „Ⴂველის მჭამელი“, „Ⴛალღიკა Ⴞიმიკაური“ და სხვა. Ⴋკვლევარი მიუთითებს ხევსურული პოეზიის კრებულში შეტანილი Ⴅაჟას პოემების — „Ⴁახტრიონის“, „Ⴑტუმარ-მასპინძლის“, „Ⴛალღიკა Ⴞიმიკაურის“ და სხვ. ხალხურ წყაროებზე[8]. Ⴋკვლევარმა აღნიშნა აგრეთვე ხალხური და ლიტერატურული ძეგლების მსგავსება ლექსთ-

---

[1] Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ე, Ⴞალხური პოეზია, გვ. 024, 554.

[2] Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ე, Ⴞალხური პოეზია, შენიშვნები ლექსებისა №№ 135, 162, 176, 184, 206, 265 სხვ.

[3] Ⴈ ქ ვ ე, შენიშვნები ლექსებისა №№ 48, 49, 169; გვ. 07, 358 და სხვ.

[4] Ⴈ ქ ვ ე, № 5, № 8-ის დ და თ ვარიანტები, № 11, ბ ვარიანტი; № 25, გ ვარიანტი, გვ. 358; № 50, შენიშვნები; № 184, ი ვარიანტი და სხვ.

[5] Ⴈ ქ ვ ე, გვ. 347—352

[6] Ⴈ ქ ვ ე, გვ. 023—024; Ⴊიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 177.

[7] Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ე, Ⴘაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში; Ⴊიტერატურული მემკვიდრეობა, 1, გვ. 117.

[8] Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ე, Ⴞალხური პოეზია, გვ. 023 და შენიშვნები ლექსებისა №№ 91, 117, 149, 258, 401 და სხვ.

წყობის მხრივ. ხევსურული პოეზიის კრებულში შეტანილ № 144 „თარეშიდან მოსული შვილების“ მიმართ იგი იმოწმებს თედო რაზიკაშვილის შენიშვნას იმის შესახებ, რომ ხალხური ტექსტი შინაარსითა და ლექსთწყობით ახლოსაა „ვეფხის-ტყაოსნიდან“ ნურადინ ფრიდონის დაჭრის ამბავთან [1]. ამავე წიგნიდან № 459 ლექსის მიმართ აკაკი შანიძე შენიშნავს, რომ იგი არის „ვეფხისტყაოსნურად გაკეთებული“ [2]. აკაკი შანიძემ საგანგებო ნარკვევი მიუძღვნა ხალხური ბეჟანიანისა და ფირდოუსის შაჰნამეს ურთიერთობას. მასალათა შედარების საფუძველზე, მისი დასკვნით, ხალხური „ბეჟანიანი“ ლიტერატურული „ბეჟანიანიდან“ მომდინარეობს. ხალხურ ტექსტში ლიტერატურული ძეგლებისაგან დამოუკიდებელი ელემენტების არსებობას მკვლევარი ზეპირ ბრუნვაში ტექსტის გადაკეთებით ხსნის [3]. ჩვენ ისიც მიგვაჩნია დასაშვებად, რომ ფირდოუსსა და ქართველ მთქმელებს ერთი საერთო წყარო ჰქონდეს, რომ შაჰნამეს ქართულად თარგმნამდეც ყოფილიყო „ბეჟანიანი“ ქართველ მთქმელთა რეპერტუარში. აკაკი შანიძის თეორიული მოსაზრებანი ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობაზე სავსებით სწორია. აკაკი შანიძეს უყურადღებოდ არც ხალხური პოეტიკისა და ლექსთწყობის საკითხები დაუტოვებია. ეს საკითხები წამოჭრილია ხევსურული პოეზიის წინასიტყვაობასა [4] და ბეს. ჯაბუურის შემოქმედების დახასიათებაში [5].

ჩვენი დედაენის დიდმა მოჭირნახულემ ქართული ფოლკლორისტიკა იმითაც წასწია წინ, რომ უშუალო მონაწილეობა მიიღო ფოლკლორისტთა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ჩვენ სისრულით არ შეგვიჯამებია აკაკი შანიძის ფოლკლორისტული ძიებანი. ეს ისე დიდი და მრავალმხრივია, რომ საჭიროებს სხვადასხვა კუთხით შეფასებას. რაც ჩვენ ვთქვით, მხოლოდ მინიშნებაა ამ ძიებათა სივრცესა და სიღრმეზე.



---

1 ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 539.

2 ა. შანიძე, შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში: ლიტ. მემკვიდრეობა, I, გვ. 183.

3 იქვე.

4 ა. შანიძე, ხალხ. პოეზია, გვ. 028—029.

5 წელიწდეული, გვ. 334.

შოთა ძიძიგური

აკაკი შანიძე და ქართული დიალექტოლოგია

ქართული ცოცხალი მეტყველების მეცნიერული შესწავლის დასაწყის ხანად უნდა მივიჩნიოთ ჩვენი საუკუნის ათიანი წლები. ეს ის დროა, როდესაც პეტერბურგის ქართველოლოლოგიური სკოლის მეოხებით მტკიცე საფუძველი ეყრება, საზოგადოდ, ქართველური ენების ლექსიკისა და გრამატიკის მასალების შეგროვებასა და სისტემატიზაციას, სამეცნიერო ექსპედიციებისა და მივლინებების შედეგად მანამდე უცნობი ფაქტების წარმოჩენას, მათს განზოგადებასა და დღის სინათლეზე გამოტანას. ამ სკოლის მეთაური პროფესორი ნიკო მარი წერდა: „როცა ქართულის მონათესავე ენები გახდნენ შესწავლის საგნად, როცა ამ მონათესავე ენების კილოები დახასიათდნენ და ამოგვიჩინეს ჩვენს საძიებელ საბუთებთან ერთად თავისი შესანიშნავი სიმდიდრე, ქართული სალიტერატურო ენა, ძველიცა და ახალიც, ერთად შეერთებული, მათთან ნაკლულევანი გამოჩნდა". ამიტომ „წარმოიშობა შეუწყნარებლად მ კ ა ც რ ი მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი ს ა ჭ ი რ ო ე ბ ა ქართული კილოების — იმერულის, გურულის, იმერხეულის, ფშაურის და სხვა მრავალთა შესწავლისა". ამ გარემოებამ განაპირობა ფართო გეგმის შემუშავება და ვრცელი სამოქმედო პროგრამის დასახვა, რაც კარგად არის ფორმულირებული 1916 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ ინსტრუქციაში („პროგრამა ქართული ენის დიალექტური [კილოკაური] მასალების შესაკრებად").

ეს ინსტრუქცია-პროგრამა დაბეჭდილია რუსულად და ქართულად. რუსული ტექსტი დაწერილია აკაკი შანიძის მიერ, ქართული თარგმანი კი შესრულებულია იოსებ ყიფშიძის მიერ (რედაქტორია ნიკო მარი).

ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტში ნათქვამია: „ქართული ენის დიალექტური ანუ კილოკავური მასალების შეკრება სამეცნიერო მოთხოვნილებათა თანახმად ახალი საქმეა. ჯერჯერობით ძლიერ ცოტა მასალაა შეკრებილი და ისიც მხოლოდ ზოგიერთი კილოკავიდან. სათანადო მასალის ნაკლულობა ქართული ენის ცოცხალი კილოკავების შესწავლა-გამოკვლევას დიდად აფერხებს. ამ საგ-

ნის შესახებ თითქმის არც ერთი შრომა არ მოგვეპოვება ჯერჯერობით, გარდა ა. შანიძის ეხლახან გამოქვეყნებული გამოკვლევისა „ქართული კილოები მთაში“. ამ მხრივ ქართულთან შედარებით უკეთ არიან შესწავლილი მისი თანამოძმე უმწერლობო ენები: მეგრულ-ჭანური და სვანური. ეს ერთი შეხედვით გასაოცარი მოვლენა იმით აიხსნება, რომ მდიდარი ქართული ლიტერატურა (ნამეტურ ძველი) ჩრდილავდა ცოცხალ კილოკავებს და შესწავლა კი არსებითად მხოლოდ საკილოკავო შეიძლებოდა ყოფილიყო. მართალია, ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება წარსული საუკუნის მე-60—70 წლებში დაიწყეს, მაგრამ არა საენათმეცნიერო, არამედ სალიტერატურო და საზოგადოდ საეთნოგრაფიო მიზნებისათვის“.

ჯერ კიდევ 1911 წელს სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტმა ახალგაზრდა მეცნიერი აკაკი შანიძე მიავლინა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დიალექტური მასალის შესაგროვებლად. მთაში მან ერთი თვე დაყო და მოასწრო, ძირითადად გასცნობოდა ხევსურულსა და ფშაურს, ჩაიწერა ტექსტები და შეადგინა ლექსიკონი. 1913 წელს იმავე დიალექტურ რაიონში აკაკი შანიძე მიავლინა უკვე საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიამ. ამჯერად მკვლევარი ამოწმებს ადრე ფიქსირებულ სალექსიკონო მასალას და დამატებით ეცნობა მთიულურს, მოხეურსა და თუშურს. აკაკი შანიძემ ადგილობრივ დაადგინა, რომ გუდამაყრული მეტყველება ნარევია და შეიცავს მთიულურ-ხევსურულ-ფშაურ ფენებს. მან შენიშნა ისიც, რომ ბაკურხევის ხევსურებს მტკიცედ დაუცავთ თავისებურებანი ცენტრალური ხევსურულისა; მის ლექსიკაზე ოდნავი გავლენა მოუხდენია გუდამაყრულს. შემდეგ აკაკი შანიძე გადადის საკუთრივ მთიულეთში (ხანდო, ზართალი, ხორხი, მლეთი, ხადა) და აგროვებს საინტერესო მასალებს. სხვათა შორის, ხადის ხეობაში მან ჩაიწერა (ლექსად და მოთხრობად) ბეჟანიანის ნაწყვეტი, რომელიც მიეკუთვნება ფირდოუსის ქმნილების ქართულ თარგმანს. აქ მთიულურის მთავარ ნიშანდობლივ თავისებურებად აკაკი შანიძე გრძელ ხმოვნებს მიიჩნევს.

მლეთიდან აკაკი შანიძე გადადის ყაზბეგში მოხეური მეტყველების შესასწავლად. თავდაპირველად იგი მოხეურს ხევსურულის კილოკავად მიიჩნევდა, მაგრამ მასალების საფუძვლიანად გაცნობამ, ამასთანავე, თუშურზე დაკვირვებამ, აზრი შეაცვლევინა და მოხეური დამოუკიდებელ ერთეულად წარმოუდგა. ხევში ყოფნისას აკაკი შანიძისათვის ცხადი გახდა, რომ მოხევეთა ძირითადი მოსახლეობა ხევსურეთიდანაა მოსული და მოუტანიათ სოფლების, მდინარეების სახელებიც (გველეთი და სხვ; თერგს არაგვს უწოდებენ და სხვ.). შემდგომ აკაკი შანიძე ხევსურეთშია და აგრძელებს მასალების შეგროვებას, ამოწმებს და ავსებს ლექსიკონს. აქ გამოარკვია ზმნათა უღლება და დაადასტურა მრჩობლობითი რიცხვის არსებობა. გამოიყო არხოტული კილოკავი (ნიშანდობლივი თავისებურებანი შემჩნეულ იქნა ლექსიკასა და მეტყველების ტემპში; გამოვლინდა მოხეურის გავლენაც). აკაკი შანიძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ხევსურებს ქისტები უწოდებენ „ფხჲე“-ს (მრავლობითში „ფხō“). ეს კი ძალიან საგულისხმოა ტერმინის — „ფხოვის“ („ფხოველი“) გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ინტერპრეტაციისათვის (გვხვდება ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებსა და სომხურ წყაროებში). მეცნიერი ამის შემდეგ მიემგზავრება მთათუშეთში; მასალებს აგროვებს შემდგომ სოფლებში: ფარსმა, დართლო, ომალო,

შენაქო, დიკლო. აკაკი შანიძემ ვერ შეძლო დაედგინა შინასხვაობანი თუშური კილოს პირიქითულ, ჩაღმა-თუშურ და გომეწრულ კილოკავთა შორის, რადგან მამაკაცთა მეტყველებაში უკვე კახური დიალექტის ფორმები იყო გაბატონებული, ხოლო ქალთა მეტყველება ნარევი აღმოჩნდა. ბოლოს ჩვენი მკვლევარი საველე მუშაობას ეწევა ფშავში: აგროვებს ხალხურ ლექსებს და ავსებს სალექსიკონო მასალას (შეუგროვდა 3000-მდე სიტყვა-გამოთქმა); ადგენს ფშაურის კილოკაურ შინასხვაობებს.

ამრიგად, აკაკი შანიძემ დიდძალი მასალა შეაგროვა ხუთი კილოს — ფშაურის, ხევსურულის, მოხეურის, თუშურის, მთიულურის ლექსიკური და ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების გამოსავლენად. მან ეს ხუთი დიალექტი ცალკე ჯგუფად გამოყო და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსაზრებებით ქართული ენის ფხოვურ ჯგუფად მონათლა.

აკაკი შანიძის ამ მეტად მნიშვნელოვანი დიალექტოლოგიური საველე მუშაობის წინასწარი შედეგები 1913 წელს დაიბეჭდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში („Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров". გადმობეჭდილია ა. შანიძისავე წიგნში: „ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები", I, 1957).

მთის დიალექტების დახასიათება ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის დარგების მიხედვით მოცემულია ჩვენი მეცნიერის იმ გამოკვლევაში („ქართული კილოები მთაში"), რომელიც დაიბეჭდა პეტერბურგის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის" მიერ გამოცემულ „კრებულში" ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით (1915 წ.). ეს ის სამეცნიერო წრეა, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს დაარსდა ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით და რომლის გამგეობის თავმჯდომარედაც 1911 წელს თავად აკაკი შანიძე გახლდათ.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისტორიული ქართულის შესასწავლად სიტყვიერების ნაშთები დაუშრეტელი წყაროა მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის. „დღევანდელი ქართული არც ისე ღარიბია კილოებით, როგორც ერთი შეხედვით ეგონება კაცს, ასე რომ მკვლევარს არაფერი ეთქმის მასალების უქონლობაზე ორსავე დარგში, ე. ი. ქართულის შესასწავლად დროსა და სივრცეში, ისტორიულ გრამატიკასა და დიალექტოლოგიაში".

ერთი გრამატიკული მოვლენის თვალსაზრისით ყველა ქართული დიალექტი დახასიათებულია აკაკი შანიძის დიდი მნიშვნელობის ნაშრომში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა კილოებში".

აქ შესწავლილია S_2—O_3-ის თვალსაზრისით ცალ-ცალკე აღმოსავლური და დასავლური კილოები. აღმოსავლური კილოების შესახებ მიღებულია დასკვნა, რომ მათ რიგიანად აქვთ დაცული ულების სახე, მაგრამ ყველას ერთნაირად როდი ესმის S_2-ისა და O_3-ის ხმარების წესი.

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები აკაკი შანიძეს თავიდანვე აინტერესებდა. ამ დარგში მას გზისგამკვლევი დებულებები აქვს წამოყენებული და დასაბუთებული.

თავის ზემოხსენებულ ნაშრომში პრეფიქსების შესახებ მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს „ხარ" და „ხეალ" ფორმებს და ასკვნის: ხანი, როგორც S_2, ისტორიულად ძირითადი კილოს კუთვნილება არ არის; იგი ნასესხებია რომელიღაც

კილოდან, რომელსაც ალბათ ხ-ს პრეფიქსად ხმარება ახასიათებდა არა მარტო ორ ზმნაში, არამედ სხვა ზმნებშიც. 1922 წ. აკაკი შანიძემ დაახასიათა ხ-ს შემცველი სხვა ფორმებიც (ხერთვისი, ხეყავ, შეხეწიე, შეხუაბთ) და გამოიტანა დასკვნა, რომ ისინიც ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ან დიალექტს ეკუთვნიანო („ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ“: ტფილ. უნივერსიტეტის მოამბე, II).

როდესაც ე. წ. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები აღმოჩნდა, ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა შეხედულება, რომ ხანი ზოგადქართული მოვლენაა და არა დიალექტიზმი (ახასიათებდა საერთოდ ქართულს თავისი დიალექტებით). სრულიად საპირისპიროა აკაკი შანიძის დებულება: განსხვავება ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებს შორის იმდენად ქრონოლოგიური არ არის, რამდენადაც დიალექტური; ხანმეტი ტექსტი ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი მეორეზეა, — ასეთია ჩვენი მეცნიერის კონცეფცია („ხანმეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის“: ტფილ. უნივ. მოამბე, III, 1923). აკაკი შანიძე ვარაუდობს, რომ ხანმეტი კილო საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში იყო (მცხეთა-ბოლნისის რაიონსა და მიმდგომ მხარეებში), ჰაემეტი კილო კი მის დასავლეთით.

დაბეჯითებით არ შეგვიძლია ვთქვათ, რომელია კილო, რომელიც საფუძვლად დასდებია სალიტერატურო ქართულს, მაგრამ მის საბოლოოდ შემუშავებაში და გარკვეულ სახედ ჩამოსხმაში უდიდესი ღვაწლი პოლიტიკურად ძლიერ ქართლს მიუძღვის; მე-10 საუკუნეში სალიტერატურო ენა დიდად განვითარებულია და ლამობს შთანთქას კილოები; საერო მწერლობას ნიადაგი ხალხურ პოეზიაში, მაშასადამე, ხალხურ კილოებში ჰქონდა; მონღოლთა შემოსევის შემდეგ დაირღვა მტკიცე ტრადიცია და ფართო ასპარეზი დაეთმო კილოებს ცხოვრებასა და ლიტერატურაში; მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებში პროვინციული ფორმები საპატიო ადგილს იჭერს ლიტერატურაში; მეცხრამეტე საუკუნეში გამარჯვება კილოებს რჩება, — ასეთია სქემა აკაკი შანიძის აზრთა განვითარებისა. ძველი ქართული სალიტერატურო ენა, ჩვენი მეცნიერის დასკვნით, მხოლოდ ერთი შეხედვით არის მონოლითური; არსებითად ერთგვარი მასალისაგან ნაშენი არ არის. მასში „გვარიანი ადგილი სჭერია ანომალიებს, რომელთაგანაც ზოგი განვითარებულია თვით იმ კილოს ნიადაგზე, რომელიც საფუძვლად უძევს ძველ სამწერლო ენას, მაგრამ ზოგი სხვა კილოებისაგან შემოტანილი ჩანს... თუ ძველი სალიტერატურო ენიდან გამოვჰყოფთ, რამდენადაც შესაძლებელია, მერმინდელ დანალექსა და სხვა კილოებისაგან შემოტანილ ფორმებს, დაგვრჩება კილო, რომელიც საფუძვლად დასდებია ქართული მწერლობის ენას“ (პრეფიქსები, გვ 56).

ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა აგრეთვე აკაკი შანიძის ნაშრომი: „ი ვ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში“ (1941 წ.).

აკაკი შანიძემ — ნიკო მართან ერთად — საფუძველი ჩაუყარა ქართული დიალექტოგრაფიული მასალის, ტექსტების, მეცნიერულ გამოცემებს. პირველი სანდო და აკადემიური თვალსაზრისით გამართლებული დიალექტოგრაფიული ჩანაწერი ნიკო მარს ეკუთვნის (იგულისხმება შავშეთ-კლარჯეთში შეკრებილი იმერხეული ტექსტების გამოცემა). ნ. მარის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური სკოლიდან გამოსულმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ გააგრძელა თავისი მასწავლებ-

ლის ტრადიციები და მაღალ საფეხურზე აიყვანა ცოცხალი მეტყველების ტექსტოლოგია. აკაკი შანიძის დიალექტოგრაფიული პუბლიკაციები სანიმუშოა და გზისგამკვლევი მეცნიერთა ახალი და ახალი თაობებისათვის.

ამ მხრივ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ბესარიონ ღაბუურის ხევსურულ მასალებს („წელიწდეული“, I, 1923-24) და „ქართული ხალხური პოეზიის“ პირველ ტომს, სადაც წარმოდგენილია ხევსურული პოეტური ენის ბრწყინვალე ნიმუშები. ეს პუბლიკაციები შემკულია ვრცელი მეცნიერული აპარატითა და ამომწურავი პასპორტიზაციით.

აკაკი შანიძისეული ტექსტები დღემდე ინარჩუნებენ ნორმის მნიშვნელობას.

ჩვენს მეცნიერს დიალექტოლოგიური ლექსიკოგრაფიის დარგშიც შეტანილი აქვს ღირსეული წვლილი.

აკაკი შანიძემ შეისწავლა ჩვენი დიდებული მგოსნის ვაჟა-ფშაველას უკვდავი ქმნილებები ლექსიკის თვალსაზრისით და მოგვცა „ვაჟას ლექსიკონი“, სადაც გადაშლილია მწერლის ნაწერებში გაბნეული ფშაური სიტყვები და გამოთქმები, მაჩვენებელი მთის ქართული მეტყველების ამოუწურავი სიტყვობრივი საუნჯის არაჩვეულებრივი სიმდიდრისა. ლექსიკონი ერთვის ვაჟას როგორც აკადემიურ გამოცემებს, ისე ცალკეულ თხზულებებს, რომლებიც იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს (პირველად დაიბეჭდა 1922 წელს. იხ. „ვაჟა-ფშაველა“, I, ალ. აბაშელის რედაქციით).

აკაკი შანიძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ხევსურული ლექსიკონი, რომელიც ერთვის ბ. ღაბუურის მასალებს.

რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების სამეცნიერო ორგანოში (ЗВО, XXII, вып. III—IV) აკაკი შანიძემ 1915 წელს მოათავსა მოსე ჯანაშვილის ცნობილი ნაშრომის („საინგილო“) რეცენზია, რომელსაც დაურთო ჯანაშვილის ლექსიკონში გამოტოვებული ინგილოური სიტყვების ლექსიკონი (400-მდე სიტყვაა განმარტებული).

აკაკი შანიძემ სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ქართული კილოების კლასიფიკაციას. 1957 წელს მან ბაქოში სსრკ მეცნიერებათა აკადემიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე წაიკითხა მოხსენება: „Принципы классификации грузинских диалектов“ (იხ. „Труды объединенной научной сессии по общественным наукам. Стенографический отчет“, Баку, 1957).

ამ ნაშრომში აღძრულია ქართული დიალექტოლოგიისათვის ერთობ საინტერესო საკითხები.

ა. შანიძე თავდაპირველად ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ისტორიული ბედი განსაზღვრავდა ქართული დიალექტების ურთიერთობას, მათს გადაადგილებას, ერთმანეთთან დაახლოებას თუ დაშორებას, რაც თავის გამოხატულებას პოვებს დღევანდელი ცოცხალი მეტყველების მონაცემებში. ამით აიხსნება, რომ ამა თუ იმ დიალექტში ვადასტურებთ სიტყვებს თუ გრამატიკულ ფორმებს, დამახასიათებელს გეოგრაფიულად დაშორებულ კილოურ ერთეულებში. დიალექტთა შერევას უფრო ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, უწინარეს ყოვლისა, ერწოს (თიანეთის მიდამოების) მოსახლეობა, რომელიც უმთავრესად შედგენილია მთიდან დაშვებული ხევსურებისაგან; მათ ვერ მოუსწრიათ საბოლოოდ შერეოდნენ ადგი-

ლობრივ ქართველებს და ამის გამო მათი დიალექტი მკვეთრად ამჟღავნებს სიჭრელესა და ფორმათა ნაირ-ნაირობას. იგივე შეიძლება ითქვას ქართლის ზოგიერთი ნაწილის მიმართაც. მაგალითად, მანგლისის რაიონში კარგა ბლომად ცხოვრობენ მთიელი ქართველები (უწოდებენ მთიულებს), რომლებიც დიდი ხანია გამოსული არიან ქსნის და გუდამაყრის ხეობიდან; მათ ჯერ კიდევ ვერ მოუსწრიათ საბოლოო ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ბორჯომის, სანკისისა და სხვ. ხეობები.

ეს გარემოება, ა. შანიძის დასკვნით, ერთგვარად აძნელებს მტკიცე ზღვარის გავლებას ცალკეულ კილოთა თუ კილოთა ჯგუფებს შორის.

მეორე მხრივ, პატივცემული მეცნიერი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი დიალექტი ნიველირების შედეგად საკმაოდ სახეშეცვლილად გამოიყურება დღევანდელ ვითარებაში. სალიტერატურო ენის გავლენით, მაგალითად, კახური ისე შორს წავიდა, რომ დაკარგა ზოგიერთი ძველი ნიშანდობლივი თავისებურება (დამოწმებულია დიფთონგების მონოფთონგებად გადაქცევის ძველი წესი).

ქართული კილოების საკლასიფიკაციო ნიშნებად ა. შანიძე მიიჩნევს რამდენიმე ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ, აგრეთვე ლექსიკურ თავისებურებას. ავტორი, ამასთანავე, დასძენს, რომ ამ ნიშანთაგან არ მოიპოვება ისეთი თავისებურება, რომელიც შეგვეძლო, მიგვეჩნია ძირითადად, ყველა დიალექტს რომ გასდევდეს და განსაზღვრავდეს მათს გენეტურ მიმართებას.

ა. შანიძის კლასიფიკაციით, ქართული კილოები გვაძლევს ექვს ჯგუფს. ესენია: I. ფ ხ ო უ რ ი (ხევსურული, მოხეური, თუშური), II. მ თ ი უ ლ უ რ-ფ შ ა უ რ ი (რამდენადმე მთიულურსა და ფშაურს ეკედლება ზემორაჭული), III. ქ ა რ თ ლ უ რ-კ ა ხ უ რ ი (ქართლურთან ახლოსაა ჯავახური და მესხური, კახურთან — ქიზიყური), IV. დ ა ს ა ვ ლ უ რ ი (იმერული, გურული, რაჭული; იმერულთან ახლოსაა ლეჩხუმური, გურულთან — იმერული. ზემორაჭული, „თუმცა რჩება, საზოგადოდ, დასავლური კილოების სისტემაში, თავისი არქაული ნიშნებით შეხვედრის წერტილები აქვს მთიულურ-ფშაურ ჯგუფთან"), V. ს ა მ ხ რ უ ლ-დ ა ს ა ვ ლ უ რ ი (აჭარული და იმერხეული), VI. ი ნ გ ი ლ ო უ რ ი.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით ჩვენი დიდი მეცნიერის აკაკი შანიძის ღვაწლი ქართული დიალექტოლოგიის განვითარებაში.



Ⴈლია Ⴀბულაძე

Ⴛველი ქართულის ლექსიკიდან:

9. „ⴕორიკოზი“ და „ქორეპისკოპოსი“

„ⴕორიკოზ-სა“ და „ქორეპისკოპოს-თან“ დაკავშირებით ს.-ს. Ⴍრბელიანი თავის „ⴕართულ ლექსიკონში“ წერს: „Ⴓმეცარსა მწერალსა ⴕართლის ცხოვრებაში გაურყვნია: ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია. ⴕორეპისკოპოზი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქჳან“ (საიუბილეო გამოცემა, ტ. IV₂, Ⴇბ., 1966 წ., სიტყვასთან „ქორეპისკოპოსი“) [1].

Ⴋართლა ასეა? Ⴗემოწმების საშუალებას მოკლებული ვართ; სად გაეცნო ლექსიკოგრაფი ამ სიტყვას, წყარო მითითებული არა აქვს. Ⴄს კი იმიტომ, რომ ის მის განმარტებაში სრულიად დაჯერებულია.

„ⴕორიკოზ-ის“ ხმარება ძველ ქართულში მხოლოდ „მრავალთავებიდან“ ვიცით, სახელდობრ ამ კრებულში შემავალი ერთი ნაწარმოებიდან, რომელსაც Ⴀთონის მრავალთავით (№ 11) სათაურად წარწერილი აქვს: „Ⴋიგებებაჲ შობითგან უფლისა ჩუენისა Ⴈესუ ⴕრისტჱსა მეორმეოცესა დღესა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად და მიიქუმიდა მას წმიდაჲ სჳმეონ.“ [2] Ⴋის გამომთქმელად დასახელებულია

---

[1] Ⴀსეა ZA რედაქციებში, სხვაგან კი ასე იკითხება: „Ⴓმეცარს მწერალთ სხვებრ გაურყვნიათ, ბერძულად ხორეპისკოპოსი ეწოდების ეპისკოპოსსა უსამწყსოოსა, ხოლო ⴕართლის ცხოვრების მწერალთა ქარაგმის გამო მოცთუნებულთა ქორიკოზი ქორეპისკოპოზად აღუწერიათ“ B. „ⴕორეპისკოპოსი არს ერთსა სამთავროსა ადგილსა მთავარი არა ჯდეს და მისდა მონაცვლედ ქორეპისკოპოსი ჯდეს, რათა თემთა მოურნეობდეს, არამედ მთავრობისა სახელი ვერ იკადროს“ CD.

[2] Ⴓდაბნოს მრავალთავში ესევე ნაწარმოები ასეა დასათაურებული: „Ⴇთუესა ფებერვალსა ბ, Ⴋიგებებაჲ დღესა, რომელსა მიიქუა სჳმეონ მკლავთა თჳსთა ზედა უფალი, თქუმული წმიდისა Ⴈესოქი Ⴞუცისაჲ Ⴈჱ̄ლმელისაჲ მეორმეოცისა მის დღისა შობითგან ქალწულისა უფლისა ჩუენისა Ⴈ̄ჳ ქ̄ჱსა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად, ვითარ აკურთხევდა მას წმიდაჲ სჳმეონ“.

Ⴎარხლის მრავალთავში ეს ნაწარმოები ნაკლულევანი სახითაა შემონახული. Ⴀქ მისი სათაურია: „Ⴇ̄ა ფებერვალსა ბ. Ⴋიგებებაჲ დღესა, რომელსა მიიქუა სჳმეონ მკლავთა თჳსთა ზედა უფალი. საკითხავნი, თქუმულნი წმიდისა Ⴈესუქი Ⴞუცისა Ⴈჱრუსალემელისაჲ მეორმეოცისა მის

Ⴄსუქი Ⴈერუსალიმელი ხუცესი („Ⴇქუმული Ⴄსჳქი Ⴞჳცისა Ⴈჱრუსალემელისაჲ"), ავტორი V საუკუნისა.

Ⴉონტექსტი, რომელშიც ჩვენთვის საგულისხმო სიტყვას ვხვდებით, Ⴓდაბნოს მრავალთავით ასე იკითხება: „Ⴓკუეთუ ვინმე გლახაკი იყოს, იხილენინ მან ბაგასა შიდა სახუეველნი ქრისტჱსნი. Ⴓკუეთუ ვინმე პირუტყუთ-სახე იყოს, ბაგასავე მას მიისწრაფენ და გულისხმა-ყავნ, რამეთუ შენთჳს ესრჱთ დაიმდაბლა თავი თჳსი ძემან ღმრთისამან. Ⴓკუეთუ ვინმე ქ უ რ ი კ ო ზ ი იყოს უმეცარი, მივედინ Ⴁეთლემდ და ისწავენ" (46v,b).

Ⴑიტყვა-სიტყვით გამეორებულია ეს ადგილი Ⴎარხლის მრავალთავში. Ⴋხოლოდ ოთხი სიტყვის დაწერილობაა, რომ ოდნავ სხვაობს Ⴓდაბნოს მრავალთავისაგან. ესენია: „შინა" ნაცვლად „შიდა-სი", „გულისჴმა-ყავნ" მაგიერ „გულისხმა-ყავნ-ისა", „ესრე" ნაცვლად „ესრჱთ-ისა" და „ქორიკოზი" „ქურიკოზ-ის" წილ.

Ⴀმათ გარდა ეს ადგილი მოეპოვება Ⴀთონის მრავალთავსაც (დასაწყისი წინადადების გარეშე, სახელდობრ: („Ⴓკუეთუ ვინმე გლახაკი იყოს, იხილენინ მან ბაგასა შიდა სახუეველნი ქრისტჱსნი"): „Ⴓკუეთუ ვინმე პირუტყჳ-სახე იყოს, ბაგასავე მას მიისწრაფდინ და გულისხმა-ყავნ, რამეთუ შენთჳს ესრეთ დაიმდაბლა თავი თჳსი ძემან ღმრთისამან. Ⴓკუეთუ ვინმე ხ ო რ ი კ ო ს ი იყოს უმეცარი, მივედინ Ⴁეთლემდ და ისწავენ" (40r).

Ⴄრთმანეთს რომ ვუდარებთ მოყვანილ ადგილებს, ვხედავთ, ისინი იმეორებენ ურთიერთს სიტყვა-სიტყვით; პირველთაგან განსხვავებით უკანასკნელს ახასიათებს მხოლოდ მცირეოდენი სხვაობა, მეტწილად ორთოგრაფიული ხასიათისა; ასე, მაგ.: პირუტყუთ-სახე — პირუტყჳ-სახე; მიისწრაფენ — მიისწრაფდინ; გულისხმა-ყავნ — გულისჴმა-ყავნ; ესრჱთ/ესრე — ესრეთ; ქურიკოზი/ქორიკოზი — ხორიკოსი. Ⴄრთი თვალის გადავლებით ხდება ნათელი, რომ წყვილთა პირველი ცალები უფრო არქაულია, ვიდრე მეორე.

Ⴃასახელებულ წყვილთაგან საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ უკანასკნელზე: ქურიკოზი/ქორიკოზი — ხორიკოსი. „ქურიკოზი" და „ქორიკოზი" თავისი „ქ"-თი უფრო ადრეულია, ვიდრე მისი ბადლის — „ხორიკოს-ის" — თავკიდური „ხ". Ⴓკანასკნელის დაწერილობა „ქორიკოზ/ქურიკოზთან" მიმართებით თვალნათლივ ამჟღავნებს ამ სიტყვის უცხოობას, კერძოდ ბერძნულობას.

Ⴐოგორ გადმოიცემა ეს სიტყვა ბერძნულად, რას ნიშნავს ის? „Ⴞორიკოს-ი" ზედმიწევნითი ტრანსლიტერაციაა ბერძნული χωρικός-ისა, რაც ნიშნავს «le paysan, campanard, rustique; деревенский, крестьянин, мужик[1], ე. ი. „მდაბიოს", „სოფლელს", „გლეხს".

Ⴋოყვანილ კონტექსტში „ქორიკოზ/ქურიკოზ-ისა" თუ „ხორიკოს-ის" ბერძნულისეულ χωρικός-ად გაგება, როგორც „მდაბიოსი", „სოფლელისა" ან „გლეხისა", თავის ადგილს უნდა იყოს: „Ⴓკუეთუ ვინმე ქ უ რ ი კ ო ზ ი (resp. ქორიკოზი) იყოს უმეცარი, მივედინ Ⴁეთლემდ და ისწავენ" ნიშნავს: „თუ ვინმე მდაბიო (სოფლელი ან გლეხი) იყოს უცოდინარი, მივიდეს Ⴁეთლემს და ისწავ-

---

დღისა შობითგან ქალწულისა უფლისა ჩუენისა Ⴈესუ ქრისტჱსისა, ოდეს მიიყვანეს ტაძრად და ვითარ აკურთხევდა მას წმიდაჲ სჳმეონ".

[1] Dictionnaire grec-français... par C. A l e x a n d r e, Paris, 1848, p. 1593/1599; А. А. И о а н н и д и с, Новогреческо-русский словарь, М., 1950, გვ. 725.

ლოს“. „ჴორიკოზ-ის“ საბასეული განმარტება მოყვანილ კონტექსტს არ ეგუება. „ჴორიკოზ-ზე“, თუ ის, საბას სიტყვით, „მეფის მონაცვლეა“, შეუფერებელია თქმა „უმეცარი-ო“, რაც უფრო „მდაბიოს“, „სოფლელს“ თუ „გლეხს“ შე-შვენის.

საბას დაკვირვებით, „ჴართლის ცხოვრებაში“, მის ადრინდელ ნუსხებში, უნდა წერებულიყო ქ ო რ ი კ ო ზ ი, რაც უმეცარ გადამწერთ თითქოს დაქარაგმებულ სიტყვად მიუჩნევიათ და ქ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ა დ გაუხსნიათ, საიდანაც წარმოდგაო ამ კრებულის მერმინდელ ნუსხებში „ქორეპისკოპოსები“.

საბას ასეთი დაბეჯითებითი ტონი იქიდან უნდა მომდინარეობდეს, რომ მას „ქორეპისკოპოსი“ ესმის მხოლოდ როგორც საეკლესიო სარბიელის მოღვაწე. „ჴ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულადო“, განგვიმარტავს ლექსიკოგრაფი და ხაზს უსვამს იმას, რომ ეს სიტყვა ბერძნულია და ასეთი შინაარსით შემოსულად უნდა ვიგულოთ იგი ქართულშიცაო. „ჴორეპისკოპოს-ი“ რომ ბერძნული სიტყვაა, ეს საცილობელი არაა, მაგრამ მას რომ შინაარსი ჩვენს ენაში რამდენადმე განსხვავებული ჰქონია, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ „ქორეპისკოპოს-ად“ კითხულობენ და აღიქვამენ ამ ტერმინს მეზობელი სომხეთის მწერლობის ძველი წარმომადგენლები. „ჴართლის ცხოვრების“ ძველი სომეხი მთარგმნელი, რომლის თარგმანი XIII ს-ის ნუსხით არის ჩვენამდის მოღწეული (თარგმნილი კი XII ს-ის მეორე ნახევარში ჩანს), ყველგან ჰახეთის მმართველთ გარკვეულ პერიოდში ხსენებულ ტერმინს იმავე სახელწოდებას უნარჩუნებს, რაც ქართულშია, ე. ი. დედანში (*քորեպիսկոպոս*—ქორეპისკოპოს-ი)[1]. ასევე IX—X ს-ის სომეხი ისტორიკოსი ჲოანე დრასხანაკერტელი ხსენებული ქვეყნის შემადგენელი ერთი მხარის — ჭანარეთის — მმართველს „დიდ ქორეპისკოპოსად“ იხსენიებს (*առ մեծ քորեպիսկոպոսն Ծանարաց*)[2].

სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ჩანს, ეჩოთირება ქვეყნის საერო მმართველის აღნიშვნა ძირითადად სასულიერო წარმომავლობის ტერმინით და მიტომ უნდა ფიქრობდეს, რომ „ქორიკოზ-ი“, რომელიც ქარაგმით შეიძლება „ქორეპისკოპოზ-ად“ მიიჩნიო კაცმა, საერო ხელისუფლის აღმნიშვნელი იყოს. მსგავსად „ქორეპისკოპოსისა“, რომელიც არასრულ ეპისკოპოსს აღნიშნავს, „ქორიკოზ-იც“ თურმე, ლექსიკოგრაფის სიტყვით, „მეფის მონაცვლეს ჰქჳან“ და არა, ვთქვათ, სრულ მეფეს. სესხებულ სიტყვად ესმის თუ არა ეს სახელწოდება საბას, ისიც ბერძნულად, ნათელი არაა განმარტებიდან. მგონია, ესეც ბერძნულად უნდა მიაჩნდეს („ჴ ო რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქ ო რ ი კ ო ზ ი მეფის მონაცვლეს ჰქჳან“)[3].

---

[1] ჴართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1953 წ., გვ. გვ. 216,4; 217,13; 218,13.

[2] ჲოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786—925 წწ.), სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1965, გვ. 234,31.

[3] „ჴოროკოზ-ისა“ და „ქორეპისკოპოს-ების“ შესახებ იხ. მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს.), თბ., 1963 წ., გვ. 151 და მომდევნო. იქვეა დასახელებული ლიტერატურაც ამ საკითხის გარშემო.

დასკვნა

„ჴორიკოზ-ი“, რაც ძველივე წყაროს ჩვენებით, იგივე „ხორიკოს-ია“, ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა: პირველი უფრო ადრინდელი და ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმით, ხოლო მეორე — შედარებით გვიანდელით.

„ჴორიკოზ-ის“ საბასეული განმარტება, იმის შემდეგ, რაც ვითვალისწინებთ ამ სიტყვის პარალელური ფორმის („ხორიკოს-ის“) შინაარსს დედნის ენაზე (ϫⲱⲣ:ⲭⲟϭ „მდაბიო“, „სოფლელი“, „გლეხი“), სწორი არა ჩანს.

„ჴორიკოზ-ისათვის“ საბას მიერ მიცემული განმარტება („მეფის მონაცვლე“) „ქორეპისკოპოსის“ შინაარსის („უსამწყსო ეპისკოპოსი“, ე. ი. არასრული ეპისკოპოსი) ანალოგიით უნდა იყოს დაძებნილი (არასრული მეფე, ანუ „მეფის მონაცვლე“).



შალვა ამირანაშვილი

ვერთის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებისათვის

საქართველოში ხელნაწერი წიგნის ილუსტრირებას და მხატვრულ გაფორმებას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, როგორც ქართული სახვითი ხელოვნების განსაზღვრულ დარგს. მას ახასიათებს ეროვნული მხატვრული ტრადიციის შინაგანი სიძლიერე და თავისებური მხატვრული სახე.

ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობაში მოცემულია ძვირფასი დოკუმენტური მნიშვნელობის ცნობები ხელნაწერი წიგნის დაწერის ადგილის შესახებ, აღნიშნულია კალიგრაფისა და მხატვრის ვინაობა, ტექსტის დაწერისა და ილუსტრაციების თარიღი, ხშირად მოხსენებულია შემკვეთის ვინაობა და სხვ. ამ მონაცემების მიხედვით შესაძლებელი ხდება ქართული ხელნაწერი წიგნის ილუსტრაციებისა და მხატვრული დეკორის მეცნიერული შესწავლა.

წიგნის ილუსტრაცია და მორთულობა განუყრელად დაკავშირებულია თხზულების შინაარსთან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ფეოდალური ხანის ქართულ ხელოვნებაში ორი, არსებითად განსხვავებული მიმდინარეობა ჩამოყალიბდა: საეკლესიო და საერო. ქართველი ოსტატები უკვე XII საუკუნიდან ასურათებდნენ საერო ლიტერატურის ძეგლებს, როგორც ორიგინალურს, აგრეთვე უცხო ენებიდან ნათარგმნს. ქართული საერო ხელოვნება ჩამოყალიბდა და განვითარდა ეროვნულ ტრადიციებზე, უცხო ქვეყნების კულტურული გავლენის გარეშე.

უძველესი ნიმუშები ქართული ხელნაწერი წიგნის შემკული ილუსტრაციებითა და დეკორით გვაქვს მხოლოდ IX საუკუნიდან. ისტორიული ცნობების საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ უკვე V ს-ში საქართველოში ყოფილა მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერები, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (შიომღვიმის მონასტერში დაცული ყოფილა ვახტანგ გორგასალის მიერ შემკული სახარება და სხვ.).

სწავლა-განათლებისა და მწერლობის ცენტრები ძველ საქართველოში, როგორც ცნობილია, წარმოადგენდნენ ქართული მხატვრული კულტურის თვალსაჩინო კერებს. შატბერდის მონასტერშია გადაწერილი და დასურათებული 897

წელს ე. წ. ადიშის ოთხთავი[1]. ამავე მონასტერში გადაწერილია 936 წელს და დასურათებულია ვინმე თევდორეს მიერ 940 წელს ე. წ. ჯრუჭის ოთხთავი[2]. აღნიშნული ხელნაწერები მეტად ძვირფასია ქართული ენის, მწერლობისა და ხელოვნების შესასწავლად[3].

ადიშის ოთხთავის მინიატურების და შემკულობის მხატვრულ-ისტორიული შესწავლა ადასტურებს, რომ მათი შესრულების მხატვრულ-ტექნიკურ მეთოდს საფუძვლად აქვს ფერწერის ადრინდელი ხანის ხერხი, რომელიც გვიან-ელინისტური ხელოვნებიდან გამომდინარეობს. აქ ვერ ვხედავთ ბიზანტიურ ფერწერაში მეტად გავრცელებული დეტალების გამოძერწვას მუქ ფუძეზე (სანკირი), ჩრდილები და ნათელი ადგილები დაწერილია ერთდროულად ღია ფერებით. წერის მანერა მაღალ მხატვრულ დონეზეა, მას შენარჩუნებული აქვს მოგვიანო ხანის ანტიკური მხატვრული ტრადიციის დამახასიათებელი ნიშნები.

ადიშის ოთხთავის მინიატურებს ენათესავება ბერთაში გადაწერილი ოთხთავის მინიატურები, რომელიც ამერიკელ მისიონერებს 1830 წელს[4] შეუძენიათ ყარსში. ხელნაწერი შემკულია კამარებით (ფ. 3v, 65v) და მახარებელთა გამოსახულებით (ფ. 1v, 2v), რომლებიც მოთავსებულია ძველი ტრადიციის თანახმად ხელნაწერის დასაწყისში. კამარების მოყვანილობა მოგვაგონებს ადრეული ხანის ქართულ, სირიულ და სომხურ ხელნაწერებში გავრცელებულ ტიპს, რომლის ნიმუშები ამომწურავად მოყვანილია სირარპი ტერ ნერსესიანის მიერ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქართულ კამარებს საკუთარი სახე აქვს, მოკლებული იმ სიმძიმეს და პროპორციათა სიდაბლეს, რომელიც სირიულ და სომხურ ძეგლებს ახასიათებს. ამიტომ დეკორის საერთო ნიშნების ფაქტი, რაც ერთი ეპოქის სხვადასხვა ქვეყნების ხელოვნებას ზოგადად ახასიათებს, საშუალებას არ გვაძლევს ქართულ ძეგლს აღმოსავლური წარმოშობის დედანი მოვუძებნოთ. მახარებელთა გამოსახულებანი ფერწერის მანერით და სტილით სავსებით ენათესავება ადიშის სახარების მინიატურებს. ქართველ მხატვარს აქ მიუმართავს წერის რთული მანერისთვის, რაც აშკარად ეტყობა მახარებელთა შესამოსლისა და სახის წერის მანერას. მახარებლები წყვილ-წყვილად გამოსახული არიან მთელი ტანით, თითქოს ერთიმეორეს ესაუბრებიან. აღსანიშნავია იკონოგრაფიული მხრით ის გარემოება, რომ, თანახმად ადრინდელი ტრადიციისა, ადიშისა და ბერთის ოთხთავში მახარებელი იოვანე წარმოდგენილია უწვერულვაშო ჭაბუკის სახით. ამ ორ ძეგლს შორის განსხვავება იმაშია, რომ მჯდომარე მახარებლის ტიპი არ არის (ადიშის ოთხთავში მარკოზ მახარებელი ზის და წერს). ფერწერის მაღალი ოსტატობა ახასიათებს ორივე ძეგლს.

ბერთის ოთხთავის ანდერძში[5] აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია ვინმე „გლახაკ გაბრიელის“ მიერ „ლავრასა შინა დიდსა ბერთას“. დამათარიღე-

[1] Е. Такайшвили, Адишское четвероевангелие. Материалы по археологии Кавказа, вып. XIV, Москва, 1916.

[2] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1961, გვ. 211—212.

[3] იქვე, გვ. 213.

[4] R. P. Blake and Sirarphie Der Nersessian, The Gospels of Bert'ay: an old—georgian ms. of the tenth century, Byzantion, vol. XVI, Fascicle I, 1942—1943, p. 226—285.

[5] იხ. იგივე შრომა, გვ. 252

ბელი ცნობა მოიპოვება ანდერძშივე: „სალოცველად მეფეთა ჩუენთა Ⴑუმბატ Ⴄრისთავთა Ⴄრისთავისათჳს და შვილთა მათთათჳს Ⴃავითისათჳს და Ⴁაგრატისთჳს“. Ⴐ. Ⴁლეიკის [1] აზრით, აქ უნდა იყოს მოხსენებული Ⴑუმბატ III (†988) Ⴄრისთავთ-Ⴄრისთავი, რომელსაც ორი ძე ჰყავდა — ბაგრატ II (†988) და Ⴃავით IV (†922/994). Ⴋაგრამ ეს მოსაზრება მცდარია. Ⴄს არ უნდა იყოს Ⴒაოს შტოის Ⴑუმბატ I Ⴄრისთავთ-Ⴄრისთავი (928—958), Ⴃოლისყანის მაშენებელი, რომელიც მოხსენებულია Ⴟრუჭის ოთხთავის მინაწერში, ვინაიდან მას შვილი, სახელად Ⴃავითი, არ ჰყოლია. Ⴇუ მხედველობაში მივიღებთ საისტორიო წყაროებში მიღებულ წესს (მეტადრე Ⴑუმბატ Ⴃავითის-ძის ქრონიკას, რომ ყოველთვის პირველ რიგში მოხსენებულია უფროსი ვაჟი და შემდეგ უმცროსი, მაშინ ჩვენი ვარაუდით Ⴁერთის ოთხთავის მინაწერში მოხსენებულია Ⴁაგრატიონთა Ⴉლარჯეთის საგვარეულოს წარმომადგენელი Ⴑუმბატ I (†889), რომელსაც ჰყავდა უფროსი შვილი Ⴃავითი (†943) და უმცროსი Ⴁაგრატ [2] (†909).

Ⴀმრიგად Ⴁერთის ოთხთავი გადაწერილია მე-9 საუკუნის მიწურულში და ამით აიხსნება მისი ნათესაობა Ⴀდიშის ოთხთავთან. Ⴁერთის ოთხთავი გადაწერილია Ⴑუმბატ I სიცოცხლეში, 889 წლამდე, რვა წლით უფრო ადრე, ვიდრე Ⴀდიშის ოთხთავი.



---

[1] Ⴈხ. იგივე შრომა, გვ. 256—257.

[2] Ⴄ. Ⴇ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Ⴑუმბატ Ⴃავითის-ძის ქრონიკა, Ⴇბილისი, 1949 (იხ. ტაბულები და ტექსტი).

ანდრია აფაქიძე

მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში

ქართული სალიტერატურო ენის უძველეს ძეგლებში, რომლებიც ძირითადად მაინც მე-4-5 საუკუნეთა ენას ასახავენ[1], შემოინახა მოსახლეობის აღმნიშვნელი ტერმინები: ტომი, თესლი, ერი და სხვ.

ეს ტერმინები საზოგადოდ სახელმწიფოს მცხოვრებთა შემკრებლობითი ერთეულების ცნების გამომხატველი ჩანან[2]. ამასთანავე, ირკვევა, რომ ყოველ მათგანს, სხვადასხვა დროს მაინც, ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსი ჰქონდა. ასე, მაგალითად: აკად. აკაკი შანიძის მიერ გამოცემულ ქართული ოთხთავის უძველეს ნუსხათა მიხედვით, „ტომი" ეროვნების ან ამა თუ იმ ხალხის ერთ-ერთ შტოს აღნიშნავდა („.....დასხდეთ თქუენ ათორმეტთა საყდართა და შჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჱლისათა"[3]), მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც იგი საზოგადოდ ხალხის ან კაცობრიობის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. ასეთი მნიშვნელობისა ჩანს ქართული ოთხთავის შემდეგი ადგილი: „და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისაჲ ცათა შინა, და მაშინ ეტყუებდნენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი..." (მათ. 24, 30)[4].

ამას გარდა, „ტომი" ერთთესლოვან ჩამომავლობისაგან წარმომდგარ ერთეულს, ეროვნებასაც აღნიშნავდა. ამის დამამტკიცებლად ივ. ჯავახიშვილს

---

[1] ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა აკაკი შანიძემ. თბ., 1945, გვ. 011. ქვემოთ: აკაკი შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, თბ., 1929, გვ. 16.

[3] აკაკი შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945: ლუკ. 22,30. შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 564.

[4] აკაკი შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გვ. 87—88; შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, გვ. 564; შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, გვ. 144, თბ., 1928; II, 1, გვ. 16—17, თბ., 1928.

მითითებული აქვს იოვანე საბანისძის შემდეგი გამონათქვამი: აბო „იყო აბრაჰეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტ ო მ ი ს ა გ ა ნ ს ა რ კ ი ნ ო ზ თ ა ჲ ს ა და არა თუ უ ც ხ ო ჲ ს ა გ ა ნ თ ე ს ლ ი ს ა.... არამედ ყოველადვე ა რ ა ბ ი ე ლ თ ა თ ე ს ლ ი მამულად და დედულად“. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ამ წინადადებაში „ტომი სარკინოზთა“ სარკინოზთა ანუ არაბების ეროვნებას ჰნიშნავს“ [1]. ზოგჯერ ტომი და თესლი ერთად და შესატყვის ცნებათა აღმნიშვნელად იხმარებოდა. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ივ. ჯავახიშვილს მითითებული აქვს „შუშანიკის წამების“ ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ ვარსქენ ქართლისა პიტიახში თავის ცოლს შუშანიკს „აგინებდა თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჴრებელად სახელ-სდებდა“ [2].

სიმონ ჯანაშია „ტომსა“ და „ნათესავს“ შინაარსით ერთმანეთთან ათანასწორებდა ადრეფეოდალური ხანისათვის მაინც („ხალხთა“ კავშირი შეადგენს „ნათესავს“ (ტომს) [3].

ამრიგად, უძველეს ქართულ ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში დაცული ტერმინი „ტომი“ მოსახლეობის სხვადასხვა ერთეულს — ეროვნებას, ხალხს ან ეროვნების ერთ-ერთ შტოს ნიშნავდა.

ასევე სხვადასხვა მნიშვნელობისა იყო ძველ ქართულში ტერმინი „ე რ ი“. იგი შემკრებლობითი, საზოგადო ცნების გამომხატველი იყო და ხალხსაც აღნიშნავდა და ჯარსაც [4]. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმაოა გავიხსენოთ ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს მიერ გამოცემული ოთხთავის შემდეგი ადგილები: 1) „და მისდევდა მას ერი მრავალი“ (მათ. 4,25); 2) „ხოლო მეუფჱ იგი განრისხნა და მიავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი და ქალაქი მათი დაწუა ცეცხლითა“ (მათ. 22,7); 3) „რაჟამს იხილოთ გარე-მოდგომილი იერუსალჱმი ერისაგან, მაშინ გულისჴმა-ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოოჴრებაჲ მისი“ (ლუკ. 21,20).

როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში ცნება „ე რ ი“ ხ ა ლ ხ ი ს მნიშვნელობისაა, ხოლო მეორე და მესამე მაგალითების მიხედვით იგივე ტერმინი ჯ ა რ ი ს აღსანიშნავად არის გამოყენებული.

„ე რ ი ს“ ორგვარი მნიშვნელობა საზოგადოდ აღიარებულია და სათანადო ამონაწერების მოტანა ახლა საჭირო არ არის. ქართულ საისტორიო ლიტერატურაში ვხვდებით ამ ტერმინის უფრო კონკრეტული შინაარსით გამოყენებასაც. ასე, მაგალითად, ს. ჯანაშია თვლიდა, რომ, გარკვეულ მომენტში მაინც, „ერი“ აღნიშნავდა გვაროვნული საზოგადოების უპირატესად მამრობით ნაწილს. აქე-

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, თბ., 1928, გვ. 17.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 17.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე: შ რ ო მ ე ბ ი, I, თბ., 1949, გვ. 133.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, თბ., 1928, გვ. 20; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, I, თბ., 1949, გვ. 139; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 227; ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბ., 1948—1949, გვ. 157—160; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, „ნათესავით ქართველი“: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავისადმი (თეზისები), თბ., 1966, გვ. 10.

დან კი „ერი“ შეიძლებოდა გვარის ცალკეულ ვაჟ-წევრის მნიშვნელობამდის დავიწროებულიყო [1]. იბერიის მოსახლეობის განხილვისას ს. ჯანაშია მიუთითებდა, რომ „ერი“ არის სტრაბონის „მესამე გენეს“ ადგილობრივი ქართული სახელწოდება [2].

ივ. ჯავახიშვილს „ერის“ ორგვარი მნიშვნელობა (ხალხი, ჯარი) ბუნებრივად მიაჩნდა, რადგან „ხალხი და ჯარი უძველეს დროს ერთი და იგივე იყო“. მიუხედავად ამისა, მას საკვლევად მიაჩნდა ის, თუ რომელი ამ ორ მნიშვნელობათაგანი იყო თავდაპირველი და ძირითადი [3].

„ერის“ წარმოშობის საკითხს შეეხო ს. ჯანაშია. მისი შეხედულების თანახმად, „ერი“ სამხედრო დემოკრატიის წიაღში წარმოშობილი ცნებაა [4]. ამის მიხედვით, თითქოს უნდა ვიფიქროთ, რომ ს. ჯანაშია უპირატესობას „ჯარის“ — „შეიარაღებული ხალხის“ მნიშვნელობას ანიჭებდა. გ. მელიქიშვილს მიაჩნია, რომ ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უფრო „ჯარი“ იყო. ეს განსაზღვრა საფუძველს აძლევს ავტორს დაასახელოს პარალელის სახით ჯარის, ომის აღმნიშვნელი ფართოდ გავრცელებული ინდოევროპული ძირი, რომელიც ქართულთან ყველაზე ახლომდგომი ფორმით გერმანული ჯგუფის ენებში გვხვდება (heri, här, hœr, Heer და სხვ.) [5].

თუ ამ პარალელების საფუძველზე ვივარაუდებთ, რომ „ერი“ ინდოევროპულ ენებზე მოუბარ ტომებთან ქართველ ტომთა უძველესი კონტაქტების ნაკვალევი შეიძლება იყოს, მაშინ თითქოს უნდა გაძნელდეს „ერის“ თავდაპირველ მნიშვნელობად „ჯარის“ მიჩნევა, იმის გამო, რომ უძველესი კონტაქტების ხანაში (ეს ხდება ალბათ 5-6 ათასი წლის წინ) ჯარი ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ხალხისაგან. ასეთ ვითარებაში უნდა ვივარაუდოთ, რომ თუ ქართულმა ინდოევროპულ ენაზე მოუბარ ტომებთან შესაძლო უძველესი კონტაქტების ხანაში შეითვისა სიტყვა „ერი“, თავდაპირველად იგი ხალხის აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო გამოყენებული; შემდეგ კი, შესაძლოა, სწორედ სამხედრო დემოკრატიის დროისათვის, როდესაც ხალხის მამრობითი ნაწილი შეიარაღდა, ცნება „ერი“ „ჯარის“ — „ხალხის შეიარაღებული ნაწილის“ მნიშვნელობამდე დავიდა. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ ტერმინს „ხალხის“ მნიშვნელობა არასდროს არ დაუკარგავს, „შემდეგ უფრო და უფრო განმტკიცდა და საყოველთაოდ სწორედ ასეთის ფართო მნიშვნელობით, ხალხის აღსანიშნავად იხმარება“ [6].

თავისი ისტორიის ბოლო საფეხურზე ცნება „ერი“ ხალხის მნიშვნელობითაც იხმარება, მაგრამ უპირატესად ნაციონალური კავშირის განვითარების უმაღლეს საფეხურს (ნაციას) აღნიშნავს — „ერი“ არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური

---

1 ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე: შრომები, I, თბ., 1949, გვ. 134.

2 ს. ჯანაშია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 150.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 21.

4 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

5 გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 227.

6 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 21.

ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა" [1].

აბო ტფილელის შესახებ იოვანე საბანისძის ზემოთ მოყვანილი გამონათქვამის განმარტებისას ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ „თ ე ს ლ ი" შთამომავლობას ნიშნავდა იმ დროს. იოვანე საბანისძეს უნდოდა ეთქვა, რომ აბო დედის მხრივაც და მამის მხრივაც ჩამომავლობით („თესლით") თავანკარი არაბი იყო [2]. უცხო შთამომავლობისა და ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინიც თესლისაგან ყოფილა ნაწარმოები. ამის დასამტკიცებლად საკმაოა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს მიერ გამოცემულ ქართულ ოთხთავს მივმართოთ. ლუკას სახარების სათანადო ადგილას (17, 18) ვკითხულობთ: „ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაჲთამცა მოაქციეს და მიჰსცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო თესლი ხოლო ესე". ს. ჯანაშია „თესლს" („ნათესავს") „მოდგმას" უტოლებდა და აღნიშნავდა: ვინც ამ „თესლს", ე. ი. მოდგმას არ ეკუთვნოდა, ის „უცხო თესლი" იყო და, მაშასადამე, აქ, არა თავის გვაროვნულ საზოგადოების წიაღში, სათანადო უფლებას მოკლებული იყო [3]. „თესლის" ასეთი მნიშვნელობა ს. ჯანაშიას სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე მდგომი გვაროვნული საზოგადოების დამახასიათებლად მიაჩნდა [4]. როგორც ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს თაოსნობით დაარსებულ სერიებში („ძველი ქართული ენის ძეგლები" — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხაზით და „ძველი ქართული ენის კათედრის შრომები" — თბილისის უნივერსიტეტის ხაზით) თვით აკაკი შანიძისა და მისი მოწაფეების მიერ გამოქვეყნებული ძეგლები გვიჩვენებენ, ორიგინალურმა და ნათარგმნმა ნუსხებმა „თ ე ს ლ ი ს" სხვადასხვა მნიშვნელობა იციან; მაგალითად, ქართული ოთხთავის უძველეს რედაქციებში ეს ცნება ნიშნავს: ტომს, ხალხს, მკვიდრს, ჯიშს და სხვ.

ქართული ოთხთავის უძველესი ნუსხებიდან მოტანილი მაგალითები და იოვანე საბანისძის თხზულება, ცხადია, ადრინდელ ვითარებას ასახავენ. შემდეგში „თესლი" თანდათან ადგილს უთმობს მისგანვე მომდინარე და ხშირად მის თანამედროვე ცნებას — „ნათესავს".

აკაკი შანიძე მიუთითებდა, რომ გიორგი მთაწმიდელს „ერი" ხალხის მნიშვნელობითაც აქვს ნახმარი, მაგრამ ერთგან „ნათესავი" და „ერი" სინონიმები ჩანან [5].

„ნ ა თ ე ს ა ვ ი" თესლის შთამომავალსა ნიშნავდა და, როგორც ჩანს, ზოგჯერ მას „ტომის", „ხალხის" და „ერის" მნიშვნელობაც ჰქონდა [6].

ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ ქართულ დაბადებაში „ტომსა" და „ნათესავს" განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და ნათესავი ეროვნებას უდრის,

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი: თხზულებანი, ტ. 2, 1947, გვ. 319.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, თბ., 1928, გვ. 17.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე: შ რ ო მ ე ბ ი, I, თბ., 1949, გვ. 134.

[4] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

[5] შდრ. ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, თბ., 1945; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, გვ. 224; აკ. შ ა ნ ი ძ ე, გიორგი მთაწმიდლის ენა: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, 99.

[6] შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 144; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, გვ. 421; ბ ა ლ ა ვ ა რ ი ა ნ ი ს ქართული რედაქციები, გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1957, გვ. 48, 199.

ხოლო ტომი ეროვნების ერთ-ერთ შტოს[1]. IX საუკუნიდან მოყოლებული ქართულ ორიგინალურ ძეგლებში სულ უფრო და უფრო გზას იკაფავს „ნათესავი“ და იგი, „თითქმის ყოველთვის, მაინცდამაინც განსაკუთრებით ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინია“[2].

ამასთანავე ქართულმა წყაროებმა „ნათესავის“ სხვა მნიშვნელობაც შემოგვინახეს. ცნობილია, მაგ., „ნათესავი აზნაური“[3], „ნათესავით პიტიახშნი“[4], „ნათესავნი ერისთავთა და პიტიახშთა“[5] და ა. შ. ერთი სიტყვით, „ნათესავი“ ზოგჯერ ჩამომავლობას ნიშნავს, ზოგჯერ — მემკვიდრეობას, ზოგჯერ კიდევ — ერთსისხლხორცობასა და ნათესაობას, მაგრამ X საუკუნიდან მოყოლებული ამ ტერმინის უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ეროვნებას აღნიშნავს.

ივ. ჯავახიშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „თუ მკითხველი ტერმინ „ნათესავი“-ს ამგვარი ორაზროვნების ზემომოყვანილს ყველა მაგალითს ჩაუკვირდება, განმარტებასაც ადვილად მოუძებნის. როდესაც სიტყვა „ნათესავი“ კერძო საკუთარ სახელთან, ან რაიმე ღირსებასთან არის დაკავშირებული დათან სდევს, მაშინ იგი შთამომავლობის, ნათესაობის აღმნიშვნელია. ხოლო როდესაც „ნათესავი“ ეთნოლოგიურს სახელს თან სდევს, მაშინ იგი ეროვნების ცნების გამომხატველია“[6].

ნათქვამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: „ესე ნეტარი მამაჲ ჩუენი იოვანე იყო ნათესავით ქართველი..“; „ოჳკუეთუ ვინმე გამოჩნდეს ნათესავისა ჩუენისაგან კაცი...“;[7] „ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა“[8]; „შესხდებოდენ კათალიკოსად ნათესავნი ქართველთანი“ (ჯუანშერი)[9]; „წარვიდეს უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა“ (ჟამთააღმწერელი)[10]; „ნათესავი ქართველთა ეგევითარი არს“[11]; „არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი და არცა სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“[12]; „ყოველი ქართველთა ნათესავი...“[13]; თამარმა „დაუტევა მეფობა ძესა თჳსსა, ხოლო ნათესავსა ქართველთასა ცემა, მწუხარება, ვაება და

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, გვ. 17.
[2] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
[3] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.
[4] ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის რაიონის წარწერები და აშენების თარიღი: ენიმკი-ს მოამბე, XIII, თბ., 1942, გვ. 82 და შმდ.
[5] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა: ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 237.
[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, თბ., 1928, გვ. 19.
[7] გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, თბ., 1946, გვ. 15, 53.
[8] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, გვ. 165.
[9] ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 207.
[10] იქვე, გვ. 197.
[11] იქვე, გვ. 198.
[12] იქვე, გვ. 209.
[13] იქვე, გვ. 212.

გლოვა"[1]; „...განწირვა ქართველთა ნათესავთა"[2]; „ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონ იყო ნ ა თ ე ს ა ვ ი თ ქ ა რ თ ვ ე ლ ი, ქ უ ე ყ ა ნ ი თ კ ა ხ ე თ ი თ"[3].

მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ჩამოთვლილიც ცხადსა ხდის ივ. ჯავახიშვილის დასკვნის სისწორეს. მოტანილ ამონაწერებში („ნათესავით ქართველი", „ნათესავნი ქართველთანი", „ქართველთა ნათესავი") ცნება „ნ ა თ ე ს ა ვ ი" თან სდევს ეთნიკურ სახელს და ასეთ შემთხვევაში ის, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ერის, ეროვნების გამომხატველია. „ნათესავით ქართველი", „ნათესავნი ქართველთანი" და „ქართველთა ნათესავი" ქართველი ერის გამომხატველი ცნებაა. ასე ესმოდა ეს ცნება აკად. ივ. ჯავახიშვილს და, როგორც ვნახეთ, ასე განმარტავს მას აკად. აკაკი შანიძე.

დაწვრილებით განიხილა „ნათესავით ქართველი" აკად. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ მ ა. „ლეონტისა და ჯუანშერის წარმოდგენით,—წერდა იგი,—ქართლის პოლიტიკური წყობა ისეთივე ჰქონდა, როგორც სპარსეთს, სჯული ისეთივე, როგორც რომს (ბიზანტიას); ამისდა მიუხედავად ის (ქართლი) არც სპარსეთი შექმნილა და არც რომი. თითოეული ეს მომენტი მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ქართველთა ნათესავს სხვა არსებითი ხასიათის ნიშნებიც ჰქონდა: ე ნ ა, ტ ე რ ი ტ ო რ ი ა („საზღვარი"), წ ა რ მ ო შ ო ბ ი ლ ო ბ ა (ქართლოსიანი), ხ ა ს ი ა თ ი. ყველა ამ ნიშნის ერთობლიობა ახასიათებდა თითოეულ ნათესავს, ქმნიდა მის ინდივიდუალურ სახეობას"[4]. ნ. ბერძენიშვილისათვის „ნათესავი" ერის ცნებას გამოხატავს: „ნათესავი" არის („ერი" არის), ის კარგადაა შეცნობილი ენით, ტერიტორიით, ჩამომავლობით, სჯულით, წყობით. მაშასადამე, ინდივიდუმისა თუ კოლექტივის ამ ერთეულისადმი დამოკიდებულებაც (პატრიოტიზმი) ფაქტია, მაგრამ არის მეორე მომენტი: ერთეულში („ნათესავში") სხვადასხვა კლასებია და თითოეულ კლასს ეს ერთეული თავისი კლასობრივი მიზნებისათვის სურს. თითოეული კლასი მთელი „ნათესავის" (ერის) პატრიოტია, მაგრამ ამ „ნ ა თ ე ს ა ვ ი ს" (ე რ ი ს) გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ს ო ც ი ა ლ-პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ი ს უ პ ი რ ა ტ ე ს ა დ პ ა ტ რ ი ო ტ ი ა მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი (წ ა მ ყ ვ ა ნ ი) კ ლ ა ს ი"[5]. როგორც ვხედავთ, აქ მკაფიოდ ჩანს, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით „ნ ა თ ე ს ა ვ ი" „ე რ ი ს" გ ა მ ო მ ხ ა ტ ვ ე ლ ი ც ნ ე ბ ა ა და ის შეესაბამება „ქართველობის" განვითარების გარკვეულ საფეხურს — ქართველთა ნაციონალური კავშირის — ქართველი ერის წარმოქმნას.

„ნათესავით ქართველის" — „ქართველთა ნათესავის" ეს ახალი ცნება, როგორც ვნახეთ, ციდან არ ჩამოვარდნილა; იგი წარმოქმნილია და ფართოდ გავრცელებული ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციისათვის უთუოდ ყველაზე უმჯობეს ხანაში, რაც კი ცნობილია XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე (თუ სოციალისტურ ეპოქამდე არა). ეს იყო, ფართო გაგებით, ერთიანი საქართველოს ფეოდალური მონარქიის ხანა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 151.

[2] იქვე, გვ. 165.

[3] ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისაჲ: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, თბ., 1946, გვ. 171. შდრ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 279.

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაში: შ რ ო მ ე ბ ი, II, თბ., 1965, გვ. 18.

[5] იქვე, გვ. 22.

Ⴄს ცნება წარმოიქმნა ისეთ ვითარებაში, როდესაც „ქართველთა ნათესავს“ უკვე ჰქონდა ისტორიულად მეტნაკლებად სრულყოფილად ჩამოყალიბებული ერთობა ენისა, ტერიტორიისა, სამეურნეო ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობისა (სამოქალაქო ურთიერთობის, მწერლობის, ეკლესიისა და სახელმწიფოს ოფიციალურ ერთადერთ ენას ქართული წარმოადგენდა; *ეს ენის ერთობის მაჩვენებელია*; ქართულ სამთავრო-სამეფოთა (და არა ქართველ ტომთა, ე. ი. ეთნიკური) გაერთიანება *ტერიტორიის ერთობის მაჩვენებელია*. Ⴕართული პატრონყმობის თავისებური განვითარება, ქვეყნის მეურნეობრივი დაყოფის თავისებური სახე, საწარმოო ძალთა განლაგებისა და წიაღისეულთა დამუშავების ხასიათი, საერთოდ კი, ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების დაწინაურების ამსახველი მასალები და, საზოგადოდ, პირველყოვლისა, თვით გაერთიანება „ნათესავით ქართველის“ *სამეურნეო (ეკონომიური) ცხოვრების ერთობის მაჩვენებელია*).

Ⴈსტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობის შეგნებას, ენის, ტერიტორიისა და ეკონომიური ცხოვრების ერთობას შეესაბამებოდა „ნათესავით ქართველთა“ ფსიქიკური წყობის ერთობა, ხოლო ყოველივე ამას — ასე ბრწყინვალედ გამოსატული IX—XIII საუკუნეების ქართული კულტურა [1].

Ⴆემოთ აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ „ნათესავით ქართველი“ წარმოქმნილია და გავრცელებული ისეთ ეპოქაში, როდესაც იქმნებოდა ან უკვე არსებობდა ეკონომიური და კულტურული ნაციონალური ცენტრები, ერთიანდებოდნენ ან უკვე გაერთიანებული იყვნენ ცალკეული სამთავროები. Ⴄნის, ტერიტორიისა და კულტურის ერთობა ჩანასახ მდგომარეობაში კი არ იყო, არამედ გამოიკვეთა, როგორც „ნათესავით ქართველის“ ნაციონალური ერთობის — ერის ელემენტები. Ⴀმრიგად, ქვეყნის გაერთიანების პროცესს, შეპირობებულს შინაგანი ცხოვრების აღმავლობით და დაჩქარებულს საგარეო საფრთხის მოახლოებითაც, თან დაჰყვა ინტენსიური პროცესი „ქართველთა ნათესავის“ ჩამოყალიბებისა, ქართველთა ნაციონალური კავშირის უმაღლესი ფორმის — ქართველი ერის წარმოქმნისა.

Ⴃამახასიათებელია, რომ ისევე, როგორც ქართული მიწა-წყლის გაერთიანებას IX—XI სს. თან მოჰყვა წარმოქმნა სახელისა: „Ⴔრიადი Ⴕართლი“,—„საქართველო“, ქართველი ერის წარმოქმნის ხანგრძლივ პროცესს, დასრულებულს ათიოდე საუკუნით უფრო ადრე, ვიდრე ჩვეულებრივ ვარაუდობენ, თან დაყვა გავრცელება ქართველი ერის აღმნიშვნელი ცნებისა: „Ⴌათესავით Ⴕართველი“, „Ⴌათესავი Ⴕართველთა“, „Ⴕართველთა Ⴌათესავი“; ე. ი. ერიც წარმოიქმნა და მისი აღმნიშვნელი ცნებაც.



---

[1] Ⴀ. Ⴀფაქიძე, „Ⴌათესავით ქართველი“, გვ. 11.

ალექსანდრე ყარამიძე

ქართული სტამბის ისტორიიდან

(მცირე შენიშვნა ვირჯილ მოლინის წერილის გამო)

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1965 წლის მე-9 ნომერში დაბეჭდილია ვირჯილ მოლინის წერილის თარგმანი — „ქართული სტამბის ისტორიიდან“ (გვ. 50—54). წერილი დიდად საინტერესოა, შეიცავს ჩვენთვის უცნობ რიგ ახალ მასალას, ოღონდ ავტორს დაშვებული აქვს მძიმე შეცდომებიც. ამან გამოიწვია ჩვენი ეს მცირე შენიშვნა.

ვ. მოლინი იკვლევს თბილისში დაარსებული სტამბის ისტორიას და იმ აზრს ავითარებს, რომ ვახტანგ მეექვსეს ფაქტობრივ უნდა გაეწყო არჩილ მეფის მიერ ჰოლანდიიდან ჩამოტანილი სტამბა (სტამბის მოწყობილობა), რომ ამისათვის ვახტანგს დასჭირდა რუმინეთიდან დახელოვნებული ოსტატის მოწვევა და რომ მისი თხოვნის შესაბამისად ანთიმოზ ივერიელმა საქართველოში გამოგზავნა სასტამბო საქმის ჩინებული სპეციალისტი — მიხაი იშტვანოვიჩი (მიხეილ სტეფანესშვილი). ვ. მოლინი ამბობს: „ვახტანგი ფლობდა სტამბას, რომელიც მან მემკვიდრეობით მეფე არჩილისაგან, თავისი ბიძისაგან, მიიღო. ეს სტამბა ჩამოტანილი იყო ჰოლანდიიდან (ამსტერდამიდან). ეს არის ჩვენი დასკვნა საქართველოში წიგნის ბეჭდვის საქმის დაფუძნების ისტორიის შესახებ“ (გვ. 52). ერთი სიტყვით, თბილისის „ქართული სტამბის დამაარსებელია არჩილ მეფე“, წერს მკვლევარი და კითხულობს: „გაუგებარი რჩება, რა ბედი ეწვია ამ სტამბას, ვიდრე პირველი წიგნები დაიბეჭდებოდა (1709 წელი). სად მუშაობდა სტამბა, რამდენ ხანს, ვისთან და რა დაბეჭდა?“ ვ. მოლინის ფიქრით, ამ კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემა ჯერჯერობით არ ხერხდება, ხოლო ვარაუდით თითქო არჩილისეული სტამბა ერთხანს უმოქმედოდ „იდგა“, ვიდრე იგი არ აამუშავა ვახტანგმა რუმინელი ოსტატის დახმარებით (გვ. 52). ვ. მოლინი იმასაც გვაუწყებს, რომ: „დიდი რუმინელი ისტორიოგრაფი ჯორჯე იონესკუ, რომელიც ბეჯითად იკვლევდა წიგნის ბეჭდვის წარსულს, წერს: „1701 წელს თბილისში დაბეჭდილი დავითნი მიუთითებს, რომ სასტამბო ხელოვნება ამ მხარეში (ე. ი. საქართველოში — ა. ყ.) არსებობდა XVII საუკუნეში“. „თუ ეს სწორია, — განაგრძობს მკვლევარი, — იგი უსათუოდ არჩილის მიერ ჰოლანდიიდან ჩამოტანილი იქნებოდა“ (გვ. 52—53). რუმინელი მკვლევარი უფრო შორს მიდის და ჰიპოთეზის სახით

შესაძლებლად მიიჩნევს იმ მოსაზრების დაშვებას, რომ იქნებ არჩილისეულ თბილისის სტამბაში შეისწავლაო ბეჭდვის საქმე თვითონ ანთიმოზ ივერიელმა (გვ. 53).

ვ. მოლინის მთავარი შეცდომა ისაა, რომ, მისი მოწმობის თანახმად, თითქო „1686 წლიდან საქართველოს მართავს მეფე არჩილი, ვახტანგის ბიძა“ და თითქო „სახალხო პოეტად“ წოდებული ეს მეფე, რომელსაც „სურს დაბეჭდოს თავისი შრომები (და) დააკმაყოფილოს მოთხოვნილება წიგნზე“, დახმარებისათვის მიმართავს ამსტერდამს (გვ. 52). ვ. მოლინის ცნობებიდან სწორია ის, რომ არჩილი მართლაც ზრუნავდა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმის მოსაგვარებლად (რა თქმა უნდა, არა თავისი შრომების გამოცემის მიზნით), XVII საუკუნის ოთხმოციან წლებში მან ნამდვილად დაამყარა კონტაქტი ამსტერდამთან, ამსტერდამის ბურგომისტრის ვიტცენის მეშვეობით ქართული შრიფტის დამზადება დაუკვეთა იქაურ სპეციალისტს. ჩვენ დრომდე მოღწეულია არჩილის წერილიც ვიტცენისადმი, ეს წერილი სწორედ 1686 წლით არის დათარიღებული[1]. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა მოსკოვში და არა საქართველოში. 1682—1688 წლების განმავლობაში არჩილი რუსეთში იმყოფებოდა (1682—1685 წლების მანძილზე ასტრახანში, 1685 წლის დეკემბერში არჩილი მოსკოვში ჩავიდა და იქ დარჩა 1688 წლამდის), 1688 წელს დაბრუნდა საქართველოში (იმერეთში), დროდადრო განაგებდა იმერეთის სამეფო ტახტს, 1699 წელს საბოლოოდ გადასახლდა რუსეთში და დაემკვიდრა სოფელ ვსეხსვიატსკოეს, მოსკოვის მახლობლად. არჩილი არ ყოფილა საქართველოს (=ქართლის) მეფე, იგი სხვადასხვა დროს მეფობდა მხოლოდ იმერეთსა და კახეთში. მოსკოვში დამკვიდრებულმა არჩილმა იქ გახსნა ქართული სტამბა 1703 წელს, ამ სტამბიდან 1705 წელს (და არა 1701 წელს) გამოვიდა დავითნი[2]. შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ არჩილმა შეაგულიანა და წაახალისა ვახტანგი სტამბის მოსაწყობად, მაგრამ არჩილისაგან ვახტანგს სტამბა მემკვიდრეობით არ მიუღია. ვახტანგმა თვითონ დააარსა სტამბა თბილისში, ამ სტამბის პირველი ნაბეჭდი წიგნი გამოქვეყნდა 1709 წელს. რა თქმა უნდა, არჩილის სტამბაში ვერ დახელოვნდებოდა ანთიმოზ ივერიელი, ეს სრულიად გამორიცხულია.



---

[1] ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, არჩილის წერილი ვიტცენთან („ლიტერატურული საქართველო“. 15. XII. 36); ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, ცალკე ამონაბეჭდი, თბილისი, 1937, გვ. 26—27.

[2] არჩილიანი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1937, გვ. VIII—XIV; ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19—34.

ვახტანგ ბერიძე

XVI—XVIII საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიიდან

მშენებლები, მშენებლობის პირობები და ორგანიზაცია[1]

როგორი იყო მშენებლობის ტექნიკური და ეკონომიური პირობები, როგორ მიმდინარეობდა შენების პროცესი, რა საყოფაცხოვრებო ვითარებაში შენდებოდა სახლები, ციხეები, ეკლესიები, ხიდები, რა პირობები ჰქონდათ თვით მშენებლებს? ამ საკითხთა გასაშუქებლად შუა საუკუნეთა საქართველოსთვის უკმარი მასალაა დარჩენილი. მაგრამ ცალკეული საბუთებისა და ფრაგმენტული ცნობების, აგრეთვე უცხოური ანალოგიების მოშველიებით მაინც შეიძლება ერთგვარი სურათის აღდგენა.

1. მშენებლები

იმ პირთ, რომელნიც ნაგებობის განხორციელებას ხელმძღვანელობდნენ, ამ ხანაში სხვადასხვანაირი სახელებით მოიხსენიებენ. ეს სახელებია გალატოზთა ზედამომგე (XV ს., რუისის ტაძრის აღმდგენელი ყალვა), ზედამდეგი (XVI ს., სამწევრისის ეკლესიის აღმდგენელი საბა), კალატოზი (ზეჩხუმის სოფ. მცხეთა, მარტყოფის სამრეკლო) ან გალატოზი, ოსტატი (XVIII ს., ბარაკონის მაშენებელი ავთანდილ ყულავრელი; 1814, ვაშლოვანის კოშკის ოსტატი გიორგი და სხვ.). ხშირად გვხვდება სარქარი (XVII ს., ანანურის მშენებელი ბალსარაშვილი; XVIII ს., ქვემო-ჭალის ეკლესიის მშენებელი საპუა ქარუმიძე; ძეგვის ეკლესიისა და ხველურეთის კოშკის მშენებელნი და სხვ.). არც ერთ წარწერაში არ შეგვხვედრია ხუროთმოძღვარი — ძველი ტერმინი, რომელიც ამ დროსაც ცნობილია (ვახუშტი). XVII ს-ში, როცა როსტომ მეფემ თანამდებობის პირთ სპარსულად უცვალა სახელი, ხუროთმოძღვარს სარაიდარი ეწოდა (ვახუშტი). სარაიდარი ხშირია XVIII ს-ის საბუთებში.

---

[1] ერთი თავი წიგნისა „ქართული ხუროთმოძღვრება XVI—XVIII საუკუნეებში“.

არის თუ არა რაიმე არსებითი განსხვავება ამ ცნებებს შორის? საფიქრებელია, რომ გალატოზი (კალატოზი, საბას თანახმად, „კედლის მდგმელი“), ოსტატი („ამისი ოსტატი ესა და ეს“, საბას თანახმად „ქელოსანთ უფროსი“) — შენობის ავტორი უნდა იყოს, ხოლო ზედამომგე, ზედამდეგი და სარქარი მშენებლობის ზედამხედველობას, ე. ი. ადმინისტრაციულ ფუნქციას უნდა გულისხმობდეს. ამას უნდა ადასტურებდეს 1790 წლის ერთი ხარჯთაღრიცხვა (იხ. ქვემოთ), რომელშიც ზედამდეგელები ცალკე არიან მოხსენებულნი კალატოზებისა, ქვისმთლელებისა და მუშების გვერდით. საბას თანახმად, ზედამდეგი „ზედ მოურნეს“ ნიშნავს, ხოლო ეს უკანასკნელი განმარტებულია როგორც „საქმის გამგებელი“. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სარქრებად ფეოდალები ხშირად ნიშნავდნენ თავის დაახლოებულ პირთ, სოციალურად შედარებით მაღალ საფეხურზე მდგომთ, ან რაიმე თანამდებობის მქონეთ: ანანურის სარქარი ქაიხოსრო ბაღსარაშვილი ბოქაულთ-ხუცესი იყო, იგი თავის თავს არაგვის ერისთვისშვილის მდივანბეგ ბარძიმის „წინამდგომელს“ უწოდებს; ქვემოჭალელი სარქარი საპუა ქარუმიძე „სახთხუცის“ შვილი ყოფილა, ხოლო ჩვედურეთის კოშკის შენების დროს აზნაური კლიმიაშვილი სარქრობდა. იმავე დროს, უეჭველია, ამ პირთაც გარკვეული მომზადება უნდა ჰქონოდათ მშენებლობის დარგში. შესაძლებელია, რომ ზედამდეგი, ზედამომგე და სარქარი ყოველთვის ერთსა და იმასვე არც ნიშნავდეს: ზოგჯერ თუ იგი მხოლოდ ადმინისტრატორია, სხვა დროს მისი ფუნქცია დღევანდელი სამუშაოს მწარმოებლისას, ე. ი. მშენებლობის ხელმძღვანელ ინჟინრისას უნდა უსწორდებოდეს. რომ ამ დროს ზოგ შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი და შენობის ავტორი ერთი და იგივე პირი არაა, ეს სხვა საბუთებიდანაც ჩანს: მაგ., არსებობს საბუთი — ქოლაგირის ციხის მზა ნახაზი და განმარტებითი ბარათი, რომელსაც სახელმძღვანელოდ უგზავნიან სამუშაოს მწარმოებელს (იხ. ქვემოთ). მაგრამ უმეტესად მაინც ამ ხანაშიც ავტორად და მშენებლად კვლავ ერთი და იგივე პირი უნდა ვიგულისხმოთ. ის, ვინც წარწერაში აღნიშნავდა, ეს შენობა ჩემი ხელით ავაგეო, ამის ოსტატი ან კალატოზი ვარო, პროექტის ავტორიც იყო, მშენებლობის ხელმძღვანელიცა და ნაგებობის უმნიშვნელოვანესი ნაწილების მართლაც თავისი ხელით შემსრულებელი. არც ის მიგვაჩნია შეუძლებლად, რომ ზოგჯერ ზედამომგე და სარქარიც კი შენობის ავტორიც იყოს, ხოლო წარწერაში მხოლოდ თავის თანამდებობას იხსენიებდეს, ვითარცა საპატიოს. შრომის განაწილება ხუროთმოძღვარ-დამპროექტებელსა და სამუშაოს მწარმოებელ ინჟინერს შორის, როგორც ეს XIX ს-ში დამკვიდრდა, შუა საუკუნეებისათვის არსებითად მაინც უცნობია. უფრო მეტიც, უცნობია განსხვავება შემოქმედ ხელოვანსა და პრაქტიკოს-ხელოსანს შორის. და თქმა უნდა, დიდი ობიექტების მშენებლობის დროს მთავარ ოსტატს არა ერთი თანაშემწე ეყოლებოდა — არა მარტო ქვისმთლელები, შავი მუშები, არამედ სხვა ხელოვანი კალატოზებიც, რომელნიც შენობის ცალკეულ ნაწილებსა და ჩუქურთმებს ასრულებდნენ. შუა საუკუნეთა მრავალი ქართული ტაძრის კედლებზე გაირჩევა სხვადასხვა ოსტატთა ხელი, რადგანაც მათს აშენებაზე რამდენიმე დამოუკიდებელი ოსტატი მუშაობდა თავ-თავისი გუნდით.

ქალაქელი მშენებელნი, სხვა ხელობის პირთა მსგავსად, ამქრებში იყვნენ გაერთიანებული. XIX ს-ის ამქრები ბევრად უფრო ადრე იყო წარმოშობილი. მშენებლობის ცალკეულ დარგთა წარმომადგენლებს — ხუროებს, კალატოზებს,

მხურავებს, მღებავებს — თავ-თავისი ამქრები ჰქონდათ. ამქრების მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა — ხელობის სწავლება, გამოცდები, შემკვეთებთან ურთიერთობა, ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებთან დამოკიდებულება — მტკიცე რეგლამენტს ექვემდებარებოდა. ეს ჩვენშიც ისე იყო, როგორც დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთში. ამქარს ჰქონდა თავისი დროშა, ემბლემები, თავისი დღესასწაულები, ჰყავდა თავისი მფარველი წმინდანები.

სოფლად ამქრები არ ყოფილა; ამქარი მხოლოდ საქალაქო ცხოვრებისა და წყობილების კომპონენტია. სოფლად ხელოსნები ფეოდალთა კარზე მუშაობდნენ. სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (XVII ს.) ოქრომჭედელთა მთელი გუნდი ჰყავდა, ასევე ეყოლებოდათ მშენებელი ხელოსნებიც.

სოფლელი მშენებელი ოსტატები უმეტესად ყმა გლეხები იყვნენ. ყმა გლეხებივე ავსებდნენ თვით ქალაქელი ხელოსნების კონტინგენტსაც. მაგ., თბილისის ამქრებში XVII—XVIII სს. მანძილზე უმეტესად სწორედ ყმა ხელოსნები იყვნენ თავმოყრილი. XIX ს. დასაწყისში თბილისში ბევრი ისეთი ხელოსანი ყოფილა, „რომლებიც ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი და იმავე დროს კავშირს არ წყვეტდნენ სოფელთანაც — თავის თანასოფლელებთან ერთად იხდიდნენ ზოგიერთ სახელმწიფო გადასახადს“[1]. ამავე დროს არსებობდნენ — სოფლადაც და ქალაქადაც — თავისუფალი ხელოსნებიც. ისევე, როგორც ადრე, ახლაც ვხვდებით მშენებელთ — სასულიერო პირთ. ზოგი მათგანი მაღალი რანგისაც იყო, მაგალითად: „მანგლელი ეპისკოპოზი არსენ ოსტატი“, ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა ტუსიშვილი, არქიმანდრიტი ნიკოლოზ ყიფიანი, რომელმაც იმერეთის სოფელ ვარძიაში ააშენა სამრეკლო და სხვანი.

მშენებელი ხელოსნების (ყმებისა და თავისუფალთა) არა მარტო ქალაქად წასვლა, არამედ შორეული მოგზაურობაც მოსარეწად იმხანად ჩვეულებრივი ამბავია. შულავრელი ავთანდილი რაჭის ერისთავს უშენებს ეკლესიას, ნასყიდა ქართლელი ლეჩხუმის მთა-სოფელ მცხეთაში მუშაობს, „კალატოზი გიორგი ქართველი [აქ ეს უეჭველად ქართლელს ნიშნავს] ჯუბინაძე“ მარტვილის სამრეკლოს აშენებს (1825 წ.) და სხვა[2].

მშენებლები — კალატოზები, ხუროები და სხვანი — ზოგჯერ სხვა პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ: მათ ათავისუფლებდნენ ამა თუ იმ გადასახადისაგან, ააზატებდნენ კიდეც. ასეთ ოსტატს თავისი მამულებიც ჰქონდა.

აი 1808 წლის საბუთი, რომელიც საამისო ცნობებს შეიცავს (ორიგინალის პუნქტუაციას არ ვიცავთ):

———————

[1] Ш. Месхиа, Города.., გვ. 329, 322.

[2] საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში არის 1841 წლის ერთი საბუთი — მოწმობა მიცემული რაჭველ ყმა გლეხ ხურო სიმონ სირაძისათვის, რომელიც მცხეთის ქვის ხიდის მშენებლობაში მონაწილეობდა. მართლწერის დაცვით ეს მოწმობა ასეთია: Билет. Предявитель сего имеретинской области Рачинского участка селенья Шхиеани помещичи крестянин Симона Сирадзе отпущен отменя для заработков в Грузии и всех вообще провинциах Закавказского сроком отниже писанного числа на четире месяца, если же втечении льготного месяца после сего срока не явится то сим сирадзевим поступлено будет по законам... და სხვ., იხ. ს სია, ფ. 8, № 6246: Дело... по отношению начальника корпусного штаба о собрании сведений к награждению мастеровых медалями за постройку ими мцхетского каменного моста, 1841—1842.

„უნეტარესო და უწმიდესო საქართველოს პატრიარხო, მეფის ირაკლის ძევ ანტონი, მოწყალევ ჴელმწიფევ.

ვითხოვ მცხეთას მსახლობელი ხატუაშვილი ბათუა... მერე ჩემი გვარი კაცი მამა პაპანი კალატოზნი ყოფილან, ამ სვეტის ცხოვლის საძირკვლის ჩამყრელნი ისინი ყოფილან. ხუთი თაობა კალატოზი გამოცვლილა ჩემის გვარისა და სვეტის ცხოველს მოხმარებიან. თარხანი გხლებივართ ყოველის გამოსაღებიდამა, რომ მქონდა წერილები მეფეებისა და დამეკარგა. ახლა მე ღალასა და ყოველი გამოსაღსა [sic!] მთხოვენ. ობოლი გახლავარ, წყალობას ვითხოვ თქვენის უწმინდესობისაგან, რომ ამის უსამართლობა არ დამემართოს. სეკდებერს — ზ. ქ~კს უქვ."

მეორე ფურცელზე ანტონი კათალიკოსის რეზოლუციაა:

„† სამცხეთოს სარდალ მოურაო ბეციავ, ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, რადგან ძველთაგან აზატი ყოფილა, ამას ნურას ფერს ხარჯსა და გასაღებში ნუ გარევ. და სადაც ამას მამულები ჰქონდეს, კოდმანსა თუ სხვაგან, სულ მოიკითხე და ამას მიაბარე. და აგრეთვე საფიჩხულე და საოჩხე როგორც ჰქონდეს, ისიც მიაბარე... სეკდენბერს თ ქ~კს უქვ.

კათალიკოზი ანტონი" (ხელრთვა) [1].

ამ საბუთში მითითებულია შუა საუკუნეთა ხელოსნობის ერთი დამახასიათებელი თავისებურება: ხელობის გადაცემა თაობიდან თაობაზე. ეს ტრადიცია ძალას ინარჩუნებს გვიანფეოდალურ ხანაშიც. ამ ხატუაშვილებთან ერთად საქართველოში ბევრი გვარის დასახელება შეიძლებოდა მთელი XIX ს-ის მანძილზეც, რომელთა წარმომადგენელნიც ოდითგანვე მშენებლობის ამა თუ იმ დარგს მისდევდნენ. დასავლეთ საქართველოში, მაგალითად, წარსული საუკუნის ბოლო ათეულ წლებშიც ცნობილი იყვნენ კურსებელი ბერეკაშვილები და სკინდორელი ფხალაძეები, რომელთაც იმერეთსა და გურიაში ბევრი ეკლესია აქვთ აშენებული.

საქართველოში მთელი განსახილველი ხანის — XVI—XVIII საუკუნეთა — მანძილზე მშენებელთა პროფესიული მომზადების საქმე წინანდებურად დარჩა. დასავლეთ ევროპასა და რუსეთში XVII—XVIII საუკუნეებში ხუროთმოძღვრები საგანგებო აკადემიურ განათლებას ღებულობენ სპეციალურ სასწავლებლებში; საქართველოში კი მშენებელი ოსტატები, ისე როგორც სხვა დარგის სპეციალისტები, ამ დროსაც ამქრულ-ხელოსნური სისტემის წიაღში მზადდებოდნენ: ბავშვობიდანვე შეგირდად მიბარებული პირი ოსტატთან ღებულობდა მთელ თავის განათლებას (ხშირად, როგორც აღვნიშნეთ, შვილი თავისი მამისაგან სწავლობდა ხელობას). ეს ბუნებრივია, რადგანაც სწავლა-განათლების საქმე ამ ეპოქაშიც არ გასცილებია ფეოდალურ შუა საუკუნეთა ტრადიციების ფარგლებს. „აკადემიურად" განათლებული პირველი ქართველი ხუროთმოძღვრები მხოლოდ XIX ს-ის მიწურულში გაჩნდნენ.

ძეგლთა იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც XVI—XVIII საუკუნეებმა დაგვიტოვა, მშენებელთა ცნობილი სახელების რიცხვი სულ უმნიშვნელოა. ისევე როგორც წინათ, ქართველი ოსტატები ახლაც იშვიათად ზრუნავდნენ თავისი სახელის უკვდავსაყოფად და წარწერებში თავის თავს ათასში ერთხელ თუ მოიხ-

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნ. Qd 2335.

სენიებდნენ. მაგრამ სადაც კი მოხსენებულია მშენებელი, მისი სახელი თვალსაჩინო, საპატიო ადგილასაა ამოკვეთილი — ან საერთო სამშენებლო წარწერაში, თვით ეკლესიის ქტიტორის — ფეოდალისა და მისი ოჯახის წევრთა — შემდეგ (ქვემო-ჭალა, ანანური, ზაშლოვანი), ან ცალკე წარწერაში, რომელშიც მარტო ოსტატი იხსენიება (მარტყოფი, ჟარაკონი, სოფ. მცხეთა, ხატისსოფელი და სხვ.). ლეჩხუმის სოფელ მცხეთაში ეკლესიის მაშენებელმა აღმოსავლეთის სარკმლის მორთულობაში ხელის რელიეფური გამოსახულებაც ჩართო ასეთი ამაყი წარწერით: „ხელი ჩასყიდას კალატოზის ქართლელისო“. სოფ. ტბისში ოსტატებმა ფასადზე თავისი სკულპტურული ბარელიეფები მოათავსეს, ცალკ-ცალკე დააწერეს სახელები („ოსტატი საპუა“, „ოსტატი სოლოზა“), ფიგურების გვერდით კი სამშენებლო იარაღებიც (ჩაქუჩები, გონიო და სხვ.) გამოაქანდაკეს. უეჭველია, მშენებლის ხელობას, სოციალური კიბის რა საფეხურზედაც უნდა მდგარიყო ოსტატი, პატივისცემით ეკიდებოდნენ; თვით გოროზი როსტომ რაჭის ერისთავი, გივი ამილახორი, თამაზ ორბელიანი და უმაღლესი არისტოკრატიის სხვა წარმომადგენლები არ თაკილობდნენ თავისი სახელის გვერდით მშენებლის სახელის მოთავსებას.

2. მშენებლობის პირობები და ორგანიზაცია

ამ მხრივ XVI—XVIII საუკუნეები, როგორც ჩანს, არ განსხვავდება წინა საუკუნეებისაგან. ურთიერთობა შემკვეთსა და შემსრულებელს შორის, სამუშაოს ორგანიზაცია, შენების პროცესი არსებითად არ შეცვლილა შუა საუკუნეთა მანძილზე. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში საშენი მასალისა და კონსტრუქციების მხრივ თითქმის უცვლელი სურათი იყო (არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ტრადიციულ ქვააგურსა და ხეს, რომელთაც ათასწლობით ხმარობდნენ, მხოლოდ XIX ს-ში მიემატა რკინა და რკინა-ბეტონი: მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდა ახალი კონსტრუქციები და მშენებლობის ახლებური ორგანიზაცია).

ა. ამ ხანაშიც დიდი მასშტაბის მშენებლობა მეფის, კათალიკოსთა, მსხვილ საერო და სასულიერო ფეოდალთა „წარსაგებელითა და საფასითა“ წარმოებდა. ისინი აშენებდნენ არა მარტო სასახლეებს, საკუთარ ციხე-სიმაგრეებსა და კოშკებს ან ეკლესიებს, არამედ ქალაქის ციხეებს, თავშესაფარ გალავნებს, ხიდებსა და სხვა უტილიტარულ ნაგებობებს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველი დიდი მშენებლობა მოსახლეობას, უმეტესად გლეხობას, აწვებოდა ტვირთად. ალექსანდრე მეფემ (XV ს.), რომელსაც ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა ზანგ-თემურის მიერ წელში გატეხილი ქვეყნის აღდგენა, დაქცეული ციხეებისა და ეკლესიების ასაშენებლად საგანგებო გადასახადიც დააწესა — „საქართველოს კუამლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განვაჩინეო“ [1]. ჩვეულებრივ ციხე-სიმაგრეთა და გალავანთა მშენებლობაში ამა თუ იმ კუთხის მთელი სოფლები მონაწილეობდნენ თავისი ტრანსპორტითა და საშენი მასალითაც. გლეხები გამოჰყავდათ მაშინაც, როცა მშენებლობას ასეთი საზოგადოებრივი და საყოველთაო მნიშვნელობა არ ჰქონდა (იხ. ქვემოთ). ამავე დროს, ამ ხანის ძეგლთა წარწერებში არსად არ გვი-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 38; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 248.

ნახავს მითითება, რომ სოფელს, გლეხობას ეკლესიის აგებაში თანასწორ პარტნიორად მიეღოს მონაწილეობა. ადრე, როგორც ვიცით, არა ერთი ასეთი შემთხვევა გვხვდება (სავანე — XI ს., საორბისი — XII ს. და სხვ.). საქალაქო მშენებლობაში, ბუნებრივია, თვით ქალაქის მცხოვრებნი — მაღალი მოხელეები, ვაჭრები და ხელოსნები მონაწილეობდნენ თავისი სახსრებით.

ბ. უმნიშვნელო ობიექტები, უეჭველია, წინასწარ დახაზული პროექტების გარეშე შენდებოდა. საცხოვრებელ სახლებს ოსტატები მაშინაც ისევე „ზეპირად", გამოცდილებით აგებდნენ, როგორც ეს XIX ს-ში იყო და ახლაც ხშირად არის სოფლად. მაგრამ საზოგადო დანიშნულების ცოტად თუ ბევრად დიდი ნაგებობისათვის — ეკლესიების, კოშკების, ციხეებისა და სასახლეებისათვის — წინასწარი პროექტი უნდა შეედგინათ. საქართველოში რომ ადრევე იყო დახაზული პროექტები, ისე როგორც დასავლეთ ევროპაში, რუსეთსა და აღმოსავლეთში, ეს უეჭველია. მაგრამ რეალური ნიმუშები მხოლოდ ამ გვიანდელმა ხანამ დაგვიტოვა. ჯერჯერობით მხოლოდ ორ ასეთ დოკუმენტს ვიცნობთ: ერთი 1720 წელს მიეკუთვნება — ეს დავით გარეჯის მონასტერში ასაშენებელი ორი კოშკის ფასადებია; მეორე — იმავე საუკუნის მიწურულისა — ✝ოლაგირის ციხის გეგმებია. ორივე პროექტს განმარტებითი ბარათები ახლავს თან (საბუთები მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში ინახება: პირველი — Ad 554, მეორე — H 2746) [1].

— — — — —

[1] დაწვრილებით ამ პროექტების შესახებ იხ. ჩემი წერილი „XVIII ს-ის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები": საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბის XIV-B ტომი, 1947 წ. აქ, სურათის სისავსისათვის, მაინც საჭიროდ მივაჩნია მოკლე ცნობების მოყვანა ამ ნახაზებზე და განმარტებითი ტექსტების სრულად მოცემა, რადგანაც ეს ტექსტები ბევრის მთქმელია განსახილველი საკითხებისათვის.

დავით გარეჯის კოშკების პროექტი ერთმანეთზე მიწებებულ ორ თეთრ ფურცელზეა. ორივე კოშკი თავ-თავისი ფურცლის შუაზეა მოთავსებული, ფურცლების დანარჩენი არეები კი — ფასადების ორსავე მხარეს — განმარტებით ტექსტს უჭირავს. ორსავ ფურცელზე ტექსტის მარცხენა სვეტი ცალკეული სართულების განმარტებას შეიცავს და სათანადოდაა განლაგებული — „სართულ-სართულ". მარჯვენა სვეტებში უფრო ზოგადი მითითებებია.

ფასადები საღებავებითაა შესრულებული. შეფერვაში გარკვევით ჩანს მასალის რეალური ფერის გადმოცემის ცდა (აგური, მორუხო ქვა, „ლურჯი ქაშანური აგური", ყვითელი ჯვარი). გარეთა სწორხაზოვანი კონტურები და სართულშუა გამყოფი ხაზები სახაზავითაა გატარებული, სხვა ყველაფერი — ხელით მოხაზული (გუმბათები, ქვისა და აგურის ხაზები, სარკმლები). სარკმელთა არე მთლიანად შავადაა შეღებილი. შესრულება სუსტია, არაოსტატური, თუმცა ყველაფერი გარკვევით და გასაგებადაა გადმოცემული.

განმარტებითი ტექსტი ზოგან გადარეცხილია და ძლივსღა იკითხება. აი ეს ტექსტი იმ თანმიმდევრობით, როგორც ორიგინალშია (მის გასაგებად უნდა ვიცოდეთ, რომ სახლი სართულის მნიშვნელობითაა ნახმარი, გული ნიშნავს სადგომის შიდა ზომებს, ცადაქნა — კამარით გადახურვაა).

მარცხენა ფურცელი (სამსართულიანი კოშკი), მარცხენა სვეტი:

„✝: მესამე სახლი, იქნება სიმაღლით ორადლნახევარი და სიგრძე გული ექნება სამი ადლი და კედელს სისქეს მოაკლდება აქეთ და იქეთ თითო ჩარექი. ფანჯარა ექნება ასე მრგვალი ნახევარ ადლი ჩვენებური და ცად აექნება აგურით. როგორც ჩამს (sic!) ამ სახედ.

✝: ეს ზეითი სახლი დადგმული ალაყაფის კარზედ, სიმაღლე ექნება სამი ადლი ჭერამდინ და სიგანე ისევ სამადლ ნახევარი. ფანჯარა სამი ჩარექი სიმაღლით და ნახევარ ადლი სიგანით ასე რომ კაცს შეეძლოს გადახედვა.

✝: აქ ალაყაფის კარის კოშკი რომელიც იქმნება ცადაქნილი აგურით, სიმაღლე ექნება

Ⴄს ნახაზები გვიჩვენებს, რომ XVIII ს-ის ქართველი მშენებლები იცნობდნენ და იყენებდნენ როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ პროექციას; ნახაზებში იცოდნენ მასშტაბის დაცვა (Ⴚიხის გეგმაში, სადაც სიგრძე და სიგანე 100 და 70 ადლია მითითებული, სიგრძე მართლაც ისე შეეფარდება სიგანეს, როგორც 10:7); მაგრამ ნახაზებში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ის დონე, როცა ხუროთმოძღვრის ნააზრევი სრულსა და ზუსტ გრაფიკულ გამოსახულებას პოვებს, რაც აკადემიურად განსწავლული ევროპელი არქიტექტორებისათვის ცნობილი იყო რენესანსის დროიდან მაინც (Ⴐუსეთში ასეთი ნახაზები XVIII ს-ის დასაწყისიდან შემუშავდა). Ⴎროექტი იძლეოდა მხოლოდ ზოგად იდეას, ფაქტიურად მხოლოდ ზოგად კონფიგურაციასა და ძირითად ელემენტთა განლაგებას (Ⴒოლაგირის ნახაზში კოშკების გეგმა მხოლოდ გარე კონტურითაა მინიშნებული; Ⴃავით Ⴂარეჯის კოშკების ფასადებიც სქემატურია, თუმცა საღებავითაა შეფერილი); დანარჩენი ევალებოდა განმარტებით ბარათს და, კიდევ უფრო მეტად, თვით მშენებლის პრაქტიკულ გამოცდილებასა და ცოდნას. Ⴋშენებელი დეტალების შესრულებისას შეზღუდული არ იყო, მას შეეძლო საკუთარი მოსაზრებით შეეცვალა ან დაეზუს-

———————

სამადლ ნახევარი თაღით. Ⴃა სიგანეცა სამადლნახევარი შიგნით გული; კედლის სისქე იქნება ხუთი ჩარექი ქართულის ადლისა, გრეხილი ვ¯ა ჩამს ისე უნდა გაუკეთდეს ლურჯის ქაშანურის აგურისა.

Ⴋარჯვენა სვეტი:

„Ⴟვარი თითბრისა ანუ თუჯი და [ფერდი?] ანუ რკინა იყოს, გინდ ქვისა, როგორცა ამჯობინოთ.

Ⴆეიდამ ეს თაღი ლურჯის ქაშანური აგურით თუ დაიხურება [სეფრომ?]სავით. Ⴃა ასე მოყვანილი მეტი არ უნდა. Ⴃა ამ გუნბათზედ ქვას დასდგამთ ვ¯ა ჩამს ჯვარის ჩასარჭობლად.

Ⴄს კოშკი იქნება კუთხიანი კოშკი, და თუ ამჯობინებთ, ოთხსავ მხარეს თანასწორ დასდგამთ. Ⴃა თუ ამჯობინებთ, ალაყაფის კარს შემოსასვლელსა იქით სამადლს ნახევარს წინიდამ, პირდაპირ გზისა: და იმ გვერდსა, რლ¯იც უყურებს გაღმა სენაკებს და აქეთ Ⴃავით Ⴂარეჯის საფლავს, თუ კლდესა, იქმთ ორადლს ნახევარს. Ⴐომ იქნება სახლის სიგრძე სამადლნახევარი გული და ორადლნახევარი სიგანე: და ბუხარს დაატანთ სიგძის თავს შუაადგილსა.

Ⴋარჯვენა ფურცელი (ოთხსართულიანი კოშკი), მარცხენა სვეტი:

†: Ⴄს მეოთხე სახლი იქნება ცადაქნილი გუმბათით ვ¯ა ჩამს ამ სახედ და შიგნით გული ექნება ორი ადლი. Ⴃა სიმაღლე გუნბათით ორ ადლნახევარზედ მეტი, ვ¯ა ჩამს აქა.

†: Ⴄს მესამე სახლიც ამ მეორის სახლის ტოლი უნდა იყოს. Ⴗუხრებიც დაატანეთ და ფეხისადგილიც კოშკებს და ეს ზეითი სახლები დაიხუროს ხითა.

†: Ⴋეორე სახლი. Ⴀმას აქვს სამი ადლი სიმაღლე და ორადლნახევარი გული. Ⴃა ამასაც გაუკეთდება გრეხილი ლურჯის აგურისა ვ¯ა ჩამს და ფანჯრებიც ზომით.

Ⴄს კოშკი საყარაულო არის, ამ ქვემო სახლში გვირაბიდამ ავა გზა. Ⴀმას ექნება შიგნით გული სამი ადლი, ეგრევე სიმაღლე და სიგანე სამი ადლი [- - - -] პირველი [...ფანჯარა] ექნება [- - - - - -] ბნელი არიყ [- - - - -] მიდამ [- - - -] აქვს კარი და სი[...... კიდე] ხუთი ჩარექა.

Ⴋარჯვენა სვეტი:

„Ⴄსეც ოთხკუთხე კოშკი იქნება. Ⴃა თითო მხრიდამ ამ სახედ შესახედავი უნდა ჰქონდეს, ფანჯრები კიდე, როგორც ამჯობინოთ, ისე დაატანეთ, აგრეთვე სათოფეები ძირს, ზეით, სალოდეებიც, როგორც ეჭირებოდეს.

Ⴀმ მესამე სახლზედ წინიდამ მონასტრის მხარეს მზის საათი გაუკეთეთ.

Ⴀმ მეორე სახლზედ გრეხილ ქვეშ დაატანეთ თახჩა ანუ ქვა გარედამ და ამ სახედ დაწერეთ სხვილის ასოებით:

ტებინა ცალკეულ ელემენტთა (მაგ., სარკმლების) ფორმა და სიდიდე, თვითონვე განელაგებინა პრაქტიკული დანიშნულების სადგომები და ნაწილები — საპირფარეშოები, ბუხრები, სათოფურები, რომელთა შესახებაც მხოლოდ განმარტებით ტექსტში იყო მითითება. Ⴂანსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რომ სადგომთა Ⴆომებიც სიტყვიერადაა მითითებული.

Ⴂანხილული ნახაზები, რა თქმა უნდა, ნებას არ გვაძლევს ზოგადი დასკვნა გამოვიტანოთ; კერძოდ, არა გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ესაა უმაღლესი დონე, რომელსაც ჩვენში ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის გრაფიკულმა გამოსახვამ მიაღწია. Ⴂაცილებით ადრეც და ამ ეპოქაშიც უნდა ყოფილიყო უფრო მნიშვნელოვანი და მეტად დამუშავებული პროექტები. Ⴑხვაგვარად ვერ აშენდებოდა თუნდაც დიდი, მდიდრულად მოჩუქურთმებული ტაძრები, რომლებშიც ესთეტიკური მხარე უფრო არსებითია (აღმოსავლეთშიც, მაგ., Ⴓზბეკეთში, ცნობილია XVI ს-ის დაწერილებით დამუშავებული გეგმები). Ⴃა მაინც, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ ნაგებობათა ხორცშესხმის დროსაც „იმპროვიზაცია“ მთლიანად გამორიცხული არ იყო. Ⴐაც უნდა იყოს, ამ გალატოზებსა და ოსტატებს წლების განმავლობაში მტკიცედ უმუშავდებოდათ გარკვეული ხერხები და ჩვევები, რომელთაც ისინი, რაც დრო გადიოდა, უფრო იოლად იყენებდნენ. Ⴈქნებ სწორედ ამ გვიან-

Ⴈღვიძებდით, და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა.

Ⴋეოთხე გუნბათში ზარი დაიკიდება, რომ ოდეს ყარაულმან ნახოს მტერი ანუ სხვა მომავალი მონასტერში, დარეკდეს, რომ ის იყოს ნიშანი შეტყობინებისა. Ⴀგრეთვე ბერები რომ წავიდნენ შორს ფიჩხზედ, ან მხლის საკრეფად და ჯარის ანბავი გაჩნდეს, ან ისე საქმე, დარეკონ, რომ მით შეიტყონ თუ დია შორს არ არიან. Ⴃა იმ გუნბათის ფანჯარა მოდიდო ჰქენით, რომ ზარის ხმა რიგიან გავიდეს კარში.

✝ქ̃სა უჲ..

Ⴙვეულად: „Ⴅახუშტი Ⴀბაშიძე“.

Ⴈს Ⴅახუშტი Ⴀბაშიძე Ⴅახტანგ VI-ის სიძე იყო, Ⴀნუკა ბატონიშვილის მეუღლე. XVIII ს-ის დასაწყისის საბუთებში მისი სახელი ხშირად გვხვდება. Ⴀქ იგი პროექტის დამამტკიცებელია, უეჭველია, Ⴅახტანგ მეფის სახელით. Ⴈს კოშკები არ განუხორციელებიათ.

Ⴋეორე საბუთი სამ ნახაზს შეიცავს: Ⴀ) ციხის გეგმის შავ ნახაზს, რომლის მეორე გვერდზე განმარტებითი ბარათია; Ⴁ) ამავე ციხის გეგმის მეორე ვარიანტის შავ ნახაზს; Ⴂ) ამ ვარიანტის თეთრ ნახაზს. Ⴎირველ ორ ნახაზს ზედვე აწერია ციხის მთავარი კოშკების სახელები (Ⴋაცხოვრისა, წმ. Ⴂიორგისა, წმ. Ⴄვსტათესი, Ⴙათლისმცემლისა და სხვ.) და ზოგან ზომებიცაა მითითებული სიტყვიერად. Ⴉედლების სისქე ორი პარალელური ხაზითაა გადმოცემული.

Ⴂანმარტებითი ბარათი იმ ხანების ბევრი საბუთიდან ცნობილ სტეფანე სარაიდარისადმი გაგზავნილი წერილია: (სიტყვები წერტილებითაა გაყოფილი).

„ღ̃თით.

✝. Ⴛმაო სარაიდარო სტეფან, რომელიც საურმე დიდი კარია, იმის თავს როგორიც ბურჯი მოვიდეს, იმის პირდაპირებიც ისე უნდა მოიყვანოთ, ყოველისფრით ერთმანეთს უნდა გვანდეს და ოთხი დიდი ბურჯი ხომ თავის თარზე იქნება, და ამ დიდს ბურჯებს გარდა რომ კარის თარ-ბურჯები მოვა, ეს ბურჯები კუთხიანი უნდა იყოს გარედამაც და შიგნიდამაც, სწორეთ კუთხიანი ბურჯები უნდა იყოს, რომ შეიქნება ოთხი დიდი კოშკი და ოთხიც კუთხიანი კოშკი თავის საზარბაზნებით, სათოფებით და სალოდებით, კარგათ უნდა მოიყვანოთ. Ⴂარშემო რომ ოცდაოთხი თაბია ექნება, ძირიდამ სახლურათ უნდა მოიყვანოთ თაღბანდით და სათოფებით და თავს როგორც თაბის რიგია, ისე სათოფებით და სალოდებით უნდა იყოს გაწყობილი. Ⴇავთავის ზარურებიც უნდა ღაატანოთ როგორც თქვენთვის მოთქვამს, ამ ციხეს განი და სიგძე ერთი უნდა ქონდეს“.

Ⴇ ა ბ ი ა აქ მცირე კოშკებს ნიშნავს, თ ა ღ ბ ა ნ დ ი — კამაროვან გადახურვას, ზ ა რ უ რ ი — საპირფარეშოს.

დელ ხანაში, როცა ხელოსნობა სულ უფრო ავიწროებს ნამდვილ შემოქმედებას, ასეთი ხელოსნური თავისუფლება მეტადაც კი ყოფილიყო გავრცელებული.

გ. XVIII ს-ისა და XIX ს-ის დასაწყისის ცნობებით, როცა ახალი ნაგებობა კი არ იყო ასაშენებელი, არამედ ძველი, დაზიანებული უნდა შეეკეთებინათ, ადგენდნენ იმდაგვარ საბუთს, როგორსაც ახლა სადეფექტო აქტი ეწოდება. 1796 წელს ერეკლე II წერდა იოსებ მიშკარბაშს: „ჩვენი ბძანება არის, მიშკარბაშო იოსებ! მერე სარაიდარი სტეფანე, სარაიდარი ფარსადანი და ორი მოქალაქე და კალატოზები უნდა შენთან წაიყვანო და მიხვიდეთ, ქალაქის გალავანს შემოუაროთ, საცა კედლები დაქცეულები არის ის უნდა კალატოზების საზომის იარაღებით გააზომონო. საცა როგორც არის დაქცეული და ან როგორც უნდა აშენება, ის უნდა ზომით სწორეთ შეიტყოთ და დასწეროთ და მას უკან როგორც ჩვენგან ბრძანება იქნება, ისე უნდა გაკეთდეს“[1].

დარჩენილია თვით ასეთი „სადეფექტო აქტიც“ 1808 წლისა, შედგენილი მანუჩარ თუმანიშვილის მიერ, რომელიც დავით გარეჯას იყო გაგზავნილი, რომ „იქაური საჭიროება გაეშინჯა“. აი დამახასიათებელი ადგილი იოანე ბატონიშვილისადმი გაგზავნილი ამ ვრცელი წერილიდან: „პირველი, თვითონ დიდ ეკლესიას რომ თაღი დაძრული აქვს, რით გამაგრდება, სვეტებით თუ სხვა ახალი თაღის შეკვრა უნდაო? ამისი ჩვენ რომ გავშინჯეთ ამ თქვენის ნაბძანებით, არც ერთით იმ ეკლესიის შემაგრება არ შეიძლება. ამისათვის, ეკლესიის შესავლის კარიდამ მარჯვენა მხარე, საკურთხევლიდამ მოკიდებული ბოლოს კედლამდინ და მობმული მარანიც, ზეითის ციდამ წყლისაგან ასე გატეხილია ცაც და კედელიც, რომ სინოტისაგან მოტირალა და თქვენს ნახულს უკან უფრო დაძრულა და კლდეც ბევრი ჩამოსულა, რომ შიგნით მარანი, ჩამოსულის კლდით რომ აუგროებიათ, ნახევარი მარანი სავსეა და ჩვენს აქ ყოფნაში, წირვისა და ლოცვის მოსმენაში, ეკლესიის ციდამ და გვერდის კედლიდამ კლდე ჩამოცვინდა და ჩამოცვინვაში დიდი ხმაც გამოიღო. ამის მიხედვით და ჩვენის გაშინჯვით თუ ეკლესია გატეხილს კედლამდის არ ადგეს და ხელახლა ქვიტკირით არ გაკეთდეს, სხვა რიგათ დაკერებით არ გაკეთდება და უბინაოც იქნება“ (შემდეგ საუბარია ახალი კოშკების აშენების შესახებ)[2]. როგორც ვხედავთ, აქ დაზიანებაც გარკვევითაა დადგენილი და საჭირო შეკეთების ხასიათიცაა მითითებული.

დ. ჩვენშიც, მსგავსად დასავლეთ ევროპისა, მშენებლობის დაწყებამდე ოსტატებთან ხელშეკრულება — პ ი რ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი — იდებოდა. ერთი ასეთი საბუთი განსახილველი ეპოქის მიწურულს — 1810 წელს — მიეკუთვნება. მასში ნათლადაა აღნუსხული ოსტატთა მუშაობისა და შრომის ანაზღაურების პირობები:

„†. მე, თავადმა მანუჩარ მდივან თუმანოვმა ეს წიგნი მოგეცი შენ, სტეფანა კალატოზს, ასე რომ შენ წმინდის დავით გარეჯის უდაბნოში სამუშაოთ ვაგისტუმრე, რომ იქ კოშკზე და გალავანზე იმუშაო შენის შაგირდით და სამუშაოთ შენ შენის შაგირდით დღეში რვა აბაზი თეთრი ფული მოგცე და შენი სმაჭამაც უდაბნოში ჩვენი იყოს. რამთენი დღეც რომ იქ დაჰყო, კვირესა და უქმეს გარდა, თუნდა ან უმასალოს მიზეზით და ან სხვა მიზეზით მოგაცდინონ მუშაობას, მაშინაც შენი სამუშაო მოლივ მოგცე და თუმან-ნახევარიც ხალათათ მოგცე და ახლა ამ თავით

[1] საქართველოს სიძველენი, III, 66.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, 24-25.

მოგეცი შენის ხელფასის ანგარიშში ორი თუმანი თეთრი ფული. ღთით, იქიდამ რომ მოხვალ, რამთენი დღის სამუშაოსაც მოსაცემს ვიქნები, იმ ორის თუმნით შეგისრულებ და მოგცემ. ღ͠თნ გაშორროს, თუ წასვლა-მოსვლაზედ მტრისაგან შენ დასტყვევდე, მე დაგიხსნა. ეს არის ჩვენი პირობა. მკათათვის: იჱ: ქკს: უქჱ: მანუჩარ“.

მინაწერში ნათქვამია:

+. ამ რიცხვში წასული კალატოზი სტეფანემ დაჰყო უდაბნოში ენკენისთვის: ბ: გასვლამდინ. იქ ყოფნის უქმეს და კვირის და ავდრისაგან მოცდენის გამოველ, ემუშავნა დღე ოცდათურამეტი. ამის სამუშაოთ მივე ხუთი თუმანი. ხალათი მივე თუმან-ნახევარი. იქნება ორივ ექვსთუმან-ნახევარი [1].

ამგვარად: ოსტატს მისცეს, ახლანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ავანსი, მას ჰქონდა ფულადი ანაზღაურება და საჭმელ-სასმელი. უნებლიე მოცდენა („უმასალოს მიზეზით ან სხვა მიზეზით“) აგრეთვე ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მინაწერიდან ჩანს, რომ უამინდობის გამო გაცდენილი დღეებისათვის ოსტატს ფული არ მიუღია. მშენებლობაზე გაწეული ხარჯის ნუსხების თანახმად, ოსტატებსა და მუშებს ჩვეულებრივ ფულს ყოველდღიურად უხდიდნენ და საჭმელ-სასმელითაც უზრუნველყოფდნენ: „ხუთშაბათს ორს ხუროს მივეც ფული (ოთხი აბაზი)...; ოთხ მუშას მივეც თავის პურით (ოთხი აბაზი და ოთხი ბისტი)...; სადილ-ვახშმათ ოსტატებისათვის ხორცი (ოთხი შაური და ორი ბისტი)...; პარასკევს ორს ხუროს მივეც აბაზი ოთხი...; სადილ-ვახშმათ სამარხოში მივეც ფული (უზალთუნი); ხუთშაბათს დურგალს მივეც აბაზი ორი; სადილ-ვახშმათ დაიხარჯა აბაზი; სადილ-ვახშმათ დაიხარჯა კალატოზზე და მუშებზე ფული...“ და სხვ. [2].

ე. ცალკეული საბუთები მოწმობს, რომ მშენებლობის დაწყებამდე ადგენდნენ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც ითვალისწინებდა მასალისა და მუშახელის ხარჯს. ერთი ასეთი საინტერესო საბუთია Hd 3055 ხელნაწერთა ინსტიტუტისა, რომელიც ციხის აშენების ხარჯთაღრიცხვას წარმოადგენს. აქ მუხლებადაა ჩამოწერილი, რა დაჯდება სხვადასხვა საშენი მასალა და რამდენი უნდა გადაუხადონ მშენებელთ. ყოველი მუხლის დასაწყისში ქართული ანბანური აღნიშვნითაა მითითებული ამ მუხლით გათვალისწინებული ხარჯის ჯამი: საბუთი 1790 წლისაა (ორიგინალში სიტყვებს შორის წერტილებია).

„ქ͡ს უოჱ, ფებერვალს დ, ღ̄თით, ჩახიდურის ციხის აშენებას ეს მოუნდება, რომელიც ქვეით დაიწერება.

სს +. ციხე არის გალავნით, ბურჯებით. სიგრძე, სისქე და სიმაღლე, რომ თაბიებიც ამაშია ნაგარიში (sic!), ადლია ექვსათასორასი მაზანდარით ადლი.

რ ჴ [=190 თუმანი] +. ამაზე მოუნდება არეული კირი კოდი ცხრა-მეტი ათასი. ამისი ერთი კოდი ორშაურათ იქნება.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I, გვ. 295—296. ვახტანგ ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვრები, თბ., 1956, გვ. 14-15.

[2] ნ. ბერძენიშვილი, იქვე, გვ. 183 და შემდ.

მ [=40 თუმანი] +. აგური მოუნდება ოთხმოცი ათასი. ამისი ათასი ჵ [=5 მინალთუნი]

რკ [=120 თუმანი] +. ქვა მოუნდება თორმეტი ათასი ურემი. ერთი ურემი რ [=ორი შაური]

რე [=105 თუმანი] +. კალატოზი მოუნდება ათასხუთასი. ერთი ღ [=14 შაური]

ტლზჵ [=336 თუმანი და 5 მინალთუნი] +. მუშა მოუნდება ოცდაორიათასხუთასი. ერთი რნ [=3 შაური]

იბ [=12 თუმანი] +. საძირკველს გასათხლელათ (sic!) მოუნდება მუშა რვასი იქნება

კდ [=24 თუმანი] +. ამის ზედამდეგლების ხარჯი იქნება

ლ [=30 თუმანი] +. ამისი სრულებით რაც კარების შესაბმელად მოუნდება

ვ [=6 თუმანი] +. ქვის მთლელი (sic!) დაიხარჯება რ [=100]. ერთის ფასი ქ [=12 შაური] იქნება

ი [=10 თუმანი] +. მასალა და ავზარი (?) მოუნდება

ყოდჵ +. ჯამი ზემო ათი კალმისა რვას სამოცდათოთხმეტი თუმანი და ხუთი მინალთუნი“[1].

რა თქმა უნდა, ხარჯთაღრიცხვა არ გულისხმობს, რომ მშენებლობაზე ერთდროულად იმუშავებდა ათას ხუთასი კალატოზი ან ოცდაორი ათას ხუთასი მუშა — ეს დღესაც კი ასტრონომიულ ციფრებად მოგვეჩვენებოდა. აქ ნაგულისხმევია, ახლანდელი სიტყვით რომ ვთქვათ, „ადამიანი — დღე“ (კალატოზებისა და მუშების საერთო ხელფასის გამოსაანგარიშებლად საფუძვლად აღებულია ერთი მუშაკის ერთი დღის ხელფასი. კალატოზი, როგორც ვხედავთ, დღეში თოთხმეტ შაურს იღებდა, ქვის მთლელი — თორმეტ შაურს, ხოლო მუშა — სამ შაურს).

მშენებლობაზე გაწეული ხარჯი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ზუსტად აღირიცხებოდა ყოველდღიურად სათანადო დავთრებში. დღემდე შემონახულია და გამოქვეყნებულიც ბევრი ასეთი დავთარი, რომლებიც დიდად გვშველის მშენებლობის ცოცხალი სურათის წარმოდგენას[2]. დარეჯან დედოფლის მიერ რუსული ხელისუფლებისადმი მირთმეულ თხოვნაში, სხვათა შორის, აღნიშნულია, ქოლაგირის ციხის აშენებაზე „რაც ჩემი თეთრი დახარჯულა, ამის ნუსხები თვითოეულად და სახელდობრ დაწერილი მქონდაო“[3].

ე. მშენებლობის დაწყებისას საძირკველს აკურთხებდნენ ხოლმე. იმისდა მიხედვით, თუ ვინ იყო მაშენებელი, კურთხევის ცერემონიალიც ხან უფრო უპრეტენზიო იყო, ხან კი, როგორც ჩანს, უფრო საზეიმო. 1671 წლის ერთი საბუთი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad 1337) მოგვითხრობს, რომ სოფ. ნიჩბისში, როცა ზაზა და ზაალ ციციშვილებმა თავისი დედის საფლავზე ეკლესიის აშენება წამოიწყეს, საძირკველი თვით განსვენებულის ძმამ, ბატონიშვილმა კათალიკოსმა დომენტიმ აკურთხა და ამ „კურთხევაში დახვდნენ“ (ე. ი. დაესწრნენ) ბატონიშვილები, მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ჩხეიძე და ტფილელი ეპისკოპოსი იოსები.

---

[1] საბუთი ლურჯი ქაღალდის ერთ ფურცელზეა. ჭვირნიშანი 1788 წლისაა. მეორე გვერდზე ნახაზია — ციხის კედლის ფრაგმენტი.

[2] ნ. ბერძენიშვილი, მასალები, I და III.

[3] საქართველოს სიძველენი, III, 299.

მშენებლობას სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ესაჭიროებოდა. XVIII ს-ისა და XIX ს. დასაწყისის საბუთებში მოხსენებული არიან ხელოსნები, რომელთა ჩამოთვლა გვიჩვენებს, რა მხარეებს მოიცავდა მშენებლობა: ქვის მთლელი, ქვის მჭრელი, მხერხავი, მეკირე, „შეცხობილის ალიზის მეხელოვნე", კალატოზი, ხურო, დურგალი, მჭედელი, მეგაჯე, ცარცის წამსმელი, მხატვარი, ჩილინგარი (ზეინკალი, კლიტეთა მკეთებელი), ქანქანა (ჭების ამომთხრელი, წყალსადენის გამომყვანი). მაგრამ, სპეციალისტების გარდა, დიდძალი მუშაც იყო საჭირო, უპირველეს ყოვლისა, მასალის მოსაპოვებლად და მოსაზიდად. სწორედ ამისათვის გამოჰყავდათ გლეხობა. თუ ობიექტი დიდი იყო, როგორც აღვნიშნეთ, მშენებლობაში რამდენიმე სოფელი მონაწილეობდა. საბუთები მოწმობს მათს მონაწილეობას ციხე-გალავანთა და კოშკების, საერთოდ სათავდაცვო ნაგებობათა შენებაში, რაც სრულიად ბუნებრივია ამ შფოთიან დროს, როცა, დიდი ომების გარდა, ყოველდღიურ თავდასხმათა მუდმივი საშიშროებაც იყო.

ერეკლე II-ის დროს აშენებული სიღნაღის ციხის გალავანში, როგორც გვიჩვენებს XIX ს-ის დასაწყისის ერთი გეგმის მინაწერები, კარებსა და კოშკებს კახეთის — უმეტესად ქიზიყის — სხვადასხვა სოფლების სახელები რქმევია. აქ იყო კარები ვაქირისა, მაშნაარისა, ბოდბისა, მაღაროსი, შილდისა; კოშკები შილდისავე, ჯუგაანისა, მირზაანისა, ქარდანახისა, ანაგისა, საქობოსი, მაჩხაანისა, ველისციხისა, ბოდბისა და სხვ.. ცხადია (როგორც აღნიშნავს ს. ზაქარაია), ეს სახელები მათი მაშენებელი სოფლების მიხედვითაა შერქმეული[1].

ამავე ერეკლე II-ის 1771 წლის ერთ ბრძანებაში ნათქვამია: „ჩვენი ბრძანება არის ამილახორო რევაზ და გორის მელიქო, მერე გორის გალავანს სადაც ეჭირებოდეს ოთხი ჯიხური, ვინც გორის გალავანში ესახლოს, იმათ დაადგმევინეთ და ოთხი ჯიხური, ვინც გორის ციხეში დაიხიზნება, დაადგმევინეთ"[2].

1799 წლის ერთი საბუთი (ხელნაწერთა ინსტ. Hd 1765), რომელიც ფცის კოშკის აგებას ეხება (ფცა სოფელია ფრონის ხეობაში), მოწმობს, რომ სოფლებს შეწერილი ჰქონდათ ურმით მასალის მოზიდვა.

აი ეს საბუთი (ორიგინალის პუნქტუაციას არ ვიცავთ. სიტყვებს შორის ზოგან წერტილებია):

„ამ სიით ფცას ქვის საზიდლათ ამ სოფლებს ურმები შესწერდათ.

კ. †. ტუისმა მურემი (sic!) ოცი.

ე. †. სალოლაშენმა ურემი ხუთი

ბ. †. არადეთმა ურემი ორი

ა. †. სასირეთმა ურემი ერთი

ი. †. ბრეთმა ურემი ათი

ა. †. ჩვერმა ურემი რვა

ვ. †. ხვიდებმა ორმავ ურემი ექვსი

ი. †. ჩიქოზებმა ორმავ ურემი ათი

ე. †. კელქცეულმა ურემი ხუთი

ი. †. ვარიანმა ურემი ათი

გ. †. არაშენდამ ურემი სამი

---

[1] ს. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, გვ. 66-67.

[2] იქვე, გვ. 66; ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Hd 13147.

verso:
ჱ. ქ. ავლევმა ურემი რვა
ე. ქ. აბისმა ურემი ხუთი
ვ. ქ. თიღვამ ურემი ექვსი
ი. ქ. ალმა ურემი ათი
გ. ქ. ცერონისმა ურემი სამი
იბ. ქ. ერთობით ფალავანდიანთ ყმებმა ურემი თორმეტი.

— — — — — — — — —

ქ. ჯამი ურემი ასოცდაათი"

ამ ტექსტის ზემოთ, ფურცლის ზემო ნახევარში, ირიბად, გიორგი XII-ის რეზოლუციაა:

„ქ. ჩვენი ბძანება არის ფალავანდიშვილი ბეცია, ამირეჯიბო გიგია, მერე ამ სიით რომელთაც ეს ქვის მოტანა აწერიათ, რამდენი ურემი არის, ურემმა ხუთ გზა ქვა უნდა მოუტანონ ფცასა რომ კოშკი აქვს ასაშენებელი. თუ რომ ფცას შენობა იქმნება, მაგითაც შესამატი იქმნება. ეს ურმები უკლებრათ (sic!) უნდა გარიგო და ხუთხუთ გზა ქვა მოატანინო და დაითხოო. ეს ასე უნდა გარიგო. აპრილის ლ. ქკს უპზ. კარგი საკირეც დაუწვევინეთ". მარცხნივ, აშიაზე, ირიბადვე, ამ ტექსტის პერპენდიკულარულად: „თ. მარტო ქვა უნდა მიუტანოთ, საკირესთან საქმე არა გაქვსთ".

ბეჭედი: „მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა და სხვათა გიორგი".

ტექსტს 1800 წლით დათარიღებული დამატება აქვს:

„ქ: ბატონიშვილი დავით გიბძანებ ფალავანდიშვილო ბეციავ და ამირეჯიბო, როგორც მის უმაღლესობას უბძანებია, ამ სიით ისე უნდა აშველიო ეს სოფლები დაუკლებლად. მარტის ი. ქკ̄ს უპჱ. ვისაც [.........] მიატანინე".

ქვემოთ: „დ. ქ. ფხვენისმა [ეს წაშლილია] ურემი ოთხი
ბ. ქ. ბებნისმა ურემი ორი
ვ. ქ. ფხვენისმა ურემი ექვსი
დ. ომძვილეთმა (?) ურემი დ ოთხი
დ. ქ. ურბნისმა ურემი ოთხი
ამათაც უშველონ" [1].

როგორც ვხედავთ, კოშკის აშენებაში საკმაოდ დაშორებული სოფლების გლეხებიც მონაწილეობდნენ (ურბნისამდე და ზემო ნიქოზამდე ფციდან სწორი ხაზით თითქმის ოცდახუთი კილომეტრია).

მაგრამ გლეხები მარტო საზოგადოებრივი და სახელმწიფო მნიშვნელობის ნაგებობათათვის კი არ გამოჰყავდათ, არამედ კერძო მშენებლობისთვისაც. ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა თუსიშვილი წერს, როცა ეკლესიის გალავნის შეკეთებას შევუდექი, ერეკლე მეფეს ვთხოვე დახმარება, ბრძანა მეფემან და თვით გარესჯელ სახასოთ კაცთ და ეკლესიისა ჩემისა ყმათ და მონასტერთ ყმათ აღაშენესო [2]. იგნატე თუმანიშვილის ხარჯის დავთრიდან ჩანს (იხ. აქვე, სქოლიო —

[1] საბუთი თეთრ გაუვითლებულ ქაღალდზეა ნაწერი. ფურცლის ზომაა 15,4×20,4 სმ. ჭვირნიშანი არა ჩანს, verso-ს ზემო ნაწილში ლურჯი ქაღალდია დაწებებული.

[2] სარა ბარნაველი, საბა თუსიშვილის „ანდერძისებნი ღუწანი": Ars Georgica, 3' 1950, გვ. 230.

იგნატე წისქვილს აშენებდა თავის სოფელ ჭევთუბანში), რომ მას ზოგჯერ რამდენიმე ათეული გლეხი გამოჰყავდა. თუ ესენი ხანდახან „ფასის მუშები“ იყვნენ, სხვა დროს უფასოდაც უხდებოდათ მუშაობა („ახალდაბელები ერთობით მყვანდა ურმებითა, ქვა გამოვატანინე“; „რუს გამომღებნი ერთობით ჭევთუბნის კაცნი უფასოთ იყვნენ. მუშა იყო ასორმოცდაათი“; „სამშაბათს რუს გამომღებნი მუშანი ერთობით სვენელები და ბერბუკელნი უფასოთა მყვანდნენ. მუშა იყო ორმოცდაოთხი“ და სხვ.). საშენი მასალის მოპოვებისა და ტრანსპორტის გარდა, ყმა გლეხებივე — შავი მუშები — ასრულებდნენ მიწის სამუშაოებს, წვავდნენ კირს, ამზადებდნენ აგურს და სხვ.

მუშაობის ტექნიკა და იარაღები ამ ხანაში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ ტექნიკისაგან, რომელიც ჩანს ყოროღლის X ს-ის რელიეფებში ან ბოლოკ-ბასილის მშენებლობის ისტორიაში (XIII ს. პირველი ნახევარი). ტრანსპორტის ძირითადი საშუალება ახლაც ურემი იყო, ამას გვიჩვენებს ყველა იმდროინდელი წერილობითი საბუთი („ურემი ქვიშის საზიდლად“, „ურემი კირის ჩასატანათ“, „გაჯის ბელტი მოვატანინე ურემი ერთი“, „ფიქალი მოიტანეს ურმითა“ და სხვ. ზემოთ მოყვანილ ხარჯთაღრიცხვაშიც ხომ ურემი საზომი ერთეულივითაა: „ქვა მოუნდება ამდენი და ამდენი ურემიო“). ურემი, ცხადია, არა მარტო ჩვეულებრივი იქნებოდა, არამედ „ჩოჩიალაც“, მთის პირობებთან შეგუებული; უფრო მცირე ტვირთს ცხენითაც ზიდავდნენ. აი მშენებლობის დღესაც ცნობილი ხელსაწყო-იარაღები და ჭურჭელი, რომელთა დასახელება გვხვდება XVIII ს-ისა და XIX ს-ის დასაწყისის საბუთებში და რომლებიც, ბუნებრივია, ძველთაგანვე იხმარებოდა: ნიჩაბი, ბარი, წერაქვი, წალდი, ხელეჩო, ურო, რკინის სოლი, ცხავი, გაჯის ცხრილი, ქაფჩა, ტალახის საზიდი თაბახი, საბელი შეშის საზიდად, ტიკი, გუდა კირისათვის. არსებობდა მარტივი მექანიზმებიც: მაგ., საბას ლექსიკონში ვხვდებით ო წ ი ნ ა რ ს, რომელიც ყოფილა „ძელი შემზადებული ადვილად დიდთა ქუათა ასაღებლად და მაღლა ოსტატისა თანა მისატანელად“, ძ ა ლ ა- ჲ ი ნ ს („ძელი რამეა კართა საძგერებელი, გინა მძიმეთა ქვათა ასაზიდი“); ა ზ ა რ მ ა ც ს („დიდი კეტი მძიმის ასაზევი“); ხარაჩოს მაშინ ფ ა ლ ა ნ გ ი ეწოდებოდა (საბა: „კედელთ სიმაღლისათჳს გალატოზთ ფერჴის სადგმელი“).

მარტივი მშენებლობაც ხშირად დიდ სიძნელეთა გადალახვას მოითხოვდა საშენი მასალის სიშორის, ნიადაგის დამუშავების სირთულის, თუ სხვა მიზეზთა გამო („წისქვილი ავაშენე კარგი, ორმოცს თუმნამდის ხარჯი წავიდა იმ ჭალის გატეხაზე და ვიცი შორს დაიჭერთ; ნეტავი მისის მუშისათვინ გაკითხვინა, ერთს დღეს ოცი კაცი ერთს ქვას ვერ მოგლეჯდა და გაიტანდაო“, წერს ამილბარ თაღალაძე, როცა თავისი სამშენებლო საქმიანობის ამბავს მოგვითხრობს (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის საბუთი Ad 1606); საბა ღუსისშვილსაც დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, რა გაჭირვება გადახდა ჩინოწმინდის ტაძრის გუმბათის აღდგენაზე)[1].

[1] იმისათვის, რომ ცოცხლად წარმოვიდგინოთ მშენებლობის პროცესი, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ერთ-ერთ ზემოთ ხსენებულ დავთართაგანს, რომელშიც ყოველდღიურადაა აღნუსხული, რა სახის მუშაობა წარმოებდა, ვინ მუშაობდა და რა იხარჯებოდა. აი ამოკრეფილი და შემოკლებით ცნობები 1810 წლის ერთი საბუთიდან, რომელშიც იგნატე თუმანოვი აღნუსხავს თავის სოფელ ჭევთუბანში წისქვილის აშენებაზე გაწეულ ხარჯს (რა თქმა უნდა, აჯობებდა, რომ ასეთი მასალა რომელიმე მონუმენტური ნაგებობისათვის, მაგ., ტაძრისა ან სასახლისათვის, გვქონდეს და არა ამ

ყოველი მშენებლობისათვის, როგორც ჩანს, საკირეს საგანგებოდ აწყობდნენ. მშენებლობაზე გაწეული ხარჯის დავთრებში, რომლებიც ზემოთაც დავიმოწმეთ, უმეტეს წილად იხსენიება „საკირის ჩამდგმელი მუშა“, „საკირის გამთხრელი მუშა“, „ქურის დაწყობა“, „ქურის გადახურვა“, „ქვა საკირის თაღისათვის“, „ქურის დაწვა“, „საკირის დაწვა“. 1808 წელს მანუჩარ თუმანიშვილი, რომელიც დავით გარეჯას გაგზავნეს, რომ დაედგინა რა იყო შესაკეთებელი და ასაშენებელი, თავის მოხსენებით ბარათში იოანე ბატონიშვილს სწერდა: „კირი... იქ არსად

———————

უმნიშვნელო ობიექტისათვის, მაგრამ იმდროინდელი მშენებლობის ხასიათი და პირობები აქაც ჩანს. კვადრატულ ფრჩხილებში ავტორის შენიშვნებია).

„—მაისის 14, შაბათს: თავთის წყაროს დაახლოებით სათავე რუსი შესაკვრელი იყო, ის გავაკეთეთ ბელტითა, მუშა მყვანდა ზოგი უფასოთა და ზოგი ფასითა.

— მაისის 16, ორშაბათს: ჭუს გამომღები მუშა ერთობით ჩევთუბნის კაცნი უფასოთ იყვნენ. მუშა იყო 150. ამათთვის ფეხზედ ძროხა ვიყიდე სადილ-სამხრათა, მიეც რვა მინალთუნი და ათი შაური. სამხრათ არ ეყოთ, წონის თევზი ვასყიდვინე...

[ჭუს გამომღები მუშები 30 მაისამდის საქმიანობენ].

— მაისის 31: წისქვილის სახლის ალაგის გამთხრელი ფასის მუშა 16...

— მთიბათვის 2, ხუთშაბათს: სალორის [წისქვილის რაღაც ნაწილია სალორი] წყალის გასადინარის გამთხრელი ფასის მუშა 16... [ესენიც რამდენსამე დღეს მუშაობდნენ].

— მთიბათვის 4, შაბათს: წყლის საზიდავი ჩაფები ვიყიდე; ათასი აგური ვიყიდე...; ურმისათვის საპონი ვასყიდვინე ერთი ჩარექი...

— კირბალიდამ [სოფელია გორის რაიონში] ფიქალი ქვა ჩამოვატანინე, ერთი ურემი ოთხი აბაზი, შვიდი ურემი იყო.

— საძირკვლის ჩამყრელი მუშა ფასისა და კალატოზი ოპანეზა და კალატოზი პეტრე ატოცელი... მუშა იყო 22 [ორი სამი კალატოზი და მუშები 11 დღე მუშაობენ საძირკვლის ჩაყრაზე].

— მთიბათვის 10, პარასკევს: ახალდაბელები ერთობით მყვანდა ურმებითა, ქვა გამოვატანინე.

— მთიბათვის 14: კალატოზი და ამისი ამხანაგი, ამათთან მუშა კირის მზიდველები ფასითა.

— მთიბათვის 16, ხუთშაბათს: კალატოზი ოპანეზა და ამისი ამხანაგი პეტრე და ქვის მთლელი სოსია თემურაზაშვილი, ამათთან მუშა ფასით კირის მზიდავითა 23.

— მთიბათვის 20, ორშაბათს: კალატოზი ჯანიაშვილი პეტრე თავისის შაგირდით და ქვის მთლელი სოსია და ხურო სვიმონ, ნალების [კედელში დატანებული ძელების] გამთლელი და დამწყობი.

— მთიბათვის 22, სამშაბათს: კალატოზი ოპანეზა რომ გავისტუმრე, რაც იმუშავა და ან ისე იყო, სულ თერთმეტი დღე იყო და მიეც თერთმეტი მინალთუნი და ჩემი მაუდის კაბა ხალათათა [საჩუქრად].

— ქვის მთლელს სოსიას მიეც სამუშაო დღეში ხუთი აბაზი.

— ქვიშა დაგვაკლდა, მოვატანინე ფასით, ურემი ასოცდაცხრა. ამისი ერთი ურემი სამი შაური.

— წისქვილის გასადებათ დიდი მუხის ხე ვიყიდე ორი, დათლილები.

— კირბლიდამ სალორის კედლებისათვის ქვის ჩამოსატანათ ოცდა ერთი ურემი მქონდა.

— მთიბათვის 25: წისქვილის კედელზედ კალატოზი ჯანიაშვილი თავისის შაგირდით. ამავე დღეს კალათოზთან მუშა ფასითა ცხრა.

— მთიბათვის 27: წისქეილის კედლების ბანთქაშისათვის [შელესვისათვის, შებათქაშებისათვის] კალატოზი ჯანიაშვილი თავისის შაგირდით, ამასთან მუშა ფასითა 9 [ამაზე ოთხი დღე იმუშავეს].

დაიწვის... ჩვენ მონასტრიდამ წამოსვლაზე სულ დავიარეთ. საკირების დაწვა ძველს ნამორთან ვამჯობინეთ, რომ კირისქვა იქ ზედვე არის და შეშა საგარეჯოდამ უნდა მოვიდეს და ქვიშაც იქივ მონასტრების ხევებში იშოვება და მოგროვდება და კლდის ქვა ხომ იქ ალაგობრივ თავთავის.

— მკათათვის 4: კირის დამზელნი მუშანი 4.

— მკათათვის 6: წისქვილის საღორის კედლების ასაშენებლათ კალატოზი ოჰანეზა და ჯანიაშვილი პეტრე თავისის შაგირდით. ამათთან მუშა ფასითა 11 [ორი დღე იმუშავეს].

— ერთი ტივი ვასყიდვინე, ქარელში რომ იყო — ოცი ხე წისქვილის დასახურავათა და ერთი ხეც ისე ვიშოვე. ამ ტივის ჩამოსატანი ქარელიდან გორამდინ მიეეც შვიდი აბაზი, ტივის ფასი მიეეც ორი თუმანი. ეს ტივი გორს სატიოზედ რომ ჩამოიტანეს, ხევთუბნიდამ თოთხმეტი ურემი ჩავიტანე ამ ტივის ამოსატანათა. სამი ურემი ქირითა მქონდა, მიეეც ცხრა აბაზი. დიდის ხისათვის ხოსრუაშვილის ურემი მქონდა, მიეეც ოთხი აბაზი; ათი ურემი ჩვენი და ისე ნაშოვნი იყო. ამ ურმის კაცებისთვის თვრამეტი კაცი მყვანდა. ღვინო ვასყიდვინე თუნგი ექვსი..., ამათთვისვე კიტრი და მწვანილი...

— მკათათვის 24, კვირას: გორიდამ ხუროები ამოვიყვანე გოგიტა და თავისი ძმა სვიმონა და ბურბლისშვილი სოსია.

— მკათათვის 25-დან მოკიდებული მკათათვის 31, აქამდის იმუშავეს ორთავ ძმათ ხუროებმა. ამათ მიეეც სამუშაო რვა მინალთუნი, ბურბლისშვილს მიეეც სამუშაო ოთხი მინალთუნი. წისქვილის დასახურავათ ხუთი ტივის ხე დამაკლდა. გორს ვიყიდე ქალხაზუაშვილისაგან... ამავ ხუროებთან ვამუშავე სამი იმერელი, მიეეც თერთმეტი აბაზი. ამ სამმა ხურომ წისქვილის დახურვაზედ იმუშავეს დღე ხუთი.

— წისქვილის ბანის დასანაფოტავათ და დასატალახავათ მუშა იყო 6.

— მარიამობის 10, ოთხშაბათს: წისქვილის კედლებზედ თავსა და ბოლოს იმუშავა კალატოზმა ჯანიაშვილმა პეტრემ დღე სამი. ამასთან მუშა იყო ფასით 12.

— მარიამობის 12: მუშა იყო მიწის შემყრელი ბანზედა და მიწის გამთხრელი, ტალახის გამკეთებელი და მზიდავი 26.

— მარიამობის 13, შაბათს: მუშა იყო კალატოზთან 19: ამათთვის ქართველებს ყველი და ერბო კვერცხით ხარშო და სომხებს ზეთის ხარშო.

— ჩაფოტის დამწყობი მუშა ოთხი, კალატოზი, გადამლესი ტალახისა, ჯანიაშვილი.

— ქანაშვილს ქვიშა მოვატანინე ურემი ათი.

— წისქვილების იარაღი გავაკეთებინე რკინისა. წისქვილის კარისათვის რკინის ქუსლი თავისის სალტებით, ლურსმით სულ და ხვიმრის ლურსმით მიეეც ალავერდა მჭედელს სამი მინალთუნი.

[ხვიმირა წისქვილის ქვაზედ დაკიდებული ფიცრის სახორბლე ჭურჭელი პირვიწრო, რომლიდანაც ნელნელა ჩამოდის ხორბალი..." ნ. ჩუბინაშვილი].

— ღვინობისთვის 5: ხურო გოგიტა და ამისი ძმა სვიმონა მოვიყვანე წისქვილის კარის შესაბმელათა და ხვიმირების შესაკრავათა, სამინდე ამბრის გასაკეთებლათ და სხვა იარაღის გასაწყობათა. ამათ იმუშავეს ორთავე დღე ოცი [„ამბარი — საფქვილე ზანდუკი". ნ. ჩუბ.].

— ღვინობისთვის 10: სველნეთიდამ ხუთი კოდი კირი ვიყიდე სველნელი ბერუაშვილის გელიასაგან. წისქვილის თავდაბოლო კედლები შიგნით და გარეთ გასალესი იყო და გავალესვინე. კალატოზი თემურაზაშვილი სოსია წისქვილის თავისა და ბოლოს კედლების გასალესავათ, იმუშავა დღე ორი. ამასთან მუშა კირის დამზელი და მომტანი, კოჩუაშვილი ჩინია და მიქელა დიაკონი. ორი ბორბალი გავაკეთებინე. ღარი ვიყიდე ორი, კოჭი ვიყიდე წისქვილის ქვების ქვეშ დასაწყობათ. მტკვარს

ადგილს მოსახმარისად მრავალიაო“ [1]. რაკი, ბუნებრივია, საკირის გამართვას იქ ამჯობინებდნენ, სადაც კირქვა ეგულებოდათ, ზოგჯერ კირის ზიდვა საკმაოდ შორიდანაც მოუხდებოდათ მშენებლობაზე.

აგურს, როგორც ჩანს, ხან მზად ყიდულობდნენ („გლახა გაბაშვილისაგან თოთხმეტი ათასი აგური სხვილი ყალიბისა, შეურიგდი ათასი ექვს მინალთუნად, რომ თვითონ უნდა შემოგვიტანოს“; „ორასი ცხვირიანი აგური ვიყიდე“ და სხვ. [2]), ხან კი თვითონვე ამზადებდნენ საგანგებოდ ამა თუ იმ მშენებლობისათვის. ასე იყო, მაგალითად, როცა საბა ტუსისშვილმა ჩინოწმინდის ტაძრის აღდგენას მიჰყო ხელი: „ყეცხობილისა ალიზისა მექელოვნემან ესე მოგვითხრა: ალიზი არ შეიცხობა, თუ არა რიყის ხითა. და ესე გვშორავდა დიდად, რომელ გორისა მდინარიდამ უნდა გვეზიდა..., და ჩვენ... მრავლითა ასითა ურმითა ვიწყეთ მოტანად გორით ნარიყისა მის შეშისა და ა ლ ი ზ-ა გ უ რ ი ე ს რ ე თ შ ე ვ მ ზ ა დ ე თ ო“ [3].

საშენ ხეს, როგორც ზემოთ დამოწმებული საბუთებიდან დავინახეთ, ტივებად ყიდულობდნენ (ალბათ, ისევე როგორც XIX ს-ში, ხეს დიდი რაოდენობით მოაცურებდნენ, მაგალითად, ბორჯომიდან).

დასასრულ, საშენი ქვა ახლაც ისევე, როგორც წინა ეპოქებში, თითქმის ყველგან შეეძლოთ მეტ-ნაკლებად ახლო მოეპოვებინათ. სამწუხაროდ, დღესდღეობით ყველა მნიშვნელოვანი ქვის ნაგებობისათვის გამოყენებული ქვის კარიერები არაა დადგენილი. თითქმის უგამონაკლისოდ, ამ დროსაც ადგილობრივ ქვას იყენებდნენ; საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქვის ჯიშებისა და ფერის მხრივ შეიძლება გარკვეული სპეციფიკაც კი შევნიშნოთ.

გაღმა ჭედისიდამ ღარების თავის დასაწყობის კედლისათვის და გადასაგდების კედლისათვის ფიქალი გამოვიტანე თერამეტი ურემი. ექ ხიდისთავს წყალში გამოსასვლელის კაცისათვის ფონის სასწავლებათ მიეეცი მარჩილი.

— ღვინობისთვის 11: საღორის მთხრელი და მიწის გადამწვენი მუშა [რამდენსამე დღეს საქმობდნენ].

— ღვინობისთვის 13: თ ი წ ი ს მ ც ხ ა ვ ე ბ ე ლ ნ ი და წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ბ ა ნ ზ ე დ შ ე მ ყ რ ე ლ ნ ი.

— ღვინობისთვის 18: ღარის თაევბის დასაწყობი კედლის საძირკვლის გამჭრელნი და მიწის ამომყრელი მუშა რვა.

— ღვინობისთვის 19: ღარის თაევბის დასაწყობი კედლის დამდგმელი კალატოზი სოსია. კიდევ ლურსმანი ვიყიდე სტილი სამი [სტილი წონის ერთეულია] ხვიმირების ბოძებისათვის და ბანის ასაევლის კარისათვის [მომდევნო დღეებში მუშაობენ სათავის რუს გამკეთებელი მუშები, ბელტის მჭრელი და რუსხმულის — აკვედუკის — მკეთებელნი, ხევის გამჭრელი და წყლის ჩამგდები მუშები, წისქვილში მიწის მომსწორებელნი].

— ღვინობისთვის 28: ორი ღ ა რ ი გ ა ვ ა თ ლ ე ვ ი ნ ე, მთლელნი იყვნენ თვრამეტი მუშა. ყერთულიდამ [სოფელია გორის რაიონში] ჩადიანიძე ნიკოლა მოვიყვანე წ ი ს ქ ვ ი ლ ე ბ ი ს გ ა ს ა თ ლ ე ლ ა თ ა და დ ა ს ა წ ყ ო ბ ა თ ა. ემუშავა დღე ცამეტი. იმას მივე დღეში მინალთუნი. ხალათათაც მიეეცი სამი მინალთუნი. წისქვილისათვის სახეშავის რკინა, საჭრეთელი და ხელეჩო ვიყიდე.

„ით¯ით ქკ¯ს: უქ0: ჩყი [1810 წ.] ამ წლის ნოემბრის: წისქვილები დავაბრუნე“. იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები, I, 298—323.

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები, III, 26.

[2] ი ქ ვ ე, 1, 207.

[3] ს ა რ ა ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, საბა ტუსისშვილის „ანდერძისებნი ღუწანი“: Ars Georgica, 3, 1950, გვ. 228.

ზ. საეკლესიო ნაგებობის „აღსრულებით“ არ მთავრდებოდა ქტიტორის ფუნქცია. ისე როგორც წინა ეპოქებში, ეკლესია უნდა მოეხატათ (თუმცა კი ხშირად ვერ ახერხებდნენ), უნდა შეემკოთ ხატებით, შეეწირათ ჭურჭელი, სასულიერო წიგნები. ყველა წარწერასა და საბუთში, რომლებშიც კი ქტიტორები ვრცლად მოგვითხრობენ ეკლესიის აშენების ან განახლების ამბავს, განსაკუთრებული გულისყურითა და მონდომებითაა ჩამოთვლილი ამ შეწირულებათა სია (იხ., მაგ., დოსითეოს კათალიკოსის სიგელი იტრიის ეკლესიის მეორედ აშენების შესახებ; ყანძიის ეკლესიის სვინაქსარი, რომელშიც ორბელ ორბელიშვილი წერს: ეკლესია „შევამკევი ყოვლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა, წიგნითა და ხატებითა, შესამოსლითა და მოფენილობითაო“ და სხვ.; ლევან დადიანისეული ხატის წარწერა, რომელიც კორცხელის ეკლესიის აგების ამბავს მოგვითხრობს; ცაიშის ხატების წარწერები, ნიკოლოზ ამილახორისეული სიგელი სვეტიცხოვლისა და მრავალი სხვა). ამას გარდა, შეძლებული და დიდგვარიანი ქტიტორები — მეფეები, კათალიკოსები, ფეოდალები, ეპისკოპოსები, აზნაურები — ცდილობდნენ თავისი ეკლესიისათვის შეეწირათ ქონება — მიწები, ყმები, რაც აგრეთვე ყოველთვის წვრილ-წვრილადაა მოთხრობილი საბუთებში.

სანამ ეკლესიას, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, საექსპლოატაციოდ გადასცემდნენ, იგი უნდა ეკურთხებინათ ამა თუ იმ წმინდანის სახელზე. პაპუნა ორბელიანს ნაამბობი აქვს, რომ მას შემდეგ, რაც თბილისის მეტეხის ციხე „მეფემ ირაკლიმ მტერსა წაართო ძალადო“, ეკლესია აღადგინეს და იგი „განაბრწყინვა წმიდა პატრიარქმან ანტონიმ სახლად ღვთისად“. ეკლესიის კურთხევა ბევრ სხვა საბუთშიც იხსენიება. აკურთხებდნენ აგრეთვე ციხე-სიმაგრეებსა და სხვა საზოგადო დანიშნულების ნაგებობათაც. ამ მხრივ XVI—XVIII საუკუნეთა ეპოქა არ განსხვავდებოდა წინა ეპოქებისაგან; განსხვავებული იქნებოდა მხოლოდ თვით ცერემონიალის მასშტაბი: როგორც ყველაფერში, უეჭველია, აქაც „დაცული“ იყო „შეფარდება“ ამ საუკუნეების დაქუცმაცებულ, შემცირებულ საქართველოსა და თავისი ერთიანობისათვის მებრძოლ, შემდეგ კი უკვე ერთიან, მძლავრ საქართველოს შორის. გავიხსენოთ ქუთაისის ტაძრის კურთხევა ბაგრატ III-ის მიერ „განგებითა დიდითა და მიუწდომელითა: რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი, კათალიკოზნი, მღდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა საჴელმწიფოთანი“. მაშინ ახალი ტაძრის კურთხევა შეიძლებოდა ზოგადეროვნულ, ზოგადქართულ დღესასწაულად ქცეულიყო.



Тамаз Валерианович Гамкрелидзе

АНАТОЛИЙСКИЕ ЯЗЫКИ

Научные достижения последних лет в области «анатолийского языкознания» (хеттологии) дают возможность восстановить картину языкового состава Малой Азии и охарактеризовать отношения между языками, распространенными на территории древней Анатолии. Хотя многое остается еще неясным, но уже теперь представляется возможным судить в общих чертах о месте анатолийских языков среди индоевропейских, а также о времени и путях переселения в Малую Азию носителей индоевропейских языков из мест их первоначального расселения.

Клинописный хеттский язык, распространенный в центральной Анатолии, наряду с языками палайским на севере и лувийским, распространенным в странах Арцава, в южной Анатолии, представляет «анатолийскую» группу индоевропейских языков, называемую также «хетто-лувийской группой» [23, 24, 28]. К этой группе индоевропейских языков относятся также язык иероглифических хеттских надписей и ликийский, определяемые как поздние диалектные формы лувийского языка [23, 19, 5, 16, 20],

К анатолийской группе примыкает и лидийский язык, являющийся, по всей видимости, продолжением клинописного хеттского [12]. В самое последнее время было высказано предположение о принадлежности к той же группе индоевропейских языков карийского языка [32].

Объединение названных языков в особую группу индоевропейских языков, противостоящую ранее известным языковым группам (индоиранской, германской, кельтской и т. д.)., основывается на наличии в них ряда фоно-морфологических изоглосс и общих инноваций, возникших в результате длительного совместного развития этих языков. Сравнительный анализ этих структурных особенностей анатолийских языков дает возможность рекон-

струировать в общих чертах фоно-морфологическую структуру общеанатолийского языка, явившегося основой исторически засвидетельствованных индоевропейских языков древней Анатолии.

К числу общих инноваций, характерных для анатолийских языков, следует отнести:

а) замену инд.-евр. ларингальных в определенных фонетических окружениях велярным спирантом ḫ[9];

б) преобразование сложной индоевропейской глагольной системы в систему с бинарной структурой противопоставлений: презенс-футурум—претерит; актив—медиопассив; спряжение на *-mi*—спряжение на *-ḫi* (о происхождении спряжения на *ḫi* из инд.-евр. перфекта см. 11; противопоставление спряжения на *-mi* и *-ḫi* в лувийском явствует из медиальных форм 3-го лица единственного числа презенса на *-ari*, *-aru* и *-tari*, *-taru*);

в) утерю женского рода и образование именного противопоставления по двум грамматическим родам: общему и среднему;

г) замену ряда унаследованных из индоевропейского лексем лексемами иного происхождения; ср., например, замену в анатолийских языках инд.-евр. слова «четыре»: хет. me(i)u=лув. ma(u̯)a-[ср. 1, 23, 29].

Особое место среди остальных индоевропейских языков занимают анатолийские языки и по признаку отражения в них инд.-евр. палатальных согласных. По рефлексам палатального $\widehat{k}$ в хеттском и родственных ему языках можно заключить, что анатолийские языки, в которых индоевропейское противопоставление палатальных и велярных нейтрализовалось во всех позициях, за исключением позиции перед *u* (т. е. инд.-евр. $\genfrac{}{}{0pt}{}{^{*}k}{^{*}\widehat{k}}>$ан-ат. $^{*}k$, но инд.-евр. $^{*}\widehat{k}+u>$анат. **šu*: ср. хет. *kittari* 'лежит', пал. *kitar* при греч. κεῖται, др.-инд. *śete*, но *šuu̯a-* 'разрастаться, вздуваться' при др.-инд. *śvayati*; иер. хет. *aš(u)u̯as* 'лошадь' при др.-инд. *aśva-*; иер. хет. *šuu̯anis* 'собака' при др.- инд. *śvan-*, греч. κύων и др.), занимают промежуточное положение между языками centum и satəm[21].

Анатолийские языки противостоят всем остальным индоевропейским не как особая ветвь общей языковой основы, именуемой Э. Стертевантом «индо-хеттским языком», а как группа близкородственных языков, восходящая совместно с остальными группами к индоевропейскому праязыку.

Аргументы, приводимые Э. Стертевантом в обоснование «индо-хеттской» гипотезы, не могут служить основанием для противопоставления анатолийских языков всем остальным языкам индоевропейской группы [см. 8].

В пределах анатолийской группы особую близость проявляют между собой палайский [см. 26] и лувийский языки, образуя подгруппу в системе хетто-лувийской группы [23; 24]. В этом отношении вызывают особый интерес общие лувийско-палайские инновации, противопоставляющие эти языки клинописному хеттскому языку: ср. форму винительного падежа

местоимения лув.-пал. *apan* 'того' при архаичном хеттском *apūn*. Однако в отличие от палайского в лувийском развились особые именные формы множественного числа с суффиксом *-nt* (им. пад. *-nzi*, вин. пад. *-nza*), чем лувийский отличается и от иер. хеттского, в котором именные формы множественного числа образуются суффиксом *-ai*[*a*], и род. пад. ед. ч. на *-aš* (хет. *-aš*) был заменен особой адъективной формой с суффиксом принадлежности *-ašši* [см. 16, 29], который сопоставляется с тох. А *-ṣi*, тох. В *-ṣṣe*. употребляемыми в аналогичной функции [33]. Не исключена возможность, что употребление адъективного суффикса *-ašši* является синтаксическим архаизмом в лувийском, отражающим языковое состояние, когда особый родительный падеж еще не занял места в системе индоевропейского склонения [см. 34].

Как в лувийском, так и в палайском в результате парадигматического выравнивания форм по аналогии устранены аблаутные чередования гласных, являющиеся одной из характерных черт клинописного хеттского языка, сближающие его с другими инд.-евр. диалектами, которые сохранили эту архаичную структурную особенность:

ср. лув.-пал. *at-*//*ad-* 'есть' при хет. *et-*/*at-*;
пал. *aḫu-* 'пить' при хет. *eku-*/*aku-*:
лув.-пал. *aš-* 'быть' при хет. *eš-*/*aš-* и др.

(тип. инд.-евр. аблута *e-∅*: kuen-/kun-, скр. hanti/ghnanti). Ср. также чередование в системе имени в хеттском: aiš/iššaš; uttar/uttanaš; ḫappeššar/-šnaš (при лув. ḫappešša); *uadar*/*uetenaš* (при лув. *uida*) [ср. 30].

Но наряду с сохранением подобного архаизма клинописный хеттский язык в отличие от других анатолийских развил ряд новых особенностей, преобразивших его первоначальный структурный облик.

Из числа особых инноваций, отличающих хеттский язык от остальных анатолийских, следует отметить в первую очередь передвижение согласных, в результате которого три ряда инд.-евр. взрывных свелись к двум рядам, противопоставляемым по признаку аспирации; корреляция по звонкости—глухости, характерная для праанатолийского, была заменена в хеттском корреляцией по аспирации, преобразовавшей первоначальную индоевропейскую модель парадигматических противопоставлений согласных фонем [см. 11].

Наличие противопоставления взрывных по звонкости—глухости в прахеттском (или, во всяком случае, в праанатолийском) видно в факте различного отражения в хеттском инд.-евр. *d и инд.-евр. **t* перед гласными переднего ряда: **t* дает в такой позиции z̰[ts] (в отличие от лувийского и палайского: ср. хет. *-zi*, *-nzi* при лув.-пал. *-ti*, *-nti* из инд.-евр. **-ti*,**-nti*; хет. *zi-k* 'ты' при пал. *tī*), тогда как инд.-евр. **d* отражается как *s*; ср. хет. *šiuatt-* 'день', ᵈ*Siuaz* при лув. *tiuat-*, пал. *tiiat*, 'бог Солнца' [см. 11, стр. 260 сл., с указанием литературы].

Наряду с индоевропейскими языками Малой Азии богазкёйский архив сохранил нам свидетельства и о других языках, не относящихся к индо-

европейской или к семитической группам: о хурритском, известном и из других древневосточных памятников, и хаттском («протохеттском»).

Отрывки на хаттском языке, сопровождаемые, как правило, хеттскими переводами, встречаются в текстах ритуального характера. Он употреблялся в культе некоторых божеств хеттского пантеона, что указывает на большую древность хаттского языка. К началу II тысячелетия до н. э. хаттский язык был уже, по-видимому, вытеснен из употребления индоевропейскими языками Малой Азии [см. 27].

С открытием хаттского языка выяснилось, что аборигенное население центральных и северо-восточных областей Малой Азии говорило на языке, в корне отличном от языков индоевропейского строя и характеризующемся преимущественно префиксальным формообразованием и словообразованием. В связи с этим возникает вопрос о появлении племен, занесших сюда языки индоевропейского строя.

Присутствие хетто-лувийцев (т. е. племен—носителей языков хетто-лувийской группы) в Малой Азии в самом начале II тысячелетия до н. э. устанавливается документально [ср. 13, 14]. Следовательно, индоевропейские племена в Малой Азии появились не позднее конца III тысячелетия до н. э. Это положение согласуется с новейшими лингвистическими данными о выделении хетто-лувийского из общеиндоевропейского языка-основы [ср. 28].

Особые инновации, общие для хетто-лувийского и арийского, дают возможность судить о связях и контактах между этими языками после их выделения из обще-индоевропейского. Областью таких контактов указанных языков могла быть только территория севернее Черного моря и Кавказа, что свидетельствует о проникновении хеттов-лувийцев в Малую Азию через Кавказ (ср. при этом отсутствие каких-либо связей хетто-лувийских языков с греческим). Об этом же свидетельствуют и особые структурные инновации в хетто-лувийском, общие с инновациями в армянском языке (частичная утеря грамматического рода, утеря степеней сравнения прилагательного), вызванные, по-видимому, в различное время и независимо друг от друга воздействием на эти языки общего кавказского субстрата [см. 28].

С другой стороны, кавказские, в частности, картвельские языки обнаруживают морфонологическую структуру (аблаутное чередование гласных), близкую структуре индоевропейских языков. По признаку структуры морфем и синтагматических отношений между ними картвельский и индоевропейский языки могут быть охарактеризованы как изоморфные системы и объединены в общий типологический класс [см. 7]. Это свидетельствует о тесных контактах, существовавших между картвельскими и индоевропейскими языками, что в свою очередь подтверждает тезис о кавказском пути проникновения индоевропейских племен в Малую Азию.

Этот тезис согласуется с высказанным ранее Ф. Зоммером положением о кавказском пути переселения в Малую Азию индоевропейских племен, основанным на аргументах культурно-исторического характера: хет-

тские представления о солнце, встающем из-за моря; привилегированное положение некоторых городов, расположенных на востоке Хеттского царства, и др. О кавказском пути переселения индоевропейцев свидетельствуют и особые связи предметов материальной культуры Малой Азии и Кавказа [ср. 10].

В свете изложенных выше положений представляется маловероятным тезис о различном времени и различных путях переселения в Малую Азию племен, говоривших на языках хетто-лувийской группы. Так, например, трудно согласиться с положением о более раннем переселении лувийцев в Малую Азию через Балканы, в отличие от носителей хеттского (неситского) языка, путь которых в историческиe места жительства должен был лежать через Кавказ [ср. 31[. Такое предположение основывается на допущении факта дифференциации «хетто-лувийского» праязыка вне пределов Анатолии задолго до появления в Малой Азии индоевропейских племен. Однако факты особой фоно-морфологической близости анатолийских языков могут быть объяснены лишь при допущении положения о совместном переселении в Малую Азию племен — носителей общего хетто-лувийского языка, который затем расчленился уже в пределах малоазийской территории на отдельные диалекты, образовавшие впоследствии исторически засвидетельствованные языковые единицы.

Анализ памятников материальной культуры, добытых в центральной Анатолии,—керамических изделий, архитектурных памятников и отчасти пластики—указывает на непрерывность развития местной культуры на протяжении всего II тысячелетия до н. э. Со своей стороны, эта культура развивает в непрерывной преемственности культурные традиции III тысячелетия до н. э., выработанные аборигенным населением Малой Азии [ср. 4, 18]. Вместе с тем, приблизительно в том же районе обнаружено большое количество керамических изделий, резко отличающихся по технике изготовления и окраске от монохромного типа, характерного для хеттской культуры и отражающего местные традиции глубокой древности. Появление нового, полихромного типа керамических изделий, датирующихся концом III тысячелетия до н. э., ставилось обычно в связь с переселением индоевропейских племен, которые должны были занести в Малую Азию чуждую местным традициям культуру [см. 16]. Однако эта крашеная, так называемая каппадокийская керамика, область распространения которой ограничивается главным образом юго-восточной частью малоазийского плоскогорья, существовала параллельно монохромной хеттской керамике, развившейся непосредственно из типа, характерного для древнейшей местной культуры. Следовательно, каппадокийская керамика не нарушает картины непрерывности развития хеттской культуры, поскольку дело касается параллельного развития двух различных стилей, а не замены одного стиля другим, тем более что пункты обнаружения образцов каппадокийской керамики лежат в стороне от области распространения хеттской культуры [см. 3].

Картина непрерывности развития хеттской культуры резко расходится с разнородным языковым составом древней Малой Азии; на основании только археологических данных было бы невозможно установить факт появления нового этнического элемента, занесшего сюда языки индоевропейского строя. Нужно полагать, что проникновение индоевропейских племен в Малую Азию не носило характера внезапного нашествия, сметавшего на своем пути местные, веками сложившиеся культурно-экономические традиции; оно протекало, по всей вероятности, в виде длительного процесса просачивания нового этнического элемента в гущу коренного населения страны. В результате смешения и скрещивания индоевропейцев с местными хаттскими племенами, намного превосходившими их степенью культурного развития, сложилась хеттская народность, создавшая во II тысячелетии до н. э. могущественное Хеттское царство.

Полная ассимиляция индоевропейских переселенцев с местными хаттскими племенами заканчивается, по всей вероятности, уже ко II тысячелетию до н. э. Этим и объясняется тот факт, что в клинописных документах богазкёйского архива основная масса населения Хеттского царства выступает уже как сложившаяся народность, именуемая «людьми страны Хатти». Поэтому представляется неправомерным выделять в хеттском обществе особый «господствующий» слой индоевропейцев, который противопоставляется остальной массе населения Хеттского царства. Ни в одном из известных нам клинописных текстов богазкёйского архива нет хотя бы малейшего намека на существование среди хеттов отдельных расовых группировок, не говоря уже об особой «правящей аристократии», этнически отличной от остальной массы хеттского общества. Об этом свидетельствует и наличный ономастический материал. Весьма характерно, что уже в древнейшее время хетты носят имена малоазийского, главным образом, хаттского происхождения. Это особенно ясно видно в типично хаттских именах древнейших хеттских царей—основателя хеттской династии Лабарны, его преемников Хаттусили, Мурсили, Телипину и др. Все это указывает на то, что уже к началу II тысячелетия до н. э. не ощущается никаких этнических различий в хеттской народности.

Из вышеизложенного становится понятным отсутствие в клинописных текстах, древнейшие из которых датируются первой половиной II тысячелетия до н. э., прямых указаний о переселении индоевропейских племен в Малую Азию, о столкновении их с местным населением и о покорении страны. Описанные в одном из древнейших хеттских текстов походы царя г. Куссара Аниттыг, сына Питханы, носящих характерные малоазиатские неиндоевропейские имена, против городов Несы, Хаттуса и других следует рассматривать не как столкновение двух различных этнических группировок, в данном случае индоевропейских и хаттских племен, а как борьбу отдельных политических объединений за гегемонию в Малой Азии.

Проникновение в древнюю Анатолию индоевропейских племен повлекло за собой значительные изменения в языковом составе Малой Азии,

привело к распространению языков индоевропейского строя и постепенному вытеснению ими неиндоевропейских языков аборигенного населения.

Процесс проникновения индоевропейских племен в Малую Азию находит себе полную аналогию в Древнем Двуречье. Шумерский язык древнейшего населения страны был почти полностью вытеснен уже к началу II тысячелетия до н. э. аккадским языком, занесенным переселившимися сюда семитическими племенами. Но как мертвый язык шумерский продолжает употребляться, подобно хаттскому, в культовых целях, являясь священным языком вавилонской религии. Однако обоснование семитических племен в Древнем Двуречье осуществилось, согласно новейшим теориям, не путем ее завоевания семитами и покорения шумеров, а в процессе постепенного проникновения нового этнического элемента в гущу древнейшего населения Месопотамии [см. 22,6].

ЛИТЕРАТУРА

1. Benveniste E., Hittite et indo-européen. Etudes comparatives, Paris, 1962.
2. Benveniste E., Tokharien et indo-européen,—«Festschrift H. Hirt», II, Heidelberg, 1936, S. 227—240.
3. Bittel K., Grundzüge der Vor- und Frühgeschichte Kleinasiens, Tübingen, 1950, S. 47.
4. Bittel K., Archäologisches zur ältesten Geschichte von Boghazköy,—(«Arch. Or.», XXI, 1953, N I, S. 93—100).
5. Bossert H. Th., Bild-Luwisches,—«Festschrift Joh. Friedrich», Heidelberg, 1952, S. 61.
6. Дьяконов И. М., Этнический и социальный факторы в истории древнего мира (на материале Шумера), —ВДИ, 1963, № 2, стр. 167—179.
7. Гамкрелидзе Т. В., Мачавариани Г. И., Система сонантов и аблаут в картвельских языках, Тбилиси, 1965.
8. Гамкрелидзе Т. В., Местоимение *so, *sā, *tod и «индо-хеттская» гипотеза Э. Стертеванта,—«Сообщения АН Гр. ССР», XVI, 1957; № 2, стр. 241—246.
9. Гамкрелидзе Т. В., Хеттский язык и ларингальная теория—«Труды ин-та языкознания АН Гр. ССР», 1960, № III.
10. Гамкрелидзе Т. В., Гиоргадзе Г. Г., Менабде Э. А., Рецензия на кн. A. Goetze, Kleinasien, München, 1957,—ВДИ, 1961, № 3, стр. 148.
11. Гамкрелидзе Т. В., Передвижение согласных в хеттском языке,—«Переднеазиатский сборник», М., 1961, стр. 122—259.
12. Carruba O., Lydisch und Lyder,—«Mitteilungen des Instituts für Orientforschung», VIII, 1953, № 3, S. 383—408.
13. Goetze A., Some groups of ancient Anatolian proper names,—«Language», XXX, 1954, № 3, pp. 349—359.
14. Goetze A., The theophorous elements of the Anatolian proper names from Cappadocia—«Language», XXIX, 1953, № 3, pp. 263—277.
15. Goetze A., The linguistic continuity of Anatolia as shown by its proper names,—JCS, VIII, 1954, № 2. pp. 74—82.

16. Goetze A., Kleinasien. Kulturgeschichte des alten Orients, III, München, 1957.
17. Goetze A., «Language», XXX, 1954, № 3, pp. 403—405.
18. Güterbock H. G., New excavations at Boghazköy, capital of the Hittites,—«Archaeology», VI, 1953, N 4, pp. 211—216.
19. Güterbock H. G., Towards a definition of the term Hittite,—«Oriens», 10, 1957, № 2.
20. Houwink Ten Cate Ph. H. J., The Luwian population groups of Lycia and Cilicia Aspera during the Hellenistic period, Leiden, 1961.
21. Иванов В. В., Проблема языков centum и satem,—«Вопросы языкознания», 1958, № 4, стр. 155.
22. Jacobsen Th., The assumed conflict between Sumerians and Semites in early Mesopotamian history,—JAOS, 59, 1939, N 4, pp. 485—495.
23. Kammenhuber A., Beobachtungen zur hethitisch-luvischen Sprachgruppe,—RHA, 1956, N 14.
24. Kammenhuber A., Zur hethitisch-luvischen Sprachgruppe,—KZ, 76, 1959, № 1, 2.
25. Kammenhuber A., Esquisse de grammaire palaite,—BSLP, 54, 1959, S. 18—45.
26. Kammenhuber A., Das Palaische,—RHA, 1959, N 17, S. 1—92.
27. Kammenhuber A., Hattische Studien I,—RHA, XX, 1962, N 70, стр. 1—29
28. Kammenhuber A., Zur Stellung des Hethitisch-Luwischen innerhalb der indogermanischen Gemeinsprache,—KZ, 77, 1961, N 1, 2, S. 31—75.
29. Kammenhuber A., Zu den epichorischen Sprachen Kleinasiens,— «Das Altertum», IV, 1958, N 3.
30. Laroche E., Dictonnaire de la langue louvite, Paris, 1959.
31. Mellaart J., The end of the early Bronze Age in Anatolia and the Aegean,—AJA, 62, 1958, N 1, pp. 9—33.
32. В. В. Шеворошкин, Исследования по дешифровке карийских надписей, Москва, 1965.
33. Э. Бенвенист, Тохарский и индоевропейский (см. сб. „Тохарские языки", Москва, 1959).
34. „Тохарские языки," Москва, 1959, Предисловие В. В. Иванова, стр. 34.



Კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე Გ რ ი გ ო ლ ი ა

„Ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოხსენებული „ქებანის“ განმარტებისათვის

„Ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის IV სტროფში, როგორც ცნობილია, გვხვდება სიტყვა „ქ ე ბ ა ნ ი“, რომელიც Შოთა Რუსთველს თავისი სახელგანთქმული პოემის უწინარეს დაუწერია. Ამასთან დაკავშირებით დიდი მწერალი თვითონ იუწყება თავისი უკვდავი პოემის მეოთხე სტროფში:

Თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
Ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ-ავად გამორჩეული.
Ჰელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად—მე ნა რხეული,
Ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

Დიდი პოეტის მიერ აქ ნახმარი გამოთქმა: „ვ თ ქ ვ ე ნ ი ქ ე ბ ა ნ ი“ მკვლევართ ესმით, როგორც მ ე ვ თ ქ ვ ი ქ ე ბ ა ნ ი და მას მიიჩნევენ თვით ავტორისეულ მითითებად იმ თხზულებაზე, რომელიც მას „Ვეფხისტყაოსანზე“ უფრო ადრე დაუწერია. Მაშასადამე, პოემის ამ სტროფში მითითებული გამოდის დიდი Რუსთველის მიერ ადრე დაწერილი Თამარის ქ ე ბ ა ნ ი და აღნიშნულია მისი შეთხზვის გარემოებანიც. Ამასთან ერთად, მკვლევარნი ზემოაღნიშნულის დადასტურებას ხედავენ პოემის მეცხრამეტე სტროფშიც, რომელიც ასე იწყება:

Ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია:
Ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!

Სწორედ ამ ორი ადგილის მიხედვით ისინი ასკვნიან: „Ამრიგად, თვით Შოთას ამ ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ მას „Ვეფხისტყაოსანზე“ ადრე დაწერილი ჰქონია სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც „Ვეფხისტყაოსნის“ მსგავსად, Თამარისადმი ყოფილა მიძღვნილი და Თამარის „ქებას“ შეიცავდა“ [1].

---

[1] Პ ა ვ ლ ე Ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, Რუსთველიანა: Თხზულებანი, I, Თბილისი, 1963, გვ. 195.

მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ამ ადგილების გაგებასთან დაკავშირებით აზრთა იგივეობას არ ჰქონია ადგილი მეცნიერებაში, მაგრამ მკვლევართა გარკვეული ნაწილი მაინც ზემოაღნიშნული გაგებისაკენ იხრება. ასე, მაგალითად, მკვლევარ პ. ინგოროყვას აზრით, შოთა რუსთველის თხზულებას ქებანი უნდა რქმეოდა. ის ჩვენ დრომდე არ შემონახულა. „შოთას ამ ნაწარმოებს არათუ ჩვენამდე არ მოუღწევია, არამედ მის შესახებ საზოგადოდ არ შენახულა არავითარი ცნობა ძველ ქართულ ბიბლიოგრაფიულ ინდექსებში“, — დასძენდა პატივცემული მეცნიერი[1]. რაც შეეხება ამ თხზულების ხასიათს, იმავე მეცნიერის განმარტებით, ის პოეტური ნაწარმოები ყოფილა: „ვეფხისტყაოსნის“ რეალიების გათვალისწინება გვიჩვენებს, რომ შოთას თხზულება ქებანი იყო პოემა-რომანი, ე. ი. ისეთივე ფორმის ნაწარმოები, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“[2]. ამასთან დაკავშირებით პავლე ინგოროყვა განმარტავს ტერმინ „ქება-ქებანის“ ხასიათს და ადრინდელ კომენტატორთა შეცდომას ხედავს იმაში, რომ მათ ეს სახელი ესმოდათ „პირდაპირის მნიშვნელობით“ და მას განმარტავდნენ, როგორც ოდების კრებულს. მისი დაკვირვებით, „თვით შოთას ტერმინოლოგიით ქებანი ნიშნავს არა ოდას, არამედ სწორედ პოემა-რომანს“[3]. ის გარემოება, რომ შოთა რუსთველს შეიძლებოდა „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო ადრე სხვა თხზულება დაეწერა, რომელიც თამარისადმი მიძღვნილი და მისი ქება იქნებოდა, დავას ვერც ახლა გამოიწვევს. მაგრამ ქებანის ისეთი განმარტება, რომელსაც ხსენებული მკვლევარი იძლევა, უდავო და ადვილად შესაწყნარებელი მაინც არ არის. ჯერ ერთი, გაუგებარია, რატომ არ უნდა გვესმოდეს სახელი „ქებანი“ თავისი ძირითადი, პირდაპირი მნიშვნელობით და რატომ ნიშნავს ის მხოლოდ „პოემა-რომანს“. გარდა ამისა, არსაიდან ჩანს, თუ რატომ უნდა წარმოვიდგინოთ საძიებელი „ქებანი“ პოეტურ ნაწარმოებად და ისიც „ვეფხისტყაოსნის“ მსგავს პოემა-რომანად. რად არის აქ სხვა შესაძლებლობა გამორიცხული?

დიდად სამწუხაროა, რომ არც ერთ მკვლევარს — რუსთველოლოგს, რომელიც აღნიშნულ პრობლემას შეხებია და „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოხსენებული ქებანის გარკვევა მოუწადინებია, სათანადოდ არ გაუთვალისწინებია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის სხვა დარგის მითითებანი და, კერძოდ, ქართული საისტორიო მწერლობისათვის არავის მიუმართავს.

საისტორიო მწერლობის გვერდის ავლა და მის მითითებათა უგულებელყოფა მით უფრო სამწუხაროა, რომ მას აქ დასმულ კითხვაზეც სრულიად გარკვეული პასუხი მოეპოვებოდა. სწორედ საისტორიო მწერლობის წყალობით მივიდა პროფ. მ. წერეთელი იმ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოხსენებული ქებანი შეიძლებოდა პროზით დაწერილი ისტორიული ხასიათის თხზულებაც ყოფილიყო და ამ თხზულებად მას, ნიშანდობლივ, „ისტორიანი და აზმანის“ პირველი ნაკვეთი (შანქორის ომის ჩათვლით) მიაჩნდა. მკვლევარი დაემყარა, ჯერ ერთი, იმ გარემოებას, რომ დასახელებული თხზულება იწოდება არა მარტო ისტორიად, არამედ აზმანადაც. ხოლო აზმანი აკად. კ. კეკელიძის დაკვირვებით ბერძნულად ნიშნავდა: ქებას, შესხმა-ხოტბას,

---

[1] პავლე ინგოროყვა, რუსთველიანა: თხზულებანი, I, თბილისი, 1963, გვ. 216.
[2] იქვე, გვ. 195.
[3] იქვე.

პანეგირიკს[1]. Გარდა ამისა, მეცნიერი ითვალისწინებდა იმასაც, რომ „Ისტორიანი და აზმანის“ ავტორი თვითონ თავის თხზულებას „Ქებათა-ქებას“ უწოდებს. Ამ ორი გარემოების მიხედვით, Მიხ. Წერეთელი „Ისტორიანი და აზმანის“ ავტორად დიდ ქართველ მწერალს — Შოთა Რუსთველს აცხადებდა, ოღონდ, მისი აზრით, თავდაპირველად მას „Ისტორიანი და აზმანის“ მხოლოდ პირველი, აღნიშნული ნაკვეთი დაუწერია. „Შემდეგ Რუსთველს დაუწერია არა მარტო „Ვეფხისტყაოსანი“, არამედ მთელი ისტორიაც Თამარის მეფობისა მის სიკვდილამდე“[2]. Მართალია, Მიხ. Წერეთლის მოსაზრება Შოთა Რუსთველის ავტორობის შესახებ „Ისტორიანი და აზმანში“ საცილობელია (მაშასადამე, არ შეიძლება აღნიშნული თხზულების პირველი ნაკვეთი „Ვეფხისტყაოსნის“ ქებანი იყოს), მაგრამ ამისდა მიუხედავად, მისი მიგნება ქებანის ისტორიოგრაფიული მნიშვნელობის შესახებ, საერთოდ, უაღრესად საგულისხმოა. Ამ უკანასკნელის სისწორე, ჩვენი დაკვირვებით, დასტურდება არა მარტო „Ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, არამედ ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მონაცემებითაც, მთლიანად. Ირკვევა, რომ დროის უწყვეტი მონაკვეთისათვის ქება-ქებანი გავრცელებული სახელი ყოფილა ქართულ საისტორიო მწერლობაშიც. Ასე ეწოდებოდა მაშინ ისტორიული ხასიათის თხზულებასაც, რომელიც მეფეს ეძღვნებოდა და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებას ისახავდა მიზნად.

Რომ ეს ტერმინი „Ისტორიანსა და აზმანში“ შემთხვევით, მხოლოდ, Თამართან დაკავშირებით ნახმარი არ არის, არამედ ასეთი თვალსაზრისი და მეფეთა ისტორიის ამგვარი გაგება ჩვეულებრივი ყოფილა მაშინ ქართულ საისტორიო მწერლობაში, დასტურდება იმავე თხზულების სხვა ადგილითაც. Ავტორი გვაცნობს Თამარის მშობლებს და Გიორგი III შესახებ ამბობს: „Აწ ვიწყო ქებად ძალისაებრ ღონე-მიწუდომისა, შვილისა ნათელშემოსილისა მამა Გიორგი Გორგასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგის ნეტარებითა...“ და სხვა[3]. Როგორც ვხედავთ, აქაც Გიორგი მეფის ცხოვრება ან ისტორია გაგებულია როგორც ქება. Ხოლო Თამარის პაპის Დემეტრე I ისტორიას იმავე თხზულებაში შესხმა-მითხრობა ეწოდება. Უცნობი ავტორის სიტყვით, Თამარის მამა იყო „Გიორგი მეფე მეფეთა, ძე Დიმიტრი მეფისა... რომლისა დიდებითა, სიმჴნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს Იოვანე ფილოსოფოსისა Ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“[4]. Თამარის ისტორიკოსის სწორედ ამ ცნობის წყალობით ირკვევა, რომ Იოანე Ჭიმჭიმელს დაწერილი ჰქონია წიგნი, რომელშიც მოთხრობილი ყოფილა Დემეტრე I-ის „დიდებით, სიმჴნით და გუარით ცხოვრების“ ამბავი.

---

[1] Კორნელი Კეკელიძე, Ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1960, გვ. 265.

[2] Მ. Წერეთელი, Ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, revue de Kartvélologie, IX, 1951, გვ. 15.

[3] Ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, აკად. Კორნ. Კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, Თბილისი, 1941, გვ. 55.

[4] Ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით Ს. Ყაუხჩიშვილის მიერ, II, Თბილისი, 1959, გვ. 342.

Შენიშვნა: Ამ ნაშრომში ყველგან, სადაც კი მითითებულია „Ქართლის ცხოვრება“ სწორედ ეს გამოცემა იგულისხმება — Კ. Გ.

აშკარაა, ეს წიგნი სხვა არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არა დემეტრე მეფის ცხოვრება-ისტორია, რომელშიც მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა იქნებოდა გაშუქებული. გარდა ამისა, ამ ცნობაში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ხასიათის წიგნს დემეტრე მეფის შესახებ, არსებითად მის ისტორიას, თამარის პირველი უცნობი ისტორიკოსი „შესხმა-მითხრობას" ან, რაც იგივეა, *ქებას* უწოდებდა.

ასევე ესმოდა „ისტორიანი და აზმანის" ავტორს პლუტარქოსის მოღვაწეობაც. მისი მითითებით: „დიდსიტყუა ალექსანდრესადმი პლუტარხოს ზემომაღლელი ისტორიათა მწერლობასა შინა ჴელმწიფეთა შემსხმელობისასა..."[1] თუ ჩვენ არ ვცდებით, აქაც მწერალი-ისტორიკოსის მოღვაწეობა გაგებულია, როგორც „ჴელმწიფეთა შემსხმელობა".

ვფიქრობთ, ამ ადგილების მიხედვით აშკარაა, რომ *ქება* ისტორიის გაგებითა და მნიშვნელობით მარტო თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში ნახმარი კი არ ჩანს, არამედ ის საზოგადოდ შეწყნარებული სახელი ყოფილა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

რომ რუსთველის ეპოქის ქართულ საისტორიო მწერლობაში ცხოვრება ან ისტორია, საერთოდ, გაგებული იყო როგორც მეფეთა *შესხმა-ქება*, დასტურდება თამარის ვახტანგისეული ისტორიის ერთი ადგილითაც, სადაც ავტორი ურჩევს თავის მკითხველს და ეუბნება: „განიგემნე ყოველნი მატიანენი ძუელთა, გინა ახალთა მეფეთა *მაქებელნი*, რამეთუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჭეშმარიტებით *საქებლობა* სიტყუისამებრ პირველთასა"[2]. გასინჯე, დააკვირდი ყველა მატიანეს, ძველი გინდა ახალი მეფეების მაქებელს და დარწმუნდები, რომ თამარის საქმეთა საქებლობა ნამდვილად აღემატება ყველაფერს, რაც კი მატიანეებში მეფეთა შესახებ დღემდე იყო თქმულიო. *ყოლო ნაკვეთის* აღნიშნულ მითითებაში ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით ის გარემოება იქცევს, რომ აქ ყოველი მატიანე (ისტორია) „ძველი გინა ახალი", გამოცხადებულია მეფეთა მაქებლობად. მაშასადამე, მეფის ქება-შესხმა აღიარებულია აქ ყოველი მატიანის (ისტორიის) ძირითად მიზნად.

თუ მეფის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერას *ქება* ეწოდებოდა, ბუნებრივია, თვითონ მწერალ-ისტორიკოსს *მაქებელი* უნდა რქმეოდა სახელად. დავითის ისტორიაში ასეთი სახელიც შემონახული აღმოჩნდა. მისი სიტყვით, ალექსანდრე მაკედონელს „ილიადის" ერთ-ერთი მთავარი გმირის — აქილევსის შესახებ უთქვამს: „არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხჳე *მაქებელსა ოყმიროსს*"[3], ე. ი. არაფერი დიდი არ იყავ, აქილევსო, მაგრამ დიდი შეგხვდა *მაქებელი* და იმან გამოგიყვანა ასეთიო. მაშასადამე, ჰომეროსი, უკვდავი „ილიადისა" და „ოდისეას" ავტორი, დავითის ისტორიკოსს გაგებული აქვს, როგორც აქილევსის მაქებელი.

ამგვარად, ირკვევა, რომ *მაქებელი* ეწოდებოდა არა მარტო მატიანე-ისტორიას, რომელიც მეფის მოღვაწეობას აშუქებდა (აქებდა), არამედ თვითონ მწერალს, ისტორიკოსსაც, რომელიც ამ ქების სუბიექტი იყო და მეფის ცხოვრე-

[1] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ, II, თბილისი, 1959, გვ. 2.

[2] ქართლის ცხოვრება, წ. II, ტ. I, გამოცემა *ზაქარია ჭიჭინაძისა*, თბილისი, 1897, გვ. 492.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 342.

ბას წერდა. აქ მოყვანილი მასალებით დანამდვილებით ირკვევა, რომ *ქება* ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგადი, განყენებული სახელი კი არ ყოფილა, არამედ ზედმიწევნით კონკრეტული მოვლენა — მეფის ქება იმ საქმეების მიხედვით, რომლებიც მას თავის ზეობაში განხორციელებული ჰქონდა. როგორც დავინახეთ, *ბოლო ნაკვეთის* ავტორიც თამარს, მის პიროვნებას განყენებულად კი არ აქებდა, არამედ აღნიშნავდა მის საქმეთა სიდიადეს, მათ საქებლობას. ეს გარემოება, თავის მხრივ, იმას ღაღადებს, რომ ხსენებულ ავტორსაც ზედმიწევნით კონკრეტულად ჰქონია წარმოდგენილი, როგორც ქება (უსიტყვოდ) მეფისა მისივე საქმეთა დახმარებით. ამავე დროს ის იყო ქება-დიდება თვით იმ საქმეებისა, რომელნიც მხრებს უმშვენებდნენ მეფეს. ეს უკანასკნელი იყო მეფის საქმეთა სწორედ ის *საქებლობა*, რომლითაც ავტორი თამარს უფრო მაღლა აყენებდა მის დრომდე ყოფილ ყველა სხვა მეფესთან შედარებით.

ამგვარად, ირკვევა ის მეთოდოლოგიური საფუძველიც, რომლის მიხედვითაც მეფის ქება იწერებოდა მაშინ. *ერთადერთ ასეთ მოტივად აქ თვითონ მეფის მიერ თავის ზეობაში განხორციელებული საქმეები გვევლინება.* დავითის ისტორიკოსს მეფის *საქმეები* მოხსენებული აქვს როგორც „*ჩივთნი საქმეთანი*“. არსებითად კი ეს იყო მეფის მთელი მოღვაწეობის ფაქტობრივი ნაკვალევი, მის მიერ გაკეთებული საქმეები, მიღწევები და წარმატებანი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, მეფის მთელი მემკვიდრეობა (დადებითი და უარყოფითი), რომელიც მას თავისი ქვეყნისათვის გაუკეთებია და დაუტოვებია. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორის ღრმა რწმენით, მხოლოდ საქმეები, რომლებიც მეფემ თავის ზეობაში განახორციელა, დაახასიათებენ მის ღვაწლს და გამოამჟღავნებენ კიდეც მის ადგილსა და მნიშვნელობას ქვეყნის ისტორიაში. მისი სიტყვით: „...ვითარ ჟამთა და ჟამთა ზეგარდმო ჩინებითა აღმონათდებიან ქუეყანის მფლობელნი, და მიიღებს თჳთეული საქმისა შესატყჳსებასა, აღმკულებასა სიტყჳთა და საქმითა, და ვინმე საგმობნი აღძეგლნა ბოროტთა საქმეთა შინა“[1]. ყოველი დიდი მეფე, რომელიც დროდადრო გამოანათებს, გამოჩნდება ქვეყნად, მიიღებს თავისი საქმეების სრული შესატყვისობით ქება-დიდებას, ან კიდევ რომელიმე საგმობი პირი აღბეჭდილი (აძეგლილი) იქნება თავის ბოროტ საქმეებთან ერთად, ამბობდა ის[2].

ამასთან ერთად საჭიროა გვახსოვდეს ისიც, რომ, როდესაც რუსთველის ეპოქის ქართველი ისტორიკოსები ასეთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეფეთა საქმეებს და მეფეთა ისტორიის ძირითად წყაროდ აღიარებენ მათ, მხედველობაში უმთავრესად სამხედრო ხასიათის საქმეები აქვთ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სამხედრო სფერო ყოველთვის იყო ფართო ასპარეზი ვაჟკაცობისა და გმირობის გამოვლინების, სახელის მოხვეჭისა და ქების დამსახურებისათვის. სამშობლო ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლა, მისთვის თავგანწირვა და სიკვდილი ყოველთვის იმსახურებდა საზოგადოებაში საყოველთაო პატივისცემასა და დიდებას. საგულისხმოა ისიც, რომ მხედართმთავრები ზოგჯერ ომის ქარ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 2.

[2] არ შევცდებით, თუ ვიტყვით: თამარის ისტორიკოსის მიერ აღიარებულ პრინციპს თავისი აზრი და მნიშვნელობა დაკარგული არა აქვს დღესაც. ყოველი დიდი მოღვაწე თუ უბრალო ადამიანი დღესაც ფასდება მისი საქმეების მიხედვით.

ცეცხლში მოლაშქრეთა შორის მამულიშვილური აღტყინების გამოწვევის მიზნით მიმართავდნენ მათ სიტყვებით: „თუ — იგი ვინმე მაშინ (საუბარი ეხება ადრინდელ ხანას. — კ. გ.) იყვნეს მძებარნი სახელთანი და დამდებნი თავისანი ისტორიის ქებისანი შესხმათასა, აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა, დავაძუელნეთ და დავარცხჳნეთ ჰომთა მათთა და მოვიგონნეთ... გოლიათნი, სახელის მძებრობისათჳს არამრიდნი სიკუდილისანი“ და სხვ.[1] როგორც ვხედავთ, აქ სამშობლო ქვეყნისათვის თავდადების საქმეში ნამდვილი შეჯიბრია წინა თაობებთან გამოცხადებული. მხედართმთავრებს სურთ ამ საქმეშიც შვილებმა აჯობონ მამებს: „აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა, დავაძუელნეთ და დავარცხჳნეთ ჰომთა მათთა“, — მოუხმობენ ისინი თავიანთ მოლაშქრეებს. ყოველ შემთხვევაში, აქ თავდადება ისტორიის ქებისა და შესხმის დამსახურებისათვის იდეალად არის გამოცხადებული. მით უფრო მაშინ, როდესაც საუბარი მეფეს ეხებოდა, არსად მისი ღვაწლი და სიდიადე ასე მკაფიოდ არ ვლინდებოდა, როგორც ომში. რამდენი წარმატებული ომი გადაიხადა მეფემ, რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ მათგანს ქვეყნისათვის და, რაც მთავარია, რანაირ ობიექტურ პირობებში იქნა მოპოვებული თითოეული გამარჯვება, — აი საზომი, რომლითაც მემატიანე-მაქებელნი მეფის შეფასებას უდგებოდნენ. ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა ის თვალსაზრისი, რომელსაც თამარის მეორე ისტორიკოსი შანქორის ომში ქართველთა უმაგალითო გამარჯვებასთან დაკავშირებით ამჟღავნებს. მისი სიტყვით, „მცირე რა დღენი გარდახდეს, წარმოემართნეს დიდად მოხარულნი ულუმპიანსა ამას ზედა ძლევასა, ფრიად უაღრესსა საქებელისა მისგან ძლევისა, რომელი ჰყო ალექსანდროს დარიოს ზედა“[2]. ამგვარად, ქართველთა გამარჯვება ამ ომში მემატიანეს უფრო სასახელოდ და საქებელ საქმედ ეხატება, ვიდრე ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვება იყო დარიოსზედ. მხედველობაშია მიღებული ორივე ომის ობიექტური პირობები. თუ ალექსანდრემ დარიოსზე გაიმარჯვა, გულისხმობს მემატიანე, ეს არაფერი საქებელია, რადგან ალექსანდრე თვითონაც დიდი ქვეყნის მეთაური იყო და დიდი ჯარიც ჰყავდა თავის განკარგულებაშიო. გაკვირვების ღირსად მას მხოლოდ ქართველთა გამარჯვება მიაჩნია, რომელთა შედარებით მცირერიცხოვანმა ლაშქარმა შამქორში ირანისა და წინა აზიის თურქულ სახელმწიფოთა გაერთიანებული მხედრობა დაამარცხაო. აშკარაა, თამარის მემატიანეს ქების ღირსად სწორედ ასეთი ძლევამოსილი ომები მიაჩნია. დავითის ისტორიკოსის მიხედვით კი დავით აღმაშენებელი არა მარტო აქილევსზე უფრო მაღლა იდგა, არამედ ალექსანდრე მაკედონელზედაც. თუ ამ უკანასკნელის მოღვაწეობის მსოფლიო რეზონანსი უფრო დიდი იყო, ვიდრე დავითისა, ეს მათი კონკრეტული სამოღვაწეო ობიექტური პირობებით აიხსნებაო. დავითი მცირე ქვეყნის მეფე იყო და ისიც „შემოკლებული“ ჰქონდაო. მართლაც, დავითის მეფობის პირველ ხანებში მთელი აღმოსავლეთი საქართველო თურქ-სელჯუკთა სათარეშოდ იყო ქცეული. დავითი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და ლიხის ქედს თუ გადმოვიდოდა, იქვე წაღველისთავს დადგებოდა, უფრო აქეთ ვერ მოდიოდა. ამიტომ, ცხადია, მას „მცირე გუნდი მჴედრობისა“ ჰყავდა,

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 69—70.

[2] ცხორება თამარისი, გვ. 23.

ისიც უცხენო და უიარაღო. სწორედ ის, რაც დავითმა ასეთ პირობებში გააკეთა და რასაც მიაღწია საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ესაა საკვირველი და ნამდვილად საქებელიო. თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ უწყებული ხანის ქართველ მეფეთა ომებს, დავინახავთ, რომ ისინი ნამდვილად ბრწყინავდნენ თავისი სიდიადით, ძლევამოსილებითა და ისტორიული მნიშვნელობითაც. სანიმუშოდ შესაძლებელია დავასახელოთ დიდგორის, ანისის, ქალაძორის, შამქორის, ბასიანის და სხვა ომები. ამ ომების შედეგად საქართველო არა მარტო თვითონ განთავისუფლდა თურქ-სელჯუკთა ბატონობისაგან, არამედ ის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა წინა აზიაში. მან გაბედულად იკისრა ამიერკავკასიის ხალხთა მფარველის მისია, არა ერთხელ დაამარცხა თურქთა ნახევრად ველური ურდოები და სამუდამოდ გარეკა ისინი ამიერკავკასიიდან. აღნიშნული ომების შედეგი იყო აგრეთვე ქართველთა მიერ ტრაპიზუნდის იმპერიის დაარსება, ჩრდილოეთ ირანის დახარკვა და სხვა არა ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა.

ყველაფერი ეს, ცხადია, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობითა და მისი საწარმოო ძალების განვითარებით (ეროვნული ენერგიის მობილიზებით) იყო შეპირობებული. მაგრამ ამ საქმეში მცირე როლი როდი ჰქონდა აღნიშნული პერიოდის ქართველ მეფეთა ინდივიდუალურ ღირსებებსაც: მათს ცოდნასა და გამოცდილებას, ქვეყნის მართვის უნარსა და ავტორიტეტს და, განსაკუთრებით კი, მათს მხედართმთავრულ ნიჭს. ამ მხრივ ჩვენს მემატიანეებს ქართველ მეფეთა შესადარი არავინ ეგულება ძველი სამყაროს ხელმწიფეთა შორის. ასე, მაგალითად, დავითის ისტორიკოსის სიტყვით, აქილევსის ქება, რასაც დიდი ჰომეროსი ეწევა, რა სახსენებელია. აბა რა სათქმელია აქილევსის გმირობა, „რამეთუ ოცდარვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა". საქებელი მას არაფერი გაუკეთებია. ოცდარვა წელიწადი იდგა ტროას კარებთან, ამ ხნის განმავლობაში ქალაქი ვერ აიღო, აბა რაღა უნდა ითქვას მის შესახებ. შესადარებლად მემატიანე იქვე დავით აღმაშენებელს ასახელებს და ერთგვარი ნიშნის მოგებით აღნიშნავს: „ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო, და ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად"[1]. ასეთ შემთხვევაში, რაც გინდა ციხე-სიმაგრე ყოფილიყო, დავითს სამ საათამდე თუ გაუძლებდა და ვერც პირველივე კვეთების დროს წინ ვერაფერი დაუდგებოდაო.

გარდა ძლევამოსილი დიდი ომებისა, აღნიშნული ხანის ქართველ მეფეთა მოღვაწეობას, ბუნებრივია, არა ერთი თვალსაჩინო წარმატება ამშვენებდა ქვეყნის საშინაო ცხოვრების სფეროდანაც. ამ მხრივ აღსანიშნავია ქვეყნის სამეურნეო ვითარების მკვეთრი აღმავლობა, მშენებლობის (სასახლეები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, გზები და ხიდები და სხვ.) არნახული გაქანება (მარტო ვარძია რად ღირს!), წარმატებანი კულტურის სფეროში (იყალთოსა და გელათის აკადემიების სინქრონიული მოქმედება) და მრავალი სხვა.

სწორედ ასეთი სამხედრო თუ საშინაო გამარჯვების ფაქტები (საქმეები) ჰქონდათ ქართველ ისტორიკოსებს მოსათხრობი და გასაშუქებელი მოჭარბებული რაოდენობით. ხოლო ყველაფერი ეს, ქართველ მეფეთა — დიდი დავითის (აღმაშენებლის), დემეტრე I, გიორგი III და დიდი თამარის საქმეთა სიდიადე,

[1] ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 342.

ქმნიდა იმ საფუძველს, რომელზედაც აღმოცენდებოდა ხოლმე აღნიშნულ მეფეთა ქების სიმფონია, მათი ნამდვილი სადიდებელი. ბუნებრივია, მზის შარავანდედზე უბრწყინვალესი საქმეების ფონზე თითოეული აქ ნახსენები მეფის ოლიმპიური სიდიადე ადვილად ინაკვთებოდა და მათი საგმირო საქმეები, მძივებად ასხმული, თვითონ აქებდნენ და ადიდებდნენ მას. ეს იყო ქება მეფისა მის მიერ განხორციელებული საქმეების გამო, ქება დოკუმენტური (დასაბუთებული) სინამდვილით გაბრწყინებული და არა პოეტური, ხელოვნურად მოგონილი.

სწორედ ამიტომ და აღნიშნულ საფუძველზე მკვიდრდება რუსთველის ეპოქის ქართულ საისტორიო მწერლობაში სახელი ქება და მისგან მომდინარე: საქებელი — საქებლობა, მაქებელი — მაქებარიც, ისტორიის გაგებით, საისტორიო მწერლობისა და მწერალი—ისტორიკოსის მნიშვნელობით.

როგორც ვხედავთ, სრულიადაც სავალდებულო არ ყოფილა ქებას, მიძღვნილს მეფისადმი, მაინცდამაინც ოდების ან კიდევ პოემა-რომანის მსგავსად პოეტური სახე ჰქონოდა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი დღესაც ვარაუდობს, არამედ შეიძლებოდა ის პროზაულად დაწერილი „ცხოვრების“ ჟანრის ჩვეულებრივი ისტორიული თხზულებაც ყოფილიყო.

ქება-ქებანის ამ მნიშვნელობის მიგნება და მისი ამგვარი განმარტება, ბუნებრივია, ჩვენ წინაშე აყენებს პრობლემას ჩვენი სასიქადულო მწერლის შოთა რუსთველის სამწერლო მოღვაწეობის ახალი ისტორიოგრაფიული ასპექტის შესახებ. ამ მიგნების წყალობით ირკვევა, რომ ადვილად შეიძლებოდა, დიდ მწერალს თამარის შესახებ ისტორიული ხასიათის თხზულებაც ჰქონოდა დაწერილი და ეს უკანასკნელი დაემოწმებინა მას, როგორც თამარის ქებანი თავისი უკვდავი პოემის პროლოგში. ჩვენ რომ სხვა არაფერი გვქონოდა, მარტო ამის მიხედვით, რასაკვირველია, ვერასოდეს ვერ დავაღწევდით თავს უბრალო შესაძლებლობის ფარგლებს და უფრო გადაჭრით ვერაფერს ვიტყოდით დიდი შოთას სამწერლო მოღვაწეობის ამ ასპექტის შესახებ. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენ ხელთ გვაქვს ანტონ კათალიკოსის ცნობილი მითითებაც იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველს თავის დროზე ნამდვილად ჰქონია დაწერილი „ცხოვრება მეფისა თამარისა“, რომ შოთა ყოფილა „გამომთქმელი მეფის თამარის ცხოვრებისა და სხუათა“. ამასთან ერთად, ირკვევა ისიც, რომ დიდი მწერლის ნახელავ ისტორიულ თხზულებას — თამარის ცხოვრებას XVIII საუკუნემდე მოუღწევია. ეს ჯერ „ქართლის ცხოვრების“ რედაქციაზე ვახტანგის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით მომუშავე მეცნიერ კაცთა კომისიას გამოუყენებია და მისი ბოლო ნაკვეთი მთლიანად შეუტანია მის მიერ რედაქტირებულ „ქართლის ცხოვრებაში“, ხოლო შემდეგ ეს ძვირფასი ძეგლი ხელთ ჰქონია აგრეთვე ანტონ I-საც და იქიდან მას მაღალფარდოვანი, რიტორიკული სტილის ნიმუშად ერთი უიშვიათესი მაგალითიც მოუყვანია თავის 1753 წლისთვის შედგენილ გრამატიკაში.

ცხადია, ქება-ქებანის დღემდე უცნობი მნიშვნელობის მიგნება, თავის მხრივ, ახალ შუქს ჰფენს მეცნიერი კათალიკოსის ზემოაღნიშნულ უნიკალურ ცნობას და მასთან დაკავშირებული პრობლემების კვლევა-ძიებას გაცილებით უფრო მკვიდრ ნიადაგზე აყენებს, ვიდრე ეს დღემდე იყო შესაძლებელი. ამ მიგნე-

ბის წყალობით ირკვევა, რომ ანტონის აღნიშნული ცნობა, რომელიც მკვლევართა მიერ ორჯერ იქნა აღმოჩენილი (პირველად—1873 წელს პროფ. ალ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს მიერ, ხოლო შემდეგ — 1938 წელს პროფ. ილ. ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ), არა მარტო ეხმაურება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მითითებას დიდი მწერლის ისტორიოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ, არამედ იქ პოულობს ის თავისი სინამდვილის დამადასტურებელ საგულისხმო მოწმობასაც [1]. ამიერიდან ანტონის ცნობა მარტო არ არის: თვითონ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგიც, როგორც ირკვევა, საკმაოდ დამაჯერებლად მეტყველებს ასეთი სინამდვილის სასარგებლოდ. ყოველ შემთხვევაში ამ ორი წყაროს ამგვარი შეთანხმებული მითითება და მათ მიერ ურთიერთ შემაგრება-მოწმობა განსაკუთრებით ძვირფასი და მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის. სწორედ ამ გზით ირკვევა შოთა რუსთველის ღვაწლი თავის მშობლიურ საისტორიო მწერლობაშიც, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაფერ ამას შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიება ესაჭიროება [2].



---

[1] ანტონის ამ ცნობის შესახებ იხილეთ: А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка, Санкт-Петербург, 1873, გვ. 89—103;

ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, შოთა რუსთველის ისტორიული თხზულების შესახებ: ენიმკი-ს მოამბე, III, თბილისი, 1938, გვ. 198—209; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, თბ., 1961, გვ. 9—19.

[2] ჩვენ, ამ რიგის საკითხების შესახებ სხვაგან გვაქვს უფრო სპეციალური საუბარი, ამიტომ, ამ პრობლემებზე აქ უფრო დაწვრილებით არ ვაპირებთ მკითხველის ყურადღების შეჩერებას.

ტ ო გ ო   გ უ დ ა ვ ა

ხუნძურ ხმოვანთა განაწილებისათვის მახვილის მომდევნო პოზიციაში

ხუნძურის[1] ხუთ ხმოვანთაგან (ა, ე, ი, ო, უ) მახვილიანი ნებისმიერი შეიძლება იყოს, მაგრამ მახვილიანი ხმოვნის მომდევნოდ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ვლინდება.

მახვილი ხუნძურში, როგორც ცნობილია, პირველ ან მეორე მარცვალზეა (სიტყვის თავიდან). ამის გასარკვევად, თუ რა მდგომარეობაა მახვილიანი ხმოვნის მომდევნო მარცვლებში, სიმარტივისათვის ავიღოთ ხუნძურში გავრცელებული ორმარცვლიანი სიტყვები მახვილით პირველ მარცვალზე. ასეთ პირობებში მახვილიან და უმახვილო ხმოვანთა შესაძლებელი კომბინაცია 25-ს უდრის (ა́-ა, ა́-ე, ა́-ი, ა́-ო, ა́-უ; ე́-ა, ე́-ე, ე́-ი, ე́-ო, ე́-უ; ი́-ა, ი́-ე, ი́-ი, ი́-ო, ი́-უ; ო́-ა, ო́-ე, ო́-ი, ო́-ო, ო́-უ; უ́-ა, უ́-ე, უ́-ი, უ́-ო, უ́-უ).[2]

ირკვევა, რომ ხუნძურში დასაშვებია მხოლოდ ისეთი კომბინაცია, როცა მახვილიან ხმოვანს მომდევნო მარცვალში მოსდევს ა, ი ან უ:

ა́-ა ჰა́ლმაღ „ამხანაგი"   ე́-ა ლე́მაგ „ცხვარი"   ი́-ა რი́კაად „შორს"
ა́-ი ჟა́ნიბ „შიგ"   ე́-ი გე́ნი „მსხალი"   ი́-ი კი́ჭი „ყულფი"
ა́-უ ჰაა́ლტულ „შრომის"   ე́-უ გე́ნულ „მსხლის"   ი́-უ ი́ნსჾულ „მამის"

ო́-ა ჰო́რრაბ „ბერწი"   უ́-ა ქუ́რაქ „გარგარი"
ო́-ი ჩო́რდი „ტირილი"   უ́-ი უ́ნთი „ავადმყოფობა"
ო́-უ რო́ლ'ულ „ხორბლის"   უ́-უ ტუ́რუ „კლდე"

დაუშვებელია მახვილიანი მარცვლის მომდევნოდ საშუალო აწეულობის ე და ო ხმოვნები:

---

[1] აქ და ქვემოთ ჩვენი მსჯელობა ემყარება ხუნძახურ დიალექტს (აული ხუნძახი), რომელიც საერთოდ ახლოს დგას სალიტერატურო ხუნძურთან (წარმოადგენს მის საფუძველს).

[2] მახვილიანია პირველი მარცვალი, მეორე—უმახვილო. ტირეთი აღვნიშნავთ მარცვალთა პირობით საზღვარს.

ა́-ე	ე́-ე	ი́-ე	ო́-ე	უ́-ე
ა́-ო	ე́-ო	ი́-ო	ო́-ო	უ́-ო

Ⴎ. Ⴓ ს ლ ა რ ი ს[1] მასალებიდან ჩანს, რომ ყველა ეს კომბინაცია დასაშვებია ხუნძური ენის ჭირკეულ თქმაში (Ⴓსლარის მასალა ჭირკეულია), ისევე როგორც დღევანდელ სალიტერატურო ენაშიც. Ⴞუნძახურისა და ჭირკეულის შედარება გვიჩვენებს, რომ მახვილის მომდევნო პოზიციაში ჭირკეულის ე და ო ხუნძახურში წარმოდგენილია როგორც ი და უ (სათანადოდ). საორიენტაციო მაგალითები:

ჭ ი რ კ ე უ ლ ი			ხ უ ნ ძ ა ხ უ რ ი
ა́-ე	და́ნდე	„პირისპირ"	და́ნდი
ე́-ე	ტიე́ზე	„მიცემა"	ტიე́ზი
ი́-ე	დი́ჯე	„ჩემსკენ"	დი́ჯი
ო́-ე	ყო́ტე!	„გაჭერ!"	ყო́ტი!
უ́-ე	ჩუ́რე!	„გარეცხე!"	ჩუ́რი!
ა́-ო	მა́ჭო	„ცრემლი"	მა́ჭუ
ე́-ო	ჰე́ჭო	„არ არის"	ჰე́ჭუ
ი́-ო	ტი́ნო	„ფსკერი"	ტი́ნუ[2]
ო́-ო	რო́სო	„სოფელი"	რო́სუ
უ́-ო	ბუ́გო	„არის"	ბუ́გუ

Ⴀქედან ზოგჯერ კეთდება დასკვნა, რომ ბოლოკიდური უმახვილო ო>უ, ე>ი[3], რაც ზუსტი არ არის. Ⴟერ ერთი, მიაჩნიათ, რომ ო>უ, ე>ი ახასიათებს რიგ სამხრულ დიალექტს, მაგრამ არა ხუნძახურს (იქვე, გვ. 30)[4], მაშინ როცა ეს მოვლენა სწორედ ხუნძახური მეტყველებისათვისაა ფრიად ნიშანდობლივი. Ⴋეორე მხრივ, მიუთითებენ, რომ ეს მოვლენა ბოლოკიდურ ხმოვნებს ეხება (იქვე, გვ. 31), ფაქტობრივ კი ო>უ, ე>ი ეხება მახვილიანი ხმოვნის მომდევნო ნებისმიერ უმახვილო მარცვალს, ღია იქნება ის თუ დახურული[5].

ჭ ი რ კ ე უ ლ ი		ხ უ ნ ძ ა ხ უ რ ი
რა́თელ	„მემკვიდრეობა"	რა́თილ
ლ'ა́ჭელ	„წელიწადი"	ლ'ა́ჭილ
რხა́ცერ	„კიტრი"	რხა́ცირ

---

[1] П. К. Услар. Аварский язык, Тифлис, 1889.

[2] Ⴘდრ. ჭირკ. მახვილის ადგილით გარჩეული ჰო́წთო „კალო" და ჰოწთო́ „თაფლი", რაც ხუნძახურში ხმოვნითაც გარჩეულია: ჰო́წთუ „კალო", ჰოწთო́ „თაფლი". Ⴈს მითითებული კანონზომიერებით აიხსნება.

[3] Ⴀრნ. Ⴙ ი ქ ო ბ ა ვ ა, Ⴈლ. Ⴚ ე რ ც ვ ა ძ ე, Ⴞუნძური ენა, Ⴇბილისი, 1962, გვ. 30—31.

[4] Ⴐოგორც ჩანს, აქ იგულისხმება ე. წ. ხუნძახური დიალექტი საერთოდ (რომელშიც აულ Ⴝირკეის მეტყველებაც შედის). Ⴀსეთ შემთხვევაშიც დასკვნა არაა ზუსტი, რადგან ო>უ, ე>ი ხუნძახური დიალექტის საკმაოდ ფართო არეალს მოიცავს და ჭირკეულის ვითარების განზოგადება საერთოდ ხუნძახური დიალექტისათვის სამართლიანი არ არის.

[5] Ⴀმ გარემოებაზე მიუთითებს აგრეთვე კ. Ⴄ ბ ე ლ ი ნ გ ი თავის წერილში, რომელიც ამას წინათ გამოქვეყნდა. Ⴈხ. Carl L. Ebeling, The Grammar of Literary Avar. Caucasica, 2, 1966 გვ. 60. Ⴘეტიც: როგორც ქვემოთ ვნახავთ, ე, ო ხმოვანთა დავიწროება ხდება მახვილის მომდევნო ყველა (და არა მხოლოდ ბოლოკიდურ) მარცვალში.

რუ́ჰელ	„სუნთქვა“	რუ́ჰილ
ჭა́რცოლ	„ვერცხლის“	ჭა́რცულ

ირკვევა, რომ ის დასკვნები, რაც ორმარცვლიანი სიტყვების (მახვილით პირველ მარცვალზე) ანალიზის შედეგად მივიღეთ, შეიძლება გავავრცელოთ ყველა სხვა სიტყვაზე მარცვალთა ნებისმიერი რაოდენობით: მახვილიანი ხმოვნის მომდევნო არც ერთ მარცვალში ხუნძახურ მეტყველებაში არ დასტურდება საშუალო აწეულობის ე და ო ხმოვნები, იგი ყველგან შეცვლილია სათანადო ვიწრო ხმოვნით (ე>ი, ო>უ), სხვაგვარად, ე და ო ხუნძახურს აქვს მახვილისქვეშა ან მახვილისწინა პოზიციაში [1]. საორიენტაციო მაგალითები:

	ხუნძახური		შდრ. პირკეული
ე : ი.	ვა́ცჲასიი	„ძმას“	ვა́ცჲასიე
	ვა́ცჲასდიხჲუნ	„ძმისკენ“	ვა́ცჲასდეხჲუნ
	ურტული[ბ]	„მჭრელი“	ურტულებ
	ურტილი[ბ]	„საჭრელი“	ურტილებ
	ულტულა́რი[ბ]	„არამჭრელი“	ულტულა́რებ
ო : უ	ურტიჭუ	„არ გაჭრა“	ურტიჭო
	ურტიჭუგუ	„გაუჭრელად“	ურტიჭოგო
	ულტილა́რუ	„არ გაჭრის“	ულტილა́რო
	გა́ზარგუ	„შურდული“	გა́ზარგო
	მა́დუჰალ	„მეზობელი“	მა́დოჰალ
	ჭა́რცულა[ბ]	„ვერცხლისა“	ჭა́რცოლაბ
	ჭქ́ჩულ	„ვაშლის“	ჭე́ჩრლ

ამრიგად, მახვილიანი ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ხუნძურში არ გვხვდება ე და ო [2]. ხმოვან ფონემათა ხუთი წევრისაგან შემდგარი სამკუთხედი (ი,ე,ა,ო,უ), რომელიც სრული სახით რეალიზებულია მახვილისქვეშა პოზიციაში, მახვილის მომდევნოდ წარმოდგენილია როგორც სამწვეროვანი სამკუთხედი

უ

ა

ე. ი. გვაკლია შუა რიგი (საშუალო აწეულობის ე და ო). მახვილიანი ხმოვნის მომდევნო ყველა პოზიციაში საშუალო აწეულობის ხმოვნები რეალიზდებიან რო-

[1] მახვილისწინა პოზიციაში ხმოვანთა არანქირების წესები რთულ, მაგრამ მწყობრ კანონზომიერებას ავლენს. ამის შესახებ—ცალკე.

[2] ე და ო გვხვდება მხოლოდ მახვილის ქვეშ ან მახვილის წინა პოზიციაში (ეს გარემოება ფონეტიკურად ჩაწერილ ტექსტში შეიძლება გამოვიყენოთ მახვილის დასასმელად!). ჩვენთვის ცნობილი გამონაკლისია კომპოზიტები, რომლებიც ინარჩუნებენ შემადგენელ ელემენტთა თავდაპირველ ვოკალიზმს, მაგ., კი́ღეჭ „მხარი“ (კი́გუ<კი́გო „ორი“, ღეჭ „მხარი“), წი́ორ რ ბერალ „სათვალე“ (წორი́ლ „შუშის“, ბერალ „თვალები“), ჰაქიბერ „ბორბალი“ (ჰაქი́ლ „ურმის“, ბერ „თვალი“), ხთარი́ცელ „ნამგალი“ (ხთარი́ლ „ბალახის“, ცელ „სათიბავი“, ზმნისაგან ბე-ციზე „თიბვა“). იხ. აგრეთვე ჩვენი — მახვილის ადგილისათვის ხუნძური ენის ზმნაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XLV, № 2, 1967.

გორც ვიწრონი (არალაბიალური ე—როგორც ი, ლაბიალური ო—როგორც უ). ამ პოზიციაში ხდება საშუალო და ვიწრო აწეულობის ხმოვანთა შორის დაპირისპირების მოხსნა, ნეიტრალიზაცია (ე/ი, ო/უ).

მითითებული მოვლენის ისტორიული მხარე ნათელია: ე > ი, ო > უ (დავიწროებით).

ამ კანონზომიერებას ემორჩილება საყოველთაო ხმარებისად ქცეული ნასესხები სიტყვებიც: მაგ., რუს. учи́тель > უჩჩითილ „მასწავლებელი", რუს. ра́дио რა́დიცუ „რადიო". ამავე რიგისაა რუს. патефо́н > ფათიჩფუნ „პატეფონი", რუს. помидо́р > ფამიჩდურ „პომიდორი", რუს. молоде́ц! > მალა́დიც! „ყოჩაღ"! ოღონდ ამ უკანასკნელ მაგალითებში ორი პროცესია ერთმანეთთან გადაჯაჭვული: რადგან ხუნძურში მახვილი პირველ ან მეორე მარცვალზეა ბუნებრივი, ცხადია, სამმარცვლიან სიტყვაში ჯერ მახვილი ბოლო მარცვლიდან წინ უნდა გადმოსულიყო (მალადე́ც > მალა́დეც, ფათიფო́ნ > ფათი́ფონ, ფამიდო́რ > ფამი́დორ), ხოლო შემდეგ მახვილიანი მარცვლის მომდევნო ე და ო დავიწროებულიყო (მალა́დეც > მალა́დიც, ფათი́ფონ > ფათი́ფუნ, ფამი́დორ > ფამი́დურ)[1].



[1] ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ ხუნძურს ახასიათებს მისთვის უჩვეულო მახვილის წინ გადმოტანა, რითაც ნასესხები სიტყვა ხუნძურისათვის ბუნებრივ ფორმას იღებს.

კ ო რ ნ ე ლ ი დ ა ნ ე ლ ი ა

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

4. მ ო ც ა ლ ე ო ბ ა

რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში საგანგებოდ ეხება მიჯნურობას, ასე ვთქვათ, თეორიულ ასპექტში იხილავს მას. პოეტის აზრით, ნამდვილად იდეალურ მიჯნურს ბევრი კარგი და დადებითი თვისება უნდა ჰქონდეს, მას არ უნდა აკლდეს „მიჯნურთ ზნეობა“, კერძოდ, მიჯნური უნდა იყოს „ხანიერი“, ე. ი. წარამარა არ იცვლიდეს სატრფოს, „გული ერთსა დააჯეროს“, იყოს „არ მეძავი“, ე. ი. სპეტაკი, „თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს“ და ასე შემდეგ. მაგრამ პოეტი იდეალური მიჯნურისათვის დამახასიათებლად მარტო ზნეობრივ სიწმინდეს კი არ მიიჩნევს, არამედ ფიზიკურ უნაკლობას, სრულყოფასა და მაღალ ინტელექტუალობას:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მ ო ც ა ლ ე ო ბ ა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“ (23)[1].

დამოწმებულ სტროფში ნახმარი სიტყვა „მოცალეობა“ პოემაში სხვაგან არ გვხვდება, იგი მხოლოდ ერთხელ არის დადასტურებული. ამ სიტყვის განმარტებაზე საგანგებოდ არავინ შეჩერებულა. ალბათ იმიტომ, რომ „მოცალეობის“ მნიშვნელობა თითქოს ყველასათვის ნათელი იყო. იგი ესმოდათ, როგორც მოცლა, თავისუფალი დროის ქონება. ამ გარემოებითვე უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ პოემის ცნობილ გამოცემებზე დართულ ლექსიკონთა უმრავლესობაში ეს სიტყვა სულ არ შესულა, არ მოხვედრილა. ჩანს, მკვლევრებს ეჭვი არ შეჰქონდათ „მოცალეობის“ ტრადიციულ გაგებაში. ამ უეჭველობის საფუძველს ძველი ქართულის ძეგლებთან ერთად, პოემის კონტექსტიც იძლეოდა, რომელიც იწუნარებდა

---

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბილისი, 1957.

„მოცალეობა“ სიტყვის ტრადიციულ მნიშვნელობას: მიჯნურს უნდა ჰქონდეს: სილამაზე, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, ახალგაზრდული ასაკი (სიყმე) და მოცლა — თავისუფალი დრო (მოცალეობა).

აღმოჩნდა, რომ „მოცალეობას“ ძველ ქართულში მხოლოდ „მოცლის“ მნიშვნელობა არ ჰქონდა. ჩვენი მიზანია ამ სიტყვის „მოცლისაგან“ განსხვავებული მნიშვნელობის გამოვლენა და, ასე ვთქვათ, მისი მისადაგება „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ნახმარ „მოცალეობასთან“. მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია ამ სიტყვის შესახებ არსებული ცნობები მოვიყვანოთ.

სულხან-საბა ორბელიანს თავის ცნობილ ლექსიკონში განმარტებული არა აქვს „მოცალეობა“, მაგრამ „ცალ“ ძირზე დამყარებული სხვა ფორმები კი ბევრჯერ აქვს შეტანილი: აცალე დააცალე (გვ. 28)[1], გცალიან მოცალედ ხარ (გვ. 77), დააცალა ადროვა (გვ. 81), დამაცალა მაცადა (87), დაცალება დაცლევინება (გვ. 93), მაცალე მოცდა (მოცლა A) მომეც (გვ. 200), მოცლა საქმისაგან მოცალება (გვ. 225), მცალიან მოცალედ ვარ (გვ. 236), უცალო მოუცლელი (გვ. 348), ცლევინება საქმე ადროოს (გვ. 419), ცლა მოცლა, დაცლა (გვ. 419).

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში ვკითხულობთ: მოცალება (მოცალე ვარ, ვმოცალეობ) მართვა საქმესა რასმე შინა (საქმ. 17,21) упражняться, проводить время в чем.

მოცალება მოცლა, საქმისაგან თავისუფალი დრო, досуг[2].

დავით ჩუბინაშვილი, რომელიც თავისი ბიძის — ნიკოს — ლექსიკონს ემყარება[3], არსებითად მსგავს განმარტებას იძლევა: მოცალება (მოცალე ვარ, ვმოცალეობ) иметь время, быть досужным, праздным, проводить в чем время. მოცალეობა досуг, loisir[4].

ჩუბინაშვილებს „მოცალება“ ორ ლექსიკურ ერთეულად აქვთ შეტანილი ლექსიკონებში (დავით ჩუბინაშვილმა მეორე ერთეულად „მოცალეობა“ მოგვცა, რითაც არსებითად არაფერი შეცვლილა, რადგან ძველ ქართულში იშვიათად „მოცალება“-ს გვერდით „მოცალეობა“-ც გვხვდება). აჯობებდა, რომ ჩუბინაშვილების ლექსიკონებში ეს სიტყვა ერთი ფუძით ყოფილიყო შეტანილი და მისი ორი მნიშვნელობა გამოყოფილიყო.

თუ „მოცალებას“ გრამატიკულად გავაანალიზებთ, ცალ ძირად უნდა მივიჩნიოთ, მო — ზმნისწინად, ებ — თემის ნიშნად, ა — საწყისის მაწარმოებლად. პირიელი ფორმები „ცალ“ ძირზე დაყრდნობით ორგვარად იწარმოება: 1) მარტივი, უთემისნიშნო ფუძით და ობიექტური წყობით: მ-ცალ-ს, გ-ცალ-ს, ს-ცალ-ს, მ-ცალ-დ-ა, გ-ცალ-დ-ა, ს-ცალ-დ-ა... 2) რთული, თემისნიშნიანი ფუძით და სუბიექტური წყობით: მო-ვ-ი-ცალ-ებ, მო-ი-ცალ-ებ, მო-ი-ცალ-ებ-ს, მო-ვ-ი-ცალ-ებ-დ-ი, მო-ი-ცალ-ებ-დ-ი, მო-ი-ცალ-ებ-დ-ა.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1928.

[2] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961, გვ. 296.

[3] იქვე, გვ. 85—97.

[4] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840, გვ. 399.

„მოცალეობა“ ფორმა თითქოს ნაწარმოებია ზმნის პირიანი ფორმებისაგან: ვმოცალეობ, ჰმოცალეობ, მოცალეობს. მაგრამ ასეთი წარმოება, თუ არ ვცდებით, ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი არ უნდა იყოს. თვითონ „მოცალეობა“-ც კი ძალზე იშვიათად იხმარება „მოცალება“-სთან შედარებით.

„მოცალეობა“ ასე უნდა დაიშალოს: მო-ცალ-ე-ობ-ა. ც ა ლ ზმნური ძირისგან მიმღეობაა ნაწარმოები: მო-ცალ-ე (=მოცლილი), რომელიც ხშირად იხმარება ძველ ქართულში. ამ „მოცალე“ ფუძეზე უნდა იყოს დართული აბსტრაქტულობის მაწარმოებელი ო ბ ა სუფიქსი, რომელიც, თავის მხრივ, საწყისური წარმოშობისაა (ობ-ა)[1]. „მოცალე“ ისეთივე წარმოების მიმღეობაა, როგორც: მო-ღუაწ-ე, მო-ძულ-ე, მო-ყუარ-ე, მო-ქენ-ე, მო-შურნ-ე და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მ ო-ე არა მარტო მიმღეობას, არამედ ე. წ. ხელობის სახელებსაც აწარმოებს: მო-სენა-ე, მო-დას-ე, მო-საგრ-ე და ა. შ.

ქართული ც ა ლ ძირის სავსებით კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისი გვაქვს ჩ ო ლ-ის სახით მეგრულში: მო-ჩ ო ლ-ამ-ა „მო-ცალ-ებ-ა“ (მოცლა). მაგრამ მეგრულში ჩ ო ლ ძირს ზოგჯერ ჩ ო დ ფორმა ენაცვლება, რაც ქართული ც ა ლ ძირის ც ა დ ფორმასთან კავშირს გვაფიქრებინებს: მივ ჩ ო ლ ე „მოვიცალე“, შდრ. ვა'მა ჩ ო დ უ „ვერ მოვიცალე“. ქართულშიც ც ა ლ ფორმას ზოგჯერ ც ა დ ენაცვლება: დამაცალე // დამაცადე. ამ ფორმათა მონაცვლეობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაც ჩანს, სადაც დ ა ც დ ა-ს (1) ერთ-ერთ მნიშვნელობად მიჩნეულია „საჭირო დროს მიცემა, დროება, დ ა ც ლ ა“[2], ხოლო დ ა ც ლ ა (2) ფუძესთან აღნიშნულია: „დროს მიცემა, დროება, დ ა ც დ ა“[3]. ც ა ლ // ც ა დ ფორმათა მონაცვლეობა ძველი ქართულისათვისაც ფაქტია. მოვიყვანთ „ხანმეტ“ ნაწყვეტს სახარების ცნობილი ადგილიდან: ხაჲსა ხხედავ წუელსა ძმისა შენისა თუალსა და თუალსა შინა შენსა დირესა არა ხხედავჳ, ანუ ვითარ ხეტყჳ ძმასა შენსა: მ ა ც ა დ ე და აღმოგიღო წუელი იგი თუალით შენით? და აჰა ეგერა დირჱ იგი თუალსა შინა შენსა გიც (მათ. 7,3-4)[4]. საეჭვო არაა, რომ „მ ა ც ა დ ე“ აქ ნიშნავს: მაცალე, მადროვე. ასეთი მნიშვნელობით ც ა დ ძირზე დამყარებული ფორმები ჩვეულებრივ გვხვდება ძველ ქართულში[5].

„ვეფხისტყაოსნის“ განმმარტებელთ თუ ლექსიკონების შემდგენელთ „მოცალეობაზეც“ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი. პოემის პირველი გამომცემელი და კომენტატორი ვ ა ხ ტ ა ნ გ VI მთელ სტროფს, სადაც „მოცალეობა“ არის ნახმარი, „საღმრთოდ“ აცხადებს: აქ მიწიერ, საერო მიჯნურობაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ ღვთიურზეო. ვახტანგ VI იძულებული იყო „ხელისხელ საგოგმანები“ პოემა დაეცვა კლერიკალების დევნისაგან და ამიტომ ზოგჯერ, სამწუხაროდ, პოემის ისეთ ადგილებს აძლევდა „საღმრთო“ გააზრებას, რომელთაც ნამდვილად არ შეეფერებოდა ეს. ამ სტროფის განმარტებისას ვახტანგი აშკარა პოლემიკუ-

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 131.

[2] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს საერთო რედაქციით, ტ. III, ტომის რედაქტორი პროფ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა, თბილისი, 1953, გვ. 982.

[3] იქვე, გვ. 991.

[4] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 328.

[5] ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, თბილისი, 1953, გვ. 530.

რი ტონით აცხადებს (უთუოდ, სამღვდელოების გასაგონად!): „აბა ზოგი ვინმე რომ იტყუის რუსთველის ნათქუამში სამღუთო არა ურევია რა, მაშ ეს რა არის? თუ ჴორცის მიჯნურობაზედ თქუა ეს, რომლის ჴორციელ კაცისაგან იქნება: სიმდიდრე და სიუმე ჰქონდეს და მოცლა, ან ეს როგორ იქნება მოცლილი იყოს, უთმობდეს და მძლეს მტერს ერეოდეს? მძლის მტრის მორევა და მოთმინება როგორ იქნება? ასრე ახირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა? მაგრამ ეს საეროდ არ უთქუამს, სამღდელოს კაცზედ უთქუამს... სიმდიდრე: მადლით სიმდიდრეს უბნობს, სიუმედ, რომე ვაჟკაცურად გარჯის შეძლება ჰქონდეს. ასე მოცლას ეუბნება, სოფლის ზრუნვა სასუფეველის მეტი არა ჰქონდეს რა, ენა ქადაგებისა გრძელი და კარგი ჰქონდეს, გონება კეთილის გონებისა, სამღუთო წერილთა სმენისა მოთმინება ჰქონდეს; მძლე მებრძოლი ეშმაკია, იმას ერეოდეს... თუ სამღდელოს ესეები არ სჭირს, სასუფეველის ტრფიალების და მიჯნურობის წესი დიად აკლდება" [1].

საინტერესოა, რომ ვახტანგ VI ხსნის არა „მოცალეობას", არამედ „მოცლას", როგორც ეს შენიშნული აქვს ა. შანიძეს [2]. კომენტარიდან აშკარაა, რომ ვახტანგის გაგებით „მოცალეობა" ნიშნავს მოცლას, ამქვეყნიურ („სოფლის") საქმეებზე ფიქრისა და დარდის უქონლობას.

თეიმურაზ ბაგრატიონს მთლიანად მოჰყავს 23-ე (ვახტანგით, თეიმურაზით, მე-8) სტროფი, მაგრამ არც ერთ სიტყვას არ განმარტავს, მხოლოდ ზოგად შენიშვნას ურთავს: „მერვესა ამას სტიხსა სრულიად და საკვირველად გამოხატავს ყოელსა ხარაკტირსა მიჯნურისასა; ძნელია, რომ ამდენი ნიჭი ერთად ერთს კაცში იპოებოდეს. მაგრამ ზეპირად საქართველოს ერნი ასე მოუთხრობენ, რომელ რუსთაველი თვით იყოვე ესევითარი სრული ყოვლითა სიკეთითა" [3].

თეიმურაზის შენიშვნა ახალს არაფერს შეიცავს ლექსიკური თვალსაზრისით, მაგრამ საინტერესოა სტროფის მთლიანი შეფასება: მერვე სტროფი განსაცვიფრებელი სისრულით გამოხატავს მიჯნურის თვისებებს, ძნელია, ერთ კაცს ჰქონდეს ამდენი ნიჭი (სიკეთე), მაგრამ ქართული ზეპირსიტყვიერება გადმოგვცემს, რომ თვითონ რუსთველი იყო ამნაირად სრულყოფილი „ყოვლითა სიკეთითაო".

მ. ბროსეს, ნ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილის მიერ 1841 წელს გამოცემული პოემის ლექსიკონში „მოცალეობა" სიტყვა არ შესულა. ასევე პოემის 1860 წლის გამოცემაში, რომელსაც გამომცემლის — დ. ჩუბინაშვილის — განმარტებები ახლავს, 23-ე (მე-9 ჩუბ.) სტროფიდან ახსნილია მზეობა, სიუმე, მძლეობა, მაგრამ მოცალეობაზე არაფერია ნათქვამი.

დ. კარიჭაშვილის ლექსიკონში „მოცალეობა" კი არაა განმარტებული, არამედ: მოცლა 113 გათავისუფლება [4]. კარიჭაშვილის მიერ დამოწმებული 113-ე სტროფი პოემის საიუბილეო და მასზე დამყარებულ შემდგომ გამო-

[1] შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, გვ. სჟა—სჟბ.

[2] იქვე, გვ. 978.

[3] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბილისი, 1960, გვ. 5.

[4] შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, ტფილისი, 1903, გვ. 327.

ცემებში არ შესულა როგორც არარუსთველური. ამ სტროფში თინათინი ანუგეშებს უცხო მოყმის ნახვით დამწუხრებულ მამას:

„თუ ყოფილა იგი მოყმე ხორციელი, ხმელთა მელელად,
მას ნახვიდა სხვაცა ვინმე, გამოჩნდების მასწავლელად.
თვარემ ეშმა გჩვენებია, ლხინთა შენთა შეცამშლელად,
ნა სევდისგან მოიცალე, რად შექმნილხარ მოულხენლად".

ნ. ხარიჯაშვილმა ეს სიტყვა („მოცლა") განმარტებისა და დამოწმების შეუცვლელად შეიტანა პოემის 1920 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონშიც [1].

იუსტ. აბულაძეს 1914 წელს გამოცემული პოემის[2] ლექსიკონში „მოცლა" ან „მოცალება" არ შეუტანია, მაგრამ 1926 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: მოცალება 74',4; 749,4 დაცალება; მოცლა, დროს შოვნა გინა დროს ქონება, მოცლით ყოფნა[3]. 74[1] ის სტროფია, რომელიც ნ. ხარიჯაშვილს ჰქონდა დამოწმებული 113 ნომრით, ხოლო 749 (საიუბილეოთი 867) იმ ამბავს გვაცნობს, როცა ავთანდილი წააწყდა ლომ-ვეფხვის დახოცვის შემდეგ გულწასულ ტარიელს:

„რა შეხედნა, ყმასა გულმან გაუფეთქნა, გაუნათდა,
აქა ლხინი დაღრეჯილსა უათასდა, არ უათდა;
ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა,
ნა ვით გრიგალმან ჩაირბინა, არ მოსცილდა ჭვრეტად მათდა".

აშკარა შეუსაბამობაა განსამარტავ სიტყვასა და დამოწმებულ ფორმას შორის: „მოსცილდა" ზმნის საწყისი იქნება „მოცილება" და არა „მოცალება". ამ უკანასკნელი ფორმის შესაბამისი ზმნაა დაბეჭდილი საიუბილეო გამოცემებში: მოსცალდა.

1951 წელს გამოსულ „ვეფხისტყაოსანში", რომელიც არსებითად 1937 წლის საიუბილეო გამოცემას ემყარება, მნიშვნელოვანი შესწორებანი იქნა შეტანილი სარედაქციო კოლეგიის მიერ (კოლეგიაში შედიოდნენ: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე). ამ გამოცემას დაერთო იუსტ. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი, რომელშიც არც „მოცლა" შესულა და არც „მოცალება".

„მოცალეობა" არ შესულა არც ს. კაკაბაძის 1913 და 1927 წლების გამოცემებზე დართულ ლექსიკონებში, არც კ. ჭიჭინაძის 1934 წლის გამოცემის ლექსიკონში.

ნ. მარმა, რომელიც სპეციალურად შეეხო „ვეფხისტყაოსნის" პროლოგსა და ეპილოგს, „მოცალეობის" შემცველი სტროფი ასე თარგმნა (მარის თარგმანი პოეტური კი არ არის, არამედ სიტყვა-სიტყვითი; ამდენად, მეტად ღირებულია ლექსიკური თვალსაზრისით): „Влюбленный обязан обладать изысканной красивой внешностью, сиять как солнце; он должен быть муд-

---

[1] შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დართვით, ნ. ხარიჯაშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1920, გვ. 295.

[2] შოთა რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი, 22-ე გამოც., იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1914.

[3] შოთა რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი, 26-ე გამოც., იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, გვ. 267.

рым, богатым, щедрым, быть витязем, должен иметь досуг; ему надо быть мастером слова, обладателем разума и терпения и победителем всесильных противников. Кому все это не дано в удел, у того нет качеств влюбленного"[1].

მაშასადამე, ნ. მ ა რ ს „მოცალეობა" ესმის როგორც თავისუფალი დროის ქონება. ასეთივე ახსნას აძლევს ა. შ ა ნ ი ძ ე ამ სიტყვას პოემის 1957 წლის გამოცემაზე დართულ ლექსიკონში: მ ო ც ა ლ ე ო ბ ა 23,2 თავისუფალი დროის ქონება[2].

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ ცნობებს, ასეთი ვითარება იქნება: 1) „მოცალეობა" არ შესულა საბას ლექსიკონში, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში კი გვაქვს. 2) პოემის „მოცალეობა" სულ არ განმარტებულა (თ. ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი, ს. კაკაბაძე, ზ. ჭიჭინაძე). 3) პოემის სხვა ადგილების დამოწმებით განიმარტებოდა მ ო ც ლ ა (კარიჭაშვილი), მ ო ც ა ლ ე ბ ა (იუსტ. აბულაძე). 4) „მოცალეობა" პროლოგიდან დამოწმებით განმარტებულია როგორც მოცლა, თავისუფალი დროის ქონება (ვახტანგ VI, ნ. მარი, ა. შანიძე).

როგორც აღვნიშნეთ, „მოცალეობა" პოემაში ერთხელ არის ნახმარი, მაგრამ ც ა ლ ძირზე დამყარებული სხვა ფორმები პოემაში იშვიათი როდია. მარტო მარტივი (უთემისნიშნო) პირიელი ფორმები 16-ჯერ დასტურდება და ყველგან მოცლის მნიშვნელობა აქვს. ვასახელებთ რამდენიმეს:

რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის, არცა მ ც ა ლ ს სმენად მაგისად
(885,1);
ჯერთ ქორწინებად არა მ ც ა ლ ს, აწ გული ცეცხლ-ნადებია
(1240,2);
თუცა შენ ჩემად არა გ ც ა ლ ს, მე შენთვის მომსურვებია
(1008,2);
ლაჭრა ხელია მიჯნურთა, რად ს ც ა ლ ს თავისა ბერებად
(784,3);
დიდხან მათად არა ს ც ა ლ დ ა საუბრად და არცა ჭვრეტად
(500,3).

პოემაში ზმნისწინიანი პირიელი ფორმებიც გვხვდება (6-ჯერ):

1) ახლოს მივიდა, მ ო ს ც ა ლ დ ა სიტყვისა თქმად აღარისად
(86,4);
2) მონახეთ, ძებნეთ იგი ყმა, სხვად ნურად მ ო ი ც ლ ი დ ე თ ა
(115,3);
3) ვით გრიგალმა ჩაირბინა, არ მ ო ს ც ა ლ დ ა ჭვრეტად მათდა
(867,4);

---

[1] Н. Марр, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава: Т. Р., кн. XII. СПб, 1910, გვ. 8.

[2] შ ო თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ა. შ ა ნ ი ძ ე, თბილისი, 1957, გვ. 372.

4) ვაჭრობისა საქმისაგან *მოვიცალით*, იგი ვნახით
(1162,3);

5) ტარიელ ბრძანა: მოყმენო, აწ თქვენგან რა იმედია?
რა ადრე *მოვიცლი* იმათგან, ღმერთი და ჩემი ბედია
(1598,3-4);

6) თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების;
სიარული, მარტოობა ჰშვენის, გაჭრად დაეთვლების;
ეგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს *მოეცლების*
(31,1-3).

ყველა ზემოდასახელებულ მაგალითში *ცლა* // *მოცლა* // *მოცალება* ერთი მნიშვნელობითაა ნახმარი, „მოცლის" მნიშვნელობით. მხოლოდ უკანასკნელ მაგალითშია შესაძლებელი, რომ მას სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს (ამაზე ქვემოთ). ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა ძირითადად ძველ ქართულში.

ჯერ განვიხილოთ „*მოცალე*" ფორმა, რომელზედაც არის დამყარებული მოცალება // მოცალეობა.

„რამეთუ ზედა პილენძი არს და შინაგან *მოცალე* არს მუცელი მაგისი" (ხიმ., I, 155,15). *მოცალე* აქ ნიშნავს *ცარიელს*.

ეფთჳმეს „გაეწესა მსახურებაჲ, და შრომისა დღეთა შინა მყოფნი და ხუცესნი და დიაკონნი ჰმსახურებდიან, ვითარცა მიხუდებინ, და სხუაჲ *მოცალე* ერი" (ცხ. იოვ. და ეფთ. 38,1)[1]. აქ „მოცალე" ნიშნავს *მოცლილს*[2].

„აწ კმა არს, წარედ, და ჟამსა *მოცალესა* მოგიწოდო შენ" (საქ. მოც. 24,25)[3]. აქ „მოცალე" ნიშნავს *თავისუფალს*.

მაშასადამე, ძველ ქართულში „მოცალე"-ს მნიშვნელობაა: 1) მოცლილი; 2) ცარიელი; 3) თავისუფალი.

ძველ ქართულში „მოცალების" პირიელი ფორმებიც არაა იშვიათი:

„დღეს კეთილისა საქმედ *მომიცალებიეს* და სინანულად მიწყიეს" (მამ. სწავ. 257,29)[4].

„რამეთუ ხედვიდეს ღირსნი იგი ბერნი, რომელ მიზეზითა მრავალფერითა ზრუნვათაჲთა დაეხრწეოდა თარგმანებისაგან წმიდათა წერილთაჲსა, და ესრეთ *მოიცალა* (ეფთჳმე) და თჳსსა სენაკსა დაჯდა" (ცხ. იოვ. და ეფთ. 47,22).

„მოელოდიან სარგებელსა, ვითარცა საზრდელსა მწიფესა, რაჲთა *უცალოთა* მათ საქმეთა შინა სოფლისათა *მოიცალონ*" (ექ. დღ. 52,22)[5].

„ვითარ მსგავს არიან თუალნი ბუვისანი თუალთა მათთა, რომელთა-იგი *მოუცალებიეს* ამაოჲსა ფილოსოფოსობისათჳს" (ექ. დღ. 118,24).

„ხოლო ვიდრე მოიწეოდეს მოციქულნი ვახტანგ მეფისანი, წარსულ იყო

---

[1] გ. *მთაწმიდელი*, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. *ჯავახიშვილმა*, გამოსცა ა. *შანიძემ*, თბილისი, 1946.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. *აბულაძემ*, თბ., 1949.

[4] მამათა სწავლანი, X—XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. *აბულაძემ*, თბ., 1955.

[5] უძველესი რედაქციები ვასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს", X—XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. *აბულაძემ*, 1964.

კეისარი ქუეყანით Ⴞაზარეთით კერძო, რომლისაგან ვერ *მოიცალებდა* მოსლვად Ⴕართლად" (Ⴟუანშ. 179,17)[1].

Ⴑირიელ ფორმებზე უფრო ხშირად ძველ ქართულში საწყისის ფორმით გვხვდება „მოცალება": „Ⴄშმაკი დგას და განსცდის გულთა თქუენთა, რათა ჰპოვოს *მოცალებაჲ* და დასთესოს თესლი თჳსი თქუენ შორის და მზაკუვარებაჲ უკეთურებისა თჳსისაჲ" (Ⴜარტყ. 34,19: T.P., IX, 1909).

„Ⴐომელნი კულა ანუ *მოცალებით* იყვნიან ანუ სუბუქთა სამსახურებელთა გინა თუ ხუცესნი გინა თუ დიაკონნი გინა თუ მქამობელნი, უკუეთუ ჭაჭუკნი იყვნიან, ასი მუჴლი მოადრეკიის" (Ⴚხ. Ⴈოვ. და Ⴄფთ. 34,22).

„Ⴋოცალებაჲ და უქმობაჲ თჳნიერ შიშისა ღმრთისა ბოროტისა მოძღუარ ექმნების უცებთა და უმანკოთა" (Ⴄქ. დღ. 102,29).

„Ⴘენ, ჩანა, უკეთუ გეცესლა *მოცალება*, ცხოვრებისა ჩემისა შემდგომად განყავ სამეფო განძი ორად, და მიიღე სამარხავს ჩინოსა, განმანათლებელისა ჩუენისასა, ქამთა შეცვალებისათჳს, რათა არა შეირყიოს უკუნისამდე" (Ⴆ. Ⴋროვ. 129,13)[2].

Ⴈოდასაფი მეფობას Ⴁარაქიას გადასცემს და უდაბნოში წასვლის წინ დიდებულებს მიმართავს: ჩემი მოღვაწეობა დამისრულებია და აწი მოსვენება მინდაო: „Ⴑრბაჲ ჩემი აღმისრულებიეს და აწ *მოცალებაჲ* ჯერ-არს ჩემდა" (Ⴁალავ. 159,23)[3]. Ⴀქ „მოცალება" ნიშნავს დასვენებას, მოსვენებას, როგორც ეს აღნიშნული აქვს Ⴈლ. *Ⴀბულაძეს*[4].

Ⴘეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „მოცალება" სიტყვის ხმარების შემთხვევათა უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 90 პროცენტი) იმას ადასტურებს, რომ ამ სიტყვის *ძირითადი* მნიშვნელობა ძველ ქართულში არის *მოცლა*. Ⴋაგრამ ძველ ქართულშივე ამ სიტყვას სემანტიკური გადახრით სხვა მნიშვნელობაც შეუძენია, ესაა: *სიმშვიდე*, *მოსვენება*, *აუჩქარებლობა*, *სიდინჯე*. Ⴋოგვყავს მაგალითები:

1) Ⴄფრემ Ⴀსურის ერთ-ერთი ეგზეგეტიკური თხზულების ქართულ თარგმანში გადმოცემულია ბიბლიური სიუჟეტი Ⴈოსების შესახებ: Ⴈოსები, რომელიც განსაკუთრებით უყვარდა მამას — Ⴈაკობს, შურიანმა ძმებმა მიჰყიდეს ეგვიპტელ ვაჭარს. Ⴈოსები ძალზე მშვენიერიც იყო და გონიერიც. Ⴅაჭარმა მას მთელი მამულისა და ქონების მოვლა-პატრონობა ჩააბარა, თვითონ კი სავაჭროდ დადიოდა შორეულ ქვეყნებში. Ⴅაჭრის ცოლს მოეწონა ლამაზი Ⴈოსები და დააპირა მასთან სამიჯნურო ქსელის გაბმა, მაგრამ Ⴈოსები მტკიცე უარს უცხადებს ვნება-აშლილ ქალს: ჩემმა ბატონმა, შენმა ქმარმა, მე მთელი მამული და ქონება ჩამაბარა, მაგრამ შენი თავი კი არ მოუცია, შენ მას ეკუთვნი, მე ვერ ვიზამ სულის წარსაწყმედ საქმესო. Ⴈოსები მძიმე განსაცდლის წინ მოუხმობს მამას, Ⴈაკობს: ილოცე ჩემთვის, ღმერთს შესთხოვე „Ⴐაჲთა განვერე მჴეცისა ამისგან, რომელსა ჰნებავს განრყუნაჲ შვილისა შენისაჲ, რამეთუ არა აქუს *მოცალებაჲ* ურცხჳ-

---

[1] Ⴕართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. *Ⴗაუხჩიშვილის* მიერ, ტ. I, Ⴇბილისი, 1955.

[2] Ⴈქვე.

[3] Ⴁალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო Ⴈლ. *Ⴀბულაძემ*, 1957.

[4] Ⴈქვე, გვ. 197.

ნოსა ამას დედაკაცსა, არცაღა კუალად შიში ღმრთისაჲ“ (Ეფრემ Ასური, Იოსებისთჳს, 66,38)[1].

Მოყვანილი ადგილიდან აშკარაა, რომ „მოცალება“ აქ მოცლას არ ნიშნავს, რადგან თხზულებიდან ცხადად ჩანს, რომ ვაჭრის ცოლს „მოცალება“, მოცლა დიახაც ჰქონდა, იგი მარტო იყო სახლში და გულდაგულ ცდილობდა Იოსების გადაბირებას. Კონტექსტის მიხედვით აქ „მოცალება“ უნდა ნიშნავდეს სიმშვიდეს, მოსვენებას. Იოსები ამბობს: ამ ურცხვინო დედაკაცს მ ო ს ვ ე ნ ე ბ ა არა აქვს და არც ღმრთის შიშიო. Მართლაც, მოსვენება და სიმშვიდე ჰქონდა დაკარგული ვაჭრის ცოლს. Სამწუხაროდ, ამ თხზულების ბერძნული დედანი არ გვქონდა ხელთ, რომ გადაჭრით გვეთქვა, რა მნიშვნელობის ბერძნული სიტყვა გადმოიღო ქართველმა მთარგმნელმა „მოცალება“ სიტყვით. Რუსული თარგმანი კი ტექსტუალურად განსხვავებული აღმოჩნდა ქართულისაგან. „...чтобъ избавиться мне от этого зверя, который хочет растлить сына твоего, не имеет стыда в очах, а также и страха Божия в сердце“[2]. Რუსული „не и м е е т с т ы д а в о ч а х“-ის ფარდად ქართულში „ურცხჳნოსა“ გვაქვს, ხოლო „მოცალება“-ს შესატყვისად რუსულ თარგმანში არაფერია.

2) Ეპიფანე Კჳპრელს თხზულებაში „Თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ“ Ფსალმუნიდან მოჰყავს ერთი ადგილი: „Იყოს იგი ვითარცა ხჱ, დანერგული თანა-წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცეს ხილი მისი ჟამსა თჳსსა და ფურცელი მისი არა დასცჳვეს; ყოველივე რაჲცა ყოს, და წარემართენ მას“ (Ფს. 1,3). Ეპიფანე განმარტავს: ადამიანის სულს რწყავს ღმერთი. Წყალი კი Ქრისტემ თავის მოძღვრებას უწოდა: „Რომელთა გწყუროდის, მოვედინ ჩემდა და სუთ“ (Იოვ. 7,37). Ასევე ეუბნება უფალი სამარიტელ დედაკაცს: „Რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, კუალად სწყუროდისვე, ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არღარა სწყუროდის უკუნისამდე“ (Იოვ. 4,13). Ამასვე ამბობს უფალი Ესაია წინასწარმეტყველის პირით: „Მე ვსცე წყალი წყურიელთა და რომელნი ვლენან ურწყულსა“ (Შდრ. Ესაია 44,3); „Ხოლო აწ მსგავსად ამის სახისა ნეტარი Დავით, რომელი საღმრთოთა წერილთა მ ო ც ა ლ ე ბ ი თ მიეწიფა ხედ დანერგულად, ნაყოფის გამომღებელად სახელ სდვა თანა-წარსადინელსა წყალთასა...“ (155,17)[3].

Ზემოთ დამოწმებული ადგილიდან ჩანს, რომ Ეპიფანეს Ფსალმუნის ერთი ადგილის განსამარტავად მოჰყავს მსგავსი (პარალელური) ადგილები ახალი აღთქმიდან (Იოვ. 7,33; 4,13) და ძველი აღთქმიდანაც (Ესაია 44,3) და დასძენს: როგორც ეს ავტორები (Იოვანე, Ესაია) ამბობდნენ უფლის პირით, მათ მსგავსად ამბობს ნეტარი Დავითიც, რომელიც საღმრთო წიგნებს „მ ო ც ა ლ ე ბ ი თ მიეწიფაო“, ე. ი. Დავითი საღმრთო წიგნებს ა უ ჩ ქ ა რ ე ბ ლ ა დ, მ შ ვ ი დ ა დ, დ ი ნ ჯ ა დ დაეუფლაო. Პროფ. Ილ. Ა ბ უ ლ ა ძ ე ს „მოცალება“ განმარტებული აქვს დამოწმების გარეშე, როგორც მ ო ც ლ ა, და მის სომხურ შესატყვისად მოჰყავს *պարապել*[4]. Ვფიქრობთ, ასეთი განმარტება საერთოდ სწო-

[1] Საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა პროფ. Ივ. Ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, 1966.

[2] Творения святого отца Ефрема Сирина, ч. II, издание пятое, 1908, გვ. 39.

[3] Ილ. Ა ბ უ ლ ა ძ ე, Ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გამოკვლევა და ტექსტები, Თბილისი, 1944.

[4] Ილ. Ა ბ უ ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

რია, მაგრამ სხვაგვარი ახსნაცაა დასაშვები დასახელებული ადგილისათვის, რადგან მ ო ც ლ ა, რეალურად უსაქმოდ ყოფნაა, იოანე არ იტყოდა, რომ დავითი საღმრთო წიგნებს მოცლით (მოცლილობის დროს) დაეუფლაო.

ქართული „მოცალებით მიეწიფა" ზუსტად გადმოსცემს სომხური ტექსტის ამ ადგილს *պարապեալ ժամանիցեն*. მართალია, სომხური *պարապել* მ ო ც ლ ა ს ნიშნავს, მაგრამ მას სხვა მნიშვნელობაც აქვს, იგი აღნიშნავს: ს ი ბ ე ჯ ი თ ე ს, გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე ბ ა ს, რაც სწორედ კონტექსტს შეეფერება. ა. ხ უ დ ა ბ ა-შ ი ა ნ ი ს განმარტებით, *պարապիլ (իմ, պիցայ)* гл. возв. Отделяться от работы, быть порожным, праздным; з а н и м а т ь с я, у п р а ж н я т ь с я, п р и л е-ж а т ь, в д а в а т ь с я, п р и с т а т ь, п р и с т р а с т и т ь с я[1].

ჩვენ გვგონია, სადავო იყოს, რომ „მ ო ც ა ლ ე ბ ი თ მ ი ე წ ი ფ ა" კონტექსტის მიხედვით რეალურად ნიშნავდეს: მ შ ვ ი დ ა დ, დ ი ნ ჯ ა დ, გ უ ლ-მ ო დ გ ი ნ ე დ დ ა ე უ ფ ლ ა. მაგრამ სადავო შეიძლება იყოს შემდეგი: სომხური *պարապել* რომელი მნიშვნელობით გაიგო ქართველმა მთარგმნელმა, „მოცლის" თუ „სიდინჯის, გულმოდგინეობის"? იქნებ მან სომხური სიტყვა მოცლის მნიშვნელობით გაიგო და გადმოიღო „მოცალება" სიტყვით, ასე ვთქვათ, შეუსაბამობა დაუშვა თარგმანში. დიახ, ეს შეუძლებელი არაა. მაგრამ ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ძველ ქართულში „მოცალებას" მოცლასთან ერთად არ ჰქონდეს სხვა მნიშვნელობა, სემანტიკური გადახრით მიღებული: მ ო ც ა ლ ე ბ ა 1) მოცლა, თავისუფალი დროის ქონება; 2) თავისუფლება, სიმშვიდე, მოსვენება; 3) აუჩქარებლობა, სიბეჯითე, გულმოდგინება. ასეთი მნიშვნელობები აქვთ ქართულ თარგმნებში ნახმარ „მოცალების" ფარდ სიტყვებს სომხურსა და ბერძნულში და რატომ გამოვრიცხოთ ეს მნიშვნელობანი ქართული „მოცალებისათვის"? ვნახოთ სხვა მაგალითებიც.

3) გიორგი მონაზვნის „ქრონოღრაფის" ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ამბროსი ვიდრე-მე საზრდელისა მისისა და მალემწერალთაჲსა ქარტათა და სხუათა წარსაგებელთა მათთა მზრუნველ იყო, ხოლო ორიგენი მღჳძარებასა შინა და მოქალაქობასა კნინღა და უჴორცობასა და ფრიადსა მ ო ც ა ლ ე ბ ა ს ა საღმრთოჲსა წერილისა გამოძიებასა შინა გულს-მოდგინებით მოღუაწე იყო" (237,8)[2].

შდრ. ბერძნ. ...τοῦ δὲ Ὠριγένους ἔν τε ἀγρυπνίαις καὶ πολιτείᾳ ὑπερβαλλούσῃ καὶ σχολῇ μεγίστῃ τὸν περὶ τῆς Γραφῆς διανύοντος χάρματον[3]...

აქ ლაპარაკია, რომ ამბროსი სურსათზე („საზრდელზე"), ქაღალდზე („ქარტაზე") და სხვა საჭირო ნივთებზე („წარსაგებელზე") ზრუნავდა, ხოლო ორიგენი კი ღამე უძილობისას („მღჳძარებისას"), ცოტათი საზოგადოებრივი საქმიანობისას („მოქალაქობისას") და მიწიერი, ხორციელი ზრუნვისაგან თავისუფლებისას („უჴორცობისას") ძალიან დ ი ნ ჯ ა დ, წ ყ ნ ა რ ა დ, უ შ ფ ო თ ვ ე ლ ა დ („მოცალებით") საღმრთო წერილების განმარტებაზე („გამოძიებაზე") გულმოდ-

[1] А. Х у д а б а ш е в, Армяно-русский словарь, II, 1838, Москва, გვ. 329.

[2] გ ი ო რ გ ი მ ო ნ ა ზ ო ნ ი, ქრონოღრაფი, გამოსცა ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა, ტფილისი, 1920.

[3] Patrologiae... ser. Graeca..., ტ. CX, 1904, გვ. 598.

გინედ მუშაობდაო. ქართულ თარგმანში მოსალოდნელი იყო „ფრიადითა მოცალებ[ი]თა“, მაგრამ ბერძნული σχολῇ μεγίστῃ-ის გავლენით გვაქვს „ფრიადსა მოცალებასა“. მთარგმნელს σχολῇ მიცემითი ბრუნვის ფორმად გაუგია, თუმცა მას აქ ინსტრუმენტალისის ფუნქცია აქვს. ქართული „მოცალების“ ფარდი ბერძნ. σχολή „მოცლის“ გარდა ნიშნავს: სიწყნარეს, დასვენებას, აუჩქარებლობას[1]. ამავე ძირის ზედსართავი σχολαῖος ნიშნავს: 1) მოცლილი, გადატ. უშფოთველი, მშვიდი, 2) ჩელი, აუჩქარებელი[2].

4) „ხოლო ვინაჲთგან წინაჲსწარ ჰხედვიდა საწინაჲსწარმეტყუელოჲ სიტყუაჲ საღმრთოჲსა წერილისა გარდაქცეულად მთარგმანებელობასა და სიგლისპესა ჰურიათასა, ვითარცა პირითა წინაჲსწარ მოსწავებულისაჲთა, თქუა მათდა მიმართ, ვითარცა წინაგანმაკჳრვებელმა მათმან ესრეთ: მოიცალეთ და გულისხმაყავთ, ვითარმედ მე ვარ ღმერთი“ (ხრონ. 149,33). უკანასკნელი წინადადების ფარდად ბერძნულში გვაქვს: Σχολάσατε καὶ γνῶτε ὅτι ἐγώ εἰμι ὁ Θεός[3]. ქართული „მოცალება“ სიტყვის ფარდად ბერძნულში σχολάζω ზმნაა, რომელსაც რამდენიმე (შვიდამდე) მნიშვნელობა აქვს[4], ნიშნავს როგორც მოცლას, ასევე თავისუფლად ყოფნას, გათავისუფლებას, დაყოვნებას და ა. შ.

ზემოდასახელებული წინადადება „მოიცალეთ და გულისხმა-ყავთ, ვითარმედ მე ვარ ღმერთი“, ასე უნდა გავიგოთ: ჩუნარად, დინჯად იყავით და გაიგონეთ, შეისმინეთ, რომ მე ვარ ღმერთი.

5) „აჰწუი, ჰრქუა მრავალგზის, ვალენტიანე, მოცალეობას შინა მჴედრობისასა კეთილმსახურთა მეფეთა მიერ წარმართებაჲ ძლევისაჲ და მორჩილად მისსა მიყვანებაჲ წინააღმდგომთა უმჴნოჲსა ბანაკისაჲ“ (ხრონ. 296,27). „მოცალეობასა შინა მჴედრობისასა“ გადმოსცემს ბერძნული ტექსტის შემდეგ ადგილს: ἡσυχάζοντος τοῦ στρατοπέδου[5]. აქ აშკარად ჩანს, რომ მოცალეობა არ უნდა ნიშნავდეს მოცლას, რადგან მის ფარდ ბერძნულ სიტყვას მოცლის მნიშვნელობა საერთოდ არა აქვს; ἡσυχάζω ზმნა ნიშნავს: 1) Оставаться спокойным; 2) жить спокойно; 3) упорно продолжать; 4) прекращаться; 5) отдыхать; 6) молчать; 7) успокаивать[6]. ამასადამე, მოცალეობა აქ უნდა ნიშნავდეს: სიმშვიდეს, სიწყნარეს, მოსვენებას.

6) ჩუუკუე იკითხავ, თუ რაჲ არს განგებაჲ იგი, რომლითა ვერ მივიწევით მყის საწადელსა მას და მი-მცა-ვიცვალენით ცხორებისა ამისგან საჭირველისა, არამედ ცხორებაჲ ესე ჴორციელადი განგრძნდა საზომით განსრულებაჲ ყოვლისაჲ, ვიდრემდის გამოიჴსნეს ამის აღჳრისაგან და მიიწიოს კუალად ცხორებასა მას მოცალებულსა და განსასუენებელსა მშჳდობისა და სიხარულისასა (ჳრ. ჩო-

[1] И. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. II, 1958, გვ. 1595.
[2] იქვე.
[3] Patr. ser. gr. ტ. CX, 1904, გვ. 356.
[4] И. Дворецкий, დასახ. ლექსიკ., გვ. 1594.
[5] Patr. ser. gr. ტ. CX, 1904, გვ. 696.
[6] И. Дворецкий, დასახ. ლექსიკონი, ტ. I, გვ. 762.

სელი, 195,7)[1]. აქ „მოცალებული ცხორება" უნდა ნიშნავდეს თავისუფალ, მშვიდ, მოსვენებულ, უშფოთველ ცხოვრებას, როგორც ეს კონტექსტიდან ჩანს: „ცხორებასა მას მოცალებულსა და განსასუნებელსა მშჳდობისა და სიხარულისასა". ბერძნულ ტექსტში „მოცალებულის" ფარდად გვაქვს ἐλεύθερα[2], რომელიც თავისუფალს ნიშნავს. ილ. აბულაძის განმარტებითაც მოცალებული არის: თავისუფალი, მარჯვე[3].

ზემოთ განხილული მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მოცალება ძველ ქართულში ძირითადად მოცლას აღნიშნავს, მაგრამ ამ პირველი მნიშვნელობიდან სემანტიკური გადახრის გზით მას შეძენილი აქვს მეორეული მნიშვნელობა, ესაა: მოსვენება, სიმშვიდე—აუჩქარებლობა, სიდინჯე, სიბეჯითე, გულმოდგინება. სწორედ ამ მეორეული მნიშვნელობით უნდა იყოს პოემის პროლოგში ეს სიტყვა ნახმარი. დავუკვირდეთ კონტექსტს, სადაც პოეტი ჩამოთვლის იდეალური მიჯნურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს:

„მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა,
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
და ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა".

აქ ჩამოთვლილ თვისებათა უმრავლესობა წმინდა პიროვნულია, ადამიანურია და არა გარემოებით განპირობებული: სილამაზე, სიბრძნე, გულუხვობა, სიყმაწვილე, კეთილგონიერება, გამძლეობა... მიჯნურის პიროვნულ დახასიათებას იძლევა, მაგრამ სიმდიდრე და მოცლა გარემოებაზეა დამოკიდებული და არა პიროვნებაზე. ამდენად, ეს ორი უკანასკნელი თვისება გარკვეულ უხერხულობას ქმნის მიჯნურის დახასიათებისას. გამოდის, რომ მიჯნური მოცლილი უნდა იყოს, ხოლო მოუცლელ, საქმით დაკავებულ კაცს მიჯნურობა არ შესძლებია. არა, რუსთველი ამას არ იტყოდა; არც პოემის იდეალური მიჯნურები — თინათინი და ავთანდილი არიან მოცლილები: ერთი სახელმწიფოს განაგებს, მეორე კიდევ სარდალია, ქვეყნის უშიშროებაზე მზრუნველი. ან როგორ გავიგოთ „მდიდარი"? თუ მას ჩვეულებრივი მნიშვნელობით გავიგებთ, გამოდის რომ ღარიბს მიჯნურობა არ შეუძლია. რუსთველი ამ შემთხვევაში ფეოდალური არისტოკრატიის ეთიკის გამომხატველად მოგვევლინება (ეს გასაკვირიც არაა), თუმცა სხვა შემთხვევაში პოეტი თავისი დემოკრატობითა და ჰუმანიზმით გვხიბლავს ჩვენ (გავიხსენოთ: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები, ყენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები". 803,2-3).

როგორი გამართლებაც უნდა მივცეთ „სიმდიდრის" ხმარებას, მას ერთგვარი დისჰარმონია შეაქვს მიჯნურობის კოდექსში, „მიჯნურთ ზნეობაში". ამ

[1] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს" X—XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

[2] Patr. ser. gr., ტ. XLIV, 1863, გვ. 204.

[3] უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა"... გვ. 247.

შეუსაბამობას ადგილი არ ექნება, თუ „სიმდიდრის“ ნაცვლად ტექსტში დატოვებული იქნება „სიმდაბლე“, როგორც ეს ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაშია. პ. ინგოროყვა პოემის 1953 წლის გამოცემაზე დართულ გასწორებებსა და შენიშვნებში აღნიშნავს: „სიმდიდრე“ მცდარი წაკითხვაა და გასწორდა „სიმდაბლე“ სიტყვით (ასევეა ხელნაწერებშიო). გამომცემლის აზრით, მცდარი წაკითხვა „სიმდიდრე“ სრულიად ცვლის მიჯნურობის კოდექსის შინაარსს. პოეტის სწავლით, „სიმდაბლე“ არის ერთი მთავარი ღირსებათაგანი პოემის გმირთა, შდრ. შესავლის „სიბრძნე, სიმდაბლე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა“... და როსტევანის დახასიათება: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი“...[1]

უთუოდ საყურადღებოა ინგოროყვას შენიშვნა, რომ „სიმდიდრის“ ხმარება სრულიად ცვლის მიჯნურობის კოდექსის შინაარსსო. ოღონდ რატომღაც მკვლევარს არ აღუნიშნავს, რომ ზემოხსენებული გასწორება მანამდე იუსტ. აბულაძემ გაატარა თავის ორივე გამოცემაში.

როგორც აღვნიშნეთ, პროლოგში ნახმარი „მოცალეობა“ მოცლას არ უნდა ნიშნავდეს. ამ დაშვებას ვერ გამორიცხავს ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა პოემაში სხვაგან ამ მნიშვნელობით არსად დასტურდება. ცლა // მოცლა // მოცალება ფუძის პირიელი ფორმები პოემაში მხოლოდ პირველადი („მოცლის“) მნიშვნელობით იხმარება. მხოლოდ ერთი საეჭვო ადგილია პოემაში, სადაც „მოცალება“ პირველთან ერთად მეორე მნიშვნელობასაც იგუებს, ეს ადგილი პროლოგიდანაა და მიჯნურობასვე ეხება:

„თუ მოყვარე მოყვრისათვის ტირს, ტირილსა ემართლების,
სიარული, მარტოობა ჰშვენის, გაჭრა-ლ დაეთვლების;
იგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების“ (31,1-3).

პოეტი ამბობს, რომ მიჯნურისათვის შეუფერებელი არ არის ტირილი, მარტოობა, ველად გაჭრა, მაგრამ სადაც უნდა იყოს იგი, საყვარელს ყოველთვის უნდა „იგონებდეს, მისგან...“ ნურაოდეს მოეცლების, ე. ი. მისგან (საყვარლისაგან) ნურასდროს ექნება მოცლა, ან: ნუ ექნება მოსვენება, სიმშვიდე, ე. ი. სულ მასზე უნდა ფიქრობდესო.

პოეტი პროლოგში „მოცალეობას“ სიყმესთან ხმარობს: „სიყმე და მოცალეობა“, ე. ი. მიჯნური ახალგაზრდა უნდა იყოს და თან მშვიდი, აუჩქარებელი, დინჯი. იქნებ სიმშვიდე, აუჩქარებლობა, სიდინჯე არ შეეფერება რუსთველურ მიჯნურს? აკი გვეუბნება პოეტი: „მიჯნური შმაგსა ჴვიქვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“ (22,1-2). რა თქმა უნდა, პოეტი აქ მიჯნურობის საკუთარ გაგებას კი არ იძლევა, არამედ საერთო გაგებას. რუსთველის პოემის მიჯნურები სიშმაგემდე როდი მიდიან. მიჯნურობისაგან გაშმაგება და გონება-მიხდილობა სპარსული სატრფიალო ხასიათის თხზულებათა პერსონაჟებს ახასიათებს, ხოლო რუსთველი მიჯნურობის საკუთარ გაგებას იძლევა: ავთანდილი, თინათინი, ნესტანი და თვით სევგამწარებული ტარიელიც კი თავდაჭერილი, აუჩქარებელი,

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, პაველ ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, 1953, გვ. 417, სქ. 2.

დინჯი მიჯნურები არიან. ეს კარგად ჩანს ამ გმირთა მოქმედებიდანაც და სიტყვებიდანაც:

1) „...ღონიერი ხამს აროდეს არ *აჩქარდეს*, რაცა სჯობდეს, მოაგვაროს, საწუთროსა *დაუწყნარდეს*" (539,1-2). ასე არიგებს ნესტანი ტარიელს სასიძოს მოკვლის წინ.

2) „ხამს თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,
არ სიწყნარე გონებისა *მოიძულოს*, მოიძაგოს" (215,3—1).

ასე ფიქრობს გზად მიმავალი ავთანდილი უცხო მოყმესთან შეხვედრის წინ.

3) „თქმულა: *სიწყნარე* გმობილი *სჯობს სიჩქარესა* ქებულსა" (1344,4).

ასე ამბობს ავთანდილი, რომელმაც იჩქარა და ტარიელს მოულოდნელად ანახვა ნესტანის მიერ გამოგზავნილი რიდის ნაჭერი. ტარიელმა ცნობა დაკარგა, ავთანდილი ტირის და ნანობს, რომ იჩქარა.

მაშასადამე, რუსთველი თავისი საყვარელი გმირების ერთ-ერთ დადებით თვისებად თავდაჭერილობას, სიმშვიდეს, სიდინჯეს მიიჩნევს.

თუ 23-ე სტროფში „სიმდაბლეს" წავიკითხავთ „სიმდიდრის" ნაცვლად და „მოცალეობას" არა ძირითადი, არამედ მეორეული მნიშვნელობით გავიგებთ, მიჯნურის რუსთველური დახასიათება უნაკლო, უზადო და იდეალური იქნება: მიჯნურს უნდა ახასიათებდეს: სილამაზე („მზეობა"), სიბრძნე, თავმდაბლობა („სიმდაბლე"), გულუხვობა („სიუხვე"), ახალგაზრდული ასაკი („სიყმე") და *სიმშვიდე, აუჩქარებლობა, სიდინჯე* („მოცალეობა"), მჭევრმეტყველება („ენა"), კეთილგონიერება („გონება"), გამძლეობა („დათმობა") და ძლევამოსილება („მძლეობა").

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება ადამიანის *პიროვნული ღირსების* გამომხატველია და ასეთი დადებითი თვისებებით შემკული მიჯნურის დახასიათება „სიმდიდრითა" და „მოცლილობით", არა გვგონია, რამე ღირსებას ჰმატებდეს რუსთველურ „მიჯნურთ ზნეობას".

P.S. შრომა დასაბეჭდად იყო გადაცემული, როცა გამოქვეყნდა ფილოლ. მეცნ. დოქტორის გ. *იმედაშვილის* საინტერესო გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის „მოცალეობა" (შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, საქ. მეცნ. აკადემიის გამოცემა, 1966, გვ. 290—295), ამიტომ ვერ შევძელით მისი სათანადოდ გამოყენება და დამოწმება.

Ⴅარლამ Ⴃონდუა

Ⴇამარის დროის „Ⴄრმიონთასა"

Ⴋწიგნობრობის ესოდენ დიდი ტრადიციების მქონე საქართველოში ტექსტების თ ა რ გ მ ა ნ ი ს, მაშასადამე, ახსნა-კომენტირების საქმე იმთავითვე განუზომელი ზრუნვის, დაუცხრომელი შრომა-რუდუნების საპატიო საგანი გამხდარა, რადგან ჯეროვნად იყო შეფასებული თ ა რ გ მ ა ნ ი ს „ძალი" და მნიშვნელობა. Ⴂიორგი Ⴋთაწმიდლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმწერელს, Ⴂიორგი Ⴞუცეს-მონაზონს (XI ს.) თავის ნაშრომში შემთხვევით არ აქვს (ცოტა თავისებურად) ციტირებული Ⴎავლეს[1] სიტყვები: „Ⴍჳკეთუ თარგმანი (ე. ი. ამხსნელი.— Ⴅ. Ⴃ.) არა იყოს, მკითხველი დუმენ"[2].

Ⴄს აფორისტული გამონათქვამი ჩვენ მიერ აქ განსამარტებელი კერძო საკითხის სიძნელემ მოგვაგონა. Ⴀმ საკითხის გადაწყვეტის გარეშე მკითხველს უსიამოვნო „დუმილი" ეუფლება.

Ⴇამარ Ⴋეფის „მეორე" ისტორიკოსს, Ⴁასილი Ⴄზოსმოძღვარს, იმდროინდელი საქართველოს ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე ძმები—Ⴆაქარია და Ⴈვანე Ⴋხარგრძელები შედარებული ჰყავს ჩვენ დამაინტერესებელ „Ⴄრმიონებთან".

Ⴁასილის სათანადო საისტორიო ნაშრომის ფურცლებზე Ⴆაქარია და Ⴈვანე ერთ შემთხვევაში მკითხველის წინაშე ჩნდებიან Ⴘამქორის ომის (1195 წ.) ძლევამოსილ დასრულებასთან დაკავშირებით, სახელდობრ როცა ომიდან უკუქცეული ლაშქარი Ⴒფილისის ირგვლივ, მის მისადგომებზე გაიშალა. Ⴀლაფით დატვირთული ჯორ-აქლემი, დაკაზმული ცხენები ჩარიგებული იყვნენ „ველსა Ⴃიდუბისასა Ⴀვჭალამდე". Ⴜესის თანახმად, აქ, ქალაქში შესვლამდე, ნადავლის ერთი მეხუთედი („ფანჯიაკი") ჰბარდებოდათ ხელისუფალთ. Ⴙაომარი რაზმები, ტიტულოვანი ტყვეები (ამირები), „ყოველნი იგი თავნი Ⴑპარსეთისანი" თავ-თავიანთი დროშე-

---

[1] Ⴈგულისხმება: 1 Ⴉორინთ. 14—28.

[2] „Ⴀთონის Ⴈვერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი ალაპეშით", გვ. 341, Ⴇბ., 1901.

მით, საალლუმო ცერემონიალის შესაბამისად განლაგებულნი „კარითგან ქალაქისათა ჯევამდე ღლდანისა," ელოდნენ საქართველოს მეფეთ-მეფის, გაღმერთებული თამარის ქალაქიდან გამობრძანებას, რასაც მოჰყვებოდა საზეიმო შეხვედრა და ზარ-ზეიმი, თაყვანების და რეკომენდაციების ცერემონია და ა. შ.[1]

რამდენადაც ყველა აღნიშნულის ხელმძღვანელობა ათაბაგს (ივანეს) და ამირსპასალარს (ზაქარიას) ეკუთვნოდათ, რადგან სწორედ ისინი არიგებდნენ საქმეს, ბუნებრივია, რომ ჩვენი ისტორიკოსი, თბილისის ბჭეებთან ძლევამოსილი ძმების „გამომყვანი", მათ სახელებს უბრალოდ არ ახსენებს. სათანადო ადგილას ჩვენ ვკითხულობთ:

„რამდჯლევ *ერმიონთასა* უსახელოვანესთა მათ კაცთა, ზაქარია და ივანე, აიღეს ფანჯიაკი სამეფოდ" და სხვ. (ბასილი, 22, 8—9).

ამით, პირველ ყოვლისა, ეუწყება მკითხველს, რომ მხარგრძელთა განსადიდებლად და შესადარებლად *ერმიონის* სახელია გამოყენებული.

წინამდებარე წერილში უნდა გაირკვეს ვინაობა ამ *ერმიონისა*, რომლის სახელისაგან ნაწარმოებია აღნიშნული „ერმიონთასა" (მრავლობითი რიცხვის ირიბი ბრუნვა), და აგრეთვე ისიც, თუ როგორ არაწესიერად ჩანს სპეციალურ ლიტერატურაში გაგებული ეს „ერმიონთასა" რეალურ-ისტორიულადაც და გრამატიკულადაც.

პეტერბურგელმა აკადემიკოსმა ბროსემ, „ქართლის ცხოვრების" ტექსტების ფრანგულად თარგმნისას, სათანადო სქოლიოში გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ იგულისხმება ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთი *ჰერმიონე*—სპარტელი მეფის *მენელაოსის* ასული. უთუოდ „ჰერმიონთასა" სიტყვის *მრავლობითობის* გასააზრებლად ბროსეს დასჭირდნენ „შვილები", ჰერმიონეს „შვილები", რათა გასარკვევი ადგილი წაკითხულიყო ასე: მხარგრძელები იყვნენ *ჰერმიონეს შვილთა* („ჰერმიონთასა"!) უსახელოვანესნი. ბროსეს, მისივე განმარტებით, ხელს უშლის ჰერმიონეს უშვილობა და ეს აეჭვებს. სწორად მიაგნო განა ჰერმიონე ქალღმერთს? აი ბროსეს სიტყვები: „*Hermione*,... n'ayant pas eu de fils, je ne sais si j'ai bien restitué ce nom propre, mais je ne vois pas l'explication du fait"[2]. ხოლო თამარის ისტორიკოსის მიერ გამოყენებული შედარება რომ აუხსნელი არ დარჩენილიყო, ბროსემ სხვა, ნებისმიერ, ვარაუდს მიჰმართა: იქნებ ისტორიკოსს ეწადა არა ჰერმიონე, არამედ სხვა ქალღმერთი—ლედა და მისი შვილები, კასტორი და პოლუქსი დაესახელებინაო[3]. პროფესორმა *სიმონ ყაუხჩიშვილმა* ამაზე სამართლიანად შენიშნა, რომ „ამისათვის არავითარი საფუძველი არააო"[4]. ამრიგად, სიტყვა აუხსნელი დარჩა.

გარდა იმისა, რომ კრიტიკას ვერ უძლებს *ბროსეს* პირველი ცდა—განსამარტებელი ადგილი თამარის ისტორიისა აგვიხსნას *ქალღმერთის* სახელის

---

[1] *ბასილი ეზოსმოძღვარი*, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, გამოცემა ივანე ჯავახიშვილისა, გვ. 22; თბილისი, 1944.

[2] Histoire de la Géorgie. Traduite du géorgien. 1-re partie, 2-me livraison, p. 446, n. 1., SPb., 1850.

[3] იქვე.

[4] ქართლის ცხოვრება, ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. *ყაუხჩიშვილის* მიერ, ტ. II, თბ., 1959, საკუთარ სახელთა საძიებელი, გვ. 653; სახელთან—*ერმიონი*.

უთუოდ ნაძალადევი გამოყენებით, დასახელებული მეცნიერის თარგმანს შემდეგი შენიშვნაც უნდა გაუკეთდეს. ბროსეს თარგმანში, თვით ტექსტში, ჩვენთვის საინტერესო ადგილი („...ჰერმიონთასა უსახელოვანესთა მათ კაცთა" და სხვ.) ასე იკითხება: „Zakaria et Iwané, ces deux hommes plus célèbres que le fils d'Hermione, ayant pris le quint pour la reine..." etc. (Hist. de la Géorgie, I, Traduction, p. 446).

მაგრამ არ ჩანს, რატომ გაიაზრა ბროსემ დედნის „ერმიონთასა" („ერმიონთასა უსახელოვანესთა...") როგორც მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი სიტყვისათვის „ძისა" და დასახა შედარება, რომელსაც ჩვენ ასეთი წინადადებით გამოვთქვამდით: „ძისა ერმიონთა(ჲ)-სა უსახელოვანესთა მათ კაცთა..."

შეიძლება ვიკითხოთ, თუ რატომ „ძისა" და, ვთქვათ, არა „ძეთა", ან „ჩამომავალთა" („ერმიონიდთა")? ამას გარდა, დედნის „ერმიონთასა" მოცემულ კონტექსტში სრულებით არ წარმოადგენს ისეთ გრამატიკულ მსაზღვრელს, რომელიც გვავარაუდებინებდა წინმავალ საზღვრულს მსგავსად მაგალითისა: „გულისა(გან) კაცთაჲსა" (მარკ. 7,21). ჩვენი „ჰერმიონთასა უსახელოვანესთა" ასახავს სულ სხვა სინტაქსურ ურთიერთობას, რომლის ნიმუშს გამოხატავს მაგალითი: „წარავლინნა სხუანი მონანი, უ მ რ ა ვ ლ ე ს ნ ი პ ი რ ვ ე ლ თ ა ს ა" (მათ. 21,36), „ყორანთასა—მლიქნელნი—უბოროტეს არიან" და სხვ. მოიპოვება პარალელურად ნახმარი წესიც შედარებისა: „უფროჲს მწიგნობართა და ფარისეველთა" და „უფროჲს მწიგნობართასა და ფარისეველთასა" (მათ. 5,20.—„ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია", გამოსცა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე მ; თბ., 1945).

თამარის ისტორიკოსის მაგალითში იქნებ ერთგვარ ასიმილაციის წესთან გვაქვს საქმე: „ერმიონთასა (და არა სავარაუდებელი ერმიონისსა!) უსახელოვანესთა მათ კაცთა..."

ყველა თქმულის შემდეგ ჯერ არს წარმოვადგინოთ ჩვენი მოსაზრება, თუ როგორ უნდა აიხსნას განსამარტებელი „ერმ იონთასა".

საერთოდ, თამარის ისტორიკოსები ზაქარია-ივანესთვის არ იშურებენ სადიდებელ ეპითეტებს, თუ სხვა მსაზღვრელებს. მაგალითად: „ზაქარია და ივანე, კაცნი ბრძენნი, მჴნენი, ბრძოლათა შინა გამოცდილნი და გუარეულადცა ერთგულნი მეფეთანი, ამისთუის დიდად შეყუარებულნი თუით თამარის პაპათა და მამათაგანცა" (ბასილი, გვ. 18). სხვაგან მათ ადარებენ „ვეფხთა ფრთოსანთა" („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", გვ. 107,3). ისტორიკოსებს, ბროსეს ვარაუდის არ იყოს, მითოლოგიაშიც შეეძლოთ აეღოთ მხარგრძელთა შესადარებელი მასალა. მაშ, ძებნის გაგრძელება იყო საჭირო. ეს ყველაფერი თავისთავადაც გასაგებია.

მაგრამ ძნელი გახდა ისეთ „ერმიონთა" გინა „ჰერმიონთა" მოპოვება, რომელნიც მხარგრძელთა მისამსგავსებლად გამოგვადგებოდა. მაინცადამაინც, აქ უადგილოდ გვეჩვენება იმაზე სიტყვის გაგრძელება, თუ რა ამაო აღმოჩნდა დიდძალი ლიტერატურის—ენციკლოპედიების, ლექსიკონებისა და სხვა მასალის გადასინჯვა.

ამავე დროს ერთს ფრანგულ, მცირე ზომის, მითოლოგიურ ლექსიკონში, ავტორის მოუხსენებლად გამოცემულში (1777 წ.), აღმოჩნდა ისეთი ჰ ე რ მ ი ო ნ ი ს (Hermion) სახელი, რომელიც, ლექსიკონის განმარტებით, იყო ძ ვ ე ლ გ ე რ მ ა ნ ე ლ თ ა ღ მ ე რ თ ი, და იგივე თითქოს ყოფილა იმ გერმანელთა „ე რ თ ი

მეფეთაგანი". Ⴐადგან ჩვენ ვეძებთ ჩვენს მეომარ Ⴋხარგრძელთა შესადარებელ Ⴠერმიონს, ლექსიკონის განმარტებაში ყურადღება ერთბაშად მიიტაცა შიგ აღნიშნული Ⴠერმიონის „ჯარისკაცობამ",—იგი „ომის კაცად" ჰყოლიათ წარმოდგენილი!—და მისმა სათანადო ატრიბუტებმა: რკინით დაჯავშნულობამ, შუბმა, რომელიც სჭერია მარჯვენა ხელში (მარცხენაში ეპყრა სასწორი), და ფარმა და მასზე გამოყვანილმა ლომის ფიგურამ. Ⴜყაროს იშვიათობის გამო მოვიყვანოთ ტექსტუალურად ჩვენი ლექსიკონის განმარტება: „Hermion. Divinité des anciens Germains, qui avoit été un de leurs Rois. Il étoit représenté en homme de guerre, tout couvert de fer, portant une lance en sa main droite, une balance en sa gauche, et un lion sur son bouclier." (Ⴈხ. Dictionnaire abrégé de la fable ou de la mythologie, pour l'intelligence des poetes, de l'histoire fabuleuse, des tableaux, de statues, de médailles etc. [Paris], MDCCLXXVII, p. 169).

Ⴀი ეს ლექსიკონი იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, თუ რომელი Ⴠერმიონის სახელი (ჩვენთვის აწ მისაწვდომი მასალის მიხედვით) შეიძლება შეესატყვისებოდეს Ⴋხარგრძელთა ერმიონობას. სამწუხაროდ, ჯერ ვერ მიგვიკვლევია ჩვენი მითოლოგიური ლექსიკონის ჩვენების პირველწყაროსთვის. საგულისხმოა, რომ აღნიშნული ფრანგული ლექსიკონის „Ⴠერმიონს" ვერ იცნობენ ვერც Larouss-ი, ვერც Du Cange-ი (XVII ს.), ვერც განმანათლებელი ენციკლოპედისტები...

Ⴋხოლოდ ჩვენთვის სასარგებლო მასალას შეიცავს Ⴌაპოლეონ Ⴊანდეს „Ⴃიდი ლექსიკონი"[1]. Ⴊანდესაც მოეპოვება განმარტება, რომ Hermion-ი იყო „ძველი გერმანელი მეფე, რომელიც, სიკვდილის შემდეგ, იქცა ღმერთად". Ⴊანდეს ლექსიკონის მიხედვით, საგონებელია („Il parait"), რომ Hermion-ი იყო იგივე Ermensul, ou Irmensul (ტ. II, დამატება, გვ. 832, s. v. Hermion). Ⴀმის შესაბამისად ჩვენ ვეცნობით (იმავე ლექსიკონში) მითითებულ Irmin-ს ანუ Irmensul-ს. Ⴟერ ფრჩხილებში ნაჩვენებია, რომ აღნიშნულ სახელში შერწყმულია ორი სიტყვა: irmein და mançule და რომ მისი საქსონური შესატყვისია Irmensoeule. Ⴀმას მოსდევს ახსნა: მითოლოგიაში იგია „სახელი, რომლითაც ძველი საქსონები აღნიშნავდნენ Ⴋარსს". Hermion სახელით აღინიშნებოდა აგრეთვე ანტიკური ქანდაკება, რომელშიც გამოსახული იყო კაცი, შეჭურვილი (armé) ძველი გერმანელების წესზე. Ⴕანდაკება იდგა Ⴔრესბურგში, Ⴅესტფალიის ქალაქში. Ⴛეგლი დააქცია Ⴉარლო Ⴃიდმა (742—814)[2]. Ⴈქნებ სწორედ Ⴔრესბურგის ეს ძეგლია აღწერილი ზემოთ ციტირებულ მითოლოგიური ლექსიკონის „Hermion"-ში. Ⴚალკე Erminsul სახელთანაც აღნიშნულია, რომ ასე იწოდებოდა ომის (მითოლოგიური) ღმერთი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ Ⴅესტფალიაში მცხოვრები საქსონები[3].

Ⴆემოთ მოყვანილ იმ განმარტებას, რომ Ⴠერმიონი იყო გერმანელთა მეფე (მერმე გაღმერთებული), ირიბი გზით ადასტურებს Ⴎლინიუსისა და Ⴒაციტუსის ცნობა, რომ გერმანელთა რამდენიმე ტომი (Suevi, ჰერმუნდურები, Catti

———————

[1] Napoléon Landais, Grand dictionnaire, Tt. I—II, Paris, 1857—1859.

[2] Ⴒ. II, გვ. 96; s. v. Irmin.

[3] Ⴒ. I, დამატება, გვ. 1140.

ან Chatti და Cherusci) სწორედ Ჰერმიონთა (Hermiŏnes) სახელით იყვნენ გაერთიანებული [1].

Რადგან საძიებელი Ჰერმიონის კვალს მივყავართ გერმანული მითოლოგიის სფეროში, ჩვენ შევეცადეთ სათანადო მასალებიც გადაგვესინჯა. Აქ საგანგებო ყურადღებას იპყრობს ჩვენი Ჰ ე რ მ ი ო ნ ი ს (Ირმიონის) შესახები ცნობის სანდოობის მანიშნებელი—გერმანული Ჰ ი რ მ ი ნ სახელი და მის გვერდით დამოწმებული სათანადო ფორმები—Ირმან, Ერმან, Იორმენ, Ერმუნ და სხვ. Ნიშანდობლივია ცნობაც, რომ საქსებს თავიანთი Ი რ მ ა ნ ი ს თ ვ ი ს აღმართული ჰქონიათ საკულტო „სვეტი“ (eine seule თუ eine Seule) და Ირმინის (Ჰირმინის) სახით თაყვანს სცემდნენ „მეომრულად წარმოდგენილ Ვოდანს“ („...in Hirwin einen kriegerisch dargestellten Wodan") [2].

Ჯერჯერობით ეს არის, „Ირმიონთა“ სათავეების ძიებაში რომ ვეწიეთ.

Შემდგომი დაკვირვების მთავარი ამოცანა მაინც იქნებოდა „Ირმიონთა“ გამავრცელებელი წყაროს ზუსტად დადგენა, ისე როგორც მათი ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოსვლის გზის მიკვლევა.

Ამჟამად მხოლოდ იმ ვარაუდის გამოთქმას თუ შევძლებდით, რომ Თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „Ირმიონების“ გამოჩენის ბუნებრივი გზა საბერძნეთზე უნდა დებულიყო. Ჰერმიონთა სახელი ქართულ მწერლობაში, ასე ვთქვათ, უნდა შემოჰყოლოდა ელინური თუ ელინისტური სამყაროდან მოსულ ისეთ მითოლოგიურ სახელებს, როგორიც იყვნენ ჩვენი მწიგნობრებისთვის ცნობილი Აქილევი, Პელოპი, Პლუტონი [3] და ბევრი სხვა. Ამ მოსაზრებას Ჰერმიონთა ჩვენში საბერძნეთიდან მოვლინების შესახებ უნდა გვიკარნახებდეს თვით ფაქტი ბერძნულ სამყაროში, საერთოდ, Ჰ ე რ მ ი ო ნ სახელის პოპულარობისა. Ჰ ე რ მ ი ო ნ სახელი იქ ჰკუთვნებიათ როგორც ზემოთ მოხსენიებულ ქალღმერთს (Ἑρμιόνη), ისე, Არგოლიდაში, ქალაქს, ისე ოლქს [4] და ა. შ. Ამის ღვთაების Ჰ ე რ მ ი ო ნ სახელის ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოყენების ფაქტიც ბერძნულ კულტურულ წრესთან ქართველთა კავშირმა უნდა აგვიხსნას.



[1] Meyers Konversations-Lexicon, B. 8, S. 695, s. v. Herminŏnen (Hermionen).

[2] J. G r i m m, Deutsche Mythologie, გამოც. 4, ტ. 1, გვ. 292, 293 და სხვ. Gütersloh (1876?).—Ი რ მ ი ნ სახელის ასპირაცია (Ჰირმინ) მიეწერებათ რომაელებს (იგივე, გვ. 291).

[3] Ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (Ცდა ტექსტის აღდგენისა). Აკად. Კ ო რ ნ. Კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით და გამოკვლევით, გვ. 55 და 80. Თბ., 1941.

[4] Древнегреческо-русский словарь. Составил И. Х. Д в о р е ц к и й, т. I, М., 1958, გვ. 665.

ფარნაოზ ერთელიშვილი

რ სონანტი ზმნური ფუძეების ანლაუტში

ზმნური ფუძე ქართულში შეიძლება იწყებოდეს ნებისმიერი თანხმოვნით ჳ-ს გარდა. ანლაუტში გვაქვს სონანტებიც, მაგრამ შედარებით მცირე რაოდენობით მოგვეპოვება ფუძეები, რომლებიც თავკიდურა პოზიციაში სონანტებით დაწყებულ კომპლექსებს შეიცავენ, ან ისეთი წყვილ და სამთანხმოვნიანი ფუძეები, რომლებიც სონანტებით იწყება. განსაკუთრებით ძნელად იგუებენ თავიანთ მომდევნოდ თანხმოვნებს ვ, ლ სონანტები, ხოლო ნ და მ სონანტები, ხსენებულ პოზიციაში, მეტწილად განვითარებულია.

ზმნური ფუძეების თავკიდურა პოზიციაში (თანხმოვნის ან თანხმოვანთა კომპლექსების წინ) რ სონანტიც აგრეთვე მეორეულია, ხმოვნის რედუქციის, მეტათეზისისა თუ სხვა ფონეტიკური სახეცვლილებების შედეგად მიღებული.

რტყ—რატყ: (შეარტყის სარტყელი, იობ. 12,18; შდრ. სარტყელი შეირატყ, ლუკ. 17,8 C), რთხ—რ¦ათხ (მან განირთხა ჴელი, მათ. 12,13; შდრ. განირათხ ჴელი შენი, მათ. 12,13 C), რცხ←რეცხ (რცხ ფუძე ძველი ქართულისათვის იყო ნიშანდობლივი; დაღათუ მრავალ გზის განჴრცხა წყლითა, სწავლ. 43,18; შდრ. რეცხს, ჯგზ VI).

რჩ—შთ (დარჩება, დარჩა, დარჩენილა, ჯგზ III; არა დაშთა შვილი, მათ. 22,25; არა დაშთეს (დაშდეს C) აქა ქვაჲ ქვასა ზედა, მათ. 24,2); რჩ—შუდ „ჰარჩობ“ ისტორიულად მიღებულია ასეთი ფორმისაგან: „ვაშთობ“, ეს კი ამისაგან: ვაშდობ, ვაშუდობ“.[1] შდრ. „შიშუდილი“. ეგი შეიცავს შუდ ძირს, რომლის უ რედუქციის შედეგად მეტათეზისს განიცდის და ვ-დ იწერება, წყვილბაგისმიერ ბგერებთან მეზობლობაში კი სულ იკარგება ძველ ტექსტებში: შეაშდვეს→შეაშთვეს. შუდ-ის ძირობას ამტკიცებს მეგრ. შქვიდ-ა „ხრჩობა“, სვან. ო-შგუდ „დავახრჩვე“, ლაშხ. ლუ-შგუდ „დამხრჩვალი“[2]...

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 412.

[2] ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იკე, I, 1946 წ., გვ. 79.

Ⴄრქუა ზმნაში რ ძირისეული არ ჩანს. Ⴘდრ. სვ. ლი-ქვ-ისგ || ჰ-რ-ქუ-ა[1], აგრეთვე სვ. რჴქუ || ლჴქუ || ხჴქვ[2]. Ⴆოგიერთი მაგალითი, რომლებშიც ჰრქუა ზმნა რ-ს გარეშეც შეიძლება გამოვლინდეს, და ის გარემოება, რომ ჰრქუა თითქოს თქუას-თან მონაცვლეობს ძველ ქართულში, Ⴈვ. Ⴕავთარაძეს იმის დამადასტურებელ ფაქტებად მიაჩნია, რომ რ შეიძლება თავსართი იყოს წარმომავლობით[3]. Ⴋასვე აქვს გამოთქმული მოსაზრება: „ა პრეფიქსი, რომელიც რ თანხმოვანს მოსდევდა ადგილის მიხედვით, მახვილის ძალით ამოღებულია, თავდაპირველი სახე დაცულია სვანურში: რჴქუ || ლჴქუ“[4].

Ⴋიაჩნიათ, რომ რგ (რგავს, ႵႢႦ VI) ძირის (Ⴘდრ. მეგრ. ჭან. რგ, სვან. ლაჯ) საერთო ქართველური სახეობა უნდა ყოფილიყო ლაგ (Ⴘდრ. ქართული ა-ლაგ-ებ-ს, ႵႢႦ I), ხმოვნის რედუქციით→ლგ, სუბსტიტუციით→რგ[5]; რწამ—წამ (რომელთა ვჰრწამ მე, Ⴋათ. 18,6 C; Ⴘდრ. სწამს, ႵႢႦ VIII, რ[6] გარკვევით არ არის ძირეული, თუმცა მისი წარმომავლობა მაინც დასადგენია. Ⴜამ ფუძეს ძველ ქართულში ჰქონდა სხვა, მონათესავე მნიშვნელობებიც...); რჯ←საჯ. „Ⴅამბობთ: ვირჯები, ირჯები („რატომ ირჯები“?), ირჯება და შემდგომი, ე. ი. ისე გამოდის, თითქო თავში ემატებოდეს სა: გავი-სა-რჯ-ე. Ⴀრა, არაფერი არ ემატება. საქმის ვითარება ასეთია: „რჯა“ წარმომდგარია „სჯა“-საგან: ვისჯები→ვირჯები და სხვა. Ⴔუძეა საჯ, რომელიც აღდგება II სერიის მწკრივებში: *გა-ვი-საჯ-ე. Ⴋაგრამ რაკი შეკუმშულ ფორმებში ს ჯ-ს წინ მოექცა და რ-დ იქცა, ეს რ II სერიის მწკრივებშიც გადაჰყვა და მივიღეთ შერეული ფორმა: გავისა-რჯ-ე, სადაც რ ფუძისეული სანის ვარიანტია, შეკუმშული ფორმებიდან შეუკუმშავში გადაყოლილი“[7]; რჭვ←სჭუ (არჭობს, ႵႢႦ I; დაასჭობს (ფშ)—იხ. დაარჭობს, ႵႢႦ III. „ვა-რჭობ, დავარჭვე, არჭვია ისტორიულად მიღებულია ასეთი ფორმისაგან: ვა-სჭვობ, ვა-[მ]სჭუობ, აქედან იყო სამსჭუალი, რაც ლურსმანს ნიშნავდა“);[8] რთავს←სთავ-ს, ამას გარდა, „სვანურის მიხედვით ქართული სთ ძირის პირველადი სრული სახე აღდგება როგორც სეთ, რომელსაც სვანურში კანონზომიერად ლეთ ფორმა შეეფარდება“[9], ზოგ შემთხვევაში რ განვითარებულია: რწყალ←წყალ (გარწყალება—გაწყალება: გული გამირწყალა, ლეჩხ. Ⴀლ.).

Ⴃჩთინ←ჩრთინ (დავეირჩთინება—გლოვას იჩემებს, იჭრტინვის, Საბა;). Ⴠა-ვე-ირჩთინება (თუ შეცდომა კორექტურული ან კალმისა არ არის) იმავე ფუძეს

---

[1] Ⴀრნ. Ⴙიქობავა, Ⴝანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 282—83.

[2] Ⴅ. Ⴇოფურია, სვანური ენა, I. ზმნა, გვ. 254.

[3] Ⴈვ. Ⴕავთარაძე, Ⴠ და რ თავსართები ქართულ ზმნებში: ႧႱႳ შრომები, ტ. XXX/B, 1947, გვ. 448—49.

[4] Ⴈვ. Ⴕავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 278.

[5] Ⴅ. Ⴇოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი...: Ⴋიმომხილველი, I, გვ. 203.; Ⴀრნ. Ⴙიქობავა, Ⴝანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 308; Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, გვ. 118—119.

[6] Ⴅ. Ⴇოფურია მას პრეფიქსად მიიჩნევს: Ⴕართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან; ႤႬႨႫႩႨ-ს Ⴋოამბე, V—VI, გვ. 539.

[7] Ⴀ. Ⴘანიძე, Ⴕართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 560.

[8] Ⴈქვე, გვ. 412.

[9] Ⴇ. Ⴂამყრელიძე, Ⴂ. Ⴋაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, 1965 წ., გვ. 130.

შეიცავს, რასაც იჩრთინების, რომელსაც საბა ასე განმარტავს: იჭრტინების. მაშასადამე, რჩთინ←ჩრთინ რ-ს მეტათეზისის შედეგად, ხოლო ჩრთინ ყრუ ფშვინვიერი ვარიანტია ჭრტინ ფუძისა, რჭინ←ჭირნ (დარჭინვა—დაჭერა, ლეჩხ. ალ.; და-ჭერ-ა || და-ჭერ-ვ-ა || და-ჭირ-ვ-ა, ნარიანი საწყისების ანალოგიით→ *და-ჭირ-ნ-ა, რ-ს მეტათეზისითა და და-ჭირ-ვ-ა-სთან კონტამინაციით→და-რ-ჭინ-ვ-ა); რციქვ || ცირქვ←ციქვ (←ციქუ): სარციქველი || საცირქველი—მოწყალება, გაცემული მათხოვრისათვის ანდა საჩუქარი სათანადო პირებისათვის, მაგ., მეალილოეთათვის, იმერ. Cხად.; შდრ. საციქველი—სამოციქულო, საბა; ვციქუ—ესე არს ვიოხ, გინა ვმოციქულობ, საბა; საციქველი—მეზობლის მიერ მეზობლისათვის მითხოვებული რაიმე აჯადი: ცული, ბარი, წერაქვი, აგრეთვე ქვაბი და მისთ., ქიზიყ. შენთ... Cქ შეიძლებოდა დაგვეშვა რ-ს განვითარება ორსავე შემთხვევაში (რციქვ || ცირქვ), მაგრამ თუ ცირქვ ამოსავალია რციქვ-ისთვის, მაშინ ეს უკანასკნელი რ-ს მეტათეზისის შედეგად არის მიღებული; რთ←თრ[1], (ართობს, +ႢႦ I; ←*რთევ, შდრ.... ამხანაგთა სათრეველად; Ⴅ. ტ. 17,2).

რ̥წუხ←წუხრ: დღეს რომ სახელად გვესმის მარწუხი (მაშისებრი რკინის იარაღი, რომლითაც მჭედლები გახურებულ რკინას იჭერენ; იგივეა, რაც გაზი... +ႢႦ V), წარმოშობით მიმღეობაა: მ-ა-რწუხ-ი და ძველსავე ქართულში გვაქვს: (მარწუხითა აღილის [ნაკუერცხალი], ხიმ. I, 284,28; მარწუხი—ტკეცი მჭედელთა, დასაჭერი გახურებულის რკინისა, ჩუბ. ჩ.), მ-ა-რწუხ-ის ადრინდელი სახე უნდა ყოფილიყო *მ-ა-წუხ-არ[2]→მ-ა-წუხ-რ, წუხ ძირს ძველ ქართულში ჰქონდა ეს მნიშვნელობაც „დახურვა—დახუჭვა“ (დაწუხვა—დახუჭვა, საბა; ჩუბ. Ⴀ... დაწუხნა თუალი იგი მართლიად მხედველი, შთწმ. 339,9; დაგეწუხნეს თუალნი, Ⴄსაია, 29,10), მნიშვნელობისაგან „დახურვა“ განვითარებულია მომიჯნავე მნიშვნელობა, რომელიც დღეს მარწუხ-ში გვაქვს შემონახული.

რ̥ბ←რებ: რბის, +ႢႦ VI; გარბის, +ႢႦ II; დარბის, +ႢႦ III... ფუძე ძველი ქართულიდანვეა ცნობილი: რბიოდა და მოვიდა სიმონ—პეტრესა, Ⴈ. 20,2; აღდგა და სრბით მიეგებვოდა, ლ. 15,20 C; შდრ. რებს (იგივეა, რაც დადის), რება (სიარული, სვლა, +ႢႦ VI): კვლა ბრძანა: მონა თორმეტი შევსხათ ჩვენ თანა მარებლად, Ⴅ. ტ. 70,1; მერმე მივიდე ცოცხალი, სადმე სხვაგან მერებული, Ⴅ. ტ. 188,3; დასარები—შემოსავლელი, დასათვალიერებელი, იმერ. Ⴂაჩ.; არებიებს—ავლებინებს მორება—მოვლა, ლეჩხ. ქართ. დიალ.; შემოსარები გზა окружная дорога, Ⴗერ.... რებ ფუძის ზოგადი მნიშვნელობაა „სიარული“ (რბენაც იგივე სიარულია, მაგრამ (ძალიან) აჩქარებული). საბა წერს: „სიარულიცა მრავალ სახე არიანო“, სლვა ბუდეში შეუტანია ვიდოდა, სეირნობა, ტარება, ტანტალი, ღონღილი... და იქვე მოუქცევია სრბაც: მალიადობასა უხმობენო. მაშასადამე, რბ-ი-ს←*რებ-ი-ს. ხმოვანრედუცირებულ ფუძეს ოდნავ ცვლილი მნიშვნელობა მიჰკედლებია: „და-

[1] +. ზომთაძე, „Ⴅეფხისტყაოსნის“ პროლოგის ერთი სადავო ადგილის („ამხანაგთა სათრეველად“) განმარტებისათვის, საქ. სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მეექვსე რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1965 წ., გვ. 7.

[2] მ-ა-წუხ-არ ფორმისაგან არის აგრეთვე მიღებული მ-წუხ-რ-ი, შე-მ-წუხ-რ-ებ-ა („შეღამება, დაღამება“): უკეთუ მწუხრსა მოვიდენ, Cხრ. 95,3, დაადგერ ჩუენ თანა, რ̃ მწუხრ არს და მიდრეკილ არს დღჱ (მზე C); ზ. 24,29...

დის—დარბის“. სემანტიკური ანალოგიისათვის შდრ. მნიშვნელობის გადახრა ქ ე ც—ფუძეში: მ ო ი ქ ე ც ადგილადვე შენდა, Ⴑწავლ. 108,16; თვალთა წინა გამოვექეც, Ⴅ. ტ. 294,3.

Ⴐ ჯ უ ნ—*ჯ უ რ-ნ: რ ჯ უნ—ფუძე იშვიათად გვხვდება (აღშენდა საქართველო და მ ო ი რ ჯ უ ნ ა, Ⴕართლ. II, 282,9 = „გამდიდრდა, გაძლიერდა“. Ⴋოიარა თავისა ქუეყანა, ყოველგან მ ო ი რ ჯ უ ნ ა და ამაღლდა, Ⴅისრ. 186,36), უფრო გავრცელებულია მისი ვარიანტი რ ჯ მ (←*რ ჯ უ მ), რომელიც უპირატესად ნაზმნარ სახელებში გვხვდება (მ ო რ ჯ მ უ ლ ი, განგებიანი, Ⴅ. ტ. 32,3; მ ო რ ჯ მ ი თ ვზი, მაქვს ზეიმი და ზარები, Ⴅ. ტ. 313,3; მ ო რ ჯ მ უ ლ ი—„შეძლებული, მდიდარი, სახელოვანი, გადატ. კმაყოფილი“. Ⴕართლ. II, 20,5; 341,23..), აქა-იქ იჩენს თავს პირიანი ფორმებიც (მ ო ვ ი რ ჯ ვ ე ნ და მოვივლინე, Ⴅ. ტ. 464,4), მ ო ვ ი რ ჯ ვ ე ნ←მ ო-ვ-ი-რ ჯ უ ე ნ. Ⴐ ჯ უ ე ნ, თავის მხრივ,—*ჯურ-ენ, რ-ს მეტათეზისის შედეგად (*მ ო-ვ-ი-ჯ უ რ-ე ნ), ძირია ჯ უ რ. Ⴝ უ რ-ის მნიშვნელობა ამჟამად დავიწროებულია (იგივეა, რაც ქვევრი; საომარი იარაღი, ႵႤႢႪ VIII), ძველად ის უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა ხმარებულიყო, შდრ. რედუპლიცირებული ძირებისაგან შემდგარი ჯ უ რ ჯ ე ლ-ფუძის მნიშვნელობანი: „საერთო სახელი ღრუ ნივთებისა (ქვაბისა, ჯამისა, კოკისა...), რომელშიაც სასმელ-საჭმელს ათავსებენ; იგივეა, რაც კუბო (მიცვალებულის ჩასასვენებელი ყუთი); ძვ. ნივთი, ნივთები, ქონება; იარაღი: „ჯ უ რ ჯ ე ლ ი ძველ ქართულში იარაღს ნიშნავს“, Ⴈვ. ჯავახიშვილი, ႵႤႢႪ VIII. ამას ადასტურებს სიტყვის კონაც: „Ⴄსე ჭურჭელნი განიყოფებიან ათხუთმეტადო“,—წერს საბა,—და თითოეულ ჯგუფში შეაქვს იარაღის, ნივთების, ზოგადად ქონების აღმნიშვნელი დიდი რაოდენობის სახელები. Ⴝ უ რ ძირისაგან არის, ცხადია, ჯ უ რ ვ ი - ც, ს ა-ჯ უ რ ვ ე ლ ი - ც, ა ღ ჯ უ რ ვ ა - ც... Ⴋაშასადამე, ჯ უ რ→*მ ო-ვ-ი-ჯ უ რ-ე ნ→მ ო-ვ-ი-რ ჯ უ-ე ნ (შდრ. მ ო-ვ-ი-რ ჯ ვ-ე ნ), მ ო-ი-რ ჯ უ ე ნ, *მ ო-ი-რ ჯ უ- (ე) ნ-ა, მასდარი—*მ ო-რ ჯ უ-ნ-ა, მ-ს მონაცვლეობით ნ-სთან: მ ო-რ ჯ უ-მ-ა→მ ო-რ ჯ მ-ა, მ ო-რ ჯ მ-უ ლ ი...

Ⴐ წ ე ვ—წ რ ე ვ: იმერულ დიალექტშია შემორჩენილი წ ა რ—ძირი „მიმოწევის, გაწევა—გამოწევის“ მნიშვნელობით (მო/მი/გა-წ რ ა-წევა: დამეთხუე, იქით გ ე ი წ ა-რ ი, Ⴙერ.), როგორც ჩანს, ძირი ძველია (შდრ. [Ⴀვთანდილი] გულ-ამოსკვნით, ოხვრა-სულთქმით მიხრის ტანსა, მ ი ა წ ა რ ე ბ ს, Ⴅ. ტ. 716,2; მ ი ა წ ა რ ე ბ ს—აქ ნიშნავს „მიმოაქვს, მიმოარხევს“), იმერულშივეა დადასტურებული ამ ძირის აფიქსიანი ვარიანტი წ რ ე ვ (წ რ ე ვ ა—გაწევა, ადგილის მონაცვლეობა: ვ ი წ რ ე ვ ი, გ ე ვ ი-წ რ ი ე (გ ე ვ ი წ ე რ ი, გ ე ვ ი წ ა რ ი, გ ე ვ ი წ რ ი ე), გ ე ი წ რ ა; დ ა წ რ ე ვ ა—უკან დახევა, იმერ. Ⴀხად). Ⴋაშასადამე, წ ა რ→*ა-წ ა რ-ე ვ-ს→*ა-წ რ-ე ვ-ს→ა-რ წ-ე ვ-ს. Ⴀრსებობს რ წ ე ვ—ფუძის ვარიანტიც რ წ ე ბ (აკვანსაც თითონ ა რ წ ე ბ დ ა, Ⴇმრზ. II, 179,32: ე რ წ ე ბ ი ს—ირხევა, ხევს. Ⴀ. Ⴘან.), ერთსაც და მეორესაც მოგვიანო ქართულიდან ვეცნობით; ეგევე წ ა რ ძირი უნდა ჰქონდეს საფუძვლად სიტყვებს რ წ ი ა ნ ა /ე-Ა—საქანელი, качели, Ⴙერ. (←*წრიან-ა-?), ა რ წ ი ა ნ ე ბ ს—აქანავებს, არწევს, რაჭ. ქართ. დიალ.

Ⴐ ჩ—ძირი (რჩოლა—რქით შეტევა, რქის ამოკვრა, რქენა... გადატ. ზიანის, ვნების მიყენება, დაშავება, ႵႤႢႪ VI) შესაძლებელია მომდინარეობდეს ჩრ || ჩარ-ისაგან) გ ა ჩ რ ა—ჴორცში გაყრა რისამე, საბა; შდრ. ჩ ა ჩ რ ი ს, ႵႤႢႪ VIII; შ ე ჩ რ ი ს, ႵႤႢႪ VII, გ ა უ ჩ რ ი ს, ႵႤႢႪ II... თავი მისი მუჴლთა შუა ჩ ა ჩ რ ი ლ იყო, Ⴞიმ. I, 211,26; პილოტანსა შუბი შესცა, ვერ გ ა ს ჩ ა რ ა ვერც აბჯარსა ყგნმ. I, 401,2;

ალრენილსა პირსა... ასე მწარედ გასჩარა (ბოძალი), რუსუდ. 432,21), ჩარ→ *ჩრ-ოლ̣-ა→რჩ-ოლ-ა.

რწყ←წყრ: რწყავს—ზმნა ძველსავე ქართულში გვხვდება და საკმაოდ ხშირადაც (ათორმეტი წყაროჲ... მოჰრწყავს, სინ. 269,21;... მდინარითა ირწყეოდა ადგილი იგი, ხანძთ. კთ.5; მიმღეობათა სახით: ურწყულთა, ზ. 11,24; სარწყული, ე. 4,11, მერწყულსა, სინ. 77,3), ამის გვერდით იხმარებოდა სახელებიც—წყალი, წყარო. „მორწყვის, რწყვის" მნიშვნელობით ხევსურულში დღესაც გვაქვს წყალ-სახელისაგან ნაწარმოები ზმნა—წულავს[1] (←*წყალ-ავ-ს), წყარ—ფუძისაგან მსგავსადვე უნდა მიგვეღო: *წყარ-ავ-ს→*წყრ-ავ-ს→რ-წყ-ავ-ს[2]. შდრ. ურწყო („წყალგაურევნელი", „უწყლო": თუ მოილო ტუინი ოფოფისა, !გააკმო და შეასუა ღუინითა ურწყოთა, სმკრნ. 426,11), უ-რწყ-ო ← *უ-წყრ-ო ← *უ—წყარ-ო← წყარ ‖ წყალ.; ალბათ უკვე რწყ ძირისაგან არის ნაწარმოები ფორმები: არწყევს (პირს ალებინებს, პირიდან ასაქმებს, ქგზ. I; სარწყეველითა წამლებითა არწყევინეთ, სმკრნ. 50,31), გამორწყავს (წულულს, მუწუკს პირს გაუხსნის და ჩირქს გამოადენს, ქგზ. II), ნარწყული ღვინო (ჭაჭისაგან გამოხდილი წყალნარევი ღვინო, წყალ-ღვინო, ზ. იმერ. ჭერ.), რწყულება (პირუტყვისათვის წყლის დალევინება, ლეჩხ. ალ.)[3]. რწყ-ძირი გვაქვს ერწყმის-ზმნაშიც (შე-ე-რწყ-ა). ამ ზმნის ძირიც, რა თქმა უნდა, სხვა მნიშვნელობის შემცველი, შეიძლება აღვადგინოთ ისევ წყარ-ფუძის სახით, საფუძველს თითქოს იძლევა მეგრულის წყორ (ფირუზ-ლალი შეწყორილი, ხუბ. 340,23=ფირუზ-ლალი შერწყმული)[4]. აგრეთვე სვანურის [6] წყორ (ლინწყორრე ‖ ლინწყორე—მჭიდროდ მიყენება ერთმანეთზე, მაგ., იატაკის ან ლამფის ფიცრებისა; ხასიათების შეწყობა ერთმანეთისათვის, შეგუება ხასიათებისა)[5]: წყარ→*ე-წყარ-ამ-ი-ს→*ე-წყრ-მ-ი-ს→ე-რწყ-მ-ი-ს.

თუ არწყავს (იგივეა, რაც აწყავს, ქგზ 1) ამოსავალია აწყავს—ზმნისათვის (საწყაოთი რისამე ოდენობას გაარკვევს; ასწონ-დასწონის, შეაფასებს,

---

[1] „ხამთარში მიწის კალოს ლეწვის წინა საღამოს მორწყავენ („მასწყვლენ"), რათა მიწა გაიყინოს და ყინულზე ლეწონ. „მაუწულავ კალო..." ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960 წ., გვ. 204.

[2] რწყავ—ფუძეში რ-ს შესახებ: ძირად წყ მიუჩნევია და რ გამოყოფილი ჰქონია მ. ჯანაშვილს თავის გრამატიკაში, 1906 წ., გვ. 64; ა. შანიძე წერდა: „შეიძლება ამ ზმნაში რაე ჩამომავლობით პრეფიქსიც იყოს (რადგან მო-რწყვა-ს წყალთან უნდა ჰქონდეს ეტიმოლოგიური კავშირი), მაგრამ იგი უკვე ძველ ქართულში ძირის ბგერებთან არის შეხორცებული და გაგებულია, როგორც ძირეული"; სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1957, გვ. 210 (შენ. 1); ვ. თოფურია რ-ს „აფხაზურისებრ რ პრეფიქსად" მიიჩნევს; ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, ენიმკი-ს მოამბე V—VI, 1940 წ., გვ. 539—40.

[3] აგრეთვე: ნერწყვა, დანერწყვა (დასველება: ჭურის მიწას ვნერწყვავთ წყლით, ზ. იმერ. ჭერ.) ნე-რწყვ-ში ნე- პრეფიქსად აქვს გამოყოფილი ვ. თოფურიას; ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის, თსუ შრომები, VII, 1938 წ., გვ. 87.

[4] ჭყორუა, გო-წყორუა, აკო-წყორუა—смешать, И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб. 1914, გვ. 385.

[5] ეს მაგალითი ამოღებული გვაქვს სვანურ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონიდან, რომელიც ენათმეცნიერების ინსტიტუტშია დაცული.

სათანადო ფასს დაადებს, ქგლ I), მაშინ შესაძლებელია რ წ ყ←*რ ა წ ყ←რ ა ც ხ. ეს უკანასკნელი ძველ ქართულში საკმაოდ გავრცელებული იყო: ა ღ რ ა ც ხ ა (=აღრიცხვა, გამოანგარიშება, სიმფ. ლექსიკ.): ა ღ ი რ ა ც ხ ო ს, რაოდენი წარჴდეს, ლ. 14,28; თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი ა ღ რ ა ც ხ ი ლ არიან, მ. 10,30; ვინ ა ღ რ ა ც ხ ო ს (=ვინ დათვალოს, ჩამოთვალოს), ცხრ. 32,14; რ̄ლთა აქუნდა ვარსკულავთ-მ რ ა ც ხ ვ ე ლ ო ბ ი ს ა იგი საცთური, კიმ. 1, 253,1; რ ა ც ხ ს (=თვლის), ფშ. III, 119,25; აღმრახცი (=აღმრიცხველი), გურ. 46,136,2; შდრ. ახალ ქართულშიც ა ღ უ რ ა ც ხ ე ლ ი, ა უ რ ა ც ხ ე ლ ი... ქგლ I; რ წ ყ ძირი გვაქვს სხვა მნიშვნელობითაც (დ ა რ წ ყ მ ა მახისა: გამომიყვანე მე საბრჯისა მისგან, რომელ დ ა მ ი რ წ ყ ე ს მე, ფსალ. 30,0,5). „მასაც ალბათ აღუდგებოდა ხმოვანი ე (რეწყ), როგორც ეს ჩანს იმავე ფუძის სახელისაგან: ი-რეჭ-ი ან: ი-რე[ნ]ჭკ-ა. ეს სახელი ჭანურ ელფერს ატარებს თანხმოვნებში; ირეჭი, ირენჭკა—ჩიტის მახე“ [1]. თუ ჩავთვლით, რომ *რ:ე წ ყ ძირში ყ განვითარებულია, შეიძლებოდა *რ ე წ დაგვეკავშირებინა რ ე ც ძირთან (დ ა რ ე ც ა—დაგება, ჩუბ. ჩ.; დაფენა, საბა; ს ა რ ე ც ე ლ ი—ქვეშ საგები, საბა; შდრ. „მახე დაუგო“ და ძვ. „საბრჯე დაურწყო“). რ ე წ მნიშვნელობით „შოვნა“ (მ ო ვ ი რ ე წ ა ვ მე მცირედსა საზრდელსა, ზმნ. 16,26) აგრეთვე ეხმაურება რ ე ც—ძირს.

რ ხ ე ვ—ხ რ ე ვ: „ვეფხისტყაოსანში“ მ ი ა წ ა რ ე ბ ს—ზმნის გვერდით ნახმარია ზმნის პირიანი ფორმა—მ ი ხ რ ი ს (მ ი ხ რ ი ს ტანსა, მიაწარებს, 716,2) მნიშვნელობით „მიარხევს“, ლექსიკონშიც ასეა განმარტებული: მ ი ხ რ ა—„მირხევა; რხევით სვლა“. ხ ა რ—ძირთან ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობებია დაკავშირებული. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ხ ა რ, რომელსაც ზმნისწინები განსხვავებულ მნიშვნელობით ელფერს აძლევენ: მ ი ხ რ ი ს, მ ო ხ რ ი ს, გ ა დ ა ხ რ ი ს, გ ა დ მ ო ხ რ ი ს, შ ე ხ რ ი ს, ჩ ა ხ რ ი ს, მ ი ხ ვ რ ა-მ ო ხ ვ რ ა... ამ ზოგადი მნიშვნელობით ხ ა რ-ძირი იხმარებოდა ძველ ქართულშიც (და შ ე ხ ა რ ე ს თავი მათი, ფსალ. 108,24, ჭელი ა უ ხ ა რ ა და დაუწუნა, ორჯნ. 26,17), ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საბას ჩვენება: ა ხ რ ე ვ ს—ჭელს იქნევს; ა ხ რ ე ვ დ ნ ე ნ—ჭელს იქნევდნენ (ა რ ხ ე ვ ს საბასთან არ გვაქვს). მაშასადამე, ხ ა[რ]→*ა-ხ ა რ-ე ვ-ს→ა-ხ რ-ე ვ-ს→ა-რ ხ-ე ვ-ს (შდრ. ა რ ხ ე ვ ს—ნელა, რიტმულად ამოძრავებს, ანძრევს, ატოკებს (მოქნილ, დრეკად საგანს), ქგლ I; შდრ. ამას: ვითა ვერხვი ქარისაგან ი რ ხ ე ვ ი ს და იკეცების, ვ. ტ. 140,2).

რ კ ვ ე ვ—კ ვ რ ე ვ[?]: კ ვ ი რ (←კ ჳ რ) ძირი ძველი ქართულიდანვე ცნობილია (მიკჳრს, კიმ. I, 78,32; გიკჳრს, ლ. 5,28 C), ძირს ამჟამად აქვს წარმოებული მნიშვნელობაც „აკვირდება, დააკვირდა, დაჰკვირვებია“. ამ მნიშვნელობათა მიჯნაზეა დ ა ჰ კ ჳ რ დ ა—ძველი ქართულისა შემდეგი კონტექსტის მიხედვით: ხოლო მას ვითარცა ესმა სიხარული, არა განემარტა სმენად, არამედ დ ა ჰ კ ჳ რ დ ა ჭმასა მას და თქუა: ვინაჲ-მე არს ესე მოკითხვაჲ? სინ. 28,18. ა კ ვ ი რ დ ე ბ ა-ს მოქმედებითის ფორმა ამ სახისა შეიძლება აღვადგინოთ: *ა-კ ვ ი რ-ე ვ-ს (შდრ. ა-რწ-ევ-ს, ა-რ ხ-ე ვ-ს და ა. შ.), შდრ. ა-კ ვ ი რ-ვ-ე ბ-ს. *ა-კ ვ ი რ-ე ვ-ს→*ა-კ ვ რ-ე ვ-ს→ა-რ კ ვ-ე ვ-ს. ა რ კ ვ ე ვ ს ზმნა თანამედროვე ქართულში ფართოდ არის გავრცელებული (ა რ კ ვ ე ვ ს—არჩევს, იკვლევს; ასუფთავებს (მარცვლეულს ცხრილით)... ქგლ I). თუ ეს შემთხვევითი არ არის, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედ-

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 437.

ვით, რ კ ვ ე ვ (←*რ კ უ ე ვ)—ფუძე ძველ ქართულში თითქოს არ ჩანს. საბასთან: რ კ ვ ე ვ ა-გარჩევასავით. შდრ.: და იგივე გ ა მ ო უ რ კ ვ ე ვ ს გზასა-მეთქი, რუსუდ. 485,10; აღმოსავლეთის მთისა და ბარის ზოგ დიალექტში რ კ ვ ე ვ ა — ფუძე „ხორბლის დარჩევა, გარჩევის“ მნიშვნელობით იხმარება (ქიზიყ. მენთ.; ფშ. II, 154,8...). მნიშვნელობათა ცვლილება ალბათ ამგვარად უნდა წარმოვიდგინოთ: „უკვირს → აკვირდება→არჩევს ‖ არკვევს“.

რ ც ხ ვ—*ც ხ ვ ე რ[?]: ზმნის პირიანი ფორმა—ა რ ც ხ ვ ე ნ ს დაკავშირებულია არსებით სახელთან—ც ხ ვ ი რ ი და რ პრეფიქსად არის გამოყოფილი: ა-რ-ც ხვ-ე ნ-ს[1]: თუ ეს მოსაზრება სწორია, მაშინ: *ა-ც ხ ვ ი რ-ე ნ-ს (*ა-ცხჳრ-ენ-ს)→ *ა-ცხვრ-ენ-ს (*ა-ცხურ-ენ-ს)→ა-რ-ცხვ-ენ-ს (ა-რ-ცხუენ-ს). თუმცა ამის პარალელურად შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებობდა ამჟამად უცნობი გახმოვანებით ფუძე—(*ცხუერ ‖ *ცხუარ ‖ *ცხჳრ.?.), რომელსაც ჰქონდა რ ც ხ ვ ე ნ—ფუძის ან მისი მონათესავე მნიშვნელობა...

რ ყ ე ვ—ფუძე (ა რ ყ ე ვ ს—რყევით ამოძრავებს, აქეთ-იქით ანძრევს, ხრის, ანჯღრევს... +ᲩᲖ I; რამეთუ ქუეყანა ი რ ყ ე ო დ ა, იმთმტ. 119,8; არა უკუნისამდე შ ე ი რ ყ ი ო ს, ფსალ. 111,6) შეიძლებოდა დაგვეკავშირებინა რ ა ყ—ძირთან[2] (შდრ. რ ა ყ რ ა ყ ი—ნ. დარაყრაყება—დატორტმანება, შექანება, თუშ.), *ა-რ ა ყ-ე ვ-ს→ა-რ ყ-ე ვ-ს, ამას მხარს დაუჭერდა სვანურის ჩვენება (ლი-რყ-ინ-ე, ძირია რ ე ყ), თუ შეიძლება რ ყ ე ვ—ფუძის მნიშვნელობას საერთო ჰქონდეს „დარტყმა, მორტყმა, ცემა“-სთან; მაგრამ სვანურში ამავე მნიშვნელობით გვაქვს რ ე ყ—ძირის ვარიანტი ყ ე რ (ლ ი-ყ ე რ—ცემა, დარტყმა). თუ ამოსავლად ამ უკანასკნელს მივიჩნევდით, მაშინ *ა-ყ ე რ-ე ვ-ს→*ა-ყ რ-ე ვ-ს→ა-რ ყ-ე ვ-ს:

თანამედროვე ქართულში ა რ ღ ვ ე ვ ს ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ვიმოწმებთ ზოგიერთს: „შლის (ნაკერს, ნაქსოვს, ნაგებობას);... ძალას უკარგავს, აუქმებს...; ანგრევს, ჭრის, მიაპობს (წყალს, თოვლს...)“, +ᲩᲖ I; ამ ფუძის ამოსავალი და ძირითადი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, იყო „ნგრევა, შლა→მოსპობა“) დ ა ა რ ღ ჳ ე თ ტაძარი ესე, ი. 2,19 C; დ ა რ ღ უ ე ვ ა ჲ ქალაქთაჲ, ხიმ. I, 263,6...), აქედან→„გადახდა, გადაძრობა“ (გ ა რ დ ა ა რ ღ ჳ ე ს სართული სახლისაჲ მის, მრკ. 2,4 C), ‖ →„დავარდნილი, კუტი, საპყარი“ (რომელი იყო გ ა ნ-რ ღ უ ე უ ლ, ზ. 5,18). რ ღ ვ ე ვ←რ ღ უ ე ვ. სვანურში შესაბამისი ფუძე სამგვარი გახმოვანებით—ე/ი/0 იჩენს თავს (მასდარია ლ ი-რ ე ღ უ)[3]. ასე რომ, ა-რ ღ უ-ე ვ-ს←*ა-რ ე ღ უ-ე ვ-ს, ხმოვნის რედუქციის შედეგად. ამ რ ე ღ უ ძირისაგანვეა ნაწარმოები ძველი ქართულის რ ღ უ ნ ა (მოიწია წყლით რ ღ უ ნ ა ჲ იგი, მ. 24,39; და უფალმან წყალი რ ღ უ ნ ი ს ა ჲ დააწყნარის, სინ. 77,27), რ ღ უ ნ ა→რ ღ ვ ნ ა (იგივეა, რაც წარღვნა, +ᲩᲖ VIII). *ა-რ ე ღ უ-ე ნ-ს→*ა-რ ღ უ-ე ნ-ს, მასდარი—*რ ღ უ-ე ნ-ა[4]→რ ღ უ-ნ-ა.

---

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან... გვ. 539.

[2] მეგრულში გვაქვს ჸარ ‖ ყარ: ჸარება, ყარება, ა-ჸარება движение, сотрясение, И. Кипшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 418.

[3] Г. А. Климов. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964, გვ. 158.

[4] რ ღ უ ე ნ→რ ყ უ ე ნ (?): გ ა ნ რ ყ უ ნ ა ჲ—„გაფუჭება, წახდენა“ სიმფ. ლქსკ., სადა არცა მღილმან, არცა მჭამელმან გ ა ნ რ ყ უ ნ ი ს. მ. 6,20 C; გ ა ნ ი რ ყ უ ე ნ, იობ. 4,9. ეს ვარაუდი ალბათ იმ შემთხვევაში იქნებოდა მართებული, თუ გამოვრიცხავთ *რ ე ყ უ—ძირის არსებობას, რომლისაგან დამოუკიდებლად შეიძლებოდა ზემოხსენებული გზით მიგვეღო რ ყ უ ე ნ (←*რ ე ყ უ-ე ნ).

ძირისაგან ღუარ ჩანს ნაწარმოები ძველსავე ქართულში ადრღუევა—„შეძვრა, ამღვრევა, აღელვება“, სიმფ. ლექსიკ. (ხლუაჲ იგი ძლიერთა ქართაგან ალირლოდა, გ. 6, 18 C; ჟაქამს წყალი ესე ალირლუეს, გ. 5,7; გრიგალნი ალმარლუეველნი ღელვათა ზღჳსათანი, სწავლ. 124,4). *ალ-ა-ღუარ-ევ-ს→*ალ-ა-ღურ-ევ-ს→ალ-ა-რ-ღუ-ევ-ს ‖ ალ-ი-რღუ-ევ-ი-ს, რ-ს მეტათეზისის შედეგად.

არსებითი სახელი სარკმელი წარმოშობით მიმღეობაა: სა-რკუმ-ელ (და იყო სენაკსა მას მცირჱ სარკუმელი, ყუშ. 151,40), რკუმ ფუძეში რ ძირისეული არ არის (რ-კუმ). სარკუმელ-ის გვერდით ძველ ქართულშივე იხმარებოდა საკუამი—„საკვამლე მილი, ბუხარი“: სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, ხანძთ. კა, 8), შდრ. სა-კვამ-ურ-ი ახალ ქართულში, აგრეთვე კვამლ-ი←კუამლი; თითოეული ამათგანისათვის ამოსავალია ძირი კუამ (ხოლო მთაჲ იგი სინაჲ კუმოდა ყოვლად... და აღვიდოდა კუამლი ვითარცა კუამლი საჴუმილისაჲ, გამ. 19,18; მუგუზთა მკუმოლვარეთა, ესაია, 7,4). ქუამ→კუამ-ლ→*სა-კუამ-ლ-ელ→*სა-კუმ-ლ-ელ, ლ-ს მეტათეზისით→*სა-ლ-კუმ-ელ, ლ-ს რ-სთან მონაცვლეობით→სა-რ-კუმ-ელ→სა-რკმ-ელ.

სპეციალურ ძიებას მოითხოვს რ კომპლექსებში: რბ (დარბონვა—ნახევრად გაცეხვა ლომისა, გურ. ყარ), რგ (არგებს, ქგზ I; ერგება, ქგზ III...), რკ (შეერკინება, ქგზ. VIII), რთვ←რთუ (მოართმევს, ქგზ. V; წაართმევს, ქგზ VIII), რჩ (არჩევს, ქგზ I, ურჩევს, ქგზ VI, ერჩის, ქგზ III...).

ზოგი ამათგანის შესახებ აგრეთვე შეიძლებოდა გამოთქმულიყო მოსაზრებანი, მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანი ის კი არ არის, რომ აუცილებლად სარწმუნო გავხადოთ თითოეული გაანალიზებული ფუძის ისტორია, არამედ საჭიროა ნათლად წარმოვადგინოთ ზოგადი სურათი: რ სონანტი ზმნური ფუძეების თავკიდურა პოზიციაში, როდესაც მას თანხმოვანი (ან თანხმოვნები) მოსდევს, მეორეულია, ფუძეებში ფონეტიკური სახეცვლილებების შედეგად მიღებული[1].

ეს საერთო ვითარება ვრცელდება ყველა სონანტზე. თვით ფაქტს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, როცა ამ თვალსაზრისით ზმნური ფუძეების თავკიდურა პოზიციას ვუდარებთ შუა და ბოლოკიდურა პოზიციებს. შუა და ბოლოკიდურა პოზიციებში თანხმოვანთა კომპლექსები შეფარდებით—სონანტი+თანხმოვანი ან (თანხმოვნები) — საკმაოდ გავრცელებული და ისტორიულად კანონზომიერია.

ხოლო რა ღირებულება აქვს აღნიშნული ფაქტების ცოდნას ზმნური ფუძეების ისტორიის გასათვალისწინებლად, ამაზე სხვა დროს.

---

[1] მართებული ჩანს მოსაზრება მერცხალ ‖ მარჭიხოლ — ფუძეთა თაობაზე: *წირხ→რწიხ, ჭირხ→რჭიხ. ჭ ანლაუტში მართლაც მეტათეზისის შედეგი ჩანს. ტ. გუდავა, მერცხალი (ეტიმოლოგიური ძიება): იკე, XIV ტ., 1964 წ. ქართულში გვაქვს კიდეც ამოსავალი ფუძე დაცული, მაგრამ ზანური „იერით“: ჭრიხვა — კრუხვა, გურ. ყარ.; ჭრიხინი—მაშვეთა და მისთანათა შეშინებული ხმიანობა, საბა: ჭრხიალი - ჭოკობთა და მისთანათა ჴმიანობა, საბა...

Ივანე Იმნაიშვილი

Მჭადისა და მწვადის ეტიმოლოგიისათვის

მ ჭ ა დ ი

1. Ძველ ქართულში გვაქვს თავისებური სახის მიმღეობური ფორმა, რომელიც ახალ ქართულში ძველი მნიშვნელობით აღარ იხმარება და სხვადასხვა შინაარსით არის გამოყენებული. Ეს არის ვითარებითს ბრუნვაში დასმული საწყისი, რომელიც ახალ ფუძედ არის აღებული და იბრუნება ჩვეულებრივი წესით. Მაგალითად, მ ო წ ე ვ ნ ა საწყისი ვითარებითში რომ დავსვათ და მიღებული ფორმა ახალ ფუძედ გამოვიყენოთ, გვექნება: მოწევნა-დ→მ ო წ ე ვ ნ ა-დ-ი (მოწევნადმან, მოწევნადსა, მოწევნადისა...). Ამნაირად არის მიღებული ძველი ქართულისათვის კარგად ცნობილი ფორმები: (შობა-შობად-) შ ო ბ ა დ ი, (ყოფა-ყოფად) ყ ო ფ ა დ ი, (კლვა-კლვად) კ ლ ვ ა დ ი, (აღსრულება-აღსრულებად-) ა ღ ს რ უ ლ ე ბ ა დ ი, (განქარვება-განქარვებად-) გ ა ნ ქ ა რ ვ ე ბ ა დ ი, (განჴრწნა-განჴრწნად-) გ ა ნ ჴ რ წ ნ ა დ ი, (დადნობა-დადნობად-) დ ა დ ნ ო ბ ა დ ი, (დაცემა-დაცემად-) დ ა ც ე მ ა დ ი, (დალპოლვა-დალპოლვად-) დ ა ლ პ ო ლ ვ ა დ ი, (შეცვალება-შეცვალებად-) შ ე ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი, (განრყუნა-განრყუნად-) გ ა ნ რ ყ უ ნ ა დ ი, (წარსლვა-წარსლვად-) წ ა რ ს ვ ლ ა დ ი და მრავალი სხვა.

Ფორმებში მ ო წ ე ვ ნ ა დ ი, შ ო ბ ა დ ი, ყ ო ფ ა დ ი და მისთ. გასახაზავია ორი შინაარსეული მომენტი: ა) მოქმედების შესაძლებლობა-აუცილებლობა და ბ) მომავალი დრო. Ეს ნიშნავს: მ ო წ ე ვ ნ ა დ ი არის ის, რაც შეიძლება მოვიდეს, (ან აუცილებლად მოვა მომავალში); შობადი—რაც შეიძლება იშვას, ან აუცილებლად იშვება მომავალში; ყ ო ფ ა დ ი:—რაც შეიძლება იქნეს (მოხდეს), ან აუცილებლად იქნება (მოხდება) მომავალში. Აქედან შემოგვრჩა თავში მ-ს დამატებით დღევანდელი მ ყ ო ფ ა დ ი—მომავალი დრო.

Ასეთ ფორმებში მომავალი დროის გაგება ყოველთვის აუცილებელია. Რაც შეეხება მეორე მომენტს—შესაძლებლობასა და აუცილებლობას, ზოგ შემთხვევაში ერთი მხარეა წინ წამოწეული, ზოგში—მეორე. Უფრო ხშირი და ტიპობრივია ის შემთხვევები, როცა ფორმაში აუცილებლობა იგულისხმება. Ამნაირად, მ ო წ ე ვ ნ ა დ ი იქნება ის, რაც აუცილებლად უნდა მოვიდეს, მოვა; შ ო ბ ა დ ი—

რაც აუცილებლად უნდა იშვას, იშვება; ყოფადი—რაც აუცილებლად უნდა იქნეს (მოხდეს), იქნება (მოხდება) და ა. შ.

მომავალი დროის მიმღეობას გამოხატავს აგრეთვე სა- და სა-ელ აფიქსები: მო-სა-წევნ-ელ-ი, სა-შობ-ი, სა-შობ-ელი, სა-ყოფ-ელ-ი, მაგრამ, ჯერ-ერთი, აქ საფუძვლად აღებულია არა საწყისი, არამედ ზმნის აწმყოს (მყოფადის) მწკრივის ფორმა, რომელსაც ჩამოცილებული აქვს პირის, რიცხვის, ქცევისა და გვარის ნიშნები; მეორე, ასეთი მიმღეობები უფრო ერთდროულ, მომენტობრივ შინაარსს შეიცავენ, მაშინ როდესაც მოწევნად-ის ტიპის ფორმები მუდმივსა და მარად დამახასიათებელ თვისებას გვიჩვენებენ. ცხოვარი დასაკლავი (დასაკლველი) და ცხოვარი კლვადი (დაკლვადი) განსხვავებულია შინაარსით: უკანასკნელი აღნიშნავს ცხვარს, რომელიც ყოველ მომენტში გამზადებულია დასაკლავად, ყოველ წუთში შეიძლება დაკლულ იქნეს, უეჭველად დაიკვლება.

მოწევნადი, შობადი, ყოფადი და მისთ. ფორმები ძველ ქართულში მიმღეობად არის მიჩნეული. მაგრამ მათი განსაკუთრებული შინაარსისა და წარმოების თავისებურების გამო შეიძლებოდა მათ განსხვავებული სახელი დაჰრქმეოდა, ან მიმღეობის რაიმე განმასხვავებელი სახელი დაჰრთოდა წინ, ვთქვათ, გერუნდივი, გერუნდიული მიმღეობა ან სხვა მსგავსი რამ.

2. ფორმის თვალსაზრისით მსგავსი წარმოება ახალ ქართულშიც გვხვდება. ეს ფორმები განსაკუთრებით მრავლდება ამ უკანასკნელ ხანებში მეცნიერებისა და ტექნიკის მძლავრ წინსვლასთან დაკავშირებით, მაგალითად: ბრუნებადი, დენადი, დნობადი, დრეკადი, თხევადი, კვეცადი, კუმშვადი, ლპობადი, ფეთქებადი, ღვრადი, ღუნვადი, ძვრადი, ჭედადი, ხსნადი, ხურებადი და სხვა[1].

აღსანიშნავია, რომ ასეთ ფორმებს დღეს აღარ მოეპოვება ძველი გერუნდივის მთავარი ნიშანი—დროული გაგება აღარ აქვს, მათს შინაარსში მთავარია მეორე მომენტი: დრეკადი—რაც იდრიკება, რასაც დრეკა ახასიათებს; კუმშვადი—რაც იკუმშება, რასაც კუმშვა ახასიათებს და სხვა. დღეს ასეთი ფორმები არ ითვლება მიმღეობად, ისინი სახელთა წარმოების გარკვეულ ტიპს განეკუთვნებიან (გულადი კაცი, ფულადი სახსრები)[2].

3. სრულიად ასეთი გერუნდიული მიმღეობაა ძველი ქართულის ჭამადი, რომელიც მიღებულია ჭამა საწყისისაგან: ჭამა-ჭამად-ჭამადი. ჭამადი ძველ ქართულში ნიშნავს იმას, რაც შეიძლება იჭამოს (ჭამოს კაცმა), რაც იჭმება, ე. ი. ეს არის საჭმელი. ყველაფერი, რაც შეიძლება იჭამოს (ჭამოს კაცმა), რაც იჭმება, რასაც ჭამენ, ჭამადია. ძველი ბერძნულის ტექსტებში ქართული ჭამადის ბადლად იხმარება βρῶμα, βρώσιμος, φαγέιν, ძველ სომხურში — *կերակուր, ուտել*, ძველი ტექსტების რუსულ თარგმანებში ამ სიტყვას пища და есть შეეფერება.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ოთხთავიდან.

ჱქუენ ეცით მაგათ ჭამადი (მათ. 14, 16), δότε αὐτοίς ὑμεῖς φαγεῖν, *դուք տուք դոցա ուտել*, вы дайте им есть.

გაქუს, რაჲ აქა ჭამადი (ლუკ. 24, 41), ἐχετέ τι βρώσιμον ἐνθάδε, *ունի՞ք ինչ կերակուր աստ*, есть ли у вас какая пища.

---

[1] Ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 147—148.

[2] იქვე.

Რაჲთა მისცენ მას ჭამადი (Მარკ. 5, 43), καὶ εἶπε δοθῆναι αὐτῇ φαγεῖν, *եւ ասաց տալ նմա ուտել*, и сказал, чтобы дали ей есть.

Მო- ვინ-მე -ართუა ჭამადი (Იოვ. 4, 33), μήτις ἤνεγκεν αὐτῷ φαγεῖν, *միթէ եբեր ինչ ոք դմա ուտել*, кто принес ему есть.

Განსწმედს ყოველსა ჭამადსა (Მარკ. 7,19), καθαρίζον πάντα τά βρώματα, *եւ սրբէ զա͠մ կերակուրս*, чем очищается всякая пища.

Იქმოდეთ ნუ წარსაწყმედელსა მას ჭამადსა (Იოვ. 6, 27 C, DE: საზრდელსა), ἐργάζεσθε μὴ τὴν βρῶσιν τὴν απολλυμένεν, *գործեցէք մի զկորստական կերակուրն*, старайтесь не о пище тленной.

Ამნაირად, ჭამადი ძველ ქართულში ნიშნავდა საჭმელს. Მას ერთობ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და მოიცავდა ყოველგვარ საჭმელსა თუ საზრდოს (პურს, ყველს, ხორცს, ხილს, მწვანილს...).

Ჭამადი, როგორც მისი ფორმა უჩვენებს, ძალიან ძველი წარმოშობის სიტყვაა, მისი ძირის კუთვნილი ამ, საფიქრებელია, წარმოშობით თემის ნიშანი იყოს და ხანგრძლივი დროის შემდეგ უნდა შეხორცებოდეს ძირს. Მარტო ამ ნიშნითაც გამოირჩევა იგი სხვა ამიანი ზმნებისაგან, რომლებიც ძალიან ძველი წარმოშობისაა და დღემდის სულ რაღაც 12—15-ოდეა მოღწეული.

4. Დროთა ვითარებაში ჭამადი, როგორც ბევრი სხვა ძველი წარმოშობის სიტყვა, იცვალა ფორმითაც და შინაარსითაც. Პირველად, ჩანს, ცვლილება ფორმას დასტყობია: ჭამად-იდან სწორედ ის ამ ამოვარდნილა და დაკარგულა, რომელიც, როგორც ჩვენ ვვარაუდობთ, არ არის თავდაპირველი ძირის კუთვნილება. Ასეა მიღებული მეორეული ფორმა ჭად-ი, რომელსაც მნიშვნელობა ისევ ძველი აქვს შერჩენილი. Ჭადი ამ მნიშვნელობით თვით უძველეს ძეგლებშიაც გვხვდება. Ამათგან ერთია Ჯრუჭის ოთხთავი (936 წელს გადაწერილი), ხოლო მეორე Ქსნის ოთხთავი (X ს.). Მოვიყვანოთ ეს მაგალითები:

Ა) Ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: მე ჭადი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით (Იოვ. 4, 32 D).

Ბ) Ჰრქუა მათ Იესუ: ჩემი ჭადი ესე არს, რაჲთა ვყო ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ და აღვასრულო საქმე მისი (Იოვ. 4, 34 L=ქსანი).

Ჭადი აქ ორივე მაგალითში საჭმელს ნიშნავს, ძველი ქართულის ჩვეულებრივი გამოთქმით ჭამადს. Სხვა ყველა ცნობილ ოთხთავში ორივე ამ შემთხვევაში გვაქვს ჭამადი. Ასეა, მაგალითად, Ადიშის, Პარხლის, Ოპიზის, Ტბეთის, Ურბნისის, Ბერთის, Მესტიის, Ალავერდისა და ბევრ სხვა ხელნაწერში. Მაშასადამე, ფორმა შეიცვალა, მნიშვნელობა ძველი დარჩა.

Რატომ შეიცვალა ფორმა? Რას უნდა შეეწყო ამისთვის ხელი? Არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ერთ-ერთი მიზეზი იყო ამ სიტყვის ფუძისა (ჭამად) და ვითარებითში დასმული საწყისის (ჭამად) სრული დამთხვევა. Მაგრამ ასეთი დამთხვევა ხომ ყველა ამგვარად ნაწარმოებ ფორმაშია შესაძლებელი, იქ რატომ არ მოხდა რაიმე ცვლილება? Ამაზე პასუხის გაცემა არაა ძნელი: ჭამადი და ჭამად თავისი მნიშვნელობის გამო ძალიან ხშირად იხმარება ენაში, ამასთან არაიშვიათად ერთადაც კი. Სხვებზე ამას ვერ ვიტყვით. Თვით ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში ერთადაა წარმოდგენილი ორივე სახის ფორმა—მიმღეობა და საწყისი (რომლისაგანაც არის ნაწარმოები ეს მიმღეობა): მე ჭამადი მაქუს

ჭამად (Ასეა ყველა სხვა ოთხთავში, რომელიც კი ცნობილია). Აბა ვის არ აცთუნებს ასეთი ერთნაირი ფორმების ერთად განმეორება!

Მესამე მხრივ, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ გარემოებასაც, რომ თვით *ჭამ* ძირი ძველისძველი არ უნდა იყოს: მასში შეხორცებულია თემის ნიშანი *ამ*. Ამიტომ მისი მოშორება არ იყო ძნელი.

Ჭადი ჩვენ დავადასტურეთ X საუკუნეში გადაწერილი ძეგლებით. Ენაში, ცხადია, ასეთი ფორმა გაცილებით უფრო ადრე იქნებოდა ხმარებაში, მაგრამ სამწერლობო ქართულში მან მე-10 საუკუნემდე ვერ იპოვა ადგილი: ძველი ტრადიციები მას აქ მაგრად უკეტავდა კარებს.

Ერთი სიტყვით, ფორმა შეიცვალა, *ჭამად*-ის მაგივრად მივიღეთ *ჭადი*, მნიშვნელობა პირველ ხანებში ძველი დარჩა. Მაგრამ შემდეგში ფორმის შეცვლას თან მოჰყვა შინაარსის გადახრა, ამ შემთხვევაში დავიწროება: *ჭადი* უკვე აღარ აღნიშნავს ყოველანაირ საჭმელს, არამედ ვიწროდ განსაზღვრულს: გარკვეული პურეულისაგან გამომცხვარ საჭმელს (სახელდობრ, იმ პურეულისაგან, რომელიც ჩვენში ძირითადს კვების პროდუქტს წარმოადგენდა).

5. Ზადიგარ Დაუდის შრომაში, რომელიც 1579—1585 წლებში უნდა იყოს დაწერილი, ეს სიტყვა უკვე *მჭად*-ის ფორმით გვხვდება და „ფეტვის პურს", „ფეტვს" აღნიშნავს[1].

Დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

„Და თუ მწოვედ მისჭირდეს და დასუსტდეს, და პურის უჭმელობა ვერ გასძლოს, ან ბაქსიმათისა, ან *მჭადის პური* და ან ბაზირგან ჩოროქი აჭამონ. Და თუ ბაქსიმათსა და *მჭადსა* აღარ ინდომებდეს და კაცი მწოვედ დასუსტდეს, მუდამ ამ რიგი პური აჭამონ მწოვედ კარგად გამომცხვარი და გამოხუხვილი აჭამონ" (გვ. 397, 2—3).

„Და კარგად მოიხარშოს მუხუდო და ვარია, ორივე ამოიღონ და ამ წვენშიგა უერბო ბაქსიმათი და *მჭადი* ჩაუყარონ, და კოვზითა სამსა დილას ამ რიგად ცოტა ცოტა აჭამონ" (441, 25).

„*Მჭადი* მხურვალი და ხმელია, ვინცა *მჭადი* ჭამოს, კაცსა შეჰკრავს და ზიდვებასა და უკანას კარის გატეხასა მწოვედ არგებს" (441, 35).

„Და ამა *მჭადმან* თუ კაცსა აწყინოს, რძე და მსუქანი ხორცი აჭამეთ და ნაწყენსა გაუგდებს" (442, 1).

Საბას დროსაც *მჭადი* „ფეტვისა, სიმინდისა და მისთანათა პური" ყოფილა. Ასე აქვთ მჭადი განმარტებული აგრეთვე Ნ. და Დ. Ჩუბინაშვილებსაც.

Დ. Გურამიშვილი *მჭადში* ფეტვის პურს გულისხმობს:

Ფეტვი ბევრი მოვიყვანე,
Მაგრამ ვერა ვშჭამე მჭადი
(Დ. Გურ. 1955, 108, 588, 1).

Რაკი ამ სიტყვის მნიშვნელობა დავიწროვდა და იგი ყოველნაირ საჭმელს აღარ აღნიშნავდა, ბუნებრივია, მას შერჩენოდა ხალხში ყველაზე გავრცელებული და ძირითადი საკვების მნიშვნელობა. Საბას დროს და მახლობელ ხანებში ეს იყო ფეტვი, სიმინდი და მისთანანი.

---

[1] *Ზადიგარ Დაუდი*, Მედიცინა ძველ საქართველოში, XVI საუკუნე, Ვადო Კოტეტიშვილის რედაქციით, Თბილისი, 1938.

ამ სიტყვის მნიშვნელობის შემდეგი დავიწროების მაჩვენებელია დღევანდელი სალიტერატურო ქართული, სადაც მ ჭ ა დ ი მხოლოდ სიმინდისაგან გამომცხვარ საჭმელს აღნიშნავს.

ჭ ა დ ი ს მნიშვნელობის დავიწროებას ალბათ ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ენაში იყო მეორე სიტყვა, იმავე ძირისაგან ნაწარმოები მიმღეობა ს ა-ჭ მ-ე ლ-ი, რომელიც მნიშვნელობითაც უახლოვდებოდა ძველ ჭ ა მ ა დ ს. ამ ს ა ჭ მ ე ლ მ ა იკისრა ჭ ა მ ა დ ი ს ადრინდელი შინაარსის გადმოცემა.

6. მაგრამ აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნის ოთხმოციან წლებში ჭ ა დ ს თავში უკვე ჰქონია დამატებული მანი: იადიგარ დაუდის შრომაში მ-ჭ ა დ ი გვაქვს და არა ჭ ა დ ი. ეს მანი ფონეტიკური დანართია და ძირის კუთვნილება არ არის[1]. მანის ასეთი დართვა არც შემთხვევითია და არც იშვიათი.

შდრ. ძველი ქართულის	ტ რ ე დ ი	და ახალის	მ ტ რ ე დ ი
„ „ „	ტევანი	„	მტევანი
	სხალი	„	მსხალი
	სხჳლი	„	მსხვილი
	შუენიერი		მშვენიერი
	ყუდრო		მყუდრო
	კურივი (სიკურივე)		მკვრივი
„ „ „	სუბუქი	„ „	მსუბუქი
„ „ „	გაქლავნება	„ „	გამქლავნება.

მანი არ არის ამ ფუძეში აგრეთვე არც მეგრულსა და არც სვანურში.

7. სამივე ქართველურ ენას დაცული აქვს ეს ფუძე. ქართულ მ-ჭ ა დ ს მეგრულში უდრის ჭ კ ი დ; ჭანურის არქაბულ კილოკავში გვაქვს მ-ჭ კ უ დ-ი, ხოლო ხოფურში—აქედან მიღებული მ-ჭ კ ი დ-ი[2].

სვანურში ეს ფუძე უნდა გვქონოდა ჭ კ ა დ-ის სახით, მაგრამ ნამდვილად არის ჭკჷტ, რაც, როგორც ფიქრობენ, იქ მეგრულიდან უნდა იყოს შესული. ბოლოკიდური ტ დ-ს გამკვეთრებული სახეა: ჭკჷდ → ჭკჷტ[3].

სვანურის ზოგიერთ კილოში მ ჭ ა დ ს სხვა ფუძეც გადმოსცემს: ბზ. კვӓში „მჭადი", ლაშხ. კვāში „მჭადი". შდრ. „სვანური პროზაული ტექსტები, გვ. 57: „მუშვან ი კვӓში" (სვანი და მჭადი).

8. ჭ ა დ ი ქართულიდან შესული უნდა იყოს საქართველოს მეზობელი და ახლობელი ქვეყნების ენებში. თუ გავითვალისწინებთ ძველი საქართველოს, როგორც ლიდერის, წამყვან როლს ამიერკავკასიის ხალხთა პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებასა და წინსვლაში, უფრო ადვილი მისახვედრი იქნება მთელი რიგი ქართული სიტყვების შესვლა და დამკვიდრება ამ ხალხების ენებში. ბუნებრივია, ასეთ სიტყვათა რიგს მივაკუთვნოთ ძველი ქართული ჭ ა დ ი ც.

სომხურში ეს სახელი ჭ ა თ-ის სახით გვხვდება ჯერ კიდევ XV საუკუნის დასაწყისში. აი, მაგალითად, 1402 წლის ერთ-ერთ ანდერძში იკითხება:

զի կերակուրն ճաթբուր էր եւ ջուրս ցուրտ[4].

---

[1] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 173—174.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 174.

[3] გ. რ ო გ ა ვ ა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, 1962, გვ. 54.

[4] ლ. ხ ა ჩ ი კ ი ა ნ ი, XV საუკუნის სომხური ხელნაწერების ანდერძები, I ნაწ. (1401—1410), ერევანი, 1955, გვ. 27. ამაზე მიგვითითა ილია აბულაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

საინტერესოა, რომ აქ ქართულ ჭადთან (ჭ ა თ-თან) ერთად მოხსენებულია აგრეთვე ქართულივე პური (ბური).

ამავე შრომის მეორე ადგილას იხსენიება *կորեկէ ճաթն* „ფეტვის ჭათი“ [1].

ქართულიდან ეს ფუძე შესული უნდა იყოს ზოგიერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში:

ხუნძურში ჩ ე დ-ის სახით (მოთხ. ჩ ა დ-ი-ცა, ნათ. ჩად-ი-ლ, მრავლ. სახ. ჩ ა̈ დ-ალ) „პური; ჩ ე დ ბქ́ქიზე „პურის გამოცხობა“ [2].

ლაკურში გვაქვს ჩ ჩ ა ტ ფორმით (ნათ. ჩჩატ-ულ) „პური“ (გამომცხვარი); ჩ ჩ ა ტ შაშან „პურის გამოცხობა“ [3].

აფხაზურში გვხვდება ა-ჩ ა ფორმით „პური“.

უდიურში არის ჭ ა ტ-ის სახით „მჭადი“.

ქართული მ-ჭადისა და ხუნძურ-ლაკურის ჩ ე დ-ჩ ჩ ა ტ-ის სავარაუდო კავშირი შემჩნეული ჰქონდა ნ. მარს, რომელიც ამის შესახებ წერდა: „Кази-кумухское (=Лакское. — ი. ი.) ა в двух случаях в аварском перегласуется в ე, как напр., в слове „хлеб“—кази-кум. ჩ ჩ ა ტ хлеб, ав. ჩ ე დ (р. ჩადილ). Кстати, каково бы ни было происхождение слова, его мы имеем и в гр. მ-ჭ ა დ-ი хлеб (из кукурузной муки), диалектически — в имерском: მ-ჭ ა დ-ი просо, ჭ ა დ ი ს-ჭ ა დ ი „хлеб, выпеченный из муки проса“ [4].

მ წ ვ ა დ ი

სრულიად ამგვარი წარმოშობის სიტყვაა მ წ ვ ა დ ი ც. მისი ძველი ქართული სახეა წ უ ვ ა დ ი. იგი, როგორც ჭამადი, მიღებულია წ უ ვ ა ზმნის საწყისის ვითარებითში დასმით და ასე წარმოშობილი ფორმის ახალ ფუძედ გამოყენებით: წუვა—წუვა-დ→წუვადი (წუვადმან, წუვადსა, წუვადისა, წუვადითა, წუვადად). როგორც ვხედავთ, ეს ფორმაც იგივე გერუნდიული მიმღეობაა. ძირი ამ ზმნისა არის წუ (ახალი ქართ. წვ.), ვ თემის ნიშნისეული ელემენტია, ბოლოს ა საწყისის ნიშანია (წუ-ავ-ა→წუვა). უმარცვლო უ-სთან ვ ხშირად დაკარგულია (მაგრამ არა ყოველთვის), ამიტომ გვაქვს წუვადი||წუადი.

წ უ ა დ ი ძველ ქართულში ნიშნავს შესაწვავს, იმას, რაც შეიწვება, რაც უნდა შეიწვას. ეს შესაწვავი თავდაპირველად ყველაფერი უნდა ყოფილიყო, რის შეწვაც კი შეიძლებოდა (ხორცი, კვერცხი, ვაშლი...).

შემდეგში მისი მნიშვნელობაც დავიწროვდა და წ უ ა დ ი მხოლოდ შესაწვავ ხორცს ერქვა.

ძველი ქართულის ტექსტებში აქა-იქ შემონახულია ამ ფუძის ძველი ფორმითა და ძველი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები.

[1] ლ. ხ ა ჩ ი კ ი ა ნ ი, XV საუკუნის სომხური ხელნაწერების ანდერძები, I ნაწ., 1408 წლის ანდერძი, გვ. 89.

[2] П. К. У с л а р, Аварский язык. II (словарь), გვ. 215; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 174.

[3] П. К. У с л а р, Лакский язык, გვ. 384; ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938, გვ. 174.

[4] Н. Я. М а р р, Непочатый источник истории Кавказского мира: Изв. АН, 1917, № 5, გვ. 322.

მეფეთა წიგნში ერთგან იკითხება:

„მომეც მე ჴორცი წუადად მღდელისათჳს და არღარა მოვიღო ჴორცი მგბარი სიავისაგან“ (1 მეფ. 2,15 ზაგ. = ზაგურკის ლექციონარი). ახალ ქართულზე ეს ნიშნავს: „მომეცი მე ხორცი შესაწვავად მღვდლისათვის, და აღარ მივიღებ (წავიღებ) მოხარშულ ხორცს ქვაბიდან“. აქ კარგად ჩანს წუადად ფორმის მიმღეობური ხასიათი: წუადად—შესაწვავად. მაშასადამე, წუადი არის შესაწვავი, ის, რაც უნდა შეიწვას, რაც შეიძლება შეიწვას, რაც შეიწვება. მასში ხელშესახებად იგრძნობა მომავალი დროც, როგორც ეს ვნახეთ ზემოთ ჭამადზე საუბრისას.

რომ უფრო კარგად გამოჩნდეს აქ წარმოდგენილი ციტატის მნიშვნელობა, მოვიყვანოთ მისი შესატყვისი ბერძნულ, გერმანულ და რუსულ ენებზე: Δὸς κρέας ὀπτῆσαι τῷ ἱερεῖ, καὶ οὐ μὴ λάβω παρὰ σοῦ ἑφθὸν ἐκ τοῦ λέβητος.

Ὀπτῆσαι აქ სწორედ შესაწვავს აღნიშნავს და მთლიანად ამართლებს ძველი ქართულის წუად-ის მნიშვნელობას.

Gib Fleisch her zum Braten für den Prister! Er will von dir kein gekochtes Fleisch haben, sondern rohes.

აქაც Zum Braten არის მხოლოდ შესაწვავად.

Дай мяса на жаркое священнику; он не возьмет у тебя вареного мяса, а дай сырое.

რუსულშიაც, როგორც ვხედავთ, ისევ იგივე აზრია გამოთქმული, на жаркое სწორედ შესაწვავს აღნიშნავს.

ზაგურკის ხელნაწერი ერთადერთი არაა, სადაც ასეთი ფორმა გვხვდება. ეგი მოიპოვება ამ ადგილას აგრეთვე პარიზულ ლექციონარშიც, მაგალითად:

„მომეც მე ჴორცი წუადი მღდელისათჳს და არა მოვიღო ჴორცი მგბარი სიავისაგან“.

აქაც სავსებით ისეთივე ფორმაა, ოღონდ ჩვენთვის საინტერესო მიმღეობა სახელობითში დგას (და არა ვითარებითში). მისი ძველი მნიშვნელობის გასაგებად ეს უკეთესიცაა: ჴორცი წუადი მხოლოდ ამას ნიშნავს: შესაწვავი ხორცი, მაშინ როდესაც მომეც მე ჴორცი წუადად კაცს შეეძლო ასეც გაეგო: მომეცი მე ხორცი სამწვადედო. მაგრამ არა: მომეც მე ჴორცი წუადი ნიშნავს: მომეცი მე შესაწვავი ხორცი, და: მომეც მე ჴორცი წუადად—მომეცი მე ხორცი შესაწვავად.

სწორედ ამ უკანასკნელი სახით იხმარება ეს სიტყვა ამ ადგილას ოშკის ბიბლიაში: „მომეც მე ჴორცი შესაწუავად მღდელისათჳს და არა მოვიღო მგბარი ქუაბთაგან“ (1 მეფ., ფურც. 4, II სვეტი, 8—11 სტრ.). შესაწუავად, რასაკვირველია, უფრო ახალი ფორმაა და ზუსტად გადმოგვცემს იმ მნიშვნელობას, რაც ჰქონდა ფორმას წუადად. მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, თუ როგორ ერთნაირად ცვლის ძველი წარმოების მიმღეობას ახალი წარმოების მიმღეობა ჩვენთვის საინტერესო ორივე სიტყვაში: ჭამადი—საჭმელი, წუადი—შესაწუავი. სწორედ სა- და სა-ელ აფიქსებიანი მიმღეობა არის კანონიერი მემკვიდრე ჭამადი, წუადი და მსგავსი ფორმებისა.

ბიბლიის თბილისურ გამოცემაში (1884 წ.) ოშკური ხელნაწერის შესაწუავად ფორმას სწორედ სა-ელ აფიქსებიანი წარმოება ცვლის: „მეც ჴორცი შესაწველად მღდელისა და არღარა მოვიღო შენგან ჴორცი მგბარი სიავისა-

გან“. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე ორთოგრაფიულ სიახლეს, რომლის მსგავსიც თვით ძველ ქართულშიც არა ერთი გვხვდება (უნდა ყოფილიყო: შესაწუველად), უნდა ვთქვათ, რომ აქაც ყველაფერი რიგზეა: შესაწველად იგივე შესაწუავად არის, მაშასადამე, სავსებით ფარავს ძველ წუადად ფორმას.

შესაძლებელია, მწვადი ძველი გაგებით ფშაურშიც იყოს შემორჩენილი, აქედან ვაჟას ენაშიც. ამას უნდა ადასტურებდეს ვაჟას ერთ-ერთი მოთხრობის („ახალი წელი ფშავში“) ეს ადგილი: „ბოლო ტაგნის ძირში ირმის მწვადი იდვა, — ესეც ნადირობით შეძენილი“ (ვაჟა-ფშაველა, მოთხრობები, VI, 1939, გვ. 192, 20). მწვადი აქ სამწვადე, შესაწვავ ხორცს უნდა ნიშნავდეს.

ამგვარად, ძველი ქართული წუადი თავდაპირველად ნიშნავდა შესაწვავს (ყველაფერს, რაც შეიწვებოდა), შემდეგ — შესაწვავ ხორცს. ახალ ქართულში ამ სიტყვამ კიდევ იცვალა მნიშვნელობა, იგი ახლა შემწვარი ხორცის აღსანიშნავად იხმარება. ეს მისი ფართო მნიშვნელობაა. ვიწრო მნიშვნელობით მწვადი დღეს არა ყოველნაირად შემწვარ ხორცს გამოხატავს, არამედ გარკვეული სახისას და გარკვეული საშუალებით: დღეს მწვადია შამფურზე აგებული ცეცხლზე (ნაკვერჩხალზე) შემწვარი ხორცი.

რაც შეეხება მ-ს საკითხს ახალი ქართულის მწვად-ში, იგი გვიანდელი წარმოშობისაა და ისევე არაა ამ ფუძის თავდაპირველი კუთვნილება, როგორც იგივე მ არ არის ძირის კუთვნილება ახალი ქართულის ფორმებში: მ-ჭად-ი, მ-ტრედ-ი, მ-ტევან-ი, მ-შვენიერ-ი, მ-სხალ-ი, მ-სუბუქი და სხვა, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი (გვ. 169).

რომ მ ამ ფორმაში ახალი გაჩენილია, ჩანს იქიდანაც, რომ მ არა გვაქვს აგრეთვე სხვა ქართველურ ენებშიც, რომლებშიც ეს სიტყვა ქართულიდან უნდა იყოს შესული: მეგრულში არის წვადი, სვანურის ბალსზემოურ, ბალსქვემოურ და ლენტეხურ კილოში უმლაუტიანი ფორმაა: წვა̈დ, ხოლო ლაშხურში — უუმლაუტო: წვად. მ კი არსად არა ჩანს.

ზეო ქვაჭაძე

ტოლად-შერწყმული სახელები ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით

I. „ტოლად-შერწყმული სახელი უკავშიროდ (ასინდეტურად) შეერთებული სახელია და იმდენ ცნებას შეიცავს, რამდენიც წევრია შეერთებული“ [1]. გავრცელებულია ორცნებიანი ტოლად-შერწყმული სახელები, სამ- და მეტცნებიანი კა იშვიათად გვხვდება.

> ოთახში მხოლოდ *მამა-შვილი* დარჩა (ნ. ზომოური, 198);
> აღარ გვაშინებს *ლეკ-ოსმალ-სპარსი* (ვაჟა, 1,190);
> ...უნდა გარს უვლიდე *ბატ-ინდაურ-ქათამ-ჭუკ-წიწილას*...
> (ი. ევდოშვილი, 3,229).

სახელთა შეერთება, საზოგადოდ, ფორმალურია: რთულში გაერთიანებულ თვითეულ სახელს შენარჩუნებული აქვს თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. ამის გამო ასეთი რთული სახელები ადვილად ნაწევრდება დამოუკიდებელ ლექსიკურ და გრამატიკულ ერთეულებად. მაგ., დედ-მამა — დედა და მამა, ცოლ-ქმარი — ცოლი და ქმარი, დედა-შვილი — დედა და შვილი.

ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები უკანასკნელს დაერთვის [2]: დედ-მამა-მ, დედ-მამა-ს, დედ-მამ-ის... და-ძმა-ნ-ი, და-ძმა-თ, და-ძმ-ებ-ი, და-ძმ-ებ-ს... ასეთი სახელი წინადადებაში ერთი წევრია, ე. ი. რამდენიმე ერთგვარი წევრი ერთ წევრად არის ქცეული. მაგ., „ვანოს *დედა* და *მამა* სოფელში ცხოვრობენ“ ერთგვარქვემდებარიანი შერწყმული წინადადებაა, „ვანოს *დედ-მამა* სოფელში ცხოვრობს“ — მარტივი.

მაშასადამე, ტოლად-შერწყმული სახელი წინადადებაში ერთ გრამატიკულ ოდენობას წარმოადგენს — მორფოლოგიურსა და სინტაქსურს.

II. შერწყმულ სახელთაგან წინა სახელი (თუ სახელები), ჩვეულებრივ, ფუძის სახით არის წარმოდგენილი: *და-ძმა*, *ცოლ-შვილი*, *ცოლ-ქმარი*, *ყვავ-*

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 158.
[2] იქვე, გვ. 158.

ყორანი... გვხვდება ორიოდე გამონაკლისიც, სადაც წინა სახელს (სახელებს) უკანასკნელი ხმოვანი აქვს ჩამოკვეცილი [1].

თედოს *დედ*-მამა იქვე ცხოვრობდა (დ. შენგელაია, 1,517);

...ერთად აყაყანდნენ მუხრანბატონიანთ *დეიდ*-მამიდები (ლ. გოთუა, 709);

დაგხოც ერთად *დედ*-მამ-შვილთა (ბესიკი, „რძალდედამთილიანი“).

III. „სიტყვათა შერწყმისას რიგი ჩვეულებრივ ასეთია: ჯერ მოკლე, შემდეგ გრძელი: ხმალ-ხანჯალი, ციხე-ქალაქი, წეს-წყობილება, ბედ-იღბალი, ჭივ-ღომბორი და სხვ. ამას გარდა, მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ, თუ შერწყმულებში ურევია ხმოვანზე გათავებული ფუძე, ის პირველ ადგილზე იყოს“ [2]. ამასთანავე, როგორც დ. *ყიფიანი* აღნიშნავდა, როცა შერწყმული სახელები სხვადასხვა სქესის აღმნიშვნელი სიტყვებია, ჩვეულებრივ, ჯერ ქალის სახელია, შემდეგ — კაცისა [3].

ზემოთ დასახელებული არც ერთი წესი არ არის ენაში ბოლომდე საყოველთაოდ გატარებული. გვაქვს გამონაკლისები. თანაბარ პირობებში პირველ ადგილზე, ჩვეულებრივ, იმ საგნის სახელია, რომელიც უახლოესია ან ძირითადი, პირველადი: *მამა-პაპა*, *ქმარ-შვილი*. ზოგჯერ არ არის ნათელი ის საფუძველი, რომელსაც შერწყმული სახელების რიგი ემყარება: ტურა-მელა, ცხვარ-ძროხა, ღორ-ხბო, ხელ-ფეხი...

შერწყმულ სახელთა რიგი, ჩვეულებრივ, მყარია, მაგრამ ზოგიერთ სახელთან მერყეობაც შეინიშნება: ერთ და იმავე შერწყმულ სახელთაგან ხან ერთია პირველ ადგილზე და ხან მეორე.

არსად *ტყე-ჭალა* შრიალებს (შ. მღვიმელი, 1,57);

აყვავებული *ველ-მინდორი* ჭრელად მოჩანდა (ვ. ბარნოვი, 3,365).

ტურა-მელები ფრინველებს იპარავდნენ... (აკაკი, 8,190).

მაგრამ:

ჭალა-ტყეები ჩნდებიან თეთრად საპენტი ბამბისა (შ. მღვიმელი, 1,47).

...*მინდორ-ველი* სხვადასხვა ჰანგზე ახმაურდა (თ. რაზიკაშვილი, 181).

დათვს იმის მეასედი ზარალიც არ მოუცია ჩვენთვის, რაც ამ მგლებმა და *მელა-ტურებმა* მოგვცესო (ვაჟა).

სახელთა შერწყმა ახალ ქართულში უფრო გავრცელებულია, ვიდრე ძველსა და საშუალში. ზოგჯერ შეცვლილია შერწყმულ სახელთა რიგიც. მაგ., ახალ ქართულში გვაქვს მხოლოდ *დედ-მამა*, ძველში კი ჩვეულებრივია *მამა-დედა*.

მიუგეს *მამა-დედათა* მისთა (იოვ. 9,20);

აღდგენ შვილნი *მამა-დედათა* მათთა ზედა (მათ. 10,21).

ეს რთული სახელი ამ სახით საშუალ ქართულშიც გვხვდება.

...*მამა-დედას* მთელი მიჰგვაროს (საბა, 1,90);

აქიმმან რა შეიგნა, *მამა-დედას* აღარ აჩვენა (საბა, 1,90).

მამა-დედა-ს გვერდით სპორადულად ძველსავე ქართულში გვხვდება *დედა-მამა* (ხმოვნის მოუკვეცლად).

---

1 შდრ. ა. *შანიძე*, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 158.

2 ა. *შანიძე*, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 159.

3 დ. *ყიფიანი*, ახალი ქართული გრამატიკა, 1882, გვ. 28.

აღდგენ შვილნი დ ე დ ა-მ ა მ ა თ ა ზედა თჳსთა (მათ. 10,21 C).

ამ რიგით ხმარება (ოღონდ ხმოვნის მოკვეცით) ხშირია საშუალ ქართულში. მაგ., დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს ნახმარი აქვს დ ე დ-მ ა მ ა.

მათი დ ე დ-მ ა მ ა ც იქ იქნებიან (234/201);

ბიჭის დ ე დ-მ ა მ ა მ კაცი გალანძღეს (227/192).

ახალ ქართულში საბოლოოდ დამკვიდრდა დ ე დ-მ ა მ ა.

IV. შერწყმული სახელები შინაარსობლივ მრავალფეროვანია. ერწყმება არა მარტო საზოგადო სახელები, არამედ საკუთარიც. ამ უკანასკნელთაგან ხშირია შერწყმა გეოგრაფიული სახელებისა[1], ადამიანის საკუთარ სახელთა შერწყმის შემთხვევები კი იშვიათად გვხვდება.

...ი რ ა ნ-ო ს მ ა ლ ე თ ი ურთიერთ ომით იყვნენ გართულნი (ლ. გოთუა, 286);

ფ ა რ ნ ა ო ზ-ტ ა ს ი კ ო ს... ცა გაეხსნათ და დაეფინათ ნათელი სიამისა (ვ. ბარნოვი, 2,238);

ი რ ე მ-ს ე რ ე მ-ს უ რ ე მ ი ყურს არ იბერტყენ... (ვაჟა, 3,202).

შერწყმული სახელები, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, შეიძლება იყოს სინონიმები (ბედ-იღბალი, ტოლ-ამხანაგი), ანტონიმები (დედალ-მამალი, მტერ-მოყვარე, მთა-ბარი...), ან კიდევ რაიმე ნიშნის მიხედვით ერთმანეთთან დაახლოებული საგნების სახელები (ცოლ-ქმარი, და-ძმა, მამა-შვილი...)[2].

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ ორი უკანასკნელი ჯგუფის სახელებისაგან წარმომდგარ ტოლად-შერწყმულ სახელებს, რომელნიც ყურადღებას იქცევენ როგორც ლექსიკური შინაარსის მიხედვით, ისე გრამატიკული თვალსაზრისითაც.

მნიშვნელობის თვალსაზრისით აღნიშნული ჯგუფის სახელებთან დაკავშირებით აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი, სახელდობრ:

1. შერწყმული სახელები ნახმარია პირდაპირი მნიშვნელობით: რთული სახელების მნიშვნელობა იდენტურია მასში გაერთიანებული სახელების მნიშვნელობათა ჯამისა.

ც ო ლ-ქ მ ა რ მ ა გაოცებით ერთმანეთს შეხედეს (ილია, 139);

წინანდებულად ტკბილად ჭუკჭუკებდა დ ე დ ა-შ ვ ი ლ ი (ვ. ბარნოვი, 3,32).

ც ო ლ-ქ მ ა რ მ ა და დ ე დ ა-შ ვ ი ლ ი დამოწმებულ მაგალითებში მნიშვნელობით იგივეა, რაც ც ო ლ მ ა და ქ მ ა რ მ ა, დ ე დ ა და შ ვ ი ლ ი.

2. შერწყმული სახელები ცალ-ცალკე ერთ ცალ საგანს აღნიშნავენ, რთულში გაერთიანებისას კი კრებითის მნიშვნელობა აქვთ.

გაწყვიტა დ ი ა ც-უ მ ა წ ვ ი ლ ი, ცამდის აცგო მკვდარია (ხალხური);

ცხვრები მოაბღავლეს, ქათმები ააკრიახეს, ბ ა ტ-ი ნ დ ო უ რ ი მორეკეს (აკაკი, 1,231);

...ბებიამ... ცალი ხელი ერთს გაუშვირა ეზოსაკენ, სადაც ბ ა ტ-ი ნ დ ა უ რ-ქ ა თ ა მ ი ირეოდა (ი. ევდოშვილი, 3,229).

სახელები, რომელნიც ცალკე ერთ ცალ საგანსაც აღნიშნავენ და მრავალსაც, შერწყმისას, ჩვეულებრივ, კრებითის მნიშვნელობით არიან ნახმარი.

გაწყდა ც ხ ვ ა რ-ძ რ ო ხ ა სიმშილით (ვაჟა, 2,45);

ც ხ ვ ა რ-ძ რ ო ხ ა ს, საგანძურებსა ფარულს ალაგას ჰმალავენ (ვაჟა, 2,176).

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 159.

[2] იქვე, გვ. 158—159.

3. შერწყმულ სახელთაგან წინა ერთ ცალ საგანს აღნიშნავს, მომდევნო — ერთსაც და ერთზე მეტსაც. მაგ., *ქმარ-შვილი* და *ცოლ-შვილი* შეიძლება აღნიშნავდეს არა მარტო *ქმარსა* და *შვილს*, *ცოლსა* და *შვილს*, არამედ *ქმარსა* და *შვილებს*, *ცოლსა* და *შვილებს*. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის ნახმარი ეს რთული სიტყვები შემდეგ მაგალითებში:

ქმარ-შვილით[1] მეტად ბედნიერი იყო მარიამ ბედოშვილი (ლ. გოთუა, 62);

გოგიამ გატრუნა სული და მიაყურა მძინარე *ცოლ-შვილს*[2] (ე. ნინოშვილი, 142).

V. ტოლად-შერწყმული სახელები ყურადღებას იქცევენ მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისითაც. ამ მხრივ მათ ზოგიერთი თავისებურებაც ახასიათებს.

1. მრავლობითი რიცხვის უქონელ სახელებს არც შერწყმულად ხმარებისას ეწარმოებათ მრავლობითის ფორმები.

...თითქოს ამის *სიკვდილ-სიცოცხლე* ამ წუთზე არის დამოკიდებული (თ. რაზიკაშვილი, 199).

2. ტოლად-შერწყმული სახელის კომპონენტებს ცალკე მრავლობითის ფორმებიც მოეპოვებათ, შერწყმულად ხმარებისას კი, ჩვეულებრივ, მარტო მხოლობითში იხმარებიან. მაგ., ითქმის: ხელი—ხელები, ფეხი—ფეხები, დედა—დედები, მამა—მამები, მაგრამ შერწყმულად მარტო მხოლობითის ფორმით გვხვდება: ხელ-ფეხი, დედ-მამა[3].

3. ტოლად-შერწყმულ სახელთაგან ზოგისათვის *ებ*იანი წარმოებაა ჩვეულებრივი, ზოგისათვის — *ნარ-თა*ნიანი, ზოგიც ორივე წარმოებას იგუებს.

I-ის მაგალითებია:

გოგო-ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ (ილია, 452);

მოიცურცლებოდნენ *ტურა-მელები* (ლ. გოთუა, 148).

II-ის მაგალითებია:

მხიარულნი *ქალ-ვაჟნი* მოშორდნენ ბავშვებს (ნ. ლომოური, 303);

ოთხშაბათს დილით *რძალ-მაზლნი* არაგვის ჭალაზე მიდიოდნენ (ვაჟა, 4,11);

მცირე ვახშმის შემდეგ *ცოლ-ქმართ* ადრე დაიძინეს (ვაჟა, 3,479).

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს *ქალ-ვაჟები*, *გოგო-ბიჭნი*.

ქალ-ვაჟები წყვილ-წყვილად შედიოდნენ იმ წყვდიადში (მ. ჯავახიშვილი, 1,263).

III-ის მაგალითებია:

დედა-შვილთ დედაშვილურად ტკბილად ჩაეძინათ (ვაჟა, 3,85);

დედა-შვილები ერთმანეთს არ შორდებოდნენ (თ. რაზიკაშვილი, 200).

ზოგიერთი ტოლად-შერწყმული სახელი, ჩვეულებრივ, მრავლობითის ფორმით იხმარება.

---

[1] ე. ი. ქმრითა და შვილებით.

[2] ე. ი. *ცოლსა* და *ხუთ შვილს*.

[3] ძველ ქართულში მრავლობითშიც იხმარებოდა: აღდგენ შვილნი *დედა-მამათა* ზედა თჳსთა (მ. 10,21 C).

...*მამა-ბიძანი* ფიჩხისათვის ტყეში უნდა წასულიყვნენ (ნ. ლომოური);
...მკითხავდნენ გაოცებული *მამა-ბიძები* (თ. რაზიკაშვილი, 349).

ტოლად-შერწყმულ სახელთა მრავლობითის ფორმა მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარია. გასარჩევია რამდენიმე შემთხვევა, სახელდობრ:

1. მრავლობითის წარმოება ფორმალურია. მაგ., *ქალ-ყმანი*, *ცოლ-ქმარნი*, *და-ძმანი* ქვემოთ დამოწმებულ წინადადებებში მნიშვნელობით იგივეა, რაც ამ სახელთა მხოლობითის ფორმები.

ტირან ორნივე *ქალ-ყმანი* (რუსთველი, 1623,3);
იყვნენ ქალაქსა კონსტანტინეპოლისასა ერთი *ცოლ-ქმარნი*... (საბა, 1,149);
ცოლ-ქმარნი[1] სადილზედ გამხიარულდნენ (ილია, 385);
ცაცა და ვანო *და-ძმანი* იყვნენ (ი. ევდოშვილი, 3,8).

2. მრავლობითშია ტოლად-შერწყმული სახელის უკანასკნელი წევრი, წინა სახელი (სახელები) კი ერთ ცალ საგანს აღნიშნავს.

მეფე-ელჩები (=მეფე და ელჩები) როგორც კი გავიდნენ, მედავთრეც კალათითურთ მიჰყვა ზაზას (ლ. გოთუა, 516);
...ერთმანეთს ველარ სცნობდნენ *მამა-შვილები* (=მამა და შვილები) (ვაჟა, 3,496);
ცოტა ხნის შემდეგ სამივე *დედა-შვილები* (=დედა და შვილები) მაგიდას მოუსხდნენ (დ. კლდიაშვილი, 1,244);
...ქართლოსის *ცოლ-შვილნი* (=ცოლი და შვილები) სადღაც სოროში შემძვრალან (ვაჟა, 2,158).

2. მრავლობითშია ტოლად-შერწყმული სახელის ყველა წევრი.

მაგონდება *ნაცნობ-მეგობრები* (მ. ჯავახიშვილი, 2,571);
...დაჰყრანტალებენ *ყორან-სვავები* (ვაჟა, 1,259);
ცხრა-ათ კუთხიდამ მოდიან *ფშაველ-ხევსურნი* (ვაჟა, 2,76).

ტოლად-შერწყმული სახელები დამოწმებულ წინადადებებში მნიშვნელობით იგივეა, რაც: ნაცნობები და მეგობრები, ყორნები და სვავები, ფშაველნი და ხევსურნი.

VI. ტოლად-შერწყმული სახელი, რომელიც წინადადებაში ქვემდებარეა ან დამატება-ობიექტი, ყურადღებას იქცევს მასთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის თვალსაზრისით. სალიტერატურო ენასა და კილოებში ამ მხრივ არა გვაქვს ერთგვარობა. შეინიშნება სხვადასხვაგვარი ტენდენცია; გამოიყოფა საკითხები, რომელნიც სადავოა და სათანადო გადაწყვეტას მოითხოვენ. აქ ჩვენ განვიხილავთ ტოლად-შერწყმული სახელის მხოლობითი რიცხვის ფორმით გადმოცემულ ქვემდებარესა და დამატება-ობიექტებთან შემასმენლის რიცხვში შეწყობის შემთხვევებს (ძირითადად სალიტერატურო ენის მონაცემების მიხედვით).

ქვემდებარე და შემასმენელი

1. არასულიერთა სახელებით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელი, ჩვეულებრივ, მხოლობითში ეწყობა.

დაიწყო ცეკვა *მთა-ბარმა* (ვაჟა, 3,408);
ტყე-ველი ლაღად *ბიბინებს* (ი. ევდოშვილი).

---

[1] იგულისხმება *დარეჯანი* და *ლუარსაბი*.

2. როცა ქვემდებარედ სულიერ საგანთა სახელებისაგან წარმომდგარი ტოლად-შერწყმული სახელია, ხშირია შემასმენლის როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში დასმა. პირველ შემთხვევაში შემასმენელი ქვემდებარის გრამატიკულ ფორმას უწევს ანგარიშს, მეორე შემთხვევაში კი — მის შედგენილობასა და მნიშვნელობას.

ა) შემასმენელი მხოლობითშია:

ქალ-ვაჟი ერთმანეთს იცნობდა უკვე (ვაჟა, 4,122);

დედ-მამამ ქეთოს შეუკერა... მშვენიერი ქართული ტანისამოსი (ი. გოგებაშვილი, 233);

მამა-შვილი გაოცებული შესცქეროდა მოხუც მებორნეს (კ. გამსახურდია, 1,23);

თედოს დედ-მამა იქვე ცხოვრობდა (დ. შენგელაია, 1,517);

მაყრიონის თავში მოდიოდა მეფე-დედოფალი (გრ. აბაშიძე, 94).

ბ) შემასმენელი მრავლობითშია:

ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეხედეს (ილია, 379);

დედ-მამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუხდნენ (აკაკი, 1,45);

ქალ-ვაჟი დაბრუნდნენ სურამიდან (ვ. ბარნოვი, 2,45);

დედა-შვილმა ერთმანეთს გადახედეს (ნ. ლორთქიფანიძე, 2,262);

ანალოგიური ვითარებაა საშუალ ქართულსა და კილოებში. ძველ ქართულში ტოლად-შერწყმული სახელები შედარებით იშვიათად იხმარება, თანაც ქვემდებარედ გამოყენებისას ჩვეულებრივ მრავლობითშია, ასე რომ რაიმე გარკვეული წესის დადგენა ძნელდება. დავიმოწმოთ ორიოდე მაგალითი საშუალი ქართულიდან.

მე მომითხრობდა პაპა-ბებია (დ. გურამიშვილი, 274/491);

ქედსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხი მოვიდეს ერთგან რებულნი (რუსთველი, 908,1);

მეფე-დედოფალი შემოვიდნენ... (საბა, 1,108);

ბიჭის დედ-მამამ კაცი გალანძღეს (დ. გურამიშვილი, 227/192).

ახალ ქართულში, როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, თვით ერთი და იმავე მწერლის ნაწერებშიც კი არ არის ერთგვარობა. ამასთანავე, ერთი და იგივე შემასმენელი ხან მხოლობითშია დასმული, ხან მრავლობითში:

ა) და-ძმა ერთმანეთს გადაეხვია (რ. გვეტაძე, 424);

და-ძმა მხურვალედ გადაეხვიენ ერთმანეთს (დ. კლდიაშვილი, 1,137).

ბ) თედოს დედ-მამა იქვე ცხოვრობდა (დ. შენგელაია, 1,517);

მაინც იმედით ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი (ვ. ბარნოვი, 9,204).

თუ ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენელი მრავლობითში ეწყობა, ამავე რიცხვში დგას, ჩვეულებრივ, პრედიკატული განსაზღვრებაც:

მამა-ქალიშვილი გაოცებულნი უგდებდნენ ყურს... (ნ. ლომოური, 120);

ქალ-ყრმა ერთ წამს შედგნენ გაქვავებულნი (ვ. ბარნოვი, 2,238).

ერთგვარობა არა გვაქვს ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის შეწყობის მხრივაც. ძირითადი შემთხვევებია:

1. შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი — სახელადი და ზმნური — მხოლობითშია.

დედ-მამა მოწადინებული იყო ბავშვები შიშს გადასჩვეოდნენ (კ. გამსახურდია, 2,225);

ბედნიერი იყო ეს ყოველ კეთილით სავსე ცოლ-ქმარი (ვ. ბარნოვი, 3,160).

2. შედგენილი შემასმენლის ორივე ნაწილი მრავლობითშია.

...ირან-ოსმალეთი ურთიერთ ომით იყვნენ გართულნი (ლ. გოთუა, 286);

დიდებული ცოლ-ქმარი მოღალატენი იყვნენ... (ვ. ბარნოვი, 3,279).

3. სახელადი ნაწილი მხოლობითშია, ზმნური — მრავლობითში.

...ჩემი დედ-მამა ეგებ აღარც კი იყვნენ ცოცხალი (ე. ნინოშვილი, 289);

ერთობ მაგარი ზნეობა-ხასიათისა უნდა ყოფილიყვნენ ქალ-ვაჟი (ვ. ბარნოვი, 1,325).

როცა ვარ ზმნის მესამე პირის ფორმა შეკვეცილია, შედგენილი შემასმენლის რიცხვი მხოლოდ სახელადი ნაწილით არის გამოხატული: ნეფე-დედოფალი წისქვილის ქვებია (ვაჟა, 3,92).

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზოგჯერ ტოლად-შერწყმული სახელით არის გადმოცემული. ისეთ ქვემდებარესთან, რომელიც შემასმენელს მრავლობითში მოითხოვს, მეშველი ზმნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც.

ნუ ნაღვლობ. ჩვენ თითქმის ცოლ-ქმარი ვართ (მ. ჯავახიშვილი, 4,349);

თქვენ ჩემი დედ-მამა ხართ (ხალხური);

ცაცა და ვანო და-ძმანი იყვნენ (ი. ევდოშვილი).

სუბიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათა შეწყობის მხრივ ასეთი შემთხვევები გვხვდება:

1. შემასმენლად შეწყობილია მხოლობითის ფუძე (მხ. რ. ფორმით):

ხის ძირში სასიკიას დედ-მამა იჯდა (ნ. ლორთქიფანიძე, 2,51);

...უკვე მატარებელში იჯდა მათი ცოლ-შვილი (ა. გვეტაძე, 224).

2. შემასმენლად მრავლობითის ფუძეა:

ა) მხოლობითის ფორმით.

...მას შემდეგ მისი ცოლ-შვილი დაცვივდა უპატრონოდ (ე. ნინოშვილი, 343);

ხომ შიმშილით დაგვეხოცა ცოლ-შვილი (ვ. ბარნოვი, 3,435).

ბ) მრავლობითის ფორმით:

ქალ-ვაჟი გვერდი-გვერდ დასხდნენ (ა. გვეტაძე, 199);

მეფე-დედოფალი მზესა და მთვარესავით *ისხდნენ*... (ვაჟა, 3,95).

კილოებში მხოლობითის ფუძე შეიძლება მრავლობითის ფორმითაც შეგვხვდეს: *დედა-შვილი დაჯდნენ* და მისთ.

შემასმენელი, ისევე, როგორც ქვემდებარე, ჩვეულებრივ, მხოლობითში დგას, როცა ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს განსაზღვრული ან განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი (ორი, სამი... ბევრი, მრავალი, ყველა, რამდენიმე...).

ყველა დედალ-მამალი თავის ბუდესთან *მიდის* (ი. გოგებაშვილი, 157);

იქ სცხოვრობდა ორი მოხუცებული *ცოლ-ქმარი*, თამარი და პაპა (ვაჟა, 3,21).

ამ ტიპის ქვემდებარესთან შემასმენელი იშვიათად მრავლობითშიც გვხვდება.

...*შვიდი და-ძმა* ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან შვიდ სხვადასხვა ენაზე წერილებს *სწერენ* ერთმანეთს (კ. გამსახურდია, 2,239);

ორივე დედა-შვილმა ხმა *გაკმინდეს* (დ. კლდიაშვილი, 1,243).

რამდენადაც დაშორებულია ერთმანეთს ასეთი ქვემდებარე და შემასმენელი, მრავლობით რიცხვში შეთანხმება უფრო ხშირია, რამდენადაც ახლოა, — იმდენად იშვიათი.

სახელი, რომელსაც ატრიბუტულ განსაზღვრებად ტოლად-შერწყმული სახელი ახლავს, როგორც წესი, მხოლობითში დგას.

დედა-შვილი შოშია როდი მეკარებიან (შ. მღვიმელი, 1,229);

ძაღლებმა ახლა *დედალ-მამალი ფარშავანგი* წამოაგდეს ღელე-ჯაგიდან (ლ. გოთუა, 689).

შემასმენელი, რომლის ქვემდებარესაც ატრიბუტულ განსაზღვრებად ტოლად-შერწყმული სახელი ახლავს, ჩვეულებრივ, მხოლობითში დგას.

დედალ-მამალი ორბი დამჯდარა ფერდშელეწილი კლდის ნამუსრევზე (კ. გამსახურდია, 2,184).

სალიტერატურო ენაში გვხვდება აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევებიც.

მოესწროთ დედალ-მამალ ჩხიკვსა (ვაჟა, 4,43).

ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემული ქვემდებარე ყურადღებას იქცევს მასთან რამდენიმე ერთგვარი შემასმენლის შეწყობის მხრივაც. ამასთან დაკავშირებით სილ. ხუნდაძე ასეთ წესს იძლეოდა: „როცა სულიერი საგნის რთულ ქვემდებარესთან რამდენიმე შემასმენელია, პირველი მხოლობითში დაისმის, დანარჩენი კი ყველა მრავლობითში: *და-ძმა* ერთად *ცხოვრობს*, დილ-დილობით შკოლაში *დადიან*, ნასადილევს კი ყმაწვილებს *ასწავლიან* და ამით თავს *ირჩენენ*“ [1].

სალიტერატურო ენაში (აგრეთვე კილოებში) ეს წესი საყოველთაოდ არ არის გატარებული. გვხვდება ერთგვარი შემასმენლების შეწყობის სამი შემთხვევა:

---

[1] სილ. *ხუნდაძე*, ქართული გრამატიკა, მე-5 გამოცემა, ქუთაისი, 1917, გვ. 81.

1. ყველა შემასმენელი მხოლობითშია:

დედალ-მამალი დაფრინავს მინდორში, იჭერს პეპლებს, ბუზებს, ჭიებს, მატლებს და მიარბენინებს თავის ბარტყებთან (ი. გოგებაშვილი, 126);

დედ-მამამ მტერს თვალი დაუყენა და მოყვარეს გული გაუხარა ოჯახის ბედნიერებით (ნ. ლორთქიფანიძე, 2,15);

აჯალა — საგანგებოდ გაკეთებული ტახტი, რომელზედაც ნეფე-დედოფალი ჯდება და დგება (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1961, გვ. 646).

2. ყველა შემასმენელი მრავლობითშია:

...მოწამლული დედა-შვილი გათენებამდის ჰბორგავენ და თავგანწირვით ებრძვიან უჩინარ მოსისხლეებს (მ. ჯავახიშვილი, 2,85);

ცოტა ხნის შემდეგ და-ძმა ბუდის პირას ისხდნენ, ფრთებს ისწორებდნენ და ხარბი თვალით გასცქეროდნენ ცის ქვეშეთს... (თ. რაზიკაშვილი, 390).

3. პირველი შემასმენელი მხოლობითშია, მომდევნო (ან მომდევნოები) — მრავლობითში.

...შეშინებულმა დედ-მამამ ჩირაღდნებით დაუწყო ძებნა სოფლის გარშემო, დიდხანს ეძებეს და ბოლოს თავს წაადგნენ ტყეში გამდელს (ი. გოგებაშვილი, 225);

სალამოხანს ცოლ-ქმარი მიუჯდებოდა ლადარში ჩაკრულ მჭადსა და ლობიოს და ტკბილად ჰუტუნებდნენ (კ. ლორთქიფანიძე, 80).

შემასმენელი, საზოგადოდ, რიცხვში ანგარიშს უწევს ქვემდებარის გრამატიკულ ფორმას. მაგ., ამჟამად სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ასეთი შეწყობა: სტუდენტობა სწავლობს, ხალხი მოგროვდა, ორი ამხანაგი წავიდა, რამდენიმე ბავშვი თამაშობს და მისთ. გრამატიკული თვალსაზრისით, მსგავსად აღნიშნული შემთხვევებისა, ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ქვემდებარესთან შემასმენლის მხოლობითში დასმა უფრო ბუნებრივი ჩანს: ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, დედ-მამა წავიდა და მისთ.[1]

VII. ზოგიერთი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან, როგორც ცნობილია, შეიძლება აღინიშნოს ირიბი დამატების მრავლობითობაც (თუ შემასმენელი ქვემდებარესთან არ არის შეთანხმებული რიცხვში). ასეთი ზმნები ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ირიბ დამატებასთან ორსავე რიცხვში გვხვდება.

1. შემასმენელი მხოლობითშია:

ბარტყების დედ-მამას ეს ძალიან გაუხარდა... (ი. გოგებაშვილი, 27);

...ვაჟი გაუჩნდა ცოლ-ქმარს (ვ. ბარნოვი, 3,164);

...რაღაც დიდი უსიამოვნება უნდა მოსვლოდა ცოლ-ქმარს (კ. გამსახურდია, 2,587).

2. შემასმენელი მრავლობითშია:

---

[1] შდრ. რ. შამელაშვილი, ორცნებიანი ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი: საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მეექვსე რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, თბილისი, 1965 წლის 25 და 26 დეკემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 1965, გვ. 16.

ქალ-ვაჟს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ (ვაჟა, 4,116);

არც და-ძმას ავიწყდებოდათ მათი დედ-მამის შობილი (ს. მღვიმელი, 1,235);

...ცოლ-ქმარს დიდი უსიამოვნება მოსდიოდათ... (ვ. ბარნოვი, 3,163).

როცა ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ ირიბ დამატებასთან რამდენიმე შემასმენელია დაკავშირებული, შეიძლება ყველა მხოლობითში იდგეს ან მრავლობითში, ან კიდევ პირველი შემასმენელი — მხოლობითში, მომდევნო (მომდევნონი) — მრავლობითში. დავასახელებთ უკანასკნელი შემთხვევის შესაბამის მაგალითს.

ცოლ-ქმარს ძველი ქონი არ დაკლებია, სასაფლაოზე მოწეული ჭირნახული წლიდან-წლამდე ყოფნიდათ სარჩოდ (რ. გვეტაძე, 232).

VIII. პირდაპირ-ობიექტური პირების მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნათაგან ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ პირდაპირ დამატებასთან შემასმენლად, ჩვეულებრივ, მრავლობითის ფუძეა გამოყენებული.

ნეფე-დედოფალი ისევ ბანზე დასხეს (ვაჟა, 4,139);

კიდევ აჯობა გიორგიმ, დააყრევინა ფარ-ხმალი (ლ. გოთუა, 60);

ამისთანა მდგომარეობაში იყო მეფე, როცა ბრძანა გადაეყარათ გელიყარხანის კლდიდან ბორღანაშვილის ცოლ-შვილი, იმავე კლდიდან, საიდანაც თითონ ბორღანაშვილი გადააგდო საჩინომ (ვ. ბარნოვი, 1,118);

...და თუ გატყუებდეთ, ჩვენ დაგვხოცეთ და ჩვენი ცოლ-შვილიც ამოჟლიტეთო (მ. ჯავახიშვილი, 4,485);

გაწყვიტა დიაც-ყმაწვილი, ცამდის ააგო მკვდარია (ხალხური).

ზმნის ფორმას, რომელიც ტოლად-შერწყმული სახელით გადმოცემულ პირდაპირ დამატებასთან არის დაკავშირებული, შეიძლება დაერთოს ინტენსიობის „და" ზმნისწინი.

ვისაც შეეძლო, ცოლ-შვილი სხვაგან დახიზნა (დ. შენგელაია, 1,218);

...ურმით სიმინდს წავიღებ, გავყიდი და ცოლ-შვილს დავმოსავო (ე. ნინოშვილი, 442).

IX. როცა მთავარი წინადადების მისამართი, ანუ ასახსნელი წევრი ტოლად-შერწყმული სახელით არის გადმოცემული, „რომელიც" წევრ-კავშირი, ჩვეულებრივ, მრავლობითში დაისმის[1].

უხმოდ მიჰყვებოდა ბილიკს ქალ-ვაჟი, რომელთაც ჯერაც წარმოუთქმელი სასიყვარულო სიტყვები უყვაოდათ გულში (კ. გამსახურდია);

მერე გახედა თავის ქალ-ვაჟს, რომლებიც იმას გვერდში ამოჰკროდნენ (შ. არაგვისპირელი, „და-ძმა").

„რომელიც" წევრ-კავშირი მრავლობითში იხმარება, როცა მხოლობითში დასმულ ასახსნელ წევრს ატრიბუტულ განსაზღვრებად ტოლად-შერწყმული სახელი ახლავს.

---

[1] ვ. თოფურია, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965, გვ. 96; ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, სოხუმი, 1956, გვ. 148.

გავეკარ მიწას. მივსრიალებ და თან თვალს არ ვაშორებ ბედალ-მამალ იხვს, რომლებიც ზედ ნაპირზე დაცურავდნენ (ე. კარნოვი, 1,209).

ამ შემთხვევაში წევრ-კავშირი ანგარიშს უწევს მსაზღვრელი სახელის ლექსიკურ შინაარსს.

ნაცვალსახელი, რომელიც ტოლად-შერწყმული სახელის მაგიერ არის ნახმარი, ჩვეულებრივ, მრავლობითში დაისმის [1].

...ცოლ-ქმარი მარად სიხარულით მოელოდნენ ჟამს, როცა იგინი განმარტოებულ-განცალკევებულნი შეხვდებოდნენ ერთმანეთს... (ე. კარნოვი, 3,156);

ისე გულგრილად შეჰხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ეს დიდებული ცოლ-ქმარი და ყოველივე მათი ცდა, რომ მთლად დაახლოებოდნენ ერთმანეთს, ამაო იყო და უნუგეშო (ე. კარნოვი, 3,288).

გვხვდება აღნიშნული წესიდან გადახვევის შემთხვევაც.

მეფე-დედოფალმა გვირგვინები თავის ხელით მოიგლიჯეს, გადაყარეს და დაიშინეს თავსა და პირში (ვაჟა, 3,95).

ზოგიერთ ტოლად-შერწყმულ სახელს ატრიბუტულ განსაზღვრებად შეიძლება ახლდეს რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზოგს — არა. მაგ., ვამბობთ „ხუთი და-ძმა“, „ათი ქალ-ვაჟი“, „ათი გოგო-ბიჭი“ და მისთ., მაგრამ არ ითქმის „ხუთი ცოლ-შვილი“, „ოთხი დედ-მამა“ და მისთ.

თუ ტოლად-შერწყმული სახელის კომპონენტები თითო ცალ საგანს აღნიშნავენ, ატრიბუტულ განსაზღვრებად, ჩვეულებრივ, ერთი ახლავს.

ერთი ქალ-ვაჟი სკოლაში დაუდისო (კ. გამსახურდია, 1,484);

იყო ერთი ცოლ-ქმარი (ხალხური).

ერთის ნაცვლად ზოგჯერ ნახმარია ორი.

აქ სცხოვრობდა ორი მოხუცებული ცოლ-ქმარი, თამარი და პაპა (ვაჟა, 3,21).

-ვე ნაწილაკის ხმარებისას ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ორივე გამოიყენება: ორივე ცოლ-ქმარი, ორივე და-ძმა, ორივე ქალ-ვაჟი.



[1] ნ. კასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, გვ. 208.

ზევან ხიკნაძე

შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში

„მწკრივი ისტორიულად ისეთივე ცვალებადი კატეგორიაა, როგორც სხვა გრამატიკული კატეგორიები. საუკუნეთა მანძილზე ქართულში იცვლებოდა როგორც მწკრივების რაოდენობა, ისე მათი ფუნქციები. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენია მწკრივი ქართულში, შეიძლება დაისვას და მართებულად გადაწყდეს არა საზოგადოდ, დროისა და სივრცის გარეშე, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ვითარების მიხედვით: სხვა იყო მწკრივები და მათი ფუნქციები ძველს ქართულში, სხვა იყო საშუალ ქართულში და სხვაა ახალში; სხვაა მწკრივების რაოდენობა და შინაარსი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში და სხვაა ცოცხალ კილოებში". ამას წერდა ა. შანიძე ერთ-ერთ გამოკვლევაში[1], რომელიც მან ერთ მანამდე უცნობ მწკრივს — III ხოლმეობითს მიუძღვნა.

1948 წელს ა. შანიძემ ცნობილი გახადა კიდევ ერთი უცნობი მწკრივი — შერეული კავშირებითი, რომელსაც ის გაკვრით შეეხო 1945 წელს[2]. ამ მწკრივის შესახებ წაკითხული მოხსენების თეზისებში, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „ქართული ენის IX—X სს.-თა ძეგლებში გვხვდება ფორმები, რომლებიც ვერ თავსდება ვერც ერთის აქამომდე ცნობილი მწკრივის ფარგლებში. წარმოების თვალსაზრისით ისინი II სერიას ეკუთვნიან — მის ფუძეს ეყრდნობიან, მაგრამ ზედ ურთავენ ოდ სავრცობს, რომელიც I სერიიდან არის აღებული. ამის გამო ისინი ორგვარ ბუნებას იჩენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწკრივებისა აქვთ (გარდამავალი ზმნები ქვემდებარეს მოთხრობითში შეიწყობენ, პირდ. დამატებას კი — სახელობითში), ხოლო ერთი მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ისინი

---

[1] ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. II. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია (2—4. III. 46). მოხსენებათა კრებული. 1947, გვ. 1—2.

[2] ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. I. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველს ქართულში: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VI, № 10, 1945, გვ. 843.

I სერიის მწკრივთა რიგებში დგანან: ასპექტი უსრული აქვთ. დრო მათ მომავალი აქვთ, კილო—თხრობითი ან კავშირებითი, ზოგჯერ ბრძანებითიც. ამგვარად, ფუნქციით ისინი ეტოლებიან მწკრივს, რომელიც I კავშირებითის (ან I მყოფადის) სახელით არის ცნობილი. მაგალითი: „საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდიან მას ნაყოფი ჟამთა მათთა“ (მათ. 21,41 C). აღნიშნული ორ-ბუნებოვანი მწკრივი უთუოდ მეორეული წარმოშობისაა. ამაზე მიუთითებს ობიექტური ნ ინფიქსის ჩასმა ზმნის ფუძესა და ოდ სავრცობს შორის: შეწიროდის (მან იგი), მაგრამ: შეწირნოდის (მან იგინი)“[1].

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია შერეული კავშირებითის მწკრივის 22 ფორმა, რომელთა ხმარების 32 შემთხვევა არის დადასტურებული (ზოგი მათგანი რამდენიმე ადგილას გვხვდება): 1. მოგიჴსენნოდი[2] სპევს. 81,1—2. 2. მისცოდიან[3] მ. 21,41. 3. წარავლინნოდის[4] მრ. 3.14 C. 4. დასდვოდის[5] იაკ. ქამისწ. რლ, 13. 5. აღასრულნოდიან[6] კიმ. II, 162,27. 6. ეზიარნოდიან[6] იქვე 162,28. 7. ყოდიან[6] იქვე 163,9. 8. განათიოდიან[6] იქვე, 163,10. 9. აღირაცხოდის[7] დაბ. 16,10 (ბიბლიის

---

[1] ა. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის. V. სხვა უცნობი მწკრივი ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამეცნიერო სესია (1948 წ. 31 მაისი—5 ივნისი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 18.

[2] Деяния трех святых близнецов мучеников Спевсипа, Еласипа и Мелесипа. Грузинский текст по двум рукописям X века исследовал, издал и перевел Н. Марр: ЗВОРАО, XVII, 1906, გვ. 296—297: ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი..., გვ. 843.

ნ. მარი, რომელსაც, ა. შანიძის სიტყვით, „ერთ დროს საგონებელში აგდებდა" ეს ფორმა, წერდა: „Загадочной является для меня глагольная форма მოგიჴსენნოდი... Быть может, она также—тао-кларджетизм".

[3] არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 1, 1943, გვ. 94; ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი, გვ. 843; მისივე, სხვა უცნობი მწკრივი ქართულში, გვ. 18 (მოხსენება, რომლის თეზისებშიც მხოლოდ ეს ფორმა არის დამოწმებული და ამასთან ერთად განხილულია შეწიროდის და შეწირნოდის, ჯერ არ გამოქვეყნებულა); არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1948, გვ. 59, 123, 125.

[4] არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის..., გვ. 95; ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი..., გვ. 843; არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... I, გვ. 59, 86, 123, 125.

[5] ა. შანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი... გვ. 843.

[6] კორნ. კეკელიძე, „ცხოვრება საბა პალესტინელისა“ (გამოკვლევა): ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, გამოსცა კორნ. კეკელიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946, გვ. 136; არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... I, გვ. 62—63, 65, 86, 124.

კ. კეკელიძის გამოკვლევაში ნათქვამია შემდეგი: „საყურადღებოა არაჩვეულებრივი, თითქოს დიალექტური ფორმები ზმნისა: აღასრულნოდიან, ეზიარნოდიან, ყოდიან, განათიოდიან (თ. 32). შდრ. „ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებოდიან“ (კიმენი, I, გვ. 168, 27, ვაჟა-ფშაველა: „საფლავი გამითხაროდი, ქვიშანი მომაყაროდი“)“.

[7] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა... I, გვ. 63,124.

1884 წ. გამოცემის მიხედვით). 10. დ ა ი ს ა ხ ო დ ი ა ნ[1] იქვე 30,40 (1884 წ. გამოც. მიხ.). 11—13. მ ო გ ა რ თ ო დ ი ა ნ[1], გ ა ნ ს ა ჯ ო დ ი ა ნ[1], ა ღ გ ი მ ც ი რ ო დ ი ა ნ[1] Ⴂამოსლ. 18,22. 14. გ ა მ ო გ ე ც ხ ა დ ო დ ი[1] იქვე 25,7; 25,21; 30,36 (1884 წ. გამოც. მიხ.). 15. ა ღ ი ღ ო დ ი ს[1] იქვე 25,13. 16. ა ღ ი ღ ო დ ი ა ნ[1] იქვე 25,26; 25,27; 38,4;38,10;38,24; Ⴐიცხ. 1,50 (1884 წ. გამოც. მიხ.). 17. დ ა ი ბ ა ნ (ნ) ო დ ი ა ნ[1] Ⴂამოსლ. 30,18—21. 18. მ ო ა რ თ ო დ ი ა ნ[1] Ⴊევ. 6,14. 19. შ ე წ ი რ ო დ ი ა ნ[1] იქვე 10,15 (Ⴀშკის ხელნაწერის ამ სწორი ფორმის ნაცვლად რატომღაც 1884 წ. გამოცემის მიხედვით დამოწმებულია მცდარი ფორმა შ ე ი წ ი რ ო დ ი ა ნ). 20. მ ო გ ე ჴ ს ე ნ (ნ) ო დ ი ა ნ[1] Ⴐიცხ. 15,39 (1884 წ. გამოც. მიხ.). 21. თ ქ ო დ ი ა ნ[2] Ⴈერ. 31,23 PLt. 22. ა კ უ რ თ ხ ო დ ი ს[3] Ⴄპიფ. 126,27.

Ⴘერეული კავშირებითის ამ უკვე ცნობილ ფორმებს უნდა მიემატოს 6 ფორმა, რომელთაგან ერთი სამჯერ არის ნახმარი: 1. დ ა კ ლ ო დ ი ა ნ (და არა და(ი)კლოდიან[4], როგორც გამოცემაშია) Ⴄზეკიელი[5] 40,39. 2. შ ე ი მ ო ს ო დ ი ა ნ იქვე 44,17 (ორჯერ); 44,19. 3—4. გ ა ნ ი ძ ა რ ც ო დ ი ა ნ (ვარ. გ ა ნ ი ძ უ ა რ ც ო დ ი ა ნ), დ ა დ ვ ო დ ი ა ნ იქვე 44,19. 5. დ ა ი ბ უ რ ო დ ი ა ნ იქვე 44,20. 6. ე ზ ი ა რ ო დ ი ს (ვარ. ეზიარებოდის) Ⴊიმონარი[6] 41,28.

Ⴘერეული კავშირებითი (მო-გ-ი-ჴსენ-ნ-ოდ-ი... მი-ს-ც-ოდ-ი-ან...) ოდ-იანი ზმნების I კავშირებითს (ვ-ტირ-ოდ-ი... ი-ტყ-ოდ-ი-ან...) ჰგავს[7] (მათ საერთო აქვთ ოდ და ი სუფიქსები), ხოლო ოდ-იანი ზმნების I კავშირებითი და უწყვეტლის ხოლმეობითი, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ერთნაირად (ერთი და იმავე, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციის მქონე ი სუფიქსით) იწარმოებოდა[8]. Ⴐაკი შერეული კავშირებითი ფუნქციით I კავშირებითის ტოლია და ოდ-იანი ზმნების ამ მწკრივს ფორმითაც ჰგავს, მის გვერდით უნდა არსებულიყო ის მწკრივიც,

[1] Ⴈქვე, გვ. 60—65, 86, 123—125.

Ⴀ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს, როგორც უკვე აღნიშნულია (Ⴊ. ჭ ი კ ნ ა ძ ე, Ⴓწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: „Ⴛველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 7, 1961, გვ. 247, 249), შერეული კავშირებითის ფორმები არასწორად აქვს გაგებული (მას ისინი ხან „ნამყო უსრულად“ მიაჩნია, ხან „არქაულ ნამყო უსრულად“, ხან „ნამყო უსრულის ხოლმეობითად“, ხან კიდევ „წაქეზებით ბრძანებითად“).

[2] К. Д. Данелия, Древнегрузинские версии Пророчества Иеремии и их язык. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Тбилиси, 1965, გვ. 19.

[3] საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II. Ⴂამოსცა Ⴈ. Ⴈ მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, Ⴇბილისი, 1966 („Ⴛველი ქართული ენის კათედრის შრომები“, 10), გვ. 231.

[4] ი-ს ჩამატება საჭირო არ იყო, რადგან აქ მოქმედებითი გვარის ფორმა უნდა იყოს (როგორც ხელნაწერშიც ყოფილა). Ⴇუ მაინცდამაინც საჭირო იქნებოდა მოქმედებითის ვნებითად გადაკეთება (ან ვნებითი გვარის ფორმის აღდგენა), ი-ს ჩამატება საკმარისი არ იქნებოდა: ნ-ც უნდა ჩაემატებინათ (და-კლ-ოდ-ი-ან მათ იგი — და-ი-კლ-ნ-ოდ-ი-ან იგინი. Ⴘდრ. ე-ზიარ-ნ-ოდ-ი-ან).

[5] Ⴐ. Ⴁ ლ ე ი კ ი ს ა და Ⴋ. Ⴁ რ ი ე რ ი ს გამოცემა (PO, XXIX,5, Paris, 1961).

[6] Ⴈ ო ა ნ ე Ⴋ ო ს ხ ი, Ⴊიმონარი. Ⴒექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა Ⴈ ლ ი ა Ⴀ ბ უ ლ ა ძ ე მ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა Ⴀკადემიის გამომცემლობა, Ⴇბილისი, 1960.

[7] Ⴊ. ჭ ი კ ნ ა ძ ე, Ⴓწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი..., გვ. 247.

[8] Ⴊ. ჭ ი კ ნ ა ძ ე, Ⴎირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: „Ⴇბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, XXX Ⴁ, 1947, გვ. 322; მ ი ს ი ვ ე, Ⴓწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი..., გვ. 232—233, 242, 245, 253, 255, 262—263, 270, 272—274, 279.

რომელიც ფუნქციით უწყვეტლის ხოლმეობითის ტოლი იქნებოდა, ხოლო ფორმით (გარეგნულად) არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული შერეული კავშირებითისგან (ამ მწკრივისა და შერეული კავშირებითის ფორმები ისევე დაემთხვეოდა ერთმანეთს, როგორც ოდ-იანი ზმნების უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის ფორმები). Ⴔორმით შერეული კავშირებითის მსგავს ამ მწკრივს, რომელიც, როგორც ჩანს, მართლაც არსებულა ძველ ქართულში და რომლის სამი ფორმა (ჭამ-ოდ-ი-ან, და-დვ-ოდ-ი-ან, და-ი-ბან-(ნ)-ოდ-ი-ან) ქვემოთ არის დამოწმებული, შერეული ხოლმეობითი უნდა ეწოდოს და (ისევე, როგორც შერეულ კავშირებითს) ადგილი მეორე სერიაში უნდა მიეჩინოს.

„Ⴃა მრქუა მე: საყდარნი ესე ჩრდილოჲთ კერძონი და საყდარნი ესე სამხრით კერძონი, რომელნი არიან წინაშე პირსა განშოვრებულთასა, ესენი არიან სასხდომელნი სიწმიდისანი, რომელთა შინა ჭამოდიან მუნ მღდელთა ძეთა სადუკისთა, რომელნი მიეახლებიან უფალსა, იგი არს წმიდაჲ წმიდათაჲ. Ⴋუნ დადვოდიან წმიდაჲ წმიდათაჲ და საკლეველნი და რომელი ცოდვისათჳს არნ და რომელი-იგი უმეცრებისათჳს არნ, რამეთუ ადგილი წმიდაჲ არს“. Ⴄზეკიელი[1] 42,13.

Ⴝამოდიან და დადვოდიან სხვა ადგილას შეიძლება შერეული კავშირებითი იყოს, მაგრამ აქ შერეული ხოლმეობითია. Ⴘაგალითად, დადვოდიან (აგრეთვე განიძარცოდიან და შეიმოსოდიან) შერეული კავშირებითია ამ ადგილას: „Ⴂამოსლვასა მათსა ეზოსა მას გარეშესა ერისა მიმართ განიძარცოდიან (ვარ. განიძუარცოდიან) სამოსელი მათი, რომლითა ჰმსახურებდეს (მათ), და დადვოდიან იგი საჯდომელსა მას წმიდათასა და შეიმოსოდიან სამოსელი სხუაჲ...“ იქვე 44,19.

„Ⴞოლმეობითის ფორმები წარსულში მომხდარ ამბავს გადმოგვცემენ, ან კიდევ ისეთ ამბავს, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე რომელიმე გარკვეული დროს აღუნიშნელად“[2]. Ⴀმიტომ ჭამოდიან და დადვოდიან (შერეული ხოლმეობითი), ისევე როგორც ჭამიან და დადვიან (II ხოლმეობითი), ჭამდიან და დასდებდიან (უწყვეტლის ხოლმეობითი), ჭამედ და დასდებედ (აწმყოს ხოლმეობითი), ხან ამას ნიშნავდა: „ჭამდნენ ხოლმე“, „დებდნენ ხოლმე“, ხან ამას: „ჭამენ ხოლმე“, „დებენ ხოლმე“[3]. Ⴐაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ადგილს, იქ ჭამოდიან და დადვოდიან[4] ამას ნიშნავს: „ჭამენ ხოლმე“ (съедают), „დებენ ხოლმე“ (кладут).

---

[1] Ⴐ. Ⴁლეიკისა და Ⴋ. Ⴁრიერის გამოცემა.

[2] Ⴀ. Ⴘანიძე, Ⴛველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): „Ⴛველი ქართული ენა და ლიტერატურა“, საშუალო სკოლის IX კლასის სახელმძღვანელო, შეადგინეს Ⴀ. Ⴘანიძემ, Ⴀლ. Ⴁარამიძემ და Ⴈლ. Ⴀბულაძემ. Ⴀ. Ⴘანიძის რედაქციით. Ⴋეათე გამოცემა, Ⴇბილისი, 1948, გვ. 305.

[3] III ხოლმეობითს (ეჭამის, დაედვის...), აგრეთვე I თურმეობითის ხოლმეობითს (უჭამიენ || უჭამიედ, დაუდებიენ || დაუდებიედ...), რომლის შესახებ სხვა დროს გვექნება საუბარი, როგორც უნახავი აქტის გამომხატველ მწკრივებს, მხოლოდ წარსული დროის შინაარსი ჰქონდათ.

[4] Ⴂ. Ⴟავთარაძე ერთ-ერთ სტატიაში უწყვეტლის ხოლმეობითთან დაკავშირებით წერს: „Ⴀმგვარი ხოლმეობითები (!) ჩინებულად ესმოდა ჯერ კიდევ დიდ სულხან-საბას: ვბუ-

სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია დადვოდიან და მის განსამარტავად გამოუყენებია დასდებდიან (უწყვ. ხოლმ.): „დადვოდიან—დასდებდიან (42,13 ეზეკია)".

ნ. ჩუბინაშვილს მცდარად მიუჩნევია საბას მიერ ხელნაწერის (თუ ხელნაწერების) მიხედვით დამოწმებული და განმარტებული დადვოდიან ფორმა. აი რას წერდა ის „ქართული ლექსიკონის" შესავალში:

„მრავალნი ლექსნი საბას გაუსწავლებიან სხუადასხუათა შინა წერილთა და უმეტეს საღვთოსა წერილსა შინა დანიშნვითა თავთა და მუხლთათა, სადაცა იპოვებიან იგინი. და ვინათგან მისსა დროსა ჯერეთ არა ყოფილ არს სრული დაბადება დაბეჭდილი, ხოლო მას გამოუწერია ხელნაწერთაგან, ამად რომელთამე ადგილთა შინა იხილვების სხვაობა ლექსთა, რომელთაგანცა მოიღებიან აქა რაოდენნიმე..." (მოყვანილია სათანადო მაგალითები).

„ამისგან ჰსჩანს, ვითარმედ დაძველებულნი და საზოგადოსა ხმარებასა შინა სრულიად გადავარდნილნი ლექსნი არღარა შემოუტანიათ წერილთა შინა ჟამსა დაბეჭდჳსა სრულის დაბადებისასა, რამეთუ ესრეთთა ლექსთაგან ფრიად დაბნელდების ჰაზრი მათი. გარდა ამისსა არა ჯერ არს შემოტანა მათ ლექსთაცა, რომელნი გადამწერთაგან შეცთომით არიან წახდენილნი და დაბეჭდილთა წიგნთაცა შინა დატევებულნი გაუმართავად, ანუ თჳთ მბეჭდავთაგან შეცდენილნი...

მაგალ., დაბეჭდილში: ეზეკ. 42,13: დადვოდიან სწერია ნაცჳლად დასდებდიან..."[1] (იქვეა სხვა მაგალითებიც).

აღსანიშნავია, რომ ქართული ბიბლიის პირველ გამოცემაშიც, რომლის მოსამზადებლადაც ბევრი იშრომეს არჩილმა და (მისი გარდაცვალების შემდეგ) ვახტანგ VI-ის შვილმა ვახუშტი ბატონიშვილმა და რომელიც 1743 წელს მოსკოვის ახლოს (სოფელ ვსესვიატსკოეში) საკუთარი ხარჯით დაბეჭდა ვახუშტის ძმამ ბაქარმა, და მეორე გამოცემაშიც, რომელიც 1884 წელს თბილისში დაიბეჭდა და „რომელიც ბევრად ჩამორჩება პირველ გამოცემას, ვინაიდან, მოსკოვის გამოცემის დეფექტებთან ერთად, იმაში ჩვენ ვხედავთ ახალს, კორექტურულსა და ნებსითს, შეცდომებს"[2], ზემოთ მოყვანილ ადგილას ჭამოდიან და დადვოდიან ხელუხლებლად არის დატოვებული, მაგრამ შეცვლილია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ბრუნვები (სხვა ხასიათის განსხვავებებზე აქ არაფერს ვამბობ):... ჭამოდიან მუნ მღდელთა ძეთა სადუკისთა... დადვოდიან

———

რევდი — დავბური ხოლმ., დასდვოდიან (!)—დასდებდიან... (იხ. მისი ლექსიკონი)" (ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის ფორმათა შესწავლის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები", 96, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1963, გვ. 262).

არც ებურევდი და არც დადვოდიან ან დასდვოდიან (საბას დამოწმებული აქვს ორპირიანი და არა სამპირიანი ფორმა, რომელსაც მკითხველი ვერ „იხილავს" მის ლექსიკონში) უწყვეტლის ხოლმეობითი არ არის: ებურევდი უწყვეტელია (უწყვ. ხოლმეობითია ებურვიდი), ხოლო დადვოდიან (აგრეთვე დასდვოდიან), როგორც ვნახეთ, ხან შერეული ხოლმეობითია (საბას მიერ დამოწმებულ ადგილას), ხან შერეული კავშირებითი (უწყვ. ხოლმეობითია დასდებდიან).

[1] ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1961, გვ. 122.

[2] კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი პირველი (მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი, 1951, გვ. 399.

წმიდაჲ წმიდათაჲ და საკლველნი...—...ჭამოდიან მღდელნი მუნ, ძენი სადუკისნი... დადვოდიან წმიდათა წმიდათასა ძღუენთა-ცა და მსხუერპ(ლ)სა...

Ⴐოგორც ჩანს, რედაქტორ-გამომცემლებს ამ იშვიათი (და მათთვის ალბათ გაუგებარი) ფორმებისთვის შეუფერებლად მიუჩნევიათ მოთხრობითში დასმული სუბიექტი და სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი, რადგან -ოდ-ი-ან დაბოლოებიან (უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის) ფორმებთან ჩვეულებრივ სუბიექტი სახელობითშია (იქმოდიან, იტყოდიან, ეტყოდიან, წარმოიტყოდიან, იქცეოდიან, ევედრებოდიან, აღდგებოდიან, აღმაღლდებოდიან, შეწუხნებოდიან, ტიროდიან, მოვიდოდიან... იგინი) და, თუ ზმნას პირდაპირი ობიექტიც აქვს, ეს ობიექტი მიცემითშია (იქმოდიან, იტყოდიან... მას || მათ)[1], და „შეუფერებელი“ ბრუნვები (მოთხრობითი და სახელობითი) „შესაფერისი“ ბრუნვებით (სახელობითით და მიცემითით) შეუცვლიათ.

> „Ⴘე-რაჲ-ვიდოდიან იგინი კარვად საწამებელისა ანუ ოდეს მოვიდოდიან საკურთხეველად მსახურებად მისა, დაიბან(ნ)ოდიან მისგან, ვითარცა უბრძანა უფალმან მოსეს“. Ⴂამოსლ. 38,27 (40,32).

Ⴃაიბან(ნ)ოდიან აქ შერეული ხოლმეობითია (=„განიბანებოდნენ ხოლმე“, омывались), შევიდოდიან და მოვიდოდიან კი—უწყვეტლის ხოლმეობითი[2]. Სხვა ადგილას დაიბან(ნ)ოდიან შეიძლება შერეული კავშირებითი იყოს, ხოლო შევიდოდიან და მოვიდოდიან—I კავშირებითი.

Ⴃაიბან(ნ)ოდიან „Ⴂამოსლვათა წიგნში“ კიდევ ოთხ ადგილას (30,18—21) გვხვდება და ოთხივეგან შერეული კავშირებითის მნიშვნელობით არის ნახმარი. Ⴘერეული კავშირებითია, მაგალითად, აქ: „Ⴕმენ ემბაზი რვალისაჲ და ხარისხნი მისნი რვალისანი, რაჲთა დაიბან(ნ)ოდიან[3] ჴელნი და ფერჴნი მათნი...“ (30, 18). Ⴃაიბან(ნ)ოდიან ორგან (30,18; 30,19) მოქმედებითი გვარის ფორმაა,

---

[1] Ⴂამონაკლისია იცოდიან და უწყოდიან, რომლებთანაც სუბიექტი მოთხრობითშია (მათ) და პირდაპირი ობიექტი—სახელობითში (იგი).

[2] Ⴀღსანიშნავია, რომ 1743 და 1884 წლების გამოცემებში ამ ადგილის შესატყვის ადგილას (38,21) მოვ'იდოდიან ფორმის ნაცვლად არის მოვიდიან (II ხოლმეობითი).

[3] Ⴞუთივე ადგილას Ⴍშკის ხელნაწერშიც და გამოცემაშიც (Ⴜიგნნი ძუელისა აღთქუმისანი 978 წლის ხელნაწერის მიხედვით. Ⴜ. I. ნაკვეთი I. Ⴃაბადებისაჲ, Ⴂამოსლვათაჲ. Ⴂამოსცა Ⴀკაკი Ⴘანიძემ. Ⴇბილისი 1947: ძველი ქართული ენის ძეგლები. 4) დაიბანოდიან არის (ასევეა დამოწმებული ეს ფორმა Ⴀ. Ⴙიქობავას „Ⴄრგატიული კონსტრუქციის პრობლემის“ I ნაკვეთში): გამოტოვებულია ნ მოქმედებითი გვარის ფორმაშიც (და-ი-ბან-ნ-ოდ-ი-ან მათ იგინი), სადაც ის ობიექტის მრავლობითობის ნიშანია, და ვნებითისაშიც (და-ი-ბან-ნ-ოდ-ი-ან იგინი), სადაც ის მოქმედებითი გვარის ფორმიდან არის გადმოსული. ნ-ს შემდეგ ნ-ს გამოტოვების შემთხვევები სხვა ძეგლებიდანაც არის ცნობილი (ქმნა, განკურნა, წარავლინა მან იგინი... იქმნეს, განიკურნეს იგინი... ექმნეს იგინი მას || მათ...).

Ⴔორმა რომ უფრო ნათელი იყოს, მისი დამოწმებისას ფრჩხილებში ვსვამ დაკლებულ ასოს.

ხოლო სამგან (30,20; 30,21; 38,27)—ვნებითი გვარისა (ერთმანეთს ემთხვევასათავისო ქცევისა და ინიანი ვნებითის ფორმები)[1].

შერეული კავშირებითის (ისევე, როგორც ოდ-იანი ზმნების I კავშირებითის) მწკრივის ნიშანია ი სუფიქსი[2], რომელიც შერეული ხოლმეობითის (აგრეთვე უწყვეტლის ხოლმეობითის, II ხოლმეობითისა და III ხოლმეობითის) მწკრივის მაწარმოებელიც არის. ამიტომ არის, რომ შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითის ფორმები (ისევე, როგორც ოდ-იანი ზმნების I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები) გარეგნულად ერთნაირია.

როგორც ვნახეთ, მისცოდიან ტიპის ფორმები, რომლებიც საზიარო იყო შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითისთვის (რადგან ეს ორი მწკრივი, ისევე როგორც ოდ-იანი ზმნების I კავშირებითი და უწყვეტლის ხოლმეობითი, აგრეთვე ორპირიანი გარდაუვალი ზმნების III კავშირებითი და III ხოლმეობითი[3] ერთი და იმავე, მაგრამ სხვადასხვა ფუნქციის მქონე სუფიქსით იწარმოებოდა), ძალიან ცოტაა. ჩემთვის ჯერჯერობით 29 ფორმა და მათი ხმარების 43 შემთხვევა არის ცნობილი. 26 ფორმა (35 შემთხვევაში) მხოლოდ შერეული კავშირებითის მნიშვნელობით არის ნახმარი, 1 ფორმას მხოლოდ შერეული ხოლმეობითის შინაარსი აქვს, ხოლო 2 ფორმას (დადვოდიან და დაიბან(ნ)ოდიან) ხან შერეული კავშირებითის ფუნქცია აქვს და ხან შერეული ხოლმეობითისა (როგორც ვნახეთ, პირველი მათგანი სულ ორგან გვხვდება, ხოლო მეორე—ხუთგან). შერეული კავშირებითი 40-ჯერ არის ნახმარი, ხოლო შერეული ხოლმეობითი—3-ჯერ. ეს მწკრივების გამოყენების შემთხვევების ასეთი შეფარდება (13:1) გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ უწყვეტლის ხოლმეობითის ფორ-

[1] როგორც უკვე ითქვა, შერეული კავშირებითის დაიბან(ნ)ოდიან ფორმა ამ მწკრივის სხვა ფორმებთან ერთად, რომლებსაც პირობით (პირის, რიცხვისა და გვარის მიუხედავად) შეიძლება მისცოდიან ტიპის ფორმები ვუწოდოთ, დამოწმებულია (და არასწორად არის გაგებული) ა. ჩიქობავას „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემის" I ნაკვეთში.

1961 წელს დაბეჭდილ გამოკვლევაში („უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში", გვ. 249) მე ვწერდი, რომ ა. ჩიქობავას „წიგნში დამოწმებული და განხილული მისცოდიან ტიპის თერამეტივე ფორმა შერეული კავშირებითისაა".

ა. ჩიქობავას „გამოსლვათა წიგნის" იმ ოთხ ადგილთან ერთად (30,18—21), სადაც დაიბან(ნ)ოდიან შერეული კავშირებითია, მოჰყავს ის ადგილიც (38,27), სადაც ეს ფორმა შერეული ხოლმეობითისაა (მაშინ ამ ადგილისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია, რადგან ამ მწკრივის არსებობის საკითხი დასმულიც კი არ ყოფილა).

ახლა, როცა, ვფიქრობ, საძავო არ უნდა იყოს, რომ ძველ ქართულში შერეულ კავშირებითთან ერთად შერეული ხოლმეობითიც ყოფილა, რომელიც ფორმით ისევე ჰგავდა შერეულ კავშირებითს, როგორც ოდ-იანი ზმნების უწყვეტლის ხოლმეობითი—I კავშირებითს, ჩემს ზემოთ მოყვანილ შენიშვნას შემდეგი უნდა დაემატოს: „ეს ფორმები სხვა ადგილას შეიძლება შერეული ხოლმეობითისა იყოს. მაგალითად, ერთი მათგანი ოთხგან (გამოსლ. 30,18—21) შერეული კავშირებითია, ერთგან (იქვე 38,27)—შერეული ხოლმეობითი".

[2] ი სუფიქსი გამოჩნდება აგრეთვე ორპირიანი გარდაუვალი ზმნების III კავშირებითის ფორმებში (დავჰვიწყებოდი, დაჰვიწყებოდი, დაჰვიწყებოდის; დავჰვიწყებოდით, დაჰვიწყებოდით, დაჰვიწყებოდიან...). ასეთივე ფორმებია მოსალოდნელი ამ ზმნების III ხოლმეობითშიც.

[3] „ეს მწკრივი ჯერჯერობით მარტო მოქმედებითი გვარის ზმნათათვის არის ნახული, მაგრამ ამიერითგანი კვლევა-ძიების შედეგად, ალბათ, ამავე მწკრივში საშუალი და ვნებითი გვარის ფორმების ხმარებაც იქნება დადასტურებული". (ა. შანიძე, ერთი უცნობი მწკრივი ქართულში, გვ. 10—11).

მები ძველი ქართული ენის ძეგლებში ჯერჯერობით დაახლოებით 100-ჯერ არის დადასტურებული, ხოლო I კავშირებითის გამოყენების შემთხვევები უთვალავია (შერეული ხოლმეობითის ხმარების შემთხვევები უწყვეტლის ხოლმეობითთან შედარებით დაახლოებით 35-ჯერ ნაკლებია, მაგრამ ის შერეულ კავშირებითთან შეფარდებით პროცენტულად გაცილებით უფრო „ხშირად“ გვხვდება, ვიდრე უწყვეტლის ხოლმეობითი I კავშირებითთან შეფარდებით).

Ⴋისცოდიან ტიპის 29 ფორმიდან 2 პირველი სუბიექტური პირის მხოლობითი რიცხვისაა[1], 6—მესამე პირის მხოლობითი რიცხვისა და 21—ამავე პირის მრავლობითი რიცხვისა. ზედმეტი არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ შევხედავთ ამ ფორმებს (ერთად თავმოყრილს): მოგიქსენნოდი, გამოგეცხადოდი (გვხვდება 3-ჯერ); წარავლინნოდის, დასდვოდის, აღიღოდის, აღირაცხოდის, ეზიაროდის, აკურთხოდის; მისცოდიან, აღიღოდიან (6-ჯერ), დაიბან(ნ)ოდიან (5-ჯერ), დაისახოდიან, მოგართოდიან, მოართოდიან, განსაჯოდიან, აღგიმციროდიან, მოგექსენ(ნ)ოდიან, შეწიროდიან, აღასრულნოდიან, ეზიარნოდიან, ყოდიან, განათიოდიან, თქოდიან, დაკლოდიან, შეიმოსოდიან (3-ჯერ), დადვოდიან (2-ჯერ), განიძარცოდიან (II განიძუარცოდიან), დაიბუროდიან, ჭამოდიან[2].

Ⴟერჯერობით არ ჩანს (და შეიძლება არც ამის შემდეგ გამოჩნდეს) მეორე პირის ფორმები, მაგრამ, რაკი პირველი პირის ფორმები იყო (და არც შეიძლებოდა, რომ არ ყოფილიყო, რადგან შერეულ კავშირებითს და შერეულ ხოლმეობითს, მართალია, ფორმით ერთმანეთის მსგავსი, მაგრამ საკუთარი ფუძე ჰქონდათ), ცხადია, მეორე პირის ფორმებიც იქნებოდა.

Ⴐომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ შერეულ ხოლმეობითსა და შერეულ კავშირებითზე, ვნახოთ ამ ორი მწკრივის საზიარო ფორმები[3] (სანიმუშოდ აღებულია მიცემა და გამოცხადება ზმნები და პირველის მიხედვით მოქმედებითი გვარის ფორმებია ნაჩვენები, ხოლო მეორის მიხედვით—ენიანი ვნებითის ფორმები[4]).

მი-ვ-ს-ც-ოდ-ი,	მი-ს-ც-ოდ-ი,	მი-ს-ც-ოდ-ი-ს	(იგი მას ‖ მათ)
მი-ვ-ს-ც-ოდ-ი-თ,	მი-ს-ც-ოდ-ი-თ,	მი-ს-ც-ოდ-ი-ან	„ „ „
მი-ვ-ს-ც-ნ-ოდ-ი,	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი,	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-ს	(იგინი მას ‖ მათ)
მი-ვ-ს-ც-ნ-ოდ-ი-თ,	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-თ,	მი-ს-ც-ნ-ოდ-ი-ან	

---

[1] Ⴀ. Ⴙიქობავა მისცოდიან ტიპის ფორმებზე მსჯელობისას წერს: „Ⴀრქაულ ნამყო უსრულს მესამე პირში წარმოგვიდგენენ ძველი ტექსტები; ეს შემთხვევითია: პირველი და მეორე პირიც უნდა გვქონოდა...“ („Ⴄრგატიული კონსტრუქციის პრობლემა...“, I, გვ. 87).

Ⴇავი რომ დავანებოთ მოგიქსენნოდი ფორმას, რომელიც Ⴌ. Ⴋარისა და Ⴀ. Ⴘანიძის ნაშრომებიდან არის ცნობილი, პირველი პირის ერთი ფორმა, გამოგეცხადოდი (Ⴂამოსლ. 25,7; 25,31; 30,36), Ⴀ. Ⴙიქობავას დამოწმებული აქვს იმავე ნაშრომის 64–ე გვერდზე.

[2] Ⴐოგორც ვხედავთ, გარდაუვალი ზმნებიდან აქ მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნებია წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ პრეფიქსიანი (ინიანი და ენიანი) ვნებითების სახით.

[3] Ⴌაჩვენები იქნება არა ხანმეტი ან ჰაემეტი, არამედ მეცხრე საუკუნის მერმინდელი ფორმები.

[4] Ⴀრც ერთი და არც მეორე ზმნის ფორმები არ არის წარმოდგენილი პირთა ყველა შესაძლებელი კომბინაციის მიხედვით, რადგან აქ ეს საჭირო არ არის.

გამო-ვ-ე-ცხად-ოდ-ი, გამო-ე-ცხად-ოდ-ი, გამო-ე-ცხად-ოდ-ი-ს (მას || მათ)

გამო-ვ-ე-ცხად-ნ-ოდ-ი-თ, გამო-ე-ცხად-ნ-ოდ-ი-თ, გამო-ე-ცხად-ნ-ოდ-ი-ან (მას || მათ)

თუ ხოლმეობითის ხუთ მწკრივს (აწმყოს ხოლმეობითს, უწყვეტლის ხოლმეობითს, II ხოლმეობითს, შერეულ ხოლმეობითს და III ხოლმეობითს) იმ მწკრივსაც მივუმატებთ, რომელიც I თურმეობითის ფუძეს იყენებს (ისევე, როგორც აწმყოს ხოლმეობითი აწმყოს ფუძეს იყენებს) და რომელსაც შეიძლება I თურმეობითის ხოლმეობითი ეწოდოს, ძველ ქართულში არსებული მწკრივების რიცხვი 17 გახდება და ეს მწკრივები სერიების მიხედვით ასე განაწილდება:

პირველი სერია	მეორე სერია	მესამე სერია
აწმყო	წყვეტილი	I თურმეობითი
აწმყოს ხოლმეობითი	II ხოლმეობითი	I თურმეობითის ხოლმეობითი
უწყვეტელი	შერეული ხოლმეობითი	II თურმეობითი
უწყვეტლის ხოლმეობითი	II კავშირებითი	III ხოლმეობითი
I კავშირებითი	შერეული კავშირებითი	III კავშირებითი
I ბრძანებითი	II ბრძანებითი	

ა. ყანიძე 1945 წელს მოგიჯსენნოდი ფორმის შესახებ, სხვათა შორის, წერდა: „ეს ფორმა შემდეგს კონტექსტში გვხვდება: ძელიდან გადმოხსნეს სამი ყრმა და უპირებდნენ ცეცხლში ჩაყრას. ისინი შეევედრნენ თავის მამიდას: „შოგჳჯსენენ ჩუენ მარადის, დედოფალო“. შამიდამ ამაზე უპასუხა: „ვითარ-მე ღირსად მოგიჯსენნოდი თქუენ, შვილნო ჩემნო, გლახაკმან ამან?“...“[1] იქვე (სქოლიოში) ნათქვამია შემდეგი: „თავდაპირველად ყრმების მიმართვაში ზმნა ალბათ ასეთი ფორმით იყო წარმოდგენილი: მომიჯსენნოდე. ამიტომ პასუხში „მოგიჯსენნოდი“ იკითხება“.

როგორც ვხედავთ, ა. ყანიძეს მოგჳჯსენენ ფორმის ადგილას, რომელიც აქ II ბრძანებითია, ხოლო სხვა ადგილას შეიძლება წყვეტილი იყოს[2], აღუდგენია მომიჯსენნოდე, იმ მწკრივის ფორმა, რომელიც შერეულ ხოლმეობითთან და შერეულ კავშირებითთან ერთად უნდა არსებულიყო და რომლისთვისაც შეიძლებოდა შერეული ბრძანებითი გვეწოდებინა.

რაკი ა. ყანიძეს შერეული ბრძანებითის ფორმა აღუდგენია, ცხადია, მას ისიც გათვალისწინებული ჰქონია, რომ თავის დროზე ის მწკრივიც უნდა არსებულიყო, რომლის ფუძეც გამოყენებული იქნებოდა შერეული ბრძანებითისთვის და რომლისთვისაც შეიძლებოდა შერეული ნამყო დაგვერქმია: რაკი არც I ბრძანებითს და არც II ბრძანებითს საკუთარი ფუძე არ ჰქონდა (I ბრძანებითი უწყვეტლის ფუძეს იყენებდა და II ბრძანებითი—წყვეტილისას), ცხადია, არც შერეულ ბრძანებითს ექნებოდა საკუთარი ფუძე და მას სათანადო შერეული

[1] ა. ყანიძე, სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი..., გვ. 843.

[2] მეორე პირის წყვეტილისა და II ბრძანებითის ფორმები (ისევე, როგორც უწყვეტლისა და I ბრძანებითისა) ყოველთვის ერთნაირია, როცა ზმნას ობიექტად პირველი პირი შეეწყობა: მეორე სუბიექტური პირის ნიშანი, რომლის ქონა-არქონის მიხედვითაც უნდა განსხვავდებოდეს თხრობითი კილო ბრძანებითისაგან, მ და გუ პრეფიქსების წინ არასოდეს არ არის.

მწკრივის ფუძე უნდა გამოეყენებინა. *შერეული ნამყო* დაბოლოებით, რა თქმა უნდა, ოდ-იანი ზმნების *უწყვეტლის* მსგავსი იქნებოდა (გავიხსენოთ, რომ შერეული ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი ფუძის -ოდ-ი დაბოლოებით ოდ-იანი ზმნების უწყვეტლის ხოლმეობითს და I კავშირებითს ჰგავდა) და, ბუნებრივია, *შერეულ ბრძანებითს* ოდ-იანი ზმნების *I ბრძანებითის* მსგავსი დაბოლოება ექნებოდა.

მომიჴსენნოდე[1] შერეული ნამყოც იქნებოდა და შერეული ბრძანებითიც (ცხადია, სხვადასხვა შემთხვევაში). ამ ორი მწკრივის ფორმები ერთმანეთისგან განსხვავებული იქნებოდა, თუ ზმნას ობიექტად მესამე პირი შეეწყობოდა და შერეულ ნამყოში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი (ხ ან ჰ) ექნებოდა (შდრ მო-ხ-იჴსენნოდე, მო-ჰ-იჴსენნოდე—მოიჴსენნოდე), მაგრამ მეცხრე საუკუნის შემდეგ ეს ფორმებიც ერთმანეთს დაემთხვეოდა და *მოიჴსენნოდე* იქნებოდა შერეული ნამყოც და შერეული ბრძანებითიც (მესამე პირის ფორმები კი, რა თქმა უნდა, არასოდეს არ დაემთხვეოდა ერთმანეთს).

ამ ორი ოდესღაც უთუოდ არსებული მწკრივის სურათი რომ წარმოვიდგინოთ (ვინ იცის, იქნებ მათი ფორმებიც ამოტივტივდეს ძველი ქართული ენის რომელიმე ჯერჯერობით შეუსწავლელ ძეგლში), მათი მოსალოდნელი ფორმებიც ვნახოთ იმ ორი ზმნის მიხედვით, რომელთა შერეული ხოლმეობითისა და შერეული კავშირებითის ფორმები ზემოთ არის ნაჩვენები.

შერეული ნამყო

მი-ვ-ს-ც-ოდ-ე, მი-ს-ც-ოდ-ე, მი-ს-ც-ოდა (იგი მას || მათ)
მი-ვ-ს-ც-ოდ-ე-თ, მი-ს-ც-ოდ-ე-თ, მი-ს-ც-ოდ-ეს " " "
მი-ვ-ს-ც-ნ-ოდ-ე, მი-ს-ც-ნ-ოდ-ე, მი-ს-ც-ნ-ოდ-ა (იგინი მას || მათ)
მი-ვ-ს-ც-ნ-ოდ-ე-თ, მი-ს-ც-ნ-ოდ-ე-თ, მი-ს-ც-ნ-ოდ-ეს " "
გამო-ვ-ე-ცხად-ოდ-ე, გამო-ე-ცხად-ოდ-ე, გამო-ე-ცხად-ოდ-ა(მას || მათ)
გამო-ვ-ე-ცხად-ნ-ოდ-ე-თ, გამო-ე-ცხად-ნ-ოდ-ე-თ, გამო-ე-ცხად-ნ-ოდ-ეს (მას || მათ)

შერეული ბრძანებითი

——— მი-ს-ც-ოდ-ე, მი-ს-ც-ოდ-ე-ნ (იგი მას || მათ)
——— მი-ს-ც-ოდ-ე-თ, მი-ს-ც-ოდ-ედ " " "
——— მი-ს-ც-ნ-ოდ-ე, მი-ს-ც-ნ-ოდ-ე-ნ (იგინი მას || მათ)
——— მი-ს-ც-ნ-ოდ-ე-თ, მი-ს-ც-ნ-ოდ-ედ " " "
——— გამო-ე-ცხად-ოდ-ე, გამო-ე-ცხად-ოდ-ე-ნ (მას || მათ)
——— გამო-ე-ცხად-ნ-ოდ-ე-თ, გამო-ე-ცხად-ნ-ოდ-ედ "

შერეული ხოლმეობითის პირველი და მეორე პირის ფორმები დღემდე იხმარება

[1] აღსანიშნავია, რომ ა. *შანიძეს* მ პრეფიქსიანი ფორმა აღუდგენია და არა გუ პრეფიქსიანი (მო-გუ-ი-ჴსენ-ნ-ოდ-ე, მოგჳჴსენნოდე): თუ ზმნას სუბიექტად *მეორე პირი* შეეწყობოდა, თავის დროზე, როცა ექსკლუზიური და ინკლუზიური ფორმები შინაარსით მკვეთრად იქნებოდა გარჩეული ერთმანეთისგან, *მხოლოდ ექსკლუზიური* (მ პრეფიქსიანი) ფორმები უნდა ეხმარათ. *ინკლუზიური* (გუ პრეფიქსიანი) ან *ექსკლუზიური* ფორმების ხმარება (რა თქმა უნდა, თავ-თავის ადგილას, საჭიროების მიხედვით) მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა ზმნას სუბიექტად *მესამე პირი* შეეწყობოდა. ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ინკლუზიური და ექსკლუზიური ფორმები უკვე აღრეული იყო და ამიტომ ხშირად უწესრიგოდაც იხმარებოდა.

ფ შ ა უ რ შ ი (და, როგორც ჩანს, მ თ ი უ ლ უ რ შ ი ც). ა. შ ა ნ ი ძ ე ამ ფორმების შესახებ, რომელთა სახელწოდებად მან ჯერ (1915 წელს) „მრავალგზითი“ იხმარა[1], ხოლო შემდეგ (1920 წელს)—„ნამყო მრავალგზითი“[2], წერდა: „არქაიზმი მრავალგზითი ნამყოს სახით ფშაურსაც აქვს შემორჩენილი, მაგრამ მისი ფორმების საწარმოებლად ნამყო სრულის წმინდა ფუძე აღებული აქვს მხოლოდ მესამე სუბიექტური პირისთვის, ხოლო დანარჩენ სუბიექტურ პირებში ამ ფუძისთვის მას დაურთავს ნამყო უსრულის სუფიქსი -ოდ. ამგვარად ნაწარმოების მრავალგზითი ნამყოს მეორე სუბიექტური პირის ფორმები მას უსესხებია მეორე ბრძანებითის[3] გამოსახატავად, რომელიც პირველი ბრძანებითისგან[4] იმით განსხვავდება, რომ პირველი ბრძანებითი ერთგზითი ბუნებისაა, მეორე კი—მრავალგზითისა, როგორც ძველ ქართულში;[5] ეს ერთი, და მეორეც ისა, რომ პირველი ბრძანებითი კატეგორიული ხასიათისაა, მაშინ როდესაც მეორეს თხოვნის ელფერი გადაჰკრავს“[6]. შერეული ხოლმეობითის პირველი და მეორე პირის ფორმები ხ ე ვ ს უ რ უ ლ ს ა და თ უ შ უ რ შ ი ც არის, მაგრამ იქ ამ მწკრივის ფუძეს -ოდ-ი (←-ი-ოდ-ი) დაბოლოების ნაცვლად -ი-დ-ი[7] დაბოლოება აქვს (დავცალიდი, დასცალიდი; დავცალიდით, დასცალიდით...)[8]: წინა ი II ხოლმეობითის ნიშანია, რომლის ფუძესაც უნდა დაყრდნობოდა ერთ დროს უთუოდ არსებული შერეული ნამყო, რომლის ფუძისგანაც უნდა იყოს ნაწარმოები შერეული ხოლმეობითი (იგივე ი უნდა ყოფილიყო ოდ-ის წინაც, მაგრამ დაკარგულა: დ ა ვ ც ა ლ ო დ ი — დ ა ვ ც ა ლ ი ო დ ი...[9]), ხოლო მომდევნო ი შერეული ხოლმეობითის ნიშანია (ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, ეს ი შერეული კავშირებითის ნიშანიც იყო).

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული კილოები მთაში: „კრებული“ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით. პეტროგრადის უნივერსიტეტის „ქართული სამეცნიერო წრის“ გამოცემა, ტფილისი, 1915, გვ. 200 (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 17—18).

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 154—156 (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართ. ენის სტრუქტ. და ისტ. საკითხები, გვ. 237—238).

[3] იგულისხმება გ ა ა ლ ე წ ო დ ი, გ ა ა ლ ე წ ო დ ი თ...

[4] იგულისხმება გ ა ლ ე წ ე, გ ა ლ ე წ ე თ...

[5] შდრ. მ ო კ ა ლ — მ ო ჰ კ ლ ი, მ ო კ ა ლ თ — მ ო ჰ კ ლ ი თ.

[6] ა. შ ა ნ ი ძ ე, პრეფიქსები, გვ. 154—155 (237).

[7] ა. შ ა ნ ი ძ ი ს სიტყვით, „ნამყო მრავალგზითში თუშურს (და... ხევსურულსაც) პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში ნამყო სრულის ფუძისთვის დართული აქვს ნამყო უსრულის სუფიქსი -იდ“ („პრეფიქსები“, § 70).

[8] მეორე პირის ფორმები იქაც არის გამოყენებული თხოვნით-ბრძანებითი კილოს გამოსახატავად (ა. შ ა ნ ი ძ ე, პრეფიქსები, § 70—71).

[9] შდრ. მ ი რ ბ ი ო დ ა (ძვ. ქართ., ზემოიმერ.) — მ ი რ ბ ო დ ა (ქ. ლ ა გ უ ა, ნამყო უწყვეტელისა და კავშირებითი პირველის წარმოება ძველს ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, I, 1941, გვ. 198; ზ. ჭ ი კ ნ ა ძ ე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, I: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 28, 1948, გვ. 174), ქ რ ი ო დ ე ს || ქ რ ო დ ე ს (ძვ. ქართ.), გ ი ო რ გ ი ო ბ ი ს თ ვ ე (ხევსურ.)—გ ი ო რ გ ო ბ ი ს თ ვ ე (ზ. ჭ ი კ ნ ა ძ ე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, II: გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1947, გვ. 124).

ო. ქ ა ჯ ა ი ა ც იმ აზრისაა, რომ ფშაურშიც ოდ-ის წინ უნდა გვქონოდა II ხოლმეობითის ი სუფიქსი: ო თ ა რ ქ ა ჯ ა ი ა, მოხეური დიალექტი. ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა. ტექსტები (საკანდიდატო დისერტაცია, მანქანაზე გადაბეჭდილი), 1953, გვ. 128.

მკითხველმა უკვე იცის, რომ კ. კეკელიძე გაკვრით შეეხო მისცოდიან ტიპის „არაჩვეულებრივ, თითქოს დიალექტურ ფორმებს“ (აღასრულნოდიან, ეზიარნოდიან, ყოდიან, განათიოდიან) და მათთან შესადარებლად ძველი ქართულის იქორწინებოდიან და ფშაურ გამოთხაროდი და მომაყაროდი ფორმებზე მიუთითა. იქორწინებოდიან, რომელიც მხოლოდ -ოდ-ი-ან დაბოლოებით ჰგავს ძველი ქართულის შერეული ხოლმეობითისა და შერეული კავშირებითის საზიარო ფორმებს და რომელიც ძველ ქართულში უწყვეტლის ხოლმეობითისა და I კავშირებითის საზიარო ფორმა იყო, დიალექტურ ფორმად, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება, ხოლო გამოთხაროდი და მომაყაროდი შერეული ხოლმეობითის მეორე პირის ფორმებია, რომლებიც ფშაურში თხოვნით-ბრძანებითი კილოს გამოსახატავადაც იხმარება (თაქას ისინი სწორედ ამისთვის უხმარია), და, თუმცა ისინი არც დაბოლოებით და არც ფუნქციით არ ჰგვანან მესამე პირის მრავლობითი რიცხვის იმ ოთხ „არაჩვეულებრივ“ ფორმას (კ. კეკელიძის მიერ გამოცემულ ძეგლში ისინი შერეული კავშირებითის მნიშვნელობით არიან ნახმარი), ძველი ქართულისა და ფშაურის ერთმანეთთან შედარება ამ შემთხვევაში სავსებით სწორია.

ა. ჩიქობავა მისცოდიან ტიპის ფორმებთან დაკავშირებით ფშაურ (და ხევსურულ) შერეულ ხოლმეობითსაც ეხება[1], რომელიც მას „არქაულ ნამყო უსრულად“ მიაჩნია[2] და რომლის შესახებაც, სხვათა შორის, წერს: „ფშაური ხოლმეობითის რაობის გარკვევით წყდება ხევსურული ხოლმეობითის საკითხიც: განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ -დ- სუფიქსს ხევსურულში -ი- უსწრებს, ფშაურში— -ო-; არც ერთი და არც მეორე ნამყო უსრულის სუფიქსის კუთვნილება არაა: -ი-(-ო-) საყრდენი ფუძისა, ხოლმეობითისაა; ხევსურულში იგი უცვლელად გადაყვება ნამყო უსრულში, ფშაურში -ი-ს ადგილს -ო- იჭერს (საფიქრებელია, რომ ეს -ო- მიღებული იყო წინამავალ -ვ-სთან შერწყმით; ამ -ვ-ს მქონებლობა დიალექტური ნორმა უნდა ყოფილიყო)“[3].

ხევსურულში (და თუშურში) დ-ს წინ არსებული ი (მივსც-ი-დ-ი-... დავიწყ-ი-დ-ი... დამაფარნ-ი-დ-ი-თ...) მართლაც ხოლმეობითის (II ხოლმეობითის) ნიშანია, რომელიც, როგორც ითქვა, ფშაურშიც (ოდ-ის წინ) უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაკარგულა, ხოლო ო (მივსც-ოდ-ი...) II ხოლმეობითის ნიშანი კი არ არის და მას ი-ს ადგილი კი არ უჭირავს, არამედ ოდ სუფიქსის ნაწილია და ამ სუფიქსის დაშლა შეუძლებელია[4] (გაუგებარია, რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა იმ „წინამავალ -ვ-ს“, რომლის „მქონებლობა დიალექტური ნორმა უნდა ყოფილიყო“, და რა უნდა „შერწყმოდა“ მას).

შერეული ხოლმეობითის მეორე პირის ფორმები რომ ფშაურში, ხევსურულსა და თუშურში ბრძანებითი კილოს გამოსახატავადაც არის გამოყენებული[5], ეს სრულებით არ არის მოულოდნელი: ხოლმეობითის ერთ-ერთი მწკრივის — II

[1] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა..., I, § 18, გვ. 80—90.

[2] იქვე, გვ. 86—87,90.

[3] იქვე, გვ. 86—87.

[4] ზ. კიკნაძე, პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, გვ. 324—325.

[5] ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, გვ. 196, 200—201 (15, 17—18); პრეფიქსები, გვ. 4, 154—156, 159, 161—162, 166—170 (119, 237—238, 241—242, 247—248, 250—251).

ხოლმეობითის („ნამყო მრავალგზითის“, როგორც ადრე უწოდებდა მას ა. შანიძე) მეორე პირის ფორმები იშვიათად ძველ ქართულშიც იხმარებოდა ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით[1] (უნდა ვიფიქროთ, რომ შერეული ხოლმეობითის მეორე პირის ფორმები ძველადაც იქნებოდა გამოყენებული ბრძანებითი კილოს გამოსახატავად). მეორე მხრივ არც ის არის გასაკვირი, რომ ხევსურულში და ფშაურში ბრძანებითი კილოს მნიშვნელობით შერეულ ხოლმეობითთან ერთად II ხოლმეობითსაც ხმარობენ (როგორც ჩანს, ძალიან იშვიათად): თინათინ ოჩიაურის მიერ არხოტში ჩაწერილ ტექსტში, რომელიც ი. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიას და ი. ქავთარაძის მიერ შედგენილ წიგნში არის დაბეჭდილი, მიგვიხვიდი (II ხოლმეობითი) და უთხრიდი (შერეული ხოლმეობითი) ერთმანეთის გვერდით არის და ორივეს ბრძანებითი კილოს შინაარსი აქვს (...შენავ შუაკაცად მიგვიხვიდივ, უთხრიდივ, რომავ თქვენთან მაკეთობაბ სწადისავ, თუ გვიკადრებენავ...[2]). თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ერთ ფშაურ ლექსში ბრძანებითი კილოს გამოსახატავად ნახმარია II ხოლმეობითის ერთპირიანი ფორმა მიხვიდი:

„შათურით დაუბარებავ ღვინის სმაშია ქალსაო:
—აიქ და აიქ მიხვიდი, ბანი რო ახავ ბანსაო.
ყანის წინ დერიფანია, ლოგინ დაგხვდება მზასაო,
გული ნუ შაგიღონდება ცოტა ხანს მარტუასაო“.[3]

ფშაურში შერეულ ხოლმეობითთან ერთად, როგორც მოსალოდნელიც იყო, შერეული კავშირებითის მწკრივიც არის, რომელსაც სამივე პირის ფორმები აქვს და რომლის მეორე და მესამე პირის ფორმები ბრძანებითი კილოს გამოსახატავად იხმარება. ამ მწკრივის ნიშანი ე სუფიქსია და არა ი (ფუძის დაბოლოებაა -ოდ-ე) და ამიტომ (ძველი ქართულისგან განსხვავებით) ამ ორი მწკრივის ფორმები აღარ ემთხვევა ერთმანეთს (იგულისხმება პირველი და მეორე პირის ფორმები, რომლებიც ორივე მწკრივს აქვს). აი ფშაური შერეული კავშირებითის რამდენიმე ნიმუში: „იგ მაშინ გავარიგოდეთ, რო შავიყრებით გზაზედა“. თ. რაზიკ., გვ. 33. „ქალი რო შამოგეყაროს, აარიდოდე[4] თვალიო“. იქვე, 213. „...დაჭდვოდეთ[5] სატირელზედა, შუქს დააყენებს მზისასა“. იქვე, 40.[6] „დავკარ, ხმა ახალს გავარდა, იქ დაიწერონ ჯვარიო. ზო-

---

[1] ა. შანიძე, პრეფიქსები, გვ. 4,27 (119, 137).

[2] ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961, გვ. 9.

[3] ხალხური სიტყვიერება, III. პირველი სერია, II. ხალხური ლექსები, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი. მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1953, გვ. 153—154.

[4] დამოწმებული აქვს ა. ჭინჭარაულს („ხევსურულის თავისებურებანი, ტექსტებით და ინდექსით“, 1960, გვ. 111). მის წიგნში „შერეული კავშირებითის“ ნაცვლად ხან „ხოლმეობითი“ არის ნახმარი (გვ. 109), ხან „ბრძანებითი“ (იქვე), ხან „კავშირებით-ხოლმეობითი“ (იქვე), ხან „ხოლმეობით-ბრძანებითი“ (111), ხან კიდევ „ხოლმეობით-კავშირებითი“ (111—112), ხოლო „შერეული ხოლმეობითის“ ნაცვლად—„ხოლმეობითი“ (107, 109), „მეორე ხოლმეობითი“ (107—108, 111, 113), „ბრძანებითი“ (109), „ხოლმეობით-ბრძანებითი“ (109—110), „ნამყო უსრული“ (111—112) და „არქაული ნამყო უსრული“ (111—113).

[5] აღსანიშნავია, რომ თ. რაზიკაშვილს „დაჭდვოდეთ“ ასე აქვს განმარტებული: „დადეთ ხოლმე“.

ცვა-წირვაზე დ ა დ გ ო დ ე ნ ჩემნი პირქუშნი ყმანიო!“ იქვე, 20. „სხვა მოიძიონ პატრონად, სხვას დ ა უ კ რ ო დ ე ნ[1] თავიო; სხვას შამაარტყან წელზედა ჩემი ნარტყამი ხმალიო“. ვაჟა-ფშაველა, „დანაბარები“.

შერეული ხოლმეობითი ფშაურშიც, ხევსურულშიც და თუშურშიც დღეს პირნაკლი მწკრივია, მაგრამ მას ერთ დროს, რა თქმა უნდა, მ ე ს ა მ ე პირის (-ოდ-ი-ს, -ოდ-ი-ან, -ი-დ-ი-ს, -ი-დ-ი-ან დაბოლოებიანი) ფორმებიც უნდა ჰქონოდა, რადგან საერთოდ შეუძლებელია, რომ საკუთარი ფუძის მქონე მწკრივი პირნაკლი ყოფილიყო. აქ უნდა გავიხსენოთ „ალუდა ქეთელაურის“ ერთი ადგილი, სადაც ამ მწკრივის მესამე პირის ხევსურულ-თუშური (და არა ფშაური!) ფორმები არის ნახმარი:

„აისხა იარაღები,
გ ა ა ფ ხ ა ვ ი დ ი ს ხმალიო;
გ ა უ შ ი ნ ჯ ი დ ი ს[2] ვადანი,
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო“.

არ ვიცი, რატომ იხმარა ვაჟა-ფშაველამ არაფშაური ფორმები. არც ის ვიცი, ხევსურულში და თუშურში გვხვდება თუ არა (კანტი-კუნტად მაინც) შერეული ხოლმეობითის მესამე პირის ფორმები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ, რაკი ფშაურში შერეულ კავშირებითს ს ა მ ი ვ ე პირის ფორმები აქვს (ხევსურულში და თუშურში, რამდენადაც ვიცი, ეს მწკრივი საერთოდ აღარ უნდა იყოს), შერეულ ხოლმეობითსაც ს ა მ ი ვ ე პირის ფორმები უნდა ჰქონოდა.

შერეული კავშირებითი მ ო ხ ე უ რ შ ი ც არის (მეორე და მესამე პირის ფორმები აქაც ბრძანებითი კილოს გამოსახატავად არის გამოყენებული).

ამ მწკრივის ფორმები ა. ყაზბეგის ნაწარმოებებშიც გვხვდება. ორი მათგანი (მ ი თ ხ რ ო დ ე, დ ა ა რ ი გ ო დ ე) დამოწმებული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს „ქართული გრამატიკის საფუძვლების“ I ტომში (§ 254), რომლის პირველი ნაკვეთი 1942 წელს დაიბეჭდა (მას ისინი, ისევე როგორც ვაჟა-ფშაველას ერთი ლექსიდან დამოწმებული შერეული ხოლმეობითის ფორმები დ ა ი წ ე რ ო დ ი და დ ა ი კ ე რ ო დ ი, „ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი ს ფორმებად“ მიაჩნია, რომლებსაც „თხოვნის ელფერი გადაჰკრავს“)[3].

მოვიყვან „ელგუჯას“ ერთ ადგილს, სადაც მეორე და მესამე პირის ფორმებია ნახმარი: „...მზალო მომიკითხე... უ თ ხ რ ო დ ე, მ ო მ ი გ ო ნ ო დ ე ს...“

ო. ქ ა ჯ ა ი ა ს ზემოთ დასახელებულ ნაშრომში (გვ. 123, 129—!30) მოყვანილია და განხილულია შერეული კავშირებითის (მისი სიტყვით, „თხოვნითი ბრძანებითის“) მეორე და მესამე პირის ფორმები (ხ კ ი თ ხ ო დ ე... ხ კ ი თ ხ ო დ ე ს...). მისი აზრით (რაც სწორი არ არის), „მოხეურში თხოვნითი ბრძანებითი ს ა კ უ თ ა რ ი ფორმების მქონეა. ეს მ წ კ რ ი ვ ი იწარმოება წ ყ ვ ე ტ ი ლ ი ს ფუძი-

[1] დამოწმებული აქვს ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს (დასახელ. წიგნი, გვ. 89). მას „დაუკროდენ“ „კავშირებითი პირველის“ ფორმად მიაჩნია.

[2] მოსალოდნელი იყო გ ა უ შ ი ნ ჯ ნ ი დ ი ს.

[3] აქვე უნდა მოვიყვანო ა. შ ა ნ ი ძ ი ს შენიშვნა: „ერთმა მოხევემ ჩემთან საუბარში იხმარა ფორმა „დაასველოდე“. მე შევეკითხე, რა განსხვავებაა „დაასველე“ და „დაასველოდე“ ფორმებს შორის-მეთქი. მან მიპასუხა: „დაასველოდე“-ში „სულ მუდამ“ იგულისხმებაო, ე. ი. გამოდის, რომ, მისი გაგების თანახმად, „დაასველოდე“ უსრული სახის ფორმაა და ხოლმეობითობის გაგებას იძლევა“ („ქართული გრამატიკის საფუძვლები, I. მორფოლოგია“, 1953, § 254).

საგან -ოდე სუფიქსის დართვით“ (გვ. 123, 129), „რომელსაც ის სესხულობს I ბრძანებითისაგან“ (129). მას არ გაუთვალისწინებია, რომ I ბრძანებითი (ძველი ქართულის ერთ-ერთი მწკრივი, რომელიც ახალ ქართულში აღარ არის და რომლისგანაც ვეღარაფერს „ისესხებ“), თვითონ „სესხულობდა“ სხვა მწკრივის (უწყვეტლის) ფუძეს, რადგან საკუთარი ფუძე არ ჰქონდა; რომ ოდე (ოდ+ე) ერთი სუფიქსი არ არის; რომ ე ახალ ქართულში I კავშირებითის (აწმყოს კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითის) ნიშანია (ძველ ქართულში ამ მწკრივის ნიშანი დ-ონიან ზმნებში ე იყო, ოდ-იანებში—ი); რომ, მაგალითად, უთხროდე-ში და მსგავს ფორმებშიც (ისევე როგორც უთხროდი-ში და მისთანებში) -ოდ-ის წინ II ხოლმეობითის (და არა „წყვეტილის“) ფუძის ი სუფიქსი უნდა ყოფილიყო; რომ ბრძანებითი კილოს გამოსახატავად კავშირებითის სხვა მწკრივებიც არის გამოყენებული[1] და რომ მოხეურში (ფშაურის მსგავსად) შერეული კავშირებითის სამივე პირის ფორმები არის (პირველი პირის ფორმებს კი, რომელთაგან ერთ-ერთს აქვე მოვიყვან, ბრძანებითი კილოს შინაარსი არ აქვთ).

„ხარქა დასუქდით, ღორებო! ძასყიდვა მინდა სთორლზედა.
ჩაგავლიოდეთ ბაზარზე, ჩალა-მტორზედა, ბზეზედა,
ჯუთნი გივლიდეთ კობლითა, იზრდებოდეთ მწონეზედა“.

(ო. ქაჯაია, დასახელ. ნაშრომი, ტექსტები, გვ. 338)

მთიულურშიც გვხვდება შერეული კავშირებითი (ჩემთვის ცნობილია მხოლოდ მეორე პირის ფორმები): აილო̄დე („ქართული დიალექტოლოგია“, I, გვ. 55), დაჰწიოდე, გაუგონოდე, შჭამოდე (იქვე, 56), აადუღოდე, აბანაოდე (64)...

მთიულურში (ფშაურის მსგავსად) შერეული ხოლმეობითიც ყოფილა: „იუთხრო̄დი: კარგა სწონრ̄დე...“ (იქვე, 55)[2].

შერეული კავშირებითი არის აგრეთვე გუდამაყრულში (შემიძლია მხოლოდ მეორე პირის ფორმების დასახელება): ოუთხროდე, მოატაინოდე, გადაჲხედოდე, წამაიყვანოდე, მიირთოდე, გაიგრილოდე (იქვე, 81), აუდუღოდეთ, გააჲბანოდეთ (94).

აღსანიშნავია, რომ ინგილოურში გვხვდება ვიყოდე, ვიყოდეთ, იყოდე, იყოდეს ფორმები (...ქაჭაʼნ!ნამში იყოდეს... „ქართული დიალექტოლოგია“, I,232), რომლებიც ერთპირიანი ზმნების III კავშირებითშიც ჩანან, სადაც ისინი მიმღეობასთან ერთად არიან წარმოდგენილი (... ჰაჲ იქნევა, სხოჲ მოსულიყოდეს?... იქვე, 231)[3].

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 253, 482.

[2] ა. ჩიქობავა თავის წერილში მთიულურის შესახებ ამბობს, რომ „მეორე პირის ბრძანებითი კავშირებითის ფორმით არის გადმოცემული“ (მოყვანილია შემატყობინებდეთ, გამოიქცეოდე̄თ და და̄სვენოდეთ) და რომ „ამგვარი რჩევითი ბრძანებითი მთის სხვა კილოებშიც გვაქვს“ (არნ. ჩიქობავა, მთიულურის თავისებურებანი: ენიმკი-ს მოამბე, II$_1$, 1937, გვ. 57). აქ შერეული კავშირებითი (დაასვენოდეთ) I კავშირებითთან (მყოფადის კავშირებითთან) არის გათანაბრებული, ხოლო ვუთხრ̄ოდი და მისთანა ფორმების შესახებ წერილში სრულებით არაფერია ნათქვამი.

[3] მათ შესახებ ი. იმნაიშვილი წერს: „ზნებითებს III კავშირებითში ჩართული აქვს -ოდ, უწყვეტლის ნიშანი; მაგ.: ცოცხალი თუ ვიყოდე̄; წაკიდებულვიყოდეთ; მოსულო-

Ⴅიყოდე, იყოდე, იყოდეს... შერეული კავშირებითის ფშაური, მოხეური, მთიულური და გუდამაყრული ფორმების მსგავსი ფორმებია და, თუ ისინი შემთხვევით (ოდ-იანი ზმნების აწმყოს კავშირებითის ფორმების ანალოგიით) არ არიან გაჩენილი და ასეთი ფორმები სხვა ზმნებსაც აქვთ (რაც საეჭვოა), მაშინ ეს მწკრივი ინგილოურშიც ყოფილა!

ყერეული ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი წარმოების პრინციპების მიხედვით ერთმანეთთან ძალიან ახლოს მდგომი მწკრივებია (ძველ ქართულში, როგორც ვნახეთ, მათი ფორმები გარეგნულად სავსებით ერთნაირია) და ამიტომ მათი ერთმანეთისგან მოწყვეტით განხილვა შეუძლებელია (ამით აიხსნება, რომ გზადაგზა შერეულ კავშირებითსაც ვეხებოდი). Ⴄს მწკრივები ძველ სალიტერატურო ქართულშიც იყო და ახალი ქართულის დიალექტებშიც არის (ზოგგან—ორივე, ზოგგან—ერთ-ერთი მათგანი) და, ცხადია, დიალექტურ ფაქტებს გვერდს ვერ ავუვლიდი (ძველი და ახალი ფაქტები შუქს ჰფენენ ერთმანეთს და ამით უფრო ნათელი ხდება ამ ორი მწკრივის სურათი ძველ ქართულშიც და დღევანდელ დიალექტებშიც).



უოდე; მოსულ იყოდეს; ქნილ`იყოდე; Ⴃაჰკლებოდეს... (Ⴂრ. Ⴈმნაიშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, 1966, გვ. 123).

Ⴅიყოდე, რა თქმა უნდა, არ არის III კავშირებითი (ერთპირიანი ზმნების III სერიის მწკრივები მიმღეობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია)., Ⴃაჰკლებოდეს ფორმაში ოდ „ჩართული" კი არ არის, მისი ორგანული ნაწილია. ოდ არც ვიყოდე-ში ან მოსულვიყოდე-ში და მსგავს ფორმებში არის უბრალოდ „ჩართული" (ეს „ჩართული" ოდ რომ „ამოვიღოთ", დარჩება „ვიყე"... „მოსულვიყე"...).

დავით კობიძე

ფილოლოგიური დაკვირვებანი

ჟურომანი

„როსტომიანის“ ხალხური ვერსიით ზურაბის დედას ჟურომანი ეწოდება[1]; გვხვდება ჟუროვანიც[2].

აღნიშნული თხზულების ზოგი ვარიანტი ზურაბისა და მისი დედის—ჟურომანის შეტაკების ეპიზოდსაც იცნობს. ასე, მაგალითად, ს. გორგაძის მიერ გამოცემულ ტექსტში შემდეგი იკითხება:

„დედამ იფიქრა: მოდი გამოვცდი ჩემ შვილს, შეუძლიან მტრის დახვედრა თუ ვერაო. ჩაიცვა ვაჟკაცურად, შეიკეცა ქუდში თმა, აიღო აბჯარი, შეჯდა ცხენზედ და გადმოუხტა ზურაბს: დაჰყარე იარაღები და დამნებდი!--დაუყვირა ჟურომანმა ზურაბს და ცხენი ზედ მიაგდო.

მოტრიალდა ზურაბი, უტაკა ცხენს შუბი და ჰაერში აიტაცა. ჟურომანს თავიდან ქუდი გადმოუვარდა, თმა ჩამოეშალა მხრებზედ. ზურაბმა იცნო დედა, ჟურომანი გადაეხვია ზურაბს და დაუწყო კოცნა“ [3].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბის დედის სახელს ჟურომანს არ იცნობს ნ. ურბნელის[4], თავისუფალი სვანის[5], კ. გვარამაძის[6] და არც ალ. ღლონტის[7]

---

[1] „როსტომის სიტყვა ასრულდა: ჟურომანს ვაჟი გაუჩნდა, რომელსაც ზურაბი დაარქვა“,—ვკითხულობთ ხალხურ „როსტომიანში“ (ს. გორგაძე, ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, ტფილისი, 1925, გვ. 50).

[2] „დაუყვირა დედამ, რომელსაც ჟუროვანი ერქვა“ (ქართული ხალხური ეპოსი, სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1940, გვ. 72).

[3] ს. გორგაძე, იქვე, გვ. 50.

[4] „ივერია“, 1887, № 78.

[5] „ივერია“, 1887, № 214.

[6] აკაკის კრებული, ტ. VII, 1898 წ.

[7] ქართული ხალხური ეპოსი, 1962 წ..

მიერ ჩაწერილი ვარიანტები. ხალხური „როსტომიანის" მთელ რიგ რედაქციებში გადმოცემული არ არის აგრეთვე გამოცდის მიზნით ზურაბთან ხურომანის შებრძოლების ეპიზოდიც.

დედის მიერ ზურაბის გამოცდის სცენას „მეფეთა წიგნის" არც სპარსული და არც ქართული ვერსიები იცნობს. ხალხური „როსტომიანის" მთელ რიგ ვარიანტებში იგი, ცხადია, სხვა საგმირო თქმულების გავლენით გაჩნდა.

„როსტომიანის" ლიტერატურული ვერსიის მიხედვით ზურაბის დედის სახელია თ უ მ ი ა ნ ი[1]. სპარსული ვერსიით კი ზურაბის დედას, სამანგანის შაჰის ასულს, თ ა ჰ მ ი ნ ე (تهمینه) ეწოდება[2].

ქართული ლიტერატურის კლასიკური ხანის ძეგლებიდან ამ სახელს, რამდენადმე შეცვლილი ფორმით, მხოლოდ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი" იცნობს[3]. აქ იკითხება თ ა რ ნ ი მ ი (ან თარნიმა, თარნიმე): ვითარ თამთა: თარნიმისათჳს. ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა" კომისიას, როგორც კ. კეკელიძეს აქვს აღნიშნული (გვ. 27), სახელი თარნიმი (თარნიმე თუ თარნიმა) თანიმან-ად შეუცვლია.

სიტყვაში თ ა მ თ ა თაჰამთან (როსტომი) იგულისხმება, როგორც ეს მართებულად ახსნა კ. კეკელიძემ (გვ. 27), თ ა რ ნ ი მ ი კი, იმავე მკვლევრის აზრით, „არის დამახინჯებული „თუმიანი", ასული სამანგანის ხელმწიფისა, რომლისაგან როსტომმა შვა ზურაბი" (გვ. 27).

მკვლევარი ასეთი მსჯელობის საფუძველზე მის მიერ გამოცემული თხზულების („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი") ტექსტში სახელის ფორმას თ ა რ ნ ი მ ი ლიტერატურული „როსტომიანის" წაკითხვის მიხედვით თ უ მ ი ა ნ-ად ასწორებს: ვითარ თაჰამთან თუმიანისათჳს (გვ. 80) და იქვე მიუთითებს ვარიანტზე: თამთა: თარნი მისათვის.

კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილი წაკითხვების თანახმად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მიჯნურთა თორმეტი წყვილის სახელები დაბეჭდილია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაშიც (გვ. 35—36). აქვე ყველა ხელნაწერის მიხედვით მოცემულია ამ სახელთა ვარიანტები.

აღნიშნული თხზულების სამი ხელნაწერია ცნობილი: ა) S—30, XVII საუკუნისა; ბ) H—2135, XVIII საუკუნისა (ორივე ხელნაწერი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს ეკუთვნის) და გ) ლენინგრადის ყოფ. სააზიო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის № 13, XVIII საუკუნისა.

ჩვენს ყურადღებას ის იპყრობს, რომ არც ერთ ხელნაწერში „თარნიმის" (ვახტანგით—„თანიმანი") ნაცვლად „თუმიანი" არ იკითხება. ამ ხელნაწერების დამზადების დროს ლიტერატურული „როსტომიანი" ჩვენში ფართოდ იყო გავრცელებული. ტექსტის გადამწერლებს, როგორც ლიტერატურული საქმიანობით

---

[1] „ასული უხუცესი ვარ, თ უ მ ი ა ნ მე მქჳს სახელი" (შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ი უ ს ტ ი ნ ე ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემა, თბილისი, 1916, სტროფი 2633,4).

[2] Vullers, I, გვ. 438.

[3] თხზულება (მხედველობაში გვაქვს ტექსტის აღდგენის ცდები) პირველად გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბილისი, 1941, ხოლო მეორედ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა: ქართლის ცხოვრება, II, თბილისი, 1959, გვ. 1—114.

დაინტერესებულ პირთ, უეჭველად ეცოდინებოდათ როსტომის სატრფოს სახელი თუმიანი, მაგრამ მათ ტექსტში თარნიმის ნაცვლად ის არ შეუტანიათ. როგორც ჩანს, გადამწერლები თავიანთ წყაროებს კვალდაკვალ მისდევდნენ.

„ისტორიანი და აზმანის“ ადრინდელ ხელნაწერში „თაჰმინეს“ თუ „თაჰმინას“ ნაცვლად ჰ-ს დაკარგვის შემთხვევაში „თამინა“ ან „თამინი“ უნდა გვქონოდა. აქედან, და არა თუმიანისაგან, არის წარმომდგარი „თარნიმი“.

ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა „თუმიანის“ ნაცვლად ტექსტში ისევ თარნიმი (ან, ვახტანგის სწავლულ კაცთა გასწორების მიხედვით, თანიმანი) დაგვეტოვებინა. თუმიანს, როგორც როსტომის მიჯნურის თუ ზურაბის დედის სახელის ფორმას, კლასიკური ძეგლები არ იცნობს.

მკვლევარი კ. კეკელიძე, როგორც აღინიშნა, „როსტომიანში“ მოცემული სახელით ცვლის ხელნაწერებში წარმოდგენილ წაკითხვას, რასაც ძნელად თუ შეიძლება დავეთანხმოთ. აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ „ისტორიანი და აზმანის“ მიჯნურთა 12 წყვილის საკითხი, მათი ვინაობის გარკვევის თვალსაზრისით, კვლავ გადასინჯვას მოითხოვს. ასე, მაგალითად, მეორე წყვილი ხოსრო—შანშა და ბანუ (ვითარ ხოსრო—შანშა ბანუისთჳის) ნიზამი განჯელის თხზულების „ხოსროვ-შირინიანის“ გმირებად არიან გაგებული, რაც სადავოა.

საქმე ის არის, რომ ნიზამიზე ადრე ფირდოუსიმ უმღერა ხოსროვისა და შირინის სიყვარულს. „შაჰ-ნამეში“ საკმაოდ ვრცელი ეპიზოდებია წარმოდგენილი ამ რომანისა, რასაც ნიზამიც იცნობს. საყურადღებო ისაა, რომ ფირდოუსი შირინის ეპითეტად იყენებს ბ ა ნ უ სიტყვას, რაც ქალბატონს (ბანოვანს) ნიშნავს. რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი ამ შემთხვევაშიც „შაჰ-ნამეთი“ სარგებლობდეს?

ისევ ხ უ რ ო მ ა ნ ს მივუბრუნდეთ. სპარსულ ლიტერატურულ თხზულებებში ეს სიტყვა ამა თუ იმ გმირის სინარნარისა და სიკოხტავის აღსანიშნავად გამოიყენება. ის წარმომდგარია სიტყვისაგან ხორამიდან (ინფინიტივი), შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ხურომიდან, რაც ნიშნავს ნარნარ, მოხდენილ, გოგმანით სვლას. „ხორამან“ ან „ხურომან“ წარმოდგენილი ზმნის ახლანდელი დროის მიმღეობის ერთ-ერთი ფორმაა და ნიშნავს ნარნარით, კოხტად სვლას.

აღნიშნული სიტყვა ზოგჯერ სახელადაცაა გამოყენებული. ასე, მაგალითად, „ყარამანიანის“ სპარსულ და ქართულ ვერსიებში გვხვდება სახელი ს ა რ ვ ი ხ უ რ ა მ ა ნ. იგი ინდოთა ხელმწიფის რაიჰინდის (ქართულად რაჰინდ, რაინდ) ასულია, რომელიც ფალავნებს ეომება. ქართული ტექსტის სარვი ხურამანის საბადლოდ სპარსულში سرو خرامان იკითხება. სიტყვა „სარვ“ ადრევეა ჩვენში დამკვიდრებული ფორმით „სარო“ (კვიპაროსი). ამ შემთხვევაში იგი იზაფეთითაა დაკავშირებული „ხურამანთან“. ამიტომ იკითხება სარვ-ი. „სარვი ხურამან“ ნიშნავს მონარნარე, კოხტად და მოხდენილად მოსიარულე საროს.

კ. კეკელიძე მსჯელობს „შაჰ-ნამეს“ სპარსულ-ქართული სახელების შესახებ. იგი ეხება ზურაბის დედის სახელთა ფორმებსაც (თაჰმინე, თუმიანი, ხურომანი). მკვლევრის აზრით, „ხურომანი“ ხალხურ „როსტომიანში“ „თუმიანის“ შეცვლის შედეგადაა მიღებული. მოვუსმინოთ მას: „სპარსულად ის (ზურაბის დედის) სახელი არის „თაჰმīნე“, ქართულად კი კლასიკურ პერიოდში ის ცნობილი იყო რო-

გორც თუმიანი (5,) გვ. 28,80)[1], თუმიანი ეწოდება მას სერაპიონის შრომაშიც (6) I, 2633, 2644, 2916)[2].

საიდან გაჩნდა სერაპიონის შრომაში სახელი თუმიანი, რომელშიაც სპარსული ფორმა (თაჭმინე) არც ისე უცვლელადაა მოცემული? თუ ხალხურ „როსტომიანში" ის „ჟურომანად" შეიცვალა, ნუთუ აღორძინების ხანის ახალ თარგმანში მან ცოტაოდენი ცვლილება მაინც არ განიცადა?"[3]

საქმე ის არის, რომ ხალხური „როსტომიანის" ჟურომანი თუმიანის ფორმის შეცვლის ნიადაგზე კი არ არის მიღებული, როგორც ფიქრობს კ. კეკელიძე, არამედ ერთი თხზულების (ამ შემთხვევაში „როსტომიანის") გმირის სახელის მაგივრად მეორე თხზულების „ყარამანიანის" გმირის (ჟურამანი, ჟურომანი) სახელია გამოყენებული (მისი წინა ნაწილის სარვის შეკვეცით). ჟურომანისა და ზურაბის შერკინების ეპიზოდიც სარვი ჟურამანისა და ყარამანის ბრძოლის გავლენითაა ხალხურ „როსტომიანში" გაჩენილი.

სპარსულ ტექსტში ვკითხულობთ:

قهرمان بغیرت آمده آنچنان گرزی برسرو خرامان زد که بند خود گسیخته شد و
سرش برهنه گشت قهرمان موی گیسوی او را دید که همچون سنبل تریریشان گشت.

ყარამანი განრისხდა (აენთო), სარვი ჟურამანს გურზი იმგვარად დაჰკრა, რომ მუზარადის შეკრულობა (საბმური) მოეშალა და თავიც გაუშიშვლდა. ყარამანმა დაინახა მისი კავ-ზილფი, რომელიც სველი სუმბულივით ჩამოშლილიყო[4].

ქართულ ტექსტში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

ყარამან განრისხებულმან სარვი ჟურამანს თავსა ესეთი ლახტი დაჰკრა, რომე პირისა საბურავი ჩამოვარდა. და პირისა საბურავი მოეშალა, ყარამან შეხედა, მზისა მსგავსი სახე თვალთა გაიცადა და სუმბულისა მსგავსი კავ-ზილფი ბეჭთა გარდაშლოდა[5].

გაფორმების თვალსაზრისით ეს ეპიზოდი სავსებით ემთხვევა ხალხურ „როსტომიანში" გადმოცემულ ზურაბისა და ჟურომანის ბრძოლის სურათს.

გმირ ქალებს, რა თქმა უნდა, „შაჰ-ნამეც" იცნობს. თვით ზურაბის ეპიზოდშია მოთხრობილი გექდეჭუმ ფალავნის ასულის გურდაფარიდის (ქართულად: გულდაფარი, გულდაფრინი) ზურაბთან ბრძოლის ამბავი. ვაჟკაცურად მორთულ გურდაფარიდს ბრძოლის ჟამს თმა ჩამოეშლება და ამით ზურაბი მის ქალობას გამოიცნობს. მაგრამ „შაჰ-ნამეს" ქართულ ხალხურ ვერსიაში იგი გადმოცემული არ არის.

---

[1] მკვლევარი აქ იმოწმებს მის მიერვე გამოცემულ „ისტორიანი და აზმანის" სათანადო ადგილს, სადაც მან, როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, „როსტომიანიდან" თვითნებურად შეიტანა სახელი „თუმიანი" იმის დასამტკიცებლად, რომ თითქოს კლასიკურ პერიოდში „თაჭმინე" ცნობილი ყოფილიყოს, როგორც „თუმანი".

[2] მითითებულია „როსტომიანის" სტროფები იუსტ. აბულაძის გამოცემის მიხედვით.

[3] როსტომიანის ერთი საკითხისათვის (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 8, 1942, გვ. 845—817).

[4] ვსარგებლობთ „ყაჰრამან-ნამეს" ლითოგრაფიულად ჰიჯრით 1306 (=1888/9) წელს გამოცემული ტექსტით, გვ. 49.

[5] ყარამანიანი, ალექსანდრე გვახარიას და სარგის ცაიშვილის გამოცემა, თბილისი, 1965, გვ. 82.

უთრუთი

ცნობილი თხზულების „აბდულმესიანის“ XV სიმღერაში იკითხება:

უთრუთ-საამით, ზაალსა ამით
განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა.
სალიმ და თური, ძალთ უკეთური,
როსტომ, ვერა ვსცან, სწორავს თუ რითა?

ეს ადგილი ნ. მარის მიერ გამოცემული ტექსტიდან ამოვწერეთ [1]. პირველი სტრიქონის საინტერესო წაკითხვას გვაძლევს მ. ჯანაშვილი:

უთრუთსა ამით ზაალ-საამით
განქიქებულ ჰყოფს ძლიერებითა [2].

მკვლევარმა ზაალისა და საამის, როგორც მამა-შვილის ერთად მოხსენიება, ჩანს, უფრო ლოგიკურად მიიჩნია, ვიდრე უთრუთისა და საამისა, რომლებიც სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ.

„აბდულმესიანი“ ათჯერ გამოიცა. უკანასკნელი გამოცემა ივანე ლოლაშვილს ეკუთვნის (1964 წ.), რომელსაც, როგორც თვითონ ამბობს (გვ. 14), ყველა ხელნაწერი და კრიტიკული გამოცემა გამოუყენებია ტექსტის გასამართავად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია საცილობელი, გასაგები და დასადგენი ამ დიდმნიშვნელოვანი თხზულების ტექსტში.

ამჟამად ჩვენ უთრუთის ვინაობა და მისი აქ მოხსენიების მიზეზის გარკვევა გვაინტერესებს.

ყველა მკვლევარი, რომელნიც კი აქ ჩამოთვლილ გმირებს (უთრუთი, საამი, ზაალი, სალიმ, თური) შეხებიან, აღნიშნავს, რომ ისინი ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ გმირები არიან. ზოგსაც ამ გმირთა აქ მოხსენიება იმის დამამტკიცებელ ერთ-ერთ საბუთად მიაჩნია, რომ იმ დროისათვის, როცა აღნიშნული ხოტბა იწერებოდა (XII საუკუნის დასასრული ან XIII-ის გარიჟრაჟი), ფირდოუსის თხზულებას ქართველები თარგმანით იცნობდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ უთრუთი „შაჰ-ნამეს“ გმირად არ ჩაითვლება. ფირდოუსის თხზულების ტრადიციული ტექსტი უთრუთის არც ერთ საბრძოლო ეპიზოდს არ იცნობს. სწორად შენიშნავს ივ. ლოლაშვილი, რომ უთრუთი ცნობილი ფალავნის გერშასფის მამაა, ის ერთ-ერთი ფალავანთაგანია „შაჰ-ნამეს“ მიბაძვა-გაგრძელებათა ციკლიდან [3].

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ „აბდულმესიანში“ უთრუთი „მეფეთა წიგნის“ გმირებთან ერთადაა მოხსენიებული. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

---

[1] Н. Марр, Древне-грузинские одописцы: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, IV, 1902.

[2] ივანე შავთელი, აბდულმესიანი, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და განმარტებით, თბილისი, 1915, გვ. 25.

[3] ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბილისი, 1964, გვ. 264.

ცნობილია, რომ არსებობს „შაჰ-ნამეს“ ჩანართებიანი ტექსტები, რომლებშიც უთრუთი დიდ ფალავნადაა გამოყვანილი [1].

ხოტბის ავტორი, რომელიც „შაჰ-ნამეს“ გმირებთან ერთად, ყოველგვარი გამოცალკევების გარეშე, უთრუთს ასახელებს, უეჭველია, ფირდოუსის თხზულების ჩანართებიანი ტექსტით ხელმძღვანელობს, რომლის ქართული თარგმანი, შესაძლებელია, მის დროს კიდევაც არსებულიყო.

მაშასადამე, „მეფეთა წიგნის“ წარყვნა, მასში სხვადასხვა თხზულებიდან, ამ შემთხვევაში „გერშასფ-ნამედან“, ცალკეული ეპიზოდების შეჭრა, როგორც ამას ქართული მასალებიც ადასტურებს, ადრევე დაწყებულა.

ავთანდილ გადინადირა

ქართული ლიტერატურის კლასიკურ ხანაში „ვისრამიანის“ გვერდით „შაჰ-ნამეს“ ქართული თარგმანის არსებობაცაა სავარაუდებელი. უპირველეს ყოვლისა გადმოთარგმნილი უნდა ყოფილიყო მისი მითოლოგიური და საგმირო ნაწილები; მაგრამ ამავე დროს გამორიცხული როდია იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენშიც, ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ხალხებში, ირანული თქმულებები ძველი დროიდანვე ზეპირი მეტყველების გზით ყოფილიყო გავრცელებული.

დღესაც მაგონდება ის ზღაპარი, რომელიც პაპაჩემმა (დედით) სოფ. ერკეთის მკვიდრმა როსტომ უჯმაჯურიძემ ბავშვობისას მიამბო. ზღაპარში, როგორც ეს დიდი ხნის შემდეგ გამოვარკვიე, მოთხრობილი იყო „შაჰ-ნამეს“ გამგრძელებლის თხზულების „ბარზუ-ნამეს“ (XI საუკ.) ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, სუსან მესაკრავის მიერ ირანელი გმირების (ბეჟანის, ტუსის და სხვ.) რიგ-რიგობით კარავში შეტყუება, ფალავან ფილსომის დახმარებით მათი დატყვევება და შემდეგ ბარზუს მიერ ირანელ ბუმბერაზთა ტყვეობიდან განთავისუფლება.

საიდან უნდა შეეთვისებინა პაპაჩემს „ბარზუ-ნამეს“ ამბები, როცა აღნიშნული თხზულების ის ნაწილი, რომელშიც მეჩანგე სუსანის თავგადასავალია გადმოცემული, ქართულად არ ყოფილა გადმოთარგმნილი? ცხადია, ხალხური გზით [2].

საერთოდ „როსტომიანს“ დიდი გავლენა მოუხდენია ჩვენს ზეპირსიტყვიერებაზე. ძნელია დავასახელოთ ისეთი საგმირო თქმულება, რომელსაც ამა თუ იმ სახით „როსტომიანის“ გავლენის კვალი არ აჩნდეს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხალხურ „ტარიელიანში“ ჩართულმა ლექსმა: ავთანდილ გადინადირა ქედი მაღალი, ტყიანი, და სხვ.

როგორც ჩანს, მისი მთლიანი სახით „ტარიელიანში“ შეტანა გაძნელებულა. მის მიხედვით ავთანდილი კვდება ურჯულოს მიერ გამოტყორცნილი ისრით,

---

[1] ეგი არ არის ჯიმშედ მეფის შვილი, წინააღმდეგ ე. ზ ო ლ ა შ ვ ი ლ ი ს ჩვენებისა (გვ. 264). „შაჰ-ნამეთი“ ჯიმშედს ორი და (ზოგი რედაქციით ასული) — არნავაზ და შაჰრნაზ დარჩა, რომელთაც ჯერ ზააქი, ხოლო შემდეგ ფრიდონი დაეპატრონა.

ქართული ვერსიების ჩვენებით, რომლებიც სპარსულს ემყარებიან, პირველი მეფის ქაომარის (იგივე ქაიუმარსი) შვილია სიამუქ (იგივე სიიამაქ), სიამუქის შვილია ზაავი, ხოლო ზაავის შვილია უთრუთი: „ზაავ ფალავანსა ერთი შვილი დარჩა, ათის წლისა, უ თ რ უ თ ქეიან“,—ვკითხულობთ „უთრუთიან-საამიანში“ (ხელნაწერი H—921).

[2] „ბარზუ-ნამეს“ საკმაოდ დიდი ნაწილი „შაჰ-ნამეს“ ჩანართებიანი ტექსტიდან შემოკლებით უთარგმნია XVI—XVII საუკუნის მოღვაწეს ხოსრო თურმანიძეს ქართულად და მასვე შეუტანია ის „როსტომიანში“. ბარზუ, როგორც ვიცით, „შაჰ-ნამეს“ გმირი არ არის.

ხოლო „ტარიელიანით“ ამბავი გრძელდება, რომელშიც ავთანდილიც მონაწილეობს. ამიტომ „ტარიელიანის“ ზოგ რედაქციაში მხოლოდ მისი დასაწყისი ნაწილია შეტანილი, ეს ხდება ავთანდილის ცოცხლად დატოვების მიზნით, ზოგშიც კი—მთლიანი სახით, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი სულ ბოლოსაა გადატანილი და „ტარიელიანში“ მოთხრობილი ამბავიც ავთანდილის დაღუპვით მთავრდება[1].

ლიტერატურულ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის ძებნად გამოსული ავთანდილის ნადირობის ამბავი ასეა გადმოცემული:

თუცა მხეც-ქმნილი ავთანდილ გულ-ამოსკვნით და კვნესითა,
ეგრეცა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა,
ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა,
შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.
ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე მწვადი შეიწოდეს;
ექვსნი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკენ მივიდოდეს;
თქვა, თუ: „ჰგვანან მეკობრეთა, თვარა კარგი რამც იცოდეს!
აქა კაცი ხორციელი კვლა ყოფილა არაოდეს“![2]

(სტროფები 195—196)

გამოირკვა, რომ ორ ძმას მოჰყავდათ მესამე, უმცროსი ძმა, რომლისთვისაც ტარიელს მათრახის ერთი გადაკვრით თავი გარდაეფრიწა. დანარჩენი სამი ცხენოსანიც იმათი მხლებლები ყოფილა.

ავთანდილმა ამით მიაგნო ტარიელის კვალს და მას გამოუდგა.

ბალადაში „ავთანდილ გადინადირა“ წარმოდგენილი გმირის სახე „ვეფხისტყაოსნისაგან“ დამოუკიდებლად უნდა იყოს შემუშავებული. შესაძლებელია მას ადრე სხვა სახელიც კი რქმეოდა. მასში აღწერილ ამბავზე გავლენა მოუხდენია „ვეფხისტყაოსანს“ და ნაწილობრივ „როსტომიანს“.

„შაჰ-ნამეს“ სპარსულ ვერსიაში გადმოცემულია როსტომის სანადიროდ გასვლის ამბავი. ეგი ერთგვარი შესავალია როსტომისა და თეჰმინეს (ზურაბის დედის) რომანისა.

ერთ დღეს როსტომი რაშზე ამხედრდა და სანადიროდ გაემგზავრა. როცა თურანის ზღვარს მიუახლოვდა, კანჯრით სავსე ველი შენიშნა, მშვილდ-ისრით რამდენიმე მათგანი მოკლა, დაანთო ძლიერი ცეცხლი, გამოთალა შამფური და ზედ მწვადი ააგო, შეწვა და შეექცა. რაშს საძოვარი მისცა. ამის შემდეგ როსტომი დაიძინებს.

თურქი მხედრებიც იმ ველზე სანადიროდ გამოსულიყვნენ. მათ დაინახეს რაში, რომლის დაჭერაც მოინდომეს. სტყორცეს ქამანდი, მაგრამ ამაოდ. რაში მძვინვარე ლომივით განრისხდა, ორი კაცი წიხლის კვრით მიწასთან გაასწორა, ერთსაც თავი კბილებით მოჰგლიჯა. დანარჩენი მხედრები დატრიალდნენ და ყოველი მხრით დაუწყეს რაშს ქამანდის ტყორცნა. როგორც იქნა, ის დაიჭირეს და ქალაქად წაიყვანეს.

როცა როსტომს გამოეღვიძა, რაში ველარ იპოვა, ძალზე დაღონდა და შეცბუნებულმა მის საძებრად სამანგანისაკენ გასწია[3].

---

[1] პროფ. მიხეილ ჩიქოვანის შრომაში „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ (თბილისი, 1936) „ტარიელიანის“ ასეთი ვარიანტიცაა წარმოდგენილი (იხ. გვ. 96).

[2] ვსარგებლობთ ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის რედაქციით გამოცემული ტექსტით, თბილისი, 1957.

[3] Vullers, I, გვ. 434—435.

ლიტერატურულ „როსტომიანში“ ეს ამბავი, რომლის შინაარსი ჩვენ სპარსული ტექსტის მიხედვით მოკლედ გადმოვეცით, ასეა გალექსილი:

დღესა ერთსა თავის წინა როსტომ იჯდა შეჭირვებით,
მას მოუნდა ნადირობა, ცხენსა შეჯდა თავის ნებით;
წელთ კაპარჭი შემოირტყა, წამოვიდა არ ყმა-ხლებით,
ნახა ველი კანჯრით სავსე, მას იამა გახარებით.

გაეხარნეს უსაზომოდ, აუყვავდა ვარდი ღაწვი,
ფიცხლავ რაშით შეუტივა, ლახტით უყო მხეცთა ლაწი,
ცეცხლი შექნა შესაწველად, დააყარა ეკალ-ძეძვი,
მან — „კანჯარი შამფურზედან“ — თავსა უთხრა: „კარგად შეწვი!“

შეჭამა და არას ეყო, ძვალთა ტვინი გამოსდინა,
რაშსა მისცა საძოვარი, ხრმალ-კაპარჭი ედვა წინა;
მან დაიგო მოლი ქვეშე, — არსად უჩნდა მტერი ვინა, —
სასთაულად უნაგირი, დაწვა, ამოდ დაიძინა.

მერმე მიხვდნენ შვიდნი თურქნი, მისთა მკვლელთა დაემგზავსნეს,
ნახეს რაში ჭალაშიგან, შეიპყრეს და წაიყუანეს,
როსტომ ძილი მოიქარვა, რაშისათვის თვალნი არნეს,
ნახა, ცხენი აღარა ჰყუა, თუ სთქუა, სულნი გაეყარნეს.

თქვა თუ: „სავსე აუგითა, შერცხვენილი სად წავიდე?!
ხრმალ-ქარქაშსა, მძიმეს ლახტსა, უპატიოდ ვით ვზიდვიდე?!
აწ რა უყო უნაგირსა, მისად ნაცვლად ვის შევდგმიდე,
რას იტყვიან ფალავნები, — წაუღია ვისმე კიდე?!

სჯობს, მირჩევნია სიკვდილი სიცოცხლეს აუგიანსა!“
მხარს უნაგირი შეიცვა ტან-აბჯარ-დარაკიანსა,
რაშისა კვალსა წაუდგა, ელის ღამე, დღესა მზიანსა.
გარნა დღენი მრავალნი მინდორსა ქვეშა-წყლიანსა [1].

აქ წარმოდგენილი ტექსტის შესახებ შემდეგი უნდა შევნიშნოთ:

ა) გამოცემაში იკითხება „ეკალ-ნაძვი“: ცეცხლი შექნა შესაწველად, დააყარა ეკალ-ნაძვი (2620,3). სპარსული ტექსტით (ვულერსი, გვ. 434) კი როსტომმა ცეცხლი ეკლით, ნაფოტით და ხის ტოტებით (ز خار وز خاشاک و شاخ درخت) დაანთო.

აქ რომ ეკალი (خار) არის ნახსენები, რაც მთარგმნელსაც ეკლად გადმოუღია, იმას გვაფიქრებინებს, რომ ადრინდელ ხელნაწერში, შესაძლებელია, იკითხებოდა არა „ეკალ-ნაძვი“, არამედ „ეკალ-ძეძვი“, რაც რითმასაც უფრო უდგება (ძეძვი, შეწვი), ვიდრე ნაძვი. ამიტომ ნაძვი ძეძვად შევცვალეთ.

ბ) ტექსტში აგრეთვე ნათქვამია: მან დაიგო მ ო ლ ი ქვეშე (2621,3). პროფ. იუსტინე აბულაძის განმარტებებით აქ მოლი მანტიას, ზედა სამოსელს, მოსასხამს ნიშნავს. „როსტომიანის“ ლექსიკონში სიტყვა „მოლის“ ხმარების სულ ოთხი შემთხვევაა მითითებული (სტროფები: 2263,1; 2621,3; 1997,2 და 2089,2).

აქედან ორი სტროფისათვის (1997,2 და 2089,2) მოლი მ წ ვ ა ნ ე ბ ა ლ ა ხ ა დ ა ა განმარტებული, ხოლო დანარჩენი ორისათვის (2263 და 2621)—მოსასხამად და სხვ.

[1] შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, I, თბილისი, გვ. 708—710.

1997,2 და 2089,2 სტროფებში სიტყვა მოლი ისეთ კონტექსტშია ნახმარი („ცა გამხმარა, მიწაზედან მ ო ლ ს ა ძირი დალევია; ჯერეთ მ ო ლ ი არა მწვანობს, სად მოურწყავს სისხლსა მისსა“), რომ არავითარი ეჭვი არ შეიძლება შევიტანოთ ლექსიკონის ავტორის მიერ მოცემულ განმარტებაში (მწვანე ბალახი). მაგრამ მოლის მნიშვნელობა ასე ნათელი არაა დანარჩენ ორ (1997 და 2621) სტროფში. ორივე ადგილას იგი ერთნაირ კონტექსტშია წარმოდგენილი:

რაშსა მისცა საძოვარი, ხრმალ-კაპარჭი ედვა წინა,
მან დაიგო მ ო ლ ი ქვეშე, — არსად უჩნდა მტერი ვინა (2621, 3—4).

რაშსა მისცა საძოვარი, მან დაიგო ქვეშე მ ო ლ ი,
გზის გარჯილი მოსასვენლად ძილად მიწვა ლომთა-ლომი (2263, 1—2).

სპარსული ტექსტის შესადარ ადგილას 2621-ე სტროფში გამოყენებული „მოლი“ სიტყვის შესატყვისი არ დაიძებნა, ხოლო 2263-ე სტროფში ნახმარი „მოლის“ საბადლოდ სპარსულში გ ი ა (گیا) იკითხება, რაც ბალახს, მოლს, ნიშნავს[1]. گیا کرد بستر بسان هزبر — მოლი (ბალახი) ქნა ქვეშაგებად მსგავსად ლომისა (ვულერსი, გვ. 344). ზომად ვთარგმნეთ ჩვენ არაბული სიტყვა ჰეზაბრ (هزبر). „როსტომიანში“ ამ სიტყვის საბადლოდ გვხვდება როგორც „უზებარი“ (2076,1), ისე „უზაბარიც“ (1185,2).

პროფ. იუსტინე აბულაძის განმარტებით უზაბარი (უზებარი) არის ს ა შ ი ნ ე ლ ი ვ ე ფ ხ ვ ი, ა ფ თ ა რ ი. აფთრად არის ის ახსნილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც. მაგრამ სპარსულ-არაბული ლექსიკონების ჩვენებით „ჰეზაბრ“ ლ ო მ ს ნიშნავს და არა ვეფხვსა და აფთარს.[2] „როსტომიანის“ მთარგმნელსაც, როცა ის ამ სიტყვას თარგმნის, ჰეზაბრის საბადლოდ ლ ო მ ი აქვს გამოყენებული. ამ მაგალითშიც იგი ლომადაა გადმოთარგმნილი: ძილად მიწვა ლ ო მ თ ა - ლ ო მ ი.

„როსტომიანიდან“ მოყვანილი ადგილი „მან დაიგო ქვეშე მოლი“ (2263,1) სპარსული შესატყვისი ადგილის თარგმანს წარმოადგენს. სპარსულ დედანში 2621,4 სტროფში ნახმარი „მოლის“ შესატყვისიც, ყოველ ეჭვს გარეშეა, გ ი ა (گیا) „ბალახი“ („მოლი“) უნდა ყოფილიყო.

„მოლი“ გვხვდება აგრეთვე სიმურღის ზაალთან გამოცხადების ეპიზოდში[3] (მის დასახმარებლად რომ მოფრინდა). სპარსულ ტექსტში (ვულერსი, გვ. 223) მის საბადლოდ კვლავ გ ი ა (گیا „ბალახი“) გვხვდება. ჩანს, „როსტომიანში“ მოლი ყველგან ბალახს ნიშნავს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩემი აზრით, „როსტომიანის“ მ ო ლ ს არავითარი კავშირი არა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ მ ო ლ თ ა ნ (მან გრძნეულმან მ ო ლ ი რამე წამოისხა ზედა ტანსა, მასვე წამსვე დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა), რომელსაც პროფ. იუსტ. აბულაძე მ წ ვ ა ნ ე მ ო ს ა ს ხ ა მ ა დ განმარტავს. ჩემი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მოლი არაბულ სიტყვას مُلاءة უნდა უკავშირდებოდეს, რაც მოსასხამს ნიშნავს.

---

[1] გია (ბალახი) იკითხება აგრეთვე 1997,3 სტროფში ნახმარი მ ო ლ ი ს საბადლოდაც (Vullers. I. გვ. 280), ხოლო 2089-ე სტროფის მოლს კი შესატყვისი არ დაეძებნა.

[2] შაჰ-ჩამეს II ტომის ლექსიკონში მკვლევარს იგი სწორად აქვს განმარტებული.

[3] სტროფები 1807,1; 1811,2.

განვაგრძოთ მსჯელობა ბალადის („ავთანდილ გადინადირა“) შესახებ. „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილის ნადირობა რამდენადმე გვაგონებს „ყაჰ-ნამეს“ როსტომის ნადირობას და შეიძლება შემთხვევითი არ იყოს რუსთველის მიერ შედარების მიზნით სწორედ ამ ადგილას ნათქვამი: ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ-უგრძესითა.

ვინ არის ის ავი კაცი, რომელიც ბალადის მიხედვით ავთანდილის ცხენმა დაინახა „შორი გზიდან მომავალი“? „ყაჰ-ნამეთი“ ეს ავი კაცები, რომელთაც როსტომს რაში მოსტაცეს, თურქები არიან, ჩვენში ურჯულოებად ცნობილნი. ხალხურმა ბალადამ, საფიქრებელია, ამის ნიადაგზე უწოდა მათ ურჯულონი:

აჰყუ იხედა, მოსდევდნენ
ის ურჯულონი ჯარადა[1].

ცხენის მიერ ავი კაცების დანახვის შემდეგ ბალადაში ამბავი სხვა გზით მიიმართება. ის არც „ყაჰ-ნამეს“ ემხრობა და არც „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ არ შეიძლება თვალსა და ყურს გამოეპაროს ის გარემოება, რომ აღნიშნული ხალხური ძეგლი ცალკეული გამოთქმების თვალსაზრისითაც ამ ორი დიდი თხზულების გავლენის რკალშია მოქცეული.

ასე, მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ იკითხება:

ყამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი დააგზო კვესითა.

ბალადაში:

ჩამოხტა ტყისა პირადა, ცეცხლი დაანთო ძლიერი.

„როსტომიანში“:

ცეცხლი შექნა შესაწველად, დააყარა ეკალ-ძეძვი.

სპარსულ რედაქციაში:

კლით, ნაფოტით და ფიჩხით ცეცხლი დაანთო ძლიერი.

„ვეფხისტყაოსანში“:

ცხენსა მისცა საძოვარი, ვიდრე მწვადი შეიწოდეს.

ბალადაში:

სანამ მწვადი შეიწოდა, ცხენსა მისცა საძოვარი.

„როსტომიანში“:

რაშსა მისცა საძოვარი, ხრმალ-კაპარჭი ედვა წინა.

ამ მაგალითებით, ვფიქრობთ, ნათლად ჩანს ამ თხზულებებში საერთო გამოთქმებისა და ფრაზების არსებობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბალადის („ავთანდილ გადინადირა“) წყაროები ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანი“ ან „როსტომიანია“. შეინიშნება, რომ სხვადასხვა თხზულებებიდან ბალადაში შეჭრილი ზოგიერთი გამოთქმა ზომის თვალსაზრისით მის პოეტურ მდინარებას არღვევს და შიგ უცხო სხეულივითაა გაჩხირული, გარემოება, რაც ამ ძეგლის დამოუკიდებლობისა და შეუალობის დამადასტურებელია.

მკვლევარი გიორგი კალანდაძე, რომელსაც ქართული ხალხური ბალადის საკითხები კარგად აქვს შესწავლილი, „ავთანდილ გადინადირას“ შესახებ აღნიშ-

---

[1] ბალადიდან ადგილები მოგვყავს პროფ. ქსენია სიხარულიძის გამოცემის მიხედვით: ხალხური სიბრძნე, IV, ქართული ხალხური პოეზია, 1965, გვ. 17—19.

ნავს, რომ იგი ხალხურ ტარიელიანთან არის დაკავშირებული, მაგრამ ბევრ ვარიანტში ეს კავშირი სრულიად წაშლილია, გარდა გმირის სახელისა „ავთანდილი", ზოგში კი ესეც დაკარგულიაო[1].

ყოველივე ეს, ჩემი აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ აღნიშნული ბალადა არასდროს არ წარმოადგენდა ხალხური „ტარიელიანის" ორგანულ ნაწილს.

გიორგი კალანდაძე ხედავს ამ ბალადის შინაარსობლივ ნათესაობას ამირანისა და მისი ძმების სანადიროდ წასვლის ამბავთან, მას სათანადო პარალელებიც აქვს დაძებნილი (გვ. 85—86) და ორივე ძეგლი სამართლიანად საფერხულო სიმღერებად მიაჩნია[2].

ჩემი აზრით, ბალადა „ავთანდილ გადინადირა" შორეულ წარსულში უნდა იყოს შემუშავებული, შეიძლება „ვეფხისტყაოსნის" დაწერამდეც კი.

ღამე ყოველ

„როსტომიანის" ენის კვლევასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს აკად. ა. შანიძის გამოკვლევა „ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის", რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში დაიბეჭდა (ტ. V, № 9, 1944).

საკითხი ეხება X საუკუნის მწერლის გიორგი მერჩულის თხზულებაში („ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა") წარმოდგენილი წინადადების („და ღამე ყოველ წარვიდის შავშეთს") გაგებას. ამ ადგილს, როგორც ეს აღნიშნულია აკად. ა. შანიძის გამოკვლევაში, შეეხნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ნ. მარი[3], პ. პეეტერსი[4], კ. დონდუა[5] და კ. კეკელიძე[6]. მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მისწვდა მერჩულის წინადადების ძირითად აზრს.

სირთულეს მისი გაგებისათვის ქმნიდა გამოთქმა „ღამე ყოველ". ნ. მარს, როგორც აღნიშნავს ა. შანიძე (გვ. 940), იგი გაუგია „ყოველ ღამედ" და მის თარგმანშიც „ღამე ყოველ"-ის შესატყვისად „**каждую ночь**" გაჩენილა: „**каждую ночь она уходила в Шавшетию**" (გვ. 96).

ბელგიელ ორიენტალისტს პ. პეეტერსს, რომელსაც 1923 წელს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" ლათინურად უთარგმნია, სიტყვა „ყოველ" წაუკითხავს მიცემითი ბრუნვის ფორმით („ყველს") და ის გეოგრაფიული პუნქტის სახელად ყ ვ ე ლ ი ს ც ი ხ ე დ გაუგია (გვ. 239), რაც, თავისთავად ცხადია, შეცდომაა.

კ. დონდუას აზრით, რომელიც მან პ. პეეტერსის თარგმანის განხილვასთან დაკავშირებით გამოთქვა, აღნიშნული ადგილი ან სხვაგვარად უნდა წავიკითხოთ, ან დამახინჯებულად უნდა მივიჩნიოთ (გვ. 24).

---

[1] გიორგი კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქართული ხალხური ბალადა, თბილისი, 1957, გვ. 85.

[2] იქვე.

[3] Георгий М е р ч у л, Житие Григория Хандзтийского (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII), 1911.

[4] P a u l P e e t e r s, Histoires monastiques géorgiennes, Bruxelles, 1923.

[5] К. Д о н д у а, Творение Мерчула в латинском переводе бельгийского ориенталиста (Тексты и разыскания по кавказской филологии, I). Ленинград, 1924.

[6] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, III, № 7, 1942.

დამახინჯებულად მიაჩნდა ის კორნელი კეკელიძეს, რომელმაც მისი გასწორებაც სცადა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, უმართებულოდ.

ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც „ხანძთელის ცხოვრების“ ეს ადგილი სწორად გაიგო და მით შესაძლებლობა მოგვცა სხვა ძეგლებში მსგავსი ადგილების გაგებისა, აკად. ა. შანიძეა. მისი მართებული აზრით, „ძველ ქართულში „ყოველ“ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „მთელი“ (განუკვეთელი, განუყოფელი, ὅλος, целый) და, მაშასადამე, „ხანძთელის ცხოვრების“ საანალიზო წინადადებაში „ყოველ ღამესთან“ კი არა გვაქვს საქმე, არამედ „მთელ ღამესთან“ (გვ. 940). მკვლევარს ამის დასადასტურებლად მთელი რიგი ადგილები მოჰყავს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან; აღნიშნული აქვს ისიც (გვ. 941), რომ „ყოველ“ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც აქვს. ესაა „თვითეული“, მაგრამ მაშინ ის საზღვრულს წინ უძღვის.

აკაკი შანიძის მსჯელობიდან, რომელიც ზემოთ მითითებულ ნარკვევშია განვითარებული, ნათლად ჩანს, რომ „ხანძთელის ცხოვრების“ საცილობელ წინადადებაში გამოთქმა „ღამე ყოველ“ „მთელ ღამეს“ ნიშნავს და არა სხვა რამეს.

აკად. ა. შანიძის დაკვირვება, მე ვიტყოდი—აღმოჩენა, გვეხმარება არა მარტო ძველი სალიტერატურო ქართულით დაწერილი ძეგლების, არამედ შემდეგი დროის, კერძოდ XVI—XVII საუკუნეთა თხზულებების მთელი რიგი ადგილების გაგებაშიც.

ასე, მაგალითად, „როსტომიანში“, რომლის ლექსითი რედაქცია ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ხელახალი აღორძინების ხანას ეკუთვნის, იკითხება:

> მას ღ ა მ ე ყ ო ვ ე ლ იგონებს, არის ცრემლისა მღვრელიო [1].

აქ სამის ვაქის, ზაალ ფალავნის შესახებაა საუბარი. როდამის კოშკიდან დაბრუნებულმა ფალავანმა, სადაც მან მერაბის ასულს, თავის მხრივ, საუკუნო სიყვარული შეჰფიცა, მთელი დღე მოუსვენრად გაატარა და ღამითაც აღარ დაეძინა:

> ზაალ რუადამს იგონებს, არც ღამით ძილი ეძინა (1371,3).

როგორ უნდა გავიგოთ ზემოთ წარმოდგენილ წინადადებაში გამოთქმა „ღამე ყოველ“? ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ როდამზე გამიჯნურებული ზაალი არა მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში, არამედ ყოველ ღამით იგონებდა როდამს და ცრემლებს ღვრიდა.

ჩვენამდე მოღწეულ სპარსულ ტექსტებში ამ წინადადებაში გამოყენებული გამოთქმის „ღამე ყოველ“-ის შესატყვისი არ დაიძებნება, მაგრამ, შესაძლებელია, მთარგმნელის ხელში არსებულ ტექსტში იგი იკითხებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ „როსტომიანი“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, არ წარმოადგენს ისეთი სახის თარგმანს, როგორიცაა, მაგალითად, „ხოსრამიანი“, სადაც ჩვენ შეგვიძლია დიდ უმრავლეს შემთხვევაში ამა თუ იმ ადგილის, ცალკეული გამოთქმებისა და ტერმინების შესატყვისებიც კი სპარსულ ტექსტში დავძებნოთ.

„როსტომიანში“ გალექსილ ამბებს ამ თვალსაზრისით დიდი დამოუკიდებლობა ეტყობა. ქართული ტექსტის სპარსულთან შედარება უმრავლეს შემთხვე-

———————

[1] სტროფი 1378,4. გამოცემაში იკითხება „ყოელ“, ვარიანტია „ყოველ“, რასაც ჩვენ უპირატესობა მივეცით.

ვაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი სპარსულზე კი არ არის დაქვემდებარებული, არამედ ყოველგვარი ღედნის გარეშე ქართველი პოეტის მიერ დამოუკიდებლადაა შემუშავებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თითქოს ორი პოეტი (ქართველი და ირანელი) ერთსა და იმავე ამბავს თავ-თავისი მხატვრული გემოვნების მიხედვით ლექსავს.

ამიტომ „როსტომიანის“ ამა თუ იმ ადგილის შესატყვისი სპარსულ ტექსტში ზოგჯერ არ დაიძებნება. ნათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ „როსტომიანში“ ჩვენ არ გვხვდებოდეს სპარსულიდან ზუსტად შესრულებული თარგმანები როგორც ცალკეული ადგილებისა, ისე მთელი რიგი თავებისა, სადაც ჩვენ სათანადო ქართული ტექსტის ადგილების შესატყვისებს ვპოულობთ.

ზემოთ წარმოდგენილი ჩვენთვის საინტერესო წინადადების შესატყვისი სპარსულში არ დაიძებნა, მაგრამ აკად. ა. შანიძის განმარტების მოშველიებით თვით ქართული ტექსტის ნიადაგზე მისი გაგება შესაძლებელი ხდება.

წარმოდგენილ წინადადებაში რომ „ღამე ყოველ“ მთელი ღამის მნიშვნელობით არის ნახმარი, ამას ადასტურებს მომდევნო ადგილი:

> და ღამემ შავი შარისა პერანგი დაიხიაო,
> ზაალ ადგა და პირს იბანს, ჰგვანდა: ალვისა ხეაო, და სხვ.

ამბავი ხდება, როგორც აღვნიშნეთ, როდამის კოშკიდან ზაალის დაბრუნების შემდეგ, პირველ ღამეს. აქ რომ „ღამე ყოველ“ ყოველი ღამის მნიშვნელობით იყოს ნახმარი, შეუსაბამობას შექმნიდა გათენების დახატვა და იმის გამოცხადება, რომ „ზაალ ადგა და პირს იბანს“, რითაც ახალ თავს კი არ იწყებს ავტორი, არამედ ის ისევ როდამის ნახვით გამოწვეულ ზაალის შთაბეჭდილებების, განცდებისა და ფიქრების გადმოცემას განაგრძობს. აქედან ცხადია, რომ ზაალის მიერ როდამის მოგონება ერთი ღამის განმავლობაში ხდება. მაშასადამე, წინადადება: მას ღამე ყოველ იგონებს, არის ცრემლისა მღვრელიო, ნიშნავს: ზაალი მას (როდამს) მთელი ღამის განმავლობაში იგონებდა და ცრემლებს ღვრიდა.

მეორე მაგალითი. „როსტომიანშივე“ იკითხება:

> ღამე ყოველ გაისვენეს, მუნ მეჯლიში შეიმკოდა (2164,4).

სიტყვა „გაისვენეს“ აქ „განისვენნეს“ მნიშვნელობითაა ნახმარი. განსვენება კი ნიშნავს შრომისაგან, ჭირთაგან შევებას, მოსვენებას (საბა)[1]. მართლაც, ტექაოზის ტახტთან თავმოყრილი ფალავნები „იაგუნდის თასებით ლალისფერ ღვინოს სვამდნენ“, მოილხენდნენ, „როსტომიანის“ ენით რომ ვთქვათ, განისვენებდნენ.

ჩვენ აქაც „ღამე ყოველ“-ის მნიშვნელობის გარკვევა გვაინტერესებს. პირველ მაგალითთან შედარებით, აქ ბედნიერი შემთხვევა გვაქვს. მისი შესატყვისი სპარსულ ტექსტში დაიძებნება. აქ ქართული ტექსტის „ღამე ყოველ“-ს ჰამე შაბ (همه شب) შეეფარდება[2], რაც „მთელ ღამეს“ ნიშნავს.

ჩვენთვის საინტერესო სტრიქონს სპარსული ტექსტის შემდეგი წინადადება შეესატყვისება — همه شب همی مجلس آراستند, რაც თანამედროვე ქართულით ასე

[1] ვსარგებლობთ აკაკი შანიძისა და ილია აბულაძის გამოცემით, თბილისი, 1965.

[2] ვულერსი, I, გვ. 326.

შეიძლება ვთარგმნოთ: მთელი ღამე (მთელი ღამის განმავლობაში) ნადიმს მართავდნენ (ამკობდნენ)[1].

ჩანს, რომ ქართველ მთარგმნელს სპარსული „ჰამე შაბის" (მთელი ღამე) გადმოსაცემად „ღამე ყოველ" მოუმარჯვებია.

„თვითეულის" გამოსახატავად სპარსული იყენებს სიტყვას ჰ ა რ (هر), მაგალითად, „ყოველი ღამე" იქნება ჰარ შაბ (هر شب), ყოველი დღე—ჰარ რუზ (هر روز), სიტყვა „ჰამე" კი, როგორც ითქვა, „მთელს" ნიშნავს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა იგი „თვითეულსაც" აღნიშნავს; მაგალითად, „ჰამე ქას" (همه کس) იქნება „ყოველი კაცი" და სხვ.

„როსტომიანშივე" გვაქვს მაგალითები, სადაც სიტყვა „ყოველი" უძღვის საზღვრულს და იხმარება „მთელის" მნიშვნელობით:

ხმასა ვერვინ ამოიღებთ, ეგ ლაშქარი, ყ ო ვ ლ ი ე რ ი (1389,1).

ყოვლი (ყოველი) ერი, აქ ნიშნავს „მთელ ერს", „მთელ ხალხს" და სხვ. პირველ მაგალითში „ღამე ყოველ"-თან ზმნა აწმყოს მწკრივის ფორმითაა ნახმარი („იგონებს"), რაც ყურადღების ღირსია, მაგრამ შინაარსობლივად იგი აქ უწყვეტელს უდრის („იგონებდა"), მეორეში კი—წყვეტილით (გაისვენეს-განისვენნეს). საინტერესოა, რომ „როსტომიანშიც" სიტყვა „ყოველ" მოსდევს საზღვრულს და მით ტექსტი ძველ რიგს—მსაზღვრელის მეორე ადგილზე დასმას—აძლევს უპირატესობას.

შეიძლება დავასკვნათ:

აკად. ა. შანიძის მიერ მოცემული „ღამე ყოველ"-ის განმარტება გამოსადეგია არა მარტო ძველი ქართული ენის, არამედ შემდეგი დროის, კერძოდ, XVI—XVII საუკუნეთა ძეგლებში არსებულ ცალკეულ გამოთქმათა გაგების თვალსაზრისითაც. მას მხარს უჭერს აღორძინების პერიოდის მნიშვნელოვანი თხზულება „როსტომიანი" და მისი დედანიც.



[1] გ. წერეთლის საერთო რედაქციით გამოცემულ ტექსტში (II, გვ. 84) იკითხება: همه شب می و مجلس آرا ستند — მთელი ღამე ღვინო და მეჯლისი მოკაზმეს.

ივანე ლოლაშვილი

ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობისათვის *

XI—XII საუკუნეების ლიტერატურის რაობისა და მნიშვნელობის სწორად შეფასებისათვის საჭიროა გაირკვეს ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობის საკითხი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული არეოპაგიტული წიგნების თარგმნის ისტორიასთან. XI საუკუნის მიწურულს (1090—1100 წლებში) ეფრემ მცირემ ბერძნულიდან ქართულად გადმოიღო ე. წ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ხუთი თხზულება. ამ თარგმანმა დიდი როლი შეასრულა ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაში. ქართველებისთვის იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ „დიონჳსი პლატონური ფილოსოფოსი იყო", რომ არეოპაგიტული წიგნები ნეოპლატონური ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შედეგად იყო შექმნილი. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ XII საუკუნის ქართულ მწერლობაში მძლავრად მოეკიდა ფეხი ნეოპლატონიზმს, რომლის უდიდეს წარმომადგენლად საქართველოში მოგვევლინა იოანე პეტრიწი. არეოპაგიტულმა წიგნებმა რამდენადმე განაპირობეს პროკლე დიადოხოსის „კავშირთა" ქართულად გადმოთარგმნა და პეტრიწის „განმარტებათა" დაწერაც.

XI—XII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტად უნდა ვცნოთ ისიც, რომ არეოპაგიტული წიგნების ქართულად გადმოღებაში ეფრემს დახმარებია „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი". ამის შესახებ თვით ეფრემი წერს (A 110, გვ. 195):

„...სრულ იქმნა ერთი ესე ხუთთაგან წიგნთა წმიდისა დიონჳსისთა პირველი წიგნი — თარგმანებაჲ საღმრთოთა სახელთაჲ — მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა სჳმეონ საკჳრველთ-მოქმედისაჲთა, და ლოცვითა ბერთა ჩვენთა საბაჲს და ანტონისითა და მათ თანავე მოღვაწებითა და

* წაკითხულია მოხსენებად რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესიაზე 1965 წლის 13 მარტს.

ზრუნვითა კჳრიკე ალექსანდრიელისაჲთა, რომელთა ჴსენება და ნეტარება საუკუნო იყავნ.

ლოცვა-ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, იოანესთჳს საღმრთოდ ფილოსოფოსისა და ჴორციელად ღრამატიკოსისა, რამეთუ ლოცვასავე თანა ზემოჴსენებულთა მამათასა იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა პირუტყუთა უუგუნურესისა ეფრემ მცირისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ: არა თუმცა იგი ყოფილ იყო მოძღუარ და ძალ მწე ჩემდა, მიხედვადმცა ვერ ვიკადრებდი მზის თუალსა ამის წიგნისასა, რომელსა შინა ჩემი ცთომილება ოდენ არს".

ამ ანდერძში გარკვევითაა ნათქვამი, რომ „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი" ყოფილა ეფრემ მცირის მოძღვარი, რომელსაც დიდად უზრუნია არეოპაგიტული წიგნების თარგმნისათვის. ამას თვით ეფრემი კმაყოფილებით ამბობს: „იოანე რომ არ ყოფილიყო ჩემი მოძღვარი და მშველელი, ვერც კი გავბედავდი ამ წიგნის („საღმრთო სახელთა განმარტების") მზის თვალზე მიხედვას (არამც თუ მის თარგმნასო)". რაკი იოანე აქ მოძღვრადაა დასახელებული, მკვლევრები ვარაუდობდნენ, რომ იგი წლოვანებით ეფრემზე ხნიერი უნდა ყოფილიყო, და ამიტომაც მას უფროს იოანეთა შორის ეძებდნენ. ს. გორგაძისა და კ. კეკელიძის მოსაზრებით, „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი" ყოფილა იოანე პატრიკ-ყოფილი, ს. ენუქაშვილის მოსაზრებით კი — იოანე დამასკელი. ორივე მოსაზრება სამართლიანად უარყო ლ. მენაბდემ.

ეფრემის მასწავლებლები იყვნენ შავი მთის მოღვაწე საბა თუხარელი, რომელსაც ეფრემი აღსაზრდელად უტევირთავს „ჟამსა სიუცბისა და სიჭაბუკისასა" („მოსაჴსენებელი სჳმეონისთჳს ლოღოთეტისა"), და დიდი გიორგი მთაწმიდელი, რომლის კვალსაც შესდგომია თვით ეფრემი („ფსალმუნთა თარგმანების" შესავალი). რაც შეეხება იოანე პატრიკ-ყოფილს, იგი ეფრემის მოძღვართა შორის არსად არ იხსენიება. ის იოანე ათონელი მოღვაწეა. გადაუწერია მას გიორგი მთაწმიდლის შრომები, მათთვის შეუდგენია „ზანდუკი და ანდერძი" და „ფრიადითა შრომითა და გულს-მოდგინებით" აღურიცხავს მისი ყოველი გალობა და დასდებელი (იხ. საუნჯე, I, გვ. 371). იგი არც ჭყონდიდელ-ბედიელი მთავარეპისკოპოსია და არც ის იოანე ფარაკნელი, რომელმაც ეფრემს სასვენ ნიშანთა შემოღება უკარნახა, როგორც ამას ფიქრობს კ. კეკელიძე (ქართული ლიტ. ისტორია, I, გვ. 253; ეტიუდები, I, გვ. 280—281). სეხნიობის გამო მათი გაიგივება შეცდომა იქნებოდა. ბიოგრაფიული მონაცემებით ისინი სამ სხვადასხვა იოანედ უნდა ვცნოთ. ამასთან ვერც ერთ მათგანს ვერ მივიჩნევთ „საღმრთო ფილოსოფოსად". ასევე ლაპარაკი ზედმეტია იოანე დამასკელზეც, როგორც ეფრემ მცირის მოძღვარზე. ეფრემის თანამედროვისა და უახლოესი თანამშრომლის გამოცხადება დამასკელად (VIII ს.) ანაქრონიზმია და მეტი არაფერი.

მაშ, ვინ არის „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი"?

ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევიან XVIII საუკუნის ქართველი მწერლები.

ანტონ ბაგრატიონი „წყობილსიტყვაობაში" (სტრ. 748) წერს: „იტყჳს თჳთ ეფრემ მოძღუარ-ყოფასა თჳსად იოანესა საღმრთო ფილოსოფოსსა", ხოლო „სპეკალში" დასძენს: „ყოველად ბრძნისა

მოძღურისა (იოანე პეტრიწისა, ი. ლ.) იყვნეს მრავალნი მოწაფენი შედგომილ, მაგრა უფროჲსღა ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელიო".

ანტონმა კარგად იცოდა, რომ ძველი ქართული ტრადიცია პეტრიწს ასახელებდა იოანე ფილოსოფოსად ან საღმრთო ფილოსოფოსად, ანდა პლატონურ ფილოსოფოსად; ამიტომ ეფრემის ანდერძში მოხსენიებული „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი" მას პეტრიწად მიაჩნია.

მართლაც, სიტყვა „ფილოსოფოსი" სამეცნიერო წოდებაა პეტრიწისა. შ. ნუცუბიძემ გამოარკვია („სამეცნიერო ხარისხის საკითხისათვის ძველ საქართველოში", პედ. ინსტ. შრ., III, 1947, გვ. 27-35), რომ ეს წოდება იოანეს მანგანის აკადემიაში მიუღია. როდესაც ძველი ქართველი იტყოდა „იოანე ფილოსოფოსს", ამ სახელში ის გულისხმობდა მხოლოდ იოანე პეტრიწს. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისას" მინაწერებში (გვ. 24,103) იოანე იხსენიება „პლატონურ ფილოსოფოსად"; „ისტორიათა და აზმათა" ტექსტში — „ფილოსოფოს ბიმჭიმელად", XVIII საუკუნის ფილოსოფიურ ლიტერატურაში კი — „საღმრთო ფილოსოფოსად" ან „საღმრთო იოანედ". ანტონ ბაგრატიონი მას იხსენიებს როგორც „იოანე საღმრთო ფილოსოფოსს, რომელსა ჩვეულ ვართ ზედწოდებასა პეტრიწად" (ტრკ., I, გვ. 237), ან წერს: „...ჭმნა სქიმაჲ საღმრთომან ჩემ გონება-მზემან — იოანე საღმრთომან ფილოსოფოსმან აჴსნასა შინა ღუთისმეტყუელებითთა კავშირთასა" („სპეკალი"). საგულისხმოა ესეც: მკითხველს რომ არ აერიოს, ვის გულისხმობს ანტონი საღმრთო იოანედ. „სპეკალის" გადამწერი ზოგან შენიშნავს: „პეტრიწს იტყჳს იოანესა პლატონურსა ფილოსოფოსსა", ან „პეტრიწსა ფილოსოფოსსა იოანეს იტყჳს, ქართველთა მზესა" და სხვა.

ანტონის მოსაზრებას ავითარებს ზაქარია გაბაშვილი: „ძუელსა წიგნსა შინა მიხილავნ მე, ზაქარია მოძღუარსა, და მუნით გარდამომიწერიეს", რომ „გამოჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი საბა თუხარელი და ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისა" (ИАН, 1899, ტ. X, № 2, გვ. 234). ზაქარიამ კარგად იცოდა „საღმრთოთა სახელთა თარგმანება". ერთ-ერთი ხელნაწერი (A 110) მას საგულდაგულოდაც შეუსწავლია. ამიტომ ცხადია, ფრაზა „ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისა" ზაქარიას მინაწერში უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ ეფრემის ანდერძიდან.

„იოანე საღმრთო ფილოსოფოსს" თვლის ეფრემისა და არსენ იყალთოელის „განმწაფველად" დავით ბადიანიც (S № 339). ერთ-ერთ მინაწერში ეს მწიგნობარი წერს: მაპატიე, დიდო იოანე, რომ შენს მიერ თარგმნილი „კლემაქსი" ეფრემს მივაკუთნე. ამ ცთომილების მიზეზი თვითონ შენვე ხარ, რადგანაც „ესრეთ ენა-მზედ აღზარდე ეფრემ მცირეო" (S № 344).

ჩვენმა მკვლევრებმა (ს. გორგაძემ, ი. ჯავახიშვილმა, კ. კეკელიძემ, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ნუცუბიძემ) ეს ტრადიციული ცნობები ეჭვის ქვეშ დააყენეს: ანტონი ხშირად „არასწორ და შეუმოწმებელ ცნობებს" გვაწვდის, „ეფრემი იოანე პეტრიწის შეგირდი არასოდეს ყოფილა, ის უფროსი თანამედროვე იყო მისი და, მეტი თუ არა, 20-25 წლით ადრე გარდაიცვალა, ვიდრე პეტრიწიო". საღმრთო ფილოსოფოსი იყო მხოლოდ იოანე პატრიკ-ყოფილიო და ა. შ. მხოლოდ ნ. მარმა შენიშნა, რომ ანტონი ეფრემის სიტყვებს იმეორებს და ამაში დაეჭვება არ შეიძ-

ლებაო. Ⴈს განცვიფრებული იყო მხოლოდ იმის გამო, რომ Ⴄფრემი არსად არ ასახელებდა Ⴎეტრიწს თავის მოძღვრად (Ⴈოანე Ⴎეტრიწი..., 1909, გვ. 36—37). Ⴋაშინ Ⴄფრემის ზემომოყვანილი ანდერძი, რომელიც 1923 წელს გამოაქვეყნა Ⴑ. Ⴂორგაძემ (Ⴙვენი Ⴋეცნიერება, 1923, № 1), ცნობილი არ იყო. Ⴀხლა რაკი გარკვეულია, რომ Ⴀნტონის ცნობა („Ⴈტყჳს თჳთ Ⴄფრემ მოძღუარ-ყოფასა თჳსად Ⴈოანესა საღმრთო ფილოსოფოსსა") მომდინარეობს თვით Ⴄფრემის ანდერძიდან, ცხადია, მის ნამდვილობაში დაეჭვებას ყოველგვარი საფუძველი ეცლება.

Ⴄფრემ Ⴋცირე თავის მოძღვარს — „Ⴈოანე საღმრთო ფილოსოფოსს" — უწოდებს აგრეთვე „ქორციელად ღრამატიკოსს". Ⴄსეც Ⴎეტრიწისადმი შერქმეული სახელია. Ⴈოანე Ⴈტალს (ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსს, Ⴋანგანის Ⴀკადემიის ლექტორს) Ⴎეტრიწისთვის გამოუგზავნია წერილი: „Ⴀფხაზ გრამატიკოსს, შეკითხვები გრამატიკის ზოგიერთ საკითხზე", და სთხოვს მას, როგორც „უაღრესად სწავლულ კაცს", ზოგიერთი ლოგიკური ცნების განმარტებას (Ⴌ. Ⴋარი, Ⴈოანე Ⴎეტრიწი, 1909, გვ. 56—57; Ⴑ. Ⴗაუხჩიშვილი, Ⴁიზანტიური ლიტ. ისტ., 1963, გვ. 263—264; ინფორმაცია Ⴌ. Ⴉეჭაღმაძის მოხსენების გამო „Ⴀდრესატი 900 წლის შემდეგ იპოვეს", გაზ. „Ⴇბილისი", 1964, № 114). Ⴎეტრიწი რომ დიდად განსწავლული იყო გრამატიკასა და ლოგიკაში, ამას ადასტურებს ის, რომ მას ქართულად უთარგმნია Ⴀრისტოტელის „Ⴉატეგორიები" და „Ⴎერი-ერმენეია", ასევე Ⴀმონიუს Ⴄრმისის „Ⴋოსაჴსენებელი ხუთთა ჴმათადმი Ⴎორფირი ფილოსოფოსისათა" და „Ⴋოსაჴსენებელი ათთა ჴმათადმი Ⴀრისტოტელისთა", რომელთაც ქართული ლოგიკური აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს (Ⴃღეს ეს ორი უკანასკნელი თარგმანი შეცდომით მიეწერება Ⴈოანე Ⴒარიჭისძეს).

Ⴀმრიგად, ჩვენი პირველი დასკვნა ასეთია: „Ⴈოანე საღმრთოდ ფილოსოფოსი და ქორციელად ღრამატიკოსი" არის Ⴈოანე Ⴎეტრიწი, Ⴃავით Ⴀღმაშენებლის ეპოქის გამოჩენილი ფილოსოფოსი და მეცნიერი. Ⴋას Ⴔსევდო-Ⴃიონისეს „საღმრთოთა სახელთა თარგმანების" გადმოქართულებაში Ⴄფრემისთვის დახმარება გაუწევია; Ⴈოანე ყოფილა მოხუცებული მეცნიერის მოძღვარი და მშველელი.

„Ⴋოძღვარი" პირდაპირი გაგებით ნიშნავს გზის მაჩვენებელს, წინამძღოლს და წინამძღვარს, გადატანითი მნიშვნელობით — აღმზრდელსა და მასწავლებელს; მეცნიერ ბერს. Ⴋოძღვრობა სამონასტრო ცხოვრებაში დიდად საპატიო თანამდებობა იყო. Ⴈ. Ⴟავახიშვილი წერს: მოძღვარს გასაწვრთნელად ჰყავდა აყვანილი მოწაფეები. Ⴈგი „Ⴇავის მოწაფეს სულიერ-სარწმუნოებრივ ხელმძღვანელობასაც უწევდა და მწერლობას, მეცნიერებასა და რომელსამე ხელოვნებას ასწავლიდა. Ⴋოწაფე თავის მოძღვართან ცხოვრობდა და სწავლობდა. Ⴆოგჯერ მოწაფე უკვე ყმაწვილი და უსწავლელი აღარ იყო, მაგრამ განთქმულ მოძღვართან სწავლას მაშინ მოწიფულნი და შუახნისანიც არ უკადრისობდნენ" (Ⴕართ.

სამართლის ისტორია, II, ნაკვ. II, გვ. 55). მოძღვარს სულის განმკითხველობაც ევალებოდა, ე. ი. ის ითვლებოდა როგორც სულის მოურვე და ცხოვრების გზად მიმყვანებელი. ამიტომ ხშირი იყო შემთხვევები, რომ ბერი-მოძღვარი მოხუცებულობის ჟამს თავის სულიერ მოძღვრად აიყვანდა თავისსავე მოწაფეს, ახალგაზრდა ბერს, რომლის მოვალეობას შეადგენდა სულის მოურვეობა. ცნობილია, რომ გარეჯელმა სერაპიონ წინამძღვარმა ოთხი წლის ასაკიდან აღზარდა დანიელ ანდრონიკაშვილი, ხოლო შემდეგ ეს დანიელი გახდა თავისი მოძღვრის მოძღვარი. ანტონ იკორთელი იყო მოწაფე გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრისა ეფთვიმე არქიმანდრიტისა. ის წელიწადში ორ-სამჯერ მიდიოდა თავის მოძღვართან. ერთხელ ეფთვიმეს უთხრა: „მამაო წმიდაო, მე ესრე მოხუცებულ ვიქმენ, რომ არღარა ძალ-მიძს აქა მოსლვად და თაყვანისცემად ღირსებისა შენისა". ამიტომ „არქვი სულიერსა ამას შვილსა შენსა გაბრიელს, რათა ესე იყოს მოძღვარ ჩემდა". ხოლო ეფთვიმემ გაბრიელს უთხრა: „შვილო ჩემო, ამას მამას ანტონის ექმენ მოძღვარ და მოურვე სულისა" (ი. ლოლაშვილი, გაბრიელ მცირის მემუარული თხრობანი, ძვ. ქართ. მწერლობის საკითხები, I, 1962, გვ. 17—18).

მოძღვარ-მოწაფის ამგვარი ურთიერთობა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ეფრემისა და პეტრიწის ურთიერთდამოკიდებულებაზე. ჩანს, XI საუკუნის მიწურულს პეტრიწი იმდენად სახელგანთქმული მოღვაწე ყოფილა, რომ ეფრემს, დიდად განსწავლულ და ღვაწლმოსილ მეცნიერს, იგი თავის მოძღვრად აუყვანია. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. თუკი ეფრემ-პეტრიწის ურთიერთობა ფსევდო-დიონისეს თხზულებათა თარგმნისას განმტკიცებულა, უნდა ვიფიქროთ, რომ შეიძლება პროკლე დიადოხოსის „კავშირთა" გადმოქართულებისა და განმარტების იდეა წარმოიშვა ამ ორი დიდი ადამიანის ლიტერატურული თანამშრომლობის პროცესში.

ანდერძიდან ირკვევა უფრო მეტიც: ეფრემსა და პეტრიწს შორის ხანგრძლივი მჭიდრო ურთიერთობა არსებულა: მათ ერთად უმოღვაწნიათ მაშინაც, როდესაც პეტრიწი ჯერ კიდევ ყრმა ყოფილა. ჩავიხედოთ ტექსტში უფრო ღრმად.

ეფრემი „ფსალმუნთა თარგმანების" შესავალში იძლევა ჩვენთვის საყურადღებო ზოგიერთი თეოლოგიური ცნების განმარტებას. იგი წერს: „პ ი რ ღმრთისად ძე სახელ-იდების" (ე. ი. ძე-ღმერთს ეწოდება პირი ღვთისაო), ხოლო „ს ი ტ ყ უ ა ღმრთისა მამისა უწოდიან ძესა მხოლოდ-შობილსა" (ძვ. საქართველო, ტ. III, გვ. 258, 259). ამიტომაც ჰიმნოგრაფები ქრისტეს მიმართავენ ეპითეტებით: „ღმრთისა სიტყუაო", „სიტყუაო მამისაო", „ღმრთისა სიბრძნეო", „მამისა სიბრძნეო" ანდა: „სიტყუაო და სიბრძნეო". ქრისტიანულ სიმბოლიკაში „გუამოვანი სიტყუა, მამისგან შობილი" („გარდამოცემა", I, 6) ნიშნავს ძეღმერთს (უზენაესი განგების მიერ მოვლენილ ქრისტეს), როგორც ღვთის პირს, გონებას, სიბრძნესა და სიტყვას.

ზემოთ დამოწმებულ ანდერძში ეფრემ მცირე ამ თეოლოგიური ცნებებით იუწყება, თუ ვინ არის მისთვის „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი": „იგი იქმნა პირ და გონება და სიტყუა... ეფრემ მცირისაო". ეს ნიშნავს: (ზემოხსენებული მამების — საბას, ანტონისა და კვირიკეს ლოცვით) იოანე იქმნა... ეფრემ მცირის სულიერი შვილი (მხოლოდ-შობილი ძე) ანუ მოწაფე; განხილული ფრაზის ქვეტექსტი ასე უნდა გავშიფროთ: ყრმა იოანე „ჟამსა სიუცხებისა და სიჭაბუკისასა"

გასაწვრთნელად აუყვანია ეფრემ მცირეს. იოანეს მისგან ისეთი განათლება მიუღია, რომ ხსენებულ მამათა ლოცვით იგი ქცეულა თავისი მოძღვრის მეცნიერულ სიტყვად, გონებად და პირად. ეს ფაქტის ანარეკლი შემონახულა გვიანდელ ბიბლიოგრაფიულ ცნობებშიც. იოანე ბაგრატიონის თქმით, ეფრემ მცირემ „აღზარდა სწავლასა შინა ქართულისა ენისასა იოანე ფილოსოფოსი და ასწავაცა ბერძული“ (ხალმასობა, II, გვ. 175).

აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე დასკვნა: *იოანე პეტრიწი ყრმობის ჟამს აღუზრდია ეფრემს. როდესაც მას ცნობილი ფილოსოფოსის სახელი მოუხვეჭია, ის გამხდარა მოხუცებული მოძღვრის მოძღვარი* (*სწორია ს. გორგაძის მოსაზრება, რომ პეტრიწი ყოფილა ეფრემის მოწაფე*).

ახლა განვიხილოთ საკითხი: ეფრემის ანდერძს რა ცვლილებები შეაქვს პეტრიწის ბიოგრაფიაში? ეს საკითხის პასუხი ლოგიკურად გამომდინარეობს ზემოთ გამოყვანილი ორივე დასკვნიდან.

ცნობილია, რომ ეფრემ მცირე მოღვაწეობდა შავ მთაზე (ანტიოქიის მახლობლად), სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში. ჩანს, პეტრიწსაც თავისი მოწაფეობისა და მოძღვრობის საკმაოდ დიდი პერიოდი იქვე გაუტარებია. ეს ფაქტი პეტრიწის ბიოგრაფიასა და მოღვაწეობას ახალ შუქსა ჰფენს. *აქამდე ჩვენთვის არ იყო ცნობილი, რომ იოანე შავ მთაზე ეფრემთან ერთად მოღვაწეობდა.* ს. ყაუხჩიშვილი და შ. ნუცუბიძე ამის საწინააღმდეგოს წერდნენ: „ეფრემ მცირეს პეტრიწთან არავითარი საქმე არა აქვს, ის სულ სხვა და შეიძლება დაპირისპირებულ ბანაკს ეკუთვნოდესო“ (იოანე პეტრიწის შრომები, II, გვ. XI). ახლა კი ცხადია, რომ პეტრიწი, როგორც მოაზროვნე, აღზრდილა და დავაჟკაცებულა ეფრემ მცირის ლიტერატურულ ბანაკში. მისი ბიოგრაფია დაახლოებით ასე უნდა დავაზუსტოთ:

ყრმა იოანე აღსაზრდელად მიუყვანიათ შავ მთაზე ეფრემ მცირესთან, რომელსაც მისთვის უსწავლებია ქართული წერა-კითხვა და ბერძნული ენა. მერმე ჭაბუკი სასწავლებლად წასულა კონსტანტინეპოლში, მანგანის აკადემიაში; ის ფილოსოფოს იოანე იტალის ხელმძღვანელობით დაუფლებია ანტიკურ ფილოსოფიას, განსაკუთრებით პლატონისა და არისტოტელის მოძღვრებას; იტალის ერთგული მეგობარიც გამხდარა; აკადემიაში დარჩენილა 1083 წლამდე; შემდეგ საქართველოში დაბრუნებულა და, როგორც ანტონ ბაგრატიონი იუწყება, *ოპიზის მონასტერში შემდგარა ბერად* („სპეკალი“).

ოპიზაში ძველთაგანვე დიდი ლიტერატურული ტრადიციები არსებობდა, მაგრამ XI საუკუნის 80-იან წლებში იქ სამწერლო-საგანმანათლებლო საქმიანობა შეწყვეტილი იყო თურქ-სელჯუკთა გამუდმებული რბევა-თარეშის გამო (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 319—320). ამიტომ იოანე მალე შავ მთაზე წასულა სამოღვაწეოდ, სადაც ის ეფრემს დამოძღვრებია და მასთან დაუწყია ლიტერატურული თანამშრომლობა. იმხანად ეფრემი მოხუცებული იყო და შეიძლება ფიზიკურადაც დაუძლურებული. თავის გარშემო მას შემოკრებილი ჰყოლია „განმაძლიერებელნი“, „თანამდგომნი“, „მზრდელნი და მსახურნი“. ეს „მზრდელთა და

მსახურთა“ შორის „გარდამოცემის“ ანდერძში (A 24, ფ. 137) ეფრემი იხსენიებს არსენ იყალთოელსა და ორ იოანეს. ესენი თავიანთ მოძღვარს ლიტერატურულ თანამშრომლობას უწევენ. ამათგან არსენის ვინაობა ცნობილია. ერთ-ერთი იოანე გვარად მთავარაისძეა, რომელსაც 1080 და 1091 წლებში „ფსალმუნთა თარგმანება“ გადაუწერია (ქრონიკები, I, გვ. 214—215). ეფრემი მას მადლობით იხსენიებს: „ლოცვა-ყავთ იოანესთჳს ხუცისა მთავარაისძისა, რომელმან არა დაიშურვა თჳსი ქაღალდი სასურველად და პური საზრდელად თანადგომითურთ თჳსით“ (მიმომხილველი, I, გვ. 171). მეორე იოანედ კი უნდა ვივარაუდოთ პეტრიწი, რადგანაც XI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ეფრემის უახლოეს თანამშრომელთა შორის იოანე მთავარაისძისა და იოანე საღმრთო ფილოსოფოსის გარდა სხვა იოანე არა ჩანს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვინმე „იოანე მღვდელს“, რომელსაც ეფრემი თავის „მბრძანებლად“ იხსენიებს (კ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, გვ. 175—176; ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, გვ. 122).

ამრიგად, *პეტრიწმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი, „ქარიშხლისა და ღელვის“ წლები გაატარა მანგანის აკადემიაში იოანე იტალთან და შავ მთაზე ეფრემ მცირესთან.*

ეფრემი გარდაიცვალა XI საუკუნის ბოლო წლებში. ამის შემდეგ შავი მთის ლიტერატურული კერა მოიშალა. ეფრემის მოწაფეები საქართველოში დაბრუნდნენ: იოანე მთავარაისძე დამკვიდრდა მოძღვრად ჭერთის მონასტერში (Q ფონდის „ხელნაწერთა აღწერილობა“, II, გვ. 319), ხოლო არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრიწმა სამოღვაწეოდ დაივანეს შიო-მღვიმისა და გელათის მონასტრებში. დავით აღმაშენებლის „წყალობითა და თანადგომობით“ მათ ეს მონასტრები გადააქციეს უძლიერეს ლიტერატურულ ცენტრებად, კერძოდ, გელათი — „ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად და სხუად ათინად“.



Дмитрий Сергеевич Мгеладзе

ИСТОРИКО-ЭТИМОЛОГИЧЕСКИЕ ЗАМЕТКИ

В лексике русского языка имеются слова и отдельные выражения, которые свидетельствуют о событиях или явлениях в прошлом русского народа, оставивших и доныне след в его языке.

В наше время эти слова и выражения нуждаются в историко-языковых комментариях, без чего трудно, а в иных случаях невозможно доискаться до их зарождения и первоначального значения.

Таких „исторических“ слов и выражений становится в языке все меньше; они или вовсе исчезают из него, или заменяются другими словами и выражениями, более отвечающими новым потребностям в зависимости от степени отдаления нового уклада жизни от старого, от культурного и интеллектуального роста носителя языка и др.

Тем больше внимания должно быть уделено дожидающимся еще своего историка или языковеда „историческим“ словам и отдельным выражениям, хотя бы бывшим уже предметом исследования, но благодаря новым данным, предоставляемым главным образом языком, выступающим в ином освещении, в ином осмыслении и значении.

В этом плане не лишено некоторого интереса появление в языке и первоначальное значение приводимых ниже слов.

ПОДЛИННЫЙ

Правду, как известно, принято и нужно говорить всегда и сразу, несмотря на то, что, может быть, она иногда не будет выгодна для того, кто ее скажет.

Но бывают обстоятельства, когда по каким-либо соображениям скрывают правду, предпочитая утаить ее в свою пользу, но во вред другому,

который поэтому непосредственно сам или чаще через органы государственного воздействия добивается ее торжества.

В числе многих других указанное выше слово подлинный сохранило нам память о том, каким образом, когда ложь предпочитали правде, все же удавалось добиться последней.

В современном словоупотреблении можно сослаться на такие примеры:

1. „Мы должны быть друзьями в подлинном смысле этого слова лишь в том случае, если сперва лучше узнаем друг друга“ („Правда“, 2, III, 59, № 61).

2. Указательное местоимение современного типа есть величайшая абстракция, но абстракция не „пустая“, а ценнейшая, подлинная; как всякое подлинное обобщение, современное местоимение заключает в себе свое бесконечное разнообразие отдельного и единичного (Л. П. Якубинский, „Древнерусский язык“, стр. 191, изд. 1953 г.).

3. Подлинный патриотизм, готовность защищать отечество А. Н. Толстой находит в простых людях (В. Щербина, Критическая статья в I т. полного собрания сочинений А. Н. Толстого, стр. 13, изд. 1958 г.).

От подлинный имеем: подлинно, подлинник, подлинность; с приставкой, кажется, только с до—: доподлинный, доподлинно. Например:

1. „Хотел бы очень я сам посудить, твое услышав пенье, велико ль подлинно твое уменье“ (Крылов).

2. В канцелярском употреблении: с подлинным верно и др.

3. Вижу я доподлинно вы люди духовные, обычай у вас не воровской, не тяжелый (А. Н. Толстой, „Наваждение“, т. III, стр. 67, изд. 1958 г.).

В древнерусском гражданском праве XV—начала XVIII в. было предусмотрено принудительное взыскание долга деньгами или имуществом с обвиненного ответчика в пользу истца.

В том случае, когда ответчик по каким-либо причинам не выполнял судебного постановления об уплате долга, его ставили на правёж, который состоял в том, что ответчика в течение определенного времени, в зависимости от размера долга, ежедневно, за исключением праздничных дней, ставили перед судом или приказной избой, где он был обвинен, и в продолжение нескольких часов били батогами по обнаженным икрам ног. Экзекуцию обыкновенно производил недельщик, т. е. лицо (пристав), которое ездило за обвиняемым и доставляло его в суд. При этом недельщик за определенную мзду нередко разрешал обвиняемому обвертывать икры ног кожей или жестью, но при каждом ударе наказуемый должен был все же кричать, чтобы у наблюдавшего за экзекуцией судьи не оставалось сомнения в том, что процесс наказания протекает вполне нормально. Но чаще с правёжа должников увозили в телегах или уносили на руках.

Происходит слово правёж от древнерусского глагола правити,

который, в числе прочих, имеет значение приводить в исполнение приговор суда; взыскивать, собирать, судить.

Правёж осуществлялся с помощью длинника — старинное слово, означающее, между прочим, батог, палку, хлыст, прут, которыми наказывали.

Подлинный в первоначальном значении — этот полученный, добытый из-под длинника, из-под палки в результате применения к ответчику этого орудия воздействия. А так как должника били до тех пор, пока он не удовлетворял истца, пока не говорил правду, отрекаясь от лжи, то отсюда и нынешнее значение слова подлинный — истинный, настоящий, не обман, сущая правда, действительный, тот самый и др.

ПОДНОГОТНАЯ

Примеров использования слова подноготная можно найти во множестве. Например: „При отце Степан сам себе казался мешковатым, скучным и неповоротливым, хотя на самом деле он знал всю подноготную тяжелого кремневого ружья, которое выдали ему на „экзерцизы“ (Вс. Иванов).

О значении слова подноготная в словаре под ред. Ушакова читаем: „Сокровенная тайна, правда, скрываемая от всех“, тут же дается пояснение: „От старинной пытки — запускания гвоздя под ногти допрашиваемого, чтобы выпытать всю „подноготную правду“.

В словаре Даля почти такое же толкование: „Вся правда, истина, дотоле скрываемая: заветная, задушевная и никому неведомая“ с сылкой на слово „подлинный“.

У М. И. Михельсона приводятся отдельные места из „Записок охотника“ Тургенева, „Доходного места“ Островского, „Кому на Руси жить хорошо“ Некрасова, где имеется слово подноготная со значением „сказать, узнать всю правду“ со справкой — „О пытке под длинниками и пытке подноготной, т. е. о наказании длинниками — батожьям и, прутом и о сдирании ногтей“.

При объяснении слова подноготная — запускать гвоздь или какой-нибудь другой острый предмет под ноготь допрашиваемого с целью выведать от него скрытую до того правду, нам думается, допускается некоторое ограничение его значения, когда имеется в виду только ноготь.

Такие примеры из древнерусского языка, как:

1. „Ногъты желѣзными ти ребра одьра“ („Железными ногатами ободрал тебе ребра“).

2. Вьсе тѣло ногъты съдьрано („Все тело ногатами со (обо) драно“) и др., свидетельствуют, что ногъть — ноготь в древнерусском языке имело также значение вообще орудия пытки, орудия казни. Таким образом, подноготная правда не только такая правда, которая добывалась в результате запускания только под ноготь острого пред-

мета. Как видно из древнерусских примеров, а также из толкований ногъть—нъготь, данных в словаре И. Н. Срезневского, последнее как орудие пытки имело более широкое применение и значение.

Подноготная правда—это такая правда, которая добывалась в результате применения ногъть как орудия пытки везде, по всем, особенно чувствительным, частям человеческого тела, а не только под ноготь.

Что касается формы ногъты от слова ногъть (древней основы на—ĭ), необходимо заметить, что отдельные слова этой основы вроде лакъть, ногъть и под. образуют некоторые падежи множ. числа по типу слов на согласный звук: слова лакъть, ногъть в род. п. множ. ч. имеют лакътъ, ногътъ; и творит. множ.—лакъты, нагъты так же, как от печать—им. множ. печате. (А. Лескин, Грамматика древнеболгарского (древнецерковно-славянского) языка).

ОБИ́НЯК

Слово обиня́к (мн. ч. обиняки́) в толковых словарях русского языка отмечается как разговорное, устарелое слово со значением: иносказательный, двусмысленный, осторожный оборот речи; намек, недомолвка. Например: „Посыпались вопросы о князе, казалось, самые естественные, но в каждом заключался какой-нибудь намек, обиня́к". „Не говори обиняко́м, говори прямиком". Чаще встречается в формах обиняка́ми, без обиняко́в: „Обиняка́ми и намеками дали ему почувствовать, что он может уйти, что его пребывание стесняет всех. Я буду говорить прямо, без обиняко́в" (Чехов). „Вы, Владимир Сергеевич, извините, мы здесь, в...ом уезде, народ прямой, по простоте живем: говорим, что думаем, без обиняков" (Тургенев).

Встречается в речи и обинуясь—деепричастная форма (только в выражении не обинуясь) в значении без колебания, не сомневаясь, не раздумывая, например: „Он ни о каких пределах не думал, а просто шел, не обинуясь, по той колее, на которую поставила его судьба" (Салтыков-Щедрин); „Мужики, не обинуясь, подтвердили показание Трифона" (Достоевский). Форма не обинуясь встречается в одном из писем А. Курбского к Иоанну IV (XVI в.) также в значении без колебания, без сомнения.

Обиняк (и производные от него) сближают со словами вина, винить, обвинить и др. (Преображенский), в котором выпало в (как, например, в исчезло в старославянском слове облако из обвлако, русское обволоко, сравни: волок, волоком, волокита, волочить; облако, т. е. то, что волочится, тянется как бы волоком по небу); такое же выпадение звука в мы имеем и в слове обязательный из обвязательный (то есть после приставки об- следовал когда-то звук в (сравни—вязать), а не я, перед которым мы ставим теперь на письме разделительный знак ъ (сравни—объ-

явить; объять), т. е. для более древнего времени предполагают огласовку обвиняк, обвиняком, не обвинуясь.

Нам думается, что правильнее других интересующее нас слово понял В. И. Даль (а также Шанский), усмотревший в нем приставку об- и основную часть (корень) -ин-; он приводит глаголы обиноваться, обинуться — колебаться, сомневаться, не доверять, опасаться двоякого. неверного исхода; обиняк — намек, иносказание, двусмысленность речи, загадочное объяснение (Даль, т. II, изд. 1881 г., стр. 584).

Глагол обинутися (ныне не употребляемый) встречается и в древнерусском языке в значении уклониться, бояться (Срезневский, Материалы для словаря древнерусского языка, т. II).

Приставка о (||об, обо) в других значениях используется главным образом в глаголах и отглагольных образованиях для выражения кругового движения (сравни: охватить, в три обхвата, окружить, обвести, обрасти, обокрасть, то есть целиком исчерпать, как бы округлить действие, движение). Что же касается основной части, т. е. корня слова -ин-, то его мы имеем в словах иной, иначе, инако (мыслящий).

Так что: обиня́к, обиняка́ми, обиняки́ значит говорить иначе, не прямо, не всем понятно, догадками; без обиняков — наоборот, говорить открыто, не иносказательно, понятно для всех. Да и грузинское соответствие: обиняк, говорить обиняками — ქარაგმულად, გადაკვრით ლაპარაკი; говорить без обиняков — პირდაპირი ლაპარაკი, ყველასათვის გასაგებად скорее указывает на -ин-, чем на вина—или вить.

ОТНЮДЬ

В повседневной речи мы пользуемся такими словами и выражениями, которые всем понятны, однако в большинстве случаев нынешнее их толкование часто не имеет почти никаких точек соприкосновения с первоначальным значением.

К числу таких слов можно отнести и слово отнюдь.

В словарях слово отнюдь отмечено как слово книжное, означающее нисколько, совсем, вовсе, никоим образом.

Слово отнюдь всегда сопровождается отрицанием „не" в сочетании „отнюдь не", причем такое сочетание отмечено в языке издревле, в редких случаях с препозитивным не с тем же значением, что и в современном языке. Например: отъню̀дь не клятися (никак, ни под каким видом не клясться).

В современном русском языке отнюдь довольно широко используется. Слово это активное. Его мы читаем в очень важных государственных документах. Например: „Если посмотреть на вещи объективно, то приходится признать, что эти военные приготовления опасны не только для стран, против которых они направлены, но отнюдь не в меньшей степени и для самих участников этих приготовлений" („Правда").

Каков морфологический состав слова **отнюдь** и каково происхождение и первоначальное значение его частей?

В. И. Даль под вопросительным знаком сближает **отнюдь** со словом **нудить**, т. е. **принуждать, неволить, понукать, погонять, заставлять**.

Отнюдь на самом деле как будто не имеет ни по своему происхождению, ни по значению отношения к слову **нудить**.

Нам представляется, что в основе слова **отнюдь** лежит не слово **нудить**, а старинное русское существительное **оуда-юдь-оудъ**, что значит **часть, кусок, член тела**, как часть целого — рука, нога, палец и др.

Таким образом, основная часть в слове **отнюдь** — юдь — часть, кусок, доля.

Если принять во внимание такой состав и древнее значение слова **отнюдь**, то получается, что оно обозначает **ни от какой части**, даже самой малой, ни в какой доле, куске, никак, нисколько и пр.

Так что, выражение **это меня отнюдь не волнует** следует понимать так: ни одна часть, ни одна доля меня не касается, не имеет ко мне отношения, стало быть, и волновать меня не может.

МЫТАРСТВОВАТЬ

Слова **мыта́рствовать, мыта́рство, мыта́рить, мыта́риться мы́тарь**—производные одного корня (мыт-) со значением: мучения, страдания (как физические, так и душевные), невзгоды, скитания. Примеры: „Все рассказывайте, ничего не утаивая, обо всех мытарствах...“ (Гладков); „Вот женщина! Сколько он ни мытарил, а она его жалеет...“ (Ажаев); „Как жил? — усмехнулся мальчуган. — Известно, по людям мытарился...“ (Федоров). „Степан рассказывал о себе, о том, как мытарствовал... в поисках работы...“ (Соколов).

В основе всех приведенных выше примеров лежит слово „мыт“ или „мыто“, обозначавшее в древности пошлину за проезд через заставу, мост, брод или за провоз товара, мзду, плату, иногда и место сбора **мыта**.

Купцы были редким явлением в русском феодальном мире, а если и появлялись где-нибудь иногда, то возили с собою не вещи ежедневного обихода, а предметы роскоши—шелка, вина, фрукты, оружие заморское, женские украшения и т. п. Этих редких гостей, часто вынужденных проезжать через владения феодала, последний или просто открыто грабил или устраивал в своих владениях нечто вроде таможни у заставы, у моста через реку, у брода, где брал с купцов пошлину — мыт (мыто), определяя его размер очень часто произвольно, по своему усмотрению. Легко представить себе, что оставалось у купца после того, как он проезжал через несколько таких феодальных владений. Не забывал себя и тот, кто был приставлен феодалом у моста, брода или заставы — взимавший

мыт, то есть мытарь. Если купец не давал мытарю определенной мзды, то последний мог его не пропустить через мост, задержать под разными предлогами на неопределенное время — начиналось мытáрство — мучение, притеснение, страдание, испытание.

Надо полагать, что название города Мытищи (в Московской области), расположенного на реке Клязьме, указывает на то место, где в старину взимали мыт, пошлину за переезд через эту реку. Сохранение и поныне за такими местностями древних названий следует приветствовать: топонимы имеют очень большое значение для изучения истории страны и народа.

Мыт (мыто) считают у славян древним германским заимствованием, по-видимому, из готского, в котором оно означает подать, пошлина, мучение (ср. дрверхнем. mûta).

СОРОК

Во всех славянских языках, в частности и в русском языке, для обозначения четырех десятков пользовались словом четыредесяте. Это числительное было такого же образования, как и пятьдесят, шестьдесят, семьдесят, восемьдесят. Однако уже в одном из древних русских юридических письменных памятников — в Русской правде, которая была составлена в XI в., но о которой ничего не знали до XIII в., — вместо четыредесяте с тем же числовым значением использовано слово сорок („сорок гривен"). И в других древних памятниках мы читаем: „Сорокъ соболей, цѣна имъ сто пятьдесятъ рублевъ, а послан тот сорокъ в Литву"... С течением времени четыредесяте было вовсе позабыто, и осталось в русском языке сорок.

Некоторые историки русского языка полагали, что числительное сорок — греческого происхождения, и сближали его со словом sarákonta (из древнегреческого tessarákonta). Допустим, что это так, но куда же делась вторая часть слова — onta? И почему греческое а стало звучать в русском как о? Таких заимствований в языке не бывает, всегда при заимствовании имеет место определенная закономерность.

Поэтому, нам думается, более правы те, которые видят в сорок русское слово—мужской вариант слова сорока, производным от которого является сорочка со значением „рубашка, мужская или женская, обычно — нижняя" (Ушаков). Стало быть, первоначально слово сорок — имя существительное с конкретным значением.

Известно, что в древней Руси значительным в народном хозяйстве экспортным товаром служили меха — собольи, куньи, беличьи и др. Эти меха в количестве 40 штук, необходимых в среднем на пошивку одной шубы, зашивались в „рубахи", „мешочки", „сорочки", которые служили предметом счета, например: один сорок, два, три, четыре сорока и т. д. Эти сороки ценились очень дорого. Когда от царя Феодора Ивановича были получены в Вене меховые сороки, австрийцы

были крайне удивлены и не смогли даже определить им цену. Сороки с мехами присылались и в Грузию, в подарок грузинским царям — официальные документы свидетельствуют об этом (см. проф. Я. З. Цинцадзе, Из истории русско-грузинских взаимоотношений с X по XVIII вв., 1958 г., Тбилиси).

Использование названия предмета (имени существительного) в значении числа и закрепление его в качестве имени числительного — не редкость. Это имеет место и в других языках; например, в датском языке слово ol означает число 80, а по происхождению это палка, жердь, шест по числу носимых на шесте рыб; там же seus — длинная палка, обструганная ветка, на которую можно повесить примерно 20 штук рыб, — со временем получило значение числа 20; в словацком языке слово meru означает 40, оно заимствовано словаками из венгерского mero — мера (сосуд) сыпучих тел, состоящая из сорока (иногда и более) мелких единиц и др.

Со временем числительному сорок стали придавать особое, апокалипсическое значение. По библейскому преданию, во время всемирного потопа дождь лил сорок дней и сорок ночей, сороковины — поминовение усопшего на сороковой день по смерти; о московских церквах говорили: сорок-сороков (т. е. очень много); по народному поверию, сороковой медведь калечит охотника; сорок лет — бабий век и др.

ПОЧЕМУ „АПРЕЛЬ—НИКОМУ НЕ ВЕРЬ"

Откуда повелось первого апреля в шутку обманывать друг друга

Одни связывают этот обычай с религией: будто бы Христа, обманывая, посылали от Анны к Каяфу, от Ирода к Пилату и др. Одни полагают, что во время праздника Пасхи, происходящего обыкновенно в апреле, эта сцена входила в программу религиозных мистерий. Другие связывают этот обычай с изменчивостью погоды в апреле, третьи предполагают, что он возник еще в Риме, где в честь бога Смеха затевались всевозможные шутки, игры, веселье и др.

Каково происхождение слова апрель?

Как известно из предания, мифический основатель Рима Ромул разделил год на 10 месяцев и назвал их: Martius (сначала в честь бога весны, а затем—войны); Aprilis, Maius, Iunius, Quinctilis (т. е. пятый месяц, от лат. quinque); Sextilis (от лат. sex); September (от septem — семь), October (от octo — восемь); November (novem—девять) и December (decem—десять).

Год начинался первого марта, и потому понятны названия квинктилис, секстилис, сентябрь, октябрь, ноябрь и декабрь как пятого, шестого, седьмого, восьмого, девятого и десятого месяцев года. Позже, при императоре Августе, пятый месяц (Quinctilis) был назван Iulius (июль) в честь Юлия Цезаря, а шестой (Sextilis) — Augustus (август) в честь

Августа. Далее, опять-таки по преданию, Нума Помпилий (или Тарквиний Гордый) присоединил к этим десяти месяцам еще два месяца: Ianuarius (январь — в честь Януса, бога всякого начала, входов и выходов) и Februarius (февраль — месяц очищения, умилостивления). С этого времени год стали делить на двенадцать месяцев. При Юлии Цезаре (в 46 г. д. н. э.) начало года с первого марта было перенесено на первое января. Слово апрель впервые в русских письменных памятниках отмечается с начала XV в.

Апрель — древнеславянское заимствование, во всех славянских языках это слово звучит почти одинаково.

По-видимому, апрель грузинами заимствован непосредственно из греческого языка (возможно, из латинского), а не из русского, иначе в груз. яз. оно звучало бы не как აპრილი, а აპრელი.

Нам представляется правильным сближение слова апрель с латинским словом apricus — согреваемый, освещаемый солнцем, находящийся на солнце, т. е. солнечный, теплый; стало быть, апрель — это месяц, когда солнце вступает полностью в свои права, греет вовсю.

КОПЕЙКА

Известны пословицы и поговорки у русского народа, связанные со словом копейка: Копейка рубль бережет. Трудовая копейка до веку живет. Кто не бережет копейки, сам рубля не стоит. Копейками рубль полон и др.

Упоминается копейка еще в летописи (1499 г.): „Тое же осени хлѣб был дорог, четверка по 9 денег... а жита по 6 копеек".

Происхождение слова копейка не совсем ясно. Одни производят его от „копьё" (ср. в просторечии при безденежье выражение „ни копья нет") в связи с тем, что в древнем московском гербе Георгий Победоносец копьем поражает змия, и видят в слове копейка уменьшительное образование от „копье".

Но от слова среднего рода копьё уменьшительной формы ожидали бы копьецо, копейце, копейко и под., т. е. слово среднего же рода, но не женского — копейка. Правда, в русских народных говорах есть ряд случаев усвоения слов среднего рода как слов женского рода, но литературный язык этих явлений не узаконивает.

Другие сближают копейка с копа, копна (отсюда „копить"), что значит 60 штук чего-либо, например, копа (копна) ржи, гречихи, овса и др. (В. Даль, Словарь).

Некоторые полагают, что копейка происходит от тюрк. „копек" — собака (ср. в грузин. ქოფაკი), т. к. на одной татарской монете была изображена собака (само слово „собака", по-видимому, вошло в русский язык из древнеиранского spaka).

Так что, как видим, единой точки зрения на происхождение слова „копейка“ пока не имеем, и трудно склониться к тому или другому мнению — слишком далеки друг от друга по значению слова копьё, копа (копна) и копейка как денежная единица.

РУБЛЬ

Рубль (рублёвка, рублевик, рублик, диалек. руп(ь), рубель).

Слово рубль можно услышать во многих выражениях, в просторечии, в пословицах, поговорках, изречениях и др. Например: Будет и рубль, да не вдруг. Без копейки и рубля нет. Денежка рубль бережет, а рублик голову стережёт. За морем телушка полушка, да рубль перевозу. Контроль рублём. Длинный рубль. Не рублём, так дубьём и др.

В древности рубль означал кляп, заклепку, отрубок. В летописи рассказывается, что Ян Вышатич, собирая по приказу Святослава дань на Белозере и узнав здесь, что кудесники перебили большое число женщин якобы за укрытие жита, мёда, рыбы, меха, приказал схватить их и вложить им в рот рубль (т. е. кляп).

Как денежная единица рубль засвидетельствован в русских памятниках с XII—XIII вв. В XII и последующие века рубли представляли собою серебряные слитки разной стоимости в виде брусков. Постоянная чеканка рубля началась в России с XVIII в.

Одни сближают рубль со словом рубить (образование такое же, какое имеем, например, от вопить, купить, ловить, земной и т. д. — вопль, купля, ловля, земля и под.) на том основании, что в старину гривна (древняя крупная денежная единица) будто рубилась „начетверо“ (по другому предположению рубли рубились из серебряных прутьев), причем каждая часть называлась рубль (отрубленное), которая имела определенную денежную стоимость.

Правда, есть указание, что рубли не рубили, а отливали (ср. „...выведе Сокира... ливца... серебряного Федора Жеребца, на вѣче... нача сочити (искать, доискиваться), на кого... лилъ рубли“) (Летопись), но оно не исключает более старинного рубили.



იოსებ მეგრელიძე

თეიმურაზ ბაგრატიონი როგორც რუსთველოლოგი

XIX საუკუნის პირველი ნახევრის უგანათლებულესი ქართველი თეიმურაზ ბაგრატიონი (1782. 23. IV—1846. 29. X ძვ. სტ.) უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის სახელითაა ცნობილი. იგი თავის ვინაობასა და სამეცნიერო წოდებებს მისივე ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომის სათაურს ქვეშ ასე აყალიბებს:

„განმარტება პოემა ვეფხის-ტყაოსნისა, ქმნული მეფის გიორგი მეცამეტის ძის თეიმურაზის მიერ კავალერისა და სრულიად როსიის ს[ანკტ]პეტერბურგის აკადემია ნაუკისა, პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნიი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენღაღანის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა, პირველთა ჩლენთა შორის დაწესებულისა და პარიჟის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა“ (ხსენებული გიორგი XIII ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამჟამად გიორგი XII-დ არის ცნობილი).

მართალია, თეიმურაზ ბაგრატიონი მეცნიერებათა აკადემიის მხოლოდ საპატიო წევრად იხსენიება, მაგრამ ფაქტობრივად იგი იყო სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პირველი ქართველი აკადემიკოსი (აირჩიეს 1837 წელს). თვლიან, რომ ამავე დროს უნდა მომხდარიყო მისი არჩევა კოპენჰაგენის ანტიკვარული საზოგადოების წევრად[1].

უფრო ადრე იგი აირჩიეს პარიზის სააზიო საზოგადოებისა და საფრანგეთის თავისუფალი ხელოვნების აკადემიის წევრად.

თეიმურაზის ფართო და ღრმა განათლებას საფუძველი საქართველოში ჩაეყარა. მას თელავის სემინარიაში ასწავლიდა ცნობილი დავით რექტორი.

თეიმურაზი „ცამეტი წლისა იყო, როცა მომსწრე და მონაწილე გახდა 1795 წლის კრწანისის ტრაგედიისა, რომელიც მან შემდეგ აღწერა კიდეც. ახალგაზრ-

---

[1] შოთა მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1939, ნაკ. I, გვ. 48.

და თეიმურაზი ვერ გაერკვა 1801 წლის ამბების პოლიტიკურ მნიშვნელობაში"[1] და ის, ზოგიერთ ბატონიშვილთან ერთად, 1803 წელს სპარსეთში გადაიხვეწა.

თეიმურაზი მალე დარწმუნდა, რომ იქ არ იყო მისი ადგილი. თავისი მეგობრის — პოეტ პეტრე ლარაძის რჩევით, იქიდან გამოიპარა და დაბრუნდა თბილისში 1810 წელს, შემდეგ გადავიდა პეტერბურგში საცხოვრებლად.

თ. ბაგრატიონმა პეტერბურგში გააღრმავა თავისი ცოდნა საერთოდ და ქართული, სპარსული, რუსული, ფრანგული, სომხური და ბერძნული ენებისა და ნაწილობრივ არაბული ენის ცოდნა კარგად გამოიყენა.

სხვათა შორის, შევნიშნავთ, რომ ენებისადმი მიდრეკილების შედეგი იყო, რომ თეიმურაზმა „აღძრა საკითხი საქართველოში ლიცეუმის — უცხო ენათა უმაღლესი სკოლის — დაარსებისა"[2].

თეიმურაზმა ლიტერატურული მოღვაწეობა პოეზიით დაიწყო. „სამოცეული" — ლექსების პირველი ალბომი — შედგენილია „სპარსეთის სამპყრობელოსა შინა მყოფი თეიმურაზის" მიერ.

ჩვენი სახელოვანი წინაპრის სადოქტორო ნაშრომი შეიცავს ათონ-მთაწმიდის ივერიის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლების — იოვანეს, ეფთვმეს, გიორგისა და, საერთოდ, ამ ქართული კულტურის კერის შესწავლა-დახასიათებას. გამოქვეყნებულია იმავე ავტორის საისტორიო ნაშრომები: „დავით ბატონიშვილის ბიოგრაფია ისტორიით" (პარიზი, 1833), „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელი არს ისტორია სრულიად საქართველოისა" (პეტერბურღი, 1848) და სხვ. რიგი ცალკე გამოუქვეყნებელი მისივე მეცნიერული აზრები შესულია აკად. მ. ბროსეს შრომებში.

თეიმურაზი 1833 წელს სწერდა მ. ბროსეს: რაკი ფრანგულად გითარგმნიათ ჩემი ესა და ეს ხელნაწერი ნაშრომი, გემუდარებით, ჩემი სახელის მოუხსენებლად გამოეცით, მასზე „ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა"[3].

თეიმურაზი „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის გამოცემისა და წინასიტყვაობის მონაწილეცაა, მაგრამ მ. ბროსეს მან არც აქ მოახსენებინა თავისი სახელი.

თეიმურაზის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული და მეცნიერული შრომები: „ყაჯართა დინასტიის სპარსელ შახთა მოკლე გენეალოგია", „არმაზის კერპის მოკლე ისტორია", „როდის და როგორ დაიპყრეს თურქებმა სამცხე-საათაბაგო", „ივერთა ათონის მონასტრის დაარსება და თავგადასავალი", „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისათვის და ბოროტისათვის" (თარგმანი რუსული ენიდან), „წიგნი ათნი გვირგვინი" (თარგმანი სპარსული ენიდან), „მხედრობის დარიგება ნაპოლეონისა" (თარგმანი ფრანგულიდან) და სხვ. მისივე თეორიული შრომაა „ღვარნი ანუ საზომნი ქართულისა ენისა სტიხთა". თეიმურაზი რუსი და ევროპელი მწერლების ერთ-ერთი უძველესი მთარგმნელია; მან, პირველმა, თარგმნა ა. პუშკინის ლექსი „ანგელოსი".

[1] ჯრ. რ უ ხ ა ძ ე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ქართველი აკადემიკოსი: გაზ. „სახალხო განათლება", 1956, № 47.

[2] ი ქ ვ ე.

[3] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1964, გვ. 22—23.

Ⴇ. Ⴁაგრატიონი ზრუნავდა ჩვენში „სკოლების მოწყობაზე, ქმნიდა სახელმძღვანელოებს ისტორიასა და ლიტერატურის თეორიაში, აგრეთვე პიესებს („Ⴑამსახეობა რაინდისა“ და Ⴅოლტერის „Ⴀგათოკლეს“ თარგმანი)[1] და სხვ.

Ⴇეიმურაზმა გვიანდერძა აგრეთვე რუსთველოლოგიური ნაშრომი (იხ. ქვემოთ). Ⴋან 1836 წელს Ⴎოლონეთში, Ⴎრაღასა და Ⴁერლინში მოგზაურობის შედეგად დაწერა „Ⴋოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“. Ⴀმ წიგნის საუკეთესო გამოცემა სათანადო წერილისა და შენიშვნების დართვით ეკუთვნის სოლომონ Ⴈორდანიშვილს (Ⴇბ., 1945).

Ⴇეიმურაზ Ⴁაგრატიონი გახლავთ აგრეთვე თავისი დროის ერთი უდიდესი ქართველი ბ ი ბ ლ ი ო ფ ი ლ ი. Ⴋის მიერვე შედგენილი საკუთარი წიგნებისა და ხელნაწერების სიის ფრანგული თარგმანი Ⴋ. Ⴁროსემ გამოაქვეყნა (1838 წ.), ქართულად კი პირველად Ⴀლ. Ⴚაგარელმა და ბოლოს (უფრო სრული სახით) — Ⴑ. Ⴈორდანიშვილმა[2].

Ⴇვით წიგნების ნაწილი ამჟამად საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაშია დაცული. სხვა წიგნები და ხელნაწერები კი ႱႱႰႩ მეცნიერებათა აკადემიის Ⴀზიის ხალხთა ისტორიის (ყოფ. Ⴀღმოსავლეთმცოდნეობის) ლენინგრადის განყოფილების ბიბლიოთეკასა და Ⴞელნაწერების განყოფილებაში ინახება. Ⴄსეც Ⴇეიმურაზის ერთი დამსახურებაა ქართული კულტურის წინაშე.

Ⴇეიმურაზ Ⴁაგრატიონი დაკრძალულია Ⴊენინგრადის Ⴀლექსანდრე Ⴌეველის სახელობის Ⴊავრის სასაფლაოზე, სადაც ამჟამად არსებობს „Музей городской культуры“. Ⴈქაა Ⴇეიმურაზის საფლავიდან გადმოტანილი „Доска—надгробие Грузии царевича Теймураза“.

Ⴀხლა იქვეა დაცული მისი საყვარელი დის საფლავის დაფაც წარწერით: „Ⴀდგილსა ამას მდებარეობს გუამი მათის უმაღლესობის, საქართველოს მეფის Ⴂიორგი Ⴋეცამეტის ასულისა და Ⴋეგრელთ მთავრინასი Ⴌინოსი“... (1772—1847); იგივე წარწერა მეორდება რუსულ ენაზეც.

Ⴄრ. Ⴐუხაძე აღნიშნავს: Ⴇეიმურაზი დაკრძალულია „Ⴊენინგრადის Ⴀლექსანდრე Ⴌეველის სახელობის Ⴊავრის სასაფლაოზე, სადაც Ⴇეიმურაზმა ააგო ქართველ Ⴁაგრატიონთა საგვარეულო ტაძარი“[3]. Ⴀმ ცნობის მეორე ნაწილი არაა სწორი. Ⴎეტერბურგის ქართული ეკლესია ახლაც დგას Ⴀლექსანდრე Ⴌეველის ლავრიდან დაშორებით და საწინააღმდეგო მხარეს — Ⴅასილის კუნძულის მეოთხე ხაზზე (წმ. Ⴀნდრიას, ე. წ. Ⴀნდრეევის ტაძართან), რომლის მახლობლადაც მდინარე Ⴌევის ნაპირზე საკუთარ სახლში[4] ცხოვრობდა თვით Ⴇეიმურაზ Ⴁაგრატიონი ოჯახითურთ.

---

[1] Ⴘ. Ⴋ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 19—49; Р. Р. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения, Ⴋოსკოვი—Ⴊენინგრადი, 1951, გვ. 174 და იქვე მითითებული გვერდები; Н. Алания, Первый грузинский академик: გაზ. „Вечерний Тбилиси“. 1962, № 165.

[2] Ⴈხ. „კატალოგი წიგნთსაცავისა Ⴇეიმურაზ Ⴁატონიშვილისა, დაამზადა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო Ⴑ. Ⴈ ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა“, Ⴇბ., 1948.

[3] Ⴄრ. Ⴐ უ ხ ა ძ ე, Ⴐუსეთის Ⴋეცნიერებათა Ⴀკადემიის პირველი ქართველი აკადემიკოსი: გაზ. „სახალხო განათლება“, 1956, № 47.

[4] Ⴋეცხრე ხაზი, სახლი № 8, და არა 81, როგორც ეს Ⴑ. Ⴉუბანეიშვილს დაუბეჭდავს (Ⴇ. Ⴁატონიშვილის წერილები Ⴋ. Ⴁროსესადმი, Ⴇბ., 1964, გვ. 9).

თეიმურაზ ბაგრატიონი ძირითადად ისტორიკოსი იყო. იგი, როგორც რუსთველოლოგი, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხში აგრძელებს ვახტანგ მეექვსის ხაზს და ტექსტის კომენტარებსაც თითქმის ვახტანგის მსგავსად წერს, მის ანალოგიურ ნაშრომს ქმნის. ვახტანგისეულ სათანადო კომენტარებს „თ ა რ გ მ ა ნ ი“ ეწოდება, თეიმურაზისას კი — „განმარტება“. ფაქტობრივად ორივე „ვეფხისტყაოსნის“ განხილულ სტროფთა კომენტარია. ამიტომ, ნაშრომის შინაარსის მიხედვით, უფრო ზუსტია „განმარტების“ ე. თაყაიშვილისეული რუსული თარგმანი Комментарии, ვიდრე გ. იმედაშვილისა, რომელმაც იგივე სიტყვა ამავე სათაურში Толкование-დ თარგმნა.

თეიმურაზის საისტორიო შრომები 1810—1831 წლებში უნდა იყოს დაწერილი, რადგან შემდეგ თეიმურაზი მ. ბროსეს უკავშირდება და ამისათვის აღარ ეცალაო[1]. ეს აზრი საისტორიო ნაშრომთა მიმართ შეიძლება სწორი იყოს, მაგრამ თეიმურაზის რუსთველოლოგიური შრომა „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ 1831 წლის შემდეგაა დაწერილი.

„განმარტების“ თეიმურაზისეული ხელნაწერი არ შემონახულა, მაგრამ იგი გვაქვს 1843 წლის სექტემბერში გადაწერილი ერთადერთი პირით. მისი ვრცლად აღმწერელი და რუსთველის ბიოგრაფიული ნაწილის თითქმის სრულად გამომქვეყნებელი ექვთიმე თაყაიშვილი ამ ხელნაწერს ავტოგრაფის მნიშვნელობისად თვლიდა და მას თეიმურაზის ნაწერებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად აღიარებდა; ავტორს ე. თაყაიშვილი საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეს უწოდებდა. „განმარტება“, — Комментарии,—წერდა ე. თაყაიშვილი,—это—одно из лучших произведений царевича Теймураза. Он здесь дает объяснение слов [„Вепхисткаосани“], указывает какого происхождения данное слово, грузинского или иностранного, объясняет смысл фраз и выражений и т. д... Он был лучший знаток грузинской истории и литературы“...[2]

ხელნაწერის მთლიან პუბლიკაციას ეწოდება:

„თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა პ ო ე მ ა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა. გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით“ (თბ., 1960).

სამწუხაროდ, ტექსტი ვერაა გამართული; მასში უამრავი ფორმაა ხელნაწერიდან მექანიკურად გადატანილი. მაგ., ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რომ ერთ სიტყვად იწერება და არა სამად, ჯ ვ ა რ ი ს წ ე რ ა რომ ერთ სიტყვად იწერება და არა ორად, გ უ ლ კ ე თ ი ლ ი, უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი და სხვ. რომ უდეფისოდ იხმარება და სხვა მრავალი, ეს ახლა სალაპარაკოდაც აღარ ღირს.

განსაკუთრებით პუნქტუაციის საკითხია ტექსტში მოუგვარებელი.

მაგალითად, სტრიქონი:

„მიჯნურსა თუალად სიტურფე, მართებს მართ ვითა მზეობა“

---

[1] შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

[2] Е. Т а к а и ш в и л и, Описание рукописей, ტ. II, ნაწ. III, თბ., 1908, გვ. 583.

(გვ. 5, სტროფი 8/23) ასეა გამოქვეყნებული! ასევე, ძალიან ხშირად სხვაგანაც ტექსტში ქვემდებარე და შემასმენელი მძიმითაა გათიშული!

გამომცემელს რომ ჩაეხედა „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო (1937 წ.) გამოცემაში, მძიმეს „სიტურფე მართებს" შორის კი არ დასვამდა, არამედ ზმნის შემდეგ. ასევე — „ჩემმან ჴელ-მქმნელმან დამმართოს, ლაღმან და..." (გვ. 8, სტროფი—16/9,4), მძიმე „დამმართოს" შემდეგ არ იქნებოდა.

აგრეთვე ტაეპი:

„სიარული მარტოება, შვენის გაჭრად დაეთვლების"

(გვ. 14, სტროფი—31/31,2) ასე უნდა გამართულიყო:

„სიარული, მარტოება შვენის, გაჭრად დაეთვლების".

ან კიდევ სტრიქონი:

„აგონებდეს მისგან კიდე, ნურაოდეს მოეცლების"

(იქვე) ასე უნდა დაბეჭდილიყო:

„აგონებდეს, მისგან კიდე ნურაოდეს მოეცლების" და ა. შ.

ასეთი დარღვევები მიუტევებელია, ვინაიდან ხშირად ფრაზის აზრი იცვლება.

კიდევ უფრო საოცარი ისაა, რომ ორთოგრაფიული უზუსტობანი და სადავო აზრები ბლომად გვხვდება გამომცემლის წინასიტყვაობაშიც.

მაგ., ავტორი პირველ აბზაცშივე წერს:

„ძველი თაობის არც ერთ მოღვაწეს ვეფხისტყაოსანზე იმდენი ამაგი არა აქვს გაწეული, რამდენიც თეიმურაზს" (გვ. 07).

საერთოდ, არცაა საჭირო ასეთი შედარებები, მაგრამ, თუ მას მივმართავთ, მაშინ უდავოა, რომ საერთო მნიშვნელობით თეიმურაზზე ბევრად მეტი ამაგი აქვს გაწეული „ვეფხისტყაოსანზე" მის პირველ გამომცემელს — ვახტანგ მეექვსეს. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელებაც არ ღირს.

ჩვენ ზემოთ თეიმურაზის „განმარტებას" ვახტანგის „თარგმანის" ანალოგიური ნაშრომი შემთხვევით არ ვუწოდეთ, — აქ თეიმურაზი ვახტანგის ანდერძს ასრულებს.

ვახტანგ მეექვსე წერდა: მე მთლიანად ვერ მოვასწარი „ვეფხისტყაოსნის" კომენტირება, „მე თარგმანი მრავალი დამირჩა" უთქმელი „მოუცლელობისათვის" (უდროობის გამო), „ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქუენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ; თუცა სულ მეთარგმნა სხვა რას იქმოდა" [1].

ეს ანდერძი შეასრულა თეიმურაზ ბაგრატიონმა.

გ. იმედაშვილის წინასიტყვაობის მეორე აბზაცში ვკითხულობთ: „ბროსე და თეიმურაზი ერთმანეთის მასწავლებლებიც იყვნენ და მოწაფეებიც".

ფაქტობრივად არც ესაა სწორი. ვის დავუჯეროთ: მოტანილი ციტატის ავტორს, თუ თვით მარი ბროსეს და თეიმურაზ ბაგრატიონს?!

მარი ბროსე წერს: თუიმურაზ ბატონიშვილში „მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან,... რომლის მიზანია — თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა, ამ ადამიანის მდაბალ მოწაფედ, — სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა, — ვაღიარებ ჩემს თავს" (1838).

მ. ბროსე არა ერთხელ აღიარებს თეიმურაზს თავის მასწავლებლად.

---

[1] „ვეფხისტყაოსანი", 1712 წ. გამოცემა, გვ. სპზ.

თავის მხრივ თეიმურაზიც მოწაფეს (შაგირდს) უწოდებს ბროსეს. ის მასალების ბეჭდვის გამო მ. ბროსეს აფრთხილებს:

„იცადე, ყოველს წერილებში, ყოველთვის კარგად წაკითხვას, რომ სწორედ გამოიცნა და მიხვდე, რომელსაც ვერ მიხვდე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვიწერო, თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი ამისთანა შაგირდი გყავსო“ (1834 წ.) [1].

მართალია, მეცნიერული მუშაობის მეთოდიკასა და რიგ საკითხებში ბევრი რამ კარგი შეითვისა თეიმურაზმა ბროსესაგან, მაგრამ მაინც ქართველოლოგიურ ძიებებში ბროსეს საქმიანობის ტონის მიმცემი თეიმურაზია.

თეიმურაზის წიგნის „განმარტება პოემის ვეფხისტყაოსნის“ დასახელებული გამომცემელი წერს: „თეიმურაზის ამ განმარტებებმა საფუძველი ჩაუყარეს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკოლოგიას“ [2].

არც ესაა მართალი, ეს პატივიც, უპირველეს ყოვლისა, ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის, თუმცა შოთას ლექსიკას ს. ორბელიანმაც მიაქცია ყურადღება. მით უფრო საოცარია ზემოთქმული, რომ ჩვენი დიდი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე უფრო ადრე წერდა: ვახტანგის „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი „კარგია და თავის დროისათვის ჩინებულიც“ [3].

თეიმურაზის „განმარტებაში“ ახსნილ სიტყვებს ისევე სჭირდებოდა გამოტანა და ახსნა-განმარტებით დაბეჭდვა, როგორც ეს აკაკი შანიძემ გაუკეთა ვახტანგ მეექვსის „თარგმანებას“. ვერც ეს მისაბამი მაგალითი გამოიყენა გ. იმედაშვილმა.

გამოცემაში, მეტი რომ არა ვთქვათ, ასეთ უხერხულობასაც კი აქვს ადგილი: წინასიტყვაობაში თეიმურაზის აზრებზე მითითებულია, ე. ი. ციტატები დამოწმებულია მუზეუმის ხელნაწერის გვერდების მიხედვით და არა იმ გამოცემის მიხედვით, რომელსაც ეს წინასიტყვაობა ახლავს! წიგნის 031 გვერდზე დასახელებულია ექვთ. თაყაიშვილის პუბლიკაცია 1902 წელს გამოცემულად, ნამდვილად კი ის 1908 წელს გამოიცა; გ. იმედაშვილის გამოცემაში პირველივე სიტყვა „комментарии“ რუსულად შეცდომით ერთი მ-თია დაბეჭდილი. ვთქვათ, ეს კორექტურული შეცდომებია, მაგრამ ციტატების ხელნაწერის გვერდების მიხედვით მითითება და არა საკუთარი გამოცემის მიხედვით, ეს ისეთი დაუდევრობაა, რომ მეოცე საუკუნეში ვერც ერთ პროფესიულ გამოცემაში მსგავს ფაქტს ვერ იპოვით.

თეიმურაზის „განმარტების“ გ. იმედაშვილისეული გამოცემის სხვა ნაკლოვანებებზე აქ ვეღარ შევჩერდებით. რა თქმა უნდა, აჯობებდა, რომ გამოსაცემ ტექსტს ფილოლოგ-ტექსტოლოგის ხელში გაევლო, ან მას ასეთივე რედაქტორი ჰყოლოდა (ის როლიც გ. იმედაშვილს უკისრია!).

ყოველივე ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ გამომცემელმა მაინც სასარგებლო საქმე გააკეთა: მომხმარებელს აღარ სჭირდება ყოველთვის მუზეუმში დაცულ ამ წიგნის ხელნაწერს მიმართოს; მის მეცნიერულად გამომცემელს

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, სოლომონ ყუბანეიშვილის გამოცემა, თბილისი, 1964, გვ. 31.

2 თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960, გვ. 031.

3 1712 წ. „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენილი გამოცემა, 1937, გვ. 367.

ტექსტიცა და წინასიტყვაობაც გამოადგება. დიახ, ასეთი გამოცემა უნდა განხორციელდეს, თ. ბაგრატიონის ეს შრომა ამის ღირსია.

გ. იმედაშვილი მართალია, როცა წერს, რომ თეიმურაზის „განმარტებას" დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული მნიშვნელობა, ის ახლაც გამოსადეგია რუსთველოლოგთათვის და აგრეთვე ქართული მწერლობისა და ქართული კულტურის საკითხთა მკვლევართათვის.

წინასიტყვაობის ავტორი სწორად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თეიმურაზი მნიშვნელოვან რუსთველოლოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამს იმ პირად ბარათებშიც, რომლებსაც ის ადრევე წერდა მ. ბროსეს; „განმარტება" წარმოადგენს ავტორის შემაჯამებელ ნაშრომს, მისი გამომცემელი სწორია, როცა ამბობს: „ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის გაგებაში თეიმურაზი ძირითადად ეყრდნობა ვახტანგის კონცეფციას, რომლის მიხედვით პოემის ამბავი ქართულია", რომ თეიმურაზის აზრით, „ვეფხისტყაოსანი" პატრიოტიზმს ქადაგებს, ის ვვასწავლის „მამულისა თჳსისა ერთგულებასა" [1]. თეიმურაზი „კრიტიკულად ეკიდება, როგორც ვეფხისტყაოსნის ტექსტს, ამ შემთხვევაში ვახტანგისეული გამოცემის ტექსტს, ისე ლექსიკონებსა, თუ სხვა რაიმე მნიშვნელოვან წყაროებს, რომელთა გამოყენება საჭიროდ მიაჩნია [2] და სხვ.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზის „განმარტება" ავტორის რუსთველოლოგიური მოსაზრებების შემაჯამებელი ნაშრომია, მის ადრინდელ პირად წერილებში მაინც ვხვდებით ისეთ ცალკეულ შენიშვნებს, რომლებიც „განმარტებაში" აღარაა შეტანილი. მაგალითად, როგორც ეს შ. მესხიამაც შენიშნა, თეიმურაზის მიერ ბროსესადმი 1833 წელს მიწერილ ბარათში ახსნილია, თუ საიდან უნდა იყოს წარმოდგენილი სახელი ყოთა, ყოტთა, ყოტტა; მოცემულია შედარებაც რუსთველის ეპოქის მწერლებთან და ზოგი სხვა მომენტიც, რომლებიც თეიმურაზის „განმარტებაში" აღარ მეორდება და, მაშასადამე, „იძლევა წარმოდგენას თეიმურაზის ადრინდელ შეხედულებებზე „ვეფხისტყაოსნის" შესახებ" [3].

ს. ყუბანეიშვილიც ადარებს თეიმურაზის 1839 წლის ბარათს „განმარტების" ტექსტს და ასკვნის: „ამ ორ ტექსტს შორის არის მეტნაკლებობა: «აბდულ-მესიასა» და თმოგველის შესახებ თეიმურაზი წერილში უფრო მეტ ცნობას იძლევა, ხოლო რუსთველისა და მისი ვეფხისტყაოსნის შესახებ „განმარტებაში" უფრო მეტი ცნობებია დაცული, ვინემ „წერილში" [4].

მოვიყვანოთ თეიმურაზის 1833 წლის 9 ოქტომბრით დათარიღებული ბარათის ის ადგილი, რომელიც უშუალოდ რუსთველს შეეხება:

„რუსთველი, ე. ი. რუსთაველი. რუსთავი ქალაქი ყოფილა კახეთის მამულში. გარე-კახეთში, მდინარისა მტკვრის პირზედ (რომელიც შორავს ტფილისს ექვსის მილითა). ამ ქალაქს უძველესს დროში ბოსტან-ქალაქი რქმევია, მერ-

---

1 თ. ბაგრატიონი, განმარტება..., გვ. 09—010.

2 თ. ბაგრატიონი, განმარტება..., გვ. 014.

3 შ. მესხია, ციტ. შრომა, გვ. 44.

4 თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 109.

მეს რუსთავი დაურქმევიათ და მესამე სახელი ჩაგებები ჰქვიან. ერთს მხარეს მტკვრის მდინარე აქვს და მეორე მხარეს დიდი მინდორი ყარაიისა (აქ ეპისკოპოსიცა მჯდარა რუსთველ-არხიეპისკოპოსი და როდისაც ეს ქალა[ქი] მოშლილა, მუნებური არხიეპისკოპოსი მარტყოფს გარდაუყვანიათ, მაგრამ ისევ რუსთველობითვე სახელსდებდენ მუნებურს არხიეპისკოპოსს ამ მახლობელს ჟამებამდინ), თუმცა რუსთავში ქალაქი კი აღარ ყოფილა, მაგრამ მეფეებს იქ სასახლე ჰქონიათ საზამთროდ დასადგომად, რადგანაც ზამთარს კეთილი ჰაერი აქვს და გარემო მრავალი უცხო სანადირო არის, ნადირითა და ფრინველითა სავსე და მუნ ზამთარი ასეთი იქმნება, რომ გაზაფხულსა ჰგავს. ზაფხულით კი დიახ, ცხელი არის. ამა რუსთავისა სამეფო სასახლეები კვალად განაახლა და აღაშენა სრულიად ქართლისა და კახეთის მეფემან ირაკლი პირველმან. და ქალაქსაც უპირობდა აშენებასა, მაგრამ შემდგომად გარდაცვალებისა მისისა, დაშთა კვალად უშენი. და აწცა უშენ არს ძველად სახელოვანი იგი ადგილი ყოველითურთ.

რუსთაველი მას ცხელ ადგილში იყო შობილი, სახელად შოთა ერქვა (შოთა სახელი ქართველებსა ისევ ძველათვე, კერპთმსახურებაში, ჰქონდათ და ქრისტიანობაშიაც არქმევდენ). ეს სახელი არ მოშალეს. შოთთა (ანუ შოტტა) არმაზ კერპის სახელი არის, რომელიც კერპთმსახურებაში ქართველებისა ერთი უპირველესი ღმერთთაგანი იყო, რომელიცა უწმინდესისა ნათლისა არსება იყო. ეს შოთა სახელი მე ფრანციცულს პარნოელის მიფოლოღიურს ლექსიკონშიაცა ვნახე. იმაშიაც აცხადებს, რომ შოტტა არმაზის სახელი არის (არმაზ ანუ ორმუზად შოტტა).

შოთა რუსთაველი თამარ მეფისა მოლარეთუხუცესი იყო (ესე იგი მინისტრი ფინანსისა) და დიდად წარჩინებული კაცი იყო წინაშე თამარ მეფისა და პატივცემული... მელექსეობაში იყო უპირველესი, ეგრეთვე სხვას ყოველს მეცნიერებასა და ზნეობაში საღმრთოსა, სამხედროსა და სამოქალაქო საქმეში. ყოველშივე მის ჟამის კაცთა ყველაზედ უმჯობესი და უპირველესი ყოფილა და სახითაც, თვალად და ტანად საკჳრველი მშვენიერი. თუმცა მის ჟამშიაცა, უწინაც და შემდგომშიაცა მრავალნი სწავლულნი და მეცნიერნი მთხზველნი იყვნენ სამესხეთიშიაც, ქართლსა, კახეთსა და იმერეთშიაც ქართულს ენაზედა და პეტრიწისა და იოანე შავთელის ლექსებსაც ამჯობინებენ რუსთაველის ლექსებსა, მაგრამ მე ჩემის მოკლის განსჯით, ამას ვიტყვი: საზოგადოდ ერისათჳს და ქართული ენის ხარაკტირით, როგორათაც შოთა რუსთაველს ვეფხის-ტყაოსანი შეუთხზავს, არც ერთი არ არის იმისი ამხანაგი. იქნება, რომ რომელნიც უფრო ღრმად სწავლულნი არიან, იმათ წინა თქმულთა მათ თხზულებათა უფრო მოიწონონ და ყოველთავე ხომ არ ესმისთ ღრმა თხზულებაები.

შოთა რუსთაველი, როგორათაც ყოველს ზნეობასა და სწავლაში სრული იყო, ეგრეთვე უკანასკნელსაცა ჟამსა აღსასრულიცა ეგრეთივე შეუყენა, ეს ამათ სოფელი დაუტევა და თავისი ქვეყნიდამაც უცხოებაში წავიდა, წმიდას იერუსალიმს მივიდა და იქ ჯვარის მონასტერი არის და ის მონასტერი ქართველთ არის, დიდი და მშვენიერი მონასტერი არის. იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს, ყოვლის საქართველოს მპყრობელსა, გვარით ხოსროვინს, დაუდვია. რადგანაც პირველად ქრისტიანობის სარწმუნოებაზედ მირიან მეფე მოიქცა კერპთმსახურებისაგანა, ამისთჳს დიდმა კონსტანტინემ, პირველის მსოფლიოს კრების განჩინებითა, მრა-

ვალი შეწევნა მოსცა, ქრისტიანობის განსამტკიცებლად საქართველოს და იერუსალიმშიაც ადგილები მოსცეს. და მის ჟამითგან საქართველოს მეფეთა უმეტესად გაამშვენიერეს ჯუარის მონასტერი და იერუსალიმში და იმის გარეშამოში სხვა მონასტრებიც აღაშენეს და საქართველოს განუსაკუთრეს. ყმა და მამული მრავალი შესწირეს საქართველოში, რომლისაც შემოსავალი წლითიწლად მას მონასტრებს ეხმარებოდათ. და რომელნიც წმიდანი მამანი ჩვენნი ქართველნი და საღმრთოს წერილთ მთარგმნელნი გამოვიდნენ, იგინი ჟამითი-ჟამად იერუსალიმს იყოფოდეს, სთარგმნიდეს წიგნთა და იმ მონასტრებში ყოველივეში ქართველი ბერები და სამღვდელონი ცხოვრობდენ. ჯუარის მონასტერი წიგნთსაცავად გაააკეთეს და დიდი ბიბლიოტეკა შეკრიბეს ქართულს ენაზედა და დღესაც მრავალი წიგნები არის ქართული იმ მონასტერში უძველესნი და რჩეულნი და გაურყვნელნი.

შოთა რუსთაველი იმ ჯვარის მონასტერში დაემკვიდრა, მრავალი შესწირა იმ მონასტერსა და დიდის სათნოებით მუნ აღესრულა (ერის კაცობაშივე) და მუნვე დაეფლა. ამისი სახე იქ იერუსალიმსა, იმ ჯვარის მონასტერში, ეკკლესიაში კედელზედ არის დახატული და აქამომდე კიდევ დარჩა იმისი სახე მუნ. (თუმცა მცირეს კითხვაზე განვიგრძე სიტყვა, მაგრამ მომიტევე, რადგანაც მაიძულებს შენი [გულსმ]ოდგინება, [ყოვე]ლს გამოძიებაში მსურს გაქვნდეს გამოწვლილვით ზედმიწევნილება)“ [1].

ბარათის წარმოდგენილი ნაწილი გვაძლევს საშუალებას, ზოგი რამ „განმარტებიდან“ აღარ გავიმეოროთ. მაგალითად, რუსთველის ჰერეთიდან წარმოშობის აზრს თეიმურაზი „განმარტებაშიც“ იცავს, მაგრამ ცოტაოდენი სხვა რედაქციით: რუსთველი, — წერს იგი, — იყო „მთავარი რუსთავისა. რ უ ს თ ა ვ ი ძველად სამთავრო ქალაქი იყო და საზამთროდ სადგური მეფეთა.... ქალაქსა ამას ძველად ეწოდებოდა ბოსტან-ქალაქი. ესე ქალაქი არს ჰერეთისა, ესე იგი გარე-კახეთისა მამული“ [2].

თეიმურაზი, რომელიც მუდამ ეროვნული პრინციპით ხელმძღვანელობდა ისტორიული საკითხების გადაწყვეტაში, არ ისურვებდა, რომ დიდი რუსთველი იმ მესხეთიდან წარმოშობილად ეღიარებინა, რომელიც მის დროს აოხრებული იყო თურქებისაგან და ქართული მოსახლეობისაგან თითქმის სრულიად დაცლილი.

თვით თეიმურაზი საიდანაც იყო, ერის სასახელო პოეტიც იქაურად გამოაცხადა.

საერთო აზრის გაბათილებას (რუსთველი მესხი იყოო), თეიმურაზი „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“... ტაეპის კომენტარითაც ცდილობს: „არათუ რუსთველი თვით იყო ესე მესხი მელექსე, არამედ იყო იგი მდივან მწიგნობარი რუსთველოსა“... შოთას მდივნად ჰყავდა მესხიო: „ახლდა მდივნად თავისად მესხი ვინმე“, ამან გადაუწერა რუსთველს პოემაო.

როგორადაც უნდა იყოს, თეიმურაზის აზრს შოთას ჰერეთში დაბადების შესახებ მხარის დამჭერები და განმავითარებლები აღმოუჩნდნენ, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს ნაკლებ სარწმუნოა, ვიდრე ის დიდი ტრადიცია, რომლითაც რუსთველი ტომით მესხია.

მეორე საკითხი, რომელშიც თეიმურაზი მისი სახელოვანი წინაპრის ვახ-

---

[1] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკად. მ. ბროსესადმი, გვ. 36—38.

[2] თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, „განმარტება“..., გვ. 291.

ტანგ მეექვსის აზრს არ აგრძელებს, ესაა შეხედულება რუსთველის პოემის ღვთიური და არაადამიანური სიყვარულის შესახებ. ეს იმის გამო მოხდა, რომ ვახტანგის ზემოხსენებულმა აზრმა მწვავე რეაქცია გამოიწვია. საქმე იქამდე მისულა, რომ ზოგიერთი პიროვნება „ვეფხისტყაოსნის“ იმ ცალების მოსპობასაც კი ლამობდა, რომელთა კომენტარებში ვახტანგის ეს აზრი ეწერა.

სხვა მხრივ თეიმურაზის რუსთველოლოგიური კონცეფცია ვახტანგის თვალსაზრისის განვითარებაა. როგორც ვახტანგ VI, ისე თეიმურაზიც ამბობს: რუსთველმა შეთხზა „ვეფხისტყაოსანი“, რომლითაც ავტორმა „მიანიჭა უკვდავება საუკუნო თავსა თვისსა“ [1]. მას ქართული ხასიათი აქვს („ქართულსა ხარაკტირსა ზედა არს შეწყობილი“), იგი ქართულ სინამდვილეს გადმოგვცემს და ქართულ ლექსად არის გამართულიო. აი ავტორის სიტყვები: „მოლექსიობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა.“ [2]

რუსთველის ქმნილებაო, — დასძენს თეიმურაზი, — „შეიცავს თვისს შორის თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ჴელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“ [3] (ხაზი ჩვენია: ი. მ.).

მეჭურჭლეთ-უხუცესმა, ე. ი. მოლარეთ-უხუცესმა (რომელ არს ფინანცის მინისტრი) ყოთამ შეთხზა „ვეფხისტყაოსანი“ „დიდისა მის თვითმპყრობელისა მეფისა და პატრონისა თვისისა თამარისათვის, ბრძანებათა მისითა“ [4]. თეიმურაზი ამბობს: სხვა ქმნილებაც ჰქონია ჩვენს მგოსანს, მაგრამ ჯერ ვერ მიპოვიაო. იგი შემდეგ მოგვითხრობს ამბავს პალესტინის ქართული ჯვრის მონასტრის ქართველი მეფეების მირიან და ვახტანგის მიერ აგების, ამავე მონასტრის რუსთველის მიერ განახლების, მასში პოეტის ერისკაცად ცხოვრების, იქვე გარდაცვალების, დაკრძალვის, ამავე ტაძრის სვეტზე პოეტის სახის გამოსახულებისა და სხვათა შესახებ [5].

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თეიმურაზი გვაუწყებს: ვწერ იმას, რაც წიგნებში წამიკითხავს და ზეპირადაც მსმენიაო („წერილთა შინა რომელთამე მეხილვა და სიტყვითაცა მსმენოდა“ [6]).

თეიმურაზი საყურადღებო აზრებს გამოთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ხასიათის შესახებ. აი როგორ ხსნის იგი სიტყვათა „ნ ა ს ე ს ხ ე ო ბ ი თ თ ე ო რ ი ა ს“: „საოცარიაო, — წერს იგი, — რა სიღრმით ფლობს რუსთველი ქართულ ენას („ეს საკვირველ არს, რუსთველმან, თუ ვითარ ესრეთ ენა ზედმიწევნით უწყოდა“), მაგრამ ის სიტყვებიც კი, რომლებიც მას უხმარია და სპარსულს ან არაბულს ჰგვანან, ისინიც, „ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა“, რომ აგრე გამოიყენოს და „სხვისნი“ არც ისინი არიან, „არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან... იგინი არიან ადრიდგანვე მრავალთა საუკუნეთა უწინარეს ქართულსა

[1] თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება..., გვ. 290.
[2] იქვე, გვ. 290—291.
[3] იქვე, გვ. 292—293.
[4] იქვე, გვ. 291—292.
[5] იქვე, გვ. 294—295.
[6] იქვე, გვ. 291.

ენასა შინა შემოტანილნი და ეგრეთ ვხმარობთ მათ, ვითარცა საკუთართა ლექსთა ჩვენთა, ვინაჲდგან ჩვეულებაა სხვათაცა ყოველთა ენათა, რომელ მეზობლობისა ძლით, ანუ ხშირად ერთისა რომლისამე ენისა სმენისა ძლით, ურთიერთისა ლექსთა მიიღებენ და იხმარებენ თვისთა შინა ენათა“ [1].

რუსთველის ბიოგრაფიას თეიმურაზის „განმარტებაში“ შედარებით მცირე ადგილი უჭირავს. მთავარია „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობის ის თვალსაზრისი, რომლის ძირითადი არგუმენტაცია ზემოთ წარმოვადგინეთ. უმთავრესი და უმნიშვნელოვანესია თეიმურაზის „განმარტება“ — პოემის სტროფთა კომენტარები, რომლებიც ავტორმა გვიანდერძა.

აი, მაგალითად, როგორ ხსნის იგი პოემის 51-ე სტროფის პირველ ტაეპს:

„თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა“.

თინათინ მზისა ნათელსა, სარკისა მიერ, ანუ ესევითართა განწმედულთა ნივთთა გარდამოცემულსა კედელსა ზედან, ანუ რასაცა ზედან მას ეწოდება და უკეთუ შუქი იგი უელვარო მზისა სარკისა მიერ გარდამოცემული თვალთა კაცისათა თვალს ძნელად გაუმართავს მას კაცი და მითომ თინათინის მშვენიერებაც ისეთი იყო, რომ კაცის თვალი ძნელად გაუმართევდა მას თვალსა. მზესა სწუნობდა — მე ესე ვგონებ, ყოველნი მშვენიერნი ქალნი პირს არიდებენ მზესა, რომ პირის სახედ მზე არ მოეკიდოს და პირის კანი არ ასწვას. ამისთვის თინათინ მზის დამაწუნებელად უთქვამს მელექსესა. მზე თინათინობდა — მაგრამ მზე თინათინობდა — ამას ნიშნავს, რომელ მრავალნი ტრფიალნი და მიჯნურნი მშვენიერთა კეკლუცთანი სიშორისა ჟამსა საყვარელისა თვისისასა შეხედავენ რა მზესა, იტყვიან „აი ჩვენი საყვარელიო“. ამა მიზეზისა გამო თქმულ არს, რომელ მზე თინათინობდა. ხვალად ესრეთცა განიმარტების, რომელ თინათინ ოდეს აღიყვანა მამამან თვისმან ტახტსა სამეფოსა, მაშინ ყოვლითა სიუხვითა თინათინ მოჰფენდა კეთილ ნაწლეობითა თვისითა ერთა თვისთა ზედა ურიცხვსა წყალობასა, ვითარცა მზე აღსრული ხარისხსა ზედა თვისსა მოჰფენს ნათელსა კეთილის მოქმედებისასა ქვეყანასა სასარგებლოდ და აღსაორძინებელად ყოველთა კეთილნაყოფიერებათა. ამისთვის რუსთაველი თინათინის კეთილმოქმედებასა და მზისასა შეასწორებს და ჰყოფს მათ მბაძველად ურთიერთისა“ [2].

„ვეფხისტყაოსნის“ 84-ე სტროფის მე-2, მე-3 და მე-4 ტაეპების სიტყვებს, ფრაზებსა თუ წინადადებას თეიმურაზი ასე გვიხსნის:

„2 ყავი ცხენი სადავითა — სადავითა — სადაცა ვითარ. სადავითა სადავე არის, ცხენის აღვირზედ რომ ორისავ მხრით ბრტყელი თასმები ესხმის, რომლითაცა მჴედარნი ხმარობენ ცხენთა.

3 ზაგამი — ცხენთა აღვირი. აღვირი ის არის, რომელსაც სპარსნი ახმარებენ ცხენთა. ხოლო ლაგამნი იგი არიან, რომელსაცა ახმარებენ ოსმალნი ცხენთა და ევროპიელნი ეგრეთვე. აბჯარი — იარაღი საბრძოლველი მხედართა.

4 ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა — ვარდი ღაწვნი არიან რომელზედაც ცრემლნი დააჩნდებიან. დათრთვილევას მას უწოდებენ მოლექსენი

---

[1] თ. ბაგრატიონი, განმარტება..., გვ. 294.

[2] იქვე, გვ. 18.

როგორათაც რომ თრთვილი ყვავილთა და ვარდთა დაზრავს, ეგრეთვე მშვენიერისა ლაწვთა ცრემლი [1].

თ. ბაგრატიონი ზოგჯერ სცილდება სიტყვის მხოლოდ განმარტებას და ქართული ცხოვრების პარალელებს, ეთნოგრაფიულად საინტერესო ცნობებსაც მოიშველიებს ხოლმე. მაგ., ავიღოთ პოემის 142-ე სტროფის ე ჯ ი ბ — სიტყვის თეიმურაზისეული განმარტება: „ე ჯ ი ბ ი — ძჳელად საქართველოს მეფეთ მომხსენებელთაგანი მოხელე იყო, რომელიცა წინაშე მდგომელი მეფისა იქმნებოდა და რაჲცა ვის მოსახსენებელი აქვნდა, მას ეტყოდეს და წიგნით გამოუცხადებდეს და იგი მეფესა აუწყებდა და მოახსენებდა, ეგრეთვე მეფისა ბრძანებათა ერთა გამოუცხადებდა. ე ჯ ი ბ ი აწცა იციან ჩვენს ქვეყანაში. ქორწილებში ეჯიბი სხვას მაყრებზედ უპირველესი არის და რომელიც ქორწილის მეფე იქმნება დაწყებიდამ ქორწილისა, მანამ ჯვარისწერა და ქორწილი სრულად არ გათავდება, ეს ეჯიბი, რომელსაც ქორწილს უზმენ, იმ მეფეს ახლავს გვერდით და მასთანვე გვერდით დაუჯდება, სხვანი მაყრები კი თავს უნდა ადგნენ და რაც მეფეს ნებავს, მას უბრძანებს ჩუმათ და იგი სხვათ გამოუცხადებს და, რასაც უბრძანებს, მას აღასრულებს. ჩვენს ზნეობაში დიდი სირცხვილი არის, თუ საქორწილო მეფემ ილაპარაკა; მანამ ქორწილი შესრულდება, ეჯიბის პირით უნდა ილაპარაკოს. ეგრეთვე ქალსა დედათაგანი ვინმე მდადი ეყოლება, მსგავსად მისსა, როგორათაც მეფეს ეჯიბი. ერც ერთს წამს არც ეჯიბი და არც მდადი მოსცილდებიან მეფესა და დედოფალსა ქორწილების შესრულებამდის. ე ჯ ი ბ ი სპარსულად მეფეთა მომხსენებელი იყო ძველად და ახლა კი აღარა ჰყავსთ, დავიწყებულა იმათში ეს სახელო" [2].

კიდევ ერთი მაგალითი. თეიმურაზი რუსთველის პოემის 710-ე სტროფის პირველ ტაეპს შემდეგ კომენტარს უკეთებს:

„ყ მ ა ტ კ ბ ი ლ ი დ ა ტ კ ბ ი ლ ქ ა რ თ უ ლ ი ს ი კ ე თ ი ს ა ჴ ე ლ ი ს მ ხ დ ე ლ ი" — ყ მ ა ტ კ ბ ი ლ ი — ყ რ მ ა ესე იგი ავთანდილ ტკბილი გულითა. ტ კ ბ ი ლ ქ ა რ თ უ ლ ი — ენითა და საუბრითა ტკბილი, თუმცა ავთანდილ ქართულად არა ლაპარაკობდა, მაგრამ სტიხის მოქმედნი ჩვენნი მარადის ტკბილს ენასა და ტკბილს საუბარს ტ კ ბ ი ლ ს ქ ა რ თ უ ლ ს უწოდებენ. ამისთვის, რადგანაც ქართული ენა ბუნებით ტკბილი ლაპარაკი არს და ტკბილი სასმენელი, ვიცა ენამჭევრი იქმნება. ს ი კ ე თ ი ს ა ჴ ე ლ ი ს მ ხ დ ე ლ ი სიკეთისა ჴელოვანებისა ჴელმყოფელი, ანუ მოქმედი მისი." [3]

ესე განიხილავს თეიმურაზი „ვეფხისტყაოსნის" ბევრ სტროფს, განმარტავს ძნელად გასაგებ წინადადებებს, აფორიზმებს, მეტაფორებს, ალეგორიებს, მაჯამებსა და სხვა მხატვრულ თქმებს.

რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც თეიმურაზს დაუწერია, სწორი და უდავო არაა. მათში არის რიგი მიუღებელი განმარტებები, სადავო ადგილები და ზედმეტი მსჯელობანიც, მაგრამ მთლიანად აღებული მისი შრომა ძვირფასი წყაროა რუსთველოლოგთა და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიის საკითხების მკვლევართათვის.

---

[1] თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება..., გვ. 23.

[2] იქვე, გვ. 30—31.

[3] იქვე, გვ. 88.

თეიმურაზ ბაგრატიონი ვალმოხდილია რუსთველის წინაშე იმითაც, რომ მან დიდი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის" მეორე (1841 წლის) გამოცემის განხორციელებაში[1]: ამ გამოცემისათვის სპეციალური პროგრამის, თვით პოემის ტექსტის, წინასიტყვაობის და გამოცემაზე დართული ლექსიკონის შედგენისას კონსულტაციებითა და დახმარებით. თეიმურაზი ასეთ დიდ საქმეს ხელს უწყობდა თავისი დიდი ავტორიტეტითაც.

ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია თეიმურაზ ბაგრატიონის ზოგიერთი რუსთველოლოგიური წერილი და შენიშვნა „ვეფხისტყაოსანზე", რომლებიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაშია დაცული (H 39; E 91 — დარიალა, წერილები ბროსესადმი სხვადასხვა საკითხებზე E 52, 53 და სხვა), მაგრამ გამოცემულ ნაშრომთა მიხედვითაც ცხადია, თუ რაოდენ დიდია თეიმურაზის დამსახურება. მან არა მარტო მეცნიერული კვლევით დასდო ამაგი რუსთველოლოგიას, არამედ ხელი შეუწყო რუსთველის სახელისა და „ვეფხისტყაოსნის" პოპულარიზაციას რუსეთსა და ევროპაში.

თეიმურაზ ბაგრატიონი რუსთველს მელექსეთა გმირ ყოთას უწოდებდა. თვითონ თეიმურაზი იყო ამ გმირისა და მშობელი ერის მოსიყვარულე რაინდი. მან დაიმსახურა საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის კარგი მკვლევრის სახელი.



[1] ი. მეგრელიძე, „ვეფხისტყაოსნის" მეორე გამოცემის პროგრამა: გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1965, № 34; მისივე, Из истории руствелологии. Программа издания поэмы Руставели 1841 года: ჟურნ. „Литературная Грузия", 1964, № 12, გვ. 69—70. შდრ. აგრეთვე ჩვენივე: „დავით ჩუბინაშვილი მეცნიერი და რუსთველოლოგი": საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჟურნ. „მაცნე", 1966, № 5.

ერთ-ერთმა ახალგაზრდა ავტორმა ახლახან დაბეჭდა: თეიმურაზ ბაგრატიონი მონაწილეა „ვეფხისტყაოსნის" 1841 წლის გამოცემისაო, და უგულებელყო ზემოაღნიშნული წერილები, რომლებშიც ეგევე აზრია გატარებული.

შოთა მესხია

„ზუგდიდი" თუ „ზუბდიდი"[1]

ზუგდიდის, საქართველოს ერთ-ერთი ძველი და მნიშვნელოვანი ცენტრის (ქალაქის) სახელწოდებამ ადრევე მიიქცია ყურადღება და ქართულ თუ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში მისი შინაარსის შესახებ არაერთი მოსაზრებაც გამოითქვა.

პირველი მეცნიერი, რომელიც სახელწოდება „ზუგდიდის" ეტიმოლოგიას, ამ სიტყვის შინაარსსა და წარმოშობას შეეხო, იყო ცნობილი მოგზაური, არქეოლოგი და ეთნოგრაფი დიუბუა დე მონპერე; დიუბუას მოსაზრება გარკვეულ ინტერესს იწვევს და საჭიროდ ვთვლით მთლიანად მოვიყვანოთ იგი: „ლამბას რუკაზე—წერდა იგი,—ლეხნე (lekhné) აღნიშნულია ლოგჰინე-ს (loghine) სახელწოდებით. იმერეთის მეფე ალექსანდრეს (1738 წ.) რუკაზე კი იგივე სახელი აღნიშნულია „ლიხინის" (likhin) სახელწოდებით. ამავე სიტყვას აფხაზები „ლუქჰინი"-დ (louk'hin) წარმოთქვამენ; რუსები მას, თავიანთ ახალ რუკაზე (1834 წ.) ლეჰნეს (lekhné) ეძახიან. მიხელ-ბეი და მისი ძმა საფჰირ-ბეი ამ სახელს ცვლიან სუუქსუთი (sououksou „ცივი წყარო").

მეგრელები მას უწოდებენ მისთვის ნამდვილად უცნაურ სახელს ზუფუს (Zouphou), რასაც უეჭველად კავშირი აქვს ზუბდიდთან და ზუგდიდთან (Zoubdidi et Zougdidi) დიდი ზუბუ, ზუბი (le grande Zoubou, Zoup) სამეგრელოს დადიანების რეზიდენციასთან"[2].

როგორც ვხედავთ, დიუბუა ერთმანეთის პარალელურად ხმარობს ზუბდიდსა და ზუგდიდს. იგი, ეტყობა, კარგად იცნობდა იმერეთის 1737 წ. რუკას და „ზუბდიდი"-ც, სახელწოდების ეს ვარიანტიც, აქედან უნდა ჰქონდეს მას აღებული.

---

[1] წაკითხულია მოხსენებად ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეორე სამეცნიერო სესიაზე 1958 წ. 27 ნოემბერს.

[2] Dubois de Montpéroux, Voyage autour du Caucase, t. I, Paris, 1839, გვ. 248.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ დიუბუა „ზუბდიდის“ პირველ ნაწილს, „ზუბ“-ს, უკავშირებს „ზუფუს“. ამას გარდა, მანვე პირველმა გამოთქვა, ჩვენი აზრით, სავსებით სწორი მოსაზრება ზუგდიდის სახელწოდების „დიდი ზუბუ“-ს თუ „ზუბ“-ისაგან მომდინარეობის შესახებ.

ზუგდიდს, მის სიძველეებსა თუ სახელწოდების წარმოშობის საკითხს შეეხო აგრეთვე მარი ბროსეც. მკვლევართა შორის იგი პირველია, რომელმაც ზუგდიდი, მისი პირველი ნაწილი, „ზურგს“, „დაზვინულ მიწას“, „დიდ ბორცვს“ დაუკავშირა. მ. ბროსეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდა პირვანდელი ზუგდიდის მდებარეობა, დღევანდელი „მანცხვარკარის“ (მაცხოვრის კარის) ტერიტორია, რომელიც მართლაც დიდი ბორცვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამას გარდა, მ. ბროსე იმოწმებს ამ საკითხში „ორ განათლებულ ბატონიშვილს“ გრიგოლ და კონსტანტინე დადიანებს, რომელნიც ამავე აზრისა ყოფილან. ამრიად, მ. ბროსეს უდავოდ მიაჩნდა, რომ ზუგ-ი ზურგისაგან წარმოსდგა და რომ ს უეჭველად ბორცვს ნიშნავს[1].

როგორც მ. ბროსეს მოწმობიდან ჩანს, უკვე XIX ს. შუა წლებში, საკუთრივ სამეგრელოში, „განათლებულ მეგრელებში“ განმტკიცებული ყოფილა შეხედულება „ზუგდიდის“ „ზურგდიდისაგან“ მომდინარეობის შესახებ. ამას გარდა, უდავოდ იყო მიჩნეული აგრეთვე ზუგდიდის, ამ სახელწოდების სამთავრო რეზიდენციის ადრინდელი მდებარეობა დღევანდელი მანცხვარკარის ტერიტორიაზე.

მ. ბროსეს ეს შეხედულება „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიის შესახებ გაიმეორეს საქართველოს ისტორიისა და სიძველეების შემდეგდროინდელმა მკვლევრებმა. პლ. იოსელიანიც ზუგდიდს „ზურგისა“ და „დიდისაგან“ წარმომდგარ გეოგრაფიულ სახელად მიიჩნევდა და მას კიდევ ძველი ზუგდიდის მდებარეობის ფაქტიურ ამსახველად. პლ. იოსელიანსაც ამ შემთხვევაში მანცხვარკარი ჰქონდა მხედველობაში[2].

„ზუგდიდის“ ეტიმოლოგიას შეეხო აგრეთვე დ. ბაქრაძეც და მანაც სავსებით გაიმეორა მის წინამორბედთა (მ. ბროსეს, პლ. იოსელიანის და სხვ.) მოსაზრება „ზუგდიდის“ „ზურგდიდისაგან“ წარმომავლობის შესახებ. დ. ბაქრაძე წერდა: „ზუგდიდი წარმოსდგა ქართული ზურგ-დიდისაგან, „დიდი ფერდობის“ ანუ სხვაგვარად, „დიდი გორასაგან“. და მართლაც ახალი ზუგდიდის მახლობლად ბარზე, ვაკე ადგილს შორის აღმართულია დიდი გორა, და აი, მიზეზი სიტყვა ზურგდიდის ანუ ზუგდიდის წარმოქმნისა“[3].

როგორც ვხედავთ, დ. ბაქრაძე ანგარიშს არ უწევდა დიუბუას მიერ გამოთქმულ საინტერესო მოსაზრებას და უეჭველად მიაჩნდა ზუგდიდის ზურგდიდისაგან წარმომავლობა.

მ. ბროსეს, პლ. იოსელიანისა და დ. ბაქრაძის ზემომოყვანილი მოსაზრებანი მაშინაც, XIX ს. 50—70-იან წლებშიც მაინცდამაინც ზუსტ მეცნიერულ განმარტებად არ მიაჩნდათ ქართველ მოღვაწეებს და ამიტომაც იყო, რომ ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ რაფ. ერისთავმა ეჭვი გამოთქვა

---

[1] M. Brosset, Rapports sur un Voyage archéologique dans la Géorgie, 1849, I, Rap. 7-e, გვ. 20.

[2] იხ. ზ. ჩხაკაია, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან, გაზ. „მებრძოლი“, 9. X. 1958.

[3] იხ. Кавказ в древних памятниках христианства, 1875, გვ. 56.

ასეთ ეტიმოლოგისტთა სისწორის მიმართ, ხოლო მათი ახსნა კიდევ (ზურგდიდი—ზუგდიდი) „მეტისმეტად ნაძალადევად“ გამოაცხადა[1], მიუხედავად იმისა, რომ თვით რაფ. ერისთავიც შესაძლებლად მიიჩნევდა ძველი ზუგდიდის იმ გორაზე მდებარეობას, რომელიც დღეს მანცხვარკარის სახელითაა ცნობილი და სადაც დღემდე შემონახულია ძველი (XIII ს.) ეკლესია.

ალბათ იმის გამო, რომ ზუგდიდის ამგვარი ეტიმოლოგია სარწმუნოდ არ გამოიყურებოდა, ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა არ გაიმეორა იგი, თუმცა ძველი ზუგდიდის მდებარეობის შესახებ მას განსხვავებული მოსაზრება არ ჰქონია. ე. თაყაიშვილი 1913 წ. წერდა: „ძველი ზუგდიდი მომაღლო ადგილზე, გორაკზედ იყო გაშენებული, ახლა კი დაბლობზეა. ძველ ნაწილში, ვერს ნახევარზე ახალი ზუგდიდიდან, ეხლა დარჩენილია მარტო ლამაზი ძველი პატარა მაცხოვრის ეკლესია“[2]. ამასვე იმეორებდა იგი თავის ერთ-ერთ წერილში 1927 წელსაც[3]. ასე რომ, ძველი ზუგდიდის მდებარეობა გორაზე, ე. თაყაიშვილის აზრით, ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, მას არ მიაჩნდა საკმარისად თვით სახელწოდება ზუგდიდის წარმომავლობის ასახსნელად.

„ზუგდიდს“, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, საკმაოდ ვრცლად შეეხო ნ. მ ა რ ი; პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. მარის აზრით, ზუგდიდს არაფერი აქვს საერთო არც „ზურგთან“ და არც „დიდთან“. ასეთი ახსნა, მისი აზრით, ქართველების მიერ ამ ტერმინის სუფიქსის „დ-ი“-ს გააზრებით, მისი ქართული „დიდის“ ნაწილად მიჩნევით არის მიღებული. ნამდვილად კი ნ. მარის აზრით, ზუგდიდის ფუძე უნდა იყოს ს უ გ, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს არქეტიპის ს გ უ-ს სახესხვაობას, მიღებულს ხმოვანთა და თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობით. ს გ უ კი ეთნიკური ტერმინია (ს კ უ თ უ, ს კ უ თ ა ს ფუძე ანუ მხოლობითი რიცხვის ფორმა), რომელსაც დართული აქვს მრავლობითი რიცხვის ფორმა „დ ა“ და ამგვარად მიღებულია ს უ გ დ ა ანუ ს უ გ უ დ ა. რაკი საწყისი ს გამჟღერებით ქცეულა ზ-დ, ამავე დროს მეგრული ენისათვის ჩვეულებრივი დისიმილაციით („უ—უ“ გადადის „უ—ი“-ში), ს უ გ უ დ ა—ფორმას მოუცია ზ უ გ ი-დ [ა] ი, ზუგიდი (ზუგდიდი)[4].

ნ. მარის ზემომოყვანილი ფრიად რთული და შორს მიმავალი ეტიმოლოგია ზუგდიდისა, თავისთავად ძალიან საინტერესო, მეტისმეტად ხელოვნურად გამოიყურება. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას იქცევს ფუძის (?) სუგ (ზუგ)-ის მიჩნევა ეთნიკურ ტერმინიდან მომდინარედ. მაგრამ მის დაკავშირებას ს გ უ-სთან, ჩვენი აზრით, საფუძველი ეცლება, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ზუგდიდის“ ფუძეს შეადგენს არა ზ უ გ-ი, როგორც ნ. მარი ფიქრობდა, არამედ ზ უ ბ-ი, რომლის ს გ უ-სთან დაკავშირება, ალბათ, გაძნელდებოდა.

როგორც ვხედავთ, ზუგდიდის დაკავშირება ზურგ-დიდთან არც ნ. მარის მიერ იყო გაზიარებული. ასევე ეჭვის თვალით შეხედეს მას თავის დროზე რაფ. ერისთავმა, ე. თაყაიშვილმა და სხვებმა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელ

---

1 იხ. ზ. ა ხ ა კ ა ი ა ს დასახ. წერილი.

2 ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, „ძველი საქართველო“, III, 1913, გვ. 193.

3 იხ. Известия Кавказского историко-арх. института, II, 1927, გვ. 62.

4 Н. Я. М а р р, Термин „скиф“, Избранные работы, т. V, 1935, გვ. 31, შენ. 2.

ხანებში ისევ გამოცოცხლდა ძველი მოსაზრებები და თანამედროვე მკვლევრებმა ისევ გაიმეორეს ზუგდიდის „ზურგ-დიდისაგან" წარმომავლობა. არქეოლოგი ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა ამის შესახებ წერდა: „ხშირია აგრეთვე სახელწოდებათა მესამე ჯგუფიც: დიხა ზურგა, ზურგანი, დიდი დიხა და ა. შ. სავსებით შესაძლებელია აგრეთვე, რომ თვით ზ უ გ დ ი დ ი ს სახელიც დაკავშირებული იყოს მსგავსი არქეოლოგიური ძეგლის არსებობასთან იქ, სადაც ძველ ზუგდიდს ვარაუდობენ, მანცხვარკარში: „ზურგდიდი"—„ზუგდიდი"[1]. ასეთივე აზრი, უფრო კატეგორიული ფორმით, ნ. ხოშტარიამ გაიმეორა რამდენიმე წლის შემდეგაც: „ქალაქ ზუგდიდის სახელწოდება ასევე შეიძლება მომდინარეობდეს სიტყვა „ზურგიდან" ზურგ დიდი—ზუგდიდი (შდრ. მაგ., მთა გა-დიდი ჯანის რაიონში)"[2].

ამრიგად, მკვლევართა ერთი ნაწილი (მ. ბროსე, პლ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ნ. ხოშტარია და სხვ.) ზუგდიდს უკავშირებს „დიდ ზურგს" და, მაშასადამე, ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორიცაა დიხა ზურგა, დიდი დიხა, ზურგანი და სხვ. მსგავსი. ამას გარდა, საამისო საბუთად მათ მიერ გამოყენებულია აგრეთვე ძველი ზუგდიდის მდებარეობაც, ამაღლებულ ბორცვზე, გორაზე, დღევანდელი მანცხვარკარის ტერიტორიაზე.

უკანასკნელ წლებში გამოითქვა აგრეთვე ვარაუდი (ზ. ც ხ ა კ ა ი ა ს მიერ) ზუგდიდის „ზუგია" (სასაკმეველო), „სუკთან" (ბორცვი) და „ზუგისთან" (სიმაგრესთან) დაკავშირების შესახებ[3]. მაგრამ ვერც ეს მოსაზრება პოულობს დასაბუთებას და საკმაოდ ხელოვნურად გამოიყურება. ყველა ზემომოყვანილი ეტიმოლოგია უფრო მიმსგავსებულია ზუგდიდის სახელწოდებასთან ვიდრე დასაბუთებული.

რაც მთავარია, „ზუგდიდის" ამგვარ ეტიმოლოგიას მხარს არ უჭერს თვით ამ გეოგრაფიული პუნქტის ადრინდელი, ისტორიული სახელი.

როგორც წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, ამ ერთ-ერთი უძველესი გეოგრაფიული პუნქტის ადრინდელი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ზ უ ბ ი; ხოლო შემდეგ, რაც იგი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად, მას, როგორც ჩანს, სხვა, ამავე სახელწოდების (ზუბი) სოფლებისაგან (და ასეთი არა ერთი იყო მის ირგვლივ) განსასხვავებლად დიდი ზუბი („ზ უ ბ - დ ი დ ი") ეწოდა.

მოვიყვანოთ სათანადო მასალები.

ლევან II დადიანის ელჩი გაბრიელ გეგენავა რუსეთის სამეფო კარზე აცხადებდა: „А государь—де наш где живет то место словет З у б д и д и"[4].

ფედოტი ელჩინისა და პავლე ზახარევის საპასუხო ელჩობის (1639—1640 წწ.) მასალებშიც ნათქვამია: „А начальной—де у них город, где царь Леонт живет, славет З у б д и д и"[5]. ესე რომ, თვით დადიანის ელჩის სიტყვით, მისი მთავრის რეზიდენციას ერქვა ზ უ ბ დ ი დ ი და არა ზუგდიდი. ამასვე ადასტურებს იმერეთის სამეფოს 1737 წ. რუკა, რომელიც შედგენილია იმერეთის მეფის ალექსანდრე

---

[1] ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დიხა გუძუბა, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობა, საქ. სსრ აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 208.

[2] ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ურეკის არქეოლოგიური შესწავლა, საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის მასალები, I, 1955, გვ. 75.

[3] ზ. ც ხ ა კ ა ი ა, ზუგდიდის ისტორიული წარსულიდან, „მებრძოლი", 1958, 9. X.

[4] М. П о л и е в к т о в, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений, Тб., 1937, გვ. 157.

[5] იქვე, გვ. 149.

V-ის ბრძანებით და გაგზავნილია მოსკოვში რუსეთის იმპერატორთან 1738 წ. რუკაზე, დადიანის სასახლისა და ციხის (რეზიდენციის) ჩანახატს ზემოთ, ქართულად მიწერილია: „ზ უ ბ - დ ი დ ი“ [1].

სამეგრელოს (ოდიშის) მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად ზ უ ბ დ ი დ ს ასახელებს გიულდენშტედტიც. აღსანიშნავია, რომ გიულდენშტედტი საჭიროდ მიიჩნევს საგანგებოდ ხაზი გაუსვას, რომ ამ პუნქტს ჰქვია „ზუბდიდი და არა ზუგდიდი“, იგი წერს: „Subdidi nicht Zugdidi“ [2].

ზ უ ბ დ ი დ ი ჩანს სამთავროს რეზიდენციის სახელად XVIII ს. ქართული დოკუმენტების მიხედვითაც. სოლომონ I-ის XVIII ს. 80-იან წლებში[გაცემულ ორ დოკუმენტში ორივეჯერ „ზ უ ბ დ ი დ ი ა“ მოხსენებული. 1778 წ. 10 იანვრის საბუთში ნათქვამია: „შეიყარა სრულიად აფხაზეთი თავისის ბატონებით შარვაშიძეები, ჯიქი, ალალი (ალანი?) და ჩერქეზი და სხვანი კიდევ უცხო ჯარები იყო... ჯაბახანით, თოფხანით, ზარბაზნებით. ოდიში სრულიად უნდა მოეოხრებინათ. ჩვენ იმ დროს დადიანი კაცია შეერთებული გვყავდა, გვაცნობა ეს ჯარები ჩემზე მოვაო, თუ არ შემეწევით, წამახდენენო. წაველ ჯარით, მაშინვე მიველ ზ უ ბ დ ი დ ს, ისინიც ენგურის წყალს გამოსულიყვნენ“... და დავამარცხეთო [3].

ასევე ამ გამარჯვების შესახებ არის საუბარი სოლომონ I-ის მეორე სიგელში, რომელიც მან 1779 წელს უბოძა თავის ბაირახტარს ქაიხოსრო ზაშხიშვილს, სადაც ასევე ზ უ ბ დ ი დ ი ა ნახსენები: „აფხაზნი და თურქნი ურთიერთას შეითქვენ ქრისტიანზე, ბრძოლად ხელყვეს. აქიდგან ჩვენ გავემართეთ და ზ უ ბ დ ი დ ს და რუხს შუა შევიბენით და ძალითა ღვთისათა... გავიმარჯვეთ, ვსძლიეთ, გავაქციეთ, ამოვწყვიტეთ“... [4]

აღსანიშნავია, რომ ზ უ ბ დ ი დ ი როგორც გეოგრაფიული სახელი იხმარებოდა არა მარტო XVII—XVIII სს-ში, არამედ აგრეთვე XIX ს-შიაც, მის პირველ ნახევარში მაინც. ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იქცევს დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს „საქართველოს ისტორია“ როგორც ნაბეჭდი, ასევე ვრცელი ხელნაწერი, რომელიც ამჟამად დაცულია ლენინგრადში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხების ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში. დავით ბატონიშვილი სხვათა შორის წერდა: Егрос „построил город Егрис, называемый ныне Зубдит“ [5].

ამრიგად, მოყვანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ დოკუმენტურ თუ ნარატიულ, რუსულ თუ უცხოურ წყაროებში, XVII—XIX სს. სამეგრელოს სამთავროს ცენტრი თითქმის ყოველთვის წოდებულია ზ უ ბ დ ი დ ა დ და არა ზუგდიდად. ისე რომ, ამ შედგენილი გეოგრაფიული სახელის პირველი ნაწილია არა ზ უ რ გ ი, ს უ გ - ი ა, ზ უ გ ი ა თუ სხვა მისთანები, არამედ „ზ უ ბ“-ი.

---

[1] ЦГВИА, Ф. ВУА, № 11; შდრ. შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, ზიხთ-იმერეთის 1737 წ. რუკა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 193.

[2] I. A. G ü l d e n s t e d t, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, I, St. Pet., 1788, გვ. 415; შდრ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გამოსცა გ. გ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა, I, 1962, გვ. 324—325.

[3] საქ. ცენტრარქივი, ფ. № 1448 (226), № 3412.

[4] იქვე, ფ. 1448, № 9683.

[5] ИНА (ყოფ. ИВАН), M 14. ფურც. 69; შდრ. Д а в и д Ц а р е в и ч, Краткая история Грузии, Тиф., 1893, გვ. 5.

უდავოა, რომ „ზუბ-დიდი“ ნაწარმოებია საკუთრივ გეოგრაფიული სახელის ზუბ-ისა და ზედსართავ „დიდი“-საგან. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ სიტყვაწარმოებასთან, როცა ზედსართავი თან სდევს განსამარტავ სახელს და არა პირიქით. „ზუბ-დიდის“ მსგავსადაა ნაწარმოები ვალა-დიდი, ვყონ-დიდი და სხვა მისთანანი; თვით ეს ფაქტი,— ამ გეოგრაფიული სახელის ძველქართული წარმოება,—თავისთავად მიგვითითებს ამ ტერმინის და, მაშასადამე, ჩვენთვის საინტერესო თვით გეოგრაფიული პუნქტისა და მისი სახელის სიძველეზე.

„ზუბი“ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში საკმაოდ გავრცელებული გეოგრაფიული სახელია. დღევანდელი ზუგდიდის (ზუბდიდის) ირგვლივ, მახლობლად თუ მოშორებით, ძველად და დღესაც არაერთი „ზუბი“ იყო და არის. ასე, მაგ., ჩხოროწყუს რაიონში არის ზუბის სასოფლო საბჭო; ხობის რაიონში კი დღესაც ორი დასახლებული პუნქტია ზუბის სახელწოდებით—ერთი მათგანი შედის ახალი სიბულის სასოფლო საბჭოში, მეორე კიდევ—საჯიჯაოში. ამათ გარდა, ზუბის სასოფლო საბჭო არის ცაგერის რაიონში. აღსანიშნავია, რომ იმერეთის 1737 წ. ქართულ რუკაზე ცაგერის ეკლესიის მახლობლად საგანგებოდ შეტანილია „ზუბის ციხე“[1]. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ დავით დადიანის დროს სამეგრელოს სამთავროს რვა მაზრიდან ერთი ზუბის მაზრის სახელწოდებას ატარებდა[2].

განსაკუთრებით საინტერესოა ამავე თვალსაზრისით დიუბუას მიერ ზუბის დაკავშირება ასეთივე გეოგრაფიულ სახელთან—ზუფუსთან. ეს კავშირიც უეჭველი ჩანს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში საერთოდ 6 პუნქტი ყოფილა ზუბი, ზუფუს სახელწოდებით, საკუთრივ სამეგრელოში კი, თვით ზუბდიდს გარდა, სამი ზუბი იყო. ბუნებრივია, თუკი ზუბის სახელწოდების მქონე დასახლებულ პუნქტთა ასეთი სიმრავლის შემთხვევაში, ერთ მათგანს, კერძოდ იმ ზუბს, რომელიც თავიდანვე ალბათ გამოირჩეოდა მოსახლეობის სიმრავლით, მდებარეობით და სხვ., ხოლო შემდეგ მთავრის რეზიდენციადაც კი იქცა, დიდი ზუბი (ძველებური წარმოებით—ზუბ-დიდი) უწოდეს ყველა დანარჩენისაგან განსასხვავებლად.

მაგრამ, ზუბ-დიდი XVII საუკუნესა და შემდეგაც ერთადერთი სახელწოდება არ ყოფილა სამეგრელოს მთავრის რეზიდენციისა. ზოგჯერ იგი უცხოელებისა თუ ქართველების მიერაც ზუგდიდადაც იწოდებოდა: ამაში ჩვენ გვარწმუნებს ზოგი იმდროინდელი უცხოური (კასტელის ალბომი) და ქართული (ვახუშტის „საქართველოს ცხოვრების“ დედანი და სხვა) წყარო, სადაც „ზუგდიდი“ იხსენიება.

ზუბდიდის პარალელურად ზუგდიდის გაჩენა XVII ს-დან მაინც, ჩვენი აზრით, გამოიწვია თვით ამ ტერმინში (განსაკუთრებით ზუბში) რაიმე შინაარსის ჩადების, მისი გააზრებისა და ახსნის ცდამ (ზუბის დაკავშირებამ ზურგთან და, ამგვარად, მასში გარკვეული შინაარსის ჩადებამ ზუბი შეცვალა ზუგ-ად).

---

[1] ЦГВИА, Ф. ВУА, № 11; შდრ. შ. ბურჯანაძე, დასახ. წერილი, გვ. 193.

[2] შდრ. მ. დუმბაძე, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX ს., „მიმომხილველი“, I, 1949, გვ. 29, შენ.

Დამახასიათებელია, რომ ასეთ ახსნას აძლევდნენ Ზუგდიდს, Შ. Ჩრონსეს სიტყვით, „განათლებული მეგრელები“ XIX ს. შუა წლებში.

Ამას გარდა, მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ქართულში, მართალია ბ-ანი არ გადადის გ-ანში, მაგრამ მეტყველებაში გ-ანისა და დ-ონის (გდ-ს) მეზობლობა უფრო ასატანი, შესაწყნარებელი ჩანდა, ვიდრე ბ-ანისა და დ-ონისა (ბდ-სა). Ყოველივე ამის შედეგი უნდა იყოს, რომ „Ზ უ გ დ ი დ ი“, განსაკუთრებით XIX ს-დან საბოლოოდ სძლევს Ზ უ ბ დ ი დ ს და ამ უკანასკნელის ადგილს იკავებს.

Ცხადია, ინტერესს იწვევს თვით „ზუბის“ შინაარსისა თუ მნიშვნელობის გარკვევა; Დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული Ზ უ ბ-ი Ზ უ ფ-ი იქნებ დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისათვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო.



ლევან მენაბდე

ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან

(სალავრა)*

ქართველმა მოღვაწეებმა ადრეულ ხანაშივე მიაშურეს პალესტინას და იერუსალიმსა თუ მის ახლოს არსებულ სავანეებში მრავალმხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობა წამოიწყეს. ერთ-ერთი კერა, სადაც გაჩაღდა ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა, იყო იერუსალიმის ახლოს არსებული სავანე—სალავრა.

სალავრის ადგილმდებარეობა სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანს უცნობი იყო. ალ. ხახანაშვილი საერთოდ თავს იკავებდა ამ საკითხზე მსჯელობისაგან[1], მ. ბროსეს სალავრა ჯაოში ეგულებოდა[2], თ. ჟორდანია კი მას ქართლში არსებულ მონასტრად მიიჩნევდა[3]. ამ შემთხვევაში მისთვის ამოსავალი იყო მ. ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში" შემონახული ცნობა[4], რომლის

---

* წაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IX სამეცნიერო სესიაზე 1965 წლის 4 მაისს.

[1] А. Хаханов, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 20.

[2] M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en 1847—48, III, St.—P., 1851, გვ. 86.

[3] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, თბ., 1892, გვ. 188 (ქვემოთ—ქრონიკები). თუმცა იგი იქვე წერდა, რომ ასეთი სახელწოდების მონასტერი პალესტინაშიც იყო.

[4] „მელქისედეკ მოიგო ქართლის მონასტერი სალავრა ოთხითა სოფლითა" (იხ. ქართლის ცხოვრება, დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა მ. ბროსე, I, სპბ., 1849, გვ. 221. შდრ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 295).

წყაროს მელქისედეკ კათოლიკოსის „დაწერილი“ წარმოადგენდა[1]. შედარებით უკეთესი პოზიცია დაიჭირა დ. ბაქრაძემ. გაითვალისწინა რა ზოგიერთ ძველ ქართულ ხელნაწერში შემონახული ცნობები, მან პალავრა ე. წ. წმიდა მიწაზე—პალესტინაში არსებულ სავანედ მიიჩნია, თუმცა მისი უფრო ზუსტი და კონკრეტული ადგილმდებარეობის დადგენა ვერ მოახერხა[2].

პალავრა მართლაც პალესტინაში ყოფილა, იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სულ რაღაც 10—12 კილომეტრის დაშორებით. სავანის დამაარსებლის პატივსაცემად მას უწოდებდნენ აგრეთვე ხარიტონის ლავრას ან ხარიტონწმიდას.

ხარიტონი (გარდ. 350 წლის ახლოს)[3] გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე და მონასტრების მშენებელი ყოფილა. კარგადაა ცნობილი მისი „ცხორება“[4]. ქართულ ენაზე შემონახულია მისი „ცხორების“ როგორც კიმენური („ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ხარიტონისი მოღუაწისაჲ და აღმსაარებელისაჲ“)[5], ისე მეტაფრასული რედაქციები („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლნი ღირსისა მამისა ჩუენისა ხარიტონისნი“[6]; „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსაარებელ-მოღუაწისა ხარიტონისი“)[7].

ხარიტონმა სამონასტრო მოღვაწეობა დაიწყო მე-4 საუკუნის დამდეგს. პირველად დააარსა ლავრა იერუსალიმის ახლოს (ფარანი), მაგრამ ბერთა კრებულის გაზრდის გამო სხვა ადგილას გადასახლდა (იერიქონში). რადგან იქაც მომრავლდნენ მოწესენი, მან იწყო ადგილის ძებნა ახალი სავანისათვის; შეარჩია ძალზე მკაცრი და ველური ადგილი და იქ დააარსა ლავრა, რომელსაც სირიულად სუკას[8] უწოდებდნენ, ხოლო ბერძნულად—ძველ ლავრას (παλαιὰ λαύρα)[9]. აღნიშნული მონასტერი,—ძველი ლავრა, პალავრა ან ხარიტონის ლავრა,—ხშირად იხსენიება ძველ ქართულ ტექსტებში. იგი ზოგჯერ იხსენიება უბრალოდ—პალავრა (Sin. № 50 ალ. ცაგარლით; № 11 ი. ჯავახიშვილითა და ბ. გარითით), ზოგჯერ კი ასე: „ლავრაჲ ძუელი მამისა ხარიტონ მოღუაწისაჲ“ (H № 2124), „საყოფელი ხარიტონისი, პალავრა, ძუელი მონასტერი“ (H № 1662), „პალავრა, რომელ არს ხარიტონწმიდაჲ“ (Jer. № 119 ალ. ცაგარლით; № 32 რ. ბლეიკით; № 30

---

[1] ქრონიკები, I, გვ. 185; II, ტფ., 1897, გვ. 33; ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1931, გვ. 290—291.

[2] Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная Н. Кондаковым. Груз. надписи прочтены и истолкованы Д. Бакрадзе, СПб., 1890, გვ. 156—157.

[3] Энциклопедический словарь (Ф. Брокгауза и И. Ефрона), XXXVII, СПб., 1903, გვ. 76.

[4] Acta Sanctorum, Septembris, VII, გვ. 607—622.

[5] Addit. № 11281; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, ტფ., 1957, გვ. 139 (ქვემოთ—ეტიუდები).

[6] K № 4; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 158, 211.

[7] Ath. № 20 რ. ბლეიკით; № 29 ალ. ცაგარლით; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 156, 211.

[8] ამ სახელწოდებით იხსენიება აღნიშნული ლავრა კირილე სკვითოპოლელის თხზულების („ცხორებაჲ ნეტარისა ჩუენისა საბაჲსი“) ქართულ თარგმანშიც. იხ. ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი, კიმენი, ტომი II, გამოსცა კ. კეკელიძემ, ტფ., 1946, გვ. 166, 216 (ქვემოთ—კიმენი).

[9] ხარიტონის შესახებ იხ. Сергий, Полный месяцеслов Востока, II[2], Владимир, 1901, გვ. 401—402; Ф. Олтаржевский, Палестинское монашество с IV до VI века, ППС, ტ. XV, ნაკვ. 2, 1896, გვ. VII—VIII, 24—41.

ნ. მარით). იქაური მოღვაწენი ჩვეულებრივ პალავრელებად იწოდებოდნენ. მაგალითად, სტეფანე პალავრელი (H № 1741), თევდორე პალავრელი (Sin. № 67 ალ. ცაგარლით; № 40 ი. ჯავახიშვილით) და სხვ.[1]

როდის მივიდნენ პირველი ქართველები ხარიტონის სავანეში, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ პალავრა მე-10—11 საუკუნეებში ყოფილა ქართველ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერა, სადაც შექმნილა არა ერთი საყურადღებო კრებული.

მე-12 საუკუნის დამდეგს ხარიტონის ლავრა დაუთვალიერებია რუს მოღვაწეს დანიელს, რომელიც 1106—1108 წლებში მოგზაურობდა პალესტინაში და ინტერესით ეცნობოდა იერუსალიმისა თუ მისი შემოგარენის სიძველეებს. მის ჩანაწერებში არა ერთი საყურადღებო ცნობაა პალავრის შესახებ[2], მაგრამ ქართველებზე არაფერი გვხვდება, რადგან ქართული სიძველენი დანიელს არ უნახავს. გასული საუკუნის შუა წლებში ხარიტონის მონასტრის ნანგრევები დაათვალიერა პ. უსპენსკიმ[3]. აღმოსავლეთის ქრისტიანულ სიძველეთა საუკეთესო მცოდნეს ხარიტონის სავანის ადგილმდებარეობამ საბაწმიდა მოაგონა, ხოლო საცოდავი ნანგრევების ხილვამ სევდა მოჰგვარა. სამწუხაროდ, ქართველთა მოღვაწეობის კვალი ვეღარც მან შენიშნა.

ასე რომ, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვილაპარაკოთ პალავრელ ქართველთა მოღვაწეობაზე მხოლოდ და მხოლოდ მე-10—11 საუკუნეთა მასალების მიხედვით. ამ ხანაში კი პალავრაში მოღვაწეობდა რამდენიმე ქართველი მწიგნობარი (ივანე საფარელი, პავლე პალავრელი, თევდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმიდელი, სტეფანე პალავრელი და სხვ.) და წარმოებდა ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

დასახელებულ მოღვაწეთაგან პირველად უნდა მოვიხსენიოთ ივანე საფარელი, რომელმაც 968 წელს გადაწერა გიორგი ალექსანდრიელის (616—630) „ცხორებაჲ წმიდისა და ნეტარისა და მოძღურისა ყოვლისა სოფლისა და ვარსკულავისა მის განთიადისაჲ, მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ კოსტანტინეპოლელ მამათმთავრისაჲ“ (H № 2124). აღნიშნული ხელნაწერი სინას მთიდან წამოიღო პ. უსპენსკიმ, პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში ნახა და აღწერა ალ. ცაგარელმა. ამჟამად ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში[4].

---

[1] ცნობილია საგალობლები იოვანე და კირიაკ პალავრელებისა (Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, გვ. 101, 139, 143), „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა კჳრიაკოზისი, პალავრას რომელი მარტოდმყოფ იყო“ (Addit. № 11281; კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 91) და სხვ.

[2] Путешествие игумена Даниила по св. земле в начале XII века, под ред. А. Норова, СПб., 1864, გვ. 100—103.

[3] П. Успенский, Книга бытия моего, СПб., 1898, გვ. 117—124.

[4] ამ ხელნაწერზე იხ. А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, ППС, ტ. IV, ნაკვ. I, 1888, გვ. 227—228 (=მისივე, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. I, ნაკვ. II, СПб., 1889, გვ. 85—86); ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), V, შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ზ. მეფარიშვილისა და ი. ტირსალაძის მიერ ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1949, გვ. 77—79; ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, შეადგინა ილ. აბულაძემ, თბ., 1949, გვ. 300 (ქვემოთ — ქართული წერის ნიმუშები); საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, თბ., 1952, გვ. 164—165 (ქვემოთ—გზამკვლევი).

Ⴁიზანტიის გამოჩენილი მოღვაწის Ⴈოვანე Ⴍქროპირის „Ⴚხორება“ ქართულად Ⴄფრემ Ⴋცირის (XI ს.) თარგმანითაცაა ცნობილი, მაგრამ Ⴈვანე საფარელის მიერ გადაწერილი ტექსტი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მასში შემონახულია Ⴂიორგი Ⴀლექსანდრიელის თხზულების უფრო ადრინდელი თარგმანი, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ეფრემისეულისგან [1].

Ⴞელნაწერის დამამზადებელი ერთ ადგილას წერდა: „Ⴋე, მწერალი ამისი Ⴈვანე საფარელი, და სულიერნი ძმანი ჩემნი Ⴈვანე, Ⴆაქარია, Ⴉ̄Ⴈ, Ⴉ̄Ⴈ და Ⴉ̄Ⴈ ლოცვასა წმიდასა მოგჳჴსენენით... და რომელ დამეკლოს, შემინდვეთ ღმრთისათჳს, დიდსა სწრაფასა და უძლურებასა შინა დავწერე სიყუარულითა ძმისა ჩემისა Ⴋიქელისითა“ [2]. Ⴋოყვანილი ანდერძიდან ვგებულობთ Ⴑალავრაში ქართველთა ჯგუფის ყოფნას და აგრეთვე Ⴈვანე საფარელის ახლო ურთიერთობას Ⴋიქელთან, რომელიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფანასკერტელი ხუცესი ყოფილა. Ⴞელნაწერს შემოუნახავს საინტერესო ცნობები როგორც დამზადების ადგილის, ისე თარიღის შესახებაც: „Ⴃაიწერა ესე წმიდაჲ წიგნი Ⴈოვანე Ⴍქროპირისაჲ ლავრასა შინა ძუელსა მამისა ჩუენისა Ⴞარიტონ მოღუაწისა და მოწამისასა. Ⴃასაბამითგანნი წელნი იყვნეს ხფობ (=6572—5604=968), ქრონიკონი იყო რჱჟ (=188+780=968)“. Ⴙათლად ჩანს, რომ ხელნაწერი დამზადებულია არა სინას მთაზე, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ [3], არამედ Ⴞარიტონის ლავრაში, ე. ი. Ⴑალავრაში [4].

Ⴀღნიშნული ხელნაწერი შემდეგში Ⴋიქელ ხუცესმა სინას მთას შესწირა. Ⴑათანადო მინაწერში ვკითხულობთ: „Ⴋე, Ⴋიქელ ხუცესმან Ⴔანასკერტელმან... გულს-ვიდგინე მოგებაჲ ამის წიგნისაჲ და დავაწერიე სულიერსა ძმასა ჩემსა Ⴈვანე საფარელსა... და შევწირე წმიდასა მთასა სინასა, სადაცა მე თჳთ მკჳდრ ვიყავ“ [5].

Ⴋიქელ Ⴔანასკერტელის მიერ მოგებული ხელნაწერი მრავალმხრივაა საყურადღებო. Ⴈნტერესს იწვევს არა მხოლოდ მასში წარმოდგენილი ტექსტი, არამედ მისი გაფორმებაც (საზედაო ასოები, Ⴈოვანე Ⴍქროპირის გამოხატულება და სხვ.). Ⴀმასთანავე, იგი ერთ-ერთი უძველესია ნუსხა-ხუცურით შესრულებულ ხელნაწერთა შორის [6].

---

[1] Ⴈლ. Ⴀბულაძე, Ⴕართული წიგნები Ⴈოანე Ⴍქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში: ႤႬႨႫႩႨ-ს Ⴋოამბე, XIV, 1944, გვ. 57—63. Ⴄფრემისეული თარგმანი დაცულია რამდენსამე ხელნაწერში (S № 384, A № 188). Ⴀდრინდელი თარგმანი ცნობილია სხვა ხელნაწერითაც (მაგალითად, A № 1144).

[2] H № 2124, 256 r; Ⴞელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 78. Ⴀმ ანდერძს Ⴀლ. Ⴚაგარელი რატომღაც Ⴋიქელს მიაწერდა. Ⴈხ. მისი Памятники, გვ. 228 (=მისივე, Сведения, II, გვ. 86).

[3] А. Цагарели, Памятники, გვ. 228 (=მისივე, Сведения, II, გვ. 86); Ⴈლ. Ⴀბულაძე, Ⴕართული წიგნები Ⴈოანე Ⴍქროპირის ცხოვრებისა და მისი გამოძახილი ძველ ქართულ მწერლობაში, ႤႬႨႫႩႨ-ს Ⴋოამბე, XIV, 1944, გვ. 58; Ⴞელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 77.

[4] Ⴉ. Ⴉეკელიძე, Ⴕართული ლიტერატურის ისტორია, I[4], Ⴇბ., 1960, გვ. 91; Ⴂზამკვლევი, გვ. 164; Ⴕართული წერის ნიმუშები, გვ. 300.

[5] H № 2124, 255 v—256 r; Ⴞელნაწერთა აღწერილობა (H), V, გვ. 78; Ⴕართული წერის ნიმუშები, გვ. 300.

[6] Ⴈოვანე Ⴈვანწმიდელ-საფარელი 1040 წელს ჩანს Ⴉალიპოსში (Ⴘავ მთაზე). Ⴀმ საკითხზე სხვა დროს ვისაუბრებთ.

მე-10 საუკუნეშივე მოღვაწეობდა პალავრაში გადამწერი პავლე. მის სახელთანაა დაკავშირებული ერთი მოზრდილი აგიოგრაფიული კრებული, რომელიც დღეს სინას მთაზე ინახება (Sin. № 50 ალ. ცაგარლით; № 11 ი. ჯავახიშვილითა და ჟ. გარითით)[1]. მას ათარიღებდნენ მე-10 (კ. კეკელიძე, ჟ. გარითი)[2] ან მე-10—11 საუკუნეებით (ალ. ცაგარელი, კ. კეკელიძე)[3]. უკანასკნელად ხელნაწერი გულდასმით შეისწავლა ი. იმნაიშვილმა და ვრცლად დაახასიათა მისი ორთოგრაფია და ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი. მკვლევრის დასკვნით, „ენობრივი ფორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს თარგმნილი, ისე დიდია მისი ორთოგრაფიული და გრამატიკული არქაიზმი“. კრებულში წარმოდგენილი ტექსტები მე-8 ს. მაინც უნდა იყოს ნათარგმნი, თუ უფრო ადრე არა. გადაწერილი შეიძლება იყოს მე-10 საუკუნეში[4].

დასახელებული კრებული უაღრესად საინტერესო შედგენილობისაა. მისი ზოგიერთი ნაკვეთი უკვე გამოქვეყნებულია. მაგალითად, კ. კეკელიძემ გამოსცა „წამებაჲ წმიდათა და კეთილად მძლეთა მოწამეთაჲ გურია, სამონა აბიბოსეთი“[5], ი. იმნაიშვილმა—„წამებაჲ წმიდისა პანტელემონისი“, „საკვირველებანი წმიდისა ნიკოლაოს მთავარებისკოპოსისანი“, „წამებაჲ წმიდისა პეტრე ალექსანდრელ მამათმთავრისაჲ“, „პოვნაჲ წმიდათაჲ ანანიაჲსი, აზარიაჲსი, მისაელისი“, „ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მარინაჲსი“[6], ჟ. გარითმა ლათინური თარგმანითურთ გამოსცა „პოვნაჲ წმიდათაჲ ანანიაჲსი, აზარიაჲსი, მისაელისი“ და „წამებაჲ წმიდისა მოწამისა პროკოპისი“[7]. გარდა გამოქვეყნებულისა, კრებულში შესულია სხვა მრავალი საყურადღებო ძეგლიც. ტექსტების მთარგმნელად კ. კეკელიძე მიიჩნევს მე-8 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-9 საუკუნის პირველი ნახევრის მწიგნობარს, საბაწმიდელ მოღვაწეს სეითს (სეთს)[8]. ხელნაწერს შემოუნახავს ცნობა როგორც მთარგმნელის, ისე გადამწერის შესახებ: „ითარგმნა იერუსალჱმს ჴელითა

---

[1] ამ ხელნაწერზე იხ. А. Цагарели, Памятники, გვ. 216—217 (=მისივე, Сведения, II, გვ. 74—75); ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 29—31; G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinaï. CSCO, Vol. 165, Louvain, 1956, გვ. 29—45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1963, გვ. 188—221.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I^{4}, გვ. 91,133; კიმენი, II, გვ. 17, შენ. 4; G. Garitte, Catalogue, გვ. 29.

[3] А. Цагарели, Памятники, გვ. 216 (=მისივე, Сведения, II, გვ. 74); კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, თბ., 1962, გვ. 56, 94.

[4] ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გვ. 188—211.

[5] კ. კეკელიძე, ეტიუდები, VIII, გვ. 104—131.

[6] ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გვ. 50—88; საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1963, გვ. 30—43. ახლახან ი. იმნაიშვილმა გამოაქვეყნა კიდევ რამდენიმე ძეგლი ამ ხელნაწერის მიხედვით. სახელდობრ, „წამებაჲ წმიდისა ანასტასიაჲსი“, „წამებაჲ წმიდისა ფოკაჲსი“, „წამებაჲ წმიდისა ორმეოც და ხუთთაჲ“ (საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბ., 1966, გვ. 20—40, 75—91).

[7] G. Garitte, Version géorgienne de la Passion de S. Procope par Eusèbe, Le Muséon, 66 (1953), № 3—4, გვ. 245—268; მისივე, L' invention géorgienne des Trois Enfants de Babylone, Le Muséon, 72 (1959), № 1—2, გვ. 69—100.

[8] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I^{4}, გვ. 133—134.

სეთ თარგმანისაჲთა და დაიწერა პალავრას ჴელითა პავლჱსითა“ [1]. ის ცნობა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს პავლეა მთელი კრებულის გადამწერი. მასთან ერთად კრებულის გადაწერაში მონაწილეობდნენ დავითი და „ივ̄ნე, მწარედ ცოდვილი“, რომელიც მიქელ დეკანოზთან ერთად იხსენიება.

პალავრელი ქართველი მოღვაწენი მე-10 საუკუნისა არა მხოლოდ თვით ამზადებდნენ ხელნაწერებს და საკუთარი შრომით ამდიდრებდნენ ეროვნულ მწერლობას, არამედ სხვა სავანეთა მკვიდრთაც აბამდნენ ამ საქმეში და ავალებდნენ ახალი ნუსხების გადაწერას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თევდორე პალავრელის თაოსნობით დამზადებული კრებული საგალობლებისა (Sin. № 67 ალ. ცაგარელით; № 40 ი. ჯავახიშვილით) [2], რომელსაც შემოუნახავს ასეთი ანდერძი: „ესე იადგარანი დაჩხრეკილანი თ̄ე პალავრელმან დაუდებულმან დამაწერინა ცოდვილსა მე, სჳმეონს მ[გ]ალობელსა, და აწ გევედრებით... ყოველთა, რომელნი იმსახურებდეთ იადგართა ამათ, რაჲთა მოგჳჴსენნეთ... დაიწერნეს საბაწმიდას შინა“ [3]. აღნიშნული იადგარი თევდორე პალავრელის დავალებით დაუმზადებია საბაწმიდის მოღვაწეს—სვიმეონ მგალობელს [4].

დამოწმებული ანდერძი ცხადყოფს პალავრელ ქართველ მოღვაწეთა ახლო ურთიერთობას სხვა სავანეთა ქართველ მწიგნობრებთან. პალავრელი ქართველები, როგორც ჩანს, ახლობელ მონასტრებში დაბინავებულ თანამემამულეებსაც ავალებდნენ ქართულ ხელნაწერთა გამრავლებას [5].

მე-11 საუკუნეში პალავრაში კვლავ გრძელდებოდა ქართველთა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. ამ საუკუნის შუა წლებში იქ მოღვაწეობდა გადამწერი გრიგოლი. მან გადანუსხა ასკეტიკური ხასიათის ნაწარმოებთა კრებული (H № 1662) [6], რომელშიც შესულია ცნობილ მოღვაწეთა (იოვანე

———

[1] ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 28, 31; G. Garitte, Catalogue, გვ. 38; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გვ. 189.

[2] А. Цагарели, Памятники, გვ. 225 (=მისივე, Сведения, II, გვ. 83); ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 107—109.

[3] А. Цагарели, Памятники, გვ. 225 (=მისივე, Сведения, II, გვ. 83); ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 109.

[4] არაა სწორი, თითქოს თევდორე პალავრელი საბაწმიდაში მოღვაწეობდა (ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 316). კ. კეკელიძე ადრე ამ კრებულს საბას ლავრაში გადაწერილად მიიჩნევდა (К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Т., 1908, გვ. XXV), შემდეგში კი დამზადების ადგილად პალავრას ასახელებდა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I[4], გვ. 91).

[5] დასახელებული იადგარი შემდეგში სინას მთაზე მოიგო ქართველმა მოღვაწემ გრიგოლმა: „მე, გლახაკი და ცოდვილი გრიგოლ... ღირს-მყო ღმერთმან წმიდასა ამას მთასა შემოსლვად... მუნ მოვიგენ წმიდანი ესე იადგარნი გამოკრებულნი სასწავლელად ჩემდა უცბისა... რომელმან ამათი შრომაჲ თავს-იდვა და მომიგნა, ივანე ხუმურდოელი, ქ̄ნ შეიწყალენ“ А. Цагарели, Памятники, გვ. 225 (=მისივე, Сведения, II, გვ. 83); ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 109.

[6] ამ ხელნაწერზე იხ. M. Brosset, Rapports, III, გვ. 86; Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 156; ქრონიკები, I, გვ. 188; II, გვ. X; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ე. მეტ-

ოქროპირის, ბასილ კესარიელის, ეფრემ ასურისა და სხვ.) სიტყვები. ხელნაწერს შემოუნახავს ანდერძი: „მე, გლახაკმან და ფრიად ცოდვილმან გრიგოლ ხარიტონწმიდელმან, მოვიგე წმიდაჲ ესე წიგნი... დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი საყოფელსა შინა წმიდისა მამისა ხარიტონისსა, პალავრას, ძუელსა მონასტერსა, ჴელითა ფრიად ცოდვილისაჲთა, ქრონიკონსა სჲ (=260+780=1040)"[1]. აღნიშნული ხელნაწერი შემდეგში იერუსალიმის ქალთა სავანეს—დერტავს შესწირეს. მინაწერში ვკითხულობთ: „მე, ბერმან გრიგოლ, შევწირე წმიდაჲ ესე წიგნი... მონასტერსა დედათასა დერტავს"[2].

დერტავის (დელტავის) სავანე, როგორც ქართველი ქალების ადგილსამყოფელი და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, კარგა ხანია ცნობილია. მას სპეციალური გამოკვლევა უძღვნა კ. კეკელიძემ[3]. მის მიერ მოხმობილი იყო სათანადო მასალა[4], რომელიც ცხადყოფდა დერტაველ (დელტაველ) მოღვაწეთა საქმიანობას. გრიგოლის ზემოციტირებული ანდერძით დამატებით ვეცნობით პალავრელი და დერტაველი (დელტაველი) ქართველი მოღვაწეების ურთიერთობას. როგორც ჩანს, პალავრის ბინადარნი ენერგიულად ზრუნავდნენ თავიანთი თანამემამულე ქალების სავანის წიგნსაცავის გამდიდრებაზე.

მე-11 საუკუნის შუა წლებშივე მოღვაწეობდა პალავრაში ხუცესი სტეფანე. მის სახელთანაა დაკავშირებული ოთხთავის ერთი საყურადღებო ხელნაწერი[5], რომელსაც შემოუნახავს მომგებლის ასეთი ანდერძი: „სახელითა ღმრთისაჲთა და მადლითა სარწმუნოებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისაჲთა მე, გლახაკი სტეფანე, ხუცესი პალავრელი, მნათე ყოფილი, ყოველთა მოწესეთა ნარჩევი, მიწაჲ და მტუერი, შვილი მცხეთისაჲ, ღირს-მყო ღმერთმან... მოვიწიე წმიდასა ქალაქსა ი̃ლჱმსა, აღგომასა უფლისა ჩუენისა... და წმიდასა გოლგოთასა და მოვილოცენ ყოველნი წმიდანი ადგილნი მისნი მოწყალებითა ქ̃ესითა და დამაწესეს

რეველისა, და ი. ჭირსალაძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 86—89; გზამკვლევი, გვ. 197; მამათა სწავლანი, X და XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1955, გვ. XI.

[1] H № 1662, 274 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 89.

[2] H № 1662, 274 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 89. ამავე გრიგოლის გადაწერილი უნდა იყოს „პავრასა წმიდისა მამისა ხარიტონისსა" მაკარი ეგვიპტელის სწავლანი და ეპისტოლენი (K № 181). ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, ეტიუდები, IV, თბ., 1957, გვ. 211—214.

[3] იქვე, გვ. 210—211.

[4] Jer. № 26 ნ. მარით; № 33 რ. ბლეიკით.

[5] ხელნაწერი 1853 წელს ლაშთხვერში ნახა ცნობილმა არქეოლოგმა ი. ბართლომეიმ (И. Бартоломей, Поездка в вольную Сванетию, ЗКОРГО, III, 1855, გვ. 192); 1860 წელს იქვე ნახა და აღწერა დ. ბაქრაძემ (Д. Бакрадзе, Сванетия, ЗКОРГО, VI, 1864, გვ. 93—96. შდრ. Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, გვ. 157). მისი ცნობები გაიმეორეს ალ. ხახანაშვილმა (А. Хаханов, Сванетские рукописные евангелия, МАК, X, 1904, დამატება, გვ. 20—21) და ე. თაყაიშვილმა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 335—337). კ. კეკელიძემ ხელნაწერი ნახა ბ. ჩიქარაძესთან (Иерусалимский Канонарь VII века, Т., 1912, გვ. 36—37, შენ.). ამჟამად იგი ინახება სსსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 173—174).

მწირველად ქართლისა კათალიკოზისა ოქროპირისა[1]... და მოვიგე წმიდაჲ ესე ოთხთავი... ქრონიკონი იყო სჲჱ (=268+780=1048)“[2].

სტეფანე სალავრელის მიერ მოგებული სახარება დამზადებული ყოფილა გეთსიმანიაში, როგორც ამას ნათელყოფს ანდერძი: „დაიწერა წმიდასა ადგილსა გესმანიას, საფლავსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა, დედისაგან საბაწმიდისა, განგებასა ზედა ბერძულსა, დიად ხარკებითა ჴელითა საწყალობელისა მიქაელ მწირისა მცხეთისავე მიწისაგან“[3]. ეს ანდერძი, მართალია, „წელიწადის განგებას“ ერთვის, მაგრამ ეხება მთელ ტექსტს.

გეთსიმანია (გესიმანია, გესმანია) ადგილია ელეონის მთის ძირას, სადაც თითქოს უკანასკნელი ლოცვა წარმოთქვა მაცხოვარმა (მათ. XXVI, 36; მარკ. XIV, 32). იქ არსებობდა ბაზილიკა ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა[4]. ცნობილია გეთსიმანიის ქართულ კოლონიაში დამზადებული სხვა ხელნაწერებიც. მაგალითად, პარაკლიტონი (Sin. № 60 ალ. ცაგარლით; № 13 ი. ჯავახიშვილით)[5], რომელსაც ასეთი მინაწერი დაუცავს: „მე, გლახაკმან, მწირმან და ფრიად ცოდვილმან პეტრე, მოვიგე წმიდაჲ ესე პარაკლიტონი საფლავსა წმიდისა ღმრთის-მშობლისასა, წმიდასა გესმანიასა... დაიწერა წმიდაჲ პარაკლიტონი საფლავსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, წმიდა[სა] გესმ[ან]იასა... სუეტსა შინა მოძღურისა ჩემისა ზაქარიასსა... ქრონიკონი იყო სჲდ (=264+780=1044)“; იქვეა დამზადებული ჟამისწირვა (Sin. № 33 ალ. ცაგარლით; № 89 ნ. მარით)[6], როგორც ამას ცხადყოფს გადამწერის—სტეფანე ჭვალის ანდერძი: „დაესრულა... ჴელითა ფრიად ცოდვილისა სტეფანე ჭვალისაჲთა... ინუსხე გესმანიას, საფლავსა წმიდისა და ყოვლად დიდებულისა ღმრთისმშობლისასა“. როგორც ჩანს, პატარა კერა პალესტინაში მოღვაწე ქართველებს გეთსიმანიაშიც ჰქონიათ.

სალავრელ ქართველებს მე-10—11 საუკუნეებში ისეთი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაუტარებიათ, რომ ამ სავანის სახელს მათ სამშობლომდე მოუღწევია და საზოგადოებრიობის ყურადღება მიუპყრია. საგულისხმოა, რომ

[1] ოქროპირი ან იოვანე-ოქროპირი კათოლიკოსად ჩანს მელქისედეკის მომდევნო ხანაში, 1033—1048 წლებში. მან „მრავალნი შემატნა დიდსა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიასა... მრავალნი ეკლესიანი აღაშენნა და განაახლნა“ (ქართლის ცხოვრება, I, 1849, გვ. 222; 1955, გვ. 296). იგი იხსენიება კაურმისა (И. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, Т., 1898, გვ. 71—72; Е. Такайшвили, Христианские памятники. Экспедиция 1902 года, МАК, XII, 1909, გვ. 33; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 30—31) და ფოკას ეკლესიების (И. Ростомов, Ахалкалакский уезд, გვ. 110; ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI, 1931, გვ. 258; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 32—33. იხ. აგრეთვე ხალისტრატე, [შენიშვნა], „ივერია“, 1890, № 240) წარწერებში.

[2] H № 1741, 296 v — 297 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 174.

[3] H № 1741, 297 r; ხელნაწერთა აღწერილობა (H), IV, გვ. 173. იხ. აგრეთვე ქართული წერის ნიმუშები, გვ. 309.

[4] ПБЭ, IV, П., 1903, სვ. 364; Иерусалимский канонарь VII века, გვ. 208—209.

[5] ამ ხელნაწერზე იხ. А. Цагарели, Памятники, გვ. 223—224 (=მისივე, Сведения, II, გვ. 81—82); ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 32—33.

[6] ამ ხელნაწერზე იხ. А. Цагарели, Памятники, გვ. 211 (=მისივე, Сведения, II, გვ. 69); Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 250—251.

ზოგიერთი ქართველი იქ წასვლასა და მოღვაწეობაზე ოცნებობდა. აქ შეიძლება დავიმოწმოთ ხახულის მოღვაწე დავით თბილელი (XI ს.), რომელმაც გადაწერა იოვანე ოქროპირის თარგმანება სახარების ერთი თავისა[1]. აღნიშნული ხელნაწერი მან დაამზადა სალავრისათვის, რადგან, როგორც მისი ანდერძ-მინაწერიდან ჩანს, იქ მოღვაწეობაზე ოცნებობდა. იგი საგანგებოდ აღნიშნავდა: ხელნაწერი „შევწირე სალავრას, რომელ არს ხარიტონწმიდაჲ. უკუეთუ ენებოს ღმერთსა, თჳთ მე, ანუ მიქელ, ძმამან ჩემმან, მიაწიოს, და უკუეთუ ჩუენ არა ღირს ვიქმნნეთ ამას საწადელსა, ვისცა მიხუდეს და მას წმიდა ადგილსა გამოაკუას ესე მცირედი ნაშრომი ჩუენი და ესე ანდერძი ჩუენი შეცვალოს... კრული არს“.

გადავიდა თუ არა დავითი სალავრას, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მისი ხელნაწერი უკანასკნელად იერუსალიმის ქართული სავანის—ჯვრის მონასტრის საკუთრება გამხდარა. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამოწმებს ტაო-კლარჯეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქართული სავანეების ურთიერთობასა და კავშირს.

ამრიგად, სალავრის ქართველი მოღვაწენი ამზადებდნენ ძველი ქართული ტექსტების საყურადღებო ნუსხებს და სხვა სავანეთა მკვიდრ თანამემამულეებსაც ავალებდნენ კრებულების გადაწერას. ისინი ზრუნავდნენ საკუთარ წიგნსაცავზე, მაგრამ ყურადღებას არც სხვა ქართულ სავანეებს აკლებდნენ (საგულისხმოა, რომ პალავრელთა რამდენიმე ხელნაწერი სინას მთაზეა. ჩანს, სინას მთისკენ დაძრულმა მოღვაწეთა ტალღამ თან წაიღო წიგნსაცავიც). ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს სალავრა მივიჩნიოთ ქართულ მწიგნობრულ-ლიტერატურულ კერად (X—XI სს.)[2].



[1] Jer. № 119 ალ. ცაგარელით; № 32 რ. ბლეიკით; № 30 ნ. მარით.

[2] ტ. გაბაშვილი იხსენიებს მცირე აზიის ხარიტონის მონასტერს, სადაც „ქართველნიცა მრავალნი ცხოვრებულან“. იგი ან ამ მონასტერს ურევს სალავრაში ან,—რაც უფრო საფიქრებელია,—გვაწვდის ცნობას ქართველთა კიდევ ერთი სამოღვაწეო პუნქტის შესახებ მცირე აზიაში (ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ მ ა, თბ., 1956, გვ. 10, 0148).

ზურაბ სარჯველაძე

Ⴤ და Ⴞ გრაფემათა და |ჴ| და |ხ| ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის

ძველ ქართულში |ჴ| და |ხ| ორ დამოუკიდებელ ფონემას წარმოადგენდა. ამათგან ახალ ქართულში[1] მხოლოდ |ხ| შემოგვრჩა: |ჴ| დაემთხვა |ხ|-ს. ვ. თოფურია ძველი ქართულისათვის მიუთითებს: „უკეთუ გვინდა ვიცოდეთ, თუ რა შემთხვევებში გვხვდება ხ ან ჴ, ამისათვის საჭიროა საგანგებოდ შედგენა იმ სიტყვების სიისა, რომელნიც ამა თუ იმ ნიშნის მატარებელნი არიან, რადგანაც მათი ხმარებისათვის საერთო წესის გამომუშავება შეუძლებელია“[2]. ოღონდ გარკვეულ შემთხვევებში, ვ. თოფურიას ვარაუდით, შესაძლებელია |ჴ| და |ხ| ფონემათა დისტრიბუციის გარკვეული წესის დადგენა. მკვლევრის დაკვირვებით, „უკეთუ ს შ ც ჩ თ ბგერებს შემდეგ ხ ისმის, იგი უსათუოდ უნდა გადმოვცეთ ხანით“[3]; „ირკვევა, რომ ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ყოფილა სხ, შხ, ცხ, ჩხ, თხ, ზღ, ჟღ, ძღ, ჯღ, [დღ], წყ, ჭყ [ტყ] კომპლექსები“[4]. იქვე ნათქვამია: „ქართველურ ენებში ციშლაუტებსა (ე. ი. ს შ ზ ჟ) და აფრიკატებს შემდეგ ჴ შეუძლებელია იყოს: არა გვაქვს სჴ, შჴ, ცჴ, კომპლექსები“[4]. „ხსენებულ (ციშ-ლაუტ-აფრიკატ) ბგერებს წინ უთუოდ ჴ უნდა იყოს და — ჴარითვე უნდა აღვნიშნოთ“[5].

ის დასკვნა სწორია ძველი ქართულის ძირეული მორფემებისათვის, ამდენად შეგვიძლია ვთქვათ, რომ [ჴ] და [ხ] სეგმენტები ზემოთ აღნიშნულ ფონემათა

---

[1] ვგულისხმობთ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას.

[2] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ჴ და ხ სიბილანტ-აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, ტფ., 1927, გვ. 175. შდრ. ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I, 1953, გვ. 325.

[3] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[4] იქვე, გვ. 177.

[5] იქვე.

მეზობლად (წინა ან მომდევნო) პოზიციაში რეალიზდებიან როგორც ერთი ფონემის კომბინატორული ვარიანტები, ხოლო დანარჩენ პოზიციებში კი როგორც ორი დამოუკიდებელი ფონემა[1].

Ⴐაც შეეხება მორფემათა ზღვარს, აქ ეს წესი არ მოქმედებს: დასაშვებია, ერთი მხრივ, |ჴს|, |ჴშ|, |ჴც| და მისთანა, ხოლო, მეორე მხრივ, |სჴ|, |თჴ| და მსგავსი კომპლექსები. Ⴋოვიყვანთ სათანადო მასალას:

ა) |ჴს|: Ⴋათგანი ჴ ს ა ჯ ნ ე თ შესაკრებელთა შორის, ႭჃძვ. ქართ. ხელნაწ. გვ. 343; Ⴉეთილ არს ა ჴ ს ა რ ე ბ ა ჲ უფლისაჲ, Ⴔსალმ. 91,2; Ⴀკურთხევდით უფალსა ა ჴ ს ა ა რ ე ბ ი თ ა, Ⴔსალმ. 146,7.

|ჴშ|: Ⴐ̄ი ჴ შ ო რ ა ვ ს Ⴈ̄მსა ას სამეოც უტევან, Ⴞანმ. ლექც. გვ. 7; Ⴐ̄ლითა ჴ შ ჯ ი თ, მითცა ხისაჯნეთ, ႭჃძვ. ქართ. ხელნაწ. გვ. 327; Ⴍ თ ჴ შ ა ბ ა თ ს ა მწუხრი, ჯავახ. Ⴀღწერ. გვ. 4.

|ჴც|: Ⴘეჴუვრდეს ფერჴთა მისთა და თავყანის ჴ ც ე ს მას, Ⴞანმ. ლექც. გვ. 3.

|ჴდ|: Ⴋოყავ ჴელი და დ ა ჴ დ ე ვ გუერდსა ჩემსა, Ⴞანმ. ლექც. გვ. 13.

|ჴთ|: Ⴐ̄ლი ჴ თ ჴ ო ვ დ ე ს მას, ႭჃძვ. ქართ. ხელნაწ. გვ. 329.

|ჴტ|: Ⴃედაკაცო, რაჲსა ჴ ტ ი რ, Ⴞანმ. ლექც. გვ. 13.

ბ) |სჴ|: სხუანი ვინმე იყვნეს ა ს - ჴ ე ლ ნ ი, Ⴈლინთა ზღაპრ. 44,17.

|თჴ|: ႭჃმჯობეს არს შენდა ე რ თ - ჴ ე ლ ი ს ა ცხოვრებასა შესლვაჲ, Ⴋარკ., 9,43 C; Ⴀლილო ერმან ე რ თ ჴ მ ო ბ ი თ ჴ̄ ჲ ყ̄თა მიერ ვედრებისაჲ, Ⴈერუს. აღწერ. გვ. 32.

Ⴋიუთითებენ |ჴ| და |ხ|-ს მონაცვლეობაზე ძველსა და უძველეს ქართულში. Ⴅ. Ⴇოფურიას აზრით, მ-ჴედ-არ-ი, სა-ჴედ-არ'-ის ძირი -ჴედ- უკავშირდება ს-ხდ-ომ-ა-ს: ს-ჴედ-ომ-ა > ს-ჴდ-ომ-ა > ს-ხდ-ომ-ა[2]. Ⴄს არ ჩანს დამაჯერებელი. სემანტიკური დაშორება ანგარიშგასაწევია სხვა ფაქტორებთან ერთად[3].

Ⴠ. Ⴔოქტის აზრით, თხრა ეტიმოლოგიურად უკავშირდება თოჴს[4]. Ⴀმ ვარაუდს ემხრობა Ⴂ. Ⴐოგავაც[5], ოღონდ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან Ⴅ. Ⴇოფურია[6] და Ⴉ. Ⴘმიდტი[7].

Ⴅ. Ⴇოფურიას აზრით, ქართ. თ ხ ა < დ ა ჴ - ა ლ; შდრ. სვან. დაჴ-ვლ; და ჴ > თჴ > თხ[8].

Ⴇ. Ⴂამყრელიძესა და Ⴂ. Ⴋაჭავარიანს თ ხ ა-ს არქეტიპად დ ჴ ა მიაჩნიათ[9].

---

[1] Ⴘეიძლება ინტერესმოკლებული არ იყოს ის გარემოება, რომ |ჴ| ხმოვანთა და სონორ თანხმოვანთა (აგრეთვე) |უ|-ს წინ გვხვდება უმთავრესად.

[2] Ⴅ. Ⴇ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

[3] Ⴇ. Ⴂ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, Ⴂ. Ⴋ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, Ⴇბ., 1965, გვ. 134—135.

[4] H. V o g t, Alternances vocaliques en Georgien: Norsk Tidssrift for Sprogvidenskap, XI, Oslo, გვ. 128.

[5] Ⴂ. Ⴐ ო გ ა ვ ა, Ⴃეცესიურ-ჰარმონიულ კომპლექსთა სისტემისა და ისტორიისათვის ქართველურ ენებში: Ⴋაცნე, 2, 1965, გვ. 187.

[6] Ⴅ. Ⴇ ო ფ უ რ ი ა, Ⴔონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, I: Ⴋიმომხილველი, I, Ⴒფილისი, 1926, გვ. 207.

[7] Karl Horst S c h m i d t, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache. Wiesbaden, 1962, გვ. 116.

[8] Ⴅ. Ⴇ ო ფ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[9] Ⴇ. Ⴂ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, Ⴂ. Ⴋ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

დჴა>თჴა, |ჴ| იქცა |ხ|-დ |თ|-ს მომდევნო პოზიციაში. აქედანაა ნაწარმოები თ ხ - ი ე რ - ი.

თ. გონიაშვილი ძვ. ქართ. მ ე ი ნ ა ჴ ე, მ ე ო ხ ნ ე სინონიმებს ერთი ძირისად მიიჩნევს და ს-ხ-ედ ფუძეს უკავშირებს[1]. ამ ეტიმოლოგიის სისწორეში ეჭვი არ ეპარება ი. ქავთარაძეს[2]. მიუხედავად ამისა, აქ მეტად საეჭვო დაკავშირება ჩანს.

ყურადღებას იქცევს ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში შენიშნული ორგვარი დაწერილობა სიტყვებისა: გ უ ლ ი ს ხ მ ა || გ უ ლ ი ს ჴ მ ა და ხ რ წ ნ ა || ჴ რ წ ნ ა. მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამ სიტყვათა ოდინდელი შემადგენლობისა და ჭეშმარიტი დაწერილობის შესახებ. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა: „გულის-ხმა ესე არს გონებით ახმა და გულთა შეღება, ვიეთთა გულის-ჴმად აღუწერიათ. გულსა არა აქვს ჴმაჲ, არამედ აჴმა და შეღება"[3]. |ხ|-სვე ვარაუდობენ ამ სიტყვაში ნ. მარი, ი. ყიფშიძე, კ. კეკელიძე, ი. აბულაძე, ი. იმნაიშვილი, ი. ქავთარაძე, ხოლო |ჴ|-ს: ს. ჯანაშია, ა. შანიძე, ვ. თოფურია.

მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს:

-ჴმა || -ხმა: შეცოდებანი თჳსნი ვინ-მე გ უ ლ ი ს ხ მ ა-ყვნეს, ფსალმ. 18,13; შდრ. გულის ჴმა D; ძაჲთა გ უ ლ ი ს ჴ მ ა - ყ ო ს ცოდვაჲ იგი, მამ. სწავ. 158,11 C; შდრ. გულისხმა A[4]; აწ სახისაგან საცნაურისა გ უ ლ ი ს ჴ მ ა-ყავ თქმული ესე, იქუს. დღ. 22, 5—6.

ხრწნ- || ჴრწნ-: და ესევითარი იგი ხ რ წ ნ ი ლ ე ბ ა ჲ თჳთ თავისაცა თჳსისა გ ა ნ ხ რ წ ნ ა იყო, იბერ. 50, 38—39 B; შეცვალენით ხ რ წ ნ ი ლ ნ ი უ ხ რ წ ნ ე ლად, მამ. სწავ. 218, 15—16 C; შდრ. ჴრწნილნი უჴრწნელად AB[5]; ხ რ წ ნ ი ლ ნ ი წარჴდენ და უ ხ რ წ ნ ე ლ ნ ი აღდგენ, იქვე, 259, 9.

ამ წინადადებაში ყურადღებას ის იქცევს, რომ ერთი და იგივე ძირისაგან ნაწარმოები სიტყვები ორგვარი დაწერილობით (ჴრწნ- და -ხრწნ) გვხვდება.

არცა იხილონ ჴორცთა ჩემთა გ ა ნ ს ა ხ რ წ ნ ე ლ ი, ფსალმ. 15, 10 A; მას შინა სუფევდენ უ ხ რ წ ნ ე ლ ე ბ ი თ, ბალავარ. 63, 4—5 C.

ი. იმნაიშვილმა შენიშნა, რომ მერყეობა ამ სიტყვათა დაწერილობაში ქართული ენის უძველესი ძეგლებისათვის უცხოა[6]. იგი დაახლოებით IX საუკუნიდან იწყება. X საუკუნის დასასრულსა და XI—XII საუკუნეებში ამგვარ შემთხვევათა რიცხვი საგრძნობლად მატულობს. ამ დროის წერილობით ძეგლებში არაიშვიათია ხ და ჴ გრაფემათა მონაცვლეობა.

---

[1] თ. გ ო ნ ი ა შ ვ ი ლ ი, ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა ქართველურ ენებთან: ენიმკი-ს მოამბე, V—VI, 1940, გვ. 583.

[2] ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის, I, 1964, გვ. 46.

[3] სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, ს. იორდანაშვილის რედაქციით, 1949, გვ. 128.

[4] აღსანიშნავია, რომ „მამათა სწავლანი"-ს C ნუსხაში სისტემატურად ჴ გვაქვს, ხოლო AB ნუსხებში—ხ.

[5] „მამათა სწავლანი"-ს C ნუსხა სისტემატურად იძლევა ხრწნ-ს, საპირისპიროდ AB ნუსხებისა, სადაც უმთავრესად ჴრწნ გვაქვს.

[6] ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სინური მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: თსუ შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 54—59.

I. მოსალოდნელ Ⴤ-ს ენაცვლება Ⴗ:

ოხრ || ოჴრ: ოჴრიდენ ღელვანი მისნი და ვერ გარდაჰჴდენ მას, იერემ. 5, 22 A; შდრ. ოხრიდენ I; ჴმაჲ მათი, ვითარცა ზღუაჲ ოხრიდეს, იერემ. 6, 23 IA; მწყემსნი სასმენელთა ჩემთა ოხრიან, A—95 46, 16—18 b;

ხად || ჴად: გულისჴმა-ყავთ და მოჰჴადეთ მტირალთა, იერემ. 9,17 I; შდრ. მოხადეთ A;

მხარ || მჴარ: და სამჴრად წდიონ ოთხ-ოთხი, ათ. 220, 21; შდრ. და სამხრად წდიონ ოთხ-ოთხი იქვე, გვ. 220, 11;

ხუ || ჴუ: და მიერ გამოიჴუნა საიდუმლონი იგი ღ̄თეებისანი, კიმ. I, 104, 20—21 C; შდრ. გამოიხუნა B; აღმოუჴუნეს თუალნი, აპოკრ. მიმოდასლ. მოციქ. 1 E; შდრ. აღმოუხუნეს D; შემდგომად თუალთა აღმოჴუმისა ასუეს წამალი იგი საცთურებისაჲ, იქვე 1 E; შდრ. აღმოხუმისა D;

-ხრ- || -ჴრ- რამეთუ მოჴრილ იყვნეს ბეჭნი მათნი და მოასწავეს თავითა მათითა შეხრით, იტ. VIII, 113, 5—6 BC;

ოხ || -ოჴ: რომელმან მოგუანიჭა ჩუენ მეოჴი მჴურვალე, იოდასაფ. 55, 33—34 A; თქუთ წმიდითა პირითა თქუენითა ოჴაჲ ბრალთა ჩუენთაჲ, ქრონ. I, 180, 9; შემდგომად ნათელი მხიარულსა ოჴთ̄ჲ, ჯავახ. აღწერ. გვ. 91.

ზახუარ- || -ლაჴუარ: მჴედარმან ლაჴრითა გუერდი შენი განაღო, Sin. 26, 259 v, 10; შდრ. ლახრითა განხეთქე, იქვე, 247,8.

II. Ⴤ ენაცვლება Ⴗ-ს

-Ⴗად->ხად, -ჴედ->ხედ; ჴდ>ხდ: სული წრფელი განიხადა გუამთა თქუენთა, ხელნ. აღწერ. S II, გვ. 38. (S 1148 X ს); გარდამოხედ ცხორებისათჳს ნათესავისა კაცთაჲსა, ძვ. ქართ. ლიტურგ. 100, 11; და შთახდეს იგინი წყალთა მათ შინა, ჯავახ. აღწერ. გვ. 29; ამით სახითა სრულ-მყოფელისა მის მისისა მღდელთ-მთავრისა მიერ ყოვლად წმიდებითა მომხდელობითა სრულ იქმნების, იბერ. 198, 33—35; ვიდრემდის აღმოჰხდის კუალად პირით კერძო მისა, ЗВОРАО т. XIII, вып. II—III, გვ. 17; შდრ. ჩუმცა იქმნების სენაკით (ი)—სენაკად ხდილობითი მოსუმურობა, იაჰ. ქვაბ. განგ. 82, 12—13; რაჲთა რაჲთურთ არა იყოს უქმსიტყუაობაჲ და ვნებული მეგობრობაჲ და ხდილობითი მოსუმურობაჲ, იქვე, გვ. 83, 9—10;

-Ⴗუ>ხუ: ვინცა ესე წიგნი წყაროჲსთავისა ეკლესიას გამოახუას, ქრონ. I, 235, 21; წარმოამხუა და დამუსრა იგი, იტ. VIII, 193, 10; შდრ. წარმოამჴუა და ეგრევე დამუსრა, იტ. VIII, 193, 11;

ზოგი მაგალითი ორაზროვანია: ძნელი გასარკვევია, ძირში Ⴗ უნდა ვიგულისხმოთ თუ Ⴤ. მხედველობაში გვაქვს ზმნურ ძირთა: ჴად / ხად საკითხი. ძველ ქართულში ეს ზმნური ძირები /ჴ/: /ხ/ ფონემებით უპირისპირდებიან ერთმანეთს: თუ გვაქვს -ხად-, მაშინ ზმნა დაძახებას, მოპატიჟებას აღნიშნავს, ხოლო -ჴად- — მოძრაობას, გაგზავნას საითკენმე. სიძნელე ისაა, რომ კონტექსტი ორსავე მნიშვნელობას იგუებს, ამიტომ ჭირს იმის დადგენა, არის თუ არა აქ გრაფემათა მონაცვლეობა:

ხოლო ურჩება მოიხდის სიკუდილსა, მამ. სწავ. 90,29;

სიმდაბლისა მისგან მოიხდიან ამპარტავნებასა, იქვე 169,20—21; განსუენებაჲ მზრდელ არს და მომხდელ მათდა, იქვე 183,4A.

Ⴋჴევალ>მხევალ: Ⴀჰა ესერა ვდგა მე მხევალი უფლისაჲ, ჯავახ. Ⴀღწერ. გვ. 188, 30; Ⴖმრთისმშ. შობ. 254, 10.

Ⴘდრ: ვითარ შეატყუა Ⴟოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი ჴორცთა ამათგან, ჰრქუა: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მჴევალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მჴევალნი ჩემნი, Ⴘუშ. XVI, 18—20.

Ⴔერჴ>ფერხ-: Ⴄშმაკი შემუსროს ქუეშე ფერხთა შენთა, სჳმეონ მესუეტ. 13, I.

Ⴘდრ: ნუ მოვალნ ჩემ ზედა ფერჴი ამპარტავანებისაჲ და ჴელი ცოდვილისაჲ ნუ შემძრავნ მე, Ⴔსალმ. 35,12.

Ⴤშირ->ხშირ-: Ⴋიერულა მას ძილითა ხშირითა, Ⴀგიოგრ. ნაწყვ. გვ. 196, Н. Марр, Описание, გვ. 47. Ⴓკუეთუ გუამი ესე სიხშოჲსაჲ შეპყრობილ იქმნეს ამისგან, ხაცისა აგებ. 167, 6—7 B;

Ⴋჴურვალ->მხურვალ-: Ⴋხურვალებითა, ხაცისა აგებ. 227, 8;

Ⴇიჴა>თიხა: Ⴀღმომიყვანა მე მღჳმისაგან გლახაკებისა წარმართთასა თიხისაგან და უყისა, Ⴄტ. VIII 90, 7—8; შდრ. Ⴄსე იგი არს თიჴნარად და აღრეულად წყლითა, Ⴄქუს. დღ. 46, 3—4;

Ⴤუეზა>ხუეზა: ხუეზაჲ[1]

Ⴤმარ>ხმარ: Ⴃა არარაჲ სოფელი ეხმარების, ხიმ. I, 60, 9—10 Q; შდრ. ეჴმარების H;

Ⴃარღვევები Ⴤ-სა და Ⴞ-ს ხმარებაში იმაზე მიუთითებენ, რომ ენაში ხდება |ჴ| და |ხ| ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია. Ⴀმ მხრივ ნიშანდობლივია ნასესხები სიტყვები, რომლებშიაც |ხ| გვაქვს |ს|, |შ|, |ტ| და სხვა ფონემების წინ[2]: პიტიახში, ვახში, ვახშამი, შტახსი, ოხჭანი (შდრ. აგრეთვე საკ. სახელი Ⴞსართან[3]) და სხვა. Ⴜარმოუდგენელია, რომ ეს სიტყვები მხოლოდ წერითი მეტყველებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი. Ⴀმ სიტყვათა დაწერილობა იმდროინდელ წარმოთქმასაც ასახავს. Საყურადღებოა, რომ ხევსურულმა, რომელშიაც მოქმედია |ჴ| და |ხ| ფონემათა დაპირისპირება, ნასესხები სიტყვა |ვახშამი| შესაბამის ყალიბში მოაქცია: ოჴშამ-ი:

Ⴎირველად ოჴშამს შჭამენ, მეორედ რო შჭამენ, ოჴშამთ უკვენაჲ ხქვიან. Ⴕართ. დიალექტოლოგია, I გვ. 7.

Ⴆემოთ მოყვანილი მასალა შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა: ქართულ სალიტერატურო ენაში |ჴ| და |ხ| ფონემათა ოპოზიციის მოშლა დაიწყო IX საუკუნის ბოლოდან (გულის-ჴმა ‖ გულისხმა, ჴრწნა ‖ ხრწნა) და ეს პროცესი თანდათან ინტენსიური ხდება.[4]

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული აპოკრიფული ლიტერატურის ისტორიიდან: Ⴞელნაწ. Ⴈნსტიტ. Ⴋოამბე, I, 1959, გვ. 32.

[2] Ⴅ. Ⴇოფურია, Ⴔონეტიკური დაკვირვებანი, III, გვ. 181—182; Ⴈ. Ⴈმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 191.

[3] Ⴋოვავლინო წიგნი ესე ჴელითა ხსართან მღდელისა ჩემისაჲთა: ЗВОРАО т. XIII, вып. II—III, გვ. 53.

[4] Ⴘდრ. Ⴈ. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

Ⴌ. Ⴋარმა „Ⴂრიგოლ Ⴞანცთელის ცხორება"-ში დაადასტურა: ერთხელ—ერთგზის, რაც ამ მნიშვნელობით ნეოლოგიზმია. Ⴀქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ის, რომ გვაქვს |ხ| და არა |ჴ|. Ⴌ. Ⴋარს ეს მოვლენა ვულგარიზმად მიაჩნდა (ТР. VII. 1911, გვ. XLVII). Ⴅ. Ⴇოფუ-

აქედან ამოსვლით გასაგები ჩანს Ⴞ და Ⴗ გრაფემათა არასწორი ხმარების შემთხვევები. ზოგ გადამწერს (მწერალს) უკვე აღარ ესმის ჴ-ს ბგერობრივი მნიშვნელობა, ამიტომ მას ხშირად ხმარობს იქ, სადაც იგი წინათ არასდროს იხმარებოდა [1].

აღსანიშნავია, რომ ჴ გრაფემა შემდგომაც კარგა ხანს შემოგვრჩა [2]. იგი საკმაოდ ხშირად არასწორად იხმარება [3]. მაგრამ ზოგიერთ გვიანდელ ძეგლში იგი შეიძლება სწორად იხმარებოდეს. აქ გასათვალისწინებელია გადამწერის (დამწერის) განათლება, გამოცდილება, ძველი დედნიდან ზუსტად გადაწერის უნარი,. აგრეთვე გადამწერის (მწერლის) დიალექტური გარემო და სხვა.

რიას აზრით, |ჴ|-ს |ხ|-დ ქცევაში „ალბათ თ-ს უდევს წვლილი“ (ფონეტიკური დაკვირვებანი, III, გვ. 184). ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება ადიშის ოთხთავის „ერთ-ჴელი“ ცალ-ჴელ-ის მნიშვნელობით, სადაც |ჴ| მოსდევს |თ|-ს, ოღონდ არ იქცევა |ხ|-დ:

უმჯობეს არს შენდა ერთ-ჴელისა ცხორებასა შესლვაჲ: მარკ. 9, 43 C. საქმე ისაა, რომ ადიშის ოთხთავის ხელნაწერი IX საუკუნისაა, როცა |ხ|-სა და |ჴ|-ს დაპირისპირება ჯერ კიდევ ფონემატური ღირებულებისა იყო, ხოლო „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრების“ ხელნაწერი XII საუკუნეს განეკუთვნება, როდესაც ოპოზიციის |ჴ| : |ხ| ნეიტრალიზაცია მიმდინარეობდა.

[1] ანალოგიური ვითარება ზოგჯერ თანამედროვე ქართულ დამწერლობაშიც შეინიშნება. ავიღოთ სიტყვათა ორი რიგი: ცუდად, კარგად; ზემოთ, ქვემოთ. სიტყვათა პირველ რიგში -ად ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო მეორე წყებაში -თ<-ით ისტორიულად მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტს წარმოადგენს. ორივე რიგის სიტყვათა წარმოთქმისას აბსოლუტურ ბოლოში |თ| ისმის. ორთოგრაფიული ნორმების მიხედვით პირველ ორ სიტყვაში იწერება დ, ხოლო მეორე წყვილში — თ. გვხვდება ორთოგრაფიული წესის ორგვარი დარღვევა: 1) ყველა შემთხვევაში წერენ -თ-ს: ცუდათ, კარგათ, ზემოთ, ქვემოთ, რაც ამ სიტყვათა წარმოთქმას ასახავს; 2) ყველა შემთხვევაში წერენ დ-ს: ცუდად, კარგად, ზემოდ, ქვემოდ. ამ უკანასკნელი სიტყვის დაწერილობა არა მარტო ეწინააღმდეგება წარმოთქმას, არამედ გაუმართლებელია ისტორიულადაც. შეცდომა გამომდინარეობს დამწერის სურვილისაგან წეროს სწორად, ნორმების დაცვით (მან იცის, რომ წარმოთქმა სცილდება ორთოგრაფიას და ზომიერებას ვეღარ იცავს).

[2] ა. მარტიროსოვი, საერო მწერლობის ძეგლების ფონეტიკური თავისებურებანი: იკე, VI, 1954, გვ. 93—94.

[3] გ. ჯავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45. იქვეა მითითებული სათანადო ლიტერატურა.

Აკაკი Ურუშაძე

Ერთი გასწორება

სულხან-საბა Ორბელიანის Განმარტებით-თარგმნით ლექსიკონში ბერძნული და ლათინური წარმომავლობის მრავალი სიტყვა გვხვდება. Ამ სიტყვათა დიდი ნაწილი დადასტურებულია ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ადრინდელ ქართულ წერილობით ძეგლებში. Ბერძნული სიტყვები, რომლებიც სულხან-საბას ლექსიკონში მოუთავსებია, ქართულად თარგმნილი ძეგლებიდანაა უპირატესად გამოკრებილი. Გამოყენებულია: Არისტოტელეს, Ამონიოსის, Პროკლე Დიადოხოსის, Ნემესიოს Ემესელის, Იოანე Დამასკელის, Დიონისე Არეოპაგელის, Მაქსიმე Აღმსარებლისა და სხვათა შრომები. Ბერძნული სიტყვები ლექსიკონში ბიზანტიური ხანის ბერძნული გამოთქმითაა ჩვეულებრივ დამოწმებული და ხშირ შემთხვევაში სიტყვის წყაროც არის მითითებული.

სულხან-საბა Ორბელიანის ლექსიკონის ბერძნიზმების მონოგრაფიული შესწავლა, რაც ჯერხნობით არ შესრულებულა და მომავლის საქმეა, ფრიად საყურადღებო იქნება თვით ბერძნული ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

Ამჯერად შევეხებით ერთ ბერძნულ ტერმინს, რომელიც საბას შეცდომით დაუმოწმებია.

„Ანდერძნამაგში" და შემდეგ ლექსიკონის სათანადო ადგილებში საბას დამოწმებული აქვს ლექსიკოგრაფიისათვის საჭირო ბერძნული ტერმინები. Ამ ტერმინთა შორისაა პ რ ო ს ო დ ი ა ნ ი (ἡ προσῳδία—ორთოგრაფიული ნიშანი: ფშვინვისა, მახვილისა...). Პროსოდიას საბა განმარტავს როგორც ქარაგმას: „Არიან ქარაგმანიცა ათნი, რომელსა ქართულად ეწოდების განწილვა, ხოლო ელლენებრ პროსოდიანი. Ამათ მიერ ჯერ არს ღრმათა წერილთა კითხვანი უცთენელად". Შემდეგ საბა მკითხველს აწვდის ამ ქარაგმათა ათ ნიშანს ბერძნული სახელწოდებით და ქართული განმარტებით:

1. Ო ქ ს ი ა, რომელ არს მ ა ხ ვ ი ლ ი. Სადა ესე სიტყუასა ზედათ აკრული აქვს, მუნ ჴმისა ამაღლება ჴამს;

2. ვ ა რ ი ა, რომელ არს მ ძ ი მ ე. სადა ქვეიდამ უჯდეს, მუნ ჴმისა დადაბლება ჰამს;

3. პ ე რ ი ს პ ო მ ე ნ ი, რომელ არს გ ა რ ე მ ო მ რ თ ხ მ ე ლ ი. სადა ჯდეს, სიტყვა მოკვეთით თქვან;

4. მ ა კ რ ა, რომელ არს ქ ა რ ა გ მ ა. სადა ესე ჯდეს, ასო აკლია.

5. ბ რ ა ქ ი ა. სადა ესე ჯდეს, მცირედ ნაკლებია;

6. დ ა ნ ი ა. სადა ესე ჯდეს, წუნარა(დ) წაიარე კითხვა;

7. ფ ს ი ლ ი — წვლილად ანუ უკუსაქცევლად;

8. ა პ ო ს ტ რ ო ფ ო ს, რომელ არს შემკვრელი;

9. ჴ პ ო დ ი ა ს ტ ო ლ ი. სადა ქვეით უჯდეს, სამთა სიტყვათა შეჰკრავს...;

10. ჴ ფ ე ნ. სადაცა ესე ჯდეს, ნახევარსიტყვაჲ არს.

ყველა ეს ტერმინი საბას ამოუღია იოანე პეტრიწის შრომიდან „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს". საბა თვითონვე ამბობს: „დიადოხოსის ბოლოს ეს ნიშნები ასრე ისხდა ერთს ადგილს, წერილს გარეთო". მართლაც, იოანე პეტრიწის „გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი ს" ბოლოსიტყვაობაში (ბოლო-სიტყუაჲ) დამოწმებულია რვა ტ ე რ მ ი ნ ი: ო ქ ს ი ა ჲ (მახჳლი), ვ ა რ ი ა ჲ (მძიმე), პ ე რ ი ს პ ო მ ე ნ ი (გარემომრთხმელი), დ ა ს ი ა (წუნარად წარსავლელი სიტყჳსაჲ), ფ ს ი ლ ი (წული, უკუსაქცეველი), ტ რ ო ფ ო ს (შემკვრელი), ჳ ფ ე ნ, ჳ პ ო დ ი ა ს ტ ო ლ ი (ქუეშე გამომყოფი, ანუ თუ წენტილი).

იოანე პეტრიწის „განმარტების" ყველა ხელნაწერის მარგინალურ შენიშვნაში აღნუსხულია ათივე ტერმინი სათანადო ნიშნების დართვით: „პროსოდიანი ათნი: ოქსია, ვარია, პერისპომენი, მაკრა, ვ(ა)რაქია, დ ა ნ ი ა (sic!), ფსილი, აპოსტროფოს, ჳფენ, ჳპოდიასტოლი (ნუსხები: ABCDEFH).

ბერძნულში ეს ტერმინები ასეა წარმოდგენილი: ὀξεῖα, βαρεῖα, περισπωμένη, μάκρα (ἡ μακρὰ γραμμή), βραχεῖα, δασεῖα, ψιλός, ἀπόστροφος, ὑφέν, ὑποδιαστολή.

„განმარტების" მარგინალურ შენიშვნაში დამოწმებულ ტერმინთა შორის მცდარი ფორმითაა წარმოდგენილი მეექვსე ტერმინი. უნდა იყოს დ ა ს ი ა, როგორც ეს „ბოლო-სიტყუ-ის" ძირითად ტექსტშია (დასია, რომელ არს წუნარად წარსავლელი სიტყჳსაჲ) და არა დ ა ნ ი ა. ბერძნულად არის δ α σ ε ῖ α — ἡ δασεῖα προσῳδία, რაც ძლიერი ფშვინვის — spiritus asper-ის [ʽ] აღმნიშვნელია.

საბას ლექსიკონში დამოწმებული მცდარი ფორმა „დანია" ამ მარგინალური შენიშვნიდან მომდინარეობს. შეცდომის მიზეზი ს ა ნ ი ს ა და ნ ა რ ი ს აღრევაა[1].

10. IX. 1966 წ.



[1] ეს მცდარი ფორმა საბას ლექსიკონის ყველა გამოცემაში შეუსწორებელია, მათ შორის ბოლო გამოცემაშიც: ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტომი IV_1, თბილისი, 1965.

ალექსანდრე ღლონტი

ჰიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფებისათვის

1. ჰიდრონიმია ტოპონიმიკის განუყოფელი ნაწილია და ყურადღებას იპყრობს როგორც ისტორიული და გეოგრაფიული, ისე, რაც მთავარია, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით. ქართული ისტორიული ჰიდრონიმების შეჯერება დიაქრონული ლინგვისტიკის თანამედროვე მეთოდებით შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ მათი წარმოქმნის საშუალებანი და ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფები. ჰიდრონიმი, უწინარეს ყოვლისა, ლექსემაა, ერთეული ენისა, რომლის წარმოქმნისა და სტრუქტურის შესწავლა-გათვალისწინება ლექსიკოლოგიის ამოცანას შეადგენს.

ქართული ჰიდრონიმია არა თუ შესწავლილი, მთლიანად გამოვლენილიც არ არის; ჯერ კიდევ არ გაჰშორებია მასალების პირველადი დაგროვების პერიოდს და, უნდა ითქვას, სათანადო მასალაც მეტად მცირეა გამოქვეყნებული. მხოლოდ რამდენიმე მდინარისა და ტბის სახელწოდებაა დამოწმებული საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის პირველ წყაროებშიაც. „ქართლის ცხოვრებაში", მაგალითად, 100-მდის, ვახუშტი ბაგრატიონის სპეციალურ ნაშრომში („აღწერა სამეფოსა საქართველოსა") 400-მდის ჰიდრონიმია მოხსენებული, ხოლო ამ სანდო და დამხმარე წყაროთა საფუძველზე შედგენილ საქართველოს ისტორიულ რუკაზე მხოლოდ 130-მდის ერთეულია აღბეჭდილი [1]. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა გამოცემებში გვაქვს.

ეს მასალა, თავისთავად ცხადია, ოდნავადაც ვერ ამოწურავს ქართული ჰიდრონიმიის სიმდიდრეს. მეტი ნაწილი ჰიდრონიმებისა კვლავ შეუკრებელია და მათი გაცნობა მხოლოდ ხალხური ტრადიციის მიხედვით შეიძლება. პირადად ჩვენ, კერძოდ, ისტორიული კოლხეთის ერთ ნაწილში ათასორასზე მეტი უცნობი ჰიდრონიმი გვაქვს ჩაწერილი, კოლხეთის სხვა ნაწილში და, მით უმეტეს,

[1] საქართველოს ისტორიული რუკა, შედგენილი ტოპოგრაფ ი. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს მიერ, პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედ., თბ., 1923.

ისტორიულ იბერიაში ამაზე ნაკლები რაოდენობის ჰიდრონიმი როდი გვხვდება. ამიტომ ჩვენი ჰიდრონიმიკის შეკრება და სრული ლექსიკონის შედგენა-გამოცემა მეტად საშური საქმეა. ამ მცირე ნარკვევის მიზანია ყურადღება გაამახვილოს ქართული ჰიდრონიმების ძირითად სტრუქტურულსა და სემანტიკურ თავისებურებებზე, გვაჩვენოს მათი წარმოქმნა-ხმარებულობის ტრადიცია. ნარკვევს უფრო წინასწარი ცნობის ხასიათი აქვს, რადგან ავტორს იმედი აქვს, კვლავ დაუბრუნდება დასმულ საკითხს, როცა ამის შესაძლებლობას მოგვცემს ახალი მასალის გამოვლენა და გამოქვეყნება.

II. სტრუქტურული თვალსაზრისით ქართული (ქართველური) ჰიდრონიმები სამ ძირითად ტიპად ჯგუფდება: ძირეულად, წარმოქმნილად და თხზულად.

ძირეული ჰიდრონიმი მომდინარეობს ჩვეულებრივი არსებითი სახელისაგან. ფუძეთა მიხედვით აქ გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

ა. *ხმოვანფუძიანნი*:

ა-ზე *დაბოლოებული*: ბანა, ფწა, ქცია || კცია (მდინარეები ქართლში), ხურჩა (მდინარე კოკში, ზუგდიდის რ.), ჩოლა (ღელე ჩახუნაოში, გეგეჭკორის რ.), სიდა (მდინარე გალის რ.), ბარჩია, ხაფანა (ღელეები ობუჯში, წალენჯიხის რ.)...

ე-ზე *დაბოლოებული*: ფრონე, ჩოსტე (მდინარეები ქართლში), წარჩე (მდინარე გალის რ.), შებე (მდინარე ფოცხოში, ცხაკაიას რ.), ყუმე (ღელე ჩხოროწყუში), წექე (ღელე ერგეტაში, ზუგდიდის რ.)...

ო-ზე *დაბოლოებული*: ხინო (მდინარე გურიაში), ელტო, თურდო (მდინარეები კახეთში), თრუსო (ხევი ყაზბეგის რ.), ერწო (ტბა ჯავის რ.)...

უ-ზე *დაბოლოებული*: ჯუხუ (მდინარე ჩხორთოლში, გალის რ.), ფიცუ (ღელე ახალსოფელში, ცხაკაიას რ.)...

ბ. *თანხმოვანფუძიანნი*: ქსან-ი (მდინარე ქართლში), მთომ-ი (მდინარე საბერიოში, გალის რ.), ეც-ი (მდინარე ჯვარში, ზუგდიდის რ.), მეჩხ-ი (მდინარე გალის რ.), ეორ-ი (მდინარე კახეთში), ცივ-ი, ხობ-ი (მდინარეები კოლხეთში)...

ა-სა და ე-ზე დაბოლოებული ჰიდრონიმები, ქართულ სახელთა ბრუნების სისტემის თანახმად, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბოლო ხმოვნებს მოიკვეცენ: ნათ. ფწ-ის, ქცი-ის; ფრონ-ის; ყუმ-ის... მოქმ. ფწ-ით, ქცი-ით; ფრონ-ით, ყუმ-ით..., ხოლო ო-სა და უ-ზე დაბოლოებული ჰიდრონიმები განეკუთვნება უკვეცელ სახელთა ჯგუფს: ნათ. ხინო-ს, ჯუხუ-ს... მოქმ. ხინო-თი, ჯუხუ-თი...

თანხმოვანფუძიანი ჰიდრონიმი ისევე იბრუნვის, როგორც პირველი ტიპის ბრუნების ჩვეულებრივი არსებითი სახელი.

ამრიგად, ძირეული ჰიდრონიმი ქართულში სემანტიკურად ჩვეულებრივი სახელია, რომლის სტრუქტურული თავისებურება ის არის, რომ, სხვა საკუთარ სახელთა მსგავსად, მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებს.

III. *წარმოქმნილი* ჰიდრონიმის ფუძედ აღებულია საზოგადო არსებითი სახელის, ან ზოგჯერ ტოპონიმის ფუძე, რომელსაც შესაბამისი საწარმოქმნო აფიქსი ემატება. ქართული სიტყვათწარმოქმნის აგლუტინაციური ხასიათი იგრძნობა ჰიდრონიმთა წარმოქმნაშიაც. ოდნავი სემანტიკური რყევით დაცულია

აფიქსთა ის ფუნქციებიც, რაც დადგენილი აქვს ა. შანიძეს ქართულის საერთო სიტყვათწარმოქმნაში [1].

ჰიდრონიმები წარმოქმნილია ან პრეფიქსებით: ო-ქუმ-ი (მდინარე გალის რ.), ზა-ჩახვა (ღელე მიქავაში, წალენჯიხის რ.), ან სუფიქსებით: კლის-ურ-ი (მდინარე სოხუმის რ.), კინტრ-იშ-ი (მდინარე ქობულეთის რ.), ანდა პრეფიქს-სუფიქსებით: ო-ხარკალ-ე (მდინარე ზუგდიდის რ.), ნა-ცან-უ (წყარო მიქავაში, წალენჯიხის რ.). საწარმოქმნო აფიქსები მეტნაკლებად საერთოა ყველა ქართველური ენისათვის.

ყველაზე გავრცელებულია -ურ || -ულ სუფიქსი, ხოლო მასთან ერთად გვხვდება აგრეთვე ნა-ურ, ნა-უ, ო-ე -ევ (|| -ოვ), -ორ, -ილ, -ამ, -აშ, -ეშ, -ეთ აფიქსები, რომლებსაც მეტნაკლებადვე ვპოულობთ როგორც ქართული, ისე სვანური და კოლხური არიალის ჰიდრონიმებში.

1. -ურ || -ულ სუფიქსი ორ ვარიანტად ვრცელდება: დამოუკიდებლად: -ურ || -ულ და მაკნინებელი -ა'ს დართვით: -ურ-ა || -ულ-ა.

-ურ: ინგ-ურ-ი (←იგური), ტეხ-ურ-ი, ნახ-ურ-ი (მდინარეები კოლხეთში), შავშ-ურ-ი (მდინარე მესხეთში), ფინეზა-ურ-ი (მდინარე ქართლში), ხაილ-ურ-ი (მდინარე გარე კახეთში), ფოლადა-ურ-ი (მდინარე ბოლნისის რ.)...

-ულ: რიწე-ულ-ი, შარა-ულ-ი (მდინარეები რაჭაში). ის სუფიქსი უფრო მაკნინებელი -ა'ს დართვით გვხვდება: ძირ-ულ-ა (მდინარე ზემო იმერეთში), ქვედრ-ულ-ა (მდინარე რაჭაში), ტურთ-ულ-ა, ითრაფ-ულ-ა (მდინარეები ქსნის ხეობაში), წერეთო-ულ-ა, მაღარო-ულ-ა, სიმაგრე-ულ-ა (მდინარეები ფშავში)...

-ურ-ა: მულხ-ურ-ა, ნამყმ-ურ-ა (მდინარეები ზემო სვანეთში), წაჩხ-ურ-ა (მდინარე სალხინოში, გეგეჭკორის რ.), ზაიშ-ურ-ა, საკა-ურ-ა, ხიხ-ურ-ა (მდინარეები იმერეთში), ხარგლ-ურ-ა, ყოფჩ-ურ-ა, ჯომ-ურ-ა, თვალი-ურ-ა (მდინარეები ფშავში), ალე(ვ)-ურ-ა (მდინარე ქსნის ხეობაში), ლეხ-ურ-ა (მდინარე ქართლში)...

2. ო-ურ რთული შედგენილობის აფიქსია; აქედან ო- წარმოშობით კოლხური პრეფიქსია, რომელსაც ქართულში სა- შეესატყვისება [2] -ურ (|| -ულ) კი საერთო ქართველური სუფიქსი: ო-ჩხომ-ურ-ი || ო-ჩხამ-ურ-ი (მდინარეები წალენჯიხისა და ქობულეთის რაიონებში)...

3. ნა-ურ || -ულ აფიქსი ნაკლებპროდუქტულია, აწარმოებს წინათყოფილი (ა. შანიძის ტერმინოლოგიით: წინავითარების) მდგომარეობის სახელებს: ნა-ხარჩ-ულ-ი (წყარო ჩხოროწყუში)...

4. ნა-უ, წინავითარების კოლხური აფიქსი [3], ნა-ურ || -ულ-ის ფარდია: ნა-ცან-უ (წყარო მიქავაში, წალენჯიხის რ.), ნა-მარჩხ-უ (ღელე ჯაიშში, ზუგდიდის რ.), ნა-ბაკ-უ (წყარო მუნჩიაში, ხობის რ.)...

5. ო-ე, ტოპონიმთა საწარმოქმნო კოლხური აფიქსი [4], გამოყენებულია ჰიდრონიმთა წარმოსაქმნელადაც: ო-ჩხარჩხალ-ე (წყარო ჩხოროწყუში),

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, §§ 149—176, გვ. 108—149.

[2] И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, გვ. 095, § 105, C, 1; ლექსიკ., გვ. 292.

[3] იქვე, გვ. 0128, § 128, i, I.

[4] იქვე, გვ. 095, § 105, C, I.

Ⴍ-ხოჯ-ე (მდინარე Ⴂალის რ.), Ⴍ-ჯოლორ-ე (მდინარე Ⴋზიურაში, Ⴂალის რ.), Ⴍ-ტოფუ-ე (ღელე Ⴋიქავაში, Ⴜალენჯიხის რ.), Ⴍ-წყარი-ე (ღელე Ⴊესიჭინეში, Ⴙხოროწყუს რ.)...

6. -ორ სუფიქსი -ურ-ის ვარიანტია, ჰიდრონიმებში იშვიათად გვხვდება, გამოყენებულია ასეთ სახელებში: Ⴉოდ-ორ-ი (მდინარე Ⴉოლხეთში), Ⴇიქ-ორ-ი (მდინარე Ⴀნაკლიაში, Ⴆუგდიდის რ.), Ⴔიჩ-ორ-ი (მდინარე აჭარასა და Ⴊანჩხუთის რ.), Ⴑტ-ორ-ი (მდინარე Ⴀხმეტის რ.)...

7. -ამ ელემენტი ახლა ისე შეპხორცებია ფუძეებს, რომ გამოყოფა ჭირს. Ⴈსტორიულად -ამ[1] სუფიქსი ჩანს ასეთ ჰიდრონიმებში: Ⴇეძ ამ-ი, Ⴍკ ამ-ი, Ⴑურ ამ-ი, Ⴞრ ამ-ი (მდინარეები Ⴕართლში)...

8. -ევ სუფიქსი, Ⴀ. Ⴘანიძის დაკვირვებით, მრავლობითობის მაწარმოებელია და გადმონაშთის სახითაა შემონახული ტოპონიმებში: Ⴅაშლ-ევ-ი, Ⴁოსლ-ევ-ი, Ⴁეღლ-ევ-ი, Ⴛეგლ-ევ-ი და სხვ.[2], ჩვენი აზრით, ეგევე სუფიქსი გვაქვს ჰიდრონიმებში Ⴀლ-ევ-ი ‖ Ⴀლ-ე/ვ/-ურა (მდინარე Ⴕსნის ხეობაში[3]) და Ⴀღისტ-ევ-ი[4]. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ Ⴀღისტევი ყოფილა ძველი სახელწოდება მდ. Ⴁერდუჯისა, რომელსაც, Ⴅახუშტი Ⴁაგრატიონის ცნობით, სახელი „დაბისაგან Ⴁერდიკისა ეწოდა"[5]. -ევ'ის ვარიანტი უნდა იყოს -ოვ: Ⴔოცხ-ოვ-ი (მდინარე Ⴋესხეთში).

9. -ილ სუფიქსი ვნებითი გვარის მიმღეობის წარმოსაქმნელად არის გამოყენებული და ჰიდრონიმიკაშიაც მიმღეობური წარმოშობის ტერმინებში გვხვდება: Ⴍრვ-ილ-ი (მდინარე Ⴀხმეტის რ.), Ⴖობ-ილ-ი (ღელე Ⴙაკიფუში, Ⴜალენჯიხის რ.), Ⴕვიშ-ილ-ი (ღელე Ⴐიღნეძში, Ⴆუგდიდის რ.)... Ⴀრაიშვიათად მოხსენებული სუფიქსი გამოყენებულია მაკნინებელი -ა'ს დართვითაც — ილა: Ⴗვირ-ილ-ა (მდინარე Ⴆემო Ⴈმერეთში), Ⴛახ-ილ-ა (ღელე Ⴛველსენაკში, Ⴚხაკაიას რ.)...

10. -ეთ, ტოპონიმთა დატვირთული სუფიქსი, ჰიდრონიმებში შედარებით იშვიათად გამოიყენება, შენახულია მხოლოდ რამდენიმე მდინარის სახელწოდებაში: Ⴀლგ-ეთ-ი (←Ⴀლაგ-ეთ-ი, მდინარე Ⴆემო Ⴕართლში), Ⴋუხალ-ეთ-ი (ხევი Ⴛამის ხეობაში), Ⴑკვირ-ეთ-ი (მდინარე Ⴆემო Ⴕართლში), Ⴃელ-ეთ-ი (ღელე Ⴈნგირში, Ⴆუგდიდის რ.)...

11. სა-ო: სა-ხალიკ-ო (ღელე Ⴞამისკურში, Ⴞობის რ.)...

12. ლე-ა აფიქსიც რთულია: ლე- სვანური პრეფიქსია, -ა — საერთო ქართველური სუფიქსი. Ⴊე-ა ჩვეულებრივ ტოპონიმთა საწარმოქმნოდ იხმარება, ჰიდრონიმებში იშვიათად გვხვდება: Ⴊე-ბოხ-ა (ღელე Ⴊიაში, Ⴆუგდიდის რ.). Ⴑვანური ლე- გვხვდება საერთო ქართულ -ე-სთან ერთადაც, ლე-ე: Ⴊე-კერ-ე (ღელე Ⴟვარში, Ⴆუგდიდის რ.), Ⴊე-ურცხუ-ე (წყარო Ⴂრიგოლიშში, Ⴆუგდიდის რ.)...

13. -äშ, ჩვეულებრივ ტოპონიმთა საწარმოქმნო სვანური სუფიქსი, -ეშ

---

[1] Ⴇ. Ⴆურაბიშვილი, Ⴒოპონიმიკის შესწავლისათვის: „Ⴕართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები", II, 1961, გვ. 151.

[2] Ⴀ. Ⴘანიძე, Ⴕართული გრამატიკის საფუძვლები, I, Ⴇბ., 1953, გვ. 138.

[3] Ⴙვენი: Ⴕართული ლექსიკოლოგია, Ⴇბ., 1964, გვ. 149.

[4] Ⴅახუშტი Ⴁაგრატიონი, Ⴀღწერა სამეფოსა საქართველოსა, Ⴇბ., 1941, გვ. 94.

[5] Ⴈქვე.

და -ი შ-თან ერთად გვაქვს სვანურ ჰიდრონიმებში: ყერ-ä შ, გუგ-ä შ, გლ-ä შ (ღელეები მულახში, მესტიის რ.), იელბ-ე შ (მდინარე იფარში, მესტიის რ.)...

ამრიგად, ჰიდრონიმთა წარმოქმნა ზოგადქართულია. ახალ ფუძეთა შესადგენად გამოყენებულია ცნობილი აფიქსები, რომელთა ფუნქცია ტრადიციულია. წარმოქმნილი ჰიდრონიმი იმავე ლექსიკურ-გრამატიკულ ოდენობას შეიცავს, რასაც ძირეული: ჩვეულებრივი ბრუნების საკუთარი სახელია.

IV. ჰიდრონიმთა დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათშეერთების გზით: იზერხევი (მდინარე მესხეთში), ცხენისწყალი (მდინარე კოლხეთში), აჭარისწყალი (მდინარე აჭარაში), მესტიაჭალაჲ (მდინარე ზემო სვანეთში). სიტყვათშეერთება ამისთანა შემთხვევაში ეყრდნობა გარკვეულ წესს: გრამატიკულად გვაქვს შეთანხმებული და მართული სიტყვათშეერთება. ორივე პროცესი პროდუქტიული ყოფილა ისტორიულად. ჰიდრონიმთა ახლანდელ ნომენკლატურაში გამოიყოფა ორი ფენა: უძველესი და გვიანდელი.

ა. უძველესია საზღვრულ-მსაზღვრელი, ე. ი. როცა საზღვრული წინ უსწრებს მსაზღვრელს. ის პროცესი ძველად უფრო ყოფილა გავრცელებული, ვიდრე დღესაა. ქართულ ისტორიულ ჰიდრონიმიკაში დასტურდება მისი რამდენიმე ნიმუში: წყალწითელა (მდინარე ტყიბულის რ.), წყალტუბო (თბილი წყალი), ხევგრძელა (მდინარე ახმეტის რ.), ხევძმარი, ხევდრმა[1], წყალთბილა, წყალთეთრა, წყალშავა[2].

ასევე ჩანს მიღებული ხევ-კორძულა || ხე-კორძულა[3] (ხევი მცხეთის რ.) და ხევ-სურ-ეთ-ი, რომლებშიაც წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ხევ (ჴევ) წინ უსწრებს კორძულა და სურ ელემენტებს. კორძ-ულა წარმოქმნილი ფუძეა, რომლის კორძ ტოპონიმია, ხოლო სურ (ვარიანტი სორ) კი —ეთნონიმი, ძველი ქართული გვარის ან ტომის სახელი, დაცული ჰიდრონიმში. ხევ-სურ-ეთ-ი, დღევანდელი ტოპონიმი, წარმოშობით ჰიდრონიმი ყოფილა. ის ადგილი, მართლაც, ხევს, ხეობას (ხევსურეთის არაგვის ხეობას) წარმოადგენს. ამ ეტიმოლოგიას უეჭველი გამართლება უნდა ჰქონდეს. სხვა ვარაუდის დაშვება გულისხმობს ხევსურ ფუძეში -ურ სუფიქსის გამოყოფას, რასაც აბრკოლებს წინამავალი ს, რომელიც ძირეული ჩანს და არა მორფოლოგიური ელემენტი. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ სურ || სორ დღესაც ტოპონიმებია: სურ-ებ-ი (სოფელი გურიაში), სორ-ი (სოფელი რაჭაში). ნ. მარი კი უფრო შორს მიდიოდა, იმავე ეთნონიმს ხედავდა ისე-

ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 43, 51, 94.

[2] იური სიხარულიძე, სამხრეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958, გვ. 64, 88, 156.

[3] გავიხსენოთ ცნობილი ხალხური შაირი (თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, თბ., 1893, გვ. 175):

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, ხელი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია.

თი ჰიდრონიმის ფუძეში, როგორიც არის სუფსა: *სურ-ფას[1], 'სურის წყალი, მდინარე' ('Сур-ская река').

ბ. გვიანდელია შეთანხმებული და მართული მსაზღვრელ-საზღვრული. შეთანხმებული: ცხრაწყარო (ხევი ბორჯომის ხეობაში), წმინდა წყალი (მდინარე გორის რ.), მჟავეწყალი (მდინარე მახარაძის რ.), წითელიწყარო (ხევი წითელწყაროს რ.), ჩეღალუ, ოყჩალალუ (ღელეები კირცხში, ზუგდიდის რ.), შავღელე, ყრუღელე, შუაღელე, ღ[რ]მაღელე[2], ცხრაზმულა (→ცხრაძმულა, მდინარე ქსნის ხეობაში)... მართული: ყელისტბა (ტბა ქსნის ხეობაში), გლოლის წყალი (მდინარე რაჭაში), ცხენისწყალი, ჭანისწყალი (მდინარეები კოლხეთში), ბახვისწყალი (მდინარე მახარაძის რ.), ძეგვისწყალი (ხევი მცხეთის რ.), ალისწყალი (მდინარე ხაშურის რ.), ხევღელე, გიდელაღელე, ჭალიღელე, ბარიღელე[3] (ღელეები აჭარაში)...

V. სიტყვათშეერთება აქ მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმას გულისხმობს. მსაზღვრელად გამოყენებულია რომელიმე სახელი, ჩვეულებრივ ტოპონიმი, საზღვრულად კი: ქართ. წყალი (წყალა), ხევი (ხევა)[4], მდინარე, წყარო, ღელე, ტბა, რუ; სვან. ჭალაჲ, ტვიბ; მეგრ. წყარი, წურგილი (წყალრგილი←წყალგრილი), ღალ(უ), წყუ.

აი, რამდენიმე ნიმუში:

1. წყალი: აბანოსწყალი (მდინარე მესხეთში), აჭარისწყალი (მდინარე აჭარაში), ხანისწყალი (მდინარე იმერეთში), ბედიყრისწყალი, გავაზისწყალი, ყვარლისწყალი, ჩელთისწყალი (მდინარეები კახეთში)...

2. მდინარე: თაკვერის მდინარე, თაგაურის მდინარე (ან წყალი), ზუფუს მდინარე, კაპეტის მდინარე, ისპირის მდინარე, ირუშეთის მდინარე, თორთომის მდინარე, ჩარეყვავის მდინარე, ზომეკის მდინარე[5]...

3. წყარო: ბერძნის წყარო (ჩოხატაურის რ.), ახალწყარო, მუხათწყარო (სამგორის რ.), კოდისწყარო (დუშეთის რ.), თეთრაწყარო (ორჯონიკიძის რ.), ცხრაწყარო (ზესტაფონის რ.), წიფლისწყარო (ლაგოდეხის რ.)...

4. ღელე: ბერთუბნისღელე (საგარეჯოს რ.), შუაღელე, საკაიმაღელე, ბზანიღელე, სხლობნიღელე, ხოჩინაღელე, ყრუღელე, საცხოვრიღელე, ღრემშიღელე[6]...

5. ხევი: ბოდბისხევი (სიღნაღის რ.), ვარაზისხევი (ქ. თბილისი), კავთისხევი (კასპის რ.), ვერისხევი, სკრისხევი (გორის რ.), სამებისხევი (საგარეჯოს რ.), საყავრისხევი, მჟავისხევი (მარნეულის რ.)...

―――――

[1] Н. Я. Марр, ИР, ტ. IV, М.—Л., 1937, გვ. 48.

[2] იური სიხარულიძე, დასახ. თხზ., გვ. 64, 77, 80, 90.

[3] იქვე, გვ. 76, 77, 78, 79, 89.

[4] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 138.

[5] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. თხზ., გვ. 62, 66, 112, 122, 136, 140, 148, 171.

[6] იური სიხარულიძე, დასახ. თხზ., გვ. 47, 50, 52, 54, 57, 67, 197.

6. ტბა: პალიასტომის ტბა (ქ. ფოთთან), თავფარავნის ტბა (ჯავახეთშია), ბაზალეთის ტბა (დუშეთის რ.), ერწოს ტბა (ჯავის რ.), გურის ტბა (ჩოხატაურის რ.), კუს ტბა (ქ. თბილისშია).

7. რუ: თეზის რუ, წილკნის რუ, ქსოვრისის რუ, ძამის რუ, მეჯვდის რუ, ლიახვის რუ, სალთვისის რუ[1], ჩაქელირუ (←ჩაქერლის რუ)[2]...

8. ჭალაჲ: მესტია ჭალაჲ, ყალდე ჭალაჲ (მდინარეები ზემო სვანეთში)...

9. ტვიბ: გვალდა ტვიბ (ღელე მესტიის რ.), ზალმი ტვიბ, ზეხთა ტვიბ (ღელეები მესტიაში), მაკვჩხვრა ტვიბ (ღელე ბეჩოში, მესტიის რ.)...

10. წყარი: ერწყარი (მდინარე, გალის რ.), ხობწყარი (მდინარე წალენჯიხის რ.), ოჩტაშწყარი (წყარო ხორშში, ცხაკაიას რ.), ოქუმწყარი (მდინარე გალის რ.), წენწყარი (ჭანისწყალი, მდინარე წალენჯიხის რ.), რუსწყარი (მდინარე ზუგდიდის რ.), ჭითაწყარი (ღელე ზუგდიდის რ.), კახაწყარი (მდინარე კახათში, ზუგდიდის რ.)...

11. ღალ(უ): სადაღალუ, მენჯიღალუ (ღელეები ხორშში, ცხაკაიას რ.), ოჩჩაღალუ, ჩეღალუ (ღელეები კორცხში, ჩხოროწყუს რ.), ქვაბღალი (ღელე ზეწურწუმეში, ჩხოროწყუს რ.), კაჭრაშღალი, კგნტგრიღალი (ღელეები ჩხორთოლში, გალის რ.), მენჯიშღალი, ხუმღალი (ღელეები რეჩხში, გალის რ.)...

12. წყუ: ჩხოროწყუ (წყარო ჩხოროწყუს რ.), აბანაშწყუ, ჩაჯგირიშწყუ, ხურცემწყუ (წყაროები ჩაკიანში, ჩხოროწყუს რ.), ჯაგაწყუ (წყარო ზეწურწუმეში, ჩხოროწყუს რ.)...

13. წყურგილი: ჯაბეში წყურგილი, ზეჭყოჭყეში წყურგილი, კაქინაში წყურგილი (წყაროები ჩაფიჩხოვოში, ჩხოროწყუს რ.), ბოხაში წყურგილი, კაიში წყურგილი, პილაში წყურგილი, ქოლოში წყურგილი (წყაროები ზუმში, ჩხოროწყუს რ.), კაციშ წყურგილი, კვაყეშ წყურგილი (წყაროები ჩხორთოლში, გალის რ.)...

ხალხური ტრადიცია იცნობს ამ სიტყვათშეერთებათა გამარტივების შემთხვევებსაც. ხშირად მდინარეთა სახელწოდებანი გადმოცემულია უეპითეტოდ, ე. ი. ამოვარდნილია მსაზღვრელი, დარჩენილია საზღვრული:

ატენის მდინარე — ატენი
სუფსის მდინარე — სუფსა
თეძმის მდინარე — თეძამი
კოდორის მდინარე — კოდორი
მეჯვდის მდინარე — მეჯვდა (მეჯუდა)
სპერის მდინარე — სპერი...

VI. ჰიდრონიმთა ერთი რიგი მიღებულია იმ დასახელებულ პუნქტთა სახელებისაგან, რომელთანაც ის დაკავშირებულია გეოგრაფიულად. ისტორიულად ასე მიუღია სახელი ზოგიერთ მდინარეს, ტბას, წყაროს. ვახუშტი ბაგრატიონის

---

1 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. თხზ., გვ. 56, 58, 63, 73, 78.

2 იური სიხარულიძე, დასახ. თხზ., გვ. 93, 158.

ცნობები ცხადყოფენ, რომ ჰიდრონიმთა წარმოქმნის ეს პროცესი საერთო ყოფილა ქართველურ ენებზე მოლაპარაკე ყველა ტომისათვის.

ასეა მიღებული: აგარისწყალი (აგარისაგან), აკეთისწყალი (აკეთისაგან), ალისწყალი (ალისაგან), ამაშუკეთის ხევი (ამაშუკეთისაგან), არგვეთისწყალი (არგვეთისაგან), ასპინძისხევი (ასპინძისაგან), აჩხოტისხევი (აჩხოტისაგან), აჯარისწყალი (აჯარისაგან), ბახვისწყალი (ბახვისაგან)...

ბევრი ჰიდრონიმი ინახავს ისეთი ტოპონიმის ფუძესაც, რომელსაც აღარ იცნობს თანამედროვე გეოგრაფიული ნომენკლატურა. ამისთანა ჰიდრონიმი, ცხადია, წარმოადგენს ერთ-ერთ სანდო წყაროს, რომლის მიხედვით შეიძლება აღვადგინოთ გარდასული დასახლებული პუნქტი და განვსაზღვროთ მისი ადგილმდებარეობა. მსგავსი ჰიდრონიმები ბლომადაა შემონახული საისტორიო ქრონიკებსა და, კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში.

ვახუშტის, მაგალითად, დამოწმებული აქვს აწერისხევი[1], მაგრამ დღევანდელი ქართული ტოპონიმია არ იცნობს აწერას. წარხოცილი ტოპონიმი დასახელებულ წყაროში შემონახულია გენიტივის ფორმით. ასევე ვახუშტის ტეხულის ხეობაში მოხსენებული აქვს უსისტყის ხევი[2], მაგრამ ახლა ამ ხეობაში უსა თუ უსი აღარ ახსოვთ. იქვე დამოწმებულია: მახუტის ხევი, დალავრის ხევი[3], ხინწის ხევი, გეტის ხევი[4], საფიქლის ხევი[5], მაგრამ დღეს უცნობია ტოპონიმები: მახუტი, დალავერი, ხინწა, გეტი, საფიქალი. ასევე მდ. ქციის (ხრამის) შენაკადებიდან დასახელებულია: ბეშკენაშენის ხევი, ირან-ყურანის ხევი, კოხტაცრიცის ხევი, საპონაურის ხევი, ცხვრისის ხევი, კოხაჯის ხევი, ავლადის ხევი, ხევდრმის ხევი, ანდრაპოლთისის ხევი, აბანოს ხევი, კარწახის ხევი, ძველგომარეთის ხევი, ფოცხვერიანის ხევი და დორნეს ხევი[6]. ამ 14 დასახელებული პუნქტიდან, რომელთა უძველესი სახელწოდებანი საფუძვლად უძევს სათანადო ჰიდრონიმებს, შემორჩენილია მხოლოდ სამი (აბანო, კარწახი, გომარეთი), დანარჩენი კი უცნობია და შემონახულია როგორც ჰიდრონიმი. მდ. ალგეთის შენაკადებიდან დამოწმებულია: საყავრის ხევი, მქავის ხევი, კველთეთის ხევი, ზაკვის ხევი, ჭვალთა-ლოლოვნის ხევი, გუდარეხის ხევი, ამლივის წყალი, საღირაშენის ხევი, ზრბითის ხევი, ბოგვისხევი, ასურეთის ხევი და იოუბნის ხევი[7]. ამ ტოპონიმებიდან, რომელთა ფუძეები შესულია მოხსენებულ სიტყვათშეერთებებში, დღეს ცნობილია მხოლოდ ოთხი (გუდარეხი, ბოგვი, ასურეთი, იოუბანი), დავიწყებულია შვიდი (საყავრე,

---

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. თხზ., გვ. 71.
[2] იქვე, გვ. 72.
[3] იქვე, გვ. 36.
[4] იქვე, გვ. 39.
[5] იქვე, გვ. 41.
[6] იქვე, გვ. 42—44.
[7] იქვე, გვ. 46—48.

მქავე, ჩველთეთი, ძველთალილოვანი, ამლივი, საღირაშენი, ზრბითი). ამლიერ უნდა იყოს თანამედროვე ამლევი (სოფელი ოეთრიწყაროს რ.): ამლევის წყალი ნიშნავს სასმელ წყალს.

ქართლში გვაქვს მდინარე მეჯუდა (ისტორიულად მეჯვდა [1]), საიდანაც მიღებულია მეჯვრისხევი, რომელსაც, ა. შანიძის დაკვირვებით, „ძველად მეჯუდის ხევი უნდა რქმეოდა“ [2]. მკვლევრის ვარაუდი უეჭველია: მეჯუდის ჴევს ხალხური გააზრებით მიუღია მეჯვრისხევის სახე. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ვახუშტის ცნობა სველნეთის ფშანზე. „ერთვის მეჯვდას სველნეთის ფშანი“ [3]. როგორ უნდა გავიგოთ ეგ ორი სიტყვა — სველნეთი და ფშანი?

ფშანი ძველი ქართული სიტყვაა; ფშა, საბას მიხედვით, არის „მდინარისაგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“ (ნ. „ფშა“), ან: „უკეთუ მდინარისა მახლობლად მისგანვე გამოდიან წყარონი, არა უწოდთ წყაროდ, არამედ ფშად“ (ნ. „წყარო“), ფშა-ნ-ი კი მისი მრავლობითი რიცხვის ფორმაა: „მრავალ ფშა“ (საბა). ასევე მრავლობითი რიცხვის ფორმა უნდა იყოს სველნეთიც: სველ ნიშნავს დალტობილს (საბა), -ნ- მრავლობითობის, -ეთ კი ტოპონიმთა საწარმოქმნო აფიქსია; დღევანდელი ტრადიცია ტოპონიმს იცნობს ლ-ს ჩავარდნით: სვენეთი.

ქართულ ჰიდრონიმთა უძველეს ფონდში შემონახულია კვალი მდინარეთათვის პირთა სახელის წოდების ტრადიციისა. ასე უნდა იყოს, მაგალითად, წარმოქმნილი გუბაზოული (მდინარე ხოხატაურის რ.), რომლის ფუძედ ჩანს ლაზთა მეფის საკუთარი სახელი გუბაზ-ი [4] (ცხოვრობდა VI საუკუნეში).

ასე გვესახება ჩვენ ქართულ ჰიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფები. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჰიდრონიმიკა დამოუკიდებელ ან განკერძოებულ ლექსიკურ ფენომენს არ წარმოადგენს. იგი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და ტოპონიმებთან ერთად იმეორებს საკუთარი სახელის ყველა ძირითად სტრუქტურულ-სემანტიკურ თავისებურებას. სტრუქტურით, წარმოქმნით, ფუნქციით, წინადადებაში მოხმარებით ჰიდრონიმი ენის ისეთივე ერთეულია, როგორც ცალკე აღებული საკუთარი სახელი, ბრუნებადი სიტყვა თუ სიტყვათშეერთება.

---

1 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. თხზ., გვ. 73—75.

2 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 141.

3 ვახუშტი ბაგრატიონი, დასახ. თხზ., გვ. 74.

4 И. В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слои в гурийском, М.—Л., 193-, გვ. 91.

თინათინ ყაუხჩიშვილი

პოლიბიოსის ცნობები საქართველოს შესახებ

ბერძენი ისტორიკოსი პოლიბიოსი ცხოვრობდა ძვ. წ. II ს-ში და მისი სახელით დღემდე მოღწეულია ნაშრომი Ἱστορίαι (ისტორია), რომელიც შედგებოდა 40 წიგნისაგან. აქედან პირველი 5 მთლიანად არის მოღწეული, VI—XVIII წიგნების დიდი და საკმაოდ გაბმული ნაწყვეტებია გადარჩენილი, ხოლო, რაც შეეხება დანარჩენთ, იქიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული. სრულიად დაკარგულია მე-17, მე-19, 37-ე და მე-40 წიგნები. პოლიბიოსის „ისტორია“ არის მსოფლიო (და არა კერძოობითი) ისტორია; ბერძნულ მწერლობაში იგი არის ამ ჟანრის შემქმნელი და დამამკვიდრებელი. მას განხილული აქვს შედარებით პატარა პერიოდის (დაახლოებით 70 წლის) ისტორია. ავტორი ძირითადად გადმოსცემს იმ ამბებს, რომლის მომსწრე და მონაწილე თვითონ იყო. პოლიბიოსის „ისტორია“ არის ერთი ძირითადი წყარო ე. წ. II პუნიკური ომისათვის, თუმცა ამას გარდა იქ ბევრი საინტერესო მასალაა მსოფლიო ისტორიისათვის.

როდესაც ლაპარაკია ხოლმე რომელიმე მწერლის ცნობებზე საქართველოს შესახებ, ჩვეულებრივ მოველით აღწერილობას დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებისას, ჩამოთვლას ამ ტომებისას, ქალაქებისა და მდინარეების დასახელებას და სხვ. ასეთი რამ პოლიბიოსს არ მოეპოვება; უთუოდ ეს გარემოებაა მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ისტორიის მკვლევარნი, რომლებიც უხვად სარგებლობენ ბერძენი და რომაელი ავტორების თხზულებებში შემონახული მასალით, იშვიათად მიმართავენ ხოლმე პოლიბიოსს, რომელსაც, ჩემი აზრით, პირველხარისხოვანი ცნობები აქვს საქართველოს შესახებ.

მე არ შევჩერდები იმ ცნობებზე, რომელთაც წმინდა გეოგრაფიული ხასიათი აქვთ და რომელთა შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრი მსჯელობაა (უპირატესად იმ ასპექტში, პოლიბიოსმა თვითონ ინახულა თუ არა პონტოს ქვეყნები). არც იმ ცნობებს განვიხილავ ამჯერად, სადაც არგონავტთა მითის ხსენებაა, რადგან ისინი, ასე ვთქვათ, გაკვრით ეხებიან იაზონის ლაშქრობას კოლხიდაში და საგანგებო მნიშვნელობა არა აქვთ არც თვით მითისათვის და არც საკუთ-

რივ საქართველოს ისტორიისათვის. მე მინდა ერთი რიგის ცნობების განხილვა, რაც გადმოცემულია ბიზანტიონისა და როდოსელთა 219 წლის ბრძოლასთან დაკავშირებით და სადაც ქ. ბიზანტიონის შესახებ არის მსჯელობა, ხოლო ბიზანტიონთან დაკავშირებით პონტოსპირეთის ქვეყნებზეა ლაპარაკი. პოლიბიოსის სიტყვით რომ ვთქვათ, ბიზანტიონელები ისე არიან დასახლებული, რომ ზღვის მხრივ საუკეთესო მდებარეობა აქვთ, როგორც უშიშროების თვალსაზრისით, ასევე სიმდიდრის მოსაპოვებლად, ხოლო ხმელეთის მხრივ ორივე თვალსაზრისით ძალიან არახელსაყრელი მდგომარეობა აქვთ. პონტოზე ისინი ისე მფლობელობენ, რომ მათი ნება-სურვილის გარეშე ვერც შიგ შევლენ და ვერც იქიდან გამოვლენ სავაჭრო ხომალდები. პონტოში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ესაჭიროებათ სხვა ხალხებს და ყოველივე ეს ბიზანტიონელების ხელშია; ხალხები, რომლებიც პონტოს ირგვლივ ცხოვრობენ, ამარაგებენ ბერძნებსა და რომაელებს (პოლიბიოსი აქ ხმარობს სიტყვას „ჩვენ“) საქონლითა და დიდი რაოდენობის საუკეთესო მონებით. ამას გარდა, პონტო აწვდის ბერძნებსა და რომაელებს ფუფუნების საგნებსაც: თაფლს, ცვილს, დამარილებულ თევზს—ასევე დიდი რაოდენობით. სამაგიეროდ, პონტოსპირეთის ქვეყნებში ამათ შეაქვთ ზეთი და ყოველგვარი ღვინო, პურს კი უცვლიან ხოლმე ესენი ერთმანეთს, როცა რომელიმეს აქვს ამისი გაჭირვება (IV, 38, 1—5).

რომ პონტოს მიმართ ვაჭრებს დიდი ინტერესი ჰქონდათ, ამას მოწმობს პოლიბიოსის მეორე ცნობაც: თრაკიის გალატების მეფემ, კავაროსმა, რომელიც ნამდვილი მეფური სულგრძელობის მქონე იყო, მისცა ვაჭრებს საშუალება პონტოზე თავისუფლად ცურვისა (VIII, 24). ან კიდევ: ბიზანტიონელები ხარკს ახდევინებდნენ ვაჭრებს, რომლებიც მიდიოდნენ პონტოში მონებისათვის ანდა სათევზაოდ (IV, 50, 2—3).

პონტოს დამარილებული თევზი დიდად საფუფუნო საგნად ითვლებოდა რომაელებისათვის, რასაც აღუშფოთებია სახელგანთქმული კატონი და მას საჯაროდ გაულაშქრია ამის წინააღმდეგ. მოყვანილია მისი სიტყვის ნაწყვეტები, სადაც ნათქვამია: პონტოს ერთი ჭურჭელი დამარილებული თევზი უფრო მეტად ფასობს რომაელებისათვის, ვიდრე გუთნის დედები, ანდა საყანე მიწის ნაკვეთიო (XXXI, 24, 1—4).

აქ მინდა ასეთი შენიშვნის გაკეთება: ჭურჭელი ბერძნულად არის κεράμιον, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს თიხის ნებისმიერ ჭურჭელს, შემდეგ—ისეთ ჭურჭელს, რომელშიც ჩადის ერთი μετρήτης ღვინო. რუსულ თარგმანში გვაქვს бочонок; ინგლისურში—jar. ჩემ მიერ ნახმარი გამოთქმა „დამარილებული თევზი“ ბერძნულ დედანში შეესაბამება სიტყვას τάριχος. ეს სიტყვა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს დაბალზამებულ გვამს—იქნება ის ადამიანისა, თუ რომელიმე ცხოველისა (Pape, Δημητράκου...), შემდეგ დაუმკვიდრდა ის ხორცსა თუ თევზს, რომელიც არის დამარილებული, შებოლილი, თუ რაღაცნაირად შემზადებული შესანახავად.

ამ ძირისაგან (ταριχ) ბევრი სიტყვაა წარმოებული და თითქოს უმრავლეს შემთხვევაში ისინი „დამარილებულ თევზს“ აღნიშნავენ. რუსულ თარგმანში მიშჩენკო და ლატიშევი ხმარობენ соленая рыба-ს; გერმანულ თარგმანებში Haakh-ი eingesalzene Fische-ს, ხოლო Benicken-ი Salzspeisen-ს; ფრანგულ თარგმანებში (ბუშოსა და ბაუშონისა) არის viandes salées (დამარილებული ხორცი); Paton-ის ინგლისურ თარგმანში ერთ შემთხვევაში (IV, 38) არის preserved fish,

ხოლო მეორეში caviar (XXXI, 24, 1—4), რაც, ცხადია, ერთი და იგივე არ არის: preserved fish არის დაკონსერვებული თევზი, ხოლო caviar — ხიზილალა. Ⴓთუოდ, რადგან Ⴉატონი აღშფოთებას გამოთქვამს უზომო ფუფუნებისადმი რომაელთა მიდრეკილების გამო, საფუფუნო საგნად მთარგმნელმა უფრო ხიზილალა მიიჩნია, ვიდრე თევზის კონსერვი. Ⴑხვათა შორის, Ⴋიშჩენკოს ამ მეორე შემთხვევაში (XXXI, 24, 1—4) აქვს сельди და არა ზოგადად соленая рыба.

ταρῖχος თევზის არავითარ კონკრეტულ სახეობას არ აღნიშნავს (და, საერთოდ, არც თევზს ნიშნავს. Ⴄსაა დაბალზამებული, დამარილებული გვამი, სხეული და შემდეგ კონკრეტდება, თუ ვის ეკუთვნის ეს სხეული). Ⴐა თქმა უნდა, Ⴎონტოს თევზების შესწავლის შემდეგ ჩვენ შეიძლება დავაზუსტოთ, თუ რომელი თევზი იყო კარგი და საექსპორტო. Ⴃღესდღეობით, რამდენადაც ვიცი, Ⴉასპიის ზღვის თევზია განთქმული და არა Ⴘავი ზღვისა. Ⴋაგრამ Ⴎოლიბიოსის დროისათვის, როგორც ჩანს, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო საგანი ყოფილა. Ⴋხოლოდ მოსაზრების სახით მინდა წამოვაყენო შემდეგი: Ⴉლავდიუს Ⴄლიანუსი (II—III სს.) თავის შრომაში „Ⴚხოველთა შესახებ“ (XV, 5) დაწვრილებით აგვიწერს Ⴘავ ზღვაში არსებულ სკუმბრიას (σκόμβρος), რომლის დაჭერასთან დაკავშირებული პროცედურა მას საინტერესოდ და გადმოცემის ღირსად მიაჩნია. Ⴘავი ზღვის სკუმბრიის შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ Ⴠეროდოტე და Ⴀრისტოტელე, მაგრამ ყველაზე დაწვრილებითი ცნობები მის შესახებ Ⴉლავდიუს Ⴄლიანუსს აქვს.

სკუმბრიას ძველ ქართულ ტექსტებში შეესატყვისება თჳნასი, ჩვენი თანამედროვე ზოოლოგები კი მისთვის ამ, როგორც ჩანს, არაქართულ სახელს ტოვებენ. Ⴀ. Ⴟანაშვილი სკუმბრიის შესახებ წერს: „Ⴘავ ზღვაში ეს თევზი მნიშვნელოვან სარეწაო ობიექტს წარმოადგენს“[1]. Ⴄგებ Ⴎოლიბიოსის მიერ ხსენებული საექსპორტო დამარილებული (თუ დაკონსერვებული) თევზი სწორედ სკუმბრია იყო?

Ⴇევზს გარდა, საფუფუნო საგანთაგან Ⴘავი ზღვისპირეთიდან გააქვთ თაფლი და ცვილი. Ⴎონტოს თაფლის შესახებ, Ⴎოლიბიოსს გარდა, ძველ მწერალთაგან ცნობები მოეპოვებათ: Ⴕსენოფონტს, Ⴀრისტოტელეს, Ⴑტრაბონს, Ⴎლინიუსს და Ⴉლავდიუს Ⴄლიანუსს.

Ⴕსენოფონტი წერს (Ⴀნაბასისი, IV, 8, 20): Ⴒრაპეზუნტის მიდამოში რომ მივიდნენ ელინები, ბევრი სკა დახვდათ; ჯარისკაცებმა თაფლი რომ შეჭამეს, გონება დაკარგეს. Ⴋათ გული ერეოდათ, კუჭი აეშალათ, ფეხზე დგომა არავის შეეძლო. Ⴅინც ცოტა შეჭამა, ისინი მთვრალებს ჰგავდნენ, ხოლო ვინც ბევრი—გიჟებს ანდა მომაკვდავებს, მაგრამ არავინ მომკვდარა. Ⴋეორე დღეს ისინი გონს მოვიდნენ, ხოლო მესამე და მეოთხე დღეს ადგნენ და ისე გრძნობდნენ თავს, თითქოს მოწამვლის მერე რჩებიანო.

Ⴀრისტოტელესთვის მიწერილ ნაშრომში (Ⴑაოცარ ამბავთა შეს. 18) ვკითხულობთ: „Ⴎონტოს Ⴒრაპეზუნტში მძიმესუნიან თაფლს იღებენ წიფლისაგან. Ⴀმბობენ, რომ ჯანმრთელ ადამიანებს ის აგიჟებს, ხოლო ბნედიანებს—მთლად სპობს“.

Ⴉლავდიუს Ⴄლიანუსი წერს: „Ⴋე ვიცი, რომ Ⴎონტოს Ⴒრაპეზუნტში თაფლს იღებენ წიფლისაგან. Ⴀმ თაფლს მეტად მძიმე სუნი აქვს. Ⴟანმრთელ ადამიანებს აგიჟებს, ხოლო ბნედიანებს კვლავ ჯანმრთელობას უბრუნებს“ (Ⴚხოველთა შეს. V, 42). (Ⴄლიანუსის ცნობა, გარდა უკანასკნელი წინადადებისა, სიტყვასიტყვით იმეო-

---

[1] Ⴞერხემლიანთა ზოოლოგია, Ⴇბილისი, 1952, გვ. 160.

რებს არისტოტელესას. უკანასკნელი წინადადება კი არისტოტელეს შესაბამისი ადგილის საპირისპიროა). პლინიუსი სკვითურ ფუტკარსა და თაფლზედაც ლაპარაკობს (II, 53): სკვითებს თავისი თაფლი და ცვილი გასაყიდადაც კი მიაქვთ, ჰყიდიან მიზიელებში (სკვითები საერთოდ ზოგადი ცნებაა, არ ხდება დაზუსტება, სახელდობრ რომელი სკვითები არიან, მაგრამ აქვე ლაპარაკია სიცივეზე, რაც ამ მხარეშია, ე. ი. რუსეთის ტერიტორიას ეხება საქმე. აღსანიშნავია ისიც, რომ თაფლი და ცვილი საექსპორტოა). სტრაბონი კოლხიდის აღწერისას გადმოგვცემს (გეოგრ. XI, 2, 17): „ქვეყანაში კარგი მოსავალი იცის, გარდა თაფლისა (ეს მეტწილად მწარეა) (და მოიპოვება) ნავთსაშენი ყოველივე მასალა, რადგან აქ მრავალი ტყე იზრდება და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: (ქვეყნის) გარეთაც კი გააქვთ".

პლინიუსი ამბობს: „საუკეთესო ცვილი არის პუნიკური, ხოლო ყველაზე უფრო ჰგავს მას პონტოს ქვეყნებისა — ის ყვითელი ფერისაა, თაფლის სუნიანი და სუფთა. ეს მე ძალიან მაკვირვებს, რადგან აქაური თაფლი შხამიანია" (NH, XXI, 83).

ამრიგად, პოლიბიოსის ცნობა, რომ პონტოსპირეთის მოსახლეობა საბერძნეთსა და რომს ამარაგებს საფუფუნო საგნებით — თევზით, თაფლითა და ცვილით — დადასტურებას პოვებს სხვა წყაროებშიც, რომელთაგან ზოგი მასზე ადრინდელია და ზოგიც შემდეგი ხანისა.

პონტოსთან მცხოვრები ხალხები ბერძნებსა და რომაელებს ამარაგებენ არასაფუფუნო საგანთაგან θρέμματα-თი და მონებით. θρέμμα ნიშნავს სხვა მნიშვნელობათა შორის აგრეთვე შინაურ ცხოველს, ე. ი. საქონელს. რუსულ თარგმანებში მიშჩენკო და ხატიშვილი წერენ скот-ს. ინგლისურ თარგმანში არის cattle (=მსხვილფეხა რქოსანი ცხოველები), ფრანგულში — betail (იგივე — საქონელი, скот — ყუში) და cuirs (ტყავები — ყაუშონი), გერმანულში — Fellen (ტყავები — ყენიკენი) და Heerden (საქონლის ჯოგი — Haakh-ი). ეს ადგილი ქართულად უნდა ვთარგმნოთ როგორც „საქონელი". ექსპორტის საგანი სწორედ საქონელი ჩანს (და არა ცალკე მისი ტყავი ან ხორცი) და ამასთან ერთად მონები[1].

ჩემს ხელთ არსებული მასალის მიხედვით თითქოს ისე ჩანს, რომ საქონლის, შინაური პირუტყვის ექსპორტის შესახებ სხვა ბერძნული წყაროები არაფერს ამბობენ. პონტოს ქვეყნების, სახელდობრ კოლხიდის მსხვილფეხა საქონლით სიმდიდრეზე წერს ქსენოფონტიც. მის ანაბასისში ვკითხულობთ: ტრაპეზუნტელები კარგად შეხვდნენ მისულ ელინებს და მიართვეს მათ ხარები, ქერის ფქვილი და ღვინო. კოლხებშიც ელინებს საჩუქრად ხარები მოუყვანეს (IV, 8, 23—24).

აქ ექსპორტზე ლაპარაკი არ არის.

---

[1] როგორც ჩანს, თარგმანებში რომ „ტყავი" გვაქვს, ეს მოდის ზოგი ხელნაწერის წაკითხვიდან: δέρματα, რაც გამომცემელთა მიერ უარყოფილია. თანაც კონტექსტით მ ო ნ ე ბ ი და ს ა ქ ო ნ ე ლ ი, როგორც საექსპორტო არასაფუფუნო საგანი, ერთად მოსახსენებლად უფრო მიზანშეწონილია. ამავე აზრისაა Walbank-იც Beloch-ზე დაყრდნობით: Historical commentary on Polybius. Vol. I, commentary on books I — VI, F. W. Walbank, Oxford, 1957, გვ. 486.

პონტოს ქვეყნები რომ ამარაგებდნენ საბერძნეთსა და რომს მონებით, ამის შესახებ თვით პოლიბიოსსავე აქვს ლაპარაკი მეორეგანაც (IV, 50).

სტრაბონის „გეოგრაფიაში" (XI, 2, 12) მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ჰენიოხები კამარებისგან ქმნიან ფლოტს და თავს ესხმიან დატვირთულ ხომალდებს ან რომელიმე ქვეყანას და ასე ფლობენ ზღვას. ბოსფორის მფლობელნი ზოგჯერ ეხმარებიან ხოლმე მათ, აძლევენ ნავთსაყუდლებს, ბაზარსა და ნადავლის გაყიდვის (საშუალებას); ხოლო როდესაც ჰენიოხები ბრუნდებიან საკუთარ ქვეყანაში, ვერ აგდებენ ღუზას, იღებენ მხრებზე კამარებს და მიაქვთ ტყეებში, რომლებშიც ცხოვრობენ, ამუშავებენ მწირ მიწას, შემდეგ კი, ნაოსნობის დრო რომ დგება, უკან, ზღვისკენ მიაქვთ კამარები. ამ დროს, კამარებს რომ ტყეებში ინახავენ, თვითონ დაეხეტებიან ფეხით დღე და ღამე ტყვეების მოპოვების მიზნით. მოპოვებულს ისინი იოლად თმობენ გამოსასყიდით.

ამ ცნობაში ლაპარაკია აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ნაწილი კოლხიდისა რომის გამგებლობაშია. ცნობაში ასახულია არა უხსოვარი, ლეგენდარული დრო, არამედ დაახლოებით პოლიბიოსისა და სტრაბონის ეპოქა: ე. ი. სტრაბონმაც იცის, რომ კოლხიდაში ტყვეებით ვაჭრობა ხდება, ზოგი მათგანი იყიდება ბოსფორის ტერიტორიაზე, ხოლო ზოგს გამოსასყიდით იბრუნებს უკან ის, ვისაც იგი მოსტაცეს. პოლიბიოსის ცნობაში არ სწერია სახელდებით, რომ მაინცადამაინც კოლხი მონებით მარაგდება რომი და საბერძნეთი, მაგრამ რომ ეს მონები პონტოსპირეთის ქვეყნებიდან არიან, ეს კი არის აღნიშნული. ხოლო პონტოსპირეთის ქვეყნებში ამ დროისათვის კოლხიდას უკანასკნელი ადგილი არ სჭერია.

საბერძნეთში მყოფი მონები იხსენიებიან ბერძნულ წარწერებში ძვ. წ. VI ს-დან. ბერლინის მუზეუმში დაცულია ათენში აღმოჩენილი უხვად ორნამენტირებული ჰიდრია წარწერით: Κόλχος μ' ἐποίησεν (კოლხმა გამაკეთა). ნივთი წარწერიანად ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრით არის დათარიღებული[1]. ამავე წლის ნამუშევრად ითვლება ათენში აღმოჩენილი ამფორა წარწერით: Εὐξίθεος ἐποίησε, [Κ]όλχος ἔ[γραφ]σεν — „ევქსითეომ გააკეთა, კოლხმა მოხატა"[2].

Κόλχος აქ სატომო სახელია და არა საკუთარი. ვინ შეიძლება იყოს ეს ათენში მოღვაწე კოლხი? პირდაპირი მითითება ამაზე არა გვაქვს, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ათენში ტყვედ მოხვედრილა და შემდეგ თავისი ნიჭის წყალობით თავი გამოუჩენია ხელოვნებაში. ლიტერატურაში ცნობილია V—IV სს-ის ათენელი მონებით მოვაჭრე კეფისოდორე, რომლის მონათა სიაში არის სახელები: თრაკიელი, სირიელი, კარიელი, ლიდიელი, სკვითი, კოლხი (Κόλχος)[3]. ამას გარდა, ათენში აღმოჩენილია ერთი საფლავის წარწერა: Εὐφροσύνη Χαιρήμονος Κολχίς ევფროსინე ჴაირემონისა, კოლხი. ამ წარწერის შესახებ ბ. გრაკოვი ასე მსჯელობს: „Судя по отчеству, здесь не рабыня, но либо вольноотпущенница, либо дочь вольноотпущенника. Впрочем, Херимон, м. б. владелец этой колхидянки. Колхи в качестве рабов известны в Афинах с класси-

---

[1] CJG, IV, 8239.

[2] Б. Н. Граков, Материалы по истории Скифии в греческих надписях: ВДИ, 1939, 3, გვ. 305, CJG, IV, 8200.

[3] Б. Н. Граков, აღნ. ნაშრომი: ВДИ, 1939, 3, გვ. 290.

ческого времени... Колхидянка — рабыня а Афинах упомянута у Антифрона во II в. н. э." (Epist. III, 61 = SC. გვ. 594)[1].

1964 წელს Ბოსფორში, Პანტიკაპეაში სხვა მასალებთან ერთად Ი. Მარჩენკომ აღმოაჩინა თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელზედაც არის გრაფიტო: Φολχος. Საფიქრებელია, რომ Κόλχος აქაც სატომო სახელი იყოს.

Ისე გარკვეულად ვერ ვიტყვით, თუ რას ნიშნავს Κόλχου Ოლბიის წარწერიდან, სადაც შემწირველ არქონტთა შორის იხსენიება Ῥαόδμηος Κόλχου[2]. Κόλχος აქ საკუთარ სახელს უფრო ჰგავს (Ჰაოდმეოსი კოლხოსის ძე?).

Ამრიგად, Პონტოსპირეთის მონების შესახებ ცნობებს გვაწვდიან მწერლები: Პოლიბიოსი, Სტრაბონი, Ალკიფრონი და წარწერები.

Პოლიბიოსის ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში (IV, 38) არის ასეთი ცნობაც: Ხალხები, რომლებიც Პონტოს ირგვლივ ცხოვრობენ, პურით ამარაგებენ რომაელებსა და ბერძნებს, როდესაც მათ ამისი ნაკლებობა აქვთ, და პირიქით — როდესაც Პონტოს მიდამოში პურის ნაკლებობაა, მაშინ იქიდან შემოდის აქ პური.

ВДИ-ის 1947 წლის № 3-ში გვ. 214 ამ ადგილის მიმართ არის ასეთი შენიშვნა: „Единственное в древней литературе, весьма интересное указание на то, что в неурожайные годы в припонтийские страны ввозили зерно".

Walbank-ს აქვს ასეთი შენიშვნა: „P'.s statement that the Black Sea now sometimes imported corn is confirmed by an early second-century inscription from Istrus (S. Lambrino, Dacia, 3 — 4, 1927 — 32, 400 ff.), honouring a Carthaginian who imported grain and sold it in the city, grain probably grown at Carthago. See Rostovtzeff, SEHHW, 585—602, 1462 n. 20:" Historical commentary on Polybius, I, Oxford, 1957, გვ. 486.

Საგულისხმოა Ჰეროდოტეს „Ისტორიის" ის ადგილები, რომლებიც მოწმობენ იმას, რომ Ევქსინის Პონტოს მიდამოების ქვეყნები პურით იყო მდიდარი და აქედან ეზიდებოდნენ პურს:

„Ქსერქსე რომ Აბიდოსში იყო, ნახა Პონტოდან Ჰელესპონტისაკენ მიმავალი პურით დატვირთული ხომალდები, რომლებიც მიდიოდნენ Ეგინასა და Პელოპონესში" (VII, 147).

Შესაძლებელია, იგივე პური მიჰქონდათ ხომალდებს Პონტოდან, რომელთაც იჭერდა Ჰისტიაიოსი, მილეტელი ტირანი: „ლესბოსელებმა Ჰისტიაიოსთან ერთად 8 ტრიერით გაცურეს Ბიზანტიონში, დასხდნენ იქ და Პონტოდან მომავალ ხომალდებს იპყრობდნენ..." (VI, 5). „Ეს რომ ეგრე მოხდა, Ჰისტიაიოს Მილეტელი Ბიზანტიონთან იმყოფებოდა და იჭერდა იონიურ საბარგო ხომალდებს, რომლებიც Პონტოდან მოდიოდნენ" (VI, 26).

---

[1] Იგივე ნაშრომი, გვ. 308. Უნდა შევნიშნოთ, რომ სინამდვილეში ეს არის Алкифрон და არა Антифрон. Ეპისტოლეში სწერია: „მე ვარ ძე Ანთემიონისა, უმდიდრესი (კაცისა) Ათენში და Აქსიოთეასი, რომელიც წარმოშობილია Მეგაკლეს გვარიდან, ის კი, ვინც ჩვენ ამას გვიკეთებს (შვილია) უცნობი მამისა და ბარბაროსი დედისა, ეგონებ სკვითისა, თუ კოლხისა, ახალ მთვარეზე ნაყიდისა".

[2] B. Latyschev, Inscriptiones antiquae O.SPE.I. 1916, გვ. 152, № 132.

მოსინიკების პურით სიმდიდრეზე წერს ქსენოფონტი (V, 4, 27): ელინებმა მოსინიკების სახლებში ნახეს წინა წელს აღებული, განიავებული პურის დიდი მარაგი და ამასთან ერთად ჯერ კიდევ გაულეწავი პური, იმ წლის მოსავალი.

ტრაპეზუნტელების ხარებით, ქერის პურითა და ღვინით სიმდიდრე ზემოთაც მქონდა აღნიშნული (IV, 8, 23). მოსინიკებისა და ტრაპეზუნტელების პურის ექსპორტზე ქსენოფონტი არაფერს ამბობს.

ამრიგად, პონტოსპირეთის ქვეყნების პურით სიმდიდრეზე და აქედან საბერძნეთში პურის ექსპორტზე პოლიბიოსზე ადრე არის ცნობები ლიტერატურაში. ხოლო, რაც შეეხება ჩვენს ქვეყნებში პურის შემოტანას, ВДИ-ს შენიშვნისა არ იყოს, სხვა წყაროებში, გარდა პოლიბიოსისა, ამ რიგის ცნობები არა ჩანს.

პოლიბიოსის ზემოთ განხილული ცნობები პონტოს ირგვლივ მცხოვრები ხალხების შესახებ (რომელთა შორის კოლხიდაც უნდა იგულისხმებოდეს: მდ. ფასისს ორჯერ ახსენებს პოლიბიოსი: IV, 56, 5; V, 55, 7) შეიცავენ პირველხარისხოვან მასალას ამ ქვეყნების ეკონომიური მდგომარეობის დასახასიათებლად.

სრულიად უდავოა, რომ ამ ქვეყნებს ცხოველი ურთიერთობა აქვთ იმდროინდელ რომთან და საბერძნეთთან, რაც სავსებით მოსალოდნელია იმის საფუძველზე, რომ მაგ., კოლხიდა მდიდარია ყოველგვარი ბუნებრივი რესურსებით (სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 17), მასში ბევრია ქალაქები და ნავსადგურები (ჰიპოკრატე, სკილაქსი, სტრაბონი...), სადაც მოსახლეობა სისტემატურად დადის, ისიც ფეხით კი არა, ნავებით — საამისოდ არხებიც კი არის გაყვანილი, მარტო სანაოსნო მდინარეები არ კმარა (ჰიპოკრატე, ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შეს. § 15). მოსახლეობის ეს მიმოსვლა იმის მომასწავებელია, რომ ქვეყნის შიგნით განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა არის, ხოლო ქვეყანა რომ საერთაშორისო ბაზარზედაც არის გამოსული, ამის კიდევ ერთხელ დამამტკიცებელი საბუთები პოლიბიოსს მოეპოვება. თანამედროვე ქართული არქეოლოგიის მონაპოვარი, მე ვფიქრობ, ამ დებულებას მხარს უჭერს და ამტკიცებს.

როდესაც პოლიბიოსის შემოქმედებას ახასიათებენ, აღნიშნავენ, რომ ისტორიკოსი საერთოდ პირველ რიგში იყენებდა იმ მასალას, რაც მის მიერ იყო მოპოვებული, ხოლო რაც მასზე უწინარეს იყო მომხდარი და ლიტერატურული წყაროების მიხედვით იყო მისთვის ცნობილი, ეს მას კრიტიკის ქარცეცხლში ჰქონდა გატარებული.

პონტოს შესახები ნაწილები მას იმ დროის ამბებთან დაკავშირებით მოჰყავს, რაც მასზე ცოტა ადრე მოხდა (III ს-ის მიწურულში), მაგრამ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის ამბავი ისეთი არ არის, რომ ამისათვის მაინცადამაინც თითო წლის სიზუსტეს ჰქონდეს მნიშვნელობა. ჯერ, ჰეროდოტეს დროიდან არის ლაპარაკი პონტოდან პურის გაზიდვაზე და, თუ პოლიბიოსი შემდეგ ამასვე ამბობს III ს-ის მიწურულისთვის, ადვილად დასაშვებია (და ასეც იყო), ეს გაზიდვა (და შემოტანა) მის დროსაც იქნებოდა.

ცალკე დგას საკითხი იმის შესახებ, პოლიბიოსმა, რომელსაც ბევრი უმოგზაურია და ბევრი ქვეყანა თვითონ უნახავს, პონტოს ქვეყნებიც თვითონ მოინახულა, თუ არა. სხვა მკვლევართა შესახებ რომ არაფერი ვთქვათ, მინდა მოვიხსენიო ორი: ერთი ე. ჭანოვი და მეორე ფ. უ. უოლბანკი, რომელთაც ორი საწინააღმდეგო აზრი გამოთქვეს ამ საკითხზე.

ხ. დანოვის აზრით, პოლიბიოსმა თვითონ მოინახულა ბიზანტიონი და საერთოდ პონტოს ირგვლივ მდებარე ადგილები (განსაკუთრებით ბევრია მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ პონტოსა და მეოტიდის შესახებ პოლიბიოსს უხვად აქვს გეოგრაფიული ხასიათის ცნობები). მან ადგილზევე შეკრიბა ბევრი მასალა, რაც მერე „ისტორიაში" შეიტანა. ამისათვის მოჰყავს მას ბევრი არგუმენტი. ავტოფსიასთან ერთად ხ. დანოვი აღიარებს პოლიბიოსის ლიტერატურულ წყაროებსაც; მაგ., ბიზანტიონისათვის — დემეტრიოსის ბიზანტიონელს, მეოტიდისა და ევქსინის პონტოსთვის — სტრატონ ლამფსაკოსელს, თრაკიელებისათვის — არისტოტელეს Νόμιμα βαρβαρικά-ს და სხვ.[1]

ფ. ვ. ვოლბანკი არ ეთანხმება ხ. დანოვს და აცხადებს, რომ პოლიბიოსი არასოდეს ყოფილა ბიზანტიონში (და პონტოსპირეთის ქვეყნებში) და მან შეკრიბა და გამოაქვეყნა სხვათა მიერ მოპოვებული მასალა (და ასახელებს ჰეროდოტეს, პერიპლუსებს, არისტოტელეს, თეოფრასტეს, სტრატონს, სტრაბონს და სხვათ)[2]. საბუთიანობა არც ამ შრომას აკლია, მაგრამ რამდენადაც ვითვალისწინებთ მეცნიერთა საერთო აზრს პოლიბიოსის შესახებ, ვფიქრობთ, უფრო სარწმუნოა ხ. დანოვი. სახელდობრ, პოლიბიოსი არ გააბამდა ვრცელ მსჯელობას ევქსინის პონტოს შესახებ (პერიმეტრი, თვისებები, ლამიანობა etc), რომ მას ამაზე პირადი დაკვირვებებიც არ ჰქონოდა. მას არ სჩვევია სასხვათაშორისო წიაღსვლები და შავი ზღვის თავისებურებების შესახებ მასალის მიწოდება ტექსტის ამ ნაწილისათვის აუცილებლობით არ არის გამოწვეული: მას გავლენა არ ჰქონია არც როდოსელთა და ბიზანტიონის ბრძოლაზე და არც პონტოსპირეთის და რომის სავაჭრო ურთიერთობაზე. პოლიბიოსმა ეს მასალა ჩაურთო იმიტომ, რომ თვითონ ბევრი ნახა, ბევრი შეისწავლა ადგილზე.

ქვემოთ მოგვყავს ის ნაწყვეტები პოლიბიოსის „ისტორიიდან", რომელთა შესახებ არის მსჯელობა წინამდებარე წერილში.

ბერძნული ტექსტი ამოწერილია Loeb-ის სერიის Paton-ისეული გამოცემიდან და შედარებულია Th. Buettner-Wobst-ის გამოცემასთან.

III, 2, 5[3]

Ῥόδιοι δὲ καὶ Προυσίας ἀναλαβόντες πρὸς Βυζαντίους πόλεμον ἠνάγκασαν αὐτοὺς ἀποστῆναι τοῦ παραγωγιάζειν τοὺς πλέοντας εἰς τὸν Πόντον.

ხოლო როდოსელებმა და პრუსიასმა წამოიწყეს ომი ბიზანტიონელების წინააღმდეგ და აიძულეს ისინი, ხელი აეღოთ იმათ დახარკვაზე, ვინც პონტოში მიცურავდა.

———————

[1] Полибий и сведенията му за източната половина на Балканския полуостровъ от Христо М. Дановъ, София, 1942, გვ. 62—64.

[2] Polybius on the Pontus and the Bosphorus, F. W. Walbank: Studies Robinson, I. 1951.

[3] ამის წინ არის თხრობა იმის შესახებ, თუ რა იყო მიზეზი კართაგენელთა და რომაელთა ომისა, თუ რატომ წარმოიშვა მტრობა ანტიოქოსსა და პტოლემაიოს ფილოპატორს შორის. შემდეგ პოლიბიოსი მოგვითხრობს როდოსელთა და ბიზანტიონელთა ომის შესახებ, რომელიც 219 წელს დაიწყო.

...κατὰ δὲ τοὺς αὐτοὺς καιροὺς ἐξήνεγκαν Ῥόδιοι Βυζαντίοις πόλεμον διά τινας τοιαύτας αἰτίας. Βυζάντιοι κατὰ μὲν θάλατταν εὐκαιρότατον οἰκοῦσι τόπον καὶ πρὸς ἀσφάλειαν καὶ πρὸς εὐδαιμονίαν πάντη τῶν ἐν τῇ καθ' ἡμᾶς οἰκουμένῃ, κατὰ δὲ γῆν πρὸς ἀμφότερα πάντων ἀφυέστατον. κατὰ μὲν γὰρ θάλατταν οὕτως ἐπίκειται τῷ στόματι τοῦ Πόντου κυρίως ὥστε μήτ' εἰσπλεῦσαι μήτ' ἐκπλεῦσαι δυνατὸν εἶναι... τῶν* ἐμπόρων χωρὶς τῆς ἐκείνων βουλήσεως. ἔχοντος δὲ τοῦ Πόντου πολλὰ τῶν πρὸς τὸν βίον εὐχρήστων τοῖς ἄλλοις ἀνθρώποις πάντων εἰσὶ τούτων κύριοι Βυζάντιοι. πρὸς μὲν γὰρ τὰς ἀναγκαίας τοῦ βίου χρείας τά τε θρέμματα καὶ τὸ τῶν εἰς τὰς δουλείας ἀγομένων σωμάτων πλῆθος οἱ κατὰ τὸν Πόντον ἡμῖν τόποι παρασκευάζουσι δαψιλέστατον καὶ χρησιμώτατον ὁμολογουμένως,** πρὸς δὲ περιουσίαν μέλι κηρὸν*** τάριχος ἀφθόνως ἡμῖν χορηγοῦσιν. δέχονταί γε**** μὴν τῶν ἐν τοῖς παρ' ἡμῖν τόποις περιττευόντων ἔλαιον καὶ πᾶν οἴνου γένος. σίτῳ δ' ἀμείβονται, ποτὲ μὲν εὐκαίρως διδόντες***** ποτὲ δὲ λαμβάνοντες. πάντων δὴ τούτων ἢ κωλύεσθαι δέον ἦν ὁλοσχερῶς τοὺς Ἕλληνας ἢ τελέως ἀλυσιτελῆ γίνεσθαι σφίσι τὴν ἀλλαγὴν αὐτῶν, Βυζαντίων

---

* B.—W-ს აქვს: *μήτ' ἐκπλεῦσαι (μηδένα) δυνατὸν εἶναι τῶν.*

** BW—არის წერტილი ზემოთ.

*** BW—არის *μέλι, κηρόν.*

**** BW არის: *χορηγοῦσι. δέχονται γε.*

***** BW არის: *διδόντες.*

IV, 37, 8 — 42, 8

Ⴀმავე დროს როდოსელებმა წამოიწყეს ომი ბიზანტიონელების წინააღმდეგ შემდეგი მიზეზების გამო. Ⴁიზანტიონე-
38,1 ლები ზღვის მხრივ საუკეთესო ადგილას ცხოვრობენ, როგორც უშიშროების, ასევე სიმდიდრის თვალსაზრისით მთელ ჩვენს დროინდელ სამყაროში, ხოლო ხმელეთის მხრივ (მათი საცხოვრისი) ორივე თვალსაზრისით ყველაზე უვარგისია. Ⴆღვის მხრივ ისინი ისე ეკვრიან Ⴎონტოს სრუტეს, რომ მათი სურვილის გარეშე სრულიად არ შეუძლია არც შესვლა და არც გამოსვლა (Ⴎონტოდან) არც ერთ სავაჭრო ხომალდს.
3. Ⴎონტოში ბევრი რამ არის ცხოვრებისათვის სასარგებლო სხვა ხალხებისათვის და ყოველივე ამის უფალნი ბიზანტიონელები
4. არიან. Ⴎონტოს ირგვლივ მდებარე ადგილები[1] გვამარაგებენ ჩვენ ცხოვრების საჭიროებისათვის ისეთი აუცილებელი (საგნებით), როგორიცაა (ოთხფეხი რქოსანი) საქონელი და მონობისათვის გამოსაყენებელი უდავოდ მრავალრიცხოვანი და საუკეთესო პირები. Ⴞოლო საფუფუნო (საგანთაგან) ისინი გვაწვდიან ჩვენ თაფლს, ცვილსა და დამარილებულ თევზს უხვად.
5. Ⴞოლო იქიდან, რაც ჩვენს ქვეყნებში ჭარბადაა, ისინი ღებულობენ ზეთსა და ყოველგვარ ღვინოს. Ⴞოლო პურის გაცვლა-გამოცვლა ხდება: ხან, როდესაც ეხერხებათ, გვაძლევენ, ხოლო ხან კი ღებულობენ (მას ჩვენგან).
6. Ⴄლინები ან სრულიად დაბრკოლდებოდნენ ყოველივე ამაში, ან მათთვის ამ (საგნებით) ვაჭრობა ყოვლად არამომგებიანი იქნებოდა, რომ ბიზანტიონელებს განეზრახათ მათ

---

[1] Walbank-ს აქვს შენიშვნა: „*οἱ κατὰ τὸν Πόντον... τόποι*: the cities of the Euxine and the kingdom of Bosporus“: Historical commentary on Polybius..., გვ. 486.

ἤτοι βουλομένων ἐθελοκακεῖν *, καὶ συνδυάζειν ποτὲ μὲν Γαλάταις ** τοτὲ δὲ πλείονα Θρᾳξὶν ***, ἢ τὸ παράπαν μὴ κατοικούντων τοὺς τόπους· διά τε γὰρ τὴν στενότητα τοῦ πόρου καὶ τὸ παρακείμενον πλῆθος τῶν βαρβάρων ἄπλους ἂν ἡμῖν ἦν ὁμολογουμένως ὁ Πόντος. μέγιστα μὲν οὖν ἴσως αὐτοῖς ἐκεῖνοις περιγίνεται λυσιτελῆ πρὸς τοὺς βίους διὰ τὰς τῶν τόπων ἰδιότητας· ἅπαν γὰρ τὸ μὲν περιττεῦον παρ' αὐτοῖς ἐξαγωγῆς, τὸ δὲ λεῖπον εἰσαγωγῆς ἑτοίμου τυγχάνει καὶ λυσιτελοῦς ἄνευ πάσης κακοπαθείας καὶ κινδύνου· πολλά γε μὴν καὶ τοῖς ἄλλοις εὔχρηστα δι' ἐκείνους, ὡς εἰρήκαμεν, ἀπαντᾷ. διὸ καὶ κοινοί τινες ὡς εὐεργέται πάντων ὑπάρχοντες εἰκότως ἂν οὐ μόνον χάριτος **** ἀλλὰ καὶ ἐπικουρίας κοινῆς τυγχάνοιεν ὑπὸ τῶν Ἑλλήνων κατὰ τὰς ὑπὸ τῶν βαρβάρων περιστάσεις. Ἐπεὶ δὲ παρὰ τοῖς πλείστοις ἀγνοεῖσθαι συνεβαίνει τὴν ἰδιότητα καὶ τὴν εὐφυΐαν τοῦ τόπου ***** διὰ τὸ μικρὸν ἔξω κεῖσθαι τῶν ἐπισκοπουμένων μερῶν τῆς οἰκουμένης, βουλόμεθα δὲ πάντες εἰδέναι τὰ τοιαῦτα, καὶ μάλιστα μὲν αὐτόπται γίνεσθαι τῶν ἐχόντων παρηλλαγμένον τι καὶ διαφέρον τόπων, εἰ δὲ μὴ τοῦτο δυνατόν, ἐννοίας γε καὶ τύπους ἔχειν ἐν αὐτοῖς ὡς ἔγγιστα τῆς ἀληθείας, ῥητέον ἂν εἴη τι τὸ συμβαῖνόν ἐστι καὶ τί τὸ ποιοῦν τὴν τηλικαύτην καὶ τοι-

მიმართ რაიმე ცუდი, და პირი შეეკრათ გა-
ლატებთან, ანდა უფრო უარესი—თრაკიე-
ლებთან, ანდა სულაც რომ არ ეცხოვ-
რათ ამ ადგილებში. რადგან გასასვლე-
7. ლის სივიწროვისა და მის ირგვლივ მცხოვ-
რებ ბარბაროსთა სიმრავლის გამო [1] პონ-
ტო სულ დანამდვილებით ჩვენთვის გა-
8. მოუსადეგარი იქნებოდა საცურაოდ. ამრი-
გად, (ბიზანტიონელები) ყველაზე დიდ
სარგებელს ცხოვრებაში თვითონ ნახუ-
ლობენ თავისი ადგილების საგანგებო მდე-
9. ბარეობის გამო. რადგან ყველაფერი, რაც
კი მათ მოჭარბებული აქვთ, გააქვთ, ხო-
ლო, რაც აკლიათ, შემოაქვთ სასწრაფოდა
და მომგებიანად, ყოველგვარი გაჭირ-
10. ვებისა და საფრთხის გარეშე. თუმცა,
როგორც უკვე ვთქვი, (ბიზანტიონელე-
ბის) მიზეზით სხვებსაც უკეთდებათ ბევრი
სასარგებლო რამ. ამიტომ, რადგან ისინი,
ასე ვთქვათ, საზოგადოდ ქველმოქმედნი
არიან, ამიტომ ბუნებრივია, რომ არა
მხოლოდ მადლობის (გრძნობა უნდა ჰქონ-
დეთ ელინებს მათ მიმართ), არამედ სა-
ხელმწიფოებრივ დახმარებასაც უნდა უწევ-
დნენ ელინები მათ მაშინ, როდესაც მათ
11. ბარბაროსები ავიწროვებენ. მაგრამ, რად-
განაც უმრავლესობამ არ იცის ამ ადგი-
ლის საგანგებო და კარგი მდებარეობა,
რაკი ის ცოტა განზე მდებარეობს სამყა-
როს იმ ნაწილებისაგან, რომელთაც ჩვეუ-
12. ლებრივ ნახულობენ ხოლმე, ჩვენ კი გვინ-
და, რომ ყველამ იცოდეს ამისთანა რა-
მეები, განსაკუთრებით (სასურველია კაც-
მა) თვითონ მოინახულოს ასეთი განსხვა-
ვებული და გამორჩეული ადგილები, ხო-
ლო თუ ეს არ არის შესაძლებელი, წარ-
მოდგენა და აზრი უნდა გვქონდეს მათ
13. შესახებ, რაც შეიძლება ახლოს მდგომი

* BW არის: ἐθελοκακεῖν.

** BW არის: Γαλάταις.

*** BW არის: Θρᾳξίν.

**** BW არის: χάριτος.

***** BW არის: τόπου.

[1] მიშჩენკოს აქვს შენიშვნა: „Варварских народов: фракиян, гетов, тавров, скифов, сарматов, колхидян, дрилов, мосинойков и др. т. I, გვ. 515.

αὐτὴν εὐπορίαν τῆς προειρημένης πόλεως.

ჭეშმარიტებასთან. ამიტომ უნდა ითქვას იმის შესახებ, თუ რა ხდება და რა ქმნის ზემოხსენებული ქალაქის ამოდენა და ამნაირ წარმატებულებას.

IV, 46, 1 — 47, 2

46.1 οὗτοι δ' ἐκίνησαν μὲν ἅμα τοῖς περὶ Βρέννον ἐκ τῆς οἰκείας, διαφυγόντες δὲ τὸν περὶ Δελφοὺς κίνδυνον* καὶ παραγενόμενοι πρὸς τὸν Ἑλλήσποντον** εἰς μὲν τὴν Ἀσίαν οὐκ ἐπεραιώθησαν, αὐτοῦ δὲ κατέμειναν διὰ τὸ φιλοχωρῆσαι
2. τοῖς περὶ τὸ Βυζάντιον τόποις. οἳ καὶ κρατήσαντες τῶν Θρᾳκῶν, καὶ κατασκευασάμενοι βασίλειον τὴν
3. Τύλιν, εἰς ὁλοσχερῆ κίνδυνον ἦγον τοὺς Βυζαντίους. κατὰ μὲν οὖν τὰς ἀρχὰς ἐν ταῖς ἐφόδοις αὐτῶν***, ταῖς κατὰ Κομοντόριον τὸν πρῶτον βασιλεύσαντα, δῶρα διετέλουν οἱ Βυζάντιοι διδόντες ἀνὰ τρισχιλίους καὶ πεντακισχιλίους, ποτὲ
4. δὲ καὶ μυρίους χρυσοῦς, ἐφ' ᾧ μὴ καταφθείρειν τὴν χώραν αὐτῶν. τέλος δ' ἠναγκάσθησαν ὀγδοήκοντα τάλαντα συγχωρῆσαι φόρον τελεῖν κατ' ἐνιαυτὸν ἕως εἰς Καύαρον, ἐφ' οὗ κατελύθη μὲν
5. ἡ βασιλεία, τὸ δὲ γένος αὐτῶν ἐξεφθάρη πᾶν**** ὑπὸ Θρᾳκῶν ἐκ μεταβολῆς ἐπικρατηθέν. ἐν οἷς καιροῖς ὑπὸ τῶν φόρων πιεζούμενοι τὸ μὲν πρῶτον ἐπρέσβευον πρὸς τοὺς Ἕλληνας, δεόμενοι σφίσι
6. βοηθεῖν καὶ συγχορηγεῖν εἰς τοὺς περιεστῶτας καιρούς· τῶν δὲ πλείστων παρολιγωρούντων***** ἐγε-

ეს (გალატებმა) დატოვეს თავისი სამშობლო ბრენოსთან და მის მომხრეებთან ერთად. მას მერე, რაც დელფოში ხიფათს გადაურჩნენ და მოვიდნენ ჰელესპონტში, აზიაში არ გადასულან, არამედ დარჩნენ იქავე, რადგან ძალიან მოეწონათ ბიზანტიონთან მდებარე ადგილები. როდესაც მათ დასძლიეს თრაკიელები და სამეფო (ქალაქი) დააფუძნეს ტჳლისში, ბიზანტიონელებსაც მათგან დიდი საფრთხე უქადოდა. თავდაპირველად, როდესაც (გალატები) ესხმოდნენ თავს, მაშინ როდესაც ჰყავდათ მათ პირველი მეფე, კომონტორიოსი, ბიზანტიონელები საჩუქრებს აძლევდნენ მათ, უხდიდნენ 3000, 5000 და ზოგჯერ კიდევ 10000 ოქროს იმისათვის, რომ მათი ქვეყანა არ აეოხრებინათ. ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ, დასთანხმებოდნენ ყოველწლიურ ხარჯზე 80 ტალანტის რაოდენობით ვიდრე კავაროსამდე, რომლის დროსაც შეწყდა (გალატთა) მეფობა, ხოლო მათი ტომი მთლიანად ამოწყვიტეს თრაკიელებმა, რომლებმაც ისინი (გალატები) თვითონ დაიპყრეს. ამ დროს ხარკისაგან შეწუხებულმა (ბიზანტიონელებმა) პირველად მოციქულები გაუგზავნეს ელინებსა და სთხოვდნენ მათ შეწევნასა და დახმარებას ამ შექმნილ სახიფათო მდგომარეობაში. რადგან (ელინთა) უმეტესმა ნაწილმა არ მიაქცია ყურადღება მათ თხოვნას, (ბიზანტიონელები) იძულებული

* BW არის: κίνδυνον.
** BW არის: Ἑλλήσποντον.
*** BW არის: αὐτῶν.
**** BW არის: πᾶν.
***** BW: παρολιγωρούντων.

χείρησαν ἀπαναγκασθέντες παρα-
γωγιάζειν τοὺς τὸν Πόντον
πλέοντας.
47,1 μεγάλης δὲ γενομένης τῆς
ἀλυσιτελείας καὶ δυσχρηστίας πᾶ-
σιν ἐκ τοῦ τέλος πράττειν τοὺς
Βυζαντίους τῶν ἐξαγομένων ἐκ τοῦ
Πόντου, δεινὸν ἡγοῦντο, καὶ πάν-
τες ἐνεκάλουν οἱ πλοϊζόμενοι τοῖς
Ῥοδίοις διὰ τὸ δοκεῖν τούτους
προεστάναι τῶν κατὰ θάλατταν.
2. ἐξ οὗ συνέβη φῦναι τὸν πόλεμον *
ὑπὲρ οὗ νῦν ἡμεῖς ἱστορεῖν μέλ-
λομεν.

გახდნენ დაეხარკათ ისინი, ვინც Ⴎონტოში შეცურდებოდნენ.

Ⴐადგან ძალიან საზარალო და ძნელი იყო ყველასათვის, ვისაც კი Ⴎონტოდან გამოჰქონდა (საქონელი) და ამაში ხარკს უხდიდა ბიზანტიონელებს, ძალიან აღშფოთდნენ, და ყველამ, ვინც კი ეწეოდა ზღვაოსნობას, შესჩივლა როდოსელებს, რადგან ესენი მიჩნეულნი იყვნენ უპირველეს ხალხად მათ შორის, ვისაც ზღვაოსნობა უხდებოდა. Ⴀი, აქედან წარმოიშვა ომი, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა ვაპირებთ მოთხრობას.

IV, 50, 1—4

1. οἱ δὲ Βυζάντιοι τὸ μὲν πρῶ-
τον ἐρρωμένως ἐπολέμουν, πεπεισ-
μένοι τὸν μὲν Ἀχαιὸν σφίσι βοη-
θεῖν **, αὐτοὶ δὲ τὸν Τιβοίτην ἐκ
τῆς Μακεδονίας ἐπαγαγόντες ἀντι-
2. περιστήσειν τῷ Προυσίᾳ φόβους
καὶ κινδύνους, ὃς κατὰ τὴν προει-
ρημένην ὁρμὴν πολεμῶν παρείλετο
μὲν αὐτῶν τὸ καλούμενον ἐπὶ τοῦ
στόματος Ἱερόν, ὃ Βυζάντιοι μικ-
ροῖς ἀνώτερον χρόνοις μεγάλων
3. ὠνησάμενοι χρημάτων ἐσφετερί-
σαντο διὰ τὴν εὐκαιρίαν τοῦ τό-
που, βουλόμενοι μηδεμίαν ἀφορμὴν
μηδενὶ καταλιπεῖν μήτε κατὰ τῶν
εἰς τὸν Πόντον πλεόντων ἐμπόρων
μήτε περὶ τοὺς δούλους καὶ τὰς
ἐξ αὐτῆς τῆς θαλάττης ἐργασίας,
4. παρείλετο δὲ καὶ τὴν ἐπὶ τῆς

Ⴁიზანტიონელები თავდაპირველად თავგამოდებით იბრძოდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ Ⴀქაიოსი დაეხმარებოდა მათ, თვითონ კი მოიწვიეს Ⴋაკედონიიდან Ⴒიბოიტესი და ამითი Ⴎრუსიასს შიშსა და განსაცდელში უპირებდნენ ჩაგდებას. Ⴎრუსიასი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, გამწარებით იბრძოდა და წაართვა (ბიზანტიონელებს) ეგრეთწოდებული Ⴈერონი [1], რომელიც ზედ სრუტეზე მდებარეობს. (Ⴀმ Ⴈერონისათვის) ბიზანტიონელებმა სულ ცოტა ხნის წინ დიდი ფული გადაიხადეს და მიითვისეს ის ამ ადგილის კარგი მდებარეობის გამო, რადგან არაფრის გულისთვის არ უნდოდათ, რომ იქ ვინმე (სხვა) დამკვიდრებულიყო, Ⴎონტოზე მოცურავე ვაჭრების გამო, რომლებიც იქ მონებისათვის (მიდიოდნენ), ანდა იქიდან ზღვის სარეწაო (საქონელი)

———

* BW: *πόλεμον*.

** BW: *βοηθήσειν*.

———

[1] Ἱερόν — ინგ. the Holly place. ВДИ: Святое-святилище Зевса Урия, по преданию построенное Фриксом на пути в Колхиду, принадлежало византийцам и было расположено на малоазийском берегу Босфора.

Ἀσίας χώραν, ἣν κατεῖχον Βυζάντιοι τῆς Μυσίας πολλοὺς ἤδη χρόνους.

გამოჰქონდათ [1]. Ⴎრუსიასმა წაართვა მათ აგრეთვე Ⴀზიასთან მდებარე მხარეც, Ⴋისიის ნაწილი, რომელიც ეპყრათ ბიზანტიონელებს დიდი ხნის მანძილზე.

IV, 52, 5

(Ⴄხება Ⴁიზანტიონისა და Ⴐოდოსის საზავო ხელშეკრულებას, რომელიც ძვ. წ. 219 წ-ს დაიდო).

πρὸς μὲν Ῥοδίους ἁπλαῖ, Βυζαντίους μὲν μηδένα πράττειν τὸ διαγώγιον τῶν εἰς τὸν Πόντον πλεόντων, Ῥοδίους δὲ καὶ τοὺς συμμάχους τούτου γενομένου τὴν εἰρήνην ἄγειν πρὸς Βυζαντίους*,

Ⴐოდოსელებთან მათი ამბავი მარტივად იყო: ბიზანტიონელებს არ უნდა გადაეხდევინებინათ ხარჯი მათთვის, ვინც Ⴎონტოში შედიოდა, ხოლო როდოსელებს და მათ მოკავშირეებს მშვიდობიანობა უნდა დაეცვათ ბიზანტიონელების მიმართ.

IV, 56, 5

ἡ δὲ Σινώπη κεῖται μὲν ἐν τοῖς δεξιοῖς μέρεσι τοῦ Πόντου παρὰ τὸν εἰς Φᾶσιν πλοῦν, οἰκεῖται δ' ἐπί τινος χερρονήσου προτεινούσης εἰς τὸ πέλαγος, ἧς τὸν μὲν αὐχένα τὸν συνάπτοντα πρὸς τὴν Ἀσίαν, ὅς ἐστιν οὐ πλεῖον δυεῖν σταδίων, ἡ πόλις ἐπικειμένη διακλείει κυρίως.

Ⴑინოპე მდებარეობს Ⴎონტოს მარჯვენა მხარეზე [2] მისთვის, ვინც Ⴔასისში მიცურავს, და დაფუძნებულია ერთ-ერთ ნახევარკუნძულზე, რომელიც ზღვაშია შეჭრილი. (Ⴀმ ნახევარკუნძულის) ყელი უერთდება Ⴀზიას, ხოლო ყელი 2 სტადიონზე მეტი არ არის და ქალაქი, რომელიც მასზე მდებარეობს, მას სავსებით ჰკეტავს [3].

---

* BW: *Βυζαντίους*.

[1] Ⴄს ადგილი Ⴋიშჩენკოს ასე აქვს თარგმნილი: Византийцы не желали, чтобы утвердился здесь кто-либо другой и мешал им взимать пошлины с торговых людей, идущих в понт за рабами или за ловлею рыбы (Ⴘემდეგ არის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ ეს თარგმანი თავისუფალია და მთარგმნელი ეყრდნობა ზემოთ (38, 3 და III, 2, 5) მოყვანილ ადგილებს. Ⴀქვეა შენიშნული, რომ ἡ ἐκτῆς θαλάττης ἐργασία არის эксплуатация моря. Ⴈნგლისურ თარგმანში არის: „as they did not wish to leave anyone any base from which to attack traders with the Pontus or interfere with the slavetrade or the fishing“).

[2] Ⴈნგლ. თარგმანშია: on the southern shore of the Pontus.

[3] Ⴐუს. თარგმანში Ⴋიშჩენკოს აქვს: город оказывается совершенно отрезанным.

VIII, 22 (24)

Ὅτι Καύαρος ὁ βασιλεὺς τῶν 1.
ἐν τῇ Θράκῃ Γαλατῶν βασιλικὸς
ὑπάρχων τῇ φύσει καὶ μεγαλόφρων,
πολλὴν μὲν ἀσφάλειαν παρεσκεύαζε
τοῖς προσπλέουσι τῶν ἐμπόρων εἰς
τὸν Πόντον, μεγάλας δὲ παρείχετο 2.
χρείας τοῖς Βυζαντίοις ἐν τοῖς
πρὸς τοὺς Θρᾶκας καὶ Βιθυνοὺς
πολέμοις.

კავაროსმა, თრაკიაში მყოფი გალატების[1] მეფემ, რომელიც ბუნებით მეფური (სულისა) და ამაღლებული გონების (კაცი) იყო[2], დიდი ზრუნვა გამოიჩინა იმ ვაჭართა მიმართ, რომლებიც პონტოში ცურავდნენ, ხოლო ბიზანტიონელებს დიდი სამსახური გაუწია იმ ომებში, რომლებიც მათ თრაკიელებთან და ბითვინებთან ჰქონდათ.

XXVII, 7, 5

ὑπαρχούσης γὰρ τοῖς Ῥοδίοις ὑποψίας καὶ διαφορᾶς πρὸς τὸν Εὐμένη, πάλαι μὲν ἐκ τοῦ πολέμου τοῦ πρὸς Φαρνάκην, ὅτε, τοῦ βασιλέως Εὐμένους ἐφορμοῦντος ἐπὶ τοῦ κατὰ τὸν Ἑλλήσποντον στόματος χάριν τοῦ κωλύειν τοὺς πλέοντας εἰς τὸν Πόντον, ἐπελάβοντο τῆς ὁρμῆς αὐτοῦ καὶ διεκώλυσαν Ῥόδιοι,...

როდოსელებს ევმენესის მიმართ უნდობლობა და მტრული განწყობილება ჰქონდათ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, სახელდობრ ფარნაკესთან ომის დროიდან, რადგან მეფე ევმენესმა მაშინ თავისი ფლოტი დააყენა ჰელესპონტის სრუტესთან იმისათვის, რომ დაებრკოლებინა პონტოში შემსვლელი ხომალდები, ხოლო როდოსელებმა მას ამაში ხელი შეუშალეს და (მეფეს) გეგმა ჩაუშალეს.

XXXI, 24 *

Κάτων δὲ ἐκεῖνος, ὡς Πολύ- 1.
βιος ἱστορεῖ ἐν τῇ πρώτῃ καὶ τριακοστῇ τῶν ἱστοριῶν, ἐδυσχέραινε
καὶ ἐκεκράγει ὅτι τινὲς τὰς ξενι- 2.
κὰς τρυφὰς εἰσήγαγον εἰς τὴν
Ῥώμην, τριακοσίων μὲν δραχμῶν
κεράμιον ταρίχων Ποντικῶν ὠνησάμενοι, καὶ μειράκια δ' εὔμορφα
ὑπερβαλλούσης ἀγρῶν τιμῆς **. Ὅτι 3.
τοσαύτη τις ἀκολασία *** καὶ τη-

როგორც პოლიბიოსი თავისი „ისტორიის" 31-ე წიგნში მოგვითხრობს, ცნობილი კატონი თურმე ჯავრობდა და ყვიროდა, რომ ზოგიერთებს რომში შემოჰქონდათ უცხოური ფუფუნება, სამას დრაქმას იხდიდნენ ერთ ჭურჭელ პონტოურ დამარილებულ თევზში, ხოლო ლამაზი ჭაბუკის ფასი აღემატებოდა მიწის ნაკვეთის (ღირებულებას). რაღაცა იმისთანა თავშეუკავებლობა და უჩვეულო საქ-

* ბერძნული ტექსტი ამოწერილია Fr. Hultsch-ის გამოცემიდან, სხვა გამოცემებში ცოტა სხვაგვარად არის.

** ეს ორი პარაგრაფი სულ არ არის Loeb-ის სერიისა და Buettner-Wobst-ის გამოცემებში.

*** ეს ფრაზა არა აქვთ Loeb-ს და B. W-ს.

[1] ინგლისურ თარგმანშია: Gauls.

[2] რუსულ თარგმანშია: Надсленный от природы истинно царским великодушием.

λικαύτη* ἐνεπεπτώκει ἐκτοπωτάτων ἔργων τοῖς νέοις** ὥστε πολλοὺς μὲν ἐρώμενον ἠγορακέναι ταλάντου, πολλοὺς δὲ ταρίχου Ποντικοῦ κεράμιον τριακοσίων δραχμῶν. ἐφ' οἷς καὶ Μάρκος ἀγανακτῶν*** εἶπέ ποτε πρὸς τὸν δῆμον ὅτι μάλιστ' ἂν κατίδοιεν τὴν ἐπὶ χεῖρον**** προκοπὴν τῆς πολιτείας ἐκ τούτων, ὅταν πωλούμενοι πλεῖον εὑρίσκωσιν οἱ μὲν εὐπρεπεῖς παῖδες τῶν ἀγρῶν, τὰ δὲ κεράμια τοῦ ταρίχου τῶν ζευγηλατῶν.

მეების მიმართ (ლტოლვა) დაემართათ ახალგაზრდებს, რომ ბევრნი თურმე (ერთ) ტალანტად ყიდულობენ საყვარელ [ჭაბუკს], ხოლო ბევრნი კიდევ 300 დრაქმად—ერთ ჭურჭელ დამარილებულ თევზს.
4. ამის გამო გაჯავრებულმა მარკუსმა[1] თქვა სახალხო კრებაზე, რომ განსაკუთრებით კარგად ჩანს სახელმწიფოს[2] დაცემა იმის მიხედვით, რომ ლამაზი ჭაბუკები უფრო ძვირად იყიდებიან, ვიდრე საყანე მიწის ნაკვეთები, ხოლო ჭურჭელი დამარილებული თევზი (უფრო ძვირად ფასობს), ვიდრე გუთნის დედები[3].



* Loeb, B. W-ს აქვს: τηλικαύτη τις.

** Loeb, B. W.: ἐνεπεπτώκει περὶ τὰ τοιαῦτα τῶν ἔργων ἀκρασία τοῖς νέοις.

*** Loeb: (ἀγανακτῶν). B. W. (ἀγανακτῶν).

**** Loeb: (τὸ) χεῖρον BW: (τό) χεῖρον.

[1] ე. ი. კატონმა.

[2] ინგლისურ თარგმანშია: republic.

[3] რუს. თარგმანში არის: а за боченок сельдей платят больше чем за пару быков. ინგლ. jars of caviar more than ploughman. ζευγηλάτης, ὁ — пахарь. Treiber eines Gespanns,... bes. Zum Pflügen, ე. ი. მხვნელი ადამიანი (და არა ხარი).

სიმონ ყაუხჩიშვილი

ლათინურ-ქართული გრამატიკული პარალელები

1. მიმდეობითი ზმნები

გარდა ჩვეულებრივი პრეზენსისა, ლათინურ ზმნას მოეპოვება აგრეთვე ე. წ. ინტენსიური (და ხოლმეობითი) პრეზენსი (Praesens intensivum, Praesens frequentativum), რომელიც მნიშვნელობით „გამეორების“ ხასიათს ანიჭებს ზმნის შინაარსს, ხოლო წარმოშობით იგი სეკუნდარული წარმოებისაა: სახელდობრ, მას საფუძვლად უძევს ზმნის Participium perfecti passivi. მაგალითად:

Praesens	Participium p. p.	Praesens intensivum (frequent.)
cano	cantus	int. canto „ვმღერი ხოლმე“
capio	captus	int. capto „ვიტაცებ ხოლმე“
cedo	cessus	frq. cesso „ჩამოვრჩები ხოლმე“
dico	dictus	int. dicto „ვამბობ ხოლმე“
do	datus	int. dato „ვაძლევ ხოლმე“
facio	factus	int. facto „ვაკეთებ“
		frq. factito „ვაკეთებ ხოლმე“
fugio	fugitus	int. fugito „სასწრაფოდ გავრბივარ“
habeo	habitus	frq. habito „მაქვს ხოლმე“
mitto	missus	frq. miss-it-o „ვგზავნი ხოლმე“
munio	munitus	int. munito „გზას გავკაფავ“
no	natus	frq. nato „ვცურავ ხოლმე“
pello	pulsus	int. pulso „ვეძგერები ხოლმე“
repello	repulsus	int. repulso „ვდევნი ხოლმე“
rependo	repensus	int. repenso „ვზღავ ხოლმე“
repo	reptus	int. repto „ვცოცავ ხოლმე“
sedeo	sessus	int. sessito „ვზივარ ხოლმე“
tango	tactus (*taxus)	frq. taxo[1] „შევეხები ხოლმე“

[1] ეს ზმნა, ლექსიკონების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არ არის აღიარებული როგორც intensivum ან frequentativum. რომ *taxus უნდა არსებულიყო, ჩანს იქიდან, რომ დადასტურებულია con. perfecti taxis (Varro sat. Men. 304; იხ. Georges s. v. tango).

Praesens	Participium p. p.	Praesens intensivum (frequent.)
tendo „გავჭიმავ“	tentus, tensus	int. tento[1] → tempto „ხელს ვტაცებ“
vivo	victus	int. victito „ვიკვებები ხოლმე“
volo	volatus	int. volito „დავფრინავ ხოლმე“

როგორ არის ახსნილი ამგვარი ზმნების წარმოშობა სამეცნიერო ლიტერატურაში? სამწუხაროდ, ლათინური ენის ისტორიული გრამატიკის ფუძემდებელ შრომებში (Stolz-Schmalz, A. Walde, Vaniček) ავტორები დუმან ინტენსიური და ფრენკვენტატიური ზმნების წარმოშობაზე: მოიპოვება მხოლოდ თითო-ოროლა შენიშვნები, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ.

რაც შეეხება სასკოლო სახელმძღვანელოებს, ზოგიერთ მათგანში მოცემული განმარტება სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი. ასე, მაგალითად, ს. სობოლევსკი თავის სახელმძღვანელოში (Грамматика латинского языка. Часть теоретическая: морфология, синтаксис. М. 1948, გვ. 123) წერს:

«Verba frequentativa (глаголы учащательные) оканчиваются на -to, -so, -ito, -tito и обозначают действие, повторяющееся или (иногда) только интенсивное. По-русски: глаголы многократного вида: Dicto диктую и dictito часто говорю (dictitabam говаривал), от dico говорю; verso часто верчу, от verto верчу; rogito часто спрашиваю, от rogo спрашиваю; habito живу, от habeo имею»[2].

რაც აქ სწერია, ყველაფერი მართალია, ხოლო გამოტოვებულია მთავარი რამ, სახელდობრ, რომ ეს ზმნები მეორადი წარმოშობისაა და მათ საფუძვლად უძევს Participium perfecti passivi. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმის თქმას, რომ ეს ზმნები ბოლოვდება (to so ito tito)-ზე; ყოველი ლათინური ზმნა აწმყოს პირველ პირში o-ზე ბოლოვდება. საჭირო იყო მხოლოდ იმის აღნიშვნა, თუ რა არის ამ o-ს წინ მდებარე t ან s (to, so) და მაშინ გაირკვეოდა, რომ ეს t ან s არის Participium perfecti passivi-ს სუფიქსი (dic-t-us, ver-s-us და სხვ.).

ამგვარად, ცხადია, რომ ზემოაღნიშნული ლათინური ზმნები იძლევიან სეკუნდარული წარმოშობის პრეზენსს, რომელსაც საფუძვლად უძევს მიმღეობითი წარმოება.

ანალოგიურ სურათს ვხედავთ ქართულ ზმნებში. ძველი ფუძეების საფუძველზე კეთდება მიმღეობა ვნებითი გვარისა (ილ ან ულ სუფიქსით), რომელიც შემდეგ -ობ თემის მეშვეობით აწარმოებს აწმყოს.

---

[1] ლექსიკონებში არ არის აღნიშნული (არც Georges-თან), რომ tento არის tendo-ს ინტენსიური ფორმა, მაგრამ A. Walde-ს მოჰყავს ის ასეთად: „tento ist ursprünglich ein zu tendo gehöriges Intensivum, v. Rozwadowski Anz. d. Krakauer Akad. 1892, 273. იხ. A. Walde, Et. W. 771. ასევე ამბობს Fr. Stolz: tentare eigentlich Intensivum von tendere (Lat. Gr. [1910] 147).

[2] იხ. აგრეთვე П. Сидоров и Э. Кесслер, Краткая грамматика латинского языка, СПб, 1893, გვ. 80; Учебник латинского языка, под общей редакцией В. Н. Ярхо и В. И. Лободы. М., 1961, გვ. 132.

(გა)გება	(გა)გებული	ვგებულობ
ჰკადრებს	*კადრული	ვკადრულობ
კითხვა	(წა)კითხული	ვკითხულობ
ლოცვა	(და)ლოცვილი →*ლოცული	ვლოცულობ
ნახვა	ნახული	ვნახულობ
პოვნა	პოვნილი	*ვპოვნილობ → ვპოულობ
სესხება	*სესხული	ვსესხულობ
(შე)ტყობა	(შე)ტყობილი	ვტყობილობ
(ა)ღება	(ა)ღებული	ვღებულობ
(ვ)ფიცავ	*ფიცული	ვფიცულობ
ყიდვა	*ყიდული	ვყიდულობ
ცდა	*ცდილი	ვცდილობ

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის დებულება, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში აწმყო ნაწარმოებია ვნებითი გვარის მიმღეობის ბაზაზე. მართალია, ზოგიერთი ამ ზმნისათვის არ არის დადასტურებული ცოცხალი ხმარება მიმღეობისა (მაგალითად: *კადრული, *ლოცული, *ცდილი და სხვა), მაგრამ სურათი ნათელია:

კითხული	კითხულობს
ნახული	ნახულობს
პოვნილი	*პოვნილობს → პოულობს

ეს არის ცოცხალ ხმარებაში დადასტურებული ფორმები და სიტყვები. ამათი ანალოგიით არის გაკეთებული

კადრულობს
ლოცულობს
ყიდულობს და სხვ.

მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ამათგანისათვის მეტყველ სუბიექტს თვალწინ შეიძლებოდა ჰქონოდა პრევერბიანი ფორმები

(მო)ყიდული
(შე)ტყობილი
(გან)ცდილი და მისთანანი.

ზემოთ მოყვანილი ზმნები ორგვარია: 1) ერთ ნაწილს მხოლოდ მიმღეობითი ფორმა აქვს (კადრულობს, ლოცულობს, ნახულობს...), 2) ზოგს კიდევ შემოუნახავს ორივენაირი ფორმა: მიმღეობიანი და უმიმღეობო:

ვიღებ	ვღებულობ
ვიგებ	ვგებულობ
ვფიცავ	ვფიცულობ

რამ გამოიწვია ქართულში მიმღეობითი ზმნების გაჩენა? ზემოთ მოყვანილ ზმნებს ჰქონდათ ძველ ქართულში არა მიმღეობითი აწმყო, მაგალითად: ვ პ ო ვ ე ბ ძველ ქართულში იყო პ რ ე ზ ე ნ ს ი, ისევე როგორც ვ ნ ა ხ ა ვ; ხოლო მის შემდეგ, რაც ქართული ენა გადავიდა ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე, ვ პ ო ვ ე ბ და ვ ნ ა ხ ა ვ აწმყოს წრიდან მყოფადობაში გადავიდნენ. „ამიტომ—ამბობს აკ. შ ა ნ ი ძ ე—საჭირო გახდა დაცარიელებული ადგილის ამოვსება ახლად შექმნილი ფორმებით. ამისთვის ენამ ფუძედ გამოიყენა ვნებითის მიმღეობა (უ ლ - ზე

და ილ-ზე გათავებული) და იქედან გააკეთა ახალი ზმნები (იგულისხმება—პრეზენსში ს. ყ.). ვუიდულობ, ვნახულობ, ვსესხულობ და სხვ. ესენი აწმყოს წრეში იხმარება, მყოფადისაში კი ძველი ფორმებია ხმარებული (იგულისხმება: ვიყიდი, ვნახავ, ვისესხებ.—ს. ყ.)“ [1].

ამრიგად, არავითარი ეჭვი არაა, რომ როგორც ლათინურში, ისე ქართულში მიმღეობითი ზმნების შედგენა ერთნაირად მომხდარა. ხოლო, თუ რამ გამოიწვია ამ ზმნების ასეთნაირად წარმოება, ეს კიდევ საკვლევია.



[1] აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ. 1953, გვ. 514; მისივე, ქართული ენის გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბ. 1962, გვ. 258—259.

სოლომონ ყუბანეიშვილი

დავით გურამიშვილი უკრაინაში

დიდი ქართველი პოეტი დავით გიორგის ძე გურამიშვილი (1705—1792) ლეკთა ტყვეობიდან გაქცევის შემდეგ მოსკოვში ჩავიდა და ვახტანგ VI ამალაში ჩაერიცხა. მოსკოვში ვახტანგი და მისი ამალის ნაწილი დავით გურამიშვილზე ექვსი წლით ადრე ჩავიდა. ქართველ მეფეს საცხოვრებლად პირველად რიაზანის არქიელის ბინა დაუთმეს, მისი მსახურნი კი — კოლომენის ქვემონასტერში მოათავსეს.

1729 წ. დეკემბერში ვახტანგ მეფეს პრესნაზე ებოძა რიაზანის ყოფილი მიტროპოლიტის სტეფანეს სახლი თავისი მიწის ნაკვეთით[1]. ეს სასახლე, გარდა

---

[1] 1735 წლის 1 მაისს პრესნაზე, სასახლის მახლობლად, საძოვრებისათვის ქართველებს დამატებით მიეცათ 134 1/7 დესეტინა მიწა. მიცემული მიწები ვახტანგის ამალისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ 1736 წლის 21 დეკემბერს ვახუშტი ბაგრატიონმა სთხოვა სენატს პრესნაზე მიწების მომატება. ეტყობა, ეს თხოვნა დაკმაყოფილებული არ ყოფილა. ამიტომ ამ საქმეზე ვახტანგ მეფის მეუღლეს რუსუდან დედოფალს სენატის წინაშე კვლავ აღუძრავს საკითხი. სენატს პრესნაზე ბოძებული მიწების შესამოწმებლად და გასაზომავად გაუგზავნია გეოდეზისტი. დააკმაყოფილა თუ არა სენატმა ქართველთა მოთხოვნა, საქმეებიდან არა ჩანს (ქართველების პრესნაზე ცხოვრების შესახებ დოკუმენტები დაცულია მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, იხ. სენატის კანტორის საქმე, წიგ. 389 (8061).

1748 წ. ბაქარმა მოსკოვის პოლიცმეისტერს სთხოვა, პრესნაზე მცხოვრები ქართველები მიეღოთ თავიანთ გამგებლობაში. პოლიციამ გასცა განკარგულება, მოეხდინათ ქართველთა აღწერა და მათზე განეხორციელებინათ პოლიციური მოვალეობანი, ე. ი. გამოეყვანათ საყარაულოდ და სხვ. ამავე დროს არქიტექტორს თავად დმ. უხტომსკის დაავალეს დასახლების გეგმის გადაღება. 8 აგვისტოს არქიტექტორმა წარადგინა დასახლების გეგმა, შემდეგ კი მოსახლეობის სია მამულების ჩვენებით (საქმეებში დაცულია პრესნაზე ქართველთა მოსახლეობის სია და დასახლების გეგმა, რომელიც შეიცავს 1766 წლის დედნიდან გადმოღებულ პირს. ამ საყურადღებო დოკუმენტს აქვე ვაქვეყნებთ). ქართველები არ დაემორჩილნენ პოლიციის მოთხოვნას, რაზედაც ბოქაულმა აცნობა სენატს.

25 აგვისტოს გიორგი ბატონიშვილმა პოლიციას შეატყობინა: პრესნაზე ქართველები 19 წელიწადია ცხოვრობენ და ამ ხნის განმავლობაში მათზე არავითარი პოლიციური თანამდებობის აღ-

იმისა, რომ ზამთარში გამოუსადეგარი იყო, საკმარისიც არ აღმოჩნდა, ამიტომ 1731 წ. Ვახტანგს Არბატში, Ამაღლების მონასტერთან, დამატებით უბოძეს Ვასილ Ლუკას ძე Დოლგორუკოვის ქვითნაშენი სასახლე.

Როდესაც Დავით Გურამიშვილი Მოსკოვში ჩავიდა, ამ დროს, ზემომოყვანილი ცნობების მიხედვით, Ვახტანგ მეფის მხლებლები Პრესნაზე იყვნენ დასახლებულნი. Საფიქრებელია, ჩვენს პოეტსაც აქ ეცხოვრა.

1738 წ. Ვახტანგის ამალიდან ქართველ ჰუსართა ასეული ჩამოყალიბდა. Მისმა წევრებმა Უკრაინაში მიიღეს მამულები და იქვე დასახლდნენ. Ამალის ნაწილი კი Პრესნაზე განაგრძობდა ცხოვრებას.

Უკრაინაში ახლად დასახლებულ ქართველთა შორის ირიცხებოდა დიდი ქართველი პატრიოტი და სამშობლოს მტრებთან მამაცი მებრძოლი ოფიცერი Დავით Გურამიშვილი. Უკრაინაში მისი ცხოვრება ორ პერიოდად იყოფა. Პირველი პერიოდი, რომელიც 1760 წლით მთავრდება, დიდმა პოეტმა სამხედრო სამსახურში გაატარა და სხვა ქართველ და რუს მებრძოლებთან ერთად ხელიხელჩაკიდებული იბრძოდა საერთო მტრის წინააღმდეგ. Მეორე პერიოდში კი Დავ. Გურამიშვილი მშვიდობიან ცხოვრებასა და შემოქმედებითს მუშაობას ეწეოდა.

Დ. Გურამიშვილის მოღვაწეობის პირველი პერიოდი ამ უკანასკნელ დროს თითქმის ამომწურავად იქნა შესწავლილი[1]. Მეორე პერიოდზე კი, ორიოდე ცნობის გარდა, არაფერი მოგვეპოვება. Პოლტავის არქივი, სადაც ამ საკითხზე იქნებოდა დოკუმენტები დაცული, 1943 წ. გერმანელმა ოკუპანტებმა დაწვეს. Ამიტომ მასალების ძიება Მოსკოვ-Ლენინგრადის არქივებში და ნაბეჭდ წყაროებში უნდა გაგრძელდეს.

Დავით Გურამიშვილს კარგად ჰქონდა შესწავლილი Უკრაინის მშრომელ-მოსახლეობის დუხჭირი ცხოვრება და საქმით ზრუნავდა მათი პირობების გაუმჯობესებისათვის, მრავალ „საწუნელ სნეულებისაგან" განკურნებისათვის. Როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ასეთ „სნეულებად" მას მიაჩნდა გვალვის პირობებში წყლის საირიგაციოდ გამოუყენებლობა და, აქედან გამომდინარე, მოუსავლიანობა და შიმშილი. Ამ „სნეულებისაგან" თავის დასაღწევად Დ. Გურამიშვილს „წყლის ასამაღლებელი" მანქანები გამოუგონია, რომლითაც Უკრაინის „მეტად მდორედ და ღრმად ჩავარდნილი" მდინარის წყლებს „რუვით მინდვრად წაიყვანდა და მორწყავდა" და ამით გვალვის დროს „ნამუშაევლს არ მოაცდენდა".

Მეორე „სნეულებად" Დავით Გურამიშვილს წისქვილის უქონლობა მიაჩნდა. Მართალია, მისი სიტყვით, უკრაინაში „კარგი წისქვილები იციან წყლისაცა და ქარისაცა", მაგრამ ისინი მუდამ ვერ მუშაობენ იმის გამო, რომ „ქარის წისქვილი, როცა ქარი არ არის, სცდების... წყლის დიდობაში სცდების, გოლვაში წყლის მცრობაში სცდების და ზამთარის ყინვაში სცდების". Ამის გამო Დავით Გურამი-

---

სრულების მოთხოვნილება არ ყოფილაო და სთხოვა მათი ამ მოვალეობისაგან განთავისუფლება. Ამის შემდეგ პოლიციამ საქმე შეაჩერა და შეუდგა საკითხის შესწავლას. Თუ როგორ წარიმართა შესწავლა, საქმეებიდან არა ჩანს (იქვე, ფ. 30).

1750 წ. 17 აპრილს, დღის პირველ საათზე Პრესნაზე Კაქარის სახლში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც სასწრაფოდ მოედო მახლობელ მოსახლეობას ისე, რომ Ვასილ Ნეოკესარიელის სახელობის ეკლესიის ორივე მხრიდან მინდვრამდე ყველაფერი დაიწვა. Ცეცხლის გაჩენის მიზეზი Კაქარის ოჯახის დაუდევრობა ყოფილა. Კაქარი კი ამ დროს გარდაცვლილი იყო (იქვე, ფ. 43).

[1] Იხ. Სოლ. Ყუბანეიშვილი, Დავით Გურამიშვილი ქართველ ჰუსართა პოლკში, 1955 წ.

შვილს ისეთი სისტემის წყლის წისქვილი გამოუგონია, რომელსაც „არც წყლის დიდობაში ეშინიან და არც გოლვაში წყლის სიმცირეში და არც ზამთარში ყინვისაგან... არასოდეს დასცდების ფქვისაგან“.

პოეტის სიტყვით, მისი წისქვილი ბევრ სარგებლობას მოუტანდა მოსახლეობას, როდესაც და საცა უნდა, „დაფქავს... დანაყს, გახერხავს, წყალს გაწმენდს, გრებლებს გახსნის, თევზს განამრავლებს და განაგემრიელებს, წყლებში ლოტკებს ატარებს, ერთს კარგს სუმას წელიწადში ხაზინაში შემატებს. წყლისაგან დალუპილს სახნავ-სათიბს სახმარად შეიქს, მტრისაგან ან ქამისაგან რომ ქალაქი შემოცული იყოს, დიდს შემწეობას უზამს... მხვნელსა და მთესველს კაცს... მუშაობის დროს წისქვილისთვის შორს არ წაიყვანს, ამისთვის, რომ ყოველს ალაგს თავ-თავისთვის ექნების წისქვილი. ამასაც ვგონებო, — ასკვნის დ. გურამიშვილი, — ჯარში სალდათსაც ხელსაფქვავის მოფქვისაგან დაიხსნისო“. აი ის პრივილეგიები, რომელსაც დავით გურამიშვილი ანიჭებდა თავის მექანიზირებულ წისქვილს უკრაინაში არსებულ წისქვილებთან შედარებით. ამიტომ ოცნებობდა პოეტი თავისი გამოგონების დანერგვაზე:

ღმერთო, მიჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა [1]

წერდა ჩვენი პოეტი, მაგრამ ის ვერ მოესწრო თავისი ნატვრის განხორციელებას.

საინტერესოა დ. გურამიშვილის უკრაინაში მოღვაწეობის შემდეგი ფაქტიც, რომელსაც პირველად ყურადღება მიაქცია დ. კოსარიკმა[2]. საკითხი ეხება დედოფალ ეკატერინე მეორის დროს ახალი საკანონპროექტო კომისიის დეპუტატის არჩევაში დ. გურამიშვილის მონაწილეობას. პატივცემული მეცნიერი ამის შესახებ შემდეგ ცნობას იძლევა: „1765 წ. მირგოროდის საზოგადოებას დ. გურამიშვილი თავის წარმომადგენლად გაუგზავნია პოლტავაში. იქ მას მონაწილეობა უნდა მიეღო განაწესის შედგენაში დეპუტატ დუნინ-ბარკოვსკისათვის, რომელიც არჩეული იყო პოლტავის, მირგოროდისა და გადიაჩის პოლკებიდან“. მკვლევრის ცნობით, „შედგენილ განაწესზე დ. გურამიშვილს ხელი აქვს მოწერილი სხვა ქართველებთან ერთად, რომლებიც ზემოხსენებული პოლკებიდან იყვნენ წარმოგზავნილნი“.

ამ საკითხის შესახებ დოკუმენტები გამოქვეყნებულია 1888 და 1889 წ.წ. „Киевская Старина“-ში (იხ. ტომები: 20, 21, 23, 24, 26). მათი შესწავლიდან ირკვევა, რომ დ. კოსარიკის ზემოთ მოყვანილი ცნობა მთლად ზუსტი არაა და ზოგ რამეში შესწორებასაც მოითხოვს. საქმის ვითარება, აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, ასეთი ყოფილა:

1766 წ. 14 დეკემბერს დედოფალმა ეკატერინე მეორემ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც მიმართავდა რუსეთის მოსახლეობის ყველა ფენას აერჩიათ დეპუტატები იმ კომისიაში, რომელსაც დაევალებოდა ახალი კანონ-პროექტის შემუშავება.

---

[1] დ. გურამიშვილი, დავითიანი, V გამოცემა, 1931 წ., ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გვ. 313, 305.

[2] დ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, 1949 წ., გვ. 131.

მანიფესტი გაიგზავნა მოლოროსიაშიც, მისი სისრულეში მოყვანა კი დავალებული ჰქონდა მოლოროსიის კოლეგიას.

1767 წ. თებერვალში მოლოროსიის გენერალ-გუბერნატორმა გრაფმა პეტრე ალექსანდრეს ძე რუმიანცევმა ყველგან დაგზავნა მიწერილობა დეპუტატების არჩევისათვის რწმუნებულების გამოსაყოფად. მიწერილობაში მოცემული იყო ინსტრუქცია დეპუტატის არჩევის, განაწესის შედგენისა და სხვათა შესახებ. დასახელებული იყო აგრეთვე დეპუტატის საარჩევნო უბნები. ამ მიზნით მთელი მოლოროსია დაყოფილი იყო 15 უბნად. თითოეული წოდება ცალ-ცალკე ირჩევდა თავის დეპუტატს. უკანასკნელისათვის ამომრჩევლებს უნდა მიეცათ განაწესი, სადაც აღნიშნული იქნებოდა მათი მოთხოვნილებები და თან უნდა დაესახათ ღონისძიებები არსებულ ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად. გამოანგარიშების მიხედვით, მოლოროსიიდან საკანონმდებლო კომისიაში უნდა წარდგენილიყო 34 განაწესი.

გადიაჩში, მირგოროდსა და პოლტავაში არჩევნების ჩატარება დავალებული ჰქონდა ობოზნი კავალერს სიმონ ხოჩუბეის.

16 მარტს პოლტავაში, ივ. ბოგდანოვიჩის სახლში შეიკრიბნენ გადიაჩის, მირგოროდისა და უსტაპოვის შლიახტის რწმუნებულები. მათ უნდა აერჩიათ წინამძღოლი და დეპუტატი. 17 მარტს წინამძღოლად არჩეულ იქნა პორუჩიკი თედორე ვოინოვი. 21 მარტს ჩატარდა დეპუტატის არჩევა. არჩეულ იქნა ვასილ ანდრიას ძე დუნინ-ბორკოვსკი, რომელსაც ამომრჩევლებმა 28 მარტს გადასცეს განაწესი. უკანასკნელს ხელს აწერდა 115-მდე რწმუნებული.

ამ არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ მირგოროდსა და პოლტავაში მოსახლე ქართველებიც. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მათ 9 რწმუნებული გაგზავნეს, მათ შორის დავით გურამიშვილიც.

ქართველთა რწმუნებულებს დეპუტატისათვის საკუთარი განაწესი არ გადაუციათ, ამის ნაცვლად განცხადება მიუციათ, სადაც აღნიშნულია, რომ ისინი უერთდებიან სხვა შლიახტის წარმომადგენლების განაწესს. განცხადებას ხელს აწერდნენ: სეკუნდ-მაიორი გერასიმე ჩიქვაიძე, კაპიტანი იაკობ ჩინუა, კაპიტანი მათე ყანჩელი, კაპიტანი იაკობ ადიშელიძე, პორუჩიკი თავადი დავით გურამიშვილი, პორუჩიკი თავადი პავლე სოლოღაშვილი, ვახმისტრი ნიკოლოზ თუხარელი, პორუჩიკი გიორგი ჯაბატაძე და ვახმისტრი მაკარი ხაფარაშვილი.

საერთოდ, ახალი კანონ-პროექტის შემმუშავებელი კომისიის დეპუტატების არჩევაში უკრაინაში მცხოვრები ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ასე, მაგალითად, სხვა პოლკში სახელმწიფო იუსტიციის კოლეგიიდან რწმუნებულად აურჩევიათ და 1767 წ. 4 ივლისს დეპუტატ პოლკოვნიკ ალსუფიევისათვის ვადაცემულ განაწესზე ხელი მოუწერიათ თავად გიორგი ამილახვარსა და დიმიტრი ციციშვილს, ხოლო სასამართლოდან არჩეულ დეპუტატ ათანასე აფროსიმოვის განაწესს ხელს აწერს რწმუნებული კოლეჯის ასესორი სერგო ივანეს ძე ხევერკველიძე [1].

ახალი საკანონმდებლო პროექტის შემდგენელ კომისიაში ეკატერინეს პროვინციიდან ქართველ თავადთაგან დეპუტატად აურჩევიათ პოდპოლკოვნიკი სერგო

[1] 1752 წ. დ. გურამიშვილმა ხელი მოაწერა ს. ხევერკველიძის პორუჩიკის ჩინზე წარდგინებას.

ჩარათაშვილი[1], რომელიც, როგორც დეპუტატი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ახალი კანონპროექტის შედგენაში[2].

დავით გურამიშვილის სხვა საქმიანობაზე უკრაინაში ჩვენ დოკუმენტური ცნობები არ მოგვეპოვება. არც მისი უკრაინაში შეხვედრების შესახებ ვიცით რამე. სავარაუდებელია, რომ ჩვენს პოეტს შეხვედრები ჰქონდა მე-18 საუკუნის უკრაინის ცნობილ პოეტთან და ფილოსოფოსთან გრიგოლ სკოვოროდასთან, ვასილ კაპნისტთან და უკრაინის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან.

დამატება

ქართველები პრესნაზე

На заглавии плана написано: «Геометрической план, увеличенный по маштабу [...] оглицкому 2[.]ть сажень для состоящих в Преснинской даче их светлости грузинских царевичев: Его высокопревосходительства покойного господина генерал-лейтенанта и ковалера Бакара и его высокопревосходительства[...] и на генерал-лейтенанта и ковалера Георгия Вахтангеевичев дворов грузинских князей и дворян и разных чинов людей, которые порознь значют во описаний по назначенным на сем плане номерам, межеванья учиненного в 1766 году июля 21 дня землемера, капитана, что ныне секунд-маиор, Семена Кочукова».

На правой стороне плана написано:

№№	Описание дворов, состоящих в Преснинской даче	Десятины	Квадратныя сажени
1	Двор грузинской дворянки Марьи Алексеевой Цымакуразевой.	—	650½
2	Его светлости царевича Георгия Вахтангеевича служителя его грузина Бежана Кочезова.	—	195
3	Отставного капитана князя Филипа Анофриева сына Челакоева.	—	1240
4	Его светлости грузинского царевича Вахушты Вахтангеевича	—	472 и 1 арш.
5	Грузинской княгини Елены Хваболовой.	—	435
6	Его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича служителя Бориса Потанова.	—	216
7	Грузинского дворянина Александра Тараева	—	456
8	Его светлости грузинского царевича Вахушты Вахтангеевича	—	476
9	Грузинского архиерея Филимона подъякона Ивана Иванова	—	220
10	Грузина Бориса Иванова Паркатзева	—	189 и 1½ арш.
11	Грузина Дмитрия Чочатзе	—	1123
12	Покойного грузинского царевича Бакара Вахтангеевича супруги его княжны Анны Егоровны	—	224
13	Вольного грузина Ивана Дмитриева	—	246
14	Вольного ж грузина Антона Егорова	—	313

[1] 1750 წ. ს. ჩარათაშვილი ქართველ ჰუსართა პოლკის ვახმისტრია, მორიგ ჩინზე წარდგინებას სხვებთან ერთად ხელს აწერს დ. გურამიშვილი.

[2] იხ. Сборник императорского русского исторического общества, 1881 г., т. 32; 1885 г., т. 43.

№№	Описание дворов, состоящих в Преснинской даче	Десятины	Квадратныя сажени
15	Отставного поручика князя Николая Кахаберитзева	—	828 и 1 арш.
16	Вольного грузина Бориса Борисова Цвиманкизе	—	84
17	Его светлости грузинского царевича Бакара Вахтангеевича служителя его Матвея Макорова	—	$161^1/_2$
18	Московского 1-го баталиона пропорщика Василья Гулаева	—	180 и 2 арш.
19	Отставного гусара Петра Захарова Черкеза	—	84
20	Монетной экспедиции подпоручика Екима Тулаева	—	208 и 1 арш.
21	Грузинского князя Дмитрея Салкатзе	—	1140
22	Грузинской царевны Анны Вахтангеевны служителя Тихона Федотьева	—	48
23	Ея сиятельства княжны Анны Егоровны служителя Якова Козмина	—	45
24	Его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича вдовы дворовой женки Авдотьи Ивановой	—	114
25	Ея сиятельства княгини Анны Егоровны служителя Ивана Михайлова	—	95
26	Ея сиятельства княгини Анны Егоровны служителя Егора Федорова	—	132
27	Вдовы поручицы Авдотьи Ивановой Хмалазовой	—	225
28	Его светлости грузинского царевича Вахушты Вахтангеевича служителя Егора Алексеева	—	174; 1 арш.
29	Вольного грузина Михаила Егорова	—	$112^1/_2$
30	Вольного грузина Егора Иванова	—	112
31	Позади оного двора двор княгини Анны Егоровны служителя Антона Яковлева	—	78
32	Генерал-маеора князя Елисея Потаповича Амилохорова служителя его Семена Потапова Вячулова	—	110
33	Огород тогож князя Амилохорова служителя Петра Тертерова	—	104 и 1 арш.
34	Генерал-маеора князя Елисея Потаповича Амилохорова	—	786
35	Грузинского архиерея Филимона	—	340 и 1 арш.
36	Ея светлости грузинской царевны Анны Хосоровны		1837
37	Его светлости грузинского царевича Вахушты Вахтангеевича	3	520
	Под тем же 37 №-м двор грузинского дворянина Осипа Чумартина	—	304
38	Погость церкви Георгия Страстотерпца	—	$760^1/_2$
39	Покойного грузинского царевича Бакара Вахтангеевича супруги его вдовствующей княгини Анны Егоровны	1	1269

№№	Описание дворов, состоящих в Пресненской даче	Десятины	Квадратныя сажени
40	Грузинского протопопа Анисима Евсевьева	—	220
41	Грузинского дворянина Зураба Егорова Чиркова	—	348
42	Ея сиятельства княгини Анны Егоровны служителя Ермолая Афонасьева	—	154
43	Московской 3-й гильдии купца Алексея Никифорова	—	130
44	Грузинского дворянина Евсея Семенова Гогилева	—	218
45	Грузинского дворянина Осипа Егорова Сапагизя	—	105½
46	Ея сиятельства княгини Анны Егоровны служителя Ивана Федорова	—	201½
47	Грузина Назара Егорова	—	138
48	Грузинской жены, вдовы, Варвары Михайловой	—	252
49	Грузина Ивана Павлова	—	72
50	Грузина Евстафия Егорова, покойного царя Вахтанга Леоновича кухмистера	—	120
51	Грузинского дьякона Давыда Николаева	—	210½
52	Грузина Сергея Бориса	—	500
53	Грузина Ивана Борисова	—	144
54	Грузина Адама Зуратова	—	152
55	Грузинской жены Варвары Давыдовой	—	180
56	Грузина Егора Иванова Кутамелева	—	301
57	Титулярного советника Вениамина Егорова Акшемурова	—	539
58	Армянская церковь и кладбище оной	—	576½
59	Армянина Осипа Григорьева Keрaппова	—	675
60	Армянина Павла Петрова Аницова	—	500
61	Премьер-маиора князя Давыда Мочевелова	—	1120
62	Грузинского князя Исака Андроникова	—	812
63	Надворного советника князя Дмитрия Павловича Цицианова	—	896
64	Поручика князя Ивана Давыдова Зрестова [?]	—	374
65	Грузинов: Давыда Васильева Кричилова и Давыда Назарова Кричилова ж	—	320
66	Его светлости грузинского царевича Егора Бакаровича алмазных дел мастера Сергея Александрова Желвокова	—	253
67	Грузина Захара Егорова Кувчина	—	253½
68	Грузинского дворянина Павла Матвеева Урамазова	—	351
69	Грека Павла Егорова Батмалеева	—	361
70	Вдовы грузинской жены Марфы Герасимовой Заретзевой	—	240
71	Вдовы гречанки Пелагеи Давыдовой, грека Петровой жены Назарова	—	264
72	Грузина Егора Иванова	—	244
73	Грузинской дворянки вдовы Елизаветы Дмитриевой Тавкелевой	—	115½

№№	Описание дворов, состоящих в Преснинской даче	Десятины	Квадратныя сажени
74	Грузинского дворянина Павла Афонасьева Ревазова	—	436½
75	Ведомства Коллегии Экономии Покровского монастыря Углицкого уезда деревни Зверковой крестьянина Ивана Григорьева	—	37
76	Вольного башкира Ивана Перова	—	50½
77	Гусарского Грузинского полка квартермистра Бориса Фомина Борисова	—	72
78	Его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича служителя Максима Иванова	—	104½
79	Его ж светлости служителя Ивана Андреева	—	297½
80	Ея сиятельства княгини Анны Егоровны служителя Степана Иванова	—	279
81	Вольного грузина Федора Давыдова	—	238
82	Двор маеора Давыда Матвеева Панчюлидзева	—	542½
83	Пустырь маеора князя Егора кимр Юрьева сына Ратиева	—	416
84	Ея сиятельства княгини Анны Егоровны служителя Егора Иванова	—	49½
85	Пустырь его светлости грузинского царевича Георгия Вахтангеевича служителя его Петра Перфильева	—	176½
86	Московской 2-й гильдии купца Ивана Васильева Криволуцкого	—	121
87	Жены служителя княгини Анны Егоровны. вдовы Авдотьи Агаповой	—	18
88	Вольного грузина Якова Петрова Кичкина	—	216
89	Его светлости генерал-поручика Московского обер-коменданта царевича Афонасья Леоновича, а на оный двор в потомственное его светлости владение план и межевая книга в 765 году даны		1727
90	Г. г. статского советника князя Егора да Коллежского советника князя Евгения Васильевых детей Амилохоровых, на который двор план и межевая книга во владение в 1757 году даны	3	2305
91	Отставного капитана князя Николая Семенова Багратиона	6	90
92	Грузинского принца Леона Бакаровича вдовствующей супруги его княгини Александры Яковлевны	4	672
93	Огород его светлости грузинского царевича Вахушты Вахтангеевича	2	592
94	Двор грузинского дворянина Егора Васильева Зумбулова	—	2048
95	Московского монетного двора монетчика Алексея Степанова Колмогорова	—	92

№№	Описание дворов, состоящих в Преснинской даче	Деся-тины	Квадратныя сажени
96	Ея сиятельства вдовствующей княгини Анны Егоровны служительницы ея вдовы грузинки Анны Ивановой	—	1020
97	Вольного грузина Ивана Борисова	—	810
98	Лейб-гвардии Преображенского полка капитан-поручика князя Николая княж Борисова сына Давыдова	—	2106
99	Грузинского архиерея Афонасия, служителя его Федора Иванова Арабилзева	—	304
100	Армянина Михаила Иванова Распопова	—	495½
101	Двор вдовы капитанши княгини Прасковьи Арбелиановой	1	370
102	Вольного грузина Семена Иванова Размасова	—	418½
103	Его светлости царевича грузинского Лейб-гвардии маиора Александра Бакаровича служителя Николая Федорова	—	330½
104	Грузинского священника Егора Иванова	—	468½
105	Коллежского ассесора князя Меликдекова сына Бар[исова]		
106	Вольного грузина Бориса Егор[ова сына]		
107	Полковника Петра Егорова сына		
108	Его светлости грузинского цар[я] Георгия Вахтангеевича, служителя Матвея Иванова		
109	Вольного грузина Салом....ева сына Азигилдева		
110	Ея сиятельства княг.... жены служителя Андрея		
111	Ея сиятельства княгин... Егоровны служителя грузина Там...		
112	Государственной Юстицк... пииста Петра Иван...		
113	Грузинского митроп...сия подякона Ивана Бор[исова].....		
114	Вдовы... ма... Александров...	—	486
115	Вольн[ого]...ва сына	—	256½
116	Вольного грузина Федора Егорова Зензиева	—	252½
117	Грузинского дворянина Николая Павлова Дезанова	—	706
118	Грузинских дворян Федора да Егора Егоровых детей Дейтинязовых	—	1255
119	Огород ея сиятельства княгини Анны Егоровны	1	703½

Сочинен и свидетельствован под моим тронием
Маиор Петр Горихвостов.

105—113 ნომრებში მიწების რაოდენობა დედანში ნაჩვენები არაა. ეტყობა, დედანი, რომლიდანაც გადმოღებულია წინამდებარე დოკუმენტი ან გაურკვეველი ხელით იყო დაწერილი და ზოგი ადგილი ვერ ამოუკითხავთ, ანდა ალაგ-ალაგ დაზიანებული ყოფილა.



ეს გეგმა სრული არ არის; აღნიშნული არაა შემდეგი მოსახლენი:
№№ 2—5, 13—20, 22, 28—30, 32—33, 73—88.


„Планъ улицамъ и переулкамъ в Грузинскихъ Слободахъ, что за Преснею“
A - Улица большая, что отъ деревянной плотины к „растанямъ“.
B - Переулки.
C - Пресненские Пруды.
D - Обывательское Строение.
E - Назначенные вновь рогатки.
Поле Ямское

Описание смежных

От А до В. Белая и стрелецкая земля владения под дворами разных чинов людей.
От В до С. Дворцовые казенные пруды.
От С до Д. Пивоваренный завод обер-директора Михаила Петрова сына Гусятникова.
От Д до Е. Земля бывшого синодального ведомства, оставшая за взятим в 7158/1650 году под выгон, владения по дворам разных чинов людей.
От Е до F. Выгонная земля, взятая в 7158 году из дач синодального ведомства.
От F до G. На выгонной земле поселение дворов разных чинов людей.
От G до H. Пустовая синодальная выгонная земля.
От Н до А. Земля Тверской Ямской слободы ямщиков, владения под дворами разных чинов людей.

«На подлинном плане подписано тако: Межевал и сочинял первого класса землемер секунд-маиор Семен Кочуков. При сем межеванье были и подписуемся; а его светлости царевича грузинского, его высокопревосходительства г. генерал-лейтенанта и кавалера Георгия Вахтангеевича поверенной служитель Михайла Жегулин для приложения руки к планам и межевым книгам, по повесткам, не явился; статского советника князь Егора да коллежокого Советника, князь Евгения княж Васильевичев Амилохоровых поверенный служитель их Михаил Яковлев, генерал-поручика и Московского коменданта и кавалера царевича Афонасья грузинского поверенный, служитель Семен Петров, сын Булатов. Також Тверской Ямской слободы поверенный ямщиков Иван Михаилов сын Жильцов, да главной Дворцовой канцелярии конторы, по дворцовым Преснинским прудам поверенный комиссар Афонасий Иванов по томуж для прикладства к план и межевым книгам рук, по повесткам не явились; вместо сторонних людей, солдатской Бутырской слободы отставных капрала Стефана Клюкина, солдата Ивана Донокого, ведомства Коллегии Экономии Петровского монастыря Селор, Петровского крестьян Федора Васильева, Козмы Никифорова, из Живодерной слободы московского 3-й гильдии купца Никиты Петрова, грейщика Егора Беляева, деревни Шелипихи, синодальных крестьян Родиона Павлова, Тихона Павлова, Аврама Федорова, из оружейной слободы оружейной палат мастера Андрея Марогева Бережковской. Рыбной слободки синодальных крестьян Евдокимо Михайлова, Михаила Иванова, по их прошенью — церкви Иоанна Предтечи, что в Кречетниках, дьячек Иона Матвеев».

Внизу плана написано: «Площадь поручик Матвей Копьев».
«С подлинного копировал Артилерий
Штыкюнкер Марка Мордвинов».
«К отдаче в Государственной Московской
Архив старых дел крепил губерской
секретарь Михайло Смирнов».

Ⴋზექალა Ⴘანიძე

Ⴌეზვის ეტიმოლოგიისათვის

საბას ლექსიკონში არის სიტყვა მ ე ე ზ ვ ე, რომელიც განმარტებულია ასე: „Ⴋ ე ე ზ ვ ე (მ ე ე ზ ვ ე ბ ი E) (ოთხფ.)—ხვასტაგი მშობელი ZABCD. Ⴞვასტაგი. კიცვთა, ჯბოთა და თიკანთა მშობლები E“ [1].

Ⴒექსტის სათანადო ადგილზე მინიშნება, რომელიც საბას ხშირად აქვს ხოლმე, ამ შემთხვევაში არ არის. Ⴂამოცემაში მითითებულია: „ნახე ი ზ ვ ე ბ ა - ო“, ხოლო ეს სიტყვა ასეა განმარტებული: „Ⴈ ზ ვ ე ბ ა: ხვასტაგნი შობენ. უ ზ ვ ი—ბერნი და მ ე ე ზ ვ ე მშობელი“ (Ⴃამოწმებულია Ⴈერ. 14,5).

Ⴋოცემულ ადგილას ქართული Ⴁიბლიის ტექსტში მართლაც იკითხება: „Ⴈრემნიცა ი ზ უ ნ ე ს ველსა გარე და დაუტევნეს ნუკრნი“. Ⴀსეთი წაკითხვა გვაქვს უძველეს ნუსხებში—იერუსალიმურსა და ათონურში [2]. სათანადო ადგილას სხვა ენათა ტექსტებში ვკითხულობთ: ებრ. ילדה, სირ. ܝܠܕܬ, ბერძნ. ἔτεκον, სომხ. ծնան. Ⴀმ სიტყვებს ყველას ʽშობისʼ მნიშვნელობა აქვს.

Ⴀღსანიშნავია, რომ Ⴁიბლიის ბაქარისეულ გამოცემაში იკითხება: „Ⴈრემნი ველთა ზედა ი ზ უ ჱ ბ ვ ო დ ე ს“, სადაც ვ ზედმეტია (ႭჃნდა იყოს: ი ზ უ ე ბ ო დ ე ს), მაგრამ აქედან რომ თბილისურ გამოცემაში გადაუბეჭდავთ (1884 წ.), ზმნის ფორმა გაუაზრიანებიათ, შეცდომა ვითომ გაუსწორებიათ და ი შ ჳ ჱ ბ ვ ო დ ე ს გამოუყვანიათ.

Ⴆუ ფუძის მნიშვნელობა ძველ ქართულში ცნობილია: მას იმოწმებენ Ⴃ. Ⴇოფურია [3] და Ⴂ. Ⴉლიმოვი. Ⴄს უკანასკნელი თავის Ⴄტიმოლოგიურ ლექსიკონში

---

[1] სულხან-საბა Ⴍ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, Ⴊექსიკონი ქართული (თხზულებანი, ტ. IV, 1. Ⴀვტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა Ⴈლია Ⴀბულაძემ. 1965).

[2] Ⴃამოწმებულია Ⴐ. Ⴁლეიკისა და Ⴋ. Ⴁრიერის გამოცემის მიხედვით: The Old Georgian Version of the Prophets, critical Edition with a Latin Translation, by R. P. Blake and Canon M. Brière. Patrologia Orientalis, т. XXIX, fascicule 4, Paris. 1961.

[3] Ⴃ. Ⴇ ო ფ უ რ ი ა, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, 1. ნე-, ნი-, ნა- პრეფიქსებისათვის: Ⴇბილ. უნივ. შრომები. VII, 1938, გვ. 88—89.

მიუთითებს: *zw.: котиться, телиться. груз. zw котиться და იქვე მოჰყავს მაგალითი ძველი ქართულიდან: „Ⴈრემნი ველთა ზედა ი ზ უ ე ბ ო დ ე ს“ [1], ოღონდ არ მიუთითებს, თუ საიდან არის იგი აღებული.

საბას ლექსიკონში მოყვანილი ფორმა მ ე ე ზ ვ ე ძველი ქართულის თვალსაზრისით სწორი არ არის: ჯერ ერთი, მასში, როგორც ი ზ ვ ე ბ ა - ში, ვ-ს მაგიერ უმარცვლო უ უნდა იყოს, მ ე პრეფიქსის შემდეგ კი ე ზედმეტია; გარდა ამისა, მ ე ე ზ ვ ე უთუოდ მცდარად აღდგენილი ფორმაა მხ. რიცხვისა მ ე ზ უ ე ბ - ისაგან, რომელიც, როგორც ჩანს, საბას მრ. რიცხვის ფორმად გაუგია. Ⴗურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ მ ე ე ზ ვ ე ბ-ი დამოწმებულია ლექსიკონის E რედაქციაში. Ⴐოგორც ცნობილია, ეს რედაქცია, წარმოდგენილი ერთადერთი, ავტოგრაფული ხელნაწერით (ხელნ. ინსტ. H—416) [2], ყველაზე უფრო ძველია; ეს არის „შეგროვილი მასალის ლექსიკონად გაფორმების პირველი ცდა, ლექსიკონის პირველი სქემა, ჩონჩხი“ [3]. Ⴋაშასადამე, მ ე ე ზ ვ ე ბ-ი, რომელიც საბას პირველწყაროდან შედარებით სწორი ფორმით ამოუღია, შემდგომ გადაუსწორებია და გვიანდელ რედაქციებში მ ე ე ზ ვ ე შეუტანია, რადგან მ ე ე ზ ვ ე ბ-ში ე ბ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი ჰგონებია.

Ⴋ ე ზ უ ე ბ ი გვხვდება Ⴀთონის (Ⴍშკის) Ⴁიბლიის ხელნაწერში: „Ⴈყო Ⴑოლომონისი ორმეოცი ათასი ჴდალი მ ე ზ უ ე ბ ი საეტლედ“ (3 Ⴋეფ. 10,26) [4]; მოცემულ ადგილას ბერძნულ ტექსტში იკითხება: Τέσσαρες χιλιάδες θήλειαι ἵπποι— ⌜ოთხი ათასი ჭაკი ცხენი⌝.

Ⴋ ე ზ უ ე ბ-ის სირიული შესატყვისია ܪ̈ܡܟܐ, რომელიც აგრეთვე ⌜ჭაკ ცხენებს⌝ ნიშნავს.

Ⴋ ე ზ უ ე ბ სიტყვას მრ. რიცხვის ფორმად ვერ გავიგებთ, რადგანაც რიცხვით სახელს, თუ იგი მხოლობითის ფორმითაა (როგორც აქ: ორმეოცი ათასი) სახელი მხ. რიცხვისავე ფორმით უნდა შეეწყოს. Ⴋაშასადამე, იგი უნდა გავიგოთ მიმღეობად (მხ. რიცხვის ფორმით), რომელიც აწმყოს მე-3 პირში ი ზ უ ე ბ ი ს ფორმას გულისხმობს. Ⴄს ი ზ უ ე ბ ი ს ახალი ქართულით ი ზ ვ ე ბ ა იქნება, რასაც საბა აწმყოს ფორმით თარგმნის („Ⴞუასტაგნი შობენ“).

Ⴑაინტერესოა, რომ Ⴌიკო Ⴙუბინაშვილის ლექსიკონში ჩვენი საკვლევი სიტყვის ფორმა შედარებით უფრო სწორადაა მოცემული: „Ⴆ ვ ე ვ ა (იზვება, იზვების): ითქმის ხვასტაგთათჳს, რომელნიც შობენ (Ⴈერემ. 14,5), рождать, ამის გამო მშობელს ეწოდების მ ე ზ ვ ი, ხოლო ბერწს—უ ზ ვ ი“. Ⴑხვაგან იმავე ლექსიკონში ვკითხულობთ: „Ⴋ ე ზ ვ ე და მ ე ზ ვ ი (ოთხფ.:) ხვასტაგი მშობელი, ხოლო უ ზ ვ ი—ბერწი“ [5]. Ⴌ. Ⴙუბინაშვილი, რა თქმა უნდა, საბაზეა დამოკიდებული, მაგრამ იგი ასწორებს საბას შეცდომას, რომელიც შეიძლება რომელიმე ხელნაწერიდან მოდიოდეს.

---

[1] Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.

[2] სულხან-საბა Ⴍ რ ბ ე ლ ი ა ნ ი, Ⴊექსიკონი ქართული (თხზ., ტ. IV, 2), გვ. 656.

[3] Ⴄ. Ⴋ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, სულხან-საბა Ⴍრბელიანის ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი. ს. Ⴟანაშიას სახელობის საქართველოს სახ. მუზ. მოამბე, XIX—B, 1956, გვ. 11.

[4] Ⴁაქარის Ⴁიბლიაში ეს ადგილი სხვაგვარად იკითხება: „Ⴃა იყ̃ნ სოლომონსა ორმეოცი ათასი ხ დ ა ვ ნ ი(!) რემანი ეტლთა შინა“. 1884 წ. გამოცემაში მცდარი წაკითხვა ხ დ ა ვ ნ ი სიტყვისა გასწორებულია ასე: ხ რ დ ა ლ ნ ი.

[5] Ⴌიკო Ⴙ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, Ⴕართული ლექსიკონი, 1961.

დ. ჩუბინაშვილიც საწყისად ზვევა-ს მიიჩნევს („ზვევა, ვიზვევები, —ვე). ხვასტანგთათვის: დოვიმშობიარებ, ვიყოლიებ. ამისგან მშობელს ეწოდება მეზვი და ბერწს უზვი")[1]. ჩვენი ფიქრით, საწყისად უნდა არა ზვევა, არამედ ზვება: იზვების (იზვება), იზვა და არა ვიზვევები, ვიზვივე, როგორც დავით ჩუბინაშვილს აქვს. იზვების—იზვა—ზვებულა ვნებითი გვარის ფორმებია, როგორც ეს ჩანს ზმნის აღნაგობიდან და მისი სინტაქსური ურთიერთობიდან ქვემდებარესთან წყვილში („ირემნი იზუნეს").

ამჟამად ზვ (ზუ) ძირისაგან ნაწარმოები ფორმები ხევსურულში გვხვდება. როგორც ა. შანიძის 1913 წ. შეკრებილი ხელნაწერი მასალებიდან ჩანს, ხევსურეთში იზვა ნიშნავს 'მოიგო' (საქონელმა: ფურმა, ჭაკმა, ცხვარმა, თხამ), ხოლო საზვები—'მოსაგებს, მაკეს', ნამზვებლავი—რაც თან გამოჰყვება დედის მუცლიდან ახლად მოგებულ ხბოს (ან კვიცს, თიკანს, კრავს), ე. ი. 'მომყოლს'.

ა. ჭინჭარაულიც ადასტურებს, რომ ხევსურეთში „მაკე ძროხას მაკეობის პირველ პერიოდში ქარშატეულს (‖ მჩნევიარეს ეძახიან), ხოლო ბოლოს— საზვბად შამდგარს (‖ შამდგარს). მაკე პირუტყვს საერთოდ საზვები (‖ სამზველი) ეწოდება, ხბონაყოლს—ნამზველი. დედალი პირუტყვის ასაკს ნამზველობით ზომავენ ხოლმე: „ერთხან ნამზველი ძროხა", „ერთხან ნამზველი თხა" და ა. შ.

„შენ იმას არ ხარ შემსწვრალი, სახლში ფურ არცა გზვებია"
(ხევს. პოეზ. 675,15).

ხბოს მონაყოლს „ფურის ბუდენი" ეწოდება, მას ნამზვბლავსაც ეძახიან"[2].

გზვებია ზმნა ასეთ ფორმებს გულისხმობს სხვადასხვა სერიის მწკრივებში: ფურ გეზვების (შენი ფური იგებს), ფურ გეზვა (შენმა ფურმა მოიგო), ფურ გზვებია (შენს ფურს მოუგია).

ინგილოურში, მ. ჯანაშვილის მიხედვით, არის „ზობა—მოგება, დაყრა. ფურ დაძზო—ძროხამ მოიგო. ძაღლ დამზოლ—ძაღლს ლეკვები დაუყრია"[3].

რ. ღამბაშიძის მიერ შედგენილ ინგილოურის ხელნაწერ ლექსიკონში დადასტურებულია საწყისი დაზოვაძ—„მოგება, შობა". „ცხენ იზო̈ვ (იზო̈ვის), ღორ დაძზო, ჩონ ფურ დამზოლ, აძმ ცხენს ჰარ დაზოვაში შჳდღენა ბაჭალაძ უჩნდევ 'აი იმ ცხენს ყოველი მოგების დროს შვიდი შვილი უჩნდება'"[4].

ვფიქრობთ, რომ თუშურ კილოში ზობა, რომელიც „გაბევრებას", „გამრავლებას" ნიშნავს, აგრეთვე ზუ ფუძის შემცველია; „იზვების 'გაბევრდება', იზვ 'გაბევრდა', იზვებულ 'გაბევრებულა'"[5].

როგორც ვნახეთ, ძველ ქართულში არის სიტყვა მეზუებ-ი (საბას მეეზვებ-ი და მეეზვე). მეზუებ-ი აწმყოს ფუძისაგან ნაწარმოები მიმღეობაა, ხევსურული საზუებ-ის მსგავსად. საბასეული უზვ-ი (ძვ. ქართ. უზუ-ი) უარ-

---

[1] საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან. სპ., 1887.

[2] ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი. 1960, გვ. 231—232.

[3] მ. ჯანაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, ძველი საქართველო, ტ. II, 1913. გვ. 247.

[4] დოც. რ. ღამბაშიძეს ამ მასალების მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ.

[5] თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960, გვ. 199.

ყოფითი მიმღეობაა, იგი დადებით ფორმად გულისხმობს წყვეტილის ფუძისაგან ნაწარმოებ მ ე ზ უ-ს.

ძველი ქართულისათვის სავარაუდო უზუ-ი ან უ ზ ჳ ისეთივე აგებულებისაა, როგორც ოდენპრეფიქსიანი მიმღეობები, რომლებიც ძველ ქართულში საკმაო რაოდენობითაა დადასტურებული: უ ვ ა ლ - ი (უ ვ ა ლ ა დ დაჭიდვა: ხანმ. იერემია 12,10)[1]; უ ს მ-ი (იქმენ მე ვითარცა კაცი უ ს მ ი ფს. 37,15; უ ს მ ი არის ის, ვისაც არ ესმის), უ ტ ყ ჳ (ყრუთა ასმენს და უ ტ ყ უ თა ატყუებს მრ. 7,37).

რაც შეეხება მ ე ზ უ-ს, ძველ ქართულ ტექსტებში თითქო არც ის ჩანს, მაგრამ მასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ნ ე ზ ვ-ი, ძველი ქართულით ნ ე ზ უ - ი, ნ ე ზ ჳ, რომელიც ამჟამად საყოველთაოდ ⌜დედალ ღორს⌝ ნიშნავს, ძველად კი, როგორც ჩანს, სხვა დედალ პირუტყვებზედაც ითქმოდა. ათონის ქართულ ბიბლიაში ნ ე ზ უ-ი რამდენჯერმე იხმარება. ერთგან გვაქვს თ ხ ა ჲ ნეზჳ: „და განარჩია [ლაბან] მას დღესა შინა ვაცები ჭრელები და სპეტაკი და ყოველი თხაჲ ნ ე ზ ჳ ჭრელი და სპეტაკი, რომელი იყო მათ შორის" (დაბ. 30,35). ნ ე ზ უ-ი დედალ ცხვარსაც აღნიშნავს: „შეწიროს ღმრთისა ნ ე ზ ჳ ცხოვართაგან ტარიგი, გინა ვაცი თხათაგან ცოდვისათჳს" (ლევ. 5,6); შდრ. აგრეთვე ლევ. 3,1, სადაც ნათქვამია: „ანუ თუ ზროხათაგან შესწირვიდეს იგი, გინა თუ ვერძსა, გინა თუ ნ ე ზ უ ს ა..."[2].

ნ ე ზ ვ-ი „ვეფხისტყაოსანშიაც" გვხვდება: „შე, გლახ, ვიყავ მისი ნ ე ზ ვ ი, იგი იყო ჩემი ვაცი" (1204).

ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონშიც ნ ე ზ ვ ი ახსნილია, როგორც „დედალი ღორი, თხა ან ცხვარი"[3]. მაგრამ ასეთი მნიშვნელობა ამ სიტყვას დღეს ყველგან არ უნდა ჰქონდეს. ქიზიყურში, მაგალითად, იგი მხოლოდ ⌜დედალ ღორს⌝ ნიშნავს[4], ასეა ბევრგან სხვაგანაც.

დასაშვებია ვარაუდი, რომ ძველი ქართულის ნ ე ზ უ (ნ ე ზ უ - ი, ნ ე ზ ჳ) წარმომდგარია მ ე ზ უ-ისაგან; სწორედ ისე, როგორც ნ ე ფ ე—მ ე ფ ე-საგან[5] ან ნ ე ტ ა ფ რ ა ს ი—მ ე ტ ა ფ რ ა ს ი-საგან[6]. ამას გარდა, ძველი ქართულის მ ე ბ ო -

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები, ენიმკი-ს მოამბე, 1938, ტ. 2. ნ. 1, გვ. 36.

[2] მაგალითები დამოწმებულია ა. შ ა ნ ი ძ ი ს გამოცემის მიხედვით: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი 978 წ. ხელნაწერის მიხედვით, ტ. I, ნაკვ. I 1947, ნაკვ. 2 1948.

[3] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, 1948.

[4] ს. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ქიზიყური ლექსიკონი, ვ. თოფურიას რედაქციით. 1943.

[5] „მოიხსენე, უფალო, საფლავსა ამას შინა მდებარე ნ ე ფ ე გიორგის ნამსახური ბაა-შისშვილი სუფრაჯი ბაში": საფლავის წარწერა 1712 წლისა პირღებულში (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I (Перепечатано из I выпуска, Известий Кавк. Отделения Моск. Археологического Общества), Тифлис, 1905. გვ. 25. ნ ე ფ ე - დ ე დ ო ფ ა ლ ი (ახლად ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი) ქართული ენის მრავალ კილოში ჩვეულებრივი გამოთქმაა („ბველამ აღლეგრძელა ნ ე ფ ე - დ ე დ ო ფ ა ლ ი": ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1960, გვ. 793), გვაქვს აგრეთვე ნ ე ფ ი ო ნ ი—„მეფის მაყარი" (ქართ. ენის განმ. ლექსიკონი, V, 1948). შდრ. T. Neisser, Studien zur georgischen Wortbildung, 1953, გვ. 21.

[6] „მოვასხენ მწერალნი და დავაწერიე ერთი დიდი ნ ე ტ ა ფ რ ა ს ი"—ვაბეჭინის სახარების მინაწერიდან „არა უგვიანეს მეთოთხმეტე საუკუნისა" (ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ვაბეჭინის ეკლესიის სახარება, „პრომეთე" № 1, 1918, გვ. 74—75. საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტის S—1246 მეტაფრასული კრებულის (XVI ს.) ერთ-ერთ მინაწერში ვკითხულობთ: „წიგნი ესე, სახელით ნ ე ტ ა ფ რ ა ს ი, წმიდის მარინეს ჩხალცხის ეკლესიისა არის". (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა... S კოლექციისა, ტ. II, 1961, გვ. 119).

ძირ-ი („წარვედით მებოძირებსა გზათასა“, მათ. 22,9 DE) შემონახული უნდა იყოს ერთი დღევანდელი სოფლის სახელწოდებაში: ნებოძირი (ზემო იმერეთში, წიფასა და მარელისს შორის).

მაშასადამე, ნეზუ-ი არის მიმღეობის ფორმა, მისი პირვანდელი სახეა მეზუ-ი, ⌈რომელიც იგებს, მომგები, დედალი პირუტყვი⌉ [1].

ა. ჩიქობავა აღნიშნავს: „ნე-ზვ-ში ნე ქართველური ენებისათვის ნიშანდობლივი ნივთის კატეგორიის მაჩვენებელი ნე- ‖ დე- ‖ სე თავსართია. ნე-ზვ-ი რომ ნივთის კატეგორიას განეკუთვნოს, ბუნებრივია: ქართველურ ენებში ცხოველები ნივთის კატეგორიას განეკუთვნებიან“ [2].

ვ. თოფურია წერდა: „ზუ ძირს რომ ნე პრეფიქსი დაერთოს, მაშინ სრულიად ადვილი მისახვედრი იქნება ნეზუ-ის როგორც შედგენილობა, ისე შინაარსი“ [3]. რაკი ირკვევა, რომ ნეზუ-ში ნე მე-საგან არის მიღებული, ცხადია, რომ ნეზუ-ი შედარებით გვიანდელი, მეორადი ფორმაა; როგორც ზემოთ დასახელებული მაგალითებიდან დავინახეთ, ეს სიტყვა ძველ ქართულში უკვე გავრცელებული ყოფილა და მისი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

ვ. თოფურიას აღნიშნული აქვს, რომ ნეზვ-ი მეგრულში და ნეზვ სვანურში ქართულიდანაა ნასესხები [4].

გ. კლიმოვი ვარაუდობს, რომ ნეზვ-ი ნაწარმოებია ნე პრეფიქსით *ზვ ზმნური ფუძისაგან [5].

მ. ანდრონიკაშვილს ნეზვ-ი მიაჩნია სკვითურ-ალანურ-ოსური ენებიდან ნასესხებ სიტყვად [6]. ამოსავლად მას მიაჩნია ზა/ზავ, რომელსაც იგი უკავშირებს ოსურ zajyn ზმნას. ძველი ქართულის ფორმები (მეზუები, ნეზუ-ი, იზუებოდეს) არ გვაძლევს საფუძველს *ზა/ზავ ფუძის რეკონსტრუქციისას. ამიტომ ნეზუ-ის დაკავშირება ოსურთან საეჭვო ჩანს.



---

[1] გამორიცხული არაა შესაძლებლობა, რომ მეზუ-ი სადმე რეალურად იყოს დადასტურებული (ნეზუ-ის პარალელურად) ძველი ქართულის ტექსტებში, მაგრამ რადგანაც, როგორც ცნობილია, გამოცემული ტექსტები და საძიებლებ-ლექსიკონები ნაკლებად გვაქვს, დაბეჯითებით ამის მტკიცება ან უარყოფა ჭირს.

[2] ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. 1938, გვ. 25.

[3] ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. თბ. უნივ. შრომები, VII, 1938, გვ. 89.

[4] ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 89, შნშ.

[5] Г. Климов, Этимол. словарь, გვ. 146—147.

[6] მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. 1966, გვ. 88.

გიორგი ჩუბინაშვილი

გვიანი შუასაუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ერთი უცნობი ძეგლი

1930 წელს ძველი ქართული ხელოვნების გამოფენასთან დაკავშირებით მივლინებული ვიყავი გერმანიაში. ბერლინში, ფოტოგრაფ ჰერმან ბოლის ვიტრინაში ჩემი ყურადღება მიიპყრო (17. VII) ორმა ფოტოსურათმა: ეს იყო ჭედური ჯვრის წინაპირი მინანქრული გამოსახულებებით და იმავე ჯვრის ზურგი ქართული წარწერით[1]. მე მაშინვე შევიძინე ფოტოანაბეჭდები და მოვიკითხე, სად ინახებოდა ეს ნივთი, ვის ეკუთვნოდა იგი. შემპირდნენ, რომ მომაწვდიდნენ რაიმე ცნობას დავთრების მეშვეობით, მაგრამ უფრო მოგვიანებით წარმოების მფლობელმა მაცნობა, რომ ვერავითარ მონაცემებს ვერ მიაკვლია. ცხადია, ძეგლის მფლობელმა არ მოინდომა მათი გამოჩენა.

ჩემი პუბლიკაციის მიზანია გამოვავლინო ქართული ხელოვნების კიდევ ერთი ძეგლი, რომელიც დღეისათვის, შეიძლება ითქვას, დაღუპულია.

აშკარაა, რომ ძეგლი წარმოადგენს ლითონის, უნდა ვიფიქროთ, ვერცხლის, ორი ფირფიტისგან შედგენილ ჯვარს. ეს ორი ფირფიტა ერთმანეთთან მხოლოდ ზედა ნაწილშია მიმაგრებული შარნირის საშუალებით. მაშასადამე, შეიძლებოდა ჯვრის გახსნა და დაკეტვა. შარნირს ოთხი პატარა ყური აქვს; ყურებში, როგორც ჩანს, გაყრილი იყო ძეწკვი გულზე ჩამოსაკიდებლად. ჯვარი იკეტებოდა თვითეული მკლავის ორივე გვერდითს კიდეზე თანაბრად განლაგებული პატარა, ბურთისებური თავებით შემკული, შტიფტებით: თითო-თითო ჯვრის სამივე მოკლე მკლავის კიდეებზე და ორ-ორი ქვედა მოგრძო მკლავზე; ეს საკეტები დამატებითს მორთულობას ქმნიდა.

ძეგლის წინაპირი, რამდენადაც ფოტოს მიხედვით შეიძლება ამაზე ლაპარაკი, შეიცავს ლითონის (ალბათ ოქროს) ფირფიტას, რომელშიც მინანქრის გამო-

[1] Photographische Reproduktions- und Verlagsanstalt Hermann B o l l. Berlin W, Tauentzienstrasse 7b.

სახულებებია ჩასმული. ფირფიტა მოჩარჩოებულია. ჩარჩო სამი წვრილი გრეხილის („მარგალიტის“ მძივის) საშუალებით ორ ზოლადაა დაყოფილი. ერთი, უფრო ფართო, შემკულია ფერადი ქვებით, ხოლო მეორეზე შერჩენილია თანაბრად განაწილებული პატარა ყურები, რომლებშიც, ალბათ, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე, გაყრილი იყო მავთული ნამდვილი მარგალიტის მძივებით. ფოტოს მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ძვირფასი ქვები მეტწილად შერჩეულია არა მარტო ზომების, არამედ ფერადოვნების მხრივაც — იქმნება ლაქების გარკვეული წონასწორობა. ცენტრალური ადგილი ჯვრის წინაპირზე უჭირავს ტიხრული მინანქრის ჯვარცმას ღვთისმშობლისა (მარცხნივ) და იოანე მახარებლის (მარჯვნივ) ნახევარფიგურებით. ჯვარცმულის თავზე, პატარა დაფაზე, მოკლე წარწერაა; ეს წარწერა, ისევე როგორც წინაპირის ყველა სხვა წარწერა, ბერძნულია: I͞C X͞C. ჯვრის ჰორიზონტალური ძელის ქვეშ წარწერა ორ სტრიქონადაა განაწილებული: Ο ΒΑCΙΛΕΥC ΤΗC ΔΟΞΗC (ორი უკანასკნელი ასო სტრიქონში ვერ მოთავსებულა და ერთიმეორეს აზის) და Η CΤΑΥΡΩCΙC. ღვთისმშობელს თან ახლავს ორი მოკლე ბწკარი Μ͞Ρ Θ͞Υ, მახარებელს კი Ο ΙΩ Ο ΘΕΟ,. ამ ძირითადი კომპოზიციის გარდა, ზედა მკლავზე, ტრისტეს ზევით, მიქელ მთავარანგელოზის ნახევარფიგურაა გამოსახული — Ο ΑΡ ΜΙΧ, ქვევით კი, ქვედა მკლავზე, წარმოდგენილია იოანე ოქროპირის ნახევარფიგურა — Ο ΙΩ Ο ΧΡΥ,.

ჯვრის ზურგი ჭედური ტექნიკითაა შესრულებული. შუაში, გლუვ ფონზე, რომელსაც ისევ ჯვრისებრი მოჩარჩოება ევლება გარშემო, გამოსახულია იოანე ნათლისმცემლის ფიგურა ბერძნული და ქართული წარწერებით; კიდეებზე კი, მედალიონებში, ნახევარფიგურებია მოთავსებული ბერძნული წარწერებით. ჯვრის ზურგის დანარჩენი კიდურა არეები თანაბრადაა შევსებული ტალღისებრი მცენარეული ყლორტით, რომლის ყოველ ხვეულზე ფოთოლია გამობმული. ყლორტზე აქა-იქ დამატებულია პატარა ყუნწები. ორნამენტისათვის განკუთვნილი არე ზოგან უფრო ფართოა, ზოგან — ვიწრო და ამის შესაბამისად ფოთოლი თავის ხვეულით ხან იზრდება და ხან მცირდება. ნახევარფიგურები: ზემოთ — ვასილი (Ο Α ΒΑC,), ქვემოთ — ანდრია (Ο Α ΑΝΔΡ), მარცხნივ — ფილიპე (Ο Α ΦΙΛΙΠΠ), მარჯვნივ — თომა (Ο Α ΘΩΜΑC). ორი წარწერიდან, რომლებიც ცენტრალურ ფიგურას ახლავს, ერთი, ზედა, ბერძნული ასოებითაა შესრულებული (ეს ასოები და მედალიონებში ნახევარფიგურებთან არსებული წარწერების ასოები ერთი ზომისაა): Ο Α ΙΩ ΟΠΡΟΔΡΟΜΟC; ამ წარწერის ქვეშ ამოკვეთილია ქართული წარწერა, უფრო მსხვილი, ასომთავრულით შესრულებული: წ̄ა იოანე ნათლისმცემელი. სწორედ ამ უკანასკნელი წარწერითაა გამოწვეული ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი ამ ფოტოებისადმი.

ფოტოსურათების ერთმანეთთან შედარებისას მაშინვე გვეცემა თვალში სხვაობა „მარგალიტის“ მძივების მასშტაბისა და შესრულების მხრივ: წინაპირზე იგი მინიატურულია და დახვეწილი, ზურგზე კი — უფრო მსხვილი, უხეში და რამდენადმე არათანაბარი.

ასეთი თავისებური ფორმისა და პროპორციების გულსაკიდი ჯვარი არაა გამონაკლისი. აკად. მ. პ. ბოტკინის მდიდრულ კოლექციაში დაცული იყო ამ ტიპის ჯვარი, ასეთივე ფორმისა და პროპორციებისა და წინაპირის ამგვარივე მორთულობით. ჯვრის სიმაღლე 14 სმ ყოფილა, სიგანე — 11.5 სმ[1], ე. ი. იგი რამდე-

[1] Собрание М. П. Боткина, СПб. 1911, გვ. 32—33 და ფოტო ტექსტის 33-ე გვერდზე.


IC XC
ΜΡ ΟΒΑCΙΛΕ
ΘΥ ΗCΤΑV

ΩΟΠΡΟ
ΔΡΟΜΟΣ

ნაღმე პატარაა, ვიდრე ჩვენი ჯვარი (17×14 სმ), თუ ჩავთვლით, რომ ფოტოზე ნატურალური ზომებია წარმოდგენილი. Მ. Პ. Ბოტკინის მოკლე აღწერილობით, ეს ჯვარი ვერცხლისაა, მოოქრული, და ძვირფასი ქვებითაა შემკული, მაგრამ მას არ გააჩნია მარგალიტის მძივებისათვის განკუთვნილი ყურებშებმული ზოლი. Ამ ჯვარსაც აქვს ზემოთ შარნირის ყურები (ორი), ძეწკვისათვის; ჯვრის ერთ ზედა კუთხეში შერჩენილია აგრეთვე შტიფტი ბურთისებრი, როგორც ჩანს, მარგალიტის თავით. Ტიხრული მინანქარი—ჯვარზე გაკრული ჯვრისტე კოლობიუმში—Ბოტკინის კოლექციის სხვა მინანქრებთან ერთად IX—XII საუკუნეებითაა დათარიღებული.

Უნდა ითქვას, რომ ჯვრები ზუსტად ამგვარი ფორმისა, ე. ი. ჯვარი სავსებით სწორხაზოვანი კონტურით და სხვა, არა მარტო გართულებული, არამედ ასევე მარტივი ფორმებით საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება[1]. Მაგრამ პროპორციების თვალსაზრისით ჩემთვის ცნობილი ნიმუშებიდან Ბერლინის ჯვარს მხოლოდ ერთადერთი ბოტკინისეული კოლექციის ზემომოტანილი მაგალითი უახლოვდება.

Ჯვრის მინანქრის აღწერილობა, რომელიც Ბოტკინის გამოცემაშია მოცემული, გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი IX საუკუნეშია გაკეთებული, რასაც არც მისი სხვა დანარჩენი ელემენტები ეწინააღმდეგება. Ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს მინანქრის თავისებურებანი—რამდენადმე უკვე თვით ჯვარცმულის გამოსახულება ცისფერი კოლობიუმით, განსაკუთრებით კი მისი ფონი—მწვანე საღებავი ორნამენტით. Ჯვარცმულის ფიგურა, Მ. Პ. Ბოტკინის სიტყვით, გამოიყოფა „на чудном прозрачном зеленом фоне, по которому идет легкий орнамент“ (შესანიშნავ გამჭვირვალე მწვანე ფონზე, რომელსაც მსუბუქი ორნამენტი ამკობს). Ეს მოკლე ცნობა უფლებას გვაძლევს ბოტკინისეული მინანქრული ჯვარცმა ტიხრული მინანქრების იმ უძველესი ძეგლების ჯგუფს მივაკუთვნოთ, რომელიც ამ 40—50 წლის წინ Მარკ Როზენბერგმა გამოყო და დაახასიათა Კონდაკოვის მიერ (75 წლის წინ) წამოყენებული დებულებების გასამტკიცებლად[2]. Ამ ჯგუფის ქრონოლოგია Როზენბერგმა VII საუკუნიდან IX საუკუნის შუაწლებამდე, ხოლო Კონდაკოვმა VI—X საუკუნეებით განსაზღვრა. Ძუნწ ფერადოვან კომპლექსში გამოიყოფა ფონის ზურმუხტოვანი-მწვანე ტონი, ფერი, რომელიც ასე დამახასიათებელია უძველესი ტიხრული მინანქრებისათვის. Ეს ტონია გამოყენებული მარტვილის ენკოლპიუმზე მინანქრული დეისუსითა და სევადით შესრულებული სცენებით ზურგის მხარეზე[3], Ხახულის ტრიპტიქონის ჯვარცმაზე (Გელათის მონას-

---

[1] Იხ., მაგ., Cabrol et Leclercq. Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie, s. v. croix: t. III, part 2, fig. 3379 et 3384; Н. Кондаков, Византийские эмали собрания А. В. Звенигородского, СПб. 1892, рис. 54; Marc Rosenberg. Geschichte der goldschmiedekunst auf technischer Grundlage. Abteilung: Zellenschmelz, III, Frankfurt a. M., 1922, Fig. 59, 76, 77; Н. Кондаков, Иконография богоматери, том II, СПб. 1915, рис. 52, 60, 119; Marvin Ross, A byzantine imperial scepter for Easter and a pectoral cross (მარტვილიდან), Jahrbuch der österreichischen byzantinischen Gesellschaft, IX. Graz-Köln 1960, Fig. 1—4.

[2] M. Rosenberg, Zellenschmelz, I—II, III, Frankfurt am Main 1921, 1922; Н. Кондаков, Византийские эмали, გვ. 87.

[3] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб. 1959, გვ. 42—48 და მისივე ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII საუკუნეებისა (ალბომი), Თბილისი, 1957; ტაბ. 4—A. Მოკლე აღწერილობა იხ. Ექვთ. Თაყაიშვილი, Არხეოლოგიური მოგზაურობანი და-

ტერში)[1], ამავე ტრიპტიქონის ფირფიტებზე ღვთისმშობლისა და თეოდორეს გამოსახულებებით[2], აგრეთვე მარკ როზენბერგის მიერ მოტანილ VIII—IX საუკუნეების ძეგლებზე დასავლეთევროპული კოლექციებიდან[3]. „მსუბუქი ორნამენტის“ ანალოგიას, ე. ი., როგორც ჩანს, იმ ნახატის ანალოგიას, რომელსაც ოქროს ტიხრები ქმნის ერთიან მწვანე ფონზე, გვაძლევს კლაკნილი ორნამენტი მარტვილის დეისუსზე, ხახულის ტრიპტიქონის ჯვარცმაზე, აგრეთვე ფიესკი—მორგანის სტავროთეკაზე (700 წლის ახლოხანები), ლატერანის კაპელის—Sancta Sanctorum—ჯვარი ვატიკანის კოლექციაში (IX საუკუნის პირველი მეოთხედი) და სხვა.

ბოტკინისეული ძეგლის ფირფიტა, ისევე როგორც ზემოდასახელებული მინანქრული ფირფიტები მწვანე ფონით, მთლიანად მინანქრისაა, მაშინ როდესაც ბერლინის ჯვარზე მინანქრები ჩასმულია ოქროს (?) ფირფიტაში: მაგრამ ორივე ფირფიტას იმგვარივე სპეციფიკური ფორმა აქვს, როგორიც თვით ჭედურ ჯვარს. ხოლო რაკი ბერლინის ჯვრის მთელი მორთულობა ემთხვევა ბოტკინისეულს და მხოლოდ მინანქრები (მართალია, მხოლოდ ფოტოს მიხედვით) უახლოვდება X—XI საუკუნეების ძეგლებს, ამიტომ ეს წინაპირი ძეგლისა, ბუნებრივია, სწორედ ამ—შედარებით უფრო მოგვიანო—ხანას მივაკუთვნოთ.

ბოტკინისეული ძეგლის ზურგი, ბუნებრივია, მთელი ნაწარმოების პირვანდელი ნაწილი უნდა იყოს, ე. ი. იგი წინაპირის მინანქართან და მთელ მის მორთულობასთან ერთად ერთდროულადაა გაკეთებული. მ. პ. ბოტკინი მოკლედ და სრულიად გარკვევით ახასიათებს, თუ როგორაა შესრულებული ძეგლის ჭედური ნაწილი: „Прекрасной выбивной чеканной работы“ (იგი ჭედურობის მშვენიერი ნახელავია). ზურგზე გამოყოფილია ხუთი მედალიონი, რომლებიც ერთმანეთთან არაა დაკავშირებული, ხოლო მონაკვეთები ჯვრის მკლავების ბოლოებზე შევსებულია პატარა მცენარეული ხვეულებით. შუანა მედალიონში გამოსახულია ორი ანგელოზი, რომელთაც ჯვარი უპყრიათ ხელთ, დანარჩენ ოთხში კი—სერობინები (ექვსფრთედნი). სამწუხაროდ, რეპროდუქციის მიხედვით ძნელია ლაპარაკი, რას წარმოადგენს ძეგლი მხატვრული თვალსაზრისით. მაგრამ როგორც ორი ანგელოზის კომპოზიცია (ე. ი. პროფილში მდგომი ორი ანგელოზი, რომელთაც ხელთა აქვთ ან დიდი ჯვარი, როგორც ეს ამ ძეგლზეა, ანდა ტოლმკლავებიანი ჯვარი წრეში), ისე ტეტრამორფის ტიპის ექვსფრთედნი არაერთხელ გვხვდება ჩვენშიც, ჭედური ხელოვნების ძეგლებზევე: სამწერობლებზე (ზარზმიდან—ზაკლაკიძისეული, მესტიიდან—ერთი, ძველი, ფალიანის ოჯახისეული და მეორე, აგრეთვე ერთი ქუთაისის მუზეუმში და შემოქმედში რამდენიმე დალუპული)[4].

———— –

შენიშვნანი, II, თბ. 1914, გვ. 61—62 და 63 (№ 15 და 17). შეად. აგრეთვე Н. П. Кондаков, Византийские эмали собрания А. В. Звенигородского, СПб. 1892, გვ. 119—120; O. M. Dalton. East christian art. Oxford 1925, p. 344.

[1] Кондаков и Бакрадзе, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии. СПб. 1890, გვ. 7 და შემд. (გელათი—ხახულის ტრიპტიქონი, №78). M. Rosenberg, Zellenschmelz, III (1922), Abb. 74 (S. 53). ერმაკოვის ფოტო № 5108.

[2] Кондаков и Бакрадзе, Опись... ხახულის ტრიპტიქონი № 11 და 14. ერმაკოვის ფოტო № 5077 და 5078.

[3] M. Rosenberg, Zellenschmelz, I—II (1921), S. 61.

[4] Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб. 1959. ფოტო 22—25, 26—27, 114—115, 116—118, 119—124 და ალბომი, ტაბ. 21—25.

თუ კერლინის ძეგლის წინაპირი თავისი მინანქრული გამოსახულების მიხედვით მხოლოდ საუკუნით ჩამორჩება ბოტკინისეულ ნიმუშს, მისი ზურგი არ შეიძლება ამ ხანას მივაკუთვნოთ; იგი პირვანდელი—უთუოდ, დაკარგული ანდა დაზიანებული—ფირფიტის ნაცვლად გაუკეთებიათ ძეგლის საფუძვლიანი რესტავრაციის დროს. ზურგის ყოველი დეტალი XVI საუკუნის ძეგლებთან პოულობს ახლო ანალოგიას; ამავე საუკუნეს (მის მიწურულს) უკავშირდება აგრეთვე ქართული წარწერის (იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებას რომ ახლავს) ასო ანის მოხაზულობაც [1].

როგორც ცნობილია, თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ, XV და XVI საუკუნეებში, საქართველოს მხატვრული კულტურა და კერძოდ, ჭედური ხელოვნებაც, აღორძინებას განიცდის [2]. ამის ნათელი მაგალითია იოანე ნათლისმცემლის ფიგურა ჩვენი ჯვრის ცენტრში (ზურგზე). მართალია, აშკარად შეიმჩნევა ერთგვარი შეუსაბამობა ნათლისმცემლის თავსა და სხეულს შორის, მაგრამ ფიგურის მთელი მოძრაობა საკმაოდ მკაფიოდაა გადმოცემული და სამოსელიც ძალიან კარგადაა დამუშავებული. სწორედ ასევე მედალიონების ნახევარფიგურებიც, რომლებიც საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს შემუშავებულ იკონოგრაფიულ ტიპებს, საქმის კარგი ცოდნითაა შესრულებული, მათი ყოველი მოძრაობა მკაფიოა და გასაგები. აქ გამოსახული პერსონაჟების წრეც საკმაოდ ხშირად გვხვდება XVI—XVII საუკუნეების ჭედურ ხატებზე: ესაა სიუჟეტური თემის რთული ამოცანების ღრმა დამუშავება. პერსონაჟთა წრე კერლინის ჯვარზე, ცენტრში მდგომი ასკეტით, უთუოდ, რაღაც გარკვეული საღვთისმეტყველო პროგრამის გამოძახილია, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია XVII საუკუნისათვის.

ფოთლების ორნამენტული მოტივი მცენარეული ყლორტის ხვეულებში ისე თავისუფლადაა შესრულებული, რომ აშკარაა, ოსტატმა თავად შექმნა იგი. მე ვერსად მივაგენი ამ მოტივის ზუსტ განმეორებას. კერლინის ჯვრის ზურგის ორნამენტულ კომპოზიციაში ძირითადი ელემენტია მრავალფურცლა ფოთოლი წაწვეტილი ბოლოებით. და აი, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, უძველესი ქართული ჭედური ძეგლებიდან მოყოლებული, თვალი გავადევნოთ იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც ამ მოტივმა განიცადა. მოვიტან მაგალითებს: ღვთისმშობლის ხატის ორნამენტული ჩარჩო ლაგურკის მონასტრიდან, სვანეთში (X ს.) [3], შემოქმედის ლორ-

---

[1] ამგვარივე მოხაზულობის ანი გვხვდება XVI საუკუნის ბოლოხანებში, მაგალითად, ხაცხის სტავროთეკის პატარა კარედზე (ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, შიფრი ი. 34): წარწერაში მოხსენებულია ათაბაგ ყაიხოსრო II-ის მეუღლე, დედისიმედი, თავისი ქმრით, ორი უკანასკნელი ვაჟიშვილის დაბადებამდე (არ არიან ნახსენები), ე. ი. დაახლოებით 1564 წლამდე; წყვირის მაცხოვრის ხატზე (ო. 109) პაპუნა ჭილაძის პორტრეტული გამოსახულებით (XVI საუკუნის მიწურული—შეად. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, თბ. 1914, II, გვ. 11, № 4). უფრო ხშირია ასეთი მოხაზულობის ანი, როგორც ჩანს, XVII საუკუნეში, მაგალითად, ლევან დადიანისა და ნესტან-დარეჯანის ხატი მარტვილიდან (ო. 8 ბ, შეად. ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 52—59, № 7), შემოქმედის წმ. ჯვრის ხატი—ქსილოთეკა (Кондаков и Бакрадзе, Опись..., სურ. 64, გვ. 131, № 19), მაცხოვრის ხატი 1658 წლისა, მალაქია შემოქმედელის დაკვეთით, შემოქმედიდან (ამ უკანასკნელზე ჩვეულებრივი მოხაზულობის ანიც გვხვდება).

[2] Грузинское чеканное искусство, გვ. 626 და შ.

[3] Грузинское чаканное искусство, ფოტო 55 და 56, გვ. 421.

ფინი ჯვარცმის კომპოზიციით[1], თეკალის ღვთისმშობლის ხატი[2], ხიდისთავის წმ. გიორგის ხატი[3], სუჯუნის წმ. გიორგის ხატი[4], კვირიკეს I, IV და V ხატები[5]. ზემოჩამოთვლილი ყოველი ძეგლის მოჩარჩოებაზე ორნამენტულ მოტივს თავისი საკუთარი სახე აქვს, მაგრამ ყველგან მთელი ორნამენტული ზოლი ერთი ფოთლის ზუსტი განმეორებაა. თვით ფოთლის აგებულება მისი ფურცლების ჩაღრმავებითაა შექმნილი. მაგრამ გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, როცა ფოთოლი ამოზნექილი ფურცლებისგანაა შედგენილი. მაგალითად, სეტის მაცხოვრის ხატის მოჩარჩოება მესტიაში (XI ს.)[6]. ახლო ანალოგიას, როგორც ფოთლის აგებულებით, ისე მისი შესრულების მხრივ (სიბრტყიდან ამოზნექილი ფოთოლი), გვაძლევს ჯუმათის ტრიპტიქონი—ძეგლი, რომელიც აგრეთვე XVI საუკუნის მიწურულშია შექმნილი, გიორგი გურიელისა და მისი მეუღლის, ელენე დედოფლის, დაკვეთით[7].

ბერლინის ჯვრის მცენარეულ ორნამენტში კარგად ჩანს ოსტატის მარჯვე ხელი და დამოუკიდებელი მიდგომა: ორნამენტისათვის განკუთვნილი არე არაა ყველგან ერთი სიგანის, ფიგურების განთავსების გამო მისი ფართობი იცვლება აქა-იქ და ამის შესაბამისად იცვლება ფოთლის ზომაც, ხოლო ალაგ-ალაგ ოსტატი პატარა სამკუთხა მონაკვეთებში სხვადასხვაგვარ ყუნწებს ათავსებს: ესაა თავისებური წანაზარდები მცენარეულ ყლორტზე, რაც განსაკუთრებულ სიცოცხლესა და დინამიზმს მატებს ამ, ფოთლის შესრულების მხრივ ერთგვაროვან, ორნამენტს. ამავე დროს ბერლინის ჯვარი გვიანი ხანის მკვეთრად გამოხატული ტენდენციის დამადასტურებელი ძეგლიცაა: ფოთლის ფურცლები აქ მოცემულია არა ჩაღრმავებით, რაც უპირატესად ადრეული ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, არამედ სიბრტყიდან ამოზიდული ფორმებით[8].

ამგვარად, ბერლინის ჯვარი ორი სხვადასხვა დროს შესრულებული ნაწილისაგან შედგენილი ძეგლია. წინაპირი—ჯვარისებრი ფორმის მინანქრული ფირფიტა ჯვარცმულითა და ნახევარფიგურებით X—XI საუკუნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ. იგი იმეორებს უფრო ადრეული ხანის ნიმუშს, რომელიც მ. პ. ბოტკინის კოლექციამ

[1] ალბომი, ტაბ. 12.

[2] Грузинское чеканное искусство, ფოტო 139—141, განსაკუთრებით—141; ალბომი, ტაბ. 32, 33.

[3] იქვე, ფოტო 153, 154; ალბომი, ტაბ. 53.

[4] იქვე, ფოტო 156, 161; ალბომი, ტაბ. 64.

[5] იქვე, ფოტო 210 და 212—214, 218, 219; ალბომი, ტაბ. 78—80-a.

[6] იქვე, ფოტო 359-A; ალბომი, ტაბ. 123.

[7] იქვე, ფოტო 537.

[8] მოწამეთის სახარების ყდის მოჭედილობა, ქაიხოსრო მხეცისძისა და მისი მეუღლის—ანას დაკვეთით (ერმაკოვის ფოტო № 17888 და 17889; Brosset, Rapports sur un Voyage archéologique... SPbg. 1851, XI, p. 43 f.; Кондаков и Бакрадзе, Опись..., გვ. 47, № 41); ცაიშის სახარების ყდის მოჭედილობა (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187, № 1); ჯრუჭის მონასტრის ღვთისმშობლის ხატი, 1719 წლისა (Опись..., გვ. 152, № 2; Грузинское чеканное искусство, გვ. 643); მარტვილის მონასტრის დიდი კიოტი პეტრე ოქრომჭედლის ნახელავი მიტროპოლიტ გაბრიელ დადიანის დაკვეთით (Груз. чек. искусство, ფოტო 597); გულეკარის წმ. გიორგის ტრიპტიქონი (ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22, № 3, Е. Такайшвили. Христианский Восток, VI, 1922, გვ. 302, № 3 და ტაბ. IX) — ყველგან აქ ფოთოლი ამოზნექილი ფურცლებისაგან არის შედგენილი.

შემოგვინახა. საფიქრებელია, რომ ეს ნიმუშიც, ისევე როგორც ბოტკინის კოლექციის მინანქართა უმეტესობა, საქართველოდანაა გატანილი. რაც შეეხება ბერლინის ჯვრის ზურგს, იგი გაცილებით გვიან არის გაკეთებული—როგორც ზემოთ შევეცადეთ გვეჩვენებინა—XVI საუკუნის მიწურულს. ზურგის შესრულების ხარისხი, ისევე როგორც მთლიანად ძეგლის აღდგენა-განახლება, ოსტატობის მაღალ დონეს გვიჩვენებს, რაც ქვეყნის მთელი კულტურული ცხოვრების ახალი აღმავლობის მანიშნებელიცაა.

Გიორგი Წერეთელი

„Ვეფხისტყაოსნის" „სევდისა მუფარახი"

Ეს გამოთქმა, *სევდისა მუფარახი* Ვეფხისტყაოსანში ორჯერ გვხვდება. Ერთხელ, სახელდობრ ჩვენი გამოცემის[1] 884 სტროფში[2] (გვ. 173), პირდაპირ არის ნახმარი გამოთქმა *სევდისა მუფარახი*.

Და შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან,
Განანათლა პირი-ვარდი სიხარულმან დაუსახმან,
Ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხრვა-ახმან;
Ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა რასმე მზრახმან.

Ამ შემთხვევაში „სევდისა მუფარახი" ნახმარია ეპითეტად Ავთანდილის მიმართ.

Მეორედ ეს სიტყვები გვხვდება Როსტევანის პასუხში Თინათინისადმი:

Უბრძანა: „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,
Შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,
Მომქარვებელი სევდისა, მართ ვითა მუფარახია.
Ვეჭვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია"[3].

Ე. ი. Როსტევანი ეუბნება Თინათინს: შენი ჭვრეტა და შენთან სიახლოვე ლხინად დამისახია და ჩემთვის ეს არის სევდის გამქარვებელი, სწორედ ისე, როგორც მუფარახიო.

---

[1] *Ვეფხისტყაოსანი*, Თბილისი, 1966. Ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად *Გიორგი Წერეთელმა*, *Სარგის Ცაიშვილმა*, *Გურამ Ქარტოზიამ*, რედაქტორები: *Გიორგი Წერეთელი*, *Ირაკლი Აბაშიძე*. Ეგივე ტექსტი უძევს საფუძვლად 1966 წლის გამოცემას, რომელშიც სარედაქციო კოლეგიის (*Ირაკლი Აბაშიძე*, *Ალექსანდრე Ბარამიძე*, *Პავლე Ინგოროყვა*, *Აკაკი Შანიძე*, *Გიორგი Წერეთელი*) მიერ შეტანილია მცირეოდენი ცვლილებები.

[2] 1937 წლის გამოცემის 894 სტროფი.

[3] ჩვენი გამოცემის 107 სტროფი, გვ. 26 (= 1937 წლის გამოცემის 108 სტროფი).

Უკვე ამ ტექსტიდან ჩანს, რომ მ უ ფ ა რ ა ხ ი რაღაც სევდის გამქარვებელი საშუალებაა. Ასედაც ესმით „Ვეფხისტყაოსნის" კომენტატორებს სიტყვის მნიშვნელობა.

Ვახტანგი მ უ ფ ა რ ა ხ ი ს ა თ ვ ი ს შემდეგ განმარტებას იძლევა:

„Მ უ ფ ა რ ა ხ ი მაჯუნსა ჰქვიან, თათრები მ უ ფ ა რ ა ხ ს ეძახიან" (რთ, გვ. ტი), ან კიდევ: „Მ უ ფ ა რ ა ხ ი იაგუნდის მაჯუნია" (ყპდ, გვ. ტმე)[1].

Ასეთივე განმარტება აქვს მოცემული საბას მ უ ფ ა რ ა ხ სიტყვისათვის: „Მ უ ფ ა რ ა ხ ი იაგუნდის მ ა ჯ უ ნ ი"[2], თან „Ვეფხისტყაოსანზე" მიუთითებს.

Უფრო დაწვრილებით განმარტავს ამ სიტყვას Თეიმურაზ Ბაგრატიონი. 107 (=Ვახტანგის გამოცემის 109) სტროფთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს:

„Მ უ ფ ა რ ა ხ ი ჩვენებურად ეწოდების, არაბულად მ უ ფ ა რ ა ყ არის. Ის ეწოდების ესე გვარსა მაჯუნსა, რომელიცა გულისწყლულებასა და სენსა გულისასა ჰკურნებს".[3]

Მეორე ადგილას Თეიმურაზი ასეთ განმარტებას იძლევა: „Მ უ ფ ა რ ა ხ ი გულის გასამთელებელი მაჯუნი არის (გინა დუბედი). Ქართულად დუბედი ეწოდების მაჯუნსა. Ამას აღმოსავლეთის ექიმნი აკეთებენ, იაგუნდთა, მარგალიტთა და თვალთაგან პატიოსანთა. Ის მაჯუნი გულისტკივილს დიდად არგებს. ს ე ვ დ ი ს მ უ ფ ა რ ა ხ ი არის კაცი, რომელიც მოყვასსა თვისსა ტკბილისა ლაპარაკითა და საუბრითა ლხინებას მისცემს"[4].

Ამ განმარტებებს ემყარება, როგორც ჩანს Უორდროპი, როდესაც მ უ ფ ა რ ა ხ ი ს ა თ ვ ი ს იძლევა თარგმანს „electuary"[5], ხოლო „სევდისა მუფარახისათვის" "the elixir of grief", თანაც, Ჩუბინაშვილზე დაყრდნობით განმარტავს "mup'harakh, a medicine made of opium or hashish"[6].

---

[1] Იხ. Ვახტანგის გამოცემა, აღდგენილი Ა კ ა კ ი Შ ა ნ ი ძ ი ს მიერ (Თბილისი, 1937) და ამ გამოცემისათვის დართულ „Თარგმანში ახსნილი სიტყვები", გვ. 379.

[2] Ა კ ა კ ი Შ ა ნ ი ძ ი ს ა და Ი ო ს ე ბ Ყ ი ფ შ ი ძ ი ს გამოცემა, Თბილისი, 1928, გვ. 232.

[3] Თ ე ი მ უ რ ა ზ Ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, Განმარტება პოემა Ვეფხისტყაოსანისა, Გ ა ი ო ზ Ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, Თბილისი, 1960, გვ. 27.

[4] Თ ე ი მ უ რ ა ზ Ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, 874 (Ვახტანგის გამოცემის 894) სტროფის განმარტება, გვ. 151.

[5] M. W a r d r o p-ის თარგმანის 108 სტროფი.

[6] M. W a r d r o p-ის თარგმანის 874 სტროფი და შენიშვნა. Აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ M. W a r d r o p-ის ინგლისურ თარგმანს „Ვეფხისტყაოსნის" ტექსტის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ბწკარედის მიხედვით კი არ არის შესრულებული, არამედ შედეგია ქართულ დედანზე ოცი წლის მუშაობისა, თანაც Უორდროპს თარგმანზე მუშაობისას იმდრ ოინდელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ეხმარებოდნენ. Ამის შესახებ თვით Ოლივერ Უორდროპი აღნიშნავს წინასიტყვაობაში: (Თბილისის გამოცემის გვ. 14—15):

„სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აქ განვაცხადო დიდი დახმარების შესახებ, რომელიც ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებისას გამიწიეს. Იმდენი პირი თანამშრომლობდა, რომ შეუძლებელია პერსონალურად, ყველასი მათი დასახელება, მაგრამ ვანსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ბ. Მიქელ Წერეთელს, მთელი ხელნაწერის მთლიანად წაკითხვისათვის, და პროფესორ Ნიკო Მარს სანკტ-Პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, რომელმაც მოგვაწოდა დამატებითი მასალა და ნება დაგვრთო გამოგვეყენებინა დამატებაში ბუნდოვანი შესავალი სტროფებისა და სხვა ადგილების მისი რუსული თარგმანის ინგლისური ვერსია. Დამხმარენი საკმაო კომპენსაციას მიიღებენ იმის შეგნებით, რომ ისინი იყვნენ თანამშრომელნი პირისა, რომელსაც უყვარდა „Რუსთაველი და საქართველო"

იუსტინე აბულაძე თავის 1926 წლის გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში 69 სტროფის (=ჩვენი გამოცემის 107 სტრ.) „მუფარახ" სიტყვას ამგვარად განმარტავს: „მ უ ფ ა რ ა ხ ი, ა რ ა ბ. ნაღვლის, გინა სევდის, გამქარვებელი საშუალება, მწუხარების უკუმყრელი რამ".[1] თან არაბული სიტყვების საძიებელში მკვლევარი იძლევა სიტყვის არაბულ შესატყვისს: مفرح[2].

აკაკი შანიძე ამ სიტყვისათვის ასეთ განმარტებას იძლევა: „კაი გუნებაზე მომყვანი წამალი"[3].

ყველა ეს განმარტება ძირითადად სწორია, თუმცა საჭიროებს ერთგვარ დაზუსტებას. მაგრამ ვიდრე ამ სიტყვას შევეხებოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ ზუსტი მნიშვნელობა ს ე ვ დ ა სიტყვისა, რომელთანაც არის დაკავშირებული მ უ ფ ა რ ა ხ ი „ვეფხისტყაოსნის" ტექსტში.

ს ე ვ დ ა სიტყვა დღეს საყოველთაოდაა ქართულში გავრცელებული და „მწუხარებას", „დარდს", „ნაღველს" (გადატანითი მნიშვნელობით), „კაეშანს" ნიშნავს. საბას მიხედვით[4] „ს ე ვ დ ა, ს ა ვ დ ა სხუათა ენაა, შ ა ვ ი ნ ა ღ ვ ე ლ ი ჰქვან"[5]. ასეთსავე განმარტებას იძლევა აკაკი შანიძე „ს ე ვ დ ა—შავი ნაღველი, დარდი; ს ე ვ დ ი ა ნ ი, დანაღვლებული"[6].

ს ე ვ დ ა არაბული სიტყვაა: سوداء sawdā' (მდ. სქესი სიტყვისა أسود 'aswad) და „შავს"[7] ნიშნავს[8]. როგორც სპეციალური სამედიცინო ტექნიკური ტერმინი იგი „შავს (ნაღველს)", „მელანქოლიას" აღნიშნავს და წარმოადგენს ამ ბერძნული სიტყვის პირდაპირ თარგმანს. ბერძნული μελαγ-χολία, როგორც ცნობილია, წარმოდგება სიტყვებისაგან μέλανος (ნათ. ბრუნვა სიტყვისაგან μέλας „შავი") და χολή „ნაღველი". ასეთი ტერმინით აღინიშნება ფსიქიური დაავადების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი მოწყენილი, მწუხარე განწყობილება[9]. ძველი ბერძნული მედიცინის მიხედვით მელანქოლიის გამომწვევად ივარაუდებოდა შავი ნაღველით მოწამვლა[10]. აქედან წარმოდგება მისი ბერძ-

---

1 იუსტ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1926, გვ. 298. იგივე განმარტება აქვს მოცემული იუსტინე აბულაძეს 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ლექსიკონში, გვ. 368.

2 იუსტ. აბულაძის გამოცემა, 1926, გვ. 302.

3 1957 წლის გამოცემისათვის დართული ლექსიკონი, შედგენილი ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ი ს მიერ, გვ. 373.

4 საბას ლექსიკონი, გვ. 310.

5 შდრ. უსწორო კარაბადინი, „...ახრო... სევდისაგან დაემართების, რომელ არს შავი ნაღველი" 118,17; აგრეთვე: „სევდა, რომელ არს შავი ბალღამი", 6,16.

6 ა. შ ა ნ ი ძ ე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, გვ. 382.

7 იხ. Н. Я. Марр. Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани. ი. მეგრელიძის რედაქციით. თბილისი, 1966, გვ. 211.

8 შდრ. უსწორო კარაბადინის შემდეგი ადგილი: „რასაცა საჭმელსა ს ე ვ დ ა ჰქონდეს, იმას ნუ ჭამს და მისგან იფარეზოს", 237, 36.

9 იხ. С. А. Суханов. О меланхолии, პეტერბურგი, 1906; БСЭ, т. 27, გვ. 96. „მელანქოლია" არ არის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი (შდრ. მ. გ. სააკაშვილი, ა. ნ. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, თბილისი, 1956, გვ. 408). იგი მხოლოდ შეიძლება თან ახლდეს მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს, ისე როგორც მთელ რიგ სხვა ფსიქიკურ დაავადებას (ფსიქასტენიას, ეპილეფსიას, შიზოფრენიასა და სხვ.).

10 შდრ. უსწორო კარაბადინი: „როდესაც სისხლი დაიწვას, დამწვარი სისხლი და ბალღამი ტყირბსა შეეყაროს, ტყირბი გადიდდეს, მას ს ე ვ დ ა ჰქვიან", 37,30.

ნული სახელწოდებაც. ეს ბერძნული სიტყვის თარგმანია ლათინური Atrabilis (ater „შავი“, bili „ნაღველი“), არაბული sawdā' ან sewdā', ქართული „შავი ნაღველი“, რომელსაც საბა ხმარობს. სომხ. սև մաղձ sew mayʒ.

მაგრამ არაბულში, ბერძნულიდან გადმოთარგმნილი ამ ტერმინის გვერდით იხმარებოდა აგრეთვე თვით ბერძნული სიტყვა (რა თქმა უნდა, საკმაოდ სახეცვლილი), რომელიც შემდეგ სხვა ენებშიც, კერძოდ ქართულსა და სომხურშიც გავრცელდა: مالنخوليا mālinḫōliyā; ماليخوليا mālīḫōliyā[1], აქედან, ქართ. მალიხოლია[2], სომხური մալախուլիա malaxulia[3] და სხვა.

ეს სიტყვებიდან როგორც სამედიცინო ტერმინი ქართულს არც ერთი არ შერჩა. სევდა იხმარება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით „მწუხარების“ აღსანიშნავად, „შავი ნაღველი“—პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით[4], მაგრამ არა როგორც სამედიცინო ტერმინი, ხოლო „მალიხოლია“ შეცვალა რუსული და ევროპული გზით შემოსულმა ბერძნულმავე „მელანქოლიამ“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სევდა მრავალჯერ გვხვდება[5], ჩვეულებრივ, უკვე გადატანითი მნიშვნელობით, რაც, მაგ., კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, როგორიცაა:

„სამკურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია“ (სტრ. 345, გვ. 68)[6].

„გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად“ (509, გვ. 106), „მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დაღრეჯილი“ (სტრ. 100, გვ. 25) და ასე, თითქმის ყველა შემთხვევაში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არის იმის კვალი, რომ ავტორს კარგად ესმოდა ს'ევდა სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა როგორც სამედიცინო ტექნიკური ტერმინისა, სახელდობრ, მუფარახ სიტყვასთან კონტექსტში.

მუფარა¦ხ სიტყვა, როგორც ეს ჯერ კიდევ იუსტინე აბულაძემ აღნიშნა, არაბული مفرح-ისაგან წარმოდგება. მაგრამ არაბული مفرح სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული, იმისდამიხედვით, თუ რა ხმოვნებს ვიგულისხმებთ თანხმოვნებთან: mufarriḥ ან mufarraḥ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, „ვეფხისტყაოსნის“ მუფარახ-ი მომდინარეობს არა mufarraḥ-იდან, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ეგონოს კაცს, არამედ mufarriḥ-იდან.

ეს სიტყვა წარმოდგება არაბული ზმნისაგან فرح fariḥa „უხაროდა, გახარებული იყო, მხიარული“. აქედან მეორე თემა (გარდამავალი მნიშვნელობით) فرّح farraḥa „გაახარა“, „გაამხიარულა“ და მისი მიმღეობა مفرِّح mufarriḥ (მოქმედებითი გვარი) „გამამხიარულებელი“ და مفرَّح mufarraḥ (ვნებითი გვარი) „გამხიარულებული“.

---

[1] გვხვდება, მაგ., ავიცენასთან, قانون في الطب ბულაყის გამოცემა, გვ. 240.

[2] წიგნი სააქიმოჲ, ვადო კოტეტიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1936, გვ. 48,6; 48,28.

[3] *Օգուտ բժշկութեան*, სტ. მალხასიანცის გამოცემა, ერევანი, 1940, გვ. 149.

[4] დამახასიათებელია, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „შავი ნაღველი“ სრულებით არ არის.

[5] ა. შანიძის რედაქციით შედგენილი სიმფონიის მიხედვით ეს სიტყვა და აქედან ნაწარმოები ფუძეები ოცდაორჯერ არის ნახმარი. იხ. სიმფონია, s. v.

[6] აქ და შემდეგ ნაჩვენებია ჩვენი გამოცემის სტროფები და გვერდები.

მაგრამ მოქმედებითი გვარის მიმღეობა mufarriḥ-ი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა იხმარება აგრეთვე როგორც სპეციალური ბოტანიკური ტერმინი და აღნიშნავდა მცენარეს საროსებრთა ოჯახიდან (Borraginacae), რომლის სახელია anchusa arvensis ან anchusa officinalis და მის სახეობას, anchusa italica-ს [1].

მისი სინონიმია لسان الثور lisāna ṯ-ṯawr „ხარის ენა" [2], სპარს. كوزبان كاوزبان [3], რომელიც არის შესატყვისი ბერძნული bouglōsses სიტყვისა [4], საიდანაც მიღებულია ფრანგული bouglosse, თუმცა ეს უკანასკნელი შინაარსით მცენარის იმ სახეობას შეეფერება, რომლისთვისაც არაბულში mufarriḥ-ი იხმარება [5]. ქართულად მას „პატარძალას" ეძახიან, რუსულად воловик-ს [6]. ხოლო لسان الثور, რომელიც anchusa italica-ს აღნიშნავდა, გვიანდელი ტექსტების მიხედვით შესატყვისია იმ მცენარისა, რომლის სახელია borrago officiualis, ქართულად „საro" [7], „ბორანჯო", „კიტრისუნა", რუსულად бурачник, огуречная трава, ფრანგულად bourrache, ინგლ. borage.

მცენარის არაბული სახელწოდება mufarriḥ ქართულშიც იყო გავრცელებული. იხმარებოდა ეს მცენარე როგორც სამკურნალო საშუალება მელანქოლიის, კოშმარისა და გულის დაავადების დროს, როგორც ეს არაბული, სპარსული, ქართული და სომხური საექიმო წიგნებიდან ჩანს. მაგ., ავიცენას მიხედვით „პატარძალა ამხიარულებს (ადამიანს), ამაგრებს გულს, ძალიან კარგია სევდისა და გულის ფრიალის დროს, აგრეთვე შავი ნაღველის სენთა წინააღმდეგ" [8].

ხოჯა ყოფილის სააქიმო წიგნის მიხედვით მელანქოლიის დროს საჭიროა, რომ ავადმყოფი მთელ რიგ სხვა საშუალებებთან ერთად „მ ო ფ ა რ ი ჭ ს ა და ვაშლისა შარაბსა იხმარებდეს" [9] ანდა მან „ტფილი მ ო ფ ა რ ი ჭ ი ჭამოს" [10] აგრეთვე ქაბუსის [11] დროს „გრილი მ უ ფ ა რ ი ჭ ი იხმაროს, რომელ ელხინოს" [12].

---

[1] იხ. Traité des simples par Ibn el-Beïtar. Tome troisième. Notices et extraits des Manuscrits de la Bibliothèque nationale et autres bibliothèques, publiés par l'Institut National de France. Tome vingt-sixième. Paris, M' DCCC LXXXIII, № 2155, p. 331.

[2] ძველი ქართული ტექსტების „ზროხის ენა" (შდრ. ხოჯა ყოფილის სააქიმო წიგნი, გვ. 287, 37).

[3] ყდრ. ხოჯა-ყოფილის სააქიმო წიგნის გ ა ნ ზ ა ბ ა ნ ი, გვ. 287,37.

[4] ყდრ. ინგლ. bugloss, გერმ. Oxenzunge.

[5] Ibn Beïtar, № 2023, გვ. 235-238.

[6] იხ. ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, მემცენარეობა, თბილისი, 1938, გვ. 40; 544.

[7] ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, იქვე, გვ. 23, 587.

[8] იხ. ავიცენა قانون فى الطب გვ. 182, შმდ., რუს. თარგმანი, II, ტაშკენტი, 1956, გვ. 384, შმდ.

[9] წიგნი სააქიმოა, გვ. 79,10.

[10] იქვე, გვ. 80, 8.

[11] ქაბუსი, كابوس kābūs—„კოშმარი".

[12] წიგნი სააქიმოა, გვ. 84, 10.

Ⴁრძენთ-მთავარი Ⴆაზა ფანასკერტელი[1] აღნიშნავს თავის ყარაბადინში, რომ ხ ა ფ ა ყ ნ ი ს (ხ ა ფ ა ყ ა̄ ნ ი არაბ. خفقان hafakān: palpitatio cordi „გულისფრიალი“, „გულის ძგერა“, „გულის ცემა“) წამალი ასეთია: „Ⴇუ სიცხისაგან იყოს... მას მუშკისა და ამბრისა სული ერგების და ღვინისა ტლე, გულსა დაიდვას დოლ-მუშკი, ნუშადრე, მ უ ფ ა რ ე ჭმელი, ესე მისცენ და ზედა ცოტა გემრიელი ღვინო ასვან“.

ႭჃსწორო ყარაბადინით „Ⴋ ა ჯ უ ნ ი მ უ ფ ა რ ა ჲ არგებს სევდასა, მალიხულიასა, სნებასა“[2].

Ⴀსევე, საქიმო წიგნის სომხური ვერსიით მელანქოლიის დროს სხვა საშუალებებთან ერთად საჭიროა მუფარჩჰი (*մուֆառէհ*-ი)[3] ან მ უ ფ ა რ ჩ ჰ-ის მაჯუნი (*մուֆառէհ մաճունի*)[4] იხმარონ.

Ⴋაგრამ mufarriḥ სიტყვას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. Ⴐოგორც Ⴈბნ-Ⴁაიტარის Ⴒრაქტატიდან[5] ჩანს, გამოთქმაში مفرح قلب المحزون (სიტყვასიტყვით „გამამხიარულებელი დამწუხრებულის გულისა“) იგი აღნიშნავდა უკვე სხვა მცენარეს. Ⴄსაა ტუჩოსანთა ოჯახის ერთი სახეობა: melissa officinalis, mélisse citronell, ქართულად ფ უ ტ კ რ ი ს მ ო ლ ი (საბა), ბ ა რ ა მ ბ ო[6]. სტ. Ⴋენთეშაშვილის განმარტებით „Ⴁარამბო სურნელოვანი ბალახია, ღეროზე მობრტყო, გულისნაირი ფოთოლი აქვს, ფუტკარს ამით იოგურებენ“[7].

„Ⴅეფხისტყაოსნის“ ს ე ვ დ ი ს ა მ უ ფ ა რ ა ხ ი სინონიმია ზემოთ განხილული არაბული ტერმინისა და, ცხადია, აღნიშნავდა იმავე ტუჩოსან მცენარეთა ერთ

---

[1] Ⴆ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, სამკურნალო წიგნი, Ⴋ. სააკაშვილის რედაქციით, Ⴇბილისი, 1950, 175, 25. Ⴚიციანთ გვარის სახელგანთქმული წინაპრის Ⴆაზა ფანასკერტელის ტიტულში — „ბრძენთ-მთავარი“ — სიტყვა „ბრძენი“ პირდაპირი მნიშვნელობით კი არ არის ნახმარი, არამედ წარმოადგენს არაბული ḥakīm-ის თარგმანს და მის მსგავსად „ექიმს, მკურნალს“ ნიშნავს.

Ⴀრაბ. ḥakīm-ის ძირითადი მნიშვნელობაა „ბრძენი, მეცნიერი, დახელოვნებული“, იგივე მნიშვნელობა აქვს ḥkm ძირს ებრაულსა და არამეულში. Ⴀმ ძირითადი მნიშვნელობიდან არის განვითარებული ორი სხვა: 1. ḥākim „მსაჯული; მმართველი“; 2. ḥakīm „ექიმი, მკურნალი“ (შდრ. E. Mittwoch, E. I, II, 297). ქართ. ბ რ ძ ე ნ თ-მ თ ა ვ ა რ ი შეესატყვისება არაბ. ra'īs al—ḥukamā'-ს, თურქ. hekim baši-ს (ე ქ ი მ-ბ ა შ ი „მთავარი ექიმი“, შემდეგ, ირონიულად ხმარების შედეგად ქართულში მიიღო კონტრასტული მნიშვნელობა), სომხ. bžškapet-ს და აღნიშნავს „მთავარ ექიმს“. Ⴀსეთ ტიტულს სამეფო კარის მთავარი ექიმები, „ლეიბ-მედიკები“ ატარებდნენ, ისე რომ, როგორც ტიტულიდან ჩანს, Ⴆაზა ფანასკერტელი სამეფო კარის მ თ ა ვ ა̄ რ ი ე ქ ი̄ მ ი ყოფილა.

[2] ႭჃსწორო ყარაბადინი, 89, 95.

[3] *Օգուտ բժշկութեան*, გვ. 150, ჯი.

[4] Ⴈქვე, გვ. 152, კ.

[5] Ibn Beïtar, 2156, გვ. 391.

[6] ს ა ბ ა, 1928 წლის გამოცემა, გვ. 95; იხ. Ⴀგრეთვე ნ. Ⴙ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, Ⴎეტერბურგი, 1887, s. v.; Ⴐ. Ⴄ რ ი ს თ ა ვ ი, Ⴋოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, Ⴇბილისი, 1887, s. v.; Ⴋ. Ⴟ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, Ⴇბილისი, 1913, IV განყ., გვ. 240 (ბარანბო); Ⴈვ. Ⴟ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, Ⴇბილისი, 1934, გვ. 248; Ⴀლ. Ⴋ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, Ⴋემცენარეობა. სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, I, პროფ. Ⴃ. Ⴁ ე რ ი ძ ი ს რედაქციით, Ⴇბილისი, 1938, გვ. 117 და 347.

[7] სტ. Ⴋ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, ფიზიური ლექსიკონი, Ⴇბილისი, 1949, გვ. 17.

სახელობას, რომელიც მელანქოლიის სამკურნალო მ ა ჯ უ ნ ი ს[1] შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდა.

Ⴄს მცენარის აღმნიშვნელი არაბული ტერმინი mufarriḥ ḳalb al-maḥzūn ქართულშიც იხმარებოდა. Ⴘემოკლებული და დამახინჯებული სახით ეს გვხვდება, მაგ., Ⴆაზა ფანასკერტელის სამედიცინო ტრაქტატში: მ უ ფ ა რ უ ყ ა რ ბ ი, რაც უეჭველია, იმავე არაბული ტერმინის შემოკლებული გადმოცემაა. Ⴆოგჯერ ამავე მნიშვნელობით ქართულში მხოლოდ mufarriḥ-ი იხმარება და მაშინ ძნელია გარკვევა, რომელ ტერმინთან გვაქვს საქმე, რომელიც „პატარძალას“ აღნიშნავს, თუ mufarriḥ ḳalb al-maḥzūn-ის შემოკლებას რომ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ მელანქოლიის სამკურნალოდ ორივე ეს მცენარე იხმარებოდა.

Ⴆაზა ფანასკერტელის მიხედვით ერთგვარი „Ⴋ ო ნ ა ხ უ ლ ი ა არის, რომე მუდმად არა მოუვიდოდეს, სადამდი მთუარე არ გამობრუნდებოდეს, და რა მოუვიდეს, აფთიმონისა მათფუხი შეასუით, რაგუარცა უწინა დაგუიწერია იმა წესითა̈“.

„Ⴜ ა მ ა ლ ი მ ი ს ი. Ⴀიღე აფთიმონი, ათი დრამი, ბასვაიჯი და... ესე უუელა დანაყე და მ ო ფ ა რ უ ხ ს ა მაჯუნშიგა გაურიე, და მერმე ორსა დღესა სამსა მუტყალსა მისცემდი“.

„Ⴀიღე მ უ ფ ა რ უ ყ ა რ ბ ი, წითელი ვარდი, ბადრანჯაბუას თესლი... მერმე ხუთი დრამი თაფლი შიგან გაურიე და მანამდი ადუღე, რომე შესქელდეს. Ⴄსე წამლები შიგან გაურიე, და ყოველთა დღეთა თუითოსა თხილისა ოდენი აჭამოს“[2].

Ⴓსწორო Ⴉარაბადინით მელანქოლიის დროს „Ⴋუფარახისა მაჯუნი აჭამონ, რომე გული გაუმხიარულოს“[3], აგრეთვე „Ⴋ უ ფ ა რ ე ხ ი მაჯუნითა აჭამონ, რომე გული გაუმხიარულოს“[4].

Ⴆემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ „Ⴅეფხისტყაოსნის“ ავტორს კარგად ესმოდა ამ ტექნიკური ტერმინების მნიშვნელობა. Ⴋაგრამ „Ⴅეფხისტყაოსნის“ გამოთქმა ს ე ვ დ ი ს ა მ უ ფ ა რ ა ხ ი სიტყვების ერთგვარ თამაშს წარმოადგენს. Ⴄრთი მხრივ იგი გამოყენებულია როგორც სპეციალური ტექნიკური სამედიცინო ტერმინი, ხოლო ამავე დროს ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით, ერთ შემთხვევაში ეპითეტად Ⴀვთანდილის მიმართ.

Ⴃასასრულ, არაბული სიტყვის ქართულად გადმოცემის შესახებ. Ⴋოსალოდნელი იყო, რომ mufarriḥ-ისაგან მ უ ფ ა რ ი ხ-ი მიგვეღო და არა მ უ ფ ა რ ა ხ-ი.

Ⴋაგრამ i ფონემას არაბულ დიალექტებში აქვს მთელი რიგი ალოფონი, ცოტად თუ მეტად თავისუფალი ვარიაციებით, რომლებიც იცვლებიან დაწეულებული მაღალი წინა რიგის ბგერიდან და გათავებული დაბალი შუა რიგის ხმოვნით. Ⴞოლო ḥ-ს, 'ayn-ისა და r-ს წინ, ზოგჯერ მას ტენდენცია აქვს a-ში გადასვლისა, ისე რომ მასთან კონტრასტს აღარ ქმნის, მაგ., iḥna, 'ĕḥna და 'aḥna „ჩვენ“, bti'rif, btĕ'rif და bta'rif «შენ იცი» და სხვ.[5] Ⴆოგჯერ, ებრაულისა და არა-

---

[1] Ⴋ ა ჯ უ ნ ი—არაბ. ma'ǧūn „შეზელილი, გალესილი (წამალი)“, Лекарственная смесь.

[2] Ⴆ ა ზ ა ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, გვ. 44.

[3] Ⴓსწორო Ⴉარაბადინი, გვ. 288, $_{26}$.

[4] Ⴄქვე, 288, $_{13}$.

[5] Ⴘდრ., მაგ. H. Blanc, Studies in North Palestinian Arabic. Jerusalem. 1953, გვ. 36.

მეულის მსგავსად ჩნდება paṭaḥ furtivum[1]. Ეს ვითარება ქართულში ნასესხებ სიტყვებშიც ჩანს. Ეგივე mufarriḥ სიტყვა ქართულ ტექსტებში სხვადასხვა ვარიანტით არის ასახული: მ უ ფ ა რ ი ჰ-ი, მოფარიჰი[2], მ უ ფ ა რ ე[3], მუფარეხი[4], მოფარეხი[5], მუფარა[6], მუფარაჰი[7], მუფარახი[8].

Ასევე სხვადასხვაგვარად აისახება ქართულში არაბული ფარინგალი ḥ, რომელიც mufarriḥ სიტყვაში გვხვდება. Არაბულიდან ქართულში ნასესხებ სიტყვებში ზოგჯერ იგი დაკარგულია, მაგ., ალაბ-ი[9]—არაბ. ḥalab; ზოალი, ზუალ-ი[10]—არაბ. zuḥal; აბაში[11]—არაბ. ḥabaš და სხვ.[12] Მეორე მხრივ არაბ. ḥ ქართულში ჰ-თია გადმოცემული; ჰაბ-ი[13] (მერმინდელი ა ბ-ი)—არაბ. ḥabb; აჰმად-ი[14]—არაბ. 'aḥmad; მოჰამადი, მუჰამად-ი[15]—არაბ. muḥammad; რუჰ-ი[16]—არაბ. rūḥ; ბუჰრან-ი[17] (მერმინდელი ბ უ რ ა ნ-ი)—არაბ. buḥrān; რეჰან-ი[18]—არაბ. reyḥān და სხვა.

Დასასრულ, არის შემთხვევები, როდესაც არაბ. ḥ ქართულში ხ-თია ასახული: ა ხ მ ა ხ ი — არაბ. 'aḥmaḳ; მ უ ხ თ ა ლ-ი[19]—არაბ. muḥtāl; მ ა შ ხ ა ლ ა—არაბ. maš'ala (Მქლერი 'ayn-ის დაყრუების შედეგად მიღებული ḥ ასიმილაციის შემდეგ გვაძლევს ხ-ს).

Გარდა ამისა, არის თითოოროლა შემთხვევა, როდესაც არაბული (და სპარსული) ḥ გადმოცემულია ქართულში ყ თანხმოვნით, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, უმეტეს შემთხვევაში შედეგია ქართულის ნიადაგზე არაბული (სპარსული) სიტყვის გააზრიანებისა ძირის მცდარი იდენტიფიკაციის საფუძველზე.

---

[1] Შდრ., მაგ., Აბდულ Მესია, არაბ عبد المسيح 'abd al-masiḥ ნ. Მარი, Одописцы, გვ. 24-25.

[2] Წიგნი სააქიმოჲ, 79,$_{10}$; 80,$_{6}$.

[3] Ზ ა ზ ა Ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, 175,$_{18}$; Უსწორო კარაბადინი, 84,$_{13}$.

[4] Უსწორო კარაბადინი, 118,$_{4}$; 131,$_{15}$; 191,$_{13}$; 192,$_{9-10}$; 288,$_{13}$.

[5] Ზ ა ზ ა Ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი, 44,$_{13}$.

[6] Უსწორო კარაბადინი, 89,$_{18}$.

[7] Წიგნი სააქიმოჲ, 84,$_{16}$.

[8] Უსწორო კარაბადინი, 288,$_{18}$ და „Ვეფხისტყაოსნის" ხსენებული სტროფი.

[9] Н. Я. Марр. Древнегрузинские одописцы, ТР, IV, СПб., 1902, Ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა, 2,$_{3}$; Თ ა მ ა რ ი ა ნ ი IX, 17; XII, 40.

[10] Ი ქ ვ ე, Თამარიანი, XII ა, 8; „Ვეფხისტყაოსანი", სტრ. 947,1; 959,2; 1407,2.

[11] Აბდულმესია, 60,$_{3-4}$; 81,$_{1-2}$; Წიგნი სააქიმოჲ, 49,$_{16}$.

[12] Ამის შესახებ იხ. H. Fähnrich. Arabische Lehnwörter in der georgischen Sprache, Revue de Kartvélologie, 45—46, Paris, 1964, p. 158.

[13] Წ ი გ ნ ი ს ა ა ქ ი მ ო ჲ, Ზ ა ზ ა Ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ი და სხვ. (მრავალგზის).

[14] Ქართლის ცხოვრება, ს. Ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოცემა, I, Თბილისი, 1955, 318,4 (Ჯუანშერი).

[15] Ი ქ ვ ე, 229,$_{10}$; 251,$_{4}$ და სხვ.

[16] Წიგნი სააქიმოჲ, 21,$_{24}$; 21,$_{28}$; 21,$_{36}$; 21,$_{30}$ და სხვ. მრავალი.

[17] Წიგნი სააქიმოჲ, 49,$_{32}$; 49,$_{37}$; 49,$_{43}$ და სხვ.

[18] Წ ი გ ნ ი ს ა ა ქ ი მ ო ჲ და აგრეთვე სხვაგან მრავლად.

[19] Თამარიანი V, 51,4; „Ვეფხისტყაოსანი", 392,$_{5}$; 417,$_{3}$; 516,$_{5}$; და სხვ. ნ. Მარი (Одописцы გვ. რნთ) და იმის მიხედვით Იუსტ. Აბულაძეს („Ვეფხისტყაოსანი", გვ. 302) ქართული მ უ ხ თ ა ლ-ის პროტოტიპად შეცდომით აქვს ნაჩვენები არაბ. muhtāl ნაცვლად muḥtāl-ისა.

მთელი ეს მრავალფეროვანება არაბული ḥ თანხმოვნის გადმოცემისას ქართულში მ უ ფ ა რ ა ხ სიტყვაშიც არის წარმოდგენილი. როგორც ზემოაღნუსხული მაგალითებიდან ჩანს, აქაც მისი ასახვის ოთხივე ვარიანტი გვხვდება: 1. მ უ ფ ა რ ე, მ უ ფ ა რ ა; 2. მუფარიჭ-ი (მოფარიჭ-ი), მუფარაჭი; 3. მუფარეხ-ი (მოფარეხ-ი), მუფარახ-ი (მოფარახ-ი)[1], და, დასასრულ 4. მუფარაყ-ი[2], მოფარაყ-ი[3].

ეს სხვადასხვაობა უცხო ბგერის ქართულად გადმოცემისას სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. ზოგჯერ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზითაა[4] სიტყვა ქართულში შემოსული: მწიგნობრული თუ ზეპირი გზით, უშუალოდ არაბული ენიდან თუ სპარსულიდან ან კიდევ ამ ენების ამა თუ იმ დიალექტიდან. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქრონოლოგიური ფაქტორი: როდისაა სიტყვა შემოსული, ან რა კონსონანტურ და ვოკალურ გარემოცვაშია სათანადო ფონემა ნახმარი. ხშირად ეს მერყეობა ბგერის გადმოცემისას გამოწვეულია სათანადო ეკვივალენტის უქონლობით, რის გამოც ადგილი აქვს შენაცვლებას (სუპლეციას) სხვადასხვა ფონემათა საშუალებით, რომელთაგან არც ერთი არ არის ფონეტიკურად უცხო ბგერის ტოლფარდოვანი.

ამიტომაა გვაქვს ასეთი მრავალფეროვნება ფარიანგალი ḥ-ს გადმოცემისას, საერთოდ, და mufarriḥ სიტყვაში, კერძოდ. „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის მ უ ფ ა რ ა ხ სიტყვაში მტკიცედ არის დამკვიდრებული ხ, რადგან ორივე შემთხვევაში, სადაც კი ეს სიტყვა გვხვდება, ორჯერვე იგი ხარითმო ერთეულია.



[1] წყაროებზე მითითებანი იხ. ზემოთ.

[2] თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 27.

[3] წიგნი სააქიმოდ, $214_{,37}$.

[4] ამავე მიზეზით აიხსნება მერყეობა არაბული u ხმოვნის გადმოცემისას: მუფარახი/მოფარახი.

Ⴀლექსი Ⴠინჭარაული

„Ⴅეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

„Ⴘ ე მ ო მ ხ ვ ე დ ი ს“ ‖ „შ ე მ ო მ ხ ვ ე დ ა“ თუ „შ ე მ ო მ ხ დ ა“?

Ⴔრიდონი Ⴒარიელს უყვება ბიძაშვილებთან ბრძოლის ამბავს და ამბობს:

„Ⴋომეჯარნეს, ველარა ვქმენ, ნავით ცხენი გარდვიხლტუნვე,
Ⴆღვა-ზღვა ცურვით წამოვუვე, ჩემი მჭვრეტი გავაცბუნვე;
Ⴇანა-მყოლნი ყველაკანი დამიხოცნეს, დამრჩეს მუნვე,
Ⴅინცა მდევდის, ვერ შ ე მ ო მ ხ ვ ე დ ი ს, მივუბრუნდი, მივაბრუნვე“
610,4 (607,4)[1].

Ⴀმ სტროფში სადავოა მეოთხე სტრიქონის წაკითხვა საერთოდ და, კერძოდ, წაკითხვა ზმნისა „შ ე მ ო მ ხ ვ ე დ ი ს“. Სტრიქონში სადავოა ხოლმეობითის ფორმები: „მდევდის“, „შემომხვედის“. Ⴜინა სტრიქონებში ყველგან წყვეტილია: „მომეჯარნეს“, „ვქმენ“, „გარდვიხლტუნვე“, „წამოვუვე“, „გავაცბუნვე“, „დამიხოცნეს“, „დამრჩეს“. Სადავო სტრიქონშიაც ორი ზმნა წყვეტილის ფორმით არის ნახმარი: „მივუბრუნდი“, „მივაბრუნვე“. Ⴉონტექსტის მიხედვით სიტუაცია არ არის ისეთი, რომ ხოლმეობითს მოითხოვდეს: სწრაფად მომხდარი ამბავია აღწერილი, მომენტობრივი სიტუაციაა გადმოცემული. Ⴀმიტომაც სტროფში ყველა ზმნა, ამ ორის გარდა, წყვეტილის ფორმით გვხვდება.

Ⴞელნაწერებში ასეთი ვითარებაა: ხოლმეობითი მხოლოდ ე რ თ, F ლ ი ტ ე რ ი თ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ, ხ ე ლ ნ ა წ ე რ შ ი დ ა ს ტ უ რ დ ე ბ ა („შ ე მ ა მ ხ დ ი ს“, „მ დ ე ვ დ ი ს“)[2], ყ ვ ე ლ ა დანარჩენი ხელნაწერი წყვეტილის ფორმას უჭერს მხარს („მდევდა“, „ვინც მომდევნა“, „შემამხდა“, „შემამსხდა“, „შემომხდა“, „შემამხვდა“, „შემომხვდა“).

---

[1] Ⴎირველი ციფრი აღნიშნავს Ⴀ. Ⴘანიძისა და Ⴀლ. Ⴁარამიძის (1966 წ.) გამოცემის ნუმერაციას, მეორე (ფრჩხილებში) — 1957 წლის გამოცემისას. Ⴒექსტი მოგვყავს Ⴀ. Ⴘანიძისა და Ⴀლ. Ⴁარამიძის გამოცემის მიხედვით.

[2] Ⴎრიმებს არ ვითვალისწინებთ.

ნაბეჭდი ტექსტებიდან „მდევდა" იკითხება ბროსეს, ჩუბინაშვილის, ქართველიშვილის, კარიჭაშვილის, აბულაძის, ჭიჭინაძისა და მ. წერეთლის გამოცემებში; იმავე გამოცემებში იკითხება „შემომხვდა" („შემამხდა" ბროსეს მოეპოვება, „შემამხვდა"—ჩუბინაშვილსა და კაკაბაძეს). სხვა გამოცემებში ხოლმეობითის ფორმებია („მდევდის", „შემომხვდის"). ნაბეჭდი ტექსტი ხელნაწერს ემყარება. ხელნაწერებში კი აშკარა უპირატესობა აქვს წყვეტილს. ცხადია, ამ გარემოებებს ანგარიში უნდა გაეწიოს და სადავო სტრიქონში ეს ორი ზმნაც წყვეტილის ფორმით დაიწეროს.

მთავარი და არსებითი მაინც სხვა არის. ხელნაწერთა უმრავლესობაში იკითხება არა „შემოხვდომა", არამედ „შემოხდომა" (ძველი ორთოგრაფიით „შემოჴდომა") ზმნა. კერძოდ: ABJMUVX ხელნაწერებში გვაქვს „შემამხდა", F-ში—„შემამხდის", DEILYZ-ში—„შემომხდა". მხოლოდ GHT ხელნაწერებშია „შემამხვდა", KO-ში—„შემომხვდა"[1].

ამ მონაცემებზე დაკვირვებისას ეჭვს იწვევს ერთი გარემოება: მე-17, მე-18 და შემდგომი საუკუნეების ქართულისათვის სრულიად ჩვეულებრივი და ბუნებრივია ზმნა „შემოხვდომა" (შეხვედრა, შეყრა, შემოყრა). როგორ მოხდა, რომ ეს გასაგები ზმნა ხელნაწერთა უმრავლესობაში სრულიად სხვა ზმნით შეიცვალა?

ამას გარდა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ „შემოხვდომა", „შეხვედრა" ან „შეხვდომა" „ვეფხისტყაოსანსა" და „ვისრამიანში" საერთოდ არ დასტურდება. იქ ამ ზმნის ნაცვლად „შეყრა", „შემთხვევა" („მთხვევა", „მიმთხვევა"...) ზმნა გვაქვს. აი, რამდენიმე მაგალითი:

მთხვევა:

...რამაზის კაცი მემთხვია, ხატაეთს ზედა ხანია 424,2 (421,2);
...სამ დღე ვიარე, მემთხვია სხვა კაცი მისვე ხანისა 431,1 (428,1);
...კაცი ემთხვია; მას ჰკითხა ამბავი მის ლაშქარისა 978,1;
...(მიძა) რა გორაბისა ქუეყანასა მივიდა, რამინ ნადირობით მომავალი წინაემთხუია (ვისრ. 199,38);
...ამაზედა წინაემთხუია ვისის მოწიგნარი ადინა (იქვე, 236,12).

შეყრა: ...მაგრა მისსა მნახავსაცა კაცსა ვერას შევეყარე 652,3 (649,3);
...მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე 132,4, (131,4).

ამრიგად, „შემოხვდომა" ზმნა რუსთველის ენაში არა გვაქვს, მაგრამ, კიდევაც რომ გვქონოდა იგი მისი დღევანდელი მნიშვნელობით, სადავო სტრიქონის შინაარსი მას ვერ შეიგუებდა: „შემოხვდომას" წინიდან შეხვედრის მნიშვნელობა აქვს, თანაც ასეთი შეხვედრა შემთხვევითია (შდრ. ზემოთ: „მემთხვია"), მოულოდნელია. ქგლ-ში ვკითხულობთ: „შემოხვდება—აქეთ მყოფს შეხვდება,—შემოეყრება", „შემოეყრება" კი ასეა განმარტებული: „უცაბედად შემოხვდება, წააწყდება".

„შეხვედრა" ან „შემოხვედრა" ზმნა არც საბას აქვს დადასტურებული. „შემთხვევა"—„შემოყრა"-ო, წერს საბა, „შემოყრა" კი „წინ კაცის შემთხუევა"-ა დიდი ლექსიკოგრაფისთვის. ნ. ჩუბინაშვილი წერს: „შეხვედრა—შემთ-

[1] C-ში იკითხება „შემამსხდა", რაც ამთავითვე უნდა გამოირიცხოს, როგორც მცდარი და უაზრო ფორმა.

ხუევა, შეხდომა უცებად“-ო. ამრიგად: „შეხვედრა“ („შემოხვედრა“), „შეყრა“ („შემოყრა“) და „შემთხვევა“ სინონიმებია და მოულოდნელად („უცებად“) წაწყდომას გულისხმობს. ამ განმარტებების მიხედვით „შემოხვდომა“ (resp. „შემოყრა“, „შემთხვევა“) წინიდან ხდება. ფრიდონი ცხენდაცხენ გამოექცა მდევარს და მას „სდევდეს“. ამიტომ მდევრები მას წინ ვერ შემოხვდებოდნენ, ისინი უკან მისდევდნენ („მივუბრუნდი, მივაბრუნვე“-ო, ამბობს თვით ფრიდონი). ყოველივე ზემოთქმულის გამო „შემომხვდეს“ ‖ „შემომხვდა“ ზმნა ტექსტში გადამწერთა შემონატანად უნდა ვაღიაროთ და უარვყოთ.

ახლოს მისვლის, ზედ მისვლის აღსანიშნავად „ვეფხისტყაოსანსა“ და მისი ეპოქის ძეგლებში „ზ ე დ შ ე ჯ დ ო მ ა“ იხმარება:

...(ტარიელმა და ავთანდილმა) ჰკრეს და ზედა შეჰხდეს ჩურადინის მეჯოგეთა 1374,1 (1375,1);

...ჰა წავიარეთ ცოტა ხანი, ქარავანსა დაკრძალულსა ზ ე დ ა შ ე ვ ჰ ჯ ე დ ი თ დაჭოცილსა (ამირანდარეჯანიანი, 128,18);

...(აბან ჯამანისძე) წავიდა და წინა იარებოდა და სამთა კაცთა ზ ე დ ა შ ე ჰ ჯ დ ა (იქვე, 73,20).

„ზედ შეჯდომის“ სინონიმია „ზ ე დ წ ა დ გ ო მ ა“ და „ზ ე დ გ ა რ დ ა კ ი დ ე ბ ა“:

...ადეს ზ ე დ ა წ ა ვ ა დ ე ქ ი თ, იდგა ლაშქარი, რომლისა რიცხვი არა იყო (ამირან., 128,13);

...ყენ მინდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ ზ ე დ ა გ ა რ დ გ ე კ ი დ ე ნ ი თ [ვეფხისტყ. 289,1 (287,1)].

„ზედ შეჯდომას“ აქვს გადატანითი მნიშვნელობა და ნიშნავს სამტროდ ზედ მისვლას, მივარდნას, მიხდომას, შეტევას: ...წავიდა ჯაოზ ჯაოსისძე და ხუთასსა ცხენოსანსა ზ ე დ ა შ ე ჰ ჯ დ ა და, თავმან თქვენმან, ესრე მოერია, ვითამცა იგი ხუთასი ყოფილიყო და მეკობრენი—ერთი (ამირან., 73,15);

...შიიყვანეს და მას დიდთა ლაშქართა ზ ე დ ა შ ე ჰ ჯ დ ა. გამოუჯდეს, ჩაიგდეს შუა (იქვე, 107,15).

ყეტევის, მივარდნის, თავდასხმის მნიშვნელობით იხმარება ეს ზმნა სხვა ზმნისწინებითაც:

...ჯამს, თუ კაცი არ შეუდრკეს, ჭირს მ ი უ ხ დ ე ს მამაცურად 155,4 (154,4);

...ადეს უძლიერესი ზ ე დ ა მ ი უ ჯ დ ე ს და სძლოს მას (ლუკ. 11,22);

...ზ ე დ ა მ ი უ ჯ დ ა აფთითა, ჭელთა აქვს საომარია (ყაჭნ. II, 5104,1);

...მ ო უ ჯ დ ე ს მას ფარისეველნი და სადუკეველნი (მათ. 16,1);

...მ ო უ ჯ დ ი ა ნ მას და ძმარი მიუპყრიან (ლუკ. 23,36);

...ფიცხლავ ბევი ზ ე დ მ ი უ ჯ დ ა, ოოსტომ ნახა რა მძინარი (შაჰნ., II, 378,6);

...(ლომს) ჯრმალ-გამოწვდილი გ ა ვ უ ხ ე, მივეც ლახვართა სობასა [ვეფხისტყ., 911,3 (910,3)];

...ავით ბიძასძენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,

ჩემთა გ ა უ ხ დ ე ს ლაშქართა ომად თავისა მკლავითა [იქვე, 607,4 (604,4)];

...ყევლნა კიბენი და ზედა არაბთა გ ა უ ჯ დ ა (ამირან., 116,11 ქვ.);

...ხუთასი მჴედარი ერთგან წინ გვიმზირდეს, გ ა მ ო გ ვ ი ჴ დ ე ს, ფიცხლად შეუტივეთ (ამირან., 99,3 ზემ.);
...დააგდო ცხენი მანცა, შ ე უ ჴ დ ა და ჰკრა კობალი (იქვე, 81,9. ზემ.);
...მივედ მეცა, დავაგდე ცხენი და შ ე უ ჴ ე (იქვე, 81,12 ზემ.);
...(დევი) შ ე მ ო უ ჴ დ ა ერთსა მჴარსა ერანელთა ლაშქართა, მასვე წამსა ხუთასი სახელდებულნი თავადნი ჩამოყარნა (შაჰნ., 11,435);
...გივი ჩ ა უ ჴ დ ა ლაშქართა, მათ შუა იარებისა (იქვე, 3235).

საბა განმარტავს: „შეხდომა-მიხდომა“, „მიხდომა—ზედ მისლვა“-ო. „მიჴდომა“, „მოჴდომა“, „გაჴდომა“, „შეჴდომა“, „გამოჴდომა“... შეტევის, მივარდნის მნიშვნელობით საერთოდ ქართულში ცნობილი სიტყვაა, როგორც ამას ზემომოყვანილი მაგალითები დამაჯერებლად ადასტურებენ. ამავე ზმნიდან არის ნამიმღეობარი სუბსტანტივი „მ ჴ დ ო მ ი“ („მბრძოლი თუ მიმჴდომი“, საბა); „ოთხთავის სიმფონიაში“ „მჴდომი“ განმარტებულია, როგორც „მოწინააღმდეგე, მტერი“: „მჴდომ არნ იგი კეისრისა“ (იოვ. 19,12 c).

ამრიგად, სადავო სტრიქონში უნდა იკითხებოდეს „შ ე მ ო მ ხ დ ა“ („შემომჴდა“). „ვერ შემომჴდა“ ნიშნავს: ზედ ვერ მოვიდა (შდრ. საბა: „მიჴდომა—ზ ე დ მ ი ს ლ ვ ა“), ვერ მომვარდა. შემთხვევითი როდია, რომ „მიჴდომა“ საბას განმარტებული აქვს, როგორც „ზედ მისლვა“. „ზედ მისლვა“ ან „მიჴდომა“ მოწინააღმდეგესთან პირისპირ შებმას, ზედ მივარდნას ნიშნავს. „ზედ“ ძირი ამ შინაარსის გადმოსაცემად იხმარება როგორც ზმნიზედით („ზ ე დ ა შეჰჴდა“, „ზ ე დ ა მიუჴდა“, „ზ ე დ ა მოუჴდა“...), ისე უმისოდაც („მიუჴდა“, „მოუჴდა“, „გაუჴდა“...).

ანალოგიური შინაარსის გადმოსაცემად სხვა გამოთქმებიც გვაქვს ქართულში. იგივე ფრიდონი ამბობს:

...ზღვასა შევე, მომეგება მეომარი ვითა ღელვა,
სწადდა, მაგრა ველარა ქმნეს ჩემი ზ ე დ ა წ ა მ ო ქ ე ლ ვ ა 608,4 (605,4).

ტარიელი სწერს ხატაელთა მეფეს:

...ჩვენნო ძმანო და პატრონნო, თქვენგან არ გავიმწარებით;
ესე რა ჰნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით!
თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მ ო ვ ა ლ თ, ზ ე დ ა არ მოგეპარებით.
სჯობს, რომე გვნახნეთ, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით 391,3 (388,3).

ვფიქრობთ, მესამე სტრიქონში მძიმე „მოვალთ“-ის შემდეგ კი არა, „ზედა“-ს შემდეგ უნდა დაიწეროს: „...ჩვენ მოვალთ ზედა, არ მოგეპარებით“.

„ზედ შეჴდომისა“ და „ზედ მისვლის“ სინონიმია აგრეთვე „(ზ ე დ) შ ე ვ ა რ დ ნ ა“:

...მითხრა: მძულხარ, არ მიყვარხარ,
ზინზლის სუნად ყარხარ;
მე არ მიყნოსე, ვარდია,
ანძალას ზ ე დ შ ე ვ ა რ დ ი ა (დავითიანი, 146,3,3);
...(ხოშიას მკითხავმა) უთხრა: შენი ქმარი ხატისაგან არი გალახული, წმინდის გიორგის სამგზავრო ადგილს დასძინებია, ხატი შ ა ჰ ვ ა რ დ ნ ი ა ზ ე დ და იმის მიზეზი არისო (ვაჟა, IV, 104,12);

...გულს ვიმჯილავ და ვამბობ: როდის იქნება, ზედ შემომვარდეს,
თვალი დავკრა ნადირსაო (ვაჟა, III, 66,8);

...ედექი, კაცო, გაგთელავს
მიმავალ-მომავალია,
ენ ცხენი შემოგვარდება.
გადგივლის ურმის თვალია (ვაჟა, I, 220,5).

შდრ. ხევსურული:

ვაჟი ნადირთვე წასული ბევრა შედვარდა მზირსაო (ხევს. პოეზ. 512,8).

დასკვნა, რომელიც ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, შემდეგია: „ვეფხისტყაოსნის“ 610 (607) სტროფის მეოთხე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე:

„ვინცა მდევდა, ვერ შემომხდა, მივუბრუნდი, მივაბრუნვე“.

კონსტანტინე ჭრელაშვილი

გრამატიკული კლასების რაოდენობის შესახებ წოვათუშურ ენაში

კავკასიოლოგებისათვის გრამატიკული კლასის საკითხის კვლევას აქვს ფუნდამენტალური მნიშვნელობა, რადგანაც ის უაღრესად სპეციფიკური პრობლემაა იბერიულ-კავკასიურ ენათა გრამატიკულ სტრუქტურაში. ამიტომ, ბუნებრივია, ამ ენების მკვლევრებმა იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მას და კვლევის ობიექტად გაიხადეს.

როგორც ცნობილია, გრამატიკული კლასის კატეგორია გულისხმობს სინამდვილის მოვლენათა დაჯგუფებას გარკვეული ენობრივი ნიშნების მიხედვით. მაგრამ დღემდის არ არის დადგენილი ის საკლასიფიკაციო პრინციპი, რომელიც ამ მოვლენას უძევს საფუძვლად.

ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი კავკასიოლოგის პ. კ. უსლარის გამონათქვამი: „Несмотря на все старания, я не мог раскрыть законов, которые распределяют такавые слова по различным категориям“[1].

წოვათუშურ ენაში გრამატიკული კლასის კატეგორია ამჟამად ცოცხალი, მოქმედი მორფოლოგიური მოვლენაა.

აღნიშნული საკითხის შესახებ არსებობს სპეციალური გამოკვლევებიც და ზოგადი გამონათქვამებიც.

წარმოდგენილი სტატია ეძღვნება გრამატიკული კლასების რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს დადგენას სინქრონიულ პლანში.

გრამატიკული კლასის კატეგორია სახელის მორფოლოგიური კატეგორიაა. მას რამდენიმე მორფემა აქვს. ისინი პრეფიქსის სახითაა წარმოდგენილი უმთავრესად ზმნაში და ზედსართავ სახელებში. აქ ისინი მონაცვლეობენ იმის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის სახელი შეეწყობა მათ. სხვა რიგის მორფემებისგან განსხვავებით სიტყვას მათ გარეშე ლექსიკური მნიშვნელობა არა აქვს. ამრიგად, აღნიშნული მორფემები გრამატიკულ მნიშვნელობასაც ატარებენ და სიტყვასთან

[1] П. К. Услар, Чеченский язык, Тифлис, 1888.

ერთად ლექსიკურ მნიშვნელობასაც ქმნიან. Ⴄს არის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი გრამატიკული კლასის მორფემებისა.

საკვლევი კატეგორიის მორფემათა რიცხვის დადგენა მარტივია. Ⴇითქოს გრამატიკული კლასების რაოდენობაც მათი შესაბამისი უნდა იყოს, მაგრამ საქმეს ართულებს მრავლობითის ჩვენება, სადაც სახელთა ხელახალი გადაჯგუფება ხდება.

Ⴀმასთან დაკავშირებით მეთოდოლოგიური ხასიათის საკითხი ჩნდება: გრამატიკული კლასის კატეგორიის მორფოლოგიური სტრუქტურის ანალიზი მხოლობითისა და მრავლობითის ჩვენების გათვალისწინებით უნდა მოხდეს, თუ მკაცრად გაიმიჯნოს ეს ორი ასპექტი ერთმანეთისგან.

Ⴀმის მიხედვით, თუ რომელ თვალსაზრისზე დადგება მკვლევარი, შედეგებსაც განსხვავებულს მიიღებს.

Ⴀკად. Ⴀ. Ⴘიფნერი ასეთ სქემას გვთავაზობს:

მხოლ.	ვა	ჲა	ბა	და
მრავლ.	ბა	და, ჲა	და, ბა, ჲა	და[1]

Ⴀ. Ⴘიფნერი თავად არ იძლევა ამ სქემის ანალიზს. სქემის მიხედვით ჩვენ ასეთი შთაბეჭდილება გვრჩება: მხოლობითში ავტორი ოთხ გრამატიკულ კლასს გამოყოფს, ხოლო მრავლობითში თითქოს—შვიდს. Ⴀ. Ⴘიფნერი ერთმანეთისგან უნდა მიჯნავდეს მხოლობითისა და მრავლობითის ჩვენებას.

Ⴔ. Ⴂაგუა სხვა საკითხთან დაკავშირებით წერს: „Ⴁაცბურ (sic. წოვათუშურ) ენაში გრამატიკული კლასების გადმოსაცემად გამოყენებულია ოთხი აფიქსი: თ, ბ, ჲ, დ, ამათგან მრავლობითში იხმარება ბ, ჲ, დ, ხოლო ვ ოდენ მხოლობითში"[2].

Ⴈ. Ⴃეშერიევს სპეციალური გამოკვლევები აქვს მიძღვნილი გრამატიკული კლასის სისტემის შესასწავლად. Ⴇავის გვიანდელ მონოგრაფიაში ის წერს: „Всего в бацбийском восемь грамматических классов"[3]. Ⴀმის შემდეგ ავტორი იძლევა ასეთ სქემას:

Число	Обозначение классов	Грамматические классы							
		класс мужчин	класс женщин	Классы неразумных существ, природы, вещей, предметов и понятий					
		1	2	3	4	5	6	7	8
Единств.	Звуковые показат. грам. классов	в	й	й	б	д	б	б	д
множ.	Звуков. показ. грам. кл.	б	д	й	б	д	д		

[1] A. Schiefner, Versuch über die Thusch Sprache, S.t. Peterburg. 1856. § 82.

[2] Ⴔ. Ⴂ ა გ უ ა, Ⴆმნის ცვლა გრამატიკული კლას-კატეგორიის მიხედვით ბაცბურ ენაში, Ⴈბერ.-კავკ. Ⴄნათმეცნ. ტ. IV, 1952, გვ. 129.

[3] Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков, Грозный, 196 В, გვ. 377.

როგორც წარმოდგენილი სქემიდან ჩანს, პროფ. ი. დეშერიევი წოვათუშურში სახელთა რვა გრამატიკულ კლასს გამოყოფს. კლასთა ეს სიმრავლე შეპირობებულია მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების შეწყვილებით. ამგვარ საკლასიფიკაციო პრინციპს შეიძლება ჰქონდეს გარკვეული საფუძველი, კერძოდ, ის უფრო აკონკრეტებს და შედარებით ვიწროდ ფარგლავს სახელთა გრამატიკულ ჯგუფებს. ის კი, თავის მხრივ, გააადვილებდა საერთო კრიტერიუმის დაძებნას კლასებს შიგნით, რომლის მიხედვითაც ისინი გაერთიანდნენ. მაგრამ ამ საკლასიფიკაციო პრინციპის მიხედვით ერთი კლასის გამოსახატავად ორი მორფემა გამოდის. კითხვა ისმის: რამდენად იქნებოდა მეთოდურად გამართლებული ორი სხვადასხვა მორფემის ქვეშ გაგვეერთიანებინა სახელთა წყება და მათი გრამატიკული ინტერპრეტაცია ამის მიხედვით მოგვეცა? ორი სხვადასხვა მორფემის ქვეშ ვგულისხმობთ სახელის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებთან შეწყვილებული ზმნის პრეფიქსებს, მაგალითად:

მხოლ.	რ.	ნან	ჲ-ალღ	„დედა მოდის"
მრავლ.	რ.	ნანი	დ-ალღ	„დედები მოდიან"

გარდა ამისა, ამ სქემის მიხედვით სხვადასხვა კლასში ექცევა ერთი კლასის რიგი მოვლენები და საგნები (მხოლობითის მიხედვით).

ავტორი ამ ორი (ჲ-, დ-,) მორფემის ქვეშ გაერთიანებულ სახელთა კლასს უპირისპირებს სახელთა სხვა კლასებს, რომლებსაც ანალოგიური პრინციპით გამოყოფს.

ყურადღებას იქცევს ნ. ანდღულაძის დებულება დასმული საკითხის შესახებ: „კლასთა რაოდენობის დადგენისას უნდა ამოვიდეთ მხოლობითი რიცხვის ჩვენებათაგან და იქვე მივუთითოთ, მრავლობითის წარმოების რა ტიპს განეკუთვნება ამა თუ იმ ენის გრამატიკული კლასების სისტემა"[1].

ამ დებულების პირველი ნაწილი სავსებით გასაგებია და ლოგიკური, თუ გრამატიკული კლასის კატეგორიის ფუნქცირებიდან ამოვალთ, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა იყოს აუცილებელი მრავლობითის წარმოების ტიპის გათვალისწინება კლასთა რაოდენობის დადგენასთან დაკავშირებით. ზემოთ მოყვანილი დებულების შესაბამისად ნ. ანდღულაძე გვთავაზობს ასეთ გართულებულ სქემას:

	მხოლ. რიცხ.	მრავლ. რიცხ.
I.	ვ—	ბ—
II.	ჲ—	დ— ჲ—
III.	ბ —	ბ— დ— ჲ—
IV.	დ—	დ— ჲ—[2]

[1] ნ. ანდღულაძე, გრამატიკული კლასების რაოდენობა იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1953, გვ. 27 (საკანდიდატო დისერტაცია—ხელნაწერი).

[2] იქვე.

ჩვენ ვფიქრობთ, გრამატიკული კლასის კატეგორიაზე მსჯელობისას, რა თვალსაზრისითაც უნდა გვაინტერესებდეს ის, ამოსავალი უნდა იყოს მხოლობითის ჩვენება, რადგანაც სწორედ ამ ასპექტშია ჩადებული მთელი საიდუმლოება ამ კატეგორიის სპეციფიკისა.

მრავლობითში სათანადო აფიქსების რეინტერპრეტაცია ხდება. აქ ისინი თავისი გრამატიკული მნიშვნელობით არ ფარავენ შესაბამის აფიქსებს მხოლობითში. მაგალითად:

1.	მხოლ. რ.	ბადერ	დ-აღრ̃	„ბავშვი მოდის“
2.	მრავლ. რ.	დუჲ	დ-აღრ̃	„ცხენები მოდიან“

პირველ სინტაგმაში ზმნური პრეფიქსი (დ-) ოდენ კლასის ნიშანია, მეორე სინტაგმის იგივე წევრი სტრუქტურულად უცვლელია, მაგრამ სხვა კონტექსტში ზის და სწორედ ეს განსაზღვრავს მისი მნიშვნელობის ღირებულების ხარისხს; კერძოდ, აქ ზმნას მრავლობითის შინაარსი აქვს. ამ შინაარსს ის სინტაგმის პირველ წევრთან (დუჲ) მიმართებაში გამოხატავს იმავე მორფემის (დ) საშუალებით. როგორც კი მას მხოლობითში გადავიყვანთ, სინტაგმის მეორე წევრის მორფოლოგიური შინაარსიც იცვლება, მაგალითად, დო̃ ბ-აღრ̃ „ცხენი მოდის“. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ სახელის მრავლობითის ფორმასთან შეწყვილებული ზმნის პრეფიქსში იჩრდილება მისი თავდაპირველი გრამატიკული მნიშვნელობა, ე. ი. ხდება ფორმანტის მორფოლოგიური რეინტერპრეტაცია. სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საფუძველს, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ზმნის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმები და გრამატიკული კლასების რაოდენობის დასადგენად ამოვიდეთ მხოლობითის ჩვენებიდან[1]. თუ საკითხს ამ მეთოდით მივუდგებით, წოვათუშურში სულ ოთხი გრამატიკული კლასი გამოიყოფა შესაბამისი მორფემებით:

I. ვ —
II. ჲ —
III. ბ —
IV. დ —

როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს მრავლობითში გამოვლენილ ზმნურ პრეფიქსებს?

როგორც ცნობილია, წოვათუშური ზმნა ისტორიულად რიცხვის მიმართ ნეიტრალური ბუნებისა იყო. ამჟამად მიმდინარეობს ამ კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესი. ამ მიზნით ენა იყენებს პირის ნაცვალსახელებს (პოსტპოზიციაში) და გრამატიკული კლასის ნიშნებს (პრეპოზიციაში).

როგორ გაფორმდება ზმნის გრამატიკული სტრუქტურა ამ მიმართულებით,— მომავლის საკითხია.

---

[1] ჩემი საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დღეს (14. 11. 62 წ.) პროფ. ა. შანიძემ აზრი გამოთქვა, რომ კლასთა რაოდენობა იმდენია რომელსამე ენაში, რამდენი კლასის ნიშანიც ამ ენას მოეპოვებაო.

ზ უ რ ა ბ ტ უ მ ბ უ რ ი ძ ე

ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში [1]

ასპექტი ზმნის ერთ-ერთი უძველესი და ძირითადი კატეგორიაა. საეჭვოა ზოგი სპეციალისტის აზრი, რომ ასპექტი უნივერსალური კატეგორიაა, რომელიც ამა თუ იმ სახით მსოფლიოს ყველა ენაში დასტურდებაო, მაგრამ ის კი უდავოა, რომ ასპექტის კატეგორია დამახასიათებელია მრავალი და მრავალი ენისათვის, რომლებიც თავიანთი სტრუქტურით საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ჩვეულებრივ, ასპექტის კლასიკურ ნიმუშებად ასახელებენ, ერთი მხრივ, ძველ ბერძნულს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება პრეზენსი, აორისტი და იმპერფექტი, მეორე მხრივ — სლავურ ენებს, სადაც გაირჩევა სრული (პერფექტული) და უსრული (იმპერფექტული) ასპექტი. რომელიმე ამ ტიპთაგანი სხვადასხვა ვარიაციით დასტურდება მსოფლიოს მრავალ ენაში, მათ შორის ქართულში, სომხურში, თურქულში, ფრანგულში, ინგლისურში, სემიტურ ენებში, უნგრულ-ფინურ ენებში და ა. შ.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რომ ასე ფართოდ გავრცელებული მოვლენა ყველა ენაში ერთნაირი საშუალებებით იყოს გამოხატული. რომელიმე მორფოლოგიური კატეგორიის გამოსაყოფად ფორმალურ საშუალებებს არცა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ესა თუ ის გრამატიკული შინაარსი ერთმა ენამ შეიძლება ერთი საშუალებით გამოხატოს, მეორემ — სხვა საშუალებით. ასევეა ასპექტიც. ამ ზმნური კატეგორიის სახელით გაერთიანებული მოვლენები სხვადასხვა ენაში გამოყოფილია შინაარსობლივი, ფუნქციურ-სემანტიკური მსგავსების საფუძველზე. მაგრამ რა არის ის მსგავსი, ყველა ენისათვის საერთო ნიშანი, რომელიც ასპექტის კატეგორიას ცალკე გამოგვაყოფინებს? ეს ნიშანი არც თუ ისე ადვილი და-

———————

[1] წაკითხულია მოხსენებად საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა მეექვსე რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე თბილისში, 1965 წლის 25 დეკემბერს.

სადგენია. ამიტომ ასპექტის საერთო და ყველასათვის მისაღები განსაზღვრა დღემდე არ არსებობს. დღეისათვის ყველაზე დამაკმაყოფილებლად მიჩნეულია ი ე ნ ს ჰ ო ლ ტ ი ს განმარტება, რომლის თანახმად ასპექტის კატეგორიასთან ყველგან და ყოველთვის დაკავშირებულია ზმნის უნარი — სხვადასხვა სახით წარმოგვიდგინოს მოქმედების მიმდინარეობის პროცესი[1]. როგორც აღნიშნავენ, ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ზოგადი და საერთო განსაზღვრა ამაზე უფრო კონკრეტული ვერ იქნება (ყოველ შემთხვევაში, ენათმეცნიერების თანამედროვე ეტაპზე)[2]. ხოლო ცალკეულ ენებში ასპექტის რაობა შეიძლება დაზუსტდეს იმის მიხედვით, თუ რა უნარი გააჩნია ამა თუ იმ ენის ზმნას მოქმედების მიმდინარეობის სახეთა გასარჩევად.

ასპექტის გარჩევა თანამედროვე ქართულში ზმნისწინის მეშვეობით ხდება. ზმნისწინის ეს უნარი ქართული ენის გრამატიკებიდან პირველად აღნიშნულია პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გრამატიკაში, სადაც ავტორს ჩამოთვლილი აქვს „მარცჳალნი, რომელნიცა საზღჳრ. სქესსა შინა უსრულთა დროთა შეჰსცჳლიან სრულად და ქმნადად“.[3] შემდგომში დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, რომელსაც მიეკუთვნება 1853 წელს შედგენილი ტაბულა „წერა“ ზმნის უღლილებისა, უკვე ლაპარაკობს ზმნის სრული და უსრული ს ა ხ ი ს შესახებ. მის ტაბულაში „წერა“ ზმნა ნაუღლებია უზმნისწინოდ, მაგრამ თანვე ახლავს შენიშვნა: „თავში რომ დაემატოს ერთ-ერთი ნაწილაკი, მაგ., „და“, ყველა დროში წარმოდგება სრული ანუ დამთავრებული სახე ზმნისაო“.[4] ამრიგად, დ. ყიფიანს ეკუთვნის სპეციალური ტერმინი — ს ა ხ ე, რომელსაც იგი ასპექტის კატეგორიის აღსანიშნავად ხმარობს, ამ კატეგორიის განსაზღვრა კი პირველად მოცემულია პ. ხ ე ი ც ა რ ი ძ ი ს გრამატიკაში. პ. ხეიცარიძე წერს: „ზმნას აქვს ერთი ფორმა, რომლითაც მას შეუძლია ცხადად გამოხატოს მოქმედების ხანგრძლიობა თუ ხანმოკლეობა. ეს ფორმა არი სახე... ამ ფორმის გამომხატველი არის წინამძღოლი თანდებულები“[5].

მომდევნო ხანის ქართველ გრამატიკოსებს დიდხანს ნაბიჯი აღარ გადაუდგამთ წინ ასპექტის კატეგორიის შესწავლისათვის. ამ მხრივ, ისევე როგორც ქართული ზმნის სხვა ძირითად კატეგორიათა გარკვევისა და შესწავლის საქმეში, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის აკად. ა. შ ა ნ ი ძ ე ს, ქართული ენის მორფოლოგიის კურსში, სპეციალურ გამოკვლევაში თუ ძველ სალიტერატურო ძეგლთა ენის დახასიათების დროს ა. შანიძეს განხილული აქვს ასპექტის თანამედროვე სისტემა ქართულში, მისი მიმართება ძველ ქართულთან და ის არსებითი ცვლილებანი, რაც ამ მხრივ ქართულმა ენამ განიცადა საუკუნეთა მანძილზე.

ს ა ხ ი ს ნაცვლად ა. შანიძემ შემოიღო საენათმეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინი ა ს პ ე ქ ტ ი (თუმცა იგი პარალელურად ხმარობს ძველ ტერმინსაც — ს ა ხ ე ს).

---

[1] J. H o l t, Étude d'aspect, Kobenhavn, 1943 („Acta Jutlandica“, 15,2), გვ. 6.

[2] Ю. М а с л о в, Вопросы глагольного вида в современном зарубежном языкознании (წინასიტყვაობა კრებულისა „Вопросы глагольного вида“, Москва, 1962), გვ. 32.

[3] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, პირველ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა გრამმატიკისანი, თბილისი, 1840, გვ. 67—68.

[4] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 286—287.

[5] პ. ხ ე ი ც ა რ ი ძ ე, ქართული სწორმეტყველება, თბილისი, 1886, გვ. 129.

ბოლო დროს ქართული ზმნის ასპექტს სპეციალურად თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით ეხება რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ ეს რთული და მრავალმხრივ საინტერესო კატეგორია შემდგომ კვლევას მოითხოვს.

*

თანამედროვე ქართველურ ენებში ასპექტი მკაფიოდ არის გამოკვეთილი და მწყობრად გასდევს დრო-კილოთა მთელ სისტემას. როგორც ჩვენი ენების ისტორია გვიჩვენებს, ასპექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ ენათა განვითარების ადრინდელ ეტაპებზეც.

ენათმეცნიერებაში კარგა ხანია განმტკიცდა მოსაზრება, რომ საზოგადოდ ასპექტის კატეგორია წინ უსწრებს დროის ზმნურ კატეგორიას: ენის განვითარების ადრინდელ ეტაპზე ზმნის უღლილება დროებს კი არ განასხვავებდა, არამედ ასპექტებს; შემდგომში ასპექტისაგან წარმოიქმნა დროის კატეგორია.

ეს მოსაზრება თავდაპირველად ინდოევროპული ენების მიმართ გამოითქვა, მაგრამ შემდეგ სხვა ენებზეც გავრცელდა და ზოგად-ენათმეცნიერული დებულების სახე მიიღო. ქართულის მიმართ ეს მოსაზრება წამოაყენა აკად. არნ. ჩიქობავამ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით: „ირკვევა, რომ ქართულშიც ანალოგიურ ვითარებას ჰქონია ადგილი; აქაც გაირჩეოდა ასპექტები; უღლილება ასპექტების (და არა დროების!) ცვლაში მდგომარეობდა. ასპექტი იყო ორი: განგრძობითი (დიურატიული) და მომენტობრივი (წერტილებრივი)... განგრძობითს ასპექტს გადმოგვცემს პერმანსივი (ხოლმეობითი)... მომენტობრივს ასპექტს — აორისტი (ნამყო ძირითადი)“ [1].

ცხადია, ასპექტის კატეგორია დროის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგაც განაგრძობს არსებობას, მაგრამ ამიერიდან იგი დროის, კილოს და სხვა ზმნურ კატეგორიებთან ერთად მონაწილეობს მწკრივთა წარმოებაში და ამიტომ გრამატიკული შინაარსი საგრძნობლად ეცვლება. ამ პერიოდისათვის, რა დროიდანაც ქართული ენის წერილობითი ძეგლები მოგვეპოვება და მისი ვითარება დოკუმენტურად არის დადასტურებული, ზმნაში უკვე გარჩეულია ის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები, რომელთაც დღევანდელ ქართულში გამოვყოფთ, მათ შორის — ასპექტიც და დროც. მწკრივთა სისტემა ქართულში ამ დროისათვის უკვე კარგად გამოკვეთილ და დასრულებულ სახეს ატარებს.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ზმნას მოეპოვება დრო-კილოთა ცამეტი სხვადასხვა ფორმა — ცამეტი მწკრივი, რომლებიც ფუძის აგებულებისა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით დაყოფილია სამ სერიად. პირველ სერიაში შედის 6 მწკრივი: აწმყო, აწმყოს ხოლმეობითი, უწყვეტელი, I ბრძანებითი, უწყვეტლის ხოლმეობითი და I კავშირებითი; მეორე სერიაში გვაქვს 4 მწკრივი: წყვეტილი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი და II კავშირებითი; მესამე სერიაში სამი მწკრივია: I თურმეობითი, II თურმეობითი და III კავშირებითი. ამათგან მესამე სერიის მწკრივები ძველად მოკლებული იყვნენ ასპექტის გამოხატვის

[1] არნ. ჩიქობავა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართულ ზმნის უღლილების სისტემაში: სმაშ, IV, № 1, 1943, გვ. 92—93.

უნარს, დანარჩენები კი ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სერიების მიხედვით: პირველი სერიის ფორმები უსრულ ასპექტს გამოხატავდნენ, მეორე სერიისა — სრულს. ორივე სერიაში მოგვეპოვებოდა მწკრივები, რომლებიც დროისა და კილოს მიხედვით ერთნაირი იყვნენ და მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ასპექტი ქმნიდა. სახელდობრ, ასე უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს უწყვეტელი და წყვეტილი, I კავშირებითი და II კავშირებითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი [1].

შესაბამისი წყვილის გარეშე დგას პირველ სერიაში აწმყოს მწკრივი, რომელიც ამჟამად მიმდინარე მოქმედებას, ამჟამინდელ ვითარებას გადმოგვცემს და შინაგანად ვერ ეგუება მოქმედების დასრულებული სახით წარმოდგენას, ე. ი. სრულ ასპექტს.

თავის მხრივ, მეორე სერიაში განკერძოებულად დგას II ხოლმეობითი, მიუხედავად იმისა, რომ ხოლმეობითები პირველ სერიაშიც გვაქვს. საქმე ისაა, რომ ხოლმეობითი საერთოდ განგრძობილ, ხანგრძლივად მიმდინარე ანდა ხშირად გამეორებულ მოქმედებას გამოხატავს და, ამრიგად, ასპექტის მიხედვით იგი პირველი სერიის ფორმებთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე მეორესთან [2].

ა. შ ა ნ ი ძ ე, რომელიც თავდაპირველად II ხოლმეობითს „ნამყო მრავალგზითს“ უწოდებდა, ამ მწკრივის თაობაზე ჯერ კიდევ 1920 წელს შენიშნავდა: „ნამყო მრავალგზითი“, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოხატავს მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყოფადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისთვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალგზითი ნამყოს ფორმები ქართული ზმნის უძველესი ფორმაციის დროისა უნდა იყოს“ [3].

ამრიგად, II ხოლმეობითი უკვე ძველ ქართულში გამოირჩევა თავისი არქაულობით. იგი თავისუფლად ენაცვლება სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა კილოს გამომხატველ ფორმებს იმიტომ, რომ მისთვის ძირითადია ასპექტის გამოხატვა და არა დრო ან კილო. მაშასადამე, ის გადმონაშთია ძველისძველი ვითარებისა, როცა ზმნის უღლილება ასპექტების მიხედვით ცვლას გულისხმობდა.

ხოლმეობითის თავდაპირველი ფუნქციაა — გამოხატოს განგრძობითი, ხაზობრივი, დიურატიული მოქმედება. ამ ფუნქციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეორე ფუნქცია — განმეორებითი, მრავალგზისი მოქმედების გამოხატვა: „ეს, რაც მუდმივია, ჩვეულებრივ ხდება, მეორდება კიდეც, მრავალგზისია. ამიტომ, რამდენადაც დინამიკური ზმნა ამის შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლმეო-

---

[1] G. Deeters, Das Kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 138—141; А. Г. Шанидзе, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: Сообщения Академии наук Грузинской ССР, т. III, № 9, 1942, გვ. 953—958; ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 274—278.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, პერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღლილების სისტემაში: სმამ, IV, № 1, 1943, გვ. 93—95; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 76—80.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920, გვ. 6 (=ა. შ ა ნ ი ძ ე, თხზულებანი, I, 1957, გვ. 121).

ბითს შეეძლო ეტვირთა და იტვირთა კიდეც მრავალგზისობა, როგორც თანმხლები ფუნქცია“ [1].

ქართული ზმნის ისტორიული განვითარების პროცესში ხოლმეობითისათვის ძირითადი გახდა მოქმედების მრავალგზისობის, ხოლმეობითობის აღნიშვნა, განგრძობითი ასპექტის გაგება კი მჭიდროდ დაუკავშირდა პირველი სერიის მწკრივებს, რომელნიც აწმყოს ფუძეს ეყრდნობიან.

მომენტობრივი მოქმედება მხოლოდ ერთგზისობის გაგებას იგუებს და, მაშასადამე, მომენტობრივი ასპექტი მხოლოდ ერთგზისია, განგრძობითი (დიურატიული) ასპექტი კი შეიძლება იყოს ერთგზისიც და მრავალგზისიც. ზოგჯერ ზმნურ ფორმათა შორის განსხვავება მხოლოდ ერთგზისობა-მრავალგზისობის მიხედვით არსებობს. მაგალითად, უწყვეტელიც და უწყვეტლის ხოლმეობითიც დროის მიხედვით წარსულია, ორივე თხრობითი კილოს ფორმებია, ასპექტი განგრძობითია, ოღონდ ერთი მათგანი გამოხატავს ერთგზის მოქმედებას (უწყვეტელი), მეორე კი — მრავალგზისს (უწყვეტლის ხოლმეობითი). ამავე ნიშნით უპირისპირდებიან ერთმანეთს აწმყო და აწმყოს ხოლმეობითი.

ამრიგად, ძველ ქართულში აღინიშნებოდა, ერთი მხრივ, მოქმედების განგრძობითობა, უწყვეტობა, დიურატიულობა (I სერიის მწკრივებით), ანდა მომენტობრივი ხასიათი, დამთავრებულობა, წყვეტილობა (II სერიის მწკრივებით), მეორე მხრივ კი — მოქმედების ხოლმეობითობა ანუ მრავალგზისობა (ხოლმეობითის მწკრივებით).

ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები (ერთი მწკრივის ფარგლებში) ძველად ასპექტის მიხედვით არ განსხვავდებოდნენ: ზმნისწინს არ ეკისრებოდა არც სრული ასპექტის და, მით უმეტეს, არც მრავალგზისობის გამოხატვა. ამიტომ არის, რომ ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები პარალელურად გვხვდება ქართული ოთხთავის ძველ რედაქციებში: გზასა წარმართთასა ნუ მ ი ხ უ ა ლ თ (DE მათ. 10,5) — ნუ ხ უ ა ლ თ (C); ჰრქუათ მთასა ამას: მ ი ი ც ვ ა ლ ე ამიერ იქი, და მ ი ი ც ვ ა ლ ო ს (DE მათ. 17,20) — ი ც ვ ა ლ ე ამიერ, და მუნ ი ც ვ ა ლ ო ს (C); შ ე მ ი წ ყ ა ლ ე ნ ჩუენ (DE მათ. 20,30) — მ ი წ ყ ა ლ ე ნ ჩუენ (C) და ა. შ. „ზმნისწინთა ხმარება-უხმარებლობის მხრივ რედაქციების ჩვენება ცხადყოფს, რომ ძველ ქართულში მოქმედების სრული სახით გამოხატვა ზმნებში ზმნისწინზე არ იყო დამოკიდებული. ერთი რედაქციის ზმნისწინიანი ფორმა მეორის უზმნისწინო ფორმას უპირისპირდება, მაგრამ ისე, რომ ერთიცა და მეორეც მოქმედების სრულ სახეს გამოხატავს; ან კიდევ, პირიქით, ერთი რედაქციის უზმნისწინო ფორმა მეორის ზმნისწინიან ფორმას უპირისპირდება და განურჩევლად ამისა იქაც და აქაც ზმნა მაინც უსრული სახისაა“ [2].

როგორც ცნობილია, ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქციაა მიმართულების აღნიშვნა. ეს ფუნქცია ზმნისწინს მოჰყვება იმ დროიდან, როცა იგი ჯერ კიდევ დამოუკიდებელი სიტყვა იყო — ზმნისართს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში მიმართულების აღმნიშვნელი ზოგი ზმნისართი მჭიდროდ დაუკავშირდა ზმნასა და სახელს და მოგვცა, ერთი მხრივ, ზმნისწინი, მეორე მხრივ — თანდე-

[1] გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში (ხელნაწერი, თბილისის უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრაზე შესრულებული სამეცნიერო შრომა, 1955, გვ. 18).

[2] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 79—80.

ბული. Ⴆმნისწინთა დამოუკიდებლობის ნაშთია ძველ ქართულში ე. წ. ტმესი, როცა ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის რაიმე ნაწილაკი ან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვა არის ჩართული: მ ო-რ ა ჲ-ვ ი დ ი ს (Ⴋათ. 12,44), შ ე-თ უ მ ც ა-უ ძ ლ ე ს (Ⴋარკ. 13,22 C), მ ი-ვ ი ე თ მ ე-უ გ ე ს (Ⴋათ. 12,38) და ა. შ. Ⴀსეთივე მაგალითები დასტურდება საშუალი ქართულის ძეგლებშიაც, კერძოდ ,,Ⴅეფხის-ტყაოსანში": მ ო-ც ა-კ ვ დ ა (582,4), შ ე-ვ ი თ-ვ ა ტ ყ ე ვ (1076,4), შ ე-ვ ი ნ-ვ ი დ ო დ ე ს (741,2) და სხვ.[1].

Ⴀხალი ქართულისათვის ასეთი მოვლენა უკვე უცხოა, ზმნისწინი განუყრელად არის დაკავშირებული ზმნის ფუძესთან. Ⴀრსებითად ზმნისწინის ზმნასთან შეზრდის პროცესი უკვე ძველ ქართულში არის დამთავრებული და ამიტომ მისი (ზმნისწინის) ფუნქციები გაფართოებულია.

Ⴆმნისწინის ზმნასთან შერწყმის შემდეგ მისი როლი თანდათან იზრდება. Ⴂარდა მიმართულების აღნიშვნისა, იგი ძველ ქართულშივე უცვლის ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას. Ⴀსე, მაგალითად, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფორმებია: ა ღ-თ ქ უ მ ა და გ ა ნ-თ ქ უ მ ა (Ⴔიცით ა ღ უ თ ქ უ ა მას მიცემად, რაჲცა ითხოვოს Ⴋათ. 14,7; შდრ. Ⴂ ა ნ თ ქ უ ა ნ სახელი თქუენი Ⴊუკ. 6,22); ა ღ მ ო-კ ი თ ხ ვ ა და გ ა ნ-კ ი თ ხ ვ ა (Ⴀრა ა ღ მ ო გ ი კ ი თ ხ ა ვ ს ა, რაჲ-იგი ყო Ⴃავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა მათ Ⴋათ. 12,3; შდრ. ნუ გ ა ნ ი კ ი თ ხ ა ვ თ, რაჲთა არა განიკითხნეთ Ⴊუკ. 6,37); გ ა ნ-ც ხ რ ო მ ა და დ ა-ც ხ რ ო მ ა (Ⴌუ ეძიებთ, რაჲ შჭამოთ და რაჲ ჰსუათ, და ნუცა გ ა ნ ჰ ს ც ხ რ ე ბ ი თ Ⴊუკ. 12,29 D; შდრ. არა დ ა ჰ ს ც ხ რ ე ბ ი ს ამბორის-ყოფითა ფერჴთა ჩემთაჲთა Ⴊუკ. 7,45 D); გ ა ნ-ღ ე ბ ა და მ ი-ღ ე ბ ა (Ⴈრეკდით, და გ ა ნ გ ე ღ ო ს Ⴋათ. 7,7; შდრ. მ ი გ ე ღ ო ს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ Ⴋათ. 21,43 C); დ ა-ც ე მ ა და მ ი-ც ე მ ა (Ⴃ ა ვ ჰ ს ც ე მწყემსი იგი, და განიბნინენ ცხოვარნი Ⴋარკ. 14,27 D; შდრ. Ⴞოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მ ი ვ ჰ ს ც ე მას, არღარა სწყუროდის უკუნისადმდე Ⴈოან. 4,14 D; Ⴃ ა ე ც ა იგი ქუეყანასა Ⴋარკ. 9,20; შდრ. Ⴈოვანე საპყრობილესა მ ი ე ც ა Ⴋათ. 4,12) და ა. შ. Ⴀმგვარი მაგალითები ძველ ქართულში არაიშვიათია.

Ⴋეორე დამატებითი ფუნქცია, რომელიც ზმნისწინმა დროთა განმავლობაში შეიძინა, ესაა სრული ასპექტის გამოხატვა. Ⴐატომ უნდა დაკისრებოდა ზმნისწინს ეს ფუნქცია? Ⴀ. Ⴋ ე ი ე აღნიშნავს, რომ უსრულასპექტიანი ზმნა შეიძლება გამოხატავდეს ორგვარ პროცესს: ერთ შემთხვევაში ჩანს, რომ მოქმედება მიემართება გარკვეული საზღვრისაკენ, გარკვეული მიმართულებით, მას საზღვარი აქვს, ,,განსაზღვრულია"; მეორე შემთხვევაში კი ასეთი დაკონკრეტება არ ხდება, მოქმედება ,,განუსაზღვრელია". Ⴎირველის მაგალითებად Ⴀ. Ⴋეიეს მოჰყავს რუსული идет, ведёт, несёт; მეორის მაგალითებად — ходит, водит, носит და ა. შ. Ⴍრივე შემთხვევაში ზმნა უსრული ასპექტისაა, რადგან მოქმედება წარმოდგენილია განვითარების პროცესში, მაგრამ ,,განსაზღვრული" უსრული ასპექტი მაინც უახლოვდება სრულ ასპექტს, რაკი ზმნით გამოხატულ პროცესს გარკვეული საზღვარი აქვს[2]. Ⴞშირად ამ ,,განსაზღვრულობას" ზმნას ზმნისწინი ანიჭებს: ,,Ⴎრევერბიანი ფორმა კონკრეტულია, განსაზღვრულია და უკვე ამდენად ერთგვა-

[1] Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 266—267.

[2] А. Мейе. Общеславянский язык, Москва, 1951, გვ. 226.

რად „სრულიც". უპრევერბო ფორმა ზოგადია, განუსაზღვრელი და ამდენად ერთგვარად „უსრულიც". ა შ ე ნ ე ბ ს მიუთითებს გარკვეულ პროცესზე მიმართულების აღუნიშნავად, დაკონკრეტების გარეშე. ა ღ-ა შ ე ნ ე ბ ს პროცესის მიმართულებასაც აღნიშნავს და ამიტომ უფრო კონკრეტულია. პროცესის მიმართულების წარმოდგენა ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს ამ პროცესის დამთავრების, ბოლომდე მიყვანის წარმოდგენას. შდრ. „განუსაზღვრელი" ვ ა ლ-ს და „განსაზღვრული" მ ი-ვ ა ლ-ს. რაკი „მ ი-ვალ-ს", ე. ი. მოძრაობს გარკვეული მიმართულებით, გარკვეული პუნქტისკენ, მაშასადამე, მიაღწევს კიდეც ამ პუნქტს. ესეც უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ პრევერბიანი ფორმები თანდათან აღქმულ იქნა, როგორც უფრო სრული უპრევერბო ფორმებთან შედარებით" [1].

ამრიგად, ზმნისწინი, შეიძლება ითქვას, აკონკრეტებს, განსაზღვრავს ზმნის ძირითად მნიშვნელობას.

საფიქრებელია, რომ ძველ ქართულში, ვიდრე ზმნისწინი სრული ასპექტის გამომხატველი გახდებოდა, იგი აღნიშნავდა მოქმედების „განსაზღვრულობას", ან რაღაც ამის მსგავს ფუნქციას ატარებდა და ზმნას მეტ კონკრეტულობას ანიჭებდა. უამისოდ ძნელი ასახსნელია, რატომ გვხვდება ზმნისწინი ძველ ქართულშივე ისეთ ზმნებთან, სადაც იგი არც მიმართულებას აღნიშნავს და არც ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის. ამავე დროს, ზოგი ასეთი ზმნა საერთოდ არ იხმარება უზმნისწინოდ. ეს ეხება განსაკუთრებით -ნ (-დ) სუფიქსიან ვნებითი გვარის ზმნებს II სერიაში: აღ-ბორგდა, აღ-ორძნდა, გან-თენა, გან-რისხნა, გან--სივნა, გან-შუენდა, გან-ცოცხლდა, გან-ძჳნდა, გამო-ბრწყინდა, და-უდნა, და--ბრკოლდა, და-ავიწყდა, მო-კუდა, შე-წუხნა, შე-ძრწუნდა და ა. შ. [2]. ვერ ვიტყვით, რომ ამ ზმნებში მიმართულების ჩვენებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს და ზმნისწინთა დართვა ამიტომ იყოს აუცილებელი. მოყვანილ მაგალითებში ზმნისწინი არც შინაარსის ცვლას იწვევს. მიუხედავად ამისა, ბ ო რ გ დ ა, ო რ ძ ნ დ ა, თ ე ნ ა ან თ ე ნ დ ა, რ ი ს ხ ნ ა და სხვა ამგვარ ფორმებს ქართული ენის ისტორია არ იცნობს. ზმნისწინის დართვა ასეთ შემთხვევაში უკვე ძველ ქართულში რაიმე ასპექტური ნიუანსის გამოხატვასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

აქვე უნდა აღინიშნოს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ძველ ქართულში (ისევე როგორც ამჟამად) ზოგი ზმნის წყვეტილის ფორმა მხოლოდ ზმნისწინის მეშვეობით განსხვავდება უწყვეტლისაგან. ეს ეხება კვლავ ვნებითი გვარის ზმნებს, როგორიცაა: ჩნდა — გ ა მ ო-ჩნდა, ახლდა — მ ი-ახლდა, უძნდა — შ ე-უძნდა, დუღდა — დ ა-დუღდა, უყუარდა — შ ე-უყუარდა, ეჭუდა — შ ე-ეჭუდა, ჰშურდა — შ ე-შურდა, აკლდა — მ ო-აკლდა, უკჳრდა — დ ა-უკჳრდა (ახ. ქართ. გ ა-უკვირდა), ჴურდა — გ ა ნ-ჴურდა და სხვანი. ასეთი დამთხვევა თითქოს მხოლოდ გარეგნულია და მაწარმოებელი ფორმანტი დ ერთ შემთხვევაში უწყვეტლის ნიშანია (დუღ-ს — დუღ-დ-ა...), მეორე შემთხვევაში კი — დონიანი ვნებითისა (და-დუღ-დ-ებ-ა — და-დუღ-დ-ა...). მაგრამ უწყვეტლისაგან წყვეტილის წარმოება ზმნისწინის მეშვეობით სვანურშიც დასტურდება, სადაც ასეთი გარეგნული დამთხვევა არ ხდება. თუ სწორია ვარაუდი, რომ ვნებითის დ წარმოშობით უწყვეტლის ფორმანტს შეიძლება დაუკავ-

———————

[1] გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, გვ. 37.

[2] ანალოგიურად ნაწარმოებ ზმნათაგან უპრევერბობით გამოირჩევა ც ხ ო ვ ნ დ ა.

შირდეს, მაშინ უწყვეტელსა და წყვეტილს შორის გარჩევა მართლაც ზმნისწინის მეშვეობით ყოფილა დამყარებული, ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, თუ ზმნისწინს მაასპექტებელი უნარი ძველ ქართულშივე მოეპოვებოდა [1].

სავარაუდებელია, რომ ზმნისწინს სრული ასპექტის წარმოების უნარი უნდა შეეძინა ჯერ მხოლოდ გარკვეული ტიპის ზმნებში, შემდეგ კი მისი სამოქმედო არე თანდათანობით გაფართოვდა, ხოლო მომენტობრივი და განგრძობითი ასპექტების გარჩევა, რაც სერიების მიხედვით ხდებოდა, თანდათანობით დაიჩრდილა. Ⴀხალ ქართულში ზმნისწინი ასპექტის გამოხატვის ერთადერთ საშუალებად იქცა.

Ⴀმრიგად, ასპექტის გამოხატვის მხრივ ქართული ენა ერთი სისტემიდან მეორეზე გადავიდა. Ⴄს ცვლილება ენაში, ცხადია, ერთბაშად ვერ მოხდებოდა და XI—XVI საუკუნეთა ძეგლებში პარალელურადაა წარმოდგენილი როგორც ძველი, ისე ახალი ვითარების ამსახველი ფორმები.

Ⴀსპექტის სისტემის ძირეული ცვლა და მისი შედეგები დაწვრილებით აქვს განხილული აკად. Ⴀ. Ⴘანიძეს ჯერ სპეციალურ გამოკვლევაში [2] და შემდეგ აგრეთვე — Ⴂრამატიკის საფუძვლებში [3].

Ⴐოგორც Ⴀ. Ⴘანიძე აღნიშნავს, ასპექტის სისტემის შეცვლამ გამოიწვია ფრიად მნიშვნელოვანი ცვლილებები ქართული ენის მორფოლოგიაში: აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან პარალელურ ფორმათა გრამატიკული შინაარსის შეცვლის გზით წარმოიქმნა სამი ახალი მწკრივი. Ⴀმით II კავშირებითს საშუალება მიეცა თხრობითი კილოს (მომავალი დროის) გამოხატვაზე ხელი აეღო და მარტო კავშირებითი კილოს გამოხატვა ეკისრა. Ⴀწმყოს წრეში აღარ დაგვრჩა საშუალება გეზი და ორიენტაცია გამოიხატოს, ხოლო უსრული ასპექტის ზმნები ამ საშუალებას II და III სერიებშიც მოკლებული აღმოჩნდნენ და სხვ. „Ⴀმგვარად, ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის" [4].

Ⴈმ ცვლილებათა შორის, რაც ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლას მოჰყვა შედეგად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია I სერიის მწკრივთა გაყოფა და სამი ახალი მწკრივის — მყოფადის წრის მწკრივთა წარმოქმნა, რის შესახებაც ცალკე გვექნება საუბარი. Ⴀმჟამად კი მოკლედ შევეხებით ასპექტის წარმოებას თანამედროვე ქართულში.

* *

Ⴀსპექტის, ისევე როგორც ყოველი სხვა გრამატიკული კატეგორიის, გამოყოფას საფუძვლად უდევს ისეთ საპირისპირო ფორმათა არსებობა, რომლებსაც ერთნაირი ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობა აქვთ და მხოლოდ ერთი ნიშნით განსხვავდებიან. Ⴄს განმასხვავებელი ნიშანი ახალ ქართულში არის მოქმედების წარმოდგენა დასრულებული ან დაუსრულებელი სახით, რაც გარეგნულად

---

1 ფ. Ⴄრთელიშვილი, -დ//-ნ (-ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის: ႧႱႳ შრომები, ტ. 93, 1960, გვ. 77—91.

2 А. Г. Шанидзе, Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: ႱႫႠႫ, III, № 9, 1942, გვ. 953—958.

3 Ⴀ. Ⴘანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 269—289.

4 Ⴈქვე, გვ. 279.

გამოიხატება ზმნისწინის დართვით ან დაურთველობით, ე. ი. თანამედროვე ქართულ ზმნაში გაირჩევა ორი ასპექტი — სრული და უსრული, რომელთაც შეეფარდება ორი ფორმა — ზმნისწინიანი და უზმნისწინო: უზმნისწინო ფორმა გამოხატავს უსრულ ასპექტს, ზმნისწინიანი—სრულს. ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურ ფორმებს, რომელთაგან ერთი უსრულ ასპექტს გამოხატავს, მეორე კი სრულს, „ასპექტური წყვილები" ეწოდება.

პირველ სერიაში ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები სხვადასხვა მწკრივს ეკუთვნიან, მეორე და მესამე სერიაში კი ეს ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან ასპექტის მიხედვით ერთი მწკრივის ფარგლებში. სანიმუშოდ ავიღოთ ზმნა წ ე რ ა:

უ ს რ უ ლ ი ა ს პ ე ქ ტ ი	ს რ უ ლ ი ა ს პ ე ქ ტ ი
I ს ე რ ი ა	
აწმყო: წერს	მყოფადი: და-წერს
უწყვეტელი: წერდა	I ხოლმეობითი: და-წერდა
აწმყოს კავშირებითი: წერდეს	მყოფადის კავშირებითი: და-წერდეს
II ს ე რ ი ა	
წყვეტილი: წერა	და-წერა
II კავშირებითი: წეროს	და-წეროს
III ს ე რ ი ა	
I თურმეობითი: უწერია	და-უწერია
II თურმეობითი: ეწერა	და-ეწერა
III კავშირებითი: ეწეროს	და-ეწეროს

ასეთივე სურათი გვაქვს ვნებითი გვარის ფორმებშიაც, ოღონდ II და III სერიებში ვნებითი გვარის ზმნათა უპრეფიქსო (უსრულასპექტიანი) ფორმები საკმაოდ იშვიათია, ხოლო ზოგი ზმნა (დონიანი და ნაწილობრივ აგრეთვე უნიშნო ვნებითები) ამგვარ ფორმებს საერთოდ ვერ აწარმოებს[1]. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი ვითარება იყო ძველ ქართულშიც.

ზმნისწინიანი და უზმნისწინო (ე. ი. ასპექტის მიხედვით დაპირისპირებული) ფორმები ხშირად მოეპოვება სახელზმნასაც: წერა — დაწერა, მწერელი — დამწერი, საწერი — დასაწერი, ნაწერი — დანაწერი... მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზმნისწინის დართვა-დაურთველობის მხრივ თავს იჩენს ზოგიერთი ტენდენცია, რასაც სპეციალური შესწავლა სჭირდება.

ამრიგად, ასპექტის წარმოების საერთო სურათი თანამედროვე ქართულ ენაში ნათელია: უზმნისწინო ფორმა უსრული ასპექტისაა, ზმნისწინის დართვით მიიღება სრული ასპექტი. მაგრამ ეს ზოგადი დახასიათება არაა საკმარისი. დეტალების მიხედვით საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ჯერჯერობით თავი დავანებოთ ისეთ ზმნებს, რომლებიც

---

[1] იშვიათი გამონაკლისია ასეთი მაგალითი: „ყ ე ნ დ ა, შ ე ნ დ ა, ვერ აშენდა" (ფოტორეპლიკის სათაურია გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში", 1966 წ. 13. X). ყ ე ნ დ ა აქ აშკარად ახალი წარმოქმნილი ფორმაა, ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნათა ანალოგიით.

ზმნისწინის დართვის მიუხედავად მაინც უსრულ ასპექტს გამოხატავენ, ანდა უზმნისწინოდაც სრული ასპექტის გაგებას შეიცავენ. მარტივი სურათი არც იმ ზმნებში გვაქვს, სადაც ასპექტურ წყვილთა შეფარდება დაცულია და უზმნისწინო ფორმა უსრული ასპექტის გაგებას იძლევა, ზმნისწინიანი კი — სრულისას.

საქმე ისაა, რომ იშვიათია ზმნა, რომელიც მხოლოდ ერთ ზმნისწინს დაირთავდეს და ეს ზმნისწინი სრული ასპექტის გარდა სხვას არაფერს გამოხატავდეს. ჩვეულებრივ, ერთი ზმნის ფუძეს შეიძლება ერთვოდეს რამდენიმე ზმნისწინი. გარდა ასპექტისა, ისინი გამოხატავენ ამა თუ იმ მიმართულებას, უცვლიან ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას, ერთი სიტყვით, „შეთავსებით“ ასრულებენ თავიანთ წინანდელ ფუნქციებსაც.

ამრიგად, ერთ უსრულასპექტიან ფორმას უპირისპირდება რამდენიმე სრულასპექტიანი ფორმა. ვთქვათ, უსრული „წერა“-ს საპირისპიროდ გვაქვს როგორც და-წერა, ასევე მი-წერა, ა-წერა, შე-წერა, გა-წერა, გამო-წერა, ჩა-წერა, ჩამო-წერა, გადა-წერა, გადმო-წერა და სხვ.[1].

როგორ უნდა გადაწყდეს ასეთ შემთხვევაში ასპექტურ წყვილთა საკითხი: რომელი ზმნისწინიანი ფორმა უნდა მივიჩნიოთ უსრული „წერა“-ს შესატყვისად? ან ისინი ყველანი ერთად წარმოადგენენ „წერა“ ზმნის სრულ ასპექტს?

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ვითარებაა აგრეთვე სლავურ ენებში. ვთქვათ, რუსულ писать და написать ფორმებს შორის განსხვავება, ცხადია; მარტო ასპექტით არ ამოიწურება. ამიტომ, სლავური ასპექტოლოგიის ზოგი სპეციალისტის აზრით, ამგვარ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სხვადასხვა ზმნებთან და არა ერთი და იმავე ზმნის ორ ასპექტურ ფორმასთან („ასპექტურ წყვილთან“). სახელდობრ, პროფ. ი. მ ა ს ლ ო ვ ი წერს: „Можно сказать, что в отношении своих лексических значений писать и написать (и, соответственно, кричать и крикнуть и т. д.)—очень близкие, но не тождественные синонимы, в ряде контекстов вполне эквивалентные друг другу, но в других контекстах даже не соотносительные“[2]. ამიტომ ამგვარ ფორმათაგან პირველს მკვლევარი მიიჩნევს უსრულასპექტიანად, რომელსაც აკლია საპირისპირო სრულასპექტიანი წევრი (imperfectiva tantum), ხოლო მეორეს— სრულასპექტიანად, რომელსაც აგრეთვე აკლია საპირისპირო წევრი (perfectiva tantum). ამგვარი ასპექტნაკლი ზმნების რიცხვი სლავურ ენებში, როგორც თვით ი. მ ა ს ლ ო ვ ი აღნიშნავს, მეტისმეტად დიდია.

ამ თვალსაზრისის მომხრენი წმინდა ასპექტურ თანაფარდობას წყვილთა შორის სლავურ ენებში ხედავენ მხოლოდ სუფიქსური წარმოების (იმპერფექტივაციის) დროს, როგორიცაა, მაგალითად: подписать — подписывать (дать—давать) და ა. შ.[3].

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 269—270, 285.

[2] Ю. С. Маслов, Глагольный вид в современном болгарском языке (Автореферат докторской диссертации), Ленинград, Институт славяноведения АН СССР, 1957, გვ. 6.

[3] იქვე; იხ. აგრეთვე: Ю. С. Маслов, Роль так называемой перфективации и имперфективации в процессе возникновения славянского глагольного вида (III международный съезд славистов), Москва, 1958; А. В. Исаченко, Грамматический строй

Ასპექტის წარმოების ასეთი გზა (იმპერფექტივაცია) დამახასიათებელია მხოლოდ სლავური ენებისათვის. Ამ გაგებით ასპექტი წმინდა სლავური ენობრივი მოვლენაა. Მაშინ ასპექტის ზმნისწინიანი წარმოება, რომელიც იმავე სლავურ ენებში გვხვდება, სხვა კატეგორიად უნდა მიგვეჩნია, თუმცა იგი სემანტიკურად ასე მკვეთრად არ განსხვავდება სუფიქსური წარმოებისაგან. Მეორე მხრივ, როგორც ზოგი სპეციალისტი აღნიშნავს, ასპექტურ წყვილთა ზედმიწევნითი ლექსიკური იგივეობა სრულიად არ არის აუცილებელი: „Лексическое тождество глаголов не распространяется на всю их семантику, оно не означает полного совпадения всех смысловых оттенков, вариаций основного значения, которые возникают в результате лексико-грамматического, а не грамматического, процесса видообразования. Полного лексико-семантического тождества глаголы видовых пар не имеют"[1].

Ამრიგად, მცირე ლექსიკური სხვაობა, რაც ზმნისწინიანსა და უზმნისწინო ფორმას შორის იგრძნობა, არ უშლის ხელს, რომ ისინი ასპექტის მხრივ ერთმანეთის საოპოზიციო ცალებად მივიჩნიოთ, ე. ი. ერთ „ასპექტურ წყვილად" გავაერთიანოთ. Ვთქვათ, წ ე რ ა და დ ა წ ე რ ა — ეს არის ერთი და იმავე ზმნის ორი ფორმა, რომელთაგან პირველი უსრულ ასპექტს გამოხატავს, მეორე კი სრულს; ე. ი. ეს არის ერთი ასპექტური წყვილი. Იმავე ფუძისაგან ნაწარმოები სხვა ზმნისწინიანი ფორმები კი არსებითად სხვა ზმნებია, რომლებიც ცალ-ცალკე ასპექტურ წყვილებს ქმნიან: წ ე რ ა — ჩ ა წ ე რ ა, წ ე რ ა — გ ა დ ა წ ე რ ა, წ ე რ ა — ა მ ო წ ე რ ა და ა. შ. Არ შეიძლება ვთქვათ, რომ გვაქვს ერთი ზმნა, რომლის უსრული ასპექტია წ ე რ ა, ხოლო სრული — ერთბაშად: ჩ ა წ ე რ ა, გ ა დ ა წ ე რ ა, ა მ ო წ ე რ ა და ა. შ. Არა, ყველა ამ შემთხვევაში სხვადასხვა ზმნა გვაქვს, ოღონდ ამ ზმნათა უსრული ასპექტის ფორმებია საზიარო. Ასევე უნდა შევაფასოთ ყველა ფორმა, რომელიც ერთსა და იმავე ფუძეზე სხვადასხვა ზმნისწინის დართვით არის მიღებული[2].

Ასპექტურ წყვილში სრული ასპექტი არის ძირითადი და განმსაზღვრელი, მარკირებული ფორმა. Როცა ვამბობთ, უსრული ასპექტისაგან ზმნისწინის დართვით მიიღება სრული ასპექტიო, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სრული ასპექტი საზოგადოდ უსრულისაგან არის მიღებული. Გასათვალისწინებელია პირუკუ პროცესიც: სრული ასპექტისაგან უსრული ასპექტის წარმოება ზმნისწინის ჩამოცილების გზით (დეპრევერბაცია).

Ამრიგად, ზმნისწინის ჩამოცილების შედეგად ერთმანეთს ემთხვევა სხვადასხვა ზმნის უსრული ასპექტის ფორმები. Როგორღა განირჩევიან ისინი ერთმანეთისაგან? Უპირველეს ყოვლისა, აქ მთავარ როლს ასრულებს კონტექსტი, მაგრამ ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად ენა სხვა საშუალებებსაც იშველიებს. Მაგალითად, დ ა წ ე რ ა, გ ა დ ა წ ე რ ა და ჩ ა წ ე რ ა ზმნათა უსრულასპექტიანი საწყისი საზიაროა (წ ე რ ა), მაგრამ პირიან ფორმებში პირ-

———————

русского языка в сопоставлении с словацким. II, Братислава, 1960; А. В. Б о н д а р к о, Опыт общей характеристики видового противопоставления русского глагола: Ученые записки Института славяноведения, XXIII, 1962.

[1] М. И. М о р о з о в а, О видовой соотносительности глаголов в русском языке: Ученые записки Вологодского гос. пед. института, т. XXVI, 1961, გვ. 8.

[2] Ა. Შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 285.

ველი მათგანი უმეტესად საარვისო ქცევის ფორმით გვხვდება (დ ა ვ წ ე რ ე — ვ წ ე რ ე), დანარჩენთათვის კი უფრო დამახასიათებელია სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები (გ ა დ ა ვ ი წ ე რ ე — ვ ი წ ე რ ე; გ ა დ ა ვ უ წ ე რ ე — ვ უ წ ე- რ ე; ჩ ა ვ ი წ ე რ ე — ვ ი წ ე რ ე და ა. შ.). Ⴜ ა წ ე რ ა ზმნა პირიან ფორმებში გვხვდება მეტწილად საზედაო სიტუაციის გამომხატველი ა პრეფიქსით (წ ა ვ ა წ ე რ ე — ვ ა წ ე რ ე). Ⴂარკვეული მნიშვნელობით იმავე პრეფიქსს დაირთავს აგრეთვე მ ი წ ე რ ა ზმნაც (მ ი ვ ა წ ე რ ე — ვ ა წ ე რ ე). Ⴀმის შედეგად საზიარო უსრულასპექტიან ფორმათა რიცხვი საგრძნობლად მცირდება.

Ⴆმნები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგრეთვე უსრულასპექტიან ფორმათა ხმარების ინტენსივობითაც. Ⴋაგალითად, დ ა ვ წ ე რ ე ზმნის უსრული ასპექტი ვ წ ე რ ე ძალიან ხშირად იხმარება, რასაც ვერ ვიტყვით იმავე ფუძის მოზიარე სხვა ზმნებზე. Ⴂანსაკუთრებით იშვიათია საწყისის ხმარება უზმნისწინოდ, ე. ი. უსრული ასპექტის ფორმით, თუკი ზმნისწინს თვალსაჩინო შინაარსობლივი ნიუანსები ახლავს.

Ⴆოგ ზმნას უსრული ასპექტის გამომხატველი ფორმა სრულიად არ მოეპოვება. Ⴋაგალითად, გ ა ვ წ ე რ ე ან შ ე ვ ა წ ე რ ე უსრული ასპექტის ფორმით საერთოდ არ გვხვდება, ე. ი. ესენი ასპექტნაკლი ზმნებია (perfectiva tantum). Ⴋეორე მხრივ, რასაკვირველია, გვხვდება ისეთი ზმნებიც, რომელთაც მხოლოდ უსრული ასპექტის გაგება აქვთ და საოპოზიციო სრულასპექტიანი ცალი აკლიათ (imperfectiva tantum).

Ⴆმნათა ერთ წყებაში ასპექტის დეფექტურობა იმით არის გამოწვეული, რომ ისინი ზმნისწინს საზოგადოდ არ დაირთავენ; მეორე წყება კი ზმნისწინს დაირთავს, მაგრამ ამით სრული ასპექტის გაგებას ვერ იძენს: ზმნისწინი მხოლოდ Ⴋიმართულებას აღნიშნავს. Ⴀსეთ ზმნებს, Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ი ს აზრით, ასპექტი არ გააჩნიათ, ისინი უასპექტო ზმნებია [1].

Ⴅფიქრობთ, ამგვარ შემთხვევაში უფრო მართებულია ვილაპარაკოთ ასპექტის დეფექტურობაზე, რომლის დროსაც ზმნას მოეპოვება მხოლოდ ერთი ასპექტი და აკლია საოპოზიციო ფორმა. Ⴀსე რომ, აქ ჩვენ გვაქვს არა საერთოდ უასპექტო, არამედ ასპექტნაკლი ზმნები (შეადარეთ რიცხვნაკლი სახელები, რიცხვნაკლი ან პირნაკლი ზმნები და სხვ.). Ⴗველა ზმნა არ იცვლება ასპექტების მიხედვით, მაგრამ ყოველი ზმნური ფორმა ეკუთვნის რომელიმე ასპექტს [2].

Ⴈმ ზმნათა შორის, რომლებიც ზმნისწინს ვერ იგუებენ, ზოგი უსრული ასპექტისაა და აკლია სრულასპექტიანი ფორმა (არის, ზის, უყვარს, ცხარობს, სწერია, ჰყრია, ახატია...), ზოგი კი უზმნისწინობის მიუხედავად მაინც სრული ასპექტის გაგებას შეიცავს (თქვა, ბრძანა, ჰკითხა, სთხოვა, უთხრა, უყო, ჰყო, ქმნა, შვა, სტაცა, სტყორცნა, ესროლა, ეცა, ეძგერა, აკოცა, ატკინა, აწყინა...).

---

[1] Ⴀ. Ⴘ ა ნ ი ძ ე, Ⴕართული გრამატიკა, I, 1930, გვ. 132; მ ი ს ი ვ ე, Ⴕართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 273—274.

[2] Ⴇ. Ⴆ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, Ⴀსპექტის გამოხატვის საშუალებანი ქართულში (ხელნაწერი, Ⴑაქ. ႱႱႰ Ⴋეცნ. აკადემიის Ⴄნათმეცნიერების ინსტიტუტში შესრულებული სამეცნიერო შრომა, 1963, გვ. 41—45). Ⴑხვა ენების მიმართ ანალოგიური შეხედულება არა ერთ მკვლევარს აქვს გამოთქმული; მაგალითად, იხ. Ю. С. М а с л о в, Глагольный вид в современном болгарском языке (Автореферат докторской диссертации), 1957, გვ. 17; მ ი ს ი ვ ე,—Морфология глагольного вида в современном болгарском литературном языке, 1963, გვ. 23 და სხვ.

სრული ასპექტის გაგებას ვერ ანიჭებს ზმნისწინი მეტწილად საშუალი გვარის ზმნებს, სადაც მიმართულების აღსანიშნავად ხშირად იხმარება ზმნისწინები: მ ი-, მ ო-, დ ა- (მი-გორავს, მო-გორავს, და-გორავს; მი-რბის, მო-რბის, და-რბის; მი-ხტის, მო-ხტის, და-ხტის...). ეს ზმნისწინები მოქმედებით გვარშიაც ზოგჯერ მხოლოდ მიმართულებას გვიჩვენებენ და სრულ ასპექტს არ გამოხატავენ (მი-აგორებს, მო-აგორებს, და-აგორებს; მი-ათრევს, მო-ათრევს, და-ათრევს...). მაგრამ იმავე ფუძეზე სხვა ზმნისწინის დართვა უკვე სრული ასპექტის გაგებასაც იძლევა (გა-აგორებს, გამო-აგორებს, შე-აგორებს, ჩა-აგორებს... გა-ათრევს, გადა-ათრევს, შე-ათრევს, ჩა-ათრევს...).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთ ზმნისწინიან ფორმებს, როგორიცაა მ ი-ა გ ო რ ე ბ ს, მ ო-ა გ ო რ ე ბ ს, დ ა-ა გ ო რ ე ბ ს, მ ი-ა თ რ ე ვ ს, მ ო-ა თ რ ე ვ ს, დ ა-ა თ რ ე ვ ს და სხვანი, ერთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეთ უსრული ასპექტის გაგება (აწმყოს წრეში), მეორე შემთხვევაში კი გამოხატავდნენ სრულ ასპექტს (მყოფადის წრეში). ამრიგად, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ასპექტურ ომონიმიასთან.

ერთი სიტყვით, ასპექტის წარმოების მხრივ თანამედროვე ქართულში ჩვენს თვალწინ იშლება მეტად მრავალფეროვანი სურათი. ეს მრავალფეროვნება იმით არის გამოწვეული, რომ ზმნისწინს რამდენიმე ფუნქცია აკისრია და ერთბაშად ყველას შესრულება უძნელდება. ამიტომ წინა პლანზე დგას მისი ხან ერთი, ხან მეორე, ხან მესამე ფუნქცია, დანარჩენები კი იჩრდილება. მეორე მხრივ, ასპექტის გამოხატვის ზოგი თავისებურება დამოკიდებულია ზმნათა ლექსიკურ შინაარსზე, რომელიც ყოველთვის ვერ იგუებს ორივე ასპექტის გაგებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ მთლიანად მაინც არ გამქრალა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი სისტემა ასპექტების სერიათა მიხედვით გარჩევისა და ძველი სისტემის ნაშთები დღემდე განაგრძობენ არსებობას.

ძველ ქართულში წყვეტილის უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები (ვთქვათ, მან წ ე რ ა და დ ა-წ ე რ ა) ორივე გამოხატავდა წარსულში შესრულებულ და უკვე ბოლომდე მიყვანილ მოქმედებას, სრულ ასპექტს. ახალ ქართულში ზმნისწინიანმა ფორმამ (დ ა წ ე რ ა) შეინარჩუნა ძველი მნიშვნელობა, უზმნისწინო (წ ე რ ა) კი დასცილდა მას და უსრული ასპექტის გაგება შეიძინა. მაგრამ ამავე დროს წარსულში შესრულებული დაუმთავრებელი მოქმედების გამომხატველ ძირითად ფორმად კვლავ დარჩა უწყვეტელი (წ ე რ დ ა). მაშასადამე, წყვეტილის უზმნისწინო ფორმა (წ ე რ ა) და უწყვეტელი (წ ე რ დ ა), რომლებიც ძველ ქართულში ასპექტის მხრივ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მომდევნო პერიოდში დაუახლოვდნენ ერთიმეორეს: ორივე გადმოგვცემს უსრულ მოქმედებას (უსრულ ასპექტს), რომელიც დროის მიხედვით წარსულია.

ამრიგად, წ ე რ ა (მან) და წ ე რ დ ა დროის მიხედვით ორივე წარსულია, კილოს მიხედვით ორივე თხრობითია, ასპექტის მიხედვით ორივე უსრულია. ასევე საერთოა მათთვის სხვა ზმნური კატეგორიებიც. ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია მწკრივი: ერთი (წ ე რ ა) მეორე სერიის ფორმაა და წყვეტილის მწკრივია, მეორე (წ ე რ დ ა) — უწყვეტელია და პირველ სერიაში შედის. ამიტომ მათი სინტაქსური კონსტრუქციაც სხვადასხვაგვარია: ერთი სუბიექტს მოთხრობით ბრუნვაში მოითხოვს, ობიექტს — სახელობითში (წერა მან იგი), მეორე

კი სუბიექტს სახელობითში მოითხოვს, ობიექტს — მიცემითში (წერდა იგი მას). მაგრამ რატომღა შეინარჩუნა ენამ სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციის მქონე ეს ორი სხვადასხვა ფორმა, თუ მათ შორის არავითარი შინაარსობლივი განსხვავება არ არის? შეინარჩუნა სწორედ იმიტომ, რომ მათ შორის მაინც არის ერთგვარი სხვაობა შინაარსის მხრივაც.

ამ განსხვავების თაობაზე ჯერ კიდევ ბ. რუდენკო წერდა: „Несовершенный же вид грузинского аориста выражает действие хотя и не законченное (не завершенное), но продолжавшееся лишь определенное, ограниченное время; в противоположность прошедшему несовершенному, несовершенный вид аориста не может выражать действий или состояний, совершившихся долго, постоянно, обычно и т. п.“[1].

ამავე საკითხთან დაკავშირებით გ. მაჭავარიანი აღნიშნავს: „პეტრე სახლს აშენებდა“ არ არის იგივე, რაც „პეტრემ სახლი აშენა“. პირველ შემთხვევაში მოქმედება ბოლომდე არ არის მიყვანილი იმიტომ, რომ გრძელდება (უფრო ზუსტად, გრძელდებოდა = გრძელდება ნამყოში). მეორე შემთხვევაში მოქმედება ბოლომდე არ არის მიყვანილი იმიტომ, რომ შეწყდა. რაც შეეხება სრული სახის (პრევერბიან) ნამყო ძირითადს, მოქმედების შეწყვეტას ისიც გამოხატავს, მაგრამ აქ თვით ეს შეწყვეტა არის შედეგი მოქმედების დამთავრებისა: „პეტრემ სახლი ააშენა“ (ე. ი. შეწყვიტა მშენებლობა იმიტომ, რომ დაამთავრა). ამგვარად, წყვეტის მომენტი დამახასიათებელია ნამყო ძირითადისათვის (როგორც უსრულის, ისე სრულისთვის). ამით ნამყო ძირითადი უპირისპირდება ნამყო უსრულს, რომელიც მოქმედებას განგრძობილად წარმოგვიდგენს“[2].

ვფიქრობთ, ეს დებულება სადავო არ უნდა იყოს: უწყვეტელი და წყვეტილის უსრული ასპექტი ერთმანეთს უპირისპირდებიან მოქმედების განგრძობილად ან მომენტობრივ-წყვეტილი სახით წარმოდგენის მიხედვით. თუ გავიხსენებთ, რომ ასეთი დაპირისპირება დამახასიათებელი იყო ძველი ქართულისათვის, აქ ჩვენ სწორედ ძველი ქართულისებური სისტემის გადმონაშთთან გვაქვს საქმე: პირველი სერიის მწკრივი (უწყვეტელი) გამოხატავს განგრძობილ ასპექტს, მეორე სერიისა (წყვეტილი) — მომენტობრივს. მაგრამ ეს დაპირისპირება დღევანდელ ქართულში უკვე მკრთალია.

უსრულასპექტიანი წყვეტილი ზოგჯერ მოქმედების მრავალგზისობის გაგებასაც იძლევა: იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წყდებოდა და კვლავ ახლდებოდა, მაშინ როცა უწყვეტელი წარმოგვიდგენს ხანგრძლივად, განუწყვეტლად მიმდინარე პროცესს.

მრავალგზისის ფუნქციით ნახმარი წყვეტილის უსრული ასპექტი განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ანდაზებსა და გამოცანებში:

„ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო“.
„ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო“.
„თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“.
„ერთი საბელი მაქვს, ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე“.

---

[1] Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка. Москва-Ленинград 1940, გვ. 125.
[2] გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, გვ. 6—7.

„ერთი პირსახოცი მაქვს, ვაშრე, ვაშრე, ვერ გავაშრე“ — და ა. შ.

ასეთ მაგალითებში ზმნა მეტწილად გამეორებულია და შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქოს მრავალგზისობა გამოხატულია არა ორგანულად, ზმნის ფორმით, არამედ ზმნის გამეორების გზით. სინამდვილეში მრავალგზისობას ზემოხსენებული ფორმები გამეორების გარეშეც გამოხატავენ, მაგრამ არა მკაფიოდ [1].

ამრიგად, უსრულასპექტიანი წყვეტილი, უწყვეტლისაგან განსხვავებით, ორ ასპექტურ ნიუანსს გამოხატავს: წყვეტილობას და მრავალგზისობას. მაგრამ ეს ნიუანსები დღევანდელ ქართულში მკრთალად არის გამოხატული.

მრავალგზისობის ანუ ხოლმეობითობის გამოხატვა ახალ სალიტერატურო ქართულში შესაძლებელია აგრეთვე ე. წ. პირველი ხოლმეობითის მწკრივით, რომელიც უწყვეტლისაგან იწარმოება ზმნისწინის მეშვეობით.

როგორც ვიცით, მრავალგზისობის აღსანიშნავად ძველ ქართულს ჰქონდა საგანგებო მწკრივი — II ხოლმეობითი, რომელიც დღეისათვის მხოლოდ მთის კილოებსა და ქიზიყურს შემორჩა (ამ კილოთა გავლენით იგი გვხვდება XIX ს. ზოგიერთი კლასიკოსის ენაში, — განსაკუთრებით ვაჟას ნაწერებში: შევიდის, დააცქერდის, ამოიოხრის, გამობრუნდის და სხვ.). „ცოცხალ კილოთა უმეტესობამ და სალიტერატურო ქართულმა, — აღნიშნავს ა. შანიძე, — ჯერობის ეს ფორმები დაკარგა, სამაგიეროდ მათი გამოხატვა უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ ხოლმეობითის მწკრივს დააკისრა“ [2]. საილუსტრაციოდ იქვე მოყვანილია მაგალითები ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანიდან“ და გ. წერეთლის „რუხი მგლიდან“: „რაკი კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდან, გადიკრავდა შუბლსაფენს, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინს, გადიცვამდა ჩითის კაბას — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა — შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და — ჰერი, ბიჭო — დაეშვებოდა ჩალურისაკენ“; „მასპინძლის სახლს რომ დაუახლოვდებოდა, (ვაანა) ჯერ წყაროზე ჩავიდოდა, ხელ-პირს დაიბანდა, ტანისამოსს გამოიცვლიდა, ახალს ჩაიცვამდა, ძველს ისევ ფუთაში გაახვევდა, ულვაშებს გადაიკრავდა და, როცა მასპინძლის ეზოში შევიდოდა, ულვაშ(ს)აკრს მოიხსნიდა და გამოწკიპინებული ულვაშებით მიეგებებოდა სახლის პატრონს“.

აშკარაა, მოყვანილ მაგალითებში პირველი ხოლმეობითი მრავალგზისის გაგებით იხმარება და ძველი ქართულის II ხოლმეობითის მაგივრობას ეწევა. მაგრამ ძველი ქართული ხოლმეობითისაგან განსხვავებით, მრავალგზისობის აღნიშვნა არ წარმოადგენს პირველი ხოლმეობითის ერთადერთ ანდა ძირითად ფუნქციას. „მრავალგზისობა ამ მწკრივს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ კილო თხრობითია და ნახმარია ამბავში, რომელიც რამდენსამე მოქმედებას შეიცავს... შეიძლება ამავე მწკრივმა შედეგობითი გადმოგვცეს: ეგ რომ მცოდნოდა, ადრე გავიღვიძებდი, აქამდე ავდგებოდი და პირსაც დავიბანდი. ამ შემთხვევაში ფორმაში ჯერობა არ არის“ [3].

როგორც ჩანს, ამის მიზეზით ხდება, რომ მრავალგზისის გაგებით ნახმარ პირველ ხოლმეობითს ხშირად „ხოლმე“ დაერთვის გამეორებული მოქმედების

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 272.

[2] იქვე, გვ. 215.

[3] იქვე, გვ. 224.

აღსანიშნავად. „ხოლმე“ ხშირად იხმარება აწმყოსა და მყოფადის ფორმებთანაც, არაიშვიათად იგი სხვა მწკრივებთანაც შეიძლება შეგვხვდეს, მაგრამ ეს უკვე მრავალგზისობის აღწერითი წარმოებაა, ასეთ შემთხვევაში გრამატიკული შინაარსის გამოსახატავად ლექსიკური საშუალება არის გამოყენებული [1].

მაშასადამე, მრავალგზისობის გამოსახატავად დღევანდელ სალიტერატურო ქართულში არ არსებობს საგანგებო ფორმა და ამიტომ მისი როგორც ცალკე გრამატიკული კატეგორიის არსებობა ეჭვს იწვევს [2].

ამრიგად, ახალი ქართულისათვის ძირითადია ზმნით გამოხატული მოქმედების წარმოდგენა დასრულებული ან დაუსრულებელი სახით, ე. ი. სრული და უსრული ასპექტი. ასპექტის ამ ორ ფორმას შორის განსხვავება მყარდება ზმნისწინის მეშვეობით: უზმნისწინო ფორმა უსრულ ასპექტს გამოხატავს, ზმნისწინიანი — სრულს. ეს დაპირისპირება ზმნის უღვლილების მთელ სისტემას გასდევს.

ამავე დროს, გარკვეულ შემთხვევაში, ზმნას შესაძლებლობა აქვს აღნიშნოს მოქმედების განგრძობითობა-წყვეტილობა და ერთგზისობა-მრავალგზისობა. რამდენადაც ეს უკანასკნელნი აგრეთვე ზმნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე გვაძლევენ წარმოდგენას, მაგრამ დამოუკიდებელი ზმნური კატეგორიის წონა და მნიშვნელობა არ მოეპოვებათ, ამიტომ ისინი ასპექტის კატეგორიის გარკვეულ ვარიაციად უნდა მივიჩნიოთ, რომელთა მსგავსი მოვლენები მსოფლიოს მრავალ ენაში დასტურდება და თანამედროვე ასპექტოლოგიაში აღინიშნება ტერმინით Aktionsart (რუსული способ действия). მის შესატყვისად ქართულში მიზანშეწონილი იქნება ვიხმაროთ *მოქმედების სახე*.

* *

რატომ გახდა საჭირო ახალი ცნების — მოქმედების სახის შემოღება და რას აღნიშნავს იგი?

საქმე ისაა, რომ ყოველ ენაში გამოიყოფა ზმნათა ჯგუფები, რომელნიც ასპექტის გამოხატვის მხრივ რაიმე თავისებურებას ამჟღავნებენ. ამ თავისებურებათა ზოგიერთ მიზეზზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. გარდა ამისა, ზოგი თავისებურება ზმნების ლექსიკური შინაარსით არის გამოწვეული. მაგალითად, ზოგი ზმნით გამოხატული მოქმედება მომენტობრივი ხასიათისაა და მისი ლექსიკური შინაარსი ვერ იგუებს მოქმედების განგრძობილად წარმოდგენას; ზოგი ზმნის შინაარსი, პირიქით, არ გულისხმობს მოქმედების შეწყვეტას, — სხვანაირად რომ ვთქვათ, მოქმედება იწყება არა მისი დასრულების მიზნით და ა. შ.

გასულ საუკუნეში და მეოცე საუკუნის დამდეგსაც ამგვარ ზმნათა ჯგუფებს ცალკე ასპექტებად გამოყოფდნენ ან სრულიად უყურადღებოდ ტოვებდნენ. პირველად *სიგურდ აგრელმა* გამიჯნა ასეთი მოვლენები ასპექტისაგან და მოგვცა მოქმედების სახის, როგორც ასპექტისაგან განსხვავებული ცნების, ფორმულირება. მან პოლონურ ენაში აღწერა ოცზე მეტი მოქმედების სახე [3].

---

[1] ი. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961, გვ. 5—26.

[2] ა. ზურაბიშვილი, ასპექტის გამოხატვის საშუალებანი ქართულში, გვ. 27—32.

[3] Sigurd Agrell, Aspektänderung und Aktionsartbildung beim polnischen Zeitworte. Ein Beitrag zum Studium der indogermanischen Präverbia und ihrer Bedeutungsfunktionen, Lund, 1908; შემოკლებით იხ. კრებულში: Вопросы глагольного вида, Москва, 1962, გვ. 35—38.

შემდგომში მოქმედების სახის შესახებ მოძღვრება ფართოდ გავრცელდა როგორც საზღვარგარეთულ, ისე საბჭოთა ასპექტოლოგიაში. საზღვარგარეთელ მკვლევართა შეხედულებანი ამ საკითხზე თავმოყრილია კრებულში «Вопросы глагольного вида» (1962 წ.). საბჭოთა ასპექტოლოგებიდან ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფ. ი. მ ა ს ლ ო ვ ი. მას ერთ-ერთ თავის ნაშრომში აღნუსხული აქვს 25 მოქმედების სახე[1].

მოქმედების სახეები არ შეიძლება გავაიგივოთ ასპექტთან, რომელიც წმინდა გრამატიკულ აბსტრაქციას წარმოადგენს და საპირისპირო ფორმებს გვიჩვენებს ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგლებში, ამასთანავე ასეთი საპირისპირო ფორმების წარმოება შეუძლია ენაში არსებულ ზმნათა უმეტესობას. მოქმედების სახეები კი გამოიყოფა მხოლოდ სემანტიკური მსგავსების საფუძველზე, ისევე როგორც სახელებში გამოვყოფთ საზოგადო და საკუთარ სახელებს, კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებს, ნივთიერებათა სახელებს და ა. შ. ეს შინაარსობლივი ჯგუფები სახელებში ბრუნების ცალკე ტიპებს არ ქმნიან, მაგრამ გარკვეული თავისებურებანი კი შეიძლება გამოამჟღავნონ. სწორედ ასევე, ესა თუ ის მოქმედების სახე ცალკე ასპექტს არ წარმოადგენს, მაგრამ საინტერესოა ასპექტის კატეგორიასთან მიმართების თვალსაზრისით. თუ მისი შინაარსი შეუთავსებელია სრული ან უსრული ასპექტის შინაარსთან, ამ ორ მნიშვნელობას შორის კოლიზია იწვევს ზმნის ასპექტური პარადიგმის არასრულობას (perfectiva tantum ან imperfectiva tantum). რასაკვირველია, არსებობს ისეთი მოქმედების სახეებიც, რომლებიც ორივე ასპექტში შეიძლება შეგვხვდეს.

ამრიგად, მოქმედების სახე სემანტიკურად ახლოსაა ასპექტთან, რამდენადაც ასახავს რაღაც სხვაობას ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედების მიმდინარეობის წესში, მაგრამ ასპექტისაგან განსხვავებით იგი არ წარმოადგენს ცალკე გრამატიკულ კატეგორიას, ვერ ქმნის მკაფიო პარადიგმულ წყვილებს და ზმნათა შორის ლექსიკური სხვაობის სფეროში რჩება.

მოქმედების სახისათვის ინტერნაციონალური ტერმინი არ არსებობს. მის აღსანიშნავად იხმარება გერმანული Aktionsart, ან მისი კალკი, როგორიცაა რუსული способ действия. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ეს ცნება ჯერჯერობით არ შემოსულა და, ცხადია, არც მისი სახელწოდება არსებობს. ჩვენ მის აღსანიშნავად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიხმაროთ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ს ა ხ ე. ამიტომ უნდა უკუვაგდოთ ს ა ხ ე, როგორც ასპექტის შესატყვისი და მის პარალელურად არსებული ტერმინი. ა ს პ ე ქ ტ ი, რომელიც რუსული в и д-ის თარგმანია და სლავური გრამატიკიდან არის ნასესხები, დამკვიდრებულია როგორც ინტერნაციონალური ტერმინი და ქართულშიც ასევე იხმარება.

აშკარაა, რომ სხვა ენათა მსგავსად ქართულშიც გამოიყოფა ზმნათა ცალკეული სემანტიკური ჯგუფები, რომელთაც ასპექტის წარმოების მხრივ გარკვეული თავისებურებანი ახასიათებთ. სწორედ ეს ჯგუფები შეადგენენ სხვადასხვა მოქმედების სახეს. ყველა ამ ჯგუფის აღნუსხვა და დახასიათება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც გულდასმით იქნება შესწავლილი მთლიანად ქართულ

---

[1] Ю. С. М а с л о в, Система основных понятий и терминов славянской аспектоло- Вопросы общего языкознания, ЛГУ, Ленинград, 1965, გვ. 53—80.

ზმნათა ასპექტური ფუძეები. ამჟამად კი ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მოქმედების სახეზე ზოგადი მითითებით ვკმაყოფილდებით.

ჩვენი აზრით, მოქმედების სახედ უნდა იქნეს მიჩნეული ზემოხსენებული განგრძობითობა-წყვეტილობა, რის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდებიან უწყვეტელი და უზმნისწინო (უსრულასპექტიანი) წყვეტილი (წერდა—წერა, ხატავდა—ხატა, აკეთებდა—აკეთა და ა. შ.).

მოქმედების სახეს წარმოადგენს აგრეთვე ხოლმეობითობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ცნობილია, რომ მსგავსმა აზრობრივმა შინაარსმა ერთ ენაში შეიძლება მიიღოს ლექსიკური გამოხატულება, მეორეში კი — გრამატიკული. იგივე შეიძლება ითქვას ერთი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზეც. ბუნებრივია, ასეთი ფაქტები შეინიშნება ასპექტისა და მოქმედების სახის სფეროშიც. ასე, მაგალითად, მრავალგზისობა რუსულ და პოლონურ ზმნაში კვალიფიცირებულია როგორც მოქმედების სახე, ჩეხურსა და სლოვაკურში კი იგი მოიცავს ზმნური ლექსიკის უდიდეს ნაწილს, აქვს საკუთარი ფორმანტები და ასპექტს წარმოადგენს, თუმცა ზოგი მკვლევარი იმ აზრისაა, რომ მრავალგზისობა ამ ენებშიაც მოქმედების სახედ უნდა იქნეს მიჩნეული[1].

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ძველ ქართულში ხოლმეობითს საგანგებო მორფოლოგიური ნიშანი მოეპოვებოდა და სპეციალურ მწკრივებს ქმნიდა. მაშასადამე, იგი ცალკე გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენდა. ამიტომ საზოგადოდ ქართულის მიმართ უდავოდ სწორია აკად. ა. შ ა ნ ი ძ ი ს დებულება: „უსრული ასპექტი სხვა კატეგორიაა და მრავალგზისობა — სხვა, რაც იქედან ჩანს, რომ უსრულ-ასპექტიან ზმნებს თავისი ხოლმეობითი აქვს: ვალი, ვაკეთი, ვვეცი, ვაცხვი და სხვა“[2]. მაგრამ ახალ სალიტერატურო ქართულში ხოლმეობითს საკუთარი ნიშანი დაკარგული აქვს, მის გადმოსაცემად გამოიყენება I ხოლმეობითის მწკრივი ან უზმნისწინო წყვეტილი, რომელთაც სხვა ფუნქციებიც აკისრიათ. ამიტომ ხოლმეობითობას დღევანდელ სალიტერატურო ენაში ცალკე გრამატიკულ კატეგორიად ვეღარ მივიჩნევთ, იგი ასპექტის სემანტიკური სახესხვაობაა, მოქმედების სახეს წარმოადგენს. ეს ფაქტი, რომ ერთი და იგივე ფორმა გამოიყენება სხვადასხვა ფუნქციით, დამახასიათებელია სწორედ მოქმედების სახისათვის. ამიტომ უჩვეულო არაა უზმნისწინო წყვეტილის გამოყენება სხვადასხვა მოქმედების სახეთა (წყვეტილობისა და ხოლმეობითობის) გადმოსაცემად.

სპეციალურ ლიტერატურაში ცალკე მოქმედების სახედ არის გამოყოფილი აგრეთვე სტატიკურობა. მართლაც, დინამიკურობა-სტატიკურობის (სტატუსის) მიხედვით საოპოზიციო ფორმათა წარმოება ზმნების უმეტესობას არ შეუძლია, სტატიკურობა გამოიხატება ვნებითი გვარის ზმნათა მხოლოდ მცირე ნაწილში, რომელთაც ამავე დროს სპეციალური ფორმანტი არ მოეპოვებათ და მხოლოდ სემანტიკური ნიშნის მიხედვით არიან გაერთიანებულნი. ა. შ ა ნ ი ძ ი ს დასკვნით, „სტატუსი, როგორც გრამატიკული კატეგორია, სუსტად არის გამოხა-

---

[1] З. Н. Стрекалова, К вопросу о многократных глаголах в современном польском языке: Ученые записки Института славяноведения, XXIII, 1962, გვ. 103—119; А. Г. Широкова, О категории многократности в чешском языке: Исследования по чешскому языку, АН СССР, Москва, 1963, გვ. 61—85.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 273.

ტული ქართულში“ [1]. ამიტომ კანონზომიერია, რომ იგი მოქმედების სახედ მივიჩნიოთ.

სტატიკური ზმნები ქართულში საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული ა. შანიძის გრამატიკის საფუძვლებში [2]. ჩვენ მათზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მოქმედების სახის მიხედვით სტატიკურებს შეუერთდებიან აგრეთვე ე. წ. მედიოპასიური ზმნები, თუმცა მწკრივთა წარმოების მხრივ მათ შორის თვალსაჩინო სხვაობაა. სახელდობრ: წარსულ დროს მედიოპასივები მეტწილად უწყვეტლის მწკრივით გადმოგვცემენ (ბინადრობს — ბინადრობდა, შიშობს — შიშობდა, ცახცახებს — ცახცახებდა და ა. შ.), მაშინ როცა სტატიკური ზმნები უწყვეტელს ვერ აწარმოებენ და სათანადო შემთხვევაში წყვეტილს მიმართავენ (აგდია — ეგდო, ჰყრია — ეყარა, სწერია — ეწერა და ა. შ.). მწკრივთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ასპექტი ორივეგან უსრულია და ამ მხრივ ეგდო, ეყარა, ეწერა და მათი მსგავსი ფორმები არ განსხვავდებიან ბინადრობდა, შიშობდა, ცახცახებდა და სხვა ასეთი ფორმებისაგან (შეადარეთ სახლობს — სახლობდა // ესახლა). სტატიკური ზმნები საზოგადოდ ზმნისწინს არ დაირთავენ, მაგრამ საგულისხმოა, რომ ნამყო დროის სტატიკურ და დინამიკურ ვნებითებს ზოგჯერ მხოლოდ ზმნისწინი განასხვავებს: დგა (ძვ. ქართულში და დღესაც დიალექტებში ნიშნავს „იდგა“)— ად-დგა, წვა (=იწვა) — და-წვა, ჯდა (=იჯდა) — და-ჯდა, ჩნდა (=ჩანდა) — გამო-ჩნდა, ეგდო — და-ეგდო და სხვ.

მოქმედების სახეთა შორის ყველაზე უფრო ზოგად აბსტრაქციად მიჩნეულია ე. წ. ტერმინატივობა-ატერმინატივობა, ანუ ლიმიტატივობა-ალიმიტატივობა, რომლის შესატყვისად რუსულში იხმარება предельность-непредельность. მისი ქართული თარგმანი იქნება ზღვრადობა-არაზღვრადობა. ამ კატეგორიას თითქოს შუალედი ადგილი უჭირავს ასპექტსა და მოქმედების სახეს შორის და აერთიანებს ისეთ ზმნათა ჯგუფებს, რომელთა შინაარსი გულისხმობს ან გამორიცხავს საბოლოო მიზნის მიღწევას, მოქმედებისათვის საზღვრის დადებას. ზოგი მოქმედება მომენტურია, ერთბაშად, დაწყებისთანავე მთავრდება კიდეც, ზოგი კი შორეულ პერსპექტივაში მაინც გულისხმობს დასრულებას, გარკვეულ საზღვრამდე მისვლას. ასეთები ტერმინატიული ზმნებია, მათ აქვთ ორივე ასპექტი (სრულიც და უსრულიც) ან მხოლოდ სრული ასპექტი. მეორე მხრივ, გვაქვს ისეთი ზმნები, რომელნიც არ გულისხმობენ საბოლოო მიზნის მიღწევას, მოქმედება იწყება არა მისი დასრულების მიზნით. ესენია ატერმინატიული ზმნები, რომელთა შინაარსი ვერ იგუებს სრული ასპექტის გაგებას და მხოლოდ უსრულ ასპექტში გვხვდება.

ზმნებს, რომლებიც მომენტობრივ მოქმედებას გადმოგვცემენ და თავისი შინაარსით ვერ იგუებენ ხანგრძლივი პროცესის გაგებას, შეიძლება იჩქითურნი ვუწოდოთ. ასეთებია, მაგალითად, ქართულში: აძგერა, ესროლა, სტყორცნა, სტაცა, სტკიცა, სთხლიშა, ჰკრა და სხვანი. თუ ამ ზმნებს ასპექტის მიხედვით განვიხილავთ, შინაარსობლივად ისინი, ცხადია, ყველა სრული ასპექტისაა, თუმცა გარეგნულად არც ერთი მათგანი არ

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 324.
[2] იქვე, გვ. 323—332.

ატარებს სრული ასპექტის მაწარმოებელ ნიშანს — ზმნისწინს. მეორე მხრივ, საგულისხმოა ისიც, რომ ამ ზმნებს შეიძლება დავურთოთ ზმნისწინები, მაგრამ ზმნისწინის ფუნქცია იქნება მიმართულების ჩვენება; მაგალითად: დააძგერა, შესტყორცნა, გასტყორცნა, დასტაცა, დასთხლიშა, დაჰკრა, გაჰკრა და ა. შ. ზოგჯერ ზმნისწინი შესაძლოა შინაარსეულ ცვლილებას იძლეოდეს; შეადარეთ, მაგალითად: დასტაცა, გამოსტაცა და მოსტაცა. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში აქ ზმნისწინს არ ევალება სრული ასპექტის გადმოცემა: ხსენებული ზმნები სრული ასპექტის შინაარსის გამოხატვას უზმნისწინოდაც კარგად ახერხებენ.

უფრო მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ჯგუფებს ქმნიან ქართულში ის ზმნები, რომლებიც გამოხატავენ უბოლოვადო მოქმედებას (ატერმინატიული ანუ არაზღვრადი ზმნები).

აქ პირველ რიგში უნდა გავიხსენოთ ქართულისათვის ძალზე დამახასიათებელი, ვნებითის თავისებური ფორმები, რომლებიც მოქმედების პოსიბილატურობას ანუ შესაძლებლობას აღნიშნავენ (ე. წ. „შესაძლებლობის ვნებითი“, რომელსაც სხვაგვარად პოტენციალისს უწოდებენ): იჭმევა, ისმევა, იმღერება, ითქმება, იკითხება, იწერება და ა. შ.[1].

ამგვარ ზმნებს მხოლოდ აწმყოს წრის ფორმათა წარმოება შეუძლიათ საერთოდ კი შეიძლება ითქვას, დროულ გაგებას მოკლებული არიან. შინაარსის მიხედვით ისინი უსრულასპექტიანი ზმნებია, სრული ასპექტის წარმოების უნარს კი მოკლებული არიან შინაარსობლივ თავისებურებათა გამო და არა იმის გამო, რომ ზმნისწინის დართვის უნარი არ გააჩნიათ.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის განწყობილების გამომხატველი ზმნების, ე. წ. „გუნების ვნებითების“ შესახებაც, როგორიცაა: ემღერება, ეტირება, ედარდება, ეხალისება, ესაქმება და სხვ.[2]

მოქმედების პროცესის ხანგრძლივად წარმოდგენის გამო როგორც შესაძლებლობის, ისე გუნების ვნებითები ადვილად იგუებენ უწყვეტლის შინაარსს (იჭმეოდა, ისმეოდა, იმღერებოდა... ემღერებოდა, ეტირებოდა...), მაგრამ შეუთავსებელნი არიან წყვეტილთან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმით „გუნების ვნებითთა“ ანალოგიურია ე. წ. „მიჩნევის ვნებითები“: ებევრება, ეცოტავება, ეგემრიელება, ემწარება, ემწვავება, ეადვილება, ელამაზება და სხვ. მაგრამ „მიჩნევის ვნებითებს“ II სერიის ფორმებიც მოეპოვებათ: ებევრა, ეცოტავა, ეგემრიელა, ემწარა და ა. შ. როგორც ვხედავთ, ეს უკანასკნელნი ზმნისწინს არ დაირთავენ, მაგრამ შინაარსით სრული ასპექტის გაგებას შეიცავენ.

მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში გვხვდებიან და სრული ასპექტის წარმოების უნარს მოკლებული არიან აგრეთვე ფორმით პასიური, შინაარსით კი აქტიური ვნებითები — ე. წ. „დეპონენსები“, როგორიცაა: იგინება, ილოცება, იკბინება, იბღვირება, იმუქრება, იფიცება, იყურე-

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 299—300.

[2] იქვე, გვ. 300—301.

ბა, იცქირება, იცემება, იცოხნება, იჭყიტება, იხედება, იხვეწება და სხვ.[1].

შინაარსობლივად მოქმედების უბოლოვადოდ წარმოდგენა იგრძნობა აგრეთვე მთელ რიგ სხვა ზმნებში, როგორიცაა: ელის, ელტვის, ეტრფის, ერთვის, ესმის, (გული) ერჩის... ეკადრება, ეკუთვნის... აქვს, ბრძანდება, განსხვავდება, განიცდის და მრავალი სხვ.

როგორც ვთქვით, ყველა ამ ზმნების დაჯგუფება და აღწერა არ წარმოადგენს ამჟამად ჩვენს მიზანს. ჩვენ გვსურდა მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ ქართულში არსებობს ზმნათა ჯგუფები, რომელთა შინაარსი გარკვეულ გავლენას ახდენს ასპექტის გამოხატვაზე. მსგავსად სხვა ენებისა, ეს ჯგუფები კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც მოქმედების სახე (Aktionsart, способ действия). ვფიქრობთ, განხილული მასალის საფუძველზე ამგვარი დასკვნის გაკეთება სავსებით მართებულია.



---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 305—309.

Სოლომონ Ყუციშვილი

Შოთა Რუსთველი და მისი პოემა Იაკობ Გოგებაშვილის ნააზრევში

Იაკობ Გოგებაშვილმა 1885 წელს მეხუთედ გამოსცა „Ბუნების კარი“, რომლის ერთ ნაწილში იგი Შოთა Რუსთველისა და მისი პოემის შესახებ შემდეგსა წერდა: „Რუსთაველის სახელოვანს თხზულებას „Ვეფხის-ტყაოსანს“ შეუდარებელი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ჩვენს ლიტერატურაში, თუმცა მას შემდეგ ჩვენამდის რვაას წელიწადზე მეტმა განვლო და თუმცა მრავალმა მაღალნიჭიერმა მწერალმა გაამდიდრა მას უკან ჩვენი ლიტერატურა თავისი ნაწარმოებებით, მაგრამ მისი პოემა მაინც დღემდინ შეადგენს უძვირფასესსა და უკეთეს საუნჯეს Საქართველოს გონებისა და გულისათვის. Ამგვარი დაუმჭკნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ გენიოსის ხვედრი და Რუსთაველიც ყველასაგან აღიარებულია გენიოსად“.

Იაკობ Გოგებაშვილი ამას წერდა ქართველი მოზარდის სახელმძღვანელოში, რომლითაც ბევრ საინტერესო ცნობას აწვდიდა მკითხველს, სხვათა შორის, Საქართველოს ისტორიიდან და ქართული ლიტერატურიდანაც. Ი. Გოგებაშვილის ეს შეხედულება სრულიად ეთანადება იმას, რაც არაერთხელ ყოფილა გამოთქმული Ილია Ჭავჭავაძისაგან, როცა იგი ქართული გონების საგანძურის ორიგინალურობასა და ეროვნულობას იცავდა.

Ი. Გოგებაშვილი ქართული მეცნიერული პედაგოგიკის დადგინების გულმტკივნეული მებრძოლი იყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, იმ დროს, როცა ქართველმა ინტელიგენციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენში ეროვნული თვითშეგნების მდგომარეობას და როცა Ილია Ჭავჭავაძის თაობამ დაისახა მიზნად ამ შეგნების გაღვივება, მისთვის საჭირო საბუთების წამოყენება და ტრადიციული კულტურის ფაქტების მოხმობა. Შოთა Რუსთველის პოემა კი ისეთი საბუთი იყო იმ ინტელიგენტთა და მოაზროვნეთათვის, რითაც შეიძლებოდა ყველაზე დიდი კულტურის, ყველაზე დიდი ლიტერატურის არსებობის დადასტურება.

Სწორედ Შოთა Რუსთველის „Ვეფხისტყაოსანი“ იყო ის გული, რომლისკენაც ხშირად ყოფილა მიმართული ქართველი ხალხის მტერთა და აბუჩად ამგდებ-

თა მახვილი. „ვეფხისტყაოსნის“ დაცვა XIX საუკუნეში ეროვნული მთლიანობის დაცვას ეტოლებოდა. ცხადია, ამან გამოიწვია ის, რომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე აღუდგნენ წინ ყველა მკრეხელს „ვეფხისტყაოსნის“ დაცვისას. მათ შორის ი. გოგებაშვილი მტკიცე მებრძოლად გამოდიოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ გარეგნობა და შინაარსი ერთი ბრწყინვალე მასალა იქნებოდა მოზარდში ესთეტიკურ და გმირულ-ვაჟკაცურ გრძნობათა გამომუშავებისათვის. სწორედ ამიტომაც შეიტანა ი. გოგებაშვილმა იგი თავის სახელმძღვანელოში. საგულისხმოა ის, რომ შოთა რუსთველისა და მისი პოემის შესახებ ცნობები ი. გოგებაშვილმა „დედა ენაში“ 1885 წელს შეიტანა, სწორედ მაშინ, როცა ქართული ენისა და საერთოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ შეერთებული ძალით გამოდიოდნენ პროვოკაციულ-მონარქისტული განწყობილების მქონე როსტორგოვები, ზებედევები, კუზმინსკები და სხვანი. 80-იანი წლები ხომ ქართველობის წინააღმდეგ სერიოზული ლაშქრობით ხასიათდება. სწორედ ამ დროს ი. გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოს ახალ გამოცემაში შეაქვს ცნობები შოთა რუსთველზე, მისი მოღვაწეობის დროისა და პოემის შესახებ.

ი. გოგებაშვილის სამოღვაწეო დრო, ასპარეზი და გარემო ისეთი იყო, რომ სახელოვან პედაგოგს შოთა რუსთველი და მისი თხზულება ფარად უნდა გამოეყენებინა სხვადასხვა პირობებისა და ადამიანებისაგან თავდასაცავად. XIX საუკუნის მეორე ნახევრის პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოში ბევრით განსაზღვრა იმ დროის მწერალ-მოღვაწეთა მიმართულებაცა და შემართების ძალაც.

ი. გოგებაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ თეორიული მოსაზრება არ გამოუთქვამს, იგი მხოლოდ ერთგული დარაჯია შოთა რუსთველის ორიგინალური ნიჭისა, რომელიც პოეტის მშობლიურ მხარეში გაიშალა და რომელმაც ცხოველმყოფლად და მაღალმხატვრულად ასახა თავისი დროის პირობები და ადამიანები. ი. გოგებაშვილისათვის უცხოა ყოველი შეხედულება და აზრი, გამოთქმული სხვადასხვა მკვლევართა და მეცნიერთა მიერ, რომელთა მიზანი იყო დაემტკიცებინათ, რომ შოთა რუსთველი არ იყო ქართველი და იყო „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი ან გადმომკეთებელი. ქართული კულტურისა და მისი წარსულის ავადმახსენებელთა აზრები ყოველთვის იწვევდნენ გამოხმაურებას ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს ნააზრევში, სადაც იგი უცვლელ თაყვანისმცემლად რჩება ქართული პოეზიის დიდი ნიჭისა.

ი. გოგებაშვილის აზრით, შოთა რუსთველი არის ძალა, რომელიც ქართველთა ეროვნული ერთიანობის დამადასტურებლად უნდა იქნეს მოხმობილი. რუსთველი სრულიად საქართველოს პოეტია, ეროვნული კულტურის, ერთიანი ქართული ლიტერატურის შედეგი. შოთა რუსთველმა და ქართული ლიტერატურის სხვა დიდმა ადამიანებმა — დავით გურამიშვილმა, გრიგოლ ორბელიანმა, ნიკო ბარათაშვილმა, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, რაფიელ ერისთავმა, ილია ჭავჭავაძემ დაადგინეს ქართული ეროვნული ლიტერატურა. შოთა რუსთველი ი. გოგებაშვილისათვის არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის თანაბარი ძალა: ქართველებმა შესძლეს გაერთიანება, ერად ჩამოყალიბება, ერთი ენის განვითარება და ერთი ლიტერატურის შექმნა. ქართულმა ლიტერატურამ წარმოშვა შოთა რუსთველი, როგორც შედეგი ქართული ეროვნული შეგნებისა [1].

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 321.

ი. გოგებაშვილის შეგნებით, შოთა რუსთაველის ნაწარმოები მისი მშობლიური ხალხის მსგავსად უკვდავია და სიბერე მას ვერ შეეხება. „ვეფხისტყაოსანი" შვიდასი წლის წინ შექმნილი პოეტური ქმნილებაა, მრავალჭირგამოვლილი და მრავალი საუკუნის განმავლობაში „ხელუხლებლად დარჩენილი". ი. გოგებაშვილი „ვეფხისტყაოსნის" ურიგოდ ხსენებას, მის შესახებ გამოთქმულ ზერელე აზრებს ყოველთვის ეხმაურება. მას ღრმად სწამდა ნაწარმოების ხალხური ძირის უკვდავობა და მკრეხელობად მიაჩნდა, როცა პოემას შეუსაბამოდ გაუთანასწორებდნენ სხვა რამეს. ამ შემთხვევაში გასახსენებელია კამათი ი. გოგებაშვილისა გიორგი წერეთელთან, ამ უკანასკნელისაგან „დედა ენის" შესახებ დაწერილი რეცენზიის გამო.

„ვეფხისტყაოსანი" ი. გოგებაშვილს საპატიო წიგნად მიუჩნევია, რომელსაც სახარების თანაბარი ადგილი ეჭირა წიგნიერი ქართველის შეგნებაში.

ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის გამტარებლები კავკასიაში — სამთავარმმართებლო, საეკლესიო სამმართველო (ეგზარქატი) და სასწავლო ოლქის სამზრუნველო იყვნენ გამტარებელნი რუსეთის იმპერიაში შემავალი ეროვნულ ერთეულთა დაქუცმაცება-მოსპობის პოლიტიკისა. საქართველოსაც მოელოდა მისი ერთი კუთხის სამეგრელოს გამოცალკევება, რაც მაშინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ მტკივნეულად აღიქვა. ი. გოგებაშვილს არაერთხელ განუხილავს ეს მაშინ მეტად მნიშვნელოვანი საკითხი. მისი 1903 წელს დაწერილი წერილი „მეგრული დაწყებითი სკოლის საკითხისათვის" ერთი ბრწყინვალე საბუთია ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების პრინციპებისა. სამწუხაროდ, მაშინ ი. გოგებაშვილს მტკიცება სჭირდებოდა იმ ველური უგუნურების წინააღმდეგ, რასაც მაშინდელი ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკა სადავოდ და საცილობლად ხდიდა. ი. გოგებაშვილს უხდებოდა გამეორება ურყევი საბუთებისა და, სხვათა შორის, იგი „ვეფხისტყაოსანსაც" იყენებდა, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის დიდებას.

გენიოსობა ხასიათის სირთულის გამოხატულებაა. გენიოსები უმაღლეს წერტილამდე არიან ასულნი იმ ბრწყინვალე იდეების სფეროში, რომელიც მათი უკვდავების წყაროდ ქმნილა. გენიოსები უზრუნველყოფენ თავის დამოუკიდებლობასა და მუდმივად არსებობას, გენიოსს ხანი ვერას დააკლებს. ყველა ამის შედეგად ისინი რთული ადამიანები არიან, რომელთა წყებას, ი. გოგებაშვილის აზრით, საქართველოში განეკუთვნებიან — ძველად შოთა რუსთაველი, ხოლო ახლა — ილია ჭავჭავაძე. ასეთი რთული ადამიანები იყვნენ სოფოკლე, უნიჭიერეს საბერძნეთში, შექსპირი — დიდება ინგლისისა, გოეთე — უპირველესი პოეტი გერმანიისა.

ეროვნული განძის პატივისცემის გრძნობისა და გამჭრიახი გონების შედეგი იყო, რომ ი. გოგებაშვილი იმთავითვე გამოვიდა იმათ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელნიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" უცხოურ საფუძველს უძებნიდნენ (ევანე ჯაბადარი, ნიკო მარი). თავის ბრწყინვალე ნაშრომში „ბურჯი ეროვნებისა" ი. გოგებაშვილმა „ვეფხისტყაოსანს" უწოდა ნაწარმოები, რომელიც შვიდი საუკუნის განმავლობაში გონებისა და ადამიანობის წყაროობას უწევდა ხალხს, ხალხს, რომელიც ნაწარმოებს „დაბადების" გვერდით აყენებდაო.

ი. გოგებაშვილს „ვეფხისტყაოსანი" მიაჩნდა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მმართველობის მშვენებად და სამკაულად. თამარის მეფობას ამშვე-

ნებდა თვით უკვდავი მგოსანი Შოთა Რუსთველიო — წერდა იგი. Უფრო მეტიც, Შოთა Რუსთველი Ი. Გოგებაშვილს მიჩნეული ჰყავდა ერთ-ერთ იმ უბრწყინვალეს მოვლენად, რაც კი ჩვენს ქვეყანას შეუქმნია ძველად, კერძოდ, Ი. Გოგებაშვილი Შოთა Რუსთველის მოღვაწეობას უთანასწორებდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებასა და Თამარის მეფობის მნიშვნელობას, რადგან Შოთა Რუსთველი არის „წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველი ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა“. Ი. Გოგებაშვილის ამ მოსაზრებას მეტ მნიშვნელობასა და ზემოქმედების ძალას ანიჭებდა ის, რომ ეს აზრი მას გამოთქმული ჰქონდა თავის „Ბუნების კარში“, რომელიც ქართველ მოზარდთა გონების განვითარების ძირითადი წყარო იყო დიდი ხნის განმავლობაში. Განსვენებული Სოლომონ Იორდანიშვილი ამას უსვამდა ხაზს, რომ Ი. Გოგებაშვილი „Ბუნების კარზე“ აღზრდილ თაობას ბავშვობიდანვე უნერგავდა და თაობათა გულში „Ვეფხისტყაოსნის“ სიყვარულს ამყნობდა“ [1].

Ქართველ მოზარდ თაობასა და ქართულ ოჯახებსაც Ი. Გოგებაშვილმა ენციკლოპედიური ხასიათის სახელმძღვანელო წიგნი შეუქმნა და მას „Ბუნების კარი“ უწოდა. Ამ წიგნში შეიტანა სწორედ Ი. Გოგებაშვილმა ცნობები Შოთა Რუსთველისა და „Ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

Ი. Გოგებაშვილს არ უკვლევია „Ვეფხისტყაოსანი“, იგი მხოლოდ იმ ცოდნის საფუძველზე იდგა, რაც მაშინ იყო ცნობილი რუსთველოლოგიაში. Ი. Გოგებაშვილი Შოთა Რუსთველის ბიოგრაფიის იმ ვერსიას გადმოსცემს, რომლის მიხედვით ბავშვობაში ობლად დარჩენილი მომავალი პოეტისათვის ხელმძღვანელობა გაუწევია ბიძას, მიუცია Მესხეთის Რუსთავის სკოლაში, შემდეგ Ტბეთის მონასტერში, რის შემდეგაც Შოთას Გრემში და Იყალთოში უსწავლია, შემდეგ გამგზავრებულა საბერძნეთში, Ათინაში, სადაც უსწავლია ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, მჭევრმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, ბერძნული, ლათინური ენები და სხვ. Შოთა საქართველოში Თამარის მეფობისას დაბრუნებულა, დედოფლისათვის რამდენიმე ლექსი უძღვნია და ამით მიუქცევია უმაღლესის ყურადღება. Შოთა Რუსთველი Თამარს Მოლარეთუხუცესად დაუნიშნავს, რითაც პოეტის მყუდრო ცხოვრება არ შეირყეოდა და მწერლობაშიც ხელი არ შეეშლებოდა. Შოთამ პოემაში გამოხატა Თამარი და მისი გარემო და, რადგან პირდაპირ დასახელება პირთა და ამბავთა მოუხერხებელი იყო, ამიტომ მოქმედება სხვა ქვეყანაში გადაიტანა [2].

„Ვეფხისტყაოსნის“ ფასი მდგომარეობდა იმაში, რომ პოემაში დახატული იყო მაშინდელი საქართველოს ღირსებანი: პატივისცემა ქალისა, მფარველობა დაბალი წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა, სამაგალითო ძმობა ჭირსა და ლხინში, ძლიერება სულისა, უშიშრობა ხიფათის წინაშე... Რუსთველის ბევრი ნათქვამი ანდაზად გადაიქცა იმიტომ, რომ ქართველებმა იწყეს პოემის ისეთივე გამოყენება, როგორც იყენებდნენ Დაბადების ტექსტს სხვადასხვა აზრთა დასა-

———

[1] Ს. Ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, Იაკობ Გოგებაშვილი და „Ვეფხისტყაოსანი: „Ი. Გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული“, Უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ., გადაბეჭდილია „ჩარკვევებში...“ 1953 წ., გვ. 128.

[2] Ამის შესახებ ვრცლად იხ. Ს. Ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს დასახელებულ წერილში.

მოწმებლად და დასადასტურებლად. ი. გოგებაშვილი მიუთითებს სულხან ჩარათაშვილის გამოკვლევებს და შოთა რუსთაველის ეპოქის დახასიათებისას მათ ეყრდნობა.

*

ი. გოგებაშვილისათვის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" ქართული ეროვნული თვითმყოფობის უბრწყინვალესი საბუთი იყო, რომლის მფლობელსაც პოემა უფლებას აძლევდა ცივილიზებულ ხალხთა შორის მდგარიყო და, აგრეთვე, ყოფილიყო ეროვნების მტკიცე ბურჯი, რომელზეც სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა დაფუძნებულიყო როგორც ქვეყნისა და ხალხის წარსულის შესწავლა, მისი შეფასება, ისევე აწმყო. „ვეფხისტყაოსანი" ი. გოგებაშვილისათვის იყო აგრეთვე ურყევი დასაყრდენი ხალხის მომავალი ცხოვრებისა და განვითარებისა. ამ თვალსაზრისს ატარებდა ი. გოგებაშვილი როგორც ქართველი მოზარდისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში, ისე იმ პუბლიცისტურ წერილებში, რომლებითაც თავისი მშობლიური ქვეყნის ღირსებას იცავდა.



ევგენი ჯეირანიშვილი

უდური თუ უდიური?

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე დამკვიდრებული იყო ტერმინი უ დ უ რ ი (უდური ენა), ხოლო რუსულში **удинский язык** (ა. დირრი, ნ. მარი, ი. მეშჩანინოვი და მომდევნო თაობათა ყველა სხვა მკვლევარი). ალბათ რუსული ენის მეშვეობით იყო, რომ ერთ დროს ქართულადაც ითქმოდა „უდინი", „უდინური ენა", მაგრამ ზემოთ აღნიშნულმა ვარიანტმა თანდათან განდევნა ეს ტერმინი (უდინი, უდინური) და თვითონ დამკვიდრდა. ზოგ მკვლევარს რუსულადაც ნახმარი აქვს ტერმინი удский язык (მაგ., პ. უსლარს...). როგორც ჩანს, ა. შიფნერსაც უ დ- ფუძიდან (!?) აქვს ნაწარმოები ტერმინი Uden. შდრ. თუნდაც 1863 წელს გერმანულად დაბეჭდილი მისი გამოკვლევის სათაური Versuch über die Sprache der Uden. უცხოელი მკვლევრები (მაგალ., ნ. ტრუბეცკოი, ჟ. დიუმეზილი, კ. ბოუდა, ჟ. ზაფონი და სხვები) კავკასიის ისტორიული ალბანეთის გადარჩენილი ამ ხალხის ენის სახელად ხმარობენ პირდაპირ ეთნონიმს უ დ ი-ს (udi); გერმანულად გამოქვეყნებულ ზოგ შრომაში ვხვდებით ასეც: udische Sprache (ჰ. შუხარტი...).

სწორია თუ არა ქართული ტერმინი უ დ უ რ ი ან რუს. удский? ამ მხრივ ყოვლის უწინარეს საინტერესოა, ვიცოდეთ ადგილობრივ ხმარებული სატომო სახელი, რომ ამაზე დაყრდნობით სწორად ვაწარმოოთ ადიექტივური ფორმით გამოხატული (ამ ტომის ენის აღმნიშვნელი) ტერმინი. თავად ეს ტომი თავის თავს უ დ ი-ს უწოდებს. უ დ ი ბოლოხმოვნიანი ფუძეა; ეს ფუძისეული ბოლო ხმოვანი (ი) მახვილიანია[1] და იგი ფორმათა ცვლის დროს არასოდეს არ იკვეცება. შდრ. მაგალ., მრავლ. რიცხვის ფორმები: უ დ ი-უ ხ (სახელობ.), უ დ ი-ღონ←*უდი-უხ-ენ (ერგატ.), უდი-ღოჲ←*უდი-უხ-აჲ (ნათეს.), უდი-ღ-ოხ←*უ დ ი-უხ-ახ (მიცემ.); მხოლ. რ. ფორმები: უ დ í (სახელობ.), უ დ ი-ნ (ნათეს.)[2], უ დ ი-

———

[1] უდიურში, როგორც წესი, მახვილი დაისმის სიტყვის ბოლო ხმოვანზე.

[2] მაგალ., უ დ ი ნ მუზ „უდიური ენა" (უდის ენა).

ნ-ენ (ერგატ.), უ დ ი-ნ-ახ (მიცემ.), უ დ ი-ნ-ახ-ო (აბლატ.); თანდებულიანი ფორმები: უ დ ი-ნ-ენ-კ (უდისთვის), უ დ ი-ნ-ა-ჯ (უდისკენ), უ დ ი-ას-ტა (უდისთან), უ დ ი-კენა (უდივით); ნაწილაკიანი ფორმები: უ დ ი-ალ (უდიც), უ დ ი-უხ-ალ (უდიებიც); უ დ ი-ყან-გურჯი (უ დ ი-ც—ქართველი-ც, resp. უდი და ქართველი); განყენებული ფორმა: უ დ ი-ლუღ (უდიობა, უდიად ყოფნა); უარყოფითი ფორმა: უ დ ი-ნუთ (უუდიოდ, უდის გარეშე) და ა. შ.

ამგვარად, უ დ ი ბოლოხმოვნიანი და ფუძეუკვეცელი სატომო სახელია და მისგან ნაწარმოები ტერმინული მნიშვნელობის ზედსართავი სახელი უნდა იწარმოებოდეს ეგრე: ქართულად უ დ ი უ რ ი და არა „უდური“, რუსულად У Д И Й-С К И Й და არა „УДСКИЙ“ ან, თუნდაც, „УДИНСКИЙ“. შდრ. აგრეთვე ამ ტომის ძველ წერილობით (ისტორიოგრაფიულ) ძეგლებში შემონახული სახელი ა) ბერძნულად υίτιοι („უიტიები“), ბ) სომხურად *ուտի*, *ուտիք* (უტი, უტიქ).

ტერმინი უდიური (უდიური ენა), ან რუს. **УДИЙСКИЙ (УДИЙСКИЙ ЯЗЫК)** უნდა იწარმოებოდეს ისევე, როგორც, მაგალითად, ლეზგიური (სატომო სახელისაგან ლ ე ზ გ ი), ანდიური (სატომო სახელისაგან ა ნ დ ი), ბაცბიური (სატომო სახელისაგან ბ ა ც ბ ი) და მისთ.



გიორგი ჯიბლაძე

ქართველოლოგიის სიამაყე

როცა აკაკი შანიძის სახელს წარმოვთქვამთ, ჩვენს ცნობიერებაში უნებლიეთ გაიელვებენ ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, გიორგი ახვლედიანის, შალვა ნუცუბიძის სახეები. ამ გამოჩენილ ადამიანთა წრეს ეკუთვნოდა თავიდანვე აკაკი შანიძე, რომელმაც მათთან ერთად დიდი ავტორიტეტი მოუპოვა ქართველოლოგიას, ქართულ ფილოლოგიას საერთოდ.

ქართველოლოგიის წინაშე აკაკი შანიძის ამაგი ღირსეულად რომ დააფასო, ვრცელი მონოგრაფიები უნდა დაწერო და არა მცირე მოცულობის გამოკვლევები. მაგრამ, როგორი მინიატურული შრომაც უნდა მიუძღვნა მის სახელს, მკითხველი მაინც დაინახავს არა მარტო ფართო დიაპაზონის მქონე დიდ მეცნიერს, არამედ, უნივერსალურ მკვლევარს, რომელმაც მშობლიური ფილოლოგიის არა ერთ დარგში ყამირი გადახნა.

ეს კი ყველაზე მეტად იყო საჭირო ჩვენს დროში, როცა მეცნიერების დიფერენციაცია-ინტეგრაციის შეუჩერებელი პროცესი პირდაპირ გვაყენებს ალტერნატივის წინაშე — გავაფართოვოთ მოსაზღვრე დისციპლინებთან უშუალო კავშირი, და ყოველთვის გვიბიძგებს მისი პოზიტიური გადაწყვეტისაკენ.

აკაკი შანიძე, რომელმაც თავისი მოღვაწეობის სამოცწლიანი ამაგი დასდო ქართველური ენების გრამატიკას და ეპიგრაფიკას, ჩვენთვის ძვირფასია აგრეთვე, როგორც ფოლკლორული მასალების შემკრები და მკვლევარი, ძველი ტექსტების უზადო კომენტატორ-გამომცემელი, რუსთველის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანისა და არა ერთი სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ბრწყინვალე განმმარტებელი. მისი ფუნდამენტალური შრომები ქართველ ფილოლოგთათვის სამაგიდო წიგნებს წარმოადგენენ და ჩვენ ვერასოდეს მათ გვერდს ვერ ავუვლით, როცა ქართველოლოგიის ამა თუ იმ პრობლემას ვიკვლევთ. ყველა გამოჩენილ მეცნიერს როდი აქვს ხოლმე ამგვარი ბედნიერება. ზოგს სახელი რჩება, მაგრამ ცოცხალი მნიშვნე-

ლობა ეკარგება, აკაკი შანიძე კი თავისი შრომებით ამგვარ მეცნიერთა სრულ ანტიპოდს წარმოადგენს.

ჩემთვის რომ ეკითხათ: ყველაზე მეტი დამსახურება აკაკი შანიძეს რომელ დარგში მიუძღვისო, უყოყმანოდ ვუპასუხებდი — *ქართულ ზმნაში*-მეთქი, და თან დავსძენდი: რაც მან ამ მიმართულებით გააკეთა, მარტო ეს კმარა მისი სახელის უკვდავსაყოფად.

ჰუმბოლდტს საერთოდ *ზმნა* მიაჩნდა ენის ძალად და ღონედ. ქართული ენა ხომ ზმნის ენაა და ვისაც მისი მეცნიერული შესწავლა უნდა, აუცილებლად ზმნიდან უნდა დაიწყოს. აკაკი შანიძე თავიდანვე სწორედ ამ გზით წავიდა, მით უფრო, რომ მანამდე ქართული ზმნა ძალიან სუსტად იყო შესწავლილი. შედარებით კარგად იცნობდნენ ისეთ კატეგორიას, როგორიცაა გვარი, მაგრამ სულ არ იყო მიკვლეული ზმნის დანარჩენი ფენომენები. აკაკი შანიძემ ბევრი ახალი შემატა გვარის კატეგორიას, მაგრამ ყველაზე ძვირფასი იყო მის მიერ ისეთი კატეგორიების დადგენა, როგორიცაა „*სტატუსი, ქცევა, კონტაქტი* და *სიტუაცია*.“ ეს პირდაპირ აღმოჩენა იყო და ამ აღმოჩენამ საყოველთაო აღიარება უმალ ჰპოვა. მისი „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, რომელიც ფონეტიკასა და მორფოლოგიას შეისწავლის, არა მარტო ფუნდამენტალური გამოკვლევაა, არამედ, უნიკალური შრომაც.

აკაკი შანიძემ *ანალიტიკურად* დაშალა ქართული ენის გრამატიკული ფენომენები და მოგვცა მათი ბრწყინვალე სინთეტიკური გამა. ჩვენს წინაშე ერთბაშად გადაიშალა ქართული ენის *გრამატიკულ სიმდიდრესთან* ერთად, მისი *მრავალფეროვნება* და *სირთულე*, რითაც კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ ჩვენს მეტყველებას მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ენათა ღირსებანი მოეპოვება: *სილამაზე* და *სიმკვრივე*, *სიდიადე* და *სიმაგრე*, *ლაკონიურობა* და *სისხარტე*, *უშუალობა* და *სინაზე*. ქართული ენით ურთულესი მეტაფიზიკური, ფილოსოფიური აზრიც სრულყოფილად გამოითქმება და უნაზესი ლირიკული გრძნობაც რაფინირებულად გამოიხატება.

აღმოსავლური და დასავლური სამყაროს, პლუს კავკასიური ენების ცოდნა აკაკი შანიძეს ყოველთვის მომარჯვებული აქვს არა მარტო ქართული ენის ღრმა კვლევისათვის, არამედ გასარკვევადაც ცალკეული ტერმინებისა, რომლებიც ასე უხვად გვხვდება ქართულში (საკმარისია მარტოოდენ დაველათიანისა და დოვლათის გახსენება). რაც შეეხება *ძველ ქართულს*, იქ აკაკი შანიძემ იმდენი გააკეთა, რომ მარტო ერთის — რუსთველზე გამოკვლევების — მოხსენიებაც საკმარისია ილუსტრაციისათვის. ქართული ენის *სტრუქტურული აგებულების* მეცნიერულ შესწავლას ხომ აკაკი შანიძემ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია.

როცა კითხულობთ სულ ახლახან გამოცემულ „*ვეფხისტყაოსნის საკითხებს*“, რომელიც აკაკი შანიძის თხზულებათა მეორე ტომს წარმოადგენს, უეჭველად მოგხიბლავთ ავტორის კვლევა-ძიების გზა და არგუმენტაცია. მთელი წიგნი *ორიგინალურია*, ყველგან ახალი აზრი მოაქვს და დღემდე სულ უცნობ ჰიპოთეზებს გვთავაზობს. საკმარისია დავასახელოთ დღემდე თავსამტვრევი პრობლემა — ვინ არის 175-ე სტროფში მოხსენიებული „*დიონოსი ბრძენი ეზროს*“ — დიონისე *არეოპაგელია*, დიონისე *ჰალი*-

კარნელი, თუ კიდევ სხვა ვინმე. დღემდე ცნობილ თეორიათაგან განსხვავებით, აკაკი შანიძე აყენებს საფუძვლიან მოსაზრებას, რომ აქ ტექსტი ინტერპოლაციურია (იზიარებს ალ. სარაჯიშვილის შეხედულებას), არ იგულისხმება არც არეოპაგელი და არც ჰალიკარნელი. საერთოდ, „დიონოსი“ კაცის სახელი კი არ არის, არამედ, დამახინჯებული „დიაღნოსია“, სახელწოდება „ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიური ტრაქტატისა, რომელიც მიეწერება ეზდრა წინასწარმეტყველს“ (გვ. 195). ხსენებულ თხზულებაში „აღნიშნულია, — წერს აკადემიკოსი აკაკი შანიძე, — თუ როგორი ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა და როგორი მოსავალი ან სიკვდილ-სიცოცხლის ამბავი იქნება ამა თუ იმ წელს იმის მიხედვით, თუ რა დღეს დადგება ახალი წელი“. (იქვე). ეს თხზულება ეზდრა წინასწარმეტყველისა ქართულადაც ყოფილა თარგმნილი და შემონახული მე-10 საუკუნის ხელნაწერში, ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს შეეძლო სცოდნოდა მისი არსებობა და გამოეყენებინა კიდეც.

ამგვარად, რუსთველის ხსენებული ტექსტის პირველი კომენტატორის — ვახტანგ მეექვსისა და შემდეგ თეიმურაზ ბატონიშვილის მოსაზრებანი — დიონისე არეოპაგელისა და დიონისე ჰალიკარნელის შესახებ, რაც მომდევნო თაობათა მკვლევრებმაც გაიმეორეს (დღესაც არა ერთი იმეორებს), სულ სხვაგვარ ასპექტში წარმოგვიდგება აკაკი შანიძის წყალობით. ესიც სრულიად უეჭველია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული სტროფის აზრთან აკაკი შანიძის თეორია შეუდარებლად უფრო ახლოს დგას, ვიდრე დღემდე ცნობილი რომელიმე დასაბუთება.

არკვევს რუსთველოლოგიის ცალკეულ საკითხებს, თუ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის პრობლემატიკას, აკადემიკოსი აკაკი შანიძე ყველგან გვევლინება დაკვირვებულ, ღრმად მცოდნე ქართველოლოგად, რომელსაც უეჭველი არგუმენტების ზღვა შეუძლია დააყენოს. როგორც მეცნიერი-მკვლევარი, აკაკი შანიძე პირდაპირ უზადოა, მას არ უყვარს ფაქტების, დამამტკიცებელი საბუთების გარეშე თეორიებისა თუ ჰიპოთეზების წამოყენება.

აკადემიკოსი აკაკი შანიძე ქართული მეცნიერების სიამაყეა, მშვენებაა, ერთი იმათთაგანია უნივერსიტეტის ბრწყინვალე პლეადიდან, რომლებმაც ჩვენი უმაღლესი განათლების უდიდეს კერას მტკიცე საფუძვლები ჩაუყარეს ნახევარი საუკუნის წინათ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. აკაკი შანიძემ ქართულ მეცნიერებას დიდების შარავანდედი დაადგა საერთაშორისო მასშტაბითაც და წინ გასტყორცნა მისი სახელი. ამით თვითონვე დაიდგა უკვდავი ძეგლი და სამარადისო ადგილი დაიმკვიდრა დიდ ქართველ მოღვაწეთა პარნასზე.



სერგი ჯიქია

თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან

2. თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში[1]

1964 წელს „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში“[2] საერთო სათაურით „თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან“ დაბეჭდილია პირველი წერილი „თურქული ლექსიკური კალკები ლაზურში“. ამ წერილში უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ ლაზური მოექცა თურქული ენობრივი სამყაროს გარემოცვაში, რომელმაც საერთოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა ლაზური ენის განვითარებაზე. ეს ზეგავლენა ვლინდება ლაზური მეტყველების განვითარების სხვადასხვა სფეროში, სახელდობრ, ფონეტიკაში, გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში. ამჟამად ამავე თემაზე იბეჭდება წინამდებარე მეორე წერილი, რომელშიც მოკლედ განხილულია თურქული სინტაქსური კალკების საკითხი ლაზურში. ლაზურის მკვლევრები იმ თავიდანვე შენიშნავდნენ, რომ ლაზურის სინტაქსურ სინამდვილეში ადგილი აქვს ისეთ თავისებურებებს, რომლებიც არც ერთი ქართველური ენისათვის დამახასიათებელი არ არის. ამავე დროს ცხადია ისიც, რომ ეს თავისებურებები არ არიან ლაზურის ბუნებრივი განვითარების შედეგი.

ჯერ კიდევ აკად. ნ. მარმა თავის 1910 წელს გამოცემულ ლაზური ენის გრამატიკაში ყურადღება მიაქცია ლაზურის იმ თავისებურებებს, რომლებიც სინტაქსის სფეროს განეკუთვნება. ამ თავისებურებათა შესახებ ნ. მარი წერდა: а) Самостоятельный оборот с причастием выражает обстоятельственное предложение времени подлежащее ставится в им., а сказуемым служит причастие прошедшего времени, напр. ‘ვითის ხუთ დაკიკე მეკალაფერი, когда прошло пять минут после десяти (часов)[3]. რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა სავ-

[1] წაკითხულ იქნა მოხსენებად თბილისის უნივერსიტეტის თურქოლოგიის კათედრის სხდომაზე 1954 წლის 27 დეკემბერს (ოქმი № 7).

[2] ტ. 108, გვ. 253—269.

[3] Н. Марр. Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, პეტერბურგი, 1910, გვ. 79.

სებით სწორია. ქართულზე რომ ვთარგმნოთ ასეთი გამოთქმა, 'ათის (შემდეგ) ხუთი წუთი გავლილი' არ არის დამახასიათებელი არც ქართულისათვის და არც მეგრულისათვის; ამდენად არ არის მოსალოდნელი ის არც ლაზურში. მაგრამ ლაზურში ის გაჩენილია მას შემდეგ, რაც ლაზეთი თურქეთის ფარგლებში მოექცა და ლაზურის თურქულთან იძულებითმა კონტაქტმა გამოიწვია ძლიერი ზემოქმედება თურქულისა ლაზურზე. ნ. მარის მიერ მოტანილი მაგალითი წარმოადგენს კალკს შემდეგი თურქული ჩვეულებრივი, სტანდარტული გამოთქმისა: onu beş dakika geçe, სადაც onu არის on რიცხვითი სახელის აკუზატივის ფორმა, 'ათი', beş dakika 'ხუთი წუთი' geçe თურქული აბსოლუტივის ფორმაა, რომელსაც ქართულში გრამატიკული ეკვივალენტი არ გააჩნია ისევე, როგორც ლაზურში; მისი რუსული თარგმანი იქნებოდა—перешедши || перейдя, ხოლო მთელი ფრაზა რუსულად შეიძლებოდა ასე გვეთარგმნა: [часовая стрелка] перешедши [на циферблате] с десяти [часов на] пять минут; ეს არის 'თერთმეტის ხუთი წუთი' ('როცა თერთმეტის ხუთი წუთია გასული'). ამრიგად ეს კალკია—აზრის გადმოცემის ტექნიკური ხერხის ზუსტი გადმოღება, ოღონდ ლაზურისათვის უჩვეულო თურქული გრამატიკული კატეგორიები შეცვლილია შესაძლებელი ახლო შესატყვისებით: ბრალდებითი ბრუნვა მიცემითითაა გადმოცემული, ხოლო თურქული აბსოლუტივი geçe—ნამყო დროის მიმღეობით („მეკალაფერი"). ნ. მარის მიერ მართებულადაა ნათქვამი, რომ ამ დროის გარემოებითს წინადადებაში შემასმენელი მიმღეობით არის გამოხატული, რაც თურქული კალკის შეზღუდულობით არის შეპირობებული.

შემდეგ ნ. მარი შენიშნავს: б) Самостоятельные обороты с падежными временами выражают то или другое обстоятельственное предложение, так—I. постановкой аориста в тубал-кайн. Род. падеже с послелогом выражается обстоятельственное предложение времени: გეწებიწკედიშ-კულე 'после того как я посмотрел на себя вниз', 'посмотрев на себя вниз'[1].

პროფ. ი. ყიფშიძე ადასტურებს ნ. მარის მიერ აღნიშნული ამ სინტაქსური თავისებურების არსებობას ლაზურში და, თავის მხრივ, მოჰყავს ასეთი ფორმის სხვა ფონეტიკური ვარიანტი. პროფ. ი. ყიფშიძე წერს: 1. При постановке аориста в Род. падеже с послелогом კულე (ქულე) усеченное падежное окончание შ прибавляется к полным личным окончаниям аориста, за исключением 3 л. мн. ч., где согласный исход ს окончания ეს, сходясь с непосредственно за ним следующим падежным окончанием შ, ассимилируется с ним вполне, и, вследствие малотерпимости в чанском яз. двух рядом стоящих тождественных согласных звуков, он исчезает, так, 3 л. мн. ч. этой формы от корня ლ ходить будет იდეშქულე (<იდეშშქულე<იდესშქულე) когда пришли они[2]. ამრიგად, აკად. ნ. მარისა და პროფ. ი. ყიფშიძის ყურადღების გარეშე არ არის დარჩენილი ის მეტად მნიშვნელოვანი ენობრივი ფაქტი, რომ ლაზური ზმნის პირიან ფორმას, ე. ი. პირის

[1] Н. Марр, დასახელებული ნაშრომი, გვ. 79.

[2] И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском языке. პეტერბურგი, 1911, გვ. 6.

ნიშნით გაფორმებულ ზმნას დაერთვის ბრუნვის ნიშანი, სახელდობრ, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი.

შენიშნულია ეს მოვლენა აგრეთვე პროფ. არნ. ჩიქობავას მიერ, რომელიც 1936 წელს წერდა: „აღნიშნოს ერთი თავისებური მოვლენა: ბრუნვის დაბოლოებას ხშირად დაირთავს ზმნის ფორმა; მაგალითად: „ფ ა რ ა ქ ე ჭ ო ფ უ-შ-კ უ ლ ე ძიცინერ-ძიცინერი ოხოიშა იგზალუ“[1] 'ფული ა ი ღ ო-ს შემდეგ [გახარებული] სიცილ-სიცილით წავიდა შინ', ე. ი. 'ფული რომ აიღო'... ან: 'მას შემდეგ, რაც ფული აიღო'... „ქ ე ჭ ო ფ უ“ ორპირიანი ზმნაა, აორისტი, S_3 და O_3...“[2]

შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითი მომავალი დროიდან: „ჰაწი მარტი მოხთა-შ-კულე ონტულეფეშ ქენარი... ქელანჭვარუმან“—'ახლა მარტი მ ო ვ ა-ს—შემდეგ ბოსტნის ნაპირებს მოწმენდენ', ე. ი. 'მარტი რომ დადგება (მოვა)'... ანდა: „მის შემდეგ, რაც მარტი დადგება (მოვა)“...[3]

როგორც ზემოთ დავინახეთ, პროფ. ი. ყიფშიძემ შენიშნა, რომ ლაზურში ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს „შ“ თანხმოვანს ემსგავსება ზმნის მრავლ. რიცხვის მესამე პირის სუფიქსისეული „ს“ თანხმოვანი და ამის შემდეგ ვღებულობთ (იდეს-შ-ქულე→იდეშ-შ-ქულე→) „იდეშქულე“ ფორმას[4]. აკად. არნ. ჩიქობავას მიხედვით «„კულე“-ს დართვისას ხშირად იკარგება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი -შ და ვითარდება -ჭ: ხოფურს კილოკავში ეს ჭ კ უ ლ ე ჩვეულებრივია: ჩხომიქ „ეჲვალლა“ დ უ წ უ ჭ კ უ ლ ე მუში ქერცელაშენ ჟურ თანე ნიწკუ... „თევზმა „მადლობა“ უ თ ხ რ ა-ს შ ე მ დ ე გ თავის ქერცლიდან ორი ცალი აიძრო“... ე. ი. მას შემდეგ, რაც თევზმა მადლობა უთხრა»...[5]

პროფ. ჟ. დიუმეზილი აგრეთვე სავსებით მართებულად უკავშირებს შინაარსის თვალსაზრისით ლაზური ზმნის პირიან ფორმას ucuš-k'ɯ(e)-უწუშ-ქულ(ე) (ucu-'უთხრა', š-ლაზ. ნათესაობითი ბრუნვის აფიქსი, k'ul(e)-'შემდეგ'; ესე იგი='უთხრა-ს შემდეგ') თურქულ dedikten sonra-ს (de—თურქ. 'თქმა' ზმნის ფუძე+dik—ფორმის მაწარმოებელი აფიქსი+—ten დაწყებითი ბრუნვის ნიშანი +sonra 'შემდეგ' თანდებული). იგი სწორად ადგენს აგრეთვე, რომ ზმნის პირიანმა ფორმამ ნათესაობითი ბრუნვითა და კულე‖ქულე თანდებულით შეიძლება მოგვცეს ასეთი ნიუანსებრივი გაგებაც: goxvecun-šk'ule) გოხვეწუნ-შქულე 'რადგანაც (რამდენადაც) [ასე] გეხვეწება' და სხვ.[6]

ამრიგად, ჩვენ ასეთ შემთხვევებში გვაქვს მეტად თავისებური ფორმა, რომელთა მიხედვით, პროფ. არნ. ჩიქობავას აზრით, ჭანური „მეგრულს შორდება ნაწილობრივ“[7].

ვიდრე კალკის ამ სახეობაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა მოვიგონოთ, რომ თურქულ ენას, როგორც წესი, ჰიპოტაქსური წინადადება არ ახასიათებს და

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. თბილისი, 1936, გვ. 33.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 63.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 64.

[4] И. К и п ш и д з е, Дополнительные сведения..., გვ. 6.

[5] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამ. ანალიზი, 64.

[6] G. D u m é z i l, Contes Lazes, პარიზი, 1937, გვ. VIII.

[7] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამ. ანალიზი, გვ. 186.

ამდენად მაკავშირებელი სიტყვები—'რომ', 'რომელიც', 'რადგანაც', 'ვინაიდან' და მისთანანი თურქულს არ გააჩნია (გვიანდელი ნასესხობანი ენის ბუნებას ამ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავს). ამ ვითარების ერთგვარი კომპენსაციაა ის გარემოება, რომ თურქულს მოეპოვება მნიშვნელოვანი რაოდენობით გრამატიკული კატეგორიები (აბსოლუტივები, მიმღეობები, ე. წ. -dık და -acak ფორმები)[1], რომლებსაც მაკავშირებელი სიტყვების გარეშე შეუძლიათ გამოხატონ ჰიპოტაქსურ წინადადებათა შინაარსი. ეს არის ძირითადად ის, რაც თურქულს ასე მკვეთრად განასხვავებს სხვა სისტემის ენათაგან სინტაქსის სფეროში. აბსოლუტივებით, მიმღეობებით, ე. წ. -dık და -acak ფორმების სხვადასხვანაირად დიფერენცირებული სახეობებით იქმნება თურქულში სხვა ენათა რთული ქვეწყობილი წინადადების თანაფარდი შინაარსის გამომხატველი მარტივი წინადადება. ეს არის სინტაქსში თურქული ენის სპეციფიკა, რომელიც რამდენადმე ართულებს საერთოდ არართული სტრუქტურის მქონე თურქული ენის შესწავლას არათურქის მიერ. თურქულის ამ სპეციფიკის ანარეკლი გვაქვს ჩვენ ლაზურში, რომლითაც ის „მეგრულს შორდება". ვფიქრობ, რომ თურქულს ეს თავისებური გრამატიკული კატეგორიის შინაარსობლივი სესხების ფაქტი სხვა ენების მიმართ დადასტურებული არ არის და მას ყურადღება ექცევა პირველად ლაზურთან დაკავშირებით.

თურქული ენის ამ სპეციფიკური ფაქტების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა აიხსნას ის მეტად უცნაური მოვლენები, რომელიც ჩვენ ლაზური ენის სინამდვილეში გვაქვს ზმნის პირიანი ფორმების ბრუნების სახით. აკად. ნ. მარი მისდამი ჩვეული დიდი ენათმეცნიერული ალღოთი სავსებით ჩაწვდა ლაზურისათვის ამ არაბუნებრივ ფორმებს, რომელთაც ის ახასიათებს, როგორც „უაღრესად ორიგინალურ მოვლენას". ის შენიშნავდა, რომ გარემოების დამოკიდებულ წინადადებათა გამოხატვა ხდება მაკავშირებელ სიტყვათა გარეშე: Наиболее оригинальное явление чанского синтаксиса самостоятельные обороты, именно выражение обстоятельственных предложений без союза. შემდეგ დიდი მეცნიერი დაასკვნის, რომ На обще-понятном условном языке схоластической грамматики это значит, что в чанском языке глагольные формы, даже окончательные времена, склоняются[2].

dık- და -acak ფორმებზე რომ ვლაპარაკობთ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს კატეგორია ნაზმნარი სახელია, მაგრამ ისეთი ნაზმნარი სახელი, რომელიც დროის მიხედვით არის ერთმანეთთან შეპირისპირებული: -dık გადმოგვცემს ნამყოსა და აწმყო დროის გაგებას, ხოლო -acak მყოფადი დროისას. დროის მიხედვით დიფერენცირებულობა ამ ფორმებისა, მე ვფიქრობ, საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ ეს ფორმა ზმნისა და სახელის კატეგორიათა მიჯნაზეა: ის ზმნისგან ნაწარმოები სახელია იმდენად, რამდენადაც იბრუნვის და დაირთავს კუთვნილებით აფიქსებს; ამ ფორმას ზმნ-ურობასთან კავშირი არ გაუწყვეტია, რადგანაც დიფერენცირდება დროებში.

---

[1] ამჟამად -dık და -acak ფორმებს განიხილავენ პარტიციპიუმებში, მაგრამ როგორც უკიდურესად გასუბსტანცირებულ ფორმებს (А. Н. Баскаков, О классификации причастий в турецком языке, ВЯ, № 6, 1959, გვ. 114).

[2] Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка..., გვ. 79. ასევე აქვს აღნიშნული ეს მოვლენა აკად. არნ. ჩიქობავას (იხ.: ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 63).

თურქულ ენაში სხვადასხვა ხასიათის დამოკიდებულ წინადადებათა შინაარსს უმთავრესად ეს -dık და -acak ფორმები გამოხატავენ. მაგალითად, ქართული დამოკიდებული წინადადება „მას შემდეგ, რაც ჯარისკაცი მოვიდა..." თურქულად იქნება asker geldikten sonra; ამ gel-dik-ten sonra-ში შემდეგი ელემენტები გვაქვს: gel 'მოსვლა' ზმნის ფუძეა, -dık—თურქული სპეციფიკური ფორმის აფიქსია, -ten—დაწყებითი ბრუნვის ნიშანი, ხოლო sonra თანდებულია, რომელიც „შემდეგ"-ს ნიშნავს და მოითხოვს დაწყებით ბრუნვას; ლაზურში მას შეესაბამება ნათესაობითი; ლაზური კ უ ლ ე ნათესაობითს ითხოვს.

ამრიგად, თურქულში დროის დამოკიდებული წინადადების ამ ტიპს ის თავისებურება ახასიათებს, რომ ყოველთვის ზმნის ფუძისაგან ნაწარმოები -dık ფორმისაგან შედგება; ეს ფორმა დაწყებით ბრუნვაშია sonra თანდებულთან დაკავშირებით.

ჩვენ დავინახეთ, რომ „მას შემდეგ რაც ჯარისკაცი მოვიდა"-ს ტიპის წინადადება თურქულად სულ სხვანაირად გამოიყურება: თურქულში „მოვიდა" ცნება გადმოცემულია არა ზმნის პირიანი ფორმით, არამედ ნაზმნარი სახელით დაწყებით ბრუნვაში sonra ('შემდეგ') თანდებულის დართვით. ავიღოთ ასეთი თურქული წინადადების ქართული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

asker geldik-ten sonra
↑ ↑ ↑
ჯარისკაცი[ს] მოსულობის შემდეგ=„მას შემდეგ, რაც ჯარისკაცი მოვიდა".

საფიქრებელია, რომ ასეთი ტიპის თურქული წინადადების ზუსტ კალკირებას წარმოადგენს ლაზური წინადადებები, რომლებშიც ჩვენ მაკავშირებელი სიტყვები („მაშინ, როდესაც", „იმ დროს, როდესაც" და სხვ.) არა გვაქვს და რომლებშიც ზმნის პირიანი ფორმები უერთდებიან ბრუნვის აფიქსსა და ითავენ თანდებულს. მართალია, gel-dik-ten ფორმაში პირის ნიშანი არა გვაქვს, მაგრამ იმდენად ახლოსაა იგი ზმნასთან და იმდენი ზმნური თვისებები აქვს, რომ ლაზურში იგი ზმნის პირიანი ფორმით არის გადმოტანილი, რადგანაც ლაზურს -dık ფორმის ადექვატური ოდენობა არ გააჩნია. თურქულის დაწყ. ბრ. ლაზურში ნათესაობითი ბრუნვითაა შეცვლილი.

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია ქვემოთ ჩამოწერილი ჭანური წინადადებების სტრუქტურის თურქულობა.

ღეიდე ეკიწკედეს-შ-კულე[1]...
geriye bak-tik-tan sonra...

'უკან რომ მოიხედეს' (უფრო ზუსტად 'მას შემდეგ რაც უკან მოიხედეს', 'უკან მოიხედეს-ის შემდეგ')

oxori-ša moxteš k'ule[2]...
ev-e geldikten sonra...

'სახლში მოვიდნენ-ის შემდეგ; ე. ი. 'მას შემდეგ რაც სახლში მოვიდნენ', 'სახლში რომ მოვიდნენ'.

ჩხომიქ „ეივალლა" დუწუჸკულე[3]
balik eyvallah dedikten sonra

'მას შემდეგ, რაც თევზმა მადლობა უთხრა' („თევზმა მადლობა უთხრა-ს შემდეგ").

---

[1] შდრ. ჩიქობავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120.

[2] G. Dumézil, დასახელებული ნაშრომი, გვ. 35.

[3] შდრ. ჩიქობავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33_{13-14}.

ჰუქუმეთიშა მიჲონეს'შ-კულე[1]... hükümete getir-dik-ten sonra...	'მთავრობასთან რომ მოიყვანეს', 'მას შემდეგ, რაც მთავრობასთან მოიყვანეს'; 'მთავრობასთან მოიყვანეს-ის შემდეგ'
მა ფადიშაი ბივა-შ-კულე... ben padişah ol-duk-tan sonra...	'მე ხელმწიფე რომ ვიქნები მერე', 'მას შემდეგ, რაც მე ხელმწიფე გავხდები', 'მე ხელმწიფე ვიქნები-ს შემდეგ'
სერი იუ-შ-კულე[2]... gece ol-duk-tan sonra...	'რომ დაღამდა', 'ღამე გახდა-ს შემდეგ'

მოვიგონოთ, რომ თანდებული sonra თურქულში მოითხოვს დაწყებითს, მაგრამ თურქული sonra-ს სემანტიკური ექვივალენტი ლაზურში ⌈უ⌉ კულე მოითხოვს ნათესაობითს. მაგალითად, „ჰემინდორა-შ-კულე“[3] = 'ამ დროს შემდეგ'. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თურქული ablativ-ის შესატყვისად ლაზურში genitiv-ი გვაქვს:

მა გიჯოხა-შ-კულე[4]... ben çağirdiktan sonra...	'მე რომ დაგიძახო', 'მას შემდეგ რაც მე დაგიძახო', ან არა და: 'მე დაგიძახო-ს შემდეგ'.

მოტანილი საილუსტრაციო მასალა, ვფიქრობთ, სავსებით ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამ თვალსაზრისით ლაზური წინადადება სავსებით ემთხვევა სათანადო შინაარსის თურქულ წინადადებას და ლაზური წინადადების შედგენის ტექნიკა დეტალებში არა, მაგრამ პრინციპში იგივეა, რაც ჩვენ გვაქვს თურქულში.

თურქულში -dik და -acak ფორმა კუთვნილებითი აფიქსით დაირთავს için თანდებულს და გვიჩვენებს მიზეზის გარემოებას, რაც ქართულსა და სხვა ენებში მიზეზის დამოკიდებული წინადადებით გამოიხატება[5]. için თანდებული ამ შემთხვევაში ეწევა „რადგანაც“, „ვინაიდან“ და სხვ. კავშირების მაგივრობას. თურქული სპეციფიკური ფორმა -dik ან -acak-ისა დაერთვის ზმნის ფუძეს, შემდეგ კუთვნილებითი აფიქსი შესაბამისი პირისა და თანდებული için, რომელიც ნიშნავს '-თვის' („კაცისთვის“). მაგალითად, eve geç geldiğim için... „სახლში გვიან მ ო ს უ ლ ო ბ ა—ჩ ე მ ი ს გ ა მ ო“, ანდა—„სახლში გვიან მ ო ს უ ლ ო ბ ა—ჩ ე მ ი ს ა თ ვ ი ს“ („რადგანაც სახლში გვიან მოვედი“) და სხვ.

ამგვარად, თურქულ ენაში მიზეზის გარემოების წინადადების შინაარსის გამოხატვის ეს ხერხი უნდა იყოს კალკირებული ლაზურში იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნის პირიან ფორმას ერთვის ნაწილაკი „შე“ და „ნი“—„შენი“—ლაზურსა და მეგრულში ნიშნავს „თვის“: მეგრ. „სქანი გურიშენი“—„შენი გულისათვის“. ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ „შენი“, ისევე როგორც მისი ქართული შესატყვისი „თვის“ ითხოვს ნათესაობით ბრუნვას და არასოდეს ქართულსა და მეგრულში „თვის“ და „შენი“ თანდებულები ზმნის პირიან ფორმას არ და-

---

[1] შდრ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 27_7.

[2] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ჭანური ტექსტები, გვ. 56_{23}.

[3] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 37_{18}.

[4] იქვე, გვ. 141_{18}.

[5] J. D e n y, Grammaire de la langue turque (dialecte osmanli). პარიზი, 1920 გვ. 1060; აგრეთვე: А. Н. Кононов, Грамматика турецкого языка, Ленинград, 1941 გვ. 247.

ერთეიან. მაშასადამე, ლაზურისათვისაა ეს დამახასიათებელი; ლაზურს იგი გადმოღებული აქვს თურქულიდან: მციქა ექსიკი-ნა-ტუ-შენი, ვიტოხუთ ფარა ნეტკოჩუ[1] — „რადგანაც ცოტა ნაკლები იყო, ამიტომ ხუთმეტი ფარა მიუკლო". სიტყვა-სიტყვით: „ცოტა ნაკლული რომ იყოს-თვის, თხუთმეტი ფარა მიუკლო". ეს ფორმა „იყოს-თვის" ზუსტი თარგმანია თურქული -dik ფორმით გამოხატული კატეგორიისა: bir az eksik olduğu için... „ცოტა ნაკლულად მისი ყოფილობისათვის". რადგანაც ლაზურს არ აქვს -dik და -acak-ის ფარდი ფორმები, მის ნაცვლად გამოყენებული აქვს ზმნის პირიანი ფორმა შესაბამისი დროისა, რომელსაც დართული აქვს için თანდებულის ლაზური შესატყვისი — „შენი". ამრიგად, ლაზური „ტუ-შენი"[2] კალკია თურქული olduğu için-ისა.

ავიღოთ ასეთი ლაზური წინადადება: „ჰა ბერე დიდო ხაშალი-ნა ტუ-შენი, ნანა დო ბაბა მუშიქ დიდო ბახუმტეს"[3]. ამ წინადადების ქართული თარგმანი შემდეგია: „დედა და მამამისი ძალიან სცემდნენ ამ ბიჭს, რადგანაც ის ძალიან ცელქი იყო"; სიტყვა-სიტყვით თარგმანი კი ასეთია: „ეს ბიჭი ძალიან ცელქი რომ იყო-ს-თვის, დედა და მამა მისი ძალიან სცემდნენ". ეს კი ზუსტი შესატყვისობაა მიზეზის გარემოების წინადადების გამოხატვის ხერხისა თურქულში:

bu	oğlan	çok	haşari	olduğu için...
ჰა	ბერე	დიდო	ხაშალი	ნატუ-შენი...
'ეს	ბიჭი	ძალიან	ცელქი რომ	იყო-ს-თვის...

ასევე ზუსტი თურქული კონსტრუქციაა მოცემული შემდეგ ლაზურ წინადადებაში: ჰასანის დიდო-ნა აშქურინუ-შენი[4]... ეს ნიშნავს: „ჰასანს რომ ძალიან შეეშინდა-ს-თვის, ე. ი. „რადგანაც ჰასანს ძალიან შეეშინდა".

ლაზურ-თურქული წინადადებების შეპირისპირება შესაძლებლობას მოგვცემს ავხსნათ ასეთი, ლაზურისათვის უჩვეულო ფორმა თურქულის გავლენით:

ლაზური:	ჰასანის დიდო-ნა	აშქურინუ-შენი...	
თურქული:	Hasan'ın çok	korktuğu	için ...
ქართული:	„ჰასანის ძალიან შეშინებულობა-მისი-სათვის", ე. „რადგანაც ჰასანს ძალიან შეეშინდა"...		

ჰამ დელი აჯი-ნა ორტუ-შენი, ჰიმ ჯარეფეში ოშკომუს ქოჯოჭუ[5] = 'რადგანაც ეს გიჟი მშიერი იყო, მან დაიწყო იმ საჭმელების ჭამა'. რა თქმა უნდა, „რადგანაც" კავშირი ლაზურში არ არის, ლაზურში დამოკიდებული წინადადების შემასმენელს „აჯი-ნა ორტუ-შენი" დართული აქვს „შენი" თანდებული. ეს შემასმენელი ნამყო წყვეტილის მესამე პირის ფორმაა, რომელსაც საერთოდ თანდებული არ უნდა დაერთოს. მოვიტანოთ მასალები შეპირისპირებით:

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936, გვ. 186.

[2] იქვე.

[3] ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1938, გვ. 216.

[4] იქვე, გვ. 5.

[5] ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1939, გვ. 83.

ლაზური: ჰამ დელი აჯი-ნა ორტუ-შენი...
თურქული: Bu deli-nin aci olduğu için
ქართული: სიტყვა-სიტყვით: 'ამ გიჟის მშიერი ყოფილობა-მისი-სათვის'.

შემდეგი მაგალითიდან უფრო ნათელია ასეთი კონსტრუქციის წინადადებების თურქულობა: ბერე კითხერი-ნა-ტუ-შენი, ფურუნჯის ვა მაღერდინუ „რადგანაც ბავშვი ნასწავლი იყო, მეფურნემ ვერ მოატყუა"[1]. „ტუ" ლაზურად „იყო"-ს ნიშნავს (=მეგრულ „(რ)დუ"), „ტუ-შენი" = „იყო"-სთვის, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თურქული olduğu için-ის თარგმანია. რომ შევუპირისპიროთ ლაზურ-თურქული წინადადებები, შემდეგი სურათი გვექნება:

ბერე კითხერი-ნა-ტუ-შენი, ფურუნჯის ვა მაღერდინუ—
oğlan okumuş olduğu için firinci aldatamadı

სიტყვა-სიტყვით: 'ბავშვის ნასწავლი ყოფილობა მისის-თვის, მეფურნემ ვერ მოატყუა'.

ლაზურში ჩვენ გვაქვს რთული ნაწილაკი „შა-ქის" (='მდე, მდის'), რომელიც, წინააღმდეგ ქართველურ ენებში არსებული წესებისა, შეიძლება პირის ნიშნით გაფორმებულ ზმნას დაერთოს. „ქის" ნაწილაკი ნიშნავს „მდის", დაერთვის მიმართულებით ბრუნვას; მაგალითად, ახჩამი-შა-ქის 'საღამომდე', სუმ წანა-შა-ქის 'სამ წლამდის' და სხვა. ლაზურს სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებით ის ახასიათებს, რომ ეს შა-ქის ნაწილაკი ზმნის პირიან ფორმას დაერთვის. ასეთ შემთხვევაში ლაზურში გამოიხატება წინადადება, რომელიც დროის გარემოების წინადადების შინაარსს შეიცავს (ითარგმნება „სანამ" კავშირით)[2]. მა ქობორტა-შაქის სი მუთუში დერდი მოზდუმ[3]. ამის თავისუფალი თარგმანია „სანამ მე ვიქნები (ვიყო), შენ ნურაფრის დარდი ნუ გაქვს"[4]. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი შემდეგია: „მე ვიქნები, ან მე ვიყო-მდის შენ ნურაფრის დარდი ნუ გაქვს", ე. ი. „მე ვიდრე ვიქნები", „მე სანამ ვარსებობ" და სხვ.

ვფიქრობ, რომ ქართველურ ენათათვის ეს უჩვეულო კონსტრუქცია გამოძახილია თურქული ენის ძლიერი ზემოქმედებისა ლაზურზე. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს თურქული აბსოლუტივით გამოხატული დროის ვითარების წინადადების კალკი. ეს აბსოლუტივი უნდა წარმოადგენდეს -inca აბსოლუტივის რამდენიმედ გართულებულ ფორმას; სახელდობრ, -inca აფიქსს დაერთვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი, რომელიც თავის მხრით გამოწვეულია მით, რომ თურქულში აბსოლუტივის ამ სახეობას დაერთვის kadar თანდებული. მაგალითად, თურქული წინადადება ben gelinceye kadar bekle 'მომიცადე, სანამ მე მოვალ!'[5] სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ამ წინადადებისა ასეთია „Я приду до, подожди!" აბსოლუტივი gelince მიცემით ბრუნვაშია, რადგანაც თანდებული kadar მიცემითს მოითხოვს. ლაზურში გადმოღებულია ამ kadar თანდებულის ლაზური სე-

---

არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936, გვ. 186.

[2] შდრ. არნ. ჩიქობავა, იქვე, გვ. 205.

[3] იქვე, გვ. 34.

[4] იქვე.

[5] А. Н. Кононов, Грамматика турецкого языка, ლენინგრადი, 1941, გვ. 233.

მანტიკური ექვივალენტი -ქის ნაწილაკი და ის ბრუნვა (მიმართულებითი), რომელსაც ეს ნაწილაკი ლაზურში მოითხოვს. ამრიგად, ლაზური წინადადება: „შა ქობორტა-შაქის სი მუთუში დერდი მოზდუმ" ისეთივე ოდენობა უნდა იყოს როგორც ben sağ oluncaya kadar sen bir şeyin derdini çekme. სიტყვა-სიტყვით: „შე ცოცხალი ვიქნები-მდე შენ ნურაფრის დარდი ნუ გაქვს".

ცხადია, რომ ლაზურმა პირიანი ზმნის ფორმა გამოიყენა აქ თურქულში აბსოლუტივით (sağ oluncaya kadar) გამოხატული ფორმისათვის, მაგრამ სტრუქტურულად წინადადება მაინც თურქულია: ზმნის ფუძისაგან მიღებული აბსოლუტივის გადმოცემა მოხერხდა ზმნის პირიანი ფორმით („მა ქობორტა"), მიცემითბრუნვიანი თანდებული ლაზურში შეცვალა -ქის („მდე") ნაწილაკმა, რომელიც მიმართულებით ბრუნვას მოითხოვს. მოვიტანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი: ნემშო უწუმერტუ-შაქის ასლანიშ ბიჭიქ დივის ღვას არ ზოი ქოგამაჭკიდუ—„სანამ ასე ლაპარაკობდა, ლომის ბიჭმა დევს ლოყაზე სილა მაგრად გააწნა"[1]. „ნემშო უწუმერტუ-შაქის" შეესატყვისება თურქული „böyle konuşuncaya kadar"-ს. ბერე ძირომტუ-შა-ქის, ბერეში ნანაქ ქომოლი მუშის დუწუ=„სანამ ბიჭი ნახავდა, ბიჭის დედამ თავის ქმარს უამბო". ხოლო უფრო ახლო თარგმანი ასე იქნება: „ბიჭი ნახავდამდე...", რაც ზუსტად თურქული çocuk görünceye kadar-ის შესაბამისად არის გადმოცემული. ამ მემლექეთის ფხეტი-შაქის[2]=„ვიდრე მე ამ ქვეყანაში ვცხოვრობდი", სიტყვა-სიტყვით: „ამ ქვეყანაში ვცხოვრობდი-მდე"...=bu memlekette oturuncaye kadar.

ბათომიშა ბიღამტი-შაქის[3]=„ვიდრე ბათუმში წავიღებდი", სიტყვა-სიტყვით: „ბათუმში წავიღებდი-მდე"=თ. Batum'a götürünceye kadar.

დერდი მო ზდიმ მა სალი ბორტა-შაქის[4]—„დარდი ნუ გაქვს, ვიდრე მე ცოცხალი ვარ"=„მე ცოცხალი ვიყო-მდე"=ben sağ oluncaya kadar.

აბას-ფეჰლევანი ვარ მოხთუშა-ქის=„სანამ აბას-ფალავანი არ მოვიდა", სიტყვა-სიტყვით: „აბას-ფალავანი არ მ ო ვ ი დ ა - მ დ ე". აქ შემდეგი უნდა შევნიშნოთ: როდესაც თურქული აბსოლუტივი უკუთქმით ფორმაშია (კერძოდ -ince აბსოლუტივი), მას თანდებული kadar არ დაერთვის და ამდენად არც მიცემითი ბრუნვის ნიშანი გვაქვს. მაგალითად, ლაზური—აბას-ფეჰლევანი ვარ მოხთუშა-ქის=თ. Abas-pehlevan gelmeyince=„ვიდრე აბას-ფალავანი არ მოვა". და ჩვენ ლაზურში უკუთქმით ფორმაშიც ისეთივე კონსტრუქცია გვაქვს, როგორც წართქმითში—ეს უნდა აიხსნას წართქმითის ანალოგიით.

ახლა მოვიყვანოთ შეპირისპირებული მაგალითები, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს თურქულიდან კალკირების ფაქტი:

ვიტოოთხ' წანერი ბორტი-შა[5]... ondört yaşında olunca-ya kadar... — 'ვიდრე 14 წლის გავხდებოდი';—„თოთხმეტი წლის გავხდი-მდე"

ნემშო უწუმერტუ-შაქის[6]... — 'სანამ ასე ლაპარაკობდა' ან უფრო ზუს-

---

1 იხ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 186.

2 იქვე, გვ. 27_{20}.

3 იქვე.

4 И. К и п ш и д з е, Дополнительные сведения о чанском языке, პეტერბურგი, 1911, გვ. 18_3.

5 იხ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 23_{11}.

6 იქვე, გვ. 186.

böyle konuşunca-ya kadar...	ტად 'ასე ლაპარაკობდა-მდე'
ბერე ძირომტუ-შა-ქის[1]...	'სანამ ბიჭს დაინახავდა';
çocuğu görünceye kadar...	'ბიჭი დაინახა-მდის".

მეტად საინტერესო სინტაქსური თავისებურება ლაზურისა იმაშიც მდგომარეობს, რომ „რ ო მ, რ ო ც ა, რ ო დ ე ს ა ც კავშირის როლში გამოდის -შ ი და ი ს || -ს ი ნაწილაკები, ეს უკანასკნელი უპირატესად ათინურში იხმარება, ნაწილობრივ ვიწურშიაც; შ ი მეტ-ნაკლებად ყველა კილოკავშია გამოყენებული“ [2]. ზემოხსენებულ მოსაზრებათა გამო ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ წინადადებათა ეს ტიპი აგრეთვე თურქულია. საქმე ისაა, რომ დროის გარემოების დამოკიდებული წინადადების შინაარსი თურქულში გადმოცემულია აგრეთვე იმ -dık და -acak ფორმით, რომელზედაც ჩვენ ზემოთ საკმაოდ ბევრი ვილაპარაკეთ და რომელიც ამ შემთხვევაში დაისმის ხოლმე კუთვნილებითი აფიქსის გარეშე ადგილობით ბრუნვაში. მე ვფიქრობ, რომ თურქული ადგილობითი ბრუნვის ნიშნის ექვივალენტად ჭანურში -ში, -ის და -სი ნაწილაკები უნდა იყვნენ მიღებულნი. ავიღოთ, მაგალითად, შემდეგი თურქული წინადადება Ali eve gel-dik-te 'როდესაც ალი სახლში მოვიდა', ან 'ალი სახლში რომ მოვიდა', მაგრამ უფრო ზუსტი (სიტყვა-სიტყვითი) თარგმანი ამ წინადადებისა ასეთია:

'ალი სახლს მოვიდა-ში'
Ali eve geldik-te

ჩვენ ჯერჯერობით არა გვაქვს გარკვეული, თუ -ში და -სი || -ის ნაწილაკები რა ფუნქციით უნდა იყვნენ ხმარებული ასეთ შემთხვევებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თურქული მოტანილი მაგალითის მიხედვით, აქ ჩვენ კვლავ თურქულიდან კალკირებასთან გვაქვს საქმე. მოვიყვანოთ საილუსტრაციო მასალა:

თავანიშა ეფთით-ში[3]...	'როდესაც ჩვენ სხვენზე ავედით' ...ან
tavana çıktık-ta...	'ჩვენ რომ სხვენზე ავედით'
ბათუმიშა ვიდი, ექ მეფთით-ში[4]..:	'ბათუმში წავედი, იქ რომ
Batuma git-ti, oraya gel-dik-te	მივედით...' „ში“....

ასეთივე შინაარსის წინადადებას გვაძლევენ -სი და -ის ნაწილაკებდართული ზმნის პირიანი ფორმები[5].

ჲაკინიშა ყიდუ-სი[6]...	'ახლოს რომ მივიდა' || 'როდესაც მიუ-
yakına gittik-te...	ახლოვდა'—
ოჩკულე აქ მოფთი-ის[7]...	'შემდეგ აქ რომ მოვედი' || 'აქ როდესაც
sonra buraya gèl-dik-te	მოვედი'

---

[1] ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 135_{10}.

[2] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936, გვ. 185.

[3] ი. ყ ი ფ შ ი ძ ე, ჭანური ტექსტები, თბილისი, 1939, გვ. 6_{33}.

[4] იქვე, 1_{34}.

[5] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 185.

[6] იქვე, გვ. 123_{17}.

[7] იქვე, გვ. 24_{21}.

გერი მოლვათი-სი[1]... 'Обратно, когда пернешься...[1]
Geri dön-dük-te... 'როცა უკან დაბრუნდები...

ლაზური გამოთქმა „ოხორჯა ყონაშა იდუ ვარ-იდუ-ძა-ში (='წავიდა თუ არა ქალი ყანაში', ე. ი. 'როგორც კი ქალი ყანაში წავიდა') არ არის, ვფიქრობ, მასალობრივად ქართული და მეგრული „წავიდა თუ არა“ და „მიდართუ ვარა“-ს შესაბამისი. ეს არის ძლიერ გავრცელებული თურქული აწმყო განუსაზღვრელის წართქმითი და უკუთქმითი ფორმა (III პ.) gider gitmez (=სიტყვა-სიტყვით: 'წავა, არ წავა'='როგორც კი წავიდა', 'წავიდა თუ არა') რომელიც აბსოლუტივი gidince-ს სინონიმია და ამდენად თურქიზმია ლაზურში.

ლაზური «ჭა ნა გიწვი-ფე დოგახენენ-ნა, ბოზო ჩქიმი მექჩარე, რაც რომ გითხარი, თუ შეგიძლია გააკეთო, ჩემს ქალს მოგცემ... გიწვი ნიშნავს „გითხარი (მე შენ)“; გიწვი-ფე იქნებოდა „გითხარ-ებ-ი“, ე. ი. „ნათქვამები“, ზმნა აქ კონტექსტში სახელის მნიშვნელობას ატარებს, თუმცა ორდინარული პირიანი ფორმაა»[2]. სავსებით ნათელია, რომ გითხარ-ებ-ი თურქული სპეციფიკური ფორმის, ნაზმნარი სახელის მიახლოვებით გადმოცემის ცდაა ლაზური ენობრივი მასალით: de-dik-ler-im-i yapabilirsen ('ჩემი გითხარები || ნათქვამები თუ შეგიძლია გააკეთო'), სადაც de- 'თქმა' ზმნის ფუძეა, -dik—ფუძიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსი, ler მრ. რიცხვის ნიშანი, -im—'ჩემი', კუთვნილებითი ნაცვალსახელი, -i—ბრალდებითი ბრუნვის აფიქსი.



[1] Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка. გვ. 83.
[2] შდრ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 65.

Георгий Андреевич Климов

ИЗ ИСТОРИИ ОДНОЙ ОБЩЕКАВКАЗСКОЙ ЛЕКСИЧЕСКОЙ ПАРАЛЛЕЛИ (К НАЗВАНИЮ ДОМАШНЕЙ КОШКИ В КАВКАЗСКИХ ЯЗЫКАХ)

Как известно, большинство общекавказских лексических изоглосс весьма позднего происхождения и обусловлено широким распространением на Кавказе интернационализмов мусульманского мира, непосредственные источники которых легко прослеживаются в тюркских, персидском и, отчасти, арабском языках. Значительно сложнее дело обстоит с более древними по своему происхождению общекавказскими параллелизмами неисконного характера, источники и хронология становления которых как правило остаются очень проблематичными[1]. Между тем регистрация последних составляет необходимую предпосылку успешного исследования исконных лексических взаимосвязей абхазско-адыгских, картвельских и нахско-дагестанских языков.

Очевидное сходство кавказских названий домашней кошки (ср. адыг. k̄ătə̄//čătə̄, груз. ḳaṭa, аварск. ketu и др.) с соответствующим культурным термином индоевропейских, семитохамитских и некоторых других языков уже давно обратило на себя внимание. Для его объяснения было,

---

[1] Ср. R. Lafon, Le nom de l'„argent" dans les langues caucasiques. — Revue Hittite et Asianique. 3e année, fasc. 10 et 11, janvier et avril. Paris, 1933; В. М. Иллич-Свитыч, Caucasica.— Этимология. 1964. М., 1965, стр. 335—336; отчасти также А. Н. Генко, О названиях плуга в северокавказских языках. ДАН СССР, В. 1930, № 7.

в частности, высказано предположение об усвоении слова из „средиземноморского" источника[1].

В соответствии с историей самой реалии первоисточник рассматриваемого названия домашней кошки ищут в Африке — в нубийском языке. Дальнейшим посредником в миграции реалии и слова на Кавказ должен был явиться семитский и индоевропейский, а, возможно, и так называемый „азианический" мир. Заимствованный характер рассматриваемых названий в кавказских языках очевиден. В этом отношении очень показательно, например, отсутствие их в языках и диалектах, географически тяготеющих к наиболее изолированной центральной зоне Кавказского хребта, где употребляются исконно кавказские основы (ср. чеч. cicig, ингушск. cisk, аварск. iciko, сван. cicw-, груз. хевсурск. cica-, груз. мохевск. cincula-)[2], судя по своему звукотипу восходящие к понуканию животного, и первоначально обозначавшие только местную дикую кошку (Felis sylvestris), не поддающуюся приручению и систематически истреблявшуюся.

Груз. ḳaṭa- не только не обнаруживает характерных для исконно картвельского материала звукосоответствий по отношению к мегр. и чанск. ḳaṭu, но и, по-видимому, не встречается в древнегрузинских памятниках (оно засвидетельствовано, однако, у Ш. Руставели). Любопытно отметить при этом, что создатель первого толкового словаря грузинского языка Сулхан Саба Орбелиани отмечал на грани XVII и XVIII столетий европейское происхождение слова[3]. Судя по ряду обстоятельств прототипом для грузинских и занских слов должна была быть форма *ḳaṭu (ср. также груз. ḳaṭun- 'дикая кошка'). При этом незакономерная мена u > a в исходе грузинской основы произошла, возможно, не без влияния со стороны греч. γατα.

Близкие основы очень широко распространены во всех дагестанских подгруппах нахско-дагестанских языков (ср. аварск. ketu, kitu, keto, geto, андийск., ботл. gedu, бежит., ахвах. ketu, багв. kitu, дарг. gata, лакск. ččitu < *kkitu, арч., табас. gatu, лезг. gac, kkac, агул. gatau, рутул. get, будуг., крыз. gač). Будучи интересными ввиду своей закономерной фонетической дифференцированности по языкам в плане проблемы хронологизации звуковых процессов в дагестанских языках (на данном основании

---

[1] См. J. Schrijnen, L'alarodien et l'accent d'intensité initial dans les langues indo-européennes. MSL de Paris. T. 23, fasc. 2 (1927), стр. 64; R. Lafon, Mots „méditerranéens" en géorgien et dans quelques autres langues caucasiques. — Revue des Études Anciennes. Vol. XXXVI. 1934, стр. 41—42.

[2] См. А. С. Чикобава, Чанско-мегрельско-грузинский сравнительный словарь. Тбилиси. 1938, стр. 88; Т. С. Гошашвили, Словарные схождения чеченского и картвельских языков. Изв. ИЯИМК, т. V—VI. Тбилиси. 1940, стр. 618—619 (сюда же относятся груз. картлийск. cica-, cicunia-). Ср., однако, Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1964, стр. 29, где указывается, что приведенные нахские формы заимствованы из грузинского.

[3] См. Сулхан Саба Орбелиани, Сочинения, т. IV_1. Тбилиси. 1965, стр. 360.

слово представляется Э. А. Ломтадзе усвоенным в достаточно древнюю эпоху[1]), они предполагают в качестве архетипа форму gatu[2].

Наиболее затруднительно сведение к единому историческому знаменателю слов, обозначающих домашнюю кошку, в абхазско-адыгских языках. Если адыгейск. č´ătə″ (ср. также шапс. и бжед. диалектные k´ătə″//č´ătə″) и кабард. g´ădə″//ǯ´adə″ в соответствии с закономерностями исторической фонетики адыгских языков сводимы к праформе *k´ătə″, то уже их убыхский эквивалент едва ли укладывается с последнюю[3]. Еще менее ясным представляется отношение сюда абхазско-абазинского a-cg″ə (мн. число — a-cəg″-k″a), в котором вопреки соответствующему народноэтимологическому решению, усматривающему здесь сложение a-c 'зуб' и a-g″ə 'сердце', следует скорее допустить метатезу более раннего *a-gc″ə. Возможно и совершенно иное происхождение этой лексемы. К. В. Ломтатидзе связывает ее с груз. cuga- 'собачёнка' (и далее с ciba-то же) на правах продолжений исконно общего кавказского наследия[4].

Фонетический облик прототипов рассмотренных лексем в картвельских и дагестанских языках — *katu, *gatu — равно как и изучение путей распространения самой реалии на Кавказе и в сопредельном ареале, по-видимому, позволяют уточнить ранее уже высказывавшееся предположение о заимствовании данного культурного термина из индоевропейского источника[5]. Если в индоевропейских языках Европы этот культурный термин распространяется через латинский и греческий языки только в весьма позднее время[6], оставаясь вообще неизвестным в индоиранской языковой области, то в армянском языке он квалифицируется как сирийское заимствование (ср. сирийск. qattu 'кошка'), проникшее нелитературным путем довольно рано[7]. Армянский язык уже в силу своего географического

---

[1] См. Э. А. Ломтадзе, Некоторые общие корневые элементы в иберийско-кавказских языках. ИКЯ, т. VII. Тбилиси. 1955, стр. 437.

[2] См. Е. А. Бокарев, Введение в сравнительно-историческое изучение дагестанских языков. Махачкала. 1961, стр. 62.

[3] К адыгским формам см. З. И. Керашева, Особенности шапсугского диалекта адыгейского языка. Майкоп. 1957, стр. 28; также К. Л. Аутлев, Фонетические особенности бжедугского диалекта адыгейского языка. Ученые записки Адыгейского гос. пед. ин-та. Вып. 3. Майкоп. 1963, стр. 108. Для убыхской формы см. H. Vogt, Dictionnaire de la langue oubykh. Oslo. 1963, стр. 123.

[4] См. К. В. Ломтатидзе, К одной иберийско-кавказской основе. IX Научная сессия филологического факультета ТГУ. План работы и тезисы докладов. Тбилиси. 1965, стр. 14.

[5] См. Р. Ачарян, Корневой словарь армянского языка. т. III. Ереван. 1928. стр. 1038; ср. также Г. А. Меликишвили, К вопросу о древнейшем населении Грузии, Кавказа и Ближнего Востока. Тбилиси. 1965, стр. 212—213.

[6] См. O. Schrader, Reallexikon der indogermanischen Altertumskunde, herausgeg. von A. Nehring. Bd. 1, Lfg. 5. Berlin-Leipzig. 1923, стр. 562—566; также О. Н. Трубачев, Происхождение названий домашних животных в славянских языках. М., 1960, стр. 96—97.

[7] См. H. Hübschmann, Armenische Grammatik. I Th. Armenische Etymologie. Leipzig. 1897, стр. 307; также Р. Ачарян, Указ. соч. стр. 1040—1041.

положения в эпоху раннего средневековья представляется наиболее естественным посредником между семитскими и кавказскими языками. Если к тому же иметь в виду, что основная масса сиризмов проникает в армянский язык около III—IV вв. н. э., последняя дата может в известной мере послужить в качестве terminus ante quem non для распространения слова в кавказских языках. Можно сугубо гипотетически предположить, что усвоение слова в дагестанские языки произошло после VIII века н. э., когда степень воздействия армянских диалектов на исконные языки Агвании существенно возросла в связи с начавшимся процессом грегорианизации ее населения. Оба приведенных прототипа могли в таком случае восходить в разное время к различным диалектным разновидностям армянского слова (ср. исторически засвидетельствованные арм. ḳaṭu, gadu).

С большими трудностями связано определение непосредственного источника абхазско-адыгских форм. Лингвогеографические соображения указывают в этом смысле на картвельские языки. Вместе с тем к картвельскому *ḳaṭu может восходить лишь адыгское *k'ătəʷ[1].



[1] Здесь не затрагивается другое название домашней кошки, которое характеризует кавказские языки, преимущественно восточного ареала, являющегося составной частью более широкой зоны, и которое восходит к подзыванию животного (груз. piso, удин. pisiḳ, лезг. pisi, цахур. bissij, аварск. белокан. bušu).

სერგო ჯორბენაძე

ივანე ჯავახიშვილის თანამოსაგრე

ივანე ჯავახიშვილია ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელი. იგია ყველაზე პირველი და ყველაზე დიდი რაინდი უნივერსიტეტის შექმნისა. მან იკისრა ეროვნულ ნიადაგზე უმაღლესი განათლების დანერგვის გუთნისდედობა.

რას ნიშნავს — „ერთი პირია უნივერსიტეტის დამაარსებელი?" ერთი პირის თუნდაც გმირული ღონისძიებებითაც როდი წარმოიქმნება უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილი იმიტომაა უნივერსიტეტის შემქმნელი, რომ იგი ყველაზე შორს და ღრმად ხედავდა ქართული უმაღლესი სკოლის არა მარტო საჭიროებას, არამედ მისი გახსნის ხელსაყრელ მომენტსაც, აღაფრთოვანებდა და წარმართავდა ეროვნულ ენერგიას ამ მიზნისათვის. რა თქმა უნდა, ეს ფართო ორგანიზატორულ, არაკაბინეტურ მუშაობას, ბრძოლის მრავალსახოვანი და მრავალფეროვანი საშუალების გამოყენებას გულისხმობდა. ყველაზე მეტ სიძნელეს ქმნიდა იმდროინდელი სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც დაჟინებული მოწინააღმდეგე იყო ქართული უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისა.

ივანე ჯავახიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ახალგაზრდა მეცნიერთა (თვით მას უნივერსიტეტის გახსნის დროს 42 წელიც არ შესრულებოდა!) მცირე გუნდი, რომლის მხრებმა გადაიტანა ყველაზე მძიმე ტვირთი უნივერსიტეტის შექმნისა. ამ მცირე გუნდში შედიოდნენ ივანე ჯავახიშვილის უპირველესი თანამოსაგრენი — იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე. მათ ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობის დროს ჩაატარეს წინასწარ შემოწმებითი გამოკვლევანი, რომლებიც ადასტურებენ ჩვენი ხალხის სრულ მზადყოფნას უმაღლესი ეროვნული სკოლის გახსნისათვის.

ამ შემოწმებითი ღონისძიებების მნიშვნელობა მეტად დიდი იყო, მაგრამ ისინი მარტოოდენ მომავალი მეცნიერული შენობის გრუნტის სიმტკიცეს ადასტურებდნენ, თვით შენობა კი შემდეგ უნდა აგებულიყო.

დიდი ეპოქა, უნივერსიტეტის შესაქმნელად რომ იქნა გადახდილი, აკაკი შანიძის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა.

ერთი დღეც არ დაუყოვნებია ივანე ჯავახიშვილს, რათა გამოეყენებინა თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია. 1917 წლის აპრილში მან მუშაობის ცენტრი საქართველოში გადმოიტანა. იოსებ ყიფშიძე და ეკაკი ყანიძე მაისის თვეში გამოეშურნენ სამშობლოში და მხარში ამოუდგნენ ივანე ჯავახიშვილს.

1917 წლის 12 მაისს ეკაკი ყანიძე ესწრება ივანე ჯავახიშვილის მიერ მოწყობილ ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებას. სწორედ ეს დღეა ის ნიშანსვეტი, რომლიდანაც პირველი ორგანიზაციული საფუძველი ეყრება ეროვნული უნივერსიტეტის შექმნისათვის ბრძოლას. ამ დღეს „კრებამ ერთხმად მიიღო მომხსენებლის (ივ. ჯავახიშვილის) წინადადება და გადაწყვიტა, დაარსდეს ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი — ყველა სათანადო ფაკულტეტებით; მხოლოდ ამთავად უნდა გაიხსნას სიბრძნისმეტყველების განყოფილება". [1]

უნივერსიტეტის საზოგადოების ამ დამფუძნებელი კრების შემდეგ არნახული ძალის მუშაობა გაჩაღდა საქართველოში და მის გარეთ. ეკაკი ყანიძეც ამ მუშაობითაა გატაცებული. იგი ქართული უნივერსიტეტის დაარსების რწმენით ცოცხლობს. უნივერსიტეტის შექმნის იდეა უმალ გახდა მთელი ხალხის კუთვნილება.

1917 წლის 3 და 8 ოქტომბერს გაიმართა უნივერსიტეტის საზოგადოების კრებები, სადაც აღინუსხა ხალხის სიყვარულის გამომჟღავნების მრავალი ფაქტი და დადასტურდა საუნივერსიტეტო ქალაქად თბილისის გადაქცევის მოახლოება. სწორედ ამიტომ უკვე 8 ოქტომბერს უნივერსიტეტის საზოგადოების საერთო კრებამ მადლობა გამოუცხადა ივანე ჯავახიშვილს როგორც ამ დიდი საქმის თაოსნობისათვის, ისე დაუღალავი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.

ეკაკი ყანიძე გვერდში ედგა თავის უფროს მასწავლებელსა და მეგობარს.

ყველას როდი ახარებდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება. დროებითი მთავრობა სრულიადაც არ ჩქარობდა ნებართვის გაცემას უნივერსიტეტის შექმნაზე. იგი არა მარტო მიზეზს ეძებდა, არამედ ისწრაფოდა თავიდანვე სახელი გაეტეხა და ავტორიტეტი შეელახა ქართული უნივერსიტეტისათვის, თუკი იგი ოდესმე შეიქმნებოდა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა, ქართული კერძო უნივერსიტეტის გარდა, თბილისში რუსული სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნა. ეს კი პატრიოტი ქართველი მოღვაწეებისათვის შეუმჩნეველი როდი დარჩა.

1917 წლის 14 ოქტომბერს გაზეთ „სახალხო საქმეში" ეკაკი ყანიძე აქვეყნებს შესანიშნავ წერილს სათაურით — „ორი უნივერსიტეტი". წერილი კარგად წარმოგვიდგენს დროებითი მთავრობის განზრახვის არსს:

> „პეტერბურგიდან პირდაპირი მავთულით სასწრაფოდ იტყობინებიან, რომ ტფილისში იანვრიდან რუსული უნივერსიტეტი გაიხსნებაო.
>
> პეტერბურგიდან ნელ-ნელა ფოსტით მოდის და ჯერ ვერც კი

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე 1, ფურც. 1, გვ. 2.

ჩამოსულა ქართული უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, შეწყნარებული და ორი მუხლის გამოკლებით თითქოს დამტკიცებული დროებითი მთავრობის მიერ.

ჯერ ჩამოსულა, მაგრამ ალბათ როგორმე ჩამოვა, და, მაშასადამე, ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქნება: ერთი — რუსული, მეორე — ქართული: ერთი — მთავრობისა, მეორე — კერძო, ერთი — უფლებრივი უპირატესობით აღჭურვილი და სახელმწიფოს მიერ ზურგგამაგრებული, მეორე — უფლებას მოკლებული და პირადი თაოსნობის მომიმედე, ერთი — ხაზინის მიერ შენახული და ქონებრივად უზრუნველყოფილი, მეორე — კერძო პირთა გულშემატკივრობასა, დახმარებასა და მზრუნველობაზე დამყარებული... ქართველთა ეროვნული ტკივილების ცოტად მაინც დამაამებელი,

ქართული მეცნიერების ტაძარი,

ქართული კულტურის დაცვისა, შენახვისა და განვითარების ფარხმალი,

ქართველთა და ქართულად მოუბართა წყარო ცოდნისა,

ქართველთა საჭიროებაზე აღმოცენებული.

პეტროგრადიდან პირდაპირი მავთულით სასწრაფოდ გვატყობინებენ რუსული უნივერსიტეტის გახსნას.

პეტროგრადიდან ნელ-ნელა ველით ფოსტით მომავალ ქართული უნივერსიტეტის დებულებას, რომლის ორი მუხლი დაუმტკიცებელია.

ტფილისში იანვრიდან ორი უნივერსიტეტი იქმნება".

ოქტომბერმა ააფეთქა დროებითი მთავრობა. ეს მუხანათური გეგმაც მას მიჰყვა.

ამ ვითარებაში ათასნაირი ახალი და ახალი წინააღმდეგობანი ხვდებოდა უნივერსიტეტის დაარსებას.

ჭეშმარიტი ოდისეა იყო პატრიოტ მეცნიერთა ბრძოლა, მეცნიერთა, რომელთაც არ იციან დაბრკოლება, შიში და უკანდახევა. მეცნიერ-მებრძოლთა მცირე გუნდი ერთნაირი გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეპყრობოდა ყველაფერს, რაც უნივერსიტეტის გახსნას აახლოვებდა. არ იყო ზღვარი დიდსა და წვრილმან საქმეს შორის, აკადემიურსა და საფინანსო, სასწავლო და სამეურნეო პრობლემებს შორის. ყველა მათგანს იხილავდა და წყვეტდა პროფესორთა საბჭო.

პროფესორთა საბჭოს პირველი წინასწარი სხდომა 1917 წლის 26 ნოემბერს შედგა ექვთიმე თაყაიშვილის ბინაზე. თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი, მდივნობდა აკაკი შანიძე.

აკაკი შანიძის პირად არქივში ინახება პროფესორთა საბჭოს წინასწარი სხდომების ოქმების გაფართოებული ჩანაწერები საერთო სათაურით — „ქართული უნივერსიტეტის ძეგლისწერანი".

მართლაც რომ ძეგლისწერანი ეთქმის მათ არა თუ ისტორიული ტერმინოლოგიით, არამედ მათი პირდაპირი მნიშვნელობითაც.

წიაღაც გრძნობდნენ უნივერსიტეტის დამაარსებლები იმ დღეების ისტორიულობას და სიამაყით, დიდი უბრალოებით აღნუსხავდნენ ამას.

ამ ოქმთა ყოველი სტრიქონი ძვირფასია თაობებისათვის, ვინაიდან მათ

მიღმა მთელი სისრულით წარმოგვიდგება ქართული უნივერსიტეტისათვის გადახდილი დიადი ეპოპეის ეპიზოდები.

ახლა ადვილი წარმოსადგენი როდია მომენტის თავისებურება. ესაა პერიოდი, როცა ჯერ კიდევ არ იყო საუნივერსიტეტო „შრომის დანაწილება". ყველა ისწრაფოდა, პირველი ყოფილიყო სწორედ აღსრულების დროს. ეს იმდროინდელ ვითარებაში უდიდეს ეფექტს იძლეოდა. სხვანაირად ქართული უნივერსიტეტი ვერც შეიქმნებოდა. აქ უნდა გავიხსენოთ 1917 წლის 6 დეკემბერი, როცა უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება სიძნელეებით დაშინებული განუდგა მეცნიერთა მცირე ჯგუფს და ბრძოლის ველზე მარტო დატოვა იგი. დამხმარე საზოგადოების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს იანვარში უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობაზე და სექტემბრისათვის გადახანება მოითხოვეს.

ახლა მეცნიერ-რაინდთა მცირერიცხოვან ჯგუფს უკანდასახევი ხიდები უნდა დაეწვა, გონიერ რისკზე უნდა წასულიყო და გაეხსნა უნივერსიტეტი, რომელსაც ღვთის რწმენით, ხალხი შემდეგში არ გაწირავდა. თუ არა და მარცხის შემთხვევაში უნივერსიტეტის დაარსების საქმე წლობით უნდა გადახანებულიყო. მათ პირველი გზა აირჩიეს... ყველაფერი ივ. ჯავახიშვილის მოქალაქეობრივმა გმირობამ გადაწყვიტა.

უნივერსიტეტის დამაარსებლები უდიდესი გატაცებითა და შთაგონებით ასრულებდნენ იმ საქმეებს, რომლებსაც შორეული კავშირი ჰქონდა მომავალ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობასთან.

აკაკი შანიძე პროფესორთა საბჭოს ყველა წინასწარი სხდომის აქტიური მონაწილე იყო.

1917 წლის 17 დეკემბერს პროფესორთა საბჭო ავალებს იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს უნივერსიტეტის გახსნისა და მიღების პირობების თაობაზე გაზეთებში განცხადებების გამოქვეყნებას [1].

1918 წლის 3 იანვარს პროფესორთა საბჭო თავის წინასწარ სხდომაზე ავალებს იოსებ ყიფშიძეს და აკაკი შანიძეს თავისუფალ მსმენელთა მოწმობების შედგენას და დაბეჭდვას [2]. პროფესორთა საბჭოს წინასწარი სხდომა იხილავს აუდიტორიების მოწყობის საკითხს (სკამები, ელექტრონი, გათბობა). ხელოსნისალევის სკამების შეკვეთისა და დროულად დამზადების საქმე ივანე ჯავახიშვილმა იკისრა. ამავე ოქმში ჩაწერილია, რომ აკაკი შანიძეს მიენდო განათების თაობაზე მოლაპარაკების გამართვა ელექტრონის სადგურთან და გიმნაზიის კომიტეტთან. იქვე აღნიშნულია: „გათბობას ჯერჯერობით თავი დავანებოთო" [3]. ეს დადგენილება პროფესორთა საბჭომ 10 იანვარს გამოიტანა.

პროფესორთა საბჭო ხშირად ავალებს აკაკი შანიძეს სხვადასხვა ენის ლექტორთა მოწვევას.

1918 წლის 13 იანვარს აკაკი შანიძემ მოახსენა პროფესორთა საბჭოს, რომ მას ბათუმიდან ჰასან აბაშიძისაგან ცნობა უნდა მოსვლოდა არაბული ენის ლექტორად მოლა ნივაძის აყვანის თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით მას ეს არ

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 2, ფ. V, ვვ. 2.
[2] იქვე, ფ. 10.
[3] იქვე, ფ. 15.

მიუღია... უნივერსიტეტის გახსნის დღიდან კი ლექციების პირველი განაწილების ცხრილით აკაკი შანიძე კითხულობდა არაბულსა და სომხურ ენებს.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობდა მაჰმადიან ქართველებში შეერჩიათ ისეთი პირები, რომლებიც შეძლებდნენ თურქული და არაბული ენის ლექტორობას. 1918 წლის 17 იანვარს პროფესორთა საბჭოს სხდომის დადგენილებაში ვკითხულობთ, რომ „ა. შანიძემ იკისრა ბათუმს წასვლა და იქ ქართველ მაჰმადიანებში ისეთი პირის გამოძებნა, რომელმაც არაბული ენა იცოდეს და უნივერსიტეტში ლექტორობა შეეძლოს"[1]. მართლაც, შედარებით გვიან მოხერხდა რამდენიმე პირისათვის მოწვევის გაგზავნა უნივერსიტეტის ლექტორობაზე.

1919 წლის 3 მაისს პროფესორთა საბჭო იხილავს სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობას ოსმალური ენის ლექტორად გალაბის ლიცეუმის დირექტორ ჯელალ მაჰირბეი მემარნიშვილის დამტკიცების შესახებ და გზის ფულად მას აძლევს ას ლირას[2]. იგი მხოლოდ სემესტრის ბოლომდე ასწავლიდა თურქულ ენას, შემდეგ კი ეს ადგილი ვაკანტური დარჩა. 1919 წლის 30 ოქტომბერს პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის გადაწყვეტილება პირველი სექტემბრიდან თურქული ენის ლექტორად ტაჰსინ ხიმშიაშვილის მოწვევის შესახებ[3], მაგრამ დიდხანს არც მას უმუშავნია უნივერსიტეტში.

მას შემდეგ, რაც ქართველ მაჰმადიანთაგან ვერ მოიძებნა შესაფერისი ლექტორები თურქული და არაბული ენებისა, გადაწყდა, თვით უნივერსიტეტს აღეზარდა სპეციალისტები. ეს ასეც მოხდა. უნივერსიტეტის სტუდენტთაგან შეირჩნენ უნიჭიერესი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ გამოჩენილი მეცნიერები გახდნენ. ახლა არაბისტიკის ქართულ სკოლას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის აღზრდილი პროფ. გ. წერეთელი, ხოლო თურქულ ფილოლოგიას — აქვე აღზრდილი პროფ. ს. ჯიქია.

1918 წლის 17 იანვარს პროფესორთა საბჭომ დაავალა იოსებ ყიფშიძესა და აკაკი შანიძეს ფრანგული ენის ლექტორის ე. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ინგლისური ენის ლექტორის ვანდა იამბაშიძის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამების განხილვა[4].

აკაკი შანიძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველი მდივანია (1918 წლის 8 ნოემბრიდან). მაშინ უნივერსიტეტში ერთი ფაკულტეტი იყო მთელი პირველი სემესტრის განმავლობაში. არსებითად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სხდომები და პროფესორთა საბჭოს სხდომები ერთმანეთს ემთხვეოდა, ფაკულტეტის ცალკე სხდომა ერთხელ შედგა — 1918 წლის 27 იანვარს.

ახალი (საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამკურნალო) ფაკულტეტების შექმნის შემდეგ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი მკვეთრად გამოეყო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს.

აკაკი შანიძე 1918 წლის 14 ნოემბერს აირჩიეს უნივერსიტეტის გამგეობის მდივნად.

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 2, ფ. 17.
[2] იქვე, ფ. 67.
[3] იქვე, ფ. 18.
[4] იქვე.

იოსებ ყიფშიძის გარდაცვალების შემდეგ აკაკი შანიძე პროფესორთა საბჭოს სწავლული მდივანია. ამას თუ დავუმატებთ მუშაობას წიგნსაცავის გამგედ და „უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორად, რასაც ერთვოდა აკაკი შანიძის დაძაბული სამეცნიერო-კვლევითი და სალექციო მუშაობა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ყოველივე ეს მეტად დიდ ენერგიას მოითხოვდა, რაც მხოლოდ დიდ მიზანს შეეძლო წარმოეშვა. აკაკი შანიძე არც ერთხელ არ გაქცევია დავალებებს. მათ იგი მოუღლელად და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასრულებდა. იოსებ ყიფშიძის შემდეგ იგი ხელმძღვანელობდა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში. იგი მხოლოდ და მხოლოდ სთხოვდა ხოლმე პროფესორთა საბჭოს, რომ, როცა ამის შესაძლებლობას ეს უკანასკნელი დაინახავდა, გაეთავისუფლებინა რომელიმე დავალებისაგან. პროფესორთა საბჭო ვერ აკმაყოფილებდა ამ თხოვნას. ბოლოს, 1919 წლის 9 აპრილს, მან შეიწყნარა თხოვნა და „მადლობა გამოუცხადა აკაკი შანიძეს, რომელიც აქამომდე გამგეობის მდივნის მოვალეობას ასრულებდა“ [1].

1920 წელს პროფესორთა საბჭომ გაათავისუფლა აკაკი შანიძე სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მდივნობისაგან და მდივნად გიორგი ახვლედიანი დაამტკიცა.

1920 წელს პროფესორთა საბჭომ რამდენჯერმე განიხილა აკაკი შანიძის მრავალგზისი თხოვნა „უნივერსიტეტის სხვა საქმეებით გადატვირთულობის გამო“ პროფესორთა საბჭოს სწავლული მდივნობისაგან გათავისუფლების შესახებ. კერძოდ, 30 ივნისს პროფესორთა საბჭომ განიხილა ა. შანიძის თხოვნა, გაეთავისუფლებინათ იგი საბჭოს მდივნის მოვალეობის ასრულებისაგან ზაფხულში, ვინაიდან იგი სვანეთში მიემგზავრებოდა სამეცნიერო მიზნით [2]. საბჭომ აკაკი შანიძე პირველ სექტემბრამდე გაათავისუფლა.

პირველი სამეცნიერო მივლინება, მოწყობილი თბილისის უნივერსიტეტის მიერ, ეს — სწორედ აკაკი შანიძის მივლინება იყო სვანეთში. იგი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. სწორედ ამ მივლინებამ შეუწყო ხელი შესანიშნავი ნაშრომის შექმნას — „უმლაუტი სვანურში“, რომელიც ნ. ფოქტის სიტყვით, ფუძემდებლურია ქართველოლოგიაში [3]. სამეცნიერო მივლინებიდან დაბრუნებული აკაკი შანიძე კვლავ განაგრძობს სწავლულ მდივნობას. მხოლოდ 1920 წლის 12 ნოემბერს დააკმაყოფილა საბჭომ აკაკი შანიძის თხოვნა და გამოიტანა დადგენილება: თხოვნა შეწყნარებულ იქნა და გამოეცხადა მადლობა აქამომდე სამდივნო საქმეების წარმოებისათვის [4]. ამ დადგენილების დროს საბჭო მიუთითებდა აკაკი შანიძის გადატვირთულობას უნივერსიტეტის სხვა საქმეებით.

რა ჰქონდა მას მხედველობაში?

აკაკი შანიძის სახელთანაა დაკავშირებული უძნელესი საქმე იმდროინდელ ვითარებაში „უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემისა და, საერთოდ, ზრუნვა უნივერსიტეტის გამოცემებზე.

1919 წლის 9 აპრილს პროფესორთა საბჭომ აკაკი შანიძე გაათავისუფლა

---

1 საქართველოს სსრ ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 2, ფ. 65-ა.
2 იქვე, ფ. 117.
3 „Вопросы языкознания“, 1966, № 6, გვ. 111.
4 იქვე, ფ. 120.

უნივერსიტეტის გამგეობის მდივნობისაგან და შეიყვანა იგი „უნივერსიტეტის მოამბის“ სარედაქციო კოლეგიაში [1].

ახლა ადვილი როდია მთელი იმ სიძნელეების წარმოდგენა, რაც წიგნის გამოცემის საქმეს ახლდა. სურათის შედარებით სრულად დახატვისათვის საჭიროა, შევეხოთ გამოცემის საქმის ისტორიის ზოგიერთ დეტალს. მასში კარგად მოჩანს მომენტის თავისებურება. უპირველეს ყოვლისა ის უნდა აღინიშნოს, რომ თვით აკაკი შანიძე, მიუხედავად მომენტის სიმძიმისა და არნახული დატვირთულობისა, ფართო მეცნიერულ კვლევას განაგრძობდა.

უკვე 1918 წლის 27 თებერვალს პროფესორთა საბჭომ განიხილა აკაკი შანიძის თხოვნა საჭირო თანხების გამოყოფის თაობაზე მისი გრამატიკული გამოკვლევის დაბეჭდვისათვის და მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „საბჭომ პრინციპულად მიიღო წიგნის დაბეჭდვა და ამისათვის თანხის გამოღებაც სასურველად სცნო, მაგრამ საჭიროდ დაინახა ამ საქმის გადადება, ვიდრე ჩვენი სტრატეგიულ-პოლიტიკური მდგომარეობა საბოლოოდ გამოირკვეოდეს“-ო [2].

ეს დადგენილება არავის არ უნდა აკვირვებდეს. მარტო შიმშილი და ნგრევა, ქაღალდისა და საბეჭდი ნიშნების უქონლობა კი არ წარმოადგენდა სიძნელეს. თურქების შემოსევამ არნახული საფრთხე შექმნა. სწორედ ეს იყო უმთავრესი მიზეზი უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოების შიშისა, რომ უნივერსიტეტის გახსნა იანვარში, გაურკვეველ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, ამ საქმეს ჩავარდნის აშკარა საფრთხეს შეუქმნიდა. ამგვარი საფრთხე მართლაც იყო. აქ დამხმარე საზოგადოების ხელმძღვანელობა არ ცდებოდა, თუმცა მათ გულუბრყვილოდ სწამდათ, რომ შემოდგომაზე ყველაფერი კალაპოტში ჩადგებოდა. დამხმარე საზოგადოება ვერ ხედავდა ხალხის სიყვარულის ძალას, მის თავგანწირვას, იმას, რომ ხალხმა გადაწყვიტა ჰქონოდა უნივერსიტეტი, მაგრამ აეტანა პურის უქონლობა. მართლაც დადგა რეალური საფრთხე: დადგა საკითხი, დაიხუროს თუ არა ახლადფეხადგმული ორი თვის უნივერსიტეტი. 1918 წლის 3 აპრილს პროფესორთა საბჭოს საგანგებო სხდომაზე დღის წესრიგში იდგა საკითხი: ოსმალთა შეტევით შექმნილი სიტუაციის გამო ხომ არ დაეკეტათ უნივერსიტეტი.

სრულად უნდა აღვბეჭდოთ საბჭოს გადაწყვეტილება:

„უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებული იქნას.

ითხოვოს, ვისაც ჯერ არს, დაყენებულ იქნენ საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული, რომ საომარი მოქმედების ასპარეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლო-მახლო მიდამოები.

საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“ [3].

სულ ცხრაა იმ რაინდ მეცნიერთა რიცხვი, რომლებმაც ამ დადგენილებას

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 2, ფ. 65-ა.
[2] იქვე, ფ. 22ა.
[3] იქვე, ფ. 16.

მოაწერეს ხელი. აი მათი სახელები: პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი და იოსებ ყიფშიძე.

უნივერსიტეტი ჰერკულესივით ვითარდებოდა და ვაჟკაცდებოდა მრავალნაირ გაჭირვებასთან ბრძოლაში.

უნივერსიტეტს არ გააჩნდა თავისი სტამბა, რადგან სტამბის შენახვა მას მეტად მძიმე ტვირთად დააწვებოდა. ამიტომაც 1918 წლის 13 სექტემბერს საბჭომ დაადგინა: „დღევანდელ პირობებში ხელსაყრელი არ იქნება უნივერსიტეტის საკუთარი სტამბის გაჩენა“ [1].

პროფესორთა საბჭო ხშირად აყენებდა საკითხს მაშინდელი მთავრობის წინაშე შეღავათიან პირობებში სტამბით სარგებლობის შესახებ.

პროფესორთა საბჭო და უნივერსიტეტის გამგეობა, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, უხვად გამოყოფდა ხარჯებს სტატიების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების დასაბეჭდად. დიდ ხარჯებს იღებდა უნივერსიტეტი ქაღალდის შესაძენად. ბევრჯერ იდგა დღის წესრიგში საკითხი მეცნიერული და სასწავლო პროდუქციის გამოცემის თაობაზე. 1919 წლის 3 მაისს უნივერსიტეტის გამგეობამ განიხილა საკითხი საუნივერსიტეტო გამოცემათა დასაბეჭდად სტამბის ამორჩევისა და იქ მუშაობის პირობების გამორკვევის შესახებ. გამგეობამ დაადგინა: „მიენდოთ პროფესორთ — კ. კეკელიძეს და ა. შანიძეს ამ საქმის შესახებ ცნობების შეკრება და გამორკვევა იმისა — სასარგებლო იქნება თუ არა უნივერსიტეტისათვის საკუთარი ასოთამწყობის დაჭერა ამა თუ იმ სტამბაში, სადაც ეს ნებადართული იქნება“ [2]. ამ დროს მათთვის არა მარტო საკუთარი სტამბის შენახვა, არამედ ერთი ასოთამწყობის რჩენაც პრობლემას წარმოადგენდა.

„უნივერსიტეტის მოამბის“ გამოცემის მდგომარეობა ხშირად იხილებოდა პროფესორთა საბჭოსა და უნივერსიტეტის გამგეობის სხდომებზე. 1919 წლის 9 აპრილს პროფესორთა საბჭოზე გადაწყდა „უნივერსიტეტის მოამბის“ როგორც ჯერჯერობით ყველა ფაკულტეტის საერთო ორგანოს გამოცემა. 1919 წლის 28 ივნისს უნივერსიტეტის გამგეობამ განიხილა პროფესორთა საბჭოსაგან გადმოცემული საკითხი — უნივერსიტეტის ორგანოსა და გამოცემათა შესახებ. გამგეობამ დაადგინა: „უნივერსიტეტის ორგანო გამოიცეს 400 ცალი. ავტორებს მიეცეს 10-10 ცალი ამონაბეჭდისა. თუ მეტს მოინდომებენ, შეუძლიათ თავიანთი ქაღალდით შეიძინონ. გამოცემები იბეჭდებოდეს 600 ცალად. რაც შეეხება თანხების განაწილებას, 70 ათასი მანეთი გადაიდოს ორგანოსათვის, დანარჩენი 190 ათასი მანეთით ჯერ შეძენილი იქნეს საჭირო ქაღალდი და მერე განაწილდეს სამივე ფაკულტეტთა შორის“ [3].

1919 წლის 27 დეკემბერს უნივერსიტეტის გამგეობამ განიხილა საკითხი პროფესორთა სალექციო კურსების კერძო გამოცემის შესაძლებლობის თაობაზე.

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 1, ფ. 46.

პროფ. ა. შანიძე გადმოგვცემს, რომ პროფ. ს. გოგიტიძე იგონებდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის გამოცდილებას და თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ საკუთარი სტამბა მხოლოდ ზარალს მოუტანდა უნივერსიტეტსო.

[2] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 4, ფ. 39.

[3] იქვე, ფ. 53, გვ. 2.

გამგეობამ სავსებით სამართლიანად დაადგინა, რომ ეს „არა თუ შესაძლებელია, სასურველიცაა, ვინაიდან უნივერსიტეტს შეუძლია მხოლოდ 600 ცალის გამოცემა“ [1].

პროფესორთა საბჭოს, ისევე როგორც გამგეობას, კარგად ესმოდა, რომ წიგნზე არნახული შიმშილის დროს 600-ცალიანი ტირაჟით გამოცემა საკითხის გადაწყვეტა არ იყო. მაგრამ ქაღალდის უქონლობა მეტის საშუალებას არ იძლეოდა. 1920 წლის 26 აგვისტოს უნივერსიტეტის გამგეობამ განიხილა ივ. ბერიტაშვილის თხოვნა, რომ მიეცათ მისთვის შესაძლებლობა „ცხოველთა ფიზიოლოგიის“ სახელმძღვანელოს II ტომის 1000 ცალად გამოცემისა, ვინაიდან წიგნზე დიდი მოთხოვნილება იქნებოდა ექიმთა შორისაც და შესაძლებელი იყო, ყველა სტუდენტს არ შეხვედროდა. პროფ. ივ. ბერიტაშვილი თავის თხოვნაში დასძენდა, თუ გამგეობა დამრთავს ნებას, ზედმეტი ქაღალდის ფასს თვითონ გადავიხდი წიგნის შემოსავლიდანო. პროფ. ივ. ბერიტაშვილის თხოვნა, როგორც ვხედავთ, ყოველმხრივ დასაბუთებული იყო, მაგრამ გამგეობის სიმკაცრეს ქაღალდის სიმცირე განსაზღვრავდა. გამგეობამ დაადგინა: „მიეცეს ქაღალდი საჭირო 600 ცალისთვის“-ო [2].

მეცნიერების უსაზღვრო სიყვარულით ყველა დაბრკოლებას ძლევდნენ უნივერსიტეტის პროფესორები. ისინი უკვე უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებშივე შესანიშნავ გამოკვლევებს ბეჭდავდნენ და ამით ერთხელ კიდევ ადასტურებდნენ, თუ რამდენად გამართლებული იყო ჩვენში უმაღლესი სკოლის შექმნა.

ამ მხრივ მისაბაძ მაგალითს თვითონ აკაკი შანიძე იძლეოდა. მიუხედავად მრავალმხრივი სასწავლო და სამეცნიერო დატვირთულობისა, მან მოახერხა არაერთი გამოკვლევის გამოქვეყნება. მათ შორის აღსანიშნავია 1920 წელს გამოქვეყნებული მისი შესანიშნავი ნაშრომი „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. ქართველოლოგიის ეს ფუძემდებლური ნაშრომი აჯამებდა ახალგაზრდა მკვლევრის თითქმის 10 წლის მუშაობის შედეგებს. იგი ავტორმა უძღვნა „ქართული უნივერსიტეტის პირველ მუშაკთა გუნდიდან უდროოდ გარდაცვალებულთა — პროფესორის იოსებ ყიფშიძისა, ლექტორის დავით ყიფშიძისა და პროფესორობისათვის მოსამზადებლად დატოვებული სილიბისტრო თომიას ძვირფას ხსოვნას“.

აკაკი შანიძე აქტიური მონაწილეა იმ დიდი პროცესისა, რომელიც საზოგადოდ ქართული მეცნიერული ენის არნახული აღორძინების, მისი განვითარების სრულიად ახალ ეტაპს გულისხმობს.

ეროვნული უნივერსიტეტის გახსნის მოწინააღმდეგენი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არგუმენტად იმას აყენებდნენ, რომ იმ დროს ქართულ ენაზე არ მოიპოვებოდა სახელმძღვანელოები, არ არსებობდა მეცნიერული ტერმინოლოგია. არსებითად კი ამგვარი ტერმინოლოგიის შექმნა მათ შეუძლებლად მიაჩნდათ.

სხვანაირად ფიქრობდნენ უნივერსიტეტის შემქმნელები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ, მართალია, არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები, არ ჰქონდათ მეცნიერული ტერმინოლოგია, მაგრამ იგი არც არასოდეს ექნებოდათ, თუ იმთავითვე არ შეუდგებოდნენ მის შექმნასა და დახვეწას. ამასთან ერთად, ქართველი მოღვაწენი

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 47, ან. 1, საქ. 4, ფ. 113, გვ. 2.

[2] იქვე, ფ. 230.

წინააღმდეგნი იყვნენ, უარი ეთქვათ მეცნიერებისა და ტექნიკის ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნაზე. მათ მიუღებლად მიაჩნდათ, დარჩენილიყო ქართული ენა მარტოოდენ პოეზიის, საზოგადოდ, ლიტერატურის, ჰუმანიტარული მეცნიერების ენად. ქართველ პატრიოტ მოღვაწეებს მშობლიური ენის ყველა ფუნქციის განვითარება მიაჩნდათ მისი აყვავების აუცილებელ პირობად. ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებში აღზრდილი ქართველი პროფესორები კარგად იყვნენ დაუფლებული მეცნიერების ცალკეულ დარგებს, მაგრამ მათ ყოველთვის როდი იცოდნენ მეცნიერული ტერმინების ქართული შესატყვისები. მიუხედავად ამისა, აუდიტორიის წინაშე ისინი მარტო ბოდიშს როდი იხდიდნენ საჭირო ტერმინთა ქართულ შესატყვისთა უცოდინარობისათვის, ცუდი ქართულისათვის. ისინი იმ დროს იშვიათად თარგმნიდნენ, სამაგიეროდ უშუალოდ ქმნიდნენ სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებს, ქმნიდნენ უდიდესი შემართებითა და დაჟინებით, ქმნიდნენ და პირველად ამეტყველებდნენ ქართულ ენაზე. ზოგიერთი პროფესორისათვის კი ეს ქართული ენის შესწავლაც იყო. ჯერ აუწერელია პირველ ქართველ მათემატიკოსთა და ფიზიკოსთა, ქიმიკოსთა და ფარმაცევტთა, ექიმთა და ინჟინერთა ნამდვილი მეცნიერული გმირობა. თავიანთ გამოკვლევებს ისინი მეცნიერების განვითარების დონეზე მდგარი წერდნენ და, ამასთან ერთად, ძნელსა და შრომატევად მომქანცველ ტერმინოლოგიურ მუშაობასაც თვითონვე ეწეოდნენ. ეს თუმცა ძნელი, მაგრამ ყველაზე სწორი გზა იყო ადეკვატური ტერმინების მიგნებისა. მათ პირველმა დაამუშავეს ქართული ენის სავარჯიშო მოედანი მეცნიერების ამა თუ იმ დარგისათვის. რა ვუყოთ, რომ ამ მოედანს შემდეგ გაწმენდა ესაჭიროებოდა. მაშინ ბევრი ისეთი ტერმინი შეიქმნა, რომელსაც მოხდენილობა, სიმარჯვე, სიზუსტე, ხალხურობა და კეთილხმოვანება ახასიათებდა. ცალკეული ტერმინის ნაკლი სრულიად იჩრდილებოდა მეცნიერული ცოდნის პირველი ქართული ამეტყველებით და ქართული სინტაქსის ორბიტაში მოქცევით. ტერმინის დახვეწა დროის საქმეა და გაცილებით ადვილი.

პროფ. ივ. ბერიტაშვილმა 1920 წელს გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომი — „ცხოველთა ფიზიოლოგია“. ამ წიგნის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ენის მხრივ სახელმძღვანელო ძლიერ უნდა კოჭლობდეს, მეტადრე დასაწყისი, ტერმინოლოგიაც ხშირად შეუმუშავებელი უნდა იყოს, მაგრამ რა ვუყოთ. მე ვცდილობდი, რამდენადაც ძალა შემწევდა და დროც ნებას მაძლევდა, ერთიც და მეორეც უკეთესად გამოსულიყო, მაგრამ თუ ამ მხრივ ნაკლი დიდია, ამის უპირველესი მიზეზი ისაა, რომ უსახელმძღვანელოდ ფიზიოლოგიის სწავლება არ შეიძლება, და ეს გარემოება მავალებდა, იგი უთუოდ დაჩქარებით გამომეცა, რომ სწავლის დაწყებისას მოსწრებოდა. ამასთანავე, დაბეჭდილის დამუშავება ტერმინოლოგიისა და სტილისტიკის მხრივ უფრო ჩქარი და ადვილი იქნება, ვიდრე სხვა პირობებში, რადგანაც ამ შემთხვევაში სხვებს საშუალება ექნება, თავისი შენიშვნები მომაწოდოს წიგნის ნაკლის შესახებ“ [1].

პროფ. ივ. ბერიტაშვილი სავსებით მართალი იყო.

აკაკი შანიძე აქტიურად მონაწილეობდა უნივერსიტეტის სახელით გამოცემული ნაშრომების ტერმინოლოგიურ სრულყოფაში. ქართული ენის ყველა ფუნქციის ამოქმედება გულისხმობდა ფართო ტერმინოლოგიურ მუშაობას მეცნიერების

---

[1] პროფ. ი. ბ ე რ ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ცხოველთა ფიზიოლოგია 1920 წ., ტ. 1, გვ. XVII.

ჰუმანიტარულ დარგშიც. საქმე ისაა, რომ ამ დარგებში ხანგრძლივი გამოუყენებლობის გამო ბევრი ტერმინი დავიწყებულ იქნა და დაიკარგა. საჭირო იყო მათი პოვნა, დახვეწა, ახლის შექმნა და ჩამოყალიბება. ამ საქმეშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა აკაკი შანიძე. „უნივერსიტეტის მოამბის" გამოცემა აკაკი შანიძის მთავარი საზრუნავი იყო. 1919 წლის 10 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ განიხილა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შუამდგომლობა, რომ უნივერსიტეტის ორგანო გამოცემულიყო ცალ-ცალკე ფაკულტეტების მიხედვით. საბჭომ არ შეიწყნარა ეს შუამდგომლობა, მაგრამ შესაძლებლად ცნო, უკვე დაბეჭდილი გვერდები მაშინვე გამოეშვათ ბაზარზე გასაყიდად რამდენიმე ცალის რაოდენობით[1]. 1920 წლის 3 იანვარს უნივერსიტეტის გამგეობამ დააკმაყოფილა აკაკი შანიძის თხოვნა — მიეცა მისთვის ფულადი თანხა უნივერსიტეტის გამოცემების საერთო წარწერის დასახატად და უნივერსიტეტის კლიშეს გასაკეთებლად[2].

1920 წლის 24 ივნისს პროფესორთა საბჭო განმარტავდა, რომ უნივერსიტეტის გამოცემა ჩვეულებრივ 600 ცალად დაიბეჭდებოდა, აქედან ორი მესამედი ავტორს მიეცემოდა, ხოლო ერთი მესამედი უნივერსიტეტს დარჩებოდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების გამოცემებზე გადასაცვლელად. წიგნს ფასად უნდა დადებოდა იმდენი, რამდენიც დაჯდა და მისი ნახევარი[3]. გადაწყდა ისიც, რომ „უნივერსიტეტის მოამბე" დარიგებოდა პროფესორთა საბჭოს წევრებს.

1920 წლის 12 თებერვალს აკაკი შანიძე მოხსენებას კითხულობს გამგეობაზე, რომ „უნივერსიტეტის მოამბეში" სხვადასხვა მასალების და წერილების მოთავსების საქმე ჯერჯერობით არ არის სასურველ დონეზე, რის გამოც ზოგიერთი წერილის ავტორი (მაგალითად პროფ. ივ. ბერიტაშვილი) სამართლიან უკმაყოფილებას აცხადებსო. გამგეობამ აკაკი შანიძეს დაავალა სარედაქციო კოლეგიის სხდომის მოწვევა და საქმის გამოკვლევა[4].

1920 წლის 30 ივნისს პროფესორთა საბჭომ განიხილა სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წარდგინება „უნივერსიტეტის მოამბის" გამოცემის თაობაზე. საბჭომ დაადგინა: „ა) უნივერსიტეტის ორგანოს გამოცემის ხელმძღვანელად და პასუხისმგებლად უნდა იყოს ერთი პირი, ბ) სარედაქციო კოლეგია უნდა შედგებოდეს ფაკულტეტების წარმომადგენელთაგან, გ) მოწვეულ იქნეს საგანგებო კორექტორი, და უკანასკნელ დ) სასურველია, ხელმძღვანელ რედაქტორად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის წარმომადგენელი იყოს"[5].

რასაკვირველია, „მოამბის" პასუხისმგებელი რედაქტორის ერთადერთი კანდიდატი აკაკი შანიძე შეიძლება ყოფილიყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ფაქტიურად ამ დადგენილების გამოტანამდეც ასრულებდა ამ მოვალეობას.

1920 წლის 7 ოქტომბერს აკაკი შანიძის წინადადებით „უნივერსიტეტის მოამბის" კორექტორად მოიწვიეს სტუდენტი ვარლამ თოფურია. როგორც ცნობილია, იგი შემდეგში გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გახდა და ერთ-ერთი პირველი პროფესორთაგანი იყო უნივერსიტეტის წიაღიდან გამოსული.

———————

[1] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 2, ფ. 88.

[2] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 4, ფ. 114, გვ. 2.

[3] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1 საქ. 1, ფ. 93.

[4] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 4, ფ. 135.

[5] საქართველოს სსრ ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქ. 2, ფ. 117-ა.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგაც განაგრძო აკაკი შანიძემ „უნივერსიტეტის მოამბის“ რედაქტორობა. ახლა პირობები შეიქმნა უნივერსიტეტის სტამბის შესაქმნელად. 1923 წლის 25 მაისს პროფესორთა საბჭომ განიხილა ივანე ჯავახიშვილის მოხსენება უნივერსიტეტის საგამომცემლო საქმის მოწყობის შესახებ; აირჩია საგანგებო კომისია: განათლების კომისარიატის წარმომადგენლები — ალშიბაია და მიქაძე, პროფესორები — ახვლედიანი, კეკელიძე, ჩუცუბიძე და შანიძე; დაავალა ამ კომისიას, აღეძრა შუამდგომლობა სტამბისა და გამომცემლობის საკითხის მოწესრიგების შესახებ. დადგინდა, რომ ამ საქმისათვის პროფესორ-დოცენტებისათვის ხელფასიდან გამოერიცხათ 2% [1].

1923 წლის 21 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ განიხილა აკაკი შანიძის მოხსენება შრიფტისა და ნიშნების შეძენის შესახებ და დაადგინა: „დაევალოს უნივერსიტეტის გამგეობას, იზრუნოს სტამბის შეძენის შესახებ. გამოთხოვილ იქნას საგანგებო თანხა საჭირო შრიფტის შესაძენად. აღიძრას სათანადო შუამდგომლობა პოლიგრაფიული განყოფილების წინაშე ზოგიერთი შრიფტის ჩამოსხმის შესახებ“ [2].

1923 წლიდან თბილისის უნივერსიტეტს გადმოეცა ლითოგრაფია, რომელსაც ჰყავდა სამი თანამშრომელი, ჰქონდა ერთი ძველებური ხელის დაზგა და სამი უვარგისი ლითოგრაფიული ქვა [3].

აკაკი შანიძე კვლავაც დაუღალავად მუშაობს „მოამბის“ გამოცემებზე, თუმცა პროფესორთა საბჭოს არაერთხელ სთხოვს ამ მოვალეობისაგან გათავისუფლებას. პროფესორთა საბჭოსათვის კი ადვილი როდია, დააკმაყოფილოს ეს თხოვნა. 1924 წლის 18 იანვარს პროფესორთა საბჭო იხილავს აკაკი შანიძის განმეორებითს თხოვნას „მოამბის“ რედაქტორობიდან გათავისუფლების შესახებ და ადგენს: „გაწეული დიდი შრომისათვის გამოეცხადოს ბატონ აკაკი შანიძეს მადლობა. საკითხი განთავისუფლების შესახებ გადაიდოს“ [4].

აკაკი შანიძე სულ ბოლომდე, 1930 წლამდე, მუშაობდა „მოამბის“ პასუხისმგებელ რედაქტორად. თუ რა ძნელი იყო მაშინ ამ საქმის გაძღოლა, რაოდენ მძიმე პირობებში ხდებოდა იგი, ეს შესანიშნავად არის აღწერილი აკაკი შანიძის მიერ დაწერილ იმ წინასიტყვაობაში, რომელიც მოამბის II ტომს უნდა წამძღვარებოდა. ახლა მას აკაკი შანიძის ნებართვით, სრულად ვბეჭდავთ.

„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბის მეორე ტომიც დიდი დაგვიანებით გამოდის [5]. ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ მათ შორის არის ერთი ისეთი დაბრკოლება, რომელიც არ შეიძლება, რომ არ აღვნიშნო:

არ იქნა და არა, რომ ტფილისში როგორმე მოჴერჴებულიყო სპეციალური სამეცნიერო სტამბის მოწყობა, რომლისთვისაც მოამბის რედაქცია კარგა ხანია მოწადინებულია, ფიქრობს და ზრუნავს და

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 1, საქმე 2, ფ. 191.

[2] იქვე, ფ. 205-ა.

[3] იხ. გ. ხ ა პ ა ნ ა ძ ე, სახ. უნივერსიტეტის ლითოგრაფია; გაზეთი „პროლეტარულ სტუდენტთა ხმა“, 1928. 26 თებერვალი.

[4] საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფონდი, 471, ან. 1, საქ. 2, ფ. 210.

[5] მასალების ნაწილი ჩაბარებული იყო სტამბაში ჯერ კიდევ 1921 წლის გასულს, მაგრამ აწყობასა და ბეჭდვას მიჰყვეს ჴელი მხოლოდ 1922 წლიდან (ა. შანიძის შენიშვნა).

რამოდენიმეჯერ შესაფერისი შუამდგომლობაც აღუძრავს მთავრობის წინაშე სათანადო საშუალების ჩვენებით და პრაქტიკული ზომების დასახელებით საქმის მოსაგვარებლად. თუ რამდენად მძიმეა შესაფერისი სტამბის უქონლობა მეცნიერულ გამოკვლევათა გამოქვეყნებისათვის, საზოგადოდ, და, კერძოდ, მოამბის ბეჭდვისათვის, ეს იქიდან შეიძლება გაითვალისწინოს კაცმა, რომ, მაგალითად, მესამე სტამბაში (წინათ რომ მთავრობის სტამბა ერქვა), რომელიც ერთი საუკეთესოთაგანია ტფილისში და რომელშიაც დაიბეჭდა ეს ნომერი, ისე ცოტა აღმოჩნდა ლათინური შრიფტი, რომ ძლივსძლივობითა და დიდის გაჭირვებით ჯერჯდებოდა, აეწყოთ თითო-თითო ფორმა (თექვსმეტ-თექვსმეტი გვერდი) პროფ. ს. ვ ი რ ს ა ლ ა ძ ი ს გამოკვლევისა გერმანულ ენაზე (გვ. 66—108). ეს კიდევ არაფერი. პროფ. გ. წ ე რ ე თ ლ ი ს წერილი (გვ. 139—147) თუ დაიბეჭდა, ეს იმის წყალობით, რომ ბერძნული ტექსტი ჰომიროსის ნაწყვეტისა, რომელიც სულ ოცდაერთი სტრიქონისაგან შედგება, გაიყო: თექვსმეტი სტრიქონი ერთ ფორმაში მოჰყვა და ხუთი — მეორეში და როცა ერთი ფორმა დაიბეჭდა, მაშინ ზოგიერთი ასო, რომელიც გვაკლდა, პირველს ამოვაცალეთ და მეორეში ჩავსვით. ბერძნული შრიფტის ნაკლებობა, აბა, რა გასაკვირველია, როცა ქართული ხანმეტი ტექსტების ბეჭდვაც (გვ. 371—391) სწორედ ამგვარი წვალებითა და ვაივაგლახით გვიჯდებოდა?! კიდევ მეტი. იმავე სტამბამ, მათემატიკურ ნიშანთა უქონლობის გამო, ვერ შეძლო აეწყო პროფ. ა. რ ა ზ მ ა ძ ი ს გამოკვლევა (გვ. 282—312), რომელიც აწყობილ და დაბეჭდილ იქნა პირველ სტამბაში. პირველ სტამბაში კი, სადაც იბეჭდება ამჟამად ჟურნალის მესამე ტომი, არ აღმოჩნდა ერთი წერილისათვის საჭირო ძველი ქართული მრგვლოვანი ასოები, რომლებიც სანთლით საძებარი გამქდარა ტფილისში და რომლისთვისაც რკინის გზის სტამბას დავესესხენით. საზოგადოდ ერთი სტამბიდან მეორეში ასოებისათვის სირბილს უკვე შევეჩვიენით და მაგდენად აღარ გვეუცხოება, მაგრამ თუ ვერ შევჰრიგებივართ, მხოლოდ იმიტომ, რომ ესეც არა გვშველის. არა-მეთქი, დამიჯერეთ, რადგანაც, მაგალითად, ზოგი ნიშანი ექვსიოდე სტამბაში მოგვიკითხავს და მაინც ვერ გვიშოვია. ახლად ჩამოსხმა? რასაკვირველია, ახლად ჩამოსხმა კარგი და უებარი წამალია, მაგრამ იგი ყოველთვის როდი გვეშოვება?! ხშირად საჩვენოდ არა სცალიათ და, ამას გარდა, ძნელიც არის ყოველთვის წინდაწინ გათვალისწინება იმისა, თუ რომელი ნიშანი დაგვაკლდება და რამდენი. კიდევ არა უშავს რა, თუ გაკლიათ ისეთი ასოები, რომელთა ყალიბიც მოიპოვება ტფილისში, თორემ სრულიად ახალი ნიშნების ჯერ პუნსონებისა და შემდეგ ყალიბის დამზადებისათვის, ხოლო შემდეგ ჩამოსხმისათვის ხომ თვეებიც არ კმარა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ თანხებიც გვაქვს საამისოდ. ამ მიზეზით, მაგალითად, შეფერხებულია და მომავლისთვის არის გადადებული დიალექტოლოგიურისა და ეპიგრაფიკული მასალების ბეჭდვა. ახლა კიდევ კორექტურების მხრით ხარ შეზღუდული: მესამეს თუ არა, მეოთხე კორექტუ-

რას მაინც, გინდა არ გინდა, ჴელი უნდა მოაწერო დასაბეჭდად. ცვლილების შეტანა, თუნდაც მცირეოდენისა, პირველი კორექტურის შემდეგ აღარ შეიძლება. ეს კი სამეცნიერო შრომას ჴშირად ძალიან ჰვნებს. აღარას ვჩივი იმაზედ, რომ ასოები ძველი და დაქექილია და კორექტურებში მათი დაუსრულებლად სწორება არც თუ ეგრე სასიამოვნოა. მაგრამ უარესი ის არის, რომ ძველი ასოები კორექტურულ ფურცლებზე ხანდახან კიდევ კარგად ჩანს, ხოლო როცა დაიბეჭდება, გაიხედავ და ზოგჯერ გულის გასახეთქად აღარ გამოვა ხოლმე. ყველა, აბა, როგორ ჩამოვთვალო? საზოგადოდ მოგახსენებთ: შესაფერისად მოწყობილ სტამბის უქონლობის გამო ჟურნალის ბეჭდვა ისეთ სიძნელეს წარმოადგენს, რომ ამ სტრიქონების დამწერს გული აქვს გამოკლული. ვიდრე არ გაიმართება ერთი რიგიანი სტამბა, უზრუნველყოფილი სხვადა-სხვა შრიფტებითა და ნიშნებით, მანამდე უნივერსიტეტის მოამბეც მძიმე-მძიმედ და უშნოდ ივლის და საფრთხეში იქმნება ჩაყენებული არა მარტო მოამბე, არამედ საზოგადოდ ქართული სამეცნიერო საქმე.

პირველი ტომის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილი იყო, თვითეულ ფაკულტეტს ცალკ-ცალკე გამოეცა თავისი საკუთარი მოამბე. მაგრამ მას შემდეგ უნივერსიტეტის ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა ორი ფაკულტეტის (სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოს) შეერთებით (პედაგოგიურ ფაკულტეტად) და ახალი ფაკულტეტების გამოყოფით (აგრონომიულისა, პოლიტექნიკურისა, სოციალურ მეცნიერებათა). ამ გარემოებამ საქმე გაართულა და ჴელი აგვაღებინა ჟურნალის ცალკ-ცალკე გამოცემაზე. ამიტომ მოამბე დარჩა საერთო ორგანოდ ყველა ფაკულტეტისათვის, მაგრამ სამაგიეროდ თანდათანობით წარმოიშობა სპეციალური ორგანოებიც სხვა და სხვა სამეცნიერო დარგში ან მეზობელ დარგთა ჯგუფში.

ამ ტომიდან დაწყებული ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე იბეჭდება 900 ცალად.

დასასრულ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მადლობა მოვახსენო პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს, რომლის ჴელმძღვანელობითაც დაიბეჭდა რამოდენიმე ფორმა (12—18) ამ ტომისა ჩემს რუსეთში ყოფნის დროს.“

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტის გამომცემლობის შექმნა და ფეხისადგმა აკაკი შანიძის სახელთანაა დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, გახსნის დღეს უნივერსიტეტს არც ერთი წიგნი არ ჰქონდა, ხოლო ორი წლის თავზე მისი წიგნსაცავი 111 ათას ტომს ითვლიდა.

აკაკი შანიძე ეკუთვნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, რომლებიც თავიანთი მხრებით, მთელი ენერგიით, ოფლის ღვრით სხვადასხვა დაწესებულებებში და კერძო პირთა შორის აგროვებდნენ წიგნებს უნივერსიტეტისათვის. მეტად დიდი იყო აკაკი შანიძის როლი ამ საქმეში. ჩვენ მას აქ ვერც დავახასიათებთ. აღვნიშნავთ მარტოოდენ იმას, რომ აკაკი შანიძე უაღრესი გულისხმიერებით არჩევდა

სწორედ იმ ლიტერატურას, რომელიც ყველაზე მეტად გამოადგებოდა უნივერსიტეტს.

1918 წლის 2 მაისს აკაკი შანიძემ პროფესორთა საბჭოს მოახსენა, რომ მან გადაათვალიერა ვინმე ივალაძის მიერ ჩამოტანილი ოსმალური და არაბული ხელნაწერები და წიგნები, რომლებშიც იგი ათას მანეთს ითხოვს. ხელნაწერები მე-18 საუკუნეზე უადრესი არ უნდა იყოს და, ჩემი აზრით, ხუთასი მანეთი შეიძლება მიეცესო. პროფესორთა საბჭო დაეთანხმა აკაკი შანიძის აზრს [1].

1918 წლის 30 მაისს პროფესორთა საბჭოზე აკაკი შანიძემ აღძრა საკითხი მე-17 საუკუნის ერთი სპარსული ხელნაწერის შეძენის შესახებ. ხელნაწერი ნიზამის ნაწერებს შეიცავს და დართული აქვს მინიატურები, მისი შეძენისათვის კი საჭიროა შვიდასი მანეთიო. საბჭომ დაადგინა, ხელნაწერის გასინჯვა საბოლოოდ მიენდოს ე. თაყაიშვილსა და ა. შანიძეს და, თუ მართლა შესანიშნავი აღმოჩნდება, შევიძინოთო [2].

1918 წლის 6 ივლისს პროფესორთა საბჭომ დაამტკიცა აკაკი შანიძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ერთი სომხური ხელნაწერისა და სომხურ-რუსული ლექსიკონის შეძენის თაობაზე [3].

1918 წლის 17 მარტს აკაკი შანიძეს მიენდო საბიბლიოგრაფიო წრის ხელმძღვანელობა, 1918 წლის დეკემბრიდან კი, როცა გიორგი ახვლედიანი გათავისუფლდა წიგნსაცავის გამგის თანამდებობიდან, აკაკი შანიძეს მიენდო ეს საქმეც. ამასთან ერთად, იგი საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარეც იყო და ორივე ამ თანამდებობაზე ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობდა.

საბიბლიოთეკო კომისიის მაშინდელი სხდომების ჩანაწერები (დღიურები) წარმოგვიდგენენ იმ მრავალმხრივ საქმიანობას, რომელსაც ბიბლიოთეკის მაშინდელი ხელმძღვანელობა ახორციელებდა.

წიგნსაცავიც იქ შეიქმნა, სადაც უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა მოეწყო. სწორედ იქ, მეორე სართულზე, გადაფიცრეს ერთი ოთახი. ამის შემდეგ კი, რაც წიგნების რაოდენობა დიდად გაიზარდა, სიმძიმით მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად დაისვა საკითხი, რათა წიგნსაცავი პირველ სართულზე ჩამოეტანათ. ამის შესახებ 1919 წლის 6 სექტემბერს სთხოვა უნივერსიტეტის გამგეობამ ბიბლიოთეკის გამგეს აკაკი შანიძეს [4].

რაც უფრო იზრდებოდა ბიბლიოთეკის ფონდი, მით უფრო რთულდებოდა მისი ხელმძღვანელობაც. 1919 წლის 16 სექტემბერს პროფესორთა საბჭომ განიხი-

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ან. 2, საქ. 2. ფ. 30-ა.

[2] იქვე, ფ. 33-ა.

[3] იქვე, ფ. 39-ა.

[4] საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქ. 4, ფ. 77. აკაკი შანიძე იგონებს:

„პირველ ხანებში ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის შენობის ზემო სართულის ერთ ოთახში გვქონდა, მაგრამ თანდათანობით მთელი შენობა ჩვენს ხელში გადმოვიდა და დაისვა საკითხი, თუ სად უნდა მოთავსებულიყო ბიბლიოთეკა, რომელიც თანდათან იზრდებოდა. უპირატესობა ქვედა სართულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მიეცა, რომელიც ის-ის იყო გათავისუფლდა გერმანელი ჯარების საწყობისაგან (შიგ ფქვილები ჰქონდათ და ეზოშიც ფურნე ააშენეს და პურს იცხობდნენ). აქ დიდი დარბაზი თითქმის მზად იყო სამკითხველოსათვის და კარგა მოზრდილი ოთახები საკმაო რაოდენობის წიგნს დაიტევდა“ (აკაკი შანიძე, ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორიიდან: გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“ 1958, 18 მარტი).

და აკაკი შანიძის განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვდა, რომ წიგნსაცავში მუშაობის გართულებასთან დაკავშირებით გაეთავისუფლებინათ წიგნსაცავის გამგის თანამდებობიდან და მის ნაცვლად მოეწვიათ საგანგებო პირი. საბჭომ დააკმაყოფილა ა. შანიძის თხოვნა. დადგენილებაში ვკითხულობთ: „თხოვნა აკაკი შანიძისა შეწყნარებულ იქნეს.

ა) მთხოვნელი განთავისუფლებული იქნეს წიგნსაცავის გამგის თანამდებობიდან.

ბ) წიგნსაცავის გამგედ მოწვეულ იქნეს საგანგებო პირი და

გ) წიგნსაცავის გამგეს დაენიშნოს სარგოდ თვეში 1700 (ათას შვიდასი) მანეთი თავისი დამატებითურთ“. [1]

შემდეგში აკაკი შანიძე უაღრესად აქტიურ საქმიანობას განაგრძობს ამ მიმართულებით, როგორც საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარე, მალე კი კვლავ მას ავალებენ ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობას. 1920 წლის 4 იანვარს პროფესორთა საბჭომ ცნობად მიიღო, რომ 1919 წლის ათი დეკემბრიდან წიგნსაცავის გამგის მოვალეობის დროებით შესრულება დაევალა საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარეს აკაკი შანიძეს [2].

1920 წლის 12 ივნისს პროფესორთა საბჭომ კიდევ ერთხელ შეიწყნარა აკაკი შანიძის თხოვნა წიგნსაცავის დირექტორობიდან განთავისუფლების შესახებ და დაადგინა: „მადლობა გამოეცხადოს საბიბლიოთეკო კომისიის თავმჯდომარეს ა. შანიძეს წიგნსაცავის გამგის თანამდებობის შესრულებისათვის აქამომდე“ [3]. ფაქტიურად კი ამის შემდეგაც (ოქტომბრამდე) ხელმძღვანელობდა აკაკი შანიძე ბიბლიოთეკას, საბიბლიოთეკო კომისიას კი 1921 წლის აპრილამდე თავმჯდომარეობდა. და თქმა უნდა, აკაკი შანიძეს არც შემდეგში, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, არ შეუწყვეტია ზრუნვა და ყურადღება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისადმი.

* * *

1920 წლის 22 იანვარს უნივერსიტეტის გამგეობას რექტორმა, პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, მოახსენა, რომ 25 იანვარს გუმბრში ეწყობოდა სომხური უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის გახსნა. ამასთან დაკავშირებით გამგეობამ დაადგინა: „ეთხოვოს პროფ. ა. შანიძეს, შეადგინოს პროფესორთა საბჭოს სხდომის მოსასმენად მისალოცი დეპეშა — შაბათისათვის, 24 იანვრისათვის“ [4].

ეს დეპეშა მართლაც შეადგინა აკაკი შანიძემ და 24 იანვარს გააცნო პროფესორთა საბჭოს, რომელმაც კიდეც მოიწონა იგი. ჩვენ ჯერჯერობით ვერ მივაგენით დეპეშის ტექსტს, მაგრამ მისი შინაარსი გადმოცემული იყო გაზეთ „სახალხო საქმის“ 1920 წლის 25 იანვრის ნომერში მოთავსებულ შესანიშნავ წერილში — „სალამი სომხურ უნივერსიტეტს“.

სტატია იწყება იმ სიხარულით, რასაც მოძმე ეროვნული უნივერსიტეტის

---

1 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქ. 4, ფ. 70.

2 იქვე, ფ. 92.

3 იქვე, ფ. 112.

4 იქვე, ფ. 128.

გახსნა იწვევს. სწორედ ასე ხარობდა ივანეს თუმანიანიც ქართული უნივერსიტეტის გახსნით.

დღეს გუმბრში, — წერს აკაკი შანიძე, — იხსნება ნამდვილი უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი — და ამიერიდან „ფართო სარბიელი ეძლევა სომხური აზროვნების განვითარების საქმეს და მტკიცე საფუძველი ეყრება სამეცნიერო მუშაობის გაჩაღებას და სომხური მეცნიერების აყვავებას".

— სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის შექმნა სავსებით სწორია, — აღნიშნავს აკაკი შანიძე. — ახალ ფეხადგმულ უნივერსიტეტს ბევრი სიძნელე შეხვდება, მაგრამ „საქმის სიყვარულით და ენერგიული შრომით უნივერსიტეტის მეთაურნი, რომელთა შორის ბევრი განთქმული პირია, თანდათანობით დაძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას. მძიმე პირობებში უხდება სომხურ უნივერსიტეტს ცხოვრების დაწყება... მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, რომ უნივერსიტეტის ინიციატორები შეძლებენ თავდავიწყებული მეცადინეობითა და დაუღალავი მუშაობით ჩინებულად გაუძღვნენ დიად საშვილიშვილო საქმეს და ბრწყინვალედ დააგვირგვინონ იგი.

...ჩვენი მეზობლების კულტურის ზეიმის დღეს გული უზომო სიხარულით არის აღვსილი და ვამბობთ:

გაუმარჯოს სომხური განათლების კერას!

გაუმარჯოს სომხურ უნივერსიტეტს!"

ეს სიტყვები მთელი ქართველი ხალხის სულისკვეთებასა და მისწრაფებას გამოხატავდა. ჩვენს ხალხს გულით უხაროდა სომხური უნივერსიტეტის შექმნა.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი 1937 წელს სავსებით სამართლიანად წერდა, რომ თბილისის უნივერსიტეტს არასდროს არ ჰქონია პრეტენზია ან წადილი, „ერთობლივ მთელი კავკასიის უნივერსიტეტად" გადაქცეულიყო, მაგრამ ყოველთვის წინააღმდეგი იყო ეროვნული კარჩაკეტილობისა. ამიტომ მას 1918 წელსავე — დაარსების პირველ დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული". [1]

რასაკვირველია, პირველ რიგში ყველაზე ახლო მოძმის — სომეხი ხალხის მდიდარი კულტურა უნდა შეესწავლათ თბილისის უნივერსიტეტში და ეს ასეც მოხდა. აკაკი შანიძე პირველი იყო, რომელიც სომხურს ასწავლიდა თბილისის უნივერსიტეტში. იგი ხომ ჯერ კიდევ 1914 წელს მიავლინა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ ეჩმიაძინში სომხურ ხელნაწერებზე სამუშაოდ.

შემთხვევით როდი მიანდო აკაკი შანიძეს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ გუმბრის უნივერსიტეტისადმი მისალოცი დეპეშის გაგზავნა მისი გახსნის დღეს.

ამ დეპეშისა და აგრეთვე ჩვენი უნივერსიტეტისაგან საჩუქრად მიღებული წიგნებისათვის სომხური უნივერსიტეტი გულწრფელ მადლობას იხდიდა.

აკაკი შანიძე სომხური მეცნიერებისა და კულტურის დიდი მეგობარია. იგი 1924 წლის აპრილსა და მაისში მონაწილეობას იღებდა სომხეთში მოწყობილ

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ., გვ. 78.

პირველ ქართულ სამეცნიერო ექსპედიციაში. ექსპედიცია სხვადასხვა სპეციალისტებისაგან შედგებოდა და მეტად ფართო მიზნებს ისახავდა. ფრიად ნაყოფიერი და მრავალმნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეს ექსპედიცია თავისი შედეგებით [1]. დელეგაციის მეთაურის პროფესორ გ. ჩუბინაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი „მოლოდინი ასმაგად გამართლდა“ [2].

პროფ. აკაკი შანიძეს ამ ექსპედიციაში ყოფნის დროს მიზნად ჰქონდა დასახული ეჩმიაძინისა და სხვა წიგნსაცავებში დაცული ქართული და სომხური პალიმფსესტების, აგრეთვე ქართული ხელნაწერების ან მათი ფრაგმენტების აღნუსხვა და წაკითხვა. მას განზრახული ჰქონდა სომხეთში არსებული ქართული წარწერების რეგისტრაცია და გადმოღება, აგრეთვე ის, რომ მოეძებნა ალბანური (ჰერული) დამწერლობის კვალი.

ქართული ხელნაწერების არსებობის შესახებ ეჩმიაძინის ბიბლიოთეკის დირექციისაგან მიღებულმა ცნობებმა აკაკი შანიძეს სურვილი აღუძრა, რათა შეემოწმებინა ეს მასალები. ისტორიულ ნაგებობებზე წარწერების არსებობის შესახებ მოწოდებულმა ცნობებმა ამ წარწერების მეცნიერული შესწავლა მოითხოვა და, მართლაც, აკაკი შანიძემ კოშში შეისწავლა იქ არსებული ქართული წარწერა, რომელიც შედარებით მოგვიანებით გამოსცა [3].

ექსპედიციამ აღნუსხა და გადმოიღო ზოგი პალიმფსესტი და იქ მოპოვებული ქართული და ზოგიერთი სომხური ხელნაწერი. ამასთან ერთად, გარდა კოშის ეკლესიის ქართული წარწერისა, აკაკი შანიძემ მისხანის ხეობაში გადმოწერა თაიჩარუხის (რომელსაც ზოგიერთები „გიურჯიქილისას“ უწოდებენ) ქართული წარწერა, ერთი ფრაგმენტი ეჩმიაძინის მუზეუმში დაცული ქართული წარწერისა და რიფსიმეს მონასტრის სასაფლაოზე დაცული ქართული წარწერა.

აკაკი შანიძე სომხური მეცნიერებისა და კულტურის წინაშე შემდეგშიაც მრავალგზის გამოხატავდა თავის პატივისცემასა და სიყვარულს.

* *

თბილისის უნივერსიტეტში სამეცნიერო და სასწავლო ცხოვრების ფეხის ადგმასთან დაკავშირებული ბევრი პრიმა-მოვლენა აკაკი შანიძის სახელთანაა დაკავშირებული.

აკაკი შანიძემ 1920 წლის 9 მაისს სწორედ თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო პირველი დისერტაცია თბილისში და, საერთოდ, საქართველოში.

პირველი მეცნიერული ნათლობა ქართულ უნივერსიტეტში დედაენის გრამატიკის მონუმენტური კვლევით დაიწყო. აკაკი შანიძის სადოქტორო ნაშრომმა ახალი ეტაპი შექმნა ქართულ ენათმეცნიერებაში. ამ ნაშრომს მოჰყვა ივანე ჯავახიშვილის შესანიშნავი ფილოლოგიური აღმოჩენა — ხანმეტი წერილობითი ძეგლების მიგნება. აქ საჭიროა მოვუსმინოთ თვითონ ივანე ჯავახიშვილს, ამ დიდი მეცნიერული აღმოჩენის ავტორს და აკაკი შანიძის ოპონენტს.

---

[1] ლ. მელიქსეთ-ბეგი, საქართველოს პირველი სამეცნიერო ექსპედიცია სომხეთში „ჩვენი მეცნიერება“, 1924. № 1, გვ. 177—180.

[2] Г. Н. Чубинашвили, Из поездки по Армении: „Заря Востока“, 1924, 26 июня.

[3] А. Шанидзе, Грузинская надпись XII века в сел. Кош: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1959, № 1.

არა მარტო დისერტაციის დაცვის დროს, არამედ შემდეგშიც მაღალ შეფასებას აძლევდა ივანე ჯავახიშვილი აკაკი შანიძის მონოგრაფიას — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. 1923 წელს ივანე ჯავახიშვილი წერდა: „პროფესორ აკაკი შანიძემ ჯერ კიდევ 1912 წელს სტუდენტობის დროს აღნიშნა, რომ მეორე პირის სუბიექტური თავსართი ზმნებში ქართულ კილოებშია დაცული. ამის შემდგომ ამავე გარემოებას ძველ ქართულში პროფ. ივ. ყიფშიძემაც მიაქცია ყურადღება. მესამე პირის ობიექტური თავსართის ბუნების გაგებაც აკ. შანიძის ღვაწლს შეადგენს, რომელმაც ამ ორ საკითხს ძველი წერილობითი ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი კილოების მეთოდურ შესწავლაზე დამყარებული მშვენიერი მონოგრაფიული გამოკვლევა უძღვნა. ეს თხზულება პირველი, მრავალ ძეგლების შესწავლაზე დამყარებული შრომაა, ქართული ზმნის ბუნებისა და აგებულების გამოსარკვევად გამოქვეყნებული“ [1]. ეს აზრი აკაკი შანიძის მონოგრაფიაზე ივანე ჯავახიშვილს არასდროს არ შეუცვლია. 1937 წელსაც ივანე ჯავახიშვილი ამ ნაშრომის შესახებ წერდა, რომ იგი „ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევააო“. [2]

ივანე ჯავახიშვილი აგვიწერს, თუ რა ძნელი და მტანჯველი იყო გზა ხანმეტი ძეგლების მეცნიერულ აღმოჩენამდე. ცნობილია, რომ ამგვარი მეცნიერული აღმოჩენები უძილო ღამეების შემდეგ „ევრიკას“ წამოძახილით როდი მთავრდება. აღმოჩენის სიხარული მრავალ იმედგაცრუებას, ხელისფათურით სიარულს, ეჭვებისა და ხელახალი ეჭვების დაძლევას გულისხმობდა.

ქართული პალეოგრაფიის საკითხების მოუღალავად კვლევის დროს ეჭვებსა და ძიებაში მყოფ ივანე ჯავახიშვილს სტუდენტობის დროს ნანახი ქართულ-ებრაული პალიმფსესტის ორი ფურცელი მოაგონდა. მის გულსა და მეხსიერებაში ჩარჩენილი იყო დიადი გარეგანი სახე ეტრატის ორი ნაწყვეტის ფოტოპირისა, რომელიც 1897 წლის ზაფხულში ინგლისიდან მოუვიდა პროფესორ ნ. მარს. ეს ფოტოპირი ნ. მარმა პროფესორ პ. კ. კოკოვცოვს გადასცა ებრაული ტექსტის წასაკითხად. ამ უკანასკნელმა სწორად მიუთითა, რომ ქართული ტექსტი ებრაულზე უძველესი და პირვანდელი უნდა იყოსო.

1922 წლის დეკემბერში ივანე ჯავახიშვილი კვლავ უბრუნდება პროფესორ კოკოვცოვის მიერ გამოგზავნილი ეტრატის ფოტოპირის შესწავლას. ხანგრძლივმა დაკვირვებამ და პალეოგრაფიულმა ჩხრეკამ დაადასტურა, რომ საქმე ეხებოდა ქართული დამწერლობისა და ენის უძველეს ძეგლს. ამან კი უსაზღვროდ ააღელვა ისეთი დინჯი და მშვიდი მკვლევარიც კი, როგორიც ივანე ჯავახიშვილი იყო: „ამ აღმოჩენისაგან გამოწვეული სიხარულისა და მღელვარებისაგან მუშაობა აღარ შემეძლოო“ [3], წერს იგი. ეს აღტაცება შემოქმედებითი კვლევის მძლავრი იმპულსი იყო. ივანე ჯავახიშვილი გადმოგვცემს: „მღელვარებისაგან ცოტა ხნით შეწყვეტილი მუშაობის განახლების დროს ვცდილობდი დავრწმუნებულიყავ, რომ

———————

ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის: „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922—1923. II, გვ. 361.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 427.

[3] „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922-23 წ., ტ. II, გვ. 3, 17.

თვალი არ მატყუებდა და შეცდომა და მოჩვენება არ იყო რასაც ვკითხულობდი“ [1].

ამის შემდეგ უნივერსიტეტის მუზეუმში თოსე ჯანაშვილმა ძველი ხელნაწერები გადმოულაგა ივანე ჯავახიშვილს. ახლა უკვე სწრაფმა გადაფურცვლამაც დაადასტურა მისი ფილოლოგიური აღმოჩენის სიზუსტე და დაადგინა, რომ ტფილისშივე ორი ათას გვერდამდე გვქონდა უძველესი ქართული ძეგლების პალიმფსესტები!

ივანე ჯავახიშვილი უდიდესი მოწონებითა და პატივისცემით აღწერს აკაკი შანიძის მეცნიერული შორსმჭვრეტელობის მნიშვნელობას ამ აღმოჩენის წარმატებით დამთავრებაში. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა დიდი ივანეს დიდბუნებოვნებისა. თას სრულიადაც არ აფიქრებდა მეცნიერული აღმოჩენის „პატენთური საწმინდე“. თისთვის ყველაზე მთავარი იყო ის მიღწეული შედეგი, რასაც ერის კულტურისა და მეცნიერებებისათვის სამსახურის გაწევა შეეძლო. ივანე ჯავახიშვილი დაწვრილებით გადმოსცემს აკაკი შანიძის ნაშრომების როლს ხანმეტი ძეგლების მეცნიერული აღმოჩენის საქმეში: „თხოლოდ როდესაც პროფ. აკაკი შანიძემ გამოარკვია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თანამედროვე კილოებსაც მეორე პირის სუბიექტურ თავსართად ხ და ღ აქვთ შენახული, ამის შემდგომ უკვე შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ ხ ქართული ენის საერთო მოვლენად ჩაგვეთვალა. როდესაც საქართველოს ორ-სამ ასეთ ერთიმეორისაგან დაშორებულს თემში ერთგვარი მოვლენა გვაქვს შენახული, რომლის კვალი ძველ ქართულშიაც ემჩნევა, მაშინ ჩვენ უფლება გვაქვს, ასეთ მოვლენებში საერთო ქართული მოვლენა ვეძიოთ. ამ მეთოდით ვხელმძღვანელობდი საერთო ქართული უძველესი წარმართობის შესწავლის დროს და ვფიქრობ, რომ მის სიფრთხილითა და წინდახედულობით გამოყენებას შეიძლება ნაყოფიერი შედეგი მოჰყვეს ხოლმე. ამიტომ პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ი ს ზემოაღნიშნულის თხზულების შესახებ საჯარო პაექრობის დროს გამოვთქვი კიდეც ჩემი აზრი, რომ სვანური და აღმოსავ. საქართველოს ზოგიერთი კილოებისა და „ხ ა რ“ — „ხ ვ ა ლ“-ის ნაშთი ძველ სამწერლობო ქართულში უფლებას გვაძლევს, ხანი მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსად, ქართული ენის თავდაპირველ საერთო მოვლენად ვიგულისხმოთ“ [2]. ადრე ამის დამადასტურებელი მოვლენის ხილვა ივანე ჯავახიშვილს შორეულ წარსულში მიაჩნდა შესაძლებლად. თაგრამ აი რას აღნიშნავს შემდეგ ივანე ჯავახიშვილი: „როდესაც პროფ. ა. შ ა ნ ი ძ ე მ 1922 წელს კერძო საუბარში მოხსენების წაკითხვამდე ყურადღება თცხეთის ჯვრის ბემეტრე ჴპატოსის წარწერაზე მიმაქცევინა, რომ იქ მ ე ო ხ ხ ე ყ ა ვ-ია ამოჭრილი, ეს მოვლენა ისტორიულად ცნობილს ხანაში ჩემთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ეჭვიც-კი დამებადა, აქ ხომ მრჩობლწერითი ანუ დიტტოგრაფიული შეცდომა არ იყო. თაგრამ ამგვარი ეჭვის უსაფუძვლობას ჩოლნისის ორი წარწერა ამტკიცებდა, სადაც ამგვარივე ფორმებია ნახმარი“ [3].

ახლა თვით აკაკი შანიძეს მოვუსმინოთ.

„უნივერსიტეტის მოამბის“ მეორე ტომში აკაკი შანიძე აქვეყნებს ორ წე-

---

[1] „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1922-23 წ., ტ. II, გვ. 318.

[2] იქვე, გვ. 363—364.

[3] იქვე, გვ. 364.

რილს, რომელთაგან ერთი შედარებით ადრე, 1922 წლის ნოემბერშია დაწერილი. ესაა „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში“.

აქ მან გამოიკვლია ზმნის უძველესი ფორმები: ჰ ე რ თ ე ი ს ი, ხ ე უ ა ე, შ ე-ხ ე წ ი ე და შ ე ხ უ ა ბ თ, რომლებიც ქართულს შემოუნახავს, როგორც ნაშთები მე-3 პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ. აკაკი შანიძე თამამად და შორსმჭვრეტელურად ამტკიცებდა, რომ ზმნის ეს ფორმები „ერთი-მეორეს მხარს უჭერენ და ამჟღავნებენ, რომ ერთსა და იმავე დიალექტურ წრეს ანუ კილოს ეკუთვნიან-“ო [1].

როცა ივ. ჯავახიშვილის წერილი იბეჭდებოდა, აკაკი შანიძე პეტროგრადში იყო ქართულ სიძველეთა რეევაკუაციის საქმისათვის. 1923 წლის მარტში მას მიუღია თავისი მეგობრის — გიორგი ახვლედიანის სიყვარულითა და იუმორით დაწერილი ბარათი ივანე ჯავახიშვილის დიდებული აღმოჩენის თაობაზე.

„მოამბის“ იმავე ტომში დაბეჭდილ მეორე სტატიაში — „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო“ — აკაკი შანიძე გადმოგვცემს იმ განცდებს, რაც ამ დიდმა სიხარულმა გამოიწვია. მან გაიგო, რომ ამ აღმოჩენით გამოწვეული „სიხარულისაგან გული შეუწუხდა“ ივანე ჯავახიშვილს. მასაც ძალზე აჩქროლებია გული და თურმე თავის აღტაცებას ვერ მალავდა, გრძნობით ტაშს უკრავდა ქართული ფილოლოგიის გამარჯვებას და სიხარულით ხატოვნად წერდა: „როგორ ვიფიქრებდი, თუ ზემორე დასახელებულს ჩემს გამოკვლევაში მოყვანილს რამდენსამე გასაკვირვალ ფორმას ასე მალე გამოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, მხოლოდ არა მიწიდან ამოღებული ქვების წარწერებში, არამედ გადარეცხილ-გადაფხეკილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენის გამო, რომ სტამბაში უდროოდ დაბერებულს ორიოდე სიჭაბუკის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებით“! [2].

და თქმა უნდა, თავისი ნაშრომის ასეთი ნაადრევი დაბერება მხოლოდ ახარებდა აკაკი შანიძეს. მან შემდგომ მეტად საფუძვლიანად დაასაბუთა ხანმეტი და ჰაემეტი ძეგლების დიალექტური სხვაობის კონცეფცია.

ხანმეტი ძეგლების აღმოჩენას ივანე ჯავახიშვილი ამ დარგში მეცნიერული კვლევის წარმატებით დასაწყისად თვლის. 1923 წელს იგი წერდა: „ჩვენ წინ დიდი რთული სამუშაოა: ამ ტექსტების წაკითხვა და ღირსეული გამოცემა. და იმედი მაქვს, რომ ჩვენ, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერნი, ამ ჩვენი ვალდებულების პირნათლად ასრულებას ვეცდებით. სახარება-დაბადებისა და საზოგადოდ საღმთო წერილების ძეგლების შესწავლა ისტორიკოსის საქმე არ არის, არამედ ენათმეცნიერთა და მწერლობის ისტორიკოსებისა და ჩვენი სპეციალისტები სათანადოდ გამოიყენებენ ამ ფასდაუდებელს განძს... მაინც და მაინც ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლიან ამ მიღწეულობით დავკმაყოფილდეთ, არამედ უნდა გაორკეცებული ხალისითა და ენერგიით განვაგრძოთ ძიება“ [3]. ამ გზას სათავეში თვითონ ივანე ჯავახიშვილი ედგა. გარდაცვალებამდე 17 წლით ადრე ნათქვამი

---

¹ დასახელებული კრებული, გვ. 281.

² იქვე, გვ. 400.

³ იქვე, ფ. 369—370.

ეს სიტყვები მისი მეცნიერული ანდერძი იყო, რომლის ყველაზე დიდი აღმსრულებელი აკაკი შანიძეა.

ამის მძიმე პერიოდში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების 1944 წლის 1 ივლისის დადგენილებით დაარსდა გამოცემა სერიისა — „ძველი ქართული ენის ძეგლები“.

აკაკი შანიძეა ძველი ქართული ენის ბევრი უშესანიშნავესი ტექსტის გამომცემელი და რედაქტორი. ეს გამოცემები, ფილოლოგიური მეცნიერების უაღრესად თანამედროვე დონეზე შესრულებული, მკვლევართა ფართო წრისათვის მისაწვდომს ხდის გარდასულ საუკუნეთა წერილობით ეროვნულ საუნჯეებს.

აკაკი შანიძისათვის დამახასიათებელი პოლიგლოტის მადლი, ისტორიული მასალის ჩხრეკა-ამოშიფვრის შეუდარებელი უნარი, დროის მიხედვით ერთიმეორისაგან დაქსაქსული მოვლენების დაკავშირების უბადლო ნიჭი, უტყუარი ალღო ცნებათა (ტერმინთა) სემანტიკური ანალიზისა, უზუსტესი მეცნიერული აპარატი — ყველაფერი ეს სრული ადექვატურობით აღგვიდგენს სულიერი კულტურის საგანძურის ერთიან მონუმენტურ სახეებს.

აკაკი შანიძე ადრევე იყო ზოგი ფილოლოგიური ტექსტის გამომცემელი, მაგრამ მისი მოღვაწეობა როგორც ტექსტოლოგისა და წყაროთმცოდნისა, ახალი ძალით 1944 წლიდან გაიშალა. ამ წელს დაიწყო მან ქართული ენის ძეგლების გამოქვეყნება „ხანმეტი ლექციონარის“ გამოცემით.

1944 წლის 2 ივლისს აკაკი შანიძე გვაცნობს ქართული ენის ძეგლთა გამოცემის თავის პროგრამას. იგი წერს:

> „სერია არ გულისხმობს მარტოოდენ ტექსტების გამოცემას: ტექსტებს შეიძლება გამოკვლევებიც ახლდეს, უმთავრესად ენის შესახებ. თუ გამოკვლევა ვრცელია, შეიძლება ის ცალკე ტომადაც დაიბეჭდოს. ბუნებრივია აგრეთვე, რომ ამ სერიაში იყოს ნავარაუდევი ისეთი რამეც, რაც ძველი ქართული ენის ისტორიის საკითხების გამოკვლევას ხელს შეუწყობს, როგორიცაა, მაგალითად, უმნიშვნელოვანეს ძეგლთა სიმფონიები და სპეციალური ლექსიკონები, რომლებიც აუცილებელ წინა საფეხურს წარმოადგენენ ვრცელი ისტორიული ლექსიკონის შედგენისათვის“. [1]

როგორც ვხედავთ, უაღრესად რთული პროგრამაა შემუშავებული ენის ძეგლების გამოცემისა: ტექსტის დადგენა, მისი ენის გამოკვლევა და ტექსტისათვის სიმფონია-ლექსიკონის დართვა. ყველაფერი ეს ერთი კაცისათვის უაღრესად ძნელია, შრომატევადია, დიდ წინასწარ მომზადებას საჭიროებს. იგი იმდენად პასუხსაგებია, რამდენადაც საპატიო, მაგრამ როცა ერთ პიროვნებაში ბედნიერადაა შეერთებული დიდი ტექსტოლოგისა და წყაროთმცოდნის, ფილოლოგისა და ისტორიკოსის ნიჭი და უსაზღვრო შრომისმოყვარეობა, მაშინ თვითეული მისი ასეთი გამოკვლევა სანიმუშოა პრობლემის სრულად შესწავლისა და წარმოდგენის თვალსაზრისით. ამ ძეგლთა გამოცემის დახასიათება ჩვენს მიზანს არ შეადგენს. შევე-

---

[1] „ხანმეტი ლექციონარი“. გამოსცა და სიმფონია დაურთო აკ. შანიძემ 1944 წ. გვ. 6.

ხებით მხოლოდ ერთ მათგანს, სადაც კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის სახელისადმი აკაკი შანიძის უსაზღვრო მოკრძალება და სიყვარული.

ივანე ჯავახიშვილმა გამოსაცემად მოამზადა გიორგი მთაწმიდლის „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი". იგი მას გამოუცემელი დარჩა, მაგრამ უფაქიზესი გულისყურითა და გულმოდგინებით მოექცა მას აკაკი შანიძე. მოვუსმინოთ მას:

> „იოვანე და ეფთჳმეს ცხოვრების" ტექსტი დაბეჭდილია იმგვარად, რაგვარადაც ის აკად. ივ. ჯავახიშვილმა დაამზადა გამოსაცემად. განსვენებული მეცნიერის სახელის კრძალვამ მაიძულა, რომ ტექსტი სათანადოდ ყოფილიყო დაბეჭდილი და ყოველ შემთხვევისათვის პირველ წყაროებზე შევამოწმე (შემოწმებისას მშველოდნენ ილია აბულაძე და ჩათელა ჯავახიშვილი). შემოწმებისას განსაკუთრებული გულისყურით ვეპყრობოდი 1074 წლის ხელნაწერს (A-ს), რომელიც საფუძვლად დაედო ამ გამოცემას. აღნიშნული ხელნაწერის ვითარება ზედმიწევნით არის წარმოდგენილი დაბეჭდილ ტექსტში და, თუ სადმე რომელიმე სიტყვის ფორმა ამა თუ იმ მიზეზის გამო მიუღებელი იყო და შესწორებული, ხელნაწერის წაკითხვა მაინც შენიშვნებშია ჩამოტანილი. სხვა ხელნაწერთაგან კი მხოლოდ შინაარსობრივი ხასიათის სხვაობანია ნაჩვენები" [1].

აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა, როგორც აღვნიშნეთ, მოამზადა ეს ტექსტი სასტამბოდ, მაგრამ, საუბედუროდ, საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. მისმა ერთგულესმა სულიერმა მემკვიდრემ არა თუ გამოსცა ივანე ჯავახიშვილის მიერ გამზადებული ეს ტექსტი, არამედ დაურთო შესანიშნავი გამოკვლევაც — „გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით".

ეს გამოკვლევა ორი ნაწილისაგან შედგება — გრამატიკული მიმოხილვისა და ლექსიკონისაგან.. ლექსიკონის შედგენისას მთავარი ყურადღება მიქცეულია ფაქტებზე, რომელსაც მნიშვნელობა აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. ამ ლექსიკონში შემოტანილია ერთი ძირის ზმნების პირიან ფორმათა დალაგება გარკვეული სისტემით. აქ პირველად არის გამოყენებული ე. წ. ინდექსები, რომლებმაც შემდგომ აღიარება ჰპოვეს მეცნიერულ ლიტერატურაში და რომლებიც აადვილებენ ქართული ზმნის რთულ ფორმებში გარკვევას, ლექსიკონის მოხმარებას.

ბევრი სხვა ძეგლიცაა გამოცემული აკაკი შანიძის მიერ. იგი თვლის, რომ მას ვალად აძევს, განაგრძოს და ბოლომდე მიიყვანოს ივანე ჯავახიშვილისათვის ესოდენ სანუკვარი საქმე.

ფუნდამენტური ნაშრომების გამოქვეყნება, ახალგაზრდა მეცნიერული ძალებისა და სპეციალისტების აღზრდა, ქართული კულტურის აყვავებაზე ზრუნვა და სხვა ერების მეცნიერებისა და კულტურის უსაზღვრო პატივისცემა, რაც აკაკი შანიძის მოღვაწეობის მდიდარი შინაარსია, ივანე ჯავახიშვილის წმინდა სახელის შთაგონებით ხდება.

აკაკი შანიძე მომენტს არ უშვებს გამოუყენებელს, რათა წარმოგვიდგინოს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცალკეული მხარეები, რო-

[1] გიორგი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, „ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი", გამოსაცემად დაამზადა ივანე ჯავახიშვილმა. 1946. გვ. 162.

გორც ნიმუში მაღალი მოქალაქეობისა და პატრიოტობისა. იგი წერს:

„აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დიდი მეცნიერი და დიდი ადამიანი იყო. ასეთი პიროვნების შესახებ უნდა ვიცოდეთ ყოველი დეტალი მისი ცხოვრებისა“ [1].

დიდი ივანეს სრული მეცნიერული და მოქალაქეობრივი პორტრეტი ჯერ არ დახატულა. აკაკი შანიძე მრავალ ასპექტს წარმოგვისახავს ამ დიდი ქართველის ცხოვრებიდან. 1958 წელს იგი ახალგაზრდებს შეახსენებდა თავის წმინდა გრძნობას მასწავლებლის სიყვარულისას: „ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისება ის იყო, რომ იგი არ იყო კარჩაკეტილი მეცნიერი. იგი ილწვოდა ხალხისათვის და თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგებს დიდი ხალისით ავრცელებდა ხალხში. ახალგაზრდობისას, როცა იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი იყო, ზაფხულობით საქართველოში ბრუნდებოდა და აქ საჯარო ლექციებს კითხულობდა საქართველოს ისტორიის საკითხებზე — თბილისში, ქუთაისში და სხვაგან.

ჩემი პირველი გაცნობა ივანე ჯავახიშვილისა სწორედ მის საჯარო ლექციაზე მოხდა ქუთაისში, სადაც მან ქალაქის სამმართველოს დარბაზში ლექცია წაიკითხა 1907 წელს. მე მაშინ გიმნაზიის მოწაფე ვიყავი და მოხიბლული დავრჩი მისი შინაარსიანი ლექციით. შეიძლება, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შევედი იმავე პეტერბურგის უნივერსიტეტში“. [2]

აკაკი შანიძე ახალ და ახალ მომენტებს იხსენებს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებიდან. იგი დიდი მასწავლებლის შესახებ წერს:

„თავმდაბლობა, რომელიც მას ყოველთვის ამკობდა, საშუალებას აძლევდა ყველას, თამამად მისულიყვნენ მასთან და მიეღოთ საჭირო ცოდნა და რჩევა-დარიგება. რამდენი მოწაფე აღუზრდია მას, რამდენ გარეშე კაცს დახმარებია ის თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, რამდენი ადამიანი მოუხიბლავს მასთან საუბარს!“ [3]

...1940 წლის 18 ნოემბერს მრავალრიცხოვან მსმენელთა წინაშე ლექციის კითხვის დროს 9 საათსა და 40 წუთზე შეწყდა გულისცემა ილია ჭავჭავაძის მაშტაბის ქართველისა — დიდი ივანესი. უსაზღვრო იყო ჩვენი ხალხის გლოვის ზარი. ძაძით დამძიმდა დიდი ივანეს უნივერსიტეტი. დადგა 21 ნოემბერი, გამოთხოვების წუთები. უნივერსიტეტს უნდა ეთქვა გამოთხოვების სიტყვები. ეს წმინდა მოვალეობა უნივერსიტეტმა მიანდო კაცს, რომელსაც ამის სრული მორალური უფლება ჰქონდა, კაცს, რომელიც დიდი ივანეს უპირველესი თანამოსაგრე იყო, კაცს, რომელსაც არასდროს და არაფრისთვის უღალატნია თავისი მასწავლებლისა და მეგობრის წმინდა საქმისათვის.

აკაკი შანიძემ შემდეგნაირად დაამთავრა დიდი ივანესადმი მიმართული თავისი გამოსამშვიდობებელი სიტყვა:

„შავად არის შემოსილი შენი და ჩვენი უნივერსიტეტი, რადგა-

———

[1] ენიმკის მოამბე 1943, XII, გვ. 371.

[2] აკაკი შანიძე, თბილისის უნივერსიტეტის ორგანიზატორი, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1958 წ. 22 თებერვალი.

[3] აკაკი შანიძე, აკად. ივანე ჯავახიშვილი და ქართული კულტურის საკითხები, გაზ. „კომუნისტი“, 1940 წ. 21 ნოემბერი.

ნაც უკანასკნელად გიყურებს თავის დიდ მოჭირნახულეს. თუმცა დღეს მზე თბილისის ცაზე კაშკაშებს, მაგრამ შენი პატივისმცემლების გულში, აქ შეკრებილი საზოგადოების გულში სიბნელეა და წყვდიადი.

შენ, უნივერსიტეტის ფუძემდებელმა, უნივერსიტეტისავე ეზოში ჰპოვე უკანასკნელი და, ამავე დროს, საუკუნო თავშესაფარი, ახლოს იმ დაწესებულებასთან, სადაც შენ ბევრჯერ გინახავს არა მარტო გახარება და აღტაცება, არამედ აგრეთვე დიდი მწუხარებაც.

განისვენე ტკბილად, ძვირფასო მასწავლებელო, შენს გულითად მეგობარ პეტრე მელიქიშვილთან ერთად, რომელიც შენივე დაჟინებული თხოვნის თანახმად უნივერსიტეტის პირველ რექტორად იქნა არჩეული.

დიდია ჩვენი დანაკლისი შენი ფიზიკურად მოშორების გამო, მაგრამ ტირილი და გლოვა არ გვმართებს, რადგანაც „ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეგვიბრალებენ".

ჩვენ ვალად გვაძევს შეუდრეკლად სიარული იმ ფართო სამეცნიერო გზით, რომელიც შენ პირველად გაჰკაფე ჩვენში. ჩვენ ვალად გვაქვს, მთელი ჩვენი ძალღონე შევალიოთ შენს საყვარელ საქმეს, მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს.

ბევრია შენი მადლიერი, დიდო მასწავლებელო, კერძოდ მეც დიდად დავალებული ვარ შენგან. პირადად შენთვის მე არასოდეს არ მითქვამს მადლობა იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც შენ გაწეული გაქვს ჩემზე. ამიტომ ჩემს უძვირფასეს მოვალეობად მიმაჩნია, საჯაროდ მოგახსენო ღრმესი მადლობა დედამიწის ზედაპირზე შენი უკანასკნელი ყოფნის წუთებში.

უღრმესად გმადლობთ, ძვირფასო მასწავლებელო!

მშვიდობით, დიდო მეცნიერო და დიდო ადამიანო!"

აკაკი შანიძის პირით მადლიერი უნივერსიტეტი ლაპარაკობდა.

უკვე ორმოცდამეათე წელიწადი სრულდება, რაც ერთმანეთს შეეზარდა უნივერსიტეტისა და აკაკი შანიძის შემოქმედებითი სიცოცხლე. დიდია აკაკი შანიძის ღვაწლი. მის მიერ შექმნილი მეცნიერული მემკვიდრეობა ავტორთა მთელი კოლექტივისთვისაც საკმარისი იქნებოდა. აკაკი შანიძე კი თავს ვალმოხდილად როდი თვლის ერის წინაშე. იგი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, ივიწყებს ყოველივეს, რაც მან გააკეთა, და ფიქრობს იმაზე, თუ რა აქვს კიდევ გასაკეთებელი. სამაგიეროდ ქართველი ხალხი უსაზღვროდ პატივს სცემს მას, თავის დიდ შვილს, რომლის სიცოცხლის პირველი ოთხმოცი წლისთავს სამშობლო მართალი სიყვარულით აღნიშნავს.

აკაკი შანიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია[1]

ბიბლიოგრაფიაში მიღებული შემოკლებანი:

ენიმკიმ — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის მოამბე.

თუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

თუშ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.

თხზ — აკაკი შანიძე, თხზულებანი. ტ. I. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თბილისი 1957. უნივერსიტეტის გამოცემა. ტ. II. ვეფხის ტყაოსნის საკითხები. თბილისი 1966. უნივერსიტეტის გამოცემა.

მა — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

მამ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

ტუმ — ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.

ხიმ — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე.

---

[1] ტასო ხასრაძის შედგენილი სია (თუშ, ტ. 30ა—31ბ, 1947) შეამოწმეს და შეავსეს ქეთან იორდანიშვილმა და ნირა ჩიკვაიძემ.

ქრონოლოგიური საძიებელი

1913

1. Отчет о летней командировке 1913 года в Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров: Изв. Академии Наук, 1913, стр. 1069—1074.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 3—8.

1914

2. Нынешние эквиваленты географических названий Арагвского ущелья по описанию 1774 г.: Христианский Восток, 1914, т. III, стр. 212—214.

1915

3. ქართული კილოები მთაში: კრებული ი. ჯავახიშვილის რედაქციით. ტფილისი, 1915, გვ. 187—202.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 9—19.

4. რეცენზია: მ. გ. ჯანაშვილი, საინგილო (ძველი საქართველო, ტ. II, განყ. 4), ტფილისი 1913—1915 (Записки Восточного отделения Русского археологического общества, т. XXII, стр. 344—357).

1916

5. Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку. [პარალელური ტექსტი ქართულად: პროგრამა ქართული ენის დიალექტური (კილოკავური) მასალების შესაკრებად]. [-Пособия для работ по армяно-грузинской филологии. IV]. Петроград, 1916, 24 стр. (იოსებ ყიფშიძის თანაავტორობით). გამოცემულია ავტორთა დაუსახელებლად[1].

6. Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках. I. Суффикс происхождения არ в грузинском языке (იგივე ქართულად, 6. № 7). II. Глагольный суффикс *ուլ* в северо-армянских наречиях и говорах: Записки Восточного отделения Русского археологического общества, т. XXIII, Петроград 1916, стр. 365—372.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 20—27.

---

[1] ეს პროგრამა შეცდომით არის მოხვედრილი ნ. მარის ნაშრომთა სიაში და იოსებ მეგრელიძეც ცდება, როცა იგი ამტკიცებს, რომ პროგრამა თითქოს ნ. მარისა იყოს (Н. Я. Марр, Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани. Подготовка сборника к печати, исследование, комментарии и примечания И. В. Мегрелидзе. Тбилиси 1966, стр. 270—271). პროგრამა ნამდვილად ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის შედგენილია.

1918

7. ვინაობის სუფიქსი „არ“ ქართულ ენაში: „განათლება“ (სამეცნიერო პედაგოგიური ყოველთვიური ჟურნალი), 1918, № 1, გვ. 21—26.

დაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 28—32.

8. „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში: პრომეთე, 1918, № 1, გვ. 79—80.

დაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 33—34.

1919

9. ნასახელარი ზმნები ქართულში: ტუმ, ტ. I (1919), ნაკვ. 1, გვ. 87—96.

დაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 35—44.

1920

10. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1920, VIII, 210 გვ. [პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის (ამონაბეჭდი), გვ. 182—189, გამოვიდა ცალკეც].

დაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 111—263. დაბეჭდილს არ ახლავს პროექტი. სამაგიეროდ დამატებულია დისერტაციის თეზისები, გვ. 264—266.

1921

11. სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის). ტფილისი 1921, 53 გვ. (კ. კეკელიძის, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძისა და ს. გორგაძის თანაავტორობით).

12. ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. I, (1921). გვ. 63—68.

1922

13. ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომის ლექსიკონი. — წიგნში: ვაჟა-ფშაველა, ტ. I, ლექსები. ს. აბაშელის რედაქციით. 1922, გვ. 243—268.

დაიბეჭდა: მეორე გამოც., 1928, გვ. 267—296.

14. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში: ტუმ, ტ. II, (1922—1923), გვ. 262—281.

დაიბეჭდა: თხზ., ტ. 1, გვ. 267—281.

15. პროფ. ალექსანდრე ცაგარელი (მისი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის გამო): ზომისი, 1922, № 10, გვ. 1—2.

დაიბეჭდა მცირეოდენი ცვლილებით: ტუმ, ტ. X (1930), გვ. VII—XII (ნ. № 39).

1923

16. უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო.

I. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში: ტუმ, ტ. II (1922—1923), გვ. 398—416.

II. ხანმეტობა ადიშის სახარებაში: იქვე, გვ. 417—424.

დაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 282—301.

17. ხანმეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ტუმ, ტ. III (1923), გვ. 354—388.

18. ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში: ჩვენი მეცნიერება, 1923, № 1, გვ. 107—112.

დაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 302—311.

1924

19. წელიწადის ეტიმოლოგიისათვის: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული. I—II. 1924, გვ. 1—11.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 312—319.

20. თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ. პალეოგრაფიული რვეული. ტფილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამოცემა. 1924, 36 გვ. (ლითოგრაფიული გამოცემა).

21. Miscellanea. I. დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები. II. „დიონოსი" ვეფხის ტყაოსნისა: ჩვენი მეცნიერება, № 8 (1924), გვ. 47—52.

მეორე წერილი („დიონოსი") გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II. გვ. 192—196.

22. Miscellanea. III. მაჩხიტისძის ჩინი. IV. ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში: ჩვენი მეცნიერება, № 11—12 (1924), გვ. 7—14.

მეორე წერილი („ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში") გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 302—311.

23. წინასიტყვაობა და რედაქცია: ბეს. გაბუური, ხევსურული მასალები: წელიწდეული, I—II. 1924, გვ. 119—258.

24. (ბეს. გაბუურის) ხევსურული მასალების ლექსიკონი: იქვე, გვ. 259—330.

25. (ბეს. გაბუურის) ხევსურული მასალების გამო: იქვე, გვ. 333—336.

1925

26. უმლაუტი სვანურში (რეზუმე გერმანულ ენაზე): არილი, პროფესორ ივანე ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე (1900—1925) მოწაფეთა მიერ მიძღვნილი კრებული. ტფილისი 1925, გვ. 171—232.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 323—376.

27. შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხებისა სვანურში: ტუმ, ტ. V (1925), გვ. 254—256.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. I, გვ. 320—322.

1926

28. ქართული ზმნის საქცევი (რეზუმე ფრანგულ ენაზე): ტუმ, ტ. VI (1926), გვ. 312—338. ახლავს I ტაბულა.

29. Miscellanea. V. იოვანე მტბევრის ვინაობისათვის. VI. კელავ შანგლისის წარწერების შესახებ. VII. არადეთის წარწერები. VIII. კრიპტოგრაფიული მასალები: მიმომხილველი (საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო), ტ. I, გვ. 220—243.

1927

30. ხანმეტი მრავალთავი: ტუმ, ტ. VII (1927), გვ. 98—159 (ახლავს 3 ტაბულა).

30ა. [ფერეიდნული ტექსტები, ჩაწერილი თბილისში 6. 11. 1922 წ. სეიფოლა ხან იოსელიანისაგან: I. ფერეიდნის სოფლები. II. წისქვილის გატეხა ქურდ მეკობრეებისაგან და ფქვილების გატაცება]: ტუმ, VII, 1927; გვ. 221—224 (ცნობა, რომ ეს ტექსტები ა. შანიძის ჩაწერილია, მოიპოვება იმავე ტომის 243 გვერდზე).

1928

31. ბოლოსიტყვაობა და რედაქცია: Hugo Schuchardt, Mitteilungen aus georgischen Handschriften: ტუმ, ტ. VIII (1928), გვ. 247—376 (ახლავს 1 ტაბულა).

32. წინასიტყვაობა და თანარედაქტორობა: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით. გამოც. „ქართული წიგნი." 1928, XXXII, 06, 480 გვ. (ა. შანიძის წინასიტყვაობას უკავია გვ. III—XXXII).

33. პედაგოგიური ფაკულტეტი. — წიგნში: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1918—1928). ტუმ-ის გამოცემა. 1928, გვ. 70—89.

34. სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი — იმავე წიგნში: გვ. 90—98.

1929

35. ქართული ხელნაწერები გრაცში: ტუმ, ტ. IX, (1929), გვ. 310—353. [ხანმეტი ლექციონარის ტექსტი, მოთავსებული 329—342 გვ.-ზე, ცალკე ამონაბეჭდის სახითაც გამო-

ვიდა სტუდენტებისათვის სავარჯიშოდ ასეთი სათაურით „Ⴞანმეტი ლექციონარი“ (Ⴒექსტი), 16 გვ.].

36. Ⴕართული ზმნის სამპირიანობის გამო: Ⴉულტურული აღმშენებლობა (1929—1930), № 9 (57), გვ. 908—911.

1930

37. Ⴕართული გრამატიკა. I. Ⴋორფოლოგია. Ⴒფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1930, VIII, 214 გვ.

38. Ⴅაჟა-Ⴔშაველას თხზულებათა მე-3 ტომის ლექსიკონი. — Ⴜიგნში: Ⴅაჟა-Ⴔშაველა. Ⴒ. III. Ⴎოემები. Ⴀ. Ⴀბაშელის რედაქციით. Ⴒფილისი, 1930, გვ. 405—455.

39. Ⴎროფესორი Ⴀლექსანდრე Ⴚაგარელი (1844—1929): ႲႳႫ, ტ. X (1930), გვ. VII—XII (ნ. № 15).

40. Ⴜინასიტყვაობა: Ⴂ. Ⴇედორაძე, Ⴞუთი წელი Ⴔშავ-Ⴞევსურეთში. Ⴄთნოგრაფიული ნარკვევები. Ⴒფილისი 1930, XII, 208 გვ.

40ა. Ⴐედაქცია Ⴒფილისის უნივერსიტეტის მოამბის ათივე ტომისა (I—X, 1920—1930).

1931

41. Ⴕართული ხალხური პოეზია. I. Ⴞევსურული. სახელგამი, Ⴒფილისი (1931), 032, 708 გვ.

1932

42. Ⴅაჟა-Ⴔშაველას თხზულებათა მე-4 ტომის ლექსიკონი. — Ⴜიგნში: Ⴅაჟა-Ⴔშაველა. Ⴒ. IV. Ⴎოემები. Ⴀ. Ⴀბაშელის რედაქციით. 1932, გვ. 449—476.

43. Ⴀ. Ⴘანიძე, Ⴅ. Ⴇოფურია, Ⴕართული ენა (10 განაკვეთად. Ⴇბ. დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა). Ⴀმ კოლექტიურ ნაშრომში Ⴀ. Ⴘანიძისაა: განაკვ. V—VI; Ⴆმნა: Ⴎირი და Ⴐიცხვი ზმნისა, Ⴆმნისწინი. გვ. 1—89; განაკვ. VII. Ⴕცევა, Ⴂვარი, Ⴂზა, გვ. 4—14; განაკვ. VIII. Ⴃრო, Ⴉილო, Ⴀსპექტი, გვ. 16—47; განაკვ. IX. Ⴓღლილება, გვ. 48—53 (Ⴊითოგრაფიული გამოცემა).

44. Ⴈნსტრუქცია რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად. Ⴂამოცემა ქართული საბჭოთა დიდი ენციკლოპედიისა. 38 გვ. (Ⴊითოგრაფია).

1934

45. Ⴛველი ქართული ენა და ლიტერატურა. Ⴕრესტომათია საშუალო სკოლის VIII კლასისათვის (Ⴀ. Ⴁარამიძისა და Ⴈლია Ⴀბულაძის თანაავტორობით, Ⴀ. Ⴘანიძის რედაქციით). Ⴇბილისი, სახელგამი, სასწ.-პედ. სექტორი, 1934, 306 გვ.;

Ⴋე-2 გამოცემა (1935), 328 გვ.; მე-3 გამოცემა (1936), 394 გვ.; მე-4 გამოც. (1937), 304 გვ. (Ⴀმაში და შემდგომ გამოცემებში აღარ არის საერთო ლექსიკონი); მე-5 გამოცემა (1938), 334 გვ.; მე-6 გამოცემა (1939), 394 გვ.; მე-7 გამოცემა (1940), 304 გვ.; მე-8 გამოცემა (1942), 300 გვ.; მე-9 გამოცემა, 1947 (ამ წლიდან ითვლება IX კლასის სახელმძღვანელოდ); მე-10 გამოცემა (1948), 340 გვ.; მე-11 გამოცემა (1950), 340 გვ.; მე-12 გამოცემა (1953), 336 გვ.; მე-13 გამოცემა (1954), 335 გვ.; მე-14 გამოცემა (1955), 336 გვ.

Ⴂარდა რედაქციისა და ქრესტომათიის ერთი ნაწილისა, Ⴀ. Ⴘანიძეს ეკუთვნის ამ წიგნის დამატებანი: 1) Ⴓძველესი ნიმუშები ქართული ენისა (გვ. 265—274); 2) Ⴛველი ქართული ენა (Ⴋოკლე მიმოხილვა), გვ. 275—313; 3) Ⴐიცხობრივი მნიშვნელობა ასოებისა (გვ. 314—315); 4) Ⴕართული წელთაღრიცხვა (გვ. 316—318); 5) Ⴕართული წერის ნიმუშები (გვ. 319—335) [Ⴂვერდები ნაჩვენებია 1955 წლის გამოცემის მიხედვით].

Ⴘემდეგ წლებში გამოდის სხვა სახელწოდებით: *Ⴛველი ქართული ლიტერატურა*. Ⴕრესტომათია საშუალო სკოლის VIII კლასისათვის (რომელშიც,

ისე როგორც მომდევნო გამოცემებშიც, აღარ არის დამატებანი): მე-15 გამოცემა (1956), 260 გვ.; მე-16 გამოცემა (1957), 260 გვ.; მე-17 გამოცემა (1958), 264 გვ.; მე-18 გამოცემა (1961), 264 გვ.

შემდეგ კვლავ შეეცვალა სახელწოდება: ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. საშუალო სკოლის IX კლასისათვის. მე-19 გადამუშავებული გამოცემა (1963), 328 გვ.; მე-20 გამოცემა (1964), 328 გვ.; 21-ე გამოცემა (1965), 328 გვ.; 22-ე გამოცემა (1966), 328 გვ.

46. „Шах-Намэ" Фердовси в грузинском фольклоре: Заря Востока, 22.9.1934 (№ 221). (ნახე კიდევ № 51).

47. რედაქცია: ფირდოუსი აბუ-ლ-ყასიმ ტუსელი. შაჰ-ნამე. ქართული ვერსიები. ტ. II. 1934. 10,652 გვ. (9 ჩ. ფერადი ილუსტრაციით) იუსტ. აბულაძის, პ. ინგოროყვას, ა. ყარამიძისა და კ. კეკელიძის თანარედაქტორობით. თუ-ის გამოცემა. [ა. შანიძეს ეკუთვნის რედაქცია 4252—4900 სტროფებისა და სათანადო ვარიანტების შედგენა].

48. რედაქცია: თ. ასლანიშვილი, ა. ტუბუტია, ახალი შრომა. ლიტერატურის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის III კლასისათვის. სახელგამი, სასწავლო-პედაგოგიური სექტორი. 1934, 224 გვ.

1935

49. ძველი ქართულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ. I. ქრესტომათია. სათაური და წინასიტყვაობა აგრეთვე რუსულად და გერმანულად [= Caucasus polyglottus. 1]. თუ-ის გამოცემა, 1935, XXIV, 112 გვ.

50. ქართული სტამბის ისტორიისათვის: ლიტერატურული მემკვიდრეობა (უნივერსიტეტთან არსებული რუსთველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ორგანო). თუ-ის გამომცემლობა. თბილისი 1935, გვ. 153—176.

51. შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში: ლიტერატურული მემკვიდრეობა (თბილისი 1935), გვ. 177—195. (შდრ. № 46).

52. რედაქცია და წინასიტყვაობა: ეგნ. ნინოშვილი, პარტახი (მოთხრობა გურიის გლეხ-კაცის ცხოვრებისა). ავტოგრაფის მიხედვით გამოცემული, შენიშვნებითა და ლექსიკონითურთ. პროფ. ა. შანიძის რედაქციით. თუ-ის გამოცემა. 1935, V, 119 გვ.. (შენიშვნები (გვ. 75—85) და ლექსიკონი (85—117) ქ. ლომთათიძისა).

1936

53. პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში: თუშ, ტ. I (1936), გვ. 333—340.

54. დიმიტრი ყიფიანი როგორც გრამატიკოსი. — წიგნში: სიმონ ხუნდაძე, დიმიტრი ყიფიანი. მონოგრაფია. თუ-ის გამომცემლობა. 1936, გვ. 187—190.

55. ვეფხის ტყაოსნის ტექსტის ისტორიისათვის: ლიტერატურული საქართველო, 31. 10. 1936 (№ 18).

56. ვახტანგის დედანი ვეფხის ტყაოსნისა: კომუნისტი, 17. 11. 1936 (№ 266).

1937

57. К этимологии названия „Топада" (რეზუმე ფრანგულ ენაზე): ენიმკიმ, ტ. I, (1937), გვ. 79—88.

58. ვახტანგის მონოგრაფია ვეფხის ტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტის შესწავლისათვის: მნათობი 1936, № 10—11, გვ. 169—223; 1937, № 6—7, გვ. 227—233.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 5—51.

59. ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი (ილია ჭავჭავაძე): ლიტერატურული საქართველო 29. 5. 1937 (№ 12).

60. О редакциях „Вепхис Ткаосани": Вечерний Тбилиси 28.3.1937 (№ 73).

61. რედაქცია, წინასიტყვაობა და დამატებანი: შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბილისი 1937. [10], 412 გვ.

დამატებანი: I. შეცდომათა გასწორება, გვ. 343—366;

II. ვახტანგის ლექსიკონი, გვ. 367—387; III. ვახტანგის დედანი ვეფხის ტყაოსნისა, გვ. 388—394; IV. ვეფხის ტყაოსნის პირველი გამოცემის მოღწეული ცალები, გვ. 395—403; V. ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსნის მეორე გამოცემის გაფორმებისათვის, გვ. 403—409.

62. რუსულ-ქართული ლექსიკონი. ხ. ორაგველიძის რედაქციით. 1937, თუ-ის გამოცემა. XXIV, 1192 გვ.

(ამ ლექსიკონის წინასიტყვაობაში ა. შანიძე გამოცხადებულია სალექსიკონო მასალის მთარგმნელად. ნამდვილად კი მან რედაქცია უყო მთელ სალექსიკონო მასალას А-დან Н-მდის. შემდეგ ეს მასალა გამოიყენეს).

1938

63. ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები (მიეძღვნა პროფ. გრიგოლ წერეთელს): ენიმკიმ, ტ. IV, ნაკვ. 1 (1938), გვ. 29—42.

64. Новооткрытый алфавит Кавказских албанцев и его значение для науки: ენიმკიმ, ტ. IV, ნაკვ. 1 (1938), გვ. 1—68 (რეზუმე ქართულ და ფრანგულ ენებზე).

65. რედაქცია და წინასიტყვაობა: (Ст. Чхенкели и М. Хубуа), Учебное пособие для русских секторов ВУЗ-ов. [სათაური ქართულადაც: (სტ. ჩხენკელი და მ. ხუბუა) ქართული ქრესტომათია (დამხმარე წიგნი უმაღლესი სკოლების რუსულ სექტორთათვის). თბილისი 1938, IV, 152 გვ.

1939

66. სვანური პროზაული ტექსტები. I. ბალსზემოური კილო. ტექსტები შეკრიბეს ა. შანიძემ და ვ. თოფურიამ [=მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. I] სსრკ-ის მა-ის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. 1939, 22, 490 გვ.

67. სვანური პოეზია. I. სიმღერები შეკრიბეს და ქართულად თარგმნეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ და მ. გუჯეჯიანმა. [=მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის. II]. სსრკ-ის მა-ის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა. 1939, XVIII, 436 გვ.

68. საქართველოს მუზეუმის S ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი (ა. ბარამიძის თანაავტორობით და ა. შანიძის წინასიტყვაობით). [=მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. II]. თბილისი 1939, 60 გვ.

69. ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის. — წიგნში: ილია ჭავჭავაძე. საიუბილეო კრებული. თუ-ის გამოცემა, 1939, გვ. 1—33.

69ა. ბარათაშვილის ენა. — წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, პოემა, წერილები. თბილისი, გამომცემლობა „ფედერაცია". 1939 წ. გვ. 149—160.

70. რედაქცია: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. სსრკ-ის მა-ის საქ. ფილიალის გამომცემლობა. 1939, 232 გვ.. ახლავს 19 ტაბულა.

71. ქართული ენის გრამატიკა. ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი (მართლწერის საკითხებითურთ). სახელმძღვანელო არასრული საშუალო სკოლის V, VI და VII კლასებისათვის. (I გამოცემა), 1939, 156 გვ.

მე-2 გამოც. 1941, 144 გვ.; მე-3 გამოც., შევსებული და შესწორებული, 1946, 168 გვ.

შემდეგ ეს სახელმძღვანელო გაიყო ორ ცალ-ცალკე წიგნად:

ქ ა რ თ უ ლ ი   ე ნ ი ს   გ რ ა მ ა ტ ი კ ა. ნაწ. I. ფონეტიკა და მორფოლოგია. სახელმძღვანელო V და VI კლასებისათვის. მე-4 გამოცემა 1948, 128 გვ.; მე-5 გამოც., გადამუშავებული და სავარჯიშოებით შევსებული (სავარჯიშოების შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ი. იმნაიშვილმა და ზ. კვაჭაძემ), 1949, 258 გვ.; მე-6 გამოც.

1950, 260 გვ.; მე-7 გამოც. 1951, 130 გვ.; მე-8 გამოც. 1952, 128 გვ.; მე-9 გამოც. 1954, 128 გვ.; მე-10 გამოც. 1955, 128 გვ.; მე-11 გამოც. 1956, 118 გვ.; მე-12 გამოც. 1957, 122 გვ.; მე-13 გამოც. 1958, 124 გვ.; მე-14 გამოც. 1959, 124 გვ.; მე-15 გამოც. 1960, 128 გვ.; მე-16 გამოც. 1961, 124 გვ.; მე-17 გამოც. 1962, 124 გვ.

ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს გ რ ა მ ა ტ ი კ ა. Ⴌაწ. II. სინტაქსი (მართლწერის საკითხებითურთ). სახელმძღვანელო VII—VIII კლასებისათვის. მე-4 გამოც., გადამუშავებული და სავარჯიშოებით შევსებული (სავარჯიშოების შედგენაში მონაწილეობა მიიღეს: Ⴈ. Ⴂიგინეიშვილმა, Ⴈ. Ⴈმნაიშვილმა და Ⴆ. Ⴉვაჭაძემ) 1948, 208 გვ.; მე-5 გამოც. 1950, 208 გვ., მე-6 გამოც. 1951, 136 გვ.; მე-7 გამოც. 1952, მე-8 გამოც. 1953, 116 გვ.; მე-9 გამოც. 1954, 116 გვ.; მე-10 გამოც. 1955, 116 გვ.; მე-11 გამოც. 1956, 112 გვ.; მე-12 გამოც. 1957, 120 გვ.; მე-13 გამოც. 1958, 120 გვ.; მე-14 გამოც. 1959, 120 გვ.; მე-15 გამოც. 1960, 128 გვ.; მე-16 გამოც. 1961, 120 გვ.; მე-17 გამოც. 1962, 120 გვ.; მე-18 გამოც. 1963.

Ⴈ. Ⴈმნაიშვილი და Ⴆ. Ⴉვაჭაძე, რომლებიც წინათ სავარჯიშოების მონაწილენი იყვნენ, 1963 წლიდან თანაავტორები გახდნენ გრამატიკის ორივე ნაწილისა: ფონეტიკა-მორფოლოგიისა (Ⴈ. Ⴈმნაიშვილი, Ⴆ. Ⴉვაჭაძე) და სინტაქსისა (Ⴆ. Ⴉვაჭაძე). Ⴌ. №№ 197, 198.

1940

72. სამენოვანი წარწერა Ⴂრემში: ႤႬႨႫႩႨႫ, ტ. V—VI, 1940, გვ. 1—11 (Ⴐ. Ⴔუთურიძის თანაავტორობით).

73. Переживания ханмэтных форм в грузинских рукописях IX—X—XI веков: ႫႠႫ, ტ. I (1940), № 3, გვ. 237—240.

74. Новый труд по армянской диалектологии (Критический отзыв о сочинении А. Гарибяна „Новая ветвь армянских диалектов"). ႲႳႸ, ტ. 15 (1940), გვ. 7—28. Ⴈგივე სომხურ ენაზე: Известия Армянского филиала АН СССР, 1940, № 3, стр. 100—119.

1941

75. Ⴈე კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში (Ⴐეზიუმე რუსულ ენაზე). ႫႠႫ, ტ. 2 (1941), გვ. 761—768.

76. Ⴇომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები (Ⴐეზიუმე რუსულ ენაზე): ႲႳႸ, ტ. 18 (1941), გვ. 29—40.

77. Ⴎროსოდიული ხმოვნები ქართულში (Ⴇეზისები). — Ⴜიგნში: საქ. ႫႠ-ის საზ. მეცნიერებათა განყოფილების სესია. 1941, 11—13 ივნისს, გვ. 14.

78. Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოჲს მოძღუარი в древнегрузинском: ႫႳႫ, ტ. 2 (1941), გვ. 181—187.

79. Категория ряда в глаголе (Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка): ႤႬႨႫႩႨႫ, ტ. 10, (1941), გვ. 209—229.

1942

80. ქართული გრამატიკის საფუძვლები. Ⴒ. I, ნაკვეთი 1. ႲႳ-ის გამოცემა, 1942. VIII, 272 გვ.

81. Ⴄრთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობისათვის („ჩასალი"): Ⴋნათობი 1942, № 11—12, გვ. 218—221.

82. Ⴄრთი უცნობი Ⴇამარის დროინდელი წარწერა (Ⴇეზისები). — Ⴜიგნში: ႫႠ-ის საზ. მეცნიერებათა განყოფილების VII სესია. 1942, 20—22 ივნისს, გვ. 8.

83. Ⴆმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში (Ⴐეზიუმე რუსულ ენაზე): ႫႠႫ, ტ. 3 (1942), № 2, გვ. 182—189; № 3, გვ. 289—295.

84. მდე თანდებულის გენეზისისათვის (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 3 (1942), № 4, გვ. 367—372.

85. წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 3 (1942), № 5, გვ. 481—488.

გადაიბეჭდა წიგნში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში". წიგნი I. 1956, გვ. 48—55.

86. Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия (რეზუმე ქართულ ენაზე): მამ, ტ. 3 (1942), № 9, გვ. 953—958.

87. რეცენზია: გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა: მნათობი, 1942, № 9, გვ. 135—145.

1943

88. ქართული გრამატიკის საფუძვლები. ტ. I, ნაკვეთი 2. თუ-ის გამოცემა, 1943, VIII, 104 გვ. (გვ. 273—376).

89. აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალ-პირიანი ზმნის ჩვენებით (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 4 (1943), № 4, გვ. 375—382.

90. ზმნათა ორმაგი გარდამავლობის საკითხისათვის (თეზისები). — წიგნში: მა-ის საზ. მეცნიერებათა განყოფილების XIV სამეცნიერო სესია, 1943, 25—28 დეკემბერს, გვ. 8—9.

1944

91. ხანძთელის „ცხოვრების" ერთი ადგილის გაგებისათვის (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 5 (1944), № 9, გვ. 939—944.

92. ხანმეტი ლექციონარი. ფოტოტიპიური რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 1.] მა-ის გამოცემა. თბილისი 1944, 066, 54 გვ. წინასიტყვაობა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

93. რედაქცია: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.-ში. გამოკვლევა და ტექსტები. მა-ის გამომცემლობა 1944. X, 0208, 276 გვ.

94. რეცენზია: Р. Ачарян, Словарь армянских личных имен, т. I (Ереван 1942): Известия отделения языка и литературы АН Армянской ССР. 1944, № 5, стр. 73—76.

1945

95. მწკრივთა მოძღვრებისათვის. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 6 (1945), № 10, გვ. 835—844.

96. ფისტიკაურის ისტორიისათვის (რეზუმე რუსულ ენაზე): ლიტერატურული ძიებანი, ტ. II (1945), გვ. 5—14.

97. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.) [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 2]. გამოსცა ა. შანიძემ. მა-ის გამომცემლობა. თბილისი 1945, 064, 384 გვ.. ახლავს 15 ტაბულა. წინასიტყვაობა ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.

1946

98. რედაქცია: გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დაამზადა ი. ჯავახიშვილმა [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 3]. თბილისი 1946, გვ. XII, 64. წამძღვარებული აქვს წერილი რედაქტორისაგან (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

99. გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები. 3 (1946), გვ. 65—168.

100. ჰუნამისის წარწერის განმარტებისათვის: მამ, ტ. 7 (1946), № 4, გვ. 217—223. იქვე რუსულად, გვ. 223—230.

101. ლექსიკონი ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომისა (რედაქცია ა. აბაშელისა და ა. შანიძისა). თბილისი 1946, გვ. 357—389.

ამ პირველი ტომის შედგენილობა განსხვავებულია ვაჟას თხზულებათა I ტომის 1922 და 1928 წლების გამოცემათაგან. ამიტომ ამისი ლექსიკონიც რამდენადმე განსხვავებულია.

102. Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка: Известия АН СССР. Отделение литературы и языка, т. V, выпуск 2, стр. 165—172.

103. მწკრივთა მოძღვრებისათვის. ერთი უცნობი მწკრივი ქართულში. თუ-ის სამეცნიერო სესია, მოხსენებათა კრებული № 1, გვ. 1—14. თბილისი 1946.

1947

104. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი (978 წლის ხელნაწერის მიხედვით). წ. I, ნაკვეთი 1. დაბადებისაჲ, გამოსლვათაჲ [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 4]. გამოსცა ა. შანიძემ. მა-ის გამომცემლობა. 1947, XIV, 112 გვ.

105. ეტიმოლოგიური შენიშვნები. რკო და მუხა (თეზისები). თუ-ის სამეცნიერო სესია 23. 10—3. 11-ს 1947, გვ. 3—4.

105ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის. ვნებითი გვარის ზმნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში: ენიმკი-ს IV სამეცნიერო სესია (თეზისები) 1947, გვ. 11—12.

105ბ. მწკრივთა მოძღვრებისათვის. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება (ერთი გვერდი ქართული ენის ისტორიიდან): მა-ის სამეცნიერო სესია 14—15 ნოემბერს 1947, გვ. 9—11.

1948

106. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი (978 წლის ხელნაწერის მიხედვით). წ. I. ნაკვეთი 2. ლევიტელთაჲ, მსაჯულთაჲ, რუთისი, იობისი, ესაიაჲსი. (=ძველი ქართული ენის ძეგლები. 4]. გამოსცა ა. შანიძემ. მა-ის გამომცემლობა. თბილისი 1948, VI, 80 გვ. (გვ. 113—192).

107. ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. I. ქართული ენის ზმნის ფორმების განაწილებისათვის ქართული ენის სასწავლო ლექსიკონში (თეზისები). მა-ის საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების სესია, 23—24 აპრილს 1948, გვ. 8—9.

108. მწკრივთა მოძღვრებისათვის. სხვა უცნობი მწკრივი ქართულში (თეზისები). თუ-ის სამეცნიერო სესია 31. 5—5. 6-ს 1948, გვ. 18.

108ა. Теория скрив в применении к спряжению глаголов древнеармянского языка: Совместная научная сессия отделений общественных наук (в Тбилиси и Ереване) 22—30 мая 1948 (Тезисы), стр. 20—23.

109ა. რედაქცია და წერილი რედაქტორისაგან (ქართულ და რუსულ ენაზე): ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. ნაკვეთი 1 (ა—მ). მა-ის გამომცემლობა. 1948, VIII, 416 გვ.

1949

109ბ. რედაქცია და წერილი რედაქტორისაგან (ქართულ და რუსულ ენაზე): ი. იმნაიშვილი. ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი. ნაკვეთი 2 (ნ—ჰ და საკუთარი სახელები). 1949, 032, 417—840 გვ.

ამავე 1949 წ. გამოვიდა ორივე ნაკვეთი ერთ წიგნად, რომელსაც უძღვის წერილი რედაქტორისაგან ქართულ და რუსულ ენაზე (მეორე ვარიანტი, მეორე ნაკვეთს რომ ახლავს). თბილისი 1948—1949. 032, 840 გვ.

110. რედაქცია: ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული ალბომი. შეადგინა ილია აბულაძემ. თსუ-ის გამომცემლობა. 1949, XVI, 358 გვ.

111. სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში და მისი შედეგები: ლიტერატურა და ხელოვნება 29. 5. 1949 (№ 21).

112. რედაქცია: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტ. I. V—X საუკუნეთა ძეგლები. გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1949. X, 492 [3] გვ.

მე-2 გამოცემა (შევსებული და შესწორებული), 1953, XII, 552 გვ.

113. ცოტა რამ ქართული ენის ისტორიიდან („ჩასესხები სინდისის" შესახებ): ლიტერატურა და ხელოვნება, 12. 4. 1949.

114. რედაქცია: კ. თევზაძე, ს. ჯიქია, ქართული ენა. სახელმძღვანელო საქართველოს სსრ აზერბაიჯანული სკოლებისათვის. II კლასი. სწავლების I წელი. 1949, 120 გვ.

1950

115. უ და ს თავსართების ხმარება ზმნებში. პროექტი ნიმუშებითურთ: სალიტერატურო ქართულის ნორმათა საკითხები, I. თბილისი 1950. 32 გვ., რედაქტორი ა. შანიძე (ხელნაწერის უფლებით).

116. რედაქცია და ლექსიკონი: ვაჟა-ფშაველა. ტომი II. ლექსები. ა. აბაშელისა და ა. შანიძის რედაქციით. სახელგამი. 1950, 472 გვ.. ლექსიკონი (გვ. 427—463) შეადგინა ა. შანიძემ.

117. რედაქცია და წერილი რედაქტორისაგან: საქმე მოციქულთა. ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 7]. მა-ის გამოცემა. 1950, 032, 224 გვ.

1951

118. შ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. ლექსიკონი იუსტ. აბულაძისა. სახელგამი. 388 გვ.

1952

119. ეტიმოლოგიური ძიებანი. ყარსი, ბანა, ართანუჯი (თეზისები). თსუ-ის სამეცნიერო სესია, 20—22 ივნისს 1952.

120. Грузинское письмо: Большая советская энциклопедия, т. 13 (1952), стр. 106—107.

121. Вступительное слово (на сессии Института истории им. И. А. Джавахишвили, посвященной вопросам этнографии Кавказа, произнесенное 15 ноября 1949 года): Вопросы этнографии Кавказа (Доклады на сессии Института истории им. И. А. Джавахишвили 15—21 ноября 1949 г.). Тбилиси 1952, стр. XI—XIII.

122. რედაქცია: Е. Такайшвили, Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии. Изд. АН Грузинской ССР. Тбилиси 1952. 102 გვ. და 151 ტაბულა. იგივე ქართულად (№ 175).

1953

123. ქართული გრამატიკის საფუძვლები. ტ. I, მორფოლოგია. თსუ-ის გამომცემლობა. თბილისი 1953. 020, 674 გვ.

124. რედაქცია: ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. თსუ-ის გამომცემლობა. 1953, 032, 344 გვ.

125. ვეფხის ტყაოსნის ახალი გამოცემის გამო (კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის თანაავტორობით): ლიტერატურული ძიებანი, VIII (1953), გვ. 345—360.

125ა. ძველი ქართულის ოდ სავრცობიან ზმნათა წარმოების ისტორიისათვის: თსუ-ის სამეცნიერო სესია (თეზისები), 19—21 ივნისს 1953, გვ. 4—5.

1955

126. რედაქცია: ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ [=ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 1]. 1955, XXXII, 324 გვ.

127. Грузинская палеография: Большая советская энциклопедия, т. 31 (1955), стр. 584—585.

128. Сванский язык: Большая советская энциклопедия, т. 38 (1955), стр. 184.

129. ქართული ენის გრამატიკა. I. მორფოლოგია. [=ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 2]. თბილისი 1955. 08, 330 გვ.

130. რედაქცია: მამათა სწავლანი. X და XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 8]. 1955. XXII, 322 გვ.

1956

131. ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის წაკითხვა-გაგებისათვის: მამ, ტ. 17, (1956) № 9, გვ. 857—859. იგივე რუსულად: К чтению и пониманию надписи на мраморной скульптуре из Вани: Сообщения АН Груз. ССР, т. 17 (1956), № 9, стр. 857—859.

132. ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. არა მგამა: მამ, ტ. 17 (1956), № 2, გვ. 177—184. იგივე რუსულად: Вопросы языка поэмы Ш. Руствели „Витязь в тигровой шкуре". არა მგამა мне нипочём: Сообщения Академии наук Грузинской ССР, т. 17 (1956), № 2, стр. 177—184.

133. ვეფხის ტყაოსანი, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით [=ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 3]. 1956, 037, 432 გვ.

გამოკვლევა „ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის" (გვ. 014—032), ოდნავი შემოკლებით დაიბეჭდა მნათობში (ნ. № 134) და სრულად გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 85—119.

134. ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის: მნათობი 1956, № 7, გვ. 136—145.

135. უსაჭიროესი განმარტება: ლიტერატურული გაზეთი 21. 9. 1956.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 127—131.

136. რედაქცია და წინასიტყვაობა: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 9]. მა-ის გამომცემლობა, 1956, 038, 144 გვ.

137. ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. ორი შესასწორებელი ადგილი: 1. წამმართოს, თუ და-ვე-მრთოს? 2. ისხემდეს, თუ იხმევდეს? — მნათობი 1956, № 12 (დეკემბერი), გვ. 164—166.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 120—126.

138. რედაქცია: ლეო კვაჭაძე. ქართული ენის სინტაქსი (პუნქტუაციის საკითხებითურთ). სახელმძღვანელო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის. სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა. 1956. 208 გვ.

მე-2 გამოცემა (გადამუშავებული და შევსებული): 1958, 320 გვ.

139. რედაქცია: Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, Исследование развития архитектуры восточной провинции Грузии в IV—XVIII вв. (т. II. Иллюстрации). Изд. АН Грузинской ССР. Тбилиси 1956. XX, 474 стр. (ნ. კიდევ № 158).

140. რედაქცია: რუსულ-ქართული ლექსიკონი. მა-ის გამოცემა. ტ. I, 1956 (რედ. К ასოს ქვეშ მოთავსებული ნაწილისა). ნ. კიდევ № 162.

1957

141. თხზულებანი. ტ. I. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. თუ-ის გამოცემა. თბილისი 1957. 08, 384 გვ.

შინაარსი: წინასიტყვაობა, გვ. 07. 1) Отчет о летней командировке 1913 г. в Душетский и Тионетский уезды Тифлисской губернии для изучения грузинских говоров, გვ. 3—8. 2) ქართული კილოები მთაში, გვ. 9—19. 3) Два чано-мегрельских суффикса в грузинском и армянском языках (I. Суффикс происхождения არ ar в грузинском языке, II. Глагольный суффикс ում um в североармянских наречиях и говорах), გვ. 20—27. 4) ვინაობის სუფიქსი „არ" ქართულ ენაში, გვ. 28—32. 5) მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, გვ. 33—34. 6) ნასახელარი ზმნები ქართულში, გვ. 35—44. 7)Субъектный префикс второго лица и объектный третьего в грузинских глаголах, გვ. 45—110. 8) სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, გვ. 111—263. 9) თეზისები დისერტაციისა, გვ. 264—266. 10) ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში, გვ. 267—281. 11) უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო. I. ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთერთმეტე საუკუნის მწერლობაში, გვ. 282—296; II. ჰაემეტობა ადიშის სახარებაში, გვ. 296—301). 12) ოცობითი თვლის გავლენა ძველ ათობითს წერაზე ქართულში, გვ. 302—311. 13) წელიწადის ეტიმოლოგიისათვის (რედუქციის საკითხი ქართველურ ენებში), გვ. 312—319. 14) ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმით სვანურში, გვ. 320—322. 15) უმლაუტი სვანურში, გვ. 329—376. საძიებელი, 377—379.

142. შ. რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. სურათებით. სახელგამი. 1957, 404 გვ. ამ გამოცემაში ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი (გვ. 345—399) ეკუთვნის ა. შანიძეს.

ეს ლექსიკონი გადამუშავებული სახით დაიბეჭდა აგრეთვე პოემის 1960 წლის გამოცემაში (ნ. № 172).

143. ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ: თუშ, ტ. 67 (1957), გვ. 299—301.

144. ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. კვლავ „მკლავს უგრძესი" და სხვა: მნათობი 1957, № 2, გვ. 150—157.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 132—143.

145. ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები? — მნათობი 1957, № 9 (სექტემბერი), გვ. 144—148.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 147—152.

146. Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов. Материалы по истории Азербайджана. Труды музея истории Азербайджанской ССР. том. II. Баку 1957. (Тезисы были напечатаны в 1956 г.).

147. Принципы классификации грузинских диалектов: Труды объединенной научной сессии Академии Наук СССР и Академий наук Закавказских республик по общественным наукам (29 марта—22 апреля 1957 г.). Баку 1957, стр. 828—832.

148. რედაქცია და წინასიტყვაობა: А. А. Цагарели, Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, 2-ое издание. დანართის სახით დაიბეჭდა: თუშ, ტ. 67 (1957), 38 გვ. (ამონაბეჭდი ცალკე ბროშურადაც გამოვიდა).

149. რედაქცია: ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 10]. მა-ის გამომცემლობა, თბილისი 1957. 048, 220 გვ.

150. რედაქცია: ი. იმნაიშვილი. სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში [=ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 4]. თუ-ის გამომცემლობა. 1957. 028, 784 გვ.

1958

151. ეტიმოლოგიური შენიშვნები. ჯაკონია („კერპი"): მამ, ტ. 20 (1958), № 5. გვ. 613—614. იგივე რუსულად: Этимологические заметки. ჯაკონია („кумир", „идол"): Сообщения АН Грузинской ССР, т. 20 (1958), стр. 613—614.

152. Ეტიმოლოგიური შენიშვნები. Ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში: ᲛᲐᲛ, ტ. 20 (1958), № 2, გვ. 253—256. Იგივე რუსულად: Этимологические заметки. Один термин родства в грузинском: Сообщения АН Грузинской ССР, т. 20 (1958), стр. 253—256. Ამისი დამატება ნახე № 189.

153. Ეკური ქალვაჟიანი: Ლიტერატურული ძიებანი, ტ. XI (1958), გვ. 379—393.

154. Საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის. — Წიგნში: „Თბილისი 1500". Საიუბილეო კრებული. Თბილისი 1958. ᲗᲣ-ის გამოცემა, გვ. 19—22 (Შდრ. № 155).

154ა. К этимологии названия столицы Грузии: II Объединенная научная сессия Азербайджанского, Ереванского и Тбилисского университетов 10—14 октября 1958 (Тезисы), стр. 103.

155. Თბილისის ეტიმოლოგიისათვის: Საქართველოს ეკონომისტი, 1958 № 10, გვ. 45—46 (Შდრ. № 154).

156. Страница из историята на грузино-българските културни взаимоотношения („Ერთი გვერდი ქართველთა და ბულგართა კულტურული ურთიერთობიდან"): Исторически преглед (Ბულგარეთის ᲛᲐ-ის Ისტორიის ინსტიტუტის ორგანო), ტ. XIV (1958), № 4.

156ა. Ბერულისა და ქართულის ურთიერთობის ისტორიიდან. Ენათმეცნ. ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესია. 31 მაისს—2 ივნისს 1958 (Თეზისები), გვ. 5.

1959

157. Სინური მრავალთავი 864 წლისა. Სასტამბოდ მოამზადეს (ძველი ქართული ენის) კათედრის წევრებმა Აკაკი Შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით [=Ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 5]. ᲗᲣ-ის გამომცემლობა. 20, 342 გვ. (Ახლავს 11 ტაბულა).

Გამოკვლევა: „სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის", გვ. 285—338.

158. Რედაქცია: Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии. Исследование развития архитектуры восточной провинции Грузии в IV—XVIII вв. [т. I] Текст. Изд. АН Грузинской ССР. Тбилиси 1959. XXVI, 640 стр. (Ნ. კიდევ № 139).

159. Ეტიმოლოგიური შენიშვნები. „Კეკელა", „კეკლუცი": Საიუბილეო კრებული, მიძღვნილი Კ. Კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი. ᲗᲣ-ის გამომცემლობა. Თბილისი 1959, გვ. 23—32.

160. Წესები Ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის საჭირო მასალის ამოსაწერად რუსთველოლოგიური ლიტერატურიდან (Ა. Შანიძის რედაქციით). Თბილისი 1959, 16 გვ.

161. Ვეფხის ტყაოსნის ენის საკითხები. Კვლა და კვლაცი: Მნათობი 1959, № 1, გვ. 146—147.

Გადაიბეჭდა: Თხზ., ტ. II, გვ. 145—146.

162. Რედაქცია: რუსულ-ქართული ლექსიკონი. ᲛᲐ-ის გამოცემა. Ტ. III, 1959 (Რედ. Ф და X ასოების ქვეშ მოთავსებული ნაწილისა, გვ. 558—614). Ნ. კიდევ № 140.

163. Სულხან-Საბა Ორბელიანი როგორც ლექსიკოგრაფი: Მნათობი 1959, № 10, გვ. 104—110.

164. Ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები. I. Ზმნის ფორმათა მეთაური Სულხან Ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და Ვახტანგ VI-ის Თარგმანში. — Წიგნში: Სულხან-Საბა Ორბელიანი (1658—1958). Საიუბილეო კრებული. Თბილისი 1959, გვ. 247—258.

165. Სულხან-Საბა Ორბელიანის ქართული ლექსიკონი: Ლიტერატურული ძიებანი, ტ. XII. 1959, გვ. 13—17.

166. Грузинская надпись XIII века в селении Кош (Армянская ССР): ᲘᲔᲛ, ტ. I (1959), გვ. 7—19 (Ახლავს 1 ტაბულა).

167. Новые данные об алфавите кавказских Албанцев (Второй список албанского алфавита): Труды конференции закавказских университетов. Издательство АН Азербайджанской ССР, Баку 1959, стр. 201—206.

1960

168. ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში: მა-ის საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 2 (1960), გვ. 225—233.

169. ეტიმოლოგიური შენიშვნები. კვლავ ნათესაობის აღმნიშვნელი „შილ“ ტერმინისათვის: მამ, ტ. 25 (1960), № 5, გვ. 639—640.

170. გადაუდებელი საქმე (ქართული თვლის სისტემის შესახებ): ცისკარი 1960, № 5 (მაისი), გვ. 123—130.

171. აკაკის იუბილე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში: მნათობი 1960, № 9 (სექტემბერი), გვ. 5—9.

172. შ. რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე [=„ჩვენი საუნჯე“, ტ. 3]. „ნაკადულის“ გამოცემა. 1960, 322 გვ.

ეს გამოცემა ოდნავ განსხვავდება პოემის 1957 წლის გამოცემისაგან, რომლის ტექსტი იმავე სარედაქციო კოლეგიისაგან არის დადგენილი. ამასაც ახლავს ა. შანიძის შედგენილი ლექსიკონი (გვ. 305—328), რომელიც საგრძნობლად არის გადამუშავებული (ნ. № 142).

173. რედაქცია და წინასიტყვაობა: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. X—XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზექალა შანიძემ. I. ტექსტი [=ძველი ქართული ენის ძეგლები. 11]. 032, 488 გვ.. ახლავს 11 ტაბულა. მა-ის გამომცემლობა. 1960.

174. რედაქცია და წინასიტყვაობა: თ. უთურგაიძე, თუშური კილო. თუ-ის გამოცემა. თბილისი 1960, 08, 296 გვ.

175. რედაქცია: ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. მა-ის გამომცემლობა, თბილისი 1960, 010, 85 გვ. და 151 ტაბულა (იგივე რუსულად № 122).

176. Названия „орла“ в грузинском языке: Исследования по истории культуры народов Востока (Сборник в честь академика И. А. Орбели). М.—Л. 1960, стр. 140—143.

177. Криптографическая запись в одной армянской рукописи из Мюнхенской коллекции: Известия АН Армянской ССР. Отделение Общественных наук, 1960, № 9, стр. 91—98.

178. Язык и письмо кавказских албанцев. მა-ის საზ. მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 1 (1960), გვ. 168—189 (ახლავს 4 ტაბულა).

ამ გამოკვლევის მოკლე ვარიანტი ცალკე ბროშურად გამოიცა მოსკოვში ორიენტალისტების XXV საერთაშორისო კონგრესის გამო: Язык и письмо кавказских албанцев. XXV международный конгресс востоковедов. Доклады делегации СССР. Издательство Восточной литературы, Москва 1960. 16 стр.

179. В поисках изчезнувшего портрета. Вечерний Тбилиси, 22.11.1960 (№ 276).
გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 278—281.

1961

180. ვეფხის ტყაოსნის საკითხები. „გულმხიარული ვიხარებ“ სტროფის მეოთხე ტაეპის გამართვისათვის: მნათობი 1961, № 12, გვ. 130—135.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 153—163.

181. გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7. თბილისი 1961, გვ. 207—228. (იგივე ფრანგულად, ოდნავი შემოკლებით, № 194) .

182. რედაქცია: იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება. ძველი ქართული ვერსია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა. [=ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7], გვ. 1—205 (ახლავს 6 ტაბულა).

183. მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე: ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული (1861—1961). თბილისი 1961, გვ. 5—12.

184. Поездка в Иерусалим (К вопросу о портрете Ш. Руствели). Вестник Академии наук СССР 1961, № 8, стр. 91—94.
Გადაიბეჭდა: Თხზ., ტ. II, გვ. 275—277.

1962

185. Ვეფხის ტყაოსნის საკითხები. Ვარდისა თუ ვადისა? — Ლიტერატურული გაზეთი, 30. 11. 1962.
Გადაიბეჭდა: Თხზ., ტ. II, გვ. 164—168.

186. Ვასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის (Რეზიუმე რუსულ ენაზე): ᲗᲣᲨ, ტ. 99 (1962), გვ. 247—250.

187. Დაფარული საუნჯე (ქართული მთავრული ასოების ხმარების საკითხის გამო). Საბჭოთა ხელოვნება, 1962, № 9, გვ. 49—62.

188. Ქართული ენის გრამატიკა. I. Მორფოლოგია. Გამოცემა მეორე, შესწორებული [= Ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 2]. ᲗᲣ-ის გამომცემლობა. Თბილისი 1962, 240 გვ.

189. Ვახტანგისეული Ვეფხის ტყაოსანი: Ლიტერატურული გაზეთი, 4. 5. 1962 (№ 9).
Გადაიბეჭდა: Თხზ., ტ. II, გვ. 58—65.

1963

190. Წისქვილის ქვის სახელები ძველ ქართულში: Მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. Წ. II—III (1963), გვ. 37—46.

191. Ვეფხის ტყაოსნის საკითხები. Ამა ორთა კიდეგანთა: Ლიტერატურული გაზეთი 22. 3. 1963 (№ 12).
Გადაიბეჭდა: Თხზ., ტ. II, გვ. 169—172.

192. Ვეფხის ტყაოსნის საკითხები. Უჰკეთესი-Უჰკეთესი: Ლიტერატურული საქართველო, 16. 4. 1963 (№ 17).
Გადაიბეჭდა: Თხზ., ტ. II, გვ. 173—175.

192ა. Ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის პრაქტიკიდან: Საქ. ᲡᲡᲠ უმაღლესი სასწავლებლის ქართ. ენის კათედრათა I (V) სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია 27—29 აპრილს 1963 (Თეზისები), გვ. 10—11.

193. Ეტიმოლოგიური შენიშვნები. Ერთი არაბული სიტყვა Გიორგი Მთაწმიდლის ენაში (Რეზიუმე რუსულ ენაზე): ᲗᲣᲨ, ტ. 96 (1963), გვ. 7—10.

194. Le sujet grammatical de quelques verbes intransitifs en géorgien Bulletin de la Société de Linguistique de Paris, tome 58 (1963), Paris, pp. 1—27 (Იგივე ქართულად, № 181).

195. Რედაქცია: Საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში. [I]. Გამოსცა Ი. Იმნაიშვილმა [= Ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 8]. ᲗᲣ-ის გამომცემლობა. 1963, VIII, 64 გვ.

196. Რედაქცია: Ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. II. Გამოსაცემად მოამზადა Ი. Იმნაიშვილმა. Გამომცემლობა „Ცოდნა". 1963, VIII, 224 გვ.

1964

197. Ქართული ენის გრამატიკა. Ნაწილი I. Ფონეტიკა და მორფოლოგია. V—VI კლასები. სახელმძღვანელო (Ი. Იმნაიშვილისა და Ზ. Ჩვაჭაძის თანაავტორობით). Თბილისი, „Განათლება" (1964), 172 გვ.

Მე-2 გამოცემა, „Განათლება" (1965), 180 გვ.; მე-3 გამოცემა, „Განათლება" (1966), 180 გვ. (Შდრ. № 71).

198. Ქართული ენის გრამატიკა. Ნაწილი II. Სინტაქსი (მართლწერის საკითხებითურთ). VII—VIII კლასების სახელმძღვანელო (Ზ. Ჩვაჭაძის თანაავტორობით). Გამომცემლობა „Ცოდნა". Თბილისი (1964), 118 გვ.

მე-2 გამოცემა, „განათლება“ (1965), 136 გვ.; მე-3 გამოცემა, „განათლება“ (1966), 136 გვ. [შდრ. № 71].

199. ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიიდან (რეზუმე რუსულ ენაზე): თუშ, ტ. 108 (მიეძღვნა პროფ. იუსტინე აბულაძის ხსოვნას) [=აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, IV] 1965, გვ. 33—37.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 184—187.

200. რეცენზია: პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები. ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა. თბილისი 1961, 0199, 304 გვ.: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 9 (1964), გვ. 187—193.

201. ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან. ქართულ-ოსური წიგნი 1823 წლისა: მაცნე, 1964, № 1 (16), გვ. 170—175.

202. ვეფხის ტყაოსნის საკითხები. სახლთუხუცესი თუ ზღვათა მინისტრი? — ლიტერატურული საქართველო, 23, 10. 1964 (№ 43).

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 176—179.

203. ვეფხის ტყაოსნის საკითხები. ასული და ჩემი ძეო: ლიტერატურული საქართველო 25. 12. 1964 (№ 52).

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 180—183.

204. ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში (ნარკვევი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან): ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9 (1964), გვ. 1—94 (ახლავს 11 ტაბულა).

1965

205. დღევანდელი ვითარება „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში: მნათობი 1965 № 10, გვ. 116—126; № 11, გვ. 131—145.

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 214—248.

206. ეტიმოლოგიური შენიშვნები. ავლა-დიდება (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 40 (1965), № 1, გვ. 253—256.

207. „ისტორიათა და აზმათა“ დასაწყისი სტრიქონები (რეზუმე რუსულ ენაზე): თუშ, ტ. 114 (1965), გვ. 23—28.

208. ვეფხის ტყაოსნის საკითხები. ისეგვარი: ლიტერატურული საქართველო 8. 10. 1965 (№ 41).

გადაიბეჭდა: თხზ., ტ. II, გვ. 188—191.

209. Грузинская университетская гарнитура: Научно-исследовательский институт полиграфического машиностроения. Труды. Выпуск 29 (Москва 1965), стр. 16—32. ახლავს 1 ტაბულა.

210. Новый взгляд на природу спряжения новоармянского глагола: თუშ, ტ. 116 [=აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V], გვ. 423—438.

211. ეტიმოლოგიური შენიშვნები. 1. ქართული გ ზ ა და მისი შესატყვისი სვანურში. 2. ქართული ი წ რ ო და მისი შესატყვისი კოლხურში (რეზუმე რუსულ ენაზე): მამ, ტ. 38 (1965), № 3, გვ. 733—737.

212. რედაქცია (ილია აბულაძესთან ერთად): სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი. ტ. IV, 1. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ. თბილისი 1965, 640 გვ.

1966

213. თხზულებანი. II. ვეფხის ტყაოსნის საკითხები, 1. თუ-ის გამოცემა. 1966. 08, 276 გვ.. ახლავს შოთას იერუსალიმური პორტრეტი.

შ ი ნ ა ა რ ს ი: წინასიტყვაობა (05—08). 1) ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსნის აღდგენისათვის (გვ. 3—4). 2) ვახტანგის თარგმანი ვეფხის ტყაოსნისა და მისი

მნიშვნელობა ტექსტის შესწავლისათვის (გვ. 5—52). 3) ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი ვახტანგისა (გვ. 52—57). 4) ვახტანგისეული ვეფხის ტყაოსანი (გვ. 58—65). 5) ვახტანგის დედანი ვეფხის ტყაოსნისა (გვ. 66—76). 6) არა მგამა (გვ. 77—84). 7) ვეფხის ტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის (გვ. 85—119). 8) დამ-მართოს თუ და-ვე-მრთოს? (გვ. 120—123). 9) ისხმიდეს თუ იხმევდეს? (გვ. 124—125). 10) უსაჭიროესი განმარტება (გვ. 127—131). 11) კვლავ „მკლავს უგრძესი" და სხვა (გვ. 132—143). 12) კვლა და კვლაცა (გვ 144—146). 13) ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები? (გვ. 147—152). 14) „გულ-მხიარული ვიხარებ" სტროფის მეოთხე ტაეპის გამართვისათვის: I. დაგიდგნას თუ დაგიდგნეს? II. გაგილბილდების თუ გაგიცვილდების? III. არ თურე თუ არ თუ ვერ? (გვ. 153—163). 15) ვარდისა თუ ვადისა? (გვ. 164—168). 16) ამა ორთა კიდეგანთა (გვ. 169—172). 17) უკეთესი — უკეთესი (გვ. 173—175). 18) სახლთუხუცესი თუ ზღვათა ვაზირი? (გვ. 176—179). 19) ასული და ჩემი ძეო (გვ. 180—183). 20) ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიიდან (გვ. 184—187). 21) ესეგვარი (გვ. 188—191). 22) დიონოსი (გვ. 192—196). 23) ერთი ქსოვილის სახელი ვეფხის ტყაოსანში (გვ. 197—204). 24) მუხლთ მოყრა და თითით ხვეწნა (გვ. 205—208). 25) სმუნვა და ჩმუნვა ვეფხის ტყაოსან-ში (გვ. 209—213). 26) დღევანდელი ვითარება ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში (გვ. 214—246). 27) ამარი (გვ. 247—249). 28) სამგვარი მზრახველობა (გვ. 250—255). 29) ქარქაში თუ კაპარჭი? (გვ. 256—259). 30) რუსთაველი თუ რუსთველი? (გვ. 260—268). 31) Первопечатное издание поэмы Ш. Руствели „Витязь в тигровой шкуре" (стр. 269—273). 32) Из поездки в Иерусалим (К вопросу о портрете Ш. Руствели), стр. 274—277. 33) В поисках исчезнувшего портрета (стр. 278—281). 34) Руставели или Руствели? (стр. 282—283).

214. ვეფხის ტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. ტ. I. შ. რუსთველი. ვეფხის ტყაოსანი. ტექსტი და ვარიანტები. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი 1966. 024, 536 გვ.

ამ გამოცემაში ტექსტის დადგენის მონაწილენია აგრეთვე ა. ბარამიძე და ი. ლოლაშვილი, ხოლო ვარიანტები შეუდგინა ც. კარბელაშვილმა. გამოცემაში საკუთრივ შანიძისაა „განმარტებითი ბარათი" (გვ. 018—021).

215. [ორი ვარიანტი ვეფხის ტყაოსნის საიუბილეო გამოცემისა:]

ა) შ. რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი. დაიბეჭდა საქართველოს სსრ მთავრობის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავზე. სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი. მამუკა თავაქარაშვილის სურათებით (შოთას სურათით თავში და 26 მინიატურით ბოლოში). დეკორაციული გაფორმება გ. ოჩიაურისა. თბილისი 1966. 296, 2, 26, 4 გვ.

ბ) შ. რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი. დაიბეჭდა საქართველოს სსრ მთავრობის საიუბილეო კომიტეტის დადგენილებით შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავზე. იგივე სარედაქციო კოლეგია. ს. ქობულაძის სურათებით. დეკორაციული გაფორმება თ. სამსონაძისა და დ. ნოდიასი. თბილისი 1966, 304 გვ.

ორივე ვარიანტის უკანასკნელ ფურცელზე იკითხება: „წინამდებარე გამოცემას საფუძვლად დაედო საიუბილეო კომიტეტის მიერ მოწონებული «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვეფხის ტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში» მომზადებული ტექსტი, რომელშიც სარედაქციო კოლეგიამ შეიტანა მცირეოდენი ცვლილებები". ხოლო იქ დამოწმებულ მოწონებულ გამოცემაში (რომლის ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ) აღნიშნულია (გვ. 312), რომ ტექსტის დადგენისას გამოყენებულ იქნა, სხვათა შორის, პოემის 1957 წ. გამოცემა (სარედ. კოლეგია: ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე) და აგრეთვე ა. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქ-

ცრით გამოსაცემად დამზადებული ვარიანტებიანი Ვეფხის ტყაოსნის ფოტოპირები (საიუბილეო დღეებისთვის ეს ვარიანტებიანი გამოცემაც გამოვიდა, ნ. № 214). Ამ გამოცემათა გამოყენებით განისაზღვრება Ა. Შანიძის მონაწილეობა საიუბილეო გამოცემების ორივე ვარიანტის სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში.

216. Თანხმოვანი ხმოვნად იქცა: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1966, № 1, გვ. 5—9.

217. Ვეფხის ტყაოსნის საკითხები. Არ დაჰრიდობს თუ არ დამრიდობს? — ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1966, № 2, გვ. 9—11.

218. Რედაქცია: Საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში. II. Გამოსცა Ი. Იმნაიშვილმა [=ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 10]. ᲗᲣ-ის გამოცემა. 1966, 8, 240 გვ.



ნარევი. საგაზეთო შენიშვნები

1906

219. ვის ვუცადოთ? — მუშა, 15. 4. 1906, № 9, ხელის მოწერა: ან-და-სონ (დავით ყიფშიძის თანაავტორობით).

220. თარგმანი: პ. კროპოტკინი. თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი: მუშა, 1906, №№ 23, 27, 29, 35, 37, 41, 45, 48. — ხელის მოწერა: ან-შინ.

1908

221. სიმღერა (მიბაძვა დ. გურამიშვილს): ეშმაკის მათრახი 20.7. 1908 (№ 40). — ხელის მოწერა: გურჯი.

221ა. მესტვირული: ეშმაკის მათრახი 3. 8. 1908. — ხელის მოწერა: გურჯი.

222. რად არის მთვარეზე შავი ადგილები? (ფშაური ლეგენდა ლექსად): ნაკადული (საყმაწვილო ჟურნალი მცირეწლოვანთათვის), 1908, № 20 (ოქტომბერი), გვ. 13—15.

1910

223. ზაშარის ხატი (ფშაური ლეგენდა ლექსად: ნაკადული (მოზრდილთათვის), 1910, № 5. — ხელის მოწერა: აკაკი მცირე.

223ა. ნიყვი (ბაბუას ნაამბობი): ნაკადული (მცირეწლოვანთათვის), 1910 № 6. გვ. 57. ხელის მოწერა: აკაკი მცირე.

1912—1913

224. Ванское царство: Русск. энцикл., т. 3. (1912—1913), стр. 473—474.

225. Вахтанг VI: Русск. энцикл., т. 4 (1912—1913), стр. 21.

226. Вахуштий: Русск. энцикл., т. 4 (1912—1913), стр. 22.

227. Габашвили, 1) Виссарион (Бесик), 2) Екатерина Ревазовна: Русск. энцикл., т. 5, (1912—1913), стр. 67.

228. Грузинский алфавит: Русск. энцикл., т. 6 (1912—1913), стр. 328.

229. Грузинская литература: Русск. энцикл., т 6 (1912—1913), стр. 323—324.

230. Грузинский язык: Русск. энцикл., т. 6 (1912—1913), стр. 328.

231. Гурамишвили, Давид: Русск. энцикл., т. 6 (1912—1913), стр. 377.

232. Библиография. Отдельные издания и статьи на грузинском языке, появившиеся в 1911 и 1912 гг.: Христианский Восток. Серия, посвященная изучению христианской культуры народов Азии и Африки (Издание Российской Академии Наук), 1913, т. 11, стр. 253—262.

1915

233. სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად. ტბილისი, 1915, 16 გვ. (ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, იუსტ. აბულაძის და სხვათა თანაავტორობით).

1916

234. Თანაავტორი: Грузинская библиография. I. Указатель к статьям и материалам в грузинской периодической печати (1852—1910). Სათაური ქართულადაც: Ქართული ბიბლიოგრაფია I. Ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852—1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი [შედგენილია Პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრების მიერ], Ი. Ყიფშიძის წინასიტყვაობით. Петроград 1916. Მეცნ. აკადემიის გამოცემა. VIII, 160 გვ.

1917

235. Ორი უნივერსიტეტი: Სახალხო საქმე 14. 10. 1917 (№ 76).

236. Თარგმანი: Ტერ-Გრიგორიანი, Ა. (Ვანო), „Მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა (ფურცლები ჩემი მოგონებათაგან): Პრომეთე 1918, № 1, გვ. 90—93; № 2, გვ. 90—93.

1919

237. Პროფ. Ი. Ყიფშიძე. (1881—1919). (ნეკროლოგი). Სახალხო საქმე, 23. 2. 1919, № 64; Იქამი 1919, № 1—2, გვ. 24—25.

1920

238. Სალამი სომხურ უნივერსიტეტს! (სომხური უნივერსიტეტის გახსნის გამო): Სახალხო საქმე 25. 1. 1920 (№ 736).

1924

239. Ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის შესწავლის საქმე გასულ წელს: Ქართული სიტყვა 1. 1. 1924 (№ 7).

1927

240. Პროფ. Პეტრე Მელიქიშვილი: Კომუნისტი 27. 3. 1927 (№ 68).

241. Პროფ. Ჰუგო Შუხართი (1842—1927): Კომუნისტი 8. 5. 1927.

1928

242. Ქართველი სტუდენტები ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე: Პროლეტარულ სტუდენტთა ხმა (Უნივერსიტეტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრ. აღმასბიუროს და ადგილკომის ორკვირეული ორგანო) 26. 2. 1928 (№ 11).

1929

243. Ლექსიკონი Ვაჟა-ფშაველას „Ბახტრიონისა“. Ტფილისი, Სახელგამი, 1929, გვ. 57—72. Იგივე 1936 წ. გამოცემაში, გვ. 55—70.

1930

244. Ლექსიკონი Ვაჟა-ფშაველას „Სისხლის ძიებისა“. Ტფილისი, Სახელგამი, 1930, გვ. 43—48.

1932

245. Ევროპის ენებიდან მომდინარე Ia ჯგუფიანი სიტყვები ქართულში (Თეზისები პროფ. Ა. Შანიძის მოხსენების მიხედვით). — Კრებულში: Ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისათვის. Ნაკვეთი III, გვ. 9—11. Ტბილისი 1932.

1933

246. Ⴄრთი წიგნის ბედი: „Ⴜიგნი" (სახელგამის ყოველთვიური ჟურნალი), 1933, № 2—3 (5—6), გვ. 21—23.

1934

247. Ⴓნივერსიტეტის სტამბის მოწყობის გამო: Ⴁოლშევიკური კადრებისათვის, 12. 3. 1934, № 3 (10).

248. Ⴎროფ. Ⴇ. Ⴟანაშვილი (Ⴌეკროლოგი): Ⴉომუნისტი 24. 4. 1934 (№ 94).

1935

249. Ⴜესები Ⴅეფხის ტყაოსნის Ⴅარიანტების ამოსაწერად (Ⴊითოგრაფიული გამოცემა). 1935, 8 გვ.

250. Ⴂამოცდები ქართულში: Ⴀხალგაზრდა კომუნისტი 9. 9. 1935 (№ 209).

251. Ⴎირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში: Ⴁოლშევიკური კადრებისათვის 15. 9. 1935 (№ 14).

252. Ⴕართული ენის კულტურისათვის: Ⴁოლშევიკური კადრებისათვის 11. 10. 1935 (№ 17).

1936

253. Ⴅახტანგისეული „Ⴅეფხის ტყაოსნის" აღდგენისათვის: Ⴉომუნისტი 24. 9. 1936 (№ 222).

254. Ⴄვროპის ენებიდან მომდინარე la და lu ჯგუფიანი სიტყვები ქართულში. (Ⴀ. Ⴘანიძის მოხსენების მიხედვით). Ⴇეზისები: სალიტერატურო ქართულის ნორმები. I. ႧႳ-ის გამოცემა, 1936, გვ. 53—57.

255. Ⴅითარებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი (Ⴀ. Ⴘანიძის მოხსენების მიხედვით). Ⴇეზისები: სალიტერატურო ქართულის ნორმები. I. Ⴇბილისი, 1936, გვ. 11—13.

Ⴂადაიბეჭდა წიგნში: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში". I. 1956, გვ. 34—35; 56—58.

256. Ⴅახტანგისეული დედანი Ⴅეფხის ტყაოსნისა: Ⴊიტერატურული საქართველო 23. 10. 1936 (№ 17) [ცნობა Ⴀ. Ⴘანიძის მიერ 1 ოქტომბერს Ⴐუსთველის ინსტიტუტის საჯარო სხდომაზე Ⴇბ. უნივერსიტეტში წაკითხული მოხსენების შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ I გამოცემა გენიალური პოემისა უთუოდ კრიტიკულად დადგენილი ტექსტია].

257. 15 წლის წინათ და ახლა: Ⴁოლშევიკური კადრებისათვის 25. 2. 1936 (№ 4).

258. საბჭოთა ენათმეცნიერება (1921—1936): Ⴉომუნისტი 25. 2. 1936 (№ 46).

259. Ⴜიგნის წყობის რაციონალიზაციისათვის: Ⴉომუნისტი 2. 7. 1936 (№ 151).

1937

260. Ⴈლია და სალიტერატურო ქართული: საბჭოთა Ⴀფხაზეთი 12. 9. 1937.

261. И. Чавчавадзе — основоположник нового грузинского литературного языка: Заря Востока, 8. 7. 1937 (№ 154).

1938

262. საბურთალოდუმ თე ჩავთლუღუმ? („საბურთალოში თუ ჩავთლუღში"?): Ⴉომუნისტი 30. 5. 1938, № 122.

263. Ⴕართველი სტუდენტობა Ⴇბილისის უნივერსიტეტის დაარსებამდე: Ⴁოლშევიკური კადრებისათვის 26. 2. 1938 (№ 14).

264. Ⴐეცენზია: Ⴀ. Ⴙოჭუა, Ⴃ. Ⴜაან, Ⴀნბან შუუ („Ⴀნბანის წიგნი"): Ⴑოხუმი 1938: საბჭოთა Ⴀფხაზეთი 20. 9. 1938 (№ 285).

1940

265. აკად. ი. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის საკითხები: კომუნისტი 21. 11. 1940 (№ 270).

266. Крупнейший историк Грузии (Акад. И. А. Джавахишвили): Заря Востока, 20. 9. 1940 (№ 269).

267. აკადემიკოსი ნიკო მარი (1864—1934): კომუნისტი 1. 11. 1940 (№ 25).

1941

268. სიტყვა, წარმოთქმული აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე: თსუ, ტ. 18 (1941), გვ. XV—XVII.

269. დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა (მეცნიერებათა აკადემიის დაარსების გამო საქართველოში): კომუნისტი 13. 2. 1941 (№ 36).

270. სიტყვა აკად. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების პირველი წლისთავის (18. 11. 1941) სესიაზე, რომელიც მოეწყო განსვენებულის ხსოვნის აღსანიშნავად (მოთხრობილია ი. ჯავახიშვილის ერთი ავადმყოფობის ამბავი): ენიმკიმ ტ. 13 (1943), გვ. 267—271.

271. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 25 წლის გამო: კომუნისტი 17. 4. 1943 (№ 87).

272. К 25-летию Тбилисского государственного университета: Заря Востока, 18. 4. 1943 (№ 88).

1945

273. რა გავაკეთე და რა მაქვს განზრახული („ხანმეტი ლექციონარი" და უძველესი ოთხთავების ტექსტი): კომუნისტი 1. 1. 1945 (№ 1).

274. ნ. ბარათაშვილის ენა: საბჭოთა მასწავლებელი 21. 10. 1945 (№ 14).

275. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალებიდან 5 წლის გამო): კომუნისტი 18. 11. 1945 (№ 228).

276. О некоторых глагольных категориях грузинского языка (Хроникальное сообщение): Известия Академии наук СССР, Отделение литературы и языка, том IV, выпуск 6, 1945, стр. 254.

1947

277. შეაგროვეთ ხალხში გაბნეული მარგალიტები: ნორჩი ლენინელი 10. 4. 1947 (№ 15).

1948

277ა. ყველას შეუძლია ამ მიზანს მიაღწიოს: ნორჩი ლენინელი 12. 2. 1948 (№ 7).

1950

278. გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის: ლიტერატურა და ხელოვნება 19. 3. 1950 (№ 12).

279. Выдающийся деятель советской науки (К 10-летию со дня смерти И. А. Джавахишвили): Заря Востока, 18. 11. 1950.

1951

280. ქართული ხელნაწერები კუნძულ ხიოსზე: კომუნისტი 23. 8. 1951.

1952

281. ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. დავუბრუნოთ ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი წინადადებაში: კომუნისტი 15. 5. 1952 (№ 114).

282. ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. ერიდოთ გარემოების წინ წამოწევას წინადადებაში: კომუნისტი 26. 12. 1952 (№ 304).

282ა. ია ბარათი ერასტი ემბაკოს-ძე თახთაძეს: ჩიანგი, 1952 № 10 (მაისი) გვ. 3. ხელის მოწერა: ა. ოქროპირიძე.

1953

283. ინსტრუქცია ძველი ქართული ენის სალექსიკონო მასალის ამოსაკრებად. თბილისი 1953, 12 გვ.

1954

284. ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის (სიტყვათა შეკუმშვის შესახებ): ახალგაზრდა სტალინელი 11. I. 1954 (№ 21).

285. დამსახურებული მეცნიერი (კორნელი კეკელიძე): ახალგაზრდა სტალინელი 24. 5. 1954 (№ 20).

286. მისალმება აკად. კ. კეკელიძეს მისი დაბადების 75-ისა და მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე (24. 5. 1954). — წიგნში: დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კ. კეკელიძე. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა. გამომც. „მეცნიერება". 1965, გვ. 40—42.

1956

287. საახალწლო მილოცვა ახალგაზრდობას: ახალგაზრდა კომუნისტი 1. I. 1956 (№ 1).

288. ქართული ხელნაწერები იერუსალიმში და სინას მთაზე: კომუნისტი 13. 5. 1956 (№ 111).

1958

289. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან: ახალგაზრდა კომუნისტი 8. 2. 1958 (№ 17).

290. თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ორგანიზატორი (ი. ჯავახიშვილი): კომუნისტი 18. 2. 1958 (№ 41), ახალგაზრდა სტალინელი 22. 2. 1958 (№ 5).

291. ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორიიდან: ახალგაზრდა სტალინელი 18. 3. 1958 (№ 8).

292. სალამი ჩვენს ახალგაზრდობას: ახალგაზრდა სტალინელი 6. 9. 1958 (№ 18).

293. ვას უჩივით თუ რას სჩივით? — თბილისი 18. 12. 1958 (№ 284).

294. დედა ენის სიწმინდისათვის. 1. პაპა თუ ბაბუა? 2. ზეგეგმითი თუ გეგმიზეითი? — თბილისი 28. 12. 1958.

1959

295. ძველი ქართული წარწერები (ქვაზე, ეტრატზე, ჯილზე): დილა 1959 № 1 (იანვარი), გვ. 1—5.

296. სიტყვა, წარმოთქმული გალაკტიონ ტაბიძის დასაფლავებისას: სახალხო განათლება 25. 3. 1959 (№ 13).

297. Древняя грузинская рукопись в Гарвардском университете: Вечерний Тбилиси, 4. 6. 1959 (№ 130).

298. Выдающийся ученый современности (К. С. Кекелидзе): Заря Востока, 7. 6. 1959 (№ 130).

გადაიბეჭდა წიგნში: დიდი ქართველი მეცნიერი აკად. კორნელი კეკელიძე. კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა. გამომცემლობა „მეცნიერება". თბილისი 1965, გვ. 91—96.

299. Ⴕართული შრიფტი (Ⴕართული სტამბის დაარსების 250 წლისთავის გამო): Ⴉომუნისტი 15. 10. 1959 (№ 241).

300. Ⴕართული ხელნაწერები Ⴎოლონეთში: Ⴑაბჭოთა ხელოვნება 1959 № 10, გვ. 45—47.

1960

301. Ⴎროფესორი Ⴋორის Ⴁრიერი: Ⴊიტერატურული გაზეთი 6. 5. 1960 (№ 19).

302. Ⴍრიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესი: Ⴉომუნისტი 7. 8. 1960 (№ 182).

303. Ⴋეცნიერება გზაა მეგობრობისაკენ (Ⴍრიენტალისტთა XXV საერთაშორისო კონგრესზე Ⴋოსკოვში): Ⴉომუნისტი 2. 9. 1960 (№ 203).

1961

304. Ⴐუსთაველი თუ Ⴐუსთველი? — Ⴉომუნისტი 10. 1. 1961 (Ⴀ. Ⴁარამიძის თანაავტორობით).

305. Ⴑასწავლო წლის განახლებისას: Ⴀხალგაზრდა სტალინელი 1. 9. 1961.

306. Ⴓრმულის ტექსტის გამართვისათვის: Ⴇბილისი 18. 9. 1961 (№ 217).

1962

307. Ⴙვენი სამშობლოს დიდი მოჭირნახულე (Ⴀკადემიკოსი Ⴉორნელი Ⴉეკელიძე): Ⴉომუნისტი 12. 6. 1962 (№ 136).

308. Ⴑომხთა ეროვნულ დღესასწაულზე (Ⴋესროპ Ⴋაშტოცის დაბადების 1600 წლისთავი): Ⴑაბჭოთა ხელოვნება 1962 № 7, გვ. 14—17.

309. Ⴑვანეთის ბურჯი (Ⴁესარიონ Ⴌიჟარაძე): Ⴉომუნისტი 3. 11. 1962.

Ⴂადაიბეჭდა წიგნში: Ⴁ. Ⴌიჟარაძე, Ⴈსტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. II, 1964 (ႧႳ-ის გამომცემლობა), გვ. 4—6.

1963

310. Ⴕართული წერა: Ⴎიონერი 1963 № 5 (მაისი). გვ. 25—27.

1964

311. Ⴍრმაგი გვარის ბრუნებისათვის: Ⴇბილისი 28. 2. 1964.

312. Ⴇერთმეტსაუკუნოვანი ქართული ხელნაწერი: Ⴉომუნისტი 29. 11. 1964 (№ 280).

1965

313. Ⴕართული შრიფტის ახალი გარნიტური „Ⴓნივერსიტეტი" (უავტოროდ. Ⴀვტორი რედაქტორად არის დასახელებული). ႧႳ-ის გამომცემლობა, 1965, 16 გვ.

314. Ⴄრთი ეპიზოდი აკადემიკოს Ⴌიკო Ⴋარის ცხოვრებიდან (Ⴋოგონება): „Ⴇბილისის უნივერსიტეტი" (Ⴇბილისის სახ. უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო) 20. 2. 1965. (№ 6).

Ⴘ ე ნ ი შ ვ ნ ა. 1952 წლიდან გამოდიოდა (ზაფხულის თვეების გამოკლებით) საუნივერსიტეტო მრავალტირაჟიანი ყოველკვირეული გაზეთი „Ⴀხალგაზრდა სტალინელი", რომელსაც 1961 წელს სახელი შეეცვალა და „Ⴇბილისის უნივერსიტეტი" დაერქვა, მაგრამ ნომრების სათვალავი განაგრძეს (1965 წლის შემოდგომაზე გამოვიდა მე-500 ნომერი). Ⴀდრე კი, ომამდე, 1932 წლიდან უნივერსიტეტში არსებობდა „Ⴁოლშევიკური კადრებისათვის", რომელიც მცირეტირაჟიანი იყო და დროდადრო გამოდიოდა.

315. Ⴕართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები (Ⴔანჯარა. Ⴑახლში წავიდა. Ⴐადაც არ უნდა დამიჯდეს და სხვა): Ⴑახალხო განათლება 3. 3. 1965.

Ⴂადაიბეჭდა: Ⴇბილისის უნივერსიტეტი 19. 3. 1965 (№ 10).

316. О надписи Ичкита сына Гургена времен царицы Тамары: Заря Восто- 5. 12. 1965 (№ 285).

1966

317. წინასიტყვაობა: პროფ. პ. მელიქიშვილი, ექსკურსიის ანგარიში: თბილისის უნივერსიტეტი 11. 6. 1966 (№ 23).

318. შესანიშნავი მკვლევარი (პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე): კომუნისტი 14. 8. 1966 (№ 184).

319. გრემის წარწერები: ყვარელი (საქართ. კპ-ის ყვარლის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს ორგანო) 25. 8. 1966 (№ 100).

320. სახელგანთქმული მეცნიერი (ვ. თოფურია): კომუნისტი 25. 8. 1966 (№ 193); თბილისის უნივერსიტეტი 9. 9. 1966.

321. სიტყვა, წარმოთქმული პროფ. ვარლამ თოფურიას დაკრძალვის დღეს: მაცნე (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), 1966 № 4 (31), გვ. 325—326.

322. მისებრი (შ. რუსთველის შესახებ): ახალგაზრდა კომუნისტი 27. 9. 1966 (№ 114).

323. Новейшие издания «Витязя»: Заря Востока 28. 9. 1966 (№ 223).



ანბანური საძიებელი

ავლა-დიდება 206
აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (გარდაცვალებიდან 5 წლის გამო) 275
აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი და ქართული კულტურის საკითხები 265
აკადემიკოსი ნიკო მარი 267
აკაკის იუბილე ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში 171
ამა ორთა კიდეგანთა 191, 213
ამარი 213
ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება ახალი აღთქმის წიგნების გამოცემებში 204
არა მგამა 132, 213
არ თურე თუ არ თუ ვერ 180, 213
არ დაპრიდობს თუ არ დამრიდობს 217
არადეთის წარწერები 29 (VII)
ასული და ჩემი ძეო 203, 213
აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალ-პირიანი ზმნის ჩვენებით 89
ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი (ილია ჭავჭავაძე) 59
ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავის შესახებ 143

ბარათაშვილის ენა 69ა, 274
ბასილი ეზოსმოძღვრის ისტორიული თხზულების ერთი შერყვნილი ადგილის გამართვისათვის 186
ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმით სვანურში 27, 141
ბეს. გაბუურის ხევსურული მასალები 23, 24, 25
ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები 145, 213
გაგილბილდების თუ გაგიცვილდების 180, 213
გადაუდებელი საქმე (ქართული თვლის სისტემის შესახებ) 170
გამოცდები ქართულში 250
გიორგი ერისთავის ბიოგრაფიისათვის 278
გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით 99
გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში 181, 194
გრემის წარწერები 319
„გულ-მხიარული ვიხარებ“ სტროფის მეოთხე ტაეპის გამართვისათვის 180, 213

დაგიდგნას თუ დაგიდგნეს 180, 213
დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები 21
დავუბრუნოთ ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი წინადადებაში 281
დამმართოს თუ დავემართოს 137, 213
დამსახურებული მეცნიერი (კორნელი კეკელიძე) 285
დამსახურებული პროფესორი მოსე ჯანაშვილი 224
დაფარული საუნჯე (ქართული მთავრული შრიფტის საკითხის გამო) 187
დედა ენის სიწმინდისათვის. ზეგეგმითი თუ გეგმიზეითი 294, პაპა თუ ბაბუა 294
დიდი ხნის ოცნება სინამდვილედ იქცა 269
დიმიტრი ყიფიანი როგორც გრამატიკოსი 54
„დიონოსი“ ვეფხის ტყაოსნისა 21, 213
დღევანდელი ვითარება „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში 205, 213

ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში 75
ევროპის ენებიდან მომდინარე ia და iu ჯგუფიანი სახელები ქართულში 245, 254
ეკური ქალეაქიანი 153
ერთი არაბული სიტყვა გიორგი მთაწმიდლის ენაში 193
ერთი ეპიზოდი აკადემიკოს ნიკო მარის ცხოვრებიდან 314
ერთი იურიდიული ტერმინის მნიშვნელობისათვის 81

Ერთი უცნობი თამარის დროინდელი წარწერა 82
Ერთი უცნობი მწკრივი ქართულში 103
Ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან 201
Ერთი ქსოვილის სახელი Ვეფხის ტყაოსანში 213
Ერთი წიგნის ბედი 246
Ესეგვარი 208, 213
Ეტიმოლოგიური შენიშვნები: Ავლა-დიდება 206; Ერთი არაბული სიტყვა Გიორგი Მთაწმიდლის ენაში 193; Კეკელა, Კეკლუცი 159; Ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში 152; Კვლავ ნათესაობის აღმნიშვნელი შ ი ლ ტერმინისათვის 169; Რკო და მუხა 104; Ქართული გ ზ ა და მისი შესატყვისი სვანურში 211; Ქართული ი წ რ ო და მისი შესატყვისი კოლხურში 211; Ყარსი, Ბანა, Არტანუჯი 119; Შა-ტაბუტა 156ა; Ჯაკონია („კერპი") 151.

Ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის წაკითხვა-გაგებისათვის 131
Ვაჟა-Ფშაველას თხზულებათა ლექსიკონი 13 (ტ. I); 38 (ტ. III), 42 (ტ. I), 101 (ტ. I), 116 (ტ. II), 243, 244
Ვარდისა თუ ვადისა 185
Ვახტანგის დედანი Ვეფხის ტყაოსნისა 56, 61, 213
Ვახტანგის ლექსიკონი Ვეფხის ტყაოსნისა 61, 213
Ვახტანგისეული Ვეფხის ტყაოსანი 189, 213
Ვახტანგისეული Ვეფხის ტყაოსნის აღდგენისათვის 213, 253
Ვახტანგის მონოგრაფია Ვეფხის ტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტის შესწავლისათვის (Ვახტანგის თარგმანი Ვეფხის ტყაოსნისა და მისი მნიშვნელობა პოემის ტექსტის შესწავლისათვის) 58, 213
Ვერიდოთ გარემოების წინ წამოწევას წინადადებაში 282
Ვეფხის ტყაოსნის ახალი გამოცემის გამო 125
Ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი 142, 172
Ვეფხის ტყაოსნის პირველი გამოცემის მოლწეული ცალები 61, 213
Ვეფხის ტყაოსნის საკითხები: Ამა ორთა კიდეგანთა 191, 213; Ამარი 213; Არ დაპრიდობს თუ არ დამრიდობს 217; Არ თურე თუ არ თუ ვერ 180, 213; Არა მგამა 132, 213; Ასული და ჩემი ძეო 203, 213; Ბიძა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები 145, 213; „Გულ-მხიარული ვიძარებ" სტროფის მეოთხე ტაეპის გამართვისათვის (I. Წაგიდგნას თუ დაგიდგნეს, II. Გაგილბილდების თუ გაგიცვილდების, III. Არ თურე თუ არ თუ ვერ) 180, 213; Ესეგვარი 208, 213; Ვარდისა თუ ვადისა 185, 213; Თხზულებანი, ტ. II, 213; Კვლა და კვლაცა 161, 213; Კვლავ „მკლავს უგრძესი" და სხვა 144, 213; Ორი შესასწორებელი ადგილი (I. Წამმართოს, თუ და-ვემართოს, 2. Ესხემდეს თუ იხმევდეს) 137, 213; Პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის 134, 213; Სახლთუხუცესი თუ ზღვათა მინისტრი (ვაზირი) 202, 213; Ობკეთესი — უკეთესი 192, 213; Ობსაჭიროესი განმარტება 135, 213
Ვეფხის ტყაოსნის სიმფონია 133
Ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიიდან 199, 213
Ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის პრაქტიკიდან 192ა
Ვეფხის ტყაოსნის ტექსტის ისტორიისათვის 55
Ვინაობის სუფიქსი „არ" ქართულ ენაში 7, 141
Ვითარებითი და წოდებითი ბრუნვების დაბოლოებანი 255
Ვნებითი გვარის ზმნათა ერთი თავისებურება საშუალ ქართულში 105ა

Ზეგეგმითი თუ გეგმიზეითი 294
Ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში 83
Ზმნათა ორმაგი გარდამავლობის საკითხისათვის 90
Ზმნის ფორმათა მეთაური სულხან-საბა Ორბელიანის Ქართულ ლექსიკონსა და Ვახტანგის Თარგმანში 164

Თანხმოვანი ხმოვნად იქცა 216
Თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ 20
Თბილისის ეტიმოლოგიისათვის 155
Თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებობის 25 წლის გამო 271
Თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ისტორიიდან 289
Თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ორგანიზატორი 290
Თეზისები დისერტაციისა 141(9)
Თერთმეტსაუკუნოვანი ქართული ხელნაწერი 313

თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი 76
თხუთმეტი წლის წინათ და ახლა 257

ი. ჯავახიშვილის ერთი ავადმყოფობის ამბავი 270
ილია და სალიტერატურო ქართული 260
ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის 69
ინსტრუქცია რუსულ-ქართული ლექსიკონის შესადგენად 44
ინსტრუქცია ძველი ქართული ენის სალექსიკონო მასალის ამოსაკრებად 283
იოანე მტბევრის ვინაობისათვის 29
ისტორიათა და აზმათა დასაწყისი სტრიქონები 207
ისემდეს თუ იხმევდეს 137, 213

კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები 118
კეკელა, კეკლუცი 159
კვლა და კვლავცა 161, 213
კვლავ მანგლისის წარწერების შესახებ 29
კვლავ „მკლავს უგრძესი" და სხვა 144, 213
კვლავ ნათესაობის აღმნიშვნელი შ ი ლ ტერმინისათვის 169
კრიპტოგრაფიული მასალები 29

ლაშარის ხატი (ფშაური ლეგენდა) 229
ლექსიკონი ბეს. გაბუურის ხევსურული მასალებისა 24
ლექსიკონი ვეფხის ტყაოსნისა 142, 172
ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მე-11 საუკუნის მწერლობაში 16, 141

მანგლისის წარწერები 29
მაჩხიტისძის ჩინი 22
მდე თანდებულის გენეზისისათვის 84
მესროპ მაშტოცის დაბადების 1600 წლისთავი 281
მესტვირული (ლექსი) 221ა
მეცნიერება გზაა მეგობრობისაკენ 303
მისალმება აკად. ჰ. ჰეკელიძეს მისი დაბადების 75-ისა და მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავის საიუბილეო ხეიმზე 286
მისებრი (შ. რუსთველის შესახებ) 322
მუხლთ მოყრა და თითით ხვეწნა 219
მოგონებანი პაკა-ფშაველაზე 183
„მცა" ნაწილაკი ძველ ქართულში 8, 141
მწკრივთა მოძღვრებისათვის: სამი მწკრივის თავისებურებანი ძველ ქართულში 95; ერთი უცნობი მწკრივი ქართულში 103; ვნებითი გვარის ზმნათა უღლების ერთი თავისებურება საშუალ ქართულში 105 ა; სხვა უცნობი მწკრივი ქართულში 108; უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება 105ბ

ნ. ბარათაშვილის ენა 69ა, 274
ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში 152
ნასახელარი ზმნები ქართულში 9, 141
„ნასესხები სინდისის" შესახებ 113
ნიშნები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის ხმარებისა ხმოვნების წინ ქართულ ზმნებში 14, 141
ნიყვი (ბაბუას ნაამბობი) 223ა

ორიენტალისტთა XXV კონგრესი მოსკოვში 303
ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესი 302
ორი უნივერსიტეტი 235
ორი შესასწორებელი ადგილი 137, 213
ორმაგი გვარის ბრუნებისათვის 311
ოცობით თვლა და ათობით წერა ქართულში 18, 22, 141

პაპა თუ ბაბუა 294
პირველი დღე ჩვენს უნივერსიტეტში 251
პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში 53
პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის 134, 213
პროექტი ორთოგრაფიის რეფორმისათვის 10
პროექტი ქართული ორთოგრაფიის საკითხების მოსაწესრიგებლად 11
პროსოდიული ხმოვნები ქართულში 77
პროფ. ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929) 15, 39
პროფ. იოსებ ყიფშიძე 237
პროფ. მორის ბრიერი 301
პროფ. მ. ჯანაშვილი 248
პროფ. პეტრე მელიქიშვილი 240
პროფ. ჰუგო შუხართი 241

რა გავაკეთე და რა მაქვს განზრახული 273
რად არის მთვარეზე შავი ადგილები 222
რადაც არ უნდა დამიჯდეს და სხვა 315
რას ვუცადოთ 219
რას უჩივით თუ რას სჩივით? 293
რუსთაველი თუ რუსთველი 213, 304
რქო და მუხა 105

საახალწლო მილოცვა ახალგაზრდობას 287
საბურთალოჲუმ თე ჩავთლუღუმ 262
საბჭოთა ენათმეცნიერება 256
სალამი სომხურ უნივერსიტეტს 238
სალიტერატურო ქართულისათვის. პროექტი ქართული ორთოგრაფიის სადაო საკითხების მოსაწესრიგებლად 11
სამგვარი მზრახველობა 213
სამენოვანი წარწერა გრემში 72
სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი 94
სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში და მისი შედეგები 111
სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში 95
სასწავლო წლის განახლებისას 305
საქართველოს დედაქალაქის სახელწოდებისათვის 154
საქართველოს მუზეუმის ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საძიებელი 68
სახელგანთქმული მეცნიერი (ვ. თოფურია) 320
სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად 233
სახლთუხუცესი თუ ზღვათა მინისტრი (ვაზირი) 202, 213
სვანური პოეზია 67
სვანური პროზაული ტექსტები 66
სვანეთის ბურჯი (ბესარიონ ნიჟარაძე) 309
სიმღერა 221
სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის 157
სიტყვა, წარმოთქმული გალაკტიონ ტაბიძის დაკრძალვის დღეს 296
სიტყვა, წარმოთქმული ი. ჯავახიშვილის დაკრძალვის დღეს 268
სიტყვა, წარმოთქმული აკად. ი. ჯავახიშვილის გარდაცვალების 1 წლისთავის სხდომაზე 270
სიტყვა, წარმოთქმული პროფ. ვარლამ თოფურიას დაკრძალვის დღეს 321
სიტყვათა შეკუმშვის შესახებ 284
სომხთა ეროვნულ დღესასწაულზე (მესროპ მაშტოცის დაბადების 1600 წლისთავი) 308
სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში 10, 141
სულხან-საბა ორბელიანი როგორც ლექსიკოგრაფი 163
სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონი 165
სხვა უცნობი მწკრივი ქართულში 108

უკეთესი—უკეთესი 192, 213
უმლაუტი სვანურში 26, 141
უნივერსიტეტის სტამბის მოწყობის გამო 247
უსაჭიროესი განმარტება 135, 213
უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო 16, 141
ურმულის ტექსტის გამართვისათვის 306
უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში 105ბ

ფანჯარა 315
ფისტიკაურის ისტორიისათვის 96

ქართველი სტუდენტები ქართული უნივერსიტეტის დაარსებამდე 242, 263
ქართული ბიბლიოგრაფია 234
ქართული „გზა“ და მისი შესატყვისი სვანურში 211
ქართული „იწრო“ და მისი შესატყვისი კოლხურში 211
ქართული გრამატიკა 37
ქართული გრამატიკის საფუძლები 80 (ნაკვ. I), 88 (ნაკვ. II), 123
ქართული ენა 43
ქართული ენის გრამატიკა (სახელმძღ. საშ. სკოლებისათვის 71, 197 (ნაწ. I), 198 (ნაწ. II)
ქართული ენის გრამატიკა ტ. I 129, 188
ქართული ენათმეცნიერების პრაქტიკული საკითხები (ფანჯარა. სახლში წავიდა, რადაც არ უნდა დამიჯდეს და სხვა) 315
ქართული ენის კულტურისათვის 252
ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები 141
ქართული ზმნის სამპირიანობის გამო 36
ქართული ზმნის საქცევი 28
ქართული ზმნის ფორმების განაწილებისათვის 107
ქართული კილოები მთაში 3
ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები 12
ქართული ლიტერატურის ქრესტომათია 45
ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები: ზმნის ფორმათა მეთაური სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონსა და ვახტანგ VI-ის თარგმანში 164, ქართული ზმნის ფორმების განაწილებისათვის ქართული ენის სასწავლო ლექსიკონში 107

ქართული მთავრული ასოების ხმარების საკითხის გამო 187
ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის შესწავლის საქმე გასულ წელს 239
ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი ძველი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით 97
ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის: მივუბრუნოთ ზმნის პირიან ფორმას თავისი ადგილი წინადადებაში 281, ვერიდოთ გარემოების წინ წამოწევას წინადადებაში 281, ზეგეგმითი თუ გეგმიზეითი 294, ბაბა თუ ბაბუა 294, რას უჩივით თუ რას სჩივით 293, რადაც არ უნდა დამიჯდეს 287, სახლში წავიდა 287, ფანჯარა 267
ქართული სტამბის ისტორიისათვის 50
ქართული შრიფტი (ქართული სტამბის დაარსების 250 წლისთავის გამო) 299
ქართული შრიფტის ახალი გარნიტური „უნივერსიტეტი" 313
ქართული წერა 310
ქართული ხალხური პოეზია (ხევსურული) 41
ქართული ხელნაწერები ერაყში 35
ქართული ხელნაწერები იერუსალიმში და სინას მთაზე 288
ქართული ხელნაწერები კუნძულ ხიოსზე 280
ქართული ხელნაწერები სოლონეთში 300
ქარქაში თუ კაპარჭი 213

ღია ბარათი ერასტი ამბაკოს-ძე შახათაძეს 282ა

ყარსი, ყანა, ურტანუჯი 119

შაჰნამეს ერთი ეპიზოდი ქართულ ფოლკლორში 51
შემთხვევა ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხებისა სვანურში 27, 141
შესანიშნავი მკვლევარი (პოეტი აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე) 318

ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორიიდან 291
ჩვენი სამშობლოს დიდი მოჭირნახულე (აკად. კორნელი კეკელიძე) 307
ცოტა რამ ქართული ენის ისტორიიდან („ნასესხები სინდისის" შესახებ) 113
ძველი ქართული ლიტერატურა 45
ძველი ქართული ქრესტომათია ლექსიკონითურთ 49
ძველი ქართული წარწერები (ქვაზე, ეტრატზე, ჯილზე) 295
ძველი ქართულის ორ სავრცობიან ზმნათა წარმოების ისტორიისათვის 125ა

„წელიწადის" ეტიმოლოგიისათვის 19, 141
წესები ვეფხის ტყაოსნის ვარიანტების ამოსაწერად 249
წესები ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის საჭირო მასალის ამოსაწერად რუსთველოლოგიური ლიტერატურიდან 160
წიგნის წყობის რაციონალიზაციისათვის 259
წისქვილის ქვის სახელები ძველ ქართულში 190
წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში 85

ჭმუნვა და ჩმუნვა ვეფხის ტყაოსანში 213

ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები 63
ხანმეტი ლექციონარი 92
ხანმეტი მრავალთავი 30
ხანძთელის ცხოვრების ერთი ადგილის გაგებისათვის 91
ხევსურული მასალები (ა. გაბუურისა) 23, 24, 25
ხევსურული (პოეზია) 41
ხუნამისის წარწერის განმარტებისათვის 100

ჯატაბუტა 156ა

ჰაკონია („კერპი") 151
ჰ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში 168

ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის 17
ჰაემეტობა ადიშის სახარებაში 16, 141
ჰ და ს თავსართების ხმარება ზმნებში 115
ჰურულისა და ქართულის ურთიერთობის ისტორიიდან 156ა

Библиография. Отдельные издания и статьи на грузинском языке, появившиеся в 1911 и 1912 гг. 232.

Ванское царство 224.
Вахтанг VI 225.
Вахуштий 226.
Вопросы языка поэмы Ш. Руставели 133.

В поисках исчезнувшего портрета 179, 213.
Вступительное слово (на сессии Института истории) 121.
Второй список албанского алфавита 167.
Выдающийся деятель советской науки (К 10-летию со дня смерти И. А. Джавахишвили) 279.
Выдающийся ученый современности (К. С. Кекелидзе) 298.

Габашвили Виссарион 227.
Габашвили Екатерина 227.
Глагольные категории акта и контакта на примерах грузинского языка 103
Глагольный суффикс ուլ в северо-армянских наречиях и говорах 6. 14ŀ.
Грузинская литература 229.
Грузинская надпись XIII века в селении Кош 166.
Грузинская палеография 127.
Грузинская университетская гарнитура 209.
Грузинский алфавит 228.
Грузинский язык 230.
Грузинское письмо 120.
Гурамишвили Давид 231.

Данные греческо-пехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოჲს მოძღუარი в древнегрузинском 78.
Два чано-мингрельских суффикса в грузинском и армянском языках 6, 141.
Древняя грузинская рукопись в Гарвардском университете 297.

Издание древнегрузинских рукописей 277.
Из поездки в Иерусалим 184, 213.
Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия.
И. Чавчавадзе — основоположник нового грузинского литературного языка 261.

Категория ряда в глаголе 79.
К вопросу о портрете Ш. Руставели 184, 213.
К 25-летию Тбилисского государственного университета 272.
К чтению и пониманию надписи на мраморной скульптуре из Вани 131.
К этимологии названия столицы Грузии 154 ა.
К этимологии названия «Топада» 57.
Криптографическая запись в одной армянской рукописи из Мюнхенской коллекции 177.
Крупнейший историк Грузии (Акад. И. А. Джавахишвили) 266.

Названия орла в грузинском языке 176.
Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки 6⁴.
Новейшие издания «Витязя» 323.
Новые данные об алфавите кавказских албанцев 167.
Новый взгляд на природу спряжения новоармянского глагола 210.
Новый труд по армянской диалектологии 74.
Нынешние эквиваленты географических названий Арагвского ущелья по описанию 1774 г. 2.

О надписи Иклита сына Гургена времен царицы Тамары 316.
О некоторых глагольных категориях грузинского языка 276.
О редакциях «Вепхис-Ткаосани» 60.
Один термин родства в грузинском 152.
Отдельные издания и статьи на грузинском языке, появившиеся в 1911 и 1912 гг. 232.
Отчет о летней командировке 1913 года 1, 141.

Первопечатное издание поэмы Ш. Руставели 213.
Переживания ханметных форм в грузинских рукописях IX—X—XI веков 73.
Поездка в Иерусалим 184. 213.
Порядок букв грузинского, армянского и албанского алфавитов 146.
Принципы классификации грузинских диалектов 147.
Программа для собирания диалектических материалов по грузинскому языку 5.

Руставели или Руствели 213.

Сванский язык 128.
Суффикс происхождения არ в грузинском языке 6, 141.
Субъектный префикс второго лица и объектный третьего в грузинских глаголах 141.

Теория скрив в применении к спряжению глаголов древнеармянского языка 108 ა.
Шах-Намэ Ферловси грузинском фольклоре 46.
Этимологические заметки. ჯავონია («Кумир», «идол») 151.

Язык и письмо 178.

Страница из историята на грузинско-българските културни взаимоотношения (ერთი გვერდი ქართველთა და ბულგართა კულტურული ურთიერთობიდან) 156.
Le sujet grammatical de quelques verbes intransitifs en géorgien 194.
Miscellanea 21, 22, 29.
Mitteilungen aus georgischen Handschriften 31.



საგნობრივი საძიებელი

Ⴀლვანური ნ. ჰერული
Ⴀპოკრიფი 76
Ⴀსპექტი 86
Ⴀქტი (საქმე) 103
Ⴀღდგენა (ძველი გამოცემებისა) 61, 148
Ⴀხსნა ნ. სიტყვის ახსნა

Ⴁიბლიოგრაფია 232, 234

Ⴂარდამავლობა ზმნისა 83, 90, 181, 194
Ⴂაუგებარი ადგილების ამოცნობა (გამართვა) 21(I), 91, 186, 207
Ⴂვარი ზმნისა 89
Ⴂრამატიკა 37, 54, 71, 80, 88, 123, 129, 181, 188, 194, 197, 198

Ⴃიალექტოლოგიის საკითხები 1, 3, 4, 5, 10, 23, 24, 25, 74, 75, 141(1, 2, 8), 147
Ⴄთნოგრაფია 121
Ⴄტიმოლოგიური ძიებანი 19, 21(II), 57, 105, 119, 141(13), 151, 152, 154, 154ა, 155, 159, 169, 176, 190, 206, 211

Ⴅეფხის ტყაოსნის საკითხები 21(II), 55, 56, 58, 60, 61, 132, 133, 134, 135, 137, 145, 161, 179, 180, 184, 185, 189, 191, 192, 192ა, 199, 202, 203, 205, 208, 213, 214, 217, 253, 256, 323
Ⴆმნა 9, 10, 36, 43, 83, 89, 90, 141

Ⴇანაავტორობა 45, 68, 125, 197, 198, 234
Ⴇანარედაქტორობა 32, 47, 118, 142, 172, 212, 215(ა, ბ)
Ⴇარგმანი 67, 220, 236
Ⴇეზისები 141(9)

Ⴇვლის სისტემა ქართულში 18, 22(IV), 141 (12), 170

Ⴈნსტრუქცია 44, 283
Ⴈსტორია 84, 112, 113, 141, 157, 168

Ⴉოლხური 6, 7, 141(3, 4)
Ⴉონტაქტი 103
Ⴉრიპტოგრაფია 12, 29(VIII), 177
Ⴉულტურული ურთიერთობა 156, 201, 236

Ⴊეგენდა 222, 223
Ⴊექსიკოგრაფია, ლექსიკოლოგია 13, 24, 32, 38, 42, 44, 62, 101, 105, 107, 116, 140, 162, 163, 164, 165, 212, 233, 243, 244

Ⴋართლწერა ნ. სალიტერატურო ქართულის საკითხები
Ⴋეგრულ-ჭანური ნ. კოლხური
Ⴋეცნიერები: Ⴋ. Ⴁრიერი (301); Ⴅ. Ⴇოფურია (320, 321); Ⴕ. Ⴕეკელიძე (285, 286, 298, 307); Ⴂ. Ⴊეონიძე (318); Ⴌ. Ⴋარი (267, 314); Ⴎ. Ⴋელიქიშვილი (240); Ⴁ. Ⴌიქარაძე (309); Ⴃ. Ⴗიფიანი (54); Ⴈ. Ⴗიფშიძე (237); Ⴌ. Ⴗუხართი (241); Ⴀ. Ⴚაგარელი (15, 39); Ⴈ. Ⴠავახიშვილი (265, 266, 268, 270, 275, 279, 290); Ⴋ. Ⴠანაშვილი (248)
Ⴋთავრული ასოები 187, 213 (წინასიტყვაობა)
Ⴋოგონება 183, 314
Ⴋორფოლოგია 6, 14, 16(II), 17, 28, 37, 53, 71, 79, 85, 103, 108, 123, 129, 141, 188, 197
Ⴋწერლები, მწერლის ენა 59, 69, 69ა, 99, 171, 260, 274, 278, 296, 318
Ⴋწკრივი 79, 95, 103, 105ა, 105ბ, 108, 108ა

Ⴌასესხები სიტყვები 27, 81, 113
Ⴌაწილაკი 8

Ⴍრთოგრაფია ნ. სალიტერატურო ქართულის საკითხები

პალეოგრაფია 20, 22(III), 110, 120, 127, 310
პროექტი 10, 115

რედაქცია 45, 47, 48, 62, 70, 93, 110, 112, 114, 116, 122, 124, 126, 130, 138, 139, 140
რედაქცია და წინასიტყვაობა 23, 31, 32, 52, 61, 65, 98, 109(ა, ბ), 117, 136, 148, 173, 174
რედუქცია 141(14)
რეცენზია 4, 87, 94, 200, 210, 239, 264

სალიტერატურო ქართულის საკითხები 10, 11, 71, 204, 245, 252, 254, 255, 260, 261, 281, 282, 284, 293, 294, 311, 315
სამპირიანობა ზმნისა 36
სახელმძღვანელო 45, 48, 49, 71, 112, 114, 138, 197, 198
სვანური 26, 27, 66, 67, 128, 309
სინტაქსის საკითხები 8, 71, 83, 181, 198
სიტყვის ახსნა 18, 78, 141(11)
სომხური 74, 108ა, 177, 210, 236

სტამბა, შრიფტი 50, 209, 247, 259, 299, 313
სტუდენტობა 242, 263

ტექსტის გამოცემა 17, 23, 30, 41, 52, 61, 63, 76, 92, 97, 104, 106

უნივერსიტეტი 33, 34, 235, 238, 242, 247, 251, 271, 272, 289, 290, 291

ფოლკლორი 46, 51, 56, 67, 153
ფონეტიკა, ფონეტიკური წესები 26, 71, 168, 197

ქრესტომათია 45, 49, 65, 112

შრიფტი ნ. სტამბა

ძველ გამოცემათა აღდგენა 61, 148

წარწერები 29(VI, VII), 72, 78, 82, 100, 131, 166, 295, 316, 319
წესები 160, 249, ნ. ინსტრუქცია
წინასიტყვაობა 40, 68, 317
წინასიტყვაობა და რედაქცია ნ. რედაქცია და წინასიტყვაობა

ხანმეტობა 16(I), 73, 92, 143
ხელნაწერები 35, 68, 246, 277, 280, 288, 297, 300, 312

ჰაემეტობა 16(II), 17, 141(11)
ჰერული (ალვანური) 64, 146, 156ა, 167, 178

ქართული მთავრული ასოები

Ⴀ Ⴁ Ⴂ Ⴃ Ⴄ Ⴅ Ⴆ Ⴇ Ⴈ Ⴉ Ⴊ Ⴋ
ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ

Ⴌ Ⴍ Ⴎ Ⴏ Ⴐ Ⴑ Ⴒ Ⴓ(ႭჃ) Ⴔ Ⴕ Ⴖ Ⴗ
ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ

Ⴘ Ⴙ Ⴚ Ⴛ Ⴜ Ⴝ Ⴞ Ⴟ Ⴠ
შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

შინაარსი

ი. იმნაიშვილი, შ. ძიძიგური, აკაკი შანიძე 7
გ. ახვლედიანი, მცირე მოგონება დიდ ქართველოლოგზე 38
კ. გამსახურდია, აკადემიკოსი აკაკი შანიძე 40
ა. გაწერელია, აკაკი შანიძე 44
კ. კეკელიძე, აკაკი შანიძეს 47
გ. მაჭავარიანი, აკაკი შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თვალსაზრისით 50
ქს. სიხარულიძე, აკაკი შანიძის ფოლკლორისტული ძიებანი 65
შ. ძიძიგური, აკაკი შანიძე და ქართული დიალექტოლოგია 77
ილ. აბულაძე, ძველი ქართულის ლექსიკიდან. 9. „ქორიკოზი" და „ქორეპისკოპოსი" 83
შ. ამირანაშვილი, ბერთის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებისათვის 87
ა. აფაქიძე, მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ძველ ქართულში 93
ა. ბარამიძე, ქართული სტამბის ისტორიიდან (მცირე შენიშვნა ვირჯილ მოლინის წერილის გამო) 97
ვ. ბერიძე, XVI—XVIII საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიიდან (მშენებლები, მშენებლობის პირობები და ორგანიზაცია) 99
Т. В. Гамкрелидзе, Анатолийские языки 117
კ. გრიგოლია, „ვეფხისტყაოსნის" პროლოგში მოხსენებული „ქებანის" განმარტებისათვის 125
ტ. გუდავა, ხუნძურ ხმოვანთა განაწილებისათვის მახვილის მომდევნო პოზიციაში 134
კ. დანელია, „ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან. 4. მოცალეობა 138
ვ. დონდუა, თამარის დროის „ერმიონთასა" 152
ფ. ერთელიშვილი, ჰ სონანტი ზმნური ფუძეების ანლაუტში 157
ი. იმნაიშვილი, მჭადისა და მწვადის ეტიმოლოგიისათვის 165
ლ. კვაჭაძე, ხოლად-შერწყმული სახელები ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით 173
ლ. კიკნაძე, შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში 184
დ. კობიძე, ფილოლოგიური დაკვირვებანი 200
ი. ლოლაშვილი, ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობისათვის 214
Д. С. Мгеладзе, Историко-этимологические заметки 221
ი. მეგრელიძე, თეიმურაზ ბაგრატიონი როგორც რუსთველოლოგი 231
შ. მესხია, „ზუგდიდი" თუ „ზუბდიდი" 244
ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერების ისტორიიდან (სალავრა) 251
ზ. სარჯველაძე, Ⴤ და Ⴞ გრაფემათა და /ჴ/ და /ხ/ ფონემათა ურთიერთმიმართებისათვის 260
ა. ოჩრუშაძე, ერთი გასწორება 266
ა. ღლონტი, ჰიდრონიმთა ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფებისათვის 269
თ. ყაუხჩიშვილი, სოლინოსის ცნობები საქართველოს შესახებ 277
ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული გრამატიკული პარალელები. 1. მიმღეობითი ზმნები 292

Ს. Ყუბანეიშვილი, Დავით Გურამიშვილი Უკრაინაში 296
Მ. Შანიძე, Ჩეზვის ეტიმოლოგიისათვის 306
Გ. Ჩუბინაშვილი, Გვიანი შუასაუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ერთი უცნობი ძეგლი 311
Გ. Წერეთელი, „Ვეფხისტყაოსნის" „სევდისა მეფარახი" 319
Ა. Ჭინჭარაული, „Ვეფხისტყაოსნის" ლექსიკიდან 327
Ქ. Ჭრელაშვილი, Გრამატიკული კლასების რაოდენობის შესახებ წოვათუშურ ენაში 332
Ზ. Ჭუმბურიძე, Ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის ქართულში 339
Ს. Ხუციშვილი, Შოთა Რუსთაველი და მისი პოემა Იაკობ Გოგებაშვილის ნააზრევში 357
Ე. Ჯეირანიშვილი, Უდური თუ უდიური? 362
Გ. Ჯიბლაძე, Ქართველოლოგიის სიამაყე 364
Ს. Ჯიქია, Თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან. 2. Თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში 367
Г. А. Климов, Из истории одной общекавказской лексической параллели (к названию домашней кошки в кавказских языках) 378
Ს. Ჯორბენაძე, Ივანე Ჯავახიშვილის თანამოსაგრე 382
Აკაკი Შანიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია 407
Ქართული მთავრული ასოები 442

მხატვარი ზ. ცუცქირიძე

გამომცემლობის რედაქტორები: მ. ინასარიძე, ძ. ჩირგაძე

ტექნიკური რედაქტორი ი. ჩაგელიშვილი

კორექტორები: ლ. სტურუა, ლ. ტელიძე

გადაეცა ასაწყობად 31-I-67.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8-IV-67.
ქაღალდის ფორმატი 70×108/16.
ნაბეჭდი თაბახი 38,75.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 33,94.
ტირაჟი 2000.
უე 06629.
შეკვეთა 141.

ფასი 2 მან. 30 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

სუპერგარეკანი და ილუსტრაციები დაიბეჭდა ფერადი ბეჭდვის სტამბაში, თბილისი, პლეხანოვის პროსპ., 50.

Издательство Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

Суперобложка и иллюстрации отпечатаны в Типографии цветной печати, Тбилиси, просп. Плеханова, 50.